ჟ. ჯვალაძე



ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1970

ანძის ლიანგზე ბორცვი ვაშლოვანებს
წყალობდა ოფლიანობისაგან, სავა-
ზეები ლიანდაგი ვანგრეულიყვნენ... ლია
ანძასლიანი წყალი ასკვნილებისა ზედა
ეს ერთ ვანდალი ლიანგი.

ალბერტი

...და გამოვედით, რომ გვეხილა
კვლავ ვარსკვლავები

 დ ა ნ ტ ე

ზაფხულის სიზმარი...

სამამულო ომის მეოთხე გაზაფხულმაც ზარბაზნების გრიალით გვამცნო თავისი მობრძანება. ცა შავი ღრუბლებით ზაიბურა და ჭექა-ქუხილით შეძრა ქვეყნიერება. ნაადრევმა წვიმებმა კარპატები ჩამორეცხა, მთიდან დაძრული ზვავები დევებივით ჩაწვნენ ხევებში. მარტო ფერდობებზე თუ იყო შერჩენილი საგუგულე თოვლი, თორემ სხვაგან ყველგან გაზაფხულის თბილი სუნთქვა იგრძნობოდა.

მერე მზემ იძალა, მიწა გათბა და ერთბაშად მოვარდნილმა მწვანის ზღვაურმა შემოსა ზამთრის ყინვებით გათოშილი ქვეყანა.

ვინ იცის, რამდენჯერ მოვარდნილა გაზაფხული ასე ზათქითა და ზარით, რომ ერთხელ კიდევ გაეახალგაზრდავებინა ეს ადამზე ადრინდელი, მაგრამ მაინც უბერებელი ბუნება.

ყოველთვის ასეა:

— ვეშაპი რომ დატყვევებულ მზეს აუშვებს,— ვაჟასი არ იყოს, — დედამიწა გაიზმორება, გაგულუხვდება, გულ-მკერდზე ვარდ-ყვავილებს დაიფენს, ხეებს ფოთოლს დაასხამს და აყვავდება...

ასეთ დროს ყველაფერს გაზაფხულის შფოთი უდგას სულში და არ ასვენებს. ბუნებაც თითქოს ხაკისფერ სამხედრო მუნდირს იცვამს და საომრად ემზადება.

ასეა. ომის დროს ყველაფერი გასამხედროებული გგონია კაცს, თვით ბუნებაც კი. არაფერი თავის კალაპოტში არ ეტევა, შფოთავს, ხმაურობს და წარღვნით ემუქრება ქვეყანას,

როგორც იმ ას ერგასის დღეს, ოდეს „წყლით რღუნამ“ წა-ლეკა მთელი ხმელეთი და „დაფარნა მთანი მაღალნი, რომელნი იყუნეს ქუეყანასა ზედა“...

ჩვენი ფრონტიც თითქოს ამგვარი წარღვნის მოლოდინ-ში განაბულიყო. საავდროდ დაბუდებული ღრუბლები ერთ-მანეთს უახლოვდებოდნენ. მცირე შეხებაც საკმარისი იყო, რომ ცას ელვა გაჰკროდა და დაექუხა. ფრონტელები ამას თითქოს ყნოსვით გრძნობდნენ და ზოგჯერ ერთმანეთსაც მი-უმღერებდნენ:

Тучи над городом встали,
В воздухе пахнет грозой . . .

თუმცა გაზაფხული ისე მიიწურა, რომ არც ელვა გაჰკვრია ცას და არც ქუხილისა გვსმენია რამე. ვიდექით რუმინეთის იმ „მცირე ტერიტორიაზე“ და გვიკვირდა, რატომ ასე დიდ-ხანს ვტკეპნიდით ერთ ადგილს. ზამთრის შეტევების შემდეგ კარგა ხანი გავიდა, ცა მოიწმინდა, მიწა გაშრა, უვალი გზე-ბიც გაიხსნა, მაგრამ წინ ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს. არც მტერს შეუოუტევია ჩვენთვის. დღისით მზვერავი თვით-მფრინავების გუგუნი ისმოდა მხოლოდ, ღამით კი ყველაფერი საფრონტო ცხოვრებისათვის უჩვეულო მშვიდსა და უშფოთ-ველ ძილს ეძლეოდა...

ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ საერთო შეტევისა-თვის ყველაფერი მზად გვქონდა. ჩვენს ფრონტზე იმდენმა „ცოცხალმა ძალამ“ და საომარმა ტექნიკამ მოიყარა თავი, რომ ერთი შეძახილი და... წინ ვერაფერი დაგვიდგებოდა. კიდევაც ველოდით ამას, მაგრამ შეტევის დაწყება „რატომღაც“ მაინც იგვიანებდა...

...მაშინ რა ვიცოდით, თუ ყოველივე ეს „მეორე ფრონ-ტის“ გახსნასთან იყო დაკავშირებული. ან საიდან უნდა გვცოდნოდა, როცა ასეთი რამ დიდი სამხედრო საიდუმლოე-ბაა. მართალი გითხრათ, ჩვენ უკვე აღარც გვჯეროდა, „მეო-რე ფრონტი“ თუ ნამდვილად გაიხსნებოდა. იგი კარგა ხანია ხუმრობის საგნად იყო ქცეული: სასადილოში მზარეულები ამერიკული კვერცხის ფხვნილით ან ინგლისური ღორის კონ-

სირეებით რომ გვიმასპინძლდებოდნენ, თან დააყოლებდნენ, აჰა, მიიღთვით „მეორე ფრონტიო“. ასეთ ხუმრობას საფუძველიც ჰქონდა. ყველამ ვიცოდით, ჩვენს დასავლეთელ მოკავშირეებს მეორე ფრონტი ჯერ კიდევ 1942 წლის გაზაფხულზე რომ უნდა გაეხსნათ. მათ საამისო პირობებიც ჰქონდათ მაშინ, მაგრამ ეს არ გამოიყენეს. ე. წ. „ელვისებური ომის“ ჩაშლის შემდეგ გერმანელები ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ აღმოსავლეთის ფრონტზე. მათი სამხედრო ძალების ძირითადი ნაწილი ჩვენს ფრონტებზე იყო განლაგებული. მერე დასავლეთის უმოქმედო ფრონტიდან კიდევ რამდენიმე ათეული დივიზია მოხსნეს და ჩვენკენ გადმოისროლეს, რის შემდეგაც „ატლანტიკის ციხე-სიმაგრე“ სრულიად გაშიშვლებული დარჩა.

საბჭოთა მთავრობა მაშინ ენერგიულად მოითხოვდა, რომ მოკავშირეებს აღებული ვალდებულებანი შეესრულებინათ, მაგრამ ამაოდ. „ბრიტანეთის ლომს“ ისევ ეძინა, ნაღების მოხდას ბიჩვეულ ამერიკელებს კი სადესანტო შენაერთები ჯერ დაკომპლექტებულიც არ ჰყავდათ. ეს საერთო აღშფოთებას იწვევდა. ტრაფალგერის სკვერში, ინგლისის მთავრობის სასახლის წინ, მრავალათასიანი დემონსტრაციები იმართებოდა. თვითონ ინგლისელები მოითხოვდნენ ლამანშის გადალახვას და მეორე ფრონტის გახსნას. გაზეთმა „ნიუს ქრონიკლმა“ ანკეტებიც გაავრცელა ასეთი კითხვით: „როგორია თქვენი აზრი: ფიქრობთ თუ არა, რომ ინგლისელებმა მიმდინარე წელსვე უნდა გადასხან დესანტები კონტინენტზე?“ ამ კითხვას მოსახლეობის 60 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, 28 პროცენტმა „არ ვიცი“ უპასუხა, ხოლო 12-მა — „არა“.

პარლამენტის უმრავლესობაც მოითხოვდა მეორე ფრონტის გახსნას, მაგრამ ჩერჩილის მთავრობა არ ჩქარობდა. ასეთი დაყოვნებით ამერიკაშიც შეშფოთებული იყვნენ. ჰარი ჰოპკინსი წერდა რუზველტს: „მართალი გითხრათ, თავს უხერხულად ვგრძნობ, რომ ჩვენი მონაწილეობა ამ ომში სრულიადაც არ შეეფარდება ჩვენსავე სამხედრო ძლიერებასო“. ისე ჩანდა, თითქოს რუზველტიც უკმაყოფილო იყო ამით. 1942 წლის აპრილში მან სთხოვა საბჭოთა მთავრობას დელეგაცია გაეგზავნა ვაშინგტონში „ფრიად მნიშვნელოვანი სამ-

ხედრო საკითხის განსახილველად". კონკრეტულად რა საკითხისო, რომ შეეკითხნენ, რუზველტმა უპასუხა:

— ჩემს მრჩევლებთან თათბირის შედეგად მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ აუცილებელია ახალი ფრონტის გახსნა გერმანიის წინააღმდეგ საფრანგეთში...

იმავე წლის 29 მაისს საბჭოთა დელეგაცია ჩავიდა ვაშინგტონში და პირდაპირ დააყენა საკითხი: შეუძლია თუ არა ამერიკას განავითაროს ისეთი შეტევა, რომ ბრძოლაში მიიზიდოს 40 გერმანული დივიზია?

პრეზიდენტი გენერალ მარშალს მოეთათბირა და, როცა მისგან საბჭოთა დელეგაციის ამ კითხვაზე დადებითი პასუხი მიიღო, თქვა:

— გადაეცით სტალინს, რომ ჩვენ იმედი გვაქვს 1942 წელსვე გავხსნათ მეორე ფრონტი...

შემდეგ მან დააზუსტა კიდეც, რომ სადესანტო ოპერაცია („ბოლერო") აგვისტოს თვეში დაიწყებოდა.

როგორც ჩანს, ეს არ მოეწონა ჩერჩილს. 1942 წლის 18 ივნისს იგი სპეციალურად ჩავიდა ვაშინგტონში, რათა დაერწმუნებინა პრეზიდენტი მეორე ფრონტის გადავადების აუცილებლობაში. ჩერჩილი უმტკიცებდა რუზველტს, ჯერ არც ამერიკელები არიან მზად ასეთი დიდი სადესანტო ოპერაციების ჩასატარებლადო. ამის დასადასტურებლად მან რამდენიმე კითხვა დაუსვა პრეზიდენტს:

— აქვს თუ არა ამერიკის არმიის გენერალურ შტაბს რამე გეგმა შემუშავებული?

— რა სადესანტო და სატრანსპორტო ხომალდებია გამზადებული?

— რომელი ამერიკელი ოფიცერი იღებს თავის თავზე ამ ოპერაციების ხელმძღვანელობას?

— ინგლისის რამდენი ჯარია ამისათვის საჭირო?

ამის საპასუხოდ რუზველტმა სპეციალური ინფორმაცია მოითხოვა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალთა შტაბებისაგან, თუმცა არც ამით გამოვიდა რამე. მართალია, ჩერჩილი მეორე ფრონტის გახსნის დროდ 1942 წლის ზაფხულის ნაცვლად შემოდგომას ასახელებდა, მაგრამ ესეც ცრუ მანევრი

იყო: მას უნდოდა გერმანული და საბჭოთა არმიები „ერთმანეთისათვის მიეწყვიტა“ და თვითონ მხოლოდ ომის დამამთავრებელ ეტაპზე ჩარეულიყო, რომ შემდეგ საკუთარი ნებასურვილი ეკარნახა მათთვის. როგორც ჩანს, ეს ამერიკელებსაც დაუჭდათ ჭკუაში და დაეთანხმნენ ინგლისის „შორსმჭვრეტელ“ პრემიერ-მინისტრს.

შინ დაბრუნებულმა ჩერჩილმა საზოგადოებრივი აზრის თვალის ასახვევად რამდენიმე მცირე მასშტაბის სადესანტო ოპერაცია განახორციელა საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროზე (დიეპის, სენ-ნაზერისა და სხვ.), მაგრამ ეს ცრუ მანევრი მაშინვე გამოაშკარავდა. საქმე ის არის, რომ ერთ-ერთი ასეთი ოპერაცია წარმატებით დამთავრდა. ინგლისელებმა ფეხიც მოიკიდეს კონტინენტზე, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ პირველი წარმატება განევითარებინათ, ყველასათვის მოულოდნელად ღამით დესანტები ისევ ხომალდებში ჩასხეს და უკანვე დაუბრუნეს ბრიტანეთის კუნძულებზე.

ამის შემდეგ ინგლისელებმა თავიანთი მთავარი სამხედრო ძალები აფრიკაში გაგზავნეს, რითაც ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ისინი თავს არიდებდნენ გერმანიის ძირითად ძალებთან პირისპირ შეხვედრას. ამან გამოიწვია გენერალ მაკარტურის ცნობილი ირონიული მიმართვა ინგლისელებისადმი:

— ურტყით გერმანელებს იქ, სადაც ისინი არ არიან!..

გერმანელები კი აფრიკაშიც გაჩნდნენ და ფელდმარშალ ერვინ რომელის საექსპედიციო კორპუსმა ჩქარა ისეთ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ინგლისელები, რომ ჩერჩილმა დახმარება არა მარტო ამერიკას, არამედ საბჭოთა კავშირსაც სთხოვა. იგი თვითონაც ჩამოვიდა მოსკოვს, რათა „მწუხარება გამოეთქვა“ მეორე ფრონტის ვადის გადაწევის გამო და საჭირო დახმარება ეთხოვა. ასეთი მდგომარეობის კურიოზულობა', თვითონ ჩერჩილიც გრძნობდა, რასაც საკმაოდ გულწრფელად აღიარებს თავის მემუარებში.

— დაბნეული ვიყავი, — წერს იგი, — არც ვიცოდი, რა უნდა მეთქვა მოსკოვში. ადრე მე ყოველ ღონეს ვხმარობდი, რათა ჩანასახშივე ჩამეხშო საბჭოთა ხელისუფლება, ახლა კი...

ახლა ჩერჩილს ისეთი სახე უნდა მიეღო, თითქოს დი-

დი მეგობარი იყო ჩვენი... გული კი სხვას ეუბნებოდა. იგი ჩაფიქრებული იჯდა ოთხმოტორიანი სამხედრო თვითმფრინავის კაბინაში და ფიქრობდა „მეგობრულ ვიზიტზე“ მოსკოვში, რომელსაც უწინ გადაბუგვით ემუქრებოდა.

ინგლის-ამერიკის გადაწყვეტილება მეორე ფრონტის გახსნის გადადების შესახებ კრემლში უკვე იცოდნენ. ჩერჩილს სტალინის მკაცრი წერილიც ჰქონდა მიღებული „ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხისადმი არასერიოზული დამოკიდებულების“ გამო. გრძნობდა კიდეც, თუ რა უსიამოვნო ლაპარაკი მოელოდა „წითელი რუსეთის უხეშ პრემიერთან“, მაგრამ გუნებაში მაინც უხაროდა, რადგან ყველაფერი ეს მისი „შორსმჭვრეტელური“ პოლიტიკის გამარჯვებად მიაჩნდა...

...ჩერჩილთან ერთად მოსკოვში გენერალი უეიველიც მოფრინავდა. მეორე ფრონტის გადავადებას იგი რატომღაც პოეტურ განწყობილებაზე დაეყენებინა. იჯდა თავისთვის და წერდა ლექსს, რომლის ყოველი სტროფი ასეთი რეფრენით მთავრდებოდა: „1942 წელს მეორე ფრონტი არ იქნება! არ იქნება!“ და ა. შ. მერე ეს ლექსი ჩერჩილს წაუკითხა და უთხრა, მოსკოვში შავიღოთო, მაგრამ მაინც ვერ გაამხიარულა ცუდ გუნებაზე მყოფი პრემიერი. ჩერჩილი მემუარებში წერს, „ამ ლექსის წაღება მოსკოვში იმას ჰგავდა, ჩრდილოეთ პოლუსზე კაცს ყინულის დიდი ნაჭერი მიგქონდესო“.

მოსკოვში ჩერჩილმა „პატიოსანი სიტყვა“ მისცა საბჭოთა მთავრობას, მეორე ფრონტს 1942 წელს თუ არა, ორმოცდასამში მაინც გავხსნითო, მაგრამ მისი დაპირებებისა უკვე არავის სჯეროდა. თვითონ ჩერჩილი წერს, სტალინმა „ბევრი არასასიამოვნო სიტყვა მაკადრაო“: გერმანელებთან პირისპირ შეხვედრისა გეშინიათ, დადებულ პირობას სტეხთ, ჩვენგან მალულად რუზველტთან ჩუმ-ჩუმად თათბირობთო და სხვა მისთანანი. მერე ბევრი ვეჩხუბეთ ერთმანეთსო, დასძენს ჩერჩილი, მაგრამ ჩხუბი საქმეს რას უშველიდა, როცა გაზაფხულიდან ჯერ ვითომ შემოდგომისათვის გადადებული მეორე ფრონტის გახსნის ვადამ ახლა უკვე მომავალი წლისათვის გადაინაცვლა... სინამდვილეში კი ეს „მოწყალება“ ჩვენს დასავლეთელ მოკავშირეებს არც 1943 წელს გაუღიათ. ამ დროი-

სათვის გერმანელებს უკვე სტალინგრადი ჰქონდათ ნაგემები. ზამთრის შეტევების შედეგად საბჭოთა არმიამ ზოგან 600—700 კილომეტრითაც წაიწია წინ. დასავლეთიდან ერთი ძლიერი დარტყმა და საქმე კიდეც გათავდებოდა. ასეთ პირობებში მეორე ფრონტის გახსნას ითქოს წინ არა ედგა რა, მაგრამ ინგლისელები და ამერიკელები ისევ ძველებურად გრეხდნენ ქვიშის თოკს. თუმცა ქვეყნის თვალის ასახვევად კი ამბობდნენ, 1943 წლის გაზაფხულზე აუცილებლად გავხსნით მეორე ფრონტსო, მაგრამ ესეც ვინიცობაზე ეკიდა. დრო გადიოდა, გაზაფხულს შემოდგომა მოჰყვა, შემოდგომას — ზამთარი, ჩვენ კი ისევ მზარეულების მიერ მორთმეულ უგემურ „მეორე ფრონტს“ შევექცეოდით სასადილოში...

წითელი ნიალვარი...

ნათქვამია, სხვისი იმედით ყოფნა კაცს არ არგებსო. არც ჩვენ გვქონდა მათი იმედი. საბჭოთა არმია საბელმწიფო საზღვრებს მიადგა და ზოგან კიდეც გადავიდა მტრის ტერიტორიაზე. ახლა კი დაფაცურდნენ ჩვენი მოკავშირეები... შეეშინდათ, ვაითუ „წითლებმა“ დაგვასწრონ და ბერლინში პირველი თვითონ შევიდნენო. ბივერბრუკი ჯერ კიდევ 1943 წლის 28 თებერვალს ამბობდა ლორდთა პალატის სხომაზე, მეორე ფრონტს თუ ახლავე არ გავხსნით, შეიძლება შემდეგ „უფრო დიდი რამ დავკარგოთო“. საამისო ნიადაგი კი მაშინაც შემზადებული იყო. გერმანელთა ძირითადი ძალები ისევ აღმოსავლეთის ფრონტზე იბრძოდნენ, დასავლეთის „ციხე-სიმაგრე“ კი კვლავ გაშიშვლებული ჰქონდათ. ამას ყველაზე უფრო თვითონ გერმანელები გრძნობდნენ. გერინგთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ გებელსმა თავის დღიურში ჩაწერა:

— რაიხსმარშალიც შეშფოთებულია იმით, რომ დასავლეთის საზღვრები სრულიად გავაშიშვლეთ აღმოსავლეთის ფრონტის გასამაგრებლად. იმაზე ფიქრიც საშინელია, რა მოჰყდება, თუ ინგლისელები და ამერიკელები უეცრად შემოიჭრებიან კონტინენტზე...

ჩვენი დასავლეთელი მოკავშირეები კი ამას არც 1943 წელს აპირებდნენ. ამერიკა წყნარი ოკეანის ოპერაციებით იყო გართული, ხოლო ინგლისი ისევ აფრიკასა და სიცილიაში იბრძოდა. მეორე ფრონტის გახსნის „დავიწყებას“ კი ერთმანეთს აბრალებდნენ. 1943 წლის გაზაფხულზე რომ ეს ფრონტი გახსნილიყო, ამისათვის ამერიკას ინგლისში სულ ცოტა 27 დივიზია მაინც უნდა გადაესროლა. როცა ჩერჩილს ჰკითხეს ამის თაობაზე, მან უპასუხა: „ჯერჯერობით მათ ჩვენთან ერთი დივიზია ჰყავთო“. მერედა როგორი დივიზია! გეგონებოდათ, საომრად კი არა, ტურისტულ ლაშქრობაში მიდიანო: კომფორტით, უამრავი მოსამსახურე პერსონალითა და დიდძალი ავეჯით. ამაზე ჩერჩილიც ვერ იკავებდა სიცილს.

— თქვენ როგორ გგონიათ, რამდენი კაცისაგან შედგება ამერიკული დივიზია? — ჰკითხა მან საბჭოთა ელჩს.

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, 18-19 ათასი კაცისაგან. — მიუგო ელჩმა.

— სწორია! — გაიცინა ისევ ჩერჩილმა, — თუ მხოლოდ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ვიანგარიშებთ, მომსახურე პერსონალიანად კი 50 ათასია!

19 ათას მებრძოლზე 31 ათასი მომსახურე პერსონალი! ეს მართლაც გაუგონარი რამ იყო. ჩერჩილიც ამიტომ ჰყვებოდა ამას ისე, რომ სიცილისაგან სული ეგუბებოდა:

— რა არ არის ამერიკულ დივიზიაში, — ამბობდა იგი: — რა თქმა უნდა, ტრანსპორტი, სამედიცინო სამსახური, საინტენდანტო და სხვ. ეს როგორც წესი და რიგია. ნაგრამ ამას გარდა!.. მრეცხავების ორი ბატალიონი, ერთი ბატალიონი რძის სტერილიზატორებისა, დალაქების ბატალიონი, გამრთობთა ბატალიონი, თერძების ბატალიონი, მეწაღეების ბატალიონი... და ასე გაუთავებლივ! — ხარხარებდა ჩერჩილი.

ამ დროს კი მათი მოკავშირე ქვეყანა აღმოსავლეთის ფრონტზე მარტო ებრძოდა მძლავრი ჰიტლერული კოალიციის სამასამდე შეიარაღებულ დივიზიას და სამი წლის ბრძოლით ილაჯგაწყვეტილი ჯარისკაცები წყევლა-კრულვას უთვლიდნენ ინგლისელებსა და ამერიკელებს „მეორე ფრონტის“ გახსნისადმი ასეთი აგდებული დაბოკიდებულების გამო...

...ეს ჩერჩილს სულაც არ აწუხებდა. ახლა იგი ლამანშის ნაცვლად ხმელთაშუა ზღვაში გეგმავდა საომარ ოპერაციებს, რომ ბალკანეთის ქვეყნები ეგდო ხელთ, რაც მისი ძველისძველი ოცნება იყო. ამის შესათანხმებლად ჩერჩილი ერთხელ კიდევ შეხვდა რუზველტს ვაშინგტონში. ესეც სეპარატული თათბირი იყო, რომელზეც საბჭოთა მხარე მიწვეული არ ყოფილა. ჩერჩილმა იქ „მეორე ფრონტის" საკითხს გვერდი აუარა, ამაზე როდისნე მომავალში მოვილაპარაკოთო, განაცხადა. იგი ხმელთაშუა ზღვით, სიცილიითა და.. ატომური იარაღის წარმოებით იყო დაინტერესებული. იმ დროს ამერიკაში უკვე მიღებული ჰქონდათ საიდუმლო დადგენილება ატომური იარაღის წარმოების დაჩქარების შესახებ. ინგლისელებს ეშინოდათ, რომ შეიძლება გერმანიამ დაასწროს ამერიკას ამ იარაღის დამზადება და ლონდონმა თავის თავზე გამოსცადოს მისი გამანადგურებელი ძალაო. ამიტომ ჩერჩილი სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლაზეც შეუთანხმდა პრეზიდენტს და შეიპირა, რომ პირველი ატომური ყუმბარა 1944 წელს ექნებოდათ მზად. მეორე ფრონტის საკითხმა კი ახლა ორმოცდასამიდან ორმოცდაოთხი წლისათვის გადაინაცვლა.

— მე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ინგლისელები და ამერიკელები მეორე მსოფლიო ომის დამთავრებაზე უფრო მესამე ომის მომზადებაზე ზრუნავენო, — თქვა ამაზე თომას მანმა...

როგორც ცნობილია, თეირანის კონფერენციაზე ეს საკითხიც ირჩეოდა. აქ ერთმანეთს შეხვდნენ სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურები — სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი, რომლებმაც ერთობლივ კომუნიკეში კატეგორიულად განაცხადეს:

— მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ხელი შეგვიშალოს მოვსპოთ გერმანიის არმიები ხმელეთზე, წყალქვეშა ნავები ზღვებში და გავანადგუროთ მათი სამხედრო ქარხნები ჰაერიდან...

...თეირანის კონფერენციის მთავარი საკითხი მეორე ფრონტის გახსნა (ოპერაცია „ოვერლორდი") იყო. მართალია, ინგლისელებსა და ამერიკელებს ამ დროს უკვე მაგრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული სიცილიასა და სამხრეთ იტალიაში,

ბაგრამ ეს „მეორე ფრონტს“ მაინც არ ნიშნავდა. სტალინმა კონფერენციის დასაწყისშივე განაცხადა, რომ აპენინის ნახევარკუნძულიდან გერმანიაზე გალაშქრება სრულიად უპერსპექტივოა, რადგან წინ ალპებია გადასალახავი. მან პირდაპირ მიუთითა, რომ ამისათვის მხოლოდ ჩრდილოეთ, ჩრდილოეთ-დასავლეთ ან თუნდაც სამხრეთ საფრანგეთის ტერიტორიაა შესაფერისიო.

ჩერჩილის ფიქრები კი ლამანშის ნაცვლად ისევ ხმელთაშუა ზღვას დასტრიალებდა და დარდანელისაკენ იკაფავდა გზას. იგი დაჟინებით მოითხოვდა აეძულებინათ თურქეთი ჩაბმულიყო გერმანიის წინააღმდეგ ომში და გაეხსნა დარდანელის სრუტე მოკავშირეთა ფლოტისათვის. რუზველტი მხარს უჭერდა თავის ინგლისელ კოლეგას, მაგრამ სტალინმა უფრო სწორი დიაგნოზი დაუსვა ამ „სატკივარს“:

— მე მეეჭვება, რომ თურქეთი ომში ჩაებას,— თქვა მან და დაუმატა: — რაგინდ ვეცადოთ, თურქეთი ამას არ იზამს. ასეთია ჩემი აზრი...

პოლიტიკური ორაგული...

კონფერენციის მთავარი თემა მაინც „მეორე ფრონტი“ იყო და არა თურქეთი. სტალინმა პირდაპირ მოკვრა:

— თუ აქ იმისათვის ვართ შეკრებილნი, რომ სამხედრო საკითხები განვიხილოთ, მე ვფიქრობ, ძირითადი ოპერაცია „ოვერლორდია“ და არა სხვა რამ...

მან კატეგორიულად მოითხოვა „ოვერლორდის“ დაწყების თარიღის დაზუსტება, რათა ამისათვის შეეფარდებინა დიდი შეტევები აღმოსავლეთის ფრონტზე. ჩერჩილი კი ისევ თავისაენ ითრევდა ბაწარს და ცდილობდა როგორმე გადაევადებინა საფრანგეთის სანაპიროზე სადესანტო ოპერაციების დაწყება. რუზველტი წინააღმდეგი იყო ასეთი „გადავადებისა“, მაგრამ „შუბლმაგარი ბრიტანელი“ მაინც ჯიუტობდა. ამით კონფერენცია თითქოს ჩიხში მოემწყვდა. აღშფოთებული სტალინი ადგა კიდეც და საბჭოთა დელეგაციის წევრებს მოლოტოვსა და ვოროშილოვს მიმართა:

— თუ ასეა, წავიდეთ! სხვა ჩვენ აქ არაფერი გვაქვს გასაკეთებელი. ისედაც უამრავი საქმე გველის ფრონტზე...

რუზველტმა სცადა დაძაბულობის შენელება და სიტყვა ბანზე ააგდო: — უკვე მოგვშივდა, ამიტომ ჩემი წინადადებაა ახლა სხდომა შევწყვიტოთ და ვესტუმროთ მარშალ სტალინს, რომელიც დღეს სადილით გვიმასპინძლდება...

...სუფრასთან სამხედრო ან პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი არ ყოფილა. რუზველტმა ქართული კერძები და ღვინოები მოიწონა, განსაკუთრებით — „ხვანჭკარა“ და სურვილიც გამოთქვა ამერიკის სანაპიროებზე გაეშენებინათ ქართული ჯიშის ვაზი. სტალინი ნერგების გაგზავნას შეჰპირდა, მაგრამ თან ესეც დასძინა: სამწუხაროდ, ცდებმა დაადასტურა, რომ ხვანჭკარას სადმე სხვაგან გაშენება არ ხერხდება, იგი მხოლოდ საქართველოს ერთ კუთხეში ხარობსო. მერე გაიხსენა, წინადღით საუზმეზე რუზველტს რომ ორაგული მოეწონა, და უთხრა:

— მე მაშინვე გავეცი განკარგულება და თვითმფრინავით ჩამოვაყვანინე ერთი პატარა ორაგული, რომელიც თქვენ უნდა მოგიძღვნათ, ბატონო პრეზიდენტო...

ამის თქმა იყო და მსახურებმა დარბაზში „პატარა“ კი არა, ორი მეტრი სიგრძის ცოცხალი ორაგული შემოიტანეს...

რუზველტი გაოცებული დარჩა სტალინის „ფანტასტიკური ოპერატიულობით“...

...მეორე დღეს სხდომა განახლდა და მხარეთა შორის ოფიციალური ენაც გამოინახა. ამიტომ იყო, რომ უფრო გვიან პრესის მუშაკები ხუმრობდნენ, „სტალინმა თეირანში ბადე ისროლა და პოლიტიკური ორაგული დაიჭირაო“.

ისედაც გასაგებია, თუ ვის გულისხმობდნენ ისინი. ჩერჩილი, მართლაც, იძულებული გახდა დათანხმებულიყო, რომ „მეორე ფრონტი“ 1944 წლის პირველ აპრილს გაიხსნებოდა.

— მე პირველ მაისზედაც თანახმა ვარ! — თქვა სტალინმა, მაგრამ საქმის საბოლოო გადაწყვეტა ჯერ კიდევ შორს იყო. ჩერჩილმა სამხედრო ექსპერტების მიერ შემუშავებული იმდენი წინაპირობა წამოაყენა „მეორე ფრონტის“ გასახსნელად, რომ ეს „შეთანხმებაც“ ჰაერში ჩამოკიდებული დარჩა.

„ოვერლორდის“ ავტორების აზრით, სადესანტო ოპერაციების დაწყება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში:

...თუ ძლიერი ქარი არ ამოვარდებოდა;

...თუ ზღვის მოქცევა სწორედ ისეთი იქნებოდა, როგორიც საჭირო იყო;

...თუ მთვარე ხელსაყრელ ფაზაში შევიდოდა;

...თუ ზღვის მოქცევასა და მთვარის ასეთ ფაზაში შესვლას ამინდის ბიუროს კარგი პროგნოზიც დაემთხვეოდა;

...თუ „ოვერლორდის“ გეგმის შედგენასა და განხორციელებას შორის არსებულ დროში გერმანელები არ გაამაგრებდნენ სანაპიროს;

...თუ სადესანტო ოპერაციების დაწყებისას გერმანელებს ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში არ ეყოლებოდათ ოცზე მეტი დივიზია;

...თუ იმ დროისათვის შემცირდებოდა გერმანელთა გამანადგურებელი ავიაციის რაოდენობა და სხვა და სხვა...

ამ დიდ „თუ“-ებს იმდენი პატარა „თუ“ მოჰყვა, გაგულისებულმა სტალინმა ერთხელ კიდევ რომ გაიგონა, „თუ სადესანტო ოპერაციების დაწყებისას გერმანიის დასავლეთ ფრონტზე არ იქნა თხუთმეტზე მეტი სარეზერვო დივიზიაო“, მოთმინებადაკარგულმა „ოვერლორდის“ გეგმა მაგიდაზე დააგდო და ირონიულად იკითხა:

— კი მაგრამ, თუ ოცდაათი იქნება?!..

ამგვარ „თუ“-საც თავისებური პასუხი ჰქონდა გაცემული „ოვერლორდის“ შენიშვნებში:

— თუ ეს პირობა არ იქნა, სადესანტო ოპერაციები უნდა გადაიდოს ერთი თვით, როცა მთვარე ისევ საჭირო ფაზაში შეკვა...

...მერე სტალინმა და რუზველტმა ამ „თუ“-ებს იმდენი უტრიალეს, რომ კონფერენციის მიწურულში თითქოს ჩერჩილიც დაითანხმეს, „მეორე ფრონტი“ მართლაც აპრილში გაეხსნათ. თუმცა აპრილი და მაისი კი არა, ივნისი და ივლისიც ისე გავიდა, რომ ჩვენ კვლავ იმ „თუ“-ების ფაზაში ვიმყოფებოდით და „მეორე ფრონტს“ მხოლოდ კვერცხის ფხვნილებით ვგრძნობდით. ამან საბაბი მისცა ცნობილ ამერიკელ პუბლი-

ცისტს რალფ ინგერსოლს ეს პოლიტიკური „წაჯექ-უკუ-ჯექობა“ ფეხბურთის მატჩისათვის შეედარებინა:

— ისტორიული თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ასეთი რამ მოხდა, — წერს იგი: — ბრიტანეთის გუნდის ნახევარმცველი ჩერჩილი მთელი სისწრაფით მიქროდა, რათა ბურთი ბალკანეთის კარში გაეტანა. იგი ჯერ შეაკავა რუზველტმა, რომელიც ფეხებში ჩაეჭიდა ჩერჩილს და აიძულა ტემპი შეენელებინა, მაგრამ ამ დავიდარაბაში კინაღამ თვითონ რუზველტი არ შეაბრიეს საჯარიმო მოედანზე. მერე თეირანის კონფერენციაზე სტალინიც შეახტა ზურგზე ფეხმარდ ნახევარმცველს და, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც წამოაჩოქა მეორე ფრონტის თაობაზე კითხვის პირდაპირი დასმით:

— ჰო, თუ არა!..

სტალინისა და რუზველტის ამგვარი „ზურგზე შეხტომის“ მიუხედავად ჩერჩილმა მაინც მოახერხა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადაედგა წინ...

...ეს ნაბიჯებიც „ბალკანეთის კარისაკენ“ იყო გადადგმული და არა ლამანშისაკენ. საბჭოთა არმია კი სინამდვილეში ისევ მარტო ებრძოდა ჰიტლერელთა ურდოებს.

მართალია, მოკავშირეთა ავიაციამ მოწინააღმდეგის სტრატეგიული ობიექტების, განსაკუთრებით, პლოეშტის ნავთის ქარხნების დასაბომბავად ე. წ. „მაქვისებური“ ოპერაციები განახორციელა, მაგრამ ეს არც ისე დიდ ეფექტს იძლეოდა, როგორსაც მოელოდნენ. ჩერჩილს უფრო ის აწუხებდა, ჩვენი არმიები რომ უკვე საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა იბრძოდნენ, ანუ, მისივე ენით თუ ვიტყვით, „წითელი ნიაღვარი“ დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე მიგორავდა, მათ შორის, „ჩერჩილის ბალკანეთისკენაც“. ამის შემდეგ, როგორც თვითონ წერს, ინგლისის პრემიერსაც „დაეკარგა ძილი“ და „წითელი აჩრდილი“ მოსვენებას არ აძლევდა. უკვე აღარც ოკეანეს გაღმა ეძინათ მშვიდად. დაიწყო დიპლომატიური ცეკვა-ცხელება. ამოქმედდნენ დაზვერვის ორგანოები. ალან დალესი შვეიცარიაში ჩასახლდა. „ინტელიჯენს სიორვისი“ ბალკანეთის ქვეყნებში ბლანდავდა დიპლომატიურ ქსელს. მზვერავებმა კავშირი დაამყარეს რუმინეთის, ბულგარეთისა და

უნგრეთის მთავრობებთან. შეშინებული მარშალი იონ ანტონესკუ, მეფე ბორისი და ადმირალი ხორტი სამ ცეცხლს შუა მოექცნენ. აღარ იცოდნენ საით გაეშვირათ ხელი: „წითელი ნიაღვარი“ მათკენ მიგორავდა, გერმანელი მოკავშირეები სულ უკან-უკან იხევდნენ, ხოლო ინგლისელები და ამერიკელები „ვეფხვის ნახტომს“ ამზადებდნენ. ერთისა ეშინოდათ, მეორისა ერიდებოდათ, მესამეს კი მიკიბულ-მოკიბულად უთვლიდნენ, „თქვენთან გასაყოფი არაფერი გვაქვსო“. ლაპარაკის ტონიც შეცვალეს და თავიანთი ქვეყნები „ევროპული ცივილიზაციის ფირპოსტებად“ გამოაცხადეს. უნგრეთი და რუმინეთი ახალი „ანტიბოლშევიკური ბლოკის“ შექმნასაც კი ცდილობდნენ. მათ უნდოდათ იტალიაც მიემხროთ. ამიტომ უწოდეს ამ ბლოკს „ხმელთაშუა ზღვის ანტანტა“, რომელშიც უნდა შესულიყვნენ: იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, უნგრეთი, პოლონეთი, თურქეთი, რუმინეთი და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოც.

„ახალი ანტანტის“ ძირითადი მიზანი იყო საბჭოთა არმიის წინსვლისათვის „გარდუვალი ზღუდეების“ შექმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთში, რითაც თითქოს გამოიხყიდდნენ ჰიტლერულ გერმანიასთან ადრინდელი კავშირის დანაშაულს და დაიცავდნენ ევროპის კონტინენტს „წითელი ნიაღვრისაგან“.

ინგლის-ამერიკელებიც აჰყვნენ ამ დემაგოგიას და ე. წ. „სანიტარულ კორდონზე“ დაიწყეს ლაპარაკი. უნდოდათ ამ ქვეყნების სახით „ანტისაბჭოთა საგუშაგოები“ შეექმნათ ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე. ისედაც ჩანდა, რომ ჩვენი დასავლეთელი მოკავშირეები ჰიტლერული რეჟიმის დამხობაზე მეტად ამ „წითელი ნიაღვრის“ შეჩერებაზე ზრუნავდნენ. რუმინული, ბულგარული და უნგრული პრესა აივსო ცნობებით მათი ქვეყნების „ისტორიული როლის“ შესახებ „ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“. იონ ანტონესკუ მკერდში მჯიღს იცემდა და გაიძახოდა, ჩვენ მთელი დასავლეთის სამყაროს სასარგებლოდ ვეწევით ამ ომსო. იგი დარწმუნებული იყო, რომ ინგლისი და ამერიკა ევროპაში საბჭოთა ჯარების შეჭრის თავიდან აცილებით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი, ვიდრე ჰიტლერული რეჟიმის ლიკვიდაციით. უნგრეთის პრე-

ნიერმა კალაიმაც განაცხადა, ჩვენი მონაწილეობა ამ ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრება, ღერძის სახელმწიფოებისა და ინგლის-ამერიკის კონფლიქტი კი სულაც არ გვეხებაო. საქმე დოკუმენტების ფალსიფიკაციამდეც მივიდა: უნგრეთის რეგენტის, ადმირალ მიკლოშ ხორტის ჰიტლერთან შეხვედრის გამო მიღებული ოფიციალური კომუნიკეს ორი სხვადასხვანაირი ტექსტი გამოქვეყნდა ბერლინსა და ბუდაპეშტში. ბერლინურ რედაქციაში ეწერა: „ფიურერმა და რეგენტმა გამოთქვეს თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება საბოლოო გამარჯვებამდე განაგრძონ ომი ბოლშევიზმთან და მის ბრიტანელ-ამერიკელ მოკავშირეებთანო“. ბუდაპეშტში გამოქვეყნებულ ტექსტში კი ბრიტანეთისა და ამერიკის ხსენებაც არ იყო. სამაგიეროდ პრესა „დაბეჯითებით“ არწმუნებოდა, ინგლის-ამერიკის ერთობა საბჭოთა კავშირთან დიდხანს არ გაგრძელდებაო. მათი აზრით, ბოლშევიზმთან ბრძოლა „კანონიერი“ იყო, ხოლო ინგლისელებსა და ამერიკელებთან — „დროებითი გაუგებრობის შედეგი“.

ასეთ პროპაგანდას ხელს უწყობდნენ ინგლისისა და ამერიკის რეაქციული წრეები. არც მათ მთავრობებს ჰქონდათ სინდისი სუფთა. ჩერჩილი ისევ „ბალკანეთის ვარიანტზე“ ოცნებობდა. ინგერსოლის თქმით, „ბალკანეთი ისეთი მაგნიტი იყო, რომ ინგლისელების სტრატეგიული კომპასის ისარი რაც არ უნდა გენჯღრიათ, მაინც იქითკენ იყო მიმართული“. ჩერჩილი არც შავ ზღვას ანებებდა თავს. იგი ოფიციალური ვიზიტითაც ჩავიდა თურქეთში, სადაც სეპარატულ მოლაპარაკებას აწარმოებდა ამ საკითხზე. როგორც ჩანს, აქ ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია. ნიურნბერგში ამის თაობაზე საუბარი გვქონდა გერმანიის ყოფილ ელჩთან ანკარაში, ბრალდებულ ფრანც ფონ პაპენთან, რომელიც თავის მხრივ ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ თურქეთი როგორმე ჩაება „ანტიბოლშევიკურ ბლოკში“. საბჭოთა კავშირის ხარჯზე იგი „მდიდარ საჩუქრებსაც“ ჰპირდებოდა თურქეთის მილიტარისტულ წრეებს, „საკენკად“ კი წინასწარ ბათუმსაც უგდებდა, თუმცა კარგად იცოდა, ჰიტლერს გამოხრული ძვლების გადაყრაც რომ არ უნდოდა სხვებისათვის და ბათუმიც თავისი „ათასწლოვანი იმპერიის“ ფარგლებში [illegible] შეტანილი ასეთი

ადმინისტრაციული ერთეულის სახით: „თბილისის გენერალური კომისარიატის ბათუმის ფილიალი“. ამიტომ იყო, რომ ფონ პაპენი გააცოფა „თბილისის მომავალი გაულაიტერის“ გამოჩენამ ანკარაში. ეშინოდა, ვაითუ ამ „ტახტის მაძიებელ უსაქმურს“, რომელიც თავისი „თანამშრომლებიანად“ ანკარის ფეშენებელურ რესტორნებში ათენ-აღამებდა, ნაადრევად არ გაემხილა „ბათუმის საიდუმლოება“. პაპენმა სპეციალური წერილითაც მიმართა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა „თბილისის გაულაიტერის“ უკან გაწვევა. ის გაულაიტერი კი გაიწვიეს, მაგრამ პაპენის მისია მაინც ჩაიშალა. თურქების „წითელქუდა დიპლომატიამ“ გაუძლო გერმანელების აგრესიულ მოძალებას და თავი აარიდა საბჭოთა კავშირთან ომში უშუალო ჩაბმას. მერე არც მოკავშირეების დასახმარებლად გამოუდვია თავი.

ჩერჩილის დაჟინებული ცდების მიუხედავად თურქეთი არც გერმანიის წინააღმდეგ ჩაბმულა ომში. იყო „ორ სკამს შორის“ გაჩერებული და ვერც ერთზე ვერ ბედავდა დაჯდომას. ჰიტლერმა თქვა ამაზე:

— ჩვენ თუ გავძელით, თურქები თითსაც არ გაანძრევენ; ბევრს ახლა სკამებს შორის იატაკზე ურჩევნია ჯდომა...

...მიუხედავად ამისა ჩერჩილმა ისევ შავ ზღვაზე გაშალა ბადე, მაგრამ „ორაგულის“ ნაცვლად „იატაკზე მჯდომი“ თურქეთის მთავრობის ორიოდე მჭლე მემორანდუმის მეტი ვერაფერი დაიჭირა. ანკარაში მისი ვიზიტის შემდეგ თურქეთის ბუდაპეშტელმა დესპანმა ოფიციალური წინადადებით მიმართა უნგრეთის პრემიერ კალაის — შეექმნა „ერთიანი თავდაცვითი ბლოკი“, რომლის მიზანი იქნებოდა საბჭოთა არმიების წინსვლის შეჩერება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. რუმინეთი თავის მხრივ იტალიას „ურჩევდა“ შეთანხმებოდნენ ინგლისელებსა და ამერიკელებს, რათა გაერთიანებული ძალებით „დაეცვათ ევროპის ცივილიზაცია ბოლშევიკური საფრთხისაგან“. რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მიხაი ანტონესკუ ამ მიზნით ჯერ იტალიელ ელჩს შეხვდა, ხოლო შემდეგ — თურქეთის წარმომადგენელს. ლაპარაკი იყო სეპარატული ზავის აუცილებლობაზე. მაგრამ თურქეთის მთავრობამ

არ ისურვა უკვე ბედგანწირული ანტონესკუსათვის მხარი აება. პირიქით, 1944 წლის აგვისტოში იმის შიშით, აქ რამე ხიფათს არ გადავეყაროთო, თურქეთმა დიპლომატიური კავშირიც კი გაწყვიტა რუმინეთთან.

სხვისი თოკი...

სამი დღის შემდეგ იონ და მიხაი ანტონესკუები გენერალური შტაბის უფროს შტეფლეს თანხლებით უკანასკნელად ესტუმრნენ ჰიტლერს „მგლის ბუნაგში". გერმანიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ რუმინეთში განლაგებულ ჰიტლერულ არმიათა ჯგუფ „სამხრეთ უკრაინის" ახალი სარდალი გენერალი ფრისნერი და გენშტაბის უფროსი გუდერიანი, რომელიც დროდადრო მთარგმნელის როლსაც ასრულებდა, რადგან მარშალი ანტონესკუ მეტწილად ფრანგულად ლაპარაკობდა.

მათი საუბარი ხუთ საათს გაგრძელდა. ჰიტლერმა ჯერ თავისი სამსაათიანი მონოლოგით გამოასავათა სტუმრები: აუხსნა მათ, თუ რა მდგომარეობა იყო ფრონტებზე; დიდხანს ილაპარაკა ახალ „სასწაულმოქმედ იარაღზე", რომლის გამოყენებას ერთბაშად უნდა შეეცვალა მდგომარეობა გერმანიის სასარგებლოდ; მერე რაღაც დახმარებებსაც შეჰპირდა და, ბოლოს, პირდაპირ დაუსვა კითხვა: რუმინეთსა და პირადად ანტონესკუს თუ გაქვთ გადაწყვეტილი, ბოლომდე იბრძოლოთ ჩვენთან ერთადო!

ანტონესკუს ამ დროს იასთან უკვე დანა ჰქონდა ყელზე მიბჯენილი. საბჭოთა არმიის ნაწილები რუმინეთის ტერიტორიაზე იდგნენ. მზადდებოდა ახალი დიდი შეტევა. რუმინელი ხალხიც აღშფოთებული იყო ანტონესკუს დიქტატორული რეჟიმით. ჰიტლერის დაპირებები კი ჰაერში გაფრენილ წეროებს ჰგავდა და ანტონესკუმაც ეშმაკობა იხმარა:

— მოგახსენებთ, თუ წინასწარ პასუხს გასცემთ ჩემს კითხვებს, — უთხრა მან ჰიტლერს.

ძველი დრო რომ ყოფილიყო, ჰიტლერი ცხრაპირ ტყავს გააძრობდა ანტონესკუს ამგვარი კადნიერებისათვის. მაშინ

ვერც კონდუკატორე გაუბედავდა „თავის ფიურერს“ ამას, პირიქით, სულ ფიანდაზად გაეგებოდა ფეხქვეშ. მაგრამ ახლა სხვა სიტუაცია იყო, „ჭირი ჭირს ართობსო“, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი. ორივე გახურებულ თონეში იდგა და ჰიტლერს უკვე აღარ შეეძლო საკუთარ ნება-სურვილზე ეტრიალებინა თავისი სატელიტები. აღარც ანტონესკუს უნდოდა უყოყმანოდ მიეცა ზურგი ჰიტლერისათვის. ამიტომაც დაუსვა ასეთი კითხვები:

1. რა მიზნებს ისახავთ სამხრეთში ომის გაგრძელებით? თუ „სამხრეთმა უკრაინამ“ ფრონტის ხაზი ვერ შეინარჩუნა, მაშინ რა უნდა ქნას რუმინეთმა?

2. შეუძლია თუ არა გერმანიის ავიაციას დაიცვას რუმინეთის ნავთობის რაიონები?

3. რა ნაბიჯს გადადგამს გერმანია იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი დასავლეთის მოკავშირეებს სრუტეებს გაუხსნის შავ ზღვაზე?

ანტონესკუმ აუხსნა ჰიტლერს, რომ ასეთ შემთხვევაში რუსები დესანტებს გადმოსხამენ რუმინეთის სანაპიროებზე, ხოლო მათი თვითმფრინავები დაბომბავენ რუმინეთს თურქეთის აეროდრომებიდანო.

ჰიტლერს, როგორც ადრეც მოგახსენეთ, არ შეეძლო ყურადღებით მოესმინა სხვისი ლაპარაკი, ახლაც ასე მოხდა. იმის ნაცვლად, რომ პირდაპირი პასუხი გაეცა ანტონესკუს მიერ დასმული კითხვებისათვის, ჩალადაც არ ჩააგდო ისინი, საუბარი სულ სხვა თემაზე გადაიტანა და ისევ თავისებურად ბიუშვა ენას აღვირი. რა არ ილაპარაკა, რას არ მიედ-მოედო, საქმეზე კი არაფერი უთქვამს. საერთოდაც ამბობდა, პოლიტიკურმა მოღვაწემ ბევრი უნდა ილაპარაკოს, მაგრამ არაფერი თქვასო. ამიტომ ანტონესკუმაც პირზე ხავსი მოიკიდა და თვითონაც აარიდა თავი ჰიტლერის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას.

მცირე შესვენების დროს გენერალმა ფრისნერმა მოახერხა ეთხოვა ჰიტლერისათვის: საბჭოთა კავშირი დიდ შეტევას აპირებს ქ. იასთან და ნება მრგვეცით ჩვენი ჯარები მდ. პრუტის აქეთა მხარეს გადმოვიყვანოთო. ამაზე ჰიტლერმა კატეგორიული უარი განუცხადა, რაც შემდეგ ძვირად დაუჯდათ

გერმანია-რუმინეთის არმიებს, რომელთაც იქ „მეორე სტალინგრადი“ მოუწყვეს...

...პარალელურად გამართულ სამხედრო თათბირზე რუმინული ჯარების სარდალი დუმიტრესკუ ბობოქრობდა: თუ საბჭოთა არმიასთან ბრძოლაში კიდევ დავკარგეთ რუმინეთის მიწის თუნდაც ერთი მტკაველი, ჩვენი ქვეყანა გამოვა ომიდანო. იგი ასე ხმამაღლა იმიტომ ლაპარაკობდა, რომ გერმანიას რუმინეთის ფრონტზე 20 დივიზია ჰყავდა, თავად რუმინეთს კი — 27 დივიზია. ხმები ომიდან რუმინეთის გამოსვლის შესახებ ისედაც ვრცელდებოდა. მართალია, გერმანიის სამხედრო წარმომადგენელმა ბუქარესტში გენერალმა ჰანზენმა და ელჩმა კილინგერმა დაარწმუნეს ჰიტლერი, რუმინეთი ბოლომდე იბრძოლებსო, მაგრამ 10 აგვისტოს რუმინეთში მცხოვრებ გერმანელთა მეთაური ანდრეას შმიდტი სპეციალურად ჩავიდა ბერლინში, რათა გაეფრთხილებინა ჰიტლერი რუმინეთი ომიდან გამოსვლას აპირებსო. ფიურერმა არ მიიღო იგი და შმიდტი იძულებული გახდა რიბენტროპთან საუბრით დაკმაყოფილებულიყო. რიბენტროპმა ამ საუბრის შემდეგ დეპეშა აფრინა ბუქარესტში კილინგერთან, რომელმაც ხელაღებით უარყო შმიდტის ნათქვამი. ეს ყურმოკრული ჭორია და სხვა არაფერიაო. მერე კაიტელსაც ეჭვი შეეპარა „რუმინელთა ერთგულებაში“. ფრისნერი კილინგერსაც ესაუბრა, ჰიტლერსაც მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა, მაგრამ მდგომარეობა უცვლელი დარჩა. ვერავინ დაიჯერა, მათი ნაქები ანტონესკუ რომ ასე ადვილად გაუტყდებოდა ჭირს. თუმცა კიდევაც რომ დაეჯერებინათ, რა უნდა ექნათ, როცა ანტონესკუ კი არა, თვითონაც ვულკანზე ისხდნენ...

...რუმინეთის მთავრობა კი ნამდვილად დარწმუნდა, გერმანიასთან კავშირი რომ უკვე კარგს არაფერს უქადდა. ნათქვამია, ორმოში სხვის თოკს ნუ ჩაჰყვებიო. უკვე არც ანტონესკუს უნდოდა, რომ იმ „ორმოში“ ჰიტლერის თანამგზავრი ყოფილიყო, და აშკარად იბრუნა პირი ინგლის-ამერიკისაკენ. ანტონესკუ ახლა მთელი ძალებით იმასღა ესწრაფოდა ეკალბარდებიდან როგორმე გაუკაწრავი გამოსულიყო და თავი და-

ეღწია მძიმე მდგომარეობისათვის. იგი მოითხოვდა გერმანიასა და იტალიას შეეწყვიტათ ომი დასავლეთის სახელმწიფოებთან და გაერთიანებული ძალებით ებრძოლათ საბჭოთა არმიის წინააღმდეგ. ამ მიზნით ჯერ რუმინეთის ლისაბონელი ელჩი დაუკავშირდა სალაზარს და მისი მეშვეობით ინგლისის ელჩს პორტუგალიაში. მერე ასეთივე კავშირი იქნა დამყარებული მადრიდთან, სტოკჰოლმთან, ბერნთან და თვით ვატიკანთანაც კი. ანტონესკუ „საკუთარი ინიციატივით“ შეხვდა რომში მუსოლინის, რომელიც „პრინციპულად“ დაეთანხმა კიდეც რუმინეთის წარმომადგენელს, მაგრამ განაცხადა, უფრო ხელსაყრელი მომენტიაო საამისოდ საჭირო... ეშინოდა, ვაითუ ჯერ კიდევ ძლიერმა ჰიტლერმა დაგვარბიოსო. რუმინელებმა შემდეგ უშუალოდაც მიმართეს ინგლისელებს, თუ დესანტს გადმოსხამთ ჩვენს ტერიტორიაზე, თქვენთან ვითანამშრომლებთო. ამის შესახებ ინგლისელებმა საბჭოთა მთავრობას აცნობეს. ცხადია, ეს ხელს არ აძლევდა რუმინეთის რეაქციულ მმართველებს. მათ ინგლისელებსა და ამერიკელებთან უნდოდათ თანამშრომლობა და არა საბჭოთა კავშირთან. ამიტომ ანტონესკუმ ამერიკელებს მიმართა და უსიტყვო კაპიტულაციაზეც დათანხმდა, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე არ შეიძლებოდა...

... საბჭოთა კავშირის „მონაწილეობა“ კი უფრო პრაქტიკული იყო, ვიდრე დიპლომატიური: როგორც მოგახსენეთ, ჩვენ უკვე რუმინეთის ტერიტორიაზე ვიდექით და საერთო შეტევისათვის ვემზადებოდით. ასეთი შეტევა მეორე ფრონტის გახსნასთან ერთად უნდა დაწყებულიყო და, რადგან 1944 წლის გაზაფხულიც ისე გავიდა, რომ მოკავშირეებმა არ იქნა და ვერ დაიწყეს დიდი მასშტაბის სადესანტო ოპერაციები, ჩვენი აღმოსავლეთის ფრონტის საერთო შეტევის ვადამაც თურმე ამიტომ გადაიწია.

გადიოდა დრო. შეშფოთებული ჯარისკაცები გვეკითხებოდნენ, რატომ შეტევაზე არ გადავდივართო. ამაზე ჩვენ მხრებს ვიჩეჩდით, ან კიდევ ფრონტზე მიღებულ „ნეიტრალურ გამოთქმას“ მოვიშველიებდით:

— უფროსებმა უკეთ იციან!..

სამუშაოები კი მაინც გამოულეველი გვქონდა. ჩვენს საქმეებს რომ მოვრჩით, ადგილობრივ ხელისუფლებას ვეხმარებოდით ნორმალური ცხოვრების აღდგენასა და წესრიგის დამყარებაში, რაც ერთგვარ ფსიქოლოგიურ პარადოქსს წარმოადგენდა: ამდენი საშინელების შემდეგ მოწინააღმდეგის კეთილდღეობაზე ზრუნვა! ეს ზოგიერთი ჩვენგანისათვის ერთიხანს გაუგებარიც იყო, განსაკუთრებით მარკოვისათვის. იგი სულ „მორჩა და გათავდას“ გაიძახოდა. ასე ეგონა, რაც ჯავრი ჰქონდა დაგუბებული, აქ დაანთხევდა, მტრის ტერიტორიაზე, მაგრამ ვერ ეღირსა ამას, პირიქით, სრულიად საწინააღმდეგო დავალებებს აძლევდნენ. მარკოვსაც რა უნდა ექნა, გულმოსული გარბოდა და აკეთებდა იმას, რასაც მისგან მოითხოვდნენ.

— ასეთი ხაზია, ძმაო, მოცემული და რას იზამ, თორემ, მე რომ წკითხონ, ამ ფრიცებსა და პოპესკუებს ყველას კედელთან მივაყენებდი და დავხვრეტდი, — ამბობდა იგი.

არც ტრანსილვანიელ ბეგის მოსწონდა, „ამდენს რომ ელოლიავებოდნენ“ რუმინელ ტყვეებს და, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, კიდეც ამჟღავნებდა თავის „მადიარულ გულისწყრომას“. მართალია, ბეგი „სკრუპულოზურად“ ასრულებდა უფროსების დავალებას, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ იგი ზოგჯერ მოქმედებდა „თავისი ჭკუითაც“, რომელიც აუცილებლად რამე უკუღმართს მოიფიქრებდა. მას შემდეგ, რაც „პროპაგანდის მინისტრობიდან“ მოიხსნა და „ფრიცების უნივერსიტეტის პროფესორის“ თანამდებობიდანაც გადააყენეს, რუმინელ ტყვეებთან მუშაობა დაევალა, ასობით და ათასობით რომ გროვდებოდნენ ჩვენი ფრონტის ტერიტორიაზე. სარდლობის ბრძანებით მათი გაცხრილვა ხდებოდა: ვინც უკვე გათავისუფლებული რაიონებიდან იყო, შინ უშვებდნენ. ბეგის ამაზე გული მოსდიოდა, ვერა და ვერ ურიგდებოდა ასეთ ლმობიერებას.

რაღაც ეშმაკად იმ დღეებში დაინტერესდა და გაიგო, რას ნიშნავს „ფრანგული“ სიტყვა „იდეოლოგია“. ჯერ პაოლომ განუმარტა — „მსოფლმხედველობასო“, მაგრამ ბეგიმ მაშინვე დაუსვა კითხვა, კი მაგრამ „მსოფლმხედველობა“ რაღას

ნიშნავსო. ამაზე პაოლომ უთხრა, ბევრიც რომ გეჩიჩინო, სულ ერთია, ვერ გაიგებო. ბეგიმ ეს შეურაცხყოფად მიიღო, როგორ თუ ვერ გავიგებო, და ახლა ტრაინინს შეუჩნდა. იმან კი ეს სულ უბრალოდ აუხსნა:

— ქვეყანაზე ორი იდეოლოგიაა: ფაშისტებისა და ჩვენი. ფაშისტებისა არ ვარგა, ჩვენი კარგია.

ბეგი ამ „განმარტებით“ კმაყოფილი დარჩა და, პაოლოსათვის რომ დაემტკიცებინა გავიგეო, წარამარა ხმარობდა ამ სიტყვას. როცა აუხსნეს, ტყვეების დაკითხვისა და გადარჩევისას მათი მსოფლმხედველობა უნდა გაიგო და, თუ ფაშისტები არიან, არ გაათავისუფლოო, ბეგიმ ეს მაშინვე თავის „ფრანგულზე“ თარგმნა და ჩვეული მონდომებით შეუდგა დავალების შესრულებას. ჯერ სოლიდური „კაბინეტი“ მოიწყო ტყვეთა ბანაკში და კარებთან სწორედ ის აყლაყუდა რუმინელი ლეიტენანტი შირჩო დაიყენა, რომელსაც მთელი თავისი ასეული გადმოაყვანინა ჩვენს მხარეს. ბეგი თითო-თითოდ იძახებდა ტყვეებს, დასვამდა მაგიდასთან და აწერინებდა საიდან იყო. მერე დაჰკითხავდა და, თუ გათავისუფლება უნდოდა, იქვე აძლევდა რაღაც ცნობას, საკუთარ ბეჭედსაც ურტყამდა და უშვებდა. საკუთარსო-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ „საქმის სოლიდურობისათვის“ ბეგის კარტოფილისაგან ოსტატურად გამოეჭრა ორი ბეჭედი. ერთზე ეწერა „a casa“ — შინისაკენო, ხოლო მეორეზე — „უარი ეთქვას“ და გერბის ნაცვლად სამი ოთის კომბინაცია ქონდა გამოსახული. ვინც შინ გასაშვები იყო, განცხადებაზე პირველ ბეჭედს დაუსვამდა, ვინც არა — მეორეს. ჩვენ ეს არ ვიცოდით. მისთვის მიცემული დავალება იმდენად ადვილი იყო, რომ გვეგონა ამას მაინც შეასრულებდა „სკრუპულოზურად“, თუმცა რამე „სუპრიზს“ ყოველთვის მოველოდით ბეგისაგან...

... ერთხელ ბანაკის კომენდანტმა შემომჩივლა, ბეგი გათავისუფლებულ რუმინელ ტყვეებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებსო. რაკი ასეთი რამ სასტიკად იყო აკრძალული, მაშინვე დავუძახე ჩვენთან მომუშავე მოლდაველ სტუდენტს ვერონიკას, რომელმაც რუმინული კარგად იცოდა, და დავავალე: ბეგი რომ ტყვეებს დაჰკითხავს, შენც დაესწარი-მეთქი. ვერო-

ნიკამ მაშინვე შეადგინა „სტრატეგიული გეგმა“ და შორიდან მიუდგა საქმეს. ჯერ თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ძალიან აინტერესებდა ეს, და სთხოვა, ტყვეებს რომ დაკითხავ, მეც დამასწარიო. ბეგი ისედაც ცუდად ხდებოდა, როცა ლამაზი „დელფინა“ შეეხვეწებოდა რამეს, ეს „ალისფერი ვერონიკა“ კი, მისი აზრით, სულ ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი იყო. ბეგისათვის რომ გეკითხათ, ფერიც ვარსკვლავისა ჰქონდა, იმდენად ალისფერი, რომ ბნელში ცეცხლივით ანათებდა.

ბალზაკისა არ იყოს, ვერონიკა მართლაც ცეცხლის ალით დახატულ ქაჯსა ჰგავდა: საოცრად წითური იყო, ლოყებღაჟღაჟა, სახეზე ნაღვერდალივით ჭორფლი ეყარა, თანაც გავარვარებული ლითონის ფერის თმა ჰქონდა, მუდამ უწესრიგოდ აწეწილი და ცეცხლის ალივით ისე აბრიალებული, რომ ბეგი ზოგჯერ პაპიროსს მიუტანდა ახლო, უნდა მოვუკიდოო. ეტყობოდა თვითონაც ცეცხლი მოსდებოდა მისგან, მაგრამ, როგორც ამბობდა, სულ ტყუილად უთრევდა ბაწარს. იმ თხოვნაზე კი უარი მაინც ვერ უთხრა, თუმცა იცოდა რა „ეშმაკის კბილიც“ იყო ის „ჯოჯოხეთის კვალზე შემდგარი“...

...ვერონიკას არტისტული ნიჭიც აღმოაჩნდა. ორი დღის შემდეგ მან ისე „სკრუპულოზურად“ წარმოგვიდგინა სცენა, თუ როგორ დაჰკითხავდა ბეგი ტყვეებს, თითქოს ჩვენ თვითონ ვენახოს ყველაფერი. აი, ბეგი „სოლიდურად“ შედის კაბინეტში, კართან აყუდებულ რუმინელ ლეიტენანტ მირჩოს სამხედრო სალამზე არც კი უპასუხებს, ჯდება მაგიდასთან და იძახის:

— მირჩო!..

ოთახში ის ახმახი ლეიტენანტი შემოდის და კიდევ უფრო იწელება:

— აქ ვარ, ბატონო კაპიტანო!..

— შემოიყვანე ტყვე!..

ლეიტენანტს ვიღაც ჩამოხეულ-ჩამოძენძილი ჯარისკაცი შემოჰყავს, თვითონ კი გადის და ისევ ყარაულში დგება.

— რა გვარი ხარ? — ეკითხება ბეგი ტყვეს.

— ტატარესკუ, — ყვირის შეშინებული ჯარისკაცი.

— დაჯექი და დაწერე, რა გინდა!

ტატარესკუ არ ინძრევა.

— დაჯექი-მეთქი, არ გესმის? — უყვირის ბეგი და სკამზე მიუთითებს.

ჯარისკაცი ცდილობს სახეზე ღიმილი გამოიხატოს და ამბობს:

— მულცუმესკ, დომნულ კაპიტან! (გმადლობთ, ბატონო კაპიტანო!).

შემდეგ ჯდება და წერს. ბეგი ეკითხება:

— სადაური ხარ?

— ტიმიშოარელი, ბატონო კაპიტანო.

— რა იდეოლოგიისა ხარ?

ტყვე ჯარისკაცი თვალებს ჭყეტს.

— არ გესმის, რას გეკითხები? — უყვირის ბეგი.

— მესმის, ბატონო კაპიტანო, წაგრამ ვერ გავიგე.

— რა მსოფლმხედველობისა ხარ-მეთქი, გაიგე?!

— ვერა, ბატონო კაპიტანო!

— ვერა და წახვალ ისევ ბანაკში, — უყვირა ბეგიმ. მერე ტატარესკუს მიერ დაწერილ განცხადებას ბეჭედი „უარი ეთქვას" დაუსვა და მაგიდის უჯრაში შეაგდო.

— მირჩო! — ახლა უფრო „სოლიდურად" დაიძახა მან.

ოთახში ისევ ის აყლაყუდა შემოვარდა.

— დიახ, ბატონო კაპიტანო!

— ეს ფაშისტური იდეოლოგია გააგდე და სხვა შემოიყვანე!

ასეთივე სცენა რამდენჯერმე განმეორდა. მერე ერთი ვირთხასავით პატარა, გაბურძგვნილი და აჩაჩულ-დაჩაჩული ტყვე შემოაგდო „კაბინეტში" იმ აყლაყუდამ.

— ვინ არის ეს ლაწირაკი? — არ მოეწონა ბეგის.

— ტყვეა, ბატონო კაპიტანო, არ უნდოდა შემოსვლა და ძალით შემოვაგდე.

— კარგი, დავკითხავ, — გაუშვა ბეგიმ ლეიტენანტი.

„ის ლაწირაკი" კუთხეში ატუზულიყო და შიშისაგან კანკალებდა.

— სადაური ხარ, შე ვირთხა, შენა? — შეუბღვირა ბეგიმ.

— დოროხოელი, ბატონო ოფიცერო, — ისეთი ბოხი ხმით

თქვა იმ ვირთხამ, რომ ბეგიმ თვალები დააჭყიტა, ამ წიტიანს ამხელა ხმა ვინ მისცაო!

— ხმა სად მოიპარე, შე მათხოვარო? — შეუბღვირა ბეგიმ.

— არ მომიპარავს, ბატონო, ჩემია, დაბადებიდან ასეთი ხმა მაქვს!

— რა იდეოლოგიისა ხარ?

— ქრისტიანი, ბატონო ოფიცერო! — განგებ წაიწრიპინა ტყვემ.

— მაგას კი არ გეკითხები, რა მსოფლმხედველობისა ხარ-მეთქი, შე გამოტვინებულო? — შეუნაცვლა კითხვა ბეგიმ. ის „ლაწირაკი“ უფრო ეშმაკი აღმოჩნდა, ვიდრე სხვები.

— ანტონესკუ მეჯავრება, ბატონო ოფიცერო!..

— ახლა გეჯავრება, როცა ღდინი გაგძვრათ, შე გლახის შვილო? ამდენ ხანს სად იყავი, დროზე ვერ მოხვედი ჭკუაზე?

— სულ ასეთ ჭკუაზე ვიყავი, ბატონო ოფიცერო!

— სადაური ხარ?

— დოროხოელი, ბატონო ოფიცერი, ემინესკუს ქუჩაზე ვცხოვრობ, ხუთ ნომერში.

— აბა, მოდი აქ, მე გასწავლი შენ ჭკუას, — დაუძახა ბეგიმ.

„ლაწირაკი“ მაგიდასთან დადგა. ბეგიმ უბრძანა:

— აბა, დაიკუზე!..

დაბნეული ტყვე ვერ მიხვდა, რას მოითხოვდა მისგან „ბატონი ოფიცერი“, და არ განძრეულა. მაშინ ბეგიმ კისერში ჩაავლო ხელი, ძირს დაღუნა, მერე ისეთი პანღური მისცხო, რომ კედელს შიანარცხა, თან „ბონაპარტ, საკრამენტოო“ მიაძახა. მერე განცხადებაზე ბეჭედი „a casa“ დაურტყა და გადასცა.

ჯარისკაცი სიხარულით აკანკალდა, მოწმობა გამოართვა, რაც შეეძლო გაიჭიმა და ისედაც წაწვრილებული ხმა სულ ნემსის ყუნწში გააძვრინა:

— მუდამ თქვენი მსახური ვიქნები, ბატონო ოფიცერო!

— აბა, ახლა „ა კასა“ (შინისაკენ) და მეორედ აღარ გაბედო ჩემ წინააღმდეგ ბრძოლა!

ტყვეს სიხარულისაგან სახე გაუნათდა, გაიცინა და ისევ ბოხი ხმით თქვა:

— მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენზე ვილოცებ, ბატონო ოფიცერო!

— ჰოდა, წადი, კარგად იყავი! — მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი ბეგიმ და გაუღიმა.

— მირჩო, შემოიყვანე ახალი!..

... იმ საღამოს ბეგის ცუდი დღე დაადგა. სასტიკად გაეფრთხილეთ და ავუკრძალეთ კიდეც ვინმეს დაუსწრებლად ტყვეების დაკითხვა. ყველაზე უფრო ის ეწყინა, მეც რომ გავუჯავრდი და ვუთხარი, დღეიდან ჩემი „ადიუტანტი“ აღარ ხარ-მეთქი.

ბეგი ნაცემი ძაღლივით გავიდა ოთახიდან.

გვიან ღამით დერეფნის ბოლოდან ქალის ყრუ კივილი მოგვესმა. ჩვენი მუშაკები იქითკენ გაეშურნენ, ოთახში შეცვივდნენ და ნახეს, რომ ბეგი ქამრით სცემდა ვერონიკას... ამაზეც მოხვდა ჩვენს ბეგის და მერე მთელი კვირა გაფუყული დადიოდა. ჩემთან ერთხელაც აღარ შემოსულა. სადმე რომ დამინახავდა, გვერდს ამიქცევდა. ყველას შესჩიოდა, იმ უკუდო მგელზე მჯდომმა ვერონიკამ! უფროსს წამაჩხუბაო. ვერონიკამ კი ქამრით ცემა მალე დაივიწყა და ბეგის ეხვეწებოდა შემირიგდიო. ბეგი კბილებს გააკრაჭუნებდა და, ეტყობოდა, გუნებაში ერთს მაგრად შეუკურთხებდა, იმ „ცეცხლმოკიდებულ სატანას“, სხვების გასაგონად კი ამბობდა, მაგის ფერისა ქალი კი არა, ხატიც არ ვარგა ეკლესიაშიო...

მერე ყველამ შევამჩნიეთ, ბეგი და ვერონიკა რომ ისევ დაუტკბნენ ერთმანეთს. გამიკვირდა. არ მოველოდი, რომ ბეგი ასე მალე მოიბრუნებდა მასზე გულს, და ვერონიკას ვკითხე, როგორ შეირიგე-მეთქი.

— ეს ჩემი საიდუმლოა! — მითხრა მან. — ბეგის ისეთ „ფრანგულს“ ვასწავლი, მე კი არა, მალე თქვენც შეგარიგებთ!..

მეტი არაფერი უთქვამს და მეც დამავიწყდა ეს ამბავი... ვიდრე გარემოებამ ისევ არ შემახსენა...

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენს ფრონტზე რუმინელი ტყვეებისაგან შემდგარი დივიზია „ტუდორ ვლადიმერესკუ“ ჩამოიყვანეს. ამ სახელს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. რუმინეთის ეროვნული გმირი ტუდორ ვლადიმერესკუ რუსეთ-თურქეთის ომის დროს მოხალისეთა იმ რაზმის მეთაური იყო, რომელმაც თურქებს იარაღი შეუბრუნა და რუსების მხარეზე იბრძოდა. ახლა მისი სახელობის დივიზიას მოუხდა კვლავ რუსებს მომხრობოდა, ოღონდ ამჯერად გერმანელების წინააღმდეგ. როცა დივიზია რუმინეთში დაბრუნდა, კარგი საბრძოლო განწყობილება ჰქონდა. ადრე ისინი სხვისი ტერიტორიების დასაპყრობად ომობდნენ, ახლა კი ჰიტლერელებისაგან საკუთარი სამშობლოს განთავისუფლებისათვის უნდა ებრძოლათ. მოსახლეობაც ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდა ამ დივიზიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. ასეთი შეხვედრის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ, თუ ვინმეს შვილი ან ქმარი ჰყავდა ფრონტზე დაღუპული ან დაკარგული, ყველა ამ დივიზიაში ეგულებოდათ. ამიტომ, როცა დივიზია ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ, უკან სამოქალაქოების სამი „დივიზია“ მიჰყვებოდა...

...დადგა დრო „ტუდორ ვლადიმერესკუს“ მიღებისა ჩვენი ფრონტის შემადგენლობაში. ცერემონიალზე დასწრება ფრონტის სარდალმა მე დამავალა. ბაშინვე ბეგის გამოვუძახე. ეს პირველი შემთხვევა იყო, იმ „კონფუზის“ შემდეგ რომ ვიბარებდი. გულამოვარდნილი მოვარდა, მაგრამ არც ჩვეულებრივი „პარდონ“ უთქვამს, არც „ადიუტანტ“, ისე შემოიძურწა და მორცხვად დადგა. ალბათ, ასევე იდგა, როცა მისი „მსიე მასწავლებელი“ აყენებდა კუთხეში.

— ბეგი, რაღაც დიდი საქმე რომ დაგავალო, გააკეთებ?— ვკითხე.

— დავგლეჯ! — დაიძახა მან, — დავახრჩობ! რა საქმე უნდა იყოს ისეთი, რომ არ გავაკეთო!..

არც ისე ძნელი საქმე იყო. იმ დაბაში გავგზავნე, სადაც დივიზია „ტუდორ ვლადიმერესკუ“ იდგა, და ცერემონია-

ლის მომზადებაში მონაწილეობის მიღება დავავალე. ორი დღის შემდეგ მეც ჩავედი. იმ საღამოს დივიზიის მეთაურის პოლკოვნიკ კამბრიას სტუმარი ვიყავით. დივიზიის მიღების ცერემონია მეორე დღეს იყო დანიშნული.

დილით პირველი ისევ „მარშალივით“ გამოჯგიმული ბეგი დამადგა თავს. ახლა არც ისე დამორცხვებული ჩანდა, პირიქით, სახეზე რაღაც ეშმაკური ღიმილი უთამაშებდა. მაშინვე ვიფიქრე, აქაც რაღაც „სუპრიზი“ იქნება-მეთქი. მერე დივიზიის მეთაური და შტაბის უფროსიც მოვიდნენ. სახლი, სადაც ღამე გავათიე, მოედნის პირდაპირ იდგა. დილიდანვე ვხედავდი, როგორ ეწყობოდა დივიზია. მერე იქიდან ამ სახლამდე ათ-ათი მეტრის ინტერვალით ჯარისკაცები გაამწკრივეს. სახლიდან რომ გამოვედით, პირველმა ჯარისკაცმა გასძახა მეორეს: „ატენციუნე!“ (ყურადღება!), მეორემ — მესამეს, მესაშემ — მეოთხეს, და ეს „ატენციუნე“ მოედნისაკენ გაფრინდა.

ზუსტად თორმეტი საათი იყო. წავედით აღლუმზე. „ადიუტანტი“ ბეგიც, რა თქმა უნდა, ჩვენთანაა და სახეზე ეშმაკური ღიმილი არ შორდება. ნახევარი გზა რომ გავიარეთ, აღლუმის მეთაურმა ბრძანება გასცა და დივიზია სმენაზე დადგა. იმავე წუთს გაისმა ორკესტრის ხმა. უკრავდნენ შემხვედრ მარშს...

...მივდივარ და ვფიქრობ, რა ნაცნობი მელოდიაა, თითქოს სადღაც გამიგონია. ბეგის გადავხედე: გაგუდულია, თავს ძლივს იკავებს, რომ არ გაეცინოს. მოედანს რომ მივუახლოვდით, ორკესტრის ხმა გაძლიერდა, ახლა უფრო გარკვევით მესმის ნაცნობი მელოდია, მაწუხებს... ვფიქრობ... ვიგონებ... და... გადასარევი ამბავი!

„სულიკო“! ჩვენი ქართული „სულიკო“! წარმოგიდგენიათ? სამხედრო სასულე ორკესტრი, მარში და სულიკო! ისიც რუმინეთში!..

უნდა გენახათ, ბეგის რა სახე ჰქონდა! ვეკითხები:

— ეს როგორ?! საიდან?!

— „სუპრიზ“, ამხანაგო უფროსო! გაიგეს, ქართველი რომ ხართ, მთხოვეს და ორ დღეში ვასწავლე.

მერე მომაგონდა, ვერონიკამ რომ უთხრა ბეგის, შემირიგ-

დი და ისეთ „ფრანგულს“ გასწავლი, უფროსის გულს მოიგებო.

„სულიკო“ ვერონიკას მე ვასწავლე. მანამდე თვითონაც მოესმინა რადიოში და ძალიან მოსწონებოდა. აბა, წარმოიდგინეთ: ჩემი სმენის პატრონის ნასწავლები, მერე ვერონიკას მიერ ბეგისათვის გადაცემული, ხოლო შემდეგ ჩემზე უარესი ყრუ ბეგის კონსულტაციით სამხედრო ორკესტრის მიერ შესრულებული „სულიკო“!

მიუხედავად ამისა, ნაცნობი მელოდია მაინც გარკვევით ისმოდა. ბეგი ცალი თვალით მე მიყურებდა, მოეწონა თუ არაო. მე თვალს ვარიდებდი, მეშინოდა არ გამეცინოს-მეთქი.

დივიზიასთან რომ მივედით, ორკესტრი გაჩერდა. აღლუმის უფროსმა რაღაც უბრძანა რუმინულად და დივიზიის ყველა მებრძოლმა სამგზის შესძახა:

— ტრეასკა! ტრეასკა! ტრეასკა! (სალამი! სალამი! სალამი!).

ბეთაურმა სიტყვით მიმართა დივიზიას. მეც მივულოცე მათ მოქმედი არმიის რიგებში მიღება. შემდეგ ფიცის ცერემონია შედგა და, ბოლოს, ორკესტრმა ისევ დასცხო „სულიკო“.

დივიზიამ ცერემონიალური ნაბიჯით ჩაიარა ჩვენ წინ...

... საღამოს ეკლესიაში ლოცვა დაენიშნათ ოფიცერთა შემადგენლობისათვის.

— ჩვენ რა ვქნათ? — მეკითხება შეშინებული ბეგი.

— უხერხულია, მივიდეთ.

— მერედა ვილოცოთ?!

— რა ვიცი, რასაც სხვები გააკეთებენ, ჩვენც ის გავაკეთოთ.

ბეგის შეშფოთება უფრო საფუძვლიანი გამოდგა, ვიდრე მეგონა. ლოცვა რომ დაიწყო, ოფიცრებმა დაიჩოქეს. მე როგორღაც სვეტს ავეტუზე, მაგრამ უნდა გენახათ ბეგი, დაჩოქილ ოფიცერთა შორის მარგილივით აშვერილი რომ იდგა შუა ეკლესიაში და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

ღამით კლუბში მიგვიწვიეს. ორკესტრმა სხვა რუმინულ მელოდიებთან ერთად „სულიკოც“ შეასრულა, ოღონდ ახლა უფრო ნელი ტემპით და მიმსგავსებულად...

...რამდენიმე ხნის შემდეგ გერმანელთა წინააღმდეგ 22
რუმინული დივიზია იბრძოდა, მათ შორის „ტუდორ ვლადიმე-
რესკუ“, რომელმაც ნამდვილად ისახელა თავი.

განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები გადაიხადეს რუმინელებ-
მა კლუჟის მიმართულებით. რუმინეთი არასოდეს არ ცნობდა
ვენის არბიტრაჟის გადაწყვეტილებას ტრანსილვანიის შესახებ.
1940 წლის ნოემბერში იონ ანტონესკუ ბერლინში შეხვდა
ჰიტლერს და აღუთქვა, რომ სავსებით დაუჭერდა მხარს მის
აგრესიულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამის
საპასუხოდ ჰიტლერმა მხოლოდ ბუნდოვნად განაცხადა: „ვე-
ნის არბიტრაჟით ჯერ კიდევ არ არის თქმული უკანასკნელი
სიტყვა“.

1941 წლის იანვარში ანტონესკუ ისევ ჩავიდა ბერლინში,
ნაგრამ მაშინ ტრანსილვანიაზე ლაპარაკი არ ყოფილა. ოთხი
თვის შემდეგაც, როცა იგი მესამედ შეხვდა ჰიტლერს მიუნ-
ხენში, ვერ მიიღო ამის თაობაზე რამე გარკვეული დაპირება.
სამაგიეროდ ჰიტლერი ხელგაშლილად სთავაზობდა მას ბესა-
რაბიას, ჩრდილოეთ ბუკოვინასა და საბჭოთა კავშირის სხვა
ტერიტორიებს თვით დნეპრის სანაპირომდეც კი. იყო დრო,
როცა ანტონესკუმ კიდევაც მიაღწია ამას. 1942 წელს რუმი-
ნელებს უკვე დნეპრს აქეთაც ჰყავდათ 200 ათასამდე ჯარის-
კაცი, ნაგრამ ცალი თვალი მაინც ტრანსილვანიისაკენ ეჭირათ
და უნგრეთს ულრენდნენ. ჰიტლერი კი ისევ ბუნდოვანი დაპი-
რებებით კმაყოფილდებოდა, სამაგიეროდ ბუდაპეშტში ჩასუ-
ლი რიბენტროპი და კაიტელი აგრძნობინებდნენ უნგრეთის
მთავრობას: თუ უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებთ
საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში, ტრანსილვანია თქვენ
დაგრჩებათო. მართალია, ეს უარყო ჰიტლერმა ანტონესკუსთან
საუბრის დროს, მაგრამ კონდუკატორე არ ენდო ფიურერის
სიტყვებს. პირიქით, ახლა უფრო კატეგორიულად განუცხადა
მას, რომ „რუსეთთან ომის დამთავრების შემდეგ“ მოუხდე-
ბოდა ტრანსილვანიის საკითხი „იარაღით გადაეწყვიტა“. ამი-
ტომ, თქვა მან, თუ უნგრეთი რუმინეთივით არ მოიქცევა და
ნთელ თავის ძალებს არ ჩააბამს ომში, მაშინ ჩვენ უფრო და-

სუსტებული გამოვალთ ომიდან და გაგვიჭირდება ამ საკითხის გადაწყვეტაო.

— უნგრეთი თუ მთლიანად არ ჩაებმება ომში, ვერც ვერაფერს მიიღებს, — ისევ ორჭოფულად უპასუხა ჰიტლერმა.

ახლა რუმინელი ჯარისკაცები უკვე იღებდნენ მონაწილეობას ტრანსილვანიის საკითხის გადაწყვეტაში, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მათს ენთუზიაზმს გერმანიისა და უნგრეთის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში...

პირველ რიგში აქ ისევ დივიზია „ტუდორ ვლადიმერესკუ“ უნდა აღინიშნოს, რომელიც ჩვენი იქ ყოფნის დროს გულმოდგინედ ემზადებოდა ამ ბრძოლებისათვის...

პრაქსიტელის გამართლება...

მაშინ მთელი ჩვენი ფრონტიც ასეთ მზადებაში იყო, რაც, ცხადია, განყოფილებაშიც იგრძნობოდა. მოახლოებულ „დიდ ამბებთან“ დაკავშირებით ყველანი „საბრძოლო მზადყოფნაში“ ვიყავით. „მფრინავი ფილარმონიაცა“ და „ფრიცების უნივერსიტეტიც“ თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. მართალია, დავალებებს არც ისე ხშირად ვიღებდით, მაგრამ მაინც „ადგილზე ყოფნა“ იყო საჭირო. ეს როგორღაც ხელს არ აძლევდა მფრინავ ანატოლის. როგორც კი დროს იხელთებდა, იგი თავისი „ფილარმონიითურთ“ ქრებოდა სადღაც. შემდეგ მისი „საიდუმლო რეისების“ ამბავიც გამქღავნდა. ანატოლის ქ. დოროხოიში „ხოხობი აუფრენია“ — წარმოუდგენელი სილამაზის ბოშა ქალი, რომლის სახელიც ჩარიტამ მიისაკუთრა. როცა საშხედრო დავალება არ ჰქონდა, ანატოლი თურმე თავის სატრფოსთან მიფრინავდა დოროხოიში. ქალაქს რომ მიუახლოვდებოდა, მიკროფონს ჩართავდა და იმ ბოშა ქალის საყვარელ ფირფიტას დადებდა. ღამით ჩაბნელებული და მიძინებული ქალაქის თავზე გაისმოდა მხიარული მელოდიები. ანატოლის „ხოხობი“ ამით იგებდა, რომ მისი „მიმინო“ მოფრინდა, და გულამოვარდნილი გარბოდა ქალაქგარეთ დათქმული ადგილისაკენ, სადაც ანატოლი თავის „მფრინავ

ფილარმონიას“ დასვამდა და... მერე მათი ნება იყო, „კონ-ცერტის“ როგორ პროგრამას შეადგენდნენ...

... ერთხელ ღამით შტაბიდან დარეკეს და სასწრაფო დავა-ლება მოგვცეს, ანატოლი და მისი „მფრინავი ფილარმონია“ კი ადგილზე არ აღმოჩნდა. ეს „ჩეპე“, ანუ „საგანგებო შემთხ-ვევა“ იყო და ანატოლის მკაცრი სასჯელი მოელოდა. მართა-ლია, შემდეგ ქომაგები გამოუჩნდნენ, მაგრამ ეს რას უშველი-და. ყველაზე უფრო რატომღაც ტრაინინმა გამოიდო თავი. რას არ ეცადა, რა არ მოიგონა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. მერე ჩემთან მოვიდა და თავისი „ვექილური არსენალის“ უკა-ნასკნელი იარაღი იხმარა...

ჩვენში ასეთ იარაღზე უბრალოდ ამბობენ: „თქვა რუქამ არაკი“...

... როცა პრაქსიტელი თავის „ვენერას“ აქანდაკებდა, მენა-ტურად ულამაზესი ბერძენი ქალი ფრინა ჰყავდა. მისმა „მიწი-ერმა სილამაზემ“ თვით ქალღმერთთა მშვენიერება დაჩრდილა, რის გამოც პრაქსიტელს ოლიმპის შეურაცხყოფა დასდეს ბრა-ლად და სამართალში მისცეს. პრაქსიტელს იცავდა გამოჩენი-ლი ორატორი ჰიპერიდი, რომელმაც დარბაზში მშვენიერი ფრინა შემოიყვანა, მოსასხამი მოხადა და დედიშობილა დააყე-ნა მოსამართლეთა წინაშე.

— აჰა, შეხედეთ! — მიმართა ნან მსაჯულთ, მეტი არა უთქვამს რა.

პრაქსიტელი გაამართლეს...

... ეს იგავი ტრაინინს იმისთვის დასჭირდა, რომ დოროხო-ელი „ფრინას“ სილამაზით ანატოლის დანაშაული გაემართ-ლებინა, მაგრამ ამითაც ვერაფერს გახდა. საქმის გამოძიება პაოლოსა და „პატარა“ დრუჟნიკოვს ჰქონდათ მინდობილი, ამათ კი, ჩვეულებისამებრ, ზედმეტი სიბ̆კაცრე გამოიჩინეს. თუმცა ტრაინინმა და ბეგიმ იმდენი ქნეს, რომ ის დოროხოე-ლი „ფრინა“ ბოტოშანში ჩამოიყვანეს და ჰიპერიდივით ცდი-ლობდნენ მსჯავრმდებელთათვის გული აეჩუყებინათ, მაგრამ ანატოლი უფროსი ლეიტენანტობიდან მაინც ლეიტენანტად

იქნა ჩამოქვეითებული „საბრძოლო დავალების ჩაშლისათვის“. ამან ბეგი გააცოფა. ისედაც აღრენილი იყო „იმ ბონაპარტ“ დრუჟნიკოვზე და ახლა სულ გაგიჟდა. მცირეოდენი ნაპერწკალიც საკმარისი იყო, რომ აფეთქებულიყო.

ასეც მოხდა. რაღაც შემთხვევის გამო გამართულ სუფრას გვიანობამდე შევრჩით. ბახუსთან ხანგრძლივმა მუსაიფმა გონება აგვირია. ბეგი ხომ სულ დასაბმელი გახდა. არ იქნა და არ მოეშვა იმ დრუჟნიკოვს, გინდა თუ არა, „ტრანსილვანიურ დუელში“ გამონ ყევიო.

არ ვიცი, ეს „ტრანსილვანიური დუელი“ მან მოიგონა, თუ მართლაც იცოდნენ ძველად უნგრული კავალერიის ოფიცრებმა. თვითონ ბეგიმ კი ასე აგვიხსნა:

— ის, ვინც დუელში იწვევს, ვერტიკალურად მდებარე ოთახში ნებისმიერი კუთხიდან დიაგონალით უნდა წავიდეს მოპირდაპირე კუთხისაკენ. ამასობაში დუელში გამოწვეული სამჯერ ესვრის ქვემოდან. თუ ტყვია ჭერს გაატანს და „მოწინააღმდეგეს“ მოხვდება, „ხომ კარგი“, არადა ადგილებს შეიცვლიან და ახლა დუელში გამომწვევი ესვრის გამოწვეულსო.

ბევრი იძახა ბეგიმ, გამომყევიო, მაგრამ დრუჟნიკოვმა მასხარად აიგდო: შენისთანა ბრიყვს როგორ ვესვრიო. ბეგიმ სიმწრისაგან ცრემლი გადმოყარა. მეც რაღაც ეშმაკი შემიჯდა და დრუჟნიკოვს მივაძახე: მშიშარა ხარ და ამიტომ არ გინდა, თორემ ბეგის ბრიყვობა აქ რა მოსატანია-მეთქი, და თვითონ გამოვიწვიე. შეურაცხყოფილი დრუჟნიკოვი მაშინვე დამთანხმდა. ჩვენც, ვითომ საქმეში ვართ, სეკუნდანტები ავირჩიეთ. მე ზემო სართულში ავედი, ავეჯი მივწი-მოვწიე და მოცემულ სიგნალზე ერთი კუთხიდან მეორისაკენ გავეშურე. მართალია, ფეხი კი მერეოდა, მაგრამ მოპირდაპირე კუთხემდე მაინც ისე მივაღწიე, არავითარი სროლის ხმა არ გამიგონია. რაღაც ღრიანცელი კი მომესმა. სასწრაფოდ ჩამოვეღი ძირს და ყველაფერი ყირამალა დანახვდა. სუფრა აშლილი იყო, მაგიდა — გადაბრუნებული, სკამები — მიყრილ-მოყრილი. ბეგის კუთხეში წაექცია დრუჟნიკოვი და ისე ჩაბღაუჭებოდა, თუმცა ათიოდე კაცი ესეოდა, ხელიდან მაინც ვერ გამოგლიჯეს.

თურმე მიცემულ ნიშანზე დრუჟნიკოვმა რომ რევოლვერი ჭერს დაუმიზნა, მუდამ ჩემმა ერთგულმა ბეგიმ ეს ვერ აიტანა,

ჰკრა მაგიდას ფეხი და ისე ისკუპა დრუჟნიკოვისაკენ, რომ თვალი ვერავინ შეასწრო. დრუჟნიკოვი წაიქცა, ბეგი კი მისდგა და თავისი სამოყიანი მუშტებით იმდენი ურტყა, კინაღამ სული გააცხებინა. ჩვენც გავიქაჩეთ და რის ვაი-ვაგლახით გავაშველეთ მოჩხუბრები...

ასე სამარცხვინოდ დამთავრდა ჩვენი „ტრანსილვანიური დუელი". მერე ყველას სიცილი აგვიტყდა და დრუჟნიკოვიც ადვილად შევირიგეთ.

მეორე დღეს ორივეს დისციპლინარული სასჯელი დაგვადეს „წესრიგის დარღვევისათვის". თუმცა ეს სასჯელი რა იყო იმასთან შედარებით, რაც ჩვენს საცოდავ პაოლოს გადახდა...

ქერობინი და მისი მეშვიდე...

პაოლო ჩვენს წრეში ცნობილი იყო თავისი პურიტანული ყოფაქცევითა და შეხედულებებით. რა მომენტიც არ უნდა ჩავარდნოდა, სულს მაინც არ წაიწყმენდდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა მისი მეუღლე ესთერ სოლომონის ასული, ანუ მოკლედ „სოლომონოვნა", რომელმაც ჩინებულად იცოდა გერმანული ენა და პაოლოსთან ერთად მუშაობდა განყოფილებაში. ჩემი პაოლო ნამდვილი „ხირუვიმოაო", ამაყობდა იგი და გულს გვიწყალებდა ქმრის წესიერების ხოტბით. აბა, თქვენ კი არა გგავთო, იტყოდა და მოჰყვებოდა ხან ერთისა და ხან მეორის „თრევას". ვისაც კბილს დაასობდა, აღარც მოეშვებოდა. „მისი პაოლო" ერთხანს კი იფერებდა „წმინდანის" რეპუტაციას, მაგრამ მერე, „ბებერ ქერობინად" რომ მონათლეს, გული მოიყვანა. ბევრი ეძია კიდეც, თუ ვინ შეარქვა მას პირველად ასეთი „ღვთაებრივი სახელი", რომ „ყური აეწია" მისთვის, მაგრამ ეს სულ ამაო ცდა იყო. როცა ჩვენ ამაზე გვტუქსავდა, სწორედ მაშინ გაისმოდა ხოლმე საოცრად მინაზებული ხმა:

— ხირუვიმო!..

ეს „სოლომონოვმა" უძახდა თავის „უფრთო ანგელოზს". ამ დროს ხომ პაოლო უძლური იყო. იგი ისე ჰყავდა „სოლომონოვნას" ლეჩაქის წვერზე გამობმული, „ხირუვიმოს" ნუ

მეძახიო, ამის თქმასაც ვერ უბედავდა. ისე, ჩუმად კი ჩაილაპარაკებდა, „ო, ეს ენამწარე მეშვიდეო“, და ზოგჯერ „გადაშვიდებასაც“ უსურვებდა თავის „სულზე უტკბესს“, მაგრამ იმის გასაგონად ხმას როგორ გაიღებდა! ლუარსაბი რა არის, თათქარიძე, და ხომ გახსოვთ, ერთხელ იმანაც რომ უთხრა თავის დარეჯანს, თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახიო...

— რატომ, შენი ჭირიმე, რატომ? — გაიკვირვა დარეჯანმა.

— ჩემოდენა კაცს არ უხდება, შენ გეთაყვანე, — მიუგო ლუარსაბმა: — ტურფას პატარა გოშიას ეძახიან, აბა რა კაცის საკადრისია ეს სახელი?

ბარემ არც პაოლოსათვის იყო საკადრისი „ხირუვიმოს“ დაძახება, მაგრამ „სოლომონოვნას“ ამაზე ხმას ვერ შეუბრუნებდა. თუმცა ვინ იცის, იქნებ ერთხელ იმანაც გაუბედა „თავის სათაყვანოს“, „ხირუვიმოს“ ნუ მეძახიო, მაგრამ, რაც ლუარსაბს გამოუვიდა, იმაზე მეტი პაოლოს რა გამოუვიდოდა!.. ქმრის საყვედური რომ გაიგონა, დარეჯანს გული აუჩუყდა და ატირდა:

— მაშ შენ ჩემი გოშია არა ხარ? არა ხარ განა? მე შენგან ეგ პირველად მესმის!..

ლუარსაბს გული ეტკინა, „მისი სულიკო“ რომ ატირა, და მაშინვე უკან დაიხია:

— ჰო, გეთაყვა, ჰო, შენი გოშია ვარ, მაშ არა ვარ!..

ვინ იცის, იქნებ პაოლომაც ასე უთხრა „სოლომონოვნას“:

— ჰო, ძვირფასო, ქერობინი ვარ, მაშ რა ჯანდაბაო...

მე ამაზე ვერაფერს გეტყვით. ის კი ფაქტია, რომ „სოლომონოვნამ“ მთელი განყოფილება გადაიკიდა ზედმეტი თვალთვალითა და ენის მიტან-მოტანით. „წმიდანი პაოლო“ ამის წინააღმდეგ ხმასაც არ იღებდა. განყოფილების „ბიჭებმა“ კი ანატოლის მკაცრად დასჯის ამბავიც გაუხსენეს და მისი „მახეში გაბმა“ გადაწყვიტეს...

... ერთხელ ბეგიმ და მისმა ამფსონებმა „პაოლო-სულიწმიდა“ ბოტოშანიდან დორროხოიში გაიტყუეს, მანქანის გაფუჭება მოიმიზეზეს და, ვითომ სასტუმროაო, ღამე საეჭვო რეპუტაციის „ყვითელფანრიან სახლში“ გაათენებინეს.

რაც იქ ჩვენს საცოდავ „ხირუვიმოს“ გადახდა, ვერც მო-

გიყვებით. თუმცა იმ „ეშმაკის კერძებმა“ ესეც არ აკმარეს და ჯიბიდან დოკუმენტები ამოაცალეს. პაოლომ ეს მხოლოდ ბოტოშანში დაბრუნების შემდეგ გაიგო. მერე კი შემოიკრა თავში ხელი, ჩემთან მოვარდა, მანქანა მთხოვა და მაშინვე იმ „დაწყეველილი ყვითელი სახლისაკენ“ გაქანდა, მაგრამ ამაოდ: დოკუმენტები მაინც ვერ იპოვა.

ომის დროს, მოგეხსენებათ, პირადი დოკუმენტების დაკარგვა დიდი უბედურებაა. პაოლოსათვის კი ეს ორმაგი ტრაგედია იყო, რადგან ეშინოდა „სოლომონოვნას“ არ გაეგო, თუ სად დაემართა ეს ამბავი. ერთხანს წაუყრუა კიდეც, მაგრამ ცეცხლს თივაში რა დამალავდა? მეტადრე, როცა ამდენი კაცი უბერავდა სულს, რომ უფრო გაეღვივებინათ.

ბოლოს, ჭირმა მაინც იჩინა თავი და საერთო კრება დაინიშნა პაოლოს საკითხის გასარჩევად. მისი „მეშვიდე“ დოკუმენტების დაკარგვას წუხდა, თორემ, „ხირუვიმომ“ რომ ღამე „კირკეს გამოქვაბულში“ გაათია, ეს რა იცოდა.

დარბაზში მრავალმა ცნობისმოყვარემ მოიყარა თავი. ყველას აინტერესებდა რა სცენა გათამაშდებოდა ქერობინსა და მის „მეშვიდეს“ შორის. განსაკუთრებულ აქტივობას „შეთქმულები“ იჩენდნენ. როგორც გამოირკვა, იმ „გაუცინარ გენერალსაც“ მოახსენეს ყველაფერი, ისიც, თუ სად დაკარგა პაოლომ დოკუმენტები და...

„სპექტაკლი“ დაიწყო. გენერალმა ჯერ კუშტად მოავლო დარბაზს თვალი და, სოლომონოვნა რომ დაინახა, პირველი სასწაული მოხდა: სახეზე ღიმილმა გადაურბინა. სამაგიეროდ პაოლო უნდა გენახათ რა დღეში იყო: ისე შეშინებული იყურებოდა იმ კუთხისაკენ, სადაც მისი „მეშვიდე“ იჯდა, თითქოს იქ ცოლი კი არა, ასაფეთქებლად ჩართული „ჯოჯოხეთის მანქანა“ ეგულებოდა...

გენერალი პირველივე კითხვით მტკივნეულ ადგილს შეეხო:

— ამხანაგო პაოლო, მოყევით სად დაკარგეთ დოკუმენტები!

— დოროხოიდან რომ დავბრუნდი, შევნიშნე, რომ დაკარგული მქონდა, — მოუარა შორიდან პაოლომ და თვალი ისევ იმ კუთხისაკენ გააპარა. როგორც ჩანდა, გენერალი არ დააკმაყოფილა ამ პასუხმა და პირდაპირ დაუმიზნა:

— როგორ ფიქრობთ, მაინც სად უნდა დაგკარგოდათ?

— იქვე, დოროხოიში, ამხანაგო გენერალო! — ისევ განზე გადგა პაოლო.

— ღამე სად გაათიეთ? — წაუკიდა გენერალმა პატრუქს ცეცხლი და თვითონაც იმ კუთხისაკენ გაიხედა, სადაც ის „ჯოჯოხეთის მანქანა“ იყო.

პაოლო ისე დაიბნა, რომ ძლივს წაილუღლუღა:

— სახლში, სადაც გზააბნეულ სტუმრებს იღებენ ხოლმე!..

დარბაზში სიცილი გაისმა. გენერალმა კი პაოლო უფრო ახლო მიიყვანა საკითხთან:

— ესე იგი?

— ესე იგი სასტუმროში! — მიუგო მაშინვე პაოლომ.

— რომელ სასტუმროში? „ნიცაში“, „ასტორიაში“, თუ „ელდორადოში“?! — ჰკითხა გენერალმა, თითქოს ასეთი სასტუმროები მართლაც ყოფილიყო დოროხოიში.

ახლა კი მიხვდა პაოლო, გენერალმა რომ ყველაფერი იცოდა, და სცადა ერთი ნაბიჯი თვითონაც გადაედგა სიმართლისაკენ.

— დიახ, ყვითელ სასტუმროში!... — თქვა მან და ისევ იმ კუთხისაკენ გაიხედა, იქ კი უკვე იწყებოდა მიწისძვრა: „სოლომონოვნა“ ისეთი თვალებით შესცქეროდა თავის „ხირუვიმოს“, რომ იმ საცოდავმა პაოლომ შუბლიდან ჭირის ოფლი მოიწმინდა.

— ყვითელი სასტუმრო რას ნიშნავს? — ვითომ ვერ გაიგო გენერალმა.

— სამოთხის ჩიტების გალიას, ამხანაგო გენერალო! — დაიძახა დარბაზიდან ბეგიმ.

— თქვენ არ გეკითხებიან, სარდანაპალ! — დატუქსა იგი გენერალმა. მერე ისევ პაოლოს მიუბრუნდა:

— ყვითელი სასტუმრო რაღაა-მეთქი?

დარბაზში სიცილმა იმატა. „სოლომონოვნა“ ფეხზე წამოდგა. ვითარება დაიძაბა. საცოდავი პაოლო კი დუმდა. მე არასოდეს დაბავიწყდება მისი სახე, ასეთ „ტრაგიკულ მომენტშიც“ ყელში რომ სიცილი ებჯინებოდა და თან ჭირის ოფლი გადასდიოდა. იგი ისე უმწეოდ აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს, თითქოს შველას ითხოვსო...

გენერალი კი შეურიგებელი იყო:

— იტყვით თუ არა რას ნიშნავს ეს „ყვითელი სასტუმრო“?..

— იმას, რასაც თქვენ გულისხმობთ, ამხანაგო გენერალო!..

სულ ეს იყო, რისი თქმაც პაოლომ მოახერხა. დარბაზში ჰომერული ხარხარი ატყდა. „სოლომონოვნა“ გარეთ გავარდა. გენერალი ერთხანს დარბაზს აწყნარებდა, მერე კი თვითონ დააზუსტა „ნაგულისხმევი“ და თანაც ისეთი უხეში ფორმით, რომ „დედათა სქესის“ სხვა წარმომადგენლებიც გაიქცნენ...

ჯობს ჩვენც აქ შევწყვიტოთ, თორემ ამის შემდეგ მართლაც ისეთი უხეში ოფიცრული ოხუნჯობანი გაჩაღდა, რომ, ყველაფერს თუ ვიტყვი, პაოლო კი არა, ჩვენც გავწითლდებით...

... სასჯელი არც ისე მკაცრი იყო...

ღამის სიბნელეში ის „ეშმაკის კერძები“ სულ აჩრდილებივით უვლიდნენ გარშემო სახლს, სადაც პაოლო და „მისი მეშვიდე“ ცხოვრობდნენ.

„არაფერი ისე საინტერესო არ არის, როგორც ის, რაც კედლებს იქით ხდებაო“, უთქვამს ზოლას. იმ კედლებს იქით კი ესთერ სოლომონოვნა შუაღამემდე ერთ ამბავში იყო, ვიდრე კარგად არ მოიჯერა გული თავისი გადონჟუანებული ქერობინის გაჯორვით.

დილით კი ნაჩხუბარმა ცოლ-ქმარმა ღია ფანჯრის რაფაზე იპოვა „დაკარგული“ დოკუმენტები და წერილი:

„ჩვენს ძვირფას პაოლოს — დოროხოელი ტურფებისაგან... სალუტ!..“

დ ა ფ ნ ი ს ხ ე...

ეს ამბავი ერთხანს გვეყო თავშესაქცევად. ალბათ, ასე ადვილად ვერც შემდგომ შევეშვებოდით, რომ ახალ და სრულიად სერიოზულ ამბებს არ ჩავეყენებინეთ კალაპოტში. ცნობა მათ შესახებ მოულოდნელად მოვიდა. პირველად

ჩვენმა „ინფორმბიურომ“ მარინაშ გაიგო ყველაფერი. ახალ ამბებს ხომ სულ მისგან ვიგებდით. იგი რადიოინფორმაციის განყოფილებაში მუშაობდა.

მარინა ოცი-ოცდაერთი წლისა თუ იქნებოდა. ინგლისური და ფრანგული ჩინებულად იცოდა. გერმანული ხომ მისი მშობლიური ენა იყო. ჩვენთან საუკეთესო რადიომიმღებები იდგა. მარინა ევროპული ენების მცოდნე სხვა თანამშრომლებთან ერთად ისმენდა და იწერდა უცხოეთის ინფორმაციებს. ამ ცნობებს შემდენ ტრაინინი უკეთებდა რედაქციას და მთავარ რედაქტორს პაოლოს უდგენდა, რომელიც მაო სხვა მასალებთან ერთად (ტყვეების დაკითხვა, მიმოწერისა და დოკუმენტების გარჩევა) სამხედრო საბჭოსათვის გასაგზავნი ოპერატიული საინფორმაციო ბიულეტენის შესადგენად იყენებდა. პირველი წყარო მაინც მარინა იყო. ამიტომაც ეძახდნენ „ინფორმბიუროს“. როგორც კი იგი სასადილოში გამოჩნდებოდა, მაშინვე შემოეხვევოდნენ და ჰკითხავდნენ:

— მარინა, რა არის ახალი?

— მეორე ფრონტი არ იხსნება?

— რას ამბობენ ფრიცები?

მარინა სხვების ცნობისმოყვარეობას კი აკმაყოფილებდა, მაგრამ თვითონ არაფერი აინტერესებდა, საკუთარი თავიც კი. უცნაური ვინმე იყო. სულ დაღვრემილი დადიოდა. არავის მეგობრობდა. კითხვებზე უხალისო პასუხს იძლეოდა. განმარტოებით ყოფნა უყვარდა. იჯდა თავის „რადიოოთახში“ და უსმენდა ან ფიქრობდა. რაზე ფიქრობო, თუ ვკითხავდი, წყენა ობობასავით გადაურბენდა სახეზე, მერე ოდნავ გაიღიმებდა და, „წყლის ზედაპირზე მთვლემარე ვარსკვლავებზეო“, იტყოდა. ან სულ მოიღუშებოდა და ოდნავ გასაგონი ხმით წაიჩურჩულებდა, საკუთარი თავის არარაობაზეო...

უბედური მარინაო, ამბობდნენ თანამშრომლები, მაგრამ რატომ იყო იგი უბედური, არავინ იცოდა. რაღაც გაურკვეველ მწუხარებას მოეცვა მისი არსება. მწუხარება კი, როგორც ჩანს, გადამდებია. მარინასთან ყოფნის დროს ყველას სევდა გვიპყრობდა. მის ოთახში ისე შევდიოდით, როგორც მორწმუნენი ეკლესიაში. ხმამაღლა არავინ არაფერს იტყოდა. ერთ-

ხანს გავჩერდებოდით, რამეს მოვისმენდით და ისევ ფეხაკრეფით გამოვდიოდით იქიდან.

მარინა თვითონაც გრძნობდა თავის უხასიათობას, წუხდა კიდეც ამას და ცდილობდა სახეზე ღიმილი გამოეხატა, მაგრამ ეს ისე ნაძალადევი იყო, რომ უფრო სიბრალულს იწვევდა, ვიდრე თანაგრძნობას. ზოგჯერ რადიოს სახელურს დაატრიალებდა და სევდიან მინაზებულ მელოდიას დაიჭერდა. ოთახშიც მკრთალ სინათლეს დააყენებდა და გაინაბებოდა. ჩვენც ვიჯექით გატრუნულნი და ვუსმენდით. ეს რაღაც ოაზისის მაგვარი იყო უდაბნოში. მძიმე ბრძოლებით, მღელვარე თავგადასავლებითა და განუწყვეტელი საფრთხით მოღლილი სული აქ ეძლეოდა ნეტარებას. ყველას რაღაც სევდიანი ფიქრი წაიღებდა, გარშემო ყველაფერი ავიწყდებოდა და ნებამოთენთილი მიჰყვებოდა მუსიკის ჯადოსნურ დინებას.

ასეთ დროს ვინც მარინას გამოხედვას დაიჭერდა, გული უფრო შეეკუმშებოდა. გაფითრებული იჯდა, თვალებმინაბული, ღაწვებზე კი ცრემლი, ანუ, როგორც ტრაინინი ამბობდა, „მწუხარების მარგალიტები“ ჩამოსდიოდა. მერე, მუსიკა რომ შეწყდებოდა, ჩუმად წამოვდგებოდით და ფეხაკრეფით ვტოვებდით მის „ოაზისს“. მივდიოდი და თან იმას ვფიქრობდი, თუ შეიძლება სადმე ამაზე უფრო ჟრუანტელის მომგვრელად იგრძნოს ადამიანმა მუსიკის ძალა ან სხვაგვარად სულს თუ შეუძლია სულთან საუბარი-მეთქი...

... სხვა მხრივ მარინა სულ საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ახდენდა. ასეთი გარეგნობის ქალებს ახლა „სექს-ბომბებს“ ეძახიან. ვინც ქუჩაში მიმავალს შეხედავდა, ქალი იქნებოდა თუ კაცი, ნაბიჯს შეანელებდა და, როცა იგი ჩაივლიდა, პირუკუც მოხედავდა. ბევრი შურითაც ივსებოდა. ქალები ფიქრობდნენ: „ასეთი რომ ვიყო“... კაცები ზოგჯერ უხეშ ხუმრობას ესროდნენ, მაგრამ, მის მოთენთილ თვალებს რომ შეხედავდნენ, სიცილი სახეზე შეაცივდებოდათ. მარინას კი თვითონვე რცხვენოდა თავისი სილამაზისა. განგებ უხეშად იცვამდა, დამრეცილად დადიოდა, სხეულის ზედმეტად ლამაზ ნაკვთებს მალავდა და ბოტიჩელის მადონასავით ინანიებდა მოსალოდნელ ცოდვებს.

პაოლო იხუმრებდა ხოლმე ამაზე:

— სულელები გვერდს უვლიან იმას, რაც შეიძლება მათი ბედნიერება იყოს!..

რომ გეკითხათ, ბედნიერება რა არისო, პირზე მომდგარ სიცილს ხელით შეიკავებდა, რაც შეეძლო სერიოზულ გამომეტყველებას ნიღებდა და იტყოდა:

— ჩემთვის — ოთხი კედელი, საწერი მაგიდა და სიჩუმე, სხვებისათვის კი... რა ვიცი, ყველას თავისი ბედნიერება აქვს, თავისი ნატვრა, ზოგჯერ ისეთი რამესიც, რასაც არ ქმნის სამყარო. ერთი ღრუბლის ქულებს აქანდაკებს ცაზე, მეორე ნიავს იჭერს მინდორში. ზოგი სველი ზღვის ნაჭერს ნატრობს, ზოგიც ოცნებობს, ნეტავი მთვარე სულ სავსე იყოს ან ცალი რქა ჰქონდესო. ისეთებიც არიან, ფიქრის გარეშე რომ უნდათ იფიქრონ ან არსებობის მიღმა იარსებონ... რას გაიგებ ვის რა უნდა!..

— ყველამ თავისი სურვილები უნდა შეიყვაროს, — იტყოდა ამაზე ტრაინინი და თვალს იმ „ხორციელი ანგელოზისაკენ“ გააპარებდა. მერე კისერს წაიგრძელებდა, გვერდი-გვერდ გაჰყვებოდა და, ვითომ პირველად ენახოს, სოლომონ ბრძენის სიტყვებით გამოეცნაურებოდა:

— ვინ არს ესე, რომელი აღმოიჭურვების ვითარცა ცისკარი, კეთილ ვითარცა მთოვარე, რჩეულ ვითარცა მზე, საკუირველ ვითარცა განწესებული...

სადმე სალაპარაკოდ თუ ჩაიგდებდა, ხომ სულ ქათინაურებად გადაიქცეოდა. მსგავსად სოლომონისა, იგი უწოდებდა მას „ნაქურცვენსა ვარდისასა“, „ნუკრსა ირემისასა მთათა ზედა ველოვანთა“ ან „მარჩბევსა ქურციკისასა, რომელი სძოვდეს შორის შროშანთა“...

ტრაინინი რომ „გახურდებოდა“, მარინას სევდიან სახეს წამით ღიმილი გადაურბენდა, მაგრამ მერე მაინც მოიღუშებოდა და დუმდა.

„მერვე ბრძენი“ კი ისევ თავის ჯარას ატრიალებდა:

— თუალნი შენნი ტრედ არიან, თუინიერ დუმილისა შენისა...

ტრაინინის ამგვარი მჭევრმეტყველების მიუხედავად „სიტყუა-ნაბერწკალი ძრვისა გულისა მისისა“ მაინც უკვალოდ

იკარგებოდა უდაბნოსა შინა, „ვითარცა მტუერი ქარისაგან მობერილი“...

... ყველას ასე უყვარდა მარინა, თუმცა განყოფილების გოგოები ზოგჯერ ამრეზილადაც უყურებდნენ.

— ვითომ ის არა ვარ, რაც სხვები არიანო, — აიბზუებდა რომელიმე მათგანი ტუჩს. ჩარიტა ხომ სულ ალესილი იყო:

— გერმანული ჯიშისაა ეგ თოკზე ჩამოსაკიდი და სახეც ამიტომ ჩამოსტირის! — დაგესლავდა ხოლმე იგი „ფრიცების ფროილაინს“. თუ არ განსაკუთრებული რაღ შემთხვევა, არც ელაპარაკებოდა. ისე, თუ სადმე შეხვდებოდა, დილა იყო, შუადღე თუ საღამო, სულერთია, აგდებულად შეხედავდა და ძაღლუმადურად მიუგებდა ორიოდე გერმანულ სიტყვას:

— გუტენ მორგენ, ფრიც ფროილიან! — ვითომ: დილა მშვიდობისა, ფრიცის ასულოო.

ეს „გუტენ მორგენ“ ჩარიტას გერმანულის მთელ მარაგს ამოწურავდა. ამიტომაც ეგონა, თუ ამ მაგიურ „გუტენ მორგენს“ ეტყოდა ვინმეს, ყველაფერს გააგებინებდა, მარინას ხომ — მით უმეტეს. საღამოს რომ მის „რადიოოთახში“ შეკიდოდა, „გუტენ მორგენო“ მიაძახებდა. წამოვიდოდა თუ არა, ისევ „გუტენ მორგენს“ გაიმეორებდა. მერე იმ საცოდავს სულ „გუტენ მორგენი“ შეარქვა და ასეთი უცნაური კონსტრუქციის მისალმებაც მოიგონა:

— პრივეტ, გუტენ მორგენ!..

მარინას ეს არ სწყინდა, პირიქით, როგორც ამბობდა, აღტაცებულიც იყო ჩარიტას „შამპანური ხასიათის ელვისებური უწესრიგობით“. მის ენაგესლიანობას კი გულთან არ იკარებდა. ისევ ისე ზანტად და დამრეცილად დადიოდა ან თავის „რადიოოთახში“ იჯდა და, როგორც ტრაინინი ამბობდა, „ჰესპერიდების ბაღში მოწყვეტილ ოქროს ვაშლზე ოცნებობდა“...

როცა კი „რადიოოთახის“ ფანჯარას ჩავუვლიდი, ყოველთვის ვგრძნობდი მისი სევდიანი თვალების მაგნიტს... ფეხს ავუჩქარებდი და სწრაფად გავეცლებოდი იქაურობას, ნაგრამ ის უხილავი მზერა მაინც მომყვებოდა... მერე წინ ვიღაც სხვა შემხვდებოდა, ამქვეყნიურ ცხოვრებას დახარბებული და სიხარულით გაუმაძღარი, რომელიც რაია-აქსინიას, ვერონიკა-

სა თუ ჩარიტასავით საფრონტო ცხოვრების მძიმე პირობებშიც ახერხებდა ყოფილიყო ბედნიერი. თუმცა ახლა ამათთვისაც რომ იგივე გეკითხათ, რა არის ბედნიერებაო, განა იმ „ბებერი ქერობინივით“ მოყვებოდნენ ფილოსოფოსობას!..

— ბედნიერება? — გაიწეორებდა რაია-აქსინია და ისე გრძლად გააზმორებდა, რომ უთქმელადაც მიხვდებოდით, გულში რასაც გაივლებდა...

— ეჰ, გოგოებო, გეტყოდით ბედნიერება რა არის, მაგრამ მრცხვენია, — გაამხელდა „ალისფერი ვერონიკა“ და კიდევ უფრო გაწითლდებოდა...

— მე რომ არაფრისა მრცხვენია, ბედნიერებაც ეგ არის,— მოათავებდა „დისკუსიას“ ჩარიტა და ისე გულწრფელად გადაიკისკისებდა, რომ სხვებიც ძალაუნებურად ეთანხმებოდნენ მას...

მარინა კი იჯდა თავისთვის მარტოდმარტო, ისმენდა, ფიქრობდა და ტიროდა. არავინ იცოდა მისი მწუხარების მიზეზი, არც ის, თუ გულზე რა ცეცხლი მოსდებოდა. ამბობენ, „მუზმუზელას ქვეშ ცხრა მაშხალა ანთიაო“. მაგრამ იმ „მუზმუზელას“ ქვეშ რა „მაშხალა“ ენთო, ამას ვინ მიხვდებოდა, გარდა ტრაინინისა, რომელსაც ამ შემთხვევაშიც მზად ჰქონდა თავისებური იგავი...

— ერთხელ თურმე სიყვარულზე მონადირე აპოლონი გამოუდგა ფერია დაფნას, — ყვებოდა იგი, — დაფნა გაიქცა და იუპიტერს შესჩივლა მიშველეო. იუპიტერმა ის ხედ აქცია და იხსნა აპოლონისაგან.

ამბობენ, ამის შემდეგ დაფნა აპოლონის საყვარელი ხე იყოო...

ამოცანა: რა ჯობდა დაფნასათვის: აპოლონს დაეჭირა, თუ ხედ ქცეულიყო?

?!.

ყველაზე გრძელი დღე...

იმ დღეს ვერონიკა მოვარდა ჩემთან და სხაპასხუპით მითხრა, მარინა გთხოვთ თავის რადიოოთახში, რაღაც მნიშვნელოვან ცნობას გადმოსცემენო. მივედი თუ არა, იქ უკვე ათამ-

დე ოფიცერს მოეყარა თავი. დიქტორი ინგლისურ ენაზე იუწყებოდა, რომ ჩვენს დასავლეთელ მოკავშირეებს დიდი დესანტები გადაესხათ შერბურის რაიონში...

ხანგრძლივი მერყეობის შემდეგ ინგლისელებმა და ამერიკელებმა ბრიტანეთის კუნძულებზე 60 კარგად შეიარაღებულ დივიზიასა და 13 ათასზე მეტ თვითმფრინავს მოუყარეს თავი. გარდა ამისა, ამერიკაში სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყო 45 დივიზია. ატლანტის ოკეანეში ინგლის-ამერიკის ფლოტი ბატონობდა. გერმანიის წყალქვეშა ნავები თითქმის განადგურებული იყო, სახმელეთო ძალების უდიდესი ნაწილი კი კვლავ აღმოსავლეთის ფრონტზე ომობდა. ეს აშკარა უპირატესობას ანიჭებდა მოკავშირეებს გერმანიასთან შედარებით, მაგრამ მაინც დიდი მზადება იყო საჭირო. სადესანტო ოპერაციები საერთოდ ძალიან რთულია, მით უმეტეს ასეთი გრანდიოზული მასშტაბისა. ცხადია, ბევრი რამ იყო გასათვალისწინებელი და გადასაწყვეტი, უწინარეს ყოვლისა კი ის, თუ სად გაეხსნათ ეს ფრონტი. გერმანელები მოელოდნენ, რომ მოკავშირეები პა-დე-კალეს გადმოლახავდნენ, და სანაპიროებს ამაგრებდნენ. ეიზენჰაუერი თავისი სამხედრო ხომალდების ყალბი მანევრებით კიდევ უფრო აბნევდა გერმანელებს.

1944 წლის ივნისისათვის გერმანიას საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში ჰყავდა 60 დივიზია, რომლებიც არმიათა ორ ჯგუფს (A და B) შეადგენდნენ. პირველის სარდალი იყო ფელდმარშალი ერვინ რომელი, ხოლო მეორესი— ფელდმარშალი ფონ ბლასკოვიცი. დასავლეთის ფრონტის გაერთიანებულ ძალებს ფელდმარშალი რუნდშტედტი მეთაურობდა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მოკავშირეები ლამანშის გადმოლახვას აპირებდნენ. ინგლისელებმა და ამერიკელებმა კი ნორმანდია აირჩიეს, შერბურის რაიონი...

... სადესანტო ჯგუფები გაცხოველებულ სამზადისში იყვნენ. საქმეს ართულებდა ის, რომ ამ რაიონში არ იყო დიდი ნავსადგურები, სადაც მსხვილი შენაერთების გადასხმა მოხერხდებოდა; მცირე შენაერთების მოსპობა კი ჰიტლერელებს არ გაუჭირდებოდათ, რადგან შეეძლოთ კონცენტრირებული

კონტრშეტევით ეპასუხათ. არც სადესანტო არმიებინ მომარაგება იყო ადვილი. მოტომექანიზებული სადესანტო ნაწილები რომ საწვავი მასალით მომარაგებული ყოფილიყო, ამისათვის 1944 წლის ზაფხულში ლამანშის ფსკერზე ინგლისიდან საფრანგეთამდე ბენზინის მილები იქნა გაყვანილი. საზღვაო დესანტების საკითხიც ფანტასტიკურად გადაწყდა. აგებულ იქნა ხელოვნური, მცურავი ნავსადგური. წინასწარი განზრახვით, სულ 86 დივიზია უნდა გადაესროლათ ევროპის კონტინენტზე, მათ შორის — 25 ჯავშანსატანკო. მართალია, გერმანელთა ძირითადი სამხედრო ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე იყო დაკავებული, მაგრამ მოკავშირეები მაინც ძლიერ წინააღმდეგობას მოელოდნენ.

ასეთი მასშტაბის სადესანტო ოპერაცია განსაკუთრებულ საჰაერო დაცვას მოითხოვდა. მოკავშირეებს ამ მხრივაც ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ. გერმანელთა ავიაციის უმეტესი ნაწილი განადგურდა აღმოსავლეთის ფრონტზე, ხოლო რაც დარჩა, ისიც აქ იყო მძიმე ბრძოლებში ჩაბმული. დასავლეთის ფრონტზე კი გერმანიას ხუთასიოდე გამანადგურებელი და ყუმბარმშენი მოეპოვებოდა, თანაც მათი ნახევარი თუ იყო „საბრძოლო მზადყოფნაში". ინგლისელებსა და ამერიკელებს კი შეეძლოთ ერთდროულად ხუთი ათასზე მეტი ყუმბარმშენი და ამდენივე გამანადგურებელი ჩაებათ ბრძოლაში. დესანტების გადასასროლად გამზადებული იყო ექვსი ათასი გემი, ხოლო გერმანელებს სულ ას ორმოცდაათამდე სხვადასხვა ტიპის სამხედრო გემი და ორასი წყალქვეშა ნავი ჰყავდათ. ინგლის-ამერიკის სამხედრო ძალების პირად შემადგენლობაში, ოფიციალური ცნობით, 1 876 439 კაცი იყო.

აქედან ცხადია, თუ რა უზარმაზარი უპირატესობა ჰქონდათ მოკავშირეებს გერმანიის მიმართ. ამასთანავე დასავლეთის ფრონტი ორი ათას კილომეტრზე იყო გადაჭიმული და მთელ სიგრძეზე მისი ერთნაირად დაცვა და გამაგრება ადვილი საქმე როდი იქნებოდა. გამოცდილი ფელდმარშალი ერვინ რომელი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ევროპის კონტინენტის სანაპიროები, ანუ „ატლანტიკის ციხე-სიმაგრე" ერთობ მიუვალი გაეხადა, მაგრამ „ყველაფერსაც" ხომ საზღვარი აქვს. ჰიტლერი კი გაიძახოდა:

— დასავლეთის ფრონტი კირკენიდან (ფინეთ-ნორვეგიის საზღვარზეა) პირინეამდე ისეთი სიმაგრეებითა და ბასტიონებითაა დაფარული, რომ მის გადმოლახვაზე ფიქრსაც ვერავინ გაბედავს! თუმცა ინგლისელები ისე ბრიყვები არიან სამხედრო საქმეებში, — დასძენდა იგი, — რომ მათგან შეიძლება ამასაც მოველოდეთ.

ხოლო ასეთი „ბრიყვული“ შემთხვევისათვის იგი გეგმავდა კონტრიერიშის მიტანას მანამდე, ვიდრე სადესანტო ნაწილები კონტინენტზე ფეხს მოიკიდებდნენ. ამ გეგმას, როგორც ჩანს, ფელდმარშალი რომელიც უჭერდა მხარს, იგი ეუბნებოდა თავის ადიუტანტს:

— მერწმუნე, ლანგ, შეტევის პირველი ოცი წუთია გადამწყვეტი როგორც მოკავშირეებისათვის, ისე ჩვენთვის. ეს იქნება ყველაზე გრძელი დღე!

დასავლეთის ფრონტზე გამწესებისთანავე რომელმა პირადად შეამოწმა სანაპირო სიმაგრეები და კიდევ უფრო გააძლიერა ზოგიერთი უბანი. ათიათასობით მუშა აგებდა ახალ სიმაგრეებს... მართლაც ბევრი რამ გააკეთეს და თავიც დაირწმუნეს, რომ ამ „მიუვალ ბასტიონებს“ ახლა უძველესი ზენდური წარწერაღა აკლდა:

„ღმერთიც ვერ გადმოლახავს!..“

... ესეც ჰიტლერის ილუზია იყო: ის, რაც მას უნდოდა, და არა ის, რაც შეეძლო. აბა, ორი ათას კილომეტრს ისე რა გააგრეებდა, რომ „ღმერთსაც ვერ გადმოელახა“. ვამოცდილმა გენერლებმა ეს იცოდნენ და შიშით მოელოდნენ სადესანტო ოპერაციების დაწყებას. მათი მთავარი საზრუნავი ახლა ის იყო, რომ დაზვერვას დროზე გამოეცნო, თუ სად აპირებდნენ მოკავშირეები პირველი სადესანტო ჯგუფების გადმოსხმას. გერმანელთა სამხედრო დაზვერვა კი ამას რანაირად გააკეთებდა, როცა მას სათავეში ედგა ინგლისის დაზვერვასთან დაკავშირებული ადმირალი კანარისი. მოკავშირეთა სარდლობაც ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა გერმანელები. საამისოდ ავრცელებდნენ ყალბ ხმებს, აწყობდნენ ფლოტის ცრუ მანევრებსა და შეჯგუფებას ხელოვნურ პლაცდარმებზე, აშენებდნენ

გემების მაკეტებს და თვალის ასახვევად ფელდმარშალ მონტგომერის დუბლიორსაც კი დაატარებდნენ სრულიად მოულოდნელ ადგილებში...

„ოვერლორდის“ დასაწყისი...

როცა ყველაფერი მზად იყო, ამერიკელმა გენერალმა დუაიტ ეიზენჰაუერმა მიიღო ერთპიროვნული მთავარსარდლის უფლება, რაც მას ფაქტობრივად ჯერ კიდევ ჩერჩილისა და რუზველტის კაიროში შეხვედრის დროიდან ჰქონდა მინიჭებული.

ახლა საჭირო იყო ამინდის გათვალისწინებაც და ოპერაციების დაწყების ზუსტი ვადის დადგენა. ყველაფერი უნდოდათ ხელსაყრელი ყოფილიყო: წყნარი ზღვა — საზღვაო დესანტების, ხოლო მთვარიანი ღამე — საჰაერო დესანტების გადასასხმელად.

საჰაერო ძალების წინასწარ გაფრთხილებისათვის რაციები უაღრესად დასაიდუმლოებულ კოდს იყენებდნენ, სახელდობრ, ფრანგი პოეტის პოლ ვერლენის ლექსის „შემოდგომის სიმღერის“ რამდენიმე სტროფს. ეთერში თითქმის განუწყვეტლივ ისმოდა ამ ლექსის მშვენიერი მელოდია. ეს იმას ნიშნავდა, რომ „ყველაზე გრძელი დღე“ ახლოვდებოდა. კანარისიც გრძნობდა, ეს გადაცემები რაღაც მნიშვნელოვანის მაუწყებელი რომ იყო მაგრამ ამისათვის „ყურადღება არ მიუქცევია“...

... ოთხ ივნისს უნდა გადაეწყვიტათ, დაიწყებოდა თუ არა მეორე დღეს დესანტების გადასხმა. ამინდის პროგნოზი ცუდი იყო. ოპერაცია ექვსისათვის გადაიდო. ხუთში ამინდი გაუარესდა. წყნარი ზღვა და მთვარიანი ღამე კი არა, დილიდანვე ქარიშხალი ამოვარდა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. შორეული ნავსადგურებიდან ფლოტი უკვე გამოსული იყო ღია ზღვაში. დილით ადრე დაიწყო სადესანტო გემების დატვირთვა და, მიუხედავად უაღრესად არახელსაყრელი ამინდისა, ეიზენჰაუერმა ბრძანება გასცა დაეწყოთ სადესანტო ოპერაციები. ბრძანებაში ნათქვამი იყო:

— თქვენ გადასხდებით ევროპის კონტინენტზე მოკავშირეებთან ერთად, რათა მიაღწიოთ გერმანიის გულს და გაანადგუროთ მისი შეიარაღებული ძალები.

საველე რაციები კი, ვერლენის ლექსის გარდა, ახლა უფრო დასაიდუმლოებულ ნიშნებს გადასცემდნენ:

— ყურადღება!.. ყურადღება!.. კამათლები გაგორებულია ხალიჩაზე!.. კამათლები გაგორებულია ხალიჩაზე!.. ნაპოლეონის ქუდი არენაზეა... ჯონს უყვარს მარი... ჯონს უყვარს მარი... ფლეშში ისარი ვერ გაივლის...

და სხვა ასეთი...

... ექვსი ათასი დიდი და პატარა გემი გავიდა კუნძულ უაიტიდან თუ ინგლისის სხვა ნავსადგურებიდან და ნორმანდიისაკენ გაემართა.

კონტინენტზე პირველად მზვერავმა პლუსკატმა შენიშნა მოწინააღმდეგის გემების მოახლოება. იგი ეცა ტელეფონს და დივიზიის შტაბში დაურეკა მაიორ ბლოკს:

— დესანტებია! ჯარების გადმოსხდომა იწყება!

ბლოკმა არ დაიჯერა ეს. პლუსკატი კი ყვიროდა ტელეფონში:

— გარწმუნებთ, ეს დესანტებია! ნახავთ თუ არა, ბლოკ... ჩემ წინ სულ ცოტა ათი ათასი ხომალდი იქნება!..

შიშს დიდი თვალები აქვსო, ამბობენ. აბა, ათი ათას ხომალდს პლუსკატი როგორ დაინახავდა! ამან უფრო შეაეჭვა ბლოკი, იფიქრა, იმ საცოდავს ჰალუცინაციები აწუხებსო, და დინჯად მიუგო:

— დამშვიდდი, პლუსკატ! ამერიკასა და ინგლისს ორივეს ერთად არ ეყოლებათ ამდენი ხომალდი და, საერთოდ, არც არავის!

პლუსკატი კი მაინც არა ცხრებოდა:

— ნამდვილს გეუბნებით, ბლოკ! თუ ჩემი არა გჯერათ, მოდით და თვითონ ნახეთ. ეს ფანტასტიკურია! დაუჯერებელი!..

ბლოკი ჩაფიქრდა:

— რომელი მხრიდან მოდიან ხომალდები?— ჰკითხა მან ბოლოს.

პლუსკატი ზღვისაკენ მიტრიალდა და იყვირა:
— ისინი ჩემ პირდაპირ არიან! სულ პირდაპირ!..

... მზვერავი მართალი იყო! ათასობით ხომალდი უახლოვდებოდა გერმანელთა პოზიციებს კოტანტენის ნახევარკუნძულზე. წინასწარ აქ სამი დივიზია გადაესხათ პარაშუტებით. ამ ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა 2 395 თვითმფრინავი და 847 პლანერი. მძიმე ბომბდამშენებმა 5 200 ტონა ყუმბარა ჩამოყარეს სანაპიროზე. მერე მოკავშირეთა სამხედრო ფლოტმაც დაუშინა ყუმბარები გერმანელთა სიმაგრეებს. ექვსი სახაზო გემი, 21 კრეისერი და 76 ნაღმოსანი იყო ამ ოპერაციაში ჩაბმული. ჩქარა ავიაციის მსხვილი შენაერთებიც ჩაებნენ ბრძოლაში და გერმანელები მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რომ დიდი სადესანტო ოპერაციები დაიწყო...

ამბობენ, ეს სრულიად მოულოდნელი იყო მათთვისო, თუმცა კაცმა არ იცის რატომ. გერმანელებს ხომ დროზე ჰქონდათ მიღებული ყველა საჭირო ცნობა „ოვერლორდის“ შესახებ!

თეირანის კონფერენციაზე სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურები რომ შეთანხმდნენ, სად და როდის უნდა დაწყებულიყო სადესანტო ოპერაციები, რუზველტმა თქვა:

— ახლა მთავარია, თუ როგორ იქნება დაცული ამ გადაწყვეტილების საიდუმლოება...

რა თქმა უნდა, საამისოდ ყველა ზომა იქნა მიღებული, მაგრამ... სწორედ ეს „მაგრამ“ არის მეორე მსოფლიო ომის ერთი უცნაური გამოცანათაგანი...

მდუმარე ციცერონი...

ეს მოხდა ანკარაში. 1943 წლის 26 ოქტომბერს გვიან ღამით გერმანის საელჩოს სამხედრო ატაშეს მოიზიშს დაურეკა პირველი მდივნის იენეკეს მეუღლემ და ქმრის დავალებით სთხოვა დაუყოვნებლივ მისულიყო მათთან...

მოიზიში ბუზღუნ-ბუზღუნით წამოდგა ლოგინიდან, ტანთ ჩაიცვა და იენეკეს ბინისაკენ გაემართა. იქ მას დიასახლისის გარდა ვიღაც უცხო მამაკაცი დახვდა.

— მდივანმა უკვე დაიძინა და თქვენ გთხოვათ მოელაპარაკოთ ამ ჯენტლმენს, — თქვა იენეკეს მეუღლემ და გავიდა.

უცნობმა პირდაპირ მოჭრა:

— მე მაქვს ფირზე გადაღებული ინგლისის საიდუმლო დოკუმენტები, სულ ორი კოჭი. თუ თქვენ მომცემთ 25 ათას გირვანქა სტერლინგს, მიიღებთ ამ დოკუმენტებს, შემდგომ კი ყოველ კოჭ ფირზე მე მოვითხოვ 15 ათასს...

ეს ზღაპრული თანხა იყო ამგვარი შემთხვევისათვის, მაგრამ ბოიზიშმა მაინც „მისცა საქმეს მსვლელობა". ან რა უნდა ექნა, როცა ის უცნობი იმუქრებოდა:

— თუ თქვენ უარს იტყვით, მე ამ დოკუმენტებს სხვა საელჩოს შევთავაზებ, და, როცა ეს გაირკვევა...

აქ მან ხელი გამოისვა კისერში. მოიზიში მიხვდა ამ ჟესტის აზრს და შეთანხმდნენ, რომ სამი დღის შემდეგ კვლავ შეხვდებოდნენ ერთმანეთს...

რამდენიმე წუთის შემდეგ იმის შიშით, აქ ვისიმე თვალი არ ბრუნავდესო, სინათლე ჩააქრეს და ჩუმად გავიდნენ დერეფანში. კიბეზე ჩასვლისას უცნობმა ხელი წაავლო მოიზიშს და წასჩურჩულა:

— გინდათ იცოდეთ ვისთან გაქვთ საქმე? მე დიდი ბრიტანეთის ელჩის კამერდინერი გახლავართ.

ეს რომ თქვა, ზიზღით დაუმატა:

— ო, როგორ მეჯავრებიან ისინი...

— რატომ? — ჰკითხა მოიზიშმა.

— ინგლისელებმა მოკლეს მამაჩემი! — მიუგო მან...

... მეორე დღეს ადრე დილით იენეკე და მოიზიში ეწვივნენ გერმანიის სრულუფლებიან ელჩს ანკარაში ფრანც ფონ პაპენს. ელჩმა გაიკვირვა, ასე საჩქარო რა არისო. მაგრამ, როცა მოისმინა, რაც წინაღამით მომხდარიყო, სახტად დარჩა. არ იცოდა რა გადაწყვეტილება მიეღო. უარი ეთქვა? სახიფათო იყო, არადა 25 ათასი გირვანქა სტერლინგი-სად ჰქონდა!

გადაწყვიტეს დაშიფრული დეპეშით ეცნობებინათ ეს ამბავი ბერლინში რიბენტროპისათვის. ასეც მოიქცნენ. პასუხი ნეორე დღესვე მოუვიდათ, რა თქმა უნდა, დადებითი. ერთი

დღის შემდეგ კი სპეკურიერმა 25 ათასი გირვანქა სტერლინგი ჩამოიტანა.

საღამოს მოიზიში თავის სამუშაო ოთახში შეხვდა „უცნობს“, რომელსაც გერმანიის საელჩოში კოდური სახელი „ციცერონი“ შეარქვეს.

— ჯერ ფული, შემდეგ დოკუმენტები! — თქვა მოკლედ ციცერონმა.

— ჯერ დოკუმენტები, მერე ფული! — მიუგო მას მოიზიშმა.

ციცერონმა ორი კოჭი ფირი გადასცა მას. მოიზიშმა ნადავლი მაშინვე ჯიბეში იტაცა, მაგრამ თევზს ზღვაში ხომ არ იყიდღა, და თქვა:

— ხომ უნდა გავიგო რას ვყიდულობ! მე უკვე მიცდიან ფოტოლაბორატორიაში, 15 წუთის შემდეგ დავბრუნდები, და თუ...

— ზედმეტად ეჭვიანი ბრძანებულხართ, — შეაწყვეტინა მას ციცერონმა.

— თუ ჩემი წინადადება ხელს არ გაძლევთ, შეგიძლიათ თქვენი საქონელი უკანვე წაიღოთ და მიბრძანდეთ! — საკმაოდ უხეშად უთხრა მას მოიზიშმა.

ციცერონი დათანხმდა.

ფოტოლაბორატორიაში სასწრაფოდ გაამჟღავნეს ფირები. გაოგნებულ მოიზიშს ლამის თვალები გადმოსცვივდა. მის წინაშე თეირანის კონფერენციის უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის სრულიად საიდუმლო დოკუმენტები იდო.

ციცერონმა 25 ათასი გირვანქა სტერლინგი ჩაითვალა, პალტოს საყელო აიწია, ხვალ ისევ ამ დროს მოვალო, დაიბარა და წავიდა...

... დილით გაოცებული ფრანც ფონ პაპენი რომ ამ დოკუმენტებს კითხულობდა, ჯერ თვალებზე გადმოფენილი ხშირი წარბები აეგრიხა, მერე პირზე ღიმილი გადაეშალა და ისევ თავიდან შეუდგა დოკუმენტების თვალიერებას. თვით 25 ათასი გირვანქა სტერლინგიც კაპიკი იყო ამ მასალების მნიშვნელობასთან შედარებით. ელჩმა განსაკუთრებული ყურადღება

მიაქცია ცნობას, თუ რა დაჟინებით მოითხოვდა მოსკოვი ლონდონისა და ვაშინგტონისაგან წეორე ფრონტის გახსნას. სხვა დოკუმენტებიც არანაკლებ „მჭევრმეტყველურად“ მოეჩვენა პაპენს. იმ უცნობსაც ამიტომ შეარქვა ციცერონი.

ასე დამყარდა კავშირი გერმანული დაზვერვის მუშაკებსა და ბრიტანეთის ელჩის კამერდინერს შორის, რომელიც სისტემატურად ამარაგებდა პაპენს ჯაშუშური მასალებით. ბერლინიდან ჩემოდნებით ჩამოჰქონდათ ყალბი ფულები და „უხვად“ აჯილდოებდნენ ციცერონის „მჭევრმეტყველებას“.

ეს „საქმე“ ისე ეწიშვნელოვანი იყო, რომ ჩქარა მოიზიში ბერლინში გამოიძახეს რიბენტროპთან შესახვედრად, მაგრამ სოფიაში მას კალტენბრუნერის სპეციალური თვითმფრინავი დაახვედრეს და, ვიდრე იგი თავის „უმაღლეს შეფთან“ გამოცხადდებოდა, უშიშროების სამსახურის უფროსის კაბინეტში აღმოჩნდა.

— თქვენ იცით, რომ რიბენტროპს სძულს პაპენი, — მიმართა მას კალტენბრუნერმა, — ამიტომ იგი შეეცდება ეს დოკუმენტები საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენოს, მე კი ვერ დავუშვებ ამას! ამიერიდან ამ ოპერაციის მასალებს დაამუშავებს ჩემი სამსახური. რიბენტროპი დღემდე დარწმუნებულია, რომ ის კამერდინერი თვითონ ინგლისელების მიერ არის მოგზავნილი დეზინფორმაციის მიზნით, და ამიტომ უყურადღებოდ დატოვებს ამ დოკუმენტებს.

ადრე თვითონ კალტენბრუნერიც ასე ფიქრობდა, მაგრამ, როცა გაიგო, „ციცერონის“ მამა ინგლისელებს დაუხვრეტიათო, მისი ინტერესი ამ დოკუმენტებისადმი უფრო გაიზარდა. რიბენტროპი კი ისევ ეჭვს გამოთქვამდა. ეს ეჭვი მან რატომღაც იაპონიის ელჩს ოშიმასაც გაუზიარა. ეს რომ პაპენმა შეიტყო, „მოლაყბე“ უწოდა თავის შეფს... თუმცა ამ მხრივ უფრო ინგლისის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა „ისახელა თავი“. მანაც რატომღაც უგულებელყო მითითება თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებათა უსასტიკესი საიდუმლოების დაცვის შესახებ და ამ კონფერენციის მასალების ასლი თავის ანკარელ ელჩს გაუგზავნა.

„ციცერონი“ მორგებული გასაღებით ხსნიდა ელჩის სეიფს, დოკუმენტების ასლს ფირზე იღებდა და გერმანიის სა-

ელჩოში ყიდდა. გერმანელებმა კი ნამდვილი დოკუმენტები ყალბად მიიჩნიეს, თვით ჰიტლერმაც. როგორც ჩანს, „ციცერონის“ მასალებს ისიც იცნობდა. ერთხელ იოდლს უთხრა კიდეც „თეირანის კონფერენციის მასალებს ვსწავლობო“, ხოლო საჭირო ყურადღება არც იმან მიაქცია ამ დოკუმენტებს. ეს საბედისწერო შეცდომა იყო, თორემ ჰიტლერელებს რომ სწორი წარმოდგენა ჰქონოდათ „ოვერლორდის“ დაწყების დროისა და ადგილის შესახებ, ვინ იცის რით დამთავრდებოდა ეს ოპერაცია...

...როცა შტაბში პირველი ცნობა მიიღეს ინგლისელებმა და ამერიკელებმა სადესანტო ოპერაციები დაიწყესო, ჰიტლერს თურმე ეძინა. ვერავინ გაბედა მისი გაღვიძება, გენერალმა იოდლმაც კი. იოდლის ადიუტანტი წერს: „რომ გაგვეღვიძებინა, გვეშინოდა, ჩვეულებრივი ისტერია არ მოსვლოდა, რომლის დროსაც იგი გიჟურ გადაწყვეტილებებს იღებდაო“. ფელდმარშალი რომელიც აქეთ-იქით აწყდებოდა, ბობოქრობდა, ილანძღებოდა, რახან მისი მოსაზრებები მხედველობაში არ იქნა მიღებული. იგი გარიჟრაჟისას გაფრინდა ჰიტლერთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ მასთან შეხვედრამდე აცნობეს, ოპერაციები დაიწყოო, ხოლო მძინარე ჰიტლერი არ გააღვიძეს და რომელი მაშინვე დაბრუნდა თავის შტაბში.

ამასობაში მოკავშირეებმა ორ ადგილას შექმნეს პლაცდარმი და მის გაფართოებას შეუდგნენ...

...ჰიტლერმა რომ გაიღვიძა, ეს სიურპრიზი დახვდა. ნერვებმა მას აქაც უმტყუნა: ნაცვლად იმისა, რომ ძალების სწრაფი გადაჯგუფება მოეხდინა და კონცენტრირებულად დაერტყა სადესანტო ნაწილებისათვის, ნაჩქარევი ბრძანება გასცა — დაუყოვნებლივ მოეხდინათ მოკავშირეთა პლაცდარმების ლიკვიდაცია. ასეთი ბრძანების გაცემა ადვილი იყო, მაგრამ შესრულება — შეუძლებელი. პირველსავე დღეს მოკავშირეებმა სამი საჰაერო და ხუთი სახმელეთო დივიზიის გადასხმა მოასწრეს, გარდა ამისა, გადაისროლეს ცალკეული სატანკო ბრიგადები და ნაწილები, აგრეთვე საგანგებო რაზმები „კომანდოსი“ და „რეინჯერსი“.

ჰიტლერს აეკვიატა აზრი, რომ ეს მხოლოდ მანევრია, ძირითადი სადესანტო ჯგუფების გადმოსხმა კი მაინც ლამანშზე დაიწყებაო. რაკი ერთხელ დაიჩემა ეს, მერე აღარ გადათქვა, არც არავის მისცა ნება საფრანგეთის სხვა რაიონებიდან დესანტების გადმოსხმის ადგილას მსხვილი შენაერთების გამოგზავნისა. მოკავშირეები კი სულ არ ფიქრობდნენ სხვაგანაც დაეწყოთ ასეთი ოპერაცია. მომდევნო ორ დღეში, 7 და 8 ივნისს, მათი სადესანტო ძალები მნიშვნელოვნად გადიდდა, პლაცდარმიც გაფართოვდა. მიუხედავად ამისა, მაინც დიდი საფრთხე მოელოდათ, ჰიტლერელებს რომ კონტრშეტევა არ დაეგვიანებინათ. როცა გერმანელთა რეზერვები ამოძრავდა, მოკავშირეების პლაცდარმი უკვე 80 კილომეტრ სიგანესა და 13 — 18 კილომეტრ სიღრმეზე იყო გაჭიმული...

... მთელი ივნისის განმავლობაში მიმდინარეობდა გაცხარებული ბრძოლები შერბურის რაიონში. ჰიტლერი ისევ თავის ინტუიციას იმოწმებდა და ამტკიცებდა, ინგლისელები და ამერიკელები ლამანშს გადმოლახავენ და პირდაპირ პარიზზე წავლენო. არმიათა ჯგუფის სარდლები ხელფეხშეკრული აღმოჩნდნენ, მათ არ ჰქონდათ თავიანთი ძალების თავისუფალი მანევრირების საშუალება. ამასობაში ინგლისელები შერბურში შეიჭრნენ. ჰიტლერის ჯიუტობამ და „ინტუიციამ“ აქ ოთხი დივიზია შეიწირა. ივლისის დასაწყისში მოკავშირეებს კონტინენტზე ჰყავდათ უკვე 25 დივიზია ერთ მილიონზე მეტი მებრძოლის შემადგენლობით, მათ წინააღმდეგ კი გერმანელთა მხოლოდ 13 დივიზია იდგა და ისიც არასრული. ბრძოლების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მით უნეტეს, რომ მოკავშირეებს გამოუულეველი რეზერვები მოეპოვებოდათ, ჰიტლერს კი უკვე ქუდზე კაცის ძახილიც ვეღარ უშველიდა...

დაკარგული საფლავი...

მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ საბჭოთა არმიებიც გადავიდნენ საერთო შეტევაზე. 10 ივნისს მტრის პოზიციებზე იერიში მიიტანა კარელიის ფრონტმა. ორი კვირის შემდეგ

საბჭოთა არმიის რამდენიმე ფრონტი ერთად დაიძრა ჯერ ორშისა და ვიტებსკის, ხოლო შემდეგ მოგილიოვის მიმართულებით. ივლისში სხვა ფრონტებმაც განავითარეს შეტევა და თითქმის ყველგან გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის ხაზი. მერე სამხრეთის ფრონტიც ამოძრავდა. ის, რასაც აქ ამდენ ხანს ველოდით, ჩვენთანაც დაიწყო. უკრაინის მეორე, მესამე და მეოთხე ფრონტებმა ერთად მიიტანეს იერიში მტრის პოზიციებზე. ცენტრში უკრაინის მეორე ფრონტი მოქმედებდა, მარჯვენა ფლანგზე — უკრაინის მეოთხე, ხოლო მარცხენაზე — მესამე ფრონტი.

90 საბჭოთა დივიზია და 7 სატანკო კორპუსი იღებდა ამ შეტევაში მონაწილეობას. ჩვენი ფრონტის მთავარი დარტყმა ქ. იასის ჩრდილოეთით იყო მიმართული, უკრაინის ფრონტისა კი — დნესტრის ნაპირებთან ქ. ხუშისაკენ, სადაც ორივე ფრონტი უნდა შეხვედროდა ერთმანეთს და ალყაში მოექციათ კიშინიოვ-იასის მიდამოებში მოქმედი გერმანელ-რუმინელთა შენაერთები.

ეს მართლაც საოცარი ძალის დარტყმა იყო! ორსაათნახევარს გრძელდებოდა საარტილერიო მომზადება. რამდენიმე ათასი ზარბაზანი და ნაღმსატყორცნი უშენდა ყუმბარებს მტრის მოწინავე პოზიციებს. რეაქტიული ნაღმსატყორცნები („კატიუშები") ნაცარტუტად აქცევდნენ ყველაფერს. ეს იყო „პარტერში". თავდასხმის პირველ იარუსს მოიერიშე „ილიუშინები" შეადგენდნენ. ისინი სულ რაღაც 30 — 50 მეტრის სიმაღლეზე გადაუქროლებდნენ და გულმოდგინედ „აუთოებდნენ" მოწინააღმდეგის სიმაგრეებს. მეორე იარუსად მიდიოდნენ ასობით ყუმბარმშენები და ანადგურებდნენ მტრის კომუნიკაციებს სიღრმეში. სულ ზევით, მესამე იარუსზე, გამანადგურებლებს ჰქონდათ საჰაერო ბრძოლა გამართული. ცა და დედამიწა თითქოს ერთმანეთში ირეოდა. ირგვლივ ცეცხლი და კვამლი ისე მძვინვარებდა, თვითმფრინავთა სილუეტებიც ძლივს ჩანდა. ნერე ტანკებიც გადავიდნენ იერიშზე და მათი მუხლუხოების ჭრიალმა სულ გადააყრუა იქაურობა...

... ასეთი დიდი შეტევის დროს ჩვენი განყოფილების ოპერატიული მუშაკები მოქმედ არმიებსა და დივიზიებში ვიყა-

ვით დანაწილებული. შეტევის წინ „მფრინავი ფილარმონია“, „ფრიცების უნივერსიტეტები“ და „იერიქონის საყვირები“ გაძლიერებულ პროპაგანდას ეწეოდნენ მტრის ჯარებში. ასიათასობით „მფრინავი ფურცელი“ ვრცელდებოდა მოწინავე პოზიციებსა და ზურგში. შეტევის დაწყების დღიდან კი უფრო ოპერატიული დავალებები გვქონდა, მეტწილად — ტყვეთა დაუყოვნებლივ დაკითხვა, რომ ოპერაციების განვითარების დროს სარდლობას მხედველობაში მიეღო მათი ჩვენება. ასევე ნნიშვნელოვანი იყო ნადავლი დოკუმენტებიც. ზოგჯერ ჩვენი ტანკისტები ისე მოულოდნელად შეიჭრებოდნენ მტრის შტაბებში, რომ გაქცეულნი დოკუმენტების წაღებას ან განადგურებას ვერც ასწრებდნენ. ასეთ დროს საჭირო იყო გერმანულის ან რუმინულის მცოდნე ოფიცერი, რომელიც ადგილზევე ნახავდა ამ დოკუმენტებს და, თუკი რამ საყურადღებო იქნებოდა, მაშინვე აცნობებდა სარდლობას...

მე და ბეგი იმ დღეებშიც სატანკო კორპუსის შტაბში მოვხვდით. მე — როგორც „გერმანელი ფრიცი“, ის — როგორც „რუმინელი პოპესკუ“. სატანკო არნიებსა და კორპუსებში არ იყო ჩვენი განყოფილების ქსელი და ისინი უფრო საჭიროებდნენ უცხო ენების მცოდნეთა დახმარებას. ეს ჩემს ცნობისმოყვარეობასაც აკმაყოფილებდა და ამიტომ ვცდილობდი სწორედ სატანკო შენაერთებში მოვხვედრილიყავი. მაშინაც ასე იყო და უკვე მესამედ გავხდი ამ „ჯავშნოსან ურჩხულთა“ გრანდიოზული შეტაკების მოწმე.

იასის ჩრდილოეთით ერთი უსახელო მაღლობია. ჩვენი სატანკო კორპუსის შტაბი სწორედ ამ მაღლობზე იყო სანგრებში „ჩამარხული“. იქიდან მშვენივრად ჩანდა ბრძოლის ველიცა და იასიც. ქალაქის თეთრი შენობები და ეკლესიათა უამრავი გუმბათი მზეზე თვალისმომჭრელად ლაპლაპებდნენ. მე ერთი სული მქონდა, როდის შევიდოდით იმ ქალაქში. გამეგონა, რომ იქ იყო დასაფლავებული ჩვენი სასიქადულო პოეტი ბესარიონ გაბაშვილი, რომელიც „ბედუკუღმართმა წუთისოფელმა გასტყვარცნა“ ასე შორს და რუმინეთის მიწას მიაბარა მისი ნეშტი.

მაშინ გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ქალაქში შესვლის-

თანავე ვიპოვიდი და ცოცხალი ყვავილების გვირგვინითაც შე-ვამკობდი მის საფლავს...

... იასის სწრაფად აღებაში ეჭვი არავის გვეპარებოდა. ჩვენი ჯარისკაცები და ოფიცრები დარწმუნებული იყვნენ თავიანთ ძალაში. რუმინეთის მთავრობა კი შეშფოთებული იყო. ანტონესკუ თვითონ წავიდა ფრონტზე და ადგილობრივ ხელმძღვანელობდა ოპერაციებს. მისი მდგომარეობა მართლაც ბძიმე ჩანდა. თურქებმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტეს რუმინეთთან. ბულგარეთის რეაქციული მთავრობის მეთაური ბაგრიანოვსაც ახლა „მოაგონდა", სლავები რომ იყვნენ, და საბჭოთა არმიასთან მოლაპარაკება სცადა. შეშინებული ანტონესკუ უკანასკნელ ხავსს ეჭიდებოდა და თავის არმიას მიმართავდა: რუმინელებო, ნუ დათმობთ ბესარაბიასა და იასს, თქვენ ხომ სლავები არა ხართო. იგი დასავლეთსაც აშინებდა საბჭოთა არმიით: ხომ ხედავთ, რაც დრო გადის, რუსეთი უფრო ძლიერდება, ეს კი თქვენც საფრთხეს გიქმნიოთ, მაგრამ წყალწაღებულს უკვე არავინ უგდებდა ყურს, აღარც ჰიტლერი. მაშინ ანტონესკუმ ფრისნერთან საუბარში ტრანსილვანიის საკითხი დასვა. ვენის ხელშეკრულების მიხედვით ტრანსილვანია უნგრეთის მმართველობაში შედიოდა. რუმინეთი არ ცნობდა ამ ხელშეკრულებას და ანტონესკუ ფრისნერს ეჩხუბებოდა: ტრანსილვანიაში უნგრელები რუმინელებს ჩაგრავენ, თქვენ კი ზომებს არ იღებთო. ფრისნერმა ამის შესახებ მოახსენა ჰიტლერს, რომელსაც თავისი გასაჭირი ადგა და საამისოდ აღარა სცხელოდა. ამიტომაც შეუთვალა ანტონესკუს, ვენის ხელშეკრულება თავად ჩემთვისაც არ არსებობს და უნგრეთთან, როგორც გინდათ, ისე მორიგდითო. ანტონესკუს რაღა შეეძლო, როცა ტრანსილვანია და უნგრეთი კი არა, წინ თავით ფეხამდე შეიარაღებული საბჭოთა არმიები ედგა. ჩახმახიც მომართული იყო და ჩვენ მხოლოდ ნიშანს ვუცდიდით...

... დილით ადრე მზვერავებმა „ენა" მოიყვანეს, თუმცა „არასრულფასოვანი", მაგრამ ასეთ დროს მეტად საჭირო. ეტყობოდა, ეს „ენა" ტოტალური მობილიზაციის შედეგად მოხვედრილიყო ფრონტზე. ორმოც წელს გადაცილებული იქ-

ნებოდა. სამხედროსი არაფერი ეცხო, გარდა მუნდირისა. დამ-ხმარე ნაწილის მებრძოლი იყო და სადღაც, მეორე ეშელონში, ჩაევლოთ მისთვის ხელი. ისე იყო შეშინებული, რომ დიდხანს ვერ ამოიდგა ენა. ჩვენ კი სწორედ ენა გვჭიროდა მისი, ამიტომ კორპუსის სარდალმა მოუთმენლად თქვა:

— ჰკითხე ერთი მაგ ძაღლისშვილს, მუნჯია, თუ განგებ იგდებს ენას მუცელში!..

მუნჯი არა, მაგრამ შიშისაგან „მუცელში ენაჩაგდებული“ კი ნამდვილად იყო. რამდენიმე კითხვის შემდეგ ძლივს გაიღო ხმა. მთელი ტანი უცახცახებდა და თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. მერე უბე გაიხსნა, საფულე ამოიღო, რამდენიმე ფოტოსურათი ამოარჩია და გადმომცა, თან დააყოლა:

— ხუთი შვილის მამა ვარ, ნუ დამღუპავთ!.. მე ომი არ მინდოდა, ძალით წამომიყვანეს... სულ საწყობში ვმუშაობდი. თოფი ერთხელაც არ მისვრია, არც არავინ მომიკლავს...

ასეთი „მტირალა ფრიცი“ არც ისე ხშირად გვხვდებოდა და კორპუსის სარდალს შეეზიზღა:

— ჯარისკაცი კი არა, მთხლეა ვიღაცა, — თქვა მან და მერე ვითომ სიტუაცია აუხსნა:

— აი, იმ მინდორს ხომ ხედავ, ბრძოლა ალბათ იქ გაიმართება. თუ თქვენებმა დაგვძლიეს და თუნდაც ორი-სამი კილომეტრით წამოიწიეს წინ, ყოველმხრივ გზაგადაჭრილი აღმოვჩნდებით და მაშინ „კაპუტ“ ჩვენს საქმეს, არადა... „ჰიტლერ კაპუტ“, — ჩაურია სარდალმა თავისი „გერმანულიც“.

„ჰიტლერის“ გაგონებაზე ის იდიოტი მყისვე წამოხტა და, ალბათ იფიქრა ასე უნდაო, ნაცისტური სალამი მოგვცა:

— ჰაილ ჰიტლერ!

— მე შენ მოგცემ „ხაილ გიტლერს“, შე ნაგვის ყუთო, შენა! — წამოიძახა სარდალმა და, ათსართულიანი გინება არ აკმარა, მუშტიც მოუქნია.

— ჰიტლერ კაპუტ! ჰიტლერ კაპუტ! — შეცვალა მაშინვე ფირფიტა ფრიცმა და ხელები ასწია.

— ჰოდა, ასე თქვი! — დაწყნარდა სარდალი და დაკითხვას შევუდექით. არა დაუფარავს რა, ყველაფერი დაფქვა. მართალია, ბევრი არც თავად იცოდა, მაგრამ, რა ცნობებიც მოგვაწოდა, ისიც საჭირო იყო.

სარდალს განსაკუთრებით აინტერესებდა გაეგო, გერმანელებს ე. წ. „ვეფხვები“ თუ ჰყავდათ ამ ფრონტზე. „ვეფხვი“ შედარებით ახალი მარკის მძიმე ტანკი იყო, რომელიც ომის პერიოდში გამოიყენეს გერმანელებმა. როცა ასეთი „ვეფხვები“ გამოჩნდნენ პირველად კიევთან, ჩვენი ტანკსაწინააღმდეგო იარაღი უძლური აღმოჩნდა მათთან ბრძოლაში. ამიტომ „ვეფხვის“ ტიპის ტანკები თავისუფლად იჭრებოდნენ ჩვენს განლაგებებში, ღრმა ზურგშიც და, თუ სადმე ტანკსაწინააღმდეგო ორმოს არ წააწყდებოდნენ, „დაუსჯელად“ ბრუნდებოდნენ უკან. მერე ჩვენებმა ისეთი მძიმე ტანკები გამოუშვეს (სახელად „ი. ს.“), ერთს რომ გაჰკრავდა ყუმბარას მაო „ვეფხვს“, მეორე მხარეს გადიოდა. ასეთი ტანკები მაშინ არც ისე ბევრი ნოგვეპოვებოდა და საჭირო იყო მათი უფრო საზრიანად გამოყენება იმ ადგილებში, სადაც გერმანელების „ვეფხვები“ გამოჩნდებოდნენ.

ჩვენი სატანკო კორპუსის დისლოკაცია მართლაც სახიფათო ჩანდა: ისე ვიყავით სოლივით შეჭრილი მტრის განლაგებაში, რომ შეიძლებოდა მტერს მცირე წარმატების შემთხვევაში მოვეწყვიტეთ ძირითადი ნაწილებისაგან. ადრე ჩვენი კორპუსის პირისპირ რატომღაც რუმინელთა ცხენოსანი ნაწილები იდგნენ, შემდეგ კი გერმანელებმა მსხვილი სატანკო შენაერთები გადმოისროლეს. საჭირო იყო ცნობების დაზუსტება ღა იმ ტყვემ ამაში საკმაო დახმარება გაგვიწია...

... შეტევის დაწყებისთანავე ჩვენმა ავიაციამ, უწინარეს ყოვლისა, ძლიერი თავდასხმა სწორედ იქ მოაწყო, სადაც მოწინააღმდეგის სატანკო შენაერთები იყვნენ განლაგებული. მფრინავთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ერთი სატანკო დივიზია მაო ჯერ კიდევ ბრძოლებში ჩაბმამდე მოსპეს. როცა ჩვენი ტანკები იასის გარშემოსავლელად დაიძრნენ, წინ გერმანული ტანკები დახვდნენ, მაგრამ საგრძნობი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და გაიფანტნენ. ჩვენებმა გაარღვიეს მტრის სიმაგრეები და გზა გაუკაფეს ქვეით ნაწილებს. ასევე მოხდა შეტევის სხვა უბნებზეც. გერმანელთა წინააღმდეგობა გატეხილ იქნა და ჩვენმა ტანკისტებმა სწრაფად წაიწიეს წინ. დნესტრის ნაპირებიდან წამოსული შენაერთებიც წარმატებით ავი-

თარებდნენ შეტევას. ორივე ფრონტმა თავ-თავისი მხრიდან შემოუარა ქ. იასს და ქ. ხუშთან შეხვდა ერთმანეთს, როგორც ეს წინასწარ იყო დაგეგმილი. ჩვენები ყოველთვის ცდილობდნენ ასეთი შემოვლითი ოპერაციები განეხორციელებინათ, რადგან ერიდებოდნენ ქალაქების დანგრევას და მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლს.

მძიმე ბრძოლების შემდეგ 22 აგვისტოს უკრაინის მეორე ფრონტის ნაწილები ქალაქში შევიდნენ და ერთხელ კიდევ გაანადგურეს მოწინააღმდეგის მეექვსე არმია. თქვენ ალბათ გახსოვთ, სტალინგრადთან განადგურებულ არმიასაც რომ ნომერი ექვსი ჰქონდა. შემდეგ ეს ნომერი ამ ახალი არმიისათვის მიუკუთვნებიათ. ამის გამო ჩვენი მებრძოლები ხუმრობდნენ, ფრიცების მეექვსე არმიას მეორე სტალინგრადი მოვუწყვეთო. ასეც მოხდა: არც მაშინ და არც ახლა გერმანელთა მეექვსე არმიისაგან ნომრის წეტი არაფერი დარჩენილა...

... ამის შემდეგ იასში კი შევედით, მაგრამ ჩემი იმედი ამაო გამოდგა: ბესიკის საფლავის კვალსაც ვერ მივაგენი. ან ვისთვის უნდა მეკითხა, როცა ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ სარდაფებში იმალებოდა. არც მე მქონდა საამისოდ დიდი დრო: იასში სულ ერთი დღე დავრჩი, ისიც ქალაქის მმართველობის აღდგენას მოვუნდი. არც ეს იყო ადვილი. უმალ ბესიკის საფლავს იპოვიდა კაცი, ვიდრე ქალაქის მეროგის მსურველს — ასეთ სიტუაციაში. ყველა ხელს ასავსავებდა, სად შემიძლიაო, მაგრამ ბოლოს ერთი „შეშინებული ინტელიგენტი“ მაინც დავითანხმეთ. ლაპარაკი მოკლე იყო:

— საბჭოთა არმიის სარდლობის სახელით გიცხადებთ, რომ თქვენ ინიშნებით ქალაქ იასის მერად. წინადადება გეძლევათ ოცდაოთხი საათის განმავლობაში აღადგინოთ ადმინისტრაციული ორგანოები და შეუდგეთ ქალაქში წესრიგის დამყარებას.

მერე ადგილობრივი ხელისუფლება თვითონ აგვარებდა თავის საქმეებს, ჩვენ კი წინ მივდიოდით.

სხვა რომ არავინ შემხვდა ისეთი, ქ. იასის ახალდანიშნულ მერს ვკითხე, ხომ არაფერი გაგიგონიათ ქართველი პოეტის ბესარიონ გაბაშვილის შესახებ, რომელიც თქვენს ქალაქშია და-

მარხული-მეოქი. იმან პასუხის ნაცვლად ჯერ თვალები მოჭუტა, მერე მხრები აიჩეჩა და, ბოლოს, როგორც იქნა, წარმოთქვა, ამის მსგავსი არაფერი გამიგონიაო...

... ერთი წლის შემდეგ ისევ დავბრუნდი იასში. ომი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ვერც მაშინ მივაგენი ბესიკის საფლავს. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არაფერი იცოდნენ ქართველი პოეტის შესახებ, რომელიც „თურმე მათ ქალაქშია დამარხული". ვისაც არ ვკითხე, ბესიკი კი არა, საქართველოც არ ჰქონდა გაგონილი, მთელ ჩვენს მხარეს კავკასიას ეძახდნენ.

კიდევ ათი წელი რომ გავიდა, მესამედ მომიხდა რუმინეთში ყოფნა, საბჭოთა კავშირის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის შემადგენლობაში. ამ დროს საძებნელი უკვე არაფერი იყო: აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს, პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძესა და დოცენტ ოთარ გიგინეიშვილს უკვე ენახათ, რისი ნახვაც შეიძლებოდა, — ბესიკის საფლავზე ოდესღაც დადგმული ძვირფასი მარმარილოს ფიქალი, რომელსაც ასეთი ბერძნული წარწერა აქვს: „როგორც საფლავიდან... კაცი ევერიელი, წარმოშობით კეთილშობილი, ბრწყინვალე, შვილი ზაქარიასი, სახელად ბესარიონი, კეთილი, სათნო ბუნებით, გაბაონთა გვარიდან, ჩამოვიდა ელჩობასთან კოლხეთიდან, მაშინ გადაუხადა მან ვალი უფალს, იცოცხლა რა ორმოცი (წელი), გარდაიცვალა წელსა ღვთის შობიდან 1791-ს, იანვარს..."

ფიქალზე არის ქართული წარწერაც: „საფლავსა ამასა შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ ზაქარიას ძე იობიან-გაბაშვილი, რომელიცა წარმოგზავნილი იყო იმერთა მეფისა ერეკლისაგან დესპანად რუსეთისა დიდებულებისა საიმპერატოროსა კარისადმი და მიიცვალა აქა იასსა წელსა ჩღკთ, იანვარსა კდ, მხილველთაგან შენდობის მთხოვნელი".

ბესიკის საფლავის ფიქალს ამკობს ქართული ყვავილოვანი ჩუქურთმები. ფიქრობენ, ანა დედოფალმა მიაწვდინაო თავისი მზრუნველი ხელი უცხოეთში გარდახვეწილი პოეტის ნეშტს. ნავარაუდევია მისი დასაფლავების ადგილიც — წმ. პარასკევას ეკლესია, სადაც ამჟამად მოედანია, „ბესიკის მოედანი".

დასანანია, რომ დღემდე თავი არ მოება საქმეს და ამ მოედანს მართლაც არ ეწოდა ბესიკის სახელი. არც ბესიკის ბიუსტი დადგმულა მისი სამუდამო განსასვენებლის ადგილას. მე მხოლოდ სახალხო მხატვარ უჩა ჯაფარიძის მიერ შესრულებული პორტრეტის ორიგინალი ჩავიტანე რუმინეთში და საზეიმოდ გადავეცი აკადემიკოს პარხონს „ბესიკის მუზეუმისათვის".

არც ასეთი მუზეუმის შესახებ მსმენია დღემდე რამ. ისე კი გოლიას ტაძარში ახლაც არის კედელთან აყუდებული მარმარილოს ფიქალი. „სოფლისაგან შორს გატყვარცნილი" ბესიკი ახლაც გულდაწყვეტილი მოუხმობს ყველა თანამემამულეს, ვინც იმ მხარეს მოხვდება:

მკვდარი ბესიკი, მოდი, ნახე,
ჩამიდგი სული!

ბესიკს სულს ვერავინ ჩაუდგამს, მაგრამ ერთ მუჭა ქართულ მიწას მაინც მიაყრის სახელოვანი წინაპრის საფლავს, რომ იმის რამე ნიშანი იყოს. ახლა კი უსახელო მოედანია მხოლოდ და გოლიას ტაძრის კედელთან აყუდებული მარმარილოს თეთრი ფიქალი, „მხილველთაგან შენდობის მთხოველი!"...

ᲒᲖᲐᲓᲐᲒᲖᲐ...

იასის შემდეგ ყველაფერი საოცარი სისწრაფით წარიმართა. რუმინელებმა თითქმის შეწყვიტეს წინააღმდეგობა. გენერალ დუმიტრესკუს მესამე არმია გაიფანტა. გერმანულ ნაწილებს ფლანგები გაშიშვლებული დარჩათ. თავის დროზე ჰიტლერს აფრთხილებდნენ, ჩვენი ჯარების ზურგი რუმინეთში საიმედო არ არისო, მაგრამ მან ყური არ ათხოვა ამ გაფრთხილებას, პირიქით, ფრონტის სარდალს გენერალ ფრისნერს შეუღრინა, სარდალი ფრონტისაკენ უნდა იყურებოდეს და არა ზურგისაკენო. არც რუმინეთის პრემიერ-მინისტრს იონ ანტონესკუს დაუჯერა. ამ დაუდევრობის შედეგი კატასტროფული იყო გერმანიის ჯარებისათვის.

ჩვენი ფრონტის მეწინავე ნაწილები პირდაპირ ბუქარესტისაკენ გაემართნენ. 22 აგვისტოს ანტონესკუ უკანასკნელად შეხვდა ფრისნერს და განუცხადა: თუ რუსებმა ფოკშან-გალაცის ხაზიც გადმოლახეს, რუმინეთი საბოლოოდ დაღუპულიაო.

საბჭოთა არმია კი სულ წინ მიიწევდა. მე ისევ იმ სატანკო კორპუსს მივყვებოდი. მივდიოდი ჯავშანტრანსპორტიორით. წინააღმდეგობას აღარავინ გვიწევდა. გზის ორივე მხარეს მწკრივად მიჰყვებოდნენ რუმინელი ჯარისკაცები. ზოგს იარაღი დაეყარა, ზოგს თოფი უკულმა გადაეკიდა, ზოგსაც თოხივით გაედო მხარზე და დაღლილ-დაქანცულნი მილაყუნობდნენ.

— უნდი მერჯი (საით მიდიხართო)? — დაუძახებდა ბეგი.

— ა კასა, ა კასა (შინისაკენ, შინისაკენო), — უპასუხებდნენ სახეგაღიმებული ჯარისკაცები.

სადღაც შევჩერდით და ორმოცამდე ჯარისკაცი შემოგვეხვია. ნახევარზე მეტს თოფები ეჭირა. ბეგისა და ჯავშანტრანსპორტიორში მყოფ გვარდიელ მეავტომატეებსაც იარაღი მომზადებული ჰქონდათ, მაგრამ სულ ტყუილად: წინააღმდეგობას არავინ აპირებდა. ბეგი ორატორობდა და ისინი სიამოვნებით უსმენდნენ. მერე საიდანღაც სროლის ხმა მოისმა, ტყვიებმაც გაიზუზუნეს, ორი რუმინელი დაეცა. სხვებმა — იარაღიანი იყო, თუ უიარაღო — საბრძოლო პოზიცია დაიკავეს. ჩვენ ჯავშანტრანსპორტიორს შევაფარეთ თავი. მეავტომატეებმა სროლას სროლითვე უპასუხეს. რამდენიმე ტანკი შეჩერდა და ტყისაკენ შეტრიალდა. ეტყობოდა, იქ გერმანული ნაწილი იყო ჩასაფრებული... ხანმოკლე შეტაკების შემდეგ ტყიდან სროლა შეწყდა და ჩვენც განვაგრძეთ გზა.

ცხადია, ყველას დაგვწყდა გული იმ ორ რუმინელზე, რომლებიც შინისაკენ მიიჩქაროდნენ და ასე შემთხვევით კი დაიღუპნენ. ჯარისკაცებმა ისინი გზის პირას დააწვინეს და ფარაჯა გადააფარეს. ისე ეჩქარებოდათ, დამარხვაზე არც უფიქრიათ...

... საღამოს ქ. ბირლადში რომ შევედით, არც ვიცოდით, იყვნენ თუ არა იქ გერმანელები. ტანკისტებმა მაინც ატეხეს უთავბოლო სროლა. პასუხი არავის გაუცია და დაწყნარდნენ.

ქვეითი ნაწილები ჯერ კიდევ შორს იყვნენ ჩვენგან და კორპუსის სარდალმა გადაწყვიტა ღამე ამ პატარა ქალაქში გაგვეთია. ტანკები მთავარ ქუჩაზე გამწკრივდნენ. მოსახლეობა არსად ჩანდა. ხანდახან მოვკრავდით თვალს, ვინმე შეშინებული რომ ფრთხილად გადაწევდა ფარდას და ერთი წამით გამოიხედავდა ფანჯრიდან. ტანკისტები ამ დროს თავიანთ მანქანებთან იდგნენ და განკარგულებას ელოდნენ. ჩვენი ჯავშნტრანსპორტიორი პირდაპირ ქუჩაში გამოყვანილ წყაროს მიადგა. რუმინეთის ქალაქში ხშირად შეხვდებით კარგად გაფორმებულ ასეთ წყაროს. როგორც წესი, იქვე დგას ობელისკის მსგავსი რამ ხეზე ამოკვეთილი ჯვარცმული ქრისტეს გამოსახულებით. რუმინელი აქ რომ ჩამოივლის, ჯერ პირჯვარს გადაიწერს, ღმერთს ახედავს და წყაროს ცივ წყალს დალევს. ჩვენც დავლიეთ, ხელ-პირი დავიბანეთ და საუბარი გავაგრძელეთ. მერე ვიღაც ტაგანგადაკიდებული დედაბერი გამოცუნცულდა ეზოდან და წყაროსთან მრვიდა. ზედვე ეტყობოდა, წყალი კი არა, ჩვენი „დაზვერვა" უნდოდა. თავისი საქმე სულ დაავიწყდა, იდგა და... გვათვალიერებდა.

— რას გვიყურებ, დედი, არ მოგწონვართ? — შეეხმიანა ბეგი რუმინულად.

— რა ვიცი, შვილო, სულ ჩვენებურებს კი გავხართ! — უპასუხა იმ დედაბერმა და ისევ ცნობისმოყვარეობით შეგვაჩვალიერა. ზღაპარივით ექნებოდა გაგონილი „რუსეშტების" შესახებ. იმდენს უჩიჩინებდნენ მათ ომის დროს, რომ ალბათ ცხრათავიან ურჩხულებს ელოდნენ და არა ჩვეულებრივ ადამიანებს. ამიტომ გაუკვირდა და თქვა ჩვენებს გავხართო.

ეს ბეგიმ იწყინა და რუსულად ჩაილაპარაკა:

— უყურე ამ ბეხრეკა დედაკაცს, თავის პოპესკუებს რომ შეგვადარა!

იმ „ბეხრეკა დედაკაცმა" მისი ნათქვამი, რა თქმა უნდა, ვერ გაიგო, მაგრამ მაინც დაინტერესდა რუსი ოფიცრით, რომელიც მათ ენაზე ლაპარაკობდა.

— რუმინული ვინ გასწავლა, შვილო? — ჰკითხა მან ბეგის.

— ტრანსილვანიელი ვარ და მეცოდინება აბა რა, ესეც ხომ ფრანგული არ არის!... — უპასუხა მან.

დედაბერი ეზოში შებრუნდა. ჩვენ კი იმ ქუჩას ავყევით ღრმა...

... ამასობაში წვიმა წამოვიდა და საჭირო გახდა თავშესაფარი მოგვეძებნა. ეს საქმე ჩვენმა გამოცდილმა კვარტირიერმა ბეგიმ იკისრა. ცალ-ცალკე ბინებში გაფანტვა სახიფათო იყო და ოციოდე ოფიცერი ვიღაც რუმინელი მასწავლებლის სახლში მოვეწყვეთ. თვითონ მასწავლებელი ჯარში იყო და მისი ახალგაზრდა მეუღლე მარინიცა გვიმასპინძლდებოდა. მართალია, იგი დიდი არაფერი მარიხ-ვარსკვლავი იყო, მაგრამ ბეგიმ მაინც დაადგა თვალი მარმაშის კაბაში გამოკოპწიავებულ „აფროდიტეს“ და ერთი-ორი „ფრანგული“ კომპლიმენტიც დაატაკა. ის „დელფინაც“ გაეთამაშა რუმინულად მოლაპარაკე ახოვან ოფიცერს და... მასპინძლობამაც უფრო გულითადი ხასიათი მიიღო:

ტანკისტებმა ყველაფერი ამოყარეს ზურგჩანთებიდან, რაც კი სურსათი გააჩნდათ. თუნუქის მათარებსაც მოხსნეს თავი და „პილატეს ცრემლების“ შრობას შევუდექით. იმ კეკლუცმა მასპინძელმაც, ეტყობოდა, უფრო ბეგის ხათრით, დიდი გულუხვობა გამოიჩინა და ოჯახური ეშხი შემატა ჩვენს ჯარისკაცურ სუფრას...

ვახშამი კარგა ხანს გაგრძელდა. ოფიცრები შეზარხოშდნენ და ახმაურდნენ. ბეგიმ ხომ სულ აიწყვიტა. ჯერ რომ თვითონ დალია, მერე ერთი-ორჯერ თავის „დელფინასაც“ გადააკვრევინა და მამაკაცთა როხროხს იმ კალთამადლიერი მარინიცას თავშეუკავებელი კისკისიც შეუერთდა. გამხიარულებული ბეგი სულ „ანტრეკოტებით“ უნასპინძლდებოდა თავის „აფროდიტეს“ და საქმე, პერსპექტივაში მაინც, მოგვარებულად მიაჩნდა.

მერე ვიღაცამ „Ей, ухнем“ წამოიწყო, რასაც საფრონტო რეპერტუარის აუცილებელი ნომერი „Выходила на берег Катюша“ მოჰყვა. ამ სიმღერამ მარინიცაც ააღიღინა, რამაც ბეგი სულ ცაში ააფრინა.

დრო რომ გავიდა, მან სრულიად „სკრუპულოზური“ კითხვა დაუსვა მარინიცას, რითაც, თავისი ჭკუით, მაშინვე „დაუახლოვდა საქმეს“.

— რამდენი ხანია თქვენი ქმარი ფრონტზეა?

— ორი წელი, — მიუგო ქალმა.

— უჰუ, ჰუუ! — ისე შეიცხადა ბეგიმ ეს ამბავი, თითქოს მის თავზე რამე უბედურება დატრიალებულიყოს.

— რა გათმენინებს, ქალო, მერე ამდენ ხანს უქმროდ? — მიუსამძიმრა ნან „საწყალ დელფინას“.

მარინიცა სულაც არ ჰგავდა მოთმინებით დატანჯულს. არც ბეგის „სკრუპულოზურ“ კითხვაზე შემცბარა, პირიქით, ერთი გულიანად გადაიკისკისა და ბეგის ისეთი რამ უჩურჩულა ყურში, რომ მისმა როხროხმა კინაღამ ჭერი ჩამოანგრია.

ვიღაც შურიანმა ოფიცერმა უმალ ნიაგესლა „თითქმის გამარჯვებულ“ ბეგის, შენი დელფინა უწინ ალბათ ფრიცების აუზში ცურაობდაო.

ბეგიმ ეს არ იწყინა, არც მისმა „გულის ყველამ“, რომელსაც ბეგიმ უთარგმნა იმ ოფიცრის ნათქვამი.

— აბა, მაგას რა ჰგონია, ქალებს გამარჯვებულები უყვართ, — შეაგება მარინიცამ გაბედული პასუხი და ბეგის ზურგზე მოუტყაპუნა ხელი.

ბეგი სიამოვნებისაგან გაინაბა...

... ვახშამი რომ დამთავრდა, მაგიდა გარეთ გაიტანეს, იატაკზე ხალიჩები დააგეს დ ჩვენც ჭერეხივით დავეყარეთ ტანგაუხდელნი ერთმანეთის გვერდიგვერდ ისე, რომ გასანძრევი ადგილიც აღარ იყო. ბეგი ჯერ „რატომღაც“ ფეხს ითრევდა, არ მეძინებაო, მაგრამ მერე საერთო წესის დარღვევას მოერიდა და წინდახედულად ზედ კართან დაწვა... დაკვირვებული თვალი ადვილად მიხვდებოდა, რომ ესეც მასპინძელთან შეთანხმებით ნოხდა... ვიღაც ეხუმრა კიდეც ბეგის, შენ სადღაც გასაპარავად ემზადებიო, მაგრამ ბეგიმ ამას თითქოს არც მიაქცია ყურადღება... მერე სინათლე ჩააქრეს და დაქანცული ოფიცრები მაშინვე ტანკებივით ახრიალდნენ. ვისაც შეეძლო ასეთ ხმაურში ძილი, ჩაეძინა კიდეც, ვისაც არა, უცდიდა, თუ როდის მიეჩვეოდა ამ ხრიალს...

ერთხანს მეც არ დამეძინა. მერე ცოტათი წავთვლიმე. მაგრამ მძინარეთა ხვრინვამ ისევ მალე გამომაღვიძა. ჩემ გვერდით პოლკოვნიკი იწვა, იმასაც არ ეძინებოდა, შემომჩივლა: დალხვროს ღმერთმა, ამდენი ხანია ტანკების გრუხუნში ვარ, თითქოს შევეჩვიე ხმაურს, აქ კი ძილი მაინც არ მეკარებაო.

მერე ხელზე ხელი მკრა, კარისაკენ მანიშნა და მიჩურჩულა, ხედავ, იქ რა ამბები ხდებაო. ბნელში ძლივს გავარჩიე, რომ იმ კოპწია მასპინძელს ბეგის გვერდით მოეკალათებინა. შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ეჩხირებოდაო, რომ იტყვიან, ისეა, თორემ იმ პოლკოვნიკს ბეგის „ვარდთან“ რა ესაქმებოდა, რომ ვეღარ მოითმინა და ვითომ ეხუმრა:

— კაპიტანო, აბა, ეგ შენი ნადავლი ახლა აქეთ გადმოისროლე!..

იმ მართლაც რეგვენმა ბეგიმ ეს ხუმრობა ბრძანებად მიიღო, თვალის დახამხამებაში წამოხტა, თავის ოდნავ შემოსილ „დელფინას“ ხელი დაავლო და სტენკა რაზინივით ისროლა ოთახის შუაგულისაკენ...

ქალმა იკივლა, მერე წამოხტა, მძინარე ოფიცრებს ტანზე გადაურბინა და გავარდა გარეთ.

ოთახში პანიკა შეიქნა. ყველა ფეხზე დადგა. სინათლე აანთეს. ეგონათ განგაშია. ვიღაცამ დაიძახა კიდეც:

— По коням! — და ის იყო ქუჩაში უნდა გაცვენილიყვნენ, რომ პოლკოვნიკმა შეაჩერა:

— Отставить!..

იგი სიცილით იგუდებოდა და ვერ ახერხებდა სხვებისათვის აეხსნა, თუ რა მოხდა... დაფეთებული ბეგი გაოგნებული აცეცებდა თვალებს, ეს რა დავიდარაბა ავტეხეო. მერე იმ პოლკოვნიკმა, როგორც იქნა, ყველა დაამშვიდა და... ახლა ოფიცრებმა ისეთი როხროხი მორთეს, რომ სირცხვილის ოფლში გაწურულმა ბეგიმ არ იცოდა სად გაპარულიყო...

ვიდრე ისევ დავლაგდებოდით, კარგა ხანი გავიდა. ძილი ხომ შეუძლებელი გახდა. ერთხანს გაჩუმებას ვცდილობდით, მაგრამ ვიღაცას უცებ მაინც წასკდებოდა სიცილი, მერე იმას სხვებიც აჰყვებოდნენ და იყო ერთი ალიაქოთი...

ბეგი კი სადღაც გაქრა, ცხადია, თავის დელფინიანად...

დამხობილი „კონდუკატორე“...

მეორე დღეს ისევ განვაგრძეთ გზა. რუმინელებს წინააღმდეგობის თავი აღარა ჰქონდათ. 22 აგვისტოს დღის ხუთ საათზე მარშალი ანტონესკუ, უკვე საბოლოოდ მოტეხილი,

ფრონტიდან ბუქარესტში დაბრუნდა და ეახლა მანამდე მის მიერ სრულიად უგულებელყოფილ მეფე მიხაის, მაგრამ გვიანღა იყო: ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელები ის იყო მეფეს შეთანხმებოდნენ, რომ ანტონესკუ გადაეყენებინათ, რათა ამით ხელები გახსნოდათ თავისუფალი მოქმედებისათვის. უკვე აღარც თვითონ ანტონესკუ ხედავდა ზავის გარდა სხვა გამოსავალს. ფრონტიდან დაბრუნებისთანავე უთქვამს კიდეც, ზავი აუცილებელიაო. მას ემისარიც გაეგზავნა ჟენევაში საბჭოთა ელჩ კოლონტაისთან მოსალაპარაკებლად. რა იცოდა, რომ ამ საკითხზე მასთან არც ისურვებდნენ ლაპარაკს. მეფესაც არ უნდოდა საზავო მოლაპარაკების საქმეში ანტონესკუ ჩარეულიყო. აღარც იონ ანტონესკუ იკლავდა თავს ძალაუფლებისათვის. შექმნილი ვითარებიდან „მშრალად გამოსვლა“ უნდოდა, სხვა არაფერი, ეს კი მეფე მიხაის წისქვილზე ასხამდა წყალს. აქამდე ხომ მისი მეფობის საკითხი ფიქტიური იყო თავნება „კონდუკატორეს“ ხელში, ახლა კი თითქოს კარგი ამინდი დაუდგა. მეფეს მხარს უჭერდა ოპოზიცია. ხალხი კი ბობოქრობდა: მას არც „კონდუკატორე“ უნდოდა და არც მონარქისტული რეჟიმი. დემოკრატიული ძალები თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. კომუნისტური პარტია დიქტატურის დამხობას მოითხოვდა. ვულკანი ამოფრქვევაზე იყო და მეფეც იძულებული გახდა უფრო აქტიურად ემოქმედა.

ჰიტლერი ვერ ეგუებოდა, მისი პარტნიორები რომ თავიანთ ძალაუფლებას სხვებს უყოფდნენ. ეს მან მუსოლინისაც არ აპატია. სულ იმას გაიძახოდა, მონარქიამ თავისი დრო მოჭამაო, მაგრამ დუჩე მაინც დარჩა სავოიის სასახლის „სრულუფლებიან ქვეშევრდომად“. მერე კიდევაც ემსხვერპლა ამას...

რუმინეთშიც იგივე განმეორდა.

— ბუნების კანონით, — ამბობდა ჰიტლერი, — ერის ყველაზე წარმოსადეგი ადამიანი ყველაზე გავლენიანიც უნდა იყოს სახელმწიფოში. რუმინეთის მაგალითს თუ ავიღებთ, იქ ასეთი ადამიანი ანტონესკუა, მაგრამ იგი მეორე ადგილზეა. პირველზე კი — თვრამეტი წლის მეფე მიხაი. ეს შეიძლება ცუდად დამთავრდეს.

ასეც მოხდა.

23 აგვისტოს, როცა ჩვენი არმიები უკვე პლოეშტს უახ-

ლოვდებოდნენ, მეფემ იხმო იონ ანტონესკუ. დღის ოთხ საათსა და ორმოც წუთზე იგი შევიდა მეფის სასახლეში, ხოლო მისი ერთგული გენერლები — სახელმწიფო უშიშროების უფროსი ქრისტესკუ და ჟანდარმერიის მეთაური ტომესკუ — სასახლის გარეთ დარჩნენ „ყოველი შემთხვევისათვის“.

ანტონესკუმ მეფეს განუცხადა ზავი აუცილებელიაო. მეფემ იგი თავის კაბინეტში დატოვა და მეზობელ ოთახში გავიდა, ვითომ ვიღაცეებთან სათათბიროდ. ანტონესკუმ არ იცოდა, რა მოელოდა. მეფე კი ქალაქ ბუქარესტის „ოპოზიციონერ“ კომენდანტს გენერალ სანატესკუს ელაპარაკებოდა. იქვე იმყოფებოდა კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა ჯგუფი ბოდნარაშის მეთაურობით.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეფე ისევ დაბრუნდა თავის კაბინეტში და ანტონესკუს განუცხადა, თქვენი მთავრობა დათხოვნილიაო. გავიდა ორიოდე წუთი და... იგი დააპატიმრეს კიდეც, მერე — სამხედრო მინისტრი ფანტაზი და შინაგან საქმეთა მინისტრი ვასილიუც. შედგა ახალი მთავრობა. პრემიერ-მინისტრად გენერალი სანატესკუ დაინიშნა, საგარეო საქმეთა მინისტრად — ნიკოლესკუ-ბუცეშტი, ოთხი ოპოზიციური პარტიის მეთაურები — მანიუ, ბრატიანუ, პეტრესკუ და პატრაშკანუ — უპორტფელო მინისტრებად...

... სასახლის გარეთ კი ქრისტესკუ და ტომესკუ ამაოდ უცდიდნენ თავიანთ „კონდუკატორეს“, იგი „იგვიანებდა“. ამან შეაშფოთა ორივე გენერალი. ერთხანს კიდევ უცადეს, მერე გერმანიის ელჩ კილინგერთან გაიქცნენ და აცნობეს, ანტონესკუ მგონი დააპატიმრესო. კილინგერმა არ დაიჯერა. იგი ადრეც იყო გაფრთხილებული, ასეთი რამ მოსალოდნელიაო, მაგრამ არავითარი ზომა არ მიუღია. ახლა კი ყველაფერი წინ დაუხვდა.

ღამის ათ საათზე ბუქარესტის რადიომ გამოაცხადა მეფის მოწოდება არმიისადმი საბჭოთა ჯარებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შეწყვეტის შესახებ. იუწყებოდნენ, რომ რუმინეთმა მიიღო სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის ზავის პირობები. „დიქტატურა და ყოველგვარი ჩაგვრა დასრულდა“, — აცხადებდა ასე მოულოდნელად „გადემოკრატებული“ მეფე...

... გვიან ღამით კილინგერი სასახლეში იხმეს. მეფე მიხაიც წარმოშობით გერმანელი იყო — ჰოჰენცოლერი, მაგრამ რა უნდა ექნა. პირადი სიმპათიები საქმეს ვეღარ უშველიდა. ამიტომაც განუცხადა მან კილინგერს:

— მე როგორც ჰოჰენცოლერი ძალიან ვწუხვარ ამას, მაგრამ საქმის ვითარება მაიძულებს ვთხოვო ბატონ ფონ კილინგერს აცნობოს იმპერიის მთავრობას, რათა დაუყოვნებლივ გაიყვანოს გერმანიის ჯარები რუმინეთის ტერიტორიიდან.

ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოლესკუ-ბუზეშტიმ მაშინვე დაიბარა გერმანიის დესპანი და გადასცა ცნობა ჰიტლერის იმპერიასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ...

... ამასობაში Cale Victoria № 10-ში, გერმანიის საელჩოს შენობაში, თავი მოიყარეს გერმანიის ჯარების თავგზააბნეულმა სარდლებმა. აქვე იყვნენ გენერლები ჰანზენი, გერსტენბერგი და ადმირალი ტილესენი. სატელეფონო კავშირი გადაჭრილი იყო. აღარ იცოდნენ რა ექნათ. კილინგერი შეშფოთებული დაბრუნდა მეფის სასახლიდან, მერე გერსტენბერგი გაიყოლა და რუმინეთში გერმანიის საჰაერო ძალთა უფროსის, გენერალ კრაიპერის შტაბში წავიდნენ. იქ მათ კრაიპერს წინადადება მისცეს დაებომბათ ქალაქი ბუქარესტი. ამის შემდეგ, მათი აზრით, პლოეშტის საზენიტო არტილერიის დივიზიონს რუმინეთის დედაქალაქი უნდა დაეკავებინა. ეს განკარგულება, როგორც ჩანს, ერთმანეთთანაც არ ჰქონდათ შეთანხმებული. ამიტომ იყო, რომ სანამ კილინგერი და გერსტენბერგი დაბრუნდებოდნენ, გენერალმა ჰანზენმა უკვე მიიღო რუმინეთის ახალი მთავრობის წინადადებანი... თუმცა არც ამ გადაწყვეტილებას ჰქონდა რამე ძალა: მთავარი ის იყო, ბერლინიდან რა განკარგულება მოვიდოდა...

... 23 აგვისტოს ღამის ათ საათზე ჰიტლერმა მთავარ შტაბში გაიგო არმიისადმი რუმინეთის მეფის მიმართვის ამბავი. მერე ეს მას გენერალმა კრაიპერმაც აცნობა. ფრისნერმა დაურეკა, რუმინელები შეგვპირდნენ, თქვენი არმიის ნაწილებს ხელს არ ვახლებთო. გაცოფებული ჰიტლერი ამან ვერ დაკ-

მაყოფილა. მან განკარგულება გასცა „აღედგინათ ბუქარესტში სიმშვიდე“. ღამით იოდლმა დაურეკა კილინგერს და ჰიტლერის სახელით დაავალა დაუყოვნებლივ ჩაექროთ აჯანყება. ფრისნერმა ამის შესახებ დუმიტრესკუს აცნობა, მაგრამ რუმინეთის „არმიის“ სარდალმა გადადგომა გადაწყვიტა. მართალია, ფრისნერმა უყვირა, ეს ფიცის გატეხაა, მაგრამ დუმიტრესკუმ, როგორც ჩანს, თავის გატეხას ფიცის გატეხა არ-ჩია...

... ჰიტლერი კი ისევ ბობოქრობდა და უკვე ისედაც გადაპარსულ თავს ხელახლა პარსავდა ანტონესკუს: აგინებდა, ემუქრებოდა კიდეც. აღარც ის ახსოვდა, უწინ რომ ამბობდა „რუმინეთის ამ უდიდეს ადამიანზე“: „ანტონესკუ მოწოდებით ჯარისკაცია და, თუ იგი ერთხელ შედგა პიედესტალზე, ვერავინ ჩამოაგდებსო“. ახლა ამ „ჩამოგდებულ დიქტატორს“ ჩვარს, დამპალსა და მცონარას უწოდებდა. გულში მჯიღს ირტყამდა, ასეთი მოკავშირეების ყოლას სულ მარტო ყოფნა მირჩევნიაო. თან წარამარა განკარგულებებს იძლეოდა. იოდლი ციბრუტივით ტრიალებდა და გადასცემდა მის ბრძანებებს.

— დაუყოვნებლივ ჩააქრეთ აჯანყება! — მიიღო დავალება გენერალმა ჰანზენმა.

— ვეცდებით, რაც შეგვიძლია, — უპასუხა მან იოდლს.

— დაბომბეთ ქალაქი ბუქარესტი! — განკარგულებას იძლეოდა იოდლი: — ასე ბრძანა ფიურერმა...

რუმინეთის ახალი მთავრობის შედგენა რომ გაიგო, ჰიტლერი სულ გაცეცხლდა.

— დააპატიმრეთ მეფე მიხაი და მისი მთავრობა! — იყვირა მან. მერე თავისი ერთგული მთავრობის შექმნა სცადა, მაგრამ პრემიერ-მინისტრის კანდიდატიც ვერ შეარჩია. რუმინეთის ბერლინელ ელჩს გენერალ გეორგეს მისცეს წინადადება, მაგრამ მან უარი თქვა. მერე ერთ დროს სიკვდილმისჯილი, „რკინის გვარდიის“ ყოფილი მეთაური ხორია სიმა გაიხსენეს. 1941 წელს იგი ანტონესკუს წინააღმდეგ აჯანყების ცდის გამო დააპატიმრეს და გერმანიაში გაგზავნეს. ერთი წლის შემდეგ ხორია სიმა ციხიდან გაიქცა და იტალიაში გადავიდა, მაგ-

რამ ჰიტლერის ერთგულმა მუსოლინიმ იგი უკანვე ჩააბარა გერმანელებს. აქ ხორია სიმა და მისი ლეგიონერები ბუხენვალდისა და დახაუს საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს. ახლა კი, როცა დასჭირდათ, გამოიყვანეს და რუმინეთის ახალი მთავრობის შედგენა დაავალეს.

ვიდრე ამას ხორია სიმა მოახერხებდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა...

... „გერმანული ბუქარესტი" ვეღარ უმკლავდებოდა რუმინეთის არმიის მოწოლას. მართალია, არმიათა ჯგუფ „სამხრეთ-აღმოსავლეთის" სარდალმა გენერალ-ფელდმარშალმა ვაიჰსმა განკარგულება მიიღო ბელგრადიდან ბუქარესტისაკენ დაეძრა თავისი ჯარის ნაწილები, მაგრამ ესეც გვიან იყო. მერე საქმეში პრინცი ალბრეჰტ ჰოჰენცოლერიც ჩაერია, ვერც ამ ოინმა გაჭრა. 24 აგვისტოს დილით რუმინულმა ნაწილებმა ალყა შემოარტყეს გერმანელთა შტაბებს ბუქარესტში და ჩაკეტეს ოტელი „ამბასადორი", სადაც ამ შტაბთა მეთაურები იმყოფებოდნენ. ხსნა არსაიდან იყო. პლოეშტის საზენიტო არტილერიის დივიზიონი მხოლოდ მაშინ იწყებდა შეკრებას, მერე სამიოდე კილომეტრიც წაიწიეს ბუქარესტისაკენ, მაგრამ გერმანელების საქმეს ეს რას უშველიდა, თუნდაც გენერალ გერსტენბერგის ეშმაკობა: მან ჯერ „პატიოსანი სიტყვა მისცა რუმინელებს, ქალაქიდან არ გავალო, მაგრამ, თავი დააღწია თუ არა ალყას, მაშინვე ბანაშის აეროდრომისაკენ გაქანდა...

... დილის თერთმეტ საათზე 150 გერმანული ბომბდამშენი აფრინდა ბუქარესტის გარშემო განლაგებული საჰაერო ბაზებიდან და ყუმბარები დააყარა ქალაქს. დაბომბეს მეფე მიხაის სასახლეც. შეშინებული მეფე და დედამისი ელენე ქალაქიდან გაიქცნენ, მერე კი პრინცესა ელისაბედის სასახლეს შეაფარეს თავი კისელიოვის შოსეზე.

ბუქარესტის დაბომბვა პოლიტიკური სიგიჟე იყო, ამბობდნენ შემდეგ თვითონ გერმანელები.

მართლაც, ამ დაბომბვით შეურაცხყოფილმა მეფემ ომი გამოუცხადა თავის გუშინდელ მოკავშირე გერმანიას. ამოქ-

მედდა გენერალ იონესკუს 40-ათასიანი კორპუსი, რომელიც შეიარაღებული იყო გერმანული მძიმე ტანკებით — „ვეფხვებით“. ამ კორპუსმა ბუქარესტის მისადგომებზე ადვილად სძლია პლოეშტის საზენიტო არტილერიის დივიზიონი. ვერც საპარაშუტო ბატალიონი „ბრანდენბურგი“ გახდა რამეს. რუმინელებმა მტკიცე რკალი შემოარტყეს თავიანთ დედაქალაქს. ამის საპასუხოდ გერმანელებმა საჰაერო დესანტები გადმოსხეს და რეზერვებიც გადმოისროლეს, მაგრამ ბუქარესტის რკალი მაინც ვერ გააღწიეს. სხვაგანაც სცადეს დაცვის დროებითი ხაზების გამაგრება, მაგრამ უშედეგოდ. ჰიტლერი ამაოდ ცდილობდა „არ დაეთმო“ პლოეშტის მდიდარი ნავთობსაბადოები. კაიტელი ამბობდა ნიურნბერგში, რუმინეთის ნავთის გარეშე ჩვენ ერთ კვირასაც ვერ გავძლებდითო. ამიტომაც ცდილობდნენ როგორმე შეენარჩუნებინათ პლოეშტი, მაგრამ საბჭოთა არმიის შენაერთებმა ელვისებური დარტყმებით აიძულეს ისინი შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და გაქცეულიყვნენ. იქ კი, სადაც ალყა ჰქონდათ შემორტყმული, ერთხანს იბრძოლეს, მაგრამ შემდეგ მაინც დაყარეს იარაღი. 29 აგვისტოს კიშინიოვის მიდამოებში მომწყვდეული ძალებიც დანებდნენ. რუმინელთა მესამე არმია ჩვენმა 46-ე არმიამ მიარეკა ზღვის ნაპირას და იარაღი აჰყარა. ამ დიდ კატასტროფულ მარცხს უკვე აღარ მალავდა გერმანია. გამოაცხადეს კიდეც, ეს იყო ყველაზე დიდი მარცხი მთელი ომის განმავლობაშიო. მართლაც, აქ გერმანიამ და რუმინეთმა დაკარგეს 26 დივიზია ღა 60 ცალკე ნაწილი, მოკლულ იქნა ან ტყვედ წამოყვანილი იყო 256 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი...

... შეტევა კი ისევ ელვისებური სისწრაფით ვითარდებოდა. ჩვენი ფრონტის შენაერთები პირდაპირ შეიჭრნენ ფოკშანში, ხოლო შემდეგ — პლოეშტში. 31 აგვისტოს 53-ე არმია ბუქარესტში შევიდა. გერმანიის საელჩოს შენობაში იმ დროს ექვსასამდე კაცი იყო. მხოლოდ ორმა გენერალმა მოასწრო გაქცევა. ელჩმა კილინგერმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, რატომღაც ჯერ თავისი მდივანი, ახალგაზრდა ქალიშვილი პეტერსენი მოკლა რევოლვერით, მერე კი თვითონაც მოიკლა თავი.

31 აგვისტოს ღამით რუმინეთის ახალი სამხედრო მინისტრი ბოდნარაში მოვიდა და ყარაული გამოცვალა. შინაგან საქმეთა მინისტრმა გერმანელებს შენობა დააცლევინა და ისინი სამხედრო სკოლა „მიხაი ვიტიაზულის“ შენობაში გადაიყვანა. გერმანიის მთავრობამ თავისი „ინტერესების“ დაცვა შვეიცის საელჩოს მიანდო...

ნალმოსანი მეტეორები...

იმ დღეებში ჩვენი „რადიოოთანი“ განუწყვეტლივ მუშაობდა. 24 საათის განმავლობაში მორიგეობდნენ „დამჭერები“. პაოლო ყოველდღე ადგენდა ბიულეტენებს. სარდლობას ახალ-ახალი ამბები მისდიოდა. ცნობისმოყვარეთა ინტერესებიც დაკმაყოფილებული იყო: როგორც იქნა, გაიხსნა მათი სანუკვარი „მეორე ფრონტი“. დარწმუნებული იყვნენ, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ერთდროულად დაძრული ნიაღვარი სულმთლად წალეკავდა ჰიტლერელებს. ამას გრძნობდნენ ჰიტლერელი გენერლებიც. ნიაღვარებამ იმატა. დასავლეთის ფრონტის სარდალმა რუნდშტედტმა და ფელდმარშალმა რომელმა კატეგორიულად მოითხოვეს შეხვედრა ჰიტლერთან. საჭირო იყო რადიკალური პოლიტიკური ზომების მიღება კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

ჰიტლერს არ უყვარდა ფრონტებისა და არმიათა ჯგუფების სარდლებთან თათბირი. მას ჰყავდა თავისი წრე ნაცისტი გენერლებისა, სადაც შედიოდნენ კაიტელი, იოდლი და ესესელთა ხელმძღვანელები; ჰიტლერი ყოველდღე ეთათბირებოდა მათ და ისე გზავნიდა ფრონტებზე დირექტივებს. კაიტელი და განსაკუთრებით იოდლი ისეთ მოხსენებას უდგენდნენ „ფიუერერს“, როგორიც მას ესიამოვნებოდა. კატასტროფა კი ახლოვდებოდა და ჰიტლერი იძულებული გახდა დათანხმებოდა რუნდშტედტსა და რომელთან შეხვედრას...

... ეს შეხვედრა 17 ივნისს გაიმართა ჰიტლერის ძველ საკომენდანტო პუნქტში, მარჟივარეში, მუასონსა და ლაონს შუა. გაგულისებული ჰიტლერი ერთ ნაბიჯსაც არ უთმობდა

თავის ფელდმარშლებს. რომელის შენიშვნამ, ომის მოგება სამხედრო თვალსაზრისით შეუძლებელია და საჭიროა რამე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაო, ჰიტლერი გააცოფა.

— თქვენ სამხედრო საკითხებზე იფიქრეთ და პოლიტიკაში ნუ ერევით, — უყვირა მან ფელდმარშალს. ჰიტლერი ჰპირდებოდა მათ არარსებულ დანხმარე ძალებსა და ახალ სასწაულმოქმედ იარაღს, რომელიც „ერთბაშად შეიტანდა გარდატეხას ომის მსვლელობაში". ჰიტლერს მხედველობაში ჰქონდა რეაქტიულძრავიანი უპილოტო თვითმფრინავ-ყუმბარა „ფაუ-1", რომლის მართვა სასტარტო პულტიდანვე ხდებოდა.

„Vergelfungswaffe", ანუ „შურისძიების იარაღი", მართლაც, გამოხატავდა იმას, რასაც სახელწოდება აღნიშნავს. ეს ისეთი საჰაერო ურჩხული იყო, რომლის მსგავსი ზღაპრად თუ გაუგონია კაცს. ინგლისელი სამხედრო ისტორიკოსი ჯ. ფულერი ჯერ კიდევ 1931 წელს წინასწარმეტყველებდა ისეთი მფრინავი რობოტების შექმნას, რომელთაც ჰაერში რადიოთი მართავენ. მისი ჩამოგდება მხოლოდ პირდაპირი მოხვედრით შეიძლება. ასეთი რობოტები ყოველგვარი სულისა და ნერვების გარეშე უშიშრად გაემართებიან მიზნისაკენ და დალეწავენო მას.

— მათი შეტევა საშინელებას დაატრიალებს, — წერდა ფულერი: — ისინი ხომ ბრმები და ყრუ-მუნჯები იქნებიან, მხოლოდ ფოლადისა და ასაფეთქებელი მასალისაგან შედგარნი. მათ არც განრისხება ეცოდინებათ, არც სიხარული და, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც სიკვდილსა და საშინელებას დათესავენ...

ეს, მართლაც, ძველთაძველ მითებსა ჰგავს ცეცხლისმფრქველი ურჩხულების შესახებ, რაც 1944 წლის 17 ივნისს სინამდვილედ იქცა. იმ დღეს პირველი „ფაუ" გასკდა ინგლისში და ამან მოსახლეობის საერთო შეშფოთება გამოიწვია. აბა, რა იქნებოდა, როცა გამოჩნდა იარაღი, რომელსაც ვერც მოერევი, ვერც შეაშინებ და ვერც განზრახვას შეაცვლევინებ. ადრე ადამიანი ებრძოდა ადამიანს, ახლა კი ამ ფოლადის ურჩხულებთან მოუხდა შეტაკება. მართალია, ადამიანს შეეძ-

ლო დაემსხვრია და დაელეწა იგი, მაგრამ ვერ მოკლავდა და ვერც შეაშინებდა...

ჰიტლერი ამ „სასწაულმოქმედ იარაღზე“ ამყარებდა თავის იმედებს „მეორე ფრონტის“ გახსნის შემდეგაც...

... „მფრინავი ურჩხულების“ იმედი პირველი მსოფლიო ომის მიწურულშიაც ჰქონდათ კაიზერის მილიტარისტებს. რაკეტულ ძრავათა სპეციალისტები ჰერმან ობერტი, რუდოლფ ნებელი და კლაუს რიგელი გამალებით მუშაობდნენ, რათა ახალი „ზღაპრული ძალის იარაღით“ ეხსნათ გერმანული არმია კატასტროფისაგან, მაგრამ ვერ მოასწრეს. მერე კი ვერსალის ზავის მკაცრმა კანონებმა შეზღუდა სარაკეტო ტექნიკის შენდგომი განვითარება.

30-იან წლებში, როცა ევროპაში ისევ ომის სუნი დატრიალდა, ბერლინის მახლობლად, რაინიკედორფში, შეიქმნა რეაქტიულ ძრავათა საცდელი სპეციალური პოლიგონი, რომლითაც ამერიკელი მრეწველი ჰენრი ფორდიც დაინტერესდა: იგი საგანგებოდ ჩავიდა რაინიკედორფში და სარაკეტო ტექნიკის განვითარების დაფინანსების საკითხი მოაგვარა. მალე რაიხსვერიც ჩაება ამ საქმეში. საცდელი პოლიგონის ხელმძღვანელებად პოლკოვნიკი ბეკერი და ინჟინერი დორნბერგერი დაინიშნენ. მათი თავდაპირველი ამოცანა ის იყო, რომ კრუპის ქარხნებში დამზადებული უზარმაზარი ზარბაზნების „დიდი ბერტას“ ჭურვების ტრაექტორია ორჯერ გაედიდებინათ.

„დიდი ბერტა“ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს 125 კილომეტრის სიშორიდან ურტყამდა პარიზს. რაინიკედორფის რაკეტადრომზე კი 200—300 კილომეტრის დასაძლევად მუშაობდნენ. რუდოლფ ნაბელისათვის მაშინ ეს ოცნება იყო, ხოლო მისი „ფანტაზიორი თანაშემწე“, ჯერ კიდევ სტუდენტი ვერნერ ფონ ბრაუნი უკვე საპლანეტათშორისო რაკეტული ხომალდების აგებაზე ფიქრობდა. პიროტაჟი გაძლიერდა. რაკეტადრომი გააფართოვეს. შეიქმნა ამ საქმის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების საერთაშორისო ორგანიზაცია „ჯიქი“, რომელიც ჰიტლერის ბიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე დაშალეს. ყავისფერი დიქტატორი სრულიადაც

არ ფიქრობდა რაკეტების მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებაზე. ამიტომ ყველაფერი დაასაიდუმლოვეს. გაიხსნა ახალი პოლიგონებიც. 1750 მეცნიერი, რომლებიც ამ „საიდუმლო იარაღზე“ მუშაობდნენ, ესესის ორგანიზაციაში მიიღეს. მათ სათავეში ედგა სრულიად ახალგაზრდა, 23 თუ 24 წლის „გენიოსი ყმაწვილი“ ვერნერ ფონ ბრაუნი, რომელსაც ტექნიკის დარგის დასაიდუმლოებული შრომისათვის დაცვის ყოველგვარი პროცედურის გარეშე მიენიჭა... „ფილოსოფიის დოქტორის“ ხარისხი. რამდენიმე ხნის შემდეგ, კვლავაც საზოგადოების თვალის ასახვევად, ბრაუნს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხიც უბოძეს, ვითომ ტექნიკურ, რაკეტულ ძრავებთან ამ „ფილოსოფოსსა“ და „ბუნებისმეტყველს“ არაფერი აქვსო საერთო. სინამდვილეში კი ბრაუნი მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე მუშაობდა. მასთან ერთად იყო 30 წლის „ფილოსოფიის დოქტორი“ კურტ ვაპკე, რომელიც 1934 წლის 16 ივნისს დაიღუპა პირველი მძლავრი რაკეტის გამოცდის დროს. ამის შემდეგ ბრაუნის მეტოქედ ნაბელი დარჩა. დატრიალდა ინტრიგა და ნაბელი ჯერ ვესტაპოში, ხოლო შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. ბრალდებად მას „დაბალი რასის“ წარმომადგენელ ალბერტ აინშტაინთან თანამშრომლობა წაუყენეს. რაკეტადრომების მბრძანებლად კი „უფრო მაღალი რასის“ წარმომადგენელი, არიელი არისტოკრატი ვერნერ ფონ ბრაუნი იქცა. ჰიტლერმა ამ 24 წლის ყმაწვილს ჩააბარა სარაკეტო საქმის მთელი სამეცნიერო-ტექნიკური ხელმძღვანელობა. კუნძულ პენენიუნდეში მისთვის გაიხსნა ახალი დიდი რაკეტადრომი, რაც 300 მილიონი მარკა დაჯდა. ეს კუნძული გერინგმა შეიძინა. ბრაუნმა მისგანვე 20 მილიონი მარკის დოტაცია მიიღო. სამხედრო ავიაციის ხელმძღვანელები ძალ-ღონესა და სახსრებს არ ზოგავდნენ ამ „სასწაულმოქმედი იარაღის“ შესაქმნელად.

ფულებში ყელამდე ჩაფლულმა ბრაუნმა თავის გარშემო შემოიკრიბა საუკეთესო საინჟინრო-ტექნიკური ძალები. გაიხსნა 30 სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. შედეგებმაც არ დააყოვნეს. 1937 წლის 5 ნოემბერს ჰიტლერმა საგანგებო თათბირი მოიწვია „სპეციალური დანიშნულების იარაღის“ წარმოების თაობაზე. თათბირს ესწრებოდნენ:

გერინგი, ბლომბერგი, ფრიჩი, რედერი, ნოირატი და გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ჰოსბახი. ორი წლის შემდეგ ჰიტლერმა ბეკერის თანხლებით, რომელიც მაშინ უკვე გენერალ-ლეიტენანტი იყო, რაკეტადრომი დაათვალიერა. ფიურერს განმარტებებს აძლევდა ვერნერ ფონ ბრაუნი. ჰიტლერი აღტაცებული დარჩა მერაკეტეთა მიღწევებით. ეს აღტაცება მას მთელი ომის განმავლობაში არ შენელებია და სულ ახალ-ახალი მიღწევების მოლოდინში იყო. ფანატიკურად სჯეროდა, რომ ომის მიმდინარეობაში ეს „სასწაულმოქმედი იარაღი“ შეიტანდა გარდატეხას...

.. ამასვე უმტკიცებდა ჰიტლერი რომელსა და რუნდშტედტს მარტივალეში, მუასონის მახლობლად შეხვედრის დროს, 16 ივნისს. იგი ჩინებულ ხასიათზე იყო და გამომწვევადაც ეჭირა თავი. კარტებიც წინასწარ ჰქონდა ჩაწყობილი: სწორედ იმ დღეს უნდა გაეშვათ რაკეტები ინგლისისაკენ. ჰიტლერი ეუბნებოდა თავის ფელდმარშლებს, დღესვე შეიტყობთ იმ სასწაულმოქმედი იარაღის ძალასო.

ამის თქმა კი მოასწრო და... მუასონი საშინელი აფეთქების ხმამ შეაზანზარა. ოთახში, სადაც ჰიტლერი ესაუბრებოდა რომელსა და რუნდშტედტს, ფანჯრები ჩაილეწა. ეგონათ საჰაერო თავდასხმაა და თავშესაფრებს მიაშურეს... მერე კი საოცარი ამბავი გამოირკვა: თურმე ინგლისისაკენ გაშვებული ერთ-ერთი პირველი „სასწაულმოქმედი“ იარაღთაგანი, „ფაუ-1“, მიზანს ასცდა და ზედ მუასონთან დაეცა.

განრისხებულმა ჰიტლერმა მაშინვე შეწყვიტა მოლაპარაკება და გამანადგურებელთა ძლიერი ესკორტის თანხლებით ბერხტესგადენისაკენ გაფრინდა. გაწბილებული ფელდმარშლები კი თავიანთ შტაბებს დაუბრუნდნენ...

... რაკეტული ციებ-ცხელება ისევ გრძელდებოდა. გერმანელებს რაკეტადრომებზე „ფაუ-1“-ის უკვე საკმაო მარაგი ჰქონდათ დაგროვილი. ამ ახალი იარაღის ნათლიაც ჰიტლერი იყო, მან „Vergeltungswaffe“, ე. ი. „შურისძიების იარაღი“ უწოდა მას. შეიძლება ვინმემ იკითხოს, რატომ შურისძიებისო? ესეც მანევრი იყო: ჰიტლერს უნდოდა ბრიტანეთის კუნ-

ძულებზე, პირველ რიგში კი ლონდონზე, მასირებული საჰაერო თავდასხმებით გაეტეხა ინგლისელების ნებისყოფა და გამოეყვანა ისინი იმიდან. ამისათვის ჯერ ჩვეულებრივი თვითმფრინავები იქნა გამოყენებული. გერმანიის აეროდრომებზე რამდენიმე ათასი „ჰაინკელი“ და „მესერშმიდტი“ მოიყვანეს „საბრძოლო მზადყოფნაში“. დაბომბვა ტოტალური ხასიათისა უნდა ყოფილიყო — განურჩევლად ობიექტებისა. ჰქონდა მათ სამხედრო მნიშვნელობა თუ არა. საამისო საბაბიც იყო საკმარო. ერთ-ერთ თათბირზე ჰიტლერმა განუცხადა თავის საჰაერო მეკობრეებს, საბაბს ამჯერადაც მე მოგცემთო...

... მისცა კიდეც! ეს იყო გაუგონარი პროვოკაცია: გერმანულ თვითმფრინავებს ინგლისური გამოსაცნობი ნიშნები გაუკეთეს და საკუთარი ქალაქი ფრაიბურგი დააბომბვინეს. გებელსის პროპაგანდისტულმა აპარატმა მთელ მსოფლიოს მოსდო „ინგლისელების მიერ ფრაიბურგის მშვიდობიანი მოსახლეობის ბარბაროსული დაბომბვის“ ამბავი. ჰიტლერმაც განაცხადა, გერმანიის ავიაცია საკადრის პასუხს გასცემს ბრიტანელ ბარბაროსებსო.

მეორე დღესვე ათასზე მეტი ბომბდამშენი გაემართა ინგლისისაკენ. ისიც გამოაცხადეს, პირველი თვითმფრინავი თვით გერინგს ეჰყავდაო. ამის შედეგი იყო ქ. კოვენტრის ტოტალური მოსპობა. ლონდონსაც დიდი განსაცდელი დაადგა, მაგრამ ინგლისის საჰაერო დაცვამ გაუძლო ამ განსაცდელს...

... მერე გერმანელთა მიერ პროვოცირებულ „შურისძიებას“ ნამდვილი ამერიკული შურისძიება მოჰყვა: ინგლისელების გულის მოსაოხებლად „დაკოვენტრებისათვის“ მათ ქალაქი კასელი ამოიღეს მიზანში. ეშმაკური ხერხიც იხმარეს:

ჯერ ასამდე ბომბდამშენი და გამანადგურებელთა რამდენიმე ესკადრილია გამოგზავნეს, რომელთაც ქალაქში უწესრიგოდ ჩამოყარეს ყუმბარები და სხვა მიმართულებით გაფრინდნენ. გერმანიის გამანადგურებლები ამ თვითმფრინავებს დაედევნენ და საჰაერო ბრძოლა გაუმართეს კასელიდან დაშორებით. ეს ფანდი იყო. ნახევარი საათის შემდეგ კასელს

ორი ათას ხუთასი მძიმე ბომბდამშენი დაესხა თავს. ყოველ ესკადრილიას თავისი კვარტალი ჰქონდა მიჩენილი. ბომბდამშენები მთელი საათის განმავლობაში „აუთოებდნენ“ ქალაქს, ვიდრე ბოლოიანად არ მოსპეს.

ტვინის ტრესტი...

კასელის „დაკოვენტრებით“ შვიდგზის „შურმიგებული“ გერმანელები დარწმუნდნენ, რომ ინგლისელებსა და ამერიკელებთან ასეთ საჰაერო დუელს ჩვეულებრივი ავიაციით ვერ მოიგებდნენ, და მთელი იმედი იმ ახალ „სასწაულმოქმედ იარაღზე“ გადაიტანეს. ეგონათ, მოკავშირეთა შემოტევას კონტინენტზე ამ იარაღით შევაჩერებთო. ამიტომ ნერვიულობდნენ, აჩქარებდნენ მერაკეტეებს. ვერნერ ფონ ბრაუნის „ტექნიკური ტვინის ტრესტი“ დღედაღამ მუშაობდა. თათბირი თათბირს წაეწყო. ჰიტლერს უჩვენეს ფილმი პირველი რაკეტული იარაღის გამოცდისა. ამ უზარმაზარი საჰაერო ურჩხულის ფრთების სიგანე 16 ფუტს აღწევდა, სიგრძე — 25-ს, სიჩქარე — 350 — 400 მილს საათში, ხოლო მოქმედების რადიუსი — 150 მილს.

1944 წლის ივნისის მეორე ნახევრიდან სექტემბრის მეორე ნახევრამდე, როცა ჩვენი მოკავშირეები შერბურის რაიონში თავიანთ პლაცდარმს აფართოებდნენ, ინგლისისაკენ 7400 ასეთი „ბოფრინავი მეტეორი“ გაუშვეს. აქედან, როგორც ამბობენ, 2300-მა ლონდონამდე მიაღწია და მნიშვნელოვანი ნგრევაც გამოიწვია. მართალია, არც ისეთი, როგორსაც მოელოდნენ, ბაგრამ მაინც. ინგლისელებმა მოახერხეს საჰაერო დაცვის რეორგანიზაცია და ლონდონისაკენ გაშვებულ რაკეტებს ჰაერშივე აფეთქებდნენ ან ქალაქის თავზე გაჭიმული ლითონის ღობეებით იჭერდნენ. ამან ჩაშალა ჰიტლერის ეს „საგანგებო ოპერაცია“, მაგრამ „გაპარსული ნადირები“ მაინც არ ისვენებდნენ. ჰიტლერმა ახლა „შურისძიების ახალი სასწაულმოქმედი იარაღით“ სცადა ინგლისის დაშინება...

... 1944 წლის 7 სექტემბერს გაშვებულ იქნა „ფაუ-2“. ეს უკვე მთელი კონვეიერი იყო საჰაერო ურჩხულებისა. სამხედრო სპეციალისტები წერენ: ატომური ყუმბარების აფეთქე-

ბამ ხიროსიმასა და ნაგასაკში ააცილა საზოგადოების ყურადღება ამ მართლაც საშინელ იარაღს, თორემ ის ტექნიკის უდიდეს საოცრებად ჩაითვლებოდაო იმ დროს.

მართლაც, წარმოიდგინეთ საბარგო მატარებლის მსგავსი საჰაერო ხომალდი, რომელიც 70 მილის სიმაღლეზე მიფრინავს საათში 3500 მილის სიჩქარით, ე. ი. ბგერაზე უფრო სწრაფად, ისე, რომ არც თვალით ჩანს და არც ხმა ისმის. არც არავინ მართავს მას ადამიანთაგან, გარდა სტაციონარული რადიოპულტისა გაშვების ადგილიდან.

ჩერჩილი მანამდე სრულიად სკეპტიკურად უყურებდა ჰიტლერელთა „რაკეტულ ისტერიას". ეს შეუწყნარებელი შეცდომა იყო. ინგლისელებს თავის დროზე ჰქონდათ მიღებული სრული ინფორმაცია პენემიუნდეს რაკეტადრომისა და „მფრინავი მეტეორების" შესახებ, მაგრამ ისევე უყურადღებოდ დატოვეს ეს ინფორმაცია, როგორც გერმანელებმა „ციცერონის" ცნობები „ოვერლორდის" შესახებ.

ეტყობა, ზედმეტმა ეჭვიანობამ და დეზინფორმაციის ფსიქოზმა იმათაც შეუშალა ხელი დროზე მიეღოთ ზომები ჰიტლერელთა „შურისძიების სასწაულმოქმედი იარაღის" წინააღმდეგ.

მართალია, ინგლისის პარლამენტმა სპეციალური კომისია დანიშნა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოხვდა კაიროსა და თეირანის საიდუმლო მასალები ჯერ თურქეთის საელჩოში, ხოლო შემდეგ გერმანელთა ხელში, მაგრამ, როგორც ჩანს, იდენის ავტორიტეტმა და გავლენამ ეს ძიება გაურკვევლობის ბურუსში გაახვია. მერე ეს ბურუსიც გაიფანტა, თუმცა დასჯით არავინ დაუსჯიათ. არც ე. წ. „ოსლოს დოკუმენტების" დანაშაულებრივ უგულებელყოფას მოუტანია რამე უსიამოვნება ჩერჩილისათვის...

... ეს იყო ქ. ოსლოში 1939 წლის ოქტომბერში. ღამით ვიღაც უცნობმა პირმა რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა ინგლისის საელჩოს შენობას და, რომ დარწმუნდა, არავინ მიყურებსო, მოზრდილი ამანათი ჩაუშვა სადარბაზო კარებზე მიკრულ საფოსტო ყუთში და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

მეორე დილით საელჩოს მუშაკებმა ყუთი გახსნეს და იპო-

ვეს „უცნაური ამანათი“, რომელსაც არც მისამართი ეწერა და არც გამომგზავნის სახელი. ამანათში გერმანულ ენაზე შედგენილი დოკუმენტები და რაღაც ნახაზები იდო. საელჩოს სამხედრო-საზღვაო ატაშემ, კონტრადმირალმა ჰექტორ ბოიზნა ლექსიკონების დახმარებით ძლივს ამოიკითხა ამ დოკუმენტების შინაარსი. ეს ისე მოულოდნელი იყო მისთვის, რომ, დამსწრეთა გადმოცემით, „მღელვარებისაგან კინაღამ გული შეუწუხდა“...

რამდენიმე საათის შემდეგ სპეციალურ თვითმფრინავს ეს დოკუმენტები ოსლოდან ლონდონში მიჰქონდა.

დაზვერვის სამმართველოში მოწვეულმა სპეციალისტებმა, მათ შორის ჩერჩილის პირადმა მრჩეველმა სამხედრო ტექნიკის დარგში, პროფესორმა ჯონსმა, შეისწავლეს ეს დოკუმენტები, რომლებსაც კოდური სახელი „ოსლო“ ეწოდა. თუ „ციცერონის“ ჯაშუშური მასალები 300 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდათ გერმანელებს, ოსლოში სრულიად უფასოდ მიღებული ამანათი რამდენიმე მილიონ დოლარად იქნა შეფასებული. იმ დოკუმენტებში მოცემული იყო პენემიუნდეს რაკეტადროვის აღწერილობა და ვერნერ ფონ ბრაუნის „სასწაულმოქმედი იარაღის“ — ე. წ. ბალისტიკური რაკეტების ტექნიკური მონაცემები. იმავე ამანათში იდო საიდუმლო მასალები რადარების შესახებ და მრავალი სხვა...

„ოსლოს“ მნიშვნელობას ისიც ზრდიდა, რომ ინგლისს უკვე გამოცხადებული ჰქონდა ომი გერმანიასთან. ამ „ციდან ჩამოვარდნილ მანანას“ შეეძლო უდიდესი სამსახური გაეწია ინგლისელებისათვის. ყოველ შემთხვევაში, სპეციალისტების აზრით, „ოსლოს“ გამოყენება გაცილებით უფრო მეტ ეფექტს გამოიღებდა, ვიდრე მთელი იმ საიდუმლო მასალისა, რაც კი ინგლისურმა „ინტელიჯენს სიორვისმა“ მოიპოვა ომის განმავლობაში. იქნებ ამიტომაც დაიბადა ეჭვი: ვიღაცამ რომ ასე უსასყიდლოდ გაიმეტა ამგვარი მასალები, იქნებ ის თვით გერმანელების მიერ იყოსო დეზინფორმაციის მიზნით „მოგდებული“. ის კი არ იცოდნენ, თუ რა ჯოჯოხეთური შრომა დასჭირდათ პოლონელ პატრიოტებს ამ საიდუმლო დოკუმენტების შესაკრებად. ჩერჩილმა კი ყურადღება არ მიაქცია „გერმა-

ნელთა ეშმაკობას“ და ეს უძვირფასესი დოკუმენტები „საქმე-ში“ ჩააკერეს...

... ამის შემდეგ ხუთი წელი გავიდა. 1944 წელს ინგლისის დედაქალაქში პირველი „მფრინავი მეტეორი“ გასკდა. ახლა კი დაფაცურდნენ ინგლისელები. ვიღაცას გაახსენდა და არქივიდან „ოსლოს“ ძველი დოკუმენტებიც ამოაძვრინეს, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. რამდენიმე თვის განმავლობაში გერმანელებმა 10.800 რაკეტა „ფაუ-1“ გაგზავნეს ინგლისისაკენ. შემდეგ მას „ფაუ-2“ მიჰყვა და ჩერჩილი იძულებული გახდა საგანგებო ზომები მიეღო. მისი მითითებით ინგლისის დაზვერვამ კავშირი დაამყარა „ოსლოს“ შომპოვებელ პოლონელ პატრიოტებთან, რომლებიც მინდორ-მინდორ კრეფდნენ საცდელად გაშვებული რაკეტების ნამსხვრევებს, ერთმანეთთან აკოწიწებდნენ და ლონდონში გზავნიდნენ. ინგლისელები კი მათგან თითქმის შეუძლებელს მოითხოვდნენ: ხელთ ეგდოთ „ბრაუნის რაკეტის“ თუნდაც ერთი ცალი და გაეგზავნათ ინგლისში (!).

საკვირველი ის არის, რომ სრულიად მოულოდნელმა შემთხვევამ ესეც შესაძლებელი გახადა...

... იმავე 1944 წელს პენემიუნდედან გაშვებული ერთი საცდელი რაკეტა ჭაობში ჩავარდა და... ეარ გასკდა. პოლონელმა პარტიზანებმა ამის შესახებ მაშინვე აცნობეს ინგლისს, თვითონ კი რაკეტა დაშალეს და ტყეში დამალეს. რამდენიმე დღის შემდეგ ლონდონიდან გაიგზავნა სპეციალური თვითმფრინავი „დაკოტა“, რომელიც პარტიზანების მიერ სახელდახელოდ მომზადებულ „აეროდრომზე“ დაჯდა. რაკეტის ნაწილები სწრაფად შეიტანეს თვითმფრინავში, მაგრამ ამასობაში გერმანელებმაც „იყნოსეს“ საშიშროება და საბარგო მანქანებით გაემართნენ პარტიზანების „აეროდრომისაკენ“. ახლა მხოლოდ სისწრაფე იყო საჭირო, რომ თვითმფრინავს გაესწრო. ესეც ძნელი საქმე აღმოჩნდა. პილოტმა ვეღარ შეძლო აფრენა სველი მინდვრიდან. ერთი ცდა... მეორე... მესამე... მაგრამ ყველა უშედეგო იყო. მერე ვიღაცის წინადადებით

ტყეს მიესივნენ, ტოტები დაამტვრიეს და აეროდრომზე ვიწრო ბილიკი გააფინეს...

ვიდრე გერმანელები მოვიდოდნენ, „დაკოტა“ თავისი ძვირფასი ნადავლით უკვე ლონდონისაკენ მიფრინავდა... თუმცა საქმეს არც ეს შველოდა. ამ დროისათვის გერმანელებს უკვე ასამდე რაკეტადრომი ჰქონდათ აგებული. ცენტრი კი პენემიუნდეში იმყოფებოდა. ამ შემთხვევაშიც სწრაფი მოქმედება იყო საჭირო და მოკავშირეთა ავიაციამ დავალება მიიღო მოესპო „ვერნერ ფონ ბრაუნის ბუნაგი“...

... ოპერაცია გულმოდგინედ მზადდებოდა. რამდენიმე ხნის განმავლობაში ბერლინის დასაბომბავად გაშვებული ესკადრილიები ჰაერში „რატომღაც“ გზას იმრუდებდნენ და პენემიუნდეს გადაუფრენდნენ, თუმცა არც ერთ ყუმბარას არ აგდებდნენ იქ. პენემიუნდელები მიეჩვივნენ ყოველღამ მათ თავზე ინგლის-ამერიკის თვითმფრინავების გადაფრენას და, გულდამშვიდებულნი, თავშესაფარშიც აღარ შედიოდნენ. არც სირენები ტეხდნენ განგაშს და არც საზენიტო არტილერია იღებდა ხმას. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მათი ადგილმდებარეობისა მტერმა არაფერი იცოდა...

...18 აგვისტოს მთვარიანი ღამე იდგა პენემიუნდეში. ყველა საქმით იყო გართული, როცა ადგილობრივმა რადიოსადგურმა გამოაცხადა, ჩრდილოეთ-დასავლეთიდან მტრის თვითმფრინავები გვიახლოვდებიანო. მაგრამ, რაკი ასეთ რამეს მიჩვეული იყვნენ, ამ ცნობისთვისაც ყურადღება არავის მიუქცევია. რაკეტადროში წყვდიადში იყო ჩაფლული. მხოლოდ მთვარის მკრთალი სხივები ანათებდნენ ზღვის ნაპირას განლაგებულ შენობებს. ყველა ძველებურად ფიქრობდა, თვითმფრინავები ბერლინისაკენ მიდიანო, მაგრამ ამ დროს მფრინავებმა ჰაერში ე. წ. „საშობაო ნაძვის ხეები“ — სპეციალური გამანათებელი მაშხალები დაკიდეს პარაშუტებით და დღესავით გააჩირაღდნეს იქაურობა.

მერე დაიწყო!.. ექვსასმა „მფრინავმა ციხე-სიმაგრემ“ საჰაერო ხალიჩა გაშალა პენემიუნდეს თავზე და სეტყვასავით დააყარა ყუმბარები მის ობიექტებს...

მილიონნახევარმა კილოგრამმა ასაფეთქებელმა მასალამ სულ ნაცარტუტად აქცია იქაურობა...

... ჰიტლერმა იმავე ღამეს შეიტყო პენემიუნდეს დაბომბვის ამბავი და ჩვეულებრივმა ისტერიამ მოუარა. ისე იყო გაცოფებული, რომ არ იცოდა ვის დასტაკებოდა. მერე, ეტყობა, გერინგისა მოერიდა და ადიუტანტს უბრძანა, სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსს, გენერალ ეშონეკს დამაკავშირეო.

აიღო თუ არა ყურმილი ეშონეკმა, ჰიტლერის გამყინავი ხმა გაიგონა:

— იცით თუ არა, რა მოხდა პენემიუნდეში?

— დიახ, ჩემო ფიურერ! — უპასუხა ეშონეკმა.

— მაშინ ისიც გეცოდინებათ, რა უნდა გააკეთოთ! — მოესმა მას ისეთივე შემზარავი ხმა.

სულ ეს იყო. ჰიტლერმა ყურმილი დადო, ეშონეკი კი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რას ნიშნავდა ეს. ბრალი კი არაფერში მიუძღოდა. პენემიუნდზე თავდასხმა რომ დაიწყო, მაშინვე გაგზავნა ბერლინიდან გამანადგურებლები, რომლებმაც 47 „მფრინავი ციხე-სიმაგრე“ ჩამოაგდეს. მაგრამ საქმეს ეს რას შველოდა. გერმანიის სარაკეტო ცენტრი უკვე განადგურებული იყო. ჰიტლერის რისხვა კი რატომღაც მას ატყდებოდა თავს. სხვა რომ ვერაფერი იღონა, დაჯდა, გამოსამშვიდობებელი წერილი მისწერა ცოლს... და ტყვია იკრა შუბლში...

...დილით კალტენბრუნერი გაჩნდა პენემიუნდეში, საგანგებო ზომებიც იქნა მიღებული, მაგრამ გვიანღა იყო...

ამის შემდეგ ინგლის-ამერიკის ავიაცია ყოველღამ ბომბავდა გერმანიის სარაკეტო ბაზებს ლაიფციგში, დიუსელდორფში, კელნში, ვილჰელმსჰაფენში თუ სხვაგან.

რაკეტული ისტერია დაცხრა...

ბანგაში ნიუ-იორკში...

ვერნერ ფონ ბრაუნი საგონებელში ჩავარდა. ჰიტლერი უკმაყოფილო იყო მისი „სასწაულმოქმედი იარაღის“ შედეგებით. შეიძლება დაესაჯა კიდეც ვინმე, რომ ისევ ცნობილი დივერსანტი ოტო სკორცენი არ გამოსულიყო წინა პლანზე.

ეს სწორედ მან წამოაყენა „საოცარი“ იდეა: სასიკვდილოდ განწირული გერმანელი „კამიკაძეების“ საშუალებით რაკეტები ზუსტად მიემართათ ინგლისის სამხედრო ობიექტებისაკენ. გარდა ამისა, რაკეტული „მფრინავი კუბოები“ წყალქვეშა ნავებით მიეახლოებინათ ამერიკის სანაპიროებისათვის და დაებომბათ... ქალაქი ნიუ-იორკი.

ამ წინადადებამ დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია. საქმის ორგანიზაცია ჰიტლერმა თვითონ სკორცენის დაავალა. მას უნდა შეექმნა „საგანგებო დანიშნულების იარაღი“, რომელიც „პოლიტიკურ გარდატეხას შეიტანდა“ ომის მსვლელობაში. საამისოდ კონცერნ „ფიზელერთან“, იმავე ბრაუნის მონაწილეობით, შეიქმნა საკონსტრუქტორო ბიურო და სულ მოკლე ხანში გამოშვებულ იქნა ისეთი რაკეტები თუ „საჰაერო ტორპედოები“, რომელთაც თვითმკვლელი „კამიკაძეები“ წაიყვანდნენ მიზნისაკენ. სკორცენიმ შეძლო სამასამდე ასეთი თავგანწირული ახალგაზრდის შეგროვება და შეუდგა მათ წვრთნას. ბევრი მათგანი იმ „მფრინავი კუბოების“ გამოცდის დროს დაიღუპა. პრესაში ოფიციალურადაც გამოცხადდა:

— იმათ რიგებში, ვისაც ასეთი იარაღის მართვა აქვს მინდობილი, მიღებული არიან მოხალისეები სახმელეთო ჯარებისა და ესესის ნაწილებიდან, რომელთაც წინასწარი საზღვაო მომზადებაც აქვთ. მათი უმრავლესობა სრულიად ახალგაზრდაა... ბევრმა მათგანმა სამხედრო დავალების შესრულების წინ განაცხადა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტებისაკენ ყუმბარებს წარმართავენ ისე, რომ თვითონ უკან დაბრუნების იმედი არ ექნებათ...

... საკონსტრუქტორო ბიურო და ამ „საგანგებო იარაღის“ დამამზადებელი ქარხნები დღე-ღამეში თხუთმეტ-თხუთმეტ საათს მუშაობდნენ. ჰიტლერი ნერვიულობდა. უნდოდა თუნდაც რამდენიმე ყუმბარა მაინც დაეტყა ნიუ-იორკისათვის, რომ „უარესის შიშით“ გამოეთიშა ამერიკა მოკავშირეებისაგან. ჰიტლერმა მოახერხა კიდეც ამერიკის დედაქალაქში თავისი აგენტების შეგზავნა „ობიექტების დასაზუსტებლად“. ერთ-ერთმა მათგანმა სცადა ამ ოპერაციაში ჩაება ამერიკის სამხედრო მრეწველობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ს. ლო-

რენსი, რომელმაც ეს დაუყოვნებლივ აცნობა „ფედერალურ ბიუროს“. მართალია, ლორენსის ცნობას ირონიულად შეხვდნენ, მაგრამ გერმანელი ჯაშუში კამპინგი მაინც დააპატიმრეს. იგი პირველსავე დაკითხვაზე გამოტყდა და თავისი მეგობარი ჰიმპელიც გასცა. ახლა კი ამოძრავდნენ ამერიკის დაზვერვის ორგანოები. ნიუ-იორკში განგაში გამოცხადდა, როგორც წერენ, ყველაზე მნიშვნელოვანი მთელი ომის განმავლობაში. კამპინგს თავის გადარჩენა უნდოდა და ამერიკის პოლიციას აჩქარებდა დაეპატიმრებინათ ჰიმპელი, ვიდრე „უბედურება მოხდებოდა“. მან აღუწერა კიდევაც მზვერავებს ჰიმპელის გარეგნობა. ხელისუფლების განკარგულებით პოლიციისა და ფედერალური ბიუროს აგენტთა მთელი არმია ფეხზე იქნა დაყენებული. ეძებდნენ ჰიმპელს, რომელიც ამ დროს ჯერჯერობით ცხოვრობდა ოტელ „პენსილვანიაში“ და დაშიფრულ ცნობებს გზავნიდა ბერლინში. იგი მთელი ოთხი კვირა განაგრძობდა ამ საქმეს, მაგრამ პოლიციამ ვერ მიაგნო მის კვალს. იმედგაცრუებულთ ისევ კამპინგი დაეხმარა. მას ნოაგონდა, რომ ჰიმპელი ხურდა ფულს ჩვეულებრივად საფულეში კი არ ინახავდა, არამედ მარცხენა გულის ჯიბეში... ამის შესახებ ნიუ-იორკში გააფრთხილეს ყველა, ვინც კი რაშეს ყიდდა...

... ქრისტეს შობის დღეს ტაიმს-სკვერის საგაზეთო კიოსკს მიადგა უცნობი მამაკაცი, იყიდა რაღაც ილუსტრირებული ჟურნალი და ხურდა ფული მარცხენა გულის ჯიბეში ჩაიდო. გაზეთის გამყიდველმა ეს პოლიციელს ანიშნა. ჰიმპელი იქვე დააპატიმრეს და ბორკილები დაადეს. ციხეც არ აკმარეს: მავთულხლართების გალიაში ჩასვეს და დღედაღამ ელექტროფარებით ჰყავდათ განათებული, რომ ხელიდან არ გასხლტომოდათ.

პრეზიდენტმა რუზველტმა განკარგულება გასცა ორივე ჯაშუშის საქმე სამხედრო ტრიბუნალისათვის გადაეცათ. ბრალდება მართლაც სენსაციური იყო: ნიუ-იორკის აფეთქების ცდა. ასეთი „მძიმე დანაშაულისათვის“ საგანგებო სამხედრო ტრიბუნალის თავჯდომარემ, პოლკოვნიკმა ჰაროლდმა სასი-

კვდილო განაჩენის უცნაური ფორმულაც მოიგონა:

— Hanged by neck till dead! (ჩამოკიდებულ იქნეს კისრით, ვიდრე მოკვდებოდეს!).

კამპიგი კი „ჩამოკიდეს კისრით“, მაგრამ ვიდრე ჰიმპელსაც ჩამოახრჩობდნენ... რუზველტი გარდაიცვალა.

ახალმა პრეზიდენტმა ტრუმენმა ჰიმპელს სასიკვდილო განაჩენი სამუდამო პატიმრობით შეუცვალა, მერე — 30 წლით, ხოლო 1956 წელს იგი სულ გაათავისუფლეს...

... ნიუ-იორკის დაბომბვის ცდაც ჩაიშალა, მაგრამ ვერნერ ბრაუნი მაინც არ ცხრებოდა. მან სასწრაფოდ დაამზადა ორსაფეხურიანი საკონტინენტთაშორისო რაკეტა, რომელსაც ჰქონდა 29 მეტრი სიგრძე, აღჭურვილი იყო ერთი ტონა ასაფეთქებელი მასალით და მოქმედებდა 5000 კილომეტრის რადიუსით. თავგანწირვის მოხალისენი ამ შემთხვევაშიც გამოჩნდნენ. მაგრამ ვიდრე ასეთ „საჰაერო მატარებლებს“ ამერიკისაკენ გაუშვებდნენ, რაკეტადრომს საბჭოთა არმიის ნაწილები მიუახლოვდნენ. ვერნერ ბრაუნი და მისი თანამშრომლები იძულებული გახდნენ სარაკეტო ცენტრის სასწრაფო ევაკუაცია მოეხდინათ.

ასეთივე ბედი ეწია „ფაუ-მესამისა“ და ახალი „ზესასწაულებრივი“ ყუმბარის წარმოებას.

რაკეტულ ისტერიას ატომური ციებ-ცხელება მოჰყვა. გერმანელები დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ „ზესასწაულებრივ“ იარაღზე. თითქოს იმედიც ჰქონდათ, რომ ომის დამთავრებამდე მოასწრებდნენ რამეს, მაგრამ ესეც ამაო გაბოდგა. პირველი ატომური რეაქტორი 1942 წელს გაიხსნა ამერიკაში, რასაც ბევრი „არაარიელი“ გერმანელი ფიზიკოსი უწყობდა ხელს. თვით გერმანიაში კი ატომური ცდები პრიმიტიულ სტადიაზე დარჩა. მოკავშირეთა ჯარების მოახლოებამ კი ამ მხრივაც გააქარწყლა ჰიტლერელთა უკანასკნელი იმედები...

... ამის შემდეგ უკვე აღარც „ზესასწაულმოქმედი იარაღის“ მოლოდინი ჰქონდათ. გერმანელთა ფრონტი გაირღვა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. 1944 წლის ივნისის მიწურულს ფელდმარშალმა რომელმა კიდევ ერთი საგანგაშო წერილი გაუგზავნა ჰიტლერს, მაგრამ პასუხი ვერ მიი-

ღო. მერე რუნდშტედტმაც მოითხოვა ჰიტლერთან შეხვედრა. ორივე გამოიძახეს ბერხტესგადენში, მაგრამ ძლიერ ცივად მიიღეს. ჯერ რამდენიმე საათი აცდევინეს, ვიდრე ჰიტლერის კაბინეტში შეიყვანდნენ. მერე, როგორც იქნა, ფიურერმა მიიღო ისინი, თუმცა ასეთ მიღებას რა აზრი ჰქონდა: მართალია, მათი „საუბარი“ სამ საათს გაგრძელდა, მაგრამ, როგორც გენერალ-ლეიტენანტი ციმერმანი გადმოგვცემს, ორი საათის განმავლობაში მარტო ჰიტლერი ლაპარაკობდა, დანარჩენ ერთ საათს კი ჩაის სვამდნენ, რომლის დროსაც სანხედრო-პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი აკრძალული იყო. ასე რომ ორივე ფელდმარშალმა მხოლოდ რამდენიმე რეპლიკის ჩასმა მოახერხა ჰიტლერის მონოლოგებში. ეს იყო და ეს. შტაბში დაბრუნებულმა რუნდშტედტმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და კაიტელს დაურეკა, მე მოხუცებული ვარ, მინდა გადავდგე, ჩემ მაგივრად კი ვინმე ახალგაზრდა სარდალი დანიშნეთო.

— რა უნდა ვქნათ? — ვერ გაიგო კარგად კაიტელმა.

— ომი უნდა დაამთავროთ, ბრიყვებო! — ჩასძახა ტელეფონში გაბრაზებულმა ფელდმარშალმა...

რამდენიმე დღის შემდეგ იგი გადააყენეს და დასავლეთის ფრონტის სარდლობა ფელდმარშალმა ფონ კლუგემ ჩაიბარა...

ერვინ რომელი კიდევ ერთხანს დარჩა თავის თანამდებობაზე. 15 ივნისს მან კლუგესაც გაუგზავნა გამაფრთხილებელი წერილი. რამდენიმე დღის შემდეგ კი მის ავტომანქანას ამერიკის გამანადგურებელი წამოეწია და სროლა აუტეხა, შოფერი მოკვდა. თავში მძიმედ დაჭრილი რომელი ჰოსპიტალში დააწვინეს, პარიზის მახლობლად. მისი როგორც არმიის სარდლის მოვალეობის შესრულება ჰიტლერმა „შეთავსებით“ დასავლეთის ფრონტის სარდალს კლუგეს დააკისრა.

არმიის სარდალ კლუგეს ზოგჯერ კონფლიქტიც ჰქონდა ფრონტის სარდალ კლუგესთანო, ირონიულად შენიშნავს ციმერმანი...

ტრიუმფული თაღი...

ამასობაში განკარგულება მივიღეთ მთელი განყოფილება ბუქარესტში გადმოგვეყვანა. მეორე დღესვე გავეშუ-

რეთ რუმინეთის დედაქალაქისაკენ, მაგრამ გზაში გამოირკვა, რომ ბრეიმანი გვაკლდა. იგი სადღაც დარჩენოდათ. ყოველთვის ასე იყო! დისლოკაციის გამოსაცვლელად რომ გავემზადებოდით და მანქანებში ჩავსხდებოდით, კოლონის უფროსი დაიძახებდა:

— ხომ არავინ დაგვრჩა?

— არავინ! — იყო პასუხი. მაგრამ, ერთ-ორ კილომეტრს რომ გავივლიდით, ვინმეს მოაგონდებოდა და იკითხავდა:

— კი მაგრამ ბრეიმანი სად არის?

გაიკითხ-გამოიკითხავდნენ და გამოირკვეოდა, რომ თავის სოროში მიმალული „წიგნების ვირთხა“ მართლაც დავიწყებოდათ. სხვა რა გზა იყო, გავჩერდებოდით და მანქანას ვგზავნიდით ბრეიმანის წამოსაყვანად. სანამ იგი თავის წიგნებს, წერილებს, დოკუმენტებსა და ჩაიდნებს აკრეფდა, კარგა ხანი გადიოდა. მერე ისევ დაგვავიწყდებოდა სადმე და იყო ასე გაუთავებლივ.

ამჯერად ბრეიმანი ისე შორს დარჩენოდათ, რომ ჩარიტას „მფრინავი ფილარმონიის“ გაგზავნა მოგვიხდა. მაგრამ ვერავითარმა ძალამ ვერ აიძულა იგი თვითმფრინავში ჩამჯდარიყო.

— რაც არასოდეს არ მიქნია, ვერც ახლა ვიზამო, — გაიდგა თურმე ფეხი. იძულებული გავხდით მანქანა გაგვეგზავნა მისთვის, ჩვენ კი ბუქარესტში შევედით...

ბეგი კარგად იცნობდა ამ ქალაქს. მან იმდენი მოახერხა, რომ ნატვრა აისრულა და ყველანი ტრიუმფული თაღის ქვეშ გაგვატარა, თან გვაიძულა ფოტოსურათებიც გადაგვეღო. უნდა გენახათ, თვითონ ბეგიც რა „ტრიუმფულ პოზაში“ იდგა, როცა სამეფო თაღებთან იღებდა სურათებს. მერე „მის გასახარად“ ჩვენს განყოფილებას გერმანიის საელჩოს შენობა გადმოსცეს. ეს იყო უაღრესად კომფორტულად მოწყობილი უზარმაზარი, ოთხსართულიანი შენობა. ჯერ ყველაფერი დავათვალიერეთ, უწინარეს ყოვლისა — დარჩენილი დოკუმენტები. ჩემი ყურადღება კილინგერისა და რიბენტროპის მიმოწერამ მიიქცია. რიბენტროპი დაჟინებით მოითხოვდა კილინგერისაგან ებრაელთა საკითხის „საბოლოოდ მოგვარებას“. ელჩს მაგიდის უჯრაში ჩარჩენოდა რიბენტროპისათვის გასაგზავნი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც

ეწერა: „ბუკოვინიდან და ბესარაბიიდან 110 ათასი ებრაელი ევაკუირებულია მდინარე ბუგის სანაპიროს ტყეში. ამ ღონისძიების მიზანია მათი ლიკვიდაცია“.

შევნიშნეთ, რომ კილინგერის რეზიდენციაში არსად ეკიდა რუმინეთის მეფის სურათი. სამაგიეროდ, მის დარბაზებს ადოლფ ჰიტლერისა და იონ ანტონესკუს პორტრეტები „ამშვენებდა“. ისიც გავიგეთ, თუ როგორ მოაწყობინა კილინგერმა თავისი სამუშაო კაბინეტი, ბუქარესტში ჩასვლისთანავე მან მოითხოვა, რომ ადრინდელი ელჩის კაბინეტი გამოეცვალათ მისთვის. მოტივი ასეთი იყო: ჩემს სამუშაო ოთახს ფანჯრები მინდა აღმოსავლეთისაკენ ჰქონდეს, რათა სულ მუდამ იქით ვიყურებოდე, საიოკენაც მინართულია ჩემი ფიურერის პოლიტიკაო. მას საწერ მაგიდაზე ედგა ზარბაზნის მოდელი, რომლის ლულა აღმოსავლეთისაკენ იყო მიშვერილი. მე რომ ამ კაბინეტში დავიწყე მუშაობა, ეს ზარბაზანი ბეგის გადავეცი. მისი სამუშაო ოთახის ფანჯარა დასავლეთისაკენ გადიოდა და ზარბაზნის ლულაც იქითკენ მიუშვირა. საელჩოში ვერ იპოვიდით ისეთ ოთახს, რომლის იატაკი სქელი მოყვითალო ხალიჩით არ ყოფილიყო დაფარული. მარტო ელჩის კაბინეტში გაეფინათ წოცისფრო ხალიჩა ერთი მტკაველის სისქისა. ხალიჩის შუაგულში ორი მუქი იისფერი ისარი იყო ამოქსოვილი, წვერი ორივეს ისევ აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა მიმართული.

ელჩები, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ასეთ რამეს. გამიგონია, სხვებსაც არაერთხელ მიუმართავსო ამგვარი „ემბლემატური დიპლომატიისათვის“. როცა ფრანგებმა ბერლინში საელჩო გახსნეს, მათ უნტერ დენ ლინდენში სპეციალურად შეურჩიეს შენობა, რომლის ფასადი და ფანჯრები ბრანდენბურგის ალაყაფის კარებისაკენ იყო მიმართული. ეს ალაყაფის კარები გერმანელებმა საფრანგეთ-პრუსიის ომში გამარჯვების აღსანიშნავად ააგეს. ამიტომაც უნდოდათ, ფრანგ ელჩებს თავიანთი მისიის შესრულების ღროს ამ „ისტორიული ნაგებობისათვის“ ეყურებინათ. ამით გერმანია თავის სამხედრო ძალას მოაგონებდა საფრანგეთს.

ფრანგები მაშინვე მიხვდნენ ყოველივე ამას და სათანადო კონტრმანევრიც განახორციელეს. საელჩოს სასტუმრო დარ-

პაზში დააგეს უზარმაზარი ხალიჩა, რომლის ცენტრში დახატული იყო წრე, სადაც ერთადერთი ასო N გამოეყვანათ. გერმანელი სტუმრები ფრთხილად უვლიდნენ ამ წრეს გარშემო, რადგან არ უნდოდათ დიდ იმპერატორ ნაპოლეონის ინიციალისათვის ფეხი დაებიჯებინათ. ამით ფრანგები, ბრანდენბურგის საპასუხოდ, ნაპოლეონის მიერ გერმანიის დამარცხებას მოაგონებდნენ მასპინძლებს.

არ ვიცი, რუმინეთის დედაქალაქში კილინგერის ისრებს რომელი ისტორიული გამარჯვება უნდა გამოეხატა აღმოსავლეთში, მაგრამ მაინც ვუბრძანე ის ხალიჩა გაეტანათ...

... ამის შენდეგ ყველაფერი ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ დავიბენით. ადრე ჩვენს ჯარებს რუმინეთის სულ მცირე ტერიტორია ჰქონდათ დაკავებული და იქ მუშაობა არც გაგვძნელებია. ახლა კი ორიოდე დღეში რამდენიმე ასეული დასახლებული პუნქტი და, ბოლოს, თითქმის მთელი რუმინეთი იქნა გათავისუფლებული ჰიტლერელთა უღლისაგან. ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო ჩვენთვის. ფრონტის შტაბი საომარ ოპერაციებს განაგრძობდა. საკონტროლო საბჭო მაშინ არც იყო ჩამოყალიბებული. არც მეფესა და გენერალ სანატესკუს მთავრობასთან დამოკიდებულება გვქონდა გარკვეული. იმდენი საქმე იყო, რომ განყოფილების მუშაკები ათასად იჭრებოდნენ. მე სულ ბუქარესტსა და ფრონტის შტაბს შორის მიხდებოდა მოგზაურობა მითითებათა მისაღებად. გამოვეცით პირველი სამხედრო გაზეთი მოსახლეობისათვის რუმინულ ენაზე. ცხოვრება თითქოს ნორმალურ კალაპოტში დგებოდა, მაგრამ პოლიტიკურ პარტიებს ისევ გააფთრებული ბრძოლა ჰქონდათ გამართული ჰეგემონიისათვის. დემოკრატიული ძალები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სანატესკუს მთავრობის პოლიტიკის გამო, რადგან იგი მხოლოდ მემარჯვენე ელემენტებს იკრებდა თავის გარშემო. მეფე მიხაი I როგორღაც განზე იდგა სახელმწიფო საქმეებისაგან. ბუქარესტის დაბომბვიდან რამდენიმე დღის შემდეგ იგი დაბრუნდა დედაქალაქში და გამოაქვეყნა კომუნიკე № 1, სადაც იუწყებოდა ამ ამბავს, მაგრამ კაცმა არ იცოდა რას აკეთებდა.

საბჭოთა სარდლობას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო გულხელ-

დაკრეფილი ეყურებინა ყოველივე ამისათვის. იგი დაინტერესებული იყო, რომ ფრონტზე მებრძოლი ჯარების ზურგში მშვიდი და ლოიალური მდგომარეობა ყოფილიყო.

— ჩვენი კონცეფცია, კონცეფცია რუსებისა, ომის დროს მოწინააღმდეგის დაპყრობილი ტერიტორიის შესახებ,—განაცხადა სტალინმა პოტსდამის კონფერენციაზე, — მდგომარეობს შემდეგში: არმია ომობს, იგი მიიწევს წინ და სხვა არავითარი საზრუნავი არა აქვს, გარდა იმისა, რომ მოიგოს ბრძოლა. მაგრამ არმია რომ წინ მიიწევდეს, უნდა მშვიდი ზურგი ჰქონდეს. მას არ შეუძლია ებრძოლოს მტერს როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. არსია მაშინ იბრძვის კარგად, როცა ზურგი მშვიდადაა, თანაუგრძნობს და ეხმარება მას... ასეთ პირობებში ბუნებრივია არმიის მისწრაფება ზურგში ჰყავდეს ისეთი ადმინისტრაცია, რომელიც თანაუგრძნობს და ეხმარება მას. ამაშია საქმე...

ამიტომაც იყო, რომ სამოქალაქო ადმინისტრაციის აღდგენას დაპყრობილ ტერიტორიებზე კონტროლს უწევდა არმია. ზერე სპეციალური საკონტროლო საბჭო ყალიბდებოდა და ცხოვრება თანდათან ნორმალურ, მშვიდობიან მდგომარეობას უბრუნდებოდა.

აქაც ასე მოხდა. სექტემბრის დასაწყისში საზავო ხელშეკრულება დაიდო რუმინეთთან. ამ ხელშეკრულების პირობები იყო: დაუყოვნებლივ ომის გამოცხადება გერმანიისათვის, მისი ჯარების განიარაღება და ინტერნირება, საბჭოთა კავშირ-რუმინეთის 1940 წლის საზღვრების აღდგენა, სამხედრო დამნაშავეთა დაპატიმრება და მათი სამართალში მიცემა...

შლეიფიანი კაბები...

ამით დასრულდა პროგერმანული რეჟიმი რუმინეთში. ახალი მთავრობა კი ჯერაც ვერ ბედავდა ქვეყანა მტკიცედ წაეყვანა დემოკრატიის გზით. ბურჟუაზიული პარტიების მეთაურები მანიუ, ბრატიანუ, პეტრესკუ და სხვები უფრო მემარჯვენე-რეაქციულ ძალებს ეყრდნობოდნენ, ვიდრე დემოკრატიულს. გლეხები აგრარულ რეფორმას მოითხოვდნენ, მაგ-

რამ ამაოდ. შემდეგ მუშებიც აღდგნენ სანატესკუს მთავრობის წინააღმდეგ. შეიქმნა გაერთიანებული პროფკავშირები. მთავრობაში შემავალი კომუნისტები ცდილობდნენ მშრომელი ხალხის ინტერესები დაეცვათ. 25 სექტემბერს რუმინეთის კომპარტიამ გამოაქვეყნა ეროვნულ-დემოკრატიული პლატფორმის პროექტი, რომელიც მოითხოვდა დემოკრატიული მთავრობის შექმნას, აგრარული რეფორმის დაუყოვნებლივ გატარებას, მემამულეთა ექსპროპრიაციას, ძველი ფაშისტური კანონების გაუქმებას, სამხედრო დამნაშავეთა დასჯას...

ჩვენი ფრონტის შენაერთები კი განუწყვეტლივ მიიწევდნენ წინ. მარჯვენა ფლანგი უკვე ტრანსილვანიაში იბრძოდა კლუჟის მიმართულებით. გერმანელები უნგრეთის საზღვრებისაკენ იხევდნენ, საბჭოთა დივიზიები ტიმიშოიარასა და არადში შეიჭრნენ. მალე სხვა სასაზღვრო ქალაქებიც იქნა განთავისუფლებული, რის შემდეგაც დაიწყო ახალი მზადება უნგრეთზე გასალაშქრებლად...

... იმ დროს სხვა ფრონტებზეც ანალოგიური მდგომარეობა იყო. საბჭოთა არმია ყველა მიმართულებით აწარმოებდა შეტევას. გერმანიის არმიათა ჯგუფ „სამხრეთის“ ბედი ეწია „ცენტრსა“ და „ჩრდილოეთს“. ისინიც სწრაფად იხევდნენ უკან, გერმანიის საზღვრებისაკენ. მათ იარაღი და რეზერვები აკლდათ. ჰიტლერი კი ისევ სარდლებს ცვლიდა. „ცენტრის“ სარდალი ფელდმარშალი მოდელი გადაყვანილ იქნა დასავლეთის ფრონტზე, ფელდმარშალ კლუგეს ადგილას, და მისმაგივრად დაინიშნა გენერალ-პოლკოვნიკი რაინჰარტი, ვითომ აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვსო. ამან, რა თქმა უნდა, საქმეს ვერ უშველა და სექტემბრის ბოლოს აქ საბჭოთა არმიის შენაერთებმა ვისლის შუაწელი გადალახეს. იგივე მოხდა ბალტიისპირეთში. არმიათა ჯგუფი „ჩრდილოეთი“ თუმცა უფრო ნელა, მაგრამ მაინც იხევდა უკან. იქ ჩვენებმა ქალაქი ტარტუ აიღეს და მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ...

... დასავლეთის ფრონტზე მოკავშირეები გერმანიის საზღვრებს უახლოვდებოდნენ. ტრირის ჩრდილოეთით პირველმა

ამერიკელთა არმიამ კიდეც მიაღწია ამ საზღვარს. მარყუჟი გერმანიის გარშემო უფრო შეევიწროვდა. ჩვენ ვცდილობდით ეს ცნობები დაუყოვნებლივ მიგვეწვდინა მოწინააღმდეგის ჯარებისათვის. ავიაცია განუწყვეტლივ უშენდა „ქაღალდის ყუმბარებს“, დღედაღამ მუშაობდნენ „ფრიცების უნივერსიტეტები“. ფრონტის მთელ მოწინავე ხაზზე გაჰყვიროდნენ „იერიქონის საყვირები“. ანატოლისა და ჩარიტას „შფრინავი ფილარმონია“ თითქმის ყოველღამ დაჰფარფატებდა მტრის მოწინავე პოზიციებს და „სასიამოვნო მუსიკით“ უნელებდა ფრიცებს უსიამოვნო ცნობების მძიმე შთაბეჭდილებას. დღისით მათ ძალიან ცოტა სამუშაო ჰქონდათ, ღამის საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ შუადღემდე ეძინათ. მერე ადგებოდნენ და, ვიდრე ისევ გაფრინდებოდნენ „საგასტროლოდ“, ჩვენ აგვიკლებდნენ, განსაკუთრებით—ჩარიტა. მან კილინგერის სასახლეში მდიდარ გარდერობს მიაგნო და გასართობი იშოვნა. კარადები სავსე იყო მამაკაცისა და ქალის ათასგვარი ტანისამოსით. ჩარიტას განსაკუთრებით შლეიფიანი კაბები მოეწონა, ბეგის — ელჩის ოქრონაქსოვი მუნდირები. საქმე რომ არა ჰქონდა, „გრაფის ასული“ მთელი დღე გარდერობში ტრიალებდა, ხან ერთ კაბას ჩაიცვამდა, ხან მეორეს. „უბედურება“ ის იყო, რომ ნატიფ პარიზულ ფეხსაცმელებში ფეხი არ ეტეოდა და ღრმად დეკოლტირებულ შლეიფიან კაბებს ჩექმებზე იცვამდა. სიარულიც ჯარისკაცური ჰქონდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა. ტრაინინი თუ ირონიულად გადმოხედავდა სათვალის ზემოდან და ეტყოდა, შენი აპრეხილი ცხვირი და ჩექმები სულაც არ უხდება ამ შლეიფიან კაბებსო, ჩარიტა ბრაზდებოდა, ვისაც რომელი ნაწილი მოსწონს ჩემი, იმას უყუროს, სავალდებულო კი არ არის თავიდან ფეხებამდე მათვალიეროსო, და თავისას განაგრძობდა. ბერე ბეგიც აიყოლია და ერთი ბალმასკარადი გამართეს „სასახლეში“.

ჩარიტა „გრაფის ასულივით“ მოირთვებოდა, ხოლო ბეგი როგორღაც ჩაეტენებოდა ჩია კილინგერის ოქრონაქსოვ მუნდირში. თუმცა სახელოები იდაყვებამდე ძლივს სწვდებოდა, შარვალი კი — კოჭებამდე, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა „მისი აღმატებულების“ გარდერობს. ორივე ჩუმად გამოეწყობოდა

და თავიანთი მოულოდნელი გამოჩენით „სუპრიზებს“ გვიმარ-
თავდნენ. განყოფილების მუშაკები სიცილით იხოცებოდნენ,
„გრაფინია“ ჩარიტა რომ შლეიფიანი კაბითა და ჩექმებით
გამობრახუნდებოდა ინდაურივით გაფხორილ „ელჩ“ ბეგის
თანხლებით. ჩარიტა კიდევ არაფერი, მისი მოხდენილი ტანი
ადვილად შეეგუა „ამბასადრისის“ გარდერობს, ბეგი კი სულ
სასწაული იყო! შარვლის სიმოკლე რომ დაეფარა, სმოკინგზეც
ჩექმებს იცვამდა. ოქრონაქსოვი მუნდირი კი ტანის ნახევარ-
საც ვერ უფარავდა. თავზე შავი ცილინდრი ეხურა, ხელში
ჯოხი ეჭირა და ცალ თვალზე მონოკლი ჰქონდა გაკეთებული.
მართალია, მონოკლიან თვალს ვერ ახელდა, მაგრამ მეორე
თვალიც იოლად გამოდიოდა. პაოლოს დაცინვას, ბარემ
რქებიც გაიკეთე და კუდიან ეშმაკს დაემსგავსებიო, ბეგიმ
იმით მოუარა, რომ სმოკინგს მაშინვე „კუდები“ შეაჭრა და
„სულ გრაფს დაემსგავსა“. ყველაზე უფრო კი ის უხაროდა,
ძველი კლასიკური, ე. წ. „პრესიოზული სტილით“ ლაპარაკი
რომ ვასწავლე. იგი ჩარიტას ლორმა რევერანსით თავს დაუკ-
რავდა და პეტრონიუსივით მიესალმებოდა:

— სალამი თქვენდა, უმშვენიერესო ასულთა შორის დედა-
მიწაზე და ვარსკვლავთა შორის ცაზე, სალამი თქვენდა, ღვთა-
ებრივო ჩარიტა!..

ჩარიტა ერთხანს იცინებდა, მერე ისიც „ამბასადრისის“
სახეს მიიღებდა და წინასწარ დაზეპირებულ კითხვებს შეაგე-
ბებდა „მის აღმატებულებას, სრულუფლებიან ელჩს გერმა-
ნიის იმპერიისას, ბეგი-გამოტვინებულს“:

— რა - დრო იქნება ახლა, მოწყალეო ხელმწიფევ?

ბეგი აქ უფრო გაიჯგიმებოდა და საოცარი ყალბი ხმით
წარმოთქვამდა:

— დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, ჩემო მშვენებავ, რაც
ქალაქის კოშკზე საათმა თორმეტჯერ დაჰკრა!

ამით „წარმოდგენის“ ერთი ნაწილი თავდებოდა და ორი-
ვენი ისევ გარდერობში გარბოდნენ, რომ შემდეგ ახალი „სუპ-
რიზით“ გავეოცებინეთ. თუ ბეგი დაკავებული იყო, ჩარიტა
მთელ თავისუფალ დროს სასახლის უზარმაზარი ვენეციური
სარკის წინ ატარებდა. ტრაინინი არც ასეთ შემთხვევაში იშუ-

რებდა სხვათა მიერ ოდესღაც თქმულ ირონიულ აფორიზმებს.

— არ არსებობს ქვეყნად სარკე, რომელიც ქალს ეუბნებოდეს უშნო ხარო, — უთხრა მან ერთხელ ჩარიტას.

— არც ისეთი ქალი არსებობს, შენ რომ გითხრან მამაკაცი ხარო, — შეუბრუნა მან ენაგესლიან „მერვე ბრძენს".

ისე კი, თუ არავინ უყურებდა, ტრაინინიც ხშირად დგებოდა ამ სარკის წინ და ათასნაირ პოზას იღებდა. მერე სასახლის დარბაზებს მოიკლიდა და საათობით ათვალიერებდა გასაოცარი ხელოვნებით ნაკეთებ ავეჯსა თუ სხვა ნივთებს. გამოტყდა კიდეც, ნივოებზე უფრო ქვეყნად არაფერი მიყვარსო. ამბობდა, ცხოვრებაში იმდენი სიხარული მინახავს, რამდენიც ნივთი შემიძენია. ზოგჯერ ჩარიტაც აუბამდა მხარს და ერთად სინჯავდნენ ყველაფერს. დღისით ჩარიტა თავისუფალი იყო, ღამით კი ისევ მფრინავის ფორმას ჩაიცვამდა და უშიშრად მიდიოდა საბრძოლო დავალების შესასრულებლად...

თეთრი ცერემონია...

26 სექტემბერს ჩვენს რეზიდენციაში უცნაური სცენა გათამაშდა. შენობის სადარბაზოსთან ექვსი თეთრცხენშებმული, ოთვლიანი თეთრი ლანდო გაჩერდა. ლანდოს ოთხი საზეიმოდ გამოწყობილი გვარდიელი ახლდა. თავზე უზარმაზარი პრიალა ლითონის მუზარადები ეხურათ, თეთრი მუნდირები ეცვათ და ისე იყვნენ გაშეშებულნი, რომ სამუზეუმო ექსპონატებს ჰგვანდნენ. უკან კიდევ უფრო საზეიმოდ გამოჯგიმული გენერალი იჯდა. ცნობისმოყვარე თანამშრომლები ფანჯრებს მიაწყდნენ. პირველი, ცხადია, სახეგაბადრული ბეგი შემოვარდა ჩემთან. ისე იყო აღელვებული, რომ ჩვეულებრივი „პარდონ, უფროსოც" დაავიწყდა.

— მეფის სასახლის მარშალი! — საზეიმოდ წარმოთქვა მან. იმავე წუთს კაბინეტში ბრწყინვალე თეთრ მუნდირში გამოწყობილი შუახნის წარმოსადეგი მამაკაცი შემოვიდა. ბეგის „წილად ხვდა პატივი" მთარგმნელი ყოფილიყო. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ მარშალმა თეთრი კონვერტიო

ვადმომცა ასევე თეთრი სადარბაზო ბარათი, სადაც ეწერა: „მისი უდიდებულესობა მეხაი I სთხოვს საბჭოთა ჯარების მეთაურს ჩვენს დედაქალაქში მაიორ (ამას და ამას) 27 სექტემბერს 12 საათზე ეწვიოს საუზმეზე პრინცესა ელისაბედის სასახლეში“.

საიდან მომაწერეს ასეთი თანამდებობა, დღემდე გაუგებარია ჩემთვის, მაგრამ მეფის ამ „წყალობაზე“ ბაშინ უარი არ მითქვამს. დავიბენი კი. არ ვიცოდი რა პასუხი გამეცა ჰოფმარშლისათვის. მე თვითონ, ვინმესთან შეუთანხმებლად, ხომ ვერ გავბედავდი მეფესთან სტუმრობას, თან გაწბილებაც მეუხერხულა. ის ჰოფმარშალი კი გაჯგიმული იდგა და პასუხს ელოდა.

— თქვენთან ერთად მოწვეულია ქალაქის სამხედრო კომენდანტი და მისი მთარგმნელი, — შეავსო პაუზა ჰოფმარშალმა და, რაკი მე ისევ ვდუმდი, განაგრძო: — ნიშნად უაღრესი პატივისცემისა მისმა უდიდებულესობამ თქვენი რეზიდენციიდან სასახლემდე ცერემონიალური გავლისათვის თავისი სამეფო ლანდო შემოგთავაზათ...

გაგონილი მქონდა, რომ ინგლისში, როცა რომელიმე საელჩოწფოს ახალდანიშნული ელჩი მიდიოდა მეფის სასახლეში რწმუნების სიგელის ჩასაბარებლად, მეფე მას თავის ლანდოს უგზავნიდა. საელჩოდან სასახლეშდე ასეთ ეკიპაჟს მეფის გვარდიის საპატიო ესკორტი მიაცილებდა. ქუჩაში ხალხი გამოეფინებოდა და უყურებდა ამ პომპეზურ სანახაობას...

აბა, ჩვენ რომელი ელჩები ვიყავით და იმის შიშით, რომ უსიამოვნებას არ წავწყდომოდი, სასახლის მარშალს სამეფო ლანდოზე მადლობა მოვახსენე და ვუთხარი, ნუ შესწუხდებით, ჩვენი მანქანით წამოვალთ-მეთქი.

არაფერი უთქვამს, მშვიდობა გვისურვა და წავიდა. ბეგიმ გააცილა. მე ტელეფონს ვეცი. ქალაქის სამხედრო კომენდანტი გენერალი ბ. თავის ოთახში არ იყო. სადარბაზო ბარათი იქაც მიეტანათ, მაგრამ გენერალს ჯერ არ ენახა. როგორც იქნა, ფრონტის შტაბს დავუკავშირდი, ეტყობოდა, მათაც შეთანხმება დასჭირდათ და დაგირეკავთო მითხრეს. ორი საათის შემდეგ დამირეკეს:

— საუზმე შეგიძლიათ მიირთვათ, რამე ოფიციალური ლაპარაკისაგან კი თავი შეიკავეთ.

ცოტა ხნის შემდეგ გენერალი ბ. მოვიდა. ასეთ „დიპლომატიურ“ საკითხებზე ქალაქის კომენდანტები მაშინ ჩვენი განყოფილების კონსულტაციითაც მოქმედებდნენ. მე უკვე ყველაფერი შეთანხმებული მქონდა, მაგრამ გენერალი მაინც ბობოქრობდა: გიჟი ხომ არა ხარ, სად უნდა წამოვიდე, რომელი ჰერცოგი მე მნახეთ, მეფესთან რომ ვისაუზმო, ან მაგ ღლაპს რა უნდა ველაპარაკო, დავიდარაბის თავი არა მაქვსო და სხვა მისთანანი.

ძალიან სიმპათიური კაცი იყო, გულკეთილი. ვიცოდი, ერთ-ხანს იხმაურებდა და დაწყნარდებოდა. ან სხვა რა გზა ჰქონდა!..

... იმ საღამოს ჩვენთან სულ ამაზე იყო ლაპარაკი. ბეგიმ გოგოები დააწიოკა: ეს გაწმინდეთ, ის გააუთოვეთ, ასე ქენით, ისე ქენითო. მერე მე მომაღგა, მკერავებს ტყავს გავაძრობ და, თუ გინდათ, დილამდე ახალ მუნდირს შევაკერინებო. უარი ვუთხარი. კიდევ კარგი, რომ ჩარიტა არ იყო, თორემ ის სულ აგვიკლებდა. ტრაინინმა კი გესლიანად ჩაიცინა და თქვა:

— კაცო, ყვავს თვალი არ ება და ღმერთს წამწამებს ევედრებოდაო, იმ თქვენი მეფის საქმე სწორედ ეგრეა... ინ ოჯახქორს ცა და ქვეყანა თავზე ენგრევა და წვეულებას კი მართავს!

მერე ისევ ეშმაკურად გაიღრიჭა და დასძინა:

— ისე, მეფესთან საუზმეზე წასვლა კარგია, ძველი დრო რომ იყოს, მაგრამ ახლა იქნებ მის მეჯინიბესთან სჯობდეს საქმის დაჭერა!

ბეგი ნაწყენი იყო, მთარგმნელად რომ თვითონ არ ნოდიოდა. ცხვირი ჩამოუშვა. ჯავრი რომ გამექარვებინა, ვეხუმრე, სასახლიდან როცა დავბრუნდები, ჩემ ფლიგელ-ადიუტანტად დაგნიშნავ-მეთქი. ადიუტანტობაზე ხომ გიჟდებოდა, ახლა კი „ფლიგელ-ადიუტანტი“ იქნებოდა. ეს სულ რაღაც გადასარევი ამბავი იყო მისთვის. მაშინვე უბის წიგნაკში ჩაიწერა და ერთი-ორჯერ ზეპირადაც გაიმეორა. მერე სხვა „სკრუპულოზური“ საკითხებითაც დაინტერესდა.

— პარდონ, უფროსო, საუზმეზე რა ექნებათ, თუ იცით?

— რა ვიცი, მენიუ შეთანხმებული არ არის.

— ნეტავი მეფეებსაც ისეთი საჭმელები აქვთ, როგორიც სხვებს, თუ სულ ანტრეკოტებს მიირთმევენ?

— ჰო, ანტრეკოტებს, რა თქმა უნდა!

— აბა რა, ჩვენი ლოქოს შეთითხნილ გულიაშს ხომ არ იკადრებენ!

— არა, გულიაშს არავითარ შემთხვევაში!

— ფრეილინები თუ ეყოლებათ მოწვეული?

— ალბათ..

— უჰუ, ჰუუ, რა ჩასუქებულები იქნებიან! — გააქნია თავი ბეგიმ.

„ჩასუქებული" და „ლამაზი" მისთვის ერთსა და იმავეს ნიშნავდა.

ეს მიწვევა რაღაც განსაკუთრებულ მოვლენად მიაჩნდა. ყველაფერი აინტერესებდა, რა და როგორ იქნებოდა, ვინ რაც იზამდა და სხვა მისთანანი. ბოლოს, როგორც იქნა, დაამთავრა ჩემი გამოკითხვა.

— რა გაძლებს ახლა ხვალამდე?! — ჩაილაპარაკა მან და წასვლა დააპირა, მერე ისევ მე მომიბრუნდა:

— ხომ მიამბობთ ყველაფერს?

— სკრუპულოზურად.

მთავარი ახლა გაახსენდა:

— ფრანგულ სიტყვებს ბევრს ეტყვით არა?

— რა თქმა უნდა, მეფეებს ყოველდღე ხომ არ ვხვდები!..

... კაცმა რომ თქვას, ცნობისმოყვარეობა არც მე მაკლდა. რამდენი რამ წამიკითხავს, რამდენი ფილმი თუ სპექტაკლი მინახავს სამეფო კარის ცხოვრების შესახებ. ბევრი რამ გამიგონია, ავიცა და კარგიც: ეს — დიდებულთა ინტრიგებიო, ბრძოლა ტახტისათვის, ძალაუფლების ავადმყოფური წყურვილი, ეს — შეთქმულებანი, ვერაგობა და მუხანათური მკვლელობანიო.

მეფეთა ცხოვრება მუდამ შფოთიანი იყო, დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც. ბიზანტიის კეისართა მცირე ნაწილმა თუ დაამთავრა თავისი სიცოცხლე ბუნებრივი სიკვდილით. აღმოსავლეთში კი სეტყვასავით ცვიოდა დესპოტებისა და მათი დი-

დებულების თავები. წარმართულ ხანას არც ქრისტიანული ევროპა ჩამორჩა. ვინ გაიგებს, თუ ვინ ვის წინააღმდეგ აწყობდა შეთქმულებას, ვინ ვის კლავდა, ახრჩობდა ან დილეგში აგდებდა: მამა — შვილს, შვილი — მამას, მეფე — დედოფალს, დედოფალი — მეფეს. ძმა ძმას ეცილებოდა ტახტს, დიდებული — დიდებულს. ზოგს თავს ჰკვეთდნენ, ზოგს თვალებს თხრიდნენ. მერე ერთმანეთს დაერეოდნენ შეფეები, დედოფლები, გრაფები, ჰერცოგები, მარკიზები და იყო ერთი ნაჯახის ქნევა და გილიოტინების სრიალი. ძირს მიგორავდა გვირგვინოსანი ჰენრიხებისა და ლუდოვიკოების თავები.

მუდამ ასეთი სისხლის სუნი ტრიალებდა მეფეთა სასახლეებში. ნადირობა და გარყვნილება იყო მათი გასართობი.

არც რუმინეთის სამეფო კარი ჩამორჩებოდა ამ ორომტრიალს. აქ ტახტზე გერმანელი ჰოჰენცოლერები ისხდნენ. უცხო წარმოშობის მეფეებს ნაკლებად აწუხებდათ რუმინელი ხალხის ბედ-იღბალი. მთელი სახელმწიფო სიმდიდრე მათ ეკუთვნოდათ, ყოველგვარი შემოსავალი მათს ხაზინას ამდიდრებდა. მეფეები და დიდებულები დღედაღამ ნადირობდნენ კარპატებისა და ტრანსილვანიის მთებში, სხვაგანაც... სასახლეებში — სეფექალებზე. ნადირობდნენ სიმდიდრეზე ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ, ყველგან, საცა კი საამისოდ ხელი მიუწვდებოდათ. ზოგიერთი გვირგვინოსანი ისე გაიტაცა დროსტარებამ და გარყვნილებამ, რომ სახელმწიფო საქმეებისათვის ოდნავაც „ვერ იცლიდა"...

... როცა მეფე ფერდინანდი გარდაიცვალა, რუმინეთის ტახტზე მისი უფროსი ვაჟი, პრინცი კაროი, უნდა ასულიყო, თავზეხელაღებულმა პრინცმა, რომელსაც აწიოკებული ჰყავდა მთელი ქვეყანა, არ მოისურვა ადრინდელი ლაღი ცხოვრების შეზღუდვა სამეფო მოვალეობით და ტახტი ექვსი-შვიდი წლის ვაჟიშვილს მიხაის დაუტოვა, თვითონ კი საზღვარგარეთ გაიქცა. ამბობენ, კაროი უფრო თავის არცთუ ისე პირმშვენიერ მეუღლეს, დედოფალ ელენეს, განერიდაო. თვითონ განსაცვიფრებელი სილამაზის კაცი ყოფილა. ამიტომაც დაეხეტებოდა უცხოეთში და განაგრძობდა უზნეო ცხოვრებას.

დედოფალი ელენე გაძვალტყავებულა ასეთი ქმრის ხელში, მაგრამ თურმე მაინც ამაყად იტანდა „ოჯახური უსიამოვნების ყვითელ დრამას“...

1930 წელს მეფე კაროი არალეგალურად დაბრუნდა რუმინეთში. მისი თვითმფრინავი სადღაც უკაცრიელ ადგილას დაეშვა მინდორში. დიდხანს იარა ფეხით და პირველად ვიღაც გლეხის გოგონას შეხვდა, იმან დაღლილ-დაქანცულ უცნობს წყალი დაალევინა. ამის შემდეგ ტახტზე დაბრუნებული კაროი ყოველწლიურ ზეიმზე სასახლეში თურმე იმ გლეხის გოგონასაც იწვევდა. იმასაც ამბობენ, მეფე კაროიმ თავის შვილს „არ აწყენინა“ და, როცა თვითონ დაჯდა ტახტზე, პატარა მიხაი მუხლებზე დაისვაო.

კაროიმ არც ამის შემდეგ მოიშალა უზნეო ცხოვრება. იგი არაფერს ერიდებოდა. განუწყვეტლივ ნადირობდა ან აღლუმსა და წვეულებას მართავდა. მისი ტრიბუნის წინ ყოველთვის მეორე ტრიბუნასაც დგამდნენ ულამაზესი სეფე-ქალებისათვის. იყო თურმე ერთი სირბილი პარიზში, კაბების კერვა და პარფიუმერიით გატაცება. ყველა ცდილობდა თავისი სილამაზე უკეთ გამოეფინა „ულამაზესი მონარქის“ წინაშე.

დედოფალ ელენეს სულ გაუმწარდა სიცოცხლე. კაროის დედამ მარიამ და ძმამ ნიკოლაუმ, რამდენჯერმე შეთქმულება მოაწყვეს მეფის წინააღმდეგ. ნიკოლაუმ ერთხელ ესროლა კიდეც, მაგრამ ტყვია გვირგვინოსანი ძმის მაგივრად დედას — დიდ დედოფალ მარიას მოარტყა. მართალია, ჭრილობა მსუბუქი იყო, მაგრამ გამწარებული დედა მაინც ამ ინციდენტისა და უსიამოვნების მსხვერპლი გახდა.

მეფე კაროი კი ძველებურად განაგრძობდა ნადირობასა და სეფე-ქალებში დროსტარებას...

... ერთხელ რომელიღაც გენერალმა სამეფო წვეულებაზე თავისი ხასა, უბრალო მეწაღე ლუპესკუს უმშვენიერესი ასული, მოიყვანა. სასახლის არისტოკრატია აღაშფოთა გენერლის ამ თავხედობამ. სამაგიეროდ მეფე დარჩა კმაყოფილი. მისმა რომანმა ლუპესკუსთან სკანდალური ხასიათი მიიღო. სასახლემ „ამ სამარცხვინო რომანის“ შეწყვეტა მოითხოვა. კარო-

იმ არც ამ შემთხვევაში უღალატა თავის თავს. ერთ მშვენიერ დღეს მიატოვა სახელმწიფო, სამეფო ტახტი, ოჯახი და იმ კეკლუც ლუპესკუსთან ერთად ისევ საზღვარგარეთ გაიქცა. ტახტზე ხელმეორედ ავიდა მისი ვაჟიშვილი მიხაი I, ახლა უკვე ოცი წლისა.

ნათქვამია, კვიცი გვარზე ხტისო. მიხაიმაც უხშირა ნადირობასა და ოპერის თეატრის მოცეკვავე ქალებთან გართობას. ქალაქში იმასაც ამბობდნენ, მეფის სასახლიდან ოპერის თეატრამდე საიდუმლო გვირაბიაო გაყვანილი. კაროის მემკვიდრისაგან ესეც მოსალოდნელი იყო.

დედოფალი ელენე ყოველნაირად ცდილობდა შვილი ტახტზე განემტკიცებინა, მაგრამ უკვე სხვა დრო დადგა. ხალხი აღაშფოთა სამეფო კარის უმსგავსოებამ. ახალგაზრდა მეფეს ეს მაინცდამაინც არ აწუხებდა, მას არც სახელმწიფო აინტერესებდა და არც ხალხი. ამიტომ იყო, რომ მთელი ძალაუფლება ხელთ იგდო დიქტატორმა იონ ანტონესკუმ. უკანასკნელ პერიოდში მან სრულიად შეზღუდა მეფის უფლებები. ბოლოს კი მიხაი I სასახლის ტყვედაც გამოაცხადა.

როცა ანტონესკუ შეიპყრეს, მიხაიმ სცადა სამეფო ტახტზე განმტკიცებულიყო, მაგრამ მაშინ თვითონაც არ იცოდა აქედან რა გამოვიდოდა. ამიტომაც უნდოდა კონტაქტი დაემყარებინა გამარჯვებულთა არმიასთან. შესაძლებელია ამ ოფიციალური საუზმის გამართვის მიზანიც ეს იყო...

ფლიგელ-ადიუტანტი ბეგი...

დილით პირველი, რა თქმა უნდა, „მისი მაღალკეთილშობილება ფლიგელ-ადიუტანტი“ ბეგი მეახლა. წყნარად შემოაღო კარი და სხვისი ხმით იკითხა:

— პარდონ, უფროსო! შეიძლება?..

რაღაც განსაკუთრებით თავაზიანი და დაფიქრებული ჩანდა. გამიკვირდა და მეც ასეთივე ტონით ვუპასუხე:

— მობრძანდით, მოწყალეო ხელმწიფევ სარდანაპალ! — ავუმაღლე მას წოდება, — რამე ხომ არ გნებავთ?

— არა, შინ გული არ მიდგება, არც ღამე მიძინია, მოვედი გკითხოთ, თვითონ ხომ არ გნებავთ რამე?

ვხედავდი, ასე შორიდან დაიწყო, თორემ უფრო ახლობელი რაღაც აინტერესებდა, მაგრამ, ვითომ ვერ შევამჩნიე, ისე ვუთხარი:

— გმადლობთ. არაფერი!..

— არ ვიცი, მე კი მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, — გაიმეორა მან.

— რატომ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, გაწუხებთ რაში?

— არა, ეფიქრობდი!

— რა გაქვს ამდენი საფიქრალი?! — განგებ გავიკვირვე მე.

ბეგიმ ერთხანს იყოყმანა, მაგრამ მერე მაინც თქვა:

— რა იქნებოდა მეფესთან მთარგმნელად მე წამოგყოლოდით?

ახლა მივხვდი, რაც აწუხებდა, მაგრამ რა უნდა-მექნა.

— აბა, როგორ, მიპატიჟებული ხომ ის კაპიტანია?!

— იქნებ იმას არ უნდა წამოსვლა. გენერალი ხომ ყვიროდა, არ წამოვალო. იქნებ არც იმას უნდა, ა?

— რა ვიცი, ჯერ აქ გამოივლიან და ვნახოთ.

ო, რა გულდაწყვეტილი იყო ჩვენი სარდანაპალი! რაღაც უჩვეულო, გაჟეჟილი ხმით ლაპარაკობდა. ეტყობოდა ძალიან განიცდიდა ამ „მარცხს". მერე თვალებში ცრემლიც შევნიშნე და გული დამეწვა: ბეგი და ცრემლი?! ახლა იგი სულ ბავშვსა ჰგავდა, სადმე რომ არ წაიყვანენ და გაიბუტება. ბავშვს ასეთ დროს რამე სათამაშოს ან ტკბილეულს ნიაჩეჩებენ და დაამშვიდებენ, ამ ოცდაათი წლის „ბავშვისათვის" კი რა უნდა მექნა! როგორც ჩანს, „ფლიგელ-ადიუტანტობა" არ იკმარა და მეც შორიდან მოვუარე:

— იცი რა, ბეგი, მოდი, დღეს შენ ჩემი პრეტორიანელი იყავი.

— რა?! — გაუკვირდა მას.

— პრეტორიანელი!

— ეს რას ნიშნავს? — ცქვიტა ყურები. ეტყობა, ჩემი „ფრანგული" მოეწონა და ფანქარი მოიმარჯვა.

— პრეტორიანელებს რომის იმპერატორთა მცველებს ეძახდნენ, — ავუხსენი მე. — რაკი მეფესთან მივდივარ აუდიენციაზე, წარმოიდგინე, რომ მე რომის იმპერატორი ვარ. შენ კი ჩემი პირადი მცველი — პრეტორიანელი. ადიუტანტობას ეს არ სჯობია? ფლიგელ-ადიუტანტობასაც. ადიუტანტები გენერლებსაც ჰყავთ, პრეტორიანელები კი — მხოლოდ იმპერატორებს. შენც ჩემთან წამოხვალ, მანქანაში ბძღოლთან დაჯდები, მიღების პირველ ცერემონიალს ხომ ნახავ, მერეც სასახლის ეზოში იქნები. ესეც რამეა, არა?

— უჰუ, ჰუუ! მართალს ბრძანებთ? — სიხარულით ცას ეწია ბეგი.

— აბა როგორ!

— ვაჰ, ამას თუ მომიწყობთ, მეტი რა მინდა! აბა, იმათი აყროლებული ანტრეკოტები კი არ მაინტერესებს, მე ლოქოს გულიაშიც ნეყოფა, — ეს თქვა და ისე გავარდა, უკან არ მოუხედავს.

მერე სხვებიც მოვიდნენ. ტრაინინმაც შემოილაპარაკა:

— სანამ მეფესთან საუზმეს მოგართმევდნენ, თავს შიმშილით ნუ მოიკლავთ, ჯობია აქ ისაუზმოთ, თორემ მე ვიცი იმათი საუზმის ამბავი: ბევრი სერვიზი და ცოტა საჭმელი!

გენერალმა დარეკა მოვდივართო. ეტყობა იმასაც ქანდარაზე ეძინა. სანამ იგი მოვიდოდა, ისევ ბეგი შემოვარდა სრულ სააღლუმო ფორმაში.

— ეჰ! — თქვა მან და ხელი ხელს შემოჰკრა, — ერთი სისულელე კი მოგვივიდა.

— რა იყო? — შევეკითხე მე, რადგან მართლაც შეშფოთებული ჩანდა.

— როგორ შეიძლებოდა მეფის ლანდოზე უარის თქმა! აბა, ნანქანა რა არის, მანქანით აგერ ტრაინინიც დადის. აი, მეფის ლანდოთი წასვლას სულ სხვა სოლიდურობა ექნებოდა.

მერე ინატრა:

— ერთი იმ ლანდოში ჩაბსვა და ჩემს მსიეს შემახვედრა, როგორ ღაჭყეტდა თვალებს! მე ლანდოს გავაჩერებდი და ვეტყოდი, პარდონ, მსიე, მობრძანდით-მეთქი. მერსიო, მეტყოდა ის გამოტვინებული და ჩემთან დაჯდებოდა. მერე ნელნელა გავუყვებოდით ბუქარესტის ქუჩებს. ხალხი შემოგვე-

გებებოდა და ბოგვესალმებოდა. ჩვენც, რა თქმა უნდა, ვუპასუხებდით: აქეთ მე — პარდონ! იქით მსიე — მერსი! მერე მე — პარდონ! ის — მერსი! და ასე მოვივლიდით მთელ ბუქარესტს...

როცა ჟენერალი მოვიდა თავისი მთარგმნელის თანხლებით, ოანამშრომლები სულ ჩემთან იყვნენ თავმოყრილი. გენერალმა ჩაბოუარა და ხელი ჩამოართვა მათ. ბეგისთან რომ მივიდა, გაჩერდა: ყველას იცნობდა, მაგრამ განსაკუთრებით მაინც — ბეგის. მისი ოინების ამბავიც იცოდა. ამიტომ საგანგებო „პატივი სცა“, მხარზე ხელი მოხვია და ჰკითხა:

— ბეგი, როგორაა საქმე, ხომ ხარ ცერი თითივით?

— პრეტორიან, ამხანაგო გენერალო! — გამოკვეთა მან...

... დანიშნული დროს მეფის წარმომადგენელი პოლკოვნიკი უ. მოვიდა თავისი მანქანით, მშვენივრად ლაპარაკობდა რუსულად. ალბათ ამიტომაც დაევალა ასეთი მისია.

ათი წლის შემდეგ ორი მანქანა გავიდა კილინგერის ყოფილი სასახლიდან. საღღაც მივუხ-მოვუხვიეთ და კისელიოვის შოსეზე გამოვედით. ეს ერთ-ერთი უდიდესი მაგისტრალია ბუქარესტში.

1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, რომელიც ადრიანპოლის საზავო ხელშეკრულებით დამთავრდა, გრაფი პავლე დიმიტრის ძე კისელიოვი მოლდავეთისა და ვლახეთის მმართველად დაინიშნა. აი, ამ კისელიოვის სახელს ატარებს ეს შოსე, რომელიც მისივე გეგმით იქნა იმ დროს გაყვანილი. რაკი ჩემი გვარი იმ გრაფის გვარს „კისელიოვს“ ჰგავდა, ბეგიმ მაშინვე „შეაკეთა“ შოსეს სახელიც, და ამით ვითომ საბაგიერო მომიზღო პრეტორიანელის ჩინის მინიჭებისათვის.

როცა ჩვენ იმ შოსეზე მივდიოდით, ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ ლამპიონებზე დადგმული სირენები ერთბაშად ახმაურდა. ეს უკვე ცერემონიის დასაწყისი იყო. ამ სირენების ხმაზე შოსეზე ყოველგვარი მოძრაობა უნდა შეჩერებულიყო. ხალხსაც სიარული უნდა შეეწყვიტა ფილაქნებზე. მაგრამ „საგზაო ცერემონიის“ ეს პირველივე ნომერი ჩაიშალა. ასეთი წესი მხოლოდ რუმინელებმა იცოდნენ, შოსეზე კი უმთავრე-

სად საბჭოთა არმიის ავტომანქანები და სამხედრო ტექნიკა მოძრაობდა. იმათ იფიქრეს საჰაერო განგაშია და, გაჩერდნენ კი არა, სვლას უფრო მოუმატეს.

— კონიუზ! — მომიბრუნდა ბეგი.

— აი, ჩემ ხედავ, — ვეუბნები მე, — იმ ლანდოთი რომ წამოვსულიყავით, რა სასაცილო მდგომარეობაში ჩავვარდებოდით!

— არა, ლანდო მაინც სხვა სოლიდურობაა! — იხტიბარი არ გაიტეხა მან...

დამსხვრეული სათვალეები...

პრინცესა ელისაბედის სასახლესთან რომ მივედით, მანქანები გაჩერდა და ვიღაც ოფიცერმა დასჭყივლა:

— ატენციუნე! (ყურადღება!).

ალაყაფის კარებიდან სასახლემდე კვიპაროსების გრძელი ხეივნის ორივე მხარეს მეფის გვარდია იყო ჩამწკრივებული. ოფიცრის ბრძანებაზე მათ თოფი „ყარაულზე" აიღეს და გაშეშდნენ. ყველას მოცისფრო-ლურჯი მუნდირი ეცვა. თავზე ერთი მეტრის სიმაღლის თეთრი, ბუხრის წოწოლა ქუდები ეხურათ. ქუდებზე ზანზალაკები იყო მიმაგრებული. გვარდიელები თავს არხევდნენ და ზარებს წკრიალი გაჰქონდა. ეს, ალბათ, ორკესტრის მაგივრობას ასრულებდა.

წინ ისევ ის ჰოფმარშალი შემოგვეგება. ხეივანი გავიარეთ და ვესტიბიულში შევედით. აქ იყვნენ პრემიერ-მინისტრი გენერალი სანატესკუ, მანიუ, ბრატიანუ, მინისტრები და გენერლები. იყვნენ სხვებიც, რომლებიც ჩვენთვის არ წარმოუდგენიათ.

ურთიერთგაცნობისა და მისალმების შემდეგ დაიწყო თავისუფალი საუბარი. ახლა ძნელი წარმოსადგენია ის შინაგანი დაძაბულობა, რომელსაც ორივე მხარე განვიცდიდით. ჩვენ, პირველ რიგში, საკუთარ თავს ვებრძოდით, რომ ირონია არ გამოგვემჟღავნებინა, ისინი კი თავიანთ ანტიპათიას მალავდნენ. ისედაც აშკარა იყო, გარემოება რომ აიძულებდათ, თორემ ჩვენს ნახვას, ალბათ, შავი ჭირის შეყრა ერჩიათ... მიუხე-

დავად ამისა, განსაკუთრებით თავაზიანი, რაღაც ზედმეტად თუ ნაძალადევად ხაზგასმული და ამიტომაც ფარისევლური იყო მათი რევერანსები, ქათინაურები, აღტაცება და მადლობა! ყოველივე ამის უკან მოჩანდა უკმაყოფილების მუქი ფონი, რაც უფრო სწორად გამოხატავდა სინამდვილეს, ვიდრე ეს სახეგაბრწყინებული მაამებლობა.

ლაქიებმა რაღაც ურიკები შემოაგორეს და სასმელებით გაგვიმასპინძლდნენ. მერე ისევ საუბარი განვაგრძეთ. მე ჯერ პოლკოვნიკ უ-ს ველაპარაკე. ვკითხე რუსული სად ისწავლეთ-მეთქი. თურმე პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ მოხვედრილა რუსეთში და რამდენიმე წელი გაუტარებია იქ. მერე ბესარაბიაში უმსახურია და კიდევ უფრო გაუწაფავს ენა. რუსულ წიგნებს ვკითხულობდიო, თქვა და ტურგენევი ახსენა.

— რუსეთის არმია მგონი მესამედაა ბუქარესტში, — შეიშნა მან. — უწინ თურქეთისაგან გვათავისუფლებდით... ყოველივე ეს ისეთი ინტონაციით წარმოთქვა, რომ ეტყობოდა არცთუ ისე სიამოვნებდა. მერე დასძინა კიდეც:

— მართალია, ჩვენ კი ვწყდებით წელში ამდენი გათავისუფლებით, მაგრამ რას იზამთ, ომი ომია და თავისუფლება მსხვერპლს მოითხოვს.

მერე პრემიერ-მინისტრი გენერალი სანატესკუ შემოგვიერთდა და, იმანაც რომ რუსულად დამიწყო ლაპარაკი, მე თვალები დავჭყიტე. თურმე იმასაც „კარგი დრო უტარებია“ რუსეთის ტყვეობაში. პოლკოვნიკი უ. და მე ერთად ვიყავით, თქვა სანატესკუმ და ხელებით ისეთი მოძრაობა გააკეთა, ძლივს მივხვდი, ეს პანტომიმა როგორღაც სამზარეულოსთან რომ იყო დაკავშირებული.

— მე კარგად ვიცნობ რუსულ სამზარეულოს, — თქვა მან, — ერთხანს მზარეულადაც ვმუშაობდი ტყვე ოფიცერთა ბანაკში. დღესაც სიურპრიზს გიმზადებთ. ძველი გავიხსენე და შეფმზარეულობა ვიკისრე.

პრემიერ-მინისტრი, გენერალი და შეფმზარეული! ასეთია ომის დროის უცნაური ლოგიკა, ანუ „დამხობილი ღმერთების“ იძულებითი „დემოკრატია“ სიმბოლურ ფორმაში. აბა, წარმოიდგინეთ, რუმინეთის პრემიერის მიერ გაკეთებული რუსუ-

ლი კერძები გამარჯვებული საბჭოთა არმიის წარმომადგენელთა პატივსაცემად! ესეც ხომ ისეთი პაროდიული ამბავია, ჩვენდა უნებურად რომ ღიმილს იწვევს. მეც ასე გაღიმებული ვუსმენდი ამ ჩია ტანის საოცრად მოძრავ გენერალს და ვფიქრობდი, ხუმრობს, თუ რაღაც უნიჭო ქარაგმებით მელაპარაკება-მეთქი. მაშინ ვერც ვიფიქრებდი, რომ თურმე ყველაფერს მართალს ამბობდა, რაშიაც მალე დავრწმუნდი.

სანატესკუმ ბოდიში მოიხადა, მზარეულებს მივხედავო და წავიდა.

ნამდვილი ბეგისებური „სუპრიზი" კი ჯერ წინ იყო!..

... წავიდა თუ არა სანატესკუ, დედოფალ ელენეს კეკლუცი „სტატს-დამა" მადამ კატარჯი მოვიდა და სხაპასხუპით მომაყარა:

— მე ვიცი, რომ თქვენ ქართველი ბრძანდებით, დედოფალმაც იცის ეს. მისი უდიდებულესობა აღტაცებულია ქართული ცეკვებით. მეც ვცეკვავ ქართულად. არა გჯერათ? აი, უყურეთ!

დაჯერება კი არა, სულის ამოთქმაც არ მაცალა, ისე გაშალა ხელები და ჩემ წინ რამდენჯერმე შეტრიალ-შემოტრიალდა, როგორც ცეკვა „ქართულშია" მიღებული.

ალბათ, ისეთი გაოცებული სახე მქონდა, რომ მადამ კატარჯი ისევ ტყვიამფრქვევივით აკაკანდა:

— აბ, ხომ ხედავთ, რომ ვიცი. დედოფალი უკეთ ცეკვავს. ძალიან უხარია, რომ ქართველს შეხვდება. მეც მიხარია ეს. ვიცი, რომ საქართველო სადღაც მთებშია. დედოფალს ძალიან უყვარს მთები. მეც ბავშვობა კარპატებში გავატარე.

ისე არაფერს იტყოდა, მაშინვე დედოფალი რომ არ ეხსენებინა. ეს, ალბათ, „სტატს-დამების" ლაპარაკის სტილია. ერთი წამით რომ გაჩერდა, ვკითხე:

— სად ისწავლეთ ქართული ცეკვა?

— ო, ეს ძალიან საინტერესოა. დედოფალმა საბერძნეთში ისწავლა. თქვენ, ალბათ, იცით, რომ ჩვენი დედოფალი საბერძნეთის მეფის ასულია. დანარჩენი მას ჰკითხეთ, თვითონ უკეთ გიამბობთ.

ამ დროს სასახლის მარშალმა საზეიმოდ გამოაცხადა:

— მათი უდიდებულესობა მეფე მიხაი I და მისი დედა — დედოფალი ელენე!..

გრძელი ანფილადის ყველა კარი ერთად გაიღო. იმ თავში მეფის იმპოზანტური ფიგურა გამოჩნდა. გვერდით დედა, დედოფალი ელენე, მოჰყვებოდა. მეფეს სამხედრო ფორმა ეცვა — ცისფერი მუნდირი, თეთრი ეპოლეტებითა და აქსელბანტებით გაწყობილი. ტანახოვანი იყო, ზომაზე მეტად მსუქანი და მაინც ძალიან ლამაზი. ვინ იფიქრებდა, რომ ეს გაფუნდრუკებული გიგანტი სულ რაღაც ოცდაოთხი წლისა იქნებოდა!

დედამისი ელენე, ძლიერ გამხდარი, სრულიად უბრალოდ ჩაცმული, შეუხედავი ქალი იყო. ისეთი ცივი და ასპიტივით მჭრელი გამოხედვა ჰქონდა, რომ თვალის ერთი შევლებისთანავე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სასახლის მარშალმა ჩვენი თავი გააცნო ნეფესა და დედამისს — დედოფალ ელენეს. ისინი მომეტებული თავაზიანობით მოგვესალმნენ. მერე ისევ გაგრძელდა საუბარი. ვინ ვისთან იდგა და მუსაიფობდა ფრანგულად, რუმინულად, ინგლისურად. ეტყობოდა, გერმანულს ყველა გაურბოდა, თუმცა მეფე ჰოჰენცოლერი იყო.

ძნელია, როცა უნდა ისაუბრო და არ კი იცი რაზე. კიდევ კარგი, ლაპარაკი კავკასიაზე ჩამოვარდა. მეფე დაინტერესდა, ალბათ კარგი სანადირო ადგილები იქნებაო კავკასიის მთებში. ნადირობისა ნე არაფერი გამეგება, მაგრამ რაღაც წიგნები კი მქონდა წაკითხული ამის შესახებ და როგორღაც ავუბი მხარი საუბარს.

— მძიმე დრო დადგა, — თქვა მეფემ, — ხალხს ცხოვრებაზე უფრო ბრძოლა აინტერესებს. არ მესმის, რისთვის იბრძვიან, თუ არ იცხოვრებენ! აგერ ერთი წელიწადია სანადიროდ არ ვყოფილვარ. თუ ყველაფერი მიწყნარდა და მშვიდობა იქნა, კარპატებში მიგიწვევთ სანადიროდ.

უნებლიეთ გამახსენდა, რუმინელმა ნაციონალისტებმა რომ გადმოისროლეს ლოზუნგი — „დიდი რუმინეთი კავკასიამდე!“ ეს „მდე“ ჰიტლერის შიშით იყო ნათქვამი (კავკასია ხომ მას თავისთვის უნდოდა), თორემ რუმინელებსაც ეჭირათ ჩვენს

მხარეზე თვალი. ვიფიქრე, კავკასია ალბათ სანადიროდ უნდა-მეთქი მეფე-ბატონს.

. მერე ისევ მადამ კატარჯის ხელში ჩავვარდი.

— ჩემ ხედავთ, დედოფალი როგორ დამწუხრებულია,— დაიწყო ისევ, — დიდი უბედურება დაატყდა თავს. საშინელებაა, საშინელება! მეც იმდენი ვიტირე...

შემეშინდა, ახლა პოლიტიკაზე არ დაიწყოს ჭარტალი ამ ქარაქუცა დედაკაცმა-მეთქი, მაგრამ ჩემი შიში ზედმეტი აღმოჩნდა: კატარჯის პოლიტიკა სულაც არ აინტერესებდა. იგი სხვა რამეთი იყო შეწუხებული. ძლივს გავიგე მისი ლაპარაკი, ისე მიაჭენებდა.

— თქვენ იქნებ გაგიგონიათ, რომ მისი უდიდებულესობა დედოფალი ელენე სათვალის მოყვარულთა მსოფლიო საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი იყო და საუცხოო კოლექციასაც ინახავდა. სასახლის რამდენიმე დარბაზი ამ კოლექციის გამოფენას ჰქონდა დათმობილი. დედოფალი თავისი ცხოვრების მთავარ დროს ამ დარბაზებში ატარებდა სათვალეებთან. სულ ოთხი ათასამდე სათვალე ჰქონდა, უძველესი ვენეციური ხის სათვალით დაწყებული და უკანასკნელი მოდელებით დამთავრებული. მთელ მსოფლიოში აგროვებდნენ დედოფლისათვის მათ. განსაკუთრებით ძვირფასი იყო გამოჩენილ ადამიანთა სათვალეები, დედოფალს ხუთასამდე ასეთი სათვალე ჰქონდა თავის მუზეუმში. ყველაფერი ეს დაიღუპა. წარმოგიდგენიათ, რა საშინელებაა! ყველაფერი დაიღუპა. გერმანელებმა რომ სასახლე დაბომბეს, ყუმბარა პირდაპირ იმ დარბაზებს მოხვდა და დაილეწა ყველაფერი... ღმერთო ჩემო, რა დღეში იყო მისი უდიდებულესობა! არ მეგონა, თუ გადარჩებოდა. მას ბევრი მწუხარება უნახავს, მაგრამ ამ უბედურებამ სულ თავზარი დასცა...

ამ ოჯახდაქცეულებს სახელმწიფო თავზე დაამხვეს და მაინც სათვალეების კოლექციას უფრო მისტირიან-მეთქი, კფიქრობდი ჩემთვის.

მერე მადამ კატარჯიმ დედოფალთან მიმიყვანა. იგი არც ისე ტრაგიკულად გამოიყურებოდა, როგორც კატარჯიმ დამიხატა.

— მე ქართული ცეკვების შესახებ ველაპარაკე ჩვენს სტუმარს, თქვენო უდიდებულესობავ. წარმოიდგინეთ, რომ არ დაიჯერა. ვუჩვენე კიდეც, რომ ვიცი ცეკვა, მაგრამ, მგონი, არც ახლა სჯერა.

— დიდებული ცეკვებია! — თქვა დედოფალმა. — საბერძნეთში ვნახე პირველად. პარიზიდან ჩამოვიდა ქართული ანსამბლი. ყველას ისე მოგვეწონა, ექვს თვეს დავტოვეთ სასახლეში. მეც მასწავლეს ცეკვა. რაღაც თავისებური კაბა ჩამაცვეს, შესანიშნავი თავსაბურავიც დამახურეს, აი ასეთი, გრძელი პირბადით...

აქ მან ქართული მანდილი გამოსახა ხელების მოძრაობით...

— მე ბადამ კატარჯის ვასწავლე აქ თქვენებური ცეკვა და, წარმოიდგინეთ, ჩემზე უკეთ შეითვისა, — განაგრძო მან, — უხდება კიდეც, როცა ცეკვავს. მე კი თავს იმდენი უბედურება გადამხდა, მერე ცეკვაზე არც მიფიქრია. ცეკვას ხალისი უნდა, ბატონო, ხალისი კი დიდი ხანია უცხო სტუმარი გახდა ჩემთვის...

რაკი სათვალეების კოლექციის გამო სამძიმარი არა ვთქვი, კატარჯიმ თვითონ „გაიხსენა" ეს საბწუხარო ამბავი. დედოფალმა ახლა კი ღრმად ამოიოხრა და მართლაც ტრაგიკული სახე მიიღო.

— ეს ერთადერთი სიამოვნება იყო ჩემთვის, — თქვა მან ნაღვლიანად. — ოცი წელიწადი ვაგროვებდი ამ კოლექციას და ერთ დღეში კი დაიღუპა ყველაფერი.

მერე სახე მომიახლოვა, თვალებში ჩამაცქერდა და მითხრა:

— აბა, მიყურეთ თვალებში, კარგად მიყურეთ... დააკვირდით, დააკვირდით! ვერაფერს ამჩნევთ?

მე თავი უხერხულად ვიგრძენი. ვერ მივხვდი რისი თქმა სურდა ან მის თვალებში რა უნდა დამენახა ასეთი, ის კი ისევ დაჟინებით ამბობდა:

— ვერაფერს ხედავთ?

— ვერაფერს.

— აბა, კარგად ჩამხედეთ თვალებში, არც ახლა?

— არა.

— საკვირველია! აბა, უყურეთ.

უბრალო ნაქსოვი ჟაკეტის ჯიბიდან გიმრის შავი წუნდმტუკი ამოიღო. ცალი ხელით თვალის ქუთუთო ასწია, მეორეთი კი მუნდშტუკით ზედ თვალის გუგაზე დააკაკუნა.

— აი, ეს ერთადერთია, რაც დამრჩა, სხვა ყველაფერი დაიღუპა, — თქვა მან.

სათვალე შიგ ქუთუთოების ქვეშ ჰქონდა ჩადებული. გარედან არაფერი ეტყობოდა. მხოლოდ ახლა მივხვდი, თუ რატომ ჰქონდა ასე ცივი გამოხედვა დედოფალს...

...სუფრაზე მიგვიწვიეს. ნაგიდასთან ადგილები წინასწარ იყო განაწილებული. მეფის მარჯვნივ იჯდა გენერალი ბ., რომელსაც გვერდით თავისი მთარგმნელი მიუსვეს. მარცხნივ მე ვიჯექი, მერე — დედოფალი... წინ, პირდაპირ, გენერალი სანატესკუ მოკალათდა, დანარჩენები — სხვა ადგილებზე.

თეთრ სქელ ქაღალდზე, რომელსაც სამეფო გერბი ესვა, ფრანგულად მენიუ იყო დაბეჭდილი. ასე ეწერა: კიევური კოტლეტები, მოსკოვურად შემწვარი ყველი, რუსული ესა და ეს და სხვ. მივხვდი, რომ ყოველივე ეს სულ პრემიერ-მინისტრ სანატესკუს შეფმზარეულობის შედეგი იქნებოდა. მართალია, არც „კიევურსა“ და არც „მოსკოვურს“ იქ არაფერი ჰგავდა, მაგრამ ზრდილობისათვის ძალიან მოვუწონეთ პირველ შეფმზარეულს ქვეყანაზე ოდესმე არსებულ პრემიერ-მინისტრთა შორის.

მაგიდასთან ბევრი ლაპარაკი არ ყოფილა. მეფემ ჯერ ბოდიში მოიხადა, შავი ხიზილალა ვერ ვიშოვეო. მერე წიწილა ხელით გაგლიჯა და მადიანად მიირთვა. მოსკოვური „სირნიკებიც“. მოიწონა და სანატესკუს ოსტატობა შეუქო. იგი სულ დადნა სიამოვნებისაგან. მერე მეფემ თქვა: კარგია, კაცმა ყოველგვარი ხელობა უნდა იცოდესო.

— მე ერთხანს თორმეტ ბავშვთან ერთად ვიზრდებოდი და ვსწავლობდი, — დასძინა მეფემ, — თორმეტიანი თორმეტი სხვადასხვა ხელობის კაცის შვილი იყო...

ეს მეც გამეგონა, ასე რომ იყო, მაგრამ ისიც ვიცოდი, ამ ხელობათაგან მან ყველაზე კარგად თავისი მამის „ხელობა“ რომ ისწავლა.

მერე დედოფალმა წამჩურჩულა:

— სულ დამავიწყდა მეთქვა: მეფეებ დღეს პირველად ჩაიცვა ავიაციის მარშლის ფორმა, იქნებ მივულოცოთ ამ ახალი წოდების მიღება.

მაშინვე მივხვდი, ესეც წინასწარი განზრახვით რომ იყო გაკეთებული და რაღაცისათვის გამიზნული, მაგრამ ამით.არც დავინტერესებულვართ. ავდექი, გენერალ ბ-სთან მივედი და ვთხოვე ეს მისალოცი სიტყვა მას ეთქვა. კარგი, თუ კაცი ხარ, თავი დამანებე, ერთი სადღეგრძელო ძლივს ვთქვიო, შემომწყრა. მაინც არ მოვეშვი, ეს თქვენ შეგეფერებათ როგორც გენერალს-მეთქი. კარგი, ასე იყოსო, დამეთანხმა იგი, მაგრამ რაღაც საუბედუროდ მკითხა, ვინ მიანიჭა, თუ იცი, ეს წოდებაო.

— ვინ მიანიჭებდა, — ვუპასუხე მე, — მეფეა და თვითონ მიანიჭა თავის თავს!

მაშინ რა ვიცოდი, რომ ეს გულუბრყვილო ნათქვამი სიტყვები იქვე ამომივიდოდა ყელში.

გენერალი ადგა, წინასწარ რატომღაც გრძლად ამოიხვნეშა და, თითქოს ზეპირად დასწავლილ სიტყვებს ამბობსო, ისე მოწაფესავით წარმოთქვა:

— მოგილოცავთ, თქვენო უდიდებულესობავ, რომ თქვენს თავს მიანიჭეთ მარშლის წოდება!..

თავში დამკრა, ეს რა თქვა ღმერთგამწყრალმა-მეთქი. ისიც შევნიშნე, გენერალ სანატესკუსა და პოლკოვნიკ უ-ს სიცილი რომ წასკდათ. იმათ ხომ რუსული იცოდნენ და მაშინვე იგრძნეს სიტუაციის კომიკურობა. მდგომარეობის გამოსასწორებლად მთარგმნელს დავასწარი, ფეხზე წამოვხტი და თვითონ ვუთარგმნე მეფეს. მადლობა გადაიხადა.

მე მეგონა, ამით გათავდა საქმე-მეთქი, მაგრამ, პოლკოვნიკ უ-ს რომ შევხედე, ის ისევ სიცილით იგუდებოდა. მერე თვალი ჩამიკრა და მანიშნა, არა უშავს რაო...

... წამოსვლისას იგივე ცერემონიალი განმეორდა, რაც სასახლესთან მისვლის დროს. მეფემ და დედოფალმა იმ გერბიან ბარათზე, რომელზედაც მენიუ იყო დაბეჭდილი, თავიანთი სახელები დააწერეს და სახსოვრად მოგვცეს. ფაქსიმილეების მოყვარულთათვის ეს, მართლაც, დიდი წყალობა იყო, ჩვენ-

თვის კი—არაფერი. ზრდილობა მოითხოვდა და მაინც წამოვიღეთ. კიდევ ერთხანს ვიდექით-დარბაზში და ვსაუბრობდით რაღაც ნეიტრალურ საკითხებზე. ჩვენდა სასიხარულოდ, არც მეფეს და არც დედოფალს, მეტადრე პრემიერ-მინისტრსა თუ მისი კაბინეტის წევრებს, ამ საუბრის დროს არავითარი პოლიტიკური საკითხი არ დაუსვამთ. როგორც ჩანდა, ეს არც ჰქონდათ განზრახული. მათთვის საკმარისი იყო საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან „მეგობრულ ვითარებაში“ შეხვედრის ფაქტი აღენიშნათ პრესაში. ალბათ იმისათვის, რომ მიხაის დაედასტურებინა საბჭოთა კავშირის ლოიალური დამოკიდებულება რუმინეთში არსებული მონარქიული ხელისუფლებისადმი.

მეორე დღეს ბუქარესტის გაზეთებმა მართლაც გამოაქვეყნეს სამეფო კარის კომუნიკე № 2, რითაც იუწყებოდნენ, რომ მისმა უდიდებულესობამ მეფე მიხაი პირველმა პრინცესა ელისაბედის სასახლეში საუზმე გაუმართა საბჭოთა არმიის წარმომადგენლებს (დასახელებული იყო ჩვენი ვინაობა) და „ხანგრძლივი გულთბილი საუბარი ჰქონდა მათთან“...

ამან კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ მთელი ეს „თეთრი ცერემონია“ ამ კომუნიკესათვის იყო გამიზნული.

მიხაი 1 ადასტურებდა თავის არსებობას როგორც მეფე...

გერმანული დუნაი...

ეს კი ასე იყო, მაგრამ რუმინეთის სახით გერმანელებს პირველი სატელიტი მაინც გამოაკლდათ „თანამგზავრებიდან“. იყო დრო, როცა ჰიტლერი ერთი სახრით მიერეკებოდა ყველას „აღთქმული ქვეყნისაკენ“, თუმცა სულაც არ აპირებდა მათთვის ქანაანის განაწილებას. ის კი არა, საკუთარ ტერიტორიებსაც არ უნარჩუნებდა რუმინეთს, უნგრეთსა და ბულგარეთს. შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, იგი მაშინვე წაუყენებდა ბრალდებას თავის სატელიტებს, თქვენმა თხამ ჩვენი მგელი შეჭამაო, და იარაღს ააღარუნებდა. შერე ტერიტორიულ პრეტენზიებსაც განაცხადებდა საკუთარი „გერმანული ევროპის“ მოსაწყობად და ძალად შეაბამდა ყველას თოკს კისერზე.

ერთ-ერთი საუბრის დროს ჰიტლერმა თქვა კიდეც, დუნაი მთლიანად გერმანულ მდინარედ უნდა ვაქციოო. ვინც სამხრეთ ევროპის რუკას გადახედავს, მაშინვე მიხვდება, თუ რას ნიშნავდა ეს.

ჩვენში ამბობენ, დათვმა საჭმელი იშოვა და ტურებმა სიმღერა შექნესო. კაცმა არ იცის გერმანიის სატელიტებს რა „ამღერებდათ“, როცა კარგად იცოდნენ იმ ყავისფერი დათვის ზნე: რასაც თათი ვერ მოვატანე, ვერც გემო ჩავატანეო. ომის დასაწყისში ჰიტლერმა თათიც მოატანა მათ და პირის გემოც კარგად გაიხსნა, მაგრამ ახლა ლუკმა ლუკმაზე ეცლებოდა პირიდან. ამდენი დამარცხებით შეშინებულმა „ტურებმა“ თავიანთ სოროებს მიაშურეს, რითაც „გერმანული ევროპის“ პრობლემას ნიადაგი გამოეცალა და ომი თვით გერმანიას მიადგა კარზე...

... ამის შემდეგ ყველა მიხვდა, რომ ჰიტლერელთა საბედისწერო საათმა ჩამორეკა... გაქრა გერმანიის არმიის უძლეველობის ილუზია. შეირყა ჰიტლერის როგორც „გენიალური მხედართმთავრის“ პრესტიჟიც. ფრონტსა და ზურგში მღელვარება დაიწყო. ჰიტლერული კოალიცია თანდათან დაიშალა. დამხობილ მარშალ ანტონესკუსა და მარშალ მანერჰაიმის შემდეგ ადმირალი ხორტიც ცალი თვალით დასავლეთისაკენ იყურებოდა. ბენიტო მუსოლინი კი სულ ვულკანზე იჯდა: იგი ვერც ინგლის-ამერიკას უმკლავდებოდა და ვერც შინაურ ოპოზიციას. არმიას აღარ ჰქონდა ბრძოლის უნარი. აღმოსავლეთის ფრონტზე მისი დანაკლისი 150 ათას კაცს აღემატებოდა. იტალიამ აფრიკაში მთელი თავისი სამფლობელოები დაკარგა. ტუნისსა და ბიზერტაში ასი ათასი იტალიელი ჯარისკაცი ტყვედ დანებდა მოწინააღმდეგეს. მერე კუნძული პანტელერიაც ისე დაიკავეს ინგლისელებმა, რომ იტალიელებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ჩერჩილი ხუმრობს კიდეც მემუარებში, აქ ჩვენი დანაკლისი განისაზღვრებოდა ერთადერთი ჯარისკაცით, რომელსაც ჯორმა უკბინაო. უფრო სასაცილო ამბავი კუნძულ ლამპედუზაზე მოხდა. აქ მთელი იტალიური გარნიზონი ტყვედ დანებდა ერთ ინგლისელ პილოტს, რომელიც იძულებული შეიქნა თავისი დაზიანებული თვითმფრინავით დაშვებულიყო.

მერე ჩვენი დასავლეთელი მოკავშირეები ისე გადასხდნენ სიცილიაში, რომ იტალიელებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ყველაზე საიმედო ციხე-სიმაგრე „აუგუსტაც“ უბრძოლველად ჩაბარდა მოკავშირეთა სადესანტო ნაწილებს. ამით გაცოფებულმა ჰიტლერმა ჯერ დეპეშით გამოლანძღა „მისი კეისრული უდიდებულესობა“ მუსოლინი, მერე კი გადაწყვიტა პირადადაც შეხვედროდა „იმ ჩვარ დუჩეს“.

მუსოლინის კი უკვე არც ამის თავი ჰქონდა. მთელ იტალიაში აჯანყებები და ომის საწინააღმდეგო გამოსვლები იმართებოდა. შეშინებული დიქტატორი დასავლეთელ მოწინააღმდეგეებთან სეპარატულ ზავზედაც ფიქრობდა... მეტიც. „სტალინგრადის კატასტროფის“ შემდეგ მუსოლინი გადაჭრით მოითხოვდა ზავს საბჭოთა კავშირთანაც. 1943 წლის 26 მარტს იგი სწერდა ჰიტლერს, რომ რუსეთის ვრცელი ტერიტორიების დაპყრობა შეუძლებელიაო:

— მე თქვენ გიცხადებთ, რომ რუსეთის ეპიზოდი უნდა დამთავრდეს, — არიგებდა ჭკუას დუჩე, — ჩვენ ვერასოდეს აღვგვით მას პირისაგან მიწისა. ამიტომ უნდა შევკრათ მათთან ზავი და მთელი ჩვენი სამხედრო პოტენციალის კონცენტრაცია მოვახდინოთ ხმელთაშუა ზღვაში...

ორივე თავისკენ ექაჩებოდა ბაწარს: ჰიტლერი აღმოსავლეთის ფრონტისაკენ უხმობდა იტალიას, მუსოლინი კი ხმელთაშუა ზღვისაკენ იწვევდა გერმანიის შეიარაღებულ ძალებს. ყვავს რა ჰქონდა, ჩხიკვს გაჰქონდაო, რომ იტყვიან, ისე იყო. უკვე არც ერთს შეეძლო ეს და არც მეორეს. მუსოლინი სიცილიაში იყო კუდით დაჭერილი, ჰიტლერი კი — კურსკთან. საქმე სერიოზულ განხეთქილებამდე მიდიოდა და ვინ იცის რა მოხდებოდა, რომ ყოველივე ამით გაბოროტებულ ჰიტლერს გვერდზე არ გადაედო ადრინდელი მედიდურობა და თვითონ არ ხლებოდა დუჩეს იტალიაში...

ზარატუსტრას აჩრდილი...

1943 წლის 19 ივლისს დილის 9 საათისათვის, როცა ჰიტლერის პირადი თვითმფრინავი „კონდორი“ გამოჩნდა ვენეციის ახლო მდებარე აეროდრომზე, მუსოლინი და მისი თანმხლე-

ბი პირები უკვე იქ იცდიდნენ. თვითმფრინავმა აეროდრომის თავზე დაიწყო ტრიალი, მაგრამ დაშვებას აყოვნებდა. შემხვედრნი გაოცებით იყურებოდნენ ცაში, შეშფოთებულიც იყვნენ, ხომ არ დაზიანდაო, მაგრამ გერმანიის ელჩმა იტალიაში ფონ მაკენზენმა საათს დახედა და თქვა:

— ნუ ღელავთ, ბატონებო! ჰიტლერი აეროდრომზე უნდა დაეშვას ზუსტად 9 საათზე, ახლა კი ცხრას სამი წუთი აკლია.

ასეც მოხდა. ზუსტად 9 საათზე ჰიტლერის თვითმფრინავი დაჯდა აეროდრომზე. გაზეთები წერდნენ, ჰიტლერმა ამით გერმანული სიზუსტე აგრძნობინა დუჩესო...

... ისინი „ვილა გაჯიაში“ შეხვდნენ ერთმანეთს. ჰიტლერმა აეროდრომზევე განაცხადა, რომ დაგეგმილი საბდღიანი ვიზიტის ნაცვლად შეუძლია მხოლოდ რამდენიმე საათი დარჩეს იტალიაში. ამან სულ აურია იტალიელებს წინასწარ შედგენილი გეგმა.

დაჯდა თუ არა ჰიტლერი მაგიდასთან, მაშინვე თვითონ მოხსნა გუდას თავი და დაიწყო...

გავიდა ერთი საათი.... ორი... ის კი ისევ შეუწყვეტლად ლაპარაკობდა... ასეთ მონოლოგებს მიჩვეული მუსოლინი ამ შემთხვევაში ნასიამოვნებიც იყო, იჯდა თავისთვის და სულ არ უგდებდა ყურს მის ლაპარაკს, არც სხვები იჩენდნენ დიდ ინტერესს ჰიტლერის ქადაგებისადმი. საქმე იქამდე მივიდა, რომ მთარგმნელმაც შეწყვიტა მისი სიტყვების თარგმნა. ჰიტლერი კი ისევ ორატორობდა:

— სიცილია მტრებისათვის უნდა გახდეს იგივე, რაც ჩვენთვის სტალინგრადი იყო!..

მუსოლინი, რა თქმა უნდა, სკეპტიკურად უყურებდა ამას, მაგრამ ხმას არ იღებდა. ან ვინ აძლევდა ამის საშუალებას. ისე გულში უხაროდა კიდეც, ხმის ამოღებას რომ არ აცლიდნენ, რადგან სასიკეთო არაფერი ჰქონდა სათქმელი...

ჰიტლერი ილანძღებოდა: იტალიელი ჯარისკაცები ლაჩრები არიან, ომი არ უნდათ, პოზიციებს უბრძოლველად თმობენო... მუსოლინი კი ახლა იმაზეღა ფიქრობდა, თუ როგორ დაეღწია თავი ამ „გიჟი ეფრეიტორის“ კლანჭებიდან. მერე

მისი პირადი მდივანი ჩეზარე შემოვიდა და ყურში უჩურჩულა, მოკავშირეები რომს ბომბავენო.

მუსოლინის სულ გაუფუჭდა გუნება. მან უკმაყოფილოდ შეხედა ჰიტლერს, რომელიც ისევ განაგრძობდა წნელების გრეხას. უკვე დღის პირველი საათი იყო... „მოლაპარაკება“ კი დილის 11 საათზე დაიწყო, მაგრამ რამე დასკვნამდე მაინც ვერ მისულიყვნენ. მერე ჰიტლერის ერთ-ერთი ადიუტანტთაგანი შემოვიდა და იმანაც ყურში უჩურჩულა, საუზმის დროაო. ჰიტლერმა მაშინვე შეწყვიტა ლაპარაკი.

საუზმის დროს ერთ-ორჯერ მუსოლინისაც მიეცა ხმის ამოღების საშუალება, მაგრამ ჰიტლერი არც აქ აცლიდა ლაპარაკს, უყვიროდა, მაგიდაზე მუშტებს აბრახუნებდა. მერე დუჩემაც აუწია ხმას... მაგრამ ფიურერმა მაინც დაიმორჩილა იგი.

შემდეგ, როცა მანქანით აეროდრომისაკენ მიემართებოდნენ, ჰიტლერმა ურჩია მუსოლინის კლემანსოსათვის მიებაძა და ჯარის ნაწილებში, სადაც ომის საწინააღმდეგო განწყობილება ვრცელდებოდა, დაეხვრიტა ყოველი მეათე ჯარისკაცი და დამუქრებოდა ოფიცრებს, რომ თქვენც ასე მოგექცევითო.

— კი მაგრამ ყველას ხომ ვერ დავხვრეტთ! — შეჰბედა მუსოლინიმ.

ჰიტლერი ისევ გაცოფდა.

— დუჩე! — უყვირა მან, — გაიხსენეთ, რას ამბობდა ზარატუსტრა: „ზეადამიანი ხალხთა ტანჯვაზე მაღლა უნდა იდგეს. მხოლოდ მაშინ შეასრულებს იგი თავის მისიას“...

მერე მუსოლინის მიუბრუნდა და მიაგესლა:

— ნუ ხართ, ბოლოს და ბოლოს, ასეთი ჩვარი!

დუჩე ერთი კი აიმრიზა, მაგრამ რა ექნა. ძალა აღმართსა ხნავსო, ნათქვამია. გული შხამით ჰქონდა სავსე, ხოლო ენაზე მაინც თაფლი ადნებოდა, რადგან ეშინოდა ჰიტლერისა. მართალია, იტალიის ბერლინელი ელჩი ალფიერი და გენერალური შტაბის უფროსი ამბროზიო აქეზებდნენ, „უფრო მტკიცე პოზიცია“ დაეჭირა ჰიტლერის წინაშე, მაგრამ მუსოლინი ისეთ პანიკურ განწყობილებაზე იყო, რომ ამას ვერ ახერხებდა. პირიქით, ეს შეურაცხყოფაც გადაყლაპა და ჩაიბურტყუნა:

— დიახ, ჩემო ფიურერ!

ჰიტლერი რომ გაფრინდა, ამბობენ, მუსოლინი კიდევ ერთხანს იდგა აეროდრომზე იმპერატორივით ხელგაშვერილიო...

... ამით დასრულდა ფიურერისა და დუჩეს „ისტორიული მოლაპარაკება“ 1943 წლის 19 ივლისს. ჰიტლერმა რამდენჯერმე ახსენა ნიცშე, ზარატუსტრა, ზეადამიანი და სიმტკიცისაკენ მოუწოდა „თავის მეგობარს“. მუსოლინი კი ისეთ საშინელ პერსპექტივებს ხედავდა, რომ ზარატუსტრას ქადაგება რას უშველიდა. მისი ძალაუფლება უკვე შერყეული იყო. ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელ წრეებსა და არმიაში მომწიფდა აზრი მუსოლინის გადაყენებისა. გრანდი, ჩიანო, ბადოლიო, აბბროზიო, აკვარონე და სხვები ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. ჰიტლერთან შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 24 ივლისს, ოპოზიციის კატეგორიული მოთხოვნით მოწვეულ იქნა პარტიის თითქმის გაუქმებული უმაღლესი ორგანოს — „დიდი ფაშისტური საბჭოს“ სხდომა. მუსოლინიმ იცოდა, ოპოზიცია რომ მის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდა, მაგრამ იმდენად იყო დარწმუნებული თავის დიქტატორულ უფლებათა სიმტკიცეში, რომ გადაწყვიტა პირისპირ შეხვედროდა მტრებს...

... „ფაშისტური საბჭოს“ სხდომა 24 ივლისს გაიხსნა და 10 საათს გასტანა. ოპოზიციის მეთაურებს წინასწარ ჰქონდათ შემუშავებული დეკლარაცია სახელმწიფოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ. დეკლარაციას საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობა უჭერდა მხარს. მდგომარეობა ძალიან რთული იყო, მაგრამ მუსოლინიმ, ვითომც არაფერიო, ისე დაიწყო მოხსენება. ჯერ ქვეყნის შინაურ ამბებზე ილაპარაკა, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას შეეხო, რესურსების საკითხები დააყენა და ომის ამბებს მიუახლოვდა. ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება მაშინ შეიქმნა, როცა მან სიცილიაში ინგლის-ამერიკის ჯარების გადმოსხდომის ამბები გააცნო საბჭოს წევრებს. ისინი ერთხანს დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ უკვე ზვარაკივით განწირულ დუჩეს.

პირველი ალიაქოთი მხოლოდ მაშინ ატყდა, როცა მუსოლინიმ, ალბათ ჰიტლერის საყვედურების ზეგავლენით, ბრალი

დასდო იტალიის არმიას, საჭირო წინააღმდეგობას არ უწევს მოპირდაპირესო. არმიის ამგვარი შეურაცხყოფა ვერ მოითმინა მარშალმა დე ბონომ. იგი ადგილიდან წამოხტა და მომხსენებელს დაუყვირა:

— მე ნებას არ მოგცემ ასე ილაპარაკო იტალიელ ჯარისკაცებზე. შენ არავითარი უფლება არა გაქვს შეურაცხყო არმია!...

დე ბონო ერთადერთი კაცი იყო იტალიაში, რომელიც „შენობით“ ელაპარაკებოდა დუჩეს. ამის უფლება მას ჰქონდა, რადგან ფაშისტური გადატრიალების დროს იგი პირველი განუდგა მეფეს, მიემხრო შავხალათიანების ფაშისტურ მოძრაობას და მხარში ამოუდგა დუჩეს რომზე გალაშქრების დროს.

მუსოლინი არ აჰყვა დე ბონოს აფექტს, მაგრამ ისეთი მომნუსხველი თვალებით მიაჩერდა მას, რომ მარშალს კანკალი დააწყებინა. დიქტატორი ჯერ კიდევ თავის სტიქიაში იყო. მისი ერთი სიტყვა და დე ბონოს თავი მიწაზე გაგორდებოდა. ეს იგრძნო მოხუცმა მარშალმა და, ვინ იცის, თავდაცვის მიზნით თუ შეთქმულთა საქმის „უფრო რადიკალურად გადასაწყვეტად“ უცებ რევოლვერი იძრო.

ადგილიდან არავინ განძრეულა. არც მუსოლინი. იგი ისევ ისე მომნუსხველად მისჩერებოდა სიკვდილივით გაფითრებულ მარშალს, რომელსაც რევოლვერი მისკენ ჰქონდა მიშვერილი, მაგრამ ხელები უცახცახებდა.

— შენ ხარ უკანასკნელი, რომელსაც კიდევ შეუძლია იტალიელი ჯარისკაცის ღირსების დაცვა ამ დარბაზში! — უთხრა მას მუსოლინიმ საკმაოდ მკაცრად, მაგრამ მაინც ისე თავდაჭერილად, თითქოს იმ რევოლვერისათვის სულაც არ მოეკრას თვალი.

დე ბონო ადგილზე გაშეშდა. მერე რევოლვერი ძირს დაუშვა და ისევ ისე შეშინებული ისმენდა მუსოლინის გამქირდავ სიტყვებს იმის შესახებ, თუ როგორ უღალატა თავის დროზე მარშალმა დე ბონომ მეფეს, როგორ ცუდად ხელმძღვანელობდა იგი იტალიის არმიას აბისინიაში ომის დროს და სხვ.

დე ბონომ რევოლვერი ისევ ჩადო ბუდეში და თავის ადგილზე დაჯდა. მუსოლინიმ განაგრძო მოხსენება და ჰიტლერ-

თან შეხვედრის შედეგები გააცნო საბჭოს. მერე სიცილიაში შექმნილი მდგომარეობის საშიშროება ახსენა და რაღაც სხვა საკითხზე უნდა გადასულიყო, რომ ახლა გრაფი დე ვეკი წამოხტა:

— მე ჯერ კიდევ 1935 წელს განვაცხადე, რომ დუჩე დაღუპვამდე მიგვიყვანს-მეთქი!

მუსოლინი არც ამას გამოუყვანია მოთმინებიდან. მან ხელში უზარმაზარი პორტფელი შეათამაშა და ისევ ისე მშვიდად უთხრა გრაფს:

— თუ აგრე ძალიან გინდა, შემიძლია შენს შესახებაც ვილაპარაკო. მე თანა მაქვს დოკუმენტები არა მარტო შენზე, არამედ სხვა ჩემს ეგრეთ წოდებულ „მომხრეებზედაც“.

არავინ იცოდა, რა დოკუმენტები იდო ამ პორტფელში, მაგრამ ყველას კი შეეშინდა, ვაითუ რამე მამხილებელი საბუთებიაო.

ეს თაგვებისა და კატის თამაშსა ჰგავდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ იმ კატას უკვე ბრჭყალები ჰქონდა დაცვეთილი და პირდაპირ ნახტომს ვერ ბედავდა. ეს შეთქმულებმაც იგრძნეს და ახლა მათი ერთ-ერთი მეთაური გრაფი დინო გრანდი წამოდგა, რათა წაეკითხა წინასწარ შედგენილი დეკლარაცია შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მუსოლინიმ არც დააცალა მას დოკუმენტის წაკითხვა, ისე უყვირა:

— შენ რა უფლებით აპირებ აქ დეკლარაციის კითხვას?!..

ასეთ უფლებაზე ლაპარაკი უკვე გვიან იყო. მართალია, მუსოლინი დიქტატორული უფლებებით სარგებლობდა: უნდოდა — ყურად იღებდა საბჭოს გადაწყვეტილებას, უნდოდა — არა, მაგრამ ახლა სხვა სიტუაცია იყო. ამიტომაც გაბედა გრანდიმ:

— ყველაფერი, რაც აქ ხდება, არის ერის ნება-სურვილი!

ახლა კი მიხვდა მუსოლინი, რომ საქმე უფრო გართულებული იყო, ვიდრე მას ეგონა. მაგრამ, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ისევ დემაგოგიაზე გადავიდა.

— შენ ერთი ოცჯერ მაინც იყავი ჩემთან თხოვნით, გრაფის წოდების მიღება მომიხერხეო, ახლა კი შენც მღალატობ?!

დარბაზში აურზაური ატყდა. ზოგი რას ყვიროდა, ზოგი —

რას. მერე, როგორც იქნა, დაწყნარდნენ და დინო გრანდიმ მაინც წაიკითხა დეკლარაცია...

...შეთქმულები მოითხოვდნენ აღდგენილიყო კონსტიტუციური ორგანოების უფლებები, კვლავ მეფის პრეროგატივად გამოცხადებულიყო არმიის უმაღლესი მთავარსარდლობა და ყველა კრიტიკული საკითხის გადაწყვეტა.

მუსოლინის დიქტატორული ტახტი შეირყა. აქამდე მეფე ფაშისტური რეჟიმის ვითომ კონსტიტუციურობის შირმა იყო მხოლოდ, სინამდვილეში კი მას არაფერი ეკითხებოდა და არც არაფერს აკეთებდა, გარდა იმისა, რომ ნუმიზმატიკით იყო გატაცებული და ძველ მონეტებს აგროვებდა. ახლა კი მთელი ძალაუფლება და მუსოლინის ბედიც მას უნდა გადასცემოდა. დუჩე, რა თქმა უნდა, ნაშინვე მიხვდა, სახიფათო ვულკანზე რომ იჯდა, და გაშეშებული უსმენდა, როცა დინო გრანდი დეკლარაციაზე ხელისმომწერთა გრძელ სიას აქვეყნებდა. საბჭოს წევრთა დიდი უმრავლესობა ოპოზიციაში აღმოჩნდა. მათ შორის იყო მუსოლინის სიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი, გრაფი გოლეაცო ჩიანო.

ეს გვარი რომ გაიგონა, მუსოლინის თითქოს სისხლი აუვარდა თავში და იყვირა:

— ჩიანომ მე გამყიდა ჯერ კიდევ ნაშინ, როცა პირველად შემოდგა ფეხი ჩემს ოჯახში!..

მერე თვითონ ჩიანოც ადგა და განმარტა, თუ რამ აიძულა, ასეთი ოჯახური სიახლოვის მიუხედავად, მუსოლინის საწინააღმდეგო დეკლარაციაზე მოეწერა ხელი. ისიც გაირკვა, თუ რა ფართო ყოფილა შეთქმულთა წრე როგორც საბჭოში, ისე მის გარეთაც. მსხვილი მრეწველებიც თურმე შეთქმულებს ემხრობოდნენ და მუსოლინის გადაყენებას მოითხოვდნენ. ასეთი მძლავრი ოპოზიციის წინააღმდეგ მუსოლინი უძლური აღმოჩნდა და დეკლარაცია მიღებულ იქნა ხმის უმრავლესობით...

დუჩე საკაცეზე...

სხდომა დილის ოთხის ნახევარზე დამთავრდა. დადგა გადამწყვეტი მომენტი. მიუხედავად ყველაფრისა, მუსოლინი მაინც არ აპირებდა იარაღის დაყრას. მისი მომხრეებიც ამოქ-

ბედდნენ. შეთქმულნი კი მეფის გარშემო შემოიკრიბნენ. ორი ძალა დაუპირისპირდა ერთმანეთს. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება. მარშალმა ბადოლიომ უკვე განთიადისას გაიგო დიდი საბჭოს გადაწყვეტილება და მაშინვე გაეშურა მეფე ვიქტორ-ემანუილ მესამის სასახლისაკენ. „მის უდიდებულესობას“ ჯერ კიდევ ეძინა, მაგრამ გააღვიძეს და ტანთჩაუცმელად გამოიყვანეს ბადოლიოსთან სათათბიროდ. ნიადაგი საამისოდ ადრეც იყო მომზადებული, ახლა კი მარშალმა ბადოლიომ მეფისაგან იმის დასტური მიიღო, რომ ემოქმედა. თვითონ მეფესაც ჰქონდა უფლება გადაეყენებინა მუსოლინი, რომელსაც დიდმა საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა, მაგრამ ისე იყო შეშინებული, რომ განკარგულებათა გაცემის დროს ხელები უცახცახებდა. ბადოლიო კი უფრო გაბედულად მოქმედებდა. მან მოითხოვა მუსოლინი მეფის სასახლეში გამოეძახებინათ და დაეპატიმრებინათ. გარემოებაც ხელს უწყობდა ამას. დუჩეს ერთგული კარაბინერების (რაღაც გერმანული ესესის მსგავსი) მეთაური გენერალი ჰასონი შეთქმულების მონაწილე იყო. ნიშნის მიცემისთანავე მას უნდა დაეპატიმრებინა მუსოლინი. მაგრამ აქ ერთი მოულოდნელი შემთხვევა მოხდა.

დიდი საბჭოს სხდომამდე ხუთი დღით ადრე გენერალი ჰასონი დაიღუპა რომის დაბომბვის დროს. მუსოლინის უნდოდა, რომ ჰასონის მაგივრად თავისი ერთგული და გერმანელ ნაცისტთა ფანატიკური თაყვანისმცემელი გენერალი პიეკე დაენიშნა. ასე რომ მომხდარიყო, შეთქმულება ჩაიშლებოდა. მაგრამ ბადოლიომ იცოდა ეს და სასწრაფო ზომებიც მიიღო. საქმეში ჩაერია მუსოლინის „ევა ბრაუნი“ — კლარა პეტაჩი, რომელსაც განუსაზღვრელი გავლენა ჰქონდა დუჩეზე. მან. ცხადია, არაფერი იცოდა შეთქმულთა შესახებ, მაგრამ პატივმოყვარეობის გამო, თუ უფრო „თავისი ძალის სადემონსტრაციოდ“ თანხმობა მისცა „საპროტექციოდ მოსულ“ ოპოზიციონერებს დაეთანხმებინა „თავისი დუჩე“, რათა კარაბინერთა მეთაურად დაენიშნა არა პიეკე, არამედ მეფის ერთგული გენერალი ჩერიკა. პეტაჩისათვის ეს ადვილი საქმე იყო: ერთი სიტყვა და გადაწყვეტილებაც მიღებული იქნებოდა.

ასეც მოხდა. პეტაჩის შუამდგომლობით მუსოლინიმ ჰა-

სოჩის მაგივრად გენერალი ჩერიკა დანიშნა. ამით შეთქმულების საქმე ისევ გამოსწორდა...

... არც მუსოლინი იყო უმოქმედოდ. სხდომის დამთავრების შემდეგ მან სათითაოდ ამოიღო მიზანში საბჭოს ოპოზიციონერი წევრები, რომელთაც ხელი მოაწერეს დეკლარაციას. მას როგორც დიქტატორს უფლება ჰქონდა გაეუქმებინა საბჭოს გადაწყვეტილება. კიდევაც ისარგებლა ამ უფლებით და შეუტია მოწინააღმდეგეებს. ბევრი შეშინდა. ზოგმა უარი თქვა საკუთარ ხელისმოწერაზე, ზოგმაც ბოდიში მოიხადა მუსოლინის წინაშე. როცა ის „თაგვები" ერთად იყვნენ, ედიდგულებოდნენ კიდეც „კატას", მაგრამ, ახლა მის პირისპირ რომ აღმოჩნდნენ, ისევ სოროებში შეძრომა ირჩიეს. ამან მუსოლინი გაათამამა, განკარგულება გასცა, რომ გრაფი დინო გრანდი და გრაფი გოლეაცო ჩიანო დაეპატიმრებინათ...

... დღის თორმეტ საათზე მუსოლინის კაბინეტში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. მეფე უხმობდა მას „ვილა სავოიაში" გამოცხადებულიყო... ადრე თვითონ მუსოლინი უნიშნავდა მეფეს შეხვედრის დღესა და საათს, ახლა კი...

მუსოლინიმ რაღაც მოიმიზეზა და წასვლაზე უარი თქვა. უნდოდა დრო მოეგო და დაეპატიმრებინა ოპოზიციის მეთაურები. ვიღაცეებმა ისიც ურჩიეს, ჰიმლერს ვთხოვოთ დახმარებაო. შეიძლება მუსოლინის ჭკუაში დასჯდომოდა ეს რჩევა, რომ ზედმეტად არ ყოფილიყო თავის ძალებში დარწმუნებული. იგი თვითონაც აპირებდა გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ ტელეფონი ისევ აწკრიალდა და მეფის სახელით ახლა უფრო დაბეჯითებით „სთხოვეს" დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო სასახლეში. მუსოლინიმ ამჯერადაც უარი თქვა, მაგრამ ამან საქმეს მაინც ვერ უშველა: სამეფო რეზიდენციიდან მესამედ დარეკეს, ახლა უფრო კატეგორიულად:

— მეფე უკვე ეთათბირა დიდი საბჭოს ზოგიერთ წევრს. საჭიროა დაუყოვნებლივ გამოცხადდეთ მასთან...

თანაც გააფრთხილეს, „აუცილებლად სამოქალაქო ტანსაცმელითო".

მუსოლინი გატყდა. ის კი ვერ გაიგო, რატომ „აუცილებ-

ლად სამოქალაქოში", მაგრამ ამისათვის დიდი მნიშვნელობა არ მიუცია. ხუთ საათზე გეახლებითო, უპასუხა და მოსამზადებლად შინ წავიდა. აქ იგი შეშფოთებულმა ცოლმა გააფრთხილა, სამოქალაქო ტანსაცმლით მისვლას ალბათ იმიტომ გთხოვენ, რომ შენი დაპატიმრება უნდათო, მაგრამ ორი ათეული წლის განმავლობაში გათამამებულმა თავნება დუჩემ ეს არ დაიჯერა...

... ხუთი საათი რომ მოახლოვდა, „მოქალაქე მუსოლინი" თავისი კომფორტული ავტომანქანით, დამცველთა თანხლებით, გამოვიდა სახლიდან. ვინ იცის, იქნებ გულმა უგრძნო, კარვი რომ არაფერი მოელოდა, და, ვიდრე სასახლეში წავიდოდა, „გზად" თავის „მეორე ცოლს" კლარა პეტაჩის გაუარა. შეჰპირდა კიდეც, „მტკიცე პოზიციას" დავიკავებო მეფესთან საუბრის დროს, და ზუსტად დანიშნულ საათზე მიადგა „ვილა სავოიას", სადაც მას მეფის გარდა დიდი სიურპრიზიც ელოდა: გენერალური შტაბის უფროსს გენერალ ამბროზიოს უკვე ნაბრძანები ჰქონდა გენერალ ჩერიკასათვის, რომ მუსოლინი დაეპატიმრებინათ.

ყველაფერი საგულდაგულოდ იყო მომზადებული.

მანქანა სასახლესთან გაჩერდა. მცველები გარეთ დარჩნენ, მუსოლინი კი პირადი მდივნის თანხლებით მძიმედ აუყვა სასახლის კიბეებს. მეფის კაბინეტში ვიქტორ-ემანუილის მეტი არავინ ჩანდა. რა იცოდა დუჩემ, ფარდებს უკან რომ იდგნენ ისინი, ვინც „ყოველ შემთხვევისათვის" იყო საჭირო.

მეფემ ხაზგასმული თავაზიანობით მიიღო იგი. მუსოლინიმ ვრცლად მოახსენა შექმნილ მდგომარეობაზე. მეფე ყურადღებით უსმენდა დუჩეს, ის კი, ვითომც არაფერიო, ისე განაგრძობდა ლაპარაკს: ლანძღავდა ოპოზიციონერებს, მოღალატეებს უწოდებდა საბჭოს შეთქმულ წევრებს და აცნობდა მეფეს, თუ რა გეგმებს სახავდა მომავლისათვის...

აქ მეფემ სიტყვა შეაწყვეტინა და სრულიად განურჩეველი ტონით შენიშნა:

— რამდენადაც დიდმა საბჭომ თქვენ უნდობლობა გამოგიცხადათ და ერის ბედი სამეფო გვირგვინს მიანდო, მე მგო-

ნი სრულიადაც არ არის საჭირო ალაპარაკოთ მომავალ გეგმებზე.

მუსოლინი ახლა კი ყოველივეს მიხვდა, მაგრამ მაინც არ შედრკა, გაფითრებული წამოდგა და აწეული ტონით მიმართა გვირგვინოსანს:

— მე მოვითხოვ ახსნა-განმარტებას თქვენგან!..

მეფემაც არ დააყოვნა. ისიც მაშინვე ფეხზე წამოდგა და უკვე ბეწვზე დაკიდებულ დიქტატორს განუცხადა:

— ამჟამად თქვენ ხართ ის ადამიანი, რომელიც ყველაზე უფრო სძულთ იტალიაში.

— მაშ ეს დასასრულია?! — ძლივს წარმოთქვა სახტად დარჩენილმა დიქტატორმა.

მეფემ ამაზე მშვიდად უპასუხა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ მე უკვე დავნიშნე თქვენ მაგიერ მთავრობის ახალი მეთაური, რომელმაც საქმეები ჩაიბარა. ეს არის მარშალი ბადოლიო. კეთილინებეთ და გადადით მის განკარგულებაში...

ამის თქმისთანავე კაბინეტში შემოვიდა ტახტის მემკვიდრე პრინცი უმბერტო და მუსოლინის წინ დაუდო ქაღალდი, რომელზედაც მეფის განკარგულება ეწერა.

— თქვენ დიდმა საბჭომ მოგიწოდათ გადადგეთ. ამის საფუძველზე მე უნდა გადაგაყენოთ თანამდებობიდან, — „განუმარტა“ მას მეფემ.

ზოგიერთი ავტორის მიხედვით, მუსოლინი თითქოს უცებ შეურიგდა ბედს და მეფეს ჰკითხა, რა მომელისო. მეფემაც ვითომ უსაფრთხობის სრული-გარანტია აღუთქვა მას და მუსოლინის ერთგვარად ესიამოვნა კიდეც, ამ დავიდარაბას ასე უბრალოდ რომ გადაურჩაო...

სხვები სხვაგვარად წერენ, პირიქით, თვითონ მუსოლინიმ შეუტიაო მეფეს:

— მე არ ვაპირებ გადადგომას! ეს გამცემლობაა!

— ერთხელ კიდევ გიმეორებთ, რომ თქვენ გადაყენებული ხართ თანამდებობიდან! — მიუგო ამაზე მეფემ აბობოქრებულ დუჩეს. ის კი მაინც ჯიუტობდა:

— თქვენო უდიდებულესობავ! მე ჯერ კიდევ საკმაოდ

ძლიერი ვარ, რომ დავიცვა თავი სამეფო სახლისაგან. მეტიც, თუ საჭირო იქნა, არმიისგანაც...

ეს რომ თქვა, არც კი დამშვიდობებია მეფეს, ისე შემოტრიალდა და კარისაკენ გაემართა. როგორც ჩანს, მას ახლა თავისი „ერთგული კარაბინერებისა“ და ფაშისტური მილიციის იმედი ჰქონდა. რა იცოდა, რომ ,ეს „ერთგულნი“ სასახლეს უკვე გარს შემორტყმოდნენ! ვერც ის შეანჩნია, პირადი მდივანი რომ აღარ უცდიდა მისაღებში: იგი უკვე გაექროთ სადღაც. მუსოლინიმ სწრაფად ჩაირბინა კიბეები, გამოვიდა სასახლიდან და იყვირა:

— მანქანა! სად არის ჩემი ნანქანა?!..

არც მისი მანქანა იყო ადგილზე. სამაგიეროდ წინ მაღალი რანგის ოფიცრები გადაუდგნენ და ერთ-ერთმა მათგანმა თავაზიანად მიმართა ყოფილ დუჩეს:

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჩვენ დავალებული გვაქვს თქვენი დაცვა. გთხოვთ გამოგვყვეთ.

— ჩამომეცალეთ! მე არ ვსაჭიროებ თქვენს დაცვას! — უყვირა ბათ ხაფანგში გაბმულმა მუსოლინიმ. მაგრამ ჩამოეცალნენ კი არა, ხელი სტაცეს და იქვე მდგომი სანიტარული ავტომანქანისაკენ გააქანეს.

— მე ვემორჩილები მხოლოდ ძალადობას!.. — არა ცხრებოდა იგი. ოფიცრებმა უცებ შეაგდეს მანქანის ძარაში და თვითონაც მიჰყვნენ.

— ეს საზიზღარი ღალატია, სამარცხვინო გამცემლობაა!— გაიძახოდა ყოფილი დიქტატორი. ოფიცრები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ, პირიქით, „არწმუნებდნენ“ ავადა ხარო და ძალად დააწვინეს საკაცეზე, მერე კი „დასამშვიდებლად“ ნენსიც ატაკეს მკლავში...

მუსოლინი ღრმა ბურუსში ჩაიძირა...

სასწრაფო დახმარების სანიტარული მანქანა სირენების გამაყრუებელი ზრიალით მიქროდა რომის ქუჩებში...

უძვირფასესი საჩუქარი...

ქალაქგარეთ სამთო-საარტილერიო ყაზარმასთან გაჩერებული სანიტარული მანქანიდან საკაცით გადმოიყვანეს „ვილაც მძიმე ავადმყოფი“ და ჰოსპიტლის მაგივრად ჰაუპტვახტის

ვიწრო საკანში დააგდეს რკინის საწოლზე. „ავადმყოფი“ ჯერ კიდევ ღრმა ძილში იყო. მხოლოდ გვიან საღამოს გაუარა მას მორფინის გავლენამ, ბურუსიც ნელ-ნელა გაიფანტა და თვალი გაახილა. ცოტა ხნის შემდეგ ცნობიერებაც დაუბრუნდა. გაახსენდა, რაც მოხდა, და ძლივს წამოდგა საწოლიდან. მერე ძალაც მოიკრიბა, ყვირილი მორთო და კარს დასცხო მუშტები.

— ეი შენ, ნანდ წყნარად იყავი! — შემოსძახა კარის ჭუჭრუტანიდან გუშაგმა.

— ვინა ხარ?! — დაუყვირა მუსოლინიმ შიგნიდან.

— გუშაგი!..

— მე სად ვარ?!

— სად უნდა იყო? ცალკე საკანში!

დარაჯმა არც იცის, რა „საპატიო სტუმარი“ ჰყავს. ასე ჰგონია, სასწავლებლის რომელიღაც კურსანტია ჩასმული „ჰაუპტვახტში“ სიმთვრალის გამო. მუსოლინი კი არა და არ ეშვება.

— გააღე კარი! — უყვირის იგი გუშაგს.

— გიჟი ვარ?! — მიუგებს გუშაგი მშვიდად. კარზე ისევ გაისმის ბრახუნი. ტუსაღი ყვირის:

— მე შენ გიბრძანებ, გააღე კარი! არც იცი, ვისთან გაქვს საქმე! ნე მუსოლინი ვარ! დუჩე!..

დარაჯი მოკვდა სიცილით. იფიქრა, ღვინოს გაუგიჟებია ის უბედურიო, და თვითონაც აუწია ხმას:

— მე შენ გიჩვენებ მუსოლინისა და დუჩეს! გიჟი თუ ხარ, წყნარად იყავი, თორემ გაგთოკავ! გირჩევნია გაჩუმდე...

კიდევ დიდხანს აბრახუნა მუსოლინიმ კარზე, მაგრამ ამაოდ. დარაჯი მხოლოდ იცინოდა და უსტვენდა...

... ეს მოხდა 25 ივლისს. ოთხი დღის შემდეგ მუსოლინის დაპადების 60 წლისთავი უსრულდებოდა. რომში დიდი მზადება იყო. ზეიმზე გერმანიიდან გერინგი უნდა ჩასულიყო და ფიუერერის სახელით მისალმებოდა დუჩეს. ახლა კი ყველაფერი აირია. იუბილარი „ჰაუპტვახტში“ იჯდა, იტალიის საქმეებს კი ბადოლიო განაგებდა. ცნობამ ამის შესახებ 25 ივლისს მიაღ-

წია ჰიტლერის შტაბამდე. მორიგ სამხედრო თათბირზე საინ-ფორმაციო მოხსენებას აკეთებდა კაიტელი.

— მომახსენეთ, რა ხდება აღმოსავლეთის ფრონტზე, ნოკ-ლედ, ძალიან მოკლედ! — მიმართა აფორიაქებულმა ჰიტ-ლერმა კაიტელს და მოხსენების დამთავრება არც კი აცალა, ისე წამოიძახა:

— დუჩე გადადგა, მთავრობა შეადგინა ბადოლიომ! იგი ჩვენი მოსისხლე მტერია... ეს ღალატია... მე მინდა რომ დუ-ჩე აქ ჩამომიყვანონ!..

ჰიტლერმა მაშინ არ იცოდა, თუ „მისი დუჩე" დაპატიმ-რებული ჰყავდათ კარაბინერებს. იგი ისე იყო დაბნეული, რომ ნაწყვეტ-ნაწყვეტ იძლეოდა განკარგულებებს:

— ახლავე გაგზავნეთ სატანკო დივიზია რომში, უბრძანეთ დაუყოვნებლივ დააპატიმროს ბადოლიოს მთავრობა... გაამაგ-რეთ უღელტეხილები... გაამზადეთ საჰაერო-სადესანტო დი-ვიზია... მიეცით მათ მსუბუქი იარაღი, იტალიელებს ამითაც მოვერევით...

ცაიცლერი მაშინვე გაიქცა ამ ბრძანების შესასრულებლად.

— სად არის ფელდმარშალი რომელი? — იკითხა ჰიტ-ლერმა.

რომელი ამ დროს თვითმფრინავში იჯდა და სალონიკისა-კენ მიეშურებოდა. იგი ჰაერშივე მოაბრუნეს და მთავარ შტაბ-ში იხმეს. მერე ჰიტლერმა „გაჭირვების ტალკვესი" გერინგი იკითხა. ახლა ეშვება აეროდრომზე და ერთ საათში აქ იქნე-ბაო, მოახსენეს. ჰიტლერმა აღარ მოიცადა და აეროდრომზევე დაუკავშირდა მას:

— ალო! გერინგ! არ ვიცი, თქვენ უკვე გაქვთ ცნობები თუ არა... დიახ, ოფიციალურად დადასტურებული არ არის, მაგრამ უეჭველია, რომ დუჩე გადადგა... მისი ადგილი დაიკავა ბადოლიომ... ეს ფაქტია, გერინგ!.. არა, ეჭვი არ არის!.. რო-გორ?.. ეს მე არ ვიცი... ჯერ უნდა დავადგინოთ... ალბათ სისულელეა!..

გერინგთან საუბარს რომ მორჩა, იოდლს მიუბრუნდა:

— სად არის რაიხსფიურერი?

— გზაშია, ჩქარა აქ იქნება, ჩემო ფიურერ! — მოახსენა იოდლმა.

ჰიტლერი სულ გამოვიდა მოთმინებიდან, ოთახში წაღმა-უკუღმა დარბოდა და ისე იძლეოდა განკარგულებებს:

— ახლავე დააპატიმრეთ მეფე, მთავრობა... ის მაწანწალა ბადოლიო აქ მომგვარეთ... კრონ-პრინცებიც... ჩაყარეთ თვითმფრინავში და მომგვარეთ... მე მათ ცხრაპირ ტყავს გავაძრობ (...Schlapp machen bis in die Knochen).

— ჯერ ზუსტი ცნობები მივიღოთ, რა მოხდა რომში, — გაბედა იოდლმა.

— მე უკვე ვიცი, რაც მოხდა! — იყვირა ჰიტლერმა, — დუჩეს გადაუდგა გრანდი, რომელიც მე ყოველთვის ღორად მიმაჩნდა... ჩიანოც... ისინი გერმანიის წინააღმდეგ მოქმედებენ... ომიდან გამოსვლა მოითხოვეს... მე მაინც განვაგრძობ ომსო, განაცხადა დუჩემ... არ დაუჯერეს... ეს ღალატია... ღალატი!.. — იყვირა ჰიტლერმა.

— სად არის ჯავშანსატანკო გრენადერთა მესამე დივიზია? — ჰკითხა მან იოდლს...

— ასი კილომეტრის დაშორებით რომიდან!

— რამდენი ხანი უნდა რომამდე მიღწევას?

— ორი საათი!

— უბრძანეთ დაუყოვნებლივ გაეშურონ რომისაკენ... — თქვა ჰიტლერმა და რატომღაც ისევ იოდლს უყვირა...

— იმოქმედეთ იოდლ, იმოქმედეთ!..

იოდლი რომ. „სამოქმედოდ“ გაიქცა, ჰიტლერმა კაიტელს მიმართა:

— საჰაერო დესანტებიც გაგზავნეთ... დაუყოვნებლივ დაიპყარით რომი!..

— ვატიკანი? — იკითხა ვიღაცამ მორიდებით...

ჰიტლერმა ხმას აუწია:

— სულერთია! თქვენ გგონიათ, ვატიკანს მოვერიდები?! მე თვითონ შევალ იქ და ერთბაშად მოვბოჭავ ბოელ ამ საღორეს... მერე ისევ „იმ ბებრებს“, იტალიის მეფესა და ბადოლიოს, მიუბრუნდა და ინატრა:

— ოჰ, ის ღორები ჩამაგდებინა ხელთ... მე მათ ვუჩვენებ...

... ყოველივე ეს ცარიელი მუქარა იყო. ჰიტლერს უკვე იმის ძალა არ ჰქონდა, რომ ასე სახელდახელოდ მოეხდინა იტა-

ლიის ოკუპაცია. ამიტომ, პირველი აეიოტაჟი რომ დაცხრა... ტაქტიკა შეცვალა. უნდოდა გაეგო რა პოზიციას დაიჭერდა იტალიის ახალი მთავრობა და „ნიადაგის მოსინჯვა“ სცადა. თუ ბადოლიო ომს განაგრძობდა, ჰიტლერი ადვილად გაწირავდა „თავის მეგობარ დუჩეს“ და „იმ ღორს“ გამოიყენებდა. ამიტომაც მისცა რიბენტროპს მითითება არ გაემწვავებინა ურთიერთობა იტალიის ახალ მთავრობასთან. რიბენტროპმა თავის რომაელ ელჩს მაკენზენს დაავალა ბადოლიოსთან მოლაპარაკება. თავის მხრივ ბადოლიომ „დაარწმუნა“ ელჩი, რომ იგი ძველებურად განაგრძობს ომს გერმანიის მხარეზე. შემდეგ მან წერილითაც მიმართა ჰიტლერს და შეჰპირდა, რომ „იტალია-გერმანიის კავშირი მომავალშიც ურყევი იქნებაო“. ამასთანავე მარშალი ბადოლიო წინადადებას იძლეოდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ჰიტლერი არ ენდობოდა მუსოლინის წინააღმდეგ შეთქმულ მარშალს. ამბობენ, ეშინოდა კიდეც; მახეში არ გამაბანო, და საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ამჯობინა მოლაპარაკების წარმოება. ამ მიზნით მან რიბენტროპი გაგზავნა იტალიაში კაიტელის თანხლებით. იტალიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს გუარილიამ და გენერალმა ამბროზიომ.

როგორც ჩანს, რიბენტროპიც მოელოდა რამე „უსიამოვნებას“ ამ ვიზიტის დროს და მისი განკარგულებით ყველა საიდუმლო დოკუმენტი იტალია-გერმანიის საზღვარზე დატოვეს.

მოლაპარაკება სადგურ ტარვისში გაიმართა. გუარილია არწმუნებდა რიბენტროპს, იტალიის საგარეო პოლიტიკა უცვლელი რჩებაო, კაიტელი კი „ყოველ შემთხვევისათვის“ ახალ-ახალ დივიზიებს გზავნიდა იტალიაში. წართალია, ამის გამო გენერალმა ამბროზიომ „გაოცება გამოთქვა“, მაგრამ რიბენტროპმა და კაიტელმა ამას ყურადღება არ მიაქციეს: ისინი იტალიას ძველებურად თავიანთ სატელიტად თვლიდნენ. ჰიტლერი არც აპირებდა რამე სიახლის შეტანას ამ ურთიერთობაში. არც თავის „განსაცდელში მყოფ მეგობარ“ დუჩეს ივიწყებდა...

... 27 ივლისს დილის 11 საათზე გერმანიის ელჩი რინტელენი გამოცხადდა მარშალ ბადოლიოსთან და აცნობა, რომ

ჰიტლერმა დაბადების დღის მისალოცად მუსოლინის ფელდმარშალ კესელრინგის ხელით გამოუგზავნა „უძვირფასესი საჩუქარი“, თან დასძინა:

— ფელდმარშალს სურს, რომ ეს საჩუქარი პირადად გადასცეს დუჩეს!

— მუსოლინი მძიმე ავადაა, — მიუგო ელჩს შეცბუნებულმა ბადოლიომ, — ექიმებმა კატეგორიულად აუკრძალეს მას ვინმეს მიღება!

ელჩმა ეს, რა თქმა უნდა, არ დაიჯერა, მაგრამ, რაკი რიბენტროპისაგან იყო გაფრთხილებული, მხოლოდ რამდენიმე ირონიული შენიშვნით დაკმაყოფილდა. ბადოლიო არც ამას აჰყვა, პირიქით, ძალიან თავაზიანად შეჰპირდა ელჩს: „თუ ფელდმარშალი კესელრინგი გამოგზავნიდა ამ საჩუქარს, იგი მიიღებდა ზომებს დროზე ჩაებარებინათ მუსოლინისათვის.

ამასობაში „დუჩე“ რომის ცენტრალური სახანძრო რაზმის ყაზარმაში გადაიყვანეს. ამ ოპერაციას პოლიციის მეთაური ხელმძღვანელობდა. იგი შევიდა მუსოლინისთან და მოკრძალებით მოახსენა:

— მე ვფიქრობ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, რომ იძულებული ვიქნები ხელებზე ბორკილი დაგადოთ.

— სამი დღის წინ თქვენ დიდად ბედნიერი იქნებოდით თუნდაც ხუთწუთიანი აუდიენცია გქონოდათ ჩემთან! — უპასუხა მას მუსოლინიმ.

რა ექნა! ვითარება შეიცვალა და ახლა თვითონ მოუხდა პოლიციელებთან „აუდიენციაზე“ ყოფნა...

... ბორკილდადებული მუსოლინი კიდევ რამდენიმე დღე ატარეს ერთი ადგილიდან მეორეზე. ჯერ მცურავ ციხე-სიმაგრე „პერსეფონეზე“ ჰყავდათ, შემდეგ — პონცასა და სანტა მადელანას კუნძულებზე, ბოლოს კი — აბრუცოს რაიონის გრან სასო დ'იტალიას მიუვალი მთების ტურისტულ ბაზა „კამპო იმპერატორეში“...

... დაბადების სამოცი წლისთავი მუსოლინის ციხეში შეუსრულდა. ამ დღისათვის მას ჰიტლერმა „უძვირფასესი საჩუქარი“ გამოუგზავნა. როცა მუსოლინის უთხრეს, ჰიტლერისაგან

დაბადების დღის აღსანიშნავი მოსაკითხი მოგვივიდაო, გული მოეცა. მერე ცნობისმოყვარეობაც აღეძრა, ნეტავი რა გამომიგზავნა ფიურერმაო...

ამასობაში ჯარისკაცებმა ყუთი შემოიტანეს საკანში და „იუბილარს“ მიართვეს. მუსოლინიმ სასწრაფოდ გახსნა ყუთი და გაოცებისაგან ყბები აუცახცახდა:

მის წინ ფრიდრიხ ნიცშეს თხზულებათა სრული კრებული იდო...

ბეგთარიანი ჩეჭმები...

საერთოდ ცნობილია, რომ ჰიტლერელები გერმანიის ბევრ თვალსაჩინო მოღვაწეს აყენებდნენ შეურაცხყოფას თავიანთი გადაჭარბებული ყურადღებითა და პატივისცემით: ფილოსოფოსებს ჰეგელიდან ნიცშემდე, ულრიჰ ფონ ჰუტენის დროის განმანათლებლებს, აგრეთვე ჰერდერს, კლოპშტოკს, არნდტს, ძმ. გრიმებს, ვაგნერსა და ა. შ. სხვა საქმეა, ჰქონდათ მათ ამის საფუძველი თუ არა. ერთი რამ ცხადია: ეს არ შეიძლება შემთხვევითი ყოფილიყო. მე უკვე მოგახსენეთ ნაციონალ-სოციალიზმის სულიერი სუბსტანციის შესახებ. ალბათ შემდგომაც გვექნება ამ საგანზე საუბარი, მაგრამ რაკი სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, რომ ჰიტლერმა ასეთი „ძვირფასი საჩუქარი“ გაუგზავნა ხელებზე ბორკილდადებულ მუსოლინის, მინდა აქვე შევეხო საკითხს, თუ როგორი ზეგავლენა მოახდინა ჰიტლერზე ჯერ შოპენჰაუერის, ხოლო შემდეგ ნიცშეს ფილოსოფიამ. შეგახსენებთ, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს და ოციან წლებში იგი ხელიდან არ უშვებდა შოპენჰაუერის აფორიზმების წიგნს, ხოლო შემდეგ სულ ნიცშეს „ზარატუსტრა ეკერა პირზე. ამასთანავე სრულიად აშკარაა, რომ მას არც შოპენჰაუერის მოძღვრება შეუსწავლია ღრმად და არც ნიცშესი. იგი უფრო ამ ორი დიდი ფილოსოფოსის აფორიზმებით დაინტერესდა, ვიდრე საკითხის არსით, მერე ყოველივე ეს საკუთარ ნაციონალ-სოციალისტურ დოქტრინებს მოარგო და აგრესიული პოლიტიკის იარაღად გამოიყენა. ამან გამოიწვია თომას მანის პარადოქსული, მაგრამ ღრმააზროვანი თქმა: ფაშიზმი ნიცშეს კი არ შეუქმნია, პირიქით, თვით ნიცშეა ფაშიზმის მი-

ერ შექმნილიო. ამით თომას მანს სურდა გაეთავისუფლებინა ნიცშე იმ მორალური პასუხისმგებლობისაგან, რაც მას დაეკისრა როგორც ფაშისტური იდეოლოგიის წინამორბედს. იგივე შეიძლება ითქვას შოპენჰაუერის შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ ჰიტლერმა ჯერ შოპენჰაუერის, ხოლო შემდეგ ნიცშეს ფილოსოფია „წმინდა აღმოსავლურ დესპოტურ ასპექტში“ აღიქვა. ამიტომაც იყო, რომ გერმანულმა ნაციონალ-სოციალიზმმა უფრო აღმოსავლური ხასიათი მიიღო, ვიდრე ევროპულიო. ნიურნბერგის პროცესზეც არაერთხელ ითქვა, ნაცისტური მოძღვრება სრულიად უცხოა ქრისტიანული ევროპის აზროვნებისთვისო. ეს, ცხადია, გადაჭარბებულია, მაგრამ ჭეშმარიტების შემცველი მაინც არის. შეიძლება ამითაც აიხსნას ჰიტლერის გატაცება შოპენჰაუერისა და ნიცშეს ფილოსოფიის აღმოსავლური მოტივებით. როგორც ჩანს, შოპენჰაუერისაგან მან უმთავრესად მისტიკურ-ინტუიტიური მსოფლმხედველობა და ინტელექტის ირაციონალისტური კრიტიკა შეითვისა, ისიც არა იმდენად თეორიული ასპექტით, რამდენადაც ცხოვრების პრაქტიკული პრობლემებთან დაკავშირებით. ამით აიხსნება ჰიტლერის დაბეჯითებული მტკიცება, რომ პოლიტიკაში ეყრდნობა არა ინტელექტის, არამედ ინტუიციის კარნახს და იზიარებს შოპენჰაუერის თვალსაზრისს სამყაროს როგორც ნებისა და წარმოდგენის შესახებ. ამით ჰიტლერი გერმანულ რომანტიზმსაც ეხმაურება, განსაკუთრებით ე. ჰოფმანის „ეშმაკის ელექსირის“ იდეებს. თვითონაც არაერთხელ უთქვამს, პოლიტიკაში მე რომანტიკოსი ვარო.

ჰიტლერმა შოპენჰაუერის „მსოფლიო ნების“ თეორია ადვილად დაუკავშირა თავის „მსოფლიო ბატონობის“ ჰიპერტროფიულ იდეას. ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ შოპენჰაუერმა გაუხსნა გზა ინდურ ფილოსოფიას ევროპაში. ბრაჰმანიზმი და ბუდიზმი მან „იუდეველთა ქრისტიანულ რელიგიას“ დაუპირისპირა. ჰიტლერს არ შეიძლებოდა არ მოსწონებოდა, შოპენჰაუერმა რომ კანონს გარეშე გამოაცხადა ებრაელების როგორც ხალხის არსებობა. ნიცშე კიდევ უფრო შორს წავიდა ამ მხრივ, რითაც ხელი შეუწყო ნაციზმის ანტისემიტური დოქტრინების გავრცელებას, თუმცა ისიც უნდა

ითქვას, რომ მისთვი ს უცხო იყო ამ საკითხის რასობრივი ასპექტი. ნიცშეს ებრაელობა უფრო იმისთვის სძულდა, რომ მის წიაღში წარმოიშვა ქრისტიანიზმი, რასაც იგი ისევე ვერ იტანდა, როგორც ჰიტლერი...

მოხდა ისე, რომ მას შემდეგ, რაც ჰიტლერი გაიტაცა ნიცშეს ფილოსოფიამ, შოპენჰაუერი თანდათან დავიწყებას მიეცა ეს გასაგებიცაა, რადგან ნიცშეს აფორიზმები უფრო ეხმაურებოდა მის პოლიტიკურ მიზნებს. შოპენჰაუერის ნების თეორიიდან ნიცშემ განავითარა ძალაუფლების კულტი. როგორც ამ „ნების" უმაღლესი სახე. ამით მან უარყო შოპენჰაუერისეული ნების მეტაფიზიკურ-რელიგიური გაგება და ფსიქობიოლოგიურ ასპექტს დაუკავშირა იგი, რითაც ე. წ. „ძალაუფლების ინსტინქტი" აქცია თავისი ფილოსოფიის ქვაკუთხედად. ამას ძ ა ლ ა დ ო ბ ი ს როგორც ისტორიის ძირითადი მამოძრავებელი ძალის კულტი მოჰყვა და იმპერიალისტური იდეების ისეთი ასპარეზი შექმნა, სადაც ჰიტლერელები უხვად კრეფდნენ ბოროტების შხამიან ყვავილებს. თომას მანი, ისევე როგორც ერთ დროს ანატოლ ფრანსი, ბოდლერის „ბოროტების ყვავილებზე" ამბობდა: თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებოდით, შეგვეძლო ამ „ყვავილებიდან" ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის „თაფლიც" მიგვეღოო. მაგრამ ეს საეჭვოა. უეჭველი კი ის არის, რომ ნიცშეს ძალადობის როგორც ბუნებრივი, მარადიული, თუ კოსმოსური ყოვლადობის იდეამ საზოგადოების ორ მკაცრად გამიჯნულ ჯგუფებად—ბ ა ტ ო ნ ებ ა დ და მ ო ნ ე ბ ა დ დაყოფა გამოიწვია. ჰიტლერმა აქ „ჯგუფების" ნაცვლად იხმარა „რასები" ამ ცნების მკაცრი იერარქიული გაგებით და შექმნა ნაციონალ-სოციალისტური იმპერიის „აღმოსავლურ-დესპოტური" სისტემა, რომლის სათავეში განუსაზღვრელი პოლიტიკური უფლებების მქონე ღმერთკაცი, ანუ ფიურერი დგას. ისიც უნდა ითქვას, რომ ნიცშეს „უმაღლესი ადამიანიდან", ანუ „ზეკაციდან" ჰიტლერულ „მბრძანებელთა ელიტამდე" ერთი ნაბიჯია და ისიც მოკლე. ნიცშეს იდეალია ჯანსაღი, ენერგიული მეომარი, მკაცრი, ძალაუფლებას დახარბებული წარმართული ბარბაროსი, რომელიც კი არ ახშობს თავისში მტაცებელი ცხოველის ინსტინქტებს, არამედ კიდევ უფრო ამძაფრებს მათ, რითაც უახ-

ლოვდება „ზეკაცის“ იდეალურ სახეს. ნიცშე წერდა, რომ ადამიანის უმაღლესი ტიპი ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს ურჩხულსაც და ზეკაცსაც. შესაძლებელია ნიცშე ამას ირონიულად ამბობდა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სიტყვებს წამდაუწუმ იმეორებდა ჰიტლერი. მისი იდეალი იყო ნიცშეს მიერ ხოტბაშესხმული „ქერათმიანი ბესტია“, რომელიც სიკეთისა და ბოროტების მიღმა იდგა, რითაც უფრო ცხოველს უახლოვდებოდა, ვიდრე ადამიანს.

ნიცშე წერდა:

— ადამიანი მტაცებელი ცხოველია. ამ აზრს მე ვიმეორებ დაუსრულებლივ. ყველა ეს კეთილმოსილი ფარისევლები და სოციალური ეთიკის მქადაგებლები, რომელნიც ცდილობენ თვალი მოუხუჭონ ამ ფაქტს, აგრეთვე ცხოველებია, მაგრამ ამოგლეჯილი კბილებით. მათ სძულთ სხვები მათი აგრესიულობის გამო, რისგანაც თვითონ კეთილგონიერად იკავებენ თავს...

და შემდეგ:

— ადამიანს რომ მტაცებელ ცხოველს ვუწოდებ, ვისღა ვალმერთებ? ადამიანს, თუ ცხოველს? დიდი მტაცებელი ცხოველი ხომ სრულყოფილი, კეთილშობილი არსებაა, რომლისთვისაც უცხოა სისუსტისაგან წარმოშობილი ცრუადამიანური მორალი...

ამგვარ იდეებს ჰიტლერი არიულ ელიტას უქადაგებდა. „ბრბოსათვის“ კი ისინი სრულიად ზედმეტად მიაჩნდა.

— უწინარეს ყოვლისა, — ამბობდა იგი, — უნდა ამოვიგდოთ თავიდან აზრი თითქოს ბრბოს დაკმაყოფილება შეიძლებოდეს მსოფლმხედველობრივი მოძღვრებებით. შემეცნება მყარი საფუძველი არ არის მასებისათვის. მყარი გრძნობაა მხოლოდ სიძულვილი... ფართო მასები გამსჭვალული არიან ქალური საწყისით. მათთვის გასაგებია მხოლოდ კატეგორიული „ჰო“ ან „არა“... მასებს სჭირიათ ადამიანი „კირასირების“ ბეგთარიანი ჩექმებით, რომელიც იტყვის:

— აი, ეს გზაა სწორი!..

თვითონაც ხომ მაღალყელიანი ჩექმებით დადიოდა, ხელში მათრახს ატრიალებდა და ბატონკაცური ტონით ლაპარაკობდა „ბრბოს“ შესახებ, რომელიც ნიცშეს აზრით მუდამ

„ჯანსაღ უვიცობაში“ უნდა ვიყოლიოთ, რომ ვიბატონოთ. იგი განათლების ფართოდ გავრცელების წინააღმდეგ იყო, რომ „ინტელექტის იმპერიაში რანგების ბუნებრივი განრიგი“ არ დარღვეულიყო. ჰიტლერს არც ეს „ინტელექტის იმპერია“ მოსწონდა და ამიტომ იყო, რომ, ისევ ნიცშეს მიბაძვით, მასების ექსტაზში მოსაყვანად. რელიგიისა და მითოსის სფეროს ნიმართა...

... მე უკვე გიამბეთ ჰიტლერის ტიბეტური მისტიკით გატაცების შესახებ. აგჰართისა და შამპულაჰის დაპირისპირება და შავი მაგია მან თანამედროვე პოლიტიკის იარაღად აქცია. მისი „ათასწლოვანი იმპერიაც“ მითების სფეროდანაა აღებული. შესაძლებელია ესეც ნიცშეს გზით შეითვისა მან. იქნებ აქედანვე მომდინარეობდეს ჰიტლერელთა მისწრაფება შეექმნათ არიელ ბატონთა რასის სრულიად ახალი მოდგმა. ნიცშე ფიქრობდა, რომ ასეთი მოდგმა მხოლოდ მომავლის საქმეაო.

— მე ვწერ ადამიანთა იმ ტიპის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობს, — ამბობდა იგი. მისი აზრით უკვე მომზადდა ნიადაგი ისეთი „უმაღლესი“ ტიპის ადამიანების“ შესაქმნელად, რომელთა მსგავსი ჯერ არასოდეს არსებულა. ეს თურმე დიდ ტრაგედიასა და მსხვერპლთანაა დაკავშირებული. ნიცშეს ქადაგების მიხედვით „საჭიროა მოპოვებულ იქნეს სიდიადის უზარმაზარი ენერგია, რათა ბუნებრივი შერჩევითა და მილიონობით მახინჯების მოსპობით ჩამოყალიბდეს მომავლის ადამიანი ისე, რომ თვითონ არ დაიღუპოს განუზომელ ტანჯვაში, რითაც იქმნება ახალი და სრულიად განსხვავებული...“

ნიცშეს მიხედვით ამ „უმაღლესი ტიპის ადამიანებისაგან“, ანუ „გაღიმებული ლომებისაგან“ წარმოიშობა ზეკაცი — ძალაუფლებისაკენ სწრაფვის ყველაზე მაღალი განსახიერება.

— იგი იქნება მოქმედების ისეთი ამორალური გენია, — წერს ნიცშე, — რომელიც თავისში გააერთიანებს ძალაუფლებას მქონესა და მოაზროვნეს. ზეკაცი ყოველ ათას წელიწადში ერთხელ წარმოიშობა. იგი უმაღლესი ჯიშის გამოყვანის (ჰიტლერის თქმით „მუტაციის“) ხანგრძლივი პროცესის შედეგია. მხოლოდ ასეთი ზეკაცი აძლევს აზრს ცხოვრებას.

— მე ვქადაგებ, რომ არის ადამიანთა უმაღლესი და უმდაბლესი ტიპი და რომ მარტოხელს განსაზღვრულ პირობებში შეუძლია გაამართლოს ათასეული წლების არსებობა. — წერს იგი.

ჰიტლერმაც ამგვარი „ათასწლოვანი იმპერიის“ შექმნა მოინდომა და ველური სისასტიკით შეუდგა მის განხორციელებას. ეს სისასტიკეც ნიცშეს ზეკაცის როგორც „მოზეიმე ურჩხულის“ იდეალიცაა, ისეთი ადამიანის კულტი, რომელიც მთელი თავისი ბარბაროსული თავგადასავლების შემდეგ ამაყად და სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე დაბრუნდება შინ და არც გაიხსენებს, თუ როგორ ხოცავდა, ახრჩობდა, წვავდა, აწამებდა და აუპატიურებდა...

... ძნელი დასაჯერებელია, რომ ამას ქადაგებს ისეთი დიდი ერუდიციისა და მასშტაბის ფილოსოფოსი, როგორიც ნიცშეა. ეს იმდენად შემაძრწუნებელია, რომ გონება უარს ამბობს ამის შეცნობაზე და ათასგვარ ჰიპოთეზას ეპოტინება. იქნებ ეს სიგიჟეა, რამაც საბოლოოდ იმსხვერპლა ნიცშე. ან იქნებ, თომას მანის თქმისა არ იყოს, იგი ჰამლეტივით თამაშობდა შეშლილის როლს? ვინ იცის! აკი თვითონ ნიცშე ამბობს, რომ მისი ქადაგება გაგებულ უნდა იქნეს როგორც „ირონიული ანტითეზა“. ეს თუ ასეა, მაშინ ნიცშე ისევე უნდა წავიკითხოთ როგორც „შეშლილი“ ჰამლეტის მონოლოგები. დასკვნებიც იმის საწინააღმდეგო იქნება, რასაც იგი ამბობს. თომას მანი წერს, რომ ნიცშე სეისმოგრაფივით გრძნობდა მომავლის საბედისწერო ამბებს, წინასწარმეტყველებდა საშინელი ომებისა და კატასტროფის მოახლოებას. ამიტომ თომას მანის აზრით ნიცშეს ზეკაციც იქნებ იდეალი კი არ არის, არამედ შემაძრწუნებელი შესაძლებლობა, რამაც სიგიჟემდე მიიყვანა იგი. თვითონ ნიცშეც ამბობს:

— მე მეჩვენება, რომ რაღაც შევიცანი უმაღლესი ადამიანის სულში, და შ ე ს ა ძ ლ ებ ელ ი ა, რომ ყ ო ე ლ ა, ვინც ამას შეიცნობს, უ ნ დ ა დ ა ი ღ უ პ ო ს კიდეც!..

გახსოვთ, ჰიტლერიც რომ ამბობდა, „მე ვნახე უმაღლესი ადამიანი და შემეშინდაო“. იქნებ ეს ერთი და იგივე მოვლენა იყოს ან, თუ გნებავთ, ერთმანეთის საპირისპიროც: პირველ

შემთხვევაში „შეშლილი“ ჰაბლეტის პოზა როგორც „ირონიული ანტითეზა“, ხოლო მეორეში თვით სინამდვილე. დიტრიხმა ხომ თქვა ჰიტლერის შესახებ, მე ახლაც შეძრწუნელი ვარ იმაზე ფიქრით, რომ იქნებ ცამეტი წლის განმავლობაში მართლაც გიჟი მართავდა ჩემს ქვეყანასო. შესაძლებელია ნიცშეს „ირონიული ანტითეზა“ ჰიტლერმა პოზიტიურ რეალობად აქცია და ის უბედურება დაატეხა კაცობრიობას. თომას მანი ამბობს, ნიცშეს რომ დაენახა, თუ როგორ იქცა სინამდვილედ ყოველივე ის, რასაც თვითონ ქადაგებდა, გულისრევა აუვარდებოდაო. მანის აზრით, იმის მიუხედავად, რომ ნიცშე ასე გაშმაგებით იბრძოდა ჰუმანიზმის, სიკეთისა და სიყვარულის წინააღმდეგ, მისი შორეული იდეალი მაინც კაცთმოყვარეობაა და არა კაცთმოძულეობა, სიკეთე და არა ბოროტება, სიყვარული და არა სიძულვილი. რა საბუთითო, იტყვით თქვენ.

ასე გასინჯეთ, რომ ამის „საბუთებიც“ შოიპოვება ნიცშეს ნაწერებში.

— მე თქვენ გევედრებით, ძმებო, — ამბობს მისი ზარატუსტრა, — იყავით მიწის ერთგულნი! ნუ ზიხართ ზეცის მკვდარი აბდაუბდის ფერფლში თავჩაყოფილნი. ამაყად ასწიეთ ზევით თქვენი მიწიერი თავი, იგია გამართლება და აზრი ამ მიწისა!.. იჩქარეთ, დააბრუნეთ დედამიწაზე მისგან განდევნილი სიკეთე, დიახ, დააბრუნეთ იგი სიყვარულისა და სიცოცხლისათვის. დაე, სიკეთე იყოს ადამიანური აზრი დედამიწისა!..

ჰიტლერი, ცხადია, ზარატუსტრას ამ ქადაგებას არ გამოიყენებდა. არც იმას, ნიცშე რომ ხალხთა შორის მშვიდობიან თანამეგობრობას ქადაგებდა და მსოფლიო ჰარმონიულ სახელმწიფო წყობილებაზე ოცნებობდა; მით უმეტეს ნიცშეს მოწოდებას სლავი და გერმანელი ხალხების დაძმობილებაზე, რითაც „პანსლავისტური ევროპის“ კარები უნდა გახსნილიყო, რადგან მას სწამდა რუსეთის მომავალი მსოფლიო მნიშვნელობა...

ცხადია, ეს ჰიტლერს არ მოეწონებოდა, თუმცა... ქვევით ჩვენ იმასაც ვნახავთ, ბერლინის თავშესაფარში დაჩოქებული ჰიტლერი რომ ამასვე იტყვის თავის ანდერძში...

ყოველივე ეს პარადოქსულად გვეჩვენება, მაგრამ ასე კი არის! ამიტომაც ვამბობთ, რომ ამ საკითხებს უფრო ღრმა შესწავლა უნდა, თორემ ციტატების ანოკრეფის მეთოდით ერთიც „დამტკიცდება“ და მეორეც. თომას მანიც ამიტომ გვაფრთხილებს, დროა ხელი ავიღოთ ნიცშეს ფილოსოფიის, როგორც შემთხვევითი ციტატების გროვის განხილვაზეო. იგი მოითხოვს. უფრო ფრთხილ მიდგომას ამ საკითხებისადმი. სხვა რომ არა იყოს, თვითონ ნიცშეც სთხოვდა თავის კრიტიკოსებს, „ირონიულ-მიუნდობელი თავშეკავებით“ მოეპყარით ჩემს ნაწერებსო.

— თქვენ სერიოზულად არ უნდა მიიღოთ ის, რასაც მე ვწერ... აუწყებდა იგი თავის მეგობარს და ისევ იმ „ირონიულ ანტითეზას“ ახსენებდა.

შეიძლება ეს მართლაც ასეა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ნიცშემ, უნდოდა მას ეს თუ არა, მაინც ხელი შეუწყო იტალიური ფაშიზმისა და გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის იდეურ განმტკიცებას ევროპაში, რასაც კატასტროფული შედეგები მოჰყვა... თვითონ ნიცშე წერდა, რომ „ზარატუსტრას“ სახით მან ახალი ბიბლია შექმნა, ეს „ბიბლია“ კი, როგორც ვნახეთ, გაჭირვების ჟამს ჰიტლერმა მუსოლინის გაუგზავნა ნებისყოფისა და ძალის მოსაკრებად...

ᲘᲝᲒᲘᲡ ᲔᲚᲩᲔᲑᲘ...

ჰიტლერის „სიმბოლურმა საჩუქარმა“ დაარწმუნა მუსოლინი, რომ ფიურერი არ ივიწყებდა მას. იგი იჯდა კარაბინერებით გარშემორტყმულ „კამპო ინპერატორეში“ და უცდიდა ხვალინდელი დღის დადგომას. მისი „მფარველი ანგელოზი“ ჰიტლერი კი მოქმედებდა. მან გადაწყვიტა როგორმე გაეთავისუფლებინა თავისი მეგობარი დუჩე ტყვეობიდან. დარწმუნებული იყო, რომ ბერლინ-რომის ღერძის სიმტკიცე მუსოლინის სიცოცხლეზე ბევრად იყო დამოკიდებული.

— დუჩე რომ მოკვდეს, ეს დიდი უბედურება იქნება იტალიისათვის, — ამბობდა იგი. — მე სრულიად განსაკუთრებულ სიხარულს მანიჭებს მასთან შეხვედრა, რადგან ჩვენი მოძღვრება სულიერ საფუძველშია ერთმანეთთან დაკავშირებული...

ჰიტლერი ფიქრობდა, რომ შავხალათიანების ლაშქრობა რომზე ისეთივე შემობრუნების წერტილი იყო ისტორიაში, როგორც აღორძინების ეპოქის დასაწყისი. მისი აზრით, მუსოლინიმ აღადგინა რომის იმპერიის ტრადიციები.

— ვინც მუსოლინისთან ერთად გაივლის ვილა ბორგეზეს რომაულ ბიუსტებს შორის, — ამბობდა ჰიტლერი, — მიხვდება, რომ იგი კეისარია. რომის მსოფლიო იმპერია, სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, იტალიელი ხალხის მუსიკალობა, პროპორციათა მშვენიერების გრძნობა, სილამაზე და საერთოდ რენესანსი ახალი დღის გათენება და არიელი ადამიანის მიერ კვლავ პოვნა იყო თავისი თავისა (das Sich-Wiederfinden des arischen Menschen).

ამიტომაც ააფორიაქა ჰიტლერი რომის ამ „ახალი კეისრის" დაპატიმრებამ და ჰიმლერის რჩევით „მგლის ბუნაგში" იხმო სამი დივერსანტი ოფიცერი, მათ შორის ოტო სკორცენი. ისინი თვითმფრინავით ჩაიყვანეს რასტენბურგში და წარუდგინეს ფიურერს.

— ბატონებო, რომელი თქვენგანი იცნობს იტალიას? — ჰკითხა მან გაშეშებულ ოფიცრებს.

— მე ორჯერ ვარ იქ ნამყოფი! — წამოიძახა გოლიათური აგებულების სახედაჩეხილმა სკორცენიმ.

ჰიტლერმა ქვემოდან ახედა მის წინ მარგილივით აშვერილ ოფიცერს და განაგრძო „გამოცდა":

— მითხარით, რას ფიქრობთ იტალიაზე? — იკითხა მან და ჩასისხლიანებული თვალებით მიაჩერდა „გამოსაცდელებს".

ერთმა თქვა:

— იტალია ჩვენი მოკავშირეა!..

მეორემაც იგივე გაიმეორა, მაგრამ, ბეგისა არ იყოს „მოკავშირეს" ნაცვლად „ფრანგული" სიტყვა „პარტნიორი" იხმარა.

სკორცენიმ შენიშნა, ამგვარმა პასუხმა შთაბეჭდილება რომ ვერ მოახდინა იტალიელებზე გაჯავრებულ ჰიტლერზე და უცებ „მოერგო სიტუაციას":

— მე ავსტრიელი გახლავართ, ჩემო ფიურერ, და არ შემიძლია დავივიწყო, რომ იტალიამ ოდესღაც მიიტაცა ჩვენი საუკეთესო ბიწა-წყალი, სამხრეთ ტიროლი!..

ჰიტლერმა ის ორი ოფიცერი დაითხოვა, სკორცენის კი მუსოლინის დაპატიმრების ამბავი მოუყვა და დაავალა გენერალ შტუდენტთან ერთად გაეთავისუფლებინათ იგი ტყვეობისაგან.

სკორცენიმ სიამოვნებით მიიღო ეს დავალება და მაშინვე შეუდგა საქმეს. უწინარეს ყოვლისა იგი გაეშურა გენერალ შტუდენტთან, სადაც მას ჰიმლერიც დახვდა. მეორე დილით ისინი ბერლინში იყვნენ, ხოლო საღამოთი ოტო სკორცენი რომში ჩაფრინდა.

დაიწყო „მოტაცებული მუსოლინის" კვალის ძიება. ეს ყველაზე რთული საქმე იყო, რადგან იტალიის ახალი ხელისუფლება საიდუმლოდ ინახავდა ყოფილი დიქტატორის სამყოფელს... სკორცენის ჯაშუშები დაძრწოდნენ მთელ იტალიაში, მაგრამ ამაოდ...

მუსოლინი თითქოს მიწამ ჩაყლაპა...

... ვიდრე იტალიის დატყვევებული დუჩეს ძიება გრძელდებოდა, სკორცენელებმა ჰიტლერის დავალებით „მოიტაცეს" მისი ქალიშვილი ედა და სიძე ჩიანო, თვითონ მუსოლინის კვალს კი ვერაფრით ვერ მიაგნეს. საქმეს ვერც ჰიმლერის „მაგიურმა სასწაულმოქმედებამ" უშველა. მან შეკრიბა ასტროლოგები, ჰოროსკოპებიც გამართა, მაგრამ ვარსკვლავების მოძრაობით ხელმოსაჭიდ რამეს მაინც ვერ მიაგნო... სადღაც, ნეაპოლის დასავლეთით უნდა იმყოფებოდეს რონელიღაც კუნძულზეო, თქვეს მხოლოდ. ეს იყო და ეს. ამგვარი ორიენტაციით სკორცენი, ცხადია, ვერაფერს გახდებოდა, რომ მის ერთ-ერთ თანამშრომელს, გვარად ვარგერს, სრულიად შემთხვევით არ აღმოეჩინა, რომ მუსოლინი სანტა მადლენას ციხე-სიმაგრეში იყო დამწყვდეული. მაგრამ ვიდრე მისი გათავისუფლების ოპერაციას განახორციელებდნენ, ტყვე სრულიად საიდუმლოდ გადააფრინეს „კამპო იმპერატორეში", სადაც მას ორასი შეიარაღებული კარაბინერი იცავდა. რამდენიმე დღის შემდეგ აქ გაჩნდა გადაცმული ოტო სკორცენი, მიათვალიერ-მოათვალიერა ყველაფერი და უკანვე გაბრუნდა, რათა დაუყოვნებლივ განეხორციელებინა ფიურერის დავალება...

... ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა 16 პლანერი, გენერალ შტუდენტის 90 პარაშუტისტი და 16 თავზეხელაღებული სკორცენელი. მათთან ერთად იყო მუსოლინის ერთგული გენერალი სოლეტი...

მიუხედავად ცუდი ამინდისა, თორმეტმა პლანერმა მშვიდობით მიაღწია აბრუცოს მთებამდე (ორი დაიმტვრა აფრენის დროს, ორიც — გზაში). სკორცენი ერთ-ერთი პირველთაგანი გადმოხტა პლანერიდან და თავის თანამშრომლებთან ერთად შევარდა „კამპო იმპერატორეში". სხვებმა ადვილად განაიარაღეს დაბნეული კარაბინერები. გენერალი სოლეტი იტალიურ ენაზე იძლეოდა განკარგულებებს, ამიტომ კარაბინერები ვერ გაერკვნენ ვინ იყვნენ ისინი, რა მიზანი ჰქონდათ ან თვითონ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ! ხედავდნენ, რომ ამ „ციდან ჩამოფრენილ იობის ელჩებს" იტალიური ფორმა ეცვათ, გენერალი სოლეტიც იტალიურად იძახდა:

— Mani in alto!.. Mani in alto!.. (ხელები მაღლა!.. ხელები მაღლა!..).

კარაბინერებმა მართლაც ხელების აწევა ამჯობინეს თავგანწირვას, მით უმეტეს ასეთი გაურკვეველი სიტუაციის დროს და... მუსოლინის ორასი მცველი ისე დანებდა იმ „იობის ელჩებს", რომ არც ერთ მათგანს არ გაუსვრია თოფი.

ამასობაში სკორცენიმ მუშტის დარტყმით გააბრუა სასტუმროს რამდენიმე მცველი, დაამსხვრია რაცია და შევარდა ოთახში, სადაც გაოგნებული მუსოლინი დახვდა...

— დუჩე! ფიურერმა გამომგზავნა თქვენ გასათავისუფლებლად. ნე შეგასრულე მისი ბრძანება. თქვენ თავისუფალი ხართ! — მხედრულად გამოკვეთა ოტო სკორცენიმ.

გულაჩუყებული მუსოლინი გადაეხვია თავის მხსნელს...

... რამდენიმე წუთის შემდეგ „კამპო იმპერატორესთან" დაშვებულმა ორადგილიანმა თვითმფრინავმა „ფიზელურ შტორჰმა" ძლივს აზიდა სამი ნგზავრი და კურსი ჯერ რომის გერმანული აეროდრომისაკენ აიღო, ხოლო იქიდან ვენაში ჩაფრინდა.

სკორცენელების მეორე ჯგუფმა მუსოლინის ცოლიც გათავისუფლა და ჩქარა მთელმა ოჯახმა მიუნხენში მოიყარა თავი... მარტო ჩიანომ ვერ გაბედა პირისპირ შეხვედროდა თა-

ვის სიმამრს. არც მუსოლინის უნდოდა მოღალატე სიძე თვალით ენახა. ამბობენ, მან კლარა პეტაჩი მოიკითხაო, მაგრამ გამოირკვა, რომ იმ დავიდარაბაში მისი „გულის სატრფო“ არავის გახსენებოდა...

... ოტო სკორცენის ამ მართლაც გაბედული ოპერაციის ჩატარებისათვის რაინდის ჯვარი და მორიგი სამხედრო წოდება უბოძეს... მუსოლინი კი რამდენიმე დღის შემდეგ პირადად შეხვდა ჰიტლერს „მგლის ბუნაგში“ და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან...

განგების ძალა...

არც ჰიტლერი იყო დაზღვეული ასეთ „უსიამოვნებათაგან“. მიუნხენის შეხვედრის წინ ჩაშლილი თავდასხმა შემდეგშიც რამდენჯერმე განმეორდა. შეთქმულები დროდადრო ცდილობდნენ ხელსაყრელი მომენტის გამოყენებას, რათა თავიდან მოეშორებინათ „ის თავგასული ეფრეიტორი“. ჰქონდათ კიდეც საამისო შემთხვევები, მაგრამ „განგების ძალით“ ჰიტლერი ყოველთვის აღწევდა თავს დაგებულ მახეს. ასე იყო 1939 წელსაც.

ჰიტლერს ჩვეულებად ჰქონდა, რომ 1923 წლის პუტჩის დღეს — 8 ნოემბერს შეეკრიბა ნაცისტური მოძრაობის ვეტერანები მიუნხენის ლუდის ბარში. აქ იგი, როგორც წესი, ჯერ ორ-სამსაათიან სიტყვას წარმოთქვამდა, შემდეგ ძველ თანამებრძოლებს მიუჯდებოდა და მათთან ერთად შეექცეოდა ბავარიულ ლუდს. ეს ტრადიცია მას არც იმ წელს დაურღვევია: იგი თავისი ამალით მივიდა ვეტერანი ნაცისტებით სავსე ლუდხანაში და მაშინვე ტრიბუნას მიაშურა. წინა დღით კი სწორედ ამ ტრიბუნის უკან უზარმაზარ კოლონაში, როგორც ამბობენ, შეთქმულების ერთ-ერთმა წევრმა გერმანელმა გეორგ ელსერმა ინგლისის დაზვერვის ოფიცრების მაიორ სტივენსისა და კაპიტან ბესტის დავალებით ჩადგა ჯოჯოხეთის მანქანა, რომელიც ელექტროკონტაქტის საშუალებით უნდა აფეთქებულიყო. როგორც კი ელსერი ელექტროკვანძის ჯიხურისაკენ დენის ჩასართავად გაემართა, მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: ჰიტლერმა უცებ შეწყვიტა მოხსენება და, ლუდისათვის ხელი არც უხლია, ისე გავიდა დარბაზიდან. უახლოესი თანა-

მებრძოლებიც მას მიჰყვნენ. ელსერს ეს არ დაუნახავს, იგი მშვიდად შევიდა ჯიხურში და ჩართო დენი... გაისმა საშინელი აფეთქების ხმა. შვიდი კაცი იქვე მოკვდა, სანოცდასამი დაიჭრა...

ჰიტლერი კი ამ დროს უკვე მანქანაში იჯდა და თავის გზას მიჰყვებოდა...

... პირველად მაშინ ითქვა, „განგება იფარავსო გერმანელი ხალხის ფიურერს". მერე ეს ხმები ფართოდ გავრცელდა, მით უმეტეს, რომ ჰიტლერის ამგვარი „სასწაულებრივი გადარჩენის" ფაქტი რამდენჯერმე განმეორდა...

1942 წელს პოლონელმა პარტიზანებმა შეიტყვეს, რომ ბერლინ-კენიგსბერგის მაგისტრალის ხოინიცე-ჩერსკის მონაკვეთზე, რაღაც განსაკუთრებული მზადება იყო. გამოირკვა, რომ 8-9 ივნისს აქ უნდა გაევლო ჰიტლერის სპეციალურ მატარებელს. პარტიზანების შტაბმა გადაწყვიტა აეფეთქებინათ ეს მატარებელი კალისკა-ზბლევოს შორის. ასეც მოხდა. მატარებელი ჯერ აფეთქდა, მერე ლიანდაგს ასცდა და დაიმსხვრა. პარტიზანებმა ტყვიამფრქვევების ცეცხლიც გახსნეს და ტყეში მიიმალნენ. მოკლულ იქნა ორი გენერალი. დახოცილი და დაჭრილი გერმანელების რიცხვმა ასს გადააჭარბა... ჰიტლერი კი გადარჩა: სადგურ ხოინიცში, აფეთქების ადგილიდან ათ კილომეტრზე, იგი მოულოდნელად ჩამოვიდა მატარებლიდან და შეცვალა მგზავრობის მარშრუტი...

... ჰიტლერელებმა ესეც „განგების ძალას" მიაწერეს. შეთქმულებიც შედრკნენ. სიტუაციაც შეიცვალა. პოლონეთის ელვისებური განადგურების შემდეგ ჰიტლერმა, როგორც ვიცით, იოლ გამარჯვებებს მიაღწია დასავლეთის ფრონტზე. ყოველი გამარჯვების შემდეგ იგი უხვად აჯილდოებდა წარჩინებულ გენერლებს, მათ შორის — შეთქმულებსაც. ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ თავიანთ „უძლეველ ფიურერს" ჯერ დასავლეთის, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთის ფრონტებზედაც. „ბეკის სამხედრო ოპოზიცია" დაიშალა. მხოლოდ სამოქალაქონი განაგრძობდნენ მოქმედებას, განსაკუთრებით — გერმანიის ელჩი იტალიაში ულრიხ ფონ ჰასელი, რომელსაც

დასავლეთის სახელმწიფოებთან ჰქონდა კავშირი. ყოფილი სამხედრო ოპოზიციონერები კი (გარდა ბეკისა) თავგამოდებით იბრძოდნენ ფრონტებზე და სხვებთან ერთად ადიდებდნენ „გერმანული იარაღის უძლეველობას“, იღებდნენ ფულად საჩუქრებს, ორდენებსა და მაღალ სამხედრო წოდებებს.

ჰასელი წერს:

— მათი უმრავლესობისათვის კარიერა ამ სიტყვის ყველაზე საძაგელი მნიშვნელობით, ფულადი საჩუქრები და ფელდმარშლის კვერთხი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ისტორიული მიზნები და ზნეობრივი ღირებულებანი, რაც საფრთხის ქვეშ იყო დაყენებული.

წარჩინება და წარმატება კი მაშინ ადვილი მოსაპოვებელი იყო. მაიორები რამდენიმე წელიწადში გენერლებად იქცნენ, პოლკოვნიკები და გენერლები კი — ფელდმარშლებად. ყველა ორდენებითა და მედლებით აივსო. ჰიტლერი თვითონ ადგენდა და ამტკიცებდა ახალი ორდენების ნიმუშებს. გერინგი სულ საშობაო ნაძვის ხესავით იყო მორთული. სხვებიც. თვითონ ჰიტლერი ირონიულად უყურებდა ამას. მთელი ომის განმავლობაში მას არავითარი ორდენი არ მიუღია და მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დროს მოპოვებულ რკინის ჯვარს ატარებდა.

სამაგიეროდ მისი როგორც „ისტორიაში ჯერ არნახული“, „უდიდესზე უდიდესი“ მხედართმთავრის ქება-დიდება ყოველგვარ საზღვარს გასცდა. გებელსმა და მისმა პროპაგანდისტებმა ცა და ქვეყანა შეძრეს თავიანთი ფიუერერის ხოტბით: რის ალექსანდრე მაკედონელი, რა ნაპოლეონი! უზენაესიც კი უღირსად მიიჩნიეს ჰიტლერთან შესადარებლად. მას ასეთი ტიტული მიანიჭეს: „სწორუპოვარი, თვით ღმერთზე უფრო დიადი!..“

„ღმერთს“, აბა, ვინ მოკლავდა ან მის წინააღმდეგ შეთქმულებას რა აზრი ჰქონდა!

ᲛᲝᲠᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ...

გარდატეხა მხოლოდ მოსკოვთან მოხდა. გერმანიის „უძლეველმა არმიებმა“ დამარცხების პირველი სიმწარე იგემეს.

მიუხედავად ჰიტლერის ისტერიული ბრძანებებისა და გერმანიის არმიათა სამივე ჯგუფის სასოწარკვეთილი ცდებისა, მოსკოვი მაინც ვერ იქნა აღებული. აქ საბჭოთა ჯარისკაცები მოქმედებდნენ ლოზუნგით: „მეტი დახევა შეუძლებელია — უკან მოსკოვია“. ჩვენმა არმიებმა არამცთუ შეაჩერეს გერმანელები მოსკოვთან, არამედ ძლიერი კონტრდარტყმებით უკანაც დაახევინეს მათ. გერმანულ ნაწილებში პანიკა ატყდა. მღელვარება ოფიცრებსა და გენერლებსაც გადაედოთ. ყველამ იგრძნო რაღაც საშინელის მოახლოება. გაცოფებული ჰიტლერი პირველ რიგში სარდლებს დაერია. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს სპეციალური „ეპიდემია“ გაჩნდა, რაც მუსრს ავლებდა გერმანელ გენერლებს: ჯერ მთავარსარდალი ვალტერ ფონ ბრაუხიჩი „გახდა ავად“, მერე არმიათა სამივე ჯგუფის სარდლები „ჩაწვნენ ლოგინად“. „ცენტრის“ სარდალი ფონ ბოკი გენერალ-ფელდმარშალმა გუნთერ ფონ კლუგემ შეცვალა, „ჩრდილოეთის“ სარდალი ფონ ლეები — გენერალ-პოლკოვნიკმა კიუხლერმა, ხოლო „სამხრეთის“ სარდალი რუნდშტედტი — გენერალ-ფელდმარშალმა ვალტერ ფონ რაიჰენაუმ. მოხსნეს გენერალ-პოლკოვნიკი გუდერიანიც. გენერალ ჰოპნერს სულ ახადეს ყოველგვარი სამხედრო ღირსება და არმიიდან გააძევეს. გენერალ-პოლკოვნიკმა შტრაუსმა თვითონ მოიმკვდარუნა თავი და გადადგა. ქერჩის ნახევარკუნძულზე გენერალი ფონ შპონეკი უკან დახევისათვის სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს და ჰიტლერის მითითებით დახვრეტა მიუსაჯეს. გენერალი შტიულპნაგელი გადააყენეს, ასეთივე ბედი ეწია გენერალ-პოლკოვნიკ ფალკენჰორსტს...

ძველი, გამოცდილი გენერლების ნასობრივმა დარბევამ ბევრი შეაშფოთა. თვით კაიტელმაც გაბედა ერთხელ და უთხრა თავის ფიურერს, ამას შეიძლება მძიმე შედეგი მოჰყვესო. „კაიტელის თავხედობით“ გაწრისხებულმა ჰიტლერმა, „ყეყეჩი ხარო“, უკვირა მას. კაიტელმა, ცხადია, ხმა ჩაიკმინდა, მაგრამ ისე იყო შეურაცხყოფილი, რომ თავის კაბინეტში შევიდა, საწერ მაგიდას მიუჯდა, წინ რევოლვერი დაიდო და გადადგომის შესახებ თხოვნის წერას შეუდგა.

იოდლმა ჩუმად ააცალა მას რევოლვერი მაგიდიდან და,

როგორც ნიურნბერგში ამბობდა, თვითმკვლელობას გადაარჩინა.

ამის მიუხედავად, კაიტელი ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა „თავის ფიურერს“...

... როცა ჯერი ბრაუხიჩზე მიდგა, ჰიტლერმა მოუხშირა მის ლანძღვასა და შეურაცხყოფას, ხოლო 17 დეკემბერს სულ გადააყენა თანამდებობიდან. გულმოსულმა ბრაუხიჩმა სრულიად მიანება თავი სამხედრო სამსახურს, სამოქალაქო ტანისამოსი ჩაიცვა და მეურნეობას მიჰყო ხელი. ნიურნბერგის პროცესზე მოწმედ გამოძახებულმა კი თქვა: „იმ დღეს ჩემთვის ნათელი გახდა, რომ გერმანიას ომი წაგებული ჰქონდაო“.

ბრაუხიჩის თანამდებობა შესთავაზეს ფელდმარშალ რაიჰენაუს, რომელსაც მოულოდნელად „გულის მანკი“ აღმოაჩნდა და უარი თქვა. ჰიტლერი მიხვდა, რომ ეს საბოტაჟი იყო. ასეთ შემთხვევაში იგი საკუთარი გეგმით მოქმედებდა. ეს გეგმა კი მარტივი იყო: ჰიტლერის წინადადებაზე უარისთქმის მეორე დღეს ორი ესესელი შევიდა რაიჰენაუს ბინაში, ხოლო ოციოდე წუთის შემდეგ ორივე „თვალცრემლიანი“ გამოვიდა იქიდან და „ღრმად დამწუხრებულებმა“ განაცხადეს, ბატონი ფელდმარშალი გულის მანკით გარდაიცვალაო...

... რაიჰენაუს ტრაგიკული მაგალითის მიუხედავად არც სხვა გენერლები დასთანხმდნენ ბრაუხიჩის თანამდებობის დაკავებას და „ბოჰემიელი ეფრეიტორი“ ჰიტლერი „იძულებული გახდა“ თვითონ ეკისრა სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობა. ურჩი გენერლები კი შეკრიბა და დაემუქრა:

— თქვენ იცით ჩემი ტაქტიკა. მე ჯერ დავაცდი... საშუალებას ვაძლევ გამოსწორდნენ... შემდეგ თავზე მეხივით დავატყდები და ვსპობ!

გენერლებმაც კარგად იცოდნენ, რომ ეს ასე იყო, მაგრამ ერთნი შიშით ვერ იღებდნენ ხმას. ხოლო მეორენი, „მიუხედავად ყველაფრისა“, მაინც ერთგულად ემსახურებოდნენ თავიანთ „სწორუპოვარ“ მხედართმთავარს.

მერე ჰიტლერი ამბობდა:

— ბრაუხიჩი რომ კიდევ რამდენიმე კვირა დარჩენილიყო თავის პოსტზე, კატასტროფა გარდაუვალი იქნებოდა. იგი უმწეო ვინმეა, უხერხემლო. ხალხი მომავალში დაინახავს, თუ რას ნიშნავდა ჩემთვის ის ოთხი კვირა...

ჰიტლერი ამას ისე ამბობდა თითქოს მას შემდეგ, რაც ბრაუხიჩის თანამდებობა დაიკავა, დიდი გამარჯვებისათვის მიეღწიოს. პირიქით, გერმანიის არმია ისევ დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდა. „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ — გაჰკიოდა ჰიტლერი, მაგრამ ნაბიჯი კი არა, ათეული და ასეული კილომეტრები რჩებოდა უკან.

ამან ისევ გამოაცოცხლა შეთქმული გენერლები. სხვა უკმაყოფილოებმაც წამოყვეს თავი. შეთქმულების ქსელი უფრო დაიხლართა. ისევ შემოვიდა ხმარებაში ძველებური „იმ შემთხვევაში, თუ...“

ის „შემთხვევა“ კი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. სტალინგრადმა ბევრს გაახსენა, რომ საკუთარი თავიც ებით და ფიქრი იყო საჭირო. აქამდე „ყველას მაგივრად“ ფიურერი ფიქრობდა. ახლა სხვებმაც გაანძრიეს ტვინი. ფიურერმა კი პირზე ხავსი მოიკიდა. იგი ერიდებოდა საჯარო გამოსვლებს, თანამებრძოლებთან შეხვედრას. არც არავის იწვევდა თავისთან. „სუფრული საუბრების“ ჩასაწერად დანიშნული სტენოგრაფისტებიც დაითხოვა. ადრე კი ყოველ სიტყვას იწერდნენ და ინახავდნენ ისტორიისათვის. თვითონაც „ეკლესიობდა“ მომავლის წინაშე. „მგლის ბუნაგში“ ცხოვრების სპარტანული წესი ჰქონდა შემოღებული. რკინის საველე საწოლზე იძინებდა. ომისდროინდელი ულუფით კმაყოფილდებოდა. ამბობდა, ჩვენც ისე უნდა ვცხოვრობდეთ, როგორც სხვებიო. საუზმეს, სადილსა და ვახშამს საერთო სასადილოში მიირთმევდა. აქ მისი მუდმივი თანამესუფრენი იყვნენ შტაბის თანამშრომლები: კაიტელი, იოდლი, ბორმანი, დიტრიხი, ადიუტანტები და ორდინარები, არმიის სახეობათა წარმომადგენლები, პირადი ექიმები, მდივნები და სტენოგრაფისტები, ყველანი ერთად. ჰიტლერი ამოვიდოდა თავისი თავშესაფრიდან, გადაივლიდა ეზოს, შევიდოდა სასადილოს შენობაში, ნაცისტურ სალამს მისცემდა შეკრებილთ და მათთან ერთად მიირთმევდა საუზ-

მეს, სადილს ან ვახშამს იმ ნორმის მიხედვით, რაც დადგენილი იყო...

ვიდრე აღმოსავლეთ ფრონტზე „საქმე კარგად მიდიოდა“, ჰიტლერი სუფრასთან ბევრს ხუმრობდა და იცინოდა. უყვარდა „ერუდიციის გამოჩენა“ და საუბარი სხვადასხვა თემაზე. სტენოგრაფისტები ყოველივე ამას იწერდნენ. ასე შეიქმნა მისი „სუფრული საუბრების“ მთელი ტომი, რაც ისტორიკოსებისათვის, მართლაც, საყურადღებო მასალას შეიცავს.

ეს იყო 1941 — 1942 წლებში. სტალინგრადის შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა. საერთო სასადილოს ჰიტლერმა საკუჭნაო ამჯობინა. აქ იგი ჯერ მარტო სადილობდა თავის „უერთგულეს“ ძაღლ ბლონდისთან ერთად. მერე მის კომპანიას მდივანი ქალები და ვეგეტერიანელი მზარეული შეადგენდნენ. ეშინოდა თავდასხმის ან მოწამვლისა. ამბობდა, ჩემი სიცოცხლე სამ კაცს აბარია — შოფერს, მსახურსა და მზარეულსო. იქნებ სწორიც იყო. „სტალინგრადის კატასტროფის“ შემდეგ შეთქმულთა ორგანიზაციები მართლაც გაძლიერდა. მათ შორის იყვნენ „ბემარჯვენენი“ და „მემარცხენენი“. ერთნი ამბობდნენ, კავშირი მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოებთან დავიჭიროთო, მეორენი — აღმოსავლეთთანაცო. ზოგი ჰიტლერის მოკვლას მოითხოვდა, ზოგიც — შეზღუდვას ან დაპატიმრებას. აქაოდა „მესამე იმპერიის“ გემი იძირებაო, ბევრმა შეთქმულმა დაუწყო ძებნა მაშველ რგოლს, ჯერ კიდევ სათადარიგოს, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც, ყოველ შემთხვევისათვის. სხვებზე რა უნდა თქვას კაცმა, როცა თვით გერინგიცა და ჰიმლერიც დაადგნენ ორმაგი დიპლომატიის გზას. ისინი ჰიტლერის პოლიტიკის ყველაზე ერთგული შემსრულებლები იყვნენ და იმავე დროს დასავლეთის სახელმწიფოებთანაც აბამდნენ კავშირს. სხვაც ბევრი იცავდა ასეთ ორმაგ პოლიტიკას. ზოგი კი აშკარა შეთქმულების გზასაც დაადგა. ასეთები იყვნენ სამხედრო დაზვერვის უფროსი ადმირალი ვილჰელმ კანარისი და მისი მოადგილე გენერალი ჰანს ოსტერი. შეთქმულ გენერალთა წრე თანდათან გაფართოვდა. სამხედრო შეთქმულების ხელმძღვანელ ფელდმარშალ ბეკს მიემხრნენ ფელდმარშალი გუნთერ ჰანს კლუგე, ფელდმარშალი ერვინ

რომელი, ნაწილობრივ — ფელდმარშალი ვალტერ ბრაუხიჩიც, რომელმაც კრიტიკულ მომენტში კინაღამ გასცა ყველა. „სამოქალაქო ოპოზიციის“ ხელმძღვანელ გერდელერის გვერდით დადგნენ დიპლომატები იოჰან პოპიცი, ულრიხ ჰასენი და სხვები. მერე ბეკსა და გერდელერს შეუერთდნენ გენერლები და ოფიცრები შტიულპნაგელი, ფალკენჰაუზენი, მოლტკე, გიზევიუსი, ოლბრიხტი, ტრესკოვი, შტაუფენბერგი და სხვები.

ყველა თავისკენ ექაჩებოდა ბაწარს. გერინგი, ჰიმლერი და რიბენტროპი „თავიანთ საქმეს იკეთებდნენ“ მოწინააღმდეგეებთან. ისინი წინასწარ ემზადებოდნენ „იმ შემთხვევისათვის, თუ...“ ყოველ მათგანს უნდოდა ჰიტლერის შემდეგ მისი ადგილი დაეკავებინა, ამიტომაც არ ჰქონდათ ერთმანეთის ნდობა და გულახდილი ურთიერთობა. ცოდნით კი იცოდნენ. ვის რა ედო გუნებაში. გერინგი ინგლისელებს ეფიცებოდა მე ყოველთვის ინგლისური ორიენტაციისა ვიყავიო, რიბენტროპი ხომ ამას თავისი დიპლომატიური მოღვაწეობითაც „ამტკიცებდა“ ლონდონში ელჩად ყოფნის დროს. ჰიმლერს ასეთი ბიოგრაფია არ ჰქონდა, მაგრამ ისიც ცდილობდა ინგლისელების გულის მოგებას და ისეთი ხელვაშლილი იყო, რომ... ციმბირსაც კი ჰპირდებოდა მათ. აბა, რა ექნა, როცა საბჭოთა კავშირის სხვა ტერიტორიები სხვისთვის არ ემეტებოდა! და სწორედ მაშინ, როცა მათი „შეშლილი მესია“ გაჰკიოდა, ინგლისს დავლეწავ, გავანადგურებ, ხოლო ინგლისელებს სადმე უდაბნოში გადავასახლებო, მისი უახლოესი პალადინები წინასწარ აგვარებდნენ საკითხს ისევ „იმ შემთხვევისათვის, თუ“... პირიქით მოხდებოდა.

ვინ მოთვლის, ამ მიზნით ვინ ვის უკავშირდებოდა. ახლა ეს კარტები გახსნილია: გერინგი თავის საიდუმლო ემისრებს გზავნიდა ინგლისელ მრეწველებთან, ჰიმლერი — შვედებთან, რიბენტროპი პირადადაც შეხვდა კარდინალ სპელმანს. შუამავლებიც ამოძრავდნენ: ჰერცოგი ალბა, გრაფი ჰოჰენლოე, გრაფი ბერნადოტი და თვით კაუდილიო ფრანკოც კი...

... ამ შეთქმულებას მეტად ღრმა ფესვები აქვს. ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობაში არ ყოფილა ისეთი პერიოდი, რომ ოპოზიციურ ძალებს არ ემოქმედათ, დროდადრო მაინც,

ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე, 30-იან წლებში თუ მიუნ-ხენის კრიზისის დროს. მერე ეს მოძრაობა დროებით შეწყდა. ვიდრე გერმანია ორ ფრონტზე ბრძოლის ფაქტის წინაშე დადგებოდა. ამის შემდეგ „გერმანელთა ოპოზიცია" გამოცოცხლდა, რასაც რამდენადმე ხელი შეუწყო ჰიმლერის ორჭოფულმა პოზიციამ. მან ჯერ კიდევ 1942 წელს დაყნოსა შეთქმულების ქსელის არსებობა, როცა ადმირალ კანარისის უწყებასთან დაკავშირებული პირები ვალუტით სპეკულაციისათვის იქნენ დაპატიმრებული, მაგრამ არ გაამჟღავნა ამ ჯგუფის პოლიტიკური მიზნები, რადგან თვითონაც ჰქონდა ხელი გასვრილი.

ჰიმლერს სხვა წყაროებიდანაც მოსდიოდა საიდუმლო ცნობები, მაგრამ ცალ თვალს ხუჭავდა, იმას, რომლითაც ისიც დასავლეთისაკენ იყურებოდა. 1943 წელს საქმე იქამდე მივიდა, რომ იგი შეთქმულთა მეთაურის, კარლ გერდელერის, წარმომადგენელ პოპიცთანაც კი აწარმოებდა მოლაპარაკებას...

რამე პრინციპზე ლაპარაკი აქ შეუძლებელია. თავის გადარჩენის ინსტინქტით შეპყრობილი ჰიმლერი — ეს № 1 ანტისემიტი, რომელმაც ბილიონობით ებრაელი მოსპო, თათბირობდა თვით ებრაელთა საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებთანაც კი. იგი პირადად შეხვდა ამ საზოგადოების წარმომადგენელს შტორჰს, რომლის 17 ნათესავი საკონცენტრაციო ბანაკში იყო მოთავსებული. შემდეგ ვინმე მაზურიც ჩავიდა ბერლინში, საიდანაც იგი სპეცმანქანით მიიყვანეს ჰიმლერის სასახლეში, ციტენში. აქ მათი საუბარი თერთმეტ საათს გაგრძელდა.

ამაზე მეტი პარადოქსი რა იქნება?! ებრაელთა ჯალათი ჰიმლერი და ებრაელთა საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელი სპედან ერთ მაგიდასთან და „მეგობრულად" არჩევენ სხვადასხვა საკითხებს!..

მაზურმა რომ საკონცენტრაციო ბანაკები ახსენა, ჰიმლერმა რბილად გაიღიმა და „დაამშვიდა", ეს ბანაკები „აღმზრდელობითი ხასიათის დაწესებულებებიაო". ბაშინ მაზურმა კრემატორიუმების ამბავი ჰკითხა. ჰიმლერი არც ახლა დაიბნა, „კრემატორიუმებში მხოლოდ ტიფით დაავადებულებს ვწვავთო". ოღონდ თავი გადაერჩინა და მზად იყო თვითონაც მიეღო ებრაელთა სარწმუნოება...

... ცხადია, ყოველივე ეს უცხოეთის დაზვერვას არ გამოეპარებოდა მხედველობიდან. უყურადღებოდ ვინ დატოვებდა ასეთი მაღალი თანამდებობის პირთა მზადყოფნას ორივე მხარისათვის გაეწიათ სამსახური. თუ ჰიტლერი გაიმარჯვებდა, მათ თავი ქუდში ჰქონდათ, რადგან ისინი იყვნენ მისი პირველი ჯალათები, ხოლო თუ ჰიტლერი დამარცხდებოდა, არც „ამ შემთხვევისათვის“ რჩებოდნენ „ქუდმოხდილნი“, რადგან გამარჯვებული მოწინააღმდეგისთვისაც ჰქონდათ სამსახური გაწეული.

მთელი ამ შეთქმულების ქსელი შვეიცარიაში იყრიდა თავს. ციურიხსა და ბერნში ინგლის-ამერიკის დაზვერვის სპეციალური სააგენტოები მოქმედებდნენ. ამერიკის ე. წ. „სტრატეგიული სამსახურის სამმართველომ“ ამ ქალაქებში გახსნა სპეციალური შტაბი, რომელსაც შეერთებული შტატების დაზვერვის უფროსი ალენ დალესი ხელმძღვანელობდა. იგი თავის მრავალრიცხოვან თანამშრომლებიანად ჩასახლდა შვეიცარიაში. ნათქვამია, გული გულს იცნობსო. ამერიკისა და გერმანიის სამხედრო დაზვერვის უფროსებმა კავშირი გააბეს ერთმანეთთან. განა ესეც პარადოქსი არ არის, ორი ერთმანეთის წინააღმდეგ მეომარი სახელმწიფოს სამხედრო დაზვერვის უფროსები რომ ხელიხელჩაკიდებულნი მოქმედებენ?! თუმცა ალენ დალესს რა ენაღვლებოდა: იგი პირდაპირ ემსახურებოდა თავის ქვეყანას. კანარისის მდგომარეობა კი უფრო რთული იყო: იგი ერთდროულად და ისიც თავდადებით ასრულებდა ორივე ბატონის დავალებებს. დალესმა კარგად იცოდა ამ ორსახოვანი იანუსის ფასი. ცხადია, გერინგი, ჰიმლერი, რიბენტროპი — ყველანი გამოსადეგი იყვნენ. მაგრამ ყველაზე უფრო — მაინც ადმირალი კანარისი, რომელსაც ხელთ ჰქონდა გერმანიის არმიის მთელი საიდუმლოება...

აფთარი სირაფში...

ასე უწოდებდა ჰიტლერი თავისი სამხედრო დაზვერვის უფროსს კანარისს. იგი ჯერ კიდევ 1923 წლიდან იყო დაკავშირებული ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობასთან. მანამდე კი ჯაშუშურ მოღვაწეობას ეწეოდა ესპანეთსა და ამერიკაში.

მერეც სულ ორსახოვანი იანუსის როლს თამაშობდა: აქეთაც იყურებოდა და იქითაც. პირველ ხმას გერმანელებს კი აძლევდა, მაგრამ მოძახილს ინგლისელებსა და ამერიკელებს ეუბნებოდა. თან ისე ოსტატურად ემსახურებოდა მოწინააღმდეგეებს, რომ ერთსაც ერთგულად მიაჩნდა და მეორესაც. თვითონ კი იმთავითვე კაცთმოძულე ცინიკოსი იყო. საშინლად ეჯავრებოდა ადამის მოდგმა. ზიზღით უყურებდა სხვებს და ზოგჯერ საკუთარ თავსაც. იგი მიენდო სიძულვილს და მზად იყო თვითონ წაეკიდებინა ცეცხლი პატრუქისათვის, რომ აეფეთქებინა „დამპალი დედამიწა". ჰიტლერი თუ „პლანეტის ბაცილებს" უწოდებდა ადამიანებს, კანარისი — ქვეწარმავალთ, ჭიაღუეებს... მკბენარებსაც კი... ამბობდა, რომ უფრო ძაღლები უყვარდა, ვიდრე ადამიანები. მის სამუშაო კაბინეტშიც არა ვინმე გამოჩენილი პიროვნების, არამედ საკუთარი ძაღლის ზეპლის სურათი ეკიდა.

როცა 1944 წელს უშიშროების სამსახურის მსხვილი მოხელე შელენბერგი მივიდა მის დასაპატიმრებლად, კანარისმა ამ სურათზე მიუთითა და მშვიდად უთხრა:

— გახსოვდეთ, შელენბერგ, პირუტყვთა ერთგულება. აი, ჩემი ძაღლი ყველაფერს ხედავს, მაგრამ არაფერს ამბობს, არც არასოდეს გამცემს, რასაც მე ვერ ვიტყვი ადამიანებზე...

... ტალეირანს უთქვამს:

— ფუშეს იმიტომ სძულს ასე ძლიერ ადამიანები, რომ ძალიან კარგად იცნობს თავის თავს.

ეს კანარისის შესახებაც ითქმის. იგი კარგად იცნობდა თავის თავს და შეძრწუნებული იყო საკუთარი „ადამიანური სიმახინჯით". დამახასიათებელია, რომ ძაღლის პორტრეტის გარდა მისი საწერი მაგიდის უკან უზარმაზარი იაპონური გრავიურა ეკიდა. ეს იყო ადამიანის საშინლად დამრეცილი, სატანისებურად დამცინავი და შემზარავი სახე, ალბათ, ერთ დროს მისი ხასისა და მსოფლიოში კარგად ცნობილი ჯაშუშის მატა ხარის ნაჩუქარი. ამ სურათის ქვეშ ცინიკური ნებივრობით განისვენებდა კანარისი. მას მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა თმა ჰქონდა, აგურისფერი სახე და ჭო-

ტივით უძრავი თვალები. მაგიდაზეც ბრინჯაოს ქანდაკება ედგა — კომპოზიცია სამი მაიმუნისაგან: ერთი თვალებზე ხელებს იფარებს — ვითომ არაფერს ვხედავო, მეორე ყურებს თითებით იცობს — არაფერი მესმისო, მესამე კი ტუჩებზე იდებს ხელს — არაფერს ვიტყვიო. ასეთი იყო გამოცდილი მზვერავის იდეალი. თვითონ დაზვერვაც, კანარისის აზრით, ადამიანის ორგანიზმსა ჰგავს: მას აქვს თვალები, ყურები, ხელები და ფეხები. იგი არა მარტო ხედავს და ისმენს, არამედ იოქმედებს და მოძრაობს.

კანარისის მზვერავები თითქმის ყოველთვის წინ მიუძღოდნენ არმიის ნაწილებს. იგი დიდ დახმარებას უწევდა ჰიტლერის არმიას და იმავე დროს საიდუმლო ცნობებს აწვდიდა მოწინააღმდეგეთ. ამ ორმაგი პოლიტიკის აზრიც იგივე იყო: რომელ მხარესაც არ უნდა გაემარჯვა, კანარისი აუცილებლად მოგებული რჩებოდა. გულმოდგინებას კი არც ერთი მხარისათვის იშურებდა და არც მეორისათვის. იგი ზოგჯერ წინასწარ აცნობებდა დასავლეთის სახელმწიფოებს ჰიტლერელთა მომავალი თავდასხმის ზუსტ თარიღს. ვიდრე ნორვეგიის წინააღმდეგ ოპერაცია დაიწყებოდა, გესტაპომ დაიჭირა დაშიფრული დეპეშა, სადაც თავდასხმის დღე და საათი იყო აღნიშნული. ჰიტლერი გაგიჟდა: საიდან უნდა გაეგო მოწინააღმდეგეს ასეთი საიდუმლო ცნობა! კანარისზე მას ეჭვი არც ნიუტანია. ჰაიდრიხს კი დაავალა გამოერკვია ეს საქმე, მაგრამ ვერც ჰაიდრიხმა გაბედა კანარისზე ეჭვის მიტანა, თუმცა „დოსიეს“ შედგენა მაინც დაიწყო...

... 1942 წლის სექტემბერში ამერიკის პრესაში გამოქვეყნდა სენსაციური ცნობა, კანარისი ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობსო. ინგლისის დაზვერვის სამსახურს დიდი ჯაფა გადახდა, რომ კანარისი ამ მდგომარეობიდან გამოეხსნა, თორემ, ის რომ ჩავარდნილიყო, ინფორმაციის მთავარი წყარო დაიხურებოდა. ეს კარგად ესმოდა ალენ დალესს და ამიტომაც ასე თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მოწინააღმდეგის „თვალსა და ყურს“, ეშმაკობდა კიდეც. ჰიტლერელთა გასაგონად ინგლისელები და ამერიკელები ადმირალ კანარისს „იმპერიის ბოროტ გენიას“ უწოდებდნენ და.

კუდი რომ უფრო ღრმად დაემალათ წყალში, ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე გამოუტანეს მას სასიკვდილო განაჩენი. ეს — ისე, მოსაჩვენებლად. სინამდვილეში კი ხელი ხელს ჰბანდა და, როგორც ჩანს, „ხელის ჭუჭყიც“ ბლომად ეიედინებოდა კანარისის ჯიბეში. ეს მაშინაც გამოირკვა, როცა კანარისის დაპატიმრებულ წარმომადგენლებს ბონჰოფერს, მიულერსა და დონანიის უამრავი ინგლისურ-ამერიკული ვალუტა ჩამოართვეს.

განსაკუთრებულ აქტიურობას აქაც ჰაიდრიხი იჩენდა. ანდაზად ითქმის: დიდ ნადირს დიდი ნაგაზები უყეფენო. გამოცდილი ჯაშუში მაშინვე ჩაუდგა კვალში კანარისს. ეს გაიგეს როგორც ბერნში, ისე ლონდონსა და ვაშინგტონში. საჭირო გახდა ჰაიდრიხის ჩაჩუმება და უკვე „სიკვდილმისჯილი“ კანარისის „ძვირფასი სიცოცხლის“ გადარჩენა. ამით დაინტერესებული იყვნენ როგორც ინგლისელები, ისე ამერიკელებიც და... ჯარაც ერთბაშად დატრიალდა...

ცოცხალი ყუმბარები...

ბელასიზის სასახლეს შვიდადგილიანი ხაკისფერი მანქანა „ჰილმანი“ მიადგა და იქიდან ლონდონში ორი ჩეხი როტმისტრი წაიყვანა. დანიშნულ ადგილას მათ ჩეხი პოლკოვნიკი შეხვდა და მოკლედ აუხსნა ამოცანა:

— თქვენი პატრიოტული მოვალეობაა მოჰკლათ ჩაინჰარდ ჰაიდრიხი.

ადრეც იყო ორი ცდა, რომ ამ მიზნით პარაშუტისტები გადაესროლათ, მაგრამ ჩეხმა მფრინავმა ვერ მოახერხა ზუსტად მოეძებნა დანიშნული ადგილი და უშედეგოდ დაბრუნდა უკან. ინგლისელები შეშფოთდნენ. მათ ახლა ეს დავალება კანადელ მფრინავ რ. ჰოკეს მისცეს. მას უნდა გადაესროლა შვიდა ჩეხი პარაშუტისტი, რომელნიც ადრე ინგლისელი მაიორის ხელმძღვანელობით გადიოდნენ სპეციალურ წვრთნას შოტლანდიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. შემდეგ მათ მანჩესტერის აეროდრომზე შეასწავლეს პარაშუტით დაშვება და გადაიყვანეს ლონდონის ახლო, ბელასიზის სასახლეში – „ინტელიჯენს სიორვისის“ რეზიდენციაში.

ბრძანება ამ შემთხვევაში უფრო კატეგორიული იყო. კანადელ მფრინავს უნდა გადაესხა პარაშუტისტები, მიუხედავად იმისა, ზუსტად მოძებნილა თუ არა დანიშნულ ადგილს. „როცა დაეშვებიან, მაშინ მიხვდებიან, სად არიანო", უთხრეს მას. ძალიან ჩქარობდნენ, რადგან ეშინოდათ კანარისი არ ჩავარდნილიყო...

... ოთხმოტორიანი ინგლისური სამხედრო თვითმფრინავი „ჰალიფაქსი" მოსწყდა აეროდრომს და ჩეხოსლოვაკიისაკენ აიღო კურსი. წითელი სინათლის სიგნალზე ძარა გაიხსნა და პარაშუტისტები ყუმბარებივით „ჩაყარეს" ძირს. მერე ბარგიც მიაყოლეს — ასაფეთქებელი მასალები, დაშლილი იარაღი და სხვა მოწყობილობანი. ჰოკემ ბრძანება კი შეასრულა, სადაც არ უნდა იყოს, სულერთია, გადასხით პარაშუტისტებიო, მაგრამ თავისი „ცოცხალი ყუმბარები" ჩამოყარა არა დანიშნულების ადგილას, არამედ სადღაც, პრაღის ახლოს. ეს იყო ახალი წლის ღამეს. ორ ჯგუფად გაყოფილი პარაშუტისტები მშვიდობით დაეშვნენ მიწაზე, პარაშუტები მიწაში ჩამარხეს და მიიმალნენ.

ამის შემდეგ რამდენიმე ღამე გავიდა. ისინი საუშაოზე მოეწყვნენ და შესაფერ მომენტს უცდიდნენ...

... ეს მოხდა 1942 წლის 27 მაისს. სამი ჩეხი პატრიოტი-პარაშუტისტი კუბიშკოვი, გაბჩიკოვი და ვალჩიკოვი ველოსიპედებით გამოვიდნენ კირჰმაიერის პროსპექტზე. სამივე ინგლისური ავტომატებითა და ხელყუმბარებით იყო შეიარაღებული. იარაღებს ჯერ აწყობა უნდოდა და ეშინოდათ, ვაითუ გვიმტყუნოსო. ამიტომ ყველაფერი გულმოდგინედ გასინჯეს და მოსახვევთან დაელოდნენ ჰაიდრიხის მანქანას. იმ ადგილას სამი შესახვევია, ახლა სამივეს იმ სამი პატრიოტის სახელი ჰქვია. ერთ-ერთ მათგანზე ტრამვაის ხაზი უხვევს. სწორედ იმ დროს, როცა ტრამვაიმ შეუხვია, გამოჩნდა ჰაიდრიხის მანქანაც — ნაცრისფერი „მერსედესი". გაბჩიკოვი ვითომ ტრამვაის გამოეკიდა და მანქანას გზა გადაუჭრა. შოფერმა ძლივს დაამუხრუჭა მძლავრი „მერსედესი". ამ დროს გაბჩიკოვი შებრუნდა და ინგლისური ავტომატი დაუმიზნა შოფერთან მჯდომ ჰაიდრიხს... ავტომატმა უმტყუნა, არ გავარდა.

იმ დღეს ჰაიდრიხის მანქანა შოფერ ვილის მაგივრად თურმე მის პირად მცველს ობერშტურმფიურერ კლაინს მიჰყავდა. მერე წერდნენ, ვილი რომ ყოფილიყო, მანქანას არ შეაჩერებდა, გასრესდა გაბჩიკოვს და გზას განაგრძობდაო... კლაინმა კი მანქანა დაამუხრუჭა და რევოლვერზე იტაცა ხელი. ჰაიდრიხი მიხვდა კლაინის შეცდომას და გადახტა მანქანიდან. აქ კუბიშკოვმა ისროლა ხელყუმბარა. გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა. გაბჩიკოვმა გადააგდო ავტომატი და გაიქცა. მას უვნებლად გადარჩენილი კლაინი დაედევნა. გაბჩიკოვმა რევოლვერი იძრო და, რაკი კარგად იყო გავარჯიშებული, პირუკუ ესროლა კლაინს. ორი ტყვია მოარტყა კიდეც მკერდის არეში. კლაინი წაიქცა. ახლა კუბიშკოვს, რომელიც სახეში დაიჭრა ყუმბარის აფეთქების დროს, თვით ჰაიდრიხი გამოუდგა, წამოეწია კიდეც, მაგრამ ძალა აღარ ეყო: იგი მძიმედ იყო დაჭრილი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჰაიდრიხი ჰოსპიტალში გააქანეს, სადაც მალე განუტევა სული. თავდამსხმელები კი დროებით მიიმალნენ...

...ერთი საათის შემდეგ ჰაიდრიხის მოადგილის კარლ ფრანკის სპეციალური თვითმფრინავი „იუნკერს-52“ უკვე ჰიტლერის შტაბისაკენ მიფრინავდა ფოტომასალებით. ჰიტლერმა დაუყოვნებლივ მიიღო იგი. იქვე იყო ჰიმლერი. ფრანკმა უჩვენა ფოტოსურათები, მათ შორის ინგლისური ავტომატისა. ჰიმლერი, ცხადია, მაშინვე მიხვდა, თუ რატომ იქნა ეს თავდასხმა ნოწყობილი, და განზე გადგომა არჩია. არ უნდოდა ინგლისელებთან საქმე გაეფუჭებინა და ამიტომაც თქვა:

— ბორმანი წინადადებას იძლევა მივმართოთ ასეთ საპასუხო დამსჯელ ღონისძიებას: ავიაციის საშუალებით თავს დავესხათ ინგლისის რომელიმე კულტურულ ცენტრს და გავანადგუროთო.

— იმ ღორ ჩეხებს რა ვუყოთ? — იყვირა ჰიტლერმა და იქვე დაუმატა:

— დავხვრიტოთ ათი ათასი მძევალი!

კარლ ფრანკმა უარესი წინადადება შეიტანა, რასაც შედეგად მოჰყვა ლიდიცეს ტრაგედია: ჰიმლერის ესესელებმა ალყა შემოარტყეს დაბა ლიდიცეს და რამდენიმე საათის განმავლობაში გაჟლიტეს მთელი მოსახლეობა. მერე სახლები გადაწვეს, ტრაქტორებით მიწა გადახნეს და „დასახლებული პუნქტის“ ყოველგვარი ნიშანწყალი მოსპეს...

ამით ჰიმლერმა პილატესაც გადააჭარბა: მან სისხლით დაიბანა ხელები. ჰიტლერი კმაყოფილი დარჩა თავისი „ამოწვდილი მახვილის“ — ჰიმლერის ერთგულებით, ხოლო ინგლისელები და ამერიკელები ორსახოვანი იანუსის — კანარისის გადარჩენით...

...ფარული ქსელის ბლანდვა კი ისევ გრძელდებოდა. ყველა თავისკენ ექაჩებოდა ბაწარს. გერინგი — ერთ მხარეს, ჰიმლერი — მეორეს. რიბენტროპი ერთხანს გასუსული იყო, მაგრამ ბოლოს ისიც შეემზადა „იმ შემთხვევისათვის, თუ...“

არც ამერიკელები და ინგლისელები იყვნენ ყურდახშულნი. ისინი საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ არა მარტო შეთქმულ გენერლებთან, არამედ გერმანიის ოფიციალურ წარმომადგენლებთანაც. შუამავლობა ჯერ ვატიკანმა იკისრა. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ მეომარ მხარეთა ემისრები: ამერიკელი ტეილორი, ინგლისელი ოსბორნი, გერმანელი ვაიცზეკერი და სხვები, მათ შორის კარდინალი სპელმანიც. ისინი მშვენივრად უთავსებდნენ ერთმანეთს კათოლიკური ეკლესიის, დიპლომატიისა და დაზვერვის ორგანოების ინტერესებს. დიდი გამოცოცხლება იყო მადრიდშიც. ფრანკომ მიიღო ინგლისის ოფიციალური წარმომადგენელი სამუილ ჰორი. გერმანელი თავადი ჰოჰენლოე შეხვდა ალან დალესს შვეიცარიაში. ყველა მათგანს საჭირო რწმუნება ჰქონდა „მთავრობის წრეებისაგან“. მოლაპარაკების თემაც გარკვეული იყო: ინგლისის, ამერიკისა და გერმანიის სეპარატული შეთანხმება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს სამარცხვინო ფაქტი იყო და ჩვენი დასავლეთელი მოკავშირეებიც ამიტომ ცდილობდნენ კვალის დაფარვას როგორც ომის უკანასკნელ წლებში, ისე ნიურნბერგის პროცესზედაც.

დროდადრო უკმაყოფილო გენერლებიც ემზადებოდნენ სამხეღრო გადატრიალების მოსახდენად, მაგრამ მათ ანტიფაშისტურ ძალებთან არავითარი კავშირი არა ჰქონიათ. შეთქმულთა მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებმა 1944 წელს თუმცა კი სცადეს გერმანელ იატაკქვეშელებს დაკავშირებოდნენ, მაგრამ სხვა გენერლებმა ამ საქმეს მხარი არ აუბეს. ბევრს შეთქმულებაში უშუალო მონაწილეობისა ეშინოდა და მხოლოდ შორიდან უკრავდა კვერს. ასე კაუჭით მოწეული საქმე კი არ კეთდება. მეთაურები მხოლოდ „სასახლის გადატრიალებაზე" ამყარებდნენ იმედს. შეთქმულების საიდუმლო გეგმებსაც თავიანთ ვიწრო წრეში ადგენდნენ. ერთ-ერთი ასეთი გეგმის მიხედვით, აღმოსავლეთის ფრონტის არმიათა სამივე ჯგუფის სარდლებს უარი უნდა ეთქვათ ჰიტლერის ბრძანებათა შესრულებაზე, ფელდმარშალ ვიცლებენს კი ბერლინი დაეკავებინა, დაეპატიმრებინა ჰიტლერი და საჭიროებისამებრ — სხვებიც...

არ გამოვიდა! ჯერ არმიათა ჯგუფ „ცენტრის" სარდალმა ფელდმარშალმა ფონ კლუგემ თქვა უარი ამ გეგმის შესრულებაზე. მასთან სმოლენსკში ჩაფრინდა „მომავალი კანცლერი" გერდელერიც, ვითომ რომელიღაც ფირმის საქმეზე, და ბეკის სახელით ელაპარაკა მას შეთქმულების შესახებ, მაგრამ შეშინებულმა კლუგემ წერილი მისწერა ბეკს, მომავალში ასეთი ვიზიტებით თავს ნუღარ შეიწუხებენო. იგი მოსყიდული იყო ჰიტლერის მიერ: გერდელერის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე კლუგემ ჰიტლერის პირადი ფონდიდან 250 ათასი მარკა მიიღო საჩუქრად, თანაც ნებართვა — ვილის აშენებისა. მაშინ კაიტელმაც ჩაიჯიბა ამდენივე თანხა, მილჰმა კი — ორჯერ მეტი. მარტო ტრესკოვმა გამოიჩინა პრინციპულობა და უარი თქვა „ოცდაათი ვერცხლის" მიღებაზე...

... სტალინგრადის შემდეგ კი კლუგესაც შეეცვალა გაწყობილება. შეთქმულთა გეგმით ჰიტლერი უნდა შეეზღუდათ. ამისათვის კლუგე და მანშტაინი უნდა მისულიყვნენ მასთან და მოეთხოვათ, აღმოსავლეთის ფრონტის დამოუკიდე-

ბელ სარდლებად დაგვნიშნეო. თუ ჰიტლერი უარს იტყოდა, მაშინ ვიცლებენს აჯანყების ნიშანი უნდა მიეცა.

კლუგე და მანშტაინი მართლაც გაფრინდნენ ჰიტლერთან. ფიურერმა ისინი გულთბილად მიიღო, დასაჩუქრებას შეჰპირდა და გაუშვა... არც კლუგეს და არც მანშტაინს ხმა არ გაუღიათ თავიანთი დანიშვნის შესახებ. ისინი ყოყმანობდნენ: ვიდრე დასავლეთში ინგლისელები და ამერიკელები არ მოიკიდებენ ფეხს, ჰიტლერი რომ მანამდე ჩამოვაგდოთ, რუსები დაიპყრობენ ევროპას ან 1918 წლის მსგავსად რევოლუცია მოხდებაო. ამისი სხვა შეთქმულებსაც ეშინოდათ. დალესიც აფრთხილებდა მათ. ამიტომ იყო, რომ ჯერ ყოფილი გესტაპოელი გიზევიუსი დანიშნეს „მოსალოდნელი ქაოსის წინააღმდეგ“ ბრძოლის სპეციალური კომიტეტის უფროსად, შემდეგ კი „ეს საქმე“ თვით ჰიმლერის საშუალებით უნდოდათ გაეკეთებინათ...

... ასე ჩაიშალა „სახელმწიფო გადატრიალების“ ეს ცდაც. ამის შემდეგ კანარისის შტაბში ჰიტლერის მოკვლის გეგმა შედგა. 1943 წლის იანვარში გრაფ იორკის სახლში შეიკრიბნენ ბეკი, გერდელერი, პოპიცი, იენსენი, ჰასელი, შულენბურგი, ტროტი და სხვები. გადაწყდა თავდასხმის მოწყობა. საქმის ორგანიზაცია ტრესკოვს მიენდო. ჯოჯოხეთის მანქანა ინგლისელებმა ჩამოუგდეს თვითმფრინავიდან. ეს იყო პლასტიკური ასაფეთქებელი მასალა, რომლისთვისაც ნებისმიერი ფორმის მიცემა შეიძლებოდა. ჯერ თვითონ ტრესკოვმა ივარჯიშა და კარგადაც გაიწვრთნა... ეს სწორედ სტალინგრადის ოპერაციის დამთავრების დროს იყო. თებერვალში ყველაფერი მზად ჰქონდათ. მარტის დასაწყისში კანარისი, ლაჰუზენი და დონანიი ჩავიდნენ სმოლენსკში. ტრესკოვი მოელაპარაკა გენერალ შმუნდტს, რომ ჰიტლერისათვის ეთხოვათ ჩასულიყო სმოლენსკში. ტრესკოვს აქ გამზადებული ჰყავდა თავისი კავალერიის ლეგიონი პოდპოლკოვნიკ ბეზელაგერის მეთაურობით, რათა ჰიტლერი ჩასვლისთანავე დაეპატიმრებინათ. მაგრამ კლუგემ ვერ გაბედა ასეთი განკარგულების გაცემა, რის შემდეგაც შეთქმულებმა სხვა გზა ირჩიეს — ჯოჯოხეთის მანქანის აფეთქება.

1943 წლის 13 მარტს ჰიტლერი სპეციალური ჯავშნოსანი თვითმფრინავით ჩაფრინდა სმოლენსკში და კლუგეს კაბინეტში შევიდა. აქაც უნდოდათ ნაღმის აფეთქება, მაგრამ იმას მოერიდნენ, რომ გენერლებიცა და ოფიცრებიც არ დაშავებულიყვნენ. მერე ისიც სცადეს სადილობის დროს მოეწამლათ, მაგრამ ფრთხილმა ჰიტლერმა მასპინძლების მიერ შემოთავაზებულ საჭმელზე უარი თქვა და მხოლოდ საკუთარი ბზარეულის მოტანილი კერძი მიირთვა, რაც წინასწარ გასინჯა პირადმა ექიმმა.

დარჩა უკანასკნელი ვარიანტი — თვითმფრინავის აფეთქება...

... კლუგეს შტაბში ჰიტლერმა სულ რამდენიმე საათი დაყო და დღის სამ საათზე გაბრუნდა უკან. სანამ მისი თვითმფრინავი აფრინდებოდა, გენერალმა ტრესკოვმა ჰიტლერის ერთ-ერთ თანმხლებ პირს პოლკოვნიკ ბრანდტს სთხოვა „ორი ბოთლი კონიაკი" წაეღო გენერალური შტაბის საორგანიზაციო განყოფილების უფროს გენერალ ჰელმუთ შტიფტისათვის. ორივე ბოთლში ჯოჯოხეთის მანქანა იყო ჩადგმული, ისეთი ძალისა, რომ ჰიტლერის თვითმფრინავს სულ მტვრად აქცევდა ჰაერში. ამგვარი მანქანის გაკეთება შეთქმულების ერთ-ერთ მონაწილეს გიზევიუსს ინგლისელებმა ასწავლეს. გიზევიუსი ნიურნბერგის პროცესზე იყო მოწმედ გამოძახებული და სიამოვნებით ყვებოდა ამ ამბებს. აეროდრომზე ტრესკოვმა თავისი ამანათი მოატანინა ადიუტანტ შლაბრენდორფს, რომელიც თვითმფრინავის კიბესთან დადგა. ჰიტლერი რომ ავიდა თვითმფრინავში, ტრესკოვმა თვალით ანიშნა შლაბრენდორფს, რომ ამანათი ბრანდტისათვის გადაეცა და შლაბრენდორფმაც მყისვე გადასცა. ბრანდტმა შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდა და ის „ორი ბოთლი კონიაკი" თვითმფრინავში შეიტანა...

... გენერალი ტრესკოვი სმოლენსკში უცდიდა ცნობას თვითმფრინავის აფეთქების შესახებ... იგი ბერლინსაც დაუკავშირდა ტელეფონით და შეთქმულებს აცნობა „ყველაფერი რიგზეაო".

გავიდა ნახევარი საათი... ერთი საათი... მეტიც... არავითარი ცნობა. ტრესკოვი ღელავდა... თითებს იმტვრევდა... ელოდა... ამ დროს მას შეატყობინეს: რასტენბურგიდან დარეკეს, რომ ჰიტლერი მშვიდობით დაბრუნდა თავის შტაბშიო...

ტრესკოვი აწრიალდა. ჩქარა ყველაფერი გაირკვეოდა და შედეგი მისთვის ცხადი იყო. მან ჯერ ბრანდტს დაურეკა, ამანათს ნუ გადასცემ შტიფს, სხვა ბოთლები გადმოუციათ და ხვალ გამოვცვლიო. ბრანდტის პასუხიდან ჩანდა, რომ ბოთლები ჯერ კიდევ არ იყო გადაცემული, თორემ შტიფი შეთქმულების მონაწილე არ ყოფილა და, ეს ამანათი რომ მიეღო, ყველაფერი გაიხსნებოდა. მაშინ იგი ეცა შეთქმულების მონაწილეს ფაბიან შლაბრენდორფს და თვითმფრინავით გაგზავნა რასტენბურგში. აქ მან ორი ბოთლი ნამდვილი კონიაკი გადასცა ბრანდტს და ოავისი ჯოჯოხეთის მანქანა უკანვე წამოიღო.

თვითონ შლაბრენდორფი წერს: როცა ბრანდტმა ბოთლები გადმომცა და თან შეანჯღრია, ვითომ როგორი კონიაკიაო, მე შიშისაგან ჩემი დამემართაო...

... ასეა თუ ისე, ტრესკოვი გადარჩა, შლაბრენდორფმა ჯოჯოხეთისმანქანიანი ბოოლები ბერლინში ჩაიტანა და იქ გახსნა. გამოირკვა, რომ დიდ სიმაღლეზე პატრუქი გაყინულიყო და მექანიზმიც დაზიანებული ჩანდა. პირველმა შიშმა რომ გაიარა, ხუმრობის ხასიათზეც დადგნენ: 13 რიცხვი რომ არ ყოფილიყო, თავდასხმა არ ჩაიშლებოდაო. ვიღაცამ ისიც თქვა, ჰიტლერი ზევით ღმერთთან ახლო იყო და იმან იხსნაო. ზოგი სერიოზულადაც ფიქრობდა, ჰიტლერს განგება იცავსო.

განგებისა რა მოგახსენოთ და ისე კი მართლაც საკვირველია, რამდენჯერ გადარჩა ჰიტლერი თავდასხმას და ისიც სრულად შემთხვევით.

კამიკაძეები...

რამდენიმე დღის შემდეგ შმუნდტმა დაურეკა ტრესკოვს, 21 მარტს ბერლინის საგამოფენო სახლში (Zeughaus) ჰიტლერი არმიათა ჯგუფ „ცენტრის“ ნადავლ იარაღს დაათვალი-

ერებს გერინგის, ჰიმლერისა და კაიტელის თანხლებითო. „ცენ-ტრის“ შტაბიდან საჭირო იყო გამოეგზავნათ წარმომადგენელი, რომელიც ახსნა-განმარტებას მისცემდა მათ. ტრესკოვმა ეს საქმე კლუგეს შტაბის დაზვერვის უფროსს, შეთქმულებაში განდობილ პოლკოვნიკ ფრაიჰერ ფონ გერსდორფს დაავალა. მას ჯიბეში ნაღმი უნდა ჰქონოდა. როცა ჰიტლერი მოვიდოდა, ნაღმის მექანიზმი უნდა ჩაერთო და ისე შესდგომოდა სტუმრებისათვის ახსნა-განმარტების მიცემას. ამ დროს ჰიტლერი, ცხადია, მის გვერდით იქნებოდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ ნაღმი აფეთქდებოდა და... მართალია, თვითონ გერსდორფიც იაპონელი კამიკაძეებივით დაიღუპებოდა, მაგრამ იგი მზად იყო თავისი უფროსის, გენერალ ტრესკოვის ბრძანება მაინც შეესრულებინა...

სასიკვდილოდ თავგამეტებული გერსდორფი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ბერლინს, ადრე დილით მიადგა ჯერ კიდევ მძინარე შლაბრენდორფს, მას ორი ნაღმი გამოართვა, პალტოს ჯიბეში ჩაიდო და გამოფენაზე წავიდა. წინასწარი განზრახვით, დათვალიერება ნახევარ საათს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ, როცა ჰიტლერი და მისი თანმხლები პირნი მოვიდნენ, ადიუტანტმა მმუნდტმა თქვა, დათვალიერება მხოლოდ რვაათი წუთი გაგრძელდებაო...

... ტრესკოვი ამ დროს სმოლენსკში იჯდა რადიომიმღებთან და გულის ფანცქალით ისმენდა რეპორტაჟს გამოფენის დათვალიერების შესახებ. როგორც კი მან ყური მოჰკრა, დათვალიერება მხოლოდ ათი წუთი გაგრძელდებაო, მაშინვე მიხვდა, რომ თავდასხმა ჩაშლილი იყო: ნაღმის აფეთქებას ცივ შენობაში ჩართვის შემდეგ თხუთმეტი წუთი მაინც სჭირდებოდა...

ჰიტლერი რომ შემოვიდა, გერსდორფმა ჩუმად ჩართო ჯოჯოხეთის მანქანა. იგი რვა წუთის განმავლობაში გვერდით დაჰყვებოდა ჰიტლერს და მშვიდად უხსნიდა ნადავლი იარაღის საბრძოლო მონაცემებს... რვა წუთის შემდეგ კი, როცა სიკვდილამდე სულ ერთი ნაბიჯიღა დარჩა, ჰიტლერი უცებ მოტრიალდა და სწრაფად გავიდა შენობიდან.

გერსდორფმა დროზე გამორთო ჯოჯოხეთის მანქანა...

... თავდასხმის ცდები მაინც გრძელდებოდა ახალი გეგმის მიხედვით: ჰიტლერი ერთხელ კიდევ უნდა მიეწვიათ სმოლენსკში და რომელიმე შეთქმულთაგანს რევოლვერით მოეკლა იგი. რამდენიმე ოფიცერმა განაცხადა ამის სურვილი. ჰიტლერი დაჰპირდა ჩასვლას, მაგრამ... არ ჩავიდა... ამდენი უშედეგო ცდით ტრესკოვს ნერვები დააწყდა და ორი თვის შვებულება ითხოვა. მისცეს კიდეც.

სმოლენსკიდან წასვლის წინ კლუგე, ის და გერსდორფი ერთად სეირნობდნენ ბაღში, სადაც ფელდმარშალს უამბეს ჰიტლერის მოკვლის თავიანთი ცდების შესახებ.

— ჩვენ იმ აზრისა ვართ, ბატონო ფელდმარშალო, რომ ამაშია სრული კატასტროფისაგან გერმანელი ხალხისა და გერმანული სახელმწიფოს ხსნის ერთადერთი გზა, — თქვა გერსდორფმა.

კლუგე ერთხანს გაოგნებული იდგა, მერე ხელი ხელს შემოჰკრა და წამოიძახა:

— Kinder, ihr habt mich!... (შვილებო, მეც თქვენთან ვარო).

ამბობენ, ასევე ფიქრობდნენ ფელდმარშლები კიუჰლერი და მანშტაინიო, მაგრამ მათ არაფერი გაუკეთებიათ საამისოდ... ისინი მხოლოდ კურსკთან დამარცხების შემდეგ დარწმუნდნენ, რომ საჭირო იყო საბოლოო კატასტროფის თავიდან აცდენა. ამის შესახებ ტრესკოვმა აცნობა გერდელერს. ოლბრიჰტმა წერილი მისწერა კლუგეს, საჭიროა მოქმედებაო. ეს წერილი შტიფმა გადასცა ფელდმარშალს. რამდენიმე ხნის შემდეგ ოლბრიჰტის ბინაში ერთმანეთს შეხვდნენ გერდელერი, ბეკი და კლუგე. ჯერ ორმა გენერალმა, ბეკიმ და კლუგემ, ითათბირეს პირისპირ, მერე გერდელერიც შემოიერთეს და შეთანხმდნენ, რომ მართლაც „მოქმედებაა საჭირო...“ თუმცა გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად არც ერთ მათგანს არა ჰყოფნიდა გამბედაობა. ვითარება კი თანდათან უარესდებოდა. განადგურებული გერმანული არმიები პანიკურად იხევდნენ უკან...

... ჰიტლერი მოითხოვდა უკანასკნელ ჯარისკაცამდე ბრძოლას. მას ზედიზედ ხელიდან ეცლებოდა საბჭოთა კავშირის დროებით დაპყრობილი ტერიტორიები და ეს აცოფებდა.

— ამ მიწების გარეშე გერმანია ვერ იარსებებს, — ამბობდა იგი, — ადამიანი მხოლოდ მიწით ცხოვრობს. დედამიწა კი ისეთი ჯადოსნური თასია, რომელსაც განგება იმას აძლევს, ვინც მისთვის იბრძვის. მე არ შემიძლია ხუთი წელიწადი ვიომო და მერე ხუთ წუთში შევუშვა ხელი ამ გარდამავალ თასს!..

იგი ისე ებღაუჭებოდა ამ „თასს", როგორც საკუთარ სიცოცხლეს. ასე ეგონა ქვეყანა მარტო ჩემთვისაა გაჩენილიო. იმასაც ამბობენ, თავდასხმის მუდმივმა საფრთხემ ჰიტლერს „მტაცებელი ცხოველის თვითდაცვის ინსტინქტი" გამოუმუშავაო. ისე იყო შეშინებული, რომ უშიშროების სულ ახალ და ახალ საგანგებო საშუალებებს იგონებდა. როცა სადმე უნდა გამგზავრებულიყო, მის მეტმა არავინ იცოდა, მატარებლით წავიდოდა, თვითმფრინავით, თუ ავტოთი. ერთიც მზად იყო, მეორეც და მესამეც. იგი წასვლის წინ მხოლოდ ხუთი წუთით ადრე იღებდა გადაწყვეტილებას, იმისდა მიხედვით, თუ „განგება რას უკარნახებდა". ეს კიდევ უფრო ურთულებდა საქმეს შეთქმულთ. სხვა გზით რომ არა გამოდიოდა რა, პოლკოვნიკი ბეზელაგერი იმაზედაც იქაჩებოდა, ჩემი კავალერისტებით შევიჭრები მის სადგომში და სულს გავაფრთხობინებო... ეს თავზე ხელაღებული კაცის გეგმა იყო და არ მოიწონეს. მახე კი ერთხელ კიდევ დაუგეს.

ჰიტლერმა მოინდომა სხვადასხვა სახეობის ჯარებისათვის შემუშავებულ ახალ ფორმათა მოდელები დაეთვალიერებინა. შეთქმულები მაშინვე ამოძრავდნენ. შეადგინეს გეგმა, რომ ერთი ვინმე „კამიკაძე" ცოცხალ მანეკენად დაეყენებინათ და მას, როგორც კი ჰიტლერი მიუახლოვდებოდა, გამოეკრა ხელი სწრაფმოქმედი ნაღმისათვის, რომ ჰიტლერთან ერთად აფეთქებულიყო. საამისოდ შულენბურგის წინადადებით ოცდაოთხი წლის კაპიტანი ბუშე შეარჩიეს. პოლკოვნიკი შტაუფენბერგი ორი საათის განმავლობაში ელაპარაკებოდა ბუშეს თავის მოვალეობაზე ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე.

— კი მაგრამ მე ხომ ერთგულების ფიცი მაქვს ჰიტლერისათვის მიცემული! — თქვა კაპიტანმა, თითქოს ამ შემთხვევაში ეს ყოფილიყოს მთავარი და არა მისი სიცოცხლე.

— ჰიტლერსაც არა ერთხელ დაურღვევია ღვთისათვის მიცემული ფიცი, — უპასუხა ამაზე შტაუფენბერგმა.

ბუშე დასთანხმდა, მაგრამ დათვალიერება რამდენჯერმე გადაიდო. ამასობაში იგი თავის დივიზიაში დააბრუნეს. მერე შტაუფენბერგმა რომ ისევ გამოიძახა, ნაწილიდან აღარ გაუშვეს, დაიჭრა კიდეც ბრძოლაში და ჰოსპიტალში გაგზავნეს.

ამასობაში დათვალიერება ისევ დაინიშნა. იმავე შულენბურგმა ახლა ბუშეს მაგივრად იმ ევალდ ფონ კლაისტ-შვეცინის ვაჟი დაასახელა, რომელიც ერთ დროს შეთქმულების მონაწილეებმა ინგლისში გაგზავნეს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. ესეც ოცდაოთხი წლის ოფიცერი იყო. შტაუფენბერგმა იგი შვებულებიდან გამოიძახა. მათ შორის საუბარი ექვს საათს გაგრძელდა. ბოლოს შტაუფენბერგმა უთხრა:

— მე არ გაძალებ, თვითონ მოიფიქრე. არც გაჩქარებ, რადგან დრო გვაქვს. გადაწყვიტე და პასუხი გვითხარიო...

...ის კვირა დღე კლაისტმა საკუთარ სახლში გაატარა, ბევრი იფიქრა და ბოლოს თავის მამას გაანდო შტაუფენბერგის წინადადება, თან რჩევა ჰკითხა, როგორ მოვიქცეო.

მოხუც გენერალს ცივმა ოფლმა დაასხა, ფერი წაუვიდა, ხელებიც აუცახცახდა, მაგრამ თავი შეიკავა, გამაგრდა. მერე შუბლი მოიწმინდა და მტკიცე, თუმცა გაბზარული ხმით უთხრა:

— როცა სამშობლოს ინტერესები გიხმობს, ასეთ დავალებაზე უარი არ უნდა თქვა, შვილო!..

მეორე დღეს ახალგაზრდა კლაისტმა თანხმობა მისცა შტაუფენბერგს. დათვალიერება 1944 წლის 11 თებერვლისათვის იყო დანიშნული. იმ დღეს, ადრე დილით, შტიფს აცნობეს, ჰიტლერთან ერთად ჰიმლერი არ იქნებაო. შეთქმულებს ეშინოდათ, რომ ჰიტლერის მოკვლის შემდეგ ჰიმლერს თავისი ესესელებით არ აეწიოკებინა ისინი და ცდილობდნენ ორივესთვის ერთად მოეღოთ ბოლო. რაკი ასე არ გამოვიდა, თავდასხმაც ჩაიშალა...

მერე თვითონ ჰელმუტ შტიფმა შტაბის ოფიცერთან პოლკოვნიკ ფრაიტაგ-ლორინგჰოფენთან ერთად სცადა ჰიტლერზე თავდასხმა. მან ჯოჯოხეთის მანქანა შეიტანა მთავარ შტაბში

და დროებით ნაგებ კოშკში დაშალა. ზედმეტად ფრთხილი შტიფი დიდხანს უცდიდა „შესაფერის მომენტს“, ჯოჯოხეთის მანქანას კი „მოსწყინდა“ ამდენი ცდა და პატრონთან შეუთანხმებლად თვითონ აფეთქდა, თუმცა ჰიტლერისათვის, რა თქმა უნდა, არა, უვნია რა.

შტიფმა და ლორინგჰოფენმა ძლივს მოახერხეს კვალი დაეფარათ...

... ამასობაში კლუგე გაათავისუფლეს არმიათა ჯგუფ „ცენტრის“ სარდლობიდან და დასავლეთის ფრონტზე გადაიყვანეს. მის ნაცვლად „ცენტრის“ სარდლად ფელდმარშალი ბუში დანიშეს. ახალდანიშნული სარდალი, როგორც წესი, ბერჰტესგადენში გამოიძახეს ჰიტლერთან შესახვედრად. შეთქმულებმა ამჯერადაც სცადეს მომენტის გამოყენება. ბუშს თან უნდა გაჰყოლოდა ადიუტანტი ერტცენი, რომელიც თავის გასაწირავად წინასწარ შეამზადა ტრესკოვმა. ერტცენს უხმაუროდ ჩასართავი ნაღმი უნდა ჩაედო გულის ჯიბეში და, როცა ბუშთან ერთად შევიდოდა ჰიტლერის კაბინეტში, უცებ ჩაერთო, მერე მივარდნოდა ჰიტლერს, ხელი მოეხვია მისთვის და... ორივენი აფეთქდებოდნენ...

ერტცენმა მართლაც ჩაიდო ნაღმი ჯიბეში და ფელდმარშალთან ერთად გაფრინდა ბერჰტესგადენში. თვითმფრინავში მათთან იყვნენ კაიტელი და იოდლი. ჩვეულებრივად ფელდმარშლები, როგორც წესი, თავიანთ მხლებელ ოფიცერთან ერთად შედიოდნენ ჰიტლერის კაბინეტში. მანამდე ერთი შეშფოთებაც არ ყოფილა ამ წესის დარღვევისა. იმ დღეს კი, როცა ისინი მიადგნენ ჰიტლერის კაბინეტს, მცველმა ესესელმა წინადადება მისცა ყველას, იარაღი დააწყვეთო. ჰიტლერი უკვე საკუთარ ფელდმარშლებსაც აღარ იღებდა იარაღიანად. ეს, რა თქმა უნდა, შეურაცხმყოფელი იყო, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ, იარაღი ყველამ მაგიდაზე დააწყო. ერტცენმაც დადო ბრაუნინგი, ნაღმი კი დაიტოვა, მაგრამ, ზედ კართან რომ მივიდნენ, ისევ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა: ჯერ კაიტელი შევიდა კაბინეტში, მერე — ბუში, რომელსაც იოდლი მიჰყვა, ერტცენი კი ესესელმა შეაჩერა და უთხრა:

— დღეს — მხლებელი ოფიცრის გარეშე! ასეთია ფიურერის განკარგულება...

წინააღმდეგობა უაზრო იყო და ერტცენი თავის ნაღმიანად ისე დარჩა მისაღებ ოთახში, რომ ჰიტლერისათვის თვალიც არ მოუკრავს...

ცალთვალა ალკიპიადე...

თავდასხმის მოწყობა ახლა პირადად პოლკოვნიკმა კლაუს შენკ გრაფ ფონ შტაუფენბერგმა იკისრა. ეს შტაუფენბერგი, რომელსაც მშვენიერი გარეგნობისა და მომხიბვლელი ღიმილის გამო ღმერთების საყვარელ გმირს — ალკიპიადეს ადარებდნენ, მართლაც საინტერესო პიროვნება იყო. გაბედული ოფიცერი, გამოჩენილი მხედარი, ოლიმპიურ თამაშობათა გმირი, დიდი პატრიოტი, ფართო განათლების ადამიანი, ფილოსოფიურად განსწავლული და შტეფან გეორგეს პოეზიით გატაცებული. ადრე იგი ფელდმარშალ კლაისტის არმიაში მსახურობდა, სატანკო ნაწილში, და „კავკასიის დამპყრობი არმიის“ ინსპექტორადაც იყო გამწესებული. შემდეგ ტუნისის ფრონტზე ცალი ხელი და ცალი თვალი დაკარგა, მაგრამ თადარიგში არ გადაერიცხა და ბერლინის გარშემო განლაგებული სარეზერვო არმიის შტაბის უფროსად დაინიშნა. მისი ცხოვრების დევიზი იყო Nur Soldat sein (იყო მხოლოდ ჯარისკაცი!). სარეზერვო არმიაში სამსახურის დროს მას ხშირად უხდებოდა ჰიტლერთან გამართულ სამხედრო თათბირებზე დასწრება, რაც თავდასხმის მოსამზადებლად გამოიყენა. ჯერ გარემო შეისწავლა. დააკვირდა, როგორ იქცეოდა თათბირზე ჰიტლერი. შეამჩნია, რომ მაშინაც კი, როცა იგი მაგიდას დაეყრდნობოდა და წინ გაშლილ რუკას ჩაჰკირკიტებდა, იღლიებს ქვემოდან გამოხედავდა ხოლმე დამსწრეთ და უთვალთვალებდა, ვინ რას აკეთებდა, ისე, რომ არც ერთი მათგანის მოძრაობა არ გამოჰპარვოდა. შტაუფენბერგმა ეს მხედველობაში მიიღო. ისიც, თუ როგორ იყო ჰიტლერის პირადი დაცვა მოწყობილი. ყველაფერი აწონ-დაწონა და მოამზადა ჯოჯოხეთის მანქანა...

... ამასობაში სამხედრო და სამოქალაქო შეთქმულთა ხელმძღვანელებმა შეადგინეს ახალი „მთავრობის პროექტი“, რომლის მიხედვით განზრახული იყო გერმანიის იმპერიის რეგენტად ან პრეზიდენტად გამოეცხადებინათ ფელდმარშალი ბეკი, ხოლო კანცლერად — გერდელერი. დავა ატყდა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. „მემარჯვენენი“ ულრიხ ფონ ჰასელს უჭერდნენ მხარს, „მემარცხენენი“ — გრაფ ვერნერ ფონ შულენბურგს. ადრე „ახალი მთავრობის“ ასეთი პროექტიც იყო შედგენილი: პრეზიდენტი — ბეკი ან ჰიმლერი, კანცლერი — გერდელერი, ვიცე-კანცლერი — ვილჰელმ ლოიშნერი, მთავარსარდალი — ფელდმარშალი ვიცლებენი. ამ „მთავრობაში“ შედიოდნენ აგრეთვე გიზევიუსი, ტრესკოვი, ოლბრიჰტი, ჰასელი, ბოლდტი და სხვები. პოპიცი რატომღაც ცარიელზე დატოვეს. ბეკს უმალავდნენ, პრეზიდენტის პოსტზე რომ ჰიმლერის კანდიდატურაც იყო.

შეთქმულებს რომ დემოკრატიული პრინციპის ან ანტინაცისტური იდეის ნატამალი ჰქონოდათ, როგორ შეეძლოთ „ჰიტლერზე უფრო ჰიტლერელ“ ჰიმლერის დასახელება ახალი მთავრობის პრეზიდენტად!..

... იქნებ ჰიტლერმაც იცოდა, „ვიღაცეები“ რომ სეპარატულ ზავს ამზადებდნენ დასავლეთთან. მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ, მგონი, არც თვითონ იყო ამის წინააღმდეგი, თუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მეთაურად ისევ დარჩებოდა. დ. იუნგის გამოქვეყნებულ მასალებში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ 1943 წლის მაისში ფელდმარშალი რომელი შეხვდა ჰიტლერს და უთხრა: რამე პოლიტიკური ნაბიჯი თუ არ იქნება გადადგმული, სამხედრო თვალსაზრისით ომის მოგება უკვე შეუძლებელიაო.

— ეს მეც ვიცი, — მიუგო ჰიტლერმა, — საჭიროა ზავის შეკვრა ერთ ან მეორე მხარესთან, მაგრამ ჩემთან არავის სურს ამაზე ლაპარაკი.

სხვა წყაროების მიხედვით კი, პირიქით, ჰიტლერს უთქვამს, მე უმალ აღმოსავლეთთან შევკრავ ზავს, ვიდრე დასავლეთის დამპალ დემოკრატიასა და ქრისტიანიზმს აღვადგენო.

ვინ იცის, ასე იყო ეს თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ის კი

ფაქტია, მერე რომ თვითონაც „იკადრა“ ბერნთან კავშირის გაბმა ჰიმლერის ერთ-ერთი თანამშრომლის, კარლ ვოლფის მეშვეობით. ისიც საფიქრებელია, რომ ჰიმლერიც უთანხმებდა მას თავის ღონისძიებებს ამ მიმართულებით. ადრე თვალი ორივეს სულ გატანაზე ეჭირა, ახლა კი უკან იხევდნენ და ზოგიერთ რამეს თმობდნენ კიდეც თავიანთი პრინციპებიდან.

ცნობილია, რომ ერთხელ ჰიმლერმა „თავისი მეგობრის“ ლანგბენის ხელით საიდუმლო წერილი გაუგზავნა ალენ დალესს ბერნში. დალესმა ამის შესახებ შიფრით აცნობა ნიუიორკს. ეს ცნობა დაიჭირა გესტაპოს უფროსმა მიულერმა და დააპატიმრა ლანგბენი. მიულერი ჩუმ-ჩუმად მტრობდა ჰიმლერს და, ბუნებრივია, ამ მომენტის გამოყენება სცადა...

ჰიტლერი რომ თავის კაბინეტში შევიდა, მაგიდაზე დახვდა ჰიმლერის მიერ ბერნში გაგზავნილი დეპეშის ასლი. ამან ისე გააცოფა იგი, რომ უმალვე იხმო ესესის რაიხსფიუერერი.

მერე?

მერე არაფერი! ჰიმლერი შევიდა ჰიტლერთან, რაღაც ილაპარაკეს და ამით გათავდა საქმე. თუ რანაირად მოახერხა ჰიმლერმა განრისხებული ჰიტლერის დაშოშმინება, ეს არავინ იცის: მოწმე იქ არ ყოფილა, ხოლო პროცესის დროს არც ერთი იყო ამქვეყნად და არც მეორე. ამიტომ გორდიას ეს კვანძიც გაუხსნელი დარჩა...

სამაგიეროდ ჰიმლერმა ისევ პილატესავით დაიბანა ხელები და თვითონ ჩამოახრჩო „თავისი ძვირფასი მეგობარი“ ლანგბენი...

... შტაუფენბერგი შეთქმულთა ე. წ. „მემარცხენე“ ფრთას ეკუთვნოდა. მას უნდოდა, რომ ზავი პირველ რიგში საბჭოთა კავშირისათვის შემოეთავაზებინათ და არა დასავლეთის სახელმწიფოებისათვის. ერთ-ერთ საიდუმლო თათბირზე მოჰყავდა კიდეც სტალინის ნათქვამი: „ჩვენ ჰიტლერელთა წინააღმდეგ ვიბრძვით და არა გერმანელი ხალხისაო“. საბჭოთა მთავრობის მეთაურის ეს განცხადება მას გერმანელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მომავალი ურთიერთობის საფუძვლად მიაჩნდა. მაგრამ შეთქმული „მემარცხენენი“ როდი ეთანხმებოდნენ მას, პირიქით, ზოგიერთი მათგანი დასავლეთთან ზავს, ხოლო აღ-

მოსავლეთში ომის გაგრძელებას მოითხოვდა. ისინი შტაუ-ფენბერგს ისე დიდ ანგარიშს როდი უწევდნენ პოლიტიკის საკითხებში: მას ჰიტლერზე თავდასხმა ევალებოდა და არა სახელმწიფო საკითხებზე ზრუნვა. ცხადია, პოლკოვნიკი ამაზეც თანახმა იყო. იგი გულმოდგინედ ვარჯიშობდა „ჯოჯოხეთის მანქანის“ სწრაფ და უხმაუროდ ჩართვაზე, რაც არცთუ ისე ადვილი იყო მისთვის. საქმე ის არის, რომ ცალხელა შტაუ-ფენბერგს მეორეზეც ორი თითი აკლდა, მხოლოდ სამი თითით ყოველივე ამის გაკეთება კი, ცხადია, უმძიმდა. მაგრამ ვარ-ჯიშმა თავისი გაიტანა. ახლა მისი საზრუნავი იყო ჰიტლერთან ერთად ჰიმლერიც მოესპო. მაგრამ ყოველთვის, როცა კი მო-ხერხა „ჯოჯოხეთის მანქანა“ თათბირზე შეეტანა, რაიხსფიურე-რი იქ არ იმყოფებოდა. როგორც ჩანს, ჰიმლერმა იცოდა, შტა-უფენბერგი რომ თავდასხმას აპირებდა, და გამოჩნდებოდა თუ არა ეს ცალხელა პოლკოვნიკი თათბირზე, მაშინვე გაქრებო-და... ასე ჩაიშალა ჰიტლერზე თავდასხმა 11 ივლისს: შტაუფენ-ბერგი ბერჰტესგადენში გამოიძახეს სამხედრო თათბირზე. ბერლინში მან წინასწარ მოამზადა „ჯოჯოხეთის მანქანა“, მაგ-რამ იმ თათბირზე არც ჰიმლერი დახვდა და არც გერინგი. ამის შესახებ შტაუფენბერგმა ტელეფონით აცნობა ბერლინში ოლბრიჰტს. ბეკთან შეთანხმებით ოლბრიჰტმა ურჩია, რომ მოეცადა სხვა შემთხვევისათვის. შტაუფენბერგი ბერლინში დაბრუნდა, ხოლო ჰიტლერი აღმოსავლეთ პრუსიაში გაემგ-ზავრა, რომ რასტენბურგის „მგლის ბუნაგიდან“ ეხელმძღვა-ნელა აღმოსავლეთის ფრონტისათვის, სადაც რამდენიმე დღის წინ საბჭოთა არმიამ გერმანიის არმიათა ჯგუფი „ცენტრი“ გა-ანადგურა...

... 14 ივლისს შტაუფენბერგი ისევ გამოიძახეს „მგლის ბუ-ნაგში“, რათა „ცენტრის“ დასახმარებლად სარეზერვო არმია გადაესროლათ. მეორე დილით იგი ბერლინიდან რასტენბურგ-ში გაფრინდა. ოლბრიჰტმა კი მაშინვე მისცა საიდუმლო სიგ-ნალი „ვალკირია“.

ძველი ჩრდილოგერმანული მითოლოგიის მიხედვით ვალკი-რიები მშვენიერი, მაგრამ სასტიკი ფერიები იყვნენ. ისინი თავს

დასტრიალებდნენ ბრძოლის ველს და არჩევდნენ, თუ ვინ უნდა მოეკლათ...

ამ შემთხვევაში „შეთქმული ვალკირიების“ მსხვერპლი ჰიტლერი უნდა გამხდარიყო. სიგნალიც უკვე მიცემული ჰქონდათ. სარეზერვო არმია დაიძრა კიდეც ბერლინისაკენ. გაანგარიშების მიხედვით ამ არმიის ტანკების შესვლა ბერლინში უნდა დამთხვეოდა ჰიტლერზე თავდასხმის მომენტს, რათა დაუყოვნებლივ მოეხდინათ მთავრობის კვარტალებისა და ესესელთა ყაზარმების იზოლაცია.

შტაუფენბერგს ამ შემთხვევაში მითითება ჰქონდა ბეკისაგან მიცემული, რომ ჰიტლერზე თავდასხმა მოეხდინა იმის მიუხედავად, იქნებოდა **იქ ჰიმლერიც თუ არა.** ცხადია, ჰიმლერი იქ არ იყო, მაგრამ შტაუფენბერგმა ძაინც შეიტანა პორტფელით „უმბარა“ ჰიტლერის სათათბირო ოთახში და მოკლე მოხსენება გაუკეთა ფიურერს სარეზერვო არმიის შესახებ. ამის შემდეგ იგი გამოვიდა თათბირიდან და სპეციალური შიფრით დაურეკა ოლბრიჰტს ბერლინში: ჰიტლერი თათბირზეა, თქვენ იმოქმედეთ, მე კი ახლავე შევბრუნდები და უმბარას ავაფეთქებო. თავის მხრივ ოლბრიჰტმა აცნობა, სარეზერვო არმიის ტანკები უკვე შემოდიანო ბერლინში... თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ, შტაუფენბერგი რომ თათბირზე დაბრუნდა... ჰიტლერი იქ აღარ დახვდა. მან თითქოს აქაც „იუნოსა“ მოახლოებული საშიშროება და ერთი ფეხით გაასწრო ფათერაკს. შეშფოთებული შტაუფენბერგი ისევ ტელეფონს ეცა და ოლბრიჰტს გადასცა, რაც მოხდა...

ეს საშინელება იყო!.. „ვალკირია“ უკვე მოქმედებდა.. სარეზერვო არმია შემოდიოდა ბერლინში... ჩქარა ყველაფერი გამჟღავნდებოდა... მაგრამ ოლბრიჰტმა მოასწრო განკარგულების გაცემა... „ვალკირია“ გაუქმებულ იქნა და არმია ისევ დაუბრუნდა თავის ყაზარმებს...

აფეთქება მგლის გუნაგში...

ამის შემდეგ შეთქმულები ერთხელ კიდევ შეიკრიბნენ ბერლინში და ითათბირეს, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. ჯერ წამოაყენეს წინადადება, რომ ხელი აეღოთ ასეთ თავდასხმებ-

ზე და უკვე დასავლეთის ფრონტის სარდლის, ფელდმარშალ კლუგესათვის მიემართათ, რათა იგი დაკავშირებოდა ეიზენ-ჰაუერს, შეეთავაზებინა მისთვის სეპარატული ზავი და მთელი ძალები გადმოესროლათ „ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად". ეს წინადადება ბეკმა არ მოიწონა: მას შეუძლებლად მიაჩნდა ასეთი სეპარატიული ზავის რეალობა და მოითხოვა, რომ კიდევ ერთხელ ეცადათ ჰიტლერის მოკვლა. შტაუფენბერგმაც მას დაუჭირა მხარი და ისევ თვითონ იკისრა ამის შესრულება. სამაგიეროდ ოლბრიჰტმა განაცხადა, რომ უკვე ვეღარ გავბედავ მივცე ნიშანი „ვალკირია", ვიდრე ჰიტლერზე თავდასხმა წარმატებით არ დამთავრდებაო. ამაზეც შეთანხმდნენ და გადაწყვიტეს თავდასხმა მოეწყოთ 20 ივლისს, რასტენბურგში მორიგი სამხედრო თათბირის დროს...

შეტს არც დრო ითმენდა. შეთქმულ გენერალთა რიცხვი კატასტროფულად მცირდებოდა: ზოგი დააპატიმრეს, ზოგიც გადააყენეს. ბრაუხიჩი სულ განზე გადგა. კლუგე ძველებურად მერყეობდა. ფელდმარშალ ერვინ რომელსაც არ უნდოდა ჰიტლერის მოკვლა, ამბობდა, დავაპატიმროთ და გავასამართლოთო.

ამასობაში გესტაპომ შეთქმულთა კვალი დაუნოსა. გაიცა განკარგულება დაეპატიმრებინათ გერდელერი, მაგრამ ის მიიმალა. ბერლინში ხმა გავრცელდა, ორ-სამ დღეში „მკლის ბუნაგი" ურდა აფეთქონ...

... ასე ერქვა ოფიციალურად უმაღლესი მთავარსარდლის ჰიტლერის შტაბს რასტენბურგში. აქ ექვსი კვადრატული კილომეტრის ფართობზე გაშენებული უზარმაზარი თავშესაფრის გარშემო მინდვრები სულ დახლმული იყო. თვითონ „ბუნაგს" სამი მეტრი სიმაღლის სამმაგი მავთულხლართები ჰქონდა შემოვლებული, რაშიაც ელექტროდენი იყო გაშვებული. „ბუნაგის" ერთადერთ შესასვლელს ესესელთა გაძლიერებული რაზმი და სამი საკონტროლო საგუშაგო იცავდა პირადი უშიშროების უფროსის რატენჰუბერის მეთაურობით. ჰიტლერის ავტომანქანის ყოველი შესვლა-გამოსვლის დროს აქ „გასაფრთხილებლად" სირენების გაბმული ზრიალით აცხადებდნენ საჰაერო განგაშს.

გარდა ჰიტლერისა, „მგლის ბუნაგში“ იმყოფებოდნენ გერინგი და სხვა მაღალი თანამდებობის პირნი.

ჰიმლერს თვალი ყოველთვის გაქცევაზე ეჭირა და მატარებლის ვაგონში ცხოვრობდა, რისთვისაც „მგლის ბუნაგში“ რკინიგზის სპეციალური ხაზი იყო შეყვანილი. მას, საერთოდ, არ უყვარდა ავტომანქანითა და თვითმფრინავით მოგზაურობა. ეშინოდა, სულ თავდასხმა ელანდებოდა. საკუთარი ბოროტება არ ასვენებდა... შურისძიების აჩრდილი თან სდევდა ყველგან. სწორედ ამიტომ თავდაცვის ისეთი ზომები ჰქონდა მიღებული, რომ ამბობდნენ, თავზე ჩიტს არ გადაიფრენსო. სასახლეში, სადაც იგი ცხოვრობდა, მაღალი კოშკები ააშენეს და სადაზგო ტყვიამფრქვეველები დადგეს. მის მანქანას სპეციალური მოწყობილობანი ჰქონდა: მძღოლის მოკვლის შემთხვევაში ავტომატურად გასაჩერებელი მუხრუჭები და ისეთი საშინელი ხმის სირენები, რომ ბერლინის ქუჩებში უდიდესი სისწრაფით ჩავლის დროს თავზარდაცემული ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა...

შიში არ ასვენებდა მას... ამიტომაც ირჩევდა პირადი მატარებლით „ჰაინრიხით“ მგზავრობას და ისიც განსაკუთრებით გაძლიერებული დაცვით. ეს საგანგებო მატარებელი შესანიშნავი რადიო და სატელეფონო კავშირით იყო აღჭურვილი. მისამართიც ასეთი ჰქონდა:

„პირადი მატარებელი, ჰაინრიხი“.

თვითონ ჰიტლერის თავშესაფარს ექვს-ექვსი მეტრი სისქის რკინა-ბეტონის კედლები და სახურავი იცავდა. იგი გარშემოვლებული იყო დანაღმული ტანკსაწინააღმდეგო თხრილებით. ვერავითარი საავიაციო ყუმბარა ვერ გაანგრევდა ასეთ თავშესაფარს და, როცა მილიონობით ადამიანები იხოცებოდნენ ოთხი ათას კილომეტრ ფრონტზე, ისხდნენ იქ „მეუფენი ამა ქვეყნისანი“ და განაგებდნენ ხალხებისა და სახელმწიფოების ბედ-იღბალს...

... „მგლის ბუნაგში“ ყოველდღე პირველ საათზე იმართებოდა თათბირი, რომელზედაც ჰიტლერს მოახსენებდნენ, თუ რა მდგომარეობა იყო ფრონტებზე. ამგვარ თათბირზე 20 ივ-

ლისს გამოძახებული იყო შტაუფენბერგიც. ირჩეოდა საერ-ზერეო არმიის შემადგენლობაში „სახალხო გრენადერთა“ (Volksgrenadiere) დივიზიის შექმნის საკითხი. ამის შესახებ შტაუფენბერგს აცნობეს წინადღით, 19 ივლისს. მან მაშინვე გააფრთხილა ქალაქგარეთ მცხოვრები ფელდმარშალი ვიცლებენი და გენერალი ჰოპნერი, რომ დროზე დაბრუნებულიყვნენ ბერლინში... ბეკიც გაემზადა „მოვლენათა შესახვედრად“. გაფრთხილებულ იქნენ სხვა შეთქმულებიც. თვითონ შტაუფენბერგი საღამოს 8 საათზე ბენდლერშტრასეზე იყო შტაბში და ჰიტლერისათვის მოხსენებას ამზადებდა. მერე მანქანაში ჩაჯდა და გაემართა ვანზეესაკენ, სადაც იგი ცხოვრობდა.

მშვენიერი საღამო იყო. უღრუბლო და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მშვიდად დაჰყურებდა დედამიწას. წითლად განათებული ჰორიზონტი კი იმას მოასწავებდა, რომ მეორე დღეს სიცხე იქნებოდა.

დალემის კათოლიკურ ეკლესიას რომ ჩაუარა, შტაუფენბერგმა მანქანა გააჩერა. ერთხანს ბოლთასა სცემდა ეზოში, მერე ეკლესიაში შევიდა, ამბობენ, პირველად თავის სიცოცხლეშიო. როგორც ჩანს, მან გაანდო ბერლინის ეპისკოპოსს, კარდინალ პრაიზინგს თავისი საიდუმლოება. კარდინალმა დალოცა და ნუგეში სცა, „იმ საქმისა“ მოკვლა ღვთის წინაშე ცოდვად არ ჩაგეთვლებაო.

შტაუფენბერგი ერთხანს იდგა ეკლესიაში გარინდებული და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ბოლოს თვითონაც შეეეედრა ღმერთს და გამოვიდა. თუმცა განგებას მისთვის არ გაუმხელია, ისევ ჰიტლერს სწყალობდა, თუ შეთქმულთ. ამაზე ფიქრით მან მთელი ღამე თეთრად გაათენა თავის ძმასთან ბერტოლდთან ერთად... ეს იმითაცაა საკვირველი, რომ, მისი მეგობრების გადმოცემით, შტაუფენბერგს საოცრად უყვარდა ძილი: ძლიერი დაბომბვის დროსაც არ გაიტეხდა ძილს და თავშესაფარში არ წავიდოდა, თუ ძალით არ წაათრევდნენო, არტილერიის ცეცხლის ქვეშ ორმოში ჩაწვებოდა და მაშინვე დაიძინებდაო...

იმ ღამეს კი მის თვალს რული არ მიჰკარებია. იჯდა ბერტოლდთან ერთად ჩაფიქრებული და უცდიდა საბედისწერო დღის გათენებას...

... დილით ადრე ბერლინის ე. წ. რანგსდორფის აეროდრომზე დიდი აისწრაფით შემოიჭრა შტაუფენბერგის შავი ლიმუზინი გენშტაბის ალმით. აქ იგი შეხვდა გენერალ ჰელმუტ შტიფს, რომელმაც ნაცრისფერი პორტფელი გადასცა „ჯოჯოხეთის მანქანით". 10 საათსა და 13 წუთზე შტაუფენბერგი თავისი ადიუტანტის, მაიორ ვერნერ ფონ ჰეფტენის თანხლებით რასტენბურგში ჩაფრინდა შეთქმულების მონაწილე გენერალ-კვარტისმაისტრის თვითმფრინავით. მფრინავი გააფრთხილა, დამელოდეო, მერე შტაბის კომენდანტის მანქანაში ჩაჯდა და „მგლის ბუნაგისაკენ" გაემართა.

დაცვის მუშაკები კარგად იცნობდნენ ამ ცალხელა პოლკოვნიკს, რომელიც ხშირად მოდიოდა აქ. შტაუფენბერგმა უთხრა პაროლი და იგი დაუყოვნებლივ გაატარეს პირველი და მეორე ზონის ალაყაფის კარებში ისე, რომ პორტფელი არ გაუსინჯავთ... მესამე ზონას რვაასამდე ესესელი იცავდა. აქ ხელით დაწერილ საშვებს თვითონ დაცვის უფროსი ობერფიურერი რატენჰუბერი იძლეოდა. შტაუფერბერგმა ეს ზონაც მშვიდობით განვლო, თუმცა საკმარისი იყო პორტფელი გაესინჯათ და მაშინვე ჩავარდებოდა. იგი ჯერ კომენდანტთან გამოცხადდა, მერე ბუფეტში შეიარა და გენერალ ბულესაც მოახსენა, რომ დავალებული ჰქონდა ფელდმარშალ კაიტელისათვის გადაეცა მოხსენება „სახალხო გრენადერთა" შესახებ. მოხსენებასთან ერთად მის ნაცრისფერ პორტფელში ისეთი ძალის „ჯოჯოხეთის მანქანა" იდო, რომ აფეთქებისთანავე ნაცარტუტად აქცევდა ყველაფერს... ამის შესახებ მან აცნობა შეთქმულების ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს, კავშირგაბმულობის უფროსს გენერალ ფრიც ფელგიბელს, რომელსაც დავალებული ჰქონდა, აფეთქებისთანავე გადაეცა ცნობა ჰიტლერის მოკვლის შესახებ შეთქმულთათვის ბერლინში და მოეშალა „მგლის ბუნაგის" კავშირი გარესამყაროსთან...

... თორმეტ საათზე შტაუფენბერგმა კაიტელი ინახულა. ჰიტლერს ჯერ კიდევ ეძინა. თათბირის მონაწილენი იკრიბებოდნენ და ჯგუფ-ჯგუფად საუბრობდნენ. საშინლად ცხელოდა. როგორც ამბობდნენ, საჰაერო თავდასხმაც არ იყო მოსალოდნელი და, ჰიტლერი რომ გამოვიდა, ჯერ ჰაერი დაყნოსა

და მერე მოისურვა თათბირი თავშესაფარში კი არა, ზევით, საზაფხულო პავილიონში გაემართათ. ადიუტანტებმა სასწრაფოდ აიტანეს რუკები და გააწყვეს უზარმაზარ ოთხკუთხეა მაგიდაზე. თვით პავილიონი უბრალო ხის ნაგებობა იყო, ფანერის კედლებითა და ფართო კარ-ფანჯრებით. თათბირი თორმეტ საათსა და ორმოც წუთზე დაიწყო, ჩვეულებრივზე რამდენადმე ადრე, რადგან სამის ნახევარზე მუსოლინი უნდა ჩამოსულიყო და ჰიტლერს რკინიგზის სადგურზე ეჩქარებოდა, რომ „თავის მეგობარ“ დუჩეს შეხვედროდა...

პავილიონში კაიტელი ნერვიულობდა. იგი უცდიდა შტაუფენბერგს, რომელიც ამასობაში გარდერობში ჩავიდა და „ჯოჯოხეთის მანქანა“ ჩართო.

აფეთქება ზუსტად ათი წუთის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

გარდერობიდან ბანაკამდე მისვლას სამი წუთი მოუნდა. შტაუფენბერგს მოჰყვებოდა კაიტელის ადიუტანტი, რომელიც ფელდმარშალმა გამოგზავნა, მოძებნე, რატომ იგვიანებსო. თავაზიანმა ადიუტანტმა ცალხელა პოლკოვნიკს სთხოვა პორტფელს მე წამოგიღებო. შტაუფენბერგი არ დაიბნა და მშვიდად გაუწოდა. კაიტელის ადიუტანტი შინაური კაცი იყო და მისთვის კარის მცველებს პორტფელი არ გაუსინჯავთ. კაიტელიც იქ იცდიდა შესასვლელთან. მან გააფრთხილა შტაუფენბერგი, ფიურერს ეჩქარება და მოხსენება შეამოკლეო.

დაგვიანებულები რომ პავილიონში შევიდნენ, გენერალ-ლეიტენანტი ჰოიზინგერი უკვე იწყებდა მოხსენების კითხვას.

კაიტელი და შტაუფენბერგი მიესალმნენ ჰიტლერს. მერე კაიტელმა შტაუფენბერგი წარუდგინა. ჰიტლერმა ხელი ჩამოართვა და გამომცდელად ჩახედა თვალებში. შტაუფენბერგი არც ახლა დაბნეულა და თვალი გაუსწორა „თავის ფიურერს“.

თათბირი განაგრძეს. ჰიმლერი. ცხადია, არ ჩანდა, „ჯოჯოხეთის მანქანა“ კი უკვე მუშაობდა. დრო იწურებოდა. ახლა მთავარი იყო, რომ შტაუფენბერგს ეს პორტფელი როგორმე ჰიტლერთან ახლოს დაედო და თვითონ მოესწრო გამოსვლა... საამისო სიტუაცია შემზადებული იყო: შტაუფენბერგმა პავილიონში შესვლის დროს მეკავშირე ოფიცერს კაიტელის გასაგონად უთხრა, ბერლინიდან უნდა დამირეკონ და. სანამ მოხსენებას წარვადგენ, აუცილებლად გამომიძახეო...

... ექვსი მეტრი სიგრძის მუხის მაგიდას ოცდასამი კაცი მისჯდომოდა. ჰიტლერი ცენტრში იჯდა (და არა მაგიდის თავში). მის მარჯვნივ ადგილები დაეკავებინათ გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსს გენერალ ჰოიზინგერს, ავიაციის გენერალ კორტენს, ჰოიზინგერის მოადგილეს პოლკოვნიკ ბრანდტს, გერინგის წარმომადგენელს გენერალურ შტაბში გენერალ ბოდენშეცს, ჰიტლერის მთავარ სამხედრო ადიუტანტს გენერალ შაუნდტს და მისსავე ადიუტანტს პოლკოვნიკ ბოგმანს. ჰიტლერის მარცხნივ ისხდნენ ფელდმარშალი კაიტელი და გენერლები იოდლი და ვერლიმონტი, სულ კუთხეში — საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, მრჩეველი ზონენლაისტერი, კაიტელის ადიუტანტი ვაიცენაგერი, იოდლის ადიუტანტი ბიუხსი და კაიტელის მეორე ადიუტანტი იონი. ფიურერის პირდაპირ მოთავსებულიყვნენ ადმირალი პუტკამერი, სტენოგრაფისტი ბერგერი, კაპიტანი ასმანი, გენერალი შერფი, გენერალი ბულე, ადმირალი ფოსი, ესესის გენერალი ფეგელაინი, პოლკოვნიკი ფონ ბელოვი და ჰიტლერის ადიუტანტი გიუნშე.

შტაუფენბერგი მაგიდასთან მივიდა და პოლკოვნიკ ბრანდტსა და გენერალ ბოდენშეცს შორის მაგიდის ქვეშ პორტფელი დადო. ბრანდტმა, რომელმაც „ორი ბოთლი კონიაკი" წამოიღო სმოლენსკიდან, შემთხვევით ფეხი გაჰკრა პორტფელს და კიდევ უფრო მიუახლოვა ჰიტლერს. ბრანდტსა და ჰიტლერს შორის სულ ორი კაცი იჯდა, ასე რომ პორტფელი ჰიტლერთან ძალიან ახლოს იდო...

... ახლა საჭირო იყო სასწრაფოდ გასვლა თათბირის ოთახიდან, გამოძახება კი გვიანდებოდა. მაშინ შტაუფენბერგმა მის გვერდით მჯდომ ადმირალ ფოსსა და პოლკოვნიკ ბრანდტს უჩურჩულა: არ დარეკეს ბერლინიდან, უნდა შევეკითხო რაღაც, გთხოვთ პორტფელს მიხედოთ, იქ საიდუმლო დოკუმენტებიაო. მერე ისევ მოიბოდიშა, ბერლინში უნდა დავრეკოო, და გამოვიდა. კაიტელმა უკმაყოფილოდ გაადევნა თვალი შტაუფენბერგს, რადგან ეს თავხედობად ჩაუთვალა. მერე ადგა, გარეთ გამოიხედა, მაგრამ, რომ ვერ ნახა, ისევ შებრუნდა და ჰიტლერის უკან დადგა.

ამასობაში შტაუფენბერგმა ჰიმლერის რკინიგზის ხაზი გადაჭრა და აეროდრომისაკენ გაეშურა. იგი დარწმუნებული იყო, რომ რამდენიმე წუთში იქ ყველაფერი ნაცარტუტად იქცეოდა. დანარჩენი „მგლის ბუნაგის“ კომენდანტ ფელგიბელზე იყო დამოკიდებული.

შეგახსენებთ, რომ მას უნდა მოეხდინა შტაბის იზოლაცია, დაკავშირებოდა ბერლინში ოლბრიჰტს, ეცნობებინა თავდასხმის შედეგი და მოეშალა კავშირი. ამის შემდეგ ოლბრიჰტს სიგნალი უნდა მიეცა და დაწყებულიყო ოპერაცია „ვალკირიის“ განხორციელება.

ქალაქების კომენდანტებსა და ჯარების უფროსებს დაგზავნილი ჰქონდათ დახურული პაკეტები, რომლებიც მხოლოდ მაშინ უნდა გაეხსნათ, როცა სიგნალ „ვალკირიას“ მიიღებდნენ. მიმართვას ხელს აწერდნენ ფელდმარშალი ვიცლებენი და გენერალი ფრომი. „ფიურერი ადოლფ ჰიტლერი მკვდარია, — ნათქვამი იყო მიმართვაში, — ფრონტს განრიდებულ პარტიულ ხელმძღვანელთა უსინდისო ხროვამ სცადა ამის გამოყენება საკუთარი მიზნებისათვის“... დაბოლოს: „სახელმწიფოს მართვის ფუნქციები იკისრა ქვემორე ხელისმომწერმა ფელდმარშალმა“ და სხვ. იგი მოითხოვდა მთავრობის დაწესებულებათა დაუყოვნებლივ დაკავებას, ესესელთა ინტერნირებას და ძალაუფლების აღებას. პირველ რიგში დაკავებული უნდა ყოფილიყო რადიოსადგური, საიდანაც ახალი კანცლერი გერდელერი სიტყვით მიმართავდა ხალხს სახელმწიფო გადატრიალების შესახებ, ხოლო პრეზიდენტი ბეკი საალყო წესებს გამოაცხადებდა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ფელდმარშალ ვიცლებენს დანიშნავდა. ამ დროს დასავლეთის ფრონტის სარდლები კლუგე, რომელი, შტიულპნაგელი და ფალკენჰაუზენი დაუყოვნებლივ შესთავაზებდნენ ზავს გენერალ ეიზენჰაუერს. თუ ესესელები წინააღმდეგობას გასწევდნენ, მაშინ მათ განაიარაღებდნენ. რატომღაც ეგონათ, რომ ჰიტლერის პირადი დაცვის უფროსი მაიორი რემერი ბერლინში მყოფ გებელსს დააპატიმრებდა და თავისი ბატალიონით „დიდი გერმანიით“ მთავრობის შენობებს დაიკავებდა, თუმცა სინამდვილეში რემერი სრულიადაც არ ყოფილა განდობილი შეთქმულებაში...

...ასეთი ბრძანებები და განკარგულებები წინაღამით იქნა შედგენილი ბენდლერშტრასეზე სარეზერვო არმიის შტაბში. შეთქმულებაში განდობილი ორი მდივანი-მემანქანე ერიკა ფონ ტრესკოვი (გენერალ ტრესკოვის მეუღლე) და მარგარიტა ფონ ოვენი მთელი ღამე ბეჭდავდნენ ამ დოკუმენტებს და აწყობდნენ ოლბრიჰტის სეიფში.

როგორც კი მიცემული იქნებოდა სიგნალი „ვალკირია", მთელი ეს მასალები მოქმედებაში უნდა მოეყვანათ. მომენტიც შესაფერისი შეხვდათ: იმ დროს უკვე გახსნილი იყო მეორე ფრონტი... მოკავშირეები იბრძოდნენ იტალიაში, აღმოსავლეთის ფრონტი კი ნიაღვარივით მიიწევდა დასავლეთისაკენ. თვით ყველაზე „ნაფიც ნაცისტებსაც" უკვე ეჭვი ეპარებოდათ „საბოლოო გამარჯვებაში"...

უმიჯმედო ვალკირიები...

შტაუფენბერგი უკვე მანქანაში იჯდა. იგი სულ რაღაც ორასი-სამასი მეტრით იყო დაშორებული პავილიონს, გრიალი რომ გაიგონა. მოიხედა და დაინახა, როგორ ავარდა უზარმაზარი კვამლი. კმაყოფილება ვერ დამალა, ჩაიცინა და გზა განაგრძო. თუმცა ჯერ კიდევ არ იყო დაცვის ყველა ზონიდან გასული. ამასობაში განგაშიც ატყდა. მცველებმა კარი არ გაუღეს შტაუფენბერგს. იგი გადმოხტა მანქანიდან და ყარაულის უფროსთან შევარდა. უფროსი შტაუფენბერგის კარგი ნაცნობი აღმოჩნდა და გაატარა. მაგრამ დაცვის კიდევ ერთი ზონა იყო გასავლელი. აქ ფელდფებელმა კოლბემ დააკავა იგი. შტაუფენბერგმა კომენდანტს დაურეკა:

— ყარაულები არ მიშვებენ აფეთქების გამო, ძალიან მეჩქარება აეროდრომზე, იქ მიცდის გენერალ-პოლკოვნიკი ფრომი! — ჩასძახა მან ყურმილში და კოლბეს მიუბრუნდა:

— ხომ გაიგონე, კომენდანტმა რომ თქვა, გაატარეთო!

კოლბეს, ცხადია, ეს არ გაუგონია, ამიტომ თვითონ დაურეკა კომენდანტს და, ნებართვა რომ მიიღო, „შეგიძლიათ წახვიდეთო", უთხრა ცალხელა და ცალთვალა პოლკოვნიკს.

შტაუფენბერგი მთელი სისწრაფით გაქანდა აეროდრომისაკენ...

... აფეთქების ადგილას ერთხანს ყველა მიწაზე იყო გართხმული... ბოლი რომ ოდნავ გაიფანტა, სრულიად დაუზიანებელმა კაიტელმა იყვირა:

— ფიურერი! სად არის ჩვენი ფიურერი!..

ამასობაში „მისი ფიურერიც“ წამოხტა ფეხზე, ნაფლეთებად ქცეული შარვალი ჩამოიფერთხა და არტისტულად წამოიძახა:

— აჰ, ჩემი ახალი შარვალი, მე მხოლოდ გუშინ ჩავიცვი ის პირველად!..

ჯერ კიდევ ბოლში გახვეული კაიტელი კი ისევ ყვიროდა:

— ფიურერი! რა მოუვიდა ჩვენს ფიურერს!..

შარვალჩამოხეული ფიურერი იქვე იდგა, მაგრამ ვერავინ ცნობდა: სახე სულ გამურული და დაკაწრული ჰქონდა, თმები — შეტრუსული, ყურებიდან კი სისხლი სდიოდა.

პირველი ისევ კაიტელი ეცა მას, მხრებში შეუდგა და გაიყვანა. მის შესახვედრად უკვე ექიმები გამორბოდნენ. მკვდრებსა და მძიმედ დაჭრილებს საკაცეებზე აწვენდნენ და სადღაც მიჰქონდათ. გადაბრუნებულ მაგიდასა და რუკებს ჯერ კიდევ ცეცხლი ეკიდა... გადარჩენილები ბუდემოშლილი კრაზანებივით დაფუსფუსებდნენ გარშემო. გაცხარებული კაიტელი კი ყველას ხელს ართმევდა და ულოცავდა:

— ფიურერი ცოცხალია, მადლობა ღმერთს, ფიურერი ცოცხალია!..

იოდლს თავში ჭერიდან ჩამოვარდნილი უზარმაზარი ჭაღი დასცემოდა და სისხლი სდიოდა. იგი ლაშებდაშვებული ბულდოგივით იდგა და წყევლიდა პავილიონის მშენებლებს, რადგან ეგონა ნაღმი იმათ ჩადესო. ნამდვილად კი სწორედ ამ პავილიონმა იხსნა ისინი: საშინელი სიძლიერის აფეთქებით გამოწვეულმა საჰაერო ტალღამ ადვილად გაანგრია კედლები, გაგლიჯა კარ-ფანჯრები, ორი გენერალი — ფეგელაინი და გიუნშე — ოთახიდან პირდაპირ ბურთივით გაისროლა ეზოში, სხვები კი გამურულნი და ჩამოძენძილნი გამორბოდნენ ბოლიდან. სტენოგრაფისტი ბერგერი „ჯოჯოხეთის მანქანას“ იქვე

გაეთავებინა. ხოლო გენერლები შმუნდტი, კორტენი და ბრანდტი მძიმედ იყვნენ დაჭრილი და მალე მათაც სული განუტევეს. მძიმედ დაიჭრნენ აგრეთვე გენერლები ჰოიზინგერი და ბოდენშეცი...

... თავშესაფარში ექიმმა ჰიტლერს დამამშვიდებელი ნემსები გაუკეთა და შიშის ქარისაგან ატეხილი ცახცახი ცოტათი მაინც შეუნელა. პირველი ბორმანი მოვარდა მასთან, მერე ჰიმლერი და რიბენტროპიც გაჩნდნენ. უფრო გვიან გერინგიც მოვიდა. ისინი ულოცავდნენ თავიანთ ფიურერს „განგების ძალით“ გადარჩენას. ბორმანმა სულ წაილესა ენა:

— ეს იმის ნიშანია, ჩემო ფიურერ, რომ ღმერთი ჩვენთანაა და აუცილებლად მოგვაგებინებს ომს თქვენი ხელმძღვანელობით...

მერე ჰიმლერმაც გამოთქვა აზრი, ყოველივე ეს პავილიონის მშენებელი მუშების საქმეაო, მაგრამ ჰიტლერმა თავი გააქნია:

— არა, ეს ალბათ იმ ოფიცერმა გააკეთა, გუშინ რომ დავსაჯე და ფრონტზე გავგზავნე, — თქვა მან.

მერე ვილაცამ იკითხა:

— სად არის შტაუფენბერგი?

მოიკითხეს. ეგონათ, დაჭრილებთან ერთად ლაზარეთში იქნება გაგზავნილიო, მაგრამ ცალხელა პოლკოვნიკი არსად ჩანდა...

... გენერალმა ფელგიბელმა რომ გაიგო, ჰიტლერი ცოცხალი გადარჩაო, ისე დაიბნა, რომ კავშირი აღარ მოუშლია „მგლის ბუნაგთან“, ვილაცას ტელეფონით დაურეკა შხოლოდ:

— მოხდა რაღაც საშინელება, ფიურერი ცოცხალია!

გაუგებარი იყო, ეს „საშინელება“ რას ეხებოდა: აფეთქებას, თუ იმას, ფიურერი რომ ცოცხალი გადარჩა...

... ბენდლერშტრასეზე სარეზერვო არმიის შტაბში შეკრებილი შეთქმულნი ამაოდ უცდიდნენ ფელგიბელის ცნობას თავდასხმის შედეგების შესახებ. იგი ამ დროს გადარჩენას ულოცავდა ჰიტლერს, რომელმაც უკვე „წესრიგში მოიყვანა თავი“ და სადგურზე წასავლელად მოემზადა, დაფლეთილი

შარვალი კი თავის მდივანს ცოლერს ჩააბარა, შეინახეთ ისტორიისათვისო...

კოლერმა ეს „წმიდა რელიკვია“ გაფერთხა და აფეთქების ადგილას გადაკიდა სკამზე...

... შტაუფენბერგი ორსაათნახევარს მოუნდა რასტენბურგიდან ბერლინამდე ფრენას. დრო გადიოდა. შეთქმულებმა არ იცოდნენ რა ექნათ და გადაწყვიტეს შტაუფენბერგისათვის დაეცადათ.

საერთოდ, სრულიად გაუგებარი რამ მოხდა. გენერალი ოლბრიჰტი, რომელსაც ოპერაცია „ვალკირია“ დაუყოვნებლივ უნდა მოეყვანა მოქმედებაში, გენერალ ჰოპნერთან ერთად ქალაქგარეთ წასულიყო სასაუზმოდ. ისინი მხოლოდ ნაშუადღევს დაბრუნდნენ შტაბში და ისიც საკმაოდ შეზარხოშებულნი. გვიან მობრძანდა „პრეზიდენტი“ ბეკიც. იგი სამოქალაქო ტანისამოსში იყო და უცდიდა, როდის მიართმევდნენ ჰინდენბურგის სავარძელს. სამაგიეროდ ვიცლებენი გამოცხადდა ფელდმარშლის კვერთხითა და ორდენებით. ისიც — რატომღაც მთვრალი. ადმირალი კანარისი ქალაქგარეთ დაიმალა და სულ არ გამოჩენილა. გიზევიუსი ჰელდორფის კაბინეტში იჯდა და უცდიდა თავდასხმის შედეგს. არც „მომავალი კანცლერი“ გერდელერი უნახავს ვინმეს. ორიოდე დღით ადრე მას აცნობეს, თქვენს დაპატიმრებაზე ბრძანებაა გაცემულიო, და სულ გადაიკარგა. შეთქმულთა გეგმით კი მას როგორც კანცლერს სიტყვით უნდა მიემართა ხალხისა და არმიისათვის. დანარჩენი შეთქმულნი ხომ ერთობ დაბნეული იყვნენ და სასოებით უცდიდნენ შტაუფენბერგის გამოჩენას...

... შტაუფენბერგი კი ამ დროს ჰაერში იყო... კმაყოფილი და იმდენად დარწმუნებული, რომ პატივმოყვარეობის ჭიამაც ფრთები შეისხა და წინ გაუსწრო მოვლენათა დინებას. რანგსდორფის აეროდრომიდან მან ასე დარეკა ბენდლერშტრასეზე:

— ლაპარაკობს გენერალი შტაუფენბერგი!..

— როგორ, თქვენ უკვე გენერალი ხართ?! შემიძლია მოგილოცოთ?! გაისმა ყურმილში.

— დიახ, შეგიძლიათ! დღეიდან მე გენერალი გახლა-

ვართ. — უპასუხა თვითდაჯერებულმა პოლკოვნიკმა და ის „ცალხელა ალკიპიადე“ თითქოს დაპატარავდა. გაიგო თუ არა, შეთქმულებს ჯერ არაფერი გაუკეთებიათო, იყვირა კიდეც:

— ჰიტლერი მკვდარია, იმოქმედეთ!..

მერე, საკუთარი მძღოლი რომ ვერ იპოვნა, ვილაცის მანქანაში ჩაჯდა და გაუგონარი სიჩქარით გავარდა ბენდლერშტრასესაკენ...

... აქ უკვე ოლბრიჰტი მოქმედებდა. იგი შევარდა ფრომთან, რომელიც თათბირს ატარებდა, ცალკე გამოიხმო და უთხრა, ჰიტლერი მოკლესო, იცრუა კიდეც, ეს მე ფელგიბელმა მაცნობაო. საჭირო იყო ფრომს დაუყოვნებლივ გაეცა ბრძანება „ვალკირიის“ დაწყების შესახებ, ის კი შეყოყმანდა. ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდა, ჯერ იმის შემოწმება მოინდომა, ჰიტლერი მართლა მკვდარია თუ არაო, და დარეკა „მგლის ბუნაგში“. ტელეფონთან კაიტელი მივიდა.

— რა ხდება შტაბში? ბერლინში საოცარი ხმები დადის! — იკითხა ფრომმა.

— რა უნდა ხდებოდეს. ყველაფერი რიგზეა, — მიუგო კაიტელმა.

— ეს-ეს არის მომახსენეს, რომ თავდასხმის შედეგად მოკლულია ფიურერი!...

— სისულელეა, იყო თავდასხმის ცდა, მაგრამ საბედნიეროდ ჩაიშალა. ფიურერი ცოცხალია, იგი ახლა მუსოლინის ელაპარაკება, ჩემთან კი გრაციანი ზის.

მერე ფრომმა ისიც გაიგონა, კაიტელმა რომ იკითხა:

— სხვათა შორის, სად არის პოლკოვნიკი შტაუფენბერგი?..

— აქ არ არის, — მიუგო მან...

უკანასკნელი შეხვედრა...

ჰიტლერი რომ „წესრიგში მოიყვანეს“, უკვე მუსოლინის ჩამოსვლის დრომაც მოაწია. თავისი ამალით რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალ ფიურერს ცალი ხელი მკერდზე ჰქონდა

ჩამოკიდებული, სახე — დაფხაჭნილი, ყური — შეხვეული. ხელ-ფეხი ისევ უცახცახებდა.

როცა მატარებელი ჩამოდგა და მუსოლინი ჩამოვიდა, წინ ასეთი საცოდავი სანახაობა დახვდა... მიღების ცერემონია კი მაინც ჩვეულებრივად ჩატარდა. „მგლის ბუნაგში“ რომ მივიდნენ, ჰიტლერმა სტუმარი თავდასხმის ადგილთან მიიყვანა. იქაურობა სულ მილეწილ-მოლეწილი ჩანდა. ნანგრევებს ჯერ კიდევ კვამლი ასდიოდა, მაგიდა გადაბრუნებული იყო, ავეჯი — დამსხვრეული. იქვე ჰიტლერის დაფლეთილი შარვალი ეკიდა.

ყოველივე ამის შემყურე მუსოლინის შეძრწუნებული სახე ჰქონდა. ჰიტლერს კი თავი ამაყად ეჭირა.

— აი, აქ მოხდა ეს! — წარმოთქვა მან პათეტიკურად და გადაბრუნებულ მაგიდაზე მიუთითა.

— მე ამ ადგილას ვიყავი მარჯვენა ხელით დაყრდნობილი და რუკას ვათვალიერებდი, რომ უცებ მაგიდა გამომეცალა და ხელები ზევით ავარდა.

ჰიტლერმა სული მოითქვა და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო:

— აქ, პირდაპირ ჩემ ფეხქვეშ, გასკდა ნაღმი.

მუსოლინიმ ყბები წინ გამოსწია, თავი გააქნია და არტისტული ტონით წარმოთქვა:

— რა საოცრებაა!..

ჰიტლერმა მას ჯერ თავისი შეტრუსული თმები და სკამზე ვადაკიდებული დაფლეთილი შარვალი უჩვენა. მერე ისევ მუხლების ცახცახი აუვარდა, იქვე დაგდებული ყუთი გადმოაბრუნა და დაჯდა. მთარგმნელმა შმიდტმა, რომელსაც ეს ამბავი აქვს აღწერილი, დამსხვრეულ სკამებში ერთი ასე თუ ისე მთელი სკამი აღმოაჩინა და მუსოლინის მიუტანა. მუსოლინი დაჯდა, მაგრამ სკამი ისე შეირყა, რომ დუჩემ თავი ძლივს შეიმაგრა. ეს რაღაც სიმბოლური სურათი იყო ორი ნირწამხდარი დიქტატორისა, რომლებიც უკანასკნელად ხვდებოდნენ ერთმანეთს...

— როცა ერთხელ კიდევ წარმოვიდგენ ყველაფერს, — დაიწყო ჰიტლერმა, — მიკვირს ამ საოცარი გადარჩენის ამბავი. ყველამ მძიმე ჭრილობა მიიღო. ერთი საჰაერო ტალღამ

ფანჯრიდან გარეთ გაისროლა. მე კი არაფერი!.. ეს უფრო იმიტომ მიკვირს, რომ პირველი შემთხვევა არ არის, რაღაც საოცრებით რომ გადავურჩი სიკვდილს... დღევანდელი გადარჩენის შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ განგებამ სწორედ მე დამაკისრა ბედნიერ დასასრულამდე მივიყვანო ჩვენი საერთო საქმე...

თვითონაც ცრუმორწმუნე მუსოლინიმ აქ ყბები ისევ წინ გამოსწია, თავი კეისარივით გააქნია და ერთადერთი სიტყვის ჩასმა მოახერხა ჰიტლერის ტრაგიკომიკურ მონოლოგში:

— სასწაულია!..

მერე ისევ ჰიტლერმა განაგრძო ლაპარაკი. მუსოლინი მიჩვეული იყო ფიურერის ასეთ დაუსრულებელ მონოლოგებს და, რაკი მის გაჩერებას არც ახლა დაადგა საშველი, გვერდზე მიბრუნდა და მთარგმნელ შმიდტს გამოელაპარაკა:

— ჩვენი მდგომარეობა საშინელია, შეიძლება ითქვას, სასოწარმკვეთიც, მაგრამ, რაც აქ მოხდა დღეს, მაინც მმატებს სიმხნევეს. ამ სასწაულის შემდეგ დაუჯერებელია ბედმა გაგვწიროს...

ბოლოს, როგორც იქნა, ჰიტლერი გაჩუმდა და მუსოლინიმ ნაგვიანევად, მაგრამ მაინც მიულოცა „განგებისაგან" გადარჩენა...

... ოფიციალური მოლაპარაკება ჩაით დაიწყო ჰიტლერის თავშესაფარში. ეს ნამდვილი სოდომი და გომორა იყო... კაპერნაუმი! აქ შეიკრიბა ფიურერისა და დუჩეს მთელი ამალა. ყველა თავის გულის ვნებას იქარკებდა. უმრავლესობა საშინლად აღგზნებული იყო, გაბოროტებული. ზოგი ფიურერის „სასწაულებრივ გადარჩენაზე" ლაპარაკობდა, სხვები ერთმანეთს უღრენდნენ. რიბენტროპი და დენიცი გენერლებს დაესხნენ თავს, გერმანია ინგლისელებზე გაჰყიდეთო. გენერლებმა, პირიქით, დიპლომატებს შეუტიეს. გერინგმა რიბენტროპს რაიხსმარშლის კვერთხი მოუქნია და უყვირა:

— ხმა ჩაიკმინდე, შე ჭუჭყიანო ღვინის ვაჭარო!..

შეურაცხყოფილი რიბენტროპი აკივლდა:

— როგორ მკადრებთ მაგას!.. მე ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრი ვარ! ჩემი სახელია ფონ რიბენტროპი!..

შეშინებულ მსახურთ ჩაი შემოჰქონდათ, ჩუმად დგამდნენ და ისევ გარბოდნენ.

ჰიტლერი და მუსოლინი ჯერ გაჩუმებული იყვნენ, თითქოს ეს მათ არც ეხებოდა. მერე ვიღაცამ 1934 წლის 30 ივლისი და რემი ახსენა...

ჯოჯოხეთში თითქოს ბელზებელმა ზარი ჩამორეკაო, ჰიტლერი უცებ აბორგდა, მთელი ტანით ცახცახებდა, ტუჩებზე დორბლი ჰქონდა მორეული, თვალები კი — რაღაც საშინელი, ამღვრეული, ჩასისხლიანებული, ბუდიდან გადმოცვენილი, ხმა — შემზარავი, ცივი, გამყინავი:

— რაც რემსა და მის დამქაშებს ვუყავი, ეს მონაგონი იქნება იმასთან შედარებით, რასაც დღევანდელ მოღალატეებს ვუზამ! — ყვიროდა იგი, — ყველას მოვსპობ, გავანადგურებ, მათ ქვრივებსა და ობლებს კი საკონცენტრაციო ბანაკებში ჩავყრი, არავის მოვერიდები. მე ვქმნი მსოფლიო ისტორიას. განგებამ დღესაც ცხადყო, რომ მე ვარ მისი რჩეული!..

მერე სულ წაიხსნა აღვირი და დაჭრილი მხეცივით აღრიალდა:

— სისხლი სისხლის წილ!.. არავითარი დანდობა იმათ, ვინც ხელი აღმართა განგების რჩეულის წინააღმდეგ!..

ყველა გასუსული იყო. მსახურები ნელ-ნელა გაიძურწნენ ოთახიდან... ბნედამორეული ჰიტლერი კი მთელი ნახევარი საათი ღრიალებდა, ყვიროდა, მუშტებს იქნევდა:

— გავჟლეტ, მოვსპობ, გავანადგურებ!..

ბევრმა იფიქრა გაგიჟდაო და შიშით შესცქეროდნენ მას. ის კი ისევ ბობოქრობდა.

ამ დროს ბერლინიდან დარეკეს. ტელეფონს თვითონ ჰიტლერი მივარდა:

— დახვრიტეთ! სულერთია, ვინც უნდა იყოს, დახვრიტეთ ყველა! — ჩასძახა ყურმილში.

მერე სულ ცას მიაჭირა თავი, რაღაც გასაოცარი პოზა მიიღო და განაცხადა:

— მე მეეჭვება, რომ გერმანელი ხალხი ჩემი იდეალების ღირსი იყოს!

თან სულ იმას გაიძახოდა გაუთავებლივ, მე ესა ვარ, მე ისა ვარო... შემდეგ, იქ მყოფნიც რომ აჩოჩქოლდნენ, ჰიტლერი

გაჩერდა და ჩლუნგი თვალებით მიაშტერდა შეკრებილთ... მხოლოდ ხანდახან წამოიძახებდა თითო სიტყვას:

— განგება!.. სისხლი!.. საკონცენტრაციო ბანაკებში!...

ამ დროს, ყველასათვის მოულოდნელად, გროსადმირალმა დენიცმა მეზღვაურთა სიმღერა წამოიწყო. მაგრამ არავინ აჰყვა. გაოგნებულმა მუსოლინიმ ამგვარ უგონო ლაყბობას „გონივრული დუმილი“ არჩია და მთელი ამ ხნის განმავლობაში, საერთოდ, კრინტი არ დაუძრავს. გრაციანის კუთხეში მიეკენებინა კაიტელი და რაღაცას უმტკიცებდა. გერინგი ისევ რიბენტროპს უბღვერდა... ბერლინიდან თუ ვინმე დარეკავდა. ყურმილს კვლავ ჰიტლერი იღებდა და ისე ყვიროდა, თითქოს ტელეფონის ხაზის გარეშეც უნდა ხმა მიაწვდინოსო:

— დახვრიტეთ, დახვრიტეთ, დახვრიტეთ!..

ექიმი მორელი სულ მასთან ტრიალებდა: ხან რაღაც აბებს აყლაპებდა, ხან შარვალს ჩახდიდა და დასამშვიდებელ ნემსებს უკეთებდა ყველას თვალწინ... მაგრამ არ იქნა და ვერ დააწყნარა თავისი ფიურერი, რომელიც ისევ და ისევ კისრის ძარღვებს იწყვეტდა ყვირილით:

— არავის დავინდობ! არც დიდს, არც პატარას!... ყველას მოვსპობ, გავანადგურებ!..

სხვებიც ტელეფონებთან ისხდნენ და თავიანთ ფიურერს უბამდნენ შხარს...

— დახვრიტეთ ყველა მონაწილე! — რეკავდა კაიტელი პარიზში.

— არც ერთი არ დატოვოთ ცოცხალი! — უბრძანებდა ბორმანი ვიღაცას ვენაში.

— ქვა ქვაზე დაადუღეთ ბენდლერბლოკში! — ბობოქრობდა გერინგი...

— ასეთი იყო გერმანიის ათასწლოვანი იმპერიის ელიტა! — წერს ამის დამსწრე მთარგმნელი შმიდტი თავის მოგონებებში ..

გატეხილი ფიცი...

შტაუფენბერგი მხოლოდ დღის ხუთ საათზე გაჩნდა ბენდლერშტრასეზე, შეთქმულთა შტაბში. იგი შევარდა სარეზერვო არმიის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ფრომის კაბინეტში და იყვირა:

— ფიურერი მკვდარია! მე თვითონ გავიგონე აფეთქების ხმა... ვნახე კიდეც, ყველაფერი ნამსხვრევებად რომ იქცა, შორი მანძილიდანაც ჩანდა კვამლის უზარმაზარი სვეტი.

აფეთქების ამბავი სრული სიმართლე იყო, შტაუფენბერგი არა ტყუოდა, მაგრამ ფრომზე ამან აღარ იმოქმედა. მართალია, ადრე იგი თანაუგრძნობდა შეთქმულთ, მაგრამ გაიგო თუ არა ჰიტლერი გადარჩაო, შეშინდა და თავის დაზღვევა სცადა.

— ახლა ველაპარაკე კაიტელს, — თქვა მან, — ფიურერი ცოცხალიაო. არავითარი „ვალკირია"!

— კაიტელი ტყუის როგორც ყოველთვის! — იყვირა ისევ შტაუფენბერგმა: — მე თვითონ ვნახე როგორ გამოიტანეს ნანგრევებიდან მკვდარი ჰიტლერი!..

ეს კი იცრუა შტაუფენბერგმა, მაგრამ ფრომი მაინც ვერ დაარწმუნა. მათ ჩხუბში ახლა ოლბრიჰტი ჩაერია:

— შინაგან სარეზერვო ნაწილებს ჩვენ უკვე მივეცით ნიშანი „ვალკირია".

ფრომი წამოვარდა, მაგიდას მუშტი დაჰკრა და იღრიალა:

— ვინ გაბედა ეს?!.. რას ნიშნავს „ჩვენ"? ვინ გასცა ბრძანება?.. ეს თვითნებობაა!..

— ბრძანება გასცა ჩემმა შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა მერც ფონ კვირინჰაიმმა, — მიუგო ოლბრიჰტმა.

— ახლავე აქ მომგვარეთ პოლკოვნიკი! — იყვირა ფრომმა.

კაბინეტში კვირინჰაიმი შემოვიდა.

— მე ვიცოდი შიფრი და მივეცი ნიშანი „ვალკირიის" შესახებ! — თქვა მან.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! დანარჩენს მერე გაიგებთ, — უთხრა ფრომმა პოლკოვნიკს და მკაცრად დასძინა:

— ახლავე მიდით აპარატთან და თვითონვე გააუქმეთ ეს თქვენი ბრძანება!

— მე ხომ დაპატიმრებული ვარ, ბატონო გენერალ-პოლკოვნიკო, და რა ნება მაქვს ჩემი სურვილით წავიდე აქედან! — მიუგო პოლკოვნიკმა და დემონსტრაციულად ჩაჯდა სავარძელში. შტაუფენბერგი კი ისევ არწმუნებდა ფრომს:

— ნაღმი მე თვითონ ავაფეთქე, ბატონო გენერალ-პოლკოვნიკო, შეუძლებელია იქ ვინმე ცოცხალი დარჩენილიყო!

— შტაუფენბერგ, თავდასხმა ჩაიშალა! თქვენ ისღა დაგრ-

ჩენიათ, რომ ახლავე თავი მოიკლათ! — ბრძანების კილოთი უთხრა მას ფრომმა, მაგრამ შტაუფენბერგმა უარყო ეს:

— არა, მე ამას არ ვიზამ!..

— ბატონო გენერალ-პოლკოვნიკო, — ისევ ჩაერია ოლბრიჰტი, — დადგა მომენტი და, თუ ახლა არ ვიმოქმედეთ, სამშობლო დაიღუპება!

— მაშ თქვენც შეთქმულების მონაწილე ხართ? — ჰკითხა მას ფრომმა.

— დიახ, მე იმათ შორისა ვარ, ვინც ახლა ხელში იღებს ძალაუფლებას!..

— მე გაპატიმრებთ სამივეს!.. — აყვირდა ისე ფრომი.

— თქვენ უკვე აღარ შეგიძლიათ ჩვენი დაპატიმრება, — მიუგო მშვიდად ოლბრიჰტმა, — გეტყობათ წარმოდგენაც არა გაქვთ ძალთა შეფარდებაზე, ამიტომ, პირიქით, ჩვენ გაპატიმრებთ თქვენ!..

ატყდა ჩხუბი, ერთმანეთზე წაწევ-წამოწევა. რომელიღაც ახალგაზრდა ოფიცერმა რევოლვერის ლულა მიუშვირა ფრომს და უბრძანა დანებებულიყო. მერე თავგზააბნეული გენერალ-პოლკოვნიკი ადიუტანტთა ოთახში შეაგდეს, ტელეფონის ხაზი გადაუჭრეს და მცველად მიუჩინეს მაიორი ლეონჰარდი, რომელმაც გააფრთხილა ფრომი, გაქცევის ცდისას გესვრიო...

... დაპატიმრებული ფრომის ადგილას ჰოპნერი დაინიშნა.

აქ ერთი გაუგებრობაც მოხდა. „მომავალი პრეზიდენტი" ბეკი სამოქალაქო ტანისამოსით იყო მოსული, ძალაუფლებას კი არმია იღებდა. ამიტომ, ცხადია, „სახელმწიფოს მეთაურსაც" სამხედრო ფორმა უნდა ჰქონოდა. ეს გაითვალისწინა შტაუფენბერგმა და ახალგაზრდა ოფიცერს ფრიცშეს უბრძანა, გენერალ-პოლკოვნიკის მუნდირი ბეკს ძიუტახე და უთხარი ეს ჩაიცვასო. ფრიცშე სახეზე არ იცნობდა ბეკს, შეეშალა და მის მაგივრად მუნდირი გენერალ-მაიორ ჰოპნერს გადასცა. ჰოპნერმა იფიქრა, გადატრიალებასთან დაკავშირებით, ალბათ, ჩინი მომიმატესო, საპირფარეშოში შეავარდა და ახალი მუნდირი გადაიცვა. „პრეზიდენტი" ბეკი კი ისევ სამოქალაქოში დარჩა გამოწყობილი.

ფრომმა რომ თავისი უახლოესი მეგობარი გენერალი ჰოპ-

ნერი შეთქმულთა შორის დაინახა და ისიც გენერალ-პოლკოვ-ნიკის მუნდირში, გაოცებისაგან თვალები გადმოქაჩა. ჰოპ-ნერმა თავაზიანად მიმართა მას:

— ძალიან ვწუხვარ, ასეთ ვითარებაში რომ ვხვდებით, მაგ-რამ თქვენს თანამდებობას მე ვიკავებ...

— დიახ, ჰოპნერ! მე ამას ვხედავ და ვწუხვარ, მაგრამ რა ვქნა? ჩემი აზრით, ფიურერი ცოცხალია. მე ფიცი მაქვს მის-თვის მიცემული, ამიტომაც ვერ ვიძლევი ბრძანებას „ვალკი-რიის“ შესახებ.

აქ ერთხელ კიდევ გამოჩნდა ცალკე პიროვნებისადმი ფიცის მიცემის უკუღმართი ძალა. ადრინდელი წესწესამებრ ღვთისა და სამშობლოს წინაშე დადებული ფიცი არ ავალებდა ვინმეს რომელიმე პირისადმი ბოლომდე ერთგულებას. საკუთრივ ჰიტლერისათვის მიცემული ფიცის გატეხა კი უმძიმდათ. ამი-ტომ იყო, რომ ბეკმა ფიცის ტექსტის ახლებურად შეცვლის დღეს თავისი ცხოვრების ყველაზე შავბნელი დღე უწოდა.

ჰიტლერი რომ მოეკლათ, მისთვის მიცემული ფიცისაგან ფრომიც ხელფეხგახსნილი იქნებოდა. მაგრამ რაკი ფიურერი ცოცხალი გადარჩა, ფრომმაც აღარ იკისრა ფიცის გატეხა. რე-მერიც ასე ამართლებდა თავის მოქმედებას: „ფიცი ფიცია. ვინც მას არღვევს, იგი ანგრევს სახელმწიფოს საფუძვლებს“. მერე, როცა უკვე გენერალ-მაიორი რემერი დასავლეთ გერ-მანიაში მემუარებს წერდა, გაოცებასაც გამოთქვამდა:

— ეს როგორ?! ვინც ფიცი გატეხა, იმათ პატივისცემით იხსენიებენ, ჩვენ კი, ერთგულებს, სისხლისმსმელებს გვეძა-ხიან?!

იგი ბოლომდე იცავდა ესესელთა დევიზს:

— ღირსების უპირველესი ნიშანი არის ერთგულება...

სულერთია, ვისდამი, თუნდაც სატანა იყოს, ფიცი მაინც ფიცია!...

ამან შეუკრა ხელ-ფეხი ფრომსაც. ახლა კი ისღა დარჩენო-და, რომ „პატიოსანი სიტყვა“ მიეცა ჰოპნერისათვის, თქვენ წინააღმდეგ არ ვიმოქმედებ, ოღონდ შინ გამიშვითო. რომ არ გაუშვეს, ჩემს მოსასვენებელ ოთახში ჩავალო, ითხოვა. ჰოპნერმა ამაზე ხათრი ვეღარ გაუტეხა მეგობარს.

ფრომი მართლაც ჩავიდა ქვემოთა სართულზე თავის პატა-

რა ოთახში და. მშიაო, განაცხადა. საჭმელი იქვე მიუტანეს. ეშმაკობა რომ არ გაუვიდა, ოთახში ჩაიკეტა და „უკეთესი შემთხვევის მოლოდინში“ ბედს მინებდა...

ბარიკადები ქუჩებში...

ამასობაში „ვალკირია“ უკვე მოქმედებდა. და არა მარტო ბერლინში, არამედ პარიზში, ვენაში და სხვაგანაც. მთავარი კი მაინც ბერლინი იყო. აქ ჰიტლერის „პირადი დაცვის“ ბატალიონს, რომელიც რამდენიმე კვირის წინ ლეგიონად გადაკეთდა, მაიორ რემერის მეთაურობით ალყა უნდა შემოერტყა მთავრობის კვარტალისათვის. შეთქმულთა დაუდევრობა იმაშიც გამოიხატა, რომ ეს რემერი სულ არ ჰყავდათ განდობილი. როცა მან სიგნალი „ვალკირია“ მიიღო, განგაში ატეხა და ფეხზე დააყენა მთელი ლეგიონი, მერე კი ბერლინის სამხედრო კომენდანტთან, გენერალ-ლეიტენანტ ჰაზესთან გამოცხადდა. ჰაზე შეთქმულების მონაწილე იყო და მაშინვე მიიღო იგი, თუმცა უფრო მაღალი წოდებისა და თანამდებობის პირები უცდიდნენ. რემერი რომ მასთან შევიდა, სულ დაიბნა. ჰაზემ თვითონაც არ იცოდა კარგად, რა მოხდა „მგლის ბუნაგში“, მაგრამ მაინც უთხრა რემერს:

— ჰიტლერი სასიკვდილოდ დაშავდა. საერთო არეულობის დაწყების გამო არმია იძულებული გახდა ძალაუფლება თავის ხელში აეღო. თქვენ ბრძანება გეძლევათ ალყა შემოარტყათ მთავრობის კვარტალს. არც ერთი გენერალი, არც ერთი მინისტრი არ უნდა გავიდეს იქიდან!

რემერმა სულ რამდენიმე წუთის წინ გამოიარა ბერლინის ქუჩები, მაგრამ არავითარი არეულობა არ შეუნიშნავს. ამით დაეჭვებულმა პირდაპირ მიაყარა კითხვები ჰაზეს:

— ჰიტლერი მართლა მკვდარია? უბედური შემთხვევის, თუ თავდასხმის შედეგად? ვინ არის მისი შემცვლელი? ასეთი ხომ რაიხსმარშალი გერინგი უნდა ყოფილიყო, არის თუ არა მისგან რამე განკარგულება?

ჰაზეს მიკიბულ-მოკიბულმა პასუხმა რემერს მაინც ვერ მისცა გარკვეული წარმოდგენა მდგომარეობაზე, მაგრამ იგი

მაინც წავიდა ბრძანების შესასრულებლად. გზადაგზა კი ფიქრობდა:

— თუ ჰიტლერი მკვდარია და მართლაც არეულობა იწყება, ჩანს, ვიღაცებს სურთ ხელი მოითბონ ამაზე!

მერე 1918 წლის ამბები გაიხსენა და სიფრთხილე არჩია. ლეგიონი კი მაინც შეკრიბა და ბრძანების სახით განუცხადა:

— ჰიტლერზე თავდასხმა მოუხდენიათ. შედეგი გაურკვეველია. ხელისუფლებას სათავეში უდგება არმია. ჩვენი ამოცანაა: ალყა შემოვარტყათ მთავრობის კვარტალს, არავინ არ უნდა გავიდეს იქიდან. არც მინისტრი, არც გენერალი!..

ამ დროს ლეიტენანტი ჰაგენი მოვარდა და თქვა: ქალაქში ტირგარტენთან ფელდმარშალი ბრაუხიჩი ვნახე მანქანაში სამხედრო ფორმითო. კარგა ხანია, რაც იგი გადაყენებული იყო და გაუკვირდათ, რატომ მაინცდამაინც დღეს ჩაიცვა მუნდირი. რემერმა ჰაგენი ბერლინის დაცვის უმაღლეს კომისარ გებელსთან გაგზავნა. იგი ისე გავარდა მანქანით, რომ ქუდი და დაშნა იქვე დარჩა. პროპაგანდის სამინისტროში რომ მივიდა, გებელსის თანაშემწეს ეცა, ახლავე უნდა ვნახო მინისტრიო. თანაშემწემ უთხრა, მინისტრი შინ წავიდაო. გებელსს ჩვეულებად ჰქონდა დღეში ექვსჯერ გამოეცვალა კოსტიუმი. წავიდოდა შინ, გადაიცვამდა და ისევ ბრუნდებოდა სამსახურში.

დრო არ იცდიდა და ჰაგენი პირდაპირ მისი ბინისაკენ გაქანდა. გებელსი გერინგის ქ. № 10-ში ცხოვრობდა. დოქტორი ჰაგენი ადრე პროპაგანდის სამინისტროში მუშაობდა და გებელსი კარგად იცნობდა მას.

— რა ამბავია, დოქტორო ჰაგენ! — ჰკითხა გებელსმა მღელვარებისა და დაღლილობისაგან ფერწასულ ლეიტენანტს.

— ვალკირია! განგაში! — წამოიძახა მან და მერე სიტყვასიტყვით გაიმეორა რემერის ბრძანება.

— ეს სწორი არ არის, — მიუგო გებელსმა, — ფიურერი ცოცხალია! მე მას ახლა ველაპარაკე. იყო თავდასხმა, მაგრამ იგი რაღაც საოცრებით გადარჩა. სხვა რაც აქ ხდება, სისულელეა.

გებელსმა იცოდა, რომ, როცა ასეთ დროს მის წინაშე ჰიტლერის პირადი დაცვის შეიარაღებული ოფიცერი დგას, სიფრთხილეა საჭირო, და ჰკითხა;

— რა გსურთ გავაკეთო მე?

ამაზე ჰაგენმა, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, თქვა:

— მე ვთხოვ მაიორ რემერს გამოცხადდეს თქვენთან.

— ისედაც ტანმორჩილი გებელსი უფრო დაპატარავდა. ალბათ იფიქრა სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და პასუხის მაგივრად ჯერ ეს საუბარი გააფორმა ოქმად, მერე ყურმილი აიღო და ლაიბშტანდარტ „ადოლფ ჰიტლერის“ მეთაურს დაურეკა:

— მე როგორც ბერლინის დაცვის უმაღლესი კომისარი და გაულაიტერი გიბრძანებთ მოიყვანოთ რაზმი საბრძოლო მზადყოფნაში. იმოქმედეთ მხოლოდ ჩემი ბრძანებით.

მერე ჰაგენს მიუბრუნდა და უთხრა:

— ხომ გაიგონეთ? მაგრამ მე არ მინდა, რომ, როგორც 1934 წელს იყო, ისე დაერივნენ ერთმანეთს SS და SA, არა ის, ესესელები რომ შევაჯახო არმიას.

მერე უფრო მკაცრი გამომეტყველება მიიღო და ბრძანების კილოთი დაუმატა:

— კეთილი, მოიყვანეთ რემერი... ვადა ოცი წუთია! თუ ოც წუთში არ გამოცხადდა, მე ვუბრძანებ ლაიბშტანდარტ „ადოლფ ჰიტლერს“ ძალით მომგვარონ იგი.

... ჰაგენი ახლა ისევ თავის ლეგიონში გაქანდა. ლეგიონერებს უკვე ალყა ჰქონდათ შემორტყმული მთავრობის კვარტალისათვის და აქა-იქ ბარიკადებს აგებდნენ. რემერი გენერალ ჰაზესთან წასულიყო უნტერ დენ ლინდენზე, სადაც კომენდანტის მისაღებში ჰქონდა თავისი შტაბი მოწყობილი. ჰაგენიც იქით გაიქცა. მაგრამ გზაში საკუთარი ლეგიონის მცველებმა დააკავეს. ისე იყო ყველაფერი ერთმანეთში არეული, რომ არ იცოდნენ ვინ რას აკეთებდა. ბევრი ეხვეწა მათ, გამიშვით, სასწრაფო საქმე მაქვსო, მაგრამ ამაოდ. მცველებმა უთხრეს, შენ კი არა, გენერლებიც არ უნდა გავუშვათო. მოხერხებული ჰაგენი, როგორც იქნა, გაუსხლტა მცველებს და კომენდანტისაკენ გაეშურა...

რემერი ამ დროს გენერალ ჰაზესთან იყო.

— განსაკუთრებით გაამაგრეთ ანჰალტის სადგურის მიდამოები! — უბრძანა მას გენერალმა.

რემერმა ეს ბრძანებაც შეასრულა, მაგრამ მერე იმასაც აუტყდა ტვინის ფხანა: უკვირდა, რატომ მაინცდამაინც ანჰალტის სადგური გახდა ჰაზეს ასეთი ყურადღების საგანი, იქ ხომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოები მუშაობენო. ამან სულ დააბნია. იგი მესამედ შეევიდა გენერალთან და უფრო გამომწვევი ტონით ჰკითხა:

— ბატონო გენერალ-პოლკოვნიკო, რატომ ვიღებ ასეთ გაურკვეველ ბრძანებებს?

ჰაზემ აინუნშიც არ ჩააგდო რემერის კითხვა და, ვითომ ვერც შეამჩნია მისი იქ ყოფნა, ისე მიმართა იქვე მდგომ ოფიცერს:

— უბრძანეთ რემერს დააპატიმროს გებელსი!

რემერი სულ გაგიჟდა. გებელსი როგორც ბერლინის დაცვის უმაღლესი კომისარი მისი უფროსიც იყო. მან ამის გამო ჰაზეს პროტესტი განუცხადა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა.

ჰაზემ იმის ნაცვლად, რომ რემერი დაეპატიმრებინა, ყოველგვარი დავალების გარეშე გაუშვა. მერე კი გამოუდგა, უნდოდა კიბეებზე დასწეოდა, მაგრამ ამასობაში ჰაგენი მოვარდა და გულამოვარდნილმა მიაყარა თავის უფროსს:

— გებელსი გიბრძანებთ დაუყოვნებლივ გამოცხადდეთ მასთან. თუ ოც წუთში არ მიხვალთ, ძალით მოგიყვანენ. იგი იძულებულია ესესელთა ნაწილებში განგაში ატეხოს!

რემერმა უბრძანა ჰაგენს, რომ ყოველივე ეს ჰაზეს თანდასწრებით გაემეორებინა. თვითონ ორი ბატონის მსახური იყო და არ იცოდა ვისთვის დაეჯერებინა.

ამასობაში ჰაზეც მოვიდა და ჰაგენმა ერთხელ კიდევ გაიმეორა თავისი ნათქვამი.

ჰაზემ აუკრძალა რემერს გებელსთან წასვლა. ჰაგენი კი მაშინვე გაიქცა, რომ მინისტრისათვის მოეხსენებინა, თქვენი ბრძანება შეასრულეო.

იგი დაუკითხავად შევარდა კაბინეტში. გებელსი ამ დროს ტელეფონით ლაპარაკს ამთავრებდა:

— ჰაილ, ჩემო ფიურერ! — ჩასძახა მან ყურმილში და ჰაგენს მიუბრუნდა.

— თქვენი ბრძანება შესრულებულია! — უპასუხა მას ჰაგენმა და მერე მისაღებში დაელოდა რემერს.

გავიდა თხუთმეტი წუთი... თვრამეტი...

... რემერი სწრაფად გამოვიდა კომენდატურის შენობიდან. იგი გრძნობდა, რომ თავი სასწორზე ჰქონდა დადებული, და გუნებაში გადაწყვიტა:

— ტრიბუნალი ან რაინდის ჯვარი!

ყოყმანობდა წასულიყო თუ არა გებელსთან. დაიბნა, ვერა და ვერ გაერკვა, თუ ვინ იყო ფიურერის მტერი და ვინ — მოყვარე. იქნებ გებელსიც მოღალატეა, ვინ იცის... უნდა გაერკვეს... გადაწყვეტილების მიღება კი საჭიროა... ისიც სწრაფად!.. რაც შეიძლება სწრაფად!..

... გებელსის მისაღებში უამრავი ხალხი ირეოდა. აქ იყვნენ მინისტრები, გენერლები, მაღალი თანამდებობის მოხელენი.

ლეიტენანტი ჰაგენი კუთხეში იყო მიყუჟული... იგი ვერაფრით ვერ გაერკვა სიტუაციაში. ცალკე ერთგულების ფიცით იყო შეკრული ჰიტლერთან, ცალკე რაღაც გაურკვეველ ბრძანებებს იღებდა. ომის შემდეგ მან წიგნიც კი დაწერა სათაურით „Zwischen Eid und Befehl" („ფიცსა და ბრძანებას შორის"). სასამართლოში კანტის ციტატებიც ბლომად მოიყვანა „ერთგულების ფილოსოფიის" შესახებ, ფიცის გამტეხი პარციფალიც ახსენა, ნიბელუნგებიც, მაგრამ მაინც ჩასვეს ციხეში...

მაშინ კი იჯდა და იცდიდა რით დამთავრდებოდა ეს ორომტრიალი.

რემერი გიჟივით შემოვარდა, რევოლვერი გაიძრო და, არავისთვის უკითხავს, ისე შეიჭრა გებელსის კაბინეტში.

— ბატონო მინისტრო, გამარკვიეთ რა ხდება? — მიახალა მან უზარმაზარ კაბინეტში აფორიაქებულ კაცუნას.

— ჯერ ისა თქვით, თქვენ თვითონ რა იცით?

რემერმა უამბო მას ყველაფერი, გარდა ჰაზეს ბრძანებისა დაეპატიმრებინა იგი.

— თუ ფიურერი მკვდარია... — თქვა მან ბოლოს.

— რას ამბობთ, ფიურერი ცოცხალია! — შეაწყვეტინა გებელსმა რემერს, — ეს-ეს არის ტელეფონით ველაპარაკე მას. თავდასხმა ჩაიშალა!

რემერი სახტად დარჩა. მისთვის თავდასხმის ამბავიც მოულოდნელი იყო და შედეგიც. ამიტომაც უთხრა გებელსს:

— მომეცით პატიოსანი სიტყვა, რომ მართალს ამბობთ და ერთგული ხართ ფიურერისა...

გებელსმა „პატიოსანი სიტყვა" არ დაიშურა, მაგრამ რემერმა მაინც უთხრა, თუ უბრძანა:

— შემაერთეთ ფიურერის შტაბთან!

გებელსმა დარეკა. ხაზთან თვითონ ჰიტლერი მივიდა. ინფორმაციის შემდეგ გებელსმა ყურმილი რემერს გადასცა.

— გესმით ჩემი? — გაიგონა მან ჰიტლერის ხმა. რემერი სარგადაყლაპულივით გაიჭიმა.

— როგორც ხედავთ, მე ცოცხალი ვარ! თავდასხმა ჩაიშალა!.. სულმოკლე ოფიცრების მცირერიცხოვან ხროვას უნდოდა ჩემი თავიდან მოშორება, მაგრამ ახლა ჩვენ ხელთ არიან და მალე გავუსწორდებით იმ ჭირიანებს. ხომ გესმით ჩემი? — ჩაეკითხა ჰიტლერი, — დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ ეს მე ვარ?

რემერი არა მარტო დარწმუნებული, აღფრთოვანებულიც იყო.

— დიახ, ჩემო ფიურერ! — იყვირა მან. გებელსი თვალს არ აშორებდა აფორიაქებულ მაიორს. ჰიტლერი კი განაგრძობდა:

— აღადგინეთ ქალაქში სიმშვიდე. თუ საჭირო გახდა, იარაღითაც. ამას გავალებთ პირადად თქვენ, ვიდრე ქალაქში რაიხსფიურერი ჰიმლერი ჩამოვიდოდეს!..

... ყოველგვარი ეჭვი გაიფანტა და... ჰიტლერის ერთგული რემერი გაეშურა მიღებული ბრძანების შესასრულებლად...

ჰიმლერი ჯერ კიდევ ჰაერში იყო. ომის შემდეგ მისი მფრინავი კაპიტანი რუპერტი ყვებოდა:

— რაიხსფიურერი ისე იყო გაცეცხლებული, სულ ცოფსა ყრიდა, მაგრამ იმიტომ კი არა, ჰიტლერზე თავდასხმა რომ მოეწყო, პირიქით, უშედეგოდ რომ დამთავრდა: ჰიტლერის შემდეგ თვითონ მას უნდოდა გერმანელი ხალხის ფიურერი გამხდარიყო.

ყველას პატივმოყვარეობის ჭია აწუხებდა: შტაუფენბერგს

გენერლობა უნდოდა, რემერს — რაინდის ჯვარი, ჰიმლერს კი— ჰიტლერის ადგილი. თქმა არ უნდა, რაღაც „პრინციპებიც“ ჰქონდათ, მაგრამ ესეც თვითგადარჩენის ინსტინქტით იყო ნაკარნახევი. და ისიც მაშინ, როცა ნაციონალ-სოციალიზმის ურემმა გადაბრუნება დაიწყო. ჰიმლერი გრძნობდა ამას. კატასტროფის მოახლოება რომ იგრძნო, მან მიუნხენში მოძებნა ასტროლოგი ვულფი, რომელმაც ერთ დროს „იწინასწარმეტყველა“, 1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერი დიდ განსაცდელში ჩავარდებაო. მართლაც იმ დღეს მოხდა აფეთქება „მგლის ბუნაგში“, მაგრამ ჰიტლერი გადარჩა. ვულფისვე „წინასწარმეტყველებით“ ჰიტლერი იმავე წლის ნოემბერში ავად გახდებოდა (ჰიტლერმა მართლაც ნოემბერში გადაიტანა მძიმე ოპერაცია) და მოკვდებოდა 1945 წლის 7 მაისამდე...

ჰიმლერს ისე სჯეროდა ყოველივე ამისი, რომ ჰოროსკოპების „დაუკითხავად“ ერთ ნაბიჯს არ დგამდა. მართალია, ამჯერად ცოტათი გაჯავრებულიც იყო „წინასწარმეტყველების“ უზუსტობის გამო, მაგრამ ჰიტლერის პირველი დაძახებისთანავე გაეშურა „მგლის ბუნაგში“.

— ჩადით ბერლინში და მოსპეთ კრაზანების ბუდე ბენდლერშტრასეზე! — უბრძანა მას ჰიტლერმა.

„პრინციპები“ მაშინვე გაქრა. ჰიმლერმა მარჯვენა ხელი წინ გაიშვირა, ჩემი იმედი გქონდეთო, დაიძახა, მერე სათვალე გაისწორა და ბერლინისაკენ გაეშურა...

შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ა...

შეთქმულთა მიერ გამოძახებული სარეზერვო არმიის ნაწილები უკვე ქალაქში შემოდიოდნენ. რემერი თავისი ლეგიონით წინ გადაუდგა მათ და მორჩილება მოითხოვა. მართალია, იქ მაიორ რემერზე მაღალი სამხედრო წოდების ოფიცრები იყვნენ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა. რემერი ჰიტლერის სახელით იძლეოდა განკარგულებებს. რაციები გადასცემდნენ:

— ისმინეთ მაიორ რემერის ბრძანება... ვინც წინააღმდეგობას გასწევს, დაიხვრიტება!.,

ზოგმა დაუჯერა, ზოგმა არა. იქ, სადაც წინააღმდეგობა გასწიეს, რემერმა ტანკები გაგზავნა. მერე კომენდატურასაც შემოარტყა ალყა და გენერალ-ლეიტენანტ ჰაზეს უბრძანა ტელეფონით დალაპარაკებოდა გებელსს. რემერმა არ იცოდა, ჰაზე რომ შეთქმულებთან იყო დაკავშირებული, ეგონა, სიტუაციაში ვერ გაერკვა და დაიბნაო.

ჰაზემ იუკადრისა მაიორის ასეთი მბრძანებლური ტონი და დაავალა დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო მასთან.

ამაზე რემერმა მშვიდად უპასუხა:

— ბატონო გენერალ-ლეიტენანტო, მე ვასრულებ ფიურერის განკარგულებას. ქალაქში წესრიგის დამყარება დავალებული მაქვს პირადად მე. თქვენ კი ამჟამად ჩემი ქვეშევრდომი ხართ და გიბრძანებთ ჩემთან გამოცხადდეთ.

ჰაზე დარჩა. იგი ეახლა რემერს, რომელმაც უთხრა:

— ფიურერი ცოცხალია და, ვისაც ფიცი აქვს მიცემული, ერთგული უნდა იყოს მისი!..

ჰაზეს ცივმა ოფლმა დაასხა და შიშისაგან, როგორც მის გვარს შეეფერებოდა („ჰაზე" გერმანულად კურდღელს ნიშნავს"), სულ ცვილივით დადნა. მერე, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, შეასრულა რემერის ბრძანება და აკანკალებული გაემართა გებელსისაკენ. არ იცოდა რა მოელოდა. არც ის, გებელსმა შეიტყო თუ არა, მისი დაპატიმრების ბრძანება რომ ჰქონდა გაცემული. როცა კაბინეტში შევიდა, მუხლი სულ მოეკვეთა: გებელსის გვერდით კალტენბრუნერი იდგა!

რა ილაპარაკეს იქ, არავინ იცის. გებელსი და ჰაზე ომის შემდეგ ცოცხლები აღარ იყვნენ. კალტენბრუნერისათვის კი ასეთი კითხვა ნიურნბერგში არ მიუცია. პროცესზე შეთქმულების საკითხები არც იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. ამას უფრო შახტისა და პაპენის დამცველები ეხებოდნენ, ვითომ, ხომ ხედავთ, ხელს უწყობდნენ შეთქმულებასო...

მათი საუბრის მხოლოდ უკანასკნელი ნაწილია ცნობილი...

... კარი გაიღო და გებელსმა გამოაცილა გენერალი, გამოსასვლელთან ხელიც ჩამოართვა.

— შემიძლია წავიდე? — რბილად ჰკითხა იმედმოცემულმა ჰაზემ.

— არა, იქნებ კიდევ დაგვჭირდეთ. აქვე მოგცემთ ოთახს, შეგიძლიათ მოისვენოთ!

„კურდღელი“ მიხვდა, რომ იგი „ყურით ჰყავდათ დაჭერილი“, მაგრამ რა უნდა ექნა: ვერ გაიქცეოდა, ვერც თავისიანებს დაემშვიდობებოდა.

— ნება მომეცით შინ დავრეკო, რომ დამაგვიანდება, — თქვა მან სრულიად გატეხილი ხმით.

— სიამოვნებით, გთხოვთ! — მიუგო გებელსმა თავაზიანად.

ჰაზემ მადლობა გადაუხადა და ამ მძიმე მომენტში ყველას გასაოცრად ასეთი რამ სთხოვა გებელსს:

— შუადღის შემდეგ არაფერი მიჭამია, შეიძლება აქ ვჭამო რამე?

ადამიანის კულტურა კუჭიდან მოდისო, უთქვამს ფრიდრიხ დიდს. ჰაზე საკუთარ მაგალითით ადასტურებდა „ბებერი ფრიცის“ ამ შეგონებას. მისი კუჭი უკეთ მოქმედებდა, ვიდრე გონება...

გებელსს სახეზე სატირის ღიმილმა გადაურბინა და ადიუტანტს უბრძანა:

— მიართვით გენერალს ბუტერბროდები და ერთი ბოთლი კარგი ღვინო!

მერე ჰაზეს მიუბრუნდა და ირონიულად ჰკითხა:

— „მოზელს“ ინებებთ, თუ „რაინვაინს“, ბატონო გენერალო?

გებელსმა ეს ისეთი ინტონაციით წარმოთქვა, ჰაზე ალბათ მიხვდა, სინამდვილეში, „ცეცხლსა და ნავთს ხომ არ ინებებთო“, რომ ეუბნებოდნენ. ამიტომაც ჩაუვარდა ენა მუცელში.

როცა იგი გაიყვანეს, კოჭლი გებელსი მარცხენა ფეხზე შეტრიალდა და იქ მყოფთ მიმართა:

— ასეთები არიან ჩვენი მტრები! საქმე რომ წახდება, დედიკოს უძახიან, უნდათ ჩახეთქონ რამე! მე კი უმალ ცერა თითს მოვიკვნეტდი, ვიდრე საჭმელს ვთხოვდი კაცს, რომლის მოკვლა მინდოდა რამდენიმე წუთის წინ!

მან ჯერ კიდევ არ იცოდა ვის რა დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, თორემ ბუტერბროდებს მისცემდა კი არა, სულ ქვას აკვნეტინებდა ფიცის გამტეხ გენერალს. მაშინ კი ეს მცირე

„გულკეთილობა“ გამოიჩინა და ზიზღით გააყოლა თვალი დერეფანში ფეხათრევით მიმავალ ჰაზეს.

მერე რემერს მიუბრუნდა და რატომღაც ჰკითხა:

— რამდენი წლისა ხართ, მაიორო?

— ოცდათორმეტის, — მიუგო რემერმა.

— ოცდათორმეტი წლისა მე უკვე ბერლინის გაულაიტერი და მინისტრი ვიყავი,— თქვა მან და კაბინეტის კარი მიიხურა...

...ბენდლერშტრასეზე შტაუფენბერგი კიდევ ერთხანს მძვინვარებდა, რეკავდა სამხედრო ოლქებში, მოითხოვდა ოპერაცია „ვალკირიის“ ჩატარებას, მაგრამ, როგორც ჩანს, გაწირეს თანაშეთქმულებმა, მარტო დატოვეს. მართალია, სარეზერვო არმიის 50 ტელეტაიპი და 900 სატელეფონო ხაზი მთელს იმპერიაში გადასცემდა ბრძანებებს „ვალკირიის“ დაწყების შესახებ, მაგრამ ამაოდ. ვენასა და პარიზში კიდეც დააკავეს ესესელები, მაგრამ ამასობაში ფელდმარშალმა კაიტელმა თვითონ გასცა განკარგულება „ვალკირიის“ გაუქმების შესახებ. დაკავებული ესესელები დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს და ახლა ისინი შეუდგნენ იმათ დაპატიმრებას, ვინც ისინი დააკავა. მონასტერი სულ აირია.

მერე ჰიტლერის წარმომადგენელი მივიდა ბენდლერშტრასეზე გადაცმული ესესელების თანხლებით და პოლკოვნიკი შტაუფენბერგი იკითხა. იგი მაშინვე დააპატიმრეს. ყველამ როდი იცოდა, შეთქმულების შტაბი რომ ბენდლერშტრასეზე იმყოფებოდა. აქ მოდიოდნენ გენერლები, რომ ფრომისაგან გაეგოთ რა ხდებოდა. ისინი ჰოპნერთან მიჰყავდათ. ერთ-ერთმა გენერალმა, კორტცფლაიმმა, პროტესტი განაცხადა, არ ისურვა ჰოპნერთან ლაპარაკი, ახლავე ფრომთან მიმიყვანეთო. შეთქმულები იძულებული გახდნენ ისიც დაეპატიმრებინათ. კორტცფლაიმმა გაქცევა სცადა, მაგრამ კიბეებზე წამოეწივნენ და სტაცეს ხელი...

...დღის ოთხ საათსა და თხუთმეტ წუთზე „მგლის ბუნაგიდან“ ოფიციალური ცნობა მოვიდა ჰიტლერის გადარჩენის შესახებ. შეთქმულები დაიბნენ. შტაუფენბერგი ყვიროდა

ტყუილიაო. მაგრამ სხვები შეეჭვდნენ. იმედგაცრუებული ვიცლებენი ერთხანს ესაუბრა ბეკს, მერე შტაუფენბერგს უთხრა, „ყველაფერი ეს ღორობააო“, და სულ წავიდა ბენდლერბლოკიდან.

მერე ისევ ახალი ცნობა მიიღეს, საღამოს ცხრა საათზე რადიოთი თვითონ ჰიტლერი გამოვაო. ამ დროს ბენდლერბლოკში ექვსი თუ რვა უნტეროფიცერი შეიჭრა ჰერბერის მეთაურობით. ისინი შევარდნენ ოლბრიჰტთან, მერე შტაუფენბერგი დააპატიმრეს. შტაუფენბერგმა მაინც მოახერხა ხელიდან გასხლტომოდა მათ და კიბეები ჩაირბინა. ჰერბერმა ზემოდან ესროლა მას და მხარში დაჭრა.

— რა მოხდა? ვინ ისვრის? — იყვირა შტაუფენბერგმა და პირუკუ ესროლა ჰერბერს.

მერე ისევ აირია ყველაფერი. კაცმა არ იცოდა ვინ ვის ესროდა. არც არავინ იყო განმსჯელი და გამკითხავი. „ფიურერის მომხრე ხარ, თუ წინააღმდეგი?!“ — უყვიროდნენ ერთმანეთს და ამის მიხედვით მოქმედებდნენ.

ბოლოს, ჰერბერის მომხრეები დააკავეს. შტაუფენბერგი ჰეფტენის თანხლებით ჰოპნერთან შევიდა და იკითხა:

— სად არის ფრომი?

— ქვემოთ, თავის მოსასვენებელ ოთახში, — მიუგო ჰოპნერმა.

შტაუფენბერგმა და ჰეფტენმა კიბეები ჩაირბინეს და ფრომთან გაჩერდნენ.

ფრომმა იფიქრა, თუ რამ გასაკეთებელია, ბარემ ჩემი ხელით გაკეთდესო, და თვითონ დაერია შეთქმულთ. ნაცარქექია კერის ძირას გახელდაო, რომ იტყვიან, ისე. იგი შეიარაღებული იყო და იმუქრებოდა:

— მე ხელში რევოლვერი მიჭირავს, გიბრძანებთ დაჰყაროთ იარაღი!

ჰეფტენმა რევოლვერი დაუმიზნა, მაგრამ რატომღაც შტაუფენბერგმა აუკრა ხელი.

ნათქვამია, მგელს შეიბრალებ, ცხვარს დაკარგავ. ასეც მოხდა.

— ვინც ოთახში ხართ, ყველას გაპატიმრებთ! — იძახდა გადარჩენილი ფრომი, — იარაღი დააწყვეთ მაგიდაზე!..

— მე არა მაქვს იარაღი,— თქვა უკვე ნირწამხდარმა ჰოპნერმა.

იქვე მყოფმა ბეკმა კი ყველასათვის მოულოდნელად ფრომს მიმართა:

— მე არ მჭირდება თქვენი ბრძანება. ამ საბედისწერო მდგომარეობიდან თვითონ ვიპოვი გამოსავალს!

იგი კუთხეში მიდგმულ სკივრთან მივიდა, რევოლვერი ამოიღო და ტყვიები ჩაწყო... ფრომს შეეშინდა მე არ მესროლოსო და უყვირა:

— ლულა თქვენკენ მიმართეთ!..

ბეკმა მის ბრძანებას ყურადღება არ მიაქცია. მას უკვე თვითონ ჰქონდა გადაწყვეტილება მიღებული. რევოლვერი მომართა და თქვა:

— ამ წუთებში მე ვფიქრობ იმ ქამზე...

— ახლა მაგის დრო არ არის! — გამოაცალა სიტყვა ფრომმა და უბრძანა:

— იმოქმედეთ!..

ბეკმა კიდევ რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა და ისროლა. ტყვია საფეთქელში მოხვდა, დაჭრილი ნელ-ნელა ჩაეშვა სავარძელში, მაგრამ არ მოკვდა.

— მოეხმარეთ მაგ ბებერ ძაღლს!.. — უბრძანა ფრომმა ერთ-ერთ ოფიცერს, რომელმაც ეს არ იკისრა...

— თქვენ კი, ვაებატონებო, — მიმართა ფრომმა დანარჩენ შეთქმულთ, — თუ რამე გაქვთ მისაწერი თქვენიანებთან, გაძლევთ რამდენიმე წუთს. მობრძანდით, აი, ამ მაგიდასთან, სადაც თქვენ ყოველთვის ჩემ წინაშე ისხედით...

პირველი ოლბრიჰტი მივიდა, მერე ჰოპნერიც. სხვები დუმდნენ. ფრომი გავიდა დერეფანში. იგი შეეფეთა სამხედრო სკოლის ბატალიონს, რომელმაც ბენდლერბლოკს ალყა შემოარტყა, და მის მეთაურებთან ერთად დაბრუნდა თავის კაბინეტში, სადაც შეთქმულნი იყვნენ.

— აბა, ბატონებო, დაამთავრეთ? — მიმართა მან ოლბრიჰტსა და ჰოპნერს, — დააჩქარეთ, რომ ეს საქმე დანარჩენებს გაუადვილდეთ.

ოლბრიჰტმა კონვერტი ითხოვა. ჰოპნერმა წერილი მაგიდაზე დადო.

ფრომი მხედრულად გაიჭიმა და გამოაცხადა:

— საგანგებო ტრიბუნალი ჩემი სახით აცხადებს, რომ გენერალი ოლბრიჰტი, პოლკოვნიკი მერც ფონ კვირინჰაიმი, პოლკოვნიკი, რომლის გვარის წარმოთქმაც არ მსურს, — აქ მან შტაუფენბერგზე მიუთითა, — და ეს უფროსი ლეიტენანტი (ჰეფტენი) ისჯებიან სიკვდილით.

იგი მიუბრუნდა ახალგაზრდა ლეიტენანტს და უბრძანა:

— ეზოში მიაბრძანეთ და განაჩენი სისრულეში მოიყვანეთ!

ფრომი გავიდა მეზობელ ოთახში, სადაც დაჭრილი ბეკი ჯერ კიდევ სიკვდილს ებრძოდა და თხოულობდა რევოლვერი მომეცითო. მისცეს. ბეკმა მეორედ ისროლა და თავში მოირტყა, მაგრამ... მაინც არ მოკვდა.

ფრომმა „თავისი მეგობარი“ ჰოპნერი რუკების ცარიელ ოთახში შეიყვანა და ასეთი წინადადება მისცა.

— გინდა თავი მოიკალი, გინდა დაგაპატიმრებ!

ჰოპნერმა პატიმრობა არჩია.

ღვთის ანაბარა მიგდებული ბეკი კი ისევ სიკვდილს ებრძოდა. ფრომმა ვერ აიტანა ამ საცოდაობის ცქერა და ერთ-ერთ ოფიცერს უბრძანა მისთვის „სამოწყალო ტყვია“ გაემეტებინა. ეს ვერც ამ ოფიცერმა იკისრა და თავის სქელკისერა ფელდფებელს დაავალა. ფელდფებელმა ბეკის „მადლი მოისხა“, მივიდა და ტყვია შიგ შუბლში დაახალა...

... ოთხი სიკვდილმისჯილი ეზოში ჩაიყვანეს, კედელთან დააყენეს და ავტომობილების ფარები მიანათეს. ოლბრიჰტი მშვიდად იდგა. ახალგაზრდა ჰეფტენი შეძრწუნებული იყო. შტაუფენბერგს ამაყად ეჭირა თავი, კვირინჰაიმსაც. ცეცხლიო, ბრძანება რომ გაისმა, კვირინჰაიმი წინ აეფარა მის საყვარელ შტაუფენბერგს, რომელმაც მოასწრო დაეძახა:

— გაუმარჯოს წმიდათა წმიდა გერმანიას!..

... გვიან ღამით პოლკოვნიკი სკორცენი და მისი ესესელები ბენდლერბლოკში შეიჭრნენ. იგი თურმე ექსპრესით მიდიოდა ვენისაკენ, მაგრამ გზაში შეატყობინეს თავდასხმის ამბავი და დააბრუნეს.

სკორცენი გამოცდილი იყო ასეთ საქმეებში. იგი დაერია

ყველას, ვინც ბენდლერშტრასეზე იმყოფებოდა, და დააპატიჟ-
რა. აქა-იქ სროლის ხმა ისმოდა. მდივნები და მემანქანე ქა-
ლები წიოდნენ. სკორცენიმ დაპატიმრებულები გაამწკრივა,
ყველას საკუთარი ხელით ჩამოგლიჯა ორდენები, ეპოლეტები
და რკინის მუზარადებში ჩაყარა.

ამ დროს რადიოში ჰიტლერის ხმა გაისმა.

სკორცენიმ „სმენაზე“ დააყენა ყველა შეთქმული და ისე
მოასმენინა ფიურერის სიტყვა, მერე თვითონ დაიძახა:

— ჩვენს ფიურერს ზიგ ჰაილ!..

შეთქმულებიც აიძულეს ეყვირათ:

— ზიგ ჰაილ!..

რამდენიმე კაცი იქვე დახვრიტეს, სხვები ორ-ორად შეკ-
რეს, საბარგო მანქანებში ჩაყარეს და გესტაპოში გაგზავნეს..

... იმ დღეს ისევ ატყდა აურზაური ჩვენს „რადიოოთახში“.
მე რომ მივედი, ყველანი მიმღებთან ისხდნენ და ყურმილე-
ბით ისმენდნენ გადაცემას. პაოლომ ხელით მანიშნა დაჯექიო.
მარინამ ყურმილი მომაწოდა. გებელსის ხმა გავიგონე. მისი
რადიოგამოსვლა ბევრჯერ მქონდა მოსმენილი და ადვილად
ვცნობდი. ამჯერად გებელსის ხმა განსაკუთრებით პათეტიკუ-
რად ჟღერდა. იგი ლაპარაკობდა „განგების ნებაზე, რამაც
იხსნა ფიურერი განსაცდელისაგან“:

— მტერმა თავისი მუხანათური ხელი აღმართა მის წინა-
აღმდეგ, მაგრამ მამაზეციერმა გადაარჩინა გერმანელი ხალხი-
სა და მსოფლიოს იმედი!.. აფეთქება მის შტაბში მოხდა. რამ-
დენიმე კაცი დაიღუპა ან დაიჭრა. ჰიტლერი გადარჩა. შეთქ-
მულება განადგურებულია. შეთქმულების მონაწილენი დაპა-
ტიმრებული ან დახვრეტილი არიან. ეს იყო აჯანყება ტელე-
ფონებით და ჩვენ ის ჩავახშეთ შაშხანის რამდენიმე გასრო-
ლით. ამიტომაც უნდა შევძახოთ: ჰაილ!.. ჰაილ!.. და კიდევ
ჰაილ!.. და ისევ სამგზის ჰაილ ჩვენს ფიურერს! — დაასრულა
გებელსმა თავისი სიტყვა...

უფრო გვიან თვითონ ჰიტლერიც გამოვიდა და ენის ბორ-
ძიკით განაცხადა:

— გერმანელო თანამემამულენო, ბატონებო და ქალბა-
ტონებო!.. არ ვიცი, უკვე რამდენჯერ მომიწყვეს თავდასხმა,

მაგრამ ამაოდ. და მე რომ ახლა თქვენ მოგმართავთ, ამას ორი რამისათვის ვაკეთებ: ჯერ ერთი, ჩემი ხმა გაგაგონოთ და დაგარწმუნოთ, უვნებელი და ჯანმრთელი რომ ვარ; მეორე, შეგატყობინოთ დანაშაულის შესახებ, რომლის მსგავსიც აშვიათია ისტორიაში! ოფიცერთა მცირე ხროვას უნდოდა ჩემი მოკვლა და გენშტაბის ამოხოცვა. პოლკოვნიკ გრაფ შტაუფენბერგის მიერ დადებული ნაღმი ჩემგან ორი მეტრის დაშორებით აფეთქდა. ბევრი ჩემი ძვირფასი ამხანაგი მძიმედ დაშავდა, ერთი მოკვდა. მე სრულიად უვნებელი ვარ. ამიტომ ვუყურებ ამას როგორც განგების ძალის გამოვლენას, რათა კვლავ განვაგრძო ჩემი ცხოვრების მიზნის განხორციელება...

მერე კიდევ ერთხანს ილაპარაკა „განგების კარნახზე", თავის „ღვთაებრივ მისიაზე", „უზურპატორთა" განადგურებაზე, სარეზერვო არმიის სარდლად ჰიმლერის დანიშვნაზე, ხოლო გენშტაბის უფროსად — გუდერიანისა. სხვა არაფერი ცვლებაო, გამოაცხადა და დაფდაფების ხმაურში დაამთავრა თავისი გამოსვლა...

...ის იყო თენდებოდა, ბენდლერბლოკში ჰიმლერი და კალტენბრუნერი რომ გამოცხადდნენ.

ამით დამთავრდა შეთქმულება და დაიწყო შურისძიება... ჰიტლერელები ინკვიზიტორული სისასტიკით დაერივნენ შეთქმულებაში ეჭვმიტანილებს. ოთხი ფელდმარშალი, ორმოცდარვა გენერალი, უამრავი ოფიცერი და სამოქალაქო პირი შეეწირა ამ ტერორს. ამბობენ, სულ შვიდი ათასი კაცი იქნაო დაპატიმრებული, აქედან 4980 კაცი — სიკვდილით დასჯილი. ბევრმა თურმე თვითმკვლელობა არჩია წამებით სიკვდილს... შეთქმულების ერთ-ერთმა მთავარმა ხელმძღვანელმა გენერალმა ტრესკოვმა 21 ივლისს დილით, როგორც კი გაიგო ჰიტლერზე თავდასხმის ჩაშლის ამბავი, თავის უახლოეს მეგობარს შლაბრენდორფს უთხრა:

— ახლა ყველა ჩვენ მოგვდგება და დაგვიწყებს თრევას, მაგრამ ჩემი რწმენა ურყევი რჩება: ჩვენ ვემსახურებოდით მართალ საქმეს. ჰიტლერი არა მარტო გერმანიის არქიმტერია, არამედ მთელი ქვეყნიერებისაც. რამდენიმე წუთის შემდეგ მე წარვდგები ზეციური სამსჯავროს წინაშე და პასუხს ვაგებ

ჩემი მოქმედებისა და შეცდომისათვის. იმედი მაქვს, რომ დავიცავ საკუთარ სინდისს, ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი ჰიტლერის წინააღმდეგ. ადამიანის ღირსება იმაშია, თუ რამდენადაა იგი მზად თავი გაწიროს რწმენისათვის.

ტრესკოვს უნდოდა საკუთარ მაგალითზე დაემტკიცებინა ეს. იმავე დილით იგი წავიდა 28-ე მსროლელ დივიზიაში, კისერზე ნაღმი ჩამოიკიდა, ხელი გამოჰკრა და...

მძლავრმა აფეთქებამ თავი ააგლიჯა სხეულს...

რამდენიმე დღის შემდეგ ასევე მოიქცა გენერალ-კვარტირმაისტერი ვაგნერი...

... შურისძიების ცეცხლი კი მაინც არა ცხრებოდა. ბრალდებულთა შემდეგ მათი ოჯახის წევრებსაც დაერივნენ. შტაუფენბერგის მოხუცი დედა და ძმა დახოცეს, მის ოთხ შვილს კი გვარი შეუცვალეს და უპატრონოთა თავშესაფარში გაგზავნეს. არც „საეჭვონი“ და „მერყეევნი“ დაინდეს... ვისზედაც გუმანს მიიტანდნენ, დაუყოვნებლივ ხვრეტდნენ ან საკონცენტრაციო ბანაკებში ათავსებდნენ. ამ არეულობაში დამნაშავეებს ალალ-მართალიც ბევრი მიაყოლეს. ან ბრალიანუბრალოს ვინღა გაარჩევდა, როცა მგონიანობა უფრო ჭრიდა, ვიდრე საბუთი. ჰიტლერს ყველასათვის მხოლოდ ერთი განაჩენი ჰქონდა:

— სიკვდილი!..

გრაფი შულენბურგი და ჰასელი ჩამოახრჩვეს. ასეთივე ბედი ეწია. გენერალ ლინდემანს, მერე — პოლკოვნიკ ბეზელაგერს, გრაფ ჰელდორფს, ლოიშნერს, ნებეს, გენერალ ფელგიბელსა და მრავალ სხვას. ვერც გენერალი ფრომი იხსნა თავისმა გულმოდგინებამ, 20 ივლისის სისხლიან ღამეს რომ გამოიჩინა. მეორე დღეს იგი დააპატიმრეს. ბევრი იმართლა თავი, მე არაფერ შუაში ვარ, პირიქით, შეთქმულებს ვებრძოდიო, მაგრამ მაინც ჩასვეს ციხეში. გესტაპომ ვერ დაადგინა მისი შეთქმულებაში მონაწილეობა, მაგრამ „პასიურობის“ გამო მაინც პატიმრობაში ჰყავდათ 1945 წლის 12 აპრილამდე. იმ დღეს კი სხვებთან ერთად ისიც ჩამოახრჩვეს.

— ამას არაფრით არ მოველოდიო, უთქვამს მას უკანასკნელ მომენტში...

გამოძიების კვალმა გესტაპო პარიზშიც მიიყვანა. ფელდმარშლები რომელი და კლუგეც გაიხსენეს, რომ ისინი ცდილობდნენ ჰიტლერის დაუკითხავად დაკავშირებოდნენ გენერალ ეიზენჰაუერს და სეპარატული შეთანხმებისათვის მიეღწიათ.

როგორც ჩანს, ფელდმარშალი კლუგე ვერ მოიქცა რაინდულად. მან და შპაიდელმა ყველაფერი გენერალ შტიულპნაგელს გადააკისრეს. კლუგემ ხომ სულ ხელის დაბანა სცადა. მაშინ მას მოაგონეს. რომ ადრე თვითონაც თანაუგრძნობდა შეთქმულებას.

ახლაც თქვენთან ვიქნებოდი, ის ღორი ჰიტლერი რომ მოეკლათო, — „იმართლა“ მან თავი.

შტიულპნაგელი ღამით კაიტელმა ვამოიძახა „მგლის ბუნაგში“. იგი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს, მოსპო შეთქმულების დოკუმენტები და თავის მოსაკლავად წავიდა ვერდენში, სადაც პირველი მსოფლიო ომის დროს ბატალიონს მეთაურობდა. აქ მან მანქანა გააჩერა, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი სახელგანთქმული ბრძოლის ველს, მერე მდინარე მაასის არხთან მივიდა, რევოლვერი იძრო, ლულა საფეთქელთან მიიდო და ისროლა. მძღოლმა მდინარიდან ძლივს ამოათრია მძიმედ დაჭრილი გენერალი და ვერდენის ჰოსპიტალში წაიყვანა. აქ მას პირველი დახმარება გაუწიეს, მაგრამ ორივე თვალით დაბრმავებული იყო. მიუხედავად ამისა, ჰიტლერმა განკარგულება გასცა დაუყოვნებლივ ჩაეყვანათ იგი ბერლინში. მეორე დღეს თითქმის მომაკვდავი, ბრმა გენერალი საკაცეზე დაწოლილი წარუდგინეს „სახალხო სასამართლოს“ და ორი საათის შემდეგ ჩამოახრჩვეს კიდეც...

... ფელდმარშალმა კლუგემ იფიქრა, იქნებ თავს ვუშველოთო, და... „იმ ღორ ჰიტლერს“ გადარჩენა მიულოცა. აგვისტოს შუა რიცხვებამდე იგი კიდევ სარდლობდა დასავლეთის ფრონტს, 17 აგვისტოს კი მოულოდნელად დაადგა თავს შემცვლელი სარდალი ფელდმარშალი მოდელი. კლუგე მიხვდა, რომ მისი ბედის ჯარა უკუღმა დატრიალდა. რამდენიმე

ხნის შემდეგ იგი მართლაც გაქცეულიყო ბერლინში. ამბობენ, კლუგემ ჯერ გაქცევა სცადა, ფალეზში წავიდა, რომ საზღვარი გადაელახა და ამერიკელთა ჯარებს ჩაბარებოდაო. მაგრამ, როგორც ჩანს, მერე გადაიფიქრა. ერთხანს კიდევ იყოყმანა და ბოლოს მაინც დაემორჩილა ჰიტლერის ბრძანებას. იგი ავტომანქანით გაემგზავრა ბერლინისაკენ, მაგრამ, მიუახლოვდა თუ არა გერმანიის საზღვარს, „საბოლოო გადაწყვეტილება“ მიიღო და საწამლავი დალია. წინასწარ კი ასეთი წერილი მისწერა ჰიტლერს:

— როცა თქვენ ამ სტრიქონებს წაიკითხავთ, მე აღარ ვიქნები... სიცოცხლეს უკვე არცა აქვს აზრი ჩემთვის... ორივემ, რომელმა და მე, წინასწარ ვიცოდით, რომ საქმე ასე წავიდოდა, მაგრამ ჩვენ არავინ მოგვისმინა... მე მეეჭვება, რომ ფელდმარშალმა მოდელმა შეძლოს მდგომარეობის გამოსწორება... თუ ეს ასე არ მოხდა და თქვენმა სანუკვარმა ახალმა იარაღმაც ვერ მიაღწია მიზანს, ჩემო ფიურერ, მოიკრიბე გონება და შეწყვიტე ეს ომი. გერმანელმა ხალხმა იმდენი ტანჯვა გამოიარა, რომ დროა ბოლო მოეღოს ამ საშინელებას... მე ყოველთვის აღტაცებული ვიყავი თქვენი სიდიადით... თუ ბედისწერა უფრო ძლიერია, ვიდრე თქვენი ნებისყოფა და გენია, რას იზამთ, ასეთი ყოფილა განგების ნება...

იოდლმა თქვა ნიურნბერგში, ჰიტლერმა ჩუმად წაიკითხა ეს წერილი და ისე გადმომცა, რომ ხმაც არ ამოუღიაო...

... გერმანელი ხალხის კერპი და ჰიტლერის უსაყვარლესი ფელდმარშალი რომელი შეთქმულების დღეებში პარიზის ჰოსპიტალში იწვა. როცა შეთქმულების ამბავი გამჟღავნდა, რომელი ჰოსპიტლიდან გამოეწერა და თავის სახლში ისვენებდა ჰერლინგენში. ჭრილობები უკვე შეხორცებული ჰქონდა, მაგრამ მარცხენა თვალის ტკივილს უჩიოდა და მკურნალობას ვანაგრძობდა. მასთან იყო მეუღლე ლუსი ნოლდინი. ფრონტიდან მამის სანახავად ჩამოვიდა მანფრედი. მამამ და შვილმა ერთად ისაუზმეს. ლუსი არც გამოსულა თავისი ოთახიდან. მანფრედს გაუკვირდა დედის საქციელი. მერე შეამჩნია, რომ ფელდმარშალიც აღელვებული ჩანდა. მან ხელი მოჰკიდა

შვილს და ბაღში გაიყვანა. მანფრედმა იგრძნო, რაღაც მნიშვნელოვანი რომ უნდა ეთქვათ მისთვის.

— დღეს ბერლინიდან ორი გენერალი ჩამოვა... — დაიწყო ფელდმარშალმა...

...გესტაპო, მართლაც, მიჰყვა შეთქმულებასთან რომელის კავშირის კვალს. ჯერ, როგორც ამბობენ, ვერდენის ჰოსპიტალის საოპერაციო მაგიდაზე მწოლარე გენერალმა შტიფულპნაგელმა ახსენა მისი სახელი, მერე წამების დროს — პოლკოვნიკმა ჰოფაკერმაც. რომელის შვილი მანფრედი ყველაფერს გენერალ შპაიდელს აბრალებდა: შპაიდელმა რომელი ჰერლინგში ინახულა, მის სახლში, და მეორე დღესვე გესტაპოში ამოყო თავი, შემდეგ კი, სრულიად „გარკვეული მიზეზით", გაათავისუფლეს. იგი ერთადერთი კაცი იყო პარიზელ შეთქმულთა შორის, რომელიც ცოცხალი გადარჩა... ამბობენ, ერვინ რომელისა და შეთქმულების სხვა მონაწილეთა სიცოცხლის საფასურადო... ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებდა ფელდმარშლის ვაჟი მანფრედი, რომელმაც 1945 წლის 25 აპრილს ქალაქ რედლინგენში განაცხადა:

— გამომშვიდობებისას მამამ მითხრა: რამდენიმე კვირის წინ დაპატიმრებულმა ჩემმა შტაბის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა შპაიდელმა ჩვენება მისცა, თითქოს მე ვასრულებდი ხელმძღვანელ როლს 1944 წლის 20 ივლისის შეთქმულებაში, მაგრამ მონაწილეობა ვერ მივიღე იმ ამბებში, რადგან დაჭრილი ვიყავი...

შპაიდელს ხშირად ჰქონია ინტიმური საუბარი რომელთან და ბევრი რამ იცოდა ისეთი, რაც უთუოდ „დააინტერესებდა" გესტაპოს.

— ის პათოლოგიური მატყუარა ჰიტლერი ახლა სულ შეიშალა, — უთქვამს რომელს შპაიდელისათვის, — მან თავისი საფიტური ქინი 20 ივლისის შეთქმულების მონაწილეებისადმი მიმართა, და ეს იქნება მისი აღსასრული...

რომელმა იცოდა, რომ მისი სახლი დღედაღამ გარშემორტყმული იყო უშიშროების სამსახურის აგენტებით. როცა იგი მახლობელ ტყეში მიდიოდა სასეირნოდ შვილთან ერთად, ორივეს რევოლვერი ედოთ ჯიბეში ყოველ შემთხვევისათვის...

...ჰიტლერს რასტენბურგში რომ მიუტანეს ჰოფაკერის დაკითხვის ოქმი და სხვა მამხილებელი საბუთები, მაშინვე გადაწყვიტა რომელის მოკვლა, მაგრამ, ვინაიდან სახელგანთქმული ფელდმარშალი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში, სპეციალური ზომებიც მიიღო კვალის დასაფარავად. კაიტელი ამბობდა ნიურნბერგში, რომ ამის გამჟღავნება უდიდესი სკანდალი იქნებოდა გერმანიაშიო. სახელგანთქმულ გენერალს მოწინააღმდეგენიც კი პატივს სცემდნენ. ამიტომ მოერიდნენ რომელის დაპატიმრებასა და „სამსჯავროსათვის" გადაცემას. სამაგიეროდ სიკვდილით დასჯის ძველი რომაული წესი გაიხსენეს — საწამლავის შეთავაზება... ეს სიკვდილით დასჯის ყველაზე „ღირსეულ" და „ჰუმანურ" საშუალებად ითვლებოდა!

ჰიტლერისა და კაიტელის შეთანხმებით, რომელს საბრალდებო აქტი წარუდგინეს და არჩევანიც შესთავაზეს: ან თავის მოკვლა, ან „სახალხო სასამართლო". თუ იგი პირველს აირჩევდა, დიდი პატივისცემით დაასაფლავებდნენ და ცოლშვილსაც ხელს არ ახლებდნენ, არადა...

... 1944 წლის 14 ოქტომბერს დღის 12 საათზე რომელის სახლს ჰიტლერის ადიუტანტები, გენერლები ბურგდორფი და მაიზელი მიადგნენ. იქვე ხუთი მანქანა გაჩერდა. მანქანებში შეიარაღებული ესესელები ისხდნენ. ისინი ჰიტლერის მითითებით გამოგზავნეს რომელთან.

ნიურნბერგის პროცესზე კაიტელმა თქვა ამის თაობაზე:

— მე მივეცი ბურგდორფს რომელის საბრალდებო აქტის ასლი. მას თვითონ უნდა მიეღო გადაწყვეტილება.

— თქვენ ხომ დაავალეთ ბურგდორფს თან საწამლავიც წაეღო. ასეა არა? — ჰკითხეს კაიტელს.

— დიახ, — უპასუხა კაიტელმა, — მე დავავალე ბურგდორფს წაეღო საწამლავი, რათა საჭიროების შემთხვევაში გადაეცა რომელისათვის...

...ბურგდორფი და მაიზელი რომელთან შევიდნენ და განუცხადეს, პირისპირ გვსურს თქვენთან საუბარიო. სამივენი მეზობელ ოთახში გავიდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მან-

ფრედმა დაინახა როგორ შევიდა ფელდმარშალი ლუსის ოთახში.

ჩამოსულმა გენერლებმაც დატოვეს რომელის კაბინეტი და მანქანასთან დაელოდნენ ფელდმარშალს. ორმოცდახუთი წუთის შემდეგ რომელი გამოვიდა მეუღლის ოთახიდან. მან ხელი მოჰკიდა მანფრედს, შეიყვანა თავის კაბინეტში და სრულიად მშვიდი ტონით უთხრა:

— მე უკვე დავემშვიდობე დედაშენს. მან იცის, რომ უნდა მოვკვდე თხუთმეტი წუთის შემდეგ. ჰიტლერი ბრალად მდებს სახელმწიფო ღალატს. აფრიკაში ჩემი დამსახურების გამო მე უფლება მეძლევა მოვკვდე საწამლავის მიღებით. იმ ორმა გენერალმა მომიტანეს კიდეც ისეთი საწამლავი, სამ წამში რომ მოქმედებს. თუ ასე მოვიქცევი, დასჯის არავითარი ზომები არ იქნება მიღებული ოჯახის მიმართ... ასეთ მომენტში ოჯახზე ზრუნვა გასაგებია, მაგრამ...

მართლაც საკვირველია კაცთა ბუნება... პატივმოყვარეობის ჭია აქაც ამოძრავდა. რომელს ისიც ესიამოვნა, „საზეიმო დასაფლავებას“ რომ პირდებოდნენ, და მანფრედს უთხრა:

— მე დიდი პატივისცემით დამასაფლავებენ, საამისოდ უკვე გათვალისწინებულია ყველა წვრილმანი. თხუთმეტი წუთის შემდეგ შენ მიიღებ ცნობას ულმის ჰოსპიტლიდან, რომ თათბირზე მიმავალს სისხლი ჩამექცა ტვინში...

ამ დროს მისი სახლი უკვე გარშემორტყმული იყო გადაცმული ესესელებით. მართალია, რომელსაც ჰყავდა პირადი დაცვა რვა კაცის შემადგენლობით, მაგრამ ისინი რას გახდებოდნენ ამდენ ხალხთან, მით უმეტეს, რომ სულ ორი ავტომატი ჰქონდათ.

რომელს არც უცდია წინააღმდეგობა, ჩაიცვა სახელგანთქმული აფრიკული კორპუსის ტყავის ფორმა, აიღო ფელდმარშლის კვერთხი, დაემშვიდობა მანფრედს და ეზოდან გავიდა. მანქანასთან მდგომი გენერლები გაიჭიმნენ მის წინაშე და ნაცისტული სალამი მისცეს ფელდმარშალს:

— ჰაილ ჰიტლერ! — შესძახა ორივემ.

რომელმა ცალყბად გაიცინა, ხელი ჩაიქნია და მანქანაში შევიდა. მას მიჰყვნენ ბურგდორფი და მაიზელი.

ჰერლინგენს რომ გასცდნენ, მანქანამ ტყისაკენ შეუხვია

და გაჩერდა. ბურგდორფმა საწამლავი გადასცა რომელს. მაიზელი და ესესელი მძღოლი მანქანიდან გადმოვიდნენ... მაგრამ ერთი-ორი წუთის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ და ნახეს უკანა სავარძელში გადაწოლილი მკვდარი ფელდმარშალი...

... ზუსტად თხუთმეტი წუთის შემდეგ ულმის ჰოსპიტლის ექიმმა დაურეკა რომელის მეუღლეს:

— ორმა გენერალმა ეს-ეს არის მოიტანა ფელდმარშლის ცხედარი. იგი გარდაიცვალა თავის ტვინის დამბლით, რაც ადრე მიღებული ჭრილობების შედეგია...

ბურგდორფმა აკრძალა გაეკვეთათ რომელის ცხედარი:

— მის გვამს ხელი არ ახლოთ. ყველაფერი შეთანხმებულია ბერლინთან! — უბრძანა მან მთავარ ექიმს...

... და დაიწყო სამგლოვიარო კომედია. მეორე დღეს გამოქვეყნდა ჰიტლერის ბრძანება.

— 1944 წლის 14 ოქტომბერს, ჰძიმე ჭრილობის შედეგად. რაც მიღებული ჰქონდა დასავლეთის ფრონტის შემოვლისას მომხდარი ავტოკატასტროფის დროს, გარდაიცვალა არმიათა ერთ-ერთი ჯგუფის სარდალი, გენერალ-ფელდმარშალი ერვინ რომელი. მისი სახით ჩვენ დავკარგეთ ერთი საუკეთესო მხედართმთავართაგანი...

მერე სამძიმრის დეპეშაც გაუგზავნა რომელის ქვრივს:

— მიიღეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა იმ დიდი დანაკლისის გამო, რაც განიცადეთ თქვენი მეუღლის გარდაცვალებით. ფელდმარშალ რომელის სახელი სამარადისოდ იქნება დაკავშირებული ჩრდილოეთ აფრიკის გმირულ ბრძოლებთან...

ამგვარ ფარისევლობას გერინგმაც აუბა მხარი. იგი რომელის ქვრივს სწერდა:

— იმ ფაქტმა, რომ თქვენს მეუღლეს წილად ხვდა მიღებული ჭრილობებისაგან გმირული სიკვდილი მას შემდეგ. რაც იმედი გვქონდა, რომ იგი დარჩებოდა გერმანელ ხალხთან, ღრმად დამამწუხრა მე...

... ფელდმარშალი რომელი, მართლაც, დიდის ამბით დაასაფლავეს. კაიტელმა ჰიტლერის სახელით ცოცხალი ყვავი-

ლების გვირგვინით შეამკო მისი ცხედარი. გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა რუნდშტედტმა:

— ძისი გული ეკუთვნოდა ფიურერს! — განაცხადა მარკ ანტონიოსის როლში გამოსულმა მოხუცმა ფელდმარშალმა.

მერე კი ფიცით ირწმუნებოდა ნიურნბერგში, რომელის მოწამვლის შესახებ არაფერი ვიცოდი, თორემ სიტყვას როგორ წარმოვთქვამდიო. ვინ უწყის, მართლაც ასე იყო ეს თუ არა... ფაქტი ის არის, რომ რუნდშტედტი ხელმძღვანელობდა ე. წ. „ღირსების სამსჯავროს", სადაც არცთუ ისე ღირსეული მოვალეობის შესრულება მოუხდა. აქ, ამ სამსჯავროში, ყოველგვარ სამხედრო ღირსებას ხდიდნენ შეთქმულებაში ეჭვმიტანილ ოფიცრებს და ჰიტლერის მიერ დაარსებულ ვითომ სახალხო სასამართლოში ვზავნიდნენ, იქიდან კი — პირდაპირ სასაკლაოზე...

რუნდშტედტი თვითონ იყო შეთქმულების საქმეში განდობილი. მართალია, საქმიანი მონაწილეობა არ მიუღია მასში. მაგრამ იცოდა კი ყველაფერი, რაც ხდებოდა. შეთქმულების ამბავი მას თვით რომელმა გააცნო, მაგრამ ზედმეტად ღრთხილმა რუნდშტედტმა უპასუხა:

— თქვენ ახალგაზრდები ხართ, კარგად იცნობთ ხალხს და გიყვართ იგი. თვითონ გააკეთეთ ყოველივე ეს!..

ახლა კი მისი სამსჯავროს წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ ისინი, ვინც ეს „გააკეთა". მათთვის კი ჰიტლერს განაჩენი წინასწარ ჰქონდა გამოტანილი.

— დამნაშავეებთან ლაპარაკი მოკლე იქნება, — განაცხადა მან, — არავითარი სამხედრო ტრიბუნალი! ჩვენ მათ წავაყენებთ სახალხო სასამართლოს წინაშე და არ მივცემთ განცხადების უფლებას. სასამართლო იმოქმედებს . სინათლის სისწრაფით. ორი საათის შემდეგ კი განაჩენიც სისრულეში იქნება მოყვანილი: ჩამოხრჩობა ყოველგვარი შენდობის გარეშე!..

ბენერლები საყასბოში...

ჰიტლერმა თვითონ შეარჩია „სახალხო სასამართლოს" თავმჯდომარე: რონალდ ფრაისლერი. თავისი სისასტიკით ჰაიდრიხის შემდეგ მას პირველი ადგილი ეჭირა, უხეშობაში

კი ბადალი არ ჰყავდა, რაც მან „სახალხო სასამართლოშიც“ დაამტკიცა.

პირველი პროცესი 7 და 8 აგვისტოს გაიმართა. „ასამართ-ლებდნენ“ ფელდმარშალ ფონ ვიცლებენს, გენერლებს ჰოპ-ნერს, შტიფსა და ფონ ჰაზეს, ოფიცრებს ჰაგენს, კლაუზინგს, ბერნარდსა და გრაფ პეტერ იორკ ფონ ვარტენბერგს. გებელ-სის ჯანკარგულებით, პროცესის მთელი მსვლელობა კინოფირ-ზე გადაიღეს. განზრახული ჰქონდათ ეს ფილმი სამხედრო ნაწილებისა და მოსახლეობისათვის ეჩვენებინათ „როგორც მაგალითი და გაფრთხილება“.

წინასწარ ყველაფერი ისე იყო მომზადებული, რომ დამნა-შავენი რაც შეიძლებოდა მეტად დაემცირებინათ. არავითარი პატივისცემა ტრადიციის, სამხედრო წოდების, ადამიანობისა თუ მართლმსაჯულებისადმი! ბრალდებულნი საშინლად აწა-მეს გესტაპოს ჯურღმულებში, სამხედრო ფორმა გახადეს და ძონძებით შემოსეს, თან შიმშილითა და წყურვილით ღონე გამოაცალეს და ასე დაგლახავებულნი წარუდგინეს „მაღალ სამსჯავროს“.

ფრაისლერს ადამიანის დამცირების განსაკუთრებული ნი-ჭიც აღმოაჩნდა: დამნაშვეები რომ უფრო სასაცილო და საცო-დავი შესახედაობისანი ყოფილიყვნენ, მისი განკარგულებით მათთვის შარვლებზე ღილები დაეჭრათ და, როცა ისინი დარ-ბაზში შემოჰყავდათ, შარვალი ყველას ხელით ეჭირა. ეს ვითომ „ძალიან სასაცილო“ იყო! ის კი არა, ყველას წინასწარი წამების კვალი აჩნდა. ზოგს ხელი ჰქონდა მოტეხილი, ზოგს — ფეხი. დალურჯებულ და დასისხლიანებულ პირისახეზე ჭირის ოფლი გადასდიოდათ. განსაკუთრებით საცოდავად გამოიყურებოდა ერთ დროს ამაყი და წარმოსადეგი მოხუცი ფელდმარშალი ვიცლებენი: მისთვის ჩაქუჩით ჩაემტვრიათ ხელოვნური კბი-ლები, რომ უფრო ბებრული გამომეტყველება დასდებოდა, ძონძებიდან ნაგვემი სხეული მოუჩანდა... იდგა ასე უმწეოდ ფრაისლერის წინაშე და, შარვალი რომ არ ჩავარდნოდა, ორი-ვე ხელით ჰქონდა ჩაბღუჯული.

— ეი, შე ჭუჭყიანო ბებერო, რას ჩაბღაუჭებიხარ მაგ შარ-ვალს, გავსებული ხომ არ გაქვს! — დასჭყივლა ფრაისლერმა. გადაცმული ესესელებით სავსე დარბაზში ხარხარი ატყდა. კი-

ნოკამერა განუწყვეტლივ ტრიალებდა. ხმის ჩამწერი აპარატებიც... ბრალდებულთ უყვიროდნენ, ემუქრებოდნენ, დასცინოდნენ, მაგრამ მათ მაინც ღირსეულად ეჭირათ თავი, ყველაზე მეტად — ახალგაზრდა გრაფ იორკს.

— შე ღორო, რატომ უღალატე პარტიას? — დაუყვირა მას ფრაისლერმა.

— მე არასოდეს ვყოფილვარ და არც შემეძლო ვყოფილიყავი ნაცისტურ პარტიაში! — მიუგო იორკმა.

ასეთ განცხადებებს შეეძლო გებელსის მიერ შეკვეთილი ფილმი გაეფუჭებინა. ჰიტლერსაც ხომ ნათქვამი ჰქონდა, ბევრს არ ვალაპარაკებთო, და იორკი ჩააჩუმეს. არც სხვებს მისცეს ხმის ამოღების უფლება. ფრაისლერი უყვიროდა მათ:

— ღორო, ძაღლო, ჭუჭყიანო მათხოვარო, მოღალატევ, არამზადავ!..

ფორმისათვის დამცველებიც იყვნენ გამოძახებული, მაგრამ მათ მხოლოდ იმის უფლება მისცეს, რომ სასიკვდილო განაჩენისათვის ხელი მოეწერათ. ფელდმარშალ ვიცლებენის „დამცველმა“ იმდენი „გამბედაობა“ გამოიჩინა, რომ ფრაისლერს სთხოვა, ჩემს დასაცავ პირს, როგორც მკვლელს, რაც შეიძლება უფრო მძიმე სასჯელი დაადეთო...

... რარიგ არა ჰგავდა ყოველივე ეს ნიურნბერგის პროცესს, სადაც უდიდესი სიზუსტით იცავდნენ საერთაშორისო სამართლის ყველა წესს! ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა თქვა კიდეც:

— ჩვენ მათ დაცვის ისეთ საშუალებებს ვაძლევთ, რომელთა მსგავსიც თვითონ არასოდეს მიუციათ თავიანთ თანამემამულეთათვის!..

ან რა დაცვაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა განაჩენი წინასწარ იყო გამოტანილი!..

ფრაისლერი მხოლოდ კითხულობდა, თუმცა ბოლოს საკუთარ კომენტარსაც უკეთებდა. მას ჩვეულებად ჰქონდა ლაპარაკის დროს თითქმის ყოველი წინადადების შემდეგ წამოეძახა „ჰაილ ჰიტლერ!“ მაგალითად, ასე:

— ამ ღორებს ჩამოვახრჩობთ და ჩვენ დავუბრუნდებით ცხოვრებას, ბრძოლას, ჰაილ ჰიტლერ! ამათთან საერთო არაფერი გვაქვს, ჰაილ ჰიტლერ! ხალხიც გათავისუფლდება და განწმინდება მათგან, ჰაილ ჰიტლერ! ჩვენ ვიბრძვით და არმია მიესალმება ამ ღონისძიებებს, ჰაილ ჰიტლერ! მეც მივესალმები, ჰაილ ჰიტლერ! ასე ჩამოვიშორებთ გზიდან საშიშ მტრებს და გაიწევთ წინ ტოტალური ნაბიჯებით, ჰაილ ჰიტლერ! საბოლოო გამარჯვებისაკენ, ჰაილ ჰიტლერ, ისევ ჰაილ ჰიტლერ და ისევ სამგზის ჰაილ ჰიტლერ, ჩვენს საყვარელ ფიურერს!..

... ბრალდებულთ რომ სიკვდილს უსჯიდნენ, ეს გასაგებია: ომის დროს სახელმწიფოს მეთაურსა და მთავარსარდალზე თავდასხმის მონაწილენი კანონის ძალით. მართლაც, სასჯელის უმაღლეს ზომას იმსახურებენ და ასეთი განაჩენის გამოტანა არავისთვის ბრალდებად არ წაუყენებიათ. მაგრამ გასაოცარი თვითონ ფორმა იყო სიკვდილით დასჯისა.

როცა გენერლებს სიკვდილით სჯიან, ჩვეულებრივად, ღირსების რაღაც ელემენტარულ წესს მაინც იცავენ: ჩამოხრჩობას დახვრეტით უცვლიან, თვითმკვლელობის საშუალებას აძლევენ ან, თუ მაინც ჩამოახრჩობენ, სამხედრო ფორმას როდი ხდიან. აქ კი ყველაფერი სწორედ პირუკუ ხდებოდა.

გავიხსენოთ, გერინგმა რომ მოიგონა, სიკვდილმისჯილები პირაღმა დააწვინეთ, რათა მოქნეულ ნაჯახს თვალი მოჰკრან და ელდა ეცეთო, ან კიდევ — ის, დანტეს ჯოჯოხეთში დამნაშვეებს ნეკნებით რომ კიდებდნენ.

ჯალათის ფანტაზია ამ შემთხვევაში უფრო შორს წავიდა!

არ ვიცი, ვინ მოიგონა ეს: ჰიტლერმა, იმავე გერინგმა, თუ ჰიმლერმა, რომელსაც გრეგორ შტრასერი იმთავითვე ყასაბს უწოდებდა. ამბობენ, თვითონ ჰიტლერმაო. შესაძლებელია, თუმცა ვეგეტარიანელი ჰიტლერისათვის ასეთი ყასბური ფანტაზია არცთუ ისე შესაფერისია!..

ასეა თუ ისე. სადღაც, სარდაფში, ნამდვილი საყასბო მოაწყვეს, დახლიც დააყენეს და კედელზე დაკლული ღორების ჩამოსაკიდებელი ჩანგლებიც მიამაგრეს. თან ფოტოკორესპონდენტები და კინოოპერატორები მოიწვიეს, რომ მთელი ეს

პროცედურა ფირზე აღებეჭდათ და მომაკვდავთა უკანასკნელი წამოძახილი თუ ხრიალი ჩაეწერათ.

ყველაფერი რომ გაამზადეს, გვემა-წამებით სიკვდილის პირას მიწევნილი ფელდმარშალი ვიცლებენი და სხვა გენერლები შემოიყვანეს ამ საყასბოში და რიგში დააყენეს. ერთს რომ სიკვდილით სჯიდნენ, სხვებს უნდა ეყურებინათ, რათა წინასწარ განეცადათ ეს საშინელება... გერინგის რეცეპტის მიხედვით რომ მოქნეულ ნაჯახს მსხვერპლი ერთი წამით თვალს შეავლებს, ეს კიდევ არაფერია, იქნებ გააზრებაც ვერ მოასწროს, აქ კი შეუძლია ყველაფერს დააკვირდეს და ზედმიწევნით გაიგოს, რაც მოელის.

სიკვდილით დასჯის პროცედურა ასეთი იყო: ხელფეხშეკრული მსხვერპლი უნდა მიეყვანათ კედელთან და ცოცხლადვე ნიკაპით ჩამოეცვათ ღორების დასაკიდებელ ჩანგალზე! სხვები უყურებდნენ, სანამ...

ვერე სხვას მიიყვანდნენ, რომ იგივე გაემეორებინათ. ეს შემზარავი „პროცედურა“ მალე როდი თავდებოდა: მსხვერპლი კარგა ხანს ფართხალებდა ჩანგალზე, ვიდრე სული გაეყრებოდა სხეულს. მუსიკის მოყვარულმა ჰიტლერელებმა ამას „სიკვდილი პიანო“ უწოდეს. ეს, მართლაც, ძალიან ნელა ხდებოდა. კინოკამერები შრიალებდნენ, ჯალათი ესესელები კი მოთმინებით უცდიდნენ, ვიდრე ჩანგალზე ჩამოკიდებულ „ღორს“ სული ამოხდებოდა. მერე იმას ჩამოხსნიდნენ და სხვას მიიყვანდნენ ჩამოსაკიდებლად...

რამდენიმე გენერლის „გასტუმრების“ შემდეგ მინოტავრივით სქელკისერა ესესელებმა ხელფეხშეკრული მოხუცი ფელდმარშალი ვიცლებენი მიიტანეს კედელთან და ასწიეს. უკანასკნელ მომენტში ფელდმარშალმა თავი გააქნია, ჩანგალი ყბაში მოხვდა და თვალში გამოუვიდა. ჰიტლერის მითითების მიხედვით კი სიკვდილმისჯილისათვის ჩანგალი აუცილებლად ნიკაპქვეშ უნდა გამოედოთ. ამიტომ ესესელებმა „შეცდომა“ გაასწორეს, ისევ ჩამოხსნეს ფელდმარშალი და ახლა სწორედ ნიკაპქვეშ გაუყარეს ჩანგალი.

ფიურერის ბრძანება ამ შემთხვევაშიც ზუსტად იქნა შესრულებული!..

შემდეგ სხვა გენერლებიც ჩამოაცვეს ჩანგალს რიგრიგობით...

... ყოველივე ეს, როგორც „სასამართლო პროცესი“, ისე სიკვდილით დასჯის სცენა, რამდენიმე ათას მეტრ ფირზე იქნა გადაღებული. ფილმი გამოვიდა! ჰიტლერმა იმავე ღამეს ნახა ის და, ერთხელ კი არა, რამდენჯერმე. როგორც კალტენბრუნერმა გვიამბო ნიურნბერგში, ჰიტლერი ტკბებოდა ყოველივე ამის ცქერით. როცა ის კადრები გამოჩნდა, ესესელები რომ ფელდმარშალ ვიცლებენს კიდებენ ჩანგალზე, იგი აღგზნებული წამოხტა ადგილიდან და, რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი ეკრანს ესროლა, თან ყვიროდა:

— ეგრე, ეგრე უნდა მაგას!..

ამბობენ, გებელსმა ვერ აიტანა ამის ყურება და თვალებზე ორივე ხელი აიფარაო. სხვებს კი ამის საშუალებაც არ მისცეს.

ჰიტლერის ბრძანებით, ყველა გენერალი ვალდებული იყო ენახა ეს ფილმი „ჭკუის სასწავლად“. კალტენბრუნერი შეკრებდა მათ კინოდარბაზში, თვითონაც იქვე დაჯდებოდა და უთვალთვალებდა. როგორც კი ამ საშინელი სანახაობით შეძრწუნებული რომელიმე გენერალი თავს გვერდზე ბიაბრუნებდა ან თვალებს დახუჭავდა, კალტენბრუნერი უყვიროდა:

— გვერდზე ნუ იყურებით, თვალები გაახილეთ!..

თუ ვინმე მაინც გაჯიუტდებოდა, შემდეგ სეანსზე დატოვებდა და მაინც აყურებინებდა...

... მეც რამდენჯერმე ვცადე ამ ფილმის ყურება, მაგრამ ბოლომდე ვერც ერთხელ ვერ გავუძელი. სასამართლო „პროცესს“, ასე თუ ისე, მაინც ვუყურებდი, მაგრამ საყასბოს სცენებს...

ეს მართლაც ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებლობას აღემატებოდა!.. კალტენბრუნერს კი ვკითხე ნიურნბერგში:

— რატომ აკეთებდით ასე? ან თქვენ თვითონ რატომ აიძულებდით გენერლებს ეყურებინათ ამ საშინელებისათვის?

გაყინულ სახეზე რაღაც შემზარავმა ღიმილმა გადაურბინა და თქვა: ასე რომ არ მოვქცეულიყავი, მეც იმ ღორებივით ჩამომკიდებდნენ ჩანგალზეო...

...მერე თვითონ კალტენბრუნერი დაჯდა საბრალდებულო სკამზე. დარბაზში სინათლე ჩააქრეს და მისი თანაშემწის, ნებეს. ბინაში ნაპოვნი ის კინოფილმი დაატრიალეს.

სპეციალური ელექტროგაყვანილობით მხოლოდ ბრალდებულთა სახეები იყო განათებული. დარბაზში მყოფი ექიმები და ფსიქოლოგები აკვირდებოდნენ მათ რეაქციას. კალტენბრუნერი გაქვავებული იჯდა, გაყინული, მიჩვეული და შეგუებული. ყველაზე საშინლად კი მე ის მეჩვენა, მოწყენილობისაგან დროდადრო რომ ამთქნარებდა და ბოლოს ძილი ისე მოერია, თვალებიც მილულა...

მისთვის არავის დაუყვირია თვალები გაახილეო, არც ფილმის ჩვენება გაუმეორებიათ...

... ბრალმდებლები ადამიანთა წამებისა და მოკვლის ახალ-ახალ იარაღებს უჩვენებდნენ ტრიბუნალის წევრებს. დარბაზში წარმოუდგენელი გუგუნი იდგა... მერე, როცა „საყასბოს" სცენის ხელახალი დემონსტრაცია დაიწყო... აქა-იქ ქალების კივილი გაისმა... ვიღაცა რაღაცას ყვიროდა... ლოურენსი ამაოდ აბრახუნებდა მაგიდაზე ხის ჩაქუჩს. ჩემი მეგობარი ფრანგი პოეტი შეძრწუნებული ჩამძახოდა ყურში:

— ეს ხომ ინკვიზიციაა, შუა საუკუნეთა მისტერია!.. კოცონი... კოცონი დაანთეთ მოედნებზე და დაწვით ადამიანები!.. ამგვარი საყასბოების გამართვას ესა სჯობს...

მერე ერთი-ორჯერ სხვების გასაგონადაც წამოიძახა:

— ვივა ინკვიზიცია, ვივა ლოიოლა!..

ფილმის ჩვენება რომ დამთავრდა და დარბაზში სინათლე აანთეს, ნახევარზე მეტს ზურგი ჰქონდა ეკრანისათვის შექცეული... მე კი ასე მეგონა, იმ ერთ საათში ჯოჯოხეთის ცხრავე გარსი გავიარე და, ჩემივე ადამიანური არსებისაგან დაცარიელებული, არარაობის რაღაც ბნელსა და გაურკვეველ სფეროში მოვხვდი...

... ახლაც იმაზე ვფიქრობ, თუ ვინ მოიგონა ადამიანთა წამებისა და ხოცვა-ჟლეტის ამდენი შემაძრწუნებელი, მაგრამ „გონებამახვილური" საშუალება?! არ ვიცი, იქნებ სადმე არსებობს და ვინმემ შეისწავლა კიდეც ადამიანის მიერ თავისივე მოყვასის წამების ისტორია. ძალიან კი მაინტერესებს: სად და რო-

გორ ჩაისახა ეს სიმახინჯე პირველად? როგორ ჩამოყალიბდა იგი? ვინ უწყობდა ხელს კაცობრიობის ამ სამარცხვინო მოვლენისა და მის ტექნიკურ საშუალებათა განვითარებას? ოცი ათასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც homo sapiens ჩამოყალიბდა. ორასი საუკუნე აქვს „გონიერი ადამიანის“ ისტორიას. ამიტომ შეიძლება ძალიან გიმძიმდეს კაცს, მაგრამ მაინც უნდა აღიარო: რაც უფრო ვითარდება კაცობრიობა, ცივილიზაცია, ეს სიმახინჯე უფრო არტისტული ხდება, თუმცა მარტო ტაუერის მუზეუმი რას ეყოფა ამის წარმოდგენას! იქნებ ადამიანთა წამების ტექნიკის ისტორიაც დაწეროს ვინმემ. ეს ხომ უსაშინელესი წიგნი იქნება! თუმცა რა უშავს, იკითხონ, შეძრწუნდნენ! შეეშინდეთ კიდეც, რომ ხელი აიღონ ამ საზიზღრობაზე, თორემ ამის მოთმენა სამარცხვინოა, შეგუება — მით უმეტეს! თავში რომ უცებ კალეიდესკოპივით გაგიაროს, წამების თუ რა ფორმები გაგიგონია, ტვინი აგემღვრევა კაცს. ხომ ფაქტია, რომ საზოგადოების განვითარების არც ერთ ფორმაციას არ უთქვამს ამ სიმახინჯეზე უარი. ძველი ეგვიპტე და ბაბილონი, აღმოსავლეთი და დასავლეთი საუკუნეების მანძილზე აუმჯობესებდნენ ადამიანის წამების ტექნიკას. რა არ მოიგონეს: სარზე დასმა, თვალების დათხრა, ცხენის კუდზე მობმა, ორ გადმოდრეკილ ხეზე ფეხებით მიკვრა და შუაში გახლეჩა, ნაწლავების გამოწელვა და ვინ იცის კიდევ რა. ეს ყველაფერი იყო. მაგრამ თუ ამაზე უარესი იქნებოდა ჩვენს დროს, მეოცე საუკუნეში, და ისიც უაღრესად ცივილიზებულ ევროპაში, ამას კაცის შვილი არ იფიქრებდა...

პროცესზე კი მართლაც შემზარავი ამბები გამოავლინეს.

ბრალმდებლებს ყოველდღიურად ახალ-ახალი ფაქტები მოჰქონდათ. რას არ ამბობდნენ! რას არ ყვებოდნენ! მერედა რა საბუთიანობით! ყველაფერი ზუსტად იყო აღწერილი, დოკუმენტებით დადასტურებული და დამსწრეთა ჩვენებებით დამოწმებული!

აი, ტრიბუნაზე დგას ფრანგი პასტორი, ოსვენციმის ყოფილი ტუსაღი, ხელები უკანკალებს, თვალებიდან ცრემლი გადმოსდის და ისე ყვება მათ ბანაკში გასართობად და „ნერვების გასამაგრებლად“ მოსული „მოხალისე მკვლელების“ ამბავს:

ესესელის შავ მუნდირში გამოწყობილ ოფიცერს დასახვრე-

ტად გამოჰყავს დედაბერი, მისი ქალიშვილი და სამი წლის შვილიშვილი. ჯერ თეთრ ხელთათმანს იკეთებს, რევოლვერის ვაზნაში ერთ ტყვიას დებს და თავაზიანად მიმართავს მოხუცს:

— ბები, რა გირჩევნიათ, თქვენ დაგხვრიტოთ, თქვენი შვილი, თუ შვილიშვილი?

— მე! — კიევის დედაბერი და მუხლებში უვარდება.

— როგორ გეკადრებათ, მე პატივს ვცემ მოხუცებს, — ამბობს ოფიცერი და რევოლვერს პატარა გოგონას უმიზნებს...

ბავშვი გულუბრყვილო ღიმილით შეჰყურებს მას და უცინის. ოფიცერი ახლოს მიდის, თავზე ხელს უსვამს, მიესიყვარულება და... ესვრის...

გამწარებული დედა შვილს მივარდება, ძირს დამხობილი ბებია კი ვერც დგება ადგილიდან...

ოფიცერს წასვლა უნდა, მაგრამ დედის გამწარებულ კივილზე შეჩერდება და მეორე ტყვიას სდებს ვაზნაში...

— ქალბატონო, ნუ სწუხდებით, თქვენც გაგათავისუფლებთ ამ უსიამოვნებისაგან, — ამბობს იგი და მეორედ ისვრის.

დედაბერი ხელებით ფხაჭნის მიწას...

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბებიკო! — მიაძახებს მას ოფიცერი. ხელთათმანს წაიძრობს, რატომღაც გულმოდგინედ ათვალიერებს, მერე კი აგდებს და მიდის...

...ჯალათი რაც უნდა იყოს, ჯალათია და მისი ხელობა ყოველთვის ერთი და იგივე იყო, მაგრამ ეს „მოხალისე მკვლელები“ სრულიად ახალი მოვლენაა. ასეთ ადამიანებს მკვლელობა ეამაყებათ. ეს თურმე ნებისყოფისა და ხასიათის სიმტკიცის მაჩვენებელია!

რიგის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი უფროსი გუსტავ ზორგე ტრიბუნალის წინაშეც კი ტრაბახობდა თავისი შეუდარებელი გულქვაობისა და სადიზმის გამო. როცა მას ვინმე ფიკერისა და შუბერტის გაუგონარ სისასტიკეზე ჰკითხეს, ზორგემ ეს იწყინა და თქვა: ისინი აწამებდნენ პატიმრებს და გამოირჩეოდნენ თავიანთი სისასტიკით, მაგრამ ამაში მე ვერც ერთი მათგანი ვერ გამიტოლდებოდაო.

დარბაზში მყოფთ ტანში ჟრუანტელმა დაგვიარა. ეფექტი

ისე შემაძრწუნებელი იყო, რომ დამცველმაც კი ჰკითხა ზორგეს:

— როცა ბრალმდებლის კითხვას უპასუხებდით, თქვენ თქვით, რომ ზედმეტ სახელად „რკინის გუსტავს“ გეძახოდნენ. გვითხარით, გეამაყებოდათ ეს, თუ სირცხვილის გრძნობას განიცდიდით?

— არა, მე ვამაყობდი ამით! — უპასუხა მან.

„რკინის გუსტავს“ მართლაც ვინ შეედრებოდა სასჯელის გამოგონებაში!

ბრალმდებელმა ჰკითხა მას:

„შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ შემთხვევა როგორ იქნა მიწაში ცოცხლად ჩამარხული „ბიბლიის მკვლევართა“ სექტის ერთ-ერთი წევრი რაბინი?

ზ ო რ გ ე: დიახ, შემიძლია. იგი ჩამარხულ იქნა მიწაში კისრამდე. ჯერ ორმო ამოთხარეს, მერე ჩააყენეს ისე, რომ მარტო თავი დარჩენილიყო ზევით, და მიწა მიაყარეს.

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: როგორ აწამებდნენ მას მიწაში ჩამარხვის შემდეგ?

ზ ო რ გ ე: დანარჩენ პატიმრებს ვაიძულებდით მისულიყვნენ და რიგრიგობით მოესურვილებინათ მის თავზე, ვიდრე „ჭუჭყის გორა“ სულ არ დაფარავდა და არ დაიხრჩობოდა...

დარბაზში ხმაური ატყდა, თავმჯდომარე ლოურენსმა ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა და ჩაქუჩი დაჰკრა მაგიდას. დაკითხვა გაგრძელდა:

ბ რ ა ლ მ დ ე ბ ე ლ ი: ვისი ბრძანებით მოხდა ეს?

ზ ო რ გ ე: ჩემი!..

ბრალმდებელი ისე დაიბნა, რომ ენის ბორძიკით მიმართა ადგილზევე გაქვავებულ მოსამართლეთ:

— აი, შედეგი ფილოსოფიური ნიჰილიზმისა, პიროვნების ყოველგვარი ღირებულების უარყოფისა, სულის უარყოფისა, ღმერთის უარყოფისა!..

ჩემმა მეგობარმა ფრანგმა პოეტმა ეს კი ვეღარ მოითმინა, ისევ წამოხტა და დაიძახა:

— თუ ღმერთი უარყოფილია, ყველაფერი ნებადართულია!..

ამგვარი წამოძახილისათვის იგი ერთხელ უკვე იყო გაძევე-

ბული დარბაზიდან. ახლაც, ეტიენსა და ლიზელოტას რომ გაჰყავდათ კორესპონდენტთა იარუსიდან, სულ იმ ჯალათ ზორგესაკენ იშვერდა თითს და ნიშნის მოგებით იძახდა:

— Ecce homo!.. ecce homo!.. (ეს არის ადამიანი!.. ეს არის ადამიანი!..).

ფრთამოტეხილი იკაროსი...

პროცესზე მოსმენილი საშინელი ამბით გაშმაგებული შარლი სასტუმროში კი მივიყვანეთ, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ დაწყნარდა. იგი ლანძღავდა ყველასა და ყველაფერს, წყევლიდა ადამიანის გაჩენის დღეს, გველთა და ღრიანკალთა ბუდეს უწოდებდა გერმანიასა და მთელ კაცობრიობას...

ახლაც მახსოვს მისი ქადაგება იმის შესახებ, რომ კაცობრიობა ორ ჯგუფადაა გაყოფილი: პირველ ჯგუფს კაენის მოდგმა წარმოადგენს, მეორეს — აბელისა. თავის თავს იგი კაენის მოდგმას მიაკუთვნებდა, ხოლო ეტიენსა და მე, ე. ი. „დანარჩენ კაცობრიობას“ — აბელისას. კამათის დროსაც სულ ასე ამბობდა: „ჩვენ“ და „თქვენ“. „ჩვენ“ იყო ამბოხებულ გენიათა ჯგუფი, „თქვენ“ — ყველა დანარჩენი. პირველი ჯგუფის გენიალურ წარმომადგენლებად მას ეკლეზიასტე, დანტე, ბოსხი, დიურერი, გოია, ბოდლერი, რემბო და ე. წ. „დაწყევლილი პოეტები“ მიაჩნდა. მათ შორის ბოდლერსა და რემბოს თავის სალოცავ ხატად თვლიდა. კისერზეც ხელისგულისოდენა მედალიონი ეკიდა, რომლის ერთ მხარეს ბოდლერი იყო გამოსახული, მეორე მხარეს კი — რემბო. კამათის დროს თავისი წვრილი და ნერვიული თითებით სულ ამ მედალიონს აწვალებდა. თავად ჩია კაცი იყო, გამხდარ-გადაფითრებული, ცისფერთვალება, თმაშეთხელებული, მძიმეებივით ჩამოშვებული ულვაშებითა და თაგვსავით წვრილი კბილებით. ავადმყოფურად ფაქიზი და ნერვიული გამომეტყველება ჰქონდა. ცხოვრებაზეც გულაყრილი იყო, ყველაფრისადმი ზიზღით შეპყრობილი. ასე ამბობდა, მე ფრთამოტეხილი იკაროსი ვარო.

ეტიენმა ჰკითხა, რატომ ფრთამოტეხილი, იკაროსს ხომ მზის სხივებმა გაუდნეს ფრთები გაფრენის დროსო.

შარლმა ხელი ჩაიქნია და თქვა:

— ერთი ფრთა მე ჯერ კიდევ მზისაკენ გაფრენამდე მომტეხეს, მეორეს კი ახლაც ვაფართხალებ, მაგრამ ფრენა არ შემიძლია. თქვენ კი არც ერთი ფრთა არა გაქვთ და არც არასოდეს გქონიათ, ამიტომაც გძულთ ყველა, ვისაც ფრენა შეუძლია. თვითონ კი დგახართ ორივე ფეხით მიწაზე და ტკბებით თქვენივე არარაობით. ზოგჯერ სალოცავად თუ აღაპყრობთ ხელებს მაღლა, თორემ ზეცასთან სხვა რა საქმე გაქვთ!..

ლომის ტყავზე წამოწოლილი ლიზელოტა სიამოვნებისაგან დაიგრიხა. ეტიენმა კი ვეღარ მოითმინა იმ „უსისხლო და უხორცო შარლის“ ასეთი ქედმაღლური ლაპარაკი და შეუტია. შარლი უფრო აღელდა, მაგრამ არ დაბნეულა, ოღონდ ის იყო, რომ იმ თავისებურ „ჩვენსა“ და „თქვენს“ უმატა. იგი ერთმანეთს უპირისპირებდა წყეული პოეტების „მოწამებრივ სიკეთეს“ და „დანარჩენი სამყაროს უკეთურებას“. საკმარისი იყო ცხოვრების რამე შემაძრწუნებელ ფაქტს წასწყდომოდა, რომ მაშინვე კოსმოსურ მასშტაბამდე გააზვიადებდა ყველაფერს. ორმოში ჩაგდებულ ქადაგ იოქანაანივით სულ რაღაც კატასტროფის მოახლოებაზე ლაპარაკობდა. „წყეული პოეტები“ ინტუიციით გრძნობდნენ ამასო, ამბობდა, და რატომღაც „ჩვენ“ გვდებდა ბრალს ბოროტების ამგვარ მოძალებაში.

ეტიენი მე მომიბრუნდა და შარლის გასაგონად მითხრა:

— კოლეგა, ერთი ჰკითხეთ ამ ენაქარიან ცერცეტს, ჩვენ რას გვემართლება ნეტავი?

შარლმა უცებ იფეთქა, ფეხზე წამოხტა და სეტყვასავით მოგვაყარა სადღაც გაგონილი ფრაზები:

— იმას გემართლებით, რომ ზიზღსა და შიშს იწვევთ თქვენი გულისამრევი კმაყოფილებით! არ გინდათ გაიგოთ, რომ ეს ქვეყანა ისეთია, სადაც შეიძლება მხოლოდ დანაშაული ჩაიდინო ან შეიშალო... ცხოვრება საზიზღრობაა, ბოროტების მარადიული სიმძიმე, სისასტიკის მომხიბვლელობა, უკიდურესი შეუცნობლობა, მშვენიერებას მოწყურებული საზიზღრობა, დანტეს ჯოჯოხეთი, ბოსხისა და დიურერის კოშმარები, გოიასა და ვან-გოგის შეშლილი ფერები...

— ილაპარაკე, იოქანაან, ილაპარაკე! შენი ხმა მე მართობს, — წამოიძახა ლიზელოტამ, რომელმაც თავი იუდეველთა მეფის ასულ სალომეად წარმოიდგინა...

შარლი ერთი წამით შეჩერდა, მედალიონი გადმოაბრუნა და ისევ გაშმაგებით შემოგვიტია:

— აბა, გადაფურცლეთ რემბოს „წყეული უბის წიგნაკის“ საზარელი გვერდები! რას არ ნახავთ იქ: გაზაფხულის იდიოტურ ღიმილს, კერპთაყვანისცემისა და მკრეხელობის ხოტბას, წარმართული სისხლის მობრუნებას, მტაცებელი ცხოველის ყრუ ნახტომს, დაწყევლის სიამოვნებას, სასოწარკვეთის მომხიბვლელობას, მიცვალებულთა გათოშილ ოცნებას, სულიერი სიღატაკის წყაროს, დანაშაულის სიშიშვლეს, ცის უსარგებლო სიცარიელეს და ვინ იცის კიდევ რას!.. თქვენ კი ყოველივე ეს ბოდვად მიგაჩნიათ, სიგიჟედ. იმას კი ვერ ხვდებით, რომ ამ სიტყვებში ცხოვრების ქაოტური არსი იხატება, ხალასი ჭეშმარიტება, კეთილისა და ბოროტის შემზარავი ერთიანობა. მაგრამ თქვენ ხომ ამის მოსმენა არ გსურთ. არ გინდათ შეიგრძნოთ, რომ ქვეყნის შექმნის დროს ღმერთს გვერდით სატანა ედგა, ქრისტეს — იუდა, ფაუსტს — მეფისტოფელი! განა დანტემ ერთხელ უკვე არ მოგატარათ ჯოჯოხეთი? ბოდლერმა უფსკრულში არ ჩაგახედათ? აქ, ამ ქალაქში, არ დადიოდა დიუერერი? ახლა? ახლა ხომ აგიხდათ ყველაფერი! აი, თქვენი შემზარავი სამოთხე! და ჯოჯოხეთიც, ყველაფერი, რასაც ფარისეველურად „გონივრულ სამყაროს“ ეძახით! ესეც თქვენი Homo sapiens— გონიერი ადამიანი, თავისივე მოყვასს რომ ცოცხლად მარხავს მიწაში და ზედაც... ხომ მოისმინეთ რა თქვა საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტმა!.. ესა ხართ თქვენ, აბელის მოდგმა, გონიერი ადამიანის უკეთური შთამომავლობა...

— არა, ეს აუტანელია!— სცადა სიტყვის ჩამორთმევა ეტიენმა, მაგრამ შარლი ისე იყო წყევლის ექსტაზში შესული, რომ უკვე ვერავითარი ძალა ვერ შეაკავებდა.

ლიზელოტაც ცეცხლს უნთებდა მას:

— ილაპარაკე, იოქანაან, ილაპარაკე!..

შარლი კი ისევ ეტიენს უტევდა:

— ნუ ფარისეველობთ, თქვენ ყველაფერს აიტანთ. გხედავთ, რა მოთვინიერებული ცხოველებიცა ხართ, ინტელიგენტები, რომელთაც მოქმედებისა გეშინიათ და თავს სილაში მალავთ, სამაგიეროდ, ჩვენ რომ განგაშს ვტეხთ და ვიწყევლებით, თქვენ შეშლილებს გვეძახით და საგიჟეთში გვგზავნით. ჩვენ მშივ-

რები დავწანწალებთ ქუჩა-ქუჩა, თქვენს სუფრას კი ოხშივარი ასდის. თქვენ მოჰკალით სეზანი ‘ბიმშილით, თქვენ შეშალეთ ვან-გოგი, ლოტრეამონი, კორბიე, და ბოლოს, მამაზეციერიც. ძონძებში გახვეული ჟერმენ ნუვო ქუჩაში იჩოქებდა, ხელებს ზეცისაკენ აღაპყრობდა და ამბობდა:

— ო, ადამიანებო, რომ იცოდეთ რა დიდია ღმერთი!

თქვენ იგი საგიჟეთში გაგზავნეთ.

თქვენ გგონიათ იმათ სიცოცხლე არ უყვარდათ? სიკეთესა და სილამაზეს პატივს არ სცემდნენ? როგორ გეკადრებათ! სწორედ ეს დიდი სიყვარული აიძულებდათ მათ წყევლა-კრულვა შემოეთვალათ თქვენთვის. თვითონ კი სიძულვილშიც სიყვარულისაკენ ისწრაფოდნენ, ბორეტებაშიც სიკეთის ნაპერწკლებს ეძებდნენ, სიმახინჯეში — მშვენიერებას...

ბოდლერი რომ კვდებოდა, თაყვანისმცემლებმა მისი ოთახი ყვავილებით მორთეს, ქედლებზე მისი საყვარელი სურათები დაკიდეს, თეთრებში გამოწყობილი ლამაზი ქალიშვილები მოიწვიეს. ისინი უკრავდნენ პოეტის საყვარელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს და ასე, მშვენიერების უკანასკნელი ხილვით, ნაზი სურნელებითა და ტკბილი ჰანგებით მიიბარა მისი სული უფალმა...

ვერლენს რომ არავინ მიხედა, სიკვდილის წინ უკანასკნელი გროშები მოაგროვა, ოქროსფერი საღებავები იყიდა, თავის მანსარდაში აძვრა და, ვიდრე სული არ ამოხდა, დამსხვრეულ-დაშტვრიანებულ ავეჯს ავარაყებდა...

ასე ისწრაფოდა მათი სული სიკეთისა და სილამაზისაკენ, თუმცა ცხოვრებაში სულ ბორეტებასა და სიმახინჯეს ხედავდნენ! მაგრამ მერე რა? როცა ისინი ოცნებობდნენ, თქვენ ზანტად იზმორებოდით და ქრისტეს ათ მცნებას იზეპირებდით, რომ ქვეყანა ციხედ და სასაკლაოდ გექციათ. ადამიანები მოიქანცნენ თქვენ მიერ მოგონილი ჯვრის თრევით გოლგოთაზე, თქვენ კი უსარგებლო ცოდნით იტენიდით თავს ან საკონცენტრაციო ბანაკებში ერეკებოდით და ხოცავდით თქვენსავე მოყვასთ.

— ჩვენ ვერეკებოდით?! ჩვენ ვხოცავდით? როგორ ბედავთ ამას?! — წამოხტა ეტიენი.

— დიახ, თქვენ, თქვენ, თქვენ! — შეუტია შარლმა. —

გაიგეთ, რომ ყველანი ერთი მოდგმისანი ხართ, ერთი ჯურის, ერთი სისხლისა და ხორცის! მაგრამ გრცხვენიათ ამის აღიარება, და, ვითომ სიკეთეს ვიცავთო, ფაციფუცობთ, კანონთა ძველ ფოლიანტებს ფურცლავთ, ბოროტებასა და დანაშაულს ებრძვით. იმას კი ვერ ხედავთ, როგორ ედება ქვეყანას ხანძარი.. არც ის გინდათ აღიაროთ, რომ თქვენ თვითონ წაუკიდეთ ჰატრუქს ცეცხლი, თქვენ გახსენით ჯოჯოხეთის კარები და გამოუშვით ბოროტი სულები. იმ ყუთსაც თქვენ ახადეთ თავი და, მთელ ქვეყანას მოსდეთ საშინელი ცოდვები, მერე კი ყველაფერი პანდორას გადააბრალეთ. იმ საცოდავს მხოლოდ ხელში ეჭირა ყუთი, თავი კი პრომეთეოსის ძმამ ახადა, იმ პრომეთეოსისა, თქვენთვის რომ ცეცხლი მოსტაცა ღმერთებს. ცოდვებიც აქედან მოდის. ეჰეი, რომ იცოდეთ საიდან! უხსოვარი დროიდან. თქვენ კი გზადაგზა ლეღვის ფოთლით იმოსებით, ტანსაცმლით ფარავთ თქვენს სიშიშვლეს, თმას ივარცხნით, იხუჭუჭებთ და ლამაზდებით, ხოლო სული ისევ იმ ცოდვებით გაქვთ დამძიმებული. ახლა კი ამ ოცდაორ განათლებულ ველურს აბრალებთ ყველაფერს. გინდათ ისინი დასაჯოთ და სინდისი მოიწმინდოთ. ეს ამაო ცდაა!.. ამ მუწუკებს რომ მოიშორებთ, ასი და ათასი სხვა გამოგივათ. თქვენი სახე, სულერთია, მაინც არ დაიწმინდება. ხომ ხედავთ, ჯერ მათი ჩამოხრჩობა ვერც მოასწარით, რომ იაპონიაში ჯოჯოხეთის ახალი ცეცხლი დაატრიალეთ!.. დრო მოვა და თქვენც დასხდებით საბრალდებულო სკამზე!.. საშინელი სამსჯავრო მარადიულია. იგი ღმერთმა დააწყევლა თქვენი გაჩენის დღეს და გაგრძელდება უკუნითი უკუნისამდე!..

აღშფოთებული ეტიენი სულს ძლივს ითქვამდა და ისევ ბუტბუტებდა:

— ეს გაუგონარი რამაა, ეს საზიზღრობაა! ღმერთო, რა ესმის ჩემს ყურებს!..

ლიზელოტა კი ისევ გაიძახოდა:

— ილაპარაკე, იოქანაან, ილაპარაკე!.. ხომ ხედავ ტეტრაქს ეშინია შენი!.. ამ ნარაბოტსაც ეშინია... აი, ამ ნარაბოტს! — მოაშვირა ხელი ჩემკენ.

შარლი ისედაც არ ეშვებოდა ეტიენს:

— განა პირველად გესმის ყოველივე ეს? მაგრამ თქვენ

ხომ ყურს არავის უგდებთ. თქვენ მიჰყვებოდით მაკედონელებს, ჩინგის-ხანებს, თემურ-ლენგებს, ნაპოლეონებს, ჰიტლერებსა და მისთანათ, ჩვენი კი არა გესმოდათ რა... ბოდლერი რომ ქუჩა-ქუჩა დაწანწალებდა, თქვენ ქსავიე დე რიკარის სალონში იკრიბებოდით და ქათინაურებით იპოხავდით ყბებს. გინდოდათ ის „შავი დემონიც“ შეგეტყუებინათ თქვენს არისტოკრატიულ ბუნაგში, მაგრამ იგი ზიზღით უარყოფდა ფარისევლურ მაამებლობას. ბევრი ეხვეწეთ, ემუდარეთ და ბოლოს... როგორც იქნა...

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოვიდა იგი თქვენთან: შავი აბურძგვნილი თმები ჰქონდა, ჰაშიშით ამღვრეული თვალები, უზარმაზარი შავი ყელსახვევი ეკეთა, შავი გახუნებული სერთუკი ეცვა... წელში მოხრილი, ზურგზე ხელებდაწყობილი, გრძელი ნაბიჯებით შემოვიდა იგი თქვენს სასახლეში, მარმარილოს თეთრ კიბეებს აჰყვა, მაგრამ არც შემოგხედათ, არც სალამი მოგცათ, ისე შევიდა გაჩირაღდნებულ დარბაზში და დაჯდა თავისთვის კუთხეში... თქვენ ეს გეუხერხულათ, მონოკლები შეისწორეთ, სახეზე ნაძალადევი ღიმილი გამოიხატეთ და ისევ მოჰყევით ტკბილსიტყვაობას: ლექსებს ამბობდით სილამაზეზე, სიკეთეზე, სათნოებაზე, მოყვასის სიყვარულზე, ის კი იჯდა კუთხეში და ზიზღით შემოსცქეროდა თქვენს გულისამრევ კმაყოფილებას... მერე ველარ მოითმინა, წამოდგა, ამღვრეული თვალებით მოგაჩერდათ და თითქოს ქვეყნის იქეთა მხრიდან მოგესმათ მისი შემზარავი სიტყვები:

— ბატონებო, გიჭამიათ თუ არა თქვენ ჩვილი ბავშვის ტვინი? აბა, სცადეთ, მას უმწიფარი ბერძნული ნიგვზის გემო აქვს!...

თქვენ შეძრწუნდით, აღშფოთდით. ის კი ისევ დინჯად ჩაჰყვა მარმარილოს თეთრ კიბეებს და ღამის სიბნელეში გაუჩინარდა...

სოდომის ასული...

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა შარლისა და ეტიენის ეს შეხლა-შემოხლა, რომ მისთვის ლიზელოტას არ დაედო ზღვარი. იგი უცებ წამოხტა, მეზობელი ოთახიდან ერთი

ბოთლი ვისკი შემოარბენინა და მაგიდაზე ჭიქები დააწყო. შარლს უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ლიზელოტამ ბაგეზე ხელისგული დააფარა:

— ახლა კი გაჩუმდი, იოქანაან, თორემ ნაამანს ვუბრძანებ შენი მოჭრილი თავი მომართვას, და მე სისხლში ვიცეკვებ ფეხშიშველი, აი, ამ ტეტრარქის წინაშე, — თითი ახლა ეტიენისკენ გაიშვირა ლიზელოტამ.

არ ვიცი, ჩვენ შორის ნაამანი რომელი იყო, მაგრამ ჩემი შეტყობით ეტიენს ტეტრარქის როლი მართლაც შეშვენოდა.

ლიზელოტამ ჭიქები შეავსო. ყველამ უხმოდ გამოვცალეთ. მერე მეორე, მესამე... შარლმა მეოთხეცა და მეხუთეც მიაყოლა, ლიზელოტამაც მიბაძა მას და იმ სოდომს გომორაც ზედ მიემატა.

ამის შემდეგ შარლი რაღაც ლექსს ბურტყუნებდა თავისთვის, ეტიენი „ფილოსოფიურად დუმდა“, ლიზელოტა კი ხელებს შლიდა, თითქოს შვიდი მოსასხამის ცეკვას განასახიერებსო ტეტრარქის წინაშე...

მერე ვისკითა და ქადაგებით თავგაბრუებული შარლი ისევ წამოხტა, სკამზე შედგა და დაიწყო:

— ვისაც ჯოჯოხეთში არ ჩაგიხედავთ, ამ ლექსს ნუ მოისმენთ!..

ლიზელოტამ ხელების თამაში შეაჩერა, შარლი სკამიდან ჩამოაგდო, ძალით დასვა და სრულიად შეცვლილი, ყალბი სანტიმენტალური ხმით გააბრტყელა:

— ო, შარლ, ძვირფასო! დავიღალეთ ამდენი პოეზიით. ქვეყანაზე რომ პოეტები არ გაჩენილიყვნენ, პოეზია მაშინ იქნებოდა მშვენიერი, თორემ ახლა...

„ჩესტერფილდი“ ამოიღო, ასანთს ხელი გაჰკრა და უფრო მინაზებულად დაუმატა:

— ანგელოზები თამბაქოს აბოლებენ და ცას ღრუბლები ეფინება... ეს არის ახლა პოეზია! ამას არა სჯობს ისევ ვისკი დავლიოთ! ალკოჰოლი ფანტავს მწუხარების აჩრდილებს...

ეს რომ თქვა, კიდევ ერთი ჭიქა გამოცალა და თავისი გაბუტული შარლი ბოდლერის სიტყვების თავისებური ვარიაციით შეირიგა:

— ბატონებო! დღედაღამ იყავით მთვრალი! ეს არის მთავარი ცხოვრებაში. იყავით მთვრალი, რომ არ განიცადოთ დროის შეუბრალებელი სიმძიმე, რაც მხრებზე გაწევთ და მიწაში ჩაგიტანთ. იყავით მთვრალი! მაგრამ რით — ღვინით, პოეზიით, ბოროტების სილამაზით, თუ იოქანაანის დაღვრილი სისხლით — ეგ სულერთია: რითაც გენებოთ, ოღონდ იყავით მთვრალი! და თუ ზოგჯერ იმ ქსავიე დე რიკარის სასახლის კიბეებზე ასვლისას ან ამ პროცესის ყურების დროს შენიშნავთ, რომ თქვენი სიმთვრალე ნელდება ან სულაც ქრება, მაშინვე ვისკი დაისხით და ჰკითხეთ ქარს, ტალღებს, ვარსკვლავებს, ფრინველებს, საათებს — ყველაფერს, რაც ფრინავს, დაქრის, კვნესის, მღერის ან ლაპარაკობს, ჰკითხეთ რომელი საათია და... ქარი, ტალღები, ვარსკვლავები, ფრინველები, თუ საათები გიპასუხებენ:

— თრობის საათია!..

— ჰო, მართლა, რომელი საათი იქნება ახლა? — შეწყვიტა უცებ დეკლამაცია ლიზიმ...

— როცა ლომები მიდიან დასაძინებლად! — შეასხვაფერა ნიცშეს ნათქვამი ეტიენმა.

ლიზელოტამ უკანასკნელი ჭიქა შეავსო და ისევ გაუტია:

— მაშ იყავით მთვრალი, რომ არ იქცეთ დროის მონებად... იყავით მთვრალი ღვინით, პოეზიით, სილამაზით თუ რითაც გენებოთ: სიყვარულით, სიხარულით, ოცნებით, ფიქრით, იმედით, ვნებით, მწუხარებით, ტანჯვით...

„ლომები“ რომ დასაძინებლად წავიდნენ, უკვე ღამის ორი საათი იყო...

კვადრატული სამკუთხედი...

მე ისინი ჯერ კიდევ კასელში ყოფნის დროს გავიცანი. მერე ისე დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ ნიურნბერგშიც მთელ თავისუფალ დროს ერთად ვატარებდით. ელზასელები იყვნენ და ერთნაირად კარგად იცოდნენ როგორც ფრანგული, ისე გერმანული. ეტიენი ინგლისურადაც ლაპარაკობდა. იგი

შტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, რუსოს ჩინებული მცოდნე და თაყვანისმცემელი. წიგნიც ჰქონდა გამოცემული ასეთი სათაურით: „რუსო — ჩვენი თანამედროვე“. სადაც უნდა ყოფილიყო, ამ წიგნს თან დაატარებდა. კამათის დროსაც სულ წინ ედო. როგორც კი რამე აზრის დასაბუთებას შეუდგებოდა, ორივე ხელს ლოცვანივით დაადებდა თავის წიგნს და ამით თითქოს გეუბნებოდათ: რასაც მოგახსენებთ, ყველაფერი აქ წერიაო. ეს სრულიად საკმარისი იყო მისთვის, რომ გამოთქმული აზრი დასაბუთებულად ჩაეთვალა. თუ შარლი შეეკამათებოდა, ისევ იმ წიგნს გადაშლიდა და რუსოს რომელიმე სენტენციას დაატაკებდა. ყველაზე უფრო თავისი „დიდი მასწავლებლის“ „ახალი ელიოზა“ უყვარდა, ამბობდა, „ახალი აღთქმის“ ბადალი წიგნიაო. დარწმუნებული იყო, რომ, თუ ახალგაზრდობა ამ წიგნს მიიღებდა როგორც ლოცვანს, ქვეყნად ბოროტება მოისპობოდა. სულ იმას გაიძახოდა, აღზრდაში მთავარი სულისა და ხასიათის წვრთნააო, თანაც, თავისი ნათქვამისათვის რომ მეტი წონა მიეცა, ბიბლიას იშველიებდა:

— სადაც არა არს სწავლა სულისა, არა არს კეთილ...

ამიტომაც ცდილობდა ყველაფერში სიკეთე აღმოეჩინა, თვით ბოროტებაშიც კი. ხშირად იტყოდა, ადამიანი ბოროტებაშიც კეთილიაო.

შარლი კი, პირიქით, ყოველგვარ სიკეთეშიც ბოროტებას ხედავდა. ლიზელოტა, როგორც წესი, „თავის შარლს“ უჭერდა მხარს და დასცინოდა „პატივცემული პროფესორის ეზოტერულ შეხედულებებს“.

მე არასოდეს მინახავს ესოდენ განსხვავებული ტემპერამენტისა და ხასიათის სამი ადამიანის ასეთი ერთობლიობა. დღემდე არც ის ვიცი, თუ რა „ნათესაური კავშირი“ იყო მათ შორის. ჯერ მეგონა ლიზელოტა ეტიენის ქალიშვილი იყო, თუმცა კი მიკვირდა არაბივით შავტუხა „მეტისი“ საიდან უნდა ჰყოლოდა მას. შარლი კი მის ქმრად, საქმროდ თუ ჩიჩისბეიდ, ანუ ოჯახის „პლატონურ მეგობრად“ მიმაჩნდა. მაგრამ, მერე რომ დავაკვირდი, ამ „წმინდა სამებაში“ სულ სხვა ექსპოზიცია მეღავნდებოდა. მართალია, ამის შესახებ გარკვევით ვერც ახლა გეტყვით რამეს, მაგრამ, როგორც ამბობენ, მიდასის ყუ-

რები მაინც არ დაიმალება. მე კი, მისი დალაქისა არ იყოს, ორმოს ამოვთხრი, ამ ამბის საიდუმლოს ჩავძახებ, ზედაც მიწას მივაყრი. მაგრამ, იმ ორმოდან ამოზრდილი ლერწამი თუ მთელ საიდუმლოს გაამჟღავნებს თავისი ჭორიკანა ფოთლების შრიალით, ეს უკვე ჩემი ბრალი აღარ იქნება... არც ის, თუ ყოველივე ამის წარმოდგენა ისევე შეუძლებელი გახდება, როგორც კვადრატული სამკუთხედის დახატვა...

...სამივე მათგანის ურთიერთობის ეს „მაგიური კვადრატი" ერთმანეთისადმი მიმართვის ფორმაშიც მჟღავნდებოდა.

— ჩემი ლამაზი ასული! — იტყოდა ეტიენი და ეშმაკური ღიმილით გადახედავდა ლიზელოტას.

— პატივცემული მამა,— გააბრტყელებდა ლიზელოტა, პატარა ინტერვალს გააკეთებდა, რატომღაც ისიც ჩაიცინებდა და ბოლოს დაუმატებდა: — ჩემი!...

შარლი ყოველთვის ასე მიმართავდა თავის „სულზე უტკბესს":

— ჩემო ძვირფასო ლიზელოტა!

ზოგჯერ ამ უსაშველოდ გრძელ სახელს შუაზე გაჰყოფდა და „ლიზი" ან „ლოტაო" უძახდა, ისიც შერჩევით: თუ ეტიენი „ლიზის" დაუძახებდა, შარლი აუცილებლად „ლოტაო" იტყოდა. ან — პირიქით.

ლიზელოტა კი უფრო სტანდარტული იყო:

— ჩემი საცოდავი შარლი! — წაიჩურჩულებდა ნელა და განგებ ამოიოხრებდა...

მე უფრო ოფიციალურ ტონს ვიჭერდი და ვამბობდი:

— ბატონო ეტიენ, ბატონო შარლ და...

აქ ერთხანს არც ვიცოდი, რა მეთქვა: „ქალბატონო ლიზელოტა", თუ უბრალოდ „ლიზი" ან „ლოტა". ზოგჯერ „სიტუაციის შესაფერის" კომპოზიტსაც ვადგენდი და გამოსაჯავრებლად ლიზის შ ა რ ლ ო ტ ა ს ვეძახდი, რადგან ამ სახელში „შარლიც" იყო და „ლოტაც".

... როცა ისინი ერთად იყვნენ, სულ ჩხუბობდნენ. შარლი თუ რამეს იტყოდა, ეტიენი ეცემოდა. ეტიენის ნათქვამს შარლი ვერ იტანდა. ლიზელოტა კი მარტო თავის სურვილებს უწევდა ანგარიშს. იმ დღეს რომ შარლმა წამოიძახა, თუ

ღმერთი უარყოფილია, ყველაფერი შესაძლებელიაო, ეტიენმა გაუსწორა:

— სწორი არ არის, ყმაწვილო! იქ ნათქვამია: „თუ ღმერთი არ არის“ და არა „თუ ღმერთი უარყოფილია“...

— ეგ სულერთია, — ჩაიქნია ხელი შარლმა.

— არა, სულერთი არ არის, — დაიჩემა მისმა მუდმივმა ოპონენტმა, — არყოფნა ერთია, უარყოფა — მეორე; თუ ღმერთი არ არის, ამაში დანაშაული არავის მიუძღვის, და თუ ღმერთი უარყოფილია, მაშინ თვით ადამიანები ვართ დაძნაშავე...

ლიზელოტას სულაც არ აინტერესებდა ღმერთის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ამიტომაც ატრიალებდა თავის ნებაზე ამ სენტენციას. საქმემ რომ მოიტანა, მან სრულიად უბრალოდ მითხრა:

— თუ სურვილი გაქვს, ყველაფერი ნებადართულია!

ყველაფერს თავის ნება-სურვილს უთანხმებდა. ვინმე რომ იტყოდა ასეო, ლიზელოტა არა, ისეო დაიჩემებდა. აქეთ წავიდეთო, რომ ეტყოდნენ, არა, იქითო, აიხირებდა. ისე, „პრინციპისათვის“, თორემ მისთვის ეს სულერთი იყო. განებივრებული ჰყავდათ და მუდამ ხელისგულზე უნდოდა ეტარებინათ. არც ისინი იხევდნენ ამაზე უკან: ერთხანს იდავებდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც ლიზელოტას ნათქვამს დაჰყვებოდნენ და ფარვანასავით ევლებოდნენ თავს ორივენი...

...ერთხელ მიუნხენში წავედით რაღაც საქმეზე. მანქანა დავაყენეთ და მთავარ პროსპექტს ფეხით გავუყევით. ცოტა ხნის შემდეგ ლიზელოტა გაჩერდა და თქვა, იქეთა მხარეს გადავიდეთო.

— რატომ? — გაიკვირვა ეტიენმა, ჩვენ რომ გვინდა, ის სახლი აქეთა მხარესაა!..

— არა, მე მინდა რომ იქით გადავიდეთ, — დაიჩემა ისევ ლიზელოტამ...

კარგა ხანს იდგნენ და დაობდნენ გადასულიყვნენ თუ არა. ბოლოს, რა თქმა უნდა, ლიზელოტამ თავისი გაიტანა და სამივენი პროსპექტის იქეთა მხარეს გადავიდნენ. მე კი ისევ ძველებურად განვაგრძე გზა და მალე მივადექი კიდეც იმ სახლს, სადაც მივდიოდით. ისინი ახლაც იდგნენ და დაობდნენ. მერე

ეტიენი და შარლი გადმოვიდნენ, ლიზელოტა კი „პრინციპულად“ დარჩა იქეთა მხარეს.

საქმე რომ მოვათავეთ და გამოვედით, ლიზი არსად ჩანდა. შარლი ხან აქეთ ეცა, ხან იქით, მაგრამ გაგიგონია! სადღა იყო „მისი ძვირფასი“. შემდეგ რომ მანქანასთან დავბრუნდით, ლიზი უკვე საჭესთან იჯდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ჰიუნსენ-ნიურნბერგის ავტოსტრადაზე გამოვედით თუ არა, გულმოსულმა თითქმის მაქსიმალური სიჩქარე ჩართო. მანქანა ისარივით მიქროდა ფართო მაგისტრალზე. თუ სადმე პატარა მოსახვევი იყო, ცალ მხარეს აყირავდებოდა და ისევ ისეთი სისწრაფით განაგრძობდა გზას. ჯერ შარლი აუჯანყდა, ასე სწრაფად ნუ მიგყავს მანქანაო, მერე შარლს ეტიენმაც ბანი დააწია, მაგრამ ამაოდ. თუმცა მე იმათზე მეტად ვიყავი შეშინებული, გაწბილებაზ მოვერიდე და თავი შევიკავე. ტრადიციული ჩხუბი ახლა მანქანაში მიმდინარეობდა. შარლი ყვიროდა გააჩერეო. ეტიენი წამოიმართა და მხრებში ჩაავლო ხელები ლიზელოტას. მანქანამ კი უფრო უმატა სისწრაფეს...

ბედი იყო თუ ლიზელოტას ოსტატობა, გადავრჩით. ნიურნბერგში რომ შემოვედით, ლიზიმ მანქანა გააჩერა, ჩვენთვის არაფერი უთქვამს, ისე ჩამოვიდა და ფეხით გაუყვა გზას. ყველამ ვიცოდით, რომ მასთან დავა წყლის ნაყვა იყო. საჭესთან შარლი დაჯდა და ქალს ტაატით მიჰყვა. ლიზელოტამ ერთხანს ასე გვატარა თავის კვალდაკვალ, მერე სადღაც შეუხვია დ თვალს მოეფარა.

მზის გახელება...

სასტუმროში რომ დავბრუნდით, შარლი უცებ დაგვიძვრა ხელიდან და გაიქცა. ალბათ, თავისი ლიზის თუ ლოტეს საძებნელად. ეტიენი და მე მარტო დავრჩით. უხასიათობა ეტყობოდა და ერთხანს ხმას არ იღებდა. საერთოდ დინჯი, დარბაისელი მოხუცი იყო, დაახლოებით სამოცი წლისა, იქნებ მეტისაც, მაგრამ ისე ჭარმაგად გამოიყურებოდა, რომ ორმოცდაათსაც არ მისცემდა კაცი. მოკლედ შეკრეჭილი წვერ-ულვაში ჰქონდა, წინ გადმოშლილი ჭაღარა თმა, ძლიერი სახე და

ალმაცერი თვალები. ვერასოდეს ვერ გაიგებდით, ლაპარაკის დროს თქვენ გიყურებდათ, თუ სხვა ვინმეს. კამათის ეშხში რომ შევიდოდა, ორივე ცერა თითს ჟილეტის სახელოებს გამოსდებდა, ათლეტურ გულმკერდს წინ წამოსწევდა და, თუმცა ბობოქრობდა, გარეგნულად არც იმჩნევდა ამას...

...ყავა უცებ მოამზადა, მაგიდაზე კიდევ რაღაც-რაღაცები დააწყო და, ვითომ რამე მეკითხოს, ისე დაიწყო:

— ეგ ისეთი ქვეყნიდანაა, კოლეგა, სადაც ადამიანებს ფილტვები ცხელი ხვატით აქვთ დამწვარი, გამდნარ ლითონსავით მაგარ სასმელებს სვამენ და შიშველი ცეკვავენ კოცონის გარშემო...

მაშინვე მივხვდი, რომ ლიზელოტაზე ლაპარაკობდა. შევატყვე რაღაც უნდოდა ეამბნა და მორჩილად მივყევი მის ნებასურვილს.

— მე იგი პირველად ალჟირის უდაბნოებში მოგზაურობისას ვნახე. ცამეტი წლის ტანაყრილი ქალიშვილი დედიშობილა დარბოდა მზით გახურებულ ქვიშაზე. არ იქნა და ვერ მივაჩვიე ტანის სიშიშვლე იმოდენად მაინც დაეფარა, როგორც ამას თანამედროვე ველურები შვრებიან. ახლოსაც არაფერს იკარებდა, გარდა ბრჭყვიალა მძივებისა. ალქაჯივით გაწეწილ მის თმებს სავარცხელი, ალბათ, არასოდეს შეხებოდა, არც წყალი — მის სხეულს. ზოგჯერ ქვიშაში ბანაობდა მხოლოდ. დიახ, კოლეგა, ქვიშაში... ერთხანს იკოტრიალებდა, ტანს გაიხეხავდა და ეს იყო მისი ბანაობა.

ჩემს გაოცებულ სახეს რომ შემოხედა, ალბათ, იფიქრა არ სჯერაო და დასძინა:

— ახლაც არა აქვს ეს ჩვეულება მოშლილი, მაგრამ ქვიშის მაგივრად ლომის ტყავებზე წვება და ისე ბანაობს...

გამეცინა. ეტიენმა უკმაყოფილოდ შემავლო თვალი და უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მე დავასწარი:

— მჯერა, ბატონო ეტიენ, როგორ არა მჯერა. ლიზი ისეთი ვინმეა, ლომის ტყავზე კი არა, გავარვარებულ ქვის ლოდზედაც იბანავებს...

ეტიენი ამით დაკმაყოფილდა და განაგრძო:

— მერე, როგორც იქნა, მივაჩვიე ჩაცმას, მაგრამ, მზე რომ

გაახელებდა, ველური ჟინი მოუვლიდა, ყველაფერს შემოიხევდა და ისევ შიშველი გარბოდა უდაბნოში. ზოგჯერ აქლემის ზურგზე აცოცდებოდა და მანამ აჭენებდა, ვიდრე ქანცგამოლეულ ცხოველს ქშენა არ აუვარდებოდა. ამაზე უცნაურს ვერაფერს ნახავს კაცი, შიშველი ამორძალი რომ აქლემს მიაქანებს უდაბნოში და თან ბედუინების გადაძახილის მსგავსად კივის: ე, ჰე, ჰეი, ბაააა! აფრიკული მზე და ავხორცობის იდუმალი ჟინი ახელებდა მას. ვერ ისვენებდა, სულ დარბოდა ან რქანაყარი გველივით იკლაკნებოდა და სახნისივით მაგარი მკერდით ხნულს ავლებდა გახურებულ ქვიშაზე. მერე პირაღმა გაიშოტებოდა და ფიქრით ელოდა, ალისფერფაფარაყრილი ბედაურები როდის გადაქელავდნენ მის სხეულს...

როგორც რუსოს მიმდევარი და მოგზაური დავინტერესდი შეიძლებოდა თუ არა, რომ აფრიკის ცხელ უდაბნოთა ეს ველური ნაშიერი ევროპულ კულტურას ზიარებოდა. ვიცოდი ძნელი იქნებოდა, მაგრამ მაინც წამოვიყვანე, არაბული სახელი არრიაჰ, თუ რაღაც ამის მაგვარი, ფრანგულით შევუცვალე, წერა-კითხვა ვასწავლე, სკოლაში მივაბარე და ახლა თქვენც ხედავთ, რაც არის...

ამას, რა თქმა უნდა, მე თვითონაც ვხედავდი, მაგრამ ეტიენი მაინც მიხსნიდა.

— წარმოიდგინეთ, რომ ათი წლის განმავლობაში ყველაფერი შეითვისა, მაგრამ ნეგატიურად: პატივისცემით კი არ განიმსჭვალა ჩვენი კულტურისადმი, არამედ ზიზღით. ხოლო ახლა შარლივით ყველაფერს დასცინის, ყოველივეს უარყოფს. ადრე მე მეგონა, რომ დემონი მხოლოდ მის სხეულში იჯდა და არა სულში. ვფიქრობდი კიდეც, ამას ადვილად ძოვლეპა-მეთქი, თუნდაც რუსოს აღზრდის სისტემით, მაგრამ მოვტყუვდი... სულით იგი ახლაც ისეთი ველურია, როგორიც უწინ იყო... მან ლაკმუსის ქაღალდივით შეიწოვა ჩვენი ცივილიზაცია, მაგრამ ფერი ოდნავადაც არ შესცვლია. იგი მხოლოდ მოთვინიერებულ ვეფხვს ჰგავს. საკმარისია ერთი დღით მოხვდეს უდაბნოში, რომ ისევ შემოიხიოს ტანსაცმელი და შიშველი გავარდეს მზეში... აფრიკული მზის მხურვალება მას ევროპაშიც გადმოჰყვა და ვერავითარმა ძალამ ვერ შეძლო მისი ვანელება...

... მართლაც ასე იყო. მე ახლაც თვალწინ მიდგას ის „გაევროპელებული ალქაჯი“. ეს მართლაც შიშის მომგვრელი სილამაზე იყო, ჩვენთვის სრულიად უცხო და გაუგებარი...

მახსოვს, რუმინეთში მოგზაურობისას „სილამაზის დეგუსტატორმა“ ბარანოვმა რომ ორი ღია ბარათი მიჩვენა. ერთზე ევროპელის თვალსაზრისით იდეალური სილამაზის ქალი იყო გამოსახული, ქვეშ კი ასეთი წარწერა ჰქონდა: „პარიზის დილა“. მეორეზე აღმოსაელური შავი ვენერა ეხატა წარწერით „აფრიკის ღიმილი“... მე იგი იმ არრიაჰს თუ ლიზელოტას ვამსგავსე. მართლაც, აფრიკის მცხუნვარე მზესა და უდაბნოთა ცხელ ხვატს თუ შეუძლია შექმნას ბრინჯაოს ამგვარი ქანდაკება. მე ჰესმის მისი: ლიზელოტა, როგორც ჩანს, ქვეშეცნეულად გრძნობდა „ცივილიზაციის ძონძების“ ზედმეტობას თავის ბრინჯაოსფერ სხეულზე და ყოველ ხელსაყრელ მომენტში სწრაფად თავისუფლდებოდა ამ „ფარისევლური ზედმეტობისაგან“. ვერც გაეგო, თუ რატომ რცხვენოდათ იმ „ცოდნით დამპალ ევროპელებს“ შიშველი სხეულის სილამაზისა. ფარისევლობენ და იმიტომო, იტყოდა ხოლმე. იგი ხედავდა, მთელი მსოფლიოს „ბღენძი ვაუბატონები“ და მათი ფრიად რესპექტაბელური მეუღლეები საათობით რომ იდგნენ ლუვრში მილოსელი ვენერას ქანდაკების წინ და ტკბებოდნენ მისი სხეულის ჰარმონიული მშვენიერების ჭვრეტით. მაგრამ, უცებ ის ქანდაკება რომ გაცოცხლებულიყო, სირცხვილით დაიწვებოდნენ მის მაგივრად, რადგან ცოცხალი სხეულის შიშველი მშვენიერება რატომღაც უზნეობად მიაჩნიათ.

— რატომ? — მაცდურად იკითხავდა ხოლმე ლიზი და, თითქოს რაღაც საიდუმლოს გვიმხელსო, ჩურჩულით დაუმატებდა:

— იმიტომ რომ ქრისტიანები არიან, ბატონებო, ქრისტეს მშობელი კი, მოგეხსენებათ, ქალწული იყო...

ამას რომ ამბობდა, ეტიენის თქმისა არ იყოს, „მაქსიმალურად ურცხვ ფორმაში დგებოდა“ და რაღაც ველური გახელებით იცინოდა, თან ცეცხლოვან თვალებს ისე აბრიალებდა, გველსაც კი გააშეშებდა ადგილზე...

— ეჰ, როგორც ჩანს, მართლაც დაბერდა ოლიმპის მბრძანებელი, თორემ კენტავრივით მოვარდებოდა ამ მზით გახე-

ლებული შავი ვენერას მოსატაცებლადო, — მითხრა ერთხელ ეტიენმა და ისე ღრმად ამოიოხრა, რომ მე ვერც მივხვდი, მართლაც ოლიმპიელი ზევსის სიბერეს უჩიოდა ბატონი პროფესორი, თუ საკუთარი თავისას...

შარლი კი ყოველთვის შიშნარევი აღტაცებით უყურებდა ლომის ტყავზე ურცხვად გაშოტილ ლიზის.

მეც რამდენჯერ შევსწრებივარ ამგვარ უცნაურ სურათს: ლიზელოტა ერთხანს აღგზნებული უსმენდა შარლის ქადაგებას, მერე უცებ წამოვარდებოდა, უდაბნოს მახრჩობელა გველის უცნაურ ნახტომს გააკეთებდა და იმ ანტილოპივით უსუსურ პოეტს ისე ჩაიმსხვრევდა მკლავებში, რომ საცოდავი შარლი ტკივილისაგან აკვნესდებოდა. გაშმაგებული ლიზელოტა კი გამარჯვებულის ზიზღით შეხედავდა მას, მერე ხელს ჰკრავდა და კუთხეში მიაგდებდა. თვითონ კი თითქმის შიშველ ტანს უცნაურად აიქნევდა, ისევ იმ ბედუინების გადაძახილის მსგავს „ე, ჰე, ჰეი, ბა�ა“-ს წამოიყვირებდა და საკუთარ გულისცემის რიტმს აყოლილი იწყებდა ცეკვას ისე, როგორც სალომეა ცეკვავდა იუდეველთა მეფის ჰეროდეს წინაშე. იგი „თავის შარლსაც“ იოქანაანს ეძახდა და, ვინ იცის, იქნებ ნატრობდა კიდეც როდის დაიჭერდა ხელში მის მოჭრილ თავს...

ჯალათი და შავი ვენერა...

ერთხელ ცნობისმოყვარეობამ წამძლია და ლიზის ვკითხე, მართლა ასე ძალიან გიყვართ თქვენი შარლი-მეთქი. პასუხის ნაცვლად ისეთი სიცილი აუტყდა, რომ ერთხანს გაოცებით მივჩერებოდი. მერე, რომ დაწყნარდა, ცეცხლოვანი თვალები შემომანათა და გესლიანად მომაძახა:

— გაგიჟებით!.. თქვენ ვერც წარმოიდგენთ, როგორც მიყვარს ჩემი საცოდავი შარლი!..

სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, სადღაც გაგონილი სიტყვებით დავმოძღვრე:

— გიყვარდეთ უფრო მეტად, ვიდრე თქვენ მას უყვარხართ, და არასოდეს იქნებით მეორე!..

ესეც იწყინა. ვისთანაც უნდა ვიყო, მე ყოველთვის პირველი ვარო, მითხრა და უფრო მშვიდად დაუმატა:

— საერთოდ. ისეთი ვინმე უნდა გიყვარდეს, ვინც არაფერში არა გგავს. ეს რაღაცით მაინც ავსებს შენს არსებას, თუნდაც ზიზღით... მე ის უფრო მიყვარს, ვინც მძულს... შარლი ხომ ჩემი იოქანაანია, წინასწარმეტყველი და ქადაგი. ო, რა სიამოვნებით დავიჭერდი ხელში მის მოჭრილ თავს და... ე, ჰე, ჰეი, ბა�ა!— აამღერა ისევ თავისი შოლტივით მოქნილი ტანი „სალომეამ“... მერე კი ყალბი, პაროდიული ხმით დაიწყო თავისი საყვარელი მონოლოგი:

— აჰა, შენ მე არ დამანებე ბაგე კოცნისათვის, იოქანაან! კარგი, ახლა მე ვაკოცებ მას. მე დავკბენ მას კბილებით, როგორც კბენენ მწიფე ნაყოფს...

— ფუჰ, რა საზიზღრობაა, არა! — შეწყვიტა მან უცებ დეკლამაცია და გაიცინა.

მე მაშინ დავრწმუნდი, რომ ამ ორ სხეულში მართლაც ერთი სული იდგა. ეს ეზიდებოდა მათ ერთმანეთისაკენ. ადრე ლიზი ალჟირის უდაბნოში დარბოდა, შარლს კი თავისივე სულში ჰქონდა უდაბნო. ლიზიც ალბათ ამიტომ პოულობდა მასში თავის სარბიელს, თუმცა, საქმეს რომ მოეტანა, ეს იუდეველთა მეფის ასული ჯალათ ნაამანის როლსაც სიამოვნებით იკისრებდა ან ვამპირის მსგავსად გამოსწოვდა სისხლს თავის „ძვირფას შარლს“... ლიზელოტაში ხომ არავითარი ბოროტება არ იწვევდა ზიზღს. პირიქით, როცა პროცესზე უსაშინელეს მკვლელობათა და ტანჯვა-წამების შემაძრწუნებელ ამბებს ყვებოდნენ, იგი სიამოვნებისაგან იგრიხებოდა... ზოგჯერ კი აღტაცებისაგან თავს ვერ შეიკავებდა, ტაშს შემოჰკრავდა და ისევ „ე, ჰე, ჰეი, ბაںںا“-ს შემოსძახებდა...

... შაბათ საღამოს ნიურნბერგის სასტუმროს რესტორანში ვისხედით. შუაღამე მოტანებული იყო, რომ ვიღაც მინოტავრივით სქელკისერა ამერიკელი სერჟანტი შემოვიდა და ალმასივით მჭრელი თვალებით დაუწყო თავისუფალ ადგილს ძებნა... დარბაზში უსიამოვნო ჩოჩქოლი ატყდა... ვიღაცები მაშინვე გავიდნენ... სხვებმა ზურგი შეაქციეს ახალმოსულს... ის კი დინჯად გაემართა დარბაზის შუაგულისაკენ და, სადაც თავისუფალი ადგილი ნახა, იქ დაჯდა. იმ მაგიდასთან ერთი

კაცი და ორი ქალი იჯდა. ისინი მაშინვე წამოცვივდნენ და კარებს მიაშურეს...

ალბათ, უხერხულობის მისაჩქმალავად ორკესტრმა საცეკვაო დაუკრა. წყვილები დარბაზის შუაგულში გავიდნენ. ის ამერიკელი სერჟანტი კი ადგილზე დარჩა. მის გარშემო სულ ცარიელი მაგიდები იყო... იჯდა თავისთვის და გესლნარევი ღიმილით მისჩერებოდა მოცეკვავეთა წყვილებს...

ლიზი ჩვეულებრივად მხოლოდ „თავის შარლთან“ ცეკვავდა. ყოველ შემთხვევაში, მე არასოდეს მინახავს სხვას გაჰყოლოდეს საცეკვაოდ. თუ ვინმე აბეზარი შეუჩნდებოდა, ისეთ რაღაცას ეტყოდა, რომ გაწბილებული „კავალერი“ დამდუღრულივით გარბოდა მისგან...

იმ დღეს კი რაღაც საოცრება მოხდა. საცეკვაო რომ დაუკრეს, შარლი წამოხტა და თავისი ლიზი თუ ლოტა გაიწვია. ლიზელოტამ არც კი შეხედა მას. იგი გველების შემლოცველივით მისჩერებოდა იმ შემზარავი გარეგნობის სერჟანტს...

— ბატონო ეტიენ, ვინ არის, თუ იცით, ის სერჟანტი? — ვიკითხე მე.

ეტიენს სახე უსიამოვნოდ მოეღრიცა, ხმა დაიდაბლა და ისე თქვა:

— როგორ არა, იგი ლანდსბერგის ციხის ჯალათია... ვისაც სიკვდილს მიუსჯიან, ამ ოდროკი სერჟანტის მსხვერპლი ხდება...

ამის გაგონებაზე ლიზელოტას სახე ქურიდან ახალგამოღებული ლითონივით აუბრიალდა. იგი მაშინვე წამოდგა და, როგორც გველი მიიკლაკნება ხოლმე გახურებულ კლდეზე, ისე მიუახლოვდა იმ ჯალათის მაგიდას.

წუთიც და... ორივენი მოცეკვავეთა შორის აღმოჩნდნენ. მაგრამ აღშფოთება აქაც დაიწყო: ჯერ ერთი წყვილი გამოაკლდა ცეკვას, მერე — მეორე, მესამე და, ბოლოს, მარტო ლიზელოტა და ის ჯალათი დარჩნენ დარბაზის შუაგულში...

ორკესტრი კი მაინც უკრავდა... შარლი ისე დაპატარავდა, რომ მუშტისოდენა იჯდა მაგიდასთან. ეტიენმა ერთხანს უყურა მოცეკვავეთა წყვილს, მერე, ხმა არ გაუღია, ისე ადგა და გავიდა დარბაზიდან.

ორიოდე წუთის შემდეგ ჯალათმა ლიზელოტა ჩვენ მაგი-

დამდე მოაცილა, თავაზიანად მოგვესალმა და ისეთმა შემზარავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა...

სახეალეწილმა ლიზელოტამ ხელი ხელს შემოჰკრა და აღტაცებულმა დაუმატა:

— ასეთი სიამოვნებით ჯერ არასოდეს მიცეკვია!..

ერთხანს ჩუმად ვიჯექით. მერე ლიზელოტამ დაიწყო:

— ცეკვის დროს იმ ჯალათმა ოფლიანი ხელი ჩემი კისრისაკენ გამოაპარა და თითები შემომაჭდო... მე სუნთქვა შემეკრა... მეგონა წავიქცეოდი... ის კი სახრჩობელას მარყუჟივით მიჭერდა თითებს... თავი ძლივს გავითავისუფლე და შვება ვიგრძენი...

ხმა რომ არც ერთმა არ ამოვიღეთ, ისევ ლიზელოტამ განაგრძო:

— ხომ შემზარავია ჯალათის თითების შეხება კისერზე, მაგრამ მე მაინც მესიამოვნა...

ცრუობდა. ესიამოვნა კი არა, თვალები ისე ჰქონდა შიშისაგან გაგანიერებული, რომ შემეცოდა.

ზარლი ვისკის მიეძალა და ჩქარა ისე გამოთვრა, რომ ორივემ ძლივს გავიყვანეთ დარბაზიდან...

— თუ გინდათ, მანქანით გაგასეირნებთ, — თქვა ბოლოს ლიზიმ...

შარლი თითქოს გამოფხიზლდა, გვინდაო, ჩემ მაგივრადაც წამოიძახა და ისევ მოსწყდა კისერი...

...მიუნხენიდან ნიურნბერგისაკენ რომ ქარივით მოგვაქროლებდა გაბრაზებული ლიზი, ის რა იყო ამ გახელებულ ღამესთან შედარებით!.. სად არ დათარეშობდა, სად არ მიუხვმოუხვია, მერე რა სისწრაფით!.. ეს მართლაც წარმოუდგენელია!..

შარლი ვერაფერს გრძნობდა, ისე იდო მანქანის კუთხეში... მე შიშისაგან ბუსუსები დამაყარა ტანზე, მაგრამ კბილი კბილს დავაჭირე და გავუძელი. ერთხელ კი, როცა მანქანამ კინაღამ თხრილში გადაგვჩეხა, ვეღარ მოვითმინე და ლიზის მივაძახე:

— გაგიჟდი?! ასეთი სისწრაფით რომ მიაქროლებ მანქანას, გინდა კისერი მოგვატეხინო!..

მანქანა თითქოს ყალყზე შედგა და მოწყვეტით გაჩერდა. ბნელში ჯერ ისტერიული ხარხარი გავიგონე, მერე ნაკვერჩხლებივით ანთებული შავი ბრიალა თვალები და თეთრად გაელვარებული კბილები გავარჩიე...

ხარხარი რომ მიწყდა, სულ ახლოს მომესმა მისი სიტყვები:

— მინდა მოთმინებიდან გამოგიყვანოთ, ბატონო ნარაბოტ!..

ეს რომ თქვა, თუ რამ ეცვა, ისიც ერთბაშად გაიხადა, მანქანიდან გამოხტა, თავისებურად „ე, ჰე, ჰეი, ბაა“ შეჰკივლა და აჩრდილივით გავარდა ტრიალ მინდორზე... სულმთლად ისე, როგორც ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ალჟირის უდაბნოში...

... შინ რომ მივედი, ბინდი უკვე ნათელს ეყრებოდა. ტვინი ამღვრეული მქონდა. ფიქრები დამფრთხალი ნაგაზებივით გამირბოდნენ. არ იქნა და თავი ვერ შოვუყარე იმ ღამით განცდილ ამბებს. რა იყო ეს: სიგიჟის მოძალება, აპოკალიფსური მისტერიის სინამდვილე, თუ მართლაც უდაბნოს მზის გახელება და ისიც უკუნეთ ღამეში?!.

ევროპის მოტაცება...

მერეც ხშირად მიფიქრია ამ გონებით წარმოუდგენელ კვადრატულ სამკუთხედზე. ყოველთვის, როცა თანამედროვე აპოკალიფსური ლიტერატურის შეშლილობამდე მისულ ნიმუშებს ვეცნობი, თვალწინ ის „დაწყევლილი პოეტი“ შარლი ამეტუზება. იგი ახლაც დგას ტრიბუნაზე და წყევლის ადამიანთა მოდგმას...

— ილაპარაკე, იოქანაან, ილაპარაკე! — აქეზებს მას ლიზელოტა და გველივით იგრიხება...

ესეც იმ ქაოტური ეპოქის შედეგია. დღესაც ის კოშმარები მართავს ბევრი მწერლის კალამს. მაიდანეკისა და ოსვენციმის კრემატორიუმების ფერფლი ეფინება მათ აზროვნებას... ვიღაც

ისევ ღმუის... ვიღაც ილანძღება ან ლოცულობს... ფორმა და ნაკვთები პროპორციას კარგავენ... სიტყვები უთავბოლოდ ირევიან სტრიქონებში... ყველაფერი ალმაცერია... წაფერდებული... დაწნეხილი და დაგრეხილი... ცა თავდაღმა დამხობილა და ოფლში გაღვრილი ატლანტები ვეღარ აკავებენ მის თაღებს... მერე იმ კოშმარს თვალღია სიზმრები აგრძელებენ და იწყება აპოკალიფსური როკვა პარნასის მთაზე. ამას დემონების შაბაში მოსდევს ვალპურგის ღამეს. ტახტზე ჯოჯოხეთის მეუფე ზის. მის გვერდით სახედაღმეჭილი თემიდა დგას და ხელში ერთთასიანი „სასწორი" უჭირავს. ის თასი მხოლოდ წარსულის ნამუსრევს წონის და ფერფლად ატანს ქარს... ირგვლივ ჯოჯოხეთური სამოთხეა. ანგელოზები ეშმაკებთან ცეკვავენ. მაცხოვარი ჯვარზეა გაკრული. კუპრის ქვაბში იოქანაანის მოჭრილი თავი იხარშება. Homo sapiens ისევ საკონცენტრაციო ბანაკში ზის, დანტეს ბორკილები ადევს, გოეთე ნიკაპითაა დაკიდებული ჩანგალზე, ყოველნი ბრძენნი ამა ქვეყნისანი ხუნდებზე სხედან. იქვე მეფური სუფრაა გაშლილი. მზარეულები ცოცხლად წვავენ ადამიანებს: მეცნიერებს, მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს... სისხლით, ცრემლითა და ოფლით ავსებენ მათი თავის ქალასაგან გაკეთებულ სასმისებს, როსკიპი ქალწულები შხამიანი ყვავილებით რთავენ მაგიდას. სატირები ფერხულს უვლიან. მეხოტბენი საგალობლებს ამბობენ და მლიქვნელები მოძახილს ეუბნებიან.

მერე სტუმრებიც მოდიან უბრწყინვალესნი და დიდებულები: ფარაონები და მეფეები, მხედართმთავრები და ჯალათები, დესპოტები და დიქტატორები, პოლიტიკოსები და დიპლომატები, ვინც კატასტროფულ ომებს თავს ახვევს კაცობრიობას. ეტლებში მათ ფილოსოფოსები შეუბამთ, ცალ ხელში იელოვას კვერთხი უჭირავთ, მეორეში აღვირებად დაგრეხილი რქანაყარი გველები. აქ არიან მაკედონელები, ნერონები და კალიგულები, ჩინგისხანები, თემურლენგები, ნაპოლეონები და მთელი ხროვა მეუფეთა ამა ქვეყნისათა. ბოლოს კი თვითონ სატანა ჰიტლერი გამოჩნდება თავისი ყავისფერი ამალით. მათ წინ შვიდ მადლს მოერეკება შვიდი ცოდვა და იწყება საუკუნეთა ლეგენდა, ადამიანური კომედია, აღთქმული ქვეყანა და გოლგოთა, ედემის ბაღი და იოსაფატის ჭალა...

შემდეგ მსხვერპლშეწირვის გრანდიოზული რიტუალი იმართება. მილიონობით ადამიანს ფერფლად აქცევენ კრემატორიუმებში, ჩვილ ბავშვებს ცოცხლად ყრიან ცეცხლში... დიდებულები დღეგრძელობას უსურვებენ ჯოჯოხეთის მეუფეს და საკუთარი სიბილწით საძაგელ თასებს ცლიან. მუზები ოსანას უგალობენ მათ. ქაჯები ველურ სატურნალიას ეძლევიან... ცა შავი კვამლით იფარება... ვარსკვლავები წყვეტენ თვალების ხამხამს და ისევ იმ ეგვიპტური ღამის წყვდიადი ეფინება დედამიწას...

— გველის მოდგმიდან იშვა ბაზილისკო და ნაშობი შთანთქავს ფრინველთა,— იძახის ადუღებული კუპრის ქვაბიდან იოქანაანის მოჭრილი თავი...

— ილაპარაკე, იოქანაან, ილაპარაკე! — ისმის საიდანღაც ლიზელოტას ხმა და მისი შარლი განაგრძობს ქადაგებას:

— ეს არის თქვენი ისტორია, ისტორია აბელის მოდგმისა... საშინელი სამსჯავროც თქვენ გელით, თქვენ, ქედმოდრეკილთ და შეგუებულთ. ამ პროცესზეც თქვენ გასამართლებენ, მთელ თქვენს მოდგმას, თქვენს სიბრძნესა და ცივილიზაციას... თქვენ მიეცით ასპარეზი ბოროტების ამგვარ მოძალებას, დემონური ძალების თარეშს... თქვენი სისუსტით არიან ისინი ძლიერნი, თქვენი უმოქმედობით — გათავხედებულნი... ისინი ყოველგვარი ბინძური საშუალებით იბრძვიან და ცხოვრების საჭესთან დგებიან, თქვენ კი წიგნში ჩაგირგავთ თავი და ტკბებით საკუთარი ფუჭსიტყვაობით. ამიტომაც გექცევიან ასე უდიერად. დაგცინიან, ბორკილებს გადებენ, თავიანთ ეტლში გაბამენ ან ჩანგალზე გკიდებენ... ვიგინდარები გაიძულებენ მოყვასის თავზე მოისურვილოთ, და თქვენ არც ამაზე ამბობთ უარს... ქვეყანა დალპა თქვენი სიბრძნითა და უმოქმედობით... და აჰა, დადგა განკითხვის ჟამი. მოვიდა დღე იგი დიდისა რისხვისა მისისაჲ... და იხილოს იგი ყოველმან თუალმან და რომელთა-იგი უგუმირეს მას; და გოდებამან — ტომნი ქუეყანისანი...

გოდება კი არა, ჯოჯოხეთური ხარხარი ახშობს ამ ხმას...

ბოლოს ფარდა იხდება და იწყება ფეერიული სანახაობა... ოლიმპოს ღმერთები დგამენ სპექტაკლს სიდონის მეფის აგენორის მშვენიერი ასულის, ევროპის მოტაცების შესახებ...

...შუაღამე გადასულია. მამის სასახლეში მშვიდად მძინარე ევროპას უცნაური სიზმარი მოევლინება: მის წინაშე ორი უცნობი ქალის სახით წარდგება ორი კონტინენტი — აზია და ის მეორე, მოპირდაპირე მხარეს რომ მდებარეობს, და ერთმანეთში დაობენ თავიანთ სამფლობელოებზე. ერთი მათგანი სულ უცხოელსა ჰგავს, მეორე კი უფრო შინაურულად გამოიყურება. იგი ეჩხუბება იმ „უცხოელს“, ევროპა ჩემი შვილია, ჩემი გულ-ღვიძლი, აი, ამ ძუძუთი გაზრდილიო. მაგრამ პირველი მაინც ყაჩაღივით სტაცებს ევროპას ხელს და ისე მიჰყავს, რომ მშვენიერი ქალწული არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს.

— წამოდი ჩემთან, ძვირფასო,— ეუბნება მას უცხოელი.— მე შენ მიგგვრი მეხთამტყორცნელ ზევსს, ასე გიწერია ბედის წიგნში...

ევროპას გულის ფანცქალით გამოეღვიძება და სარეცელზე წამოჯდება. ღამე დღესავითაა განათებული. დიდხანს ასე გაოცებული ზის იგი საწოლზე და თვალწინ ისევ ის ორი ქალი უდგას.

— რა ღვთაებრივმა ძალამ მომივლინა მე ეს სიზმარი?! — ამბობს იგი. — რა საოცრებაა! ვინ იყო ნეტავ ის უცხოელი? გულისხმა როგორ მიხმობს მისკენ! რა სიყვარულით მომიახლოვდა იგი და რა დედობრივი მზრუნველობით მეპყრობოდა, მაშინაც, როცა ძლიერი მკლავებით მომიტაცა. ღმერთებო, კარგად ამიხდინეთ ეს სიზმარი!..

თენდება. დღის სინათლე ფანტავს სიბნელესა და ზმანებათა აჩრდილებს. ევროპასთან თავს იყრიან კეთილშობილი ასულები, რომელნიც ყოველთვის თან ახლდნენ ცეკვათამაშის დროს. ქალიშვილებმა იგი ახლაც მიიპატიჟეს ზღვის ნაპირას გაშლილ მწვანე ველზე, სადაც უამრავი ყვავილი ხარობს. ყველამ თავ-თავისი კალათა წამოიღო ყვავილების დასაკრეფად. ევროპას ხელში ოქროს კალათა უჭირავს, ოდესღაც ზევსის ძის ჰეფესტოს მიერ გამოჭედილი და იოსა და არგუსის თავგადასავლის სურათებით შემკობილი. ეს ცუდი ნიშანია...

მშვენიერი იო ზევსს შეუყვარდა. ზევსის ეჭვიანმა ცოლმა ჰერამ იო ძროხად გადააქცია და ასთვალიანი ურჩხული არგუსი მიუყენა დარაჯად. შეყვარებული ზევსის დავალებით ჰერ-

მესმა მოკლა არგუსი და გაათავისუფლა იო, მაგრამ შურისმაძიებელმა ჰერამ გონება აურია მას და აიძულა დღედაღამ ეხეტიალა უცხო ქვეყნებში, ვიდრე ეგვიპტეში დაბრუნებული იო კვლავ გონს მოეგებოდა და ვაჟს შესძენდა ზევსს.

ჰეფესტომ ეს კალათა ზღვათა მეფეს პოსეიდონს აჩუქა, პოსეიდონმა — ლეპაფის ასულს ლიბიას. ოქროს კალათა მერეც ხელიდან ხელში გადადიოდა და ბოლოს, იქცა აგენორის საკუთრებად, რომელიც მან თავის ასულს ევროპას უძღვნა...

...ევროპა ამ კალათით ხელში მეგობრებთან ერთად ზღვის ნაპირას გაშლილი მწვანე ველისაკენ გაიქცევა. ისინი გუნდგუნდად გაიშლებიან და იწყებენ ყვავილების კრეფას. ვის რა ყვავილიც მოსწონს, იმას ირჩევს: ზოგი — ნარცისებს, ზოგი — ჰიაცინტებს, სხვები კიდევ — სხვას. ევროპა მხოლოდ წითელ ვარდებს კრეფს. იგი ისე დგას თავის მეგობრებს შორის, როგორც ზღვის ქაფიდან ამოსული სიყვარულის ქალღმერთი.

ყვავილების კრეფას რომ მორჩებიან, ქალიშვილები ევროპას შუაში ჩაისვამენ, თვითონ ირგვლივ შემოუსხდებიან და გვირგვინებს წნავენ. ეს გვირგვინები მათ ხეებზე უნდა ჩამოკიდონ და მადლობის ნიშნად უძღვნან მინდვრის ფერიებს...

... სიყვარულის ღვთაების ისრით გულდაკოდილი ზევსი ოლიმპოს მწვერვალიდან უთვალთვალებს მშვენიერ ევროპას. იგი უცებ განიმსჭვალება მისდამი სიყვარულით, მაგრამ ჰერას შურისძიებისა ეშინია და თვალთმაქცურ ხერხს მიმართავს. ჯერ თავის ვაჟს ჰერმესს დაავალებს აგენორის ჯოგი იმ მინდვრისაკენ გამორეკოს, სადაც ევროპა და მისი მეგობრები გვირგვინებსა წნავენ, თვითონ კი სახეს იცვლის, ბუღა ხარად იქცევა და ყველასათვის შეუმჩნევლად იმ ჯოგს უერთდება. ზევსი ხომ გარდასახვისა და ცდუნების დიდი ოსტატია. ვისთან რანაირად სურს, სწორედ იმ სახით მოევლინება და აცდუნებს: დანაიდებს იგი ოქროს წვიმად გამოეცხადება, სემელეს — ჭექა-ქუხილად, ნემეზიდას — გედად, პერსეფონეს — გველად, ხოლო ევროპას ჯერ არნახული ბუღა ხარის სახით მოევლინება...

ოქროსფერი განიერი მკერდი აქვს, ახალ მთვარესავით მოხ-

რილი ნამგალა რქები, შუბლზე — ვერცხლისფერი რგოლები და ისეთი ბრიალა თვალები, რომ მისი შემოხედვა შიგ გულში ხვდება ყველას. იგი ერთხანს დინჯად სძოვს ბალახს სხვა საქონელთან ერთად. მერე ნელ-ნელა გამოეყოფა მათ და იმ ფერდობს მიუახლოვდება, სადაც ქალიშვილები სხედან.

მართლაც, დიდებული შესახედავია! თანაც ისე თვინიერი, რომ ევროპასა და მის მეგობრებს სულაც არ ეშინიათ მისი, პირიქით, გარს შემოეხვევიან და უალერსებენ. ევროპა ისე ძოიხიბლება იმ „ხარის“ ძლიერებით, რომ, ოვიდიუსის თქმით, თვითონ გაუწოდებს თაიგულს და რქებს ვარდებით მოურთავს. მერე ნაზი თითებითაც მოუალერსებს მძლავრ მკერდზე, ცხვირსახოცით დუჟს მოსწმენდს და ტუჩებში აკოცებს...

სიყვარულით მოთვინიერებული „ხარი“ წინა ფეხებით ჩაიჩოქებს ევროპის წინაშე. ქალიშვილები სიცილ-კისკისით შესვამენ ევროპას მის ზურგზე, თვითონაც უნდათ შესხდომა, მაგრამ „ხარი“ უცებ წამოდგება და ზღვისაკენ გააქანებს თავის ნადავლს...

შეშინებული ევროპა ერთს კი შეჰკივლებს, მაგრამ შემდეგ ვნებით აღტყინებული მინებდება იმ ღვთაებრივი ბუღა ხარის ძლიერებას, ცეცხლოვანი ფლოქვებით რომ მიარღვევს ზღვის ტალღებს და „შეუძლებელს შესაძლებლად ხდის“. მშვენიერი ასული ცალი ხელით „ხარს“ ჩასჭიდებია რქაში, მეორეთი კი თავის ალისფერ კაბას იცავს ქარისა და წყლის შხეფებისაგან...

შეძრწუნებული ქალწულები ზღვის წყალში წელამდე შედიან და უმწეოდ შეჰყურებენ, თუ როგორ მიაცურებს „ხარი“ მათ მეგობარს კუნძულ კრეტის მიმართულებით...

თვითონ ევროპა კი სულაც არაა შეშინებული. იგი მიხვდება, რომ მისი მომტაცებელი ხარი კი არა, ღმერთია. ზევსიც გაუმხელს თავის ვინაობას და სიყვარულის აღმაგზნებელი სიტყვებით მოინადირებს ქალწულის გულს...

მათ გარშემო ვნებამორეული ეროტები დარბიან, ჭორიკანა ტესიტები ეშმაკურად ხითხითებენ, ნერეიდები დელფინებზე შემსხდარან და ტაშს უკრავენ, ხოლო სირენების ორკესტრი საამურ ჰანგებს აფრქვევს გარშემო...

„ხარის“ ზურგზე შემჯდარი ევროპა კი სადღაც, უცნობი

და უხილავი მხარისაკენ, მიჰყავს ზევს-იუპიტერსა თუ საკუთარ გულისთქმას...

სიხლი ფულულთაჲ...

სპექტაკლი რომ მთავრდება, ჯოჯოხეთის მთელი პანდემონიუმი ხარხარებს. დიდებულნი იმა ქვეყნისანნი ნატვრის სუფრას მიესევიან და კბილის ერთი გასმით შესანსლავენ ყველაფერს. ანაფორიან ინკვიზიტორებს ბავშვთა ანკარა ცრემლებით სავსე სურები მოაქვთ და ბრძენთა თავის ქალისაგან გაკეთებულ თასებს უვსებენ ჯოჯოხეთის მბრძანებელთ. მეფისტოფელი Homo sapiens-ის თბილ ტვინს შეექცევა, ბელზებელი შეყვარებულთა გულებს ღეჭავს, ბელიალი ვამპირივით წოვს მშვენიერი ელენეს სისხლს, არწივად ქცეული ასტაროთი კი პრომეთეოსის თირკმელებს კორტნის, სხვები კიდევ სხვა რამეს მიირთმევენ და ოსანას უგალობენ ჯოჯოხეთის მეუფეს...

— პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს!.. — ღრიალებს სატანა და ისევ ჯოჯოხეთური ხარხარი არყევს ქვესკნელის თაღებს...

მერე სუფრა აიშლება, დემონები შავ ფრთებს ააფარფატებენ და ეგვიპტური წყვდიადი ფარავს მთელ ქვეყანას. დედამიწის ოთხივე მხარეს დაიძვრება ჯოჯოხეთის ლაშქარი:

ოთხად გაიყვნენ და ცალ-ცალკე დაადგნენ ოთხ გზას,
შეჰყვნენ ქვესკნელის ოთხ მდინარეს, რომელთ დინება,
რომელთ ტალღები, დამღუპველი, ცეცხლის ტბას ერთვის:
სტიქსს — ზიზღისა და მაკვდინებელ მტრობის მდინარეს;
შავტალღებიან ღრმა აქერონს — სევდის მდინარეს;
სინანულისა და წუხილის მდინარეს — კოციტს
და მძვინვარების ცეცხლმოდებულს — სასტიკ ფლეგეთონს...

... ამბობენ, ცდუნების ყველა გზა ჯოჯოხეთისაკენ მიდისო. ბედისწერის ეს ირონიული განაჩენი არც ჰიტლერელებს ასცდენიათ. უდიდესი ნაწილი გერმანელებისა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, არმია, შრომის ფრონტი, ესესელები, მოიერაშენი, ჰიტლერული ახალგაზრდობა. — ყველა, ვინც თავის ფიურერს ფიცი მისცა და ერთგულებას შეჰპირდა, მიჰყვა

ნგრევისა და განადგურების ამ გზას. ყველამ ფეხი აუწყო ომის ისტერიას, ხოცვა-ჟლეტას, ჯოჯოხეთის ცეცხლსა და გეჰენიას...

— პური ჩუენი არსობისა, მოპოვებული მახვილით და არა სასწაულით! — გაიძახოდნენ ისინი და...

— აჰა. ესერა, ერმან ვითარცა ლეკუმან ლომისამან განიღუიძოს და ვითარცა ლომი იბრდღუენდეს, არა დაიძინოს ვიდრემდი არა ჭამოს ნადავლი და სისხლი წყლულთაჲ არა სუას, — ნათქვამია ბიბლიაში. მერე კი, როცა მათი განკითხვის დღე მოახლოვდა, თვითონაც მიხვდნენ ამას, მაგრამ ის ყავისფერი სატანა მაინც თავისას გაიძახოდა...

ბოლო ხომ მაინც სიკვდილია... და სიკვდილისკენ
ბევრი გზა მიდის, ჩვენ უმოკლესი ამოვირჩიეთ:
განადგურებით ვანადგუროთ განადგურება...

...„ბოროტნი გონებითა თანა ჰყოფენ ბოროტსა“, — ამბობდა სოლომონ ბრძენი და ქადაგებდა:—„მძლავრნო ერთანო, პატივ ეცთ სიბრძნესაო“. მაგრამ სადღა იყო ეს პატივისცემა! უფრო ხშირად „დემონური ძალები“ განაგებენ ადამიანთა ბედ-იღბალს. კეთილი ნება ვერ უმკლავდება მათ მოქალებას. იქნებ ესეც ბედისწერა იყოს კაცობრიობისა. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდა გოეთე. მე გთხოვთ ღრმად ჩაუფიქრდეთ მის სიტყვებს:

— დემონურ უნარს ძალუძს გამოვლინდეს ყოველივე ხორციელსა და უხორცოში. თვით ცხოველებშიც კი ერთობ საგულისხმოდ იჩენს იგი თავს, მაგრამ უპირატესად ადამიანთანაა ყოვლად საოცრად დაკავშირებული და წარმოადგენს ძალას, რომელიც, თუ არ ეწინააღმდეგება სამყაროს მორალურ წყობას, მაინც ისეა ჩაგვირისტებული მასში, როგორც ქსოვილის ერთი ძაფი მეორეში. ეს დემონური საწყისი ყველაზე საშინლად ცხადდება, როდესაც ერთ რომელიმე ადამიანში იძენს უპირატესობას. ჩემი ცხოვრების მანძილზე რამდენჯერ დავკვირვებივარ ასეთ ადამიანებს, ხან ახლოდან, ხანაც შორიდან. ესენი ყოველთვის როდი არიან გონებითა და ნიჭით გამორჩეული პიროვნებანი, მათ იშვიათად სჩვევიათ

გულკეთილობა, მაგრამ მათგან საშინელი ძლიერება გამოკრთის და ისინი წარმოუდგენელ ზეგავლენას ახდენენ ყველა არსებაზე, დიახ, თვით სტიქიონებზედაც კი, და ვერავინ იტყვის, თუ სანამდე შეიძლება გავრცელდეს მათი ასეთი ქმედება. ყველა გაერთიანებული ზნეობრივი ძალა უმწეოა მათ წინაშე. კაცობრიობის უფრო ნათელი ნაწილი ამაოდ ცდილობს საეჭვოდ აქციოს ისინი ვითარცა მოტყუებულნი ანდა მატყუარები, მასას მაინც იზიდავს მათი ძლიერება. თანამედროვეთა შორის იშვიათად ან არასოდეს ჩნდებიან მსგავსი პიროვნებანი და არავინაა მათი დამძლევი, გარდა თავად უნივერსუმისა, რომელსაც ისინი ამხედრებიან. ეტყობა, ასეთმა დაკვირვებებმა წარმოშვა ეს უცნაური, მაგრამ ღრმააზროვანი თქმა:

— Neto contra deum, nisi deus ipse! (ვერავინ გახდება რამეს ღმერთთან, თუ თავად არ არის ღმერთი!)...

...ამბობენ, ადამიანი ღმერთის ტრაგედიაა. ღმერთი კი, აინშტაინის თქმისა არ იყოს, „ზარს არ თამაშობს". ამას ჰიტლერი და მისი მსგავსი პოლიტიკოსები აკეთებენ. ადამიანთა ბედ-იღბალი სწორედ მათ „უჩნთ მღერად კამათელისა". საკვირველი ის არის, რომ ამით ისინი ზიზღსაც იწვევენ და აღტაცებასაც. ისტორიულ მოვლენებს ეს საოცრად პარადოქსულ სახეს აძლევს. ცალკეული ადამიანების ხასიათსაც. გაიხსენეთ ფრანც კაფკას „გამასწორებელი კოლონიის" გმირი, რომელსაც სპეციალური მანქანის საშუალებით სჯიან სიკვდილით. იგი ყურს უგდებს, ოფიცერი რომ უცხოელს უხსნის ამ მანქანის ძოწყობილობას. ეს შემზარავია, შიშის მომგვრელი, მაგრამ ისე გონებამახვილური, რომ თვით სიკვდილმისჯილიც აღტაცებულია, თუმცა იცის, ამ მანქანამ საშინელი წამებით უნდა მოუღოს მას ბოლო...

დესპოტებით აღტაცებაც ამას ჰგავს. კალიგულებსა და ჩინგისხანებსაც ჰყავთ თაყვანისმცემელნი. სხვებსაც, ვისაც მათი ბილწი მირონი სცხია... ისინი თვითონ აღმერთებენ ვიგინდარებს, მერე კი უძლეველადაც მიიჩნევენ, ამბობენ, ღმერთის მოციქულებიაო, განგება იფარავსო, და შიშნარევი აღტაცებით ემორჩილებიან მათ „ყოვლისშემძლეობას", იმის ნაცვლად, რომ თავიდანვე ამოსდონ აღვირი თავაშვებულებს...

ასე მოხდა გერმანიაშიც. გერმანელი ხალხის უდიდესმა ნაწილმა თვითონ გააღმერთა ის ყავისფერი სატანა და თვითონვე ირწმუნა მისი განგებისმიერობა. მერე ის „nemo contra deum"-იც ძალაში შევიდა და ხალხი პანურგის ჯოგივით მიჰყვა ჰიტლერის დემონურ გახელებას. დღესაც ბევრი ფიქრობს იმაზე, თუ რა იდუმალი ძალა მართავდა ჯოჯოხეთის ამ მანქანას! ან ამ ერთ კაცში რა მაგიური ძალა იმალებოდა ისეთი, რომ ვერავინ შეძლო მისი შეკავება: ვერც მსოფლიო ანტიფაშისტურმა მოძრაობამ, ვერც ევროპის დიდ სახელმწიფოთა მუქარამ და ვერც უფრო წინდახედული გენერლების გაფრთხილებამ!.. რამდენი თავდასხმა მოუწყვეს ჰიტლერს, რამდენჯერ აღმართეს ხელი მის წინააღმდეგ, მაგრამ ეშაფოტზე მის მაგივრად შვიდი ათასზე მეტი „დამნაშავე" აიყვანეს, ალბათ იმიტომ, რომ ბოროტება უტიფარია და გაბედული, სიკეთეს კი ხელები უკანკალებს... ბოროტებას სჯერა, რომ „სრულია მისი ბუნება", სიკეთეში კი სადღაც ეშმაკიცაა მიმალული. ეშმაკი წრიალებს მასში და ბელიალივით ღრღნის ხეს ცხოვრებისას. ფუღურო ხე კი ველარ უძლებს ბოროტების შემოტევას. უხეში ძალა იმარჯვებს და ზოგჯერ აღტაცებასაც იწვევს. ამას „ბოროტების ესთეტიკაც" მოჰყვება და აღგზნებული ბრბო თვითონ მართავს ვალპურგის ღამეს ბროკენის მთაზე. მერე ეს მთა კაიზერსაშერნისა თუ კასტალიენის მსგავსად ტოტალურ სახეს იღებს და ისევ ის „ეგვიპტური წყვდიადი" მოიცავს მთელ ევროპას, რომელიც სიდონის მშვენიერი ასულივით ნაბავს თვალებს ბუღა ხარის სახით მოვლენილი ზევს-იუპიტერის წინაშე...

ლეგენდა და სინამდვილე...

ეს, რა თქმა უნდა, ლეგენდაა, მაგრამ მე მეჩვენება, რომ სინამდვილეშიც რაღაც ამის მსგავსი მოხდა ჩვენს დროს. იმ „ვალპურგის ღამის" მისტერიაც დღემდე გრძელდება, რითაც ევროპის მოტაცების სიმბოლური აზრიც ნათელი ხდება. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კონტინენტი დღესაც იმ მშვენიერი ქალწულის სახელს ატარებს. ალბათ ამიტომ მგონია, რომ ჰიტლერმაც ასე ძალითა და მოტყუებით მოინდომა ევროპის მო-

ტაცება, თუმცა ის „მშვენიერი ქალწულიც“ ზედმეტად მიენდო „ზევს-იუპიტერად“ მოვლენილი „ღმერთკაცის ყოვლისშემძლეობას“. რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა დიდი იყო, მაგრამ გულუბრყვილობაც — საკმარისი. ვიდრე ჰიტლერის პრეტენზიები გეოპოლიტიკური თეორიისა და რასობრივ-მაგიური ჰიპერტროფიის სფეროში ტრიალებდა, ბევრს არც აწუხებდა ეს. პირიქით, ჰიტლერს „თავაშვებულ ფანტაზიორს“ უწოდებდნენ და ირონიულად ეკიდებოდნენ მის აშკარა აგრესიულ ზრახვებს. თვალწინ ვერსალის მკაცრი არტახებით შეკრული „უძლური სახელმწიფო“ ედგათ და იმიტომ. მაგრამ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ჰიტლერის იდეებმა „ხელფეხი“ რომ გამოისხა, „სათაგვეთში“ ერთი ალიაქოთი ატყდა. უნდოდათ გაეგოთ მთელი ევროპის მოტაცებას აპირებდა ჰიტლერი, თუ მხოლოდ „სლვასა აღმოსავალით“. ჰიტლერს კი არც ერთზე უთქვამს უარი და არც მეორეზე.

ნიურნბერგის პროცესზე სრულიად აშკარა გახდა, თუ როგორ მზადდებოდა ყოველივე ეს. საბრალდებო აქტის გამოქვეყნებისა და ბრალმდებელთა შესავალი სიტყვების შემდეგ მრავალი საიდუმლო დოკუმენტი იქნა მზის სინათლეზე გამოტანილი. ბევრი რამ ადრეც იყო ცნობილი. არა ერთხელ აღნიშნულა პრესაში, რომ ჰიტლერელები ფარულად (თუმცა კაცმა არ იცის, ვისთვის იყო ეს ფარული!) ამზადებდნენ აგრესიულ ომს, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის წინააღმდეგ. ადრე არსებული ნახევრად სამხედრო ორგანიზაციები SS და SA სრულიად აშკარად აკომპლექტებდნენ ახალ საბრძოლო ნაწილებსა და შენაერთებს. ჩვეულებრივი ესესის პარალელურად შეიქმნა „ესესის ჯარი“, რომელშიც თანდათან მეტმა მებრძოლმა მოიყარა თავი, უფრო მეტმა, ვიდრე რაიხსვერში იყო. გაფართოვდა ახალი გასამხედროებული ორგანიზაციებიც. მარტო „ჰიტლერელ ახალგაზრდობაში“ (Hitlerjugend) შვიდ მილიონზე მეტი მომავალი ჯარისკაცი იყო გაერთიანებული. აგრესიული ომის მომზადების საქმეს ემსახურებოდა ე. წ. „შრომის ფრონტი“ (Arbeitsfront), „ტოდტის ორგანიზაცია“ და სხვები. ინგლისის მთავრობის ხელისშეწყობით გერმანიაში არც სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარებას ჰქონდა გზა გადაკეტილი. ქვეყნის ეკონომიკა ხომ თითქმის

მთლიანად დაუქვემდებარდა მომავალი ომის ინტერესებს, რაც საბრალდებო აქტში ასეა ჩამოყალიბებული: „გერმანიაზე ტოტალური კონტროლის დაწესება, ეკონომიკის დაგეგმვა და რესურსების მობილიზაცია აგრესიული ომებისათვის“.

ამ მიზნით უწევდნენ ისინი კონტროლს ფინანსებს, კაპიტალურ დაბანდებასა და საგარეო ვაჭრობას, ახორციელებდნენ შეიარაღების გრანდიოზულ გეგმას.

ძალაუფლების ხელში ჩაგდების პირველსავე დღეებში განაცხადა ჰიტლერმა:

— მადროვეთ ოთხი წელი და მე გიჩვენებთ, თუ რა შეუძლია გერმანიას!..

ამის შესაბამისად შეიქმნა ადმინისტრაციული ორგანო „ოთხწლიანი გეგმის კომიტეტი“, რომელსაც სათავეში ედგა გერინგი.

— ფიურერმა დამავალა განვახორციელო ისეთი გიგანტური გეგმა, რომელთან შედარებით იჩრდილება ყველაფერი, რაც დღემდე გაკეთებულა. წინ, რა თქმა უნდა, ბევრი სიძნელე შეგვხვდება, მაგრამ ისინი დაძლეულ უნდა იქნენ უდიდესი ენერგიითა და შეუბრალებლობით. — განაცხადა მან.

მართლაც ასე მოხდა. გერმანიამ ოთხი-ხუთი წლის მანძილზე (1933—1938) თითქმის ცარიელ ადგილზე ისეთი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სამხედრო ტექნიკა შექმნა, რომ უკან მოიტოვა დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფო. ამის მიზანს, ცხადია, აგრესიული ომებისათვის მზადება შეადგენდა, თუმცა ერთხანს კი ცდილობდა „მშვიდობისმოყვარე ანგელოზის“ სახე მიეღო და ნაადრევად არ გაემჟღავნებინა თავისი ნამდვილი ზრახვები. ამიტომ იყო, რომ უკვე საკმაოდ შეიარაღებული სულ ზევსივით მოთვინიერებულ ხარს „დაემსგავსა“ და ვითომ მართლაც „სიყვარულით აღტყინებულმა“ მიუალერსა ქალწულივით მინაზებულ ევროპას.

— ვინც ამბობს, რომ მე ომი მინდა, შეურაცხყოფას მაყენებს, — განუცხადა მან საფრანგეთის პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელს გრაფ დე ბრინიონს. — მე არა ვარ ასეთი კაცი. ომი?! ამით ხომ არაფერი გაკეთდება! პირიქით, გაფუჭდება კიდეც!..

გულუბრყვილო „ქალწულებმა“ დაიჯერეს ეს და მეგობ-

რობის ხელშეკრულება (Freundschaftspakt) დადეს მასთან. ჰიტლერმა კი სულ მოიჩლიქა ენა: ვერსალის ხელშეკრულებას დავიცავო, არავითარ ტერიტორიულ პრეტენზიებს არ წამოვაყენებო, ვისთან, როდის და როგორი ხელშეკრულებაც გინდათ, ისეთს დავდებო და სხვა ამგვარი.

— გერმანიის მთავრობა ზუსტად დაიცავს ყოველ ნებაყოფლობით ხელშეკრულებას, თუნდაც ხელისუფლების სათავეში ახალი მთავრობის ჩადგომამდე დადებულს, — განაცხადა მან 1935 წელს.

ამგვარ „სულთათანას“ ერთი წუთითაც არ შეუჩერებია ომისათვის მზადება. პირიქით, ჯერ კიდევ 1933 წლის 4 აპრილს დაარსდა ე. წ. „იმპერიის დაცვის საბჭო“, რაც სამხედრო კაბინეტის შექმნას ნიშნავდა. საბჭოს თავმჯდომარემ გერინგმა პირველსავე სხდომაზე განაცხადა:

— იმპერიის დაცვის საბჭო, ფიურერის ნებით, წარმოადგენს ომისათვის მზადების მთავარ ცენტრს.

მართალია, ამ განცხადების „ლოგიკა“ პარადოქსულია: თავდაცვის საბჭო ომის მოსამზადებლად?! მაგრამ გერინგი ასეთ „წვრილმანებს“ არას დაგიდევდათ. ჰიტლერი — მით უმეტეს.

მიუხედავად ვერსალის ხელშეკრულების დაცვის საქვეყნო დაპირებისა, მან 1935 წელსავე დაარღვია ეს ხელშეკრულება და საყოველთაო სამხედრო ვალდებულება შემოიღო. ამ უკანონო დადგენილებას ხელი მოაწერეს ჰიტლერმა, ფრანკმა, ფონ ნოირატმა, შახტმა, გერინგმა, ჰესმა, ფრიკმა და ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის სხვა მეთაურებმა...

გახშირდა სამხედრო თათბირები, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ გენერალ-ლეიტენანტი ბეკი, გენერალ-მაიორი რაიჰენაუ, პოლკოვნიკი გუდერიანი, პოდპოლკოვნიკი კაიტელი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მიღებულ გადაწყვეტილებათა საიდუმლოებას:

— არც ერთი დოკუმენტი არ უნდა დაიკარგოს,— ამბობდა იგი, — რადგან შეიძლება იგი მტრის დაზვერვამ იგდოს ხელთ. ზეპირი ცნობები კი არ არის იმდენად სახიფათო, ჩვენ შევძლებთ მათ უარყოფას ყენევაში. ამგვარ „ვიწრო წრეში“ ჰიტლერი სულაც არ მალავდა თავის „ნამდვილ ზრახვებს“.

საქმე საქმეზე რომ მიდგა, მან სრულიად აშკარად განუცხადა გენერლებს:

— გარემოებამ მაიძულა მე წლების მანძილზე მხოლოდ მშვიდობაზე მელაპარაკა... ამას თავისი საშიში მხარეც აქვს, რადგან ბევრმა თავში ჩაიჭედა აზრი, თითქოს დღევანდელი რეჟიმი მოწოდებული იყოს ყოველგვარ პირობებში დაიცვას მშვიდობა. სინამდვილეში კი მე მხოლოდ იძულებული ვიყავი მშვიდობაზე მელაპარაკა. ამასთანავე საჭირო იყო ჩვენი ხალხი თანდათან მომემზადებინა ფსიქოლოგიურად იმის გასაგებად, რომ არის მიზნები, რომლებიც, თუ ეს მშვიდობიანი გზით არ მოხერხდა, იარაღით უნდა იქნეს მიღწეული. ხოლო ამისათვის ძალის პროპაგანდა კი არ არის საჭირო, არამედ საგარეო მდგომარეობის იმგვარი წარმოსახვა, რომ ხალხში თავისთავად გაიღვიძოს ძალადობის ინსტინქტმა. ბევრს ეს არ ესმის, განსაკუთრებით ინტელექტუალებს, ნაგრამ მათ რა იციან, თუ როგორ უნდა მოამზადო ხალხი იმისათვის, რომ ფეხზე მტკიცედ იდგეს, როცა ჭექა-ქუხილი დაიწყება...

... მიუხედავად მიღებული ზომებისა, ჰიტლერის საომარი მზადება საიდუმლოდ მაინც ვერ დარჩებოდა. დიდი ხმაურიც ატყდა მაშინ, მაგრამ საქმით არაფერი გაკეთებულა: არავის უცდია იძულებული გაეხადა იგი დაეცვა ვერსალის ხელშეკრულების პირობები. თვითონ ჰიტლერი კი მკერდში მჯიღს იცემდა და ისე ეფიცებოდა მთელ მსოფლიოს, გერმანიის მთავრობა უშენიშვნოდ დაიცავს ვერსალის ხელშეკრულების დანარჩენ მუხლებსო.

ეს — სიტყვით, საქმით კი...

1934 წლის 21 მაისს გამოიცა საიდუმლო დეკრეტი „იმპერიის დაცვის შესახებ", რითაც გაუქმებულ იქნა ვერსალის ზავის სხვა მუხლებიც. ნაცისტებმა გზა გაუხსნეს გერმანიის სრულსა და საყოველთაო შეიარაღებას. იმავე წლის იანვარში საიდუმლოდ პირველი წყალქვეშა ნავი ჩაუშვეს ზღვაში... იმდროინდელ დოკუმენტებში პირდაპირ წერია, რომ სამხედრო ფლოტი ემზადება ინგლისის წინააღმდეგ საბრძოლველადო. შემდეგ ამას მოჰყვა კრეისერები და სახაზო გემები, ბომბდამშენები და გამანადგურებლები. გერინგი კი ვითომ „იმპერი-

ის საჰაერო თავდაცვისათვის“ იარაღდებოდა და, როგორც თვითონ ამბობდა, „არავითარ შემთხვევაში — რამე აგრესიული მიზნით“.

ნიურნბერგის განსასჯელთა სკამზე მჯდომ ყოფილ რაიხსმარშალს ბაგეზე ირონიული ღიმილი უთამაშებდა, როცა ამერიკელი ბრალმდებელი მოაგონებდა ათიოდე წლის წინათ წარმოთქმულ სიტყვებს:

— გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები ისევე არიან გამსჭვალული იდეით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვან თავიანთი სამშობლო, როგორც დარწმუნებულნი, რომ არასოდეს იქნებიან გამოყენებული სხვა ერების მშვიდობის დასარღვევად...

... პროცესზე მოწმედ გამოიძახეს გერინგის შტაბის უფროსი ფელდმარშალი მილჰი. თავის შეფს რომ შეხედა საბრალდებო სკამზე, მილჰი მართლაც რძესავით (Milch გერმანულად რძეს ნიშნავს) „დაიღვარა“ და ბრალმდებლის შეკითხვაზე თვალის დაუხამხამებლად თქვა, რაიხსმარშალი გერინგი არასოდეს არ ყოფილა ომის მომხრეო. დარბაზში ერთსულოვანი სიცილი ატყდა. გერინგი აიმრიზა და თავის უკან მჯდომ დენიცს გადაულაპარაკა, ხედავთ როგორ გამამასხარავა იმ ღორმაო, თუმცა შემდეგ არც თვითონ შეუკავებია თავი ამგვარი განცხადებისაგან...

ადრე ჰიტლერიც ამბობდა, „ჩვენ არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არ გვაქვს ევროპასთანო“.

— მათი განზრახვა სრულიადაც არ ეთანხმებოდა იმას, რასაც ასე საჯაროდ აცხადებდნენ, — დაადგინა ამერიკელმა ბრალმდებელმა, თუმცა ამას რა „დადგენა“ უნდოდა, როცა იქვე, პროცესზე, წაიკითხეს ჰიტლერის სიტყვები:

— საჭიროა რკინისებური მზადყოფნა. არავითარი უკანდახევა! ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ჩვენ იმთავითვე გვქონდა გადაწყვეტილი გვებრძოლა დასავლეთის სახელმწიფოებთან. ეს იქნება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. როცა ხალხში ერთსულოვნება იყო, გერმანიას ყოველთვის მოუგია ომი... ხანგრძლივი მშვიდობა ჩვენ კარგს არაფერს მოგვიტანს...

...ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს ტყუილი და მართალი, რაც იქნებ ადასტურებდეს კიდეც თომას მანის ნათქვამს, რომ გერმანელის გაგებით პოლიტიკა და სიცრუე სინონიმური ცნებებიაო. თუმცა ესეც ისეთი „საჩოთირო საკითხია", რომ მირჩევნია ამის შესახებაც იმას მოვუსმინოთ, ვინც „დაბადებით გერმანელია".

თომას მანი წერს:

— გერმანელი პოლიტიკაში ხედავს მხოლოდ სიცრუეს, მკვლელობას, მოტყუებას, ძალადობას, აშკარად ჭუჭყიან საქმეს და, როცა ხელს ჰკიდებს მას, კიდევაც ბოქმედებს ამ ფილოსოფიის მიხედვით. გერმანელ პოლიტიკოსს ჰგონია აუცილებლად ისე უნდა მოიქცეს, რომ კაცობრიობას სული შეეხუთოს,— აი, ეს მიაჩნია მას პოლიტიკად. პოლიტიკა მისთვის ბოროტების განსახიერებაა და, თუ უნდა გახდეს პოლიტიკოსი, უნდა ეშმაკად იქცეს.

თომას მანის აზრით, გერმანელს, რომელსაც ბუნებრივი მიდრეკილება აქვს კულტურის, რელიგიისა და ჰუმანიზმისადმი, არ ძალუძს ამ ცნების შეთავსება პოლიტიკასთან მას არ შეუძლია გაიგოს ჰუმანიზმის პოლიტიკური ასპექტი, არ ესმის დემოკრატიისა და თავისუფლების აზრი. იგი ანტირევოლუციურია თავისი ბუნებით. ამიტომაა, რომ გერმანიაში არც ერთ რევოლუციას არ გაუმარჯვია. ახლა კი ნაციონალ-სოციალისტებმა გერმანელი ბიურგერები ჩააბეს ყველაზე თავაშვებულ „რევოლუციაში", რომელსაც თვითონ „გერმანულს" უწოდებენ და რომელიც მიმართულია ყოველივე იმის წინააღმდეგ, რასაც დასავლეთის ისტორია კულტურასა და ჰუმანიზმს უწოდებს. გერმანელებმა უარი თქვეს გაეგოთ პოლიტიკა როგორც ჰუმანიზმის პრობლემის შემადგენელი ნაწილი და ზურგი აქციეს მას, რათა თავი შეეფარებინათ კულტურისათვის. ამან მიიყვანა ისინი პოლიტიკური ტერორის დიქტატურამდე, უხეში ძალის უკონტროლო ძალაუფლებამდე, ტოტალურ სახელმწიფომდე, იმგვარი ბარბაროსობის დამკვიდრებამდე მორალის, საშუალებებისა და მიზნების სფეროში, რომლის მსგავსი ჯერ არ მოსწრებია კაცობრიობას. თომას მანი ფიქრობს, რომ ეს ჰუმანიზმის პოლიტიკური ასპექტისადმი გერმანელი ბიურგერობის კატასტროფული სიბრმავის შედეგია და

ოცნებობს ამ სამი ცნების—კულტურის, ჰუმანიზმისა და პოლიტიკის — იმგვარ შერწყმაზე, რაც გერმანელს გააგებინებს ნამდვილი დემოკრატიისა და თავისუფლების აზრს. მას არა ერთხელ უთქვამს, რომ გერმანელების საშველი არ იქნება, ვიდრე სიტყვა „თავისუფლების“ წარმოთქმისას თვალზე ცრემლი არ მოადგებათო...

ვე არაფერს მოგახსენებთ ამის შესახებ, მაგრამ, რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ აქვე მოგიყვებით როგორ მოხდა ყოველივე ეს და... ვინ იცის, მთლიანად თუ არა, იქნებ ნაწილობრივ მაინც მიეხვდეთ თომას მანის მიერ ასე სიმწრით წარმოთქმული სიტყვების აზრს. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ტრაგიკული ამბების გადმოცემა ი რ ო ნ ი ი ს გარეშე შეუძლებლად მიმაჩნია. რატომ ირონიისო, რომ მკითხოთ, ვერაფერს გეტყვით. თქვენ თვითონ დააკვირდით, რასაც გიამბობთ, და, ვფიქრობ, ისედაც მიხვდებით ამას...

ჯევტონური მახვილი...

ჰიტლერი, ისევე როგორც ყოველი ტოტალური სახელმწიფოს დესპოტი მეთაური, უხეში ძალით, სიცხლითა და მორალური გახრწნის გზით ცდილობდა თავისი პლუტოკრატიული რეჟიმის განმტკიცებას. ამიტომ იყო, რომ „შინაგანი ოპოზიციის“ მოსპობისა და „წმ. ბართლომეს ღამის“ შემდეგ ჯერი ევროპის სხვა ქვეყნების იმ სახელმწიფო მოღვაწეებზე მიდგა, ვინც „იმთავითვე დაიკავა ნაცისტური რეჟიმის საწინააღმდეგო ოპოზიცია“. ჰიტლერის აზრით, ასეთი იყო საფრანგეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ლუი ბარტუ, რომელიც ევროპაში ჰიტლერული გერმანიის საპირისპირო კოალიციის შესაქმნელად მოლაპარაკებას აწარმოებდა. „მცირე ანტანტის“ (ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, იუგოსლავია) სახელმწიფოებთან, აგრეთვე— ავსტრიასა და პოლონეთთან. ამ ქვეყნების მიმართ ჰიტლერს „თავისი საკუთარი ანგარიშები ჰქონდა“ და ამიტომაც უყურებდა ეჭვის თვალით ბარტუს ჩარევას „გერმანიის ინტერესების სფეროში“. უფრო კი ის აშინებდა, საფრანგეთის მშვიდობისმოყვარე მინისტრი ხელს რომ უწყობდა თავისი ქვეყნისა და საბჭოთა კავშირის დაახლოებას. 1934

წლის გაზაფხულზე ბარტუმ მკაცრად გაილაშქრა გერმანიის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამით ბერლინში საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მათი „ყველაზე საშიში მტერი“ ლუი ბარტუ და მისი „ანტიგერმანული კოალიცია“ იყო. მით უმეტეს, რომ ჰიტლერი თვითონ ცდილობდა „საკუთარი ბირთვის შექმნას“ ევროპის ცენტრში.

— ჩვენ ვერასოდეს ვერ განვახორციელებთ დიდ პოლიტიკას, — ეუბნებოდა იგი რაუშნინგს, — თუ არ გვექნა ძლიერი ბირთვი ევროპის ცენტრში. გერმანიის გარდა ამ ბირთვში უნდა შედიოდნენ ავსტრია, ჩეხოსლოვაკია და პოლონეთის ნაწილი, ხოლო მის ირგვლივ უნდა შეიქმნას მცირე და საშუალო ვასალური სახელმწიფოების სისტემა: ფინეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, იუგოსლავია, რუმინეთი.

ამ მიზნით შეიქმნა ე. წ. „ბერლინ-რომის ღერძი“, რომელსაც შემდეგ კიდევ რამდენიმე სახელმწიფო შეუერთდა. ამ ღერძის გარშემო უნდა ეტრიალებინა ჰიტლერს ევროპის „ვასალური სახელმწიფოები“. მისი ემისრები დაძრწოდნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში და, საცა კი ხელი მიუწვდებოდათ, ყველგან „მეხუთე კოლონებს“ ქმნიდნენ.

ჰიტლერი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა იუგოსლავიისადმი, სადაც თავისი „ბალკანური პოლიტიკის“ პლაცდარმი უნდოდა შეექმნა, მაგრამ სწორედ აქ გადაეღობა მას საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. ბარტუ მეგობრული ვიზიტით ჩავიდა ბელგრადში, ხოლო პრეზიდენტმა ლებრენმა იუგოსლავიის მეფე ალექსანდრე I მიიწვია პარიზში.

ბერლინში განგაში ატყდა. გაიმართა სასწრაფო საიდუმლო სხდომები. ამოქმედდა ხორვატიელი უსტაშების ნაციონალისტურ-ტერორისტული ორგანიზაციაც. ყუმბარა აფეთქდა ვაგონში, რომლითაც მცირე ანტანტის სახელმწიფოთა წარმომადგენლები (ბენეში, ტიტულესკუ, უფტისი) მიემგზავრებოდნენ ზაგრების კონფერენციაზე. აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე სამივე სახელმწიფო მოღვაწე სრულიად შემთხვევით გადავიდა სხვა ვაგონში და ამით გადაურჩა კატასტროფას. სხვები დაიღუპნენ. ტერორისტები მაინც არ დაცხრნენ და მუქარაზე გადავიდნენ. მეფე ალექსანდრემ ასეთი წერილიც მიიღო:

— თქვენ უფლება არა გაქვთ, როგორც მოგეპრიანებათ, ისე განაგოთ სხვა ხალხების ხვედრი. ბედისწერა მალე დაგიმტკიცებთ ამას...

ჰიტლერელებმა მაშინვე აიტაცეს ეს იდეა და ხორვატის ტერორისტების ჯგუფი გააძლიერეს ბერლინში. მათ აშკარა მფარველობას უწევდნენ ჰიტლერის აგენტები. პრესაშიც გაჩნდა ცნობა:

— ბერლინში ზოგიერთი ნაცისტი ამტკიცებს, რომ ხუთიექვსი პოლიტიკური მკვლელობის გზით გერმანიას შეუძლია ევროპაში მიაღწიოს ყველაფერს, რასაც კი მოისურვებს...

ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია, მაგრამ ანდაზა „ცდა ბედის მონახევრეაო“ არც გერმანელებისთვისაა უცხო...

... სასწრაფოდ შედგა საიდუმლო გეგმა „ტევტონური მახვილი“. გეგმის შედგენასაც და შესრულებასაც ხელმძღვანელობდა „თვითონ გერინგი“. საქმის ორგანიზატორი კი კაპიტანი შპაიდელი იყო, გერმანიის სამხედრო ატაშეს თანაშემწე პარიზში.

1934 წლის პირველ სექტემბერს გერინგმა საიდუმლოდ მისწერა შპაიდელს:

— ამასთან ერთად გიგზავნით ფიურერისა და რაიხსკანცლერის ორ განკარგულებას ოპერაცია „ტევტონური მახვილის“ შესახებ. განკარგულებებს თან ერთვის ჩემი სამინისტროს ინსტრუქცია ამ ოპერაციის განხორციელების თაობაზე. გაცნობის შემდეგ დოკუმენტები დაუყოვნებლივ უნდა მოსპოთ და ეს შემატყობინოთ პირადად მე...

როგორც ხედავთ, ეს ასე არ მოხდა. არც ის ცნობა დაკარგულა, დოქტორმა ჰააკემ შპაიდელს რომ გაუგზავნა. და ახლა ჩვენ ხელთაა დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია პრეზიდენტ ლებრენის მიერ დამტკიცებული გეგმა იუგოსლავიის მეფესთან შეხვედრისა:

— თანახმად თქვენი თხოვნისა, გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ვიზიტისადმი მიძღვნილი ზეიმი გაიმართება პარიზში. ალექსანდრე გემით მოადგება მარსელის ნავსადგურს, სადაც მის შესახვედრად ჩავლენ ბარტუ და გენერალი ჟორჟი. პირველი ცერემონიის შემდეგ ალექსანდრე, ბარტუსა და ჟორჟის

თანხლებით, ღია მანქანით გაემგზავრება პრეფექტურისაკენ. ისინი გაივლიან მარსელის მთავარ ქუჩას, ლა-კანებიესა და სენ-ფორეოლს. პრეფექტურის წინ გაიმართება საზეიმო ცერემონიალი. ხალხი ალექსანდრეს მიესალმება პრეფექტურის წინა მოედანსა და სენ-ფორეოლის ქუჩაზე.

კორტეჟის მთელი გზა დაყოფილია უბნებად, სადაც წესრიგისა და უშიშროების დასაცავად გამოყენებული იქნება მხოლოდ საგარეო სამსახურის პოლიცია 1300 კაცის შემადგენლობით. გზადაგზა პოლიციელებს ერთი უბნიდან მეორის გასაძლიერებლად გადაისვრიან. წესრიგის დასაცავად არმია არ იქნება გამოყენებული. ლაფორკადის თქმით, ადრე განზრახული მოტოციკლისტთა ესკორტი მოხსნილია. ამის შესახებ უფრო ზუსტად შემდეგ შეგატყობინებთ...

შპაიდელმა ყოველივე ეს გაითვალისწინა და გერინგს აცნობა:

— ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ, თანახმად თქვენი მითითებისა, ოპერაცია „ტევტონური მახვილის“ მომზადება დამთავრებულია. ბატონ ვანკო მიხაილოვთან დაწვრილებით განვიხილე ყველა შესაძლებლობა. გადავწყვიტეთ ოპერაცია ჩავატაროთ მარსელში. თქვენთვის საინტერესო ორივე პიროვნება იქ შეხვდება ერთმანეთს. „ვლადო-შოფერი“ მომზადებულია.

ამასთან ერთად გაახლებთ დოქტორ ჰააკის წერილს...

... 1934 წლის 9 ოქტომბერს იუგოსლავიის მეფე ალექსანდრე I მარსელის ძველ ნავსადგურში ჩამოვიდა გემიდან და ლუი ბარტუსთან ერთად ნახევრად ღია მანქანით გაემართა ქალაქის პრეფექტურისკენ. გზაში ვლადო კალემენმა (იგივე „ვლადო-შოფერი“) გაარღვია პოლიციელთა „კედელი“, მიიჭრა ავტომობილთან და რამდენიმე გასროლით მოკლა ორივე სახელმწიფო მოღვაწე. მკვლელი იქვე მოსპეს. ბერლინის გაზეთებმა კი მოკლე ცნობა გამოაქვეყნეს, „მკვლელი ერთ-ერთი იუგოსლავური ტერორისტული ორგანიზაციის წევრი აღმოჩნდაო“.

ეს იყო და ეს. სხვას ამის შესახებ მაშინ ვინ რას იტყოდა. ის კი არა, მკვლელობის მთავარი ორგანიზატორი გენერალი

გერინგი „ღრმად დამწუხრებული“ მიჰყვებოდა მეფე ალექსანდრეს სამგლოვიარო პროცესიას. დედოფლის გვერდით. მან ჰიტლერის სახელითაც მიუსამძიმრა დაქვრივებულ დედოფალს „ეს შემზარავი ამბავი“ და ცოცხალი ყვავილების უზარმაზარი გვირგვინით შეამკო მეფის საფლავი.

გვირგვინს ასეთი „უცნაური“ წარწერა ჰქონდა:

„ჩვენს ყოფილ გმირულ მოწინააღმდეგეს — ღრმა მწუხარებით გერმანიის შეიარაღებული ძალებისაგან“...

პირველი ნაბიჯი...

ამის შემდეგ „ტევტონური მახეილი“ ისევ ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ იქნა მიმართული. დაიწყო იმით, რომ 1936 წლის მარტში გერმანიამ თვითნებურად განახორციელა საიდუმლო სამხედრო გეგმა „შულუნგი“ და რაინის ოლქის რემილიტარიზაცია მოახდინა, თუმცა ვერსალის ხელშეკრულებით ეს აკრძალული ჰქონდა. ამ ხელშეკრულების 42-ე პარაგრაფში ეწერა: გერმანიას ეკრძალება ააგოს სიმაგრეები ან იყოლიოს სამხედრო ნაწილები რაინის როგორკ მარცხენა, ისე მარჯვენა სანაპიროზე 50 კილომეტრის ზონაშიო. მიუხედავად ამისა, გერმანიამ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მომიზეზებით ისე აღადგინა თავისი ვანუსაზღვრელი სუვერენიტეტი რაინის დემილიტარიზებულ ზონაში, რომ არც ინგლისსა და არც საფრანგეთს ხმა არ გაუღიათ. თუმცაღა, კაცმა რომ თქვას, ჰიტლერელებს შიში კი ჰქონდათ მათი. გერმანიის საელჩოების სამხედრო ატაშეები გამაფრთხილებელ სიგნალებს იძლეოდნენ ლონდონიდან და პარიზიდან. ისინი სთხოვდნენ თავიანთ უფროსებს ჩაეგონებინათ ჰიტლერისათვის, რომ ინგლის-საფრანგეთის მხრივ კონტრზომების მიღების შემთხვევაში სწრაფად გაეყვანა ჯარები რაინის რემილიტარიზებული ზონიდან. ჰიტლერმა საიდუმლო ბრძანებაც გასცა ამის თაობაზე, მაგრამ სულ ტყუილუბრალოდ: ინგლისსა და საფრანგეთს თითიც არ გაუნძრევიათ ვერსალის ხელშეკრულების დასაცავად. ისინი ერთმანეთს შეჰყურებდნენ, აბა, თუ გადადგამს პირველ ნაბიჯსო. ერთი ერთს

იმიზეზებდა, მეორე — მეორეს, რაღაც უმნიშვნელოსა და შეუფერებელს. „პაატავ, ბანი მითხარიო და... ქუსლი მტკივა, ბატონოო“, რომ იტყვიან, ისე იყო. ამიტომ არც ერთს გაუკეთებია რამე და არც მეორეს. მართალია, ერთა ლიგა კი შეიკრიბა ამ საკითხზე, მაგრამ „ბანის მთქმელები“ არც აქ აღმოჩნდნენ. ისხდნენ ერთა ლიგის „გუნდის წევრები“ ლონდონის სენ-ჯეიმსის სასახლის ნალისებურ დარბაზში და წყალს ნაყავდნენ იმის დასადგენად, ნამდვილად დაარღვია გერმანიამ ვერსალის ხელშეკრულება თუ არა.

გერმანიის წარმომადგენელი რიბენტროპი გულხელდაკრეფილი იჯდა ფანჯარასთან და სადღაც შორს იყურებოდა. იგი კმაყოფილი იყო იმით, რომ გერმანიის წინააღმდეგ სანქციების გამოყენებას არავინ მოითხოვდა. ისე კი „დაგმეს“ გერმანიის მოქმედება, მაგრამ ეს ადვილი მოსანელებელი იყო...

...ბერლინში დაბრუნებულმა რიბენტროპმა შეკავების მაგივრად კიდევ უფრო წააქეზა ისედაც თავაწყვეტილი ფიურერი:

— ყოველგვარი შიში უნდა უკუვაგდოთ და უფრო მაგრად დავაჭიროთ კუდზე ფეხი ბრიტანეთის ლომს. თუმცა იგი ჯერ კიდევ ბრდღვინავს, მაგრამ კბენა უკვე აღარ შეუძლია...

ყველაფერი, მართლაც, ასე „უმტკივნეულოდ“ მოხდა. შევიდნენ თუ არა გერმანიის ჯარები რაინის დემილიტარიზებულ ზონაში, მაშინვე შეუდგნენ სიმაგრეების აგებას. კაიტელი ხუმრობდა კიდეც, ამისათვის ჩვენ სამი ბატალიონის მეტი არ.ვ დაგვჭირდებაო. ნიურნბერგში ივი უკვე ხუმრობის ხასიათზე აღარ იყო, მაგრამ მაინც დაადასტურა:

— წარმოიდგინეთ, რომ რაინის ოლქის ოკუპაცია ჩვენ მოვახდინეთ სულ რაღაც სამი ბატალიონის ძალებით.

— მერედა კონტრშეტევისა არ გეშინოდათ? — ჰკითხა მას ინგლისელმა ბრალმდებელმა შოუკროსმა.

ამაზე კაიტელმა უპასუხა:

— მათ შეეძლოთ ჩვენი უკუგდება და ეს არც გაგვიკვირდებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჰიტლერმა დაინახა, თუ რა ადვილად მიაღწია ყველაფერს... მოხდა სხვა დანარჩენიც...

იოდლმა ყოველივე ეს აზარტულ თამაშს შეადარა:

— ვაღიარებ, რომ ჩვენ მაშინ თავს ისეთ აზარტულ მოთამაშედ ვთვლიდით, — განაცხადა მან, — რომელიც მთელ თავის ქონებას ჩამოდის სათამაშო მაგიდაზე...

მერე იმანაც ჩაიცინა და თქვა:

— საკმარისი იყო საფრანგეთის თუნდაც სასაზღვრო ჯარის ნაწილებს გაენძრიათ ხელი, რომ გავესრიესეთ...

შეიძლება მართლაც ასე მომხდარიყო, მაგრამ ხელი არავის გაუნძრევია. ან საფრანგეთი რა „ხელის განმძრევი" იყო, როცა მისი ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი პიერ ლავალი თავის ხალხს კი არა, ჰიტლერელებს „ეუბნებოდა ბანს"...

... არც ინგლისის მაშინდელი მეფე გეორგ V იყო დიდი რიჩარდ ლომგული. იგი 25 წელიწადი იჯდა ბრიტანეთის სამეფო ტახტზე, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სულ ავადმყოფობდა და სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როცა ჰიტლერმა პირველი აგრესიული ნაბიჯები გადადგა ევროპაში.

გიორგის მემკვიდრე ედუარდ VII სახელმწიფო საქმეზე უფრო ნადიმებითა და უცხოეთში ხეტიალით იყო გართული. არც სამეფო ტრადიციებს სცემდა პატივს. არა ერთი და ორი ქვეყნის პრინცესა ოცნებობდა გადედოფლებაზე, მაგრამ გვირგვინოსან დონ-ჟუანს თვალი სხვაგან ეჭირა. იგი გადაეკიდა არცთუ ისე პირმშვენიერსა და თანაც ორგზის ნაქმრევ ამერიკელ კეკლუცს უელი სიმპსონს, რომელსაც რქების მაგივრად თავზე გვირგვინის დადგმა მოუნდომა, მაგრამ სასახლის არისტოკრატია და თვით დედა ედუარდისა, დაქვრივებული დედოფალი, აღშფოთდნენ „სამეფო კარის ამგვარი შეურაცხყოფით". არც ედუარდმა დათმო თავისი გულის სატრფო და გადადგა. ტრადიციისამებრ მან გამოსამშვიდობებელი სიტყვაც წარმოთქვა, მაგრამ არა რამე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ, არამედ ასეთ „გულისამაჩუყებელ" თემაზე — „ქალი, რომელიც მიყვარს" (The Wooman, I love) და სატრფოსთან ერთად უცხოეთში გაემგზავრა ვინძორის ჰერცოგის ტიტულით...

უწინარეს ყოვლისა, იგი ჰიტლერულ გერმანიას ეწვია, შემ-

დეგ კი საფრანგეთისა და იტალიის რივიერების მუდმივი საპატიო სტუმარი გახდა...

... დიდი ბრიტანეთის დაცარიელებულ ტახტზე ედუარდის ძმა გეორგ VI ავიდა, პრემიერ-მინისტრი ბოლდუინი კი ჩემბერლენმა შეცვალა. არც ერთი იყო „მტკიცე პოლიტიკის“ მომხრე და არც მეორე. ეს გაითვალისწინა ჰიტლერმა და თავის ელჩად ლონდონში გამოცდილი ნაცისტი რიბენტროპი დანიშნა. ჩემბერლენმა მას განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად საკუთარი სახლი დაუთმო საცხოვრებლად, თვითონ კი ყოფილი პრემიერის რეზიდენციაში გადასახლდა.

მართალია, ზოგიერთები რიბენტროპის მაგივრად მას „ბრიკენდროპს“ ეძახდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, „მისი აღმატებულება“ ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ელჩის პირველი ამოცანა ის იყო, რომ ინგლისელები „გერმანული მასშტაბურობით“ გაეოცებინა. ამიტომ ჯერ საელჩოს შენობის რეკონსტრუქციას შეუდგა, მერე — დარბაზების მორთვას. პროექტები „იმპერიის მთავარი არქიტექტორის“ შპეერის მიერ იყო შედგენილი. კედლებზე ბერლინის მუზეუმებიდან გამოტანილი სურათები ეკიდა: კრანახის „ლუკრეცია“, ლენბახის „ცხენის თავი“, ფრა-ანჯელიკოს „მადონა“ და სხვ.

რიბენტროპი ამ შენობაში პომპეზურ წვეულებებს მართავდა. ჰიტლერელები სახსრებს არ იშურებდნენ, რათა ინგლისელებისათვის იმპერიის ძალა და სიმდიდრე ეჩვენებინათ. აქ ყველაფერი ნაცისტურ ყაიდაზე უნდა ყოფილიყო, მისალმებაც კი. ამიტომ ყველას აინტერესებდა, მეფესთან შეხვედრის დროს ან რომელიმე ოფიციალურ მიღებაზე რიბენტროპი გამოიჩენდა თუ არა კადნიერებას დაერღვია სასახლის ტრადიციული ეტიკეტი და თავის მდაბლად დაკვრის ნაცვლად მარჯვენა ხელის წინ გაშვერით მიეცა საღამი, როგორც ეს ნაცისტურ გერმანიაში იყო მიღებული. ბევრი ამას „პრინციპულ საკითხად“ თვლიდა და შესაფერ მომენტს ელოდა...

... მეფის დაბადების დღეს, ტრადიციის მიხედვით, სამეფო ოჯახის კორტეჟს უნდა ჩაევლო „მოზეიმე ლონდონელთა“ წი-

ნაშე. ეს გზა გერმანიის საელჩოს შენობის წინ გადიოდა. რიბენტროპი თავის საპატიო სტუმრებთან ერთად ტერასაზე იდგა. როგორც კი პროცესია გაუსწორდა მათ, არა მარტო რიბენტროპმა, არამედ მისმა სტუმრებმაც, მათ შორის „ფრიად რესპექტაბელურმა მანდილოსნებმა“ კრონ-პრინცესამ და მისმა მულმა, ბრაუნშვაიგის გრაფის ასულმა, მარჯვენა ხელი წინ გაიშვირეს და თან „ჰაილ ჰიტლერო“ მიაძახეს ფელდმარშლის მეწამულ მუნდირში გამოწყობილ გეორგ მეექვსესა და მის გვირგვინოსან მეუღლეს...

— ღმერთო, რატომ მომაესწარი ჰოჰენცოლერთა გვარეულობის ამგვარ სამარცხვინო დაცემას! — ჩაილაპარაკა თავისთვის ღრმად მოხუცებულმა გრაფის ასულმა პუტლიცმა...

... მეორე შეხვედრა უფრო სენსაციური იყო. მეფემ სეჯეიმსის სასახლეში ე. წ. Lever-ი გამართა. ამგვარ დარბაზობაში, როგორც წესი, მხოლოდ მამაკაცები იღებდნენ მონაწილეობას, უმთავრესად — დიპლომატები. ისინი წეროებივით გამწკრივებულნი შემოვიდოდნენ სამეფო დარბაზში, მდაბლად თავს დაუკრავდნენ მეფეს და ჩაივლიდნენ.

იმ დღეს რიბენტროპიც „ჩადგა რიგში“ და მაშინვე „მტრულ გარემოცვაში“ მოხვდა: მის წინ საბჭოთა კავშირის საელჩოს წარმომადგენლები მიდიოდნენ, უკან კი — ესპანეთის რესპუბლიკისა. სხვებიც ცალი თვალით მას უყურებდნენ, ისევ აიქნევს „ბრიკენდროპი“ ხელს თუ არაო...

მღელვარება მეფესაც გადაედო. ისიც ელოდა რა მოხდებოდა. ამასობაში რობენტროპმა სამეფო ტახტამდე მიაღწია, თავი დაუკრა და, ყველას რომ ეგონა ვერ გაბედავს ნაცისტური სალამის მიცემასო, უცებ გასწორდა და... ზედ მეფის ცხვირწინ აიქნია მარჯვენა ხელი.

შეცბუნებულმა მეფემ თავი ინსტინქტურად გვერდზე გადაქნია და გაშეშდა. დიპლომატები ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო: შეიკავებს მეფე თავს, თუ...

... არავითარი „თუ“! თავი შეიკავა კი არა, ვითომდა არაფერიო, შემკრთალ სახეზე მსუბუქმა ღიმილმაც გადაურბინა. მერე ერთნი წერდნენ, ეს ღიმილი ირონიული იყოო, მეორენი

ამტკიცებდნენ — დამცინავიო. ზოგნი ამ ინციდენტში ინგლისის გაუთავებელი და საბედისწერო მოთმინების სიმბოლოს ხედავდნენ, სხვები კიდევ — მესამე იმპერიის. გამომწვევი პოზიციის დემონსტრაციას...

ასე იყო თუ ისე, ფაქტი მაინც ფაქტად დარჩა: რიბენტროპმა არა მარტო ფეხი დააჭირა კუდზე ბრიტანეთის ლომს, არამედ „ცხვირშიაც წაავლო ხელი". ამაში სხვაც ბევრი დარწმუნდა, როცა რამდენიმე დღის შემდეგ ბუკინჰემის სასახლეშიც ისეთივე „ინცინდენტი" გამეორდა. უფრო მეტიც: რიბენტროპი გვირგვინოსანთა წყვილის წინ შეჩერდა, კვლავ ხელის აჭნევით მისცა მათ ნაცისტური სალამი და, მართალია, ოდნავ გასაგონად, მაგრამ მაინც მიაყოლა:

— ჰაილ ჰიტლერ!

მეფემ ისევ გაიღიმა...

... იტალიური ანდაზაა: ჯობს ძაღლის თავი იყო, ვიდრე ლომის კუდიო. თუმცა იმ დროს არც ისე ადვილი გასარჩევი იყო, სად ძაღლის თავია და სად ლომის კუდი. ბრიტანელი ლომი და ტევტონური მგელი შორიდან „ზომავდნენ ერთმანეთს". ერთიც ცდილობდა თავისი ქვეყნის უპირატესობის ჩვენებას და მეორეც. მართალია, ეს „შეჯიბრი" ჯერ მხოლოდ დარბაზობებზე იჩენდა თავს, მაგრამ „წინასწარმეტყველნი" ამაშიც „მომავლის დიდი ამბების" სიმპტომებს ხედავდნენ.

სტარტი ინგლისმა აიღო. რიბენტროპი დაესწრო მეფე გეორგ მეექვსის კორონაციას ვესტმინსტერის საობატოში და ამასთან დაკავშირებით გამართულ დიდ ბალს ბუკინჰემის სასახლეში. ზეიმზე ათასამდე კაცი იყო მიწვეული. ისინი მოედვნენ სასახლის ვრცელ დარბაზებს და, როგორც დამსწრენი წერენ, „ზღაპრული სანახაობა" შექმნეს. ტანსაცმლისა და სამკაულების სიმდიდრე ყოველგვარ წარმოდგენას აღემატებოდა. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გვირგვინოსნები, რომლებიც უკლებლივ მოეწვიათ, საცა კი შემორჩენილი იყო. განსაკუთრებით ეგზოტიკურად გამოიყურებოდნენ აღმოსავლურ ყაიდაზე გამოწყობილი მალაელი სულთნები და ინდოელი უფლისწულები. მაჰარაჯა ჯაიპურის მოსასხამი სულ ძვირფასი თვლებით იყო და-

ფარული, წელზეც იაგუნდითა და ზურმუხტით მოჭედილი ხანჯალი ეკიდა. ნეპალის მთავრის თავსარქველი მზესავით ელავდა დარბაზში. ეგვიპტის მეფე ფარუკი ხომ სულ მოძრავ საიუველირო გამოფენას ჰგავდა. გვირგვინოსანთა შორის ისეთი ფეერიული სილამაზის დედოფლები და პრინცესები იყვნენ, რომ ყველაფერი ეს მართლაცდა „ათას ერთი ღამის“ წარმტაც სანახაობას მოგვაგონებდა...

ბრიკენდროპის წარმოდგენა...

რიბენტროპმა გადაწყვიტა „გერმანული მასშტაბურობით“ დაეჩრდილა ეს დარბაზობა. იგი ამისთვის რამდენიმე თვეს ემზადებოდა. ხარჯები შეზღუდული არ ყოფილა: იმდენი, რამდენიც საჭიროაო, შემოუთვალეს ბერლინიდან და „ბრიკენდროპმაც“ გაშალა ხელი. მართალია, თავზე გვირგვინს ვერ დაიდგამდა, მაგრამ „არისტოკრატიული ნათლობა“ კი მიიღო. საელჩოს თანამშრომელმა პუტლიცმა სადღაც ძველი მედალიონი იპოვა ლათინური წარწერით „Pro meritis de Ribbentrop“ („რიბენტროპის დამსახურებისათვის“). ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ რიბენტროპს თავისი გვარისათვის წინ არისტოკრატიული შთამომავლობის აღმნიშვნელი „ფონ“ მიემატებინა. ჩვენში ასეთებს „აშორდიას აზნაურებს“ ან „გააზნაურებულ მდაბიოებს“ უწოდებდნენ. მათ ზოგჯერ უფრო მეტი ქედმაღლობა ახასიათებთ, ვიდრე გვირგვინოსან მეფეებს.

რიბენტროპმა ისე სწრაფად შეტოპა პატივმოყვარეობის ჭაობში, რომ ჰიტლერის მიერ ბოძებულ „მეორე ბისმარკის“ ტიტულს არ დასჯერდა და „ზებისმარკობას“ იჩემებდა. ბევრს მართლაც სჯეროდა ეს.

იმ დღეებში პუტლიცმა საკმაოდ ირონიულად ჰკითხა საელჩოს ერთ-ერთ თანამშრომელს:

— როგორა გგონიათ, იოახიმ ფონ რიბენტროპი ისევე დიდია გერმანიის ისტორიაში, როგორიც ოტო ბისმარკი?

— რასა ბრძანებთ, უფრო დიდი! — იყო მისი გულწრფელი პასუხი.

რიბენტროპს სიამოვნებდა ეს და ისე შეეგუა თავისი პერ-

სონის განდიდებას, რომ, საელჩოს თანამშრომელთაგან ვინც თავის ახალდაბადებულ ბავშვს სახელად იოახიმს დაარქმევდა, ოქროს საათით ასაჩუქრებდა...

... დარბაზობის წინ რიბენტროპმა თვითონ შეადგინა „ტაქტიკურ-ოპერატიული გეგმა“ და ასეთი „დიპლომატიური დავალებები“ მისცა თავის თანამშრომლებს:

— თქვენ, ტერნერ, ჩემთან დარჩებით საგანგებო შემთხვევისათვის. თქვენ, შპიც, სადარბაზო კარებს უდარაჯეთ და გაუსაკუთრებით საპატივცემლო სტუმრის მოსვლა მომახსენეთ. თქვენ, გოტფრიდსენ, გევალებათ იყოთ მეკავშირე ჩემსა და სამზარეულოს შორის და ა. შ

ყველას სამ-სამი სტუმარი მიამაგრა „სამეურვეოდ“. თვით სტუმრები კი ორ ჯგუფად დაყო: „მნიშვნელოვანი“ და „დანარჩენი“. ვინც „მნიშვნელოვნად“ მიაჩნდა, სიაში ნიშანი „W“ (wichtig) გაუკეთა. ასეთი ასამდე იყო, პრემიერ-მინისტრ ნევილ ჩემბერლენიათ დაწყებული და სამეფო კარის მარშლით დამთავრებული.

პუტლიცს, რომელიც ამ ამბებს აღწერს, სამი „სამეურვეო“ შეხვდა: საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დელბოსი, საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე და ლონდონის ლორდ-მერი.

გამონაკლისს მხოლოდ დიდი ბრიტანეთის კოლონიების მინისტრი ორმსჰორი წარმოადგენდა.

— იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის: კოლონიები ხომ უნდა დავიბრუნოთ,— თქვა რიბენტროპმა და მას ერთს მიამაგრა თავისი მოადგილე ვერმანი...

... მეფემ საკორონაციო ბალზე თუ ათასამდე კაცი მიიწვია, რიბენტროპმა — ათას ხუთასი. ამდენი ხალხი რომ ერთად შეიკრიბა, საელჩოს შენობაში გასანძრევი ადგილიც აღარ იყო. სტუმრების ნაწილი დერეფნებში და კიბეებზე დარჩა. წინასწარ მომზადებული „ტაქტიკურ-ოპერატიული გეგმა“ ხომ სულ ჩაიშალა. მიმაგრებულებმა ვერც კი მოძებნეს თავიანთი „სამეურვეო“ სტუმრები. პუტლიცმა ძლივს აღმოაჩინა საუდის არაბეთის უფლისწული და რის ვაი-ვაგლახით მოუტანა ერთი

ჭიქა ლიმონათი. მერე იმდენი მოახერხა, რომ დელბოსს სკამი უშოვა დასაჯდომად. სხვები ჩამოწყდნენ ფეხზე დგომით. დარბაზში ისეთი ხმაური იდგა, რომ ყურთასმენა აღარ იყო. მომღერალი ფრიდა ლაიდერი სადღაც კი გაჰკიოდა შუბერტის არიას, მაგრამ ყურს არავინ უგდებდა.

ზოგმა ამ დარბაზობას „აღმოსავლური ბაზრობა“ უწოდა, ზოგმაც — „ბრიკენდროპის საცირკო წარმოდგენა“. ბევრი მაშინვე გაერიდა ამ ქაოსს და შინ გაიპარა. ბერლინიდან ჩამოზიდული ხორაგი და სასმელები თითქმის ხელუხლებელი დარჩა...

ჩქარა დარბაზები სტუმრებისაგან სულ დაცარიელდა, გერმანელი მასპინძლები კი დილამდე განაგრძობდნენ ღრეობას. რიბენტროპი კმაყოფილი იყო ამ „გრანდიოზული ბიღებით“, სადაც გერმანელებმა ინგლისელებს რაღაც „უხეში და შიშისმომგვრელი ძალა“ უჩვენეს...

... ამ ძალას უკვე ინგლისის მთავრობაც გრძნობდა. ჰიტლერის უცერემონიო მოქმედება ევროპაში ძლიერ ვნებდა დიდ ბრიტანეთის პრესტიჟს, მაგრამ ჩემბერლენი იმედოვნებდა, რომ თანდათან მოათვინიერებდა „იმ თავგასულ ეფრეიტორს“. ამიტომაც უწოდეს მის საგარეო პოლიტიკას „მოთვინიერების პოლიტიკა“. თუმცა ჰიტლერი არცთუ ისე ადვილად მოსათვინიერებელი იყო. პირიქით, იგი თვითონ გამოდიოდა ბრიტანეთის ლომის მომთვინიერებლად, რომელსაც გარეგნულადაც ჰგავდა: მაღალყელიანი ჩექმები ეცვა და ხელში მუდამ მათრახი ეჭირა. ევროპის ყბაღია ჟურნალისტებისათვის ესეც სიმბოლური იყო. ყველა ხედავდა, ბრიტანეთის ლომს რომ ხან „კუდზე აჭერდნენ ფეხს“, ხანაც ყურს მოქაჩავდნენ... ლომი კი მხოლოდ ბრდღვინავდა, კბენით კი არ იკბინებოდა. ჩემბერლენი თავიდანვე მოთვინიერებული იყო. ან ჰიტლერის მათრახის წინაშე რას გახდებოდა, როცა თვითონ მხოლოდ ქოლგა ეჭირა. ამ ქოლგას იგი არასოდეს არ იშორებდა ხელიდან... ჩვეულებრივად ბევრს თევზაობდა და ცოტას ბჭობდა. არც არავითარ საშიშროებას გრძნობდა. უფრო ხშირად სიძესთან დადიოდა შოტლანდიაში, სადაც კალმახებსა და ტარაღანებს იჭერდა.

რიბენტროპის ჯაშუშები ჩრდილებივით დასდევდნენ ინგლისის დაუდეკარ პრემიერს. ისინი გულმოდგინედ კრეფდნენ ყოველგვარ ცნობას, რასაც ჩემბერლენი თავის სიძეს ანდობდა... ამგვარი ცნობები დაუყოვნებლივ გადაეცემოდა ლონდონში რიბენტროპს, ხოლო იქიდან პირდაპირ ბერლინში იგზავნებოდა.

— ჩემბერლენი შეშფოთებულია, — ეწერა ერთ-ერთ ასეთ ცნობაში, — რომ გერმანიაში სათანადოდ არ აფასებენ მის ცდებს ლოიალურად მოეკიდოს მესამე იმპერიის სურვილებს. აშბობს: ჰიტლერი არასოდეს არ არის კმაყოფილი და სულ ახალ-ახალ მოთხოვნებს აყენებს, რაც ძლიერ აძნელებს ინგლისის საზოგადოების წინაშე მოთვინიერების პოლიტიკის დაცვასო...

სხვა ცნობით, ჩემბერლენს უთქვამს თავისი სიძისათვის, რომ ივი მაინც თანამიმდევრულად გაჰყვება საკუთარ გეზს, რადგან, გინდა თუ არა, ჰიტლერული გერმანია მძლავრ ანტიბოლშევიკურ ბასტიონს წარმოადგენს, რაც ძლიერ საჭიროა ინგლისისთვისაო. მაგრამ, თუ გერმანიის პრეტენზიები ასე უზომოდ გაიზრდება, ვინმეს ინის გარანტიას ვერ მივცემ, რომ საქმე სერიოზულ კატასტროფამდე არ მივაო...

ამგვარი ცნობების გზავნით რიბენტროპმა ჩააგონა ჰიტლერს, რომ, ვიდრე ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჩემბერლენია, შეგიძლია უფრო გაბედულად იმოქმედოო...

... ჰიტლერი თვითონაც დარწმუნდა ამაში და რაინის ოლქის რემილიტარიზაციის შემდეგ ავსტრიის ოკუპაცია მოაბდინა. გერმანელებს არც ამ შემთხვევაში დასჭირვებიათ „ზარბაზნების დაცლა". მართალია, „ნაჭუჭის გატეხა" კი მოუხდათ „თხილის გულის საგემებლად", მაგრამ არც ინგლისსა და არც საფრანგეთს არც ახლა გამოუდვიათ თავი იმ „ნახევრად გერმანული" ავსტრიის დასაცავად. ხოლო ჰიტლერი ძალაუფლების ხელში ჩაგდების დღიდანვე ცდილობდა გერმანიასთან თავისი სამშობლოს შემოერთებას (Anschlus). ამისათვის მოაწყო ჰიტლერმა ჯერ კიდევ 1934 წელს მიუნხენისებური პუტჩი ვენაში, სადაც მას ჰყავდა თავისი „ყავისფერი კონკვისტადორები"— ესესელთა „მეხუთე კოლონა" არტურ ზეის-ინკ-

ვარტისა და კალტენბრუნერის მეთაურობით. მათ რიგებშივე იყო შემდგომ ცნობილი დივერსანტი ოტო სკორცენი. შეთქმულები მიუნხენიდან ეზიდებოდნენ იარაღს ვენაში და ნიშანს უცდიდნენ...

მეტერნიხის აჩრდილები...

მეხი თითქოს უღრუბლო ცაზე გავარდა. ავსტრიის მთავრობა რატომღაც არავითარ საფრთხეს არ მოელოდა. მართალია, ჰიტლერმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ მას არა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები ავსტრიის მიმართ, მაგრამ „ჩემს ბრძოლაში“ განა გარკვევით არ ეწერა, რომ ავსტრიის ანექსია მის „გარდაუვალ მიზანს წარმოადგენს!“

— მე ვფიქრობ,— წერდა იგი, — რომ გერმანული ავსტრია უნდა დაუბრუნდეს თავის დიდ სამშობლოს...

ავსტრიის მთავრობას ეს, როგორც ჩანს, ლიტონ განცხადებად მიაჩნდა. არც ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციების „მეხუთე კოლონას“ თვლიდნენ მაშინ სერიოზულ ძალად. კანცლერი ენგელბერტ დოლფუსი თავს მშვენივრად გრძნობდა მეტერნიხის სასახლეში. მას სულაც არ აწუხებდა „წარსულის აჩრდილები“. პრეზიდენტი მიკლასიც არ იყო შეშფოთებული „რამე მოულოდნელობით“. იგი ქალაქგარეთ ისვენებდა ველდენში ვიორტის ტბასთან. საგანგაშო სიგნალები კი სულ უფრო მეტად გაისმოდა. შეთქმულების დღეს პოლიციის ინსპექტორი დობლერი წინასწარი შეთანხმებით კაფე „ვეგჰუბერში“ შეხვდა დოლფუსის „სამამულო ფრონტის“ წარმომადგენელს მარეხს და გაანდო, საღამოს შეთქმულები დოლფუსის მოკვლასა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას აპირებენო. ამის შესახებ „ვიღაცებმა“ სტატს-მდივანს ფაისაც დაურეკეს...

... კანცლერის სასახლეში მინისტრთა საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა დოლფუსის თავმჯდომარეობით. იგი ემზადებოდა იტალიაში გასამგზავრებლად, სადაც „თავის მეგობარს“ მუსოლინის უნდა შეხვედროდა. ცოლ-შვილი უკვე გაგზავნი-

ღი ჰყავდა რომში, ოღითონ კი მინისტრთა საბჭოს სხდომის დამთავრებას უცდიდა.

გერმანიის აგრესიული განზრახვის საპირისპიროდ ავსტრიელები მაშინ იტალიის მხარდაჭერას ეძებდნენ. მუსოლინიც მზად იყო ხელი გაეწოდებინა მეზობელი სახელმწიფოსათვის. მაშინ იგი არცთუ ისე იყო აღტაცებული „თავისი მეტოქის" ჰიტლერის უცერემონიო მოქმედებით ევროპაში. როგორც ჩანს, დუჩეს შურდა კიდეც ფიურერის, როგორც „ევროპის პოლიტიკის წამყვანი ძალის", ასეთი სწრაფი წარმატება. ავსტრიელები გრძნობდნენ ამას და ცდილობდნენ მუსოლინის მხარდაჭერა მოეპოვებინათ...

... მინისტრთა საბჭოს სხდომა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ მაიორი ფაი ფეხაკრეფით შევიდა დარბაზში და დოლფუსი გამოიხმო „ფრიად საჭირო და გადაუდებელი" საქმის გამო. დოლფუსმა ჯერ არც ცნო ყურადღების ღირსად ფაის გაფრთხილება, მაგრამ მერე იძულებული გახდა სხდომა შეეწყვიტა. მან განუცხადა მინისტრებს, თუ „მშვიდობა იქნებოდა", საღამოს კვლავ შეკრებილიყვნენ სხდომათა დარბაზში... თვითონ კი თავის რეზიდენციაში დარჩა... მასთან ერთად იყვნენ მაიორი ფაი, უშიშროების საქმის ხელმძღვანელი კარვინსკი და კანცლერის ას ორმოცდაათამდე მოხელე.

თავდაცვის რამე საგანგებო ზომა მიღებული არ ყოფილა, რამდენიმე დეტექტივი გააფრთხილეს მხოლოდ. ეს იყო და ეს...

... საათის ისარი ორს უახლოვდებოდა, როცა ზიბენშტერნგასეს ერთ-ერთი სახლის ეზოდან ავსტრიელი ჯარისკაცების ფორმაში გადაცმული ესესელთა 89-ე ლეგიონის მებრძოლები გამოვიდნენ საბარგო მანქანებით, სულ რამდენიმე ათეული კაცი. ერთი მანქანა კანცლერის სასახლისაკენ გაემართა, მეორე — რადიოსადგურის შენობისაკენ, ხოლო მესამე — ვიორტის ტბისაკენ, საითაც პრეზიდენტ მიკლასის რეზიდენცია იყო.

კანცლერის სასახლესთან შეთქმულთათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. პირიქით, იფიქრეს ყარაული იცვლებაო და

ფართოდ გაუღეს კარები... სკორცენი და რამდენიმე „ჯარისკაცი“ შესასვლელთან დადგნენ ყარაულზე. დანარჩენებმა უცებ განაიარაღეს რამდენიმე პოლიციელი და სასახლეში შევარდნენ. ისინი სპეციალური სქემით იკვლევდნენ გზას მეტერნიხის ძველთაძველი სასახლის მიხვეულ-მოხვეულ დერეფნებში...

ახლა კი მიხვდა დოლფუსი, რომ საქმე ცუდად მიდიოდა. უნდოდა მხლებლებიანად საიდუმლო გასასვლელით გაპარულიყო სასახლიდან... გაიქცა კიდეც დერეფანში, მაგრამ ამაოდ: შეთქმულნი მივარდნენ მას... გაისმა რევოლვერის ხმა... ერთი... ორი... სამი... დოლფუსმა იყვირა მიშველეთო და დაეცა...

... შეთქმულთა მეორე ჯგუფი რადიოს შენობაში შეიჭრა და აიძულა დიქტორი გადაეცა ცნობა, რომ დოლფუსის მთავრობა გადადგა, ხოლო კანცლერობა დოქტორ რინტელენს დაევალაო...

ამ ცნობამ „ადრესატებამდე“ ვერ მიაღწია: უკანასკნელ მომენტში რადიოკვანძის მუშაკებმა ეჭვი შეიტანეს შეთქმულთა მოქმედების კანონიერებაში და გამოთიშეს გადამცემი...

მიკლასის დასაპატიმრებლად გამგზავრებული შეთქმულნი კი გზაშივე დააკავეს. პრეზიდენტმა კანცლერის მოვალეობის შესრულება განათლების მინისტრს კურტ შუშნიგს დააკისრა. კაბინეტის წევრები სამხედრო სამინისტროში შეიკრიბნენ. დოლფუსის სასახლე შეთქმულთა ხელში იყო. მათ სასახლის თანამშრომლები მძევლებად დაიტოვეს და თავიანთი მოთხოვნები წამოაყენეს. თვით სასახლე მთავრობის ჯარებითა და პოლიციით იყო გარშემორტყმული... ულტიმატუმიც შეგზავნეს, მაგრამ შეთქმულებმა მაინც სცადეს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. მათ მაიორი ფაი აიძულეს შუშნიგისათვის დაერეკა, შემდეგ კი წერილიც გაეგზავნა, რომ დოლფუსს არ სურს სისხლისღვრა, ამიტომ ძალაუფლებას დოქტორ რინტელენს გადასცემსო. შუშნიგმა ყურადღება არ მიაქცია ამ „იძულებით გადაწყვეტილებას“. მან უბრძანა სასახლის გარშემო განლაგებული ჯარების მეთაურს შეთქმულთათვის ულტიმატუმი შეეგზავნა და უარის შემთხვევაში სასახლეზე იერიში მიეტანა...

... მძიმედ დაჭრილი დოლფუსი ჯერ კიდევ სიკვდილს ებრძოდა. მან მისუსტებული ხმით წყალი ითხოვა. ეს თხოვნა კი შეუსრულეს, მაგრამ შუშნიგთან ტელეფონით დალაპარაკების უფლება არ მისცეს. მას მამაცურად ეჭირა თავი. შეთქმულთა მეთაური ხუდლი ამაოდ ცდილობდა იძულებული გაეხადა მომაკვდავი კანცლერი განკარგულება გაეცა შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და გამოეცხადებინა, რომ ახალ კაბინეტს დოქტორი რინტელენი შეადგენსო...

ამის ნაცვლად დოლფუსმა ითხოვა მაიორ ფაისთან დამალაპარაკეთო. შეთქმულებმა შემოიყვანეს დაპატიმრებული მაიორი. დოლფუსმა მას ძლივს გასაგონად უჩურჩულა:

— გადაეცით სალამი ჩემს მეუღლეს... სთხოვეთ მუსოლინის იზრუნოს ჩემს შვილებზე...

მერე მის გარშემო შეკრებილთ მიმართა...

— ბიჭებო, თქვენ კარგად მექცევით მე. სხვები რატომ არ არიან ასეთები, როგორიც თქვენა ხართ?! მე ხომ მშვიდობა მინდოდა... ყველამ უნდა დავიცვათ თავი... ღმერთმა შეგინდოთ!..

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები...

... პუტჩი ჩაიშალა. შეთქმულები დააპატიმრეს. შვიდი ესესელი ჩამოახრჩვეს. უდღეურმა „კანცლერმა რინტელენმა სცადა თავი მოეკლა, მაგრამ გადარჩა. სკორცენი მიიმალა. ჰიტლერმა პილატესავით დაიბანა ხელი, აქ მე არაფერ შუაში ვარო. „ღრმა მწუხარებაც“ გამოთქვა დოლფუსის მოკვლის გამო. ის კი „დაავიწყდა“, რამდენიმე დღის წინათ რომ იმუქრებოდა, მე მოვაკვლევინებ დოლფუსსო. შემდეგ ეს „სამწუხარო ინციდენტი“ მან თავის ვენელ ელჩს რიტს გადააბრალა. გერმანიის პრესა აივსო სამგლოვიარო განცხადებებით. ჰიტლერი „გლოვობდა“ დოლფუსის „ვერაგულად მოკვლის“ გამო, მაგრამ მელიამ კუდი ვერც ამ შემთხვევაში დამალა. შეთქმულების გამარჯვებაში დარწმუნებულმა გებელსმა წინასწარ დაებეჭდვინა ცნობა „ავსტრიის ხელისუფლების წარმატებით შეცვლის“ შესახებ. მართალია, ამ გაზეთის დროული კონფისკაცია მოახდინეს, მაგრამ რამდენიმე ეგზემპლარი მაინც ჩაუვარდათ ხელში დაინტერესებულ პირთ და დარჩა ისტორიაში...

...დოლფუსის მოკვლისა და შეთქმულების ჩაშლის ღამეს ფრანც ფონ პაპენის ბინაში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. შუაღამე უკვე გადასული იყო. პაპენს გაეღვიძა და უსიამოვნოდ გააჟრჟოლა. „ახალი მოულოდნელობებისა“ ეშინოდა. იმ „ბართლომეს ღამეს“, როცა „რემის აჯანყებას“ აქრობდნენ, მას თანაშემწე და მდივანი მოუკლეს. თვითონ კი შინაური პატიმრობა ჰქონდა, თუმცა ოფიციალურად ჯერ კიდევ ითვლებოდა გერმანიის ვიცე-კანცლერად.

ტელეფონის მილი რომ აიღო, შიშით ხელი უკანკალებდა.

— თქვენ დაუყოვნებლივ უნდა ჩაიბაროთ საელჩო ვენაში! — მოესმა მას ჰიტლერის გამყინავი ხმა.

— როგორ მოგივიდათ ასე უცებ ამგვარი გასაოცარი აზრი! — უპასუხა პაპენმა ჰიტლერს.

ვენაში მომხდარ ამბებზე მან, ცხადია, არაფერი იცოდა. ჰიტლერმა აუხსნა სიტუაცია. პაპენს გარკვეული პასუხი მაინც არ მიუცია, თუმცა მის თავზე უკვე დამოკლეს მახვილი ეკიდა, ეს წინადადება კი ერთგვარი ხსნა იყო... მიუხედავად ამისა, მაინც ასეთი ორჭოფული პასუხი გასცა ჰიტლერს:

— კეთილი, მაგრამ ასე გვიან ღამით, ისიც ტელეფონით მე არ შემიძლია ამგვარი საკითხის გადაწყვეტა.

— მაშინ გთხოვთ დილით ადრე გამოცხადდეთ ჩემთან ბაირეითში, — გაისმა ისევ ფიურერის ხმა...

... იმ სისხლიან საღამოს ჰიტლერი, ვითომ არაფერიო, ბაირეითის ოპერის თეატრში იჯდა და ვაგნერის „რაინის განძს“ უსმენდა. იქვე იღებდა ინფორმაციებს ვენიდან. იგი გაცოფებული იყო შეთქმულების ჩაშლით და ახლა იმაზე ზრუნავდა, რომ ეს „გაფუჭებული საქმე“ ისე მიეჩქმალა, რომ მისი მონაწილეობა არ გამჟღავნებულიყო. მერე კი ისევ აღედგინა ნორმალური ურთიერთობა ავსტრიასთან. ეს მისია მან ერთხელ უკვე „შერისხულ პაპენს“ მიანდო. პაპენმა ამჯერადაც გამოამჟღავნა თავისი ქედმოდრეკილი მორჩილება ჰიტლერის წინაშე და იკისრა ამ საჩოთირო დავალების შესრულება. მართალია, მოკლული დოლფუსი მეგობრად მიაჩნდა, მაგრამ არც ახალი კანცლერი შუშნიგი იყო პაპენისათვის „უცხო ხილი“. საერთო ენაც ადვილად გამოძებნა მასთან, თითქოს და-

არწმუნა კიდეც იმ „ჭუჭყიან საქმეში“ გერმანელთა უცოდ-ველობასა და ავსტრიისადმი კეთილგანწყობაში და... მაშინვე შეუდგა ძირგამომთხრელ მუშაობას. მან კარგად იცოდა, ზეის-ინკვარტი, კალტენბრუნერი და სკორცენი რომ ახალ შეთქმუ-ლებას ამზადებდნენ...

სიბარეების დიპლომატია...

ოთხი წლის შემდეგ „გორდიას კვანძი“ თავისთავად ვა-იხსნა და ყოველივე ეს საჯაროზე იქნა გამოტანილი. ამ დროისათვის გერმანია უკვე ერთ-ერთ უდიდეს სამხედრო ძალას წარმოადგენდა ევროპაში და ჰიტლერს აღარ სჭირო-და ძველებური მიხვეულ-მოხვეული გზები ავსტრიის დასა-პყრობად. იგი სრულიად აშკარად ადგა ძალის პოლიტიკას, რასაც ყოველგვარი დიპლომატიური შენიღბვის გარეშე აგრ-ძნობინებდა „თავის მოწინააღმდეგეებს“. რიბენტროპმა სა-ბოლოოდ დაარწმუნა ჰიტლერი, რომ „ბრიტანეთის ლომი“ მართლაც არ აპირებდა კბენას. ამან ერთბაშად გაზარდა რიბენ-ტროპის ავტორიტეტი ჰიტლერის თვალში, რასაც საგარეო სა-ქმეთა მინისტრის პორტფელის ბოძება მოჰყვა. ამ პორტფელს მაშინ რამდენიმე უფრო გავლენიანი პირი ეპოტინებოდა, მათ შორის — გერინგი, გებელსი და როზენბერგი. ისინი ყოველ-ნაირად ცდილობდნენ დაემცირებინათ ფიურერის თვალში „ის ღვინის ვაჭარი“ რიბენტროპი, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ჰიტლერმა განუცხადა მათ:

— თქვენ სწორად ვერ აფასებთ რიბენტროპის დამსახუ-რებას. იგი მეორე ბისმარკია!..

ამის შემდეგ ყველამ ხმა გაიკმინდა. რიბენტროპი კი მაინც ნერვიულობდა. ვიდრე ლონდონში იჯდა, ეშინოდა ბერლინში „რამე გაუგებრობა“ არ მომხდარიყო, და კვირაში ორჯერ მა-ინც ცხადდებოდა რაიხსკანცელარიაში, რომ ჰიტლერისათვის „თავისი ბისმარკობა“ დაემტკიცებინა. მას საკუთარი თვითმ-ფრინავი ჰყავდა. გზაში „გასართობად“ საელჩოს რომელიმე კეკლუც თანამშრომელსაც წაიყვანდა ხოლმე. თუ რამ საი-დუმლო საუბარი ჰქონდა თვითმფრინავში, თავის „გამრთობს“

საპირფარეშოში ჩაკეტავდა და ისე არჩევდა სახელმწიფო საქმეებს.

მალე ფონ ნოირატი იძულებული გახდა გადამდგარიყო და ჰიტლერმა საგარეო საქმეთა მინისტრად თავისი „მეორე ბისმარკი“ დანიშნა. ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა „ავსტრიის საკითხი მომწიფდა“. რიბენტროპმა ჩააგონა ჰიტლერს „უფრო გაბედულად“ დაედგა ბრიტანეთის ლომისათვის კუდზე ფეხი. ჰიტლერმა დაიჯერა ეს და მისი დავალებით პაპენმა ავსტრიის კანცლერი შუშნიგი ბერჰტესგადენში მიიწვია, თან „დაამშვიდა“, საქმე ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესებას ეხებაო. ადრე საამისო ხელშეკრულებებიც ჰქონდათ დადებული, კერძოდ, 1935 წლის 21 მაისისა, სადაც ნათქვამი იყო, რომ „გერმანია არ ჩაერევა ავსტრიის შინაგან საქმეებში და არ მოინდომებს მის ანექსიას“.

ერთი წლის შემდეგ ჰიტლერმა „უფრო მტკიცე“ გარანტია მისცა ავსტრიას:

— ფიურერი და კანცლერი აცხადებს, რომ გერმანიის იმპერიის მთავრობა ცნობს ავსტრიის ფედერაციულ რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

ყოველივე ეს ცნობილი იყო და პაპენს არც გასჭირვებია დაერწმუნებინა შუშნიგი, რომ „საქმე ამჯერადაც მეგობრული ურთიერთობის განვითარებას“ ეხებაო.

შუშნიგმა მიიღო ჰიტლერის მიწვევა და 1938 წლის 11 თებერვალს გაემგზავრა კიდეც გერმანიაში. მასთან ერთად იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი გვიდო შმიდტი და პირადი ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი ბარტლი...

დელეგაციის წევრებმა ჯერ მატარებლით იმგზავრეს საზღვრამდე, ხოლო შემდეგ მანქანებით გაემართნენ ბერჰტესგადენისაკენ. გზა მოყინული იყო, უღელტეხილი კი — თოვლით დაფარული, მაგრამ სადღაც რკინის მუხლუხოები იშოვეს და რის ვაი-ვაგლახით ჩააღწიეს ჰიტლერის რეზიდენციამდე...

...ორი კანცლერის შეხვედრა 12 თებერვალს გაიმართა. ჰიტლერს რიბენტროპის, პაპენისა და სხვა დიპლომატების გარდა „რატომღაც“ გენერლებიც ახლდნენ: კაიტელი, რაიჰენაუ და შპერლი.

ჰიტლერს წესად ჰქონდა დადებული ამგვარი „მოლაპარაკე-ბის“ დროს „სტატისტებად“ გენერლებიც ხლებოდა „ფსიქო-ლოგიური ზეგავლენის“ მოსახდენად. პაპენი კი არწმუნებდა შუშნიგს, ფიურერი კარგ ხასიათზეა და საუბარი მეტად გულ-თბილი იქნებაო, მაგრამ ცივმა ნიავმა მაინც დაუბერა. საქმე ის იყო, რომ ჰიტლერი კრძალავდა მასთან თამბაქო მოეწიათ, შუშნიგს კი სულ სიგარა ჰქონდა პირში გამოჩრილი. მოსა-ლოდნელი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად შმიდტი შე-ეხვეწა რიბენტროპს ჰიტლერისაგან ნებართვა აეღო, რომ მასთან საუბრის დროს შუშნიგს მოეწია თუნდაც ერთი სიგა-რა მაინც. რიბენტროპმა ეს თხოვნა გადასცა ჰიტლერს, მაგრამ მან ცივი უარით გამოისტუმრა. საუბრის დაწყებისას თვითონ შუშნიგმა სთხოვა ჰიტლერს თამბაქოს მოწევის ნება მიეცა, მაგ-რამ ყველასათვის მოულოდნელად ჰიტლერმა უყვირა მას და ისევ უარი უთხრა.

ამის შესახებ ნიურნბერგის პროცესზედაც იყო ლაპარაკი. მოწმედ გამოძახებულმა გვიდო შმიდტმა განაცხადა, მე ყო-ველნაირად ვცდილობდი ერთი სიგარა მაინც მომეწევინებინა ავსტრიის კანცლერისთვისო, მაგრამ ეს თურმე ვერ მოახერხა.

ამით მდგომარეობა ერთბაშად დაიძაბა. ნიურნბერგში გა-მოქვეყნდა იოდლის დღიურები, რითაც აშკარა გახდა, რომ ჰიტლერის ეს „ფსიქიკური შეტევა“ წინასწარ იყო გაანგარი-შებული.

— შუშნიგი კი არ უნდა გათამამდეს, არამედ ძრწოდეს! — წერდა იოდლი დღიურში.

შუშნიგიც მიხვდა, რომ აქ შეიძლება რამე ფათერაკს წა-სწყდომოდა, მაგრამ რა უნდა ექნა? ჰიტლერის დავალებით გერმანელ ჯაშუშებს წინასწარ ჰქონდათ შესწავლილი მისი ხასიათი, ისიც, თუ რომელ დღეს რამდენი სიგარა ჰქონდა მო-წეული. ამის მიხედვით არკვევდნენ ისინი როგორ გუნებაზე იყო იგი, რა საკითხი უფრო აღელვებდა და რა — ნაკლებ. ჰიტლერი რეგულარულად იღებდა ცნობებს: „შუშნიგმა დღეს 40 სიგარა მოსწია... დღეს — 50, ეს მეტად მღელვარე დღე იყო მისთვის“ და სხვ....

... ყველაზე მღელვარე დღე კი სწორედ 12 თებერვალი აღმოჩნდა შუშნიგისათვის. იგი იმდენად უმწეოდ გამოიყურე-

ბოდა ჰიტლერის წინაშე, რომ თურმე რიბენტროპსაც კი შეებრალა, ერთი წუთით გარეთ გამოვიდა და კაიტელს უთხრა:

— მე მართლაც შემეცოდა შუშნიგი. იგი ისე გაჭიმული დგას ფიურერის წინაშე, როგორც დამნაშავე სტუდენტი, და ყველაფერზე იძახის: დიახ, ჩემო ფიურერ, სწორედ ასეა...

რიბენტროპი, რა თქმა უნდა, აჭარბებს, ამიტომ ჯობს თვითონ შუშნიგს მოვუსმინოთ. ომის შემდეგ მან გამოაქვეყნა მოგონებები, სადაც ასე აღწერს ამ მოლაპარაკებას:

შ უ შ ნ ი გ ი: ეს შესანიშნავი კაბინეტი ალბათ არა ერთხელ ყოფილა მეტად მნიშვნელოვან მოლაპარაკებათა ადგილი, არა, ბატონო კანცლერო?

ჰ ი ტ ლ ე რ ი: დიახ, აქ მწიფდება ჩემი აზრები. მაგრამ ჩვენ აქ იმისათვის კი არ შევკრებილვართ, რომ ამაზე ან ამინდის შესახებ ვილაპარაკოთ.

თავაზიანმა შუშნიგმა ამას ყურადღება არ მიაქცია და მაღლობა მოახსენა ჰიტლერს შეხვედრისათვის. თან იმდენი დიპლომატიური ეშმაკობა იხმარა, რომ ახსენა 1936 წლის ხელშეკრულება, რომლითაც გერმანია ავსტრიის როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნის საზღვრების ხელშეუხებლობას ცნობდა.

ამის შესახებ ჰიტლერმა რაიხსტაგის სხდომაზეც „სრულიად კატეგორიულად“ განაცხადა:

— გერმანიას არა აქვს არავითარი განზრახვა და არც სურს ჩაერიოს ავსტრიის შინაურ საქმეებში, მოახდინოს მისი ანექსია ან მიაღწიოს შემოერთებას (Angliederung)...

შუშნიგმა მოაგონა ჰიტლერს ეს ხელშეკრულება და დაუმატა:

— ჩვენ ვიცავთ ამ ხელშეკრულების ყოველ სიტყვას!

ეს, ცხადია, ჰიტლერს არ მოეწონა და უცებ გადავიდა ფსიქიკურ შეტევაზე:

— მე შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რომ ყოველივე ამის ასე გაგრძელება შეუძლებელია. მე მაწევს ისტორიული მისია, და მე მას შევასრულებ, რადგან ასე მიკარნახა განგებამ. მე გარემოსილი ვარ ხალხის სიყვარულით. შემიძლია, სადაც მინდა, იქ წავიდე, როგორც მინდა, ისე ვიარო...

შეცბუნებულმა შუშნიგმა ამაზე სხვა ვერაფერი უპასუხა,

გარდა იმისა, რომ მჯერაო თქვენი... ჰიტლერმა კი ისევ გაუტია:

— ყოველ შემთხვევაში, მე ისეთივე, თუ მეტი არა, უფლება მაქვს ვიწოდებოდე ავსტრიელად, როგორც თქვენ, ბატონო შუშნიგ! აბა, ერთხელ სცადეთ და მოაწყვეთ თავისუფალი რეფერენდუმი, სადაც ჩვენ ორივენი ვიქნებით კანდიდატები. მაშინ ნახავთ თქვენს სეირს...

შუშნიგმა იცოდა, ჰიტლერს რომ ასეთი რეფერენდუმის მოწყობა უნდოდა და მაშინვე აუქცია გვერდი:

— დიახ, რომ ეს შესაძლებელი იყოს, — უპასუხა მან, — მაგრამ თქვენც კარგად იცით, ბატონო კანცლერო, რომ ეს სრულიად შეუძლებელია.

ჰიტლერი უცებ „მოახტა ბედაურს“ და მუქარაზე გადავიდა:

— ამას თქვენ ამბობთ, ბატონო შუშნიგ! მე კი გეტყვით, რომ როგორმე გადავწყვეტ ავსტრიის საკითხს. საკმარისია ბრძანება გავცე და თქვენი სასაცილო ხუხულები საზღვარზე ერთ ღამეში დაინგრევა. ხომ არ გგონიათ, რომ შემაჩერებთ თუნდაც ერთი საათით?! ვინ იცის, იქნებ ხვალ დილით მე უკვე გაზაფხულის მეხივით დავატყდე თავს ვენას!..

შუშნიგი, რა თქმა უნდა, მიხვდა ყოველივე ამის აზრს და არა „დამნაშავე სტუდენტივით“, არამედ როგორც სუვერენული სახელმწიფოს კანცლერმა, ისე მიუგო:

— ეს, ბატონო კანცლერო, გვინდა თუ არა, მაინც გამოიწვევს სისხლისღვრას. ჩვენ ბედის ანაბარა არა ვართ მიტოვებულნი. ასე რომ სრულიად გარკვევით მოგახსენებთ, ეს გამოიწვევს ომს...

ვისი იმედი ჰქონდა მაშინ შუშნიგს, როცა ამას ამბობდა? ინგლისის? არა მგონია. საფრანგეთის? არც ეს. ალბათ იტალიისა! . ჰიტლერი კი ისევ უტევდა მას:

— მე მინდა კიდევ ერთხელ და უკანასკნელად მოგცეთ, ბატონო შუშნიგ, საშუალება გადაწყვიტოთ: ან ჩვენ შევთანხმდებით, ან ყველაფერი თავისი გზით წავა და თქვენ ნახავთ, რაც მოხდება. კარგად მოიფიქრეთ, ბატონო შუშნიგ, მე შემიძლია მხოლოდ საღამომდე ვიცადო. გაიგეთ ეს ისე, როგორც გენებოთ... მე სალაყბოდ არა მცალია!..

ეს უკვე ულტიმატუმი იყო, თუმცა შუშნიგმა ჯერ არც იცოდა კონკრეტულად რას მოითხოვდა მისგან ჰიტლერი. ამიტომაც ჰკითხა:

— როგორია თქვენი კონკრეტული სურვილი, ბატონო კანცლერო?

როგორც ჩანს, ეს უკვე ჰიტლერმაც არ იცოდა. თუმცა არ იცოდა კი არა, არ უნდოდა ეთქვა. მას შემდეგ, რაც შუშნიგმა მტკიცე პოზიცია დაიჭირა, საჭირო იყო „სურვილების“ შენიღბვა. ამიტომაც უთხრა:

— ამაზე საღამოს მოვილაპარაკოთ...

...ამით დამთავრდა მათი პირველი „მოლაპარაკება“. ჰიტლერს ერთხელაც არ უწოდებია შუშნიგისათვის „კანცლერი“, არც სადილად მიუწვევია. შესვენების დროს შუშნიგი ეთათბირა თავის საგარეო საქმეთა მინისტრს გვიდო შმიდტს. თუმცა ეს რა „თათბირი“ იყო, როცა ორივეს ეშინოდა, უარი რომ ვუთხრათ რამეზე, აქვე დაგვაპატიმრებენ და ავსტრიის ოკუპაციას მოახდენენო. ნიურნბერგშიც ჰკითხეს მოწმედ გამოძახებულ შმიდტს, დაპატიმრებისა გეშინოდათ თუ არაო.

— დიახ, ჩვენ მოველოდით ამას, — დაადასტურა მან.

მერე რიბენტროპმა და პაპენმა იხმეს შუშნიგი და ჰიტლერის მიერ შედგენილი ასეთი დოკუმენტი დაუდვეს წინ ხელის მოსაწერად:

— ავსტრიის მთავრობა იღებს ვალდებულებას შინაგან საქმეთა მინისტრად, განუსაზღვრელი პოლიტიკური უფლებებით, დანიშნოს ავსტრიელი ნაციონალ-სოციალისტი არტურ ზეის-ინკვარტი, გაათავისუფლოს ყველა დაპატიმრებული ნაციონალ-სოციალისტი, მათ შორის 1934 წლის შეთქმულების მონაწილენი, და ავსტრიის ნაციონალ-სოციალისტური პარტია შეიყვანოს „სამამულო ფრონტში“.

ამ მანევრის აზრი ადვილად გასაგები იყო: რაკი შუშნიგი ომით იმუქრებოდა, ჰიტლერს უნდოდა ზეის-ინკვარტის სახით „ტროას ცხენი“ შეეყვანა ავსტრიის მთავრობაში და შიგნიდან დაემხო მისი დამოუკიდებლობა. შუშნიგი, ცხადია, მიხვდა ამას, მაგრამ რა გზა ჰქონდა, როცა კატეგორიულად განუცხადეს, ეს ულტიმატუმი საბოლოოა და მასში ერთი სიტყვის შეცვლაც არ შეიძლებაო.

— თუ თქვენ თანხმობას განაცხადებთ, ჰიტლერი საღამოს ისევ მიგიღებთ, — უთხრა მას რიბენტროპმა.

საღამოს კი უფრო ტრაგიკომიკური სცენა გათამაშდა. ჰიტლერმა ჯიქურ შეუტია შუშნიგს.

— მე გადავწყვიტე, ბატონო შუშნიგ, ვცადო უკანასკნელად. აქ არის დოკუმენტი. მე არ ვაწარმოებ მოლაპარაკებას. სავაჭროდ არა მცალია. ამ დოკუმენტში მე არ შევცვლი ერთ მძიმესაც კი. ან მოაწერთ ხელს, ან... ყველაფერი ზედმეტია. ამაღამ მე მივიღებ გადაწყვეტილებას.

თუ კანცლერი ხელს მოაწერდა შემოთავაზებულ დოკუმენტს, ჰიტლერი სამი დღის ვადას აძლევდა აღებული ვალდებულების შესასრულებლად, მაგრამ შუშნიგმა განუმარტა მას:

— კიდევაც რომ მინდოდეს მოვაწერო ხელი, ამ დოკუმენტს მაინც არ ექნება კანონის ძალა, რადგან ავსტრიის სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი მიკლასი. მხოლოდ იგი ნიშნავს მთავრობის წევრებს. ამნისტიაც მის კომპეტენციაში შედის. ამიტომ არც იმის პასუხისმგებლობა შემიძლია ვიკისრო, რომ ყოველივე ამას სამ დღეში შევასრულებ...

შუშნიგს ეგონა ამგვარი „საბუთიანი სიტყვით" გულს ოდნავ მაინც გაუნელებდა გაშმაგებულ ჰიტლერს, მაგრამ ამაოდ...

— უნდა იკისროთ!.. — დაარტყა მაგიდას მუშტი ჰიტლერმა.

— არა, არ შემიძლია! — გაიმეორა შუშნიგმა.

მაშინ ჰიტლერი ადგილიდან წამოხტა, ერთხანს წაღმა-უკუღმა ირბინა ოთახში, მერე კარი გააღო და იყვირა:

— კაიტელ!..

ფსიქოლოგიურმა შეტევამ ზენიტს მიაღწია. ჰიტლერი უხმობდა არმიას!..

— კაიტელ! კაიტელ! — ყვიროდნენ დერეფნებში.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის უფროსად ახალდანიშნული კაიტელი ჰიტლერის კაბინეტში შევარდა და გაიჭიმა...

ჰიტლერმა ჯერ გაოგნებული შუშნიგი გააგდო ოთახიდან...

— მე თქვენ უფრო გვიან გიხმობთ! — მიაძახა მას კარებში და ინსტრუქციები მისცა კაიტელს...

შუშნიგი მოტყდა. ნახევარი საათის შემდეგ მან ხელი მოა-

წერა... რამე „შეთანხმებას“ კი არა, ჰიტლერის „განკარგულებას“...

იმპერატორის იმიტატორი...

დაიწყო ავსტრიის ტრაგედიის მეორე აქტი. პრეზიდენტმა მიკლასმა დანიშნა ზეის-ინკვარტი შინაგან-საქმეთა მინისტრად და გაათავისუფლა დაპატიმრებული ნაციონალ-სოციალისტები... ჰიტლერი არც ამას დასჯერდა და ავსტრიის არმიაში ასი ოფიცერი გაგზავნა, იგი თვითონ ესაუბრა მათ და საჭირო მითითებებიც მისცა. ამის შესახებ იოდლიც წერს დღიურში:

— მათ უნდა იზრუნონ არა იმისათვის, რომ ავსტრიის შეიარაღებულმა ძალებმა უკეთ იბრძოლონ ჩვენ წინააღმდეგ, არამედ სულაც არ იბრძოლონ...

შუშნიგმა 13 მარტი რეფერენდუმის დღედ გამოაცხადა. საჭირო იყო ხალხს ეპასუხა კითხვაზე: უნდა თუ არა ავსტრიას დამოუკიდებლობა? შუშნიგს იმედი ჰქონდა, რომ ამით დაიცავდა ქვეყნის სუვერენიტეტს. თითქოს ჰიტლერსაც უნდოდა რეფერენდუმის მოწყობა, მაგრამ მერე გადაიფიქრა.

ისევ იოდლი წერს დღიურში:

— სრულიად მოულოდნელად და თავის მინისტრებთან შეუთანხმებლად შუშნიგმა რეფერენდუმი გამოაცხადა. წინასწარი გეგმიანი მომზადების გარეშე ამან შეიძლება ლეგიტიმისტთა დიდი უმრავლესობის გამარჯვება გამოიწვიოს. ფიურერს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაუშვას ეს...

ჰიტლერი სასწრაფო ზომებს იღებს. იგი იმავე ღამით ურეკავს გერინგს. კაიროდან სასწრაფოდ გამოიძახეს გენერალი ფონ რაიჰენაუ, იხმის აგრეთვე გენერალი ფონ შობერტი და მინისტრი გლაიზე-ჰორსტენაუ. კაიტელმა და იოდლმა ავსტრიის ანექსიის გეგმა („ოტო“) მოარბენინეს. რიბენტროპის ლონდონში ყოფნის გამო საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობა დროებით ისევ ნოირატს დაეკისრა. ცხადდება ნაწილობრივი მობილიზაცია, იგზავნება წერილი მუსოლინისთან, ულტიმატუმს უყენებენ ავსტრიის მთავრობას. ზეის-ინკვარტი ჰიტ-

ლერისა და გერინგის სახელით წინადადებას აძლევს შუშნიგს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს რეფერენდუმის სამზადისი. შუშნიგი იმავე ღამეს გარბის მიკლასთან, დილით კი იხმობს ზეის-ინკვარტს და „ეთანხმება“ ჰიტლერის წინადადებას.

ჯოჯოხეთის მანქანა მაინც ტრიალებს. შუშნიგი ახალ ულტიმატუმს იღებს: შენ გადადექი, ხოლო მიკლასმა კანცლერად ზეის-ინკვარტი დანიშნოს, არადა... ორი საათის შემდეგ გერმანიის ჯარები ავსტრიის საზღვრებს გადალახავენო...

ეს უკვე სრული კაპიტულაციის მოთხოვნის მომასწავებელი ნიშანია. შუშნიგი თვითონ ვერ ბედავს რამე გადაწყვეტილების მიღებას და ისევ მიკლასთან გარბის... გზაში მას ურჩევენ მიმართოს ხალხს, არმიას, იბრძოლოს ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, თან დახმარება სთხოვოს ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას, მუსოლინის...

... შუშნიგმა იცოდა, მუსოლინი რომ ამრეზით უყურებდა ჰიტლერის „თავბრუდამხვევ კარიერას“. მუსოლინი ხომ თავისთავს ფაშისტური მოძრაობის მამამთავრად თვლიდა, ჰიტლერი კი მოწაფედ მიაჩნდა. ადრე ჰიტლერიც ბაძავდა მუსოლინის. მასაც ისეთივე „ჯარისკაცის ტალახიანი ჩექმებით“ უნდოდა ბერლინზე გალაშქრება, როგორც მუსოლინიმ გალაშქრა რომის წინააღმდეგ. მერე თუ მუსოლინი „დუჩე“ გახდა, ჰიტლერი „ფიუერერი“ შეიქნა და თვითონაც იგდო ხელთ ძალაუფლება. ამის შემდეგ მას უკვე აღარ სურდა მუსოლინის მოწაფედ ან მიმდევრად ჩაეთვალათ და ამბობდა, ჩემი პროგრამა 1919 წელს შევიმუშავე, როცა დუჩეს არც ვიცნობდიო. მერე ფაშიზმის თეორია სულ მიისაკუთრა და ფელდმარშალ კესელრინგს უთხრა, როცა იტალიური ფაშიზმის ისტორიას ვკითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ნაციონალ-სოციალიზმის ისტორიას ვეცნობოდეო.

მუსოლინი კი მაინც არ თმობდა თავის პრეროგატივას და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ ეს ჰიტლერისათვისაც ეგრძნობინებინა.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს ჰიტლერმა რომაელი კეისა-

რივით მკლავი წინ გაჭიმა და ინდაურივით გაფუტორილ მუსოლინის მიაძახა:

— Ave Imperatore! (სალამი იმპერატორს!).

— Ave Imitatore! (სალამი იმიტატორს.), — შეუბრუნა მაშინვე დუჩემ, მაგრამ ჰიტლერმა ამას ყურადღება არ მიაქცია. ფიურერს სულაც არ აინტერესებდა, თუ რა აზრისა იყო მასზე მუსოლინი. მართალია, ოფიციალურად კი აქებდა და ადიდებდა „თავის მეგობარს", მაგრამ ვიწრო წრეში თუ საიდუმლო თათბირებზე ბევრსაც ლანძღავდა. ვერ აეტანა, რომ მუსოლინიმ არ დაამხო სავოიის სასახლე და არ გააუქმა მონარქიული წყობილება. ზოგჯერ ზიზღითაც ამბობდა, მუსოლინი ისე დარბის მეფესთან, როგორც უბრალო შიკრიკიო. არც ის მოსწონდა, სამხედრო აღლუმებისა და დემონსტრაციების დროს ტრიბუნაზე მეფის ოჯახის წევრების უკან რომ აყენებდნენ.

ერთხელ, როცა რომში ყოფნისას სამხედრო აღლუმს ჰიტლერიც დაესწრო, მეფემ მას იმდენი პატივი დასდო, რომ თავის გვერდით დააყენა. მუსოლინი კი, ჩვეულებისამებრ, მეორე რიგში დადგა. ამაზე ჰიტლერმა პროტესტი განაცხადა: ამ საპატიო ადგილზე არ დავდგები, თუ მუსოლინიც ჩემ გვერდით არ იქნებაო.

მეფე იძულებული გახდა დაეთმო და დუჩე მხარში ამოუდგა ჰიტლერს...

... მიუხედავად ამისა, ჰიტლერი სულ იმის ცდაში იყო, რომ იტალიის დიქტატორი თავის ვასალად ექცია. იგი ოდნავ ანგარიშსაც არ უწევდა „კოლეგის" აზრს, არც ალაპარაკებდა. პირველი შეხვედრის დროსაც ჰიტლერმა ხუთი საათი ისე იქადაგა, რომ გაოგნებულ დუჩეს ერთხელაც არ ამოაღებინა ხმა.

ასეთი იყო მათი სხვა შეხვედრებიც. ამან ისე გააცოფა მუსოლინი, რომ თავის სიძესა და საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ გოლეაცო ჩიანოს უთხრა:

— პირადად მე მეზიზღება ჰიტლერიც და მისი მანერებიც. ეს რა მოლაპარაკებაა! ხუთი საათის განმავლობაში მე იძულებული ვარ ვუსმინო მის წარმოუდგენლად მოსაწყენსა და უსარგებლო მონოლოგს...

ერთ დროს ეს წინააღმდეგობა ისე ძლიერი იყო, რომ გერმანელები სიმაგრეებს აგებდნენ ბრენერის უღელტეხილზე, ხოლო იტალიელები „ყოველ შემთხვევისათვის“ ჯარის ნაწილებს გზავნიდნენ ავსტრიის საზღვრებზე.

შუშნიგს ეგონა ამ წინააღმდეგობით ვისარგებლებო, მაგრამ ვარაუდში მოტყუვდა. მუსოლინიმ არ ისურვა მასთან ლაპარაკი. როცა შუშნიგი ტელეფონით დაუკავშირდა „პალაცო ვენეციას“, მუსოლინი არც მივიდა აპარატთან, მდივანმა უპასუხა მხოლოდ, დუჩე სანადიროდაა წასულიო.

— ჩიანო? — იკითხა შეშფოთებულმა შუშნიგმა.

— ჩიანოც! — მიუგეს მას და ყურმილი დაუკიდეს...

ტყუილი და მართალი...

ავსტრია უკვე განწირული იყო. შუშნიგი, ცხადია, მიხვდა ამას და გადადგა. მიკლასმა მეტი სიმტკიცე გამოიჩინა და უარი თქვა ზეის-ინკვარტის კანცლერად დანიშვნაზე. ჰიტლერი გაცოფდა. გერინგი აშკარა მუქარაზე გადავიდა. იგი სულ „ტელეფონზე ეკიდა“ და კატეგორიულ მითითებებს აძლევდა ზეის-ინკვარტს:

— ახლავე წადით მიკლასთან და გადაეცით, რომ, თუ ხელს არ მოაწერს კანცლერად თქვენს დანიშვნას, ჩვენი ჯარები დაუყოვნებლივ შეიჭრებიან ავსტრიის ტერიტორიაზე. რაკი მიკლასმა ვერ შეძლო ოთხი საათის განმავლობაში გაეგო ეს, ახლა ჩვენ ვაიძულებთ გაიგოს ოთხ წუთში...

ზეის-ინკვარტი გავარდა მიკლასთან, მაგრამ პრეზიდენტმა ისევ უარყო მისი წინადადება. გერინგი სულ გაგიჟდა:

მაშინ გადაეცით ზეის-ინკვარტს, რომ გამოიძახოს ესესელები და გააძევოს პრეზიდენტი! — დარეკა მან ვენაში, მაგრამ უცებ შეჩერდა და ახალი გადაწყვეტილება მიიღო:

— ზეის-ინკვარტი ისევ მივიდეს მიკლასთან და მოსაფიქრებლად ხუთი წუთი მისცეს!

ამ „ხუთი წუთის“ შემდეგაც გერინგს აცნობეს, რომ პრეზიდენტი მაინც უარზეა.

 გ ე რ ი ნ გ ი: მაშ უარი გითხრეს დანიშვნაზე?

ზ ე ი ს-ი ნ კ ვ ა რ ტ ი: დიახ!.: უარი, ისევე როგორც უწინ!

გ ე რ ი ნ გ ი: კეთილი, ჯარებს ბრძანებას ვაძლევ შეტევა დაიწყონ. დრო არ დაკარგოთ. ახლავე აიღეთ ხელში ძალაუფლება. გააგებინეთ ავსტრიის მესვეურებს, რომ ყველას, ვინც შეეცდება წინააღმდეგობა გაგვიწიოს, დაუყოვნებლივ გადავცემთ ჩვენი ჯარების სამხედრო-საველე სასამართლოს. გასაგებია?

ზ ე ი ს-ი ნ კ ვ ა რ ტ ი: დიახ! გასაგებია!

გ ე რ ი ნ გ ი: ყველას, ხელმძღვანელი პირების ჩათვლით, რა თანამდებობაც უნდა ეჭიროთ მათ, ეგ სულერთია, თუნდაც თვით ფედერალური პრეზიდენტი იყოს. მან თქვენ არ დაგნიშნათ, ესეც ხომ წინააღმდეგობაა!

ზ ე ი ს-ი ნ კ ვ ა რ ტ ი: მაშ როგორ!..

... დანარჩენი უკვე ოტო სკორცენიმ იცოდა. იგი თავისი რაზმით მიკლასის სასახლეში შეიჭრა, დაცვა განაიარაღა და ულტიმატუმი წარუდგინა პრეზიდენტს.

შეიარაღებული ესესელებით გარშემორტყმული პრეზიდენტი „დასთანხმდა“ ზეის-ინკვარტის კანცლერად დანიშვნას.

ეს სკორცენის პირველი „დიდი ოპერაცია“ იყო...

შემდეგ შუშნიგიც დააპატიმრეს და გერინგმა ბერლინიდან გაუგზავნა ახალ „კანცლერს“ მთავრობის წევრთა სია. წინასწარ ტელეფონითაც დაურეკა ზეის-ინკვარტს და თავისი სიძისათვის იუსტიციის მინისტრის პოსტი უზრუნველყო...

... გერმანიის ჯარის ნაწილები გაემზადნენ ავსტრიის საზღვრების გადასალახავად. მერვე არმიის გარდა ეს დავალება მეშვიდე და მეცამეტე კორპუსებმაც მიიღეს. მეორე ეშელონში ესესელთა ლეგიონები („შტანდარტები“) განლაგდნენ. გერინგს საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა საჰაერო ესკადრილიები. აეროდრომზე იდგა სამასზე მეტი გამანადგურებელი და ნიშანს ელოდა, რომ „მფრინავი ფურცლების“ გასავრცელებლად აფრენილიყო.

.საათის ისარი დათქმულ დროს უახლოვდებოდა. ახლა მხოლოდ „საბაბის“ მიცემა იყო საჭირო. ეს საქმეც გერინგმა

ითავა. მან ბერლინიდან ვენაში უკარნახა დეპეშის ტექსტი, რომელიც „კანცლერ“ ზეის-ინკვარტს უნდა გაეგზავნა გერმანიის მთავრობისათვის:

— ავსტრიის დროებითი მთავრობა, რომელიც შუშნიგის გადადგომის შემდეგ ცდილობს დაამყაროს მშვიდობა და წესრიგი, დაბეჯითებით სთხოვს გერმანიის მთავრობას დახმარება გაუწიოს ამ ამოცანის შესრულებაში და სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად რაც შეიძლება მალე გამოგზავნოს ჯარის ნაწილები...

განა ეს პარადოქსი არ არის, ავსტრიის მთავრობის „თხოვნის“ ტექსტს რომ ბერლინში ადგენს გერინგი და ტელეფონით უკარნახებს ვენაში, რომ იქიდან ისევ ბერლინში დააბრუნონ დეპეშის სახით?!.. თუმცა გერინგს საიმისოდაც არ ეყო მოთმინება, რომ ამ დეპეშისათვის დაეცადა, და ისევ დარეკა ვენაში:

— დეპეშის გამოგზავნა საჭირო არ არის, საკმარისია ზეის-ინკვარტმა ტელეფონით მაცნობოს, რომ იგი თანახმაა!..

ამას ახალი კომედია შოჰყვა: რამდენიმე წუთის შემდეგ ვენიდან საელჩოს წარმომადგენელი კეპლერი დაუკავშირდა ბერლინს. აპარატთან მივიდა პრესის უფროსი დიტრიხი:

კ ე პ ლ ე რ ი: გადაეცით გენერალ-ფელდმარშალს, რომ ზეის-ინკვარტი თანახმაა.

დ ი ტ რ ი ხ ი: ეს შესანიშნავია, გმადლობთ!

კ ე პ ლ ე რ ი: უსმინეთ რადიოს, გადაცემული იქნება ახალი ამბები.

დ ი ტ რ ი ხ ი: საიდან?

კ ე პ ლ ე რ ი: ვენიდან.

დ ი ტ რ ი ხ ი: მაშ ზეის-ინკვარტი თანახმაა?

კ ე პ ლ ე რ ი: დიახ!..

... თორმეტ მარტს გარიჟრაჟისას დაიწყო ავსტრიის ოკუპაცია. ვენას გერმანულმა გამანადგურებელთა ესკადრილებმა

გადაუარეს და „მფრინავი ფურცლები“ ჩამოყარეს. ოპერაციებს ისევ გერინგი ხელმძღვანელობდა. იმავე დღეს ვენაში გაჩნდნენ ჰესი და ჰიმლერი. სულ რაღაც სამ დღეში მათ ითხმოცი ათასამდე კაცი ჩაყარეს ციხეში და „გზა გაუწმინდეს“ ფიურერს ავსტრიის დედაქალაქში შესასვლელად. ელვისებური სისწრაფით მოქმედებდა აიხმანიც, იგი ებრაელების „ევაკუაციის“ საკითხს „აწესრიგებდა“. გებელსი კი ენით დედამიწას ატრიალებდა:

— გერმანია და ავსტრია, გერმანელები და ავსტრიელები ერთი ხალხი, ერთი სახელმწიფოა!— გაჰყვიროდა იგი რადიოთი. ყურადღებას ისიც იქცევდა, რომ უკვე საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნული რიბენტროპი „მოულოდნელად“ ისევ ლონდონში გაჩნდა, ვითომ „ძველ მეგობრებთან დასამშვიდობებლად“ და ჩემბერლენთან „ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის“ საკითხებზე მოსალაპარაკებლად. ნაშუადღევს მასპინძლებმა იგი სადილად მიიწვიეს. ამ დროს ვენიდან ცნობა მოვიდა, გერმანელებმა ავსტრიის ოკუპაცია მოახდინესო, მაგრამ ჩემბერლენმა და ჰალიფაქსმა პირში წყალი ჩაიგუბეს და არაფერი უთქვამთ. საღამოს ვახშამზეც ერთად იყვნენ სამივენი. აქ კი სცადა ჩემბერლენმა უღიმღამო პროტესტი განეცხადებინა, მაგრამ ამას მდგომარეობა არ შეუცვლია.

მეორე დღეს რიბენტროპმა თვითონ გამართა „გრანდიოზული წვეულება“. ავსტრია სულს ღაფავდა, „ბრიკენდროპი“ კი იდგა საელჩოს მთავარ დარბაზში და ამჯერად პირადად იღებდა ყველას — „მნიშვნელოვანთაც და დანარჩენებსაც“. ფოტორეპორტიორები გაფაციცებით იღებდნენ ამ „ისტორიულ მომენტებს“. პრესას განსაკუთრებით ერთი „ფრიად სიმბოლური“ ფოტო მოეწონა: რიბენტროპი და ჩემბერლენი დგანან გვერდი-გვერდ ჰიტლერის უზარმაზარი ბიუსტის ფონზე და მაგრად ართმევენ ერთმანეთს ხელს...

... საღამოს ყველანი რადიომიმღებთან ისხდნენ და უსმენდნენ „სენსაციურ გადმოცემებს“ ვენიდან. ჯერ შუშნიგი გამოვიდა გამოსათხოვარი სიტყვით. მერე „მუსიკალური პაუზა“ დაიწყო. უკრავდნენ შუბერტს, მოცარტსა და შტრაუსს. პაუზის შემდეგ მიკროფონთან ახალი კანცლერი ზეის-ინკვარტი

მივიდა და განაცხადა, რომ დახმარებისათვის მიმართა გერმანიის შეიარაღებულ ძალებს. მისი გამოსვლა, რა თქმა უნდა, სამგზის „ჰაილ ჰიტლერით“ დამთავრდა, რასაც კვლავ „მუსიკალური პაუზა“ მოჰყვა, მაგრამ ამჯერად უკვე სამხედრო მარშებს უკრავდნენ და ჰორსტ ვესელის „სიმღერას“ ღრიალებდნენ...

... ვენა გესტაპოელებით აივსო. მაღალი რანგის ხელმძღვანელები სამუშაოდ ოტელ „მეტროპოლში“ მოთავსდნენ. „გასართობად“ აქ ავსტრიის გადაყენებული კანცლერი შუშნიგი მოიყვანეს, ხელში ცოცხი მისცეს და სასტუმროს საპირფარეშოებს აწმენდინებდნენ. მერე მაუტჰაუზენში საკონცენტრაციო ბანაკი გახსნეს და დამოუკიდებელი ავსტრიის ყოფილი მთავრობა კანცლერიანად იქ „დააბინავეს“...

... 14 აპრილს საღამოს ხუთ საათზე თვითონ ჰიტლერი შევიდა ვენაში. იგი მოიერიშის ყავისფერ ფორმაში გამოწყობილი იდგა ღია „მერსედესში“. ვენის ყველა ეკლესიის ზარები ერთხმად გუგუნებდნენ. ორასი ათასი ავსტრიელი ნაციონალ-სოციალისტი აღტაცებით მიესალმებოდა ფიურერს ჰელდენპლაცზე. ბრბო ღრიალებდა „ჰაილ ჰიტლერსა“ და „ზიგ ჰაილს“. ტუჩმოკუმულ, შუბლზე თმაჩამოშლილ ფიურერს მარჯვენა ხელი წინ გაეშვირა და გაყინული სახით შეჰყურებდა აღგზნებულ ბრბოს. ჰაბსბურგების დედაქალაქი ვენა, სადაც ერთ დროს ყველაფერში ხელმოცარული ჰიტლერი მშიერი დაწანწალებდა და თავს უპატრონოთა სამოწყალო სახლებს აფარებდა, „განგების ნებით“ ახლა მისივე ფერხთა ქვეშე იყო განრთხმული...

... გერინგი ისევ ტელეფონით ხელმძღვანელობდა ოპერაციებს. მერე, ავსტრიის საკითხი რომ „მოაგვარა“, უცხოეთის დაშოშმინებას შეუდგა. ჯერ, რა თქმა უნდა, ლონდონში დარეკა და რიბენტროპს დაავალა:

— გადაეცით ჩემბერლენსა და ჰალიფაქსს, რომ სწორი არ არის თითქოს გერმანიამ წარუდგინა ავსტრიას ულტიმატუმი. ეს შუშნიგის მონაჭორია. ულტიმატუმი გადავეცით არა ჩვენ,

არამედ ზეის-ინკვარტმა, გლაიზე-ჰორსტენაუმ და იურიმ. არც ისაა სწორი, თითქოს ჩვენ ულტიმატუმი წარვუდგინეთ მიკლასს და სხვა...

„ბედაური ტყუილიო"", რომ იტყვიან, სწორედ ეს არის! თუმცა აქ არაფერია ახალი. ჰიტლერმა ხომ ჯერ კიდევ „ჩემ ბრძოლაში" გამოაცხადა ტყუილი პოლიტიკად. გერინგი „კანონიერი ტყუილის" იდეას ქადაგებდა. „დიპლომატიური ტყუილების" ოსტატი რიბენტროპი კი ისევ „კუდზე ფეხს აჭერდა" ბრიტანეთის ლომს. თვითონ კი, ცხადია, კარგად იცოდა, გერინგის ნათქვამი რომ სულ მტკნარი სიცრუე იყო და სიმართლის გავება სცადა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინგლისის მთავრობისათვის განკუთვნილი ტყუილები ჩაილაგა ჯიბეში:

— ბატონო გერინგ, ახლა მე მითხარით, რა მდგომარეობაა ვენაში? ყველაფერი მოგვარებულია? — იკითხა მან ტელეფონით.

— დიახ, გუშინ მე გავგზავნე ასობით თვითმფრინავი და ჯარები აეროდრომების ხელში ჩასაგდებად, — მიუგო გერინგმა...

ასეა: ტყუილი — ჩემბერლენსა და ჰალიფაქსს, სიმართლე კი — რიბენტროპს...

...სულ ამაოდ შიშობდა და ღელავდა გერინგი. ბრიტანეთის კუდმოკვეცილი ლომი კბენას კი არა, ამ შემთხვევაში ღრენასაც ვერ აპირებდა, თუმცა ვენის საელჩოებიდან საგანგაშო დეპეშებს იღებდნენ როგორც ვაშინგტონში, ისე ლონდონსა და პარიზში.

— ვენას თავს დასტრიალებენ გერმანული გამანადგურებლები და ყრიან ფურცლებს, სადაც წერია: „ნაციონალ-სოციალისტური გერმანია მიესალმება ნაციონალ-სოციალისტურ ავსტრიას და მის ახალ მთავრობას, მიესალმება გერმანიისა და ავსტრიის ურღვევი კავშირით შეერთებას". ამბობენ, გერმანიის ჯარის ნაწილები უკვე შემოვიდნენ ავსტრიის ტერიტორიაზეო. მოელიან ავსტრიულ ლეგიონებსაც. ესესელებმა და მოიერიშეებმა ვენაში თავიანთი სრული კონტროლი დაამ-

ყარეს. პოლიციელებს მკლავებზე სვასტიკები უკეთიათ. ხმები დადის, რომ შუშნიგი და შმიდტი დააპატიმრეს. ჰიმლერი და ჰესი აქ არიან...

ეს საგანგაშო ცნობებიც რჩებოდა „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა". ინგლისსა და საფრანგეთს ხელიც არ გაუნძრევიათ ერთა ლიგის წევრი სახელმწიფოს დასაცავად, თუმცა მათ ავსტრიასთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულებები ჰქონდათ დადებული. არც ამერიკას მოუცლია ამგვარი „შორეული საქმისათვის". მუსოლინი კი, მოგეხსენებათ, „სანადიროდ იყო წასული" ჩიანოსთან ერთად. ეს — იმიტომ, „თავის მეგობარ შუშნიგთან" უსიამოვნო ლაპარაკს რომ გარიდებოდა. თორემ სწორედ იმ დროს, გერმანიის რომაელმა ელჩმა რომ მოისურვა მისი ნახვა, ცხადია, რომში აღმოჩნდა. ელჩმა გააცნო მას ავსტრიის ამბები. მუსოლინიმ დაივიწყა ძველი ანგარიშები გერმანიასთან და ელჩს უთხრა:

— წარმატებას ვუსურვებ ფიურერს. გადაეცით მას, რომ ავსტრია ჩემთვის აღარ არსებობს!..

ამ ცნობამ აღაფრთოვანა ჰიტლერი. თვითონ დაურეკა ელჩს რომში:

— გადაეცით მუსოლინის, რომ მე არასოდეს დავივიწყებ ამას. არასოდეს! ჰო, დიახ, არასოდეს... არასოდეს დავივიწყებ და მუდამ მზად ვიქნები მისი გულისათვის ცეცხლსა და წყალს მივცე თავი...

... ისე, „ცეცხლსა და წყალს" თავიანთი თავი კი არა, მისცეს ევროპის ერთ-ერთი სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც ვითომ ერთა ლიგის საზეიმო დეკლარაცია იცავდა.

კანცლერად გახდომის დღესვე ზეის-ინკვარტმა „გადამდგარ" პრეზიდენტ მიკლასის თანამდებობაც დაიკავა და 1938 წლის 13 მარტს ხელი მოაწერა ფედერალურ საკონსტიტუციო კანონს გერმანიის იმპერიასთან ავსტრიის შეერთების შესახებ.

ასე ამოიშალა ევროპის რუკაზე ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო ავსტრია (Österreich) და მის ნაცვლად გაჩნდა გერმანიის იმპერიის ახალი ოლქი „ოსტმარკი" (Ostmark)...

რაკი ყველაფერი „ასე უმტკივნეულოდ მოგვარდა“, ჰიტ-ლერელები უკვე აღარც 1934 წლის პუტჩსა და დოლფუსის მოკვლაში მონაწილეობას მალავდნენ. პირიქით, კლაგენფურტ-ში ამის თაობაზე ხალხმრავალი მიტინგიც გაიმართა, რომელ-ზედაც სიტყვით გამოვიდა ჰიტლერის მოადგილე რუდოლფ ჰე-სი და გახსნა მემორიალური დაფა წარწერით:

— ესესელთა 89-ე რაზმის 154 წევრი იბრძოდა აქ 1934 წლის 26 ივლისს გერმანიისათვის. შვიდი მათგანი დაიღუპა ჯალათის ხელით.

ავსტრიის რესპუბლიკის კანცლერ დოლფუსის „ვერაგულ-ად მოკვლის“ შესახებ იმ მიტინგზე ხმა არავის გაუღია და, ცხადია, არც ძეგლი დაუდგამთ მისთვის...

იაკობინელები ლონდონში...

რაკი რაინის ოლქის რემილიტარიზაციამ და ავსტრიის ანექ-სიამ „ასე უმტკივნეულოდ“ ჩაიარა, ჰიტლერი უფრო გათა-მამდა. არმიის უმაღლესი ხელმძღვანელობის საიდუმლო თათ-ბირზე მან განაცხადა, რომ განზრახული აქვს უახლეს დროში მოსპოს ჩეხოსლოვაკია. იოდლის დღიურში მაშინვე გაჩნდა ჩანაწერი:

— ფიურერმა ხელი მოაწერა გეგმა „მწვანეს“, რაც მოწ-მობს მის საბოლოო გადაწყვეტილებას მოსპოს ჩეხოსლო-ვაკია...

- მართალია, თვითონ ჰიტლერი ამბობდა, ეს საჩქარო არ არის, შეგვიძლია დავიცადოთ, ვიდრე ავსტრიას მოვინელებ-დეთო, მაგრამ მერე ვითომ „სიტუაცია შეიცვალა“ და გადა-წყვიტა ემოქმედა. ამან გენერალიტეტის მნიშვნელოვანი ნა-წილის შეშფოთება გამოიწვია. ისინი ანგარიშს უწევდნენ იმ იარემოებას, რომ ჩეხოსლოვაკიას ურთიერთდახმარების პაქტი ჰქონდა დადებული ინგლისსა და საფრანგეთთან. ამის გამო ჩეხოსლოვაკიასთან სამხედრო კონფლიქტი ავტომატურად გა-მოიწვევდა დიდ ომს ევროპაში, რისთვისაც, მათი აზრით, გერ-მანია ჯერ კიდევ არ იყო მზად.

იოდლი წერს:

— აქ ერთხელ კიდევ იჩენს თავს წინააღმდეგობა ფიურე-

რის ინტუიციასა და არმიის თვალსაზრისს შორის. ფიურერის აზრით, სუდეტის ოლქი უნდა დავიპყროთ მიმდინარე წელსვე. გენერლები კი ფიქრობენ, რომ ამის გაკეთება ჯერ არ შეგვიძლია: ეს გამოიწვევს იმას, რომ საქმეში ჩაერევიან დასავლეთის სახელმწიფოები, რომელთაც ჩვენ ჩამოვრჩებით შეიარაღებაშიო...

ასე დაუპირისპირდა ერთმანეთს „ფიურერის ინტუიცია" და გენერალიტეტის მნიშვნელოვანი ნაწილის „საღი მოსაზრება". კაიტელი, იოდლი და ესესელი გენერლები, ცხადია, „თავიანთ ფიურერს" უჭერდნენ მხარს, ხოლო სხვებს „აჩქარებისა" ეშინოდათ და ყოყმანობდნენ. ზოგიერთი მათგანი — ვერნერ ფონ ფრიჩი, ლუდვიგ ბეკი, ერვინ ვიცლებენი, პაულ ფონ კლაისტი, ჰანს ოსტერი, ჰანს გიზევიუსი, ადმირალი კანარისი და სხვები — „ჩუმ ოპოზიციაშიც" კი აღმოჩნდნენ; მათ მიიმხრეს გენერალური შტაბის ახალი უფროსი ფრანც ჰალდერი და საიდუმლო კავშირი გააბეს ინგლისის მთავრობასთან.

გიზევიუსი წერს:

— მაისის დამდეგიდან ჩვენ რამდენჯერმე ვაცნობეთ ინგლისის მთავრობას, რომ ჰიტლერი მხოლოდ თვალის ასახვევად მოითხოვს სუდეტის ოლქს, თორემ სინამდვილეში მთელი ჩეხოსლოვაკიის ხელში ჩაგდება სწადიაო, მაგრამ არავითარი პასუხი არ მიგვიღია. მერეც, სექტემბერში, გავგზავნეთ ცნობა, რომ ჰალდერის მხარდაჭერით სამხედრო გადატრიალების მოწყობას ვაპირებთო, და დახმარება ვითხოვეთ. ისევ არაფერი! ჩემბერლენის მთავრობა სულაც არ იყო დაინტერესებული ჰიტლერის დამხობით, პირიქით, მასთან დაახლოების გზებს ეძებდა. ადრე ლორდი ჰალიფაქსი შეხვდა ბერჰტესგადენში ჰიტლერს და ბერლინ-რომის ანტიკომინტერნულ ღერძთან შეერთების სურვილიც გამოთქვა. მერე ისიც აგრძნობინა, ინგლისი წინააღმდეგობას არ გაუწევს გერმანიას, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და დანციგის შემოერთებაშიო...

ეს ცნობა საგულისხმოა იმითაც, რომ, რასაც ჰიტლერი თავის „გენიალურ ინტუიციას" მიაწერდა, წინასწარ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ჰქონდა ჩამარცვლული. იმ დროის ერთ-ერთი საიდუმლო სამხედრო თათბირის ოქმში წერია:

— საერთოდ, ფიურერს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ინგლისმა და იქნებ საფრანგეთმაც ჩეხეთი ჩუმ-ჩუმად ჩამოწერეს ანგარიშიდან და შეურიგდნენ იმ აზრს, რომ ამ საკითხს როდისმე გერმანია გადაწყვეტს...

ჰიტლერმა კარგად იცოდა, „ბრიტანეთის ლომი“ რომ „ამ მსხვერპლს“ იმიტომ იღებდა, რათა „ყავისფერი მგელი წითელ დათვს“ დასტაკებოდა აღმოსავლეთში. ამით აშკარა გახდა, რომ ინგლისელებს „ძლიერი ჰიტლერული გერმანიის“ სახით „ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ბასტიონის“ შექმნა უნდოდათ ევროპაში. ის „იაკობინელი გენერლები“ კი ჰიტლერის დამხობას სთავაზობდნენ. სწორედ ამ წინადადებით წარდგა ინგლისის მთავრობის წინაშე შეთქმულთა წარმომადგენელი ევალდ ფონ კლაისტ-შვეცინი, მაგრამ ჩემბერლენმა არავითარი ინტერესი არ გამოიჩინა მათი „იაკობინური გეგმისადმი“, პირიქით, თავის მინისტრს ჰალიფაქსს მისწერა:

— მე ვფიქრობ, რომ ფონ კლაისტი ზედმეტადაა განწყობილი ჰიტლერის წინააღმდეგ და გადაჭარბებული მონდომებით იკრებს თავის გარშემო გერმანელებს, რომელთაც მისი დამხობა სურთ, რაც მე იაკობინელთა მოქმედებას მაგონებს...

ასევე უშედეგო იყო „სამოქალაქო ოპოზიციის“ მეთაურის კარლ გერდელერის საიდუმლო სერობა ლონდონში. არც ადმირალ კანარისის ორჭოფული მოქმედება გამოდგა შედეგიანი. ჩემბერლენ-ჰალიფაქსის მთავრობა გულმოდგინედ იცავდა ჰიტლერს ვითარცა „ანტიბოლშევიკური მოძრაობის მედროშეს“. გიზევიუსი პირდაპირ წერს, ჩემბერლენმა იხსნა ჰიტლერიო...

... ინგლისელების ამგვარი განწყობილება რომ გაიგო, ჰიტლერი უცებ გადავიდა შეტევაზე. 8 აგვისტოს მან ბერჰტესგადენში გენერალთა ერთი ჯგუფი იხმო და სამსაათიანი სიტყვა წარმოთქვა გერმანიის მომავალი სამხედრო-პოლიტიკური გეგმების შესახებ. ზოგიერთმა გენერალმა აქაც გაიმეორა „ამგვარი დიდი აქციებისათვის“ გერმანია ჯერ კიდევ არ არისო მზად. მათ არ უნდოდათ კონფლიქტი დასავლეთის სახელმწიფოებთან, არც გერმანიის საზღვრებზე აგებული სიშაგრეების მიუვალობისა სჯეროდათ. გენერალმა ფონ ვიტერსჰაიმმა

პირდაპირ თქვა, რომ საეჭვოა დასავლეთის სიმაგრეების დაცვა სამი კვირის განმავლობაშიც კი შეეძლოთო, და გენერალი ადამი დაიმოწმა.

ჰიტლერი გაცეცხლდა. თუ ეს ასეა, მაშინ არმია აღარაფრად ღირსო, წამოიძახა მან და ღაუშატა.

— მე გიცხადებთ თქვენ, ბატონო გენერალო, რომ ამ პოზიციების დაცვა შეიძლება არა სამი კვირის, არამედ სამი წლის განმავლობაში...

ორი კვირის შემდეგ ჰიტლერმა თვითონ დაათვალიერა დასავლეთის სიმაგრეები და კმაყოფილმა თქვა, იდიოტია, ვინც ამ პოზიციებს ვერ დაიცავსო. მერე გენერალ ადამს მიუბრუნდა:

— მე მხოლოდ იმას ვნანობ, როგორც ფიურერსა და რაიხსკანცლერს რომ არ შემიძლია დავიკავო დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლის თანამდებობა...

... ჩეხოსლოვაკიის კრიზისმა მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. ჰიტლერმა ასე ადვილად ვერ შეძლო „გენერლების ოპოზიციის" დაძლევა, მაგრამ მაინც ჯიუტად მოითხოვდა ომის დაწყებას. რატომ? რა იმედით? განა მან არ იცოდა, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოთა მძლავრ კოალიციას ვერ გაუმკლავდებოდა? იცოდა, მაგრამ მაინც თავისი ანგარიში ჰქონდა, უფრო ავანტიურისტული, ვიდრე გონივრულად აწონილ-დაწონილი. ჰიტლერი შეგნებულად მიდიოდა ასეთ ავანტიურაზე, თანაც ამჯობინებდა მისთვის „რისკი" ეწოდებინა, სინამდვილეში კი, აბა, რა იცვლებოდა? „ავანტიურაც" და „რისკიც" ხომ ერთი და იგივეა, როცა ადამიანი შეგნებულად დგამს აშკარად საფათერაკო ნაბიჯს...

ჰიტლერი ამბობდა:

— გერმანიის საკითხის გადაწყვეტის მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს — გზა ძალადობისა, რომელიც ყოველთვის რისკთანაა დაკავშირებული. ფრიდრიხ დიდის ბრძოლა სილეზიისათვის, ასევე ბისმარკის ბრძოლები ავსტრიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ 1870 წელს პრუსიის მოქმედების სისწრაფემ საშუალება არ მისცა ავსტრიას მონაწილეობა მიეღო ომში.

თუ ჩვენ აუცილებელ რისკთან დაკავშირებული ძალის გამოყენების თვალსაზრისით ვიხელმძღვანელებთ, ისღა დაგვრჩენია, რომ პასუხი გავცეთ კითხვებს: „როდის?“ და „როგორ?“...

...1937 წლის 5 ნოემბერს რაიხსკანცელარიის შენობაში გამართულ საიდუმლო თათბირს, გარდა ჰიტლერისა, ესწრებოდნენ სამხედრო მინისტრი გენერალ-ფელდმარშალი ფონ ბლომბერგი, სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი ბარონი ფონ ფრიჩი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი, დოქტორი honoris causa ადმირალი რედერი, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი გენერალ-პოლკოვნიკი გერინგი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბარონი ფონ ნოირატი და პოლკოვნიკი ჰოსბახი, რომელმაც ამ თათბირის ოქმი შეადგინა.

ნიურნბერგის პროცესზე ბრალმდებლები ხშირად მიმართავდნენ ამ ოქმს როგორც ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს.

თვით ეს „სინედრიონიც“ ასეთივე დიდი მნიშვნელობისა იყო. ჰიტლერმა განაცხადა კიდეც:

— ჩვენი დღევანდელი საუბრის საგანს ისეთი მნიშვნელობა აქვს, რომ სხვა სახელმწიფოებში მას, ალბათ, მთავრობის კაბინეტის ფორუმზე განიხილავდნენ, მაგრამ მე სწორედ ამის გამო ვერიდები ფართო წრეში მის გამოტანას...

შემდეგ ჰიტლერმა თქვა, რომ მისი გამოსვლა შედეგია იმ გამოცდილების ღრმა ანალიზისა, რომელიც მან დააგროვა ხელისუფლების სათავეში ყოფნის ოთხწელიწადნახევრის მანძილზე.

— მე მინდა აქ დამსწრე ბატონებს განვუმარტო ჩემი პრინციპული მოსაზრებანი საგარეო პოლიტიკის შესაძლო და აუცილებელი მომენტების თაობაზე, რაც მომავალი გერმანული პოლიტიკის განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარეობს და მიღებულ უნდა იქნეს როგორც ანდერძი იმ შემთხვევაში, თუ მე სიკვდილი მეწია...

...ამ თვალსაზრისით ჰიტლერმა ჯერ გერმანიის საშინაო მდგომარეობა მიმოიხილა და აღნიშნა, რომ გერმანული რასა ტერიტორიების სიმცირის გამო დიდი საფრთხის წინაშე დგას.

— 85 მილიონს აღემატება გერმანელი ხალხი, რომელიც მოსახლეობის რაოდენობითა და ევროპაში დაკავებული ტერიტორიების კომპაქტურობით ისეთ მონოლითურ რასობრივ ბირთვს წარმოადგენს, რომლის მსგავსი არ არის არც ერთ სხვა ქვეყანაში. ამიტომ მას სხვა რომელიმე ხალხზე მეტი უფლება აქვს ეკუთვნოდეს უფრო დიდი სასიცოცხლო სივრცე.

ასეთი იყო ჰიტლერის „თეორიული მოსაზრება", რაც მან საფუძვლად დაუდო თავის აგრესიულ პოლიტიკას. აღნიშნა კიდეც, რომ „კუთვნილი" სასიცოცხლო სივრცის მოპოვება მხოლოდ იარაღით შეიძლებაო, და შეუდგა იმის დაზუსტებას, თუ როდის და რა პირობებში დაეწყო ომი .მეზობელ სახელმწიფოებთან, რისთვისაც აუცილებლად მიაჩნდა ორი დიდი ევროპული სახელმწიფოს — ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციის გათვალისწინება.

— გერმანულმა პოლიტიკამ, — თქვა მან, — მხედველობაში უნდა იქონიოს ორი დაუძინებელი მტერი — ინგლისი და საფრანგეთი, რომელთაც თვალში ეჭლად ესობა მძლავრი გერმანული კოლოსის არსებობა ევროპის ცენტრში. ისინი მტრულად უყურებენ გერმანიის პოზიციების შემდგომ გაძლიერებას როგორც ევროპაში, ისე მსოფლიოს სხვა ნაწილებში.

ჰიტლერმა განაცხადა, რომ ინგლისი და საფრანგეთი ნებით არაფერს დაუთმობენ გერმანიას თავიანთი კოლონიური სამფლობელოებიდანო, და საუბარი ისევ ომის აუცილებლობაზე გადაიტანა.

თათბირის ოქმში წერია:

— ფიურერი არ იზიარებს იმ აზრს, თითქოს ბრიტანეთის იმპერიის შემუსვრა შეუძლებელია... მისი აზრით, ბრიტანეთის ძალა ვერ შეედრება რომის იმპერიისას, რომელმაც ვერ გაუძლო გერმანელთა შეტევას.

ჰიტლერმა ისიც გაითვალისწინა, რომ ინგლისელებს კონკურენტებთან უფრო მეტი ბრძოლა უხდებოდათ, ვიდრე დაპყრობილ ქვეყნებთან, რაც მათ კოლონიალურ იმპერიას დიდ საფრთხეს უქმნიდა...

— როგორ შეუძლია ბრიტანეთს დაიცვას კანადა, თუკი იმას ამერიკა დაესხმის თავს?! — კითხულობდა ჰიტლერი.

ასევე შეუძლებლად მიაჩნდა ჰიტლერს ინგლისის სამფლო-

ბელოების დაცვა აღმოსავლეთ აზიაში იაპონელთა შეტევისაგან. მერე ირლანდიის განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ინდოელთა კონსტიტუციურ ბრძოლასაც შეეხო იმის ნათელსაყოფად, რომ დიდი ბრიტანეთი ვერ შეძლებს თავისი იმპერიის შენარჩუნებას, მით უმეტეს, რომ კოლონიების მოსახლეობა მეტროპოლიისას ცხრაჯერ აღემატებაო, რაც მას კატასტროფულად მიაჩნდა. საფრანგეთის შინაპოლიტიკური წინააღმდეგობანიც, მისი აზრით, ხელს უწყობდა გერმანიას „უფრო აქტიური“ მოქმედება დაეწყო ამ ორი „დაუძინებელი მტრის“ წინააღმდეგ.

გადასაწყვეტი დარჩა მხოლოდ ორი საკითხი: როდის დაეწყო ეს „აქტიური მოქმედება“ და საიდან? აქ მან სამი ვარიანტი განიხილა: 1943—1945 წლებში, ცოტათი უფრო ადრე ან 1938 წელსვე.

— ოთხწლინახევრის განმავლობაში ჩვენ საკმაოდ შევიარაღდით,—თქვა ჰიტლერმა,—ახლაც ყოველდღიურად ვზრდით ქვეყნის სამხედრო ძლიერებას. რა სიტუაცია იქნება 1943—1945 წლებში, არავინ იცის. ჩვენ კი მეტი ცდა აღარ შეგვიძლია. საჭიროა ვიმოქმედოთ. თუ ცოცხალი დავრჩი, გადაწყვეტილი მაქვს 1943—1945 წლებისათვის საარსებო ფართობის საკითხი მოვაგვარო. ახლაა ამის შესაფერი მომენტი. საფრანგეთი ისეა ჩაფლული საკუთარ შინაგან სიძნელეებში, რომ ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევის თავი არა აქვს. ამიტომ საჭიროა ვიმოქმედოთ ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ, რათა ფლანგები უზრუნველყოფილი გვქონდეს აღმოსავლეთისაკენ გასალაშქრებლად. ჩეხებს რომ დავამხობთ, საერთო საზღვრები გვექნება უნგრეთთან. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა პოზიციას დაიკავებენ საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, პოლონეთი და რუსეთი. ვფიქრობ, ინგლისი და საფრანგეთი უმტკივნეულოდ ჩაგვიგდებენ ხელში ჩეხოსლოვაკიას. ინგლისი არ მოისურვებს გერმანიის წინააღმდეგ ომს. ეს გავლენას მოახდენს საფრანგეთზე: ინგლისის მხარდაჭერის გარეშე ის ვერ გაბედავს იერიში მოიტანოს ჩვენს სიმაგრეებზე. ამიტომ დროა ვიზრუნოთ ჩეხოსლოვაკიის შემოერთებაზე (Angliederung). ეს ხუთ-ექვს მილიონ კაცს გამოგვიკვებავს, ჩვენს საზღვრებს გააფართო-

ებს და თორმეტიოდე დივიზიასაც შეგვმატებს. იტალია ამაში არავითარ წინააღმდეგობას არ გაგვიწევს. პოლონეთი და რუსეთიც არ მოინდომებენ ჩვენ წინააღმდეგ ომს.

როგორც ჩანს, ჰიტლერმა სწორად აუღო ალღო დასავლეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოების პოლიტიკას. მოქმედების დაწყების ვადად მან 1938 წლის ზაფხული დანიშნა.

გენერლებმა ფრიჩმა და ბეკმა, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრმა ნოირატმა ერთხელ კიდევ აღნიშნეს, რომ გერმანია ჯერ მზად არ არის ასეთი დიდი მასშტაბის საომარი ოპერაციებისთვისო. მათაც ეშინოდათ, რომ ჰიტლერის გეგმები სამხედრო კონფლიქტს გამოიწვევდა ინგლისსა და საფრანგეთთან. ჰიტლერმა აინუნშიაც არ ჩააგდო მათი გაფრთხილება, პირიქით, სამი თვის შემდეგ სამივე „ოპოზიციონერი“ მოხსნა თანამდებობიდან.

მე უკვე გიამბეთ, თუ რა „ჭუჭყიანი მეთოდებით“ მოხდა ეს. საქვეყნოდ კი ამას „პიედესტალიდან ავტორიტეტების მოხსნას“ უწოდებდნენ. ასეც წერდნენ:

— ჩვენ ვხსნით ძეგლს პიედესტალიდან და ვაყენებთ კუთხეში, მაგრამ ამავე დროს ვდგამთ ახალს, თუკი იგი იმსახურებს ამას, რადგან საერთოდ არ შეგვიძლია უარი ვთქვათ ძეგლებზე...

აკი სხვადასხვა დროს „პიედესტალიდან“ მოხსნეს მეორე მსოფლიო ომის გამოჩენილი გერმანელი მხედართმთავრები: ბრაუხიჩი, რაიპენაუ, ბეკი, ბლასკოვიცი, ლეები, კლაისტი, რომელი, რუნდშტედტი, მანშტაინი, გუდერიანი, კლუგე და მრავალი სხვა. სამაგიეროდ „პიედესტალზე შეაყენს“ კაიტელი, იოდლი და სხვა ნაცისტი გენერლები, მათ შორის ესესელებიც. ჰიტლერი ყოველთვის უნდობლად უყურებდა თავის გენერლებს, განსაკუთრებით — „მერყევთ“ და „მობუზღუნეთ“. კაიტელმაც მისგან აიღო ამის მაგალითი. მან შეკრიბა უმაღლესი სარდლობის ოფიცრები და განრისხებულმა შეუტია „მობუზღუნეთ“, რომელთაც ეჭვი ეპარებოდათ ჰიტლერის „გენიალური ინტუიციის“ შეუცდომლობაში:

— შეიარაღებული ძალების სარდლობაში მე ვერ მოვითმენ ვერც ერთ ოფიცერს, რომელიც მიმართავს კრიტიკას, გამოთქვამს ეჭვს ან იწყებს ყოყმანს.

კაიტელისა და იოდლის აზრით, უკმაყოფილო გენერლებს უმთავრესად „სულმოკლეობა“ ამოძრავებდათ. მათ არ სჯეროდათ „ფიურერის გენიისა“. იოდლის დღიურებში ისიც ეწერა, რომ ამპარტავანი გენერლები ჰიტლერში ჯერ კიდევ „მსოფლიო ომის დროის ეფრეიტორს“ ხედავენ და არა „უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეს ბისმარკის შემდეგ“.

მიუხედავად ამგვარი გაფრთხილებისა, „უკმაყოფილო გენერლები“ მაინც მოითხოვდნენ ოფიცრობის პრივილეგიების აღდგენას და მჭიდრო სამხედრო კავშირს დასავლეთის მილიტარისტულ წრეებთან. ზოგიერთები იმუქრებოდნენ კიდეც: თუ ჰიტლერის პოლიტიკა გამოიწვევს დასავლეთის სახელმწიფოებთან სამხედრო კონფლიქტს, უფრო რადიკალურ ზომებს მივმართავთო. ბეკი ამ „რადიკალურ ზომებში“ ჰიტლერის დაპატიმრებას გულისხმობდა. თვითონ ჰიტლერიც ამჩნევდა, ბეკი რომ „მრუდე თვალით უყურებდა“, და სულ მიზანში ჰყავდა ამოღებული. ერთხელ კიდეც თქვა:

— ერთადერთი კაცი, რომლისაც მე მეშინია, ეს არის ბეკი. მას შეუძლია რამე მოიმოქმედოს ჩემ წინააღმდეგ!..

ბეკი კიდევაც მოქმედებდა! მართალია, მასაც ერთგულების ფიცი ჰქონდა მიცემული ჰიტლერისათვის, მაგრამ არც ტალეირანის ცნობილ შეგონებას ივიწყებდა:

— ერის ცხოვრებაში არის მომენტები, როცა ღალატი საკუთარი მთავრობისადმი, რომელსაც ქვეყანა დაღუპვისაკენ მიჰყავს, პატრიოტის უმაღლეს მოვალეობად იქცევა...

ბეკიც ასე აფრთხილებდა გერმანელ გენერლებს. 1935 წლის 16 ივლისს იგი წერდა:

— ისტორია დააკისრებს სისხლიან პასუხისმგებლობას ხელშძღვანელებს, თუკი ისინი არ იმოქმედებენ თავიანთი კომპეტენციის, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალთახედვისა და სინდისის მიხედვით. მორჩილება მთავრდება იქ, სადაც სინდისი და პასუხისმგებლობა კრძალავს ბრძანების შესრულებას. თუკი ამგვარ ვითარებაში მათ რჩევასა და გაფრთხილებას ყურს არ უგდებენ, მაშინ უფლება აქვთ და ვალდებულნიც არიან უარი თქვან თავიანთ თანამდებობაზე. და თუ ისინი ამგვარ ერთსულოვნებას გამოიჩენენ, ომის დაწყება შეუძლებელი გახდება. ამით ჩვენ ვიხსნით სამშობლოს ყველაზე უარესისაგან — დაღუპვისაგან...

გენერალმა ბეკმა კიდევაც შეკრა შეთქმულთა წრე, რათა „საჭირო მომენტში“ დაეპატიმრებინა ჰიტლერი და „დაებრუნებინა იგი თავისი მხატვრობისათვის“ ან გაგიჟდაო გამოეცხადებინა. იყო დრო, როცა მისი ახალგაზრდა ოფიცრები რაიხსკანცელარიის ახლოს კერძო ბინებში ჩასახლდნენ და ნიშანს უცდიდნენ, რომ ჰიტლერის რეზიდენციაში შეჭრილიყვნენ და დაეპატიმრებინათ იგი. თუ ჰიტლერის მომხრეები ქალაქში ესესელთა ნაწილების გამოძახებას მოასწრებდნენ, წინ შეთქმულ გენერალ ჰოპნერის ტანკისტები აღუდგებოდნენ და განაიარაღებდნენ. დღეც დაინიშნა ამ ოპერაციის ჩასატარებლად. მაგრამ ჰიტლერმა თითქოს საშიშროება იგრძნო და წინა დღით ბერლინიდან ბერჰტესგადენში გაემგზავრა, შეთქმულები კი ცარიელზე დატოვა...

კერძის მომზადება...

ამასობაში ჩეხოსლოვაკიის საკითხიც დადგა. ჰიტლერის ბრძანებით შედგენილ იქნა გეგმა „გრიუნ“ („მწვანე“), რომლის მიხედვითაც გერმანიის ჯარებს თავდაპირველად სუდეტის ოლქის, მერე ბოჰემიისა და მორავიის, ბოლოს კი მთელი ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ოკუპაცია უნდა მოეხდინათ.

ჰიტლერი ჯერ კიდევ 1932 წელს ეუბნებოდა' რაუშნინგს:

— ჩეხეთ-მორავეთის აუზში გერმანელი გლეხები დასახლდებიან. ჩეხებს ციმბირში ან ვოლინის ოლქში გადავასახლებთ. ისინი უნდა წავიდნენ ცენტრალური ევროპიდან...

ჩეხოსლოვაკია როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთა ლიგის წევრი იყო. მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთთან, ასევე — ინგლისთანაც. დასავლეთის ორიენტაციის გენერლები და პოლიტიკოსები ჰიტლერს ურჩევდნენ, რომ თავი შეეკავებინა ინგლის-საფრანგეთთან კონფლიქტისაგან. მაგრამ ჰიტლერი სხვის ნარჩევსა და ნაბჭობს არაფრად აგდებდა, არც ამ შემთხვევაში „ჩაუგდია ანგარიშში“ ბეკის გაფრთხილება და კატეგორიულად განაცხადა:

— ჩემი ურყევი გადაწყვეტილებაა უახლოეს დროში სამხედრო საშუალებებით გავანადგურო ჩეხოსლოვაკია...

ეს იმ დროს, როცა გერმანიას ლოკარნოს ხელშეკრულებით თავდაუსხმელობის გარანტია ჰქონდა მიცემული ჩეხოსლოვა-

კიისათვის. ჰიტლერსა და ნაციონალ-სოციალისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელებს არა ერთხელ განუცხადებიათ საჯაროდ, რომ გერმანიას არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არა აქვს ჩეხოსლოვაკიის მიმართო. ავსტრიის ანექსიის დღეებში ჰიტლერს ეშინოდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობას საყოველთაო მობილიზაცია არ გამოეცხადებინა. ამიტომ იყო, რომ ფიურერის დავალებით გერინგი არწმუნებდა მასარიკს — ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დესპანს ბერლინში, ავსტრიის ამბები არავითარ გავლენას არ მოახდენს გერმანიის პოლიტიკაზე ჩეხების მიმართო.

— მე თქვენ გაძლევთ ჩემს პატიოსან სიტყვას! — ხელები გაშალა და ერთხელ კიდევ დაადასტურა გერინგმა თავისი ნათქვამი.

მერე ნოირატმაც იგივე გაიმეორა. გერმანიის არმიის გენერალურ შტაბში კი უკვე შედგენილი იყო ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის გეგმა. „პროპაგანდისტული ომიც“ დაიწყო. ჰიტლერელები ბრალს სდებდნენ ჩეხოსლოვაკიის მთავრობას „სუდეტელი გერმანელების შევიწროებაში“: მათთვის აუტანელი პირობებიაო შექმნილი, აცხადებდნენ ისინი. ყველა მიხვდა, რომ გერმანია ამით კონფლიქტის საბაბს ეძებდა. „სვავებმაც“ თითქოს „ლეშის“ სუნი იგრძნეს. ჯერ ხორტი ჩავიდა ბერლინს ამბის დასაყნოსად, მერე — ანტონესკუ. მუსოლინი მოითხოვდა ეცნობებინათ მისთვის, თუ როდის დაიწყებოდა ოპერაცია ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. ყველანი ერიდებოდნენ ევროპის დიდ სახელმწიფოებთან კონფლიქტს, მაგრამ არც „მოსალოდნელი ნადავლის“ განაწილებაში უნდოდათ ჩამორჩენა.

ჰიტლერს კი რა ენაღვლებოდა. იგი სიამოვნებით უნაწილებდა თავის შესაძლებელ პარტნიორებს „მოუკლავი დათვის ტყავს“: კორინთიას — იუგოსლავიას, ჩეხოსლოვაკიის ნაწილს — უნგრეთსა და პოლონეთს, იუგოსლავიის ტერიტორიებს — უნგრეთს, უნგრეთისას — იუგოსლავიასა და რუმინეთს. თვითონ კი ავსტრიითა და ჩეხოსლოვაკიის ნაწილით „კმაყოფილდებოდა“. ეს ისე, თანამებრძოლთა შემოსაკრებად, თორემ სინამდვილეში ყველაფერს თავისკენ მიითლიდა, თვით სატელიტების ტერიტორიებსაც... ისინი ამას ვერ ხვდებოდნენ და, საცა კი „ლეშის სუნს“ იყნოსავდნენ, ყორნებივით იწყებდნენ გარშემო ტრიალს...

ჩეხოსლოვაკიის საკითხი რომ დადგა, პირველი ისევ ხორ-ტი ჩაფრინდა „საყორნიას მთაზე“ — ბერჰტესგადენში და ჰიტ-ლერს გააცნო „უნგრეთის ინტერესები“ ჩეხოსლოვაკიისადმი, რამე განსაკუთრებული დახმარების შეპირებისაგან კი თავი შეიკავა. ჰიტლერი მაშინვე მიხვდა, „სახმელეთო ადმირალ“ ხორტის ნაალაფევში წილის დადება რომ უფრო აინტერესებ-და, ვიდრე ბრძოლებში მონაწილეობა. არც ჰიტლერს უნდოდა ცარიელ ჯამში ხელის ჩაყოფა და ყოველგვარი მორიდების გა-რეშე მიაგესლა:

— ვისაც ჭამა უნდა, კერძის მომზადებაშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა...

... ის „კერძი“ კი, მართლაც, მადის აღმძვრელი იყო და ჰიტლერს ისე უნდოდა მისი ჩაყლაპვა, რომ ლუკმა ყელზე არ დასდგომოდა. ამბობენ, სვავი ძვალს ჯერ კისერზე მოიზომებს და მერე გადაყლაპავსო. ჰიტლერიც ამიტომ იზომებდა ასე გულმოდგინედ ევროპის სახელმწიფოების „ძვლებს“. იცოდა, რაც უფრო ზუსტი იქნებოდა ამ მხრივ, „ძვალსაც“ უფრო იო-ლად გადაყლაპავდა. თან დროის წინ გასწრება უნდოდა და ჩქარობდა. იყო ჟამი როცა თვით მისი უახლოესი თანამებრ-ძოლებიც ითრევდნენ ფეხს, ჯერ ადრეაო. ყველაზე კრიზისულ მომენტში მათ სცადეს კიდეც შეეჩერებინათ ჰიტლერი. ამ მიზნით რიბენტროპი პირველი ეახლა ჰიტლერს. ზედ რაიხს-კანცლერის კაბინეტთან წამოეწია მას გერინგი, რომელსაც ეზიზღებოდა „ეს გადიპლომატებული ღვინის ვაჭარი“, დე-მონსტრაციულად გაჰკრა გვერდი და თვითონ შევიდა ფიურერის კაბინეტში. გერინგს უკან შეურაცხყოფილი რიბენ-ტროპიც მიჰყვა. ჰიტლერმა დაამშვიდა ისინი:

— მაცალეთ ორი დღე და, თუ ჩემბერლენი და დალადიე მხარს არ დამიჭერენ ან საქმე ომამდე მივა, მე თავს მოვიკლავ და ამით გაგათავისუფლებთ ჩემ მიერ აღებული ვალდებულე-ბებისაგან.

ეს საკმარისი იყო, რომ გერინგიცა და რიბენტროპიც უცებ მოსულიყვნენ „ჭამის მადაზე“. ისინი ახლა თვითონ ემუქრე-ბოდნენ ყველას, ვინც „ეჭვობდა ან ყოყმანობდა“. რიბენ-ტროპმა ასეთი ბრძანებაც გამოსცა:

— თუ რომელიმე ჩემი ქვეშევრდომთაგანი თავს ნებას მისცემს თუნდაც უმცირესი ეჭვი შეიტანოს ჩვენს გამარჯვებაში, მე მას გამოჭიძახებ კაბინეტში და დავხვრეტ საკუთარი ხელით, ფიურერს კი ასეთ მოხსენებას წარვუდგენ რაიხსკანცელარიაში:

— ჩემო ფიურერ, მე დავხვრიტე მოღალატე!..

ეს რომ არ მომხდარიყო დიპლომატებს ჯარისკაცებივით დაუწყეს წვრთნა. თავდაპირველად მწვრთნელის მოვალეობას ნაცისტური პარტიის საგარეო საქმეთა განყოფილების გამგე ალფრედ როზენბერგი ასრულებდა. იგი „ახალ იდეებს“ უნერგავდა „დახავსებულ დიპლომატიურ კორპუსს“. წვრთნის მეთოდიც თავისებური ჰქონდა: უმთავრესად თეატრალურ-პომპეზური ხასიათისა...

ერთი ასეთი „საწვრთნელი გაკვეთილი“ აღწერილია მემუარულ ლიტერატურაში...

... საღამოთი, როცა მზე შუბისტარზე დადგა, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები შეკრიბეს პარიზერპლაცის კაზინოს პარკში. უზარმაზარ ხეთა ჩრდილები გრძლად წვებოდნენ პარკის გაზონებსა და ბილიკებზე. ჰორიზონტი წითლად იყო გაღვივებული. ამ ფონზე ფანტასტიკურად ისახებოდა ძველთაძველი გამხმარი ხეების დაგრეხილი ტოტები. მაღალ ანძებზე ფრიალებდნენ ნაცისტური დროშები და ალმები. გოლიათური აგებულების ესესელები გრანიტის ქანდაკებებივით იდგნენ ყარაულზე. რკინის მუზარადები, ნიკაპში ამოდებული ღვედები და ყავისფერი ფორმები კიდევ უფრო საზეიმო იერს აძლევდა ამ თეატრალურ სანახაობას. პარკი თითქოს უზარმაზარი სცენა იყო, სადაც დგამდნენ „ნიბელუნგებს“. ომის გერმანული ღმერთის ვოტანის მსხვერპლშესაწირ კვარცხლბეკზე მხიარულად გიზგიზებდა ცეცხლის ალი. ორკესტრი უკრავდა ტანჰოიზერის უვერტიურას და „ღმერთების დასასრულს“. საკურთხევლის მსგავს მაგიდასთან გაშეშებული იდგნენ ალფრედ როზენბერგი და მისი უახლოესი თანაშემწენი. მზე ნელ-ნელა ჩადიოდა, „ღმერთების დასასრულის“ უკანასკნელი აკორდები იფანტებოდა ჰაერში და ძირს გაწოლილი ჩრდილები კიდევ უფრო ფანტასტიკურ სახეს იღებდნენ. ამ მითურ გა-

რემოცვაში საცოდავად გამოიყურებოდნენ სამინისტროს შავ-სერთუკიანი, თავტიტველა მოხელეები, რომლებიც შეშინებული მისჩერებოდნენ „XX საუკუნის მითების“ მთხზველ როზენბერგს.

მზე რომ ჩავიდა, იუპიტერის ფარნები აანთეს და პარკი მართლაც ფეერიულ სანახაობად იქცა. მერე საყვირებმა იწყეს ზრიალი. როზენბერგმა მარჯვენა ხელი აიქნია ზევით ნაცისტური მისალმების ნიშნად. დიპლომატებიდან ზოგმა უხერხულად მიბაძა მას, სხვებმა მხოლოდ თავი დაუკრეს.

საყვირების ხმა რომ მიწყდა, როზენბერგი დელფოსის ტაძრის ორაკულივით შეუდგა ქადაგებას.

— თქვენ, საგარეო სამინისტროს მოხელეები, ისტორიული პროცესებისა და ჟამთა დინების ხანგრძლივობაში დაფარული ხართ მტვრის სქელი ფენით. საჭიროა სუფთა ჰაერი და ახალი იდეები,— დაიწყო მან...

ამას მოჰყვა ორსაათიანი ღაღადისი ჰიტლერისა და ნაციონალ-სოციალისტური პოლიტიკის სადიდებლად. ბოლოს ვიღაცამ ჰორსტ ვესელის სიმღერა წამოიწყო, მაგრამ ბანი მხოლოდ როზენბერგმა და მისმა უახლოესმა თანამშრომლებმა მისცეს. დიპლომატებმა ამ სიმღერის ტექსტი არც იცოდნენ და, საბოტაჟში რომ ბრალი არ დაედოთ, ტყუილად აღებდნენ პირს. ასობით პირდაღებულიდან ათიოდე თუ მღეროდა, მაგრამ ორკესტრის ხმაური მაინც ახდენდა „საჭირო ეფექტს“.

ასე „ნათლავდნენ“ გერმანიის „ობმოდებულ დიპლომატებს“ და ჰიტლერისადმი ერთგულების განსამტკიცებლად ფიცსაც ართმევდნენ ყოველ მათგანს...

— ვფიცავ, რომ მუდამ ერთგული ვიქნები ჩემი ფიურერის ადოლფ ჰიტლერისა! — წარმოოქვამდნენ ისინი ცალ-ცალკე და მარჯვენა ხელს იშვერდნენ წინ...

... გერინგი უფრო პირდაპირი იყო. გერმანიის ექსპანსიური პოლიტიკის მომზადებაში „ნიადაგის მოსასინჯად“ იგი საფრანგეთის ბერლინელ ელჩს ფრანსუა პონსეს შეხვდა ოფიციალურ მიღებაზე. საბანკეტო დარბაზის კედელზე ევროპის უზარმაზარი რუკა ეკიდა. საუბრის დროს გერინგმა უთხრა პონსეს:

— შეხედეთ ამ რუკაზე ჩეხოსლოვაკიის კონტურებს! განა ეს საღი გონების შეურაცხყოფა არ არის? ეს ხომ ბრმა ნაწლავია, რუდიმენტული ორგანო, ევროპის სხეულზე. ცხადია, ის უნდა ამოიკვეთოს!

პონსემ პასუხის გაცემას დუმილი არჩია. გერინგმა კი, ვითომ სხვათა შორის, იკითხა:

— საინტერესოა, რა პოზიციას დაიკავებს ასეთ შემთხვევაში საფრანგეთი?

— ჩვენ შეასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს ჩეხოსლოვაკიის მიმართ, — უპასუხა პონსემ.

გერინგმა თვალები დაუბრიალა ელჩს და საკმაოდ უხეშად მიაძახა:

— მით უარესი თქვენთვის!..

ძეხვი და პოლიტიკა...

ომის საფრთხე კი თანდათან აშკარა გახდა. დაიწყო „ბრმა ნაწლავის შეტევები". გამოიცა ბრძანება ოპერაციის მოსამზადებლად. გერმანიაში საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა. მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო მაშინ ამ ამბებმა. ჰიტლერმა საბოლოოდ გააუქმა ვერსალის ხელშეკრულება და აშკარად გამომწვევი პოზიცია დაიჭირა. უორდ პრაისმა უცხოეთის პრესაში გამოაქვეყნა გაულაიტერ ჰენლაინთან საუბრის შინაარსი:

— ბრმა ნაწლავის ამგვარი პერიოდული შეტევის მოთმენას მისი ამოკვეთა სჯობსო, — უთქვამს ჰენლაინს მისთვის.

უკვე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ გერმანია ახალ აგრესიას ამზადებდა. ინგლის-საფრანგეთი კი იმედოვნებდნენ, ჰიტლერი მთელ თავის შეიარაღებულ ძალებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართავსო, მაგრამ ომის ღმერთი არესი მოულოდნელად მათ ქვეყნებსაც მიადგა. უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად საფრანგეთს უფრო აქტიური პოზიცია ეჭირა, ვიდრე ინგლისს. თუმცა არც დალადიეს მთავრობა ბრწყინავდა გაბედულებით. მან იმ კრიზისის დღეებში საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი პოლ ბონკურს შესთავაზა,

ოღონდ იმ პირობით, თუ ხელს აიღებდა იარაღით ჩეხოსლოვაკიის დაცვის პოლიტიკაზე.

— თქვენი პოლიტიკა, — უთხრა მან პოლ ბონკურს, — რა თქმა უნდა, შეეფერება საფრანგეთის ღირსებას, მაგრამ არა მგონია, რომ საფრანგეთს ძალა შესწევდეს განახორციელოს იგი.

პოლ ბონკურმა უარყო დალადიეს წინადადება და საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ჟორჟ ბონე, რომელმაც კაბინეტის პირველსავე სხდომაზე განაცხადა: თუ საფრანგეთს ომი მოუხდა გერმანიასთან, ჩვენი ავიაცია ორ კვირაში განადგურდებაო. ინგლისსაც ამის შიში ჰქონდა, რაც ისევ ჰიტლერს უწყობდა ხელს. მან იცოდა, რომ „ის კატის კნუტები" — ჩემბერლენი და დალადიე არ გადადგამდნენ გადამწყვეტ ნაბიჯს და ისიც „რაღაც არანორმალური ჩეხოსლოვაკიისათვის", არც მათი მთავრობები და პარლამენტები გამოიდებდნენ თავს, ჩეხოსლოვაკიის ელჩმა ლონდონში მასარიკმა თქვა:

— მე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ინგლისის პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ არც იცის, სად არის ჩეხოსლოვაკია. როცა ეს მათ რუკაზე ვუჩვენე, ერთმა მათგანმა წამოიძახა:

— ო, ეს ძალიან საინტერესოა! შეხედეთ, რა სასაცილო ფორმა აქვს მას, ასე გეგონებათ ძეხვიაო!..

... გერმანელები, მოგეხსენებათ, გულგრილნი ვერ არიან ძეხვისადმი და ჰიტლერმაც მაშინვე შეიტანა იგი თავის „მენიუში". მეთოდი ამ შემთხვევაშიც ძველებური იყო: რამე პროვოკაციის მოწყობა და მოულოდნელი სამხედრო თავდასხმა! ჰიტლერი თვითონაც არ ერიდებოდა ამგვარ გამოთქმას — „პროვოკაციის მოწყობა". 1938 წლის 30 მაისის საიდუმლო დოკუმენტში იგი წერდა:

— სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე ხელსაყრელია ელვისებური დარტყმა რამე ინციდენტის გამო, რომელიც პროვოცირებული იქნება გერმანიის მიერ საგანგებოდ მკაცრი ფორმით...

ამგვარი ინციდენტის მოწყობა დაევალა კანარისის „აბვერს", რომელმაც „საქმე" სუდეტის ოლქით დაიწყო. ჰიტ-

ლერს აქაც ჰყავდა „მეხუთე კოლონა“ კონრად ჰენლაინის მეთაურობით. იგი ჩინებულად იყენებდა დროის ფაქტორს. ჯარა რომ ერთხელ დატრიალდებოდა, მერე ყველაფერი საჩქარო იყო, სულმოუთქმელი, მოსასწრები!

14 სექტემბერს ჩემბერლენმა სთხოვა ჰიტლერს შეეხვდეთო. 15 სექტემბერს ჩემბერლენი უკვე ბერჰტესგადენშია, დროის მოგება უნდა, მაგრამ ვინ დააცდის! ჰიტლერი მოითხოვს სუდეტის ოლქის დაუყოვნებლივ შემოერთებას. ჩემბერლენი მოსაფიქრებლად სამ დღეს თხოულობს და ლონდონში გარბის. ჰიტლერი სპორტპალასში გამოდის, მკერდში მჯიღს იცემს და საქვეყნოდ დებს „პატიოსან სიტყვას“, რომ სუდეტის ოლქის შემოერთების შემდეგ არავითარ ტერიტორიულ პრეტენზიებს აღარ წამოაყენებს.

ზოგი იჯერებს ამას, ზოგი — არა. საბჭოთა კავშირი რამდენჯერმე აძლევს წინადადებას ჩეხოსლოვაკიასა და მის მოკავშირეებს ურთიერთდახმარების პაქტის დადების შესახებ, მაგრამ ისინი ამას ყურად არ იღებენ. ინგლის-საფრანგეთის რეაქციული წრეები გაიძახიან:

— მივმართოთ გერმანული აგრესია რუსეთისაკენ, ჩვენ კი ვიცხოვროთ მშვიდად!..

კოლაბორაციონისტები ამბობენ:

— ჯობს დაგვამარცხოს ჰიტლერმა, ვიდრე გავიმარჯვოთ სტალინთან ერთად!..

უფრო ინდიფერენტულნი კი ასე მსჯელობენ:

— რაც მსოფლიოში ჩეხი და სლოვაკია, ერთი ფრანგი ჯარისკაცის სიცოცხლედ არ ღირს!..

სახელმწიფოებით კი სიამოვნებით ვაჭრობენ: ლონდონში სასწრაფოდ დგება ინგლის-საფრანგეთის მიმართვა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტისადმი, რომელსაც ურჩევენ „დაუთმოს გერმანიას სუდეტის ოლქი“. პრეზიდენტი ბენეში ამაზე უარს ამბობს. ჩემბერლენი და დალადიე აძალებენ... ბენეში „დიდი მწუხარებით“ თმობს... ჩემბერლენი გახარებულია. იგი კურიერივით გარბის ბადგოდესბურგში ჰიტლერთან შესახვედრად.

— შეთანხმება მიღწეულია, ჩეხოსლოვაკია გითმობთ სუდეტის ოლქს! — მიახარებს მას ინგლისის პრემიერი და ღრმად ჯდება სავარძელში.

ჰიტლერს ეცინება, იცის, ჩემბერლენი რომ ანკესზე ჰყავს წამოგებული, და უკვე ეცოტავება „მარტო სუდეტის ოლქი“, ახლა ბოჰემიაცა და მორავეთიც უნდა. ამიტომ ნაძალადევი თავაზიანობით მიმართავს ჩემბერლენს:

— დიდად ვწუხვარ, ბატონო ჩემბერლენ, მაგრამ ეს ჩვენ უკვე აღარ გვაკმაყოფილებს.

ჩემბერლენს თითქოს მდუღარე გადაასხესო, ისე წამოვარდა სავარძლიდან. წამოდგა ჰიტლერიც, მან ახალი მოთხოვნები წამოაყენა ბოჰემია-მორავეთის შემოერთების შესახებ და კატეგორიულად განაცხადა:

— ჩვენ დაუყოვნებლივ მოვახდენთ ამ რაიონების ოკუპაციას!..

ჰიტლერი ისე უყვიროდა ჩემბერლენს, თითქოს მის წინაშე მსახური მდგარიყოს და არა ინგლისის პრემიერი. თუმცა რა პრემიერი! მაღალი, აწოწილი ჩემბერლენი წელში მოიხარა, თავისი განუყრელი ქოლგის ტარს დაეყრდნო და გაუბედავი ხმით იკითხა:

— კეთილი, მაგრამ რამდენ ხანში უნდა მოხდეს ამ რაიონებიდან ჩეხების ევაკუაცია?

დრო! ყველაფერი არის დრო! სისწრაფე, მოულოდნელობა!.. და ჰიტლერი უკარნახებს:

— ევაკუაცია უნდა დაიწყოს 26 სექტემბერს დილის 8 საათზე და დამთავრდეს ოცდარვაში!

— ეს ხომ ულტიმატუმია! — ბედავს ხმის ამოღებას ჩემბერლენი.

— ნამდვილი დიქტატი! — ერევა მათ საუბარში ელჩი ჰენდერსონი. ასე ეგონათ ამით ნამუსზე შეაყენებდნენ თავაწყვეტილ ფიურერს, მაგრამ ესეც ამაო ცდა იყო.

— მართლა?!— ვითომ უკვირს ჰიტლერს. — არა, ეს მხოლოდ მემორანდუმია. ვერა ხედავთ, რა აწერია ამ ქაღალდს: მემორანდუმი!

ამ დროს ადიუტანტს შემოაქვს რაღაც დეპეშა და ჰიტლერის წინ დებს. ჰიტლერი კითხულობს და შმიდტს მიმართავს:

— უთარგმნეთ ეს ბატონ პრემიერ-მინისტრს!

შმიდტი თარგმნის.

—ბენეშმა ეს-ეს არის რადიოთი გამოაცხადა ჩეხოსლოვაკიის არმიის სრული მობილიზაცია!

— ომი გინდათ? — იყვირა ჰიტლერმა. — კეთილი, ომი იყოს!

ჩემბერლენს ომი არ უნდოდა და ჩეხების ევაკუაციის ვადის გაგრძელება ითხოვა. ჰიტლერი ისეთი ჯიუტი იყო, ერთხელ ნათქვამს, ზედაც რომ გადაკვდომოდნენ, მაინც ვერ გადაათქმევინებდნენ. მაგრამ ამ შემთხვევაში თითქოს გუნება შეეცვალა. იგი მიხვდა, ჩემბერლენი რომ უკვე თითზე ჰყავდა დახვეული, და კმაყოფილებით უთხრა:

— კეთილი, ასე იყოს. თქვენ იქნებით ერთადერთი კაცი მსოფლიოში, რომელთანაც მე რამე დათმობაზე წავედი. ვაძლევ ჩეხოსლოვაკიას დამატებით 48 საათს.

ამრიგად, ჰიტლერმა დრო დანიშნა, ახლა კი ჩემბერლენმა უნდა სდიოს მის დინებას და დღესვე გადასცეს ეს მემორანდუმი ჩეხოსლოვაკიის მთავრობას. ამ დავალებას ჰენდერსონი ღებს. იგი იხმობს პოლკოვნიკ მაკფერლაინს. რამდენიმე წუთის შემდეგ, მანქანა გიჟური სისწრაფით მიქრის პრაღისაკენ. ჩქარა... ჩქარა... მიერეკება მას დანიშნული დრო... მაგრამ წინ უამრავი დაბრკოლებაა: დანაღმული გზები, გადათხრილი საზღვრები... პოლკოვნიკი ტოვებს მანქანას და ერთხანს ფეხით გარბის... იცის, რომ თუნდაც ერთი საათით დაგვიანებამ შეიძლება ომი გამოიწვიოს.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, მოასწრებს თუ არა პოლკოვნიკი ამ მემორანდუმის დროზე ჩაბარებას... და ის გარბის ღამით... ტყეში...

განა ამის აღქმა ირონიის გარეშე შეიძლება!..

რწყილი და ჭიანჭველა...

საბედისწერო მომენტი კატასტროფული სისწრაფით ახლოვდება... ლონდონში დაბრუნებულ ჩემბერლენს ჭირის ოფლი ასხამს. შუაღამე გადასულია, ის კი ისევ ზის თავის კაბინეტში და ადგენს მოხსენებას, რომ მეორე დღეს წარდგეს პარლამენტის წინაშე. თუმცა რა უნდა უთხრას დეპუტატებს?

ხალხს? ჰიტლერი ხვალ შეიძლება შეიჭრას ჩეხოსლოვაკიაში, ის კი ისევ ზის და მოხსენებას ადგენს. უკვე დილის ხუთი საათია. შეიძლება კიდევ მოესწროს რამე!.. იქნებ ჰიტლერმა რამდენიმე დღით გადადოს თავისი გეგმის შესრულება... მხოლოდ რამდენიმე დღით!..

იგი ნელ-ნელა დგება და წელში იმართება. მთელი ღამის უძილობამაც ისე იმოქმედა, რომ ძლივს მიდის ფანჯარასთან და ფარდას ასწევს...

ლონდონს დილის რიჟრაჟი შემოსდგომია...

დაყოვნება აღარ შეიძლება, დრო გადის... დრო, რომელიც ისეკ ჰიტლერისათვის მუშაობს... იგი არც ახლა აცლის ვინმეს სულის მოთქმას... რაში ენაღვლება, რომ სახელმწიფოებისა და ხალხების ბედი ასე წუთებითა და წამებით წყდება... მისი ტანკები უკვე ჩეხოსლოვაკიის საზღვრებს უახლოვდებიან, ჩემბერლენი კი თავის კაბინეტში წრიალებს და არ იცის რა ქნას...

უცებ თითქოს გონება გაუნათდა... მუსოლინი! იქნებ მუსოლინიმ იმოქმედოს ჰიტლერზე... და ჩემბერლენი ეცა ტელეფონს..

...ინგლისის ელჩი რომში ლორდი პერტი ლოგინიდან წამოაგდეს. ჩემბერლენი ავალებს ელჩს დაუყოვნებლივ ნახოს მუსოლინი და სთხოვს მას იშუამდგომლოს, რათა ჰიტლერმა გადადოს თავისი გადაწყვეტილების შესრულება თუნდაც ორი დღით, რომ ოთხი სახელმწიფოს მეთაურები — ჰიტლერი, მუსოლინი, დალადიე და ის შეხვდნენ ერთმანეთს უკვე წყალწაღებული მშვიდობის გადასარჩენად და... დაიწყო „რწყილი და ჭიანჭველას“ ამბავი: ინგლისის ელჩი მაშინვე დაუკავშირდა საგარეო საქმეთა მინისტრს ჩიანოს, ჩიანო გაიქცა მუსოლინისთან, მუსოლინიმ ტელეფონთან გამოიძახა თავისი ელჩი ბერლინში გრაფი ატოლიკო.

— გელაპარაკებათ დუჩე, მისმენთ? — ჩასძახა მან ტელეფონში.

— დიახ, — გისმენთ! — მიუგო ატოლიკომ.

— ახლავე წადით კანცლერთან და გადაეცით: ინგლისის მთავრობამ თავისი ელჩის საშუალებით მაცნობა, რომ თანახ-

მაა მიიღოს გერმანიის წინადადებები, ოღონდ ფიურერმა გადადოს ჩეხოსლოვაკიაში ჯარების შეყვანა რამდენიმე დღითო... გადაეცით, რომ ეს თხოვნა მეც მისაღებად მიმაჩნია...

— მისმენთ? — გაიმეორა მუსოლინიმ.

— დიახ, გისმენთ! — უპასუხა ისევ ატოლიკომ.

— აბა, ჩქარა, ჩქარა!.. — გაისმა ტელეფონში მუსოლინის ხმა. რწყილი ისევ ახტა-დახტა და... ხუთი წუთის შემდეგ ატოლიკო ურეკავს რიბენტროპს. იგი ისეა აფორიაქებული, რომ ავიწყდება ჩვეულებრივი დიპლომატიური წესი და ინგლისურად ეუბნება:

— სასწრაფო დავალება მაქვს დუჩესაგან. ახლავე უნდა ვნახო ფიურერი. ძალიან საჩქარო საქმეა, ძალიან საჩქარო... მალე! მალე!..

რიბენტროპი ურჩევს, რომ მანქანას იტალიის დიდი სახელმწიფო დროშა გაუკეთოს და უმალვე წავიდეს რაიხსკანცელარიაში, იქ მას დაუყოვნებლივ მიიღებენ...

... უკვე დილის 11 საათია. ჰიტლერი თათბირს მართავს გენერლებთან, მათ უკანასკნელ მითითებებს აძლევს. ამ დროს შეიოდის მისი ადიუტანტი და ყურში უჩურჩულებს, იტალიის ელჩი მოვიდა მეტად სასწრაფო საქმეზეო. ჰიტლერი წყვეტს თათბირს და გამოდის დერეფანში. ატოლიკოს არც აქ ახსენდება მიღებული წესი და იქვე დერეფანში გადასცემს მუსოლინის თხოვნას...

— კეთილი, რაკი დუჩესაც ასე სურს, გადაეცით, რომ მეთანახმა ვარ, — ამბობს ჰიტლერი... და აძლევს „ჯაგარს“.. ატოლიკო გარბის რიბენტროპთან... რიბენტროპი ურეკავს ჩიანოს... ჩიანო — მუსოლინის... მუსოლინი უკავშირდება ლონდონს...

...თოკი თითქოს დაიგრიხა... თემთა პალატა შეკრებილია. ყველა უცდის ჩემბერლენის გამოსვლას. იციან, რაღაც სენსაციური განცხადება რომ უნდა გააკეთოს. ჩემბერლენი ნელა მიეგართება ტრიბუნისაკენ და გაბზარული ხმით იწყებს ლაპარაკს. სწორედ იმ დროს, რომ უნდა თქვას, ახლა, ალბათ, გერმანიის ჯარები შედიან ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზეო,

შემოდის მისი მდივანი და ჩუმად ეუბნება, ჰიტლერი თანახმაა.

ჩემბერლენს სახე გაუბრწყინდა. იფიქრა, ჭიანჭველასავით ხავსს მოჭიდებული მშვიდობა გადარჩენილიაო, და იქვე, დეპუტატების თვალწინ დემონსტრაციულად დახია თავისი მოხსენება. მერე აჩოჩქოლებული დარბაზი დაამშვიდა და ასე მიმართა:

-- მე უნდა მოვახსენო თემთა პალატას, რომ ჰიტლერმა მიმიწვია მიუნხენში, რათა მუსიო დალადიესა და სენიორ მუსოლინისთან ერთად შევხვდე მას. იმედი მაქვს პალატა ნებას დამრთავს გავემგზავრო იქ და ვნახო, რა შეიძლება გაკეთდეს...

თემთა პალატა ოვაციით შეხვდა ამ ცნობას...

:... ამ დროს გერმანიაში „იაკობინელი ოპოზიციონერებიც“ აწყობდნენ თავიანთ გეგმებს. შეთანხმდნენ კიდეც, რომ ომის რეალური საშიშროების შემთხვევაში ჰიტლერი დაეპატიმრებინათ, კანცლერად კი დაენიშნათ გერინგი, რომელსაც შემდეგ ბარონ ფონ ნოირატის კანდიდატურა ამჯობინეს... და სწორედ იმ დროს, როცა ჩემბერლენი თემთა პალატის ტრიბუნაზე იდგა, ბეკის ოპოზიციის წევრი, ბერლინის სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალი ვიცლებენი გაემართა გენერალური შტაბის უფროს ჰალდერისაკენ, რათა მიეღო მისგან წერილობითი ბრძანება ჰიტლერის დაპატიმრების შესახებ.

ვიცლებენი რომ ჰალდერის კაბინეტში შედიოდა, სწორედ იმ მომენტში გადმოსცეს რადიოთი ცნობა ჩემბერლენისა და დალადიეს ჰიტლერთან და მუსოლინისთან მომავალი შეხვედრის თაობაზე. ჰალდერმა, ალბათ, ალღო აუღო, თუ რა მოჰყვებოდა ამ შეხვედრას. ეს, როგორც ჩანს, გენერალურმა შტაბმაც დაუნოსა და... მისმა უფროსმა აღარ ისურვა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა — არ მისცა ვიცლებენს ბრძანება ჰიტლერის დაპატიმრების შესახებ. არც ბრაუხიჩმა მოინდომა ამ საქმეში ჩარეულიყო. მართალია, წინასწარ კი იქადდა, თუ ჰიტლერმა გაამწვავა დამოკიდებულება დასავლეთის სახელმწიფოებთან, გადავდგებიო, მაგრამ ესეც ბედაური ტყუილი გამოდგა. როცა საიდუმლო სამხედრო თათბირზე ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ ლაშქრობა გამოაცხადა, ბრაუხიჩ-

მა პირზე ხავსი მოიკიდა და ხმაც არ გაუღია საწინააღმდეგოდ.

საღამოს იგი ბეკსა და ვიცლებენს რომ შეხვდა, თავი იმართლა, რა ვქნა, მე ჯარისკაცი ვარ და ბრძანებებს უნდა დავემორჩილოო. მართლაცდა, სხვა რა უნდა ექნა, როცა იგი აღტაცებული იყო ჰიტლერის „სამხედრო გენიით“, იმდენად აღტაცებული, რომ იმავე 1938 წლის დამლევს „ოფიცერთა კორპუსის აღზრდის“ შესახებ გამოცემულ დირექტივაში წერდა:

— ადოლფ ჰიტლერი გენიალური ბელადია. მან ფრონტელ ჯარისკაცთა ტრადიციების ღრმა მოძღვრება განასახიერა ნაციონალ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში, რითაც შეგვიქმნა და განგვიმტკიცა ახალი დიდი გერმანული იმპერია. მხოლოდ ის, ვისაც შეგნებული აქვს ჩვენი წარსულის, აწმყოსა და მომავლის მთელი სირთულე და სიდიადე, გაიგებს ამ კაცის ისტორიულ დამსახურებას. მან მოახდინა უდიდესი გარდატეხა ყველა სფეროში. მესამე იმპერიაში აღიზარდა გერმანელი ერის ახალი ადამიანი, რომელიც აღჭურვილია სულ სხვა იდეალებით, ვიდრე წინა თაობა. შეიქმნა ახალი, მანამ გაუგონარი ერთიანობა ხალხისა, რომელიც ყველა კლასსა თუ წოდებაზე მაღლა დგას და რომელსაც ვეკუთვნით ჩვენ — ხალხი, შეიარაღებული ძალები, პარტია. ურყევია ჩვენი ერთგულება და ნდობა ადამიანისადმი, ვინც გააკეთა ყოველივე ეს და თავისი ნებით ჩაიდინა სასწაული...

აბა, ამის დამწერი რა შეთქმულებას მოაწყობდა იმ „სასწაულმოქმედი“ ჰიტლერის წინააღმდეგ! ან სხვები, ვისაც „დიდი ომი“ ენატრებოდა. ჰალდერმაც და ვიცლებენმაც მორჩილება არჩიეს. ერთი მხოლოდ ბეკი გადადგა თანამდებობიდან...

...ვინ იცის, მაშინ რომ ჰალდერსა და სხვა გენერლებს გადაედგათ ის „გადამწყვეტი ნაბიჯი“, მართლაც ჭიანჭველასავით წყალწაღებული მშვიდობაც გადარჩენოდა წარღვნას ევროპაში...

მაგრამ ეს თოკიც ქვიშისაგან დაგრეხილი აღმოჩნდა...

ევროპის პოლიტიკური ცხოვრების ჯარა კი ისევ უკუღმა ტრიალებდა. მიუნხენის ყავისფერ სასახლეში შეიკრიბნენ ჰიტლერი, მუსოლინი, ჩემბერლენი და დალადიე. სექტემბრის თბილი საღამო იყო, მაგრამ ჰიტლერმა ისინი მაინც ბუხართან მიიღო. იქვე იყვნენ გერინგი და რიბენტროპი. ირჩეოდა ჩეხოსლოვაკიის საკითხი. თვითონ ამ ქვეყნის წარმომადგენლები კი ოტელ „რეგინაში“ ისხდნენ, გესტაპოელებით გარშემორტყმულნი, და უცდიდნენ „ამა ქვეყნის მეუფეთა“ განაჩენს. ინგლისსა და საფრანგეთს რომ მაშინ მტკიცე პოზიცია დაეჭირათ, კიდევაც აუკრეფდნენ ჰიტლერს სადავეებს. ჩერჩილი წერს თავის მემუარებში:

— მაშინ რომ ჩემბერლენს საბჭოთა კავშირის წინადადება მიეღო და ეთქვა: „ყველაფერი რიგზეა, ჩვენ სამივენი გავერთიანდებით და კისერს მოვუგრეხთ ჰიტლერსო“, პარლამენტი მოიწონებდა ამ გადაწყვეტილებას, სტალინიც დაეთანხმებოდა მას და ისტორია სულ სხვა მიმართულებას მიიღებდა...

შეიძლება მართლაც ასე ყოფილიყო, მაგრამ ჩემბერლენსა და დალადიეს ამაზე არც უფიქრიათ. ისინი სრულიად აშკარად ვაჭრობდნენ სხვისი ტერიტორიებით. დალადიე მოითხოვდა, სუდეტის ნაწილი გერმანიას მიეცესო, მუსოლინიც ამ აზრისა იყო, მაგრამ ჰიტლერმა გაიდგა ფეხი — მთელი მინდა და არა ნაწილიო. ეს დავა ორსაათნახევარს გაგრძელდა. მერე მუსოლინი აყვირდა, „გაათავეთ, მეჩქარებაო“, და... გაათავეს კიდეც! ჩეხოსლოვაკიას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, დოკუმენტს ხელი მოაწერეს და „ბრალდებულებს“ უხმეს...

... ჰელმუტ მასარიკი და ორი თანმხლები პირი პატიმრებივით მიიყვანეს ყავისფერ სასახლეში.

შუაღამე გადასული იყო. დალადიე და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი შეუმჩნევლად გაიპარნენ ოთახიდან. ამბობენ, შერცხვათ და იმიტომო. ჩემბერლენს კი წარბიც არ შეურხევია. იგი წამდაუწუმ ამთქნარებდა და, ვითომც აქ არაფერიაო, ისე გულგრილად უყურებდა გაოგნებულ ჩეხებს, რომელთაც თავიანთ „საბოლოო გადაწყვეტილებას“ უკითხავდნენ. მათი

სახელმწიფოს ბედი სხვებზე იყო მიგდებული, თვითონ კი ხმის ამოღების უფლებაც არა ჰქონდათ.

— არავითარი გასაჩივრება არ დაიშვებაო, — გამოუცხადეს და წასასვლელად გაემზადნენ...

ჰიტლერს არც გაუცილებია ისინი. იდგა აივანზე გერინგთან ერთად და დოინჯშემოყრილი შესცქეროდა, სტუმრები რომ ავტომანქანებში სხდებოდნენ. მერე გერინგს მიუბრუნდა და ზიზღით უთხრა:

— ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა, ეს რა ჭიანჭველები იდგნენ ჩემ წინაშე!..

ამის შემდეგ სიტყვა მიუნხენი იქცა ღალატის სინონიმად. ბენეში გადადგა. საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა:

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არა ვართ უკანასკნელნი, ასეთივე ბედი მოელის სხვებსაც!

აღშფოთებულმა დემონსტრანტებმა საფრანგეთის დროშები ჩამოგლიჯეს.

— სირცხვილი! სირცხვილი! სირცხვილი! — გაიძახოდნენ ისინი პრაღის ქუჩებში...

...მიუნხენელები კი „გამარჯვებას“ ზეიმობდნენ... დალადიეს ნახევარი მილიონი კაცი უცდიდა ბურჟეს აეროდრომზე. მან ძლივს მიაღწია თავის რეზიდენციამდე. აღფრთოვანებულმა ბრბომ მისი გამოჩენა მოითხოვა. იგი დარცხვენილი გამოვიდა აივანზე. ოვაციები რომ დაცხრა, დალადიემ ჩაიბურტყუნა:

— სულელებ! რომ იცოდნენ, რას უკრავენ ტაშს!

ლონდონში კი მასზე უფრო უტიფარი ჩემბერლენი ორატორობდა:

— მიუნხენი — ეს არის მშვიდობა ჩვენი თაობისათვის...

...რომაელები ამბობდნენ: საქმეები დამთავრდა, დაიწყო გართობაო.

ლონდონში მართლაც გრანდიოზული მეჯლისი გაიმართა, რომელზედაც 1800 კაცი იყო მიწვეული. კიდევ უფრო დიდი ზეიმი მოაწყო ამერიკის ლონდონელმა ელჩმა ბულიტმა. ყველაზე მეტად კი რატომღაც პოლონეთის წარმომადგენელმა

გამოიდო თავი. მან ორი ათასი კაცი დაპატიჟა... პროჟექტორები, მაშხალები, შამპანური... ღამის ორგიები!.. გალეშილი ელჩი ლუკასევიჩი ფეხშიშველი ცეკვავდა მწვანე მოლზე...

— უგუნურები! არც კი იციან, რომ ისინი ვულკანზე ცეკვავენ! — შენიშნა ვიღაცამ...

... ვინ ვისზე ნაკლებიო! და პარიზში ფილიპ როტშილდმა ისეთი ბალი მოაწყო, ამბობდნენ, მთელი ქალაქი იღებდაო მონაწილეობას. ზეიმი მეორე დღესაც გაგრძელდა.

— მე კმაყოფილი ვარ! — იძახდა უკმაყოფილო დალადიე.

სხვებიც აჰყვნენ ამ აჟიოტაჟს. ეიფელის კოშკის აგების 50 წლისათვის ზეიმი სახალხო დღესასწაულად იქცა. კოშკის გარშემო ზღვა ხალხი ირეოდა... ყველა თავისი საქმით იყო გართული და არავის შეუმჩნევია ახალგაზრდა ჩეხი ლეიტენანტი, რომელიც ისე ადიოდა კოშკზე, როგორც ეშაფოტზე. სახეზე ადამიანის ფერი არ ედო, მაგრამ მაინც მიიწევდა მაღლა... სულ მაღლა და, როცა მწვერვალს მიაღწია, საოცარი განწირული ხმით დიძახა:

— გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიას! — და გადმოეშვა ძირს...

ეს იყო მისი ქვეყნის პროტესტის ნიშანი!..

ზეიმი ჩაიშალა.. შეძრწუნებული ხალხი გაიქცა მოედნიდან, ქვაფენილზე კი ახალგაზრდა ლეიტენანტ ბენეშის დამსხვრეული სხეული დარჩა...

... 1945 წლის გაზაფხულზე ჩვენი ფრონტის ჯარის ნაწილებთან ერთად ბრატისლავაში შევედით. გათავისუფლებული ხალხი ზეიმით ხვდებოდა საბჭოთა მეომრებს... მეორე თუ მესამე დღეს ქალაქში პრეზიდენტი ედუარდ ბენეში ჩამოვიდა. მოედანზე დიდი მიტინგი გაიმართა. სახელდახელოდ გაკეთებულ ტრიბუნაზე იდგა პრეზიდენტი ბენეში და ხალხს ულოცავდა გამარჯვებას. მე აქამდე შემრჩა ფოტოსურათი ტრიბუნისა, რომელზედაც მის გვერდით ვიდექი როგორც ჩვენი შტაბის წარმომადგენელი.

საღამოს ბენეშმა მიგვიწვია თავის რეზიდენციაში. საუბრის დროს მან ჯიბიდან ამოიღო ძმისშვილის, ახალგაზრდა ლე-

იტენანტის სურათი და გვიამბო, როგორ გადმოვარდა იგი ეიფელის კოშკიდან.

— ეს არის ჩემი ქვეყნის ტრაგედიის სიმბოლო! — თქვა მან.

იმაზე კი არაფერი უთქვამს, ამ ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი ორჭოფული პოლიტიკა რომ იყო მიუნხენის დღეებში... თორემ, ვინ იცის, 1945 წლის „ეს საზეიმო განწყობილება“ ჯერ კიდევ 1938 წელს დაუფლებოდა „მის ხალხს“...

ნატვრის სუფრა...

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები მზად იყვნენ ნატვრის სუფრა გაეშალათ ჰიტლერისათვის ევროპაში, ოღონდ თვითონ მშვიდად ეცხოვრათ. „ის გიჟი ეფრეიტორი“ კი უნდოდათ საბჭოთა კავშირისათვის დაეტაკებინათ. მაგრამ ჰიტლერს დიდი ომი სურდა და არა ასეთი „წვრილმანი“ დათმობები. მიუნხენის შემდეგ გამართულ ერთ-ერთ საიდუმლო სამხედრო თათბირზე იგი ჩემბერლენისა და დალადიეს შესახებ ამბობდა:

— მე ვნახე ეს უმწეო ჭია-ღუები მიუნხენში. ისინი იმდენად მხდლები არიან, რომ ვერ გაბედავენ შეტევაზე გადმოსვლას. არც არაფერი შეუძლიათ ბლოკადის მეტი. მე მხოლოდ იმის მეშინია, რომ ჩემბერლენი ან ვინმე მისთანა ჭუჭყიანი ღორი ისევ მოვა ჩემთან ახალი დათმობებით. მე მაშინ კისრისტეხით ჩავუშვებ მას კიბეებზე, თუნდაც ამისათვის დამჭირდეს თვითონ ჩავაზილო მუცელში წიხლი მთელი ქვეყნის რეპორტიორების წინაშე...

...გათამამებულმა ჰიტლერმა კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა დასავლეთის სახელმწიფოებთან. მან სულ რამდენიმე დღეში დაივიწყა თავისი „პატიოსანი სიტყვა“ და გარანტიები, ევროპაში ტერიტორიულ პრეტენზიებს მეტს აღარ წამოვაყენებო, და სუდეტის ოლქის, ბოჰემიისა და მორავეთის შემდეგ მთელ ჩეხოსლოვაკიას ისე მოუნდომა შთანთქმა, რომ საჭიროდაც არ ჩათვალა ამის შესახებ რამე წინასწარი მოლაპარაკება

გაემართა ინგლის-საფრანგეთთან, რომლებიც ლოკარნოს ხელშეკრულების ძალით ვალდებული იყვნენ დახმარებოდნენ ჩეხოსლოვაკიას.

ბერლინში სასწრაფოდ შედგა ახალი საიდუმლო დირექტივა „ჩეხოსლოვაკიის დანარჩენი ნაწილის ლიკვიდაციის შესახებ", თუმცა რიბენტროპი ამჯერადაც „მეგობრულ ურთიერთობას" ავითარებდა ჩეხებთან. კანარისი კი უკვე ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა. სლოვაკიაშიც გაჩნდნენ „ჰენლაინები" — ტუკა, გლინკა, ტისო და სხვები. ისინი მოითხოვდნენ სლოვაკების გამოყოფას ჩეხებისაგან. 1939 წლის 12 თებერვალს ტუკა ბერლინში შეხვდა ჰიტლერსა და რიბენტროპს:

— მე თავმდაბალი კაცი გახლავართ, მაგრამ მინდა ჩემი ხალხის სახელით გელაპარაკოთ. ჩვენთვის სრულიად აშკარაა, რომ ჩეხებისა და სლოვაკების ერთად არსებობა შეუძლებელია, ამიტომ ჩემი ხალხის ბედს თქვენ გაბარებთ, — მიმართა მან ჰიტლერს.

11 მარტს ბრატისლავაში ჩავიდა ზეის-ინკვარტი და ჰიტლერის სახელით სლოვაკიის მთავრობას დამოუკიდებლობის გამოცხადება მოსთხოვა. ეს მოთხოვნა გამაგრებული იყო იარაღით, რომელიც დუნაის არტერიით შემოჰქონდათ გლინკას რაზმებს ვენიდან ბრატისლავაში.

13 აპრილს სლოვაკიის ყოფილი პრემიერი ტისო გამოიძახა ჰიტლერმა და პრაღასთან კავშირის გაწყვეტა დაავალა. წინასწარ შედგენილი დეკლარაციაც დაუდვეს და უთხრეს, ბევრი დრო არა გვაქვს და ეს საკითხი ახლავე უნდა გადაწყდესო. ტისო მაშინვე დათანხმდა. იმავე ღამეს იგი გერმანული თვითმფრინავით ჩავიდა ბრატისლავაში, მეორე დღეს კი სლოვაკიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ასე ხახვივით გაფცქვნეს ჩეხოსლოვაკია: მას ჩამოაშორეს სუდეტის ოლქი, ბოჰემია, მორავეთი, სლოვაკია, დარჩა საკუთრივ ჩეხეთი და მისი დედაქალაქი პრაღა... ისიც დროებით, სულ რაღაც ერთი დღით...

...14 მარტს ჰიტლერმა ბერლინში გამოიძახა ჩეხოსლოვაკიის ახალი პრეზიდენტი ხაჰა და საგარეო საქმეთა მინისტრი ხვალკოვსკი. მათ ღამის პირველ საათამდე აცდევინეს მისა-

ღებში. ჰიტლერი ამ დროს კაიტელს ეთათბირებოდა და ბრძანებაც მისცა მოემზადებინათ პრაღაზე შეტევა...

ნაშუაღამევს, როცა ხაჰა და ხვალკოვსკი ფიურერის კაბინეტში შეიყვანეს, ჰიტლერი მათ თავაზიანად მიეგება და ნაძალადევი ღიმილით განუცხადა:

— მე ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი გამოძახება მომიხდა, მით უმეტეს, რომ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ უკვე მოხუცი ბრძანდებით. მაგრამ ამ ვიზიტს შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს თქვენს ხალხს, რადგან სულ რამდენიმე საათი დარჩა, ვიდრე გერმანიის არმია ყოველი მხრიდან შეუდგება ჩეხოსლოვაკიის დარჩენილი ტერიტორიების ოკუპაციას.

პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა მინისტრს მოულოდნელობისაგან ენა ჩაუვარდათ მუცელში. ჰიტლერმა კი რაღაც უცნაური თეატრალური ჟესტი გააკეთა და თქვა:

— ბატონებო, შაბათს მე კამათლები გავაგორე და, რა ექნა, ასე დაჯდა...

ამის შემდეგ ხაჰას და ხვალკოვსკის ხელის მოსაწერად დაუდეს მზამზარეული ტექსტი: „ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს პრეზიდენტი სრული ნდობით გადასცემს ჩეხეთისა და ჩეხი ხალხის ბედს გერმანიის იმპერიის ფიურერს!“

— ან ახლავე მოაწერეთ ამას ხელი, ანდა გარიჟრაჟისას ჩემი თვითმფრინავები ნაცარტუტად აქცევენ პრაღას, — თქვა ჰიტლერმა.

ხაჰა შეძრწუნებულია, იგი გამორბის ჰიტლერის კაბინეტიდან და იძახის, ეს ძალადობაა. მაგრამ აქ საქმეში ერევიან გერინგი და რიბენტროპი, რომლებიც დიპლომატიური ხერხების მაგივრად ზემოქმედების წმინდა ფიზიკურ მეთოდებს მიმართავენ. ისინი 70 წლის მოხუც პრეზიდენტს იმდენ ხანს არბენინებენ მრგვალი მაგიდის გარშემო, ვიდრე გული არ შეუწუხდება და არ დაეცემა.

ადიუტანტები ექიმს ეძახიან და ნემსებს უკეთებენ პრეზიდენტს. მერე ისევ აწვალებენ, სანამ გონს არ დაკარგავს... ისევ ნემსები, ისევ დაძალება და...

ამ ტრაგედიასაც აქვს თავისი ირონიული ფინალი:

დილის 4 საათსა და 30 წუთზე ხაჰა მოტყდა: მან თვითონ შოაწერა ხელი თავისი ქვეყნის სასიკვდილო განაჩენს...

... ამ დროს გერმანული ტანკები უკვე პრაღისაკენ მიემარ-ოებოდნენ.

ეს რომ დალადიემ შეიტყო, იმასაც კინაღამ გული შეუღონ-და. ჰიტლერმა დაარღვია ყველა პირობა, აბუჩად აიგდო მიუნ-ხენის გადაწყვეტილებებიც და თვითნებურად მოსპო სახელ-მწიფო, რომლის ხელშეუხებლობას „იცავდა“ ორი დიდი სა-ხელმწიფო — ინგლისი და საფრანგეთი.

ჩემბერლენიც გაოგნებული იყო, რომ ჰიტლერმა „არ დაუ-ფასა ლოიალობა“. სხვები ამბობდნენ, ამის შემდეგ მაინც არა-ფერი დავუთმოთ ჰიტლერსო. ზოგიერთი იქადდა კიდეც: თუ ისევ მოხდა რამე ამის მაგვარი, ინგლისს მაგიდაზე მუშტის დარტყმა მოუხდებაო. ამაო ქადილი იყო.

მართალია, ჩემბერლენმა და დალადიემ სცადეს პროტეს-ტი განეცხადებინათ, მაგრამ გადიდგულებულმა ჰიტლერმა მათ ყური არ ათხოვა: ჩვენ თვით ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს შევუთანხმდით და თქვენ ვინ რას გეკითხებათო. მათ ოფიცი-ალურ ცნობაშიც ასე იყო ნათქვამი:

— გულთბილი მიღების შემდეგ ჩეხოსლოვაკიის პრეზი-დენტმა ხაჰამ განაცხადა, რომ იგი სახელმწიფოსა და ჩეხი ხალხის ბედს ანდობს გერმანიის იმპერიის ფიურერს. ფიურერ-მა მხედველობაში მიიღო ეს განცხადება და გადაწყვიტა დაი-ცვას ჩეხი ხალხი...

როცა ამ არამკითხე „დამცველთა“ ტანკები შედიოდნენ პრაღაში, მუშტშემართული ჩეხები სტვენითა და აღშფოთე-ბული შეძახილებით ხვდებოდნენ მათ. ვენცელის მოედანზე ზღვა ხალხი იდგა და მღეროდა ჩეხოსლოვაკიის ჰიმნს...

რატუშის მაღალ შპილზე კი უკვე ნაცისტური დროშა ფრიალებდა...

ასე გაქრა ევროპის პოლიტიკურ რუკაზე კიდევ ერთი სა-ხელმწიფო — „ჩეხოსლოვაკია“ და „ოსტმარკის“ გვერდით გაჩნდა გერმანიის ახალი ოლქი „ბოჰემია და მორავეთი“, რომ-ლის „პროტექტორად“ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ ნოირატი დაინიშნა.

— ღმერთმა დაგვიცვას ამგვარი პროტექტორისაგან! — წამოიძახა ნიურნბერგის პროცესზე ამერიკელმა ბრალმდე-ბელმა ოლდერმანმა...

ახლა ჯერი პოლონეთზე მიდგა. ჩეხოსლოვაკიის შემდეგ კიდევ უფრო გათამამებულმა ჰიტლერმა იფიქრა, ეს არის დედამიწის ღერძს ხელი ჩავავლეო, და პოლონელებსაც მოუნდომა კისერზე ბაწრის შებმა, თანაც ელვისებური სისწრაფით, „ვიდრე ინგლისი თვალის გახელასა და ჩახველებას მოასწრებდა". ამით ჰიტლერი თანდათან აშიშვლებდა თავის „საბოლოო გეგმებს". ლეღვის ფოთლებად კი ამ შემთხვევაშიც ყალბ დიპლომატიურ დემარშებსა და განცხადებებს იყენებდა. არც ცრუ ხელშეკრულებების დადებას ერიდებოდა, რადგან საჭიროების შემთხვევაში ყოველგვარ ხელშეკრულებას ქაღალდის ისეთ ნაგლეჯად აქცევდა, რომელსაც, თავს თუ ნებას მივცემთ და მისივე გამოთქმას ვიხმართ, „გარკვეულ ადგილას ხმარობენ გარკვეული მიზნისათვის".

ნიურნბერგში ინგლისელმა ბრალმდებელმა დევიდ მაქსუელ-ფაიფმა სპეციალური გამოსვლა მიუძღვნა გერმანიის მიერ ამგვარად „დაგლეჯილ ხელშეკრულებებსა" და დარღვეულ პირობებს. მან განაცხადა:

— ჰიტლერი არც ცდილობდა ისეთი სახე მიეღო, თითქოს რამე პატივსა სცემდა ამგვარ სახელმწიფო დოკუმენტებს. მან სრულიად უცერემონიოდ უარყო ჰაგის ხუთივე კონვენცია საერთაშორისო სადავო საკითხების მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ, გააუქმა ვერსალისა და ლოკარნოს ხელშეკრულებანი, აბუჩად აიგდო ერთა ლიგის გადაწყვეტილებები, ბრიან-კელოგის პაქტი და თავდაუსხმელობის სხვა შეთანხმებანი ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოსთან...

... ყოველივე ეს ხდებოდა სათანადო რატიფიკაციისა და საჯაროდ გაკეთებულ საზეიმო განცხადებათა მიუხედავად. რაინის ოლქის რემილიტარიზაციისა და ავსტრიის ანექსიის შემდეგ ასევე მოიქცა იგი ჩეხოსლოვაკიის მიმართაც. ყველა მანამდე არსებული ხელშეკრულება და პირობა მან აქაც „გვერდზე მიახვეტა" და შიშველ ძალას მიმართა. უმართლებდა და იმიტომ, თორემ, დროზე რომ სათანადო კონტრზომები მიეღოთ, ცხადია, ჰიტლერი ამას ვერ გაბედავდა. ევროპის დიდ

სახელმწიფოთა მეთაურები კი თითქოს განგებ იბრიყვებდნენ ოავს. ანდერძს აუგებდა თუ არა ჰიტლერი რომელიმე სახელმწიფოს, ცასა და ქვეყანას შეყრიდა, მეტს აღარ ვიზამო, მაგრამ გავიდოდა რამდენიმე თვე და ისევ თავისას განაგრძობდა.

ჩეხოსლოვაკიის „მონელების“ შემდეგაც ერთხელ კიდევ გაიმეორა ძველი დაპირება, „ამიერიდან გერმანიას აღარ ექნებაო ტერიტორიული პრეტენზიები ევროპაში“. მერე გამოირკვა, რომ ჩეხოსლოვაკია თურმე ტრამპლინი იყო პოლონეთზე თავდასასხმელად! ჰიტლერს ეს დიდი ხნით ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მაინც ფრთხილად მოქმედებდა. თავდაუსხმელობის პაქტიც კი დადო პოლონეთის მთავრობასთან, ცხადია, სხვების თვალის ასაბმელად, თორემ გულში სულ სხვა ფიქრი უტრიალებდა. სწორედ იმ დღეებში ეუბნებოდა იგი რაუშნინგს:

— ხელშეკრულება პოლონელებთან დროებითი ამბავია. მე არა მაქვს სერიოზული განზრახვა ვიმეგობრო მათთან...

მიუხედავად ამისა, ჰიტლერი მაინც „თანდათანობითობის“ ტაქტიკას ირჩევდა. იგი ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას საჯაროდ დაედასტურებინა თავისი „კეთილმეზობლური დამოკიდებულება“ პოლონეთისადმი, ამბობდა, ჩვენ შორის ყველა საკითხი მოგვარებულიაო. მაგრამ დადგა დრო და დაიწყო პრეტენზიები. გერმანიას მაშინ, მოგეხსენებათ, მხოლოდ „პოლონეთის კორიდორით“ ჰქონდა ექსტერიტორიული კავშირი აღმოსავლეთ პრუსიასთან, დანციგი კი თავისუფალ ქალაქად იყო გამოცხადებული.

ჰიტლერმა ჯერ სწორედ დანციგის გერმანიასთან გაერთიანების საკითხი დასვა. ინგლისი და საფრანგეთი შეშფოთდნენ ჰიტლერის ამ ახალი მოთხოვნით, მაგრამ ამჯერადაც წაუყრუეს, ვითომ ესეც არაფერიაო. თან ის უხაროდათ, გერმანიამ თავისი ტევტონური მახვილი აღმოსავლეთისაკენ რომ მიმართა. ფიქრობდნენ, პოლონეთი იმისათვის უნდა, რომ შემდეგ საბჭოთა კავშირს დაეტაკოსო.

ამასობაში ჰიტლერმა ბერჰტესგადენში მიიწვია პოლონეთის ბერლინელი ელჩი და ასეთი წინადადება მისცა: თუ დანციგს მომცემთ, თავდაუსხმელობის პაქტს 25 წლით გავაგრძელებო. მისთვის სულერთი იყო, ასეთი პაქტი ხუთი წლით დაი-

ლებოდა, თუ ოცდახუთით: როცა მოეხალისებოდა ან „გერმანიის ინტერესებისათვის“ საჭიროდ ჩათვლიდა, „ქაღალდის ამ ნაგლეჯს“ ხომ ორიოდე წუთში გაგზავნიდა „გარკვეულ ადგილას“.

პოლონეთი, ცხადია, მიხვდა ამ ფანდს და არ დაეთანხმა საერთაშორისო ხელშეკრულებებით „თავისუფალ ქალაქად“ გარანტირებული დანციგის გერმანიასთან შეერთებას. ამის თაობაზე პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბეკმა ოფიციალური განცხადებაც გაუკეთა რიბენტროპს, მაგრამ მაშინ არა მარტო რიბენტროპმა, არამედ ჰიტლერმაც აღუთქვა მას, რომ „გერმანია არავითარ შემთხვევაში არ გადადგამდა ცალმხრივ ნაბიჯს დანციგის ძალით შემოსაერთებლად“. ყველა გრძნობდა, რომ ეს გაჭიმული ძაფიც მალე გაწყდებოდა. ასეც მოხდა. ჰიტლერელები პოლონეთს რომ საჯაროდ ძმობას ეფიცებოდნენ, „ფარდის უკან“ სულ სხვა თადარიგს იჭერდნენ. კაიტელს უკვე მიღებული ჰქონდა განკარგულება მოემზადებინა პოლონეთის ოკუპაციის გეგმა.

სანამ ეს გეგმა დგებოდა, რიბენტროპი ჩავიდა ვარშავაში და საჯაროდ განაცხადა, რომ გერმანიას პოლონეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცება სურსო.

— გერმანიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ნაწილია პოლონეთთან მეგობრული ურთიერთობის განუხრელი პროგრესი და განმტკიცება, რაც ეყრდნობა ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ ხელშეკრულებასა და ფიურერის მტკიცე ნებას, — თქვა მან.

გერინგი კი მხარზე „მეგობრულად“ ურტყამდა ხელს პოლონეთის ელჩ ლიპსკის და ჰპირდებოდა „მისი ქვეყნის საზღვრების გაფართოებას“ საბჭოთა კავშირის ხარჯზე.

ამასობაში გერმანიამ არა მარტო სუდეტი, ბოჰემია და მორავეთი, არამედ მთელი ჩეხოსლოვაკიაც დაიპყრო. ჰიტლერის ასეთი თვითნებობით შეშინებული ბეკი 21 მარტს ისევ ჩავიდა ბერლინში და ესაუბრა რიბენტროპს, რომელმაც „პატიოსანი სიტყვით“ დაარიმედა მინისტრი და გულდამშვიდებული გამოისტუმრა.

ორი დღის შემდეგ გერმანიის ჯარები სრულიად მოულოდნელად შეიჭრნენ მემელის ოლქში. ახლა კი იყვირა პოლონეთ-

ია, ეს რა ამბავიაო! მას ინგლისმაც ბანი დააწია: თუ გერმანია პოლონეთს ომს დაუწყებს, დაუყოვნებლივ დავეხმარებით ჩვენს მოკავშირესო. საფრანგეთმაც ასეთივე განცხადება გააკეთა. ამას ჰიტლერმა იმით უპასუხა, რომ ბრძანება გასცა საერთო სამხედრო მზადყოფნის შესახებ, პოლონეთის ტერიტორიაზე შეჭრის ვადაც დანიშნა — 1939 წლის 26 აგვისტო, ოასაც მარშალ პილსუდსკის მთავრობას შეუბღვირა, წყალს ნუ მიმღვრევთო.

მგლისა და კრავის იგავისა არ იყოს, ზევით გერმანია იდგა, ქვევით — პოლონეთი და წყალს როგორ აუმღვრევდა. მაგრამ მგელი იმის მგელია, რომ ცხვართან ყოველთვის „მართალი" იყოს. ახლაც ასე მოხდა. გერმანელებმა პოლონელებს დააბრალეს, დადებულ ხელშეკრულებებს არღვევთო, და მუქარაზე გადავიდნენ. აგრესიული მიზნების დასაფარავად კი მაინც მოაწერეს ხელი კომუნიკეს თავდაუსხმელობის შესახებ.

იმავე დღეებში ერთ-ერთ საიდუმლო თათბირზე ჰიტლერი ამბობდა:

— ამრიგად, უქმდება პოლონეთის შეწყალების საკითხი და ძალაში რჩება გადაწყვეტილება, რომ პირველი შემთხვევისთანავე დავესხათ თავს პოლონეთს. ამასთან იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რომ განმეორდება ჩეხეთის ამბავი. ეს იქნება ომი!..

მართლაც ასე იყო. აღმოსავლეთ საზღვრებზე განლაგებული გერმანიის დივიზიები მხოლოდ ნიშანს უცდიდნენ, ხოლო ჰიტლერი რაიხსტაგის სხდომაზე ირწმუნებოდა, არავითარ საომარ მზადებას არ ვეწევი, ეს სულ პოლონელების მონაჭორიაო...

... ამის შემდეგ ჰიტლერმა მოლაპარაკება გამართა დანციგის უმაღლეს კომისარ ბუკჰარტთან. დამსწრე წერს:

— ჰიტლერი ოფლში გაღვრილი იდგა. საკინძე ჩამოგლეჯილი ჰქონდა, თვალები — ბუდიდან გადმოცვენილი. თუ რამ მაგიდაზე ელაგა, ყველაფერს იატაკზე ყრიდა. რაც ხელში მოხვდებოდა, ამსხვრევდა, მერე ფეხს გაჰკრავდა და კედელს მიანარცხებდა, თან ყვიროდა:

— ისეთ სამხედრო ძალას დავატეხ თავს პოლონეთს, რომ

რამდენიმე დღეში გავსრეს. მე უკვე 50 წლისა ვხდები, ახლა მინდა ვიბატონო ევროპაში და არა მაშინ, როცა სამოცისა ვიქნები...

ამგვარი მუქარით შეშინებულმა პოლონეთმა 5 მაისს გერმანიას აცნობა, მზად ვართ მოლაპარაკება გავმართოთ დანციგის საკითხზეო, მაგრამ ჰიტლერს მარტო დანციგი კი არა, მთელი პოლონეთის დაპყრობა ეწადა. დანციგი აქაც ისეთივე საბაბი იყო, როგორც სუდეტი ჩეხოსლოვაკიის კრიზისის დროს...

ეს სრულიად აშკარა გახდა ნიურნბერგის პროცესზე, როცა წაიკითხეს ადგილი ჩიანოს დღიურებიდან, სადაც აღწერილია მისი შეხვედრა რიბენტროპთან:

— რა გინდათ თქვენ, დანციგის კორიდორი, თუ მთელი დანციგი? — იკითხა ჩიანომ.

— ახლა უკვე არც ერთი და არც მეორე. ჩვენ გვინდა ომი! — მიუგო რიბენტროპმა.

ჩიანო შემდეგ წერს:

— მე ავკრიფე ჩემი ჩანაწერები, რადგან ვხედავდი, რომ იგი თავს არიდებდა დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას. რიბენტროპს არა აქვს სუფთა სინდისი. იგი იმდენს ტყუოდა გერმანია-პოლონეთის დამოკიდებულების შესახებ, რომ არც ახლა რცხვენია ასეთე მოიქცეს, როცა თავის მომავალ გეგმებზე ვეკითხები. ამიტომაა, რომ ჩვენს ურთიერთობაში იგრძნობა სიცივე. სადილის დროს არც ერთი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისათვის, არც ვენდობით ერთმანეთს, მაგრამ, რაც უნდა იყოს, სინდისი მე სუფთა მაქვს, იმას კი — არა. იგი ურყევია ომის წყურვილში. ამიტომაც უარყოფს საკითხთა ყოველგვარ გადაწყვეტას, რაც გერმანიას დააკმაყოფილებს და ომსაც თავიდან აგვაშორებს. მე დარწმუნებული ვარ, გერმანელებს რომ მისცენ ყველაფერი, რასაც მოითხოვენ, სულერთია, შეინც დაესხმიან თავს პოლონეთს...

... ინგლის-საფრანგეთთან მოსალოდნელი ომისა და ამ ომში გერმანიის მხარეს იტალიის აუცილებელი ჩაბმის საჭიროებამ აიძულა ჰიტლერი, რომ პოლონეთის წინააღმდეგ ოპერაციის დაწყების წინ თავისი გეგმები მუსოლინისათვის გაეცნო.

წინასწარი მოლაპარაკებაც გაიმართა რიბენტროპსა და ჩიანოს შორის. ჩიანო მოულოდნელობისაგან სახტად დარჩა. ასე საჩქარო რა არის, დუჩეც ხომ უნდა მოემზადოს ომისათვისო, უთხრა მან რიბენტროპს. მაგრამ ჰიტლერს საქმის გადადება არ უნდოდა, ისევ დროის მოგება იყო საჭირო, ერთხელ დატრიალებული ჯარა (რაინის ოლქი, ავსტრია, სუდეტი, ბოჰემია, მორავეთი, ჩეხოსლოვაკია, მემელის ოლქი...) არ უნდოდა შეჩერებულიყო.

ჩიანო გრძნობდა, რომ ამას შეიძლება მსოფლიო ომი გამოეწვია, და დღიურში ჩაწერა:

— გერმანია ნგრევის მანიამ შეიპყრო...

დიპლომატიური მარათონი...

1939 წლის 22 აგვისტოს ჰიტლერმა კიდევ ერთი თათბირი გამართა თავის გენერლებთან ობერზალცბურგში. აქ მან საბოლოოდ ვადახაზა ყველა მანამდე არსებული ხელშეკრულება და პირდაპირ გამოთქვა თავისი „ნამდვილი ზრახვები“:

— პირველ რიგში ჩვენ გვსურს ომი დასავლეთის სახელმწიფოებთან, — განაცხადა მან. — ჩემი მიზანია მოვსპო მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა... ეს მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული, ჩემს პიროვნებაზე, ჩემს პოლიტიკურ უნარზე! — ყვიროდა იგი. — ფაქტია, რომ არავისი ისეთი ნდობა არა აქვს ხალხს, როგორიც ჩემი. არც მომავალში გაჩნდება ისეთი ადამიანი, რომელსაც ჩემზე დიდი ავტორიტეტი ექნება. მაშასადამე, ჩემი არსებობა უდიდესი ღირებულების ფაქტორია. მე კი შეიძლება ყოველ წუთს მომკლას რომელიმე არამზადამ ან იდიოტმა. მეორე ასეთი ფაქტორია მუსოლინი. მის არსებობასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დუჩე ყველაზე მაგარი ნერვების კაცია იტალიაში.

— ამგვარი ავტორიტეტული ფაქტორების მოპირდაპირე მხარეს, — განაგრძობდა ჰიტლერი, — სრულიად ნეგატიური მდგომარეობაა. ინგლისსა და საფრანგეთს არა ჰყავთ ჩემისთანა გამოჩენილი პიროვნება. მათი ხელმძღვანელები საშუალოზე დაბალ დონეზე დგანან. ისინი არ არიან მოქმედების ადამიანე-

ბი. პირადი ფაქტორების გარდა ახლა პოლიტიკური მდგომარეობაც გვიწყობს ხელს. ყოველივე ეს კი არ გვექნება ორი-სამი წლის შემდეგ. ამიტომ უნდა ვიჩქაროთ სასიცოცხლო ტერიტორიების დაპყრობა.

— ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს, მოსაგები კი ბევრია,— დაასკვნა მან, — მოწინააღმდეგეებს, პირიქით, დასაკარგი ბევრი აქვთ, მოსაგები — არაფერი! საჭიროა დიდი რისკი, ფოლადის ნერვები, რკინის გადაწყვეტილებანი...

... გენერლებს, როგორც ერთგულთ, ისე „შეთქმულთ", არც ამ თათბირზე გაულაშქრებიათ ჰიტლერის წინააღმდეგ, რადგან თვითონაც ომი სწყუროდათ. შახტი ამბობდა ნიურნბერგში:

— ჩვენი გენერლებისას კაცი ვერაფერს გაიგებს. მე არ მესმის მათი ასეთი უგონო მილიტარისტული გახელება. ოღონდ ომი იყოს და სხვა არაფერი უნდათ. თუ ჰიტლერი იტყოდა, მოდით, ვიომოთო, ისინი მაშინვე გაიჯგიმებოდნენ, კისერს წაიგრძელებდნენ და ანგარიშმიუცემლად ყვიროდნენ:

— ვიომოთ? დიახ, რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივია, უნდა ვიომოთ!..

აიღეთ, მაგალითად, ეს გენერალი ჰალდერი. მას არაფრად ეპიტნავებოდა ჰიტლერი. ამიტომ მე უნდა დამხმარებოდა, რომ 1938 წელს აგველაგმა იგი. მაგრამ ჰიტლერმა თქვა, დიდ ომს ვაპირებო, და ჰალდერი მაშინვე შეტრიალდა:

— ომი? ოო, დიახ, ეს კარგია!

არავითარი ფიქრი, არავითარი ალტერნატივა, ოღონდ ომი იყოს!..

ასეთ დროს შახტს რომ ჰკითხავდნენ, მაშ თქვენ რისთვის უწყობდით ხელს გერმანიის გამალებულ შეიარაღებას, ომი თუ არ გინდოდათო, იგი იძულებული ხდებოდა მიკიბულ-მოკიბულ პასუხებზე გადასულიყო...

ისე, ომი როგორ არ უნდოდათ, როცა ნაციონალ-სოციალისტურ კატეხიზმოში ეწერა:

— მიუხედავად ყოველგვარი ცდისა აეკრძალათ ომები, იგი დღემდე რჩება ბუნების კანონად, რომლის შეზღუდვა შეიძლება, მაგრამ მოსპობა არა, რადგან ომი ემსახურება ერისა

თუ სახელმწიფოს შენარჩუნების საქმეს და უზრუნველყოფს მის ისტორიულ მომავალს.

ეს მაღალი მორალური მიზანი ანიჭებს ომს განმასხვავებელ ნიშანს და წარმოადგენს მის ზნეობრივ გამართლებას...

ეს პრინციპი ყველას ერთნაირად ჰქონდა გულში გამოკვანძული. ამიტომ ნებისმიერი ნაცისტი, სამხედრო თუ სამოქალაქო, ომისაკენ უბიძგებდა გერმანიას. ყველა ტრაბახობდა და აბუჩად იგდებდა მოპირდაპირეს. რიბენტროპი ამტკიცებდა, ინგლისი არც გერმანია-პოლონეთის კონფლიქტში ჩაერევა აქტიურადო. მან სანაძლეოც დადო ჩიანოსთან: თუ ინგლისი არ ჩაებმებოდა ამ ომში, ჩიანოს მისთვის უნდა მიეცა რომელიმე იტალიელი მხატვრის ძვირფასი სურათი, ხოლო თუ პირიქით მოხდებოდა, რიბენტროპი მას ძველი იარაღის კოლექციას გაუგზავნიდა...

ასეა. კანცლერი ზარს აგორებდა, საგარეო საქმეთა მინისტრი სანაძლეოს დებდა და... ამგვარად წყდებოდა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხები, რამაც მსოფლიო კატასტროფა გამოიწვია...

თქვენ კი ამბობთ, ირონია რა შუაშიაო!..

... აქამდე ინგლისიც ხელს უწყობდა გერმანიას, მაგრამ ამჯერად მაინც შეეშინდა და სასწრაფო დიპლომატიური ღონისძიებანი განახორციელა. 25 აგვისტოს ინგლისმა და პოლონეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ურთიერთდახმარების შესახებ, რის გამოც გერმანიამ თავდასხმის ვადა ექვსი დღით გადადო. ამასობაში საფრანგეთიც ჩაერია საქმეში. პრემიერმა დალადიემ განაცხადა, ომის შემთხვევაში საფრანგეთიც დაეხმარება პოლონეთსო. პრეზიდენტმა რუზველტმა მოუწოდა ევროპის სახელმწიფოებს თავი შეეკავებინათ შეიარაღებული კონფლიქტისაგან. ჰიტლერმა, როგორც იტყვიან, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. მან არაფრად ჩააგდო პრეზიდენტის გაფრთხილება. ისიც საყურადღებოა, რომ რუზველტმა ჯერ კიდევ გაზაფხულზე გაუგზავნა გამაფრთხილებელი წერილი ჰიტლერს, ფიქრობდა ამით გონს მოიყვანდა თავაწყვეტილ ფიურერს, მაგრამ გათამამებულმა კანცლერმა თავის თავს ნება მისცა არც ეპასუხა ამ წერილზე. ეს უპრეცედენტო შემ-

თსვეეა იყო. სახელმწიფოთა მეთაურების ურთიერთობის პრაქტიკაში. მიუხედავად ამისა, რუზველტმა მეორე წერილი გაუგზავნა ჰიტლერს, მაგრამ ჰიტლერმა არც ახლა გასცა პასუხი. 24 საათის შემდეგ რუზველტმა კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა ჰიტლერსა და პოლონეთის მთავრობას. ასეთივე წერილით მიმართა რომის პაპმა გერმანიას. პოლონეთმა მაშინვე აცნობა პრეზიდენტს, რომ ის თანახმაა არბიტრაჟის საშუალებით გადაწყვიტონ სადავო საკითხები. ამის პასუხად გერმანიამ ნოტა გაუგზავნა ინგლისს დანციგის შემოერთების შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, იმის შიშით, ვაითუ მიუნხენის მსგავსად ამაზეც დამეთანხმონო, სრულიად მოულოდნელად „პოლონეთის კორიდორიც" მოითხოვა. ინგლისი მიხვდა, გერმანიის მოთხოვნებს რომ საზღვარი არა ჰქონდა, და უარით უპასუხა. საფრანგეთის პრემიერმა დალადიემაც მისწერა გამაფრთხილებელი წერილი ჰიტლერს:

— თუ ფრანგული და გერმანული სისხლი ისევ დაიღვრება, როგორც ამ 25 წლის წინ, უფრო ხანგრძლივსა და სისასტიკისმღვრელ ომში, მაშინ ორივე ხალხი ერთგულად იბრძოლებს გამარჯვებისათვის, ნამდვილად გამარჯვებული კი დარჩება მხოლოდ ნგრევა და ბარბაროსობა.

ჰიტლერმა არც ამ გაფრთხილებას მიაქცია ყურადღება და ჩეხოსლოვაკიის მიმართ ნაცად ელვისებურ ტაქტიკას მიმართა. მან თავისი აგრესიული პრეტენზიები წამოუყენა პოლონეთს 29 აგვისტოს, მაგრამ უკვე აშკარა ულტიმატუმის სახით: თუ ეს მოთხოვნები 30 აგვისტოს 12 საათისათვის არ იქნება დაკმაყოფილებული, დაუყოვნებლივ დავიწყებ საომარ მოქმედებასო.

ეს მართლაც გაუგონარი რამ იყო! ერთი დღის განმავლობაში გერმანიის ულტიმატუმი უნდა მიეღო ინგლისს, გაერჩია მის მთავრობას, გამოეტანა გადაწყვეტილება, შემდეგ ეცნობებინა პოლონეთის მთავრობისათვის, აქაც უნდა განეხილათ შექმნილი მდგომარეობა და პასუხი გაეცათ გერმანიისათვის... და ყველაფერი ეს უნდა მოესწროთ 24 საათის განმავლობაში!

დრო ზუსტად იყო გაანგარიშებული: ვთქვათ, ინგლისს მართლაც მოეხერხებინა რამდენიმე საათში გერმანიის ულტი-

მატუმის განხილვა და თავისი გადაწყვეტილების გადაცემა პოლონეთის მთავრობისათვის. პოლონეთის მთავრობასაც ერთ-ორ საათში განეხილა ეს საკითხი და პასუხი ეცნობებინა გერმანიისათვის. მაშინ ხომ შეიძლებოდა ომის დაწყების გეგმა ჩაშლილიყო! ამიტომ გერმანიის მთავრობამ მოითხოვა პოლონეთის რწმუნებული ჩამოსულიყო ბერლინში 12 საათამდე და თვითონ მოეტანა წერილობითი პასუხი. ამასაც ხომ დრო უნდოდა, თუნდაც „რწმუნებული“ თვითმფრინავით გამოეშვათ ვარშავიდან! ეს ისეა, კაცს კუპრის ზღვაზე ბეწვის ხიდი გაუდო და უთხრა: თუ ბიჭი ხარ, გაიარეო...

ყველაფერი კი იმისათვის კეთდებოდა, რომ საქმის კვანძი მიუნხენისებურად აქაც იოლად არ გახსნილიყო და „მცირე მსხვერპლის“ გაღებით პოლონეთს „დიდი ლუკმა“ არ გაეგდებინებინა ხელიდან გერმანიისათვის...

... ჯარა მაინც დატრიალდა. 12 საათზე ინგლისის ელჩი გერმანიაში ჰენდერსონი გამოცხადდა რიბენტროპთან და... ისევ დაიწყო მარათონური რბენა, რამაც ორიოდე დღის შემდეგ მსოფლიო ომამდე მიიყვანა კაცობრიობა. ასპარეზზე პირველი რიბენტროპი გამოვიდა, სწორედ ის რიბენტროპი, რომელიც დაკითხვაზე ასე წყნარად იჯდა და ყოველ სიტყვას თითქოს მავთულით ექაჩებოდა პირიდან. მაშინ კი ნამდვილ „სპორტულ ფორმაში“ იყო. შევიდა თუ არა მასთან ელჩი, ხელი არც ჩამოურთმევია, ისე სხაპასხუპით (ჰენდერსონი წერს: „მაქსიმალური სიჩქარით“) ჩაუკითხა თექვსმეტი მუხლისაგან შემდგარი უზარმაზარი დოკუმენტი, ისიც არა ინგლისურ, არამედ გერმანულ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ წესის მიხედვით უცხო ქვეყნის ელჩებს დოკუმენტს მათ მშობლიურ ენაზე გადასცემენ ხოლმე.

- ჰენდერსონი არც უსმენდა, როცა რიბენტროპი კითხულობდა, რადგან ეგონა, ამის შემდეგ დოკუმენტს ოფიციალურად გადასცემდნენ მას, მით უმეტეს, რომ საქმე ისეთ სერიოზულ ამბავს ეხებოდა, როგორიც ომის და ისიც მსოფლიო ომის დაწყებაა. მაგრამ არიან თურმე ადამიანები, რომლებიც ხიდებივით მხოლოდ იმისათვის არსებობენ, რომ მათზე სხვებმა გადაიარონ. რაც მაშინ ჰენდერსონს მოუვიდა, იქნებ ღირ-

საც იყო ამისი. ჩემბერლენს ხომ ისიც ახლდა მიუნხენში, რო-
ცა ინგლისელებმა და ფრანგებმა ჰიტლერელთა აგრესიას ხელ-
ფეხი გაუხსნეს და ევროპის რამდენიმე სახელმწიფო შთაანთ-
ქმევინეს. სწორედ მათ მისცეს გერმანელ არესს ხელში მახვი-
ლი და ახლა თვითონვე მოუხდათ ამ მახვილისათვის თავი
შეეშვირათ...

... რიბენტროპმა რომ „მამაო ჩვენო" დაამთავრა, ჰენდერ-
სონმა სთხოვა, დოკუმენტი გადმომეცითო.

— ახლა უკვე გვიანაა, ბატონო ჩემო! — მიუგო გადიდ-
გულებულმა მინისტრმა: — პოლონეთმა არ შეასრულა ჩვენი
მოთხოვნა და მისი რწმუნებული არ ჩამობრძანდა ბერლინს.

ჰენდერსონს შუბლზე ალმურმა აუარა.

— ეს ხომ ძალადობაა,— სცადა მან პროტესტი განეცხადე-
ბინა.

— არავითარი ძალადობა არ არის, ეს თქვენი ფანტა-
ზიაა,— მკვახედ მიუგო რიბენტროპმა გაოგნებულ ელჩს.

ჰენდერსონმა კარგად იცოდა, რიბენტროპი რა წყლისა
და სინდისის კაციც იყო, მაგრამ უკან მაინც არ დაიხია:

— რატომ წესის მიხედვით არ გადმოგვეცით დოკუმენტი
და ორი დღით ადრე არ მოიწვიეთ პოლონეთის ელჩი? — გა-
მოედავა იგი მინისტრს.

რიბენტროპი გაცხარდა:

— მე არასოდეს არ ვიწვევ ელჩს ჩემთან, თუკი თვითონ
არ ითხოვს ამას!..

... ნახევარი საათის შემდეგ პოლონეთის ელჩი გერმანიაში
ლიპსკი ქშენაავარდნილი ეახლა რიბენტროპს.

— გაქვთ პოლონეთის მთავრობის რწმუნება? — შესვლის-
თანავე მიახალა მას რიბენტროპმა, რომელმაც კარგად იცოდა,
გერმანიის ულტიმატუმში „წარმომადგენლის" ნაცვლად
„რწმუნებული" რომ იყო ჩაწერილი და ამის გამო იქვე, ბერ-
ლინში, მყოფი ელჩი ვერ აწარმოებდა მასთან მოლაპარაკე-
ბას.

— მერე რა, რომ სპეციალური რწმუნება არა მაქვს, მე
ხომ სრულუფლებიანი ელჩი ვარ! — გაიკვირვა ლიპსკიმ.

ეს რიბენტროპმაც კარგად იცოდა, მაგრამ მაინც არ ისურვა მასთან ლაპარაკი, ფიურერს შეევატყობინებო ამის შესახებ, მარტო ეს უთხრა.

ფიურერს კი უკვე ბრძანება ჰქონდა გაცემული, რომ დილის 4 საათსა და 45 წუთზე საომარი ოპერაციები დაეწყოთ...

... ამ დროს გერმანიის რადიო უკვე გაჰყვიროდა, პოლონეთმა ურცხვად დაარღვია ყველა პირობაო. წინადადება მივეცით მთავრობის რწმუნებული გამოეგზავნათ, მაგრამ არ ჩამოსულ�. სინამდვილეში ეს წინადადება პოლონეთის მთავრობას ჯერ არც კი ჰქონდა მიღებული, ამის შესახებ მთავრობის წევრები მხოლოდ რადიოთი ისმენდნენ ახლა. ინგლისის მთავრობაც ასევე გაოცებული იყო, როცა საყვედურობდნენ, ჩვენს წინადადებებზე პასუხი ინგლისელებმაც არ გაგვცესო. როგორც მოგახსენეთ, გერმანიის ულტიმატუმი რიბენტროპმა, მართალია, დილით წაუკითხა ჰენდერსონს, მაგრამ მისი ტექსტი მხოლოდ საღამოს გადასცა. სანამ ეს დოკუმენტი ლონდონში წაიღეს... უკვე გვიან იყო!

ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ჰიტლერი თავის ბრძანებაში ომის დაწყების შესახებ საფრანგეთის მთავრობასაც სდებდა ბრალს, ჩვენი წინადადებები უყურადღებოდ დატოვესო, მაშინ როცა ეს წინადადებები ფრანგებისათვის არავის გადაუცია. ინგლისის ელჩს ზეპირად მაინც განუცხადეს ამის შესახებ საომარი ოპერაციების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, საფრანგეთი კი არც გახსენებიათ. თავისთავად ცხადია, პარიზში რა გაოცებული იქნებოდნენ ყოველივე ამით. ეს ხომ მათაც ეხებოდათ. რამდენიმე საათში თუ ომი დაიწყებოდა, პოლონეთთან დადებული ხელშეკრულების თანახმად საფრანგეთსაც უნდა მიეღო მასში მონაწილეობა... ეს კი არც საფრანგეთს უნდოდა და არც ინგლისს...

უშედეგო მისია...

მიუნხენით გულდაჯერებული ინგლისი ყოველ ღონეს ხმარობდა აეცდინა სამხედრო კონფლიქტი გერმანიასთან, მაგრამ როგორ? ოფიციალურ პირებს უკვე აღარ უნდოდათ თავიანთი

ინიციატივით დაეწყოთ მოლაპარაკება „იმ გიჟ ეფრეიტორთან". ამიტომ ფრიად გაელენიანი პირი დალერუსი გაფრინდა გერმანიაში და კარინჰოლში შეხვდა გერინგს, რომელსაც ურჩია კიდეც თითონ გერმანელები შეხვედროდნენ ინგლისია მთავრობის წარმომადგენლებს შვეიცარიაში. გერინგმა ეს ჰიტლერს აცნობა და თანხმობაც მიიღო. ამის შემდეგ დალერუსი ჯერ შვეიცარიაში წავიდა, ხოლო შემდეგ — ინგლისში, სადაც 20 ივლისს ელაპარაკა საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ ჰალიფაქსს. მართალია, ინგლისის მთავრობას ამჯერადაც არ გაუგზავნია თავისი ოფიციალური წარმომადგენელი შვეიცარიაში, მაგრამ „საქმიანი წრეების" წარმომადგენლებმა გამოიდვეს თავი და 7 აგვისტოს შეხვდნენ კიდეც გერინგსა და მის თანმხლებ პირებს დალერუსის მეუღლის მამულში. ინგლისელებმა აგრძნობინეს გერინგს, თუ კიდევ დაიწყებთ სხვისი ტერიტორიების ძალით დაპყრობას, სამხედრო კონფლიქტი გარდაუვალი იქნებაო. სურვილიც გამოთქვეს ერთხელ კიდევ შეხვედროდნენ ოთხი სახელმწიფოს — ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის — წარმომადგენლები. მაგრამ ეს დიპლომატიური თამაშიც ყაიმით დამთავრდა.

მარათონული სირბილი კი ისევ გრძელდებოდა.

24 აგვისტოს დალერუსი მეორედ ჩავიდა ბერლინში და შეხვდა გერინგს. კონფლიქტი უკვე გამწვავებული იყო. გერმანიის ჯარები ნიშანს უცდიდნენ პოლონეთის საზღვრებზე. საათის ისარი სწრაფად უახლოვდებოდა საბედისწერო დროს. მძიმე ცაიტნოტში ჩავარდნილი დალერუსი მეორე დღესვე დაბრუნდა ინგლისში და მაშინვე შეხვდა ლორდ ჰალიფაქსს, რომელმაც წერილი გაატანა გერინგთან და უკანვე გაგზავნა ბერლინში. გერინგი ამ დროს თავისი სპეციალური მატარებლით მიდიოდა საღღაც. დალერუსი დაეწია ამ მატარებელს და წერილი გადასცა ადრესატს. გერინგმა მატარებელი მოაბრუნა და დალერუსთან ერთად დაბრუნდა ბერლინში. აქ იგი მოელაპარაკა ჰიტლერს. 26 აგვისტოს ღამით დალერუსიც შეხვდა ფიურერს. ამ შეხვედრას ესწრებოდა გერინგიც. ჰიტლერი თავის სტიქიაში იყო. იგი ისე გაკიოდა, თითქოს მის წინ იური კაცი კი არა, ორათასიანი მიტინგი ყოფილიყო გამართული, თან ბოლთასა სცემდა, ნერვიულობდა.

თვითონ დალერუსი ასე აღწერს ამ შეხვედრას:

— ჰიტლერი რამდენიმე წუთს წინ და უკან დარბოდა კაბინეტში. მერე უცებ ჩემთან სულ ახლოს შეჩერდა და იყვირა:

— თუ საქმე ომამდე მივა, მე ავაგებ წყალქვეშა ნავებს, წყალქვეშა ნავებს და კიდევ წყალქვეშა ნავებს!

მისი ლაპარაკი თანდათან გაურკვეველი ხდებოდა. მერე კრუნჩხვებიც დაეწყო. უცნაურ ჟესტებს აკეთებდა. ხელებს იქნევდა და ისე ყვიროდა, თითქოს უზარმაზარ აუდიტორიას მიმართავდა:

— მე ავაგებ თვითმფრინავებს, თვითმფრინავებს, ისევ თვითმფრინავებს და მოვსპობ ჩემს მოწინააღმდეგეებს! — გაჰკიოდა იგი როგორც მანიაკი და სულ უფრო შემზარავი ხდებოდა. ამის შემდეგ ერთხანს ისევ წაღმა-უკუღმა ირბინა, ბოლოს კუთხეში ვაჩერდა და დაიღრიალა:

— თუ ინგლისს უნდა ერთი წელიწადი იომოს, მე ვიომებ ერთ წელიწადს! თუ ინგლისს უნდა იომოს ორი წელიწადი, მე ვიომებ ორ წელიწადს!

აქ ერთი წუთით შეჩერდა, ჩასისხლიანებული თვალები დაებრიალა და კიდევ უფრო ხმამაღლა დაიყვირა:

— და თუ ინგლისს უნდა იომოს სამი წელიწადი, მე ვიომებ სამ წელიწადს!..

მერე ხელები გაშალა, მთელი ტანით აძაგძაგდა და გულისწამღები ხმით იკივლა:

— თუ საჭირო იქნა, მე ვიომებ ათ წელიწადსაც! — და ისე მაგრად მოუქნია მუშტი ჰაერს, რომ კინაღამ წაიქცა, თავი ძლივს შეიმაგრა... მერე დამშვიდდა და სრულიად თავაზიანად მომმართა, დაუყოვნებლივ გავემგზავრებულიყავი ლონდონს და გადამეცა ინგლისის მთავრობისათვის მისი თვალსაზრისი...

...ჰიტლერის მუდმივი თანამგზავრი და მეხოტბე დიტრიხი წერს:

— ვინც ერთხელ შეხვდებოდა ჰიტლერს, იტყოდა, რომ ის ნორმალური ადამიანი არ არის... ვინც მეორედ შეხვდებოდა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ის გიჟია...

მრავალი საამისო ფაქტის მოყვანის შემდეგ შეძრწუნებული დიტრიხი წერს:

— ღმერთო, მე ახლაც ჭრუანტელი მივლის ტანში იმაზე ფიქრით, რომ იქნებ მართლაც გიჟი მართავდა ჩემს ქვეყანას თორმეტი წლის განმავლობაში?!

დალერუსსაც ასეთი შთაბეჭდილება დარჩა ჰიტლერთან საუბრის დროს, მაგრამ მაინც ჩაება იმ მარათონულ შეჯიბრში...

... მეორე დილით იგი ლონდონს გაფრინდა, სადაც ჩემბერლენსა და ჰალიფაქსს შეხვდა. დალერუსმა ინგლისის მთავრობის მეთაურებს განუცხადა: თუ ახლავე პასუხს მომცემთ, ისევ დავბრუნდებიო ბერლინში. ცხადია, ასე სახელდახელოდ, ერთ-ორ საათში, ძნელი იყო ამის გაკეთება, მაგრამ დალერუსს მაინც შესთავაზეს ახალი მიუნხენური პირობები: დანციგის შემოერთებაში ინგლისი მხარს დაუჭერს გერმანიას, კორიდორის შესახებ კი თვითონ პოლონეთს მოელაპარაკოსო; რაც შეეხება კოლონიების საკითხს, ეს მერე გავარჩიოთ, როცა გერმანია თავისი არმიის დემობილიზაციას მოახდენსო. ინგლისმა ამასთანავე მოითხოვა, რომ პოლონეთისათვის მისი საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტია მიეცა ხუთ სახელმწიფოს — რუსეთს, გერმანიას, ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას. ეს იმიტომ, რომ გერმანიის „გარანტიებს“ უკვე ფასი ჰქონდა დაკარგული...

... დალერუსი მაშინვე ჩაფრინდა ბერლინს და შეხვდა გერინგს, რომელსაც არ მოეწონა ეს წინადადებები და ჰიტლერს მოელაპარაკა, მეორე დილით კი დალერუსს უთხრა: თუ ჰენდერსონი ოფიციალურად ჩამოიტანს ამ წინადადებებს, მივიღებთო. დალერუსი მაშინვე გაქანდა ინგლისის საელჩოში და იქიდან სასწრაფოდ დეპეშა გაგზავნა ლონდონში. მერე ისევ ელაპარაკა გერინგს. ღამის 11 საათსა და 15 წუთზე ჰენდერსონმა ჰიტლერს ოფიციალური პასუხი გადასცა. თითქოს ყველაფერი მოგვარდა. ლონდონსა და ბერლინს შორის ისევ გაიდო მიუნხენური ხიდი, მაგრამ... ჩატეხილი. ჰიტლერს არ უნდოდა კონფლიქტის შენელება. ამიტომ საქმის გამწვავებას

ცდილობდა და არა მშვიდობიან მოგვარებას, და როცა ჰენდერსონი წარდგა მის წინაშე, ჰიტლერმა „პოლონეთის კორიდორის“ გადაცემაც მოითხოვა.

მერე ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი: გერინგი ელაპარაკა დალერუსს, დალერუსი გაფრინდა ლონდონს, შეხვდა ჩემბერლენსა და ჰალიფაქსს. ესენი დარწმუნდნენ, რა დათმობაზედაც უნდა წასულიყვნენ, ჰიტლერს მაინც ვერ შეაჩერებდნენ. ამიტომ პილატესავით დაიბანეს ხელი და ვარშავას აცნობეს, ეცადეთ როგორმე ომამდე არ მიიყვანოთ საქმეო. პოლონეთის მთავრობას კი რა უნდა ექნა! თვითონ რომ ჩასულიყვნენ ბერლინს, წინ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ხაჰას მაგალითი ედოთ, ხოლო დალერუსმა რომ დაურეკა გერინგს, პოლონეთის მთავრობის მეთაურთ გერმანიის გარეთ შეხვდითო, გერინგმა ამაზე უარი თქვა: ჰიტლერი მათ პირადად უნდა ელაპარაკოსო. მერე დალერუსი ერთხელ კიდევ ჩავიდა ბერლინს, მაგრამ ამჯერად სულ გადაუწურეს წყალი:

— თუ პოლონელები არ მიიღებენ ჩვენს წინადადებებს, გავჭყლეტთ როგორც ტილებს, ხოლო ინგლისი ნუ ერევა ამ საქმეში! — განუცხადა მას გერინგმა.

დალერუსი მიხვდა, რომ მისი „კეთილი მისია“ დამთავრდა.

ნიურნბერგის პროცესზე ჯექსონმა განაცხადა:

— სრულიად აშკარაა, რომ ყოველივე ეს გაკეთებული იყო არა პოლონეთის მიმართ აგრესიის თავიდან ასაცდენად, არამედ ინგლისის ნეიტრალიტეტის მისაღწევად.

პოლონეთი უკვე ჯვარზე იყო გაკრული. დალერუსი პირველ სექტემბერს უკანასკნელად შეხვდა ჰიტლერს, როცა იგი რაიხსტაგიდან დაბრუნდა.

— დაგლეწავთ!.. მოგსპობთ!.. გაგანადგურებთ!..

ასეთი იყო ჰიტლერის „დიპლომატიური“ ტონი ამ საუბრის დროს... არავითარი ლოგიკა, მორიდება, კანონი ან სამართალი... ასეა:

ძალამ თქვა: ჩემი კანონი
შუბის ფვერებზე წერია'...

ახლა მხოლოდ casus belli იყო საჭირო. ეს საქმე ამჯერად თვითონ ჰიტლერმა იკისრა. მას ხომ რამე ხელმოსაჭიდი საბაბი უნდა ეშოვა ომის დასაწყებად. ეს არც ისე ძნელი საქმე იყო მისთვის.

— თქვენ დაიწყეთ და საჭირო პროპაგანდისტულ საბაბს მე მოგცემთ, — განუცხადა მან თავის გენერლებს, — სულერთია, სიმართლე იქნება ეს თუ არა. ამას არც აქვს მნიშვნელობა. გამარჯვება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიმართლე. ამიტომ მართალი ის არის, ვინც იმარჯვებს. გამარჯვებულებს კი არ ეკითხებიან, ჰქონდა ამის უფლება თუ არა. მთავარი ისევ გამარჯვებაა და არა უფლება.

— ღმერთი სიმართლეშია და არა ძალაში! — წარმოთქვა ამის პასუხად ნიურნბერგში ფრანგმა ბრალმდებელმა შარპანტიე დე რიბმა, მაგრამ პასკალის სიტყვებიც გაიხსენა:

— სამართლიანობა საკამათოა, ძალა კი—ადვილი დასანახი, იგი უდავოა. აი, რატომ ვერ შეძლეს გაეკეთებინათ ისე, რომ სამართლიანი ყოფილიყო ძლიერი; და ამის ნაცვლად ძლიერი გამოაცხადეს სამართლიანად...

ჰიტლერს თავი საკმაოდ ძლიერად მიაჩნდა საიმისოდ, რომ მის მიერ მოგონილი საბაბი „სამართლიანად“ ჩაეთვალათ, და შეიმუშავა ოპერაციის გეგმა, რომელსაც კოდური სახელწოდება „ჰიმლერი“ მიეცა. ვინც ამ ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას, კვალის დასაფარავად ყველა დახოცეს. რაღაც სასწაულით გადარჩა მხოლოდ ერთი, ალფრედ ნოუჟოკსი, რომელიც შემდეგ ნიურნბერგის პროცესზე გამოიყვანეს მოწმედ.

— 1939 წლის აგვისტოში, — თქვა მან, — გამომიძახა ჰაიდრიხმა და მიბრძანა მომეწყო პოლონეთის საზღვართან მდებარე გლაივიცის გერმანულ რადიოსადგურზე თავდასხმის ინსცენირება. ოთხი-ხუთი კაცის თანხლებით გლაივიცს უნდა ჩავსულიყავი და სიგნალს დავლოდებოდი. როგორც კი სიგნალს მივიღებდით, პოლონელ ჯარისკაცთა ფორმაში გადაცმული გერმანელების საშუალებით უნდა დამეპყრო რადიოსადგური. შემდეგ პოლონური ენის მცოდნე გერმანელს უნდა გა-

ძოაცხადებინა მიკროფონში, რომ დადგა დრო გერმანიასთან შეტაკებისა, რათა მოვსპოთ ყველა გერმანელი...

ასეც მოხდა: ციხიდან გერმანელი ტუსაღები გამოიყვანეს, პოლონური ფორმა ჩააცვეს, გლაივიცის რადიოსადგურს მიუსიეს და „დაიპყრეს“ კიდეც იგი. მერე გერმანელებმა მიიტანეს „მტერზე“ კონტრიერიში, ყველა „პოლონელი“ დახოცეს და რადიოსადგური „დაიბრუნეს“.

მეორე დღეს მთელი გერმანული პრესა და რადიო ერთხმად აყვირდა: არიქა, პოლონელები თავს დაგვესხნენო.

ნიურნბერგში, გერინგმა სცადა სულ აერია კარტები. მან განაცხადა, პოლონეთზე თავდასხმა დააჩქარაო ე. წ. „სისხლიანმა კვირამ“ ბიდგოშში.

დღეს მთელმა მსოფლიომ იცის ეს ამბავი. 1939 წლის 3 სექტემბერს 10 საათსა და 15 წუთზე გერმანელი დივერსანტები თავს დაესხნენ ქალაქ ბიდგოშიდან უკანდახეულ პოლონეთის ჯარის ნაწილებს. შეტაკების დროს მოკლეს 238 პოლონელი და 23 გერმანელი. ქალაქის დაპყრობის შემდეგ დაიწყო შურისძიება: 10 500 პოლონელი ადგილზევე დახოცეს, 13 000 კი საკონცენტრაციო ბანაკებში მოსპეს...

„გლაივიცის კომედიის“ დასაფარავად გერინგმა ბიდგოშის ამ ტრაგედიის გამოყენება სცადა, ვითომ ეს იქცა პოლონეთთან ომის მიზეზადო. მაგრამ საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომ „შეახსენა“:

— პოლონეთზე თავდასხმა პირველ სექტემბერს დაიწყო, ბიდგოშის ამბები კი სამ სექტემბერს მოხდა...

მართლაცდა, სამი სექტემბრის შეტაკება როგორ იქცეოდა პირველ სექტემბერს დაწყებული ომის მიზეზად! ამგვარი „შეუსაბამობა“ გერინგმაც იგრძნო, მაგრამ ბედისწერის ირონიას ვერსად გაექცა და იმის მეტი ვერაფერი მოახერხა, რომ ეთქვა ბიდგოშის ამბების თარიღი შემეშალაო.

გლაივიცის ამბები მათ მხოლოდ პოლონეთთან ომის დაწყების საბაბად უნდოდათ. ასეც მოხდა. ჰიტლერმა საქვეყნოდ გამოაცხადა:

— მას შემდეგ, რაც ამოწურულ იქნა ყველა პოლიტიკური შესაძლებლობა მშვიდობიანი გზით მოგვეწესრიგებინა მძიმე

მდგომარეობა გერმანიის აღმოსავლეთ საზღვარზე, მე გადავწყვიტე მივმართო ძალას...

1939 წლის პირველ სექტემბერს ღამით 4 საათსა და 45 წუთზე (ზუსტად იმ დროს, რომელიც ჰიტლერის მიერ იყო გამოცხადებული) საამისოდ შედგენილი ე. წ. „თეთრი გეგმის" მიხედვით დაიწყო საომარი ოპერაციები პოლონეთის წინააღმდეგ. გერმანული თვითმფრინავები თავს დაესხნენ პოლონეთის ქალაქებსა და სოფლებს, დაბომბილ იქნა ვარშავაც. მოტომექანიზებული ჯარები და სატანკო შენაერთები შეიჭრნენ სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რათა ცეცხლითა და მახვილით გაენადგურებინათ იგი...

ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი...

...იმავე დღეს დილის 9 საათზე ბერლინის საოპერო თეატრში მოწვეულ იქნა რაიხსტაგის სხდომა. 1934 წლიდან მოყოლებული ჰიტლერი ასეთ სხდომებს უკვე აღარ მართავდა რაიხსტაგის ძველ შენობაში. მას საერთოდ არ უყვარდა ეს შენობა, სადაც უწინ იკრიბებოდნენ ძველი მოწვევის დეპუტატები, რომელთაც იგი „პარლამენტის ბაღლინჯოებს" უწოდებდა. 1934 წელს მან სცადა კიდეც ჯერ ცეცხლით, ხოლო შემდეგ ტერორით გაეწმინდა რაიხსტაგის შენობა ამ „ბაღლინჯოებისაგან"—403 დეპუტატი ციხეში ჩაყარა, დახვრიტა ან ჩამოახრჩო. მიუხედავად ამისა, ჰიტლერის აზრით, იქ მაინც „პარლამენტარიზმის სუნი ტრიალებდა", რასაც იგი ვერ იტანდა. საოპერო თეატრის შენობაში კი უფრო საზეიმო განწყობილება სუფევდა, „დადგმებიც" პომპეზური იყო, განსაკუთრებით 1939 წლის პირველ სექტემბერს, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო...

...გზა რაიხსტაგის შენობიდან ოპერის თეატრამდე ზღვა ხალხით იყო სავსე. აღგზნებული ბრბო გარიჟრაჟიდანვე უცდიდა ჰიტლერის გავლას ამ გზით. წესრიგს ესესის, მოიერიშეებისა და პოლიციის სამმაგი კორდონი იცავდა. სხდომის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ოპერის თეატრში ყველა „დეპუტატი" შეიკრიბა. იარუსები უცხოეთის კორესპონდენტებითა და სტუმრებით აივსო. ლოჟებში ბერლინში აკრედიტე-

ბული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები განლაგდნენ. სცენაზე, რომელიც ნაცისტური ემბლემებითა და დროშებით იყო მორთული, რამდენიმე მწკრივად ისხდნენ „მესამე იმპერიის“ მეთაურები... ყველა მოუთმენლად ელოდა ჰიტლერის გამოჩენას...

მიტინგებზე იგი ყოველთვის დაგვიანებით მოდიოდა. ხალხი შეიკრიბებოდა და ელოდა: ათი წუთი... ოცი... ოცდაათი... ზოგჯერ მთელი საათიც... იყო ერთი მღელვარება და ჩოჩქოლი. ვინმე ჰორსტ ვესელის სიმღერას წამოიწყებდა, მას სხვებიც აჰყვებოდნენ, გუგუნი თანდათან მიელ მოედანს თუ დარბაზს მოედებოდა...

ჰიტლერი კი ამ დროს სასტუმროში იჯდა და ელოდა აუდიტორიის „ფსიქოლოგიურ მომზადებას“. ყოველ ხუთ წუთში ნასთან შიკრიკები მორბოდნენ და მოახსენებდნენ, თუ რა მდგომარეობა იყო... მერე, როცა დაძაბულობა კულმინაციას მიაღწევდა, უცებ გამოჩნდებოდა და სულ ცეცხლს წაუკიდებდა ისედაც „გახურებულ“ ბრბოს...

OVIS — ოვაცია...

იმ დღეს, ცხრა საათი რომ შესრულდა, ცერემონიის გამწესრიგებელმა რაღაც არაბუნებრივი, ისტერიული ხმით დაიყვირა:

— ფიურერი!..

მთელი დარბაზი მაშინვე ერთი კაცივით ადგა ფეხზე. ორკესტრმა შემხვედრი მარში დაიწყო, იგი თანდათან დაფარა ერთსულოვანმა ღრიალმა.

— ჰაილ! ჰაილ! ჰაილ!.. დიდება!.. დიდება!.. დიდება!..

ისე დაიწყო მორიგი „გამოცხადება მაცხოვრისა“... დარბაზის ბოლოს გამოჩნდა „განგების მოციქული“—ჰიტლერი უბრალო ჯარისკაცის მუნდირში. მას უკან მოჰყვებოდნენ ორდენებითა და მედლებით აელვარებული გერინგი და კისერწაგრძელებული ჰესი. ყველამ ფიურერისაკენ გაიშვირა მარჯვენა ხელი. ღრიანცელმა იმატა. ჰიტლერმა მოკლე და მუხლმოუღუნავი, ჩაპლინისებური ნაბიჯებით ისე განვლო დარბაზი, რომ

არავისთვის შეუხედავს. ხანდახან მექანიკურად თუ აიქნევდა შარჯვენა ხელს მისალმებისათვის. თვალები სადღაც შორს მიეპყრო. მოღუშული სახე ჰქონდა, დატანჯული და ისე შეწუხებული, თითქოს სახეიმოდ ძორთულ აცეიაიე კი არა, ფაოთლაც მაცხოვარივით ადიოდა გოლგოთაზე, რათა ჯვარს ეცვათ იგი. ეს დაუსრულებელი „ჰაილიც“ ისე გაისმოდა ხალხით სავსე დარბაზში, როგორც „ოსანა“. ორკესტრისა და ბრბოს ხმაური ერთმანეთში ირეოდა. ის კი ხელს ართმევდა სცენაზე გამწკრივებულ „მოციქულებს“.

ღრიანცელი კიდევ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მერე რაიხსტაგის პრეზიდენტი გერინგი ავიდა ტრიბუნაზე და ეიესალმა „იმპერიისა და გერმანელი ხალხის ფიურერს“.

დარბაზში ისევ ატყდა ღრიანცელი. შეძახილებმა იმატა. ორკესტრი ხომ სულმთლად გახელდა, როცა „დიადი მოგვი“ ტრიბუნისაკენ გაემართა. ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მომზადებული — სიტყვები, ჟესტები, ხელებისა და თვალების მოძრაობა, იცოდა, სად უნდა აეწია ხმისათვის და სად უფრო მშვიდ ტონზე გადასულიყო, რომ მეტი ეფექტი მოეხდინა. ტყუილად კი არ ვარჯიშობდა სარკის წინ ყოველივე ამის გამოსამუშავებლად და დასახვეწად...

ამბობენ, ამაშიც ნაპოლეონს ბაძავდაო. მართლაც, ცნობილი ამბავია, სახელგანთქმული მსახიობი ტალმა რომ ავარჯიშებდა თავის კორსიკელ მოწაფეს, ეფექტურად თუ როგორ მოეგდო ზურგზე მოსასხამი, როცა იმპერატორის ტახტზე დებრძანდებოდა...

...ჰიტლერიც ასე გავარჯიშებულად გაემართა ტრიბუნისაკენ და ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ყველას, რომ მართლაც ორატორობა იყო მისი სტიქია. ჯერ დინჯი ტონით დაიწყო. თავი მშვიდობის მოციქულად გამოაცხადა. მთელი ჩემი სიცოცხლე მშვიდობისათვის ვიბრძოდიო, ისე თვალდაუხამხამებლად თქვა, თითქოს ნგრევის დემონი კი არა, ცით მოვლენილი ანგელოზი ყოფილიყოს. გარდა უცხოელებისა, ეს არავის გაკვირვებია, რადგან გერმანელებს საერთოდ უცნაური წარმოდგენა აქვთ მშვიდობაზე. თუნდაც მათი „მშვიდობის ძეგლი“ რად ღირს, ბერლინში რომ აღმართეს საფრანგეთზე გა-

მარჯვების შემდეგ უზარმაზარი პიედესტალი სულ ზარბაზნების ლულებითაა ნაგები, რომელზედაც ოქროთი მოვარაყებული მშვიდობის ანგელოზი დგას. ასეთ პარადოქსულ საოცრებას ნაცისტურ გერმანიაშიც შეხვდებოდით. ერთხელ, ჰიტლერმა რომ საზენიტო არტილერიის ქარხანაში გამოსვლა მოისურვა, უზარმაზარ საამქროში ოთხი საზენიტო ქვემეხი დაეყენეს, ზედ ფიცრები გადეს და ტრიბუნა გამართეს. მასზე „მშვიდობის ანგელოზი“ — ჰიტლერი შედგა და სამსაათიანი სიტყვა წარმოთქვა შეიარაღებისა და მომავალი ომის შესახებ.

ახლაც, პოლონეთში რომ გერმანიის ზარბაზნები გრიალებდნენ, იგი რაიხსტაგის ტრიბუნაზე იდგა და თავის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკაზე ქადაგებდა.

— მე ბევრი ვიბრძოლე იმისათვის, რომ მშვიდობა დამემყარებინა ევროპაში, მაგრამ არაფერი გამოვიდა! — თქვა მან და გულხელდაკრეფილმა დაუმატა, ღმერთია ამის მოწმეო. თუმცა ღმერთი რას დაუმოწმებდა „ყავისფერ სატანას“, რომელიც მაშინვე გადავიდა სიცრუის ტაქტიკაზე და გამოაცხადა, პოლონეთი დაგვესხაო თავს. უნდოდა დაეჯერებინა მსოფლიო, რომ პოლონეთის არმიის რეგულარულმა ნაწილებმა პირველმა ატეხეს სროლა საზღვარზე, დაღვარეს გერმანული სისხლი და დაემუქრნენ მთელ გერმანიას.

აქ კი აუწია ხმას:

— მათ უნდათ მიისაკუთრონ აღმოსავლეთი პრუსია თვით ბერლინამდე. ეს საფრთხეს უქმნის ჩვენს დედაქალაქს... მაგრამ... ჩემი სიყვარული მშვიდობისადმი და უსაზღვრო მოთმინება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც სისუსტის ან შიშის ნიშანი! ამიტომ მე გადავწყვიტე პოლონეთს ელაპარაკო იმავე ენით, რითაც მან ინება ჩემთან საუბარი!

ეს თქვა და უცებ დარბაზში მისი ისტერიული კივილი გაისმა:

— სისხლი სისხლის წილ!

მერე დაიწყო ისტერია... ჯერ მარჯვენა ხელის ქნევით დაემუქრა „პოლონელ თავდამსხმელებს“, მერე მარცხენაც მიაშველა, ჩვეულებისამებრ რომ სქელ, ჯარისკაცულ ქამარში ჰქონდა გაჩრილი, და სულ მუშტების ენაზე გადავიდა. იგი მისწვდა საფრანგეთს, ინგლისს, ყველას, ვინც კი „მის საქ-

მეში" ერეოდა ან აწი ჩაერეოდა, ცეცხლითა და მახვილით განადგურება უწინასწარმეტყველა „გერმანელი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების დამრღვევთ"...

ბოლოს ისევ წამებულის სახე მიიღო, თავი ძირს დახარა, ხმასაც დაუწია... თითქმის ჩურჩულზე გადავიდა და სულგანაბულ დარბაზს „გულის ამაჩუყებელი" სინაზით მიმართა:

— მე ახლა სხვა არაფერი მინდა, თუ არა ის, რომ ვიყო იმპერიის პირველი ჯარისკაცი! ამიტომ ჩავიცვი ეს მუნდირი, რაც ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასია და წმიდათაწმიდა. მე მას გავიხდი მხოლოდ მაშინ, როცა გავიმარჯვებთ!..

ტყუილად კი არ უთქვამთ ჰიტლერზე: პოლიტიკისათვის ხელი რომ არ მოეკიდა, იქნებ კარგი მსახიობი გამოსულიყოო, თუ დასჭირდებოდა, ენის წვერიდან თაფლს აწვეთებდა, ხმასაც ისე ტკბილად ააღუღუნებდა, მართლაც ჯვარცმულ ქრისტეს ემსგავსებოდა.

ახლაც ასე არტისტულად ეჭირა თავი: გული აუჩუყდა, ცრემლიც გადმოყარა და მსმენელთა გულის დასათუთქავად ჩაათავა:

— ამ რწმენით მივდივარ ფრონტზე და, თუ დავეცი ბრძოლის ველზე, გერინგი იქნება ჩემი შემცვლელი. თუ გერინგიც დაიღუპა, ჰესი შეცვლის მას... და თუ ჰესსაც მოუვა რამე... დაე, შეიკრიბოს რაიხსტაგი და აირჩიოს გერმანელი ხალხის ღირსეული მეთაური...

ეს თქვა და ნელ-ნელა ჩამოვიდა ტრიბუნიდან...

... ჭეშმარიტად საოცარია ომის ჟინით გახელებული გერმანელის სანტიმენტალური ბუნება. ჰიტლერის ამ სიტყვებზე ბევრს ცრემლი მოერია. ერთხანს გაოგნებული იყვნენ, ენადაბმულნი... დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ, პოეტებისა არ იყოს, სიჩუმესაც თავისი ექო აქვს თურმე... და ვიღაცამ ისევ დაიძახა:

— ჩვენს უძლეველ ფიურერს ზიგ ჰაილ!..

დარბაზი ერთბაშად გამოცოცხლდა. ატყდა ტაშისცემა... ღრიალი... წინასწარ მომზადებულმა „სოლისტებმა" წამოიწყეს ჰიმნი „გერმანია, გერმანია უპირველეს ყოვლისა", რომელსაც ჰორსტ ვესელის სიმღერა მოჰყვა...

როცა დარბაზი დაწყნარდა, ისევ ის ჰიპოპოტამი გერინგი აბოღღდა ტრიბუნაზე და რაიხსტაგის სხდომა დახურულად გამოაცხადა. ოვაცია კი ისევ დიდხანს გრძელდებოდა...

დეპუტატები თავიანთი უსაზღვრო აღტყინებით ადასტურებდნენ, რომ ცნება „ოვაცია“ მართლაც ლათინური სიტყვიდან ovis (ცხვრები) წარმოიშვა...

...ამ დროს თავით ფეხამდე შეიარაღებული გერმანული დივიზიები შეუჩერებლივ მიიწევდნენ პოლონეთის ტერიტორიაზე... სულ ამაო გამოდგა პოლონელების იმედი — მოკავშირეები დაგვეხმარებიანო. ინგლისელები და ფრანგები ქარქაშიდან ამოუღებლად იქნევდნენ ხმალს და „ემუქრებოდნენ“ გერმანიას, ომს გამოგიცხადებთო, პოლონელებს კი „ანუგეშებდნენ“, გულს ნუ გაიტეხთ, გაუძელით და დაგეხმარებითო. ქება-დიდებასაც უხვად ასხამდნენ პოლონეთის შეიარაღებული ძალების „გმირულ შემართებას“. ეს ისე, სიტყვით, თორემ საქმით... ქართული ანდაზისა არ იყოს, „გოშია აქეს და მგელს შეაჭამესო“, აგრე გამოუვიდათ.

გერმანიამ პოლონეთს თვრამეტ დღეში ისე აუგო ანდერძი, რომ „მათ მხარეზე მეომარ“ ინგლისსა და საფრანგეთს თითიც არ გაუნძრევიათ თავიანთი „მამაცი მოკავშირის“ დასახმარებლად. ვინ იცის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები იქნებ ამის შემდეგაც წასულიყვნენ ახალ მიუნხენზე, მაგრამ უკვე ჩემბერლენიც მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო.

— მე ჩემი ქვეყნის სამსახურს შევალიე მთელი სიცოცხლე, ახლა კი ყველა იმედი დამემსხვრაო, — განაცხადა მან პარლამენტის სხდომაზე.

— ერთადერთი სამსახური, რაც თქვენ კიდევ შეგიძლიათ გაუწიოთ ინგლისს, ის არის, რომ გადადგეთ! — უთხრეს მას.

ჩემბერლენი მართლაც გადადგა და დიდი ბრიტანეთის მთავრობას სათავეში „ზღვის ლომი“ უინსტონ ჩერჩილი ჩაუდგა.

პოლონეთი კი უკვე განწირული იყო... რაინის მხარეს, ავსტრიას, სუდეტის ოლქს, ბოჰემიასა და მორავეთს, ხოლო შემდეგ მთლიანად ჩეხოსლოვაკიასა და მემელს, ინგლის-საფრანგეთის „მომთვინიერებელი პოლიტიკის“ წყალობით, ახლა

პოლონეთიც ზედ მიაყოლეს თავის დანციგიან-კორიდორიანად. და როცა ლონდონსა და პარიზში მთავრობის წევრები მაღალფარდოვან სიტყვებს წარმოთქვამდნენ, ნანგრევებად ქცეულ ვარშავაში რვაფუთიანი გერინგი, კარტოგრაფიული კაბინეტის მაგიდაზე აბობღებული, ბუქნაობდა პოლონეთის რუკაზე...

ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო...

ახლა რომ ამას ვიხსენებ, ისევ ის ღობემძვრალა ირონია იწყებს არამკითხე მოამბეობას და პაროდიულ იერს აძლევს ჩემ მიერ მოყოლილ ტრაგიკულ ამბებს. ჰიტლერის ეს „აკრძალული დიპლომატიური ილეთები", სახელმწიფოთა ბედის გადაწყვეტა კამათლების გორებით, რიბენტროპის სანაძლეო და ინგლის-საფრანგეთის მთავრობათა წაღმა-უკუღმა სირბილი გერმანელების ნება-სურვილზე — ყოველივე ეს მართლაცდა ღიმილს იწვევს. შესაძლებელია ტრაგიკულს, მაგრამ მაინც ღიმილს. ტრაგიკულს იმიტომ, რომ ამ დიპლომატიურ თუ პოლიტიკურ წაჯექ-უკუჯექობას მეორე მსოფლიო ომი და 50 მილიონი ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა, იმ მატერიალურ და სულიერ ზარალზე რომ არაფერი ვთქვათ, რასაც დანგრეულ-გაპარტახებული ევროპა წარმოადგენდა. მე მგონი, ამ ამბების პაროდიულობა ირონიული დამოკიდებულების გარეშე არც აღიქმება. ჰიტლერმა ეჩოსავით ყველაფრის თავისკენ მიზიდვა დაიწყო და რიგრიგობით ერთმანეთს მიაყოლა რაინის ოლქი, ავსტრია, ბოჰემია, მორავეთი, ჩეხოსლოვაკია, მემელი, დანციგი, პოლონეთი. „ის ჩიორები" კი — ჩემბერლენი და დალადიე იმის ნაცვლად, რომ ნაკისრი ვალდებულებანი შეესრულებინათ და თავიანთი სახელმწიფოების ძლიერებით დაეცვათ „ევროპის ბუდე" ყოველგვარი აგრესიისაგან, პირიქით, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, „ჯოხი თუ არა გაქვს, ძაღლს ლუკმა უნდა გადაუგდოო", ბარტყებივით თითო-თითოდ უგდებდნენ ხახაში „იმ მელა ჰიტლერს" მცირე და სუსტად შეიარაღებულ ქვეყნებს.

აქ არ შეიძლება კაცს უნებლიეთ არ გაახსენდეს ჩვენებური ხალხური ზღაპარი „ჩიტი და მელა":

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი ბარტყი გადმომიგდე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ:
ცულს მოვიტან ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა!

ის თოფიარაღასხმული მელა-ჰიტლერი მართლაც მიადგა „თავიანთი ღირსების სიმაღლეზე“ ამძვრალ ჩემბერლენსა თუ დალადიეს და შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!

— რაო, ბატონო მელაო?

— რაინის ოლქი გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ! ცულს მოვიტან ცუნცულასა კი არა... მოგაყენებ ტანკებს, თვითმფრინავებს და, სულერთია, ნებით თუ არა, ძალით დავიკავებო!

— იმ მსუნაგ მელას თუ ასე ადვილად მოვიშორებ, ამას რა სჯობიაო,— იფიქრა ჩიორა-ჩემბერლენმა და გადაუგდო ბარტყი —რაინის ოლქი, მაგრამ... ერთი შერჩა მელასაო, სხვას დაუწყებს დევნასაო. ის კუდაგრძელაც აღარ მოეშვა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!

— რაო, ბატონო მელაო?

— ახლა ავსტრია გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ: შენც დაგლეწავ და იმასაცაო.

ჩიორას შეეშინდა და ავსტრიაც გადაუგდო. მაგრამ ძადაზე მოსული მელა არც ამით დაკმაყოფილდა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო, სუდეტის ოლქიც გადმომიგდე. თორემ ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა, შენც შეგჭამ და შენს სუდეტსაცაო! — ასძახა მან ისევ.

ჩიორებს გული გაუსკდათ, მართლა ჩვენც არ გადაგვყლაპოსო, და სუდეტის ოლქიც ბარტყივით ჩაუგდეს მელა-ჰიტლერს. იმან კი ბოჰემია-მორავეთიც მიირთვა და მადაწყალისებულმა მთელი ჩეხოსლოვაკია მოინდომა. ახლა კი ჩიორებმა გული მოიყვანეს: იფრინეს, იფრთხიალეს, აქეთ ეცნენ, იქეთ ეცნენ, მერე მიუნხენშიც ჩაფრინდნენ, რა ვქნათო, ითათბირეს და... ბოლოს ჩეხოსლოვაკიაც მელას „ჩამოუგდეს“.

მელა კი უფრო გაბერა, გათამამდა და ისევ თავიდან დაიწყო:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!

— რაო, ბატონო მელაო?— შეუწუხდათ გული ჩიორებს — დალადიესა და ჩემბერლენს.

— მემელის ოლქი გადმომიგდეთ, თორემ ცულს მოვიტან ცუნცულასა, ხელეჩოს და წალდუნასა, შენც...

— კი, ბატონო, მიირთვით მემელის ოლქიცო,— ღარ დაამთავრებინეს მუქარა მელას ჩიორებმა. მელამ ის მემელიც ბარტყივით ჩაყლაპა და, სულიც არ მოუთქვამს, მყისვე დანციგიც მოითხოვა თავისი კორიდორიანად.

შეწუხდნენ ჩიორები, ამ მსუნაგს მართლაც არაფერი აძღებსო, და შეჰბედეს:

— ბატონო მელა, დანციგის მიღებაში დაგეხმარებით, მაგრამ „კორიდორი“ ჩვენი არ არის, პოლონეთისაა, და თუ ის მოგცემთ, ჩვენ რა გვენაღვლებაო.

იფიქრეს, იქნებ „პოლონური ორთავიანი არწივისა“ მაინც შეეშინდეს ამ მსუნაგსო. მაგრამ მელა გაბრაზდა და... დანციგი მარტო კი არა, მთლიანად პოლონეთი უნდა შემაყლაპოთო, მოითხოვა, თან ჩიორებს დაემუქრა, ხელი არ გაანძრიოთ, თორემ თქვენც შეგჭამთ და თქვენს შვილებსაცაო...

ჩიორები საგონებელში ჩაცვივდნენ: ასე ყველაფერი რომ მელას მივცეთ, ისე გაიბერება, ჩვენც მოგვინდომებს ჩაყლაპვასო. მეტისმეტი შიშისაგან თითქოს გულიც მოეცათ და იყვირეს:

— პოლონეთს ხელი არ ახლო, შე მსუნაგო, თორემ სულ თვალებს ამოგკორტნითო.

ამის თქმა და მელას გაცოფება ერთი იყო. ადგა, იარაღი აისხა, ჯერ მუქარით ცა და მიწა შეძრა, მერე ბაყბაყ დეევიით უზარმაზარი ხახა დააღო და... პოლონეთიც ჩიტის ბარტყივით გადაყლაპა.

რა მამლები წაიკიდნენ...

ინგლისი და საფრანგეთი კვლავ სეირს უყურებდნენ. მართალია, ომი კი გამოუცხადეს გერმანიას, მაგრამ პოლონეთის დასახმარებლად თოფიც არ გაუნძრევიათ: არც ერთი ზარბაზ-

ნის გასროლა, არც ერთი ფრანგი ჯარისკაცი პოლონეთში, არც ერთი თვითმფრინავი გერმანიის ცაზე... მხოლოდ სიტყვები და დეკლარაციები... ამბობენ, ეშინოდათ, რადგან „დიდი ომისთვის“ მომზადებული არ იყვნენო. არც ასე იყო საქმე. მეორე მსოფლიო ომის წინ საფრანგეთს საკმაოდ ძლიერი არმია ჰყავდა, ბოლო მის საზღვაო ფლოტს მეორე ადგილი ეჭირა მსოფლიოში. იგი ფლობდა უზარმაზარ კოლონიებს (თორმეტმილიონნახევარი კვადრატული კილომეტრი 69 მილიონი მოსახლეობით). ფრანგები სამართლიანად ამაყობდნენ ე. წ. „მაჟინოს ხაზით“. ხალხიც მზად იყო ჰიტლერელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ამას მოუწოდებდა მათ სახალხო ფრონტიც. საფრანგეთის მთავრობა კი იცავდა ლოზუნგს: „ჯობს ჰიტლერი, ვიდრე სახალხო ფრონტი“. მათ აკვიატებული ჰქონდათ აზრი: თუ ჰიტლერი დამარცხდა, რევოლუცია გაიმარჯვებს ევროპაშიო. ამ თვალსაზრისს იცავდნენ მთავრობის მეთაურები და მინისტრები, გენერლები და ადმირალები: ლავალი, ფლანდენი, ბონე, შოტანი, მონზი, ლაკლანი, ვეიგანი, პეტენი და სხვ.

გენერალმა ვეიგანმა პირდაპირ განაცხადა:

— საფრანგეთის ამოცანაა, ყოველგვარ დათმობაზე წავიდეს გერმანია-იტალიისადმი და მათი ექსპანსიური ძალა მიმართოს აღმოსავლეთისაკენ...

...ბერლინი — რომი — ტოკიოს ღერძი შეუჩერებლივ ტრიალებდა. იაპონია შეიჭრა ცენტრალურ ჩინეთში, იტალიამ დაიპყრო ეთიოპია და ალბანეთი, გერმანიამ — ავსტრია, ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი. ჰიტლერმა და მუსოლინიმ განახორციელეს ექსპანსია რესპუბლიკური ესპანეთის მიმართ. ლონდონსა და პარიზში კი ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიის წინასაფეხურად მიაჩნდათ და თვითონაც სალაშქროდ ემზადებოდნენ.

მე მოგახსენეთ იმაზე, რომ საფრანგეთი და ინგლისი სწორედ მაშინ გეგმავდნენ თურქეთ-ირანიდან კავკასიაში შემოჭრას. თურქეთსაც მოუნდა სხვის ჯამში ხელის ჩაყოფა და ურთიერთდახმარების პაქტი დადო ინგლის-საფრანგეთთან, შეიპირა კიდეც ისინი სამხედრო დახმარებაზე და შეწყვიტა

სამშვიდობო ძოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან. ვეიგანი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ანკარაში და გამელენთან ერთად მოაწყო სამხედრო მტაპების თათბირი „შესაძლო ჰიპოთეზათა გასარჩევად“. ასეთსავე მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდნენ ირანსა და ერაყში.

საფრანგეთმა ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში დიდძალი სამხედრო საჭურველი გაგზავნა „დიპლომატიურ მოლაპარაკებათა ეფექტურობის გასაძლიერებლად“, თვით საფრანგეთში კი მეტად მცირე რაოდენობით დარჩა (მაგალითად, ტანკების 18 პროცენტი). ამიტომ იყო, რომ, როცა გერმანელთა ძლიერი მოტომექანიზებული ძალები საფრანგეთში შეიჭრნენ, წინ მხოლოდ 90 ტანკი დახვდათ.

ინგლისელებს არ მოეწონათ ფრანგების ასეთი აქტივობა და თვითონაც ჩაერივნენ ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის საქმეებში. ამან ინტერესთა შეტაკება გამოიწვია, რითაც ჩაიშალა თურქეთისა და ბალკანეთის ქვეყნების ბლოკი.

ჩრდილოეთში კი ინგლისმა და საფრანგეთმა მოახერხეს ფინეთის ჩაბმა პროვოკაციულ ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მერე გერმანია და იტალიაც ჩაერივნენ ფინეთის საქმეში. ამან, ერთი მხრივ, გერმანია-იტალიისა და, მეორე მხრივ, ინგლის-საფრანგეთის შუღლი გაამწვავა. ყველა ცდილობდა ისე დაეპყრო საბჭოთა კავშირის ტერიტორიები, რომ „ნადავლის განაწილებაში“ არავინ შედავებოდა.

ასე გადაეხლართა ერთმანეთს ევროპის ოთხი იმპერიალისტური სახელმწიფოს ინტერესები და... „მამლები წაიკიდნენ“. ინგლისს ეშინოდა, ბალკანეთში საფრანგეთმა ფეხი არ მოიკიდოსო, საფრანგეთი კავკასიას „ინახავდა თავისთვის“, იტალია ნაწყენი იყო, ავსტრია და ჩეხოსლოვაკია რომ პირწმინდად გამოაცალა გერმანიამ, ეს უკანასკნელი კი ყველაფერს თავისკენ მიითლიდა. ოთხივე სახელმწიფოს აერთიანებდა ლოზუნგი: „კომუნიზმი — აი, ჩვენი პირველი მტერი“. ამიტომაც აქეზებდნენ ერთმანეთს „ზომიერად“, რომ „სხვას“ არ დაეჭირა გაბატონებული მდგომარეობა ევროპაში... საქმე ის იყო, ვინ ვის დაასწრებდა: გერმანია-იტალია, თუ ინგლის-საფრანგეთი...

ეს „მარათონი“ პოლონეთის კრიზისის შემდეგაც არ შეწყვეტილა. წინ საბჭოთა კავშირის „ვრცელი და მიმზიდველი“

ტერიტორიები იდო: უკრაინის ხორბალი, დონბასის მადნეული, კავკასიის ნავთი...

...1940 წლის 15 იანვარს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ატყობინებდა შეერთებული შტატების მთავრობას (რომელსაც თავისი საკუთარი ინტერესები ჰქონდა), რომ „საფრანგეთმა წინადადება მისცა ინგლისს გაეგზავნათ სამხედრო ფლოტი შავ ზღვაში ბათუმის დასაპყრობად და დაებომბათ ბაქო". ამასთანავე საფრანგეთის ვაშინგტონელმა ელჩმა ლეჟემ განუმარტა ბულიტს, რომ „არ გაწყვეტენ დიპლომატიურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და არც ომს გამოუცხადებენ მას, მაგრამ პირველი შესაძლებლობისთანავე მოსპობენ ზარბაზნებით".

ოთხი დღის შემდეგ ფრანგმა გენერალმა გამელენმა და ადმირალმა დარლანმა მიიღეს დავალება შეესწავლათ შავ ზღვაში ინგლის-საფრანგეთის წყალქვეშა ნავების გაგზავნის საკითხი. „უფრო მეომრულად განწყობილმა" გენერალმა და ადმირალმა კი მოითხოვეს კავკასიის დაბომბვა თურქეთის, ირანის, სირიისა და ერაყის აეროდრომებიდან.

ამასობაში საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ფინეთის ფრონტზე. ისევ წამოიჭრა დილემა — საიდან განეხორციელებინათ აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ: სკანდინავიის ქვეყნებიდან, ბალკანეთიდან, თუ ახლო აღმოსავლეთიდან. გამელენმა განაცხადა:

— მტკიცედ უნდა განვახორციელოთ ჩვენი გეგმები სკანდინავიაში. ყოველ შემთხვევაში, ხელთ ვიგდოთ შვეციის რკინის მადნეული და ნორვეგიის ნავსადგურები, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელია ბალკანეთი და კავკასია...

12 მარტს იგივე გამელენი სწერდა დალადიეს, რომ ოპერაციები ბათუმისა და ბაქოს წინააღმდეგ იქნებოდა „ბედნიერი დამატება იმ ღონისძიებებისა, რომლებიც სკანდინავიაში უნდა განხორციელებულიყო".

დალადიემ მიიღო გამელენის მოსაზრებანი და სათანადო ინსტრუქციები გაუგზავნა ვეიგანს ანკარაში. საჭირო იყო თურქეთის მთავრობას ნება დაერთო საფრანგეთისათვის გაეტა-

რებინა თვითმფრინავები საბჭოთა კავშირის დასაბომბავად. თურქეთმა ამის თანხმობა მისცა დალადიეს და თვითონაც მოემზადა „ბადის სასროლად". გამელენი სწერდა ვეიგანს, რომ ამ ოპერაციების სარდლობა უნდა მიენდოს თურქეთს, რადგან შეტევა უმთავრესად მათი ძალებით განხორციელდება ინგლის-საფრანგეთის ავიაციისა და, შესაძლებელია, ჯარის სპეციალური ნაწილების დახმარებით. ამას მოჰყვა ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის საერთო შეთანხმება. ახლა მხოლოდ საბაბის მოძებნა იყო საჭირო. ეს პროვოკაციული მისია საფრანგეთმა იკისრა. პოლიციამ დაარბია საბჭოთა კავშირის საკავშირო წარმომადგენლობა პარიზში, მუშაობის აუტანელი პირობები შეუქმნა საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებს და სხვ. საბჭოთა მთავრობამ მტკიცე პროტესტი განაცხადა ამის გამო, მაგრამ პროვოკაციები მაინც არ შეწყვეტილა. პირიქით, ინგლისმა და საფრანგეთმა თავიანთი ელჩები გაიწვიეს მოსკოვიდან და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის თარიღიც დაეზუსტეს.

ადვილი მისახვედრია, თუ რა განუზომლად დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირისათვის ასეთ სიტუაციაში თავდაუსხმელობის პაქტის დადებას გერმანიასთან. ამან ჩაშალა დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების მოსალოდნელი ბლოკი ჩვენ წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირმა დრო მოიგო და თავისი საზღვრებიც მნიშვნელოვნად გადასწია დასავლეთისაკენ. კონცენტრირებული შეტევით ჩვენმა არმიამ გაარღვია ე. წ. „მანერჰაიმის ხაზი" ფინეთის ფრონტზე. ფინეთის მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკება ზავის შესახებ. ინგლისი და საფრანგეთი კი მაინც აძალებდნენ ფინელებს: განაგრძეთ ომი და, რასაც მოითხოვთ, ყველაფრით დაგეხმარებითო. მიუხედავად ამისა, 12 მარტს საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. ამან შეაფერხა ინგლისელებისა და ფრანგების გაერთიანებული ოპერაცია კავკასიაში.

აქამდე საფრანგეთსა და გერმანიას შორის თითქოს „კეთილმეზობლური დამოკიდებულება" იყო. ორივე მხარე გარეგნულად მაინც იცავდა ძველ ფრანგულ შეგონებას: „როცა სახლი გეწვის, მეზობლებთან ჩხუბი არ ღირსო". თუმცაღა

ამ დროს გერმანიაში უკვე მზადდებოდა საბჭოთა კავშირზე „სეპარატული თავდასხმის“ გეგმა, აქაოდა, ვინ იცის, იქნებ დაგვჭირდესო. ჰიტლერელები თავიანთი დასავლეთელი მეზობლებისთვისაც ლესავდნენ დანას... ფრანგები კი „გერმანელ არესთან“ ეძებდნენ კავშირს „ანტიბოლშევიკური ჯვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად“. ნადავლსაც წინასწარ ინაწილებდნენ: ინგლისს მიეკუთვნებოდა თურქესტანი, ირანისა და თურქეთის საზღვრები კასპიის ზღვამდე გაიწევდა, გერმანია დაიპყრობდა უკრაინას, იტალია კი მონაწილეობას მიიღებდა კავკასიის ნავთობის ექსპლოატაციაში.

გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი საიდუმლო მოლაპარაკებასაც აწარმოებდნენ ამის თაობაზე. ამერიკასაც სთხოვეს შუამავლობა. განსაკუთრებით აქტიურობდა გერინგი. იგი თავის ნაცნობობას იყენებდა ნორვეგიაში და ამ გზით უკავშირდებოდა ინგლისელებსა და ამერიკელებს. ორივე მხარე საკუთარ პირობებს ადგენდა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ინგლისელები ჰიტლერის დაპირებებს არ ენდობოდნენ. ლორდმა ჰალიფაქსმა უთხრა უოლესს:

— ევროპაში შეუძლებელია ხანგრძლივი მშვიდობა, ვიდრე გერმანიაში გაბატონებულია ნაცისტური რეჟიმი.

ნევილ ჩემბერლენმა ეს აზრი უფრო გარკვევით გამოთქვა:

— ინგლისის ვერც ერთი მთავრობა ვერ მოიპოვებს ხალხის მხარდაჭერას, თუკი ის რამე მოლაპარაკებას დაიწყებს ჰიტლერელებთან.

ასეთი მოლაპარაკების საფუძვლად მას მაინც პოლონეთის როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა და ჩეხოსლოვაკიის ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანა მიაჩნდა. შეიძლება ჰიტლერი დაპირებოდა კიდეც ამას ინგლისელებს, მაგრამ რა ფასი ჰქონდა, როცა ყველამ იცოდა, რომ ეს მხოლოდ დაპირება იქნებოდა...

...ჰიტლერი რომ ასეთ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, სწორედ ამ დროს (1940 წლის 24 თებერვალი) დამტკიცდა საფრანგეთში გერმანიის ჯარების შეჭრის გეგმაც. ხუთი დღის შემდეგ კი მან ინსტრუქცია მისცა თავის დიპლომატებს, რომ ამერიკის წარმომადგენლის უოლესის ვიზიტის დროს არავითარ

შეთანხმებაზე არ ჩამოეგდოთ ლაპარაკი, რათა ეგრძნობინებინათ მისთვის, „რომ გერმანიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სრული გამარჯვებით დაამთავროს ეს ომი“.

პირველ მარტს უოლესი ბერლინში ჩაფრინდა. ზავის პირობად ჰიტლერმა მოითხოვა კოლონიების დაბრუნება, ავრეთვე აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის დატოვება „გერმანიის გავლენის სფეროში“.

ამან უოლესი გააღიზიანა, უფრო მეტად კი — იმან, რომ არც ჰიტლერმა და არც რიბენტროპმა კრინტიც არ დაძრეს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესახებ, რაც ყველაზე უფრო უნდოდათ საფრანგეთსა და ინგლის-ამერიკას. ამის შემდეგ რაღა აზრი ჰქონდა მოლაპარაკების გაგრძელებას.

ბერლინიდან ხელცარიელად დაბრუნებული უოლესი 10 მარტს ეთათბირა ინგლისის მთავრობას. იმავე დღეს რიბენტროპი რომში ჩაფრინდა და მუსოლინის გააცნო ჰიტლერის გადაწყვეტილება — „ძიმდინარე წელსვე დაიწყოს საომარი ოპერაციები საფრანგეთისა და ინგლისის წინააღმდეგ“.

მუსოლინიმაც აღუთქვა მხარდაჭერა, რაც ჩიანომ აცნობა უოლესს, რომელიც დაუყოვნებლივ დაბრუნდა ლონდონში იმ რწმენით, რომ ჰიტლერთან ზავი შეუძლებელია...

...ილია ამბობს, „ჭკუას ღონით უნდა მორთვაო“. საფრანგეთის მაშინდელ მთავრობას არც ერთი აღმოჩნდა, არც მეორე და გერმანიასთან დიდი ომის უშუალო საფრთხის წინაშე დადგა. საჭირო იყო მხოლოდ ვადის დანიშვნა, რაც ჰიტლერისა და მუსოლინის უშუალო გადაწყვეტილებით უნდა მომხდარიყო... მაგრამ ვინ უნდა ხლებოდა ვის: ფიუერერი დუჩეს, თუ დუჩე ფიუერერს? ბრენერის უღელტეხილზე, გერმანია-იტალიის საზღვარზე, თეთრი ხაზი იქნა გავლებული. ჰიტლერი და მუსოლინი ამ ხაზზე შეხვდნენ ერთმანეთს.

— გერმანია იწყებს ომს. საფრანგეთი ელვის სისწრაფით განადგურდება. როგორი იქნება თქვენი პოზიცია, დუჩე? — ჰკითხა კოლეგას ჰიტლერმა.

— იტალიის მონაწილეობა ამ ომში აუცილებელია! — მიუგო მუსოლინიმ, მაგრამ, „ცოტა უფრო გვიანო“, დაუმატა. მას უნდოდა საფრანგეთისათვის ომი მაშინ გამოეცხადებინა,

„როცა გადამწყვეტი მომენტი დადგებოდა და იტალიის მონაწილეობა რეალურ შედეგს გამოიღებდა“.

ჰიტლერი ამის წინააღმდეგი არ წასულა...

მგლისა და ძრავის ამბავი...

საფრანგეთი თითქოს ვერც გრძნობდა, ბერლინში სწორედ მისთვის რომ ლესავდნენ დანას, და ისევ კავკასიაში შეჭრის გეგმებს ამუშავებდა. კაპიტულანტები გერმანიასთან მეგობრობასაც კი მოითხოვდნენ. დალადიეს მთავრობა მერყეობდა. 20 მარტს, პარლამენტში გამართული ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, იგი იძულებული გახდა გადამდგარიყო. მთავრობის მეთაურად დაინიშნა პოლ რეინო. დაიწყო დაუსრულებელი თათბირები პარლამენტში... მემარჯვენე დეპუტატები „კომუნისტების გასრესას“, გერმანიასთან ზავსა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს მოითხოვდნენ... საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინ, როცა გერმანული დივიზიები პოზიციებს იკავებდნენ საფრანგეთის საზღვრებზე, სულ რაღაც ერთი კვირის წინ დანიშნული პრემიერი რეინო გამელენთან ერთად არჩევდა საკითხს „შავი ზღვის ბლოკადისა და კავკასიის ნავთობის დაპყრობის პერსპექტივების“ შესახებ. ამასთან ერთად რეინომ გააძლიერა ანტისაბჭოთა პროპაგანდა და 26 მარტს მოსთხოვა საბჭოთა ელჩს დაეტოვებინა პარიზი. სამხედრო ფლოტმა დააკავა საბჭოთა გემები „სელენგა“ და „მაიაკოვსკი“.

3 აპრილს საფრანგეთის მთავრობა ისევ ვეიგანის ანგარიშს ისმენდა კავკასიაში შეჭრისათვის მზადყოფნის შესახებ. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება — „განეგრძოთ და უახლოეს პერიოდში დაემთავრებინათ რუსეთის ნავთობის წინააღმდეგ ომის მომზადება“.

ვეიგანი წერს, მინისტრები ისე იოლად ლაყბობდნენ ამაზე, რომ მე განცვიფრებული დავრჩიო.

ამის შემდეგ ინგლისმა და საფრანგეთმა ჯარის ნაწილები გაგზავნეს სკანდინავიის ქვეყნებში, რამაც საბაბი მისცა გერმანიას დაეწყო საომარი ოპერაციები ნეიტრალური დანიისა და ნორვეგიის წინააღმდეგ. ჰიტლერმა ადრევე განაცხადა, რომ

„ნეიტრალიტეტის გამოცხადება უგულებელყოფილ უნდა იქნესო“, და დაიწყო მგლისა და კრავის ამბავი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიასა და დანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტი იყო დადებული, მოსახდენი მაინც მოხდა“...

...9 აპრილს დილის ოთხ საათზე, როცა კოპენჰაგენი ჯერ კიდევ ღამის სიბნელეში იყო გახვეული, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის ბინაში დარეკეს გერმანიის მისიიდან და შეატყობინეს, რომ ფრიად საჩქარო საქმეზე უნდა შეხვდნენო მინისტრს. ოცი წუთის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრს თავის კერძო რეზიდენციაში მიადგა გერმანიის დესპანი და განუცხადა:

— ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ ინგლისი აპირებს დაიპყროს დანიისა და ნორვეგიის სამხედრო ბაზები. ამის გამო გერმანიამ გადაწყვიტა დაიცვას დანია ამ აგრესიისაგან(!) გერმანიის ჯარის ნაწილები უკვე შემოდიან დანიის ტერიტორიაზე, ხოლო საზღვაო დესანტები — კოპენჰაგენის ნავსადგურში, მალე ქალაქის თავზეც გამოჩნდებიან ჩვენი თვითმფრინავები. მათ ჯერ არა აქვთ მიცემული ბრძანება ყუმბარები ჩამოყარონ. ეს თქვენზეა დამოკიდებული: თუ წინააღმდეგობას არ გასწევთ, ყველაფერი უმტკივნეულოდ (!) მოგვარდება, არადა შეიძლება საშინელი ამბები დატრიალდეს...

— ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს ინგლისის აგრესიის შესახებ! — თქვა მინისტრმა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა: შორიდან უკვე მოისმოდა მოახლოებული თვითმფრინავების გუგუნი.

მეფესა და პრემიერ-მინისტრს ჯერ კიდევ ეძინათ. ვიდრე ისინი გაიღვიძებდნენ და ამ საშინელ ამბავს გაიგებდნენ, „ომი“ სინამდვილეში უკვე დამთავრებული იყო...

...ნორვეგიაში უფრო მეტი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელებს, მაგრამ საქმე იქაც „სისხლის მცირე გამოშვებით“ დამთავრდა.

რამდენიმე დღის შემდეგ იგივე ბედი ეწიათ ბელგიასა და ჰოლანდიას. გერმანიის ელჩი გვიან ღამით „ესტუმრა“ ბელ-

გიის საგარეო საქმეთა მინისტრ სპაააკსაც. რომელიც უკვე საწერ მაგიდასთან იჯდა, მაგრამ თქმა კი ვერაფრისა მოასწრო, რომ ელჩმა ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და ნოტის წარდგენას შეუდგა.

ამგვარი უტიფრობით აღშფოთებულმა მინისტრმა წარმოთქვა:

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო ელჩო, ჯერ ვიტყვი მე! — და თვითონ წაუკითხა სახელდახელოდ შედგენილი ტექსტი:

— ეს-ეს არის გერმანიის არმია თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას. ოცდახუთი წლის მანძილზე ეს მეორედაა, რაც გერმანიამ განახორციელა დანაშაულებრივი აგრესია ნეიტრალური და ლოიალური ბელგიის მიმართ. ის, რაც ახლა ხდება, ვფიქრობ, უფრო საზიზღარია, ვიდრე 1914 წლის თავდასხმა. არავითარი ნოტა, არაკითარი ულტიმატუმი, არავითარი პროტესტი არ მიუღია თქვენგან ბელგიის მთავრობას. მხოლოდ თავდასხმის შემდეგ გავიგეთ, რომ გერმანიამ დაარღვია 1937 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულება, რაც ორივე ქვეყნის თანხმობით იყო დადებული. ამ აგრესიას არავითარი გამართლება არა აქვს. იგი ღრმად აღაშფოთებს მთელი მსოფლიოს შეგნებას, ხოლო ისტორია პასუხისმგებლობას დააკისრებს გერმანიას. ბელგია აღსავსეა გადაწყვეტილებით დაიცვას თავისი თავი. ჩვენი საქმე სამართლიანია და არ შეიძლება იგი წაგებულ იქნეს!..

ტყუილად იქაჩებოდა მინისტრი. ელჩმა გაყინული სახით ჩაიკითხა ტრაფარეტული ნოტა, რომ გერმანია იძულებულია დაიცვას (!) ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ნეიტრალიტეტი... თუ ბელგია წინააღმდეგობას გაუწევს... და სხვა მისთანანი.

აბა, ბელგიას რა წინააღმდეგობის თავი ჰქონდა, ან ჰოლანდიასა და ლუქსემბურგს! საქმე აქაც „უმტკივნეულოდ მოგვარდა“ და...

გერმანიამ ხუთივე სახელმწიფო ისე გადაყლაპა, რომ არც დაუხველებია...

... ყოველივე ეს წინასწარ იყო მომზადებული და გაანგარიშებული. ნიურნბერგში ამერიკელ ბრალმდებელ ჯექსონ-

სა და უკვე „ჰეუაზე მოაულ" შახტს შორის ასეთი დიალოგიც გაიმართა:

ჯ ე კ ს ო ნ ი: თქვენ წინასწარ იცოდით პოლონეთზე თავდასხმის შესახებ, არა?

შ ა ხ ტ ი: დიახ!

ჯ ე კ ს ო ნ ი: როგორც აგრესიის აშკარა ფაქტი ჰიტლერის მხრივ, ხომ?

შ ა ხ ტ ი: აბსოლუტურად!

ჯ ე კ ს ო ნ ი: ასევე იყო ლუქსემბურგში შეჭრის დროს, არა?

შ ა ხ ტ ი: აბსოლუტურად!

ჯ ე კ ს ო ნ ი: ჰოლანდიაში?

შ ა ხ ტ ი: აბსოლუტურად!

ჯ ე კ ს ო ნ ი: დანიაში?

შ ა ხ ტ ი: აბსოლუტურად!

ჯ ე კ ს ო ნ ი: ნორვეგიაში?

შ ა ხ ტ ი: აბსოლუტურად!

ჯ ე კ ს ო ნ ი: იუგოსლავიაში?

შ ა ხ ტ ი: აბსოლუტურად!

ჯ ე კ ს ო ნ ი: რუსეთში?

შ ა ხ ტ ი: აბსოლუტურად! თქვენ გამოგრჩათ ბელგია. — შეახსენა შახტმა ჯეკსონს.

ჯ ე კ ს ო ნ ი: ეს კურსი იყო აგრესიის კურსი, არა?

შ ა ხ ტ ი: აბსოლუტურად. წყეულიმც იყოს იგი!..

...ჰიტლერი პოლიტიკური აჟიოტაჟის ოსტატი იყო. იგი ისეთ ხმაურს ქმნიდა ამ „გამარჯვებებით", რომ ზოგიერთი სახელმწიფო უომრადაც ყრიდა იარაღს და თავს ყოფდა მის უღელში.

საფრანგეთი კი ყოველივე ამას გულხელდაკრეფილი შეჰყურებდა. მეტიც, რეინო მხარს უჭერდა გამელენის ტაქტიკას: „რაც უფრო შემომტევ ომს აწარმოებს გერმანია, მით უკეთესია ჩვენთვის". რატომო, რომ ჰკითხეს, ასე უპასუხა:

— ვინც თავს იცავს, იმას ნაკლები ძალა სჭირდება, ვიდრე იმას, ვინც უტევს...

ამავე „ტაქტიკის“ მიხედვით ფრანგები თურმე თვითონ იყვნენ დაინტერესებულნი გერმანიის ჯარების ჰოლანდიასა და ბელგიაში შეჭრით... გერმანელებმა „აუსრულეს მათ ეს სურვილი“ და ერთი ხელის დაკვრით დაიპყრეს ორივე ეს ქვეყანა. რეინო კი კვლავ თავისებურად ორატორობდა პარლამენტის სხდომაზე:

— ჩვენი ამოცანა ის არის, რომ შევქმნათ დამატებითი ფრონტები, სადაც გერმანელთა წინააღმდეგ იბრძოლებენ სხვა ხალხები და არა ჩვენ...

ამის გამო საფრანგეთის მთავრობამ მხოლოდ ერთი დივიზია(!) გაგზავნა ნორვეგიის ფრონტზე, თვითონ კი ისევ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამზადებდა ომს.

შეიძლება გეგონოთ, რომ ეს ხუმრობაა. არა, ნამდვილად ასე იყო! გერმანელებმა რომ დესანტები გადასხეს ნორვეგიაში... სამი დღის შემდეგ, 12 აპრილს, საფრანგეთის მთავრობის სპეციალურ სხდომაზე ისევ ვეიგანის მოხსენებას განიხილავდნენ „საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის მზადყოფნის შესახებ“. პარლამენტის არც ერთ წევრს ხმა არ გაუღია ამ გეგმის წინააღმდეგ. პირიქით, რეინომ მოითხოვა, რომ ოპერაციები კავკასიაში თხუთმეტი დღის შემდეგ დაწყებულიყო, მაშინ როდესაც ვეიგანი აცხადებდა, კიდევ სამი თვე გვინდა მოსამზადებლადო.

ხუთი დღის შემდეგ, 17 აპრილს, რეინომ ისევ შეკრიბა მთავრობის წევრები და ვადის შემცირება მოითხოვა: ივნისის დასასრულს ან ივლისის დასაწყისშიო. 23 აპრილს საფრანგეთის მთავრობა ისევ ამ საკითხს არჩევდა, მერეც, მაისის დასაწყისში. ავიაციის მაშინდელი მინისტრი ლორან-ეინსკი წერს თავის მემუარებში:

— ვეიგანმა ისევ გააკეთა მოხსენება კავკასიაზე თავდასხმის შესახებ. მისმა მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთავრობის წევრებზე. განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყო ბატონი რეინო. ვეიგანმა მეტად ნათლად და გაანგარიშებულად დაახასიათა საქმის ვითარება კავკასიაში.

ვეიგანი მოითხოვდა, რომ „მის ფრონტზე“ ავიაცია გაეგზავნათ, ხოლო სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალი ჟონო ამბობდა:

— თქვენ მაინც არ აპირებთ ომს დასავლეთში. ომი იქნება კავკასიაში, მაშ მოგვეცით საშუალება...

პარლამენტშიც ასეთი განწყობილება იყო. რეინოს განცხადებას, კავკასიაში შეჭრისათვის ყველაფერი მზადაა, მემარჯვენე დეპუტატები ოვაციით შეხვდნენ... თუმცა არა მარტო მემარჯვენენი... მხოლოდ ერთი დეპუტატი, რეტორე, წამოდგა და განაცხადა, რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობა საეალალოდ დამთავრდა სამი უდიდესი მხედართმთავრისთვისო... და ახსენა კარლოს XII, ფრიდრიხ II და ნაპოლეონ I. მისი ხმა აღშფოთებულმა დეპუტატებმა ჩაახშვეს.

მხოლოდ კომუნისტები და მათთან დაახლოებული მემარცხენე ძალები მოითხოვდნენ აქტიურ ბრძოლას გერმანელთა წინააღმდეგ...

— ჩვენ არ გვინდა ვიყოთ არც მონები ჰიტლერისა, არც ვასალები ჩემბერლენისა და არც მსახურნი მუსოლინისა. ჩვენ გვინდა ვიყოთ ფრანგები, ბატონ-პატრონნი ჩვენი ცხოვრებისა, — აცხადებდნენ რეპრესირებული კომუნისტი დეპუტატები სასამართლო პროცესზე. ფრანგი ხალხიც მხარს უჭერდა მათ. ეს დაამტკიცა წინააღმდეგობის მძლავრმა მოძრაობამ, რაც საფრანგეთში გაიშალა...

მთავრობა კი ჯარებს ახლო აღმოსავლეთში გზავნიდა... ირანში, თურქეთში, სირიაში...

განა სირია გერმანიას ესაზღვრება? — კითხულობდა ირონიულად კომუნისტი დეპუტატი და თვითვე იძლეოდა პასუხს: — რა ოქმა უნდა, არა, მაგრამ ის არც ისე შორსაა კავკასიის საზღვრებიდან...

ᲘᲥᲡᲘ ᲓᲐ ᲘᲑᲠᲔᲙᲘ...

ივნისის ბოლოს საფრანგეთს უნდა დაეწყო „დიდი ლაშქრობა კავკასიაში ბაქოდან ბათუმამდე". 9 მაისს კი ჰიტლერმა „საფრანგეთის მოსასპობად გამზადებულ ბრძანებაში ჩასვა დაზუსტებული რიცხვები: დღე x — 20 მაისი, დრო y — 5 საათი და 35 წუთი".

რამდენიმე დღეში გერმანელებმა გაარღვიეს ფრანგების

ფლოსტი სედანთან და აკის ბოლოს გარს შემოერტყნენ ინგლისისა და საფრანგეთის ოთხასათასიან არმიას დიუნკერკში. ჰიტლერს შეეძლო დაუყოვნებლივ მოესპო ეს ჯგუფი ისე, რომ არ მიეცა ევაკუაციის საშუალება, მაგრამ სხვარიგად მოიქცა: მან ზედ დიუნკერკთან შეაჩერა თავისი ჯარების წინსვლა. სამხედრო სპეციალისტები და ისტორიკოსები ამას იმით ხსნიან, რომ ჰიტლერს არ უნდოდა ამ ჯგუფის მოსპობა, რადგან ეს ხელს შეუშლიდა კაპიტულანტების მიერ ძალაუფლების აღებას საფრანგეთში და ინგლის-საფრანგეთთან სეპარატული ზავის დადების შესაძლებლობას.

პარიზში ერთი ორომტრიალი ატყდა. ოპერაციის დაწყების მეხუთე დღეს მთავრობა უკვე გასაქცევად ემზადებოდა სამხრეთში ან... ჩრდილოეთ აფრიკაში. რეინო სულ ტელეფონზე ეკიდა და ჩერჩილს ატყობინებდა:

— დაგვანგრიეს!.. ომი წავაგეთ!..

— გუშინ საღამოს ჩვენ საბოლოოდ დავმარცხდით... პარიზისაკენ მომავალი გზა გახსნილია...

— გამოგზავნეთ თვითმფრინავები და ჯარები!..

— ერთი დღის შემდეგ გერმანელები შემოვლენ პარიზში!..

16 მაისს უფრო „მაგარნერვებიანი“ ჩერჩილი თვითონ ჩაფრინდა პარიზში, სადაც ყოველ წუთს მოელოდნენ გერმანელთა შემოჭრას. პარლამენტის წევრები გარბოდნენ... სამინისტროებში წვავდნენ საიდუმლო დოკუმენტებს.

სრულიად დაბნეულმა რეინომ, დალადიემ და გამელენმა აუხსნეს ჩერჩილს მდგომარეობა. თვითონ ჩერჩილი წერს, მათ საბეზე სრული სასოწარკვეთა იყო აღბეჭდილიო.

ინგლისის პრემიერმა ვერ აიძულა საფრანგეთის მთავრობა, რომ მიეღოთ დაცვის ზომები და კონტრიერიშზე გადასულიყვნენ...

— მე და ჩემი მხლებელნი შეძრწუნებული ვიყავით იმით, რომ მთავრობა და მთავარსარდალი გაიძახოდნენ, ყველაფერი დაკარგულიაო, — წერს ჩერჩილი.

მეორე დღეს იგი დაბრუნდა ლონდონში და მიიღო საიდუმლო გადაწყვეტილება საექსპედიციო კორპუსის ევაკუაციის შესახებ. გადაწყვეტილებას ინგლისელები უმალავდნენ თავიანთ ფრანგ მოკავშირეებს... იმათ კი ჯერ კიდევ რაღაც იმედი

ჰქონდათ ინგლისელებისა და 23 მაისისათვის სამხრეთით კონტრიერიშისთვისაც ემზადებოდნენ. 22 მაისს ჩერჩილი ისევ შეხვდა საფრანგეთის მთავრობის წევრებს და მოუწონა გაერთიანებული ძალებით კონტრშეტევის დაწყების გეგმა. მეორე დღეს ფრანგებმა მართლაც მიიტანეს იერიში გერმანელთა პოზიციებზე. ინგლისელებმა კი ნაცვლად იმისა, რომ პირობისამებრ თვითონაც მიეღოთ მონაწილეობა ამ ოპერაციაში, ისარგებლეს მომენტით, მიატოვეს თავიანთი პოზიციები და, როგორც ჩერჩილი წერს, „საოცარი სისწრაფით" დაიხიეს დიუნკერკისაკენ...

...კონტრშეტევა ჩაიშალა... ფრანგები მხოლოდ საარიერგარდო ბრძოლებს ეწეოდნენ. ინგლისელები კი ადმირალიტეტის მიერ წინასწარ გამზადებულ გემებში სხდებოდნენ და სამშობლოში ბრუნდებოდნენ. როცა დამარცხებული საფრანგეთის უკუქცეული ჯარის ნაწილები 29 მაისს დიუნკერკში შევიდნენ, ინგლისელებმა მათ უარი უთხრეს ევაკუაციაზე. საფრანგეთის მთავრობის „ენერგიულმა პროტესტმა" თითქოს ცოტათი მაინც გაჭრა და მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა თავიანთი ჯარების ევაკუაცია დაამთავრეს, ფრანგების მცირე ნაწილიც გადაიყვანეს ლამანშზე... ძირითადი ძალები კი ტყვედ ჩაუგდეს გერმანელებს...

ამ სამარცხვინო გაქცევას ჩერჩილმა „ინგლისის სამხედრო ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი" უწოდა...

დანარჩენი უკვე თავისთავად მოხდა... გერმანელები შევიდნენ პარიზში... გათამაშდა კომპიენის ტყის კომედია... შედგა პეტენის მთავრობა და ევროპის ისტორიაში „მიუნხენის" სამარცხვინო ლაქის გვერდით გაჩნდა ახალი, უფრო შემაძრწუნებელი: „ვიში"...

აქეთ გორასა...

ჰიტლერს ამჯერადაც გაუმართლა: იმ „ბარტყებს" მან „ჩიორა" საფრანგეთიც ზედ მიაყოლა და დაიქადა ინგლისსაც „ყლაპს ვუზამო", მაგრამ...

ერთხელაც იქნება და მელას საქათმეში დაათენდებაო. ევ-

როპაში იოლი გამარჯვებებით გათამამებულმა ჰიტლერმა „აქეთ გორას“ კი ჰკრა წიხლი, მაგრამ „იქეთ გორას“ მაინც ვერ უქნა ძვრა. ჩიორა ჩემბერლენი რომ ჩერჩილმა შეცვალა, „ჩიტო, ჩიტოს“ არაკიც ამით დასრულდა. ინგლისი არ ცნობს ჰიტლერის მიერ დაგეგმილ მსოფლიოსო, — შემოუთვალა „ზღვის ლომმა“ ლამანშთან პირდაღებულ „მელას“. თუმცა მელა რის მელაა, თუ ხერხს არ მიმართა. იქნებ ის „ზღვის ლომი“ შევაშინოო, იფიქრა მან და მუქარას უმატა.

— რაკი ინგლისმა, თავისი უნუგეშო სამხედრო მდგომარეობის მიუხედავად, ჩემთან მოლაპარაკების არავითარი სურვილი არ გამოამჟღავნა, გადავწყვიტე განვახორციელო სადესანტო ოპერაცია და მოვახდინო დიდი ბრიტანეთის კუნძულების ოკუპაცია...

ამ ოპერაციების ხელმძღვანელად მან ფელდმარშალი რუნდშტედტი, ხოლო გუნებაში უკვე „ოკუპირებული ინგლისის“ გაულაიტერად ერნსტ ვილჰელმ ბოლე დანიშნა. გერმანიიდან ლამანშის ნაპირებისაკენ მაშინ დიდძალი ლაშქარი იგზავნებოდა.

— ჩვენ მივდივართ ინგლისისაკენ!.. — გაჰყვიროდნენ ისინი გზადაგზა. ჰიტლერი კი „წინასწარმეტყველებდა“:

— მე მესმის, რომ ეს ბრძოლა ერთ-ერთი მეომარი მხარის სრული განადგურებით დამთავრდება. დაე, ჩერჩილს ეგონოს, რომ ეს იქნება გერმანია; მე კი ვიცი, რომ ეს იქნება ინგლისი.

როგორც ჩანს, ჰიტლერს მართლა ჰქონდა განზრახული კონტინენტური ევროპიდან ბრიტანეთის კუნძულებზე გაქცეულ ინგლისელებს დასდევნებოდა და სრუტე გადაელახა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. ზოგიერთი სამხედრო სპეციალისტი ახლაც წერს: ეს შეცდომა იყო, თორემ, გერმანელებს რომ მაშინ ინგლისის დაპყრობა მოენდომებინათ, კიდევაც შეძლებდნენო ამას. თუმცა ვინ იცის! ნათქვამია: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. მუქარამ და საჰაერო თავდასხმებმა ჰიტლერისათვის სასურველი შედეგები ვერ გამოიღო. ბრძოლის პირველ ეტაპზე ინგლისმა 277 თვითმფრინავი დაკარგა, გერმანიამ 1070; მეორე ეტაპზე ინგლისმა — 477, გერმანიამ 1371. ინგლისური „სპიტფაიერები“ და „ჰარიკეინები“ სჯობდა გერმანულ „მესერშმიდტებს“. ჰაერში „სამეფო ავიაცია“ ბატონობდა. ვერც

ზღვაზე მოიპოვეს გერმანელებმა უპირატესობა. ინგლისში შეჭრის ვადამ ორჯერ გადაიწია. მერე ჰიტლერმა განუცხადა რედერს, თუ ჩვენი თვითმფრინავები რვა დღეში ვერ მოსპობენ ინგლისის ავიაციასა და სანაპირო სიმაგრეებს, სადესანტო ოპერაციები მომავალ წლისთვის გადაიდებაო... „მომავალ“ 1941 წელს კი, როგორც მოგეხსენებათ, ჰიტლერი ნამდვილ ავანტიურაზე წავიდა და საბჭოთა კავშირს დაეტაკა. ეს საბედისწერო შეცდომა იყო. ჰიტლერს ხომ უნდა სცოდნოდა, რომ მოკავშირეთა სამხედრო პოტენციალი მნიშვნელოვნად სჭარბობდა ღერძის სახელმწიფოებისას. ომის წინ გერმანიის, იტალიისა და იაპონიის, აგრეთვე მათი სატელიტებისა და კოლონიების მოსახლეობის საერთო რაოდენობა 282 მილიონ 900 ათასს შეადგენდა, ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთისა კი — 806 მილიონ 900 ათასს (საბჭოთა კავშირის მოსახლეობის დამატებით — უკვე მილიარდზე მეტს). მოკავშირეთა მატერიალური რესურსებიც მნიშვნელოვნად სჭარბობდა გერმანიისა და მისი სატელიტებისას: ელექტროენერგია, თუჯი, ფოლადი, ქვანახშირი და სხვა სტრატეგიული ნედლეული — ორჯერ და კიდევ მეტადაც; ნავთობი და სინთეთიკური საწვავიც კი — 52-ჯერ.

ომის დასაწყისში, როცა გერმანელები აპირებდნენ დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე დესანტები გადაესხათ, არც სამხედრო შეიარაღების შეფარდებითი კოეფიციენტი მეტყველებდა მათ სასარგებლოდ. მართალია, გერმანიას მაშინ უფრო მეტი და უკეთესად შეიარაღებული სახმელეთო ჯარები ჰყავდა, მაგრამ სამხედრო-საზღვაო ფლოტი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა „ზღვათა მფლობელ იმპერიას“. 1939 წელს ინგლისელებს სხვადასხვა ტიპის 364 სამხედრო ხომალდი ჰყავდათ, სახაზო გემებით დაწყებული და მონიტორებით გათავებული, გერმანიას კი — მხოლოდ 132 ხომალდი. ეს განსხვავება კიდევ უფრო დიდი იყო მძიმე სამხედრო ხომალდების მხრივ: ინგლისის სამხედრო ფლოტში 15 სახაზო გემი და 7 ავიამზიდი ითელებოდა, გერმანიისაში კი — ორად ორი სახაზო გემი და არც ერთი ავიამზიდი; ინგლისელებს 64 მძიმე და მსუბუქი კრეისერი ჰყავდათ, გერმანელებს — 8; ინგლისელებს — 186 საესკადრო ნაღმოსანი, გერმანელებს — ორი. წყალქვეშა ნა-

ვების რაოდენობა კი თითქმის თანაბარი იყო: ინგლისს ჰყავდა 65, გერმანელებს — 57. დაახლოებით ასეთივე სურათი იყო საჰაერო ფლოტშიც. ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობას. ამან ბევრი გამოცდილი მხედართმთავარი ჩააგდო საგონებელში. მართალია, 1940 წლის ზაფხულში გერმანიამ დიდი გამარჯვებები მოიპოვა დასავლეთის ფრონტზე, მაგრამ არც ისე ადვილია გავცეთ პასუხი კითხვას: მიუახლოვდა გერმანია ამით თავის საბოლოო მიზანს, თუ კიდევ უფრო დაშორდა მას? ერთი შეხედვით, ასეთი კითხვა შეიძლება პარადოქსულად მოგვეჩვენოს, მაგრამ, თუ გერმანიის შეიარაღებული ძალების წინაშე დასახულ ამოცანებს გავითვალისწინებთ, არც საწინააღმდეგო დასკვნაა გამორიცხული. საქმე ის არის, რომ 1939 წლის 9 ოქტომბერს ჰიტლერმა ასე ჩამოაყალიბა დასავლეთის ფრონტზე ომის მიზნები:

— დასავლეთის საბოლოო სამხედრო შემუსვრა, ე. ი. დასავლეთის სახელმწიფოების ძალთა და შესაძლებლობათა იმ ზომამდე განადგურება, რომ მათ უკვე ვეღარ შეძლონ გერმანელი ხალხის სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციისა და შემდგომი განვითარების შეფერხება ევროპაში.

არც ჰიტლერის მოლოდინი გამართლდა, საფრანგეთის დაპყრობის შემდეგ ინგლისი თავისთავად გამოეთიშება ომსო. პირიქით, ინგლისს მხარში ამერიკა ამოუდგა და „დასავლეთის საბოლოო სამხედრო შემუსვრა“ ყოველი საღად მოაზროვნე გენერლისათვის მიუღწეველ ფანტაზიად იქცა. ამიტომ ისევ ის დილემა დადგა: ჯერ მთელი ძალები მიმართონ ინგლისის შესამუსრავად, რომ ამით ზურგი უზრუნველყონ აღმოსავლეთში ლაშქრობისათვის, თუ ინგლისს დროებით თავი დაანებონ და მთელი ძალით შეუტიონ საბჭოთა კავშირს.

პირველი ვარიანტის განხორციელება მოითხოვდა დიდ სადესანტო ოპერაციებს ბრიტანეთის კუნძულზე, გაბატონებას ხმელთაშუა ზღვაში, გიბრალტარის, ჩრდილოეთ აფრიკის, ეგვიპტის, ახლო და შუა აღმოსავლეთისა და ატლანტიკის კუნძულების დაპყრობას.

მეორე ვარიანტის განსახორციელებლად აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირის სწრაფი, ელვისებური განადგურება, ვიდ-

რე ინგლისი და ამერიკა თავიანთ უზარმაზარი სამხედრო პოტენციალს მოიყვანდნენ მოძრაობაში.

ჩვენში ამბობენ: აღმართი და დაღმართიო — არც ერთია წაღმართიო. ასეა. ერთიც ძნელი იყო და მეორეც. ამან გამოიწვია ყოყმანი, მერყეობა, აზრთა სხვადასხვაობა. მერყეობდა ჰიტლერიც: დასავლეთისაკენ გაელაშქრა, ეშინოდა, აღმოსავლეთიდან დამარტყამენ ზურგშიო; აღმოსავლეთისაკენ ექნა პირი, დასავლეთიდან მოელოდა დარტყმას. ორივე ფრონტზე კი თანაბარი ძალით ვერ იომებდა. იგი მიჩვეული იყო ევროპის სახელმწიფოთა თითო-თითოდ დაჩოქებას. ახლა კი რა უნდა ექნა?

გენერლები ბრაუხიჩი, ჰალდერი და ადმირალი რედერი პირველ ვარიანტს უჭერდნენ მხარს.

— ჩვენ ყოველნაირად უნდა ვეცადოთ გავაძლიეროთ შეტევა ინგლისის წინააღმდეგ და მოვიპოვოთ გამარჯვება, ვიდრე ამერიკა მოასწრებდეს ბრძოლაში ჩაბმას, — ჩააგონებდა რედერი ჰიტლერს.

სხვები, პირიქით, ეუბნებოდნენ ჯერ საბჭოთა კავშირი მოვსპოთო. უკანასკნელი სიტყვა ჰიტლერს ეკუთვნოდა.

— ეს ყველაზე მთავარი პრობლემა იყო, რაც მე უნდა გადამეწყვიტაო, — ამბობდა იგი.

ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ ნან აირჩია მეორე ვარიანტი: ჯერ — საბჭოთა კავშირი, შემდეგ — ინგლისი.

— თუ რუსეთს გავანდგურებთ, — ანგარიშობდა ჰიტლერი, — ინგლისს მოესპობა უკანასკნელი იმედი. მაშინ ევროპასა და ბალკანეთში გერმანია იბატონებს. აქედან დასკვნა: ამ გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოხდეს რუსეთის ლიკვიდაცია. ვადა — 1941 წლის გაზაფხული...

შემდეგ?

შემდეგ ისევ ინგლისი! ჯერ ეს, მერე ის!.. ასეთი იყო ჰიტლერის სტრატეგია. ნათქვამი რომ არის, „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამო“, სწორედ ისე: რამდენიმე კვირაში რუსეთის მოსპობა, მერე ინგლისის დაჩოქება და ა. შ. სანამდე? დედამიწის ყოველ კუთხემდე, მსოფლიო ბატონობამდე! რა სახელებს არ იგონებდნენ მაშინ ასეთი ოპერაციებისათვის: „არწივის დღე“ — საჰაერო ომი ინგლისის

წინააღმდეგ, „აიდა“ — შეტევა ეგვიპტეზე, „მეხის დატეხა“— სტალინგრადის დაპყრობა, „ცეცხლოვანი ჯადოქრობა“ — ლენინგრადის აღება, „ჰანიბალი“ — დესანტები კუნძულ ლემნოსზე, „შამილი“—შეტევა მაიკოპზე, „ანტონი“—კორსიკასა და ტუნისზე, „ფელიქსი“ — გიბრალტარზე, „ჰერტრუდა“ — თურქეთზე, „ჰერკულესი“ — მალტაზე, „იზაბელა“— ესპანეთისა და პორტუგალიაზე, „მარიტა“—საბერძნეთზე... ეს—„კრიმჰილდეო“, „ნიბელუნგების მარშიო“, „ალპური იებიო“, „კამეჩის მოძრაობაო“ და ვინ იცის კიდევ რა!..

ყველაზე მთავარი კი იყო „ბარბაროსა“ — ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. არც ეს ყოფილა მარტო „ავადმყოფური ფანტაზიის“ ნაყოფი. მთელი გენერალური შტაბი იქნა მაშინ ფეხზე დაყენებული. ერთ-ერთ ოპერატიულ დოკუმენტში ეწერა:

— აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობის მთავარი მიზანია ორი ფრონტიდან ერთის (რუსეთის) სასწრაფო გამოთიშვა ომიდან, რომ შემდეგ მთელი ძალებით დავაცხრეთ მეორეს (ინგლისს...).

იოდლის დღიურებშიც გაჩნდა ასეთი ფრაზა:

— ფიურერმა თავისი მზერა მიაპყრო აღმოსავლეთს!.. მისთვის ახლა მთავარი იყო „Drang nach Osten“.

გენერალური შტაბი გამალებით ადგენდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმას — „ბარბაროსას“, რომელსაც ჰიტლერმა 1940 წლის 18 დეკემბერს მოაწერა ხელი. მაგრამ ვიდრე ამ გეგმის განხორციელებას შეუდგებოდა, ორი „მცირე ოპერაციის“ ჩატარება მოუხდა საბერძნეთსა და იუგოსლავიაში. ჰიტლერის წარმატებით გათამამებულმა მუსოლინიმ, აქაოდა ჩემი დროც დადგაო, ალბანეთის ოკუპაციის შემდეგ საბერძნეთს ისე გამოუცხადა ომი, რომ თავისი გერმანელი კოლეგისათვის არც შეუთანხმებია. საბერძნეთს ინგლისი დაეხმარა და მალე მუსოლინი ისეთ დღეში ჩავარდა, რომ ჰიტლერს საექსპედიციო კორპუსის გაგზავნა მოუხდა მის მისაშველებლად. ინგლისელებმა აქაც დიუნკერკივით აიკრიფეს გუდა-ნაბადი და ბიატოვეს თავიანთი პარტნიორი. 22 დღის ბრძოლის შემდეგ საბერძნეთიც ოკუპირებულ იქნა.

ახლა, საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებისას, მარჯვენა ფლანგის უზრუნველსაყოფად იუგოსლავიის ოკუპაციაც

„გახდა საჭირო“ და ჰიტლერმა 1941 წლის 28 მარტს ასეთი ბრძანება გასცა:

— გერმანიის ამოცანაა კონცენტრირებული ძალებით იერიში მიიტანოს იუგოსლავიაზე, გაანადგუროს მისი არმია და მოსპოს იგი როგორც სახელმწიფო...

მიუხედავად იმისა, რომ პაველიჩის მთავრობა შეუერთდა „სამთა პაქტს“, ჰიტლერმა მაინც დაარღვია თავისი ხელშეკრულებები და გარანტიები იუგოსლავიის მიმართაც. დიპლომატიური ცინიზმი ბოლოს იქამდე მივიდა, რომ იუგოსლავიის ოკუპაციამდე ათი დღით ადრე რიბენტროპმა საქვეყნოდ განაცხადა:

— გერმანიას არა აქვს ამ ქვეყნისადმი არავითარი ტერიტორიული ან პოლიტიკური პრეტენზია!..

იმავე დღეს მან ბელგრადში მემორანდუმი გაგზავნა და „ერთხელ კიდევ დაადასტურა“, რომ გერმანია „არ შეეხება იუგოსლავიის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ინტერესებს“. მეტიც. ექვს აპრილს, როცა იუგოსლავიის ოკუპაცია დაიწყო, რიბენტროპი „სიყვარულს ეფიცებოდა“ იუგოსლავიის ხალხებს — სერბებს, ხორვატებსა და მაკედონიელებს.

დღეს მთელმა მსოფლიომ იცის, თუ რა სისხლიანი ორგიები მოჰყვა ამ „სიყვარულს“...

... ახლა დარჩა მთავარი — საბჭოთა კავშირთან ომი! ჰიტლერმა იცოდა, რომ ეს „ძნელი პრობლემა“ იყო, მაგრამ იმედი ჰქონდა, დასავლეთის სახელმწიფოების ანტიკომუნისტური განწყობილების გამოყენებით მოვახდენ საბჭოთა კავშირის იზოლაციასო.

— როცა ეს ომი დაიწყება, — ამბობდა იგი, — მსოფლიო გაინაბება და არავითარ შენიშვნას არ გააკეთებს!

არც ის ჰქონდა გამორიცხული, რომ „დიდი აღმოსავლური ლაშქრობის“ დაწყებით მიაღწევდა სეპარატულ ზავს ინგლისთან. მართალია, იოლი გამარჯვებებით გათამამებული ჰიტლერი ერთდროულად უქნევდა მუშტს როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს, მაგრამ ორ ფრონტზე ბრძოლისა მაინც ეში-

ნოდა, მით უმეტეს — ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კოალიციისა. ამაზე მას ჯერ კიდევ 1934 წელს ჰქონდა საუბარი რაუშნინგთან:

რ ა უ შ ნ ი ნ გ ი: თქვენ მართლა აპირებთ ომს დასავლეთთან?

ჰ ი ტ ლ ე რ ი: რა თქმა უნდა! მაშ რისთვის ვიარაღდები, როგორა გგონიათ?

რ ა უ შ ნ ი ნ გ ი: მე ვშიშობ, რომ ეს შექმნის ძლიერ კოალიციას ჩვენ წინააღმდეგ, რაც სახიფათო იქნება.

ჰ ი ტ ლ ე რ ი: მეც ეს მინდა ავიცდინო თავიდან. ჩვენ უნდა ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიპოვოთ გამარჯვება...

რ ა უ შ ნ ი ნ გ ი: ვიქვათ, ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და რუსეთმა შეკრეს კავშირი...

ჰ ი ტ ლ ე რ ი: ეს იქნება გერმანიის დაღუპვა. მაგრამ, თუ ჩვენ მათ ვერ დავამარცხებთ, ნახევარ მსოფლიოს მაინც ვაქცევთ ნანგრევებად, ისე, რომ ვერავინ იზეიმოს გამარჯვება.

ადრე მას ყოველთვის ჰქონდა საბჭოთა კავშირის შიში.

— რუსეთი ძნელი პრობლემაა, — ეუბნებოდა იგი იმავე რაუშნინგს, — მე მეეჭვება, რომ მასთან რამეს გავხდე. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ რუსეთი მარტო ბოლშევიზმი კი არა, უდიდესი კონტინენტური იმპერიაა მსოფლიოში, არაჩვეულებრივად ძლიერი და შემძლე — რკინის მკლავები მოხვიოს მთელ ევროპას... რუსეთი, სულერთია, მტერი იქნება თუ მეგობარი, მაინც ჩვენი თანასწორია და ეს უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული...

ჰიტლერი ჯერ კიდევ მაშინ არ გამორიცხავდა რამე „ტაქტიკური მოსაზრებით“ საბჭოთა კავშირთან დროებითი შეთანხმების შესაძლებლობას.

— მე არ უარვყოფ რუსეთთან კავშირის შესაძლებლობას, — ამბობდა იგი 1934 წელს, — მინდა ესეც მეჭიროს ხელში როგორც კოზირი. შეიძლება ბანქოს თამაშის დროს სწორედ ეს იქცეს ყველაზე გადამწყვეტ ძალად ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს კუთხე-კუთხე ლაყბობის საგანი, არც ნაჩქარევად შეიძლება ამის გაკეთება...

ასეთი „კავშირი რუსეთთან“ რომ დროებითი, ტაქტიკური

ნაბიჯი იქნებოდა და არა „საბოლოო მიზანი“, ამასაც აშკარად ამბობდა რაუშნინგთან საუბრის დროს:

— მე უარს არ ვამბობ ვიარო რუსეთთან ერთად, თუკი ეს რამეში გამომადგება, მაგრამ საჭირო მომენტში ისევ სწრაფად უნდა დავუბრუნდეთ ძირითად მიზანს...

ამ „ძირითადი მიზნის“ არსი ჩვენთვის ცნობილია. ჰიტლერი ამბობდა:

— რუსეთთან ხანგრძლივი კავშირი არ შეიძლება. ასე მსოფლიო ბატონობას ვერ მივაღწევთ. ორში ერთმა უნდა იბატონოს: ან ჩვენ, ან რუსებმა. თუ გვინდა ჩვენ გავბატონდეთ, უნდა დავამარცხოთ რუსეთი.

თან რუსეთის სიძლიერეზე ჩამოაგდო სიტყვა:

— თუ მას დროზე არ დავესხმით, — თქვა მან, — იგი ერთობ უძლეველი გახდება. სტალინმა უზარმაზარი იმპერია შექმნა. იგი უდიდესი ადამიანია ისტორიაში, მასთან ბრძოლა მხოლოდ მე შემიძლია, და ეს უნდა მოხდეს მანამ, ვიდრე ცოცხალი ვარ. ჩვენ ორნი ვწყვეტთ მსოფლიოს ბედს. ან ის მომერევა მე, ან მე მოვერევი მას. სხვა გზა არ არის!

მერე ისევ რუსეთთან შესაძლებელი კავშირის ტაქტიკურ ხასიათს შეეხო და განაცხადა:

— მე ეს სრულიადაც არ შემიშლის ხელს, რომ საჭირო მომენტში, როცა ჩემი მიზნები დასავლეთში მიღწეული იქნება, თავს დავესხა რუსეთს. გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, რომ ჩვენი აღმავლობა ყოველთვის სწორი ხაზით წავა... ზოგჯერ შევცვლით მიმართულებას და არა მარტო სამხედრო თვალსაზრისით...

მართლაც ასე მოხდა. ჰიტლერმა დასავლეთის სახელმწიფოებთან ომის დროს საბჭოთა კავშირთან ასეთი თვალთმაქცური „თავდაუსხმელობის პაქტი“ დადო და მაშინვე შეუდგა... მასზე თავდასხმის გეგმის შედგენას. ამგვარ პოლიტიკას იგი „ბანქოს თამაშსა“ და მოხერხებულ დროს „კოზირის გადაგდებას“ ეძახდა.

1941 წლის გაზაფხულზე, როცა საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების ვადა მოახლოვდა, ორ ფრონტზე ბრძოლის თავიდან აცილების მიზნით ჰიტლერმა სცადა ინგლისთან სეპარატული ზავი დაედო და, როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზნით „გადააგდო კოზირი“...

ეს ნამდვილი სენსაცია იყო... იმპერიის „მეორე კაცი“ და ჰიტლერის მოადგილე რუდოლფ ჰესი, ვითომ თავისი ნებით, ჰიტლერის დაუკითხავად, გაფრინდა ინგლისში, რომელთანაც გერმანია „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ომს ეწეოდა. მართალია, ჰიტლერმა გამოაცხადა, ჰესი „შეიშალაო“, მაგრამ ეჭვი მაინც გაჩნდა: რაღა სწორედ მაშინ „შეიშალა“ და გაფრინდა ინგლისში ჰესი, როცა გერმანელთა დივიზიები საბრძოლველად იყვნენ განლაგებული საბჭოთა კავშირის საზღვრებზეო. თვითონ ჰესმაც სცადა ნიურნბერგში „კარტების არევა“ და თქვა, ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მივიღე, რაც „ჩემმა იდუმალმა მბრძანებელმა“ ჰაუსჰოფერმა მნახა სიზმარში, მშვიდობის ანგელოზივით რომ მივფრინავდი ინგლისისაკენო. ჰას უნდოდა საზოგადოებისა და ტრიბუნალის წინაშე თავი მართლაც „მშვიდობის ანგელოზად“ დაესახა. ფაქტები კი სულ სხვას ღაღადებენ.

ნათქვამია, მელია სადაც წავა, კუდიც იქ წაჰყვებაო. არც ჰესს დაუტოვებია თავისი „კუდი“ გერმანიაში: იგი ლონდონშიც ისე იქცეოდა, როგორც ბერლინში. მიზანიც ძველებური რჩებოდა — ორ ფრონტზე ბრძოლის თავიდან აცილება. ჰიტლერმა „არ იკადრა“ თვითონ გადაედგა ასეთი ნაბიჯი და კოზირად თავისი „მარჯვენა ხელი“ — ჰესი აირჩია. ისინი ამ შეეთხვევაშიც შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ამიტომ იყო, ჰესის ინგლისში სენსაციური გაფრენის მიზეზად მისი შეშლილობის გამოცხადება რომ ნაკლებ დასაჯერებელი გახდა არა მარტო საზოგადოებრივი აზრისათვის, არამედ თვით მუსოლინისთვისაც კი. იტალიაც „ინგლისის ხარჯზე“ მოითხოვდა თავისი სამფლობელოებისა და გავლენის სფეროს გაფართოებას. ამიტომ ბუნებრივია, თუ ჰესის ეს „საიდუმლო გაფრენა“ შეშფოთებას იწვევდა რომში. ეს ისე საგრძნობი იყო, რომ რიბენტროპი იძულებული გახდა ბრენერში შეხვედროდა მუსოლინისა და ჩიანოს. ამ შეხვედრაზე რიბენტროპმა განაცხადა, თითქოს ჰესს არავითარი დავალება არ ჰქონდა ჰიტლერისაგან და რომ იგი „საკუთარი ინიციატივით“ მოქმედებ-

და, თანაც „დაადასტურა“ ძველი ვერსია „ჰესის შესაძლო შეშლილობის“ შესახებ.

ნიურნბერგში მე წავიკითხე და ვთარგმნე ამ შეხვედრის ოქმი. იგი იმდენად მნიშვნელოვნად და საინტერესოდ მეჩვენა, რომ ასლი ახლაც მაქვს. ამ ოქმის მიხედვით, რიბენტროპი აცნობებს მუსოლინის, რომ იგი სპეციალურად გამოგზავნა ფიურერმა, რათა დუჩეს ინფორმაცია გაუკეთოს ჰესის გაფრენისა და დარლანთან მოლაპარაკების შესახებ.

თავისი მისიის წარმატებაში დარწმუნებულმა რიბენტროპმა უთხრა მუსოლინის:

— ჰიტლერი და მისი თანამშრომლები გაოცებული არიან ჰესის მოქმედებით. ფიქრობენ, რომ ეს შეშლილობის გამო ჩაიდინა მან, თორემ ფიურერისადმი ღალატზე ლაპარაკი ზედმეტია.

მერე რიბენტროპი დაწვრილებით მოუყვა ჰესის ავადმყოფობის ამბებს და ბოლოს დასძინა:

— იგი დიდი ხნის განმავლობაში იტანჯებოდა ღვიძლის ტკივილით, შემდეგ ჰიპნოტიზიორებისა და ჰომეოპატების გავლენის ქვეშ მოექცა, რამაც კიდევ უფრო შეარყია მისი ჯანმრთელობა...

რიბენტროპი ცდილობდა დაერწმუნებინა მუსოლინი, რომ ჰესი „იდეალისტური წინათგრძნობებით იყო შეპყრობილი“.

— ინგლისელებისადმი ფარული სიმპათიის გამო ჰესმა აიკვიატა სულელური აზრი, რომ დიდი ბრიტანეთის გარკვეული წრეების ზეგავლენით აიძულოს ინგლისის მთავრობა დათმობაზე წავიდეს, — თქვა მან. — ყოველივე ეს ჰესმა ჩამოაყალიბა თავის გრძელსა და დაბნეულ წერილში ფიურერისადმი. როცა ფიურერმა ეს წერილი მიიღო, სახტად დარჩა, მაგრამ ჰესი უკვე აღარ იყო გერმანიაში. იმედი გვქონდა, რომ ჰესის თვითმფრინავს ავარია მოუვიდოდა, მაგრამ შევიტყვეთ, რომ იგი ამჟამად ინგლისშია და რომ მან უკვე სცადა კიდეც დაკავშირებოდა ლორდ ჰამილტონს. ამრიგად, დაღუპვის რისკის ფასად მან განახორციელა თავისი სულელური ჩანაფიქრი. ჰიტლერმა მოხსნა ჰესი თანამდებობიდან, აჰყარა ყველა ღირსება და, ალბათ, დახვრეტს კიდეც, თუ იგი გერმანიაში დაბრუნდება. მართალია, კვლევა-ძიება გრძელდება, მაგრამ

უკვე სრულიად აშკარაა, რომ ეს ფიურერისადმი ღალატით არ არის გამოწვეული.

რიბენტროპის ამ მიკიბულ-მოკიბულ „განმარტებას“ მუსოლინიმ უპასუხა:

— პოლიტიკური თვალსაზრისით ჰესის გაფრენას მე არ ვაძლევ სერიოზულ მნიშვნელობას, თუმცა ფსიქოლოგიურად ეს არ არის სასიამოვნო საქმე. ვფიქრობ, ეს გავლენას არ მოახდენს არც ბერლინ-რომის ღერძის მოქმედებასა და არც ომის მსვლელობაზე. სამი-ოთხი დღის შემდეგ ყველაფერი გაივლის და დავიწყებას მიეცემა.

— ფიურერი უცდის, — თქვა რიბენტროპმა, — მტრის პროპაგანდა როგორ გამოიყენებს ამ ამბავს. იგი ფიქრობს, რომ ჩერჩილი არ ეცდება გაახმაუროს ვერსია, თითქოს ჰესს უნდოდეს ზავის შეკვრა ინგლისთან. ეს მისთვის სასარგებლო არ იქნება. მოსალოდნელია, რომ იგი თავის პროპაგანდას ააგებს იმაზე, რომ ყოველივე ეს იმპერიის ხელმძღვანელთა შორის უთანხმოებისა და განხეთქილების ნიშანია.

ცხადია, მუსოლინი მიხვდა, რიბენტროპის ნაამბობს რომ სიმართლის ნიშანწყალი არ ეცხო, და თქვა, უმჯობესი იქნებოდა ამ საქმეზე უფრო სწორი ინფორმაცია მიმეღოო. ეს კი შეუძლებელი იყო, რადგან ჰიტლერს არ სურდა მისთვის გაემხილა ჰესის ინგლისში გაფრენის ნამდვილი მიზეზები. სწორედ ამიტომ იყო მოგონილი მისი „შეშლილობის“ ვერსია, რასაც თვითონ ჰესიც გულმოდგინედ ებღაუჭებოდა შემდგომ ნიურნბერგში: იგი სწორედ მაშინ „კარგავდა მეხსიერებას“, როცა ეს საჭირო იყო; სამაგიეროდ, თუ საქმე მოიტანდა, სრულიად ნორმალურ მდგომარეობაში დგებოდა. ამან ბევრი საზრუნავი გაუჩინა ჩვენს დელეგაციას ნიურნბერგის პროცესზე, განსაკუთრებით კი — სპეციალურად შექმნილი საერთაშორისო სამედიცინო კომისიის წევრებს, მათ შორის საბჭოთა პროფესორებს კრასნუშკინს, კურშაკოვსა და სეპს.

კომისიის დასკვნებში არ იყო ერთსულოვნება. ინგლისელი და ამერიკელი ექიმები მხარს უჭერდნენ ჰესის ნაწილობრივი შეურაცხადობის ვერსიას, საბჭოთა ექსპერტები კი თავიანთ დასკვნაში წერდნენ:

— ინგლისში გაფრენამდე რუდოლფ ჰესს არ ჰქონია არა-

ვითარი სულიერი დაავადება და არც ახლა ითვლება სულით ავადმყოფად. ამჟამად იგი ამჟღავნებს შეგნებულსა და წინასწარ განზრახულ, სიმულაციური ხასიათის ისტერიულ მოვლენებს, რაც არ ათავისუფლებს მას საბრალდებო აქტში აღნიშნულ დანაშაულებრივ მოქმედებათა გამო პასუხისმგებლობისაგან...

ნიურნბერგში ამის თაობაზე დაკითხულ იქნა ბრალდებული როზენბერგიც, რომელიც ესაუბრა ჰესს უშუალოდ ინგლისში გაფრენის წინ. როზენბერგმა განაცხადა, ჰესის ქცევასა და საუბარში არ შეიმჩნეოდა რამე არანორმალურიო...

პირიქით, ყველაფერი „სრულიად ნორმალურად" იყო მოფიქრებული და გაკეთებული, მაგრამ არც ჰიტლერს უნდოდა ამის გამხელა და... არც ინგლისელებს...

პროცესზე ასეთი წესი იყო: ვიდრე რამე დოკუმენტი გამოქვეყნდებოდა, წინასწარ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებსაც აცნობდნენ ამას. თუ რომელიმე მხარე წინააღმდეგი იყო ამა თუ იმ დოკუმენტის გამოქვეყნებისა, ამის შესახებ უნდა წინადღით განეცხადებინა და საკითხი ან ასე გადაწყდებოდა, ან ისე.

ერთხანს ეს დავალება მეც მქონდა მოცემული. ინგლისელებს ხშირად მოჰქონდათ ესა თუ ის დოკუმენტი და ამბობდნენ, ამის გამოქვეყნება სასურველად არ მიგვაჩნიაო. მე ამის შესახებ ვაცნობებდი „ზემოთ" და ვუცდიდი გადაწყვეტილებას, რომ პასუხი გამეცა მათთვის.

მახსოვს, ინგლისელებსა და ამერიკელებს უმთავრესად ამ საიდუმლო მოლაპარაკებათა დოკუმენტების გამოქვეყნება რომ არ „მიაჩნდათ სასურველად". როგორც გამოირკვა, ამგვარი და ბევრი სხვა დოკუმენტიც ჰქონდათ გადამალული და, მიუხედავად შეთანხმებისა, რომ ყველაფერი ხელმისაწვდომი ყოფილიყო ოთხივე დიდი სახელმწიფოს დელეგაციისათვის, ცალკეულ შემთხვევებში მაინც სეპარატულ საქმისწარმოებას ამჯობინებდნენ. მერე ხმაც გავარდა, ინგლისელებსა და ამერიკელებს ცალკე ოთახი აქვთ, სადაც უამრავი საიდუმლო დოკუმენტია შენახული. იმ ოთახში, ჩვეულებრივ, სხვა ქვეყნების (თუმცა რაღა „სხვა" — საბჭოთა კავშირის...) წარმომადგენლებს არ უშვებდნენ. როგორც ჩანს, ეს საერთო მსჯელო-

ბის საგანი გახდა, ამბობდნენ, საკმაოდ მაღალ დონეზე, თუ თვით უმაღლესზე არაო...

ბოლოს გადაწყდა საბჭოთა დელეგაციის ერთი წარმომადგენელიც დაეშვათ იმ „საიდუმლო ოთახში“ იმის საჩვენებლად, რომ იქ არაფერია ასეთი „განგაშის ასატეხი“. წარმომადგენელს უნდა სცოდნოდა ორი ენა მაინც, გერმანული და ინგლისური, რათა იმ დოკუმენტებში გარკვეულიყო, რადგან დოკუმენტები გერმანულ ენაზე იყო შედგენილი, ანოტაციები და საძიებლები კი — ინგლისურზე. თუ წარმომადგენელს ორივე ენა არ ეცოდინებოდა, საჭირო დოკუმენტს ვერ იპოვიდა ან, თუ იპოვიდა, ვერ წაიკითხავდა...

შეიძლება ესეც გახდა მიზეზი, რომ ამგვარი წარმომადგენლობა მე დამეკისრა. იქნებ იმის გამოც, რომ ერთხელ უკვე მქონდა შემთხვევა მონაწილეობა მიმეღო ჰესის ჯანმრთელობის შემმოწმებელი საერთაშორისო სამედიცინო კომისიის მუშაობაში...

სხვისი თვალი...

დილით ორი ამერიკელი ოფიცრის თანხლებით შევედი იმ „საიდუმლო ოთახში“. ოთხივე კედელზე მიმაგრებული რკინის თაროები თითქმის ჭერამდე უწევდა. თაროებზე უზარმაზარი მუყაოს ჩანთები იყო დალაგებული. მათი ყდების მუქ ყუაზე დიდი თეთრი ასოებით ნომრები ეწერა. აქ იმდენი დოკუმენტი ეწყო, რომ ერთი თვეც არ მეყოფოდა ყველას გადასათვალიერებლად.

ამერიკელი ოფიცრები როგორღაც ზედმეტ თავაზიანობას იჩენდნენ. ამიხსნეს, ფანჯარასთან თამბაქოს მოწევა შეიძლებაო. მიჩვენეს ღილი, რომლითაც შემეძლო ზარის დარეკვა, რათა მორიგე ოფიცერი ან ბუფეტის თანამშრომელი გამომეძახა. ბოლოს, თარჯიმანიც შემომთავაზეს. მე უარი განვაცხადე, არ მინდა-მეთქი. შევატყვე, ეს არ ესიამოვნათ, ერთმანეთს გადახედეს და მერე ერთმა, უფრო მაღალმა, მითხრა:

— რატომ? ჩვენ ბევრი მთარგმნელი გვყავს, ინგლისურისა და გერმანულის მცოდნენი. ისინი დაგეხმარებიან.

— არა, არ მინდა — ვუთხარი მე, — ორივე ენა იმდენად ვიცი, რომ მთარგმნელი არ მჭირდება.

— მაშინ ფრანგული ენის მცოდნეს გამოგიგზავნით.

— რამდენადაც ვიცი, აქ ფრანგული დოკუმენტები არ არის.

— იქნება შეგხვდეთ რამე...

— ფრანგულშიც გავერკვევი როგორმე, მთარგმნელი კი არ მინდა.

ვერა და ვერ მივხვდი, რატომ ასე გულმოდგინედ მაძალებდნენ მთარგმნელს. ალბათ, არ უნდათ მარტო დამტოვონ ამ ოთახში-მეთქი, ვიფიქრე და ვუთხარი:

— თუ თქვენ საჭიროდ მიგაჩნიათ კიდევ ვინმეს თვალი ბრუნავდეს აქ, შეგიძლიათ რომელიმე ოფიცერი დასტოვოთ მეთვალყურედ...

— არა, მეთვალყურეობა რა საჭიროა, ჩვენ მხოლოდ უკეთ მომსახურება გვინდა, — თქვა მაღალმა ოფიცერმა და ცალყბად გაიღიმა.

— გმადლობთ თავაზიანობისათვის, — მივუგე მე.

— ო კეი! — თქვა ბოლოს იმავე მაღალმა და წავიდნენ.

მე საქმეს შევუდექი. ჯერ მინდოდა საერთოდ გავრკვეულიყავი, თუ რა ხასიათის დოკუმენტები იყო ეს. პირველ რიგში მაინც საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტებს დავუწყე ძებნა. ამით ორ კურდღელს ვიჭერდი: ჩემს უშუალო დავალებასაც ვასრულებდი და პროცესსაც რამეში დავეხმარებოდი.

მგონი ნახევარ საათზე მეტი არც იყო გასული, რომ ის მაღალი ოფიცერი ისევ შემოვიდა, თან ვიღაც ახალგაზრდა ამერიკელი ქალი შემოჰყვა. ჟურნალებში დახატულ კინომსახიობს ჰგავდა, ხელში მსუბუქი მოლბერტი და პატარა ყუთი ეჭირა.

— გთხოვთ გაიცნოთ, — მითხრა ოფიცერმა, — ამერიკის სამხედრო გაზეთის „Stars and stripe-ის კორესპონდენტია, მხატვარი, თქვენთან აქვს საქმე.

მე ამ ქალისათვის ერთი-ორჯერ მომიკრავს თვალი ნიურნბერგის „გრანდ-ოტელის“ რესტორანში. იგი საერთო ყურადღებას იქცევდა თავისი ექსტრავაგანტური ჩაცმულობითა და რაღაც თავისებური, ზანტი, ან როგორც მარკოვი ამბობდა,

„ვნებიანი“ სიარულით. რომ შეხედავდით, მართლაც „მოდისო“ კი არ იტყოდით, არამედ „სხეული მოაქვსო“, ისე დემონსტრატიულად გამოჩნდებოდა დარბაზში, ზლაზვნით ჩაუვლიდა მაგიდებს და კუთხეში დაჯდებოდა. მერე ლამაზ თავს იდაყვებზე დაასვენებდა, თვალებს მოჭუტავდა და დაჟინებით მიაჩერდებოდა ვინმეს, ისე, სამხატვრო გალერეებსა და მუზეუმებში რომ მაყურებლები ოდნავ თვალებმოხუჭული უყურებენ ხოლმე სურათებს...

მეც რამდენჯერმე მიგრძვნია მისი ასეთი დაჟინებული შემოხედვა, მაგრამ ერთხელაც არ დავლაპარაკებივარ. ახლა კი ძველი ნაცნობივით მომესალმა.

— აა, ბატონო ოფიცერო, სად დაგიჭირეთ! მე თქვენ რამდენჯერმე გნახეთ „გრანდ-ოტელში“, მერე სასტუმროშიც გეძებეთ და ბოლოს აქ მოგაგენით.

— რით შემიძლია გემსახუროთ, — ვკითხე გაოცებულმა. თან ვფიქრობ, აქ რამე თვალთმაქცობა არ იყოს-მეთქი.

— მე მინდა თქვენი პორტრეტი დავხატო გაზეთისათვის. იმედია ხელს შემიწყობთ.

— ქალბატონო, მე აქ სამუშაოდ ვარ, ძალიან ცოტა დრო მაქვს და სად შემიძლია თქვენი მოდელი ვიყო. სამწუხაროდ, ეგ შეუძლებელია.

— მე სულაც არ შეგიშლით ხელს. თქვენ იმუშავეთ, მე დავჯდები კუთხეში და დაგხატავთ, როგორც მოვახერხებ.

— რა სავალდებულოა, რომ სწორედ აქ ხატოთ ჩემი სურათი, დავამთავრებ სამუშაოს და მერე მიმსახურეთ.

— არა, ბატონო, რედაქცია მაჩქარებს. ამდენ ხანსაც უნდა გამეკეთებინა.

— მაშინ იქნებ საღამოს ხატოთ. ხომ იცით, ჩვენი დელეგაცია გვიან ღამემდე მუშაობს.

— ჩვენ, ამერიკელები, საღამოობით არ ვმუშაობთ...

— იქნებ სხვა დახატოთ ვინმე. აქ ბევრია საბჭოთა ოფიცერი.

— ისინი იურისტები არიან, მე კი ფრონტელი ოფიცრის სურათი მინდა... მე სულაც არ შეგაწუხებთ.

ამასობაში თავისი მოლბერტიც გაშალა, და კუთხეში მოეწყო, ფანჯარასთან.

ჩემი შემდგომი წინააღმდეგობა ამაო იყო.

— ვაშ, საქმე მოგვარებულია. თუ რამე დაგჭირდეთ, ღამირეკეთ და მაშინვე მოვალ, — თქვა ამერიკელმა ოფიცერმა და წავიდა.

— თქვენი სახელი? — ვკითხე მხატვარს.

— ჯენი, — ხაზგასმული კეკლუცობით წარმოთქვა მან. — თქვენი?

მეც ვუთხარი და საქმე განვაგრძე.

— ნუ გამიბრაზდებით, — თქვა ჯენიმ, — მხოლოდ ერთი წუთით დაჯექით ასე. მე მხოლოდ კონტურებს მოვხაზავ, მერე თავისუფალი იქნებით! ამის მეტად აღარ შეგაწუხებთ.

ხელი წამავლო და თითქმის ძალით დამსვა სკამზე. მერე მისთვის საჭირველი პოზა მიმაღებინა და ხატვას შეუდგა.

— ახლა მეყოფა! — წამოვიძახე ცოტა ხნის შემდეგ.

— კიდევ ერთი წუთი, ბატონო, აი, ზუსტად ერთი წუთი! ხომ ხედავთ, როგორ ვჩქარობ! აი, ასე... კიდევ ერთი წუთი... ეს თავი, თმები... თვალები... ცხვირი, ტუჩები... ერთი წუთი, ბატონო, ერთი წუთი! ესეც კისერი, მკერდი... ეპოლეტები... ორდენები... ახლა კი თავისუფალი ბრძანდებით.

ავდექი და ისევ დოკუმენტებს დავუწყე ჩხრეკა. თან ფიქრი არ მასვენებდა: მინდოდა გამეგო, რისთვის იყო ყოველივე ეს მოწყობილი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი პორტრეტის დახატვა მას სულაც არ აინტერესებდა...

თმების არითმეტიკა...

რამდენიმე ხნის შემდეგ ზარის ხმა გაისმა და შესვენებაზე გამოვედი.

— სასადილოში ხომ არ მობრძანდებით? — გამომყვა ჯენი.

— არა, ჩვენებთან მივდივარ! — ვუპასუხე და კიბეები ჩავირბინე, თან ვიფიქრე ეშმაკს თვალი არ უჩანს-მეთქი და „ყოველ შემთხვევისათვის“ განყოფილების უფროსს ვუამბე ყველაფერი. გაიცინა, იჯდეს და ხატოს, რა გენაღვლებაო, მითხ-

რა. მე — არაფერი, მაგრამ ხომ ვიცი, რომ რაღაც სხვა დავალებითაა შემოგზავნილი-მეთქი.

— ეს ცხადია, — მიპასუხა მან, — მაგრამ, ხელს თუ არ გიშლით, ხატის რამდენიც უნდა. არ ღირს ახლა ამაზე ხმაური ავტეხოთ, ისედაც ძლივს ავიღეთ ნება, რომ იმ ოთახში ჩვენი წარმომადგენელი შესულიყო...

... სასადილოში ისევ ჯენის მოვკარი თვალი, მაგრამ შევატყვე რატომღაც გამერიდა. მე და მარკოვმა ერთად ვისაუზმეთ. იმასაც ვუამბე იმ მხატვრის ამბავი. სიცილი დაიწყო, რამე მახეში არ გაგაბასო.

— თუმცა, სულო ცოდვილო, ასეთი თვალებჟუჟუნა ქალის მახეში გაბმაზე. პირადად მე. უარს არც ვიტყოდი, — თქვა მან და „უცენზურო სახეზე" ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა; თუმცა ღიმილს ვინ ჩივის, სიტყვებიც ისეთი უცენზურო მოაყოლა, ყვავს ხიდან ჩამოაგდებსო, რომ იტყვიან...

ძერე ისევ იმ ოთახში დავბრუნდი. ჯენი უკვე ფანჯარასთან იჯდა და თამბაქოს აბოლებდა. მინდოდა ნახატისათვის შემესწრო თვალი, მაგრამ შეშფოთებული წამოხტა და ზედ გადაეფარა მოლბერტს.

— არა, არ დახედოთ! — წამოიძახა მან და მცირე პაუზის შემდეგ უკვე დამშვიდებულმა დაუმატა:

— მე არ მიყვარს, დაუმთავრებელ სურათს რომ უყურებენ. როცა დავამთავრებ და კლიშეს გავაკეთებთ, თუ გნებავთ. ამ სურათს სულ გაჩუქებთ. მე სურათი იმდენად არ მაინტერესებდა, რამდენადაც ამ საიდუმლოების გახსნა, მაგრამ ჯენიმ სული ყელში ჩამატანა, ვიდრე დავამთავრებდე, ნულარ დახედავთო.

არაფერი მითქვამს, ისე შევუდექი მუშაობას. ჯენი ისევ დაჯდა და ხატვა განაგრძო. მე მარტო ის მიკვირდა, თვალები რომ სულ აქეთ-იქით დაურბოდა და უფრო მეტად მე მომჩერებოდა, ვიდრე თავის სამუშაოს, მაგრამ ამისათვის რამე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიმიცია.

ჩემი ყურადღება ერთმა დოკუმენტმა მიიპყრო, რაც ძალიან საინტერესოდ მეჩვენა. ეს იყო ნაცისტური რეჟიმის უკანასკნელ დღეებში რიბენტროპის მიერ მიწერილი წერილი

ჩერჩილისა და იდენისადმი. ამ წერილთან ერთად იყო ინგლისური ანოტაცია დოკუმენტისა და მისი ისტორიაც. რიბენტროპი თურმე ალყაში მოხვდა და, როცა იქიდან გამოსვლის იმედი დაკარგა, ჰიტლერს გაუგზავნა რადიოგრამა, რითაც ატყობინებდა თავის მდგომარეობას და სთხოვდა, „თუკი იგი ისევ სჭიროდა ფიურერს“, თვითმფრინავი გამოეგზავნა, არადა ჩემს სიცოცხლეს დავასრულებო ფრონტზე „როგორც ერთგული ჯარისკაცი“.

ჰიტლერმა გაუგზავნა თვითმფრინავი და რიბენტროპმა თავი დააღწია ალყას. ამის შემდეგ მან, როგორც თვითონ ამბობდა, ჰიტლერის დავალებით დაწერა ეს წერილი. იგი „არწმუნებდა“ ჩერჩილსა და იდენს, რომ ყოველთვის კეთილად იყო განწყობილი ინგლისელებისადმი. ლონდონში ელჩად მუშაობის დროსაც ყველაფერს ვაკეთებდი, რათა მეგობრული ურთიერთობა დამემყარებინა და მჭიდრო კავშირი განმემტკიცებინა ინგლისსა და გერმანიას შორისო. რიბენტროპი იმასაც „ამტკიცებდა“, რომ ამ ორი დიდი სახელმწიფოს კონფლიქტი მძიმე შედეგებს გამოიღებს მთელი ევროპისათვის, ხოლო თანამშრომლობა განამტკიცებს დასავლეთის უშიშროებასო.

— არც ახლაა გვიან! — წერდა რიბენტროპი, — და თუ დაუყოვნებლივ ვიმოქმედებთ, შეიძლება ჯერ კიდევ ვიხსნათ ევროპა ბოლშევიზმისაგან...

იგი მიანიშნებდა ევროპაში კომუნიზმის გავრცელების საშიშროებაზე, რაც, მისი აზრით, ერთნაირად სახიფათო იყო როგორც გერმანიის, ისე ინგლისისთვისაც.

შემდეგ, დაკითხვის დროს, რიბენტროპი უხალისოდ დასჩერებოდა თავის ამ უკანასკნელ მემორანდუმს და ამბობდა, რომ იგი საერთოდ წინააღმდეგი იყო ინგლისთან ომისა და არა ნარტო ინგლისთან, საბჭოთა კავშირთანაც. ასეთი განცხადების გაკეთება მას ახლა საჭიროდ მიაჩნდა, რადგან ბრალად აგრესიის მომზადება ედებოდა. ამიტომ იყო, რომ, როცა ინგლისელები აწარმოებდნენ მის დაკითხვას, ინგლისის წინააღმდეგ ომი არ მინდოდაო, ამტკიცებდა, ხოლო როცა ამერიკელების წინ იჯდა, გერმანიას აზრადაც არ მოსვლია ამერიკასთან კონფლიქტიო, ირწმუნებოდა. ჩვენს გამომძიებლებს კი ვანუ-

ცხადა, საბჭოთა კავშირთან ომი ყოველთვის დიდ უაზრობად მიმაჩნდაო. საინტერესოა, რომ ჰიტლერის „სუფრული საუბრების“ ჩანაწერებში ნათქვამია, რიბენტროპი არასოდეს ყოფილა საბჭოთა კავშირთან ომის მოწინააღმდეგეო. იმ წერილიდანაც ნათლად ჩანდა, რომ იგი უკანასკნელ მომენტამდე ცდილობდა, რათა დასავლეთელი მოკავშირეების სამხედრო ძლიერება გერმანიის არმიის ჯერ კიდევ დარჩენილ ნაშთებთან ერთად საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მოემართა...

... იმ ოთახში ბევრი ასეთი საინტერესო დოკუმენტი იყო. მე ვიწერდი მათ ნომრებს, რომ შემდეგ ასლები მომეთხოვა და მათთვის სათანადო მსვლელობა მიმეცა. ისიც შევამჩნიე, რომ დოკუმენტები ზოგან თანმიმდევრულად იყო დანომრილი, ზოგან კი აკლდა. ეტყობოდა, რაღაც-რაღაცები წინასწარ გაეტანათ, რათა არ მენახა. თუმცა, რაც იყო, ისიც ძალიან საინტერესოდ მეჩვენა, განსაკუთრებით გერმანელების მიერ ოკუპირებული პოლონეთის გენერალ-გუბერნატორის ჰანს ფრანკის ჩემ მიერ უკვე ნახსენები დღიურების ორმოცამდე ტომი, სადაც აღწერილი იყო „მისი აღმატებულების“ ყოველდღიური საქმიანობა. თითქმის ყველა „ოქმი“ ასე იწყებოდა:

— დილის 9 საათია... ბატონი გენერალ-გუბერნატორი მობრძანდა თავის რეზიდენციაში... გამოიძახა ესა და ეს თანამშრომელი... უთხრა ესა და ეს... გასცა განკარგულება და...

„დღიურებში“ ჩაკერებული იყო ამგვარ განკარგულებათა ოფიციალური ტექსტები... მერე მოდიოდა თათბირების სტენოგრაფიული ჩანაწერები და უამრავი სხვა ცნობა ყოველივე იმის შესახებ, რაც მომხდარიყო, ვიდრე სამუშაო დრო ამოიწურებოდა. მეორე დღის შესახებ ივივე მეორდებოდა. ამგვარად შედგა ეს უზარმაზარი ტომები. მე ყურადღებით ვათვალიერებდი ამ დოკუმენტებს და საჭირო შენიშვნებსაც ვიწერდი. ჯენი კი იჯდა თავისთვის და ხატავდა. ხანდახან თუ შემეკითხებოდა რამეს, თორემ ისე ხელს ჰართლაც არ მიშლიდა.

ასე გავიდა ორი დღე.

— არ მოგეწყინათ ამდენი ქაღალდების ქექვა? — მკითხა მან მესამე დღეს.

— რატომ უნდა მომწყინდეს, როცა ეს ჩემი სამსახურებრივი საქმეა, — ვუპასუხე და ისევ განვაგრძე ფრანკის დღიუ-

რების თვალიერება. დღიურები ისეთ ადგილას ეწყო, რომ მი ჯენისაკენ ზურგშექცევით მიხდებოდა დგომა. იქნებ ამიტომ იყო, რომ ადგა, ახლოს მოვიდა და თვითონაც დააკვირდა მათ...

— ნუთუ ეს სულ ერთი კაცის დღიურებია? — იკითხა გაკვირვებით.

მე ეს უბრალო ცნობისმოყვარეობად მივიღე. გამიკვირდა კი, პასუხს რომ არც დაელოდა, ისე შეტრიალდა, თავის ადგილას დაჯდა და ხატვა განაგრძო... კიდევ უფრო იმან გამაოცა, დაშტერებით რომ მოჰჩერებოდა ზურგშექცევით მდგარსაც (ეს გარკვევით ჩანდა წიგნების კარადის ანარეკლში)...

ყოველივე ეს ჩემს ცნობისმოყვარეობასაც აღიზიანებდა, მაგრამ ისევ იმ დღიურებში მქონდა ცხვირი ჩარგული და სხვა არაფრისათვის მიმიქცევია ყურადღება. ვიცოდი, ეს მასალები რომ ძალიან საჭირო იყო საბჭოთა დელეგაციისათვის. სწორედ მაშინ წყდებოდა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: ომის დროს განსაკუთრებით დაზარალებული რამდენიმე სახელმწიფო მოითხოვდა, რათა მათი წარმომადგენლებისათვის საშუალება მიეცათ გამოსულიყვნენ ნიურნბერგის პროცესზე ოფიციალური ბრალდებით. ასეთ სახელმწიფოთა შორის იყო პოლონეთიც, რომლის გენერალ-გუბერნატორადაც „იღვწოდა“ სწორედ ეს ჰანს ფრანკი, ვის დღიურებსაც ვფურცლავდი ახლა მე იმ ოთახში.

პოლონეთიდან საამისოდ მოვლინებული იყო ძალიან სიმპათიური და დიდად განათლებული იურისტი ბ-ნი პიოტროვსკი. ჩვენი მხარე მოელოდა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდებოდა, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, დასავლეთელი მოკავშირეები რატომღაც ამის წინააღმდეგ წავიდნენ. ისე გამოვიდა, რომ ამ სახელმწიფოების, მათ შორის პოლონეთის, საქმეების შესწავლას ჩვენებმა იმდენი ყურადღება არ მიაქციეს, რადგან სპეციალური „პოლონური კომისია“ მუშაობდა ამაზე. მერე რაკი პოლონეთის წარმომადგენლის გამოსვლის საკითხი მოიხსნა, საჭირო გახდა საბჭოთა დელეგაციას სასწრაფოდ მოეკიდა ხელი პოლონეთის საქმეებისთვისაც. ფრანკის დღიურები საამისოდ დიდძალ მასალას იძლეოდა, მაგრამ მე როგორ შემეძლო აქ, ამ გამოკეტილ ოთახში, ასე სწრაფად

ამ 39 ტომის დამუშავება. ამიტომაც მოვითხოვე ნება მოეცათ ეს ტომები ჩემს სამუშაო ოთახში გადამეტანა, რომ იქ დღისითაც და ღამითაც მემუშავა პიოტროვსკისა და დამხმარე პერსონალთან ერთად. ვიდრე ეს საკითხი წყდებოდა „ზედა სფეროებში“, მე კიდევ ორი დღე ვიქექებოდი იმ დოკუმენტებში. ამ ხნის განმავლობაში ჯენი ერთი წუთითაც არ მომშორებია. მკერდგადაშლილი იჯდა ფანჯარასთან, მიყურებდა და ხატავდა. იგი ყოველდღე სულ ახლებურად გამოიყურებოდა. მისი გარეგნობაც დეკორაციასავით იცვლებოდა. გარდა იმისა, რომ ყოველთვის ახალ და უცნაურად აფერადებულ კაბებს იცვამდა, ქარვისფერი თმის ვარცხნილობაც სულ სხვადასხვაგვარი ჰქონდა... დავინტერესდი და ვკითხე:

— ჯენი, საიდან იგონებთ თმის ვარცხნილობის ამდენ ვარიანტს, რომ ყოველდღე იცვლით?

— ეს ჩემი პროფესიული ვარჯიშია, ისევე როგორც ხატვა. მინდა ყოველთვის სხვა ვიყო. არაფერი ისე მოსაწყენი არ არის ამქვეყნად, როგორც ერთიდაიგივეობა. გაგაჩენს ღმერთი თუ ბუნება და დაგაწყევლის: იყავი ასეთი ან ისეთი, ქალი ან კაცი, ქერა ან შავგვრემანი, და ისიც უკუნითი უკუნისამდე. კი მაგრამ იქნებ სხვაგვარი გინდა იყო! შეგიძლია განა? არა, არავითარ შემთხვევაში! ეს ხომ საშინელებაა!..

— ჭეშმარიტად, — განგებ დავეთანხმე მე და მერე ვკითხე:

— კი მაგრამ კაბებისა და თმის ვარცხნილობის ყოველდღე ცვლა რას შველის ამას?!

— არც არაფერს! — თქვა ჯენიმ, — თავს ვიტყუებთ მხოლოდ. გარეგნობას ვიცვლით და ამით მაინც ვებრძვით ერთფეროვნებას...

ამდენი ჩუმად ჯდომის შემდეგ ერთბაშად აეცრა ენა. მეც ცნობისმოყვარეობამ წამძლია, თავს ვერ მივერიე და ასეთი „თავხედური ნაბიჯი“ გადავდგი: ლაპარაკთან ერთად ნელ-ნელა მივუახლოვდი, მერე უცებ მოვტრიალდი და თავზე წავადექი. წამოვარდნა მოინდომა, მაგრამ მხრებზე ხელი წავავლე, შევაჩერე და სურათს დავხედე.

— რატომ აკეთებთ ამას? მე ხომ გთხოვეთ, სანამ დავამთავრებ, ნუ დახედავთ-მეთქი, — აწრიალდა ჯენი. მაგრამ მე

მაინც არ გავუშვი და უფრო დავაკვირდი ნახატს. მივხვდი კიდეც მთელი ამ „კომედიის“ საიდუმლოებას.

ჯენი, როგორც ჩანდა, მართლაც კარგი მხატვარი იყო. პორტრეტი მშვენივრად ჰქონდა დახატული, მაგრამ „თავისი საქმეც“ მოხერხებულად გაეკეთებინა: იქ, სადაც თმებს ხატავდა, სრულიად გარკვევით წერდა მუყაოს იმ ჩანთების ნომრებს, რომელთაც მე ვიღებდი და ვათვალიერებდი.

დღემდე არ ვიცი, რისთვის უნდოდათ ასე ზუსტად სცოდნოდათ, თუ რა დოკუმენტებს ვაქცევდი ყურადღებას, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ასე „მოხერხებულად“ გააკეთეს მე მაშინ სულაც არ შევიმჩნიე, რომ ეს თმებში ჩაწერილი ციფრები ვნახე. ჯენი კი სულ იმის ცდაში იყო გაეგო, გამჭღავნდა თუ არა მისი „არითმეტიკული მხატვრობის საიდუმლოება“. წამოწითლებული და აფორიაქებული მტუქსავდა:

— ჯენტლმენმა პირობა არ უნდა დაარღვიოს. ხომ შეეთანხმდით, რომ დამთავრებამდე არ ნახავდით?!

მიამიტი სახე მივიღე, ვითომ არ ვიცოდი რა აწუხებდა. და ვუთხარი:

— არა. უშავს რა, ზოგჯერ დაუმთავრებელი სურათის ნახვა მირჩევნია...

— კიდევ რამდენიმე დღე მინდა, რომ დავამთავრო, სულსწრაფი ყოფილხართ! — დამტუქსა ჯენიმ და ცოტას გაწყდა ტირილი არ დაიწყო...

მე იმის დარდი სულაც არა მქონდა ჯენტლმენობას ჩამომართმევდნენ, თუ სულსწრაფს მიწოდებდნენ: ის ხომ გავიგე, ვინც ბრძანდებოდა ეს „ცით მოვლენილი ანგელოზი“, და მისგან მოტყუებული აღარ ვრჩებოდი. ისე კი, არსებითად, ყოველივე ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამიტომაც შევირიგე ჯენი ადვილად და, როცა ჩვენებს ვუამბე ყველაფერი, სიცილით შეხვდნენ ამ ამბავს: რა გენაღვლება, იწერონ, რამდენიც უნდათო.

მეორე დღეს ჯენიმ ისევ ბევრი იწრიალა, რომ გაეგო, დავინახე თუ არა ციფრები ნახატში, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. საუზმის დროსაც არ მომშორდა. არც მერე. თავისი „სალონიც“ დამათვალიერებინა, მაგრამ ვერც იმ „კირკეს გამო-

ქვაბულში“ დამაცდინა რამე. ამის შემდეგ დამშვიდდა. ალბათ, თავი დაირწმუნა, რომ არაფერი დამინახავს...

...იმ დღეს უკანასკნელად ვიმუშავე ამერიკელთა „საიდუმლო ოთახში“. ჯენიმაც სწრაფად დაამთავრა პორტრეტი. წასვლის წინ ისევ ის ორი ამერიკელი ოფიცერი შემოვიდა, თვალი გადაავლეს იქაურობას, ყველაფერი რიგზეაო, თქვეს და დამემშვიდობნენ.

ჯენი გამომყვა. გრძელ დერეფანში ერთხანს ჩუმად ვიარეთ. მერე ისევ იმან წამოიწყო:

— რამდენიმე დღის შემდეგ თქვენს პორტრეტს ნახავთ გაზეთში.

— სასიამოვნოა, — მივუგე მე, — იმედია პირობას შეასრულებთ და ორიგინალს მე მომცემთ.

— ეს ნახატი რად გინდათ?! — მკითხა მან და ისეთი გაოცებული სახე მიიღო, ვითომც პირველად გაეგონოს: — მე ხომ გითხარით, რომ ისევე დაიბეჭდება, როგორც აქაა, გაზეთის მთელ გვერდზე. მე თქვენ იმ გაზეთის ნომერს მოგიტანთ.

— არა, სწორედ ეს სურათი მინდა, — „გავჯიუტდი“ მე, მაგრამ არც იმან დამითმო.

— რატომ მაინცდამაინც ეს?! — მკითხა ბოლოს გაკვირვებით.

— იმიტომ, ჯენი ძვირფასო, რომ თმებში თქვენ მიერ ჩახატული ციფრები არითმეტიკის სახელმძღვანელოდ გამოვიყენო!..

სახეზე სულ ცეცხლი მოეკიდა. გაჩერდა, თვალებმოჭუტული დამაშტერდა. მერე, იმედია ამაზე ხმაურს არ ატეხთო, მითხრა და ჩქარი ნაბიჯით გამშორდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ამერიკელთა მრავალგვერდიანი გაზეთის „Stars and stripes“-ის მთელ გვერდზე გამოქვეყნდა ეს პორტრეტი, რა თქმა უნდა, უციფრებოდ. იხტიბარგატეხილი ჯენი კი ბზობის ყვავილივით გაქრა სადღაც და მას აქეთ არსად შემხვედრია, მე კი იმ „საიდუმლო ოთახში“ ჰესის ინგლისში გაფრენის შესახებ ბევრ საინტერესო დოკუმენტს წავაწყდი...

1941 წლის გაზაფხულზე ჰიტლერის დავალებით გენერალური შტაბი გამალებით ადგენდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმას, რომელსაც, ალბათ შინაგანი ინსტინქტის კარნახით, მართლაც შესაფერისი სახელი — „ბარბაროსა“ უწოდეს. გენერალურ შტაბს, როგორც მოგახსენეთ, უნდოდა წინასწარ შეთანხმებოდა ინგლისს და უზრუნველეყო სიმშვიდე დასავლეთის ფრონტზე, ხოლო მთელი ძალები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოემართა. ტაქტიკური მოსაზრებებით ინგლისთან ასეთი შეთანხმების საწინააღმდეგო მაშინ არც ჰიტლერს ჰქონდა რამე, მაგრამ არ უნდოდა ინიციატივა თავად ეკისრა, რადგან იცოდა, რომ საბოლოო ანგარიშში მაინც მოუხდებოდა კონფლიქტი ინგლისთან. მსოფლიო ბატონობის გლობალური მანია საშუალებას არ აძლევდა მას ეცნო სხვა რომელიმე ერის ან სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობა. გარდა ამისა, იგი უკვე იმდენად იყო სახელგატეხილი მსოფლიოს თვალში, რომ, მისივე აღიარებით, „არც ერთი სახელმწიფო აღარ მოისურვებდა მასთან ლაპარაკს“. საჭირო შეიქნა სხვისი სანდო ხელით მოქმედება. საამისოდ სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო რუდოლფ ჰესი — ფიურერის მარჯვენა ხელი.

როგორც ყველაფერი, ესეც ისე იქნა დასაიდუმლოებული, რომ ამ ნასკვს ყური ჯერაც ვერავინ უპოვა. ვერც ნიურნბერგის პროცესმა შეიტანა საკმაო სიცხადე ამ საკითხში, რადგან ინგლისელები სრულიადაც არ იყვნენ დაინტერესებული მათი სეპარატული მოლაპარაკება მოწინააღმდეგესთან ასე სააშკარაოზე გამოეტანათ, სამაგიეროდ ზღაპრებს კი საკმაოდ ავრცელებდნენ ჰესის შესახებ. პირველი მეზღაპრე აქ ამერიკელი ფსიქიატრი დუგლას მაკ კელი აღმოჩნდა. იგი ჯერ ლონდონში, ხოლო შემდეგ ნიურნბერგში. ყოველდღიურ „ფსიქოლოგიურ დაკვირვებას“ ახდენდა ჰესზე. მისი აზრით, ჰესი განდიდების მანიით იყო შეპყრობილი. იგი სულ „მეორე კაცად“ მოიხსენიებოდა გერმანიაში. ნათქვამია, „რომში მეორე კაცი უდრის უკანასკნელსო“. ჰესიც ვითომ დიდად იყო შეურაცხყოფილი „მეორე კაცის“ ტიტულით და იმედოვნებდა როდისმე „პირველი“ გამხდარიყო, მით უმეტეს, რომ, კელის აზრით,

1938 წლიდან ჰიტლერი მისთვის უკვე აღარ წარმოადგენდა ისეთ კერპს, როგორიც ადრე იყო. ჰესი იმიტომაც იყო თურმე გულმოსული თავის ფიურერზე, რომ ჰიტლერმა მას — „იმპერიის მეორე კაცსა“ და თავის მოადგილეს — გვერდი აუარა და სპეციალური ბრძანებით თავის მემკვიდრედ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე გერინგი დანიშნა. ადრე ასეთ მემკვიდრედ გამოცხადებული იყო ჰესი. მერე, როგორც ამბობენ, ჰესმა ახალი ვილა რომ აიშენა და ჰიტლერი ისტუმრა, „არქიტექტორ“ ჰიტლერს არ მოეწონა ეს შენობა და მაშინვე თქვა: კაცი, რომელსაც ამაზე მეტი გემოვნება არა აქვს, ჩემი შემცვლელი ვერ იქნებაო. გერინგის „კარინჰოლით“ კი იგი აღტაცებული იყო. ამას გარდა, ჰესს ვითომ აკვიატებული ჰქონდა აზრი — „მშვიდობის მოციქულად“ მოვლინებოდა კაცობრიობას. თურმე ჰოროსკოპებმაც უჩვენს მას, რომ ეს 1941 წელს უნდა მომხდარიყო... იმასაც წერენ, ოჯახური უსიამოვნება ჰქონდაო და, ვინ იცის, კიდევ რამდენ რამეს იგონებენ, მაგრამ გარკვევის ნაცვლად ამით საკითხს უფრო აბნელებენ. დოკუმენტები კი მაინც საკმაო სიცხადით ღაღადებენ ამ „მრავალი სატკივრის ამშლელი საქმის“ თაობაზე...

... რუდოლფ ჰესი კარგა ხანს ემზადებოდა ამ საიდუმლო ოპერაციისათვის. იგი სწავლობდა თვითმფრინავის მართვასა და საპარაშუტო ხელოვნებას. ეს რომ შეუმჩნეველი დარჩენილიყო, მეტწილად ღამით ვარჯიშობდა. ყოველივე ეს იცოდნენ მისმა ადიუტანტებმა და მდივანმა ქალმა, რომელნიც დაკითხულ იქნენ ნიურნბერგში. გამოირკვა, რომ „საფრენოსნო წერთნით გატაცებული“ ჰესი იმავე დროს გულმოდგინედ იზეპირებდა ინგლისურად ბრიტანეთის მთავრობასთან მოლაპარაკების პირობებს, ალბათ, ჰიტლერის მიერ მიცემულს, თორემ სხვა რა უნდა იფიქროს აქ კაცმა: ხომ არ შეიძლება საკუთარი შეხედულებები „ეზეპირებინა“ მას ინგლისში გაფრენის წინ. გარდა ამისა, ჰესს თურმე შედგენილი ჰქონდა იმ პირთა სია, ვინც მას ამ საქმეში გამოადგებოდა, სახელდობრ, ესენი იყვნენ: ლორდი ჰამილტონი, ბანკის დირექტორი ნორმან მონტეგიუსი, გეოპოლიტიკოსი ჰაუსჰოფერი, ლედი რობერტსონი,

ლორდი რანსიმენი, სამუელ ჰორი, გრაფი ბერნადოტი, იაპონელი პრინცი ციციბუ, მწერალი კნუტ ჰამსუნი და სხვ.

გასაფრენად თვითმფრინავის მომზადებაში მას დიდი დახმარება გაუწია ცნობილმა ავიაკონსტრუქტორმა და მრეწველმა ვილი მესერშმიდტმა. ჰესი სწორედ მასთან ჩავიდა აუგსბურგში და სთხოვა თვითმფრინავ-გამანადგურებელი „მესერშმიდტ-110“, ვითომდა „საბრძოლო მონაცემების“ გასასინჯად. მესერშმიდტს არ უნდოდა ეს, მაგრამ ჰესმა დააძალა, მე როგორც ჰიტლერის მოადგილეს, მაქვსო ამის უფლება, და ისიც იძულებული გახდა დათანხმებულიყო.

სავარჯიშო ფრენის დროს ჰესი დარწმუნდა, რომ ამ თვითმფრინავის მოქმედების რადიუსი და რადიომოწყობილობა ვერ უზრუნველყოფდა იმ მიზანს, რაც მას ჰქონდა განსახორციელებელი. ამიტომ, „საერთო ინტერესის“ საბაბით, სთხოვა მესერშმიდტს დაედგა დამატებითი ბაკი ბენზინისათვის და გაეუმჯობესებინა რადიოდანადგარი, რაც მოკლე ხანში იქნა შესრულებული. ასე და ამრიგად, ჰესმა მიიღო სპეციალურად მისთვის გამზადებული თვითმფრინავი, რომელსაც შეეძლო გერმანიის აეროდრომიდან შოტლანდიამდე მიეღწია...

გაფრენის წინ მან წერილი დაუტოვა თავის მდივანს ჰიტლერისათვის გადასაცემად... ეს წერილი თურმე ასე იწყებოდა: „ჩემო ფიურერ, როცა თქვენ ამ წერილს მიიღებთ, მე უკვე ინგლისში ვიქნები“... წერილში იგი „აცნობდა“ ჰიტლერს ინგლისში თავისი გაფრენის მიზანს...

... 1941 წლის 10 მაისს ჰესი აუგსბურგის აეროდრომზე ჩაჯდა თვითმფრინავ „მესერშმიდტ-110“-ში, როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებია ვარჯიშის დროს, და ბედის კვერის საძიებლად კურსი ინგლისისაკენ აიღო... თვითონ ჰესი ამბობდა, რომ ეს მისი მეოთხე ცდა იყო: პირველი სამი უშედეგოდ დამთავრდაო ცუდი ამინდის გამო.

ორი საათის შემდეგ სახმელეთო მზვერავებმა ბრიტანეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ნორტუმბელენთან, გერმანული თვითმფრინავი შენიშნეს და ეს მაშინვე აცნობეს სარდლობას. ამან საერთო გაოცება გამოიწვია, რადგან ყველა დარწმუნებული იყო, რომ არც ერთი ტიპის გერმანულ თვითმფრინავს

არ შეეძლო ასე შორს გაფრენა და ისევ უკან დაბრუნება. ამიტომაც იფიქრეს, მზვერავები შეცდნენო, თუმცა მეთვალყურეობის გაგრძელების განკარგულება მაინც გასცეს.

ჰესი კი ამ დროს ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე მიფრინავდა შოტლანდიისაკენ. 22 საათსა და 40 წუთზე მან მიაღწია მიზანს — ლორდ ჰამილტონის მამულს. ახლა საჭირო იყო გადმოხტომა და პარაშუტით დაშვება. თვითმფრინავის დასმა მას არ შეეძლო, რადგან იქ აეროდრომი არ იყო, და თანაც ამ „საიდუმლო გამანადგურებელს" მტერს ხომ ხელთ ვერ ჩაუგდებდა. ჰესმა თვითმფრინავი ცალ მხარეს ააყირავა და გამორთო მოტორი, რომ პროპელერების მოძრაობა გაჩერებულიყო, თორემ გადმოხტომის დროს ჰაერის ტალღა სულ ნაფლეთებად აქცევდა მას. მერე, როცა თვითმფრინავმა ინერციით დაიწყო სრიალი ჰაერში, ჰესმა თასმები შეიხსნა და კაბინაც გაიღო, მაგრამ ჰაერის მოწოლა მაინც ისე ძლიერი იყო, რომ განძრევაც ვერ მოახერხა. საქმე ის იყო, რომ აუგსბურგში იგი პარაშუტიდან ხტომაში სხვა თვითმფრინავით ვარჯიშობდა, ამ სწრაფმავალი გამანადგურებლიდან გადმოხტომა კი ერთხელაც არ უცდია, არც უკითხავს ვინმესთვის, თუ როგორ უნდოდა ეს. რამდენჯერმე კი სცადა წამოწევა და გადმოხტომა, მაგრამ საჰაერო ტალღამ უკანვე მიაჯაჭვა კაბინას. თვითმფრინავი კი უკვე იწყებდა ვარდნას. კატასტროფა რომ აეცდინა, ჰესმა მოტორი ისევ ჩართო და გეზი სიმაღლისაკენ აიღო. მერე უცებ გენერალ გრაიმის ნათქვამი მოაგონდა: ასეთ შემთხვევაში საჭიროა თვითმფრინავის ზურგზე გადაბრუნება, რომ პილოტი გამოვარდეს კაბინიდანო. ეს კი გაახსენდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ჰესი უმაღლესი პილოტაჟის ყველა სხვა ხერხს ფლობდა, ეს კი არ იცოდა. სხვა გზა რომ მაინც არა ჰქონდა, ინსტინქტურად მოსწია საჭეს, მაგრამ ერთ ჭირს მეორეც ზედ დაერთო: ნაცვლად იმისა, რომ თვითმფრინავი გადაბრუნებულიყო, მრუდედ მოუხვია და ბზრიალასავით დატრიალდა. კატასტროფა ახლოვდებოდა. ასეთ მდგომარეობაში კიდეც რომ გადმომხტარიყო, სულერთია, დაიმსხვრეოდა... მართალია, საჰაერო ტალღას ამ შემთხვევაში ცენტრიდანული ძალა ანელებდა, მაგრამ დაწოლა მაინც ისე ძლიერი იყო, რომ თვალთ დაუბნელდა და მის წინ თითქოს წითელმა რგოლებმა

იწყეს ტრიალი. მერე გრძნობაც დაკარგა და... გონს მაშინ მოეგო, როცა რამდენიმე წამის შემდეგ ცივი ჰაერის მძლავრი ტალღა მოხვდა. დაყოვნება უკვე აღარ შეიძლებოდა. კიდევ რამდენიმე წამი და თვითმფრინავი მიწას დაენარცხებოდა... რაც შეეძლო, ძალ-ღონე მოიკრიბა და გადმოხტა. მერე რგოლიც მოქაჩა... პარაშუტი გაიშალა და, „მე უკვე მივფრინავდი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის გუმბათქვეშო", წერდა იგი თავის მეუღლეს...

... ინგლისელმა მზვერავებმა მაშინვე აცნობეს თავიანთ შტაბს, რამდენიმე წუთის წინ გერმანული თვითმფრინავი ჩაწოვარდა და დაიწვა შოტლანდიაში, სოფელ ინგშლემთან.

ამ სოფლის მცხოვრებნი, მათ შორის ფერმერ დევიდ მაკლინის ოჯახის წევრები, ის-ის იყო დაწოლას აპირებდნენ, რომ იქაურობა მძლავრი აფეთქების ხმამ შეაზანზარა. მანამდეც ესმოდათ თვითმფრინავის გუგუნი, რომელიც ერთხანს ტრიალებდა მათ თავზე, მაგრამ ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევიათ. ახლა კი, გაიგონა თუ არა აფეთქების ხმა, დევიდ მაკლინი გარეთ გამოვარდა და, აი, რა დანახა: ძირს დანარცხებული თვითმფრინავი იწვოდა, ხოლო ზევიდან პარაშუტით ეშვებოდა ვიღაც. შეშინებული მაკლინი ეცა ზვინს, ამოაძრო ფიწალი და ამნაირად „შეიარაღებული" გაექანა შემთხვევის ადგილისაკენ.

მისი მისვლა და პარაშუტისტის დაშვება ერთი იყო. დაცემის დროს ჰესი ერთი-ორჯერ გადატრიალდა და ფეხი იღრძო. მაკლინი მიეხმარა მას პარაშუტის მოხსნაში.

— მე ლორდ ჰამილტონის სასახლეს ვეძებ, თუ კარგად მახსოვს, ეს მისი მამულია, — უთხრა ჰესმა მაკლინს.

— დიახ! — უპასუხა მაკლინმა.

— შეგიძლიათ თუ არა მიმიყვანოთ მასთან. მე ჩამოვიტანე მეტად სერიოზული ცნობები ბრიტანეთის ავიაციისათვის. ნუ გეშინიათ, მარტო ვარ, თანაც უიარაღო!

მაკლინმა ჰესი ჯერ შინ მიიყვანა და ჩაი შესთავაზა.

— არა, მე ასე გვიან არ ვსვამ ჩაის, — მიუგო ჰესმა.

მასპინძელმა რომ სახელი და გვარი ჰკითხა, კაპიტანი ალფრედ ჰორნი ვარო, უპასუხა. ამასობაში მეზობლებიც მოვიდ-

ნენ. ვილიამსონსა და კლარკს ხელში ძველი, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომისდროინდელი, პისტოლეტები ეჭირათ. აქაოდა, გერმანელი პილოტი ჩავიგდეთ ტყვედო, ფრთხილობდნენ. როცა ჰესი სამხედრო ბანაკ „მერიჰილში“ მიჰყავდათ, წინ და უკან ვილიამსონი და კლარკი მიჰყვებოდნენ ამ ჟანგმოდებული პისტოლეტებით.

ბანაკში ერთი აურზაური ატყდა ასეთი მოულოდნელი „სტუმრობის“ გამო. ვიდრე სარდლობას მოახსენებდნენ, ჰესს ჩამოართვეს დოკუმენტები, ფოტოაპარატი, კარლ და ალბრეჰტ ჰაუსჰოფერების სადარბაზო ბარათები, რაღაც წამლები, და პატარა შვილის სურათი. შემდეგ როგორც „სამხედრო ტყვეს“ ბანაკის საგუშაგოს ერთი პატარა ოთახი მიუჩინეს ბინად.

„კარგ ცხოვრებას“ მიჩვეულმა ჰესმა ეს იუკადრისა:

— მე გერმანელი ოფიცერი ვარ, როგორ მკადრებთ ამას!

— შედი შიგ, ბევრს ნუ ლაპარაკობ! — დაუქნია დაჟანგული რევოლვერი კლარკმა და კარი მიუხურა...

... ის ღამე ჰესმა საგუშაგოში თეთრად გაათენა. ამასობაში ლორდ ჰამილტონს აცნობეს „გერმანელ კაპიტან ალფრედ ჰორნის“ ამბავი. ჰამილტონმა რა იცოდა, თუ ვინ იყო ეს ჰორნი, და დილამდე თავი არ შეუწუხებია.

დილით 11 საათზე იგი მივიდა ბანაკში და ორი ოფიცრის თანხლებით შევიდა ჰესის „რეზიდენციაში“.

— მე თქვენთან განცალკევებით მინდა ლაპარაკი, — განუცხადა მას „ჰორნმა“. ჰამილტონის თხოვნით ოფიცრები ოთახიდან გავიდნენ.

ჰესმა სცადა მოეგონებინა ჰამილტონისათვის მათი შეხვედრის ამბავი ბერლინის ოლიმპიურ თამაშობებზე და განუცხადა, რომ იგი გერმანელი მფრინავი კაპიტანი ჰორნი კი არა, ჰიტლერის მოადგილე რუდოლფ ჰესია.

ჰამილტონი სახტად დარჩა. ამას მართლაც არ მოელოდა. ჰესი კი ახლა „სრულიად ოფიციალურად“ მიმართავდა მას:

— ფიურერს არ სურს ინგლისის დანგრევა. მას უნდა დაამთავროს ომი. ჩემი მეგობრის ალბრეჰტ ჰაუსჰოფერის გად-

მოცემით, თქვენ ის ინგლისელი ხართ, რომელიც თანაგრძნობით შეხვდებით ამ თვალსაზრისს. ფიურერი დარწმუნებულია, რომ გერმანია მოიგებს ომს ერთ, ორ ან სამ წელიწადში მაინც. მე კი მინდა ბოლო მოვუღო ამ უაზრო სისხლისღვრას.

ჰესმა „წინადადება მისცა“ ჰამილტონს შეკრიბოს პარტიების ხელმძღვანელები და გამოიმუშაონ ზავის პირობები, რისთვისაც, მისი აზრით, საჭირო იყო ინგლისს შეეცვალა თავისი ტრადიციული ანტიგერმანული პოლიტიკა, ხოლო მეფეს გადაეყენებინა ჩერჩილის მთავრობა, რომელთანაც მე ლაპარაკი არა მსურსო, დასძინა მან.

ჰესმა სთხოვა ჰამილტონს ეშუამდგომლა ინგლისის მეფის წინაშე პატიოსანი სიტყვის ჩამორთმევით გაეთავისუფლებინა იგი, რადგან ინგლისში სრულიად უიარაღოდ ჩამოვედი საკუთარი ნებითო. იმაზეც იზრუნა, ოჯახისათვის შეეტყობინებინათ, რომ მან მშვიდობიანად მიაღწია დანიშნულების ადგილამდე.

საერთოდ, ისე იქცეოდა, თითქოს ქვეყნის ბეგარა სწორედ მას აწვა ზურგზე. მაგრამ ლორდი ჰამილტონი არ იყო მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი და არც არავითარი პირობის მიცემა შეეძლო, გარდა იმისა, რომ ყოველივე ამას ვაცნობებო, „ვისაც ჯერ არს“...

... კვირა დღე იყო. ბრიტანეთის პრემიერი ჩერჩილი დიშლეიში ისვენებდა თავის მეგობრებთან. საპატიო სტუმარი და მისი მასპინძლები კინოფილმს უყურებდნენ ჰოლში. ეკრანზე უჩვენებდნენ რაღაც მხიარულ კომედიას. და სწორედ მაშინ, როცა ყველაზე სასაცილო ეპიზოდი იყო, შემოვიდა მდივანი და ჩერჩილს მოახსენა, ტელეფონზე სასწრაფოდ გთხოვთ ლორდი ჰამილტონიო.

— ლორდი ჩემი კარგი მეგობარი იყო, — წერს ჩერჩილი მემუარებში, — მაგრამ მე ვერ წარმომედგინა, რა საქმე უნდა ჰქონოდა ისე საჩქარო, რომ მისი გადადება არ შეიძლებოდა!

მდივანიც ასეთივე პასუხით გაისტუმრა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ იგი ისევ შემოვიდა და გაუმეორა, ჰამილტონი დაბეჯითებით გთხოვთ ახლავე დაელაპარაკოთ, რადგან საქმე

ძალიან საჩქაროა და მთავრობის გადაწყვეტილებას შოითხოვსო...

ჩერჩილი მივიდა ტელეფონთან, მოუსმინა ლორდ ჰამილტონს, მაგრამ საკუთარ ყურებს არ დაუჯერა.

— ამან ჩემზე სწორედ ისევე იმოქმედა, — წერს იგი, — თითქოს მე შემთხვევით გამეგო, რომ, ვთქვათ, ჩემი უახლოესი კოლეგა, საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი მოპარულ გამანადგურებელ „სპიტფაიერით“ გაქცეულიყო ბერჰტესგადენში!

კინოკომედიის ჩვენება შეწყდა. სამაგიეროდ იგი გაგრძელდა სინამდვილეში. ჩერჩილმა განკარგულება გასცა:

1. ბატონი ჰესი როგორც სამხედრო ტყვე გადასცენ არა შინაგან საქმეთა, არამედ სამხედრო სამინისტროს.

2. დროებით მოათავსონ იგი სადმე ლონდონს ახლო, შესაფერის შენობაში, სრულიად იზოლირებულად და მისცენ საშუალება გამოთქვას თავისი შეხედულებანი და განზრახვანი.

3. იზრუნონ კარგ მოპყრობაზე, ჯანმრთელობაზე, უზრუნველყონ კვებით, მისცენ წიგნები, საწერ-კალამი, დაასვენონ. ამასთანავე არაეინ შეუშვან მასთან საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვის გარეშე. აკრძალონ რამე ცნობის გამოქვეყნება პრესაში და, საერთოდ, მოექცნენ ჰესს ისე, როგორც ტყვედ ჩავარდნილ არმიის სარდალს.

ვიდრე „შესაფერის ბინას“ მოუძებნიდნენ, ჰესს ერთხანს ტაუერში ალესვინეს ციხის კედლები. იგი პროტესტს აცხადებდა, როგორც ტყვეს რატომ მექცევითო. ეს ისეა, ხაფანგში გაბმულ მელას რომ ჰკითხეს, თავი საით გიყოთო და.... საქათმისკენო. ჰესს ეგონა, ინგლისში გულის კარს გაუხსნიდნენ და დიდი პატივისცემით მიიღებდნენ, ნამდვილად კი ბებურას ბადეში გაება. ჩერჩილმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა რა კაცობის ბეჭედიც ეკრა ჰესს შუბლზე და ამიტომაც გასცა განკარგულება, რომ მიეღოთ იგი როგორც ტყვე და პოლიტიკური დამნაშავე.

სამი დღის შემდეგ ჰესი ცალკე ბინაში მოათავსეს და გაძლიერებული დაცვა მიუყენეს...

...პირველი, ვინც ჰესი ინახულა, არმიის ექიმი ჯ. ნ. რიიზი იყო. იფიქრეს. ჰიტლერის მოადგილე ამ გახურებული ომის

დროს ინგლისში რომ გამოფრინდა, იქნებ მართლა გიჟი იყოსო, და ფსიქიატრი გაუგზავნეს. ჰესთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ რიიზიმ მოხსენებითი ბარათი წარუდგინა ჩერჩილს. ძნელი გასარჩევია, ჰესის ნაამბობში რაა მართალი და რა — პოლიტიკური სიმულაციის მიზნით თუ „ტაქტიკური მოსაზრებით“ მოგონილი. ეს კია, რომ მას რიიზისათვის უთქვამს:

— მე ძლიერ აღმაშფოთა ლონდონზე საჰაერო თავდასხმებმა გასული წლის შემოდგომაზე. იმის გრძნობა, რომ ეხოცებოდნენ დედები და პატარა ბავშვები, შემაძრწუნებელი იყო ჩემთვის. ასეთი გრძნობა კიდევ უფრო მიძლიერდებოდა, როცა ჩემს ცოლსა და პატარა ბიჭს ვუყურებდი. ამან მაფიქრებინა გამოვფრენილიყავი ინგლისში და დამეწყო საზავო მოლაპარაკება რომელიმე მძლავრ ანტიმეომრულ პარტიასთან...

ჰესს თავი ისე ეჭირა, თითქოს მართლაცდა „მშვიდობის მოციქული“ ყოფილიყოს. როგორც ჩანს, ეს ზღაპარი ბევრმა დაიჯერა. დღემდე წერენ, რომ ინგლისში ჰესის გაფრენის მიზანი „მშვიდობის აღდგენა“ იყოო. უფრო გვიან საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავარი სამხედრო დამნაშავე ჰესი, რომელსაც შუდმივი პატიმრობა მიესაჯა, ნობელის პრემიაზეც კი იქნა წარდგენილი...

ქვევით ჩვენ ვნახავთ, მართლაც ასეთ „მშვიდობის ანგელოზად“ მოევლინა ჰესი ინგლისს თუ არა...

არჩევანი და არადანი...

გერმანიაში ჰესის გაფრენას არავითარი აურზაური არ გამოუწვევია. „ღელავდნენ“ მხოლოდ ჰიტლერი და მისი კოლეგები. ხალხი კი გულგრილად უყურებდა ამ პოლიტიკურ ტრიუკს. ამბობენ, ჰიტლერს ცნობა ჰესის „გაქცევის“ შესახებ მაშინ მიუვიდა, როცა იგი, ჩვეულებისამებრ, ბუხართან იჯდა და გერინგსა და კაიტელს ებაასებოდაო. იქვე იყო სტენოგრაფისტი ჰენრიხ პიკერი, რომელსაც აღწერილი აქვს ეს სცენა. როცა ისინი „პოლიტიკურ თემებზე მუსაიფით“ იყვნენ გართული, შემოვიდა ჰიტლერის ადიუტანტი ლორენცი და მოახსენა,

ჰესი ინგლისში გადაფრინდაო. ჰიტლერს ვითომ მორიგ ისტერიამ მოუარა, ავარდ-დავარდა, იყვირა, იჩხავლა და, რ ცა ცოტათი დამშვიდდა, განკარგულება გასცა დაეპატიმრებ ნათ ჰესის ადიუტანტები და მდივნები.

პიკერი წერს:

— ჰიტლერსა და გერინგს იმედი ჰქონდათ, რომ ჰესი თვითმფრინავი დაიღუპებოდა. მათ აკრძალეს ყოველგვარ ცნობის გამოქვეყნება და უცდიდნენ შედეგს. ორიოდე დღ შემდეგ კი ინგლისის რადიომ მთელ ქვეყანას მოსდო ჰესი ინგლისში ჩაფრენის სენსაციური ამბავი. გაჩუმება უკვე აღ შეიძლებოდა და ასეთი ოფიციალური ცნობა იქნა გამოქვეყ ნებული:

„ჩვენი პარტიის წევრმა ჰესმა, რომელსაც ფიურერმ ავადმყოფობის გამო, რაც თანდათან სულ უფრო მძიმე ფორ მას იღებდა, სასტიკად აუკრძალა ფრენა, უკანასკნელ პერ ოდში, ამ აკრძალვის მიუხედავად, მაინც სცადა თვითმფრინ ვის მართვა. 10 მაისს ივი გაფრინდა აუგსბურგიდან და დღემ დე არ დაბრუნებულა. დატოვებული წერილის აბდაუბდა ში ნაარსი სულიერი დეპრესიის მანიშნებელია. შესაძლო რომ იგი იქცა თავისი შლეგური განზრახვის მსხვერპლად ფიურერმა გასცა განკარგულება დაუყოვნებლივ დაეპატიმ რებინათ ჰესის ადიუტანტები, რომელთაც იცოდნენ ყოველ ვი ეს, რამდენადაც ისინი გაფრთხილებული იყვნენ, რომ ჰეს აკრძალული აქვს ფრენა, მაგრამ ამის მიუხედავად არ მოახს ნეს ფიურერს და ხელი არ შეუშალეს ჰესის გაფრენას.

ასეთ გარემოებაში ნაციონალ-სოციალისტურმა მოძრაო ბამ, სამწუხაროდ, უნდა ირწმუნოს ფაქტი, რომ ჩვენი პარტ ის წევრი რუდოლფ ჰესი თვითმფრინავიანად ჩამოვარდა სად მე და დაიმსხვრა“.

მართალია, ამ განცხადების მიხედვით ვერავინ მიხვდებო და თავი როგორ მოება ბოლოსათვის, მაგრამ ის კი ცხადი იყო რომ ჰიტლერმა წყალში კუდის დასამალავად ჰესი მაშინვ ამოირეცხა გულიდან და მისი სახსენებელიც ამოკვეთა ნაციო ნალ-სოციალისტური მოძრაობის ისტორიიდან. ფიზიკურ მოსპობითაც ემუქრებოდა, მაგრამ, ვინაიდან დამნაშავე ხელ არ ჰყავდა, ჯოხი მის ადიუტანტებს გადაატეხა. ვილი მესერ

შმიდტსაც, ალბათ, იგივე მოელოდა, რადგან ჰესმა სწორედ მისი დახმარებით „მოიწყო თავისთვის“ თვითმფრინავი ინგლისში გასაფრენად...

...ამ საღამოს მესერშმიდტი ინსბრუკის ერთ-ერთ რესტორანში ვახშმობდა, როცა ჰესის გაფრენის ამბავი შეატყობინეს. რამდენიმე ხნის შემდეგ გერინგმაც დაურეკა და ეუბრძანა დაუყოვნებლივ ჩაფრენილიყო მიუნხენში მასთან შესახვედრად.

მეორე დილით მესერშმიდტი შეხვდა გერინგს მიუნხენის სადგურზე, სადაც რაიხსმარშლის სალონ-მატარებელი გაჩერდა. გერინგმა შეხვედრისთანავე მარშლის კვერთხი ატაკა მას მუცელში და დაუღრიალა:

— ვიდრე ეს თქვენი ზრუნვის საგანია, ყოველ ვიგინდარას შეუძლია აქედან გაფრინდეს თვითმფრინავ „მესერშმიდტით?“

— კი მაგრამ ჰესი არ იყო „ყოველი ვიგინდარა“, — მიუგო მესერშმიდტმა. გერინგი უცებ დაცხრა.

— ასეა თუ ისე, უკეთ უნდა მიგეხედათ საქმისათვის, ვიდრე ამნაირ კაცს თვითმფრინავს მისცემდით! — უთხრა გერინგმა დაწყნარებულად, მაგრამ მესერშმიდტმა არც ეს შენიშვნა მიიღო:

— თქვენ რომ მოგემართათ ჩემთვის და გეთხოვათ თვითმფრინავი გამოსაცდელად, მე რა, ჯერ ამის შესახებ ფიურერისათვის უნდა მეკითხა?

ამაზე გერინგი ისევ აიმრიზა და ხმას აუწია:

— ეს სხვაა, მე ავიაციის მინისტრი ვარ!

— დიახ, მაგრამ ჰესი ფიურერის მოადგილეა! — შეეპასუხა მესერშმიდტი.

— თქვენ მაინც უნდა შეგემჩნიათ რომ ჰესი გიჟია, — დასძინა გერინგმა.

— როგორ შემეძლო მეფიქრა, — მიუგო ამაზე მესერშმიდტმა, — რომ მესამე იმპერიაში გიჟს შეუძლია ეკავოს ასეთი მაღალი თანამდებობა?!

გერინგს სიცილი აუტყდა.

— თქვენ გამოუსწორებელი ვინმე ხართ, მესერშმიდტ!

წადით შინ და განაგრძეთ თქვენი თვითმფრინავების გამოშვება, — დაუყვავა მან ბოლოს ცნობილ ავიამრეწველს, რომლის წინაშე ასე დავალებული იყო გერმანიის ავიაცია. ესეც რომ არ ყოფილიყო, გერინგი თვალთმაქცურად შმაგობდა, თორემ ჰესი დასანახავად ეჯავრებოდა. გუნებაში კიდევაც უხაროდა მისი გაფრენა, რადგან ამით მეტოქე ჩამოშორდა და თვითონ იქცა „იმპერიის მეორე კაცად", ანუ „დიდ ვეზირად", როგორც მაშინ წერდნენ...

გერინგს ჰიტლერმა დიდი პატივი დასდო, თავის მომაგიერედ რომ დანიშნა, მაგრამ უზომოდ პატივმოყვარე რაიხსმარშალს ის მაინც ვერ მოენელებინა, „ყოველ შემთხვევისათვის" თვითონ მის შემცვლელად ჰესი რომ დაამტკიცა. უთხრა კიდეც ჰიტლერს, რად გინდოდათ, ის კაცი რომ ჩემ მემკვიდრედ დანიშნეთო. თუმცა თქმას რა აზრი ჰქონდა, როცა ასეთ შემთხვევაში არჩევანი ყოველთვის ჰიტლერისა იყო, არადანი კი — სხვისი, თუნდაც გერინგისა. ფიურერმა ახლაც ეს არადანი მიაჩეჩა თავის რაიხსმარშალს:

— ამას რა მნიშვნელობა აქვს? ვიდრე მე ვიქნები, შემცვლელი საჭირო არ იქნება, და თუ მე არ ვიქნები, მაშინ თქვენ როგორც ფიურერს შეგიძლიათ, ვინც გინდათ, ის დაინიშნოთ...

... ჰესი უკვე შორს იყო და მისი „მემკვიდრეობის საკითხიც" თავისთავად მოიხსნა... პროცესზე კი გერინგი და ჰესი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. გერინგმა აქაც „აჯობა" თავის მეტოქეს: იგი საბრალდებო სკამზე იჯდა როგორც სამხედრო დამნაშავე № 1, ჰესს კი № 2 მიეკუთვნა. ვიდრე ისინი ცალკე კამერებში იყვნენ, გერინგი სულ კითხულობდა, „ის გიჟი ჰესი" როგორ არისო. თან ირონიულად ეცინებოდა, რადგან, ცხადია, ჰესის „სიგიჟე" არც მას სჯეროდა. შემდეგ კი, როცა ჰესი სწორედ მის გვერდით დასვეს, ერთხანს ამრეზილად უყურებდა მას. არც ჰესს მიუქცევია „იმ სქელი ჰერმანისათვის" ყურადღება, ვიდრე ენას აიხსნიდა და სიგიჟის სიმულაციას თავს დაანებებდა. ამის შემდეგ გერინგმაც მოიბრუნა ჰესისაკენ გული და მეგობრული საუბარი გააბა მასთან...

ყოველივე ეს ცუდად დადგმულ ფარსს ჰგავდა. ყველამ იცოდა, რომ გერმანიაში გიჟად გამოცხადებული ჰესი ნაცისტური პოლიტიკის თვალსაზრისით სრულიად ნორმალურ მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისის მთავრობასთან. ჰამილტონისა და რიიზის შემდეგ — 13, 14 და 15 მაისს — მას საუბარი ჰქონდა ინგლისის საელჩოს ყოფილ პირველ მდივანთან ივონ კირკპატრიკთან, რომელიც ინკოგნიტოდ, შეცვლილი გვარით, წარდგა მის წინაშე. არც ეს იყო „გიჟის“ საუბარი ვიღაცასთან, არამედ ორი მეომარი მხარის ოფიციალურ წარმომადგენელთა შეხვედრა და ისიც საკმაოდ მაღალ დონეზე. ჰესი უმტკიცებდა კირკპატრიკს, რომ გერმანია მართალი იყო ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის წინააღმდეგ მოქმედებაში. ამასთანავე თავი ქედმაღლურად ეჭირა. ევროპის პოლიტიკის კრიზისში იგი ბრალს ინგლისსა და საფრანგეთს სდებდა. ომის დაწყების მიზეზადაც ინგლისი მიაჩნდა. ჰესის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ მან სრულიად დაივიწყა მიუნხენი. საფრანგეთს ჩეხოსლოვაკია თავის ბაზად უნდოდა ექცია გერმანიის წინააღმდეგო, განაცხადა. მერე, როცა დასჭირდა, ისევ დიდი მოწონებით მოიხსენია ინგლისის როლი მიუნხენის შეთანხმებებში, თუმცა ამან ხელი როდი შეუშალა, რომ ლაპარაკის აგდებულ ტონსა და აშკარა მუქარაზეც გადასულიყო. იგი ცდილობდა დაეშინებინა ინგლისის მთავრობა.

— თქვენი ქალაქების დაბომბვა მხოლოდ საწყის სტადიაშია, — უთხრა მან კირკპატრიკს, — მაგრამ იცოდეთ, რომ საჰაერო თავდასხმები დღითი დღე გაძლიერდება. ჩვენ უამრავ თვითმფრინავსა და წყალქვეშა ნავს ვაგებთ. რესურსებიც გამოულეველი გვაქვს. ყოველივე ეს და ფიურერის ურყევი რწმენა ჩვენი გამარჯვების უტყუარი საწინდარია.

გაოცებული კირკპატრიკი უსმენდა ჰესის ამ სიტყვებს. ის კი სულ უფრო და უფრო შედიოდა როლში:

— პირადად მე მაინც შეწუხებული ვარ ხანგრძლივი ომის პერსპექტივებით, ამიტომაც გამოვფრინდი ინგლისში. მინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენ ამ ომს ვერ მოიგებთ, და გთავაზობთ ზავს. ფიურერს არა აქვს მტრული განზრახვები ინგლისისადმი, ენანება კიდეც მისი ქალაქები დასანგრევად.

მერე ჰესმა სცადა უთანხმოება ჩამოეგდო ინგლისსა და ამერიკას შორის. ესეც შორს გამიზნული ფანდი იყო. მაშინ ჰიტლერელებს ეშინოდათ ინგლის-ამერიკის ჯერ არარსებული კოალიციისა.

— ხარბი ამერიკა, — თქვა ჰესმა, — წაიღებს კანადას. ვერც ჩვენ მოვრიგდებით ამერიკელებთან, რადგან მათ სძულთ გერმანია. ინგლისელების მიმართ კი არავითარი დაპყრობითი პრეტენზიები არა გვაქვს.

როცა კირკპატრიკმა ზავის პირობების შესახებ ჰკითხა, ჰესმა თქვა:

— ინგლისმა უნდა მოგვცეს მოქმედების თავისუფლება ევროპაში. ჩვენ კი უზრუნველვყოფთ მის თავისუფალ მოქმედებას დიდი ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში, ოღონდ იმ პირობით, თუ ინგლისი დაგვიბრუნებს ჩვენს ძველ კოლონიებს.

კირკპატრიკს თითქოს მტკივნეულ ადგილზე შეეხენ, ისე არ ესიამოვნა კოლონიების ხსენება. ჰესს მომზადებული ჰქონდა „კომპრომისული“ წინადადებაც: თუ აუცილებელი არ იქნებოდა, არ დაესვა ეს საკითხი.

ჯერ კი ამჯობინა ასეთი ჩანგალიც გადაეგდო. კირკპატრიკს ის აწუხებდა, გერმანია თუ აპირებს საბჭოთა კავშირთან ომსო, და, რაკი ჰესმა მოქმედების თავისუფლება ითხოვა ევროპაში, ეშმაკურად იკითხა, ჰიტლერი რუსეთს ევროპას მიაკუთვნებს, თუ აზიასო. არც ჰესი იყო ნაკლები ეშმაკი.

— რა თქმა უნდა, აზიას, — გაახელა მან ინგლისელი დიპლომატი.

კირკპატრიკს უცებ ცივი წყალი გადაესხა, გამოფხიზლდა და ყოველგვარი დიპლომატიური ორჭოფობის გარეშე დაუმიზნა:

— მაშინ ამ პირობების მიხედვით გერმანია თავს ვერ დაესხმის რუსეთს.

ჰესმა დაამშვიდა იგი:

— გერმანიას რუსეთის მიმართ აქვს თავისი პრეტენზიები, რომლებსაც ის დაიკმაყოფილებს მოლაპარაკების ან ომის გზით.

კირკპატრიკისათვის ეს საკმარისი იყო. იგი ახლა იტალიის საკითხს გადასწვდა:

— რა მიზნები აქვს იტალიას?

— არ ვიცი, — აარიდა თავი პასუხს ჰესმა.

— ეს მნიშვნელოვანი საკითხია, — არ მოეშვა კირკპატრიკი. ალბათ ეშინოდა, იტალიამ ცალკე არ წამოგვიყენოს განსხვავებული პირობებიო.

ჰესმა იცოდა, მუსოლინის რომ მთელი ხმელთაშუა ზღვის „იტალიის ტბად" გადაქცევა უნდოდა, მაგრამ მაინც სცადა თავი აერიდებინა პირდაპირი პასუხისათვის:

— იტალიის პრეტენზიები არ იქნება გადამწყვეტი, — თქვა მან.

— იტალიას არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს, — კატეგორიულად მოუჭრა კირკპატრიკმა, — რადგანაც არც მას უნდოდა სხვებთან გაწილადებული გამარჯვება.

ამაზე იტყვიან: ხაფანგში გაბმული მელია იძახდა, თუ მთელ ქათამს არ მომცემთ, ბარკალს არ დავჯერდებიო!

ეს იგივე ჰესსაც ეხებოდა და კირკპატრიკსაც...

— იტალიამ დიდი სამსახური გაუწია გერმანიას, — არ დანებდა ჰესი.

მან მოხერხებული თანამიმდევრულობა გამოიჩინა. როცა საუბარი შეწყდა და კირკპატრიკი მიდიოდა, ვითომ სხვათა შორის თქვა:

— ჰო, კინაღამ დამავიწყდა. ფიურერს არ სურს ინგლისის ახლანდელ მთავრობასთან ლაპარაკი, ამიტომ ეს პირობები განხილულ უნდა იქნეს ახალ მთავრობასთან.

კირკპატრიკს თმა ყალყზე დაუდგა:

ეს ნამდვილი თავხედობა იყო. ჰესი ინგლისში ზავის სათხოვნელად ჩაფრინდა და მთავრობის გადადგომა კი მოითხოვა. აქაც ჰიტლერის უზომო პატივმოყვარეობამ იჩინა თავი. მართლაცდა, საკვირველი არ არის: მოლაპარაკებისა და ზავის პირობად ვის მოუთხოვია მთავრობის გადადგომა?! ეს ხომ საფუძველშივე სპობდა შეთანხმების შესაძლებლობას. ამას მიხვდა კირკპატრიკი, მაგრამ მაინც მოახსენა ჩერჩილსა და ლორდ ჰალიფაქსს ყოველივე...

... მეორე დღეს ისინი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ჰესმა უკმაყოფილება გამოთქვა, შესაფერისად არ მეპყრობიანო. მერე ითხოვა მიეცათ მისთვის რომანი „სამნი ნავში“. ესეც მისი უცნაური ქესტი იყო.

მეორე დღეს ჰესმა ახალი და ისიც სრულიად მოულოდნელი პირობა წამოაყენა: გერმანიას არ შეუძლია განსაცდელში დატოვოს ერაყი, ამიტომ ფიურერი მოითხოვს, რომ ინგლისელები წავიდნენ ახლო აღმოსავლეთიდანო. გაოცებულმა კირკპატრიკმა მხრები აიჩეჩა. ალბათ ვერ გაიგო, გერმანიას რა ხელი ჰქონდა ერაყზე, და ისე, მოიარებით უთხრა:

— გუშინ თქვენ მოითხოვდით მოქმედების თავისუფლებას ევროპაში. დღევანდელი თქვენი მოთხოვნა ამ ფარგლებს სცილდება.

მართლაც, ჰესის წარმოდგენით, ჰიტლერს შეეძლო ყველაფერი თავის ნება-სურვილზე ეტრიალებინა, მაგრამ ერაყს მაინც ვერ მიაკუთვნებდა ევროპულ სახელმწიფოთა რიცხვს. ცხადია, ჰესი ტყუოდა. მან კარგად იცოდა, გერმანიის დაპყრობითი გეგმები ევროპით რომ არ შემოიფარგლებოდა, თუნდაც საბჭოთა კავშირი მთლიანად ამ ფარგლებში ეგულისხმათ. ჰიტლერის გეგმები ძალიან შორს მიდიოდა და სწვდებოდა აზიასა და აფრიკას. ერაყი ამ მხრივ მნიშვნელოვან პლაცდარმად ჰქონდათ მიჩნეული. მე მაქვს ასლი ჰიტლერის საიდუმლო ბრძანებისა, რომელშიც ვკითხულობთ: „განმათავისუფლებელი მოძრაობა არაბთა ქვეყნებში ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა ინგლისის წინააღმდეგ. ამ მხრივ ერაყს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს“. შემდეგ დაწვრილებითაა აღწერილი ერაყის სტრატეგიული მნიშვნელობა და ნათქვამია: „მე გადავწყვიტე ვიმოქმედო ახლო აღმოსავლეთში ერაყზე დაყრდნობით“.

ბრძანებაში ისიცაა ნათქვამი, რომ გერმანიის მოქმედება ახლო აღმოსავლეთში დაკავშირებულია გეგმა „ბარბაროსასთან“. ჰიტლერი მიანიშნებს, რომ ფრჩხილები მთლიანად გაჯსწილი არ არისო და რომ „ბევრი რამ ცხადი გახდება მაშინ, როცა ეს გეგმა (საბჭოთა კავშირთან ომისა) მოქმედებაში შევა“. ბრძანებაში ჩამოთვლილია აგრეთვე, თუ რა სახის დახმარება უნდა გაეწიოს ერაყს. ამ დახმარების განსახორციელებ-

ლად სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის შტაბთან შეიქმნა კიდეც სპეციალური უწყება.

როცა ამგვარმა მოთხოვნებმა კირკპატრიკის პროტესტი გამოიწვია, ჰესი ისევ მუქარაზე გადავიდა. ჰიტლერივით თავგასული იყო და მასავით ფხამოპირული ლაპარაკი იცოდა. ჟანგიან სახეზე შავ ბუჩქებად ჩამოწოლილ წარბებს ზევით აზიდავდა, სადღაც ღრმად ჩამჯდარი წვრილი თვალებით ბერპეცად გამოიხედავდა, ლაპარაკის საღერღელს აიშლიდა და ენით ოქროს ავარაყებდა:

— თქვენ წარმოდგენილი არა გაქვთ, რამდენ წყალქვეშა ნავს ვაგებთ!.. ჰიტლერი საერთოდ ყველაფერს დიდი მასშტაბით აკეთებს. იგი უამრავ ახალი ტიპის თვითმფრინავს აშენებს. ინგლისთან ომს ჩვენ უეჭველად მოვიგებთ ბლოკადის გზით.

მუქარა ჰესმა ასე დაამთავრა:

— მე იმიტომ გადავწყვიტე აქ ჩამოფრენა, რომ თქვენთვის მომეცა მოლაპარაკების საშუალება. თუ თქვენ ამ შემთხვევას გაუშვებთ ხელიდან, ეს იმის მჭევრმეტყველური დადასტურება იქნება, რომ არ გინდათ ინგლისისა და გერმანიის შერიგება. და თუ ასეა, ჰიტლერი მაშინ ნებას მისცემს თავისთავს (მეტიც, ეს მისი პირდაპირი მოვალეობა იქნება) მთლიანად მოსპოს ინგლისი...

ასეთი ტონით ელაპარაკებოდა „მშვიდობის მოციქული" ჰესი დიდი ბრიტანეთის ოფიციალურ წარმომადგენელს...

...მესამე დღეს კირკპატრიკმა რატომღაც ირლანდიის საკითხიც დასვა.

— ირლანდია ფიურერს ერთხელაც არ უხსენებია, — უპასუხა ამაზე ჰესმა. მან აზრადაც ვერ აიღო, რატომ აღძრა კირკპატრიკმა ეს საკითხი.

შემდეგ საუბარი ამერიკას შეეხო. ჰესმა განაცხადა:

— ჩვენ ვვარაუდობთ ამერიკის ჩარევას ომში, მაგრამ ამისი არ გვეშინია. გერმანია უფრო მეტ თვითმფრინავს აგებს, ვიდრე ამერიკა და ინგლისი, ერთად აღებული. ისე, ჩვენ არავითარი გეგმა არა გვაქვს ამერიკის მიმართ. ფიურერის ინტერესები ევროპით შემოიფარგლება. მაგრამ, თუ ჩვენ ზავს

შევკრავთ თქვენთან, ვიცით, ამერიკა გაცოფდება, რადგან უნდა ინგლისი მოიგდოს ხელში.

აქ ჰესი ისევ შევიდა როლში და საქმე იმგვარად წარმოადგინა, თითქოს გერმანია ინგლისის ინტერესებზე ზრუნავდა:

— ჩემი აქ გამოფრენის მიზანი იყო ინგლისის პრესტიჟის შეულახავად დაგვეწყო საზავო მოლაპარაკება, — თქვა მან და ისევ მუქარაზე გადავიდა:

— თუ თქვენ უარს იტყვით ზავზე, მაშინ ჰიტლერს უფლება ექნება გაგანადგურო და დაგიმორჩილოთ...

... ამის შემდეგ „ვიღაცებს" კიდევ ჰქონდათ რამდენიმე საუბარი ჰესთან. ერთი ამ „ვიღაცათაგანი" იყო ინგლისის მაშინდელი ლორდ-კანცლერი ჯონ საიმონი. ერთხელ თურმე ჰიტლერმა ჰკითხა თავის ახლობელს: ვინ არის ეს საიმონი? გაიგეთ ებრაელია ის თუ არაო. „ებრაელმა" საიმონმა თავის მხრივაც დიდი ინტერესი გამოიჩინა „არიელი" ჰესის მისიისადმი. ომი საბჭოთა კავშირთან „მის გეგმებშიც" შედიოდა. ამიტომაც მოეფონა გულს ჰესის განცხადება, გერმანია აპირებს თავს დაესხას საბჭოთა კავშირსო. საიმონთან საუბრის დროს ესმა ახალი „გეოგრაფიული დოქტრინაც" წამოაყენა და ერთხელ კიდევ თქვა, ჰიტლერის ინტერესების სფერო ევროპით შემოიფარგლება, მაგრამ „ევროპაში" იგი საბჭოთა კავშირსაც გულისხმობსო. ეს კი მოეწონა საიმონს, თუმცა ჰესმა მაშინვე გაართულა მდგომარეობა. საიმონის კითხვაზე, აპირებს თუ არა ჰიტლერი ხელი აიღოს საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიასა და ნორვეგიაში დაპყრობილ ტერიტორიებზეო, მან კატეგორიულად განაცხადა: სადაც გერმანელები ერთხელ დაადგამენ ფეხს, იქიდან აღარასოდეს წავლენო.

ამას ამბობდა ჰიტლერი გერმანიაში და ამასვე იმეორებდა მისი „შეშლილი" ემისარი ინგლისში. ნათქვამია: რაც ჭკუას აკლდება, სიამაყეს ემატებაო. ჰესი ისე იყო გაამაყებული, რომ მაგიდას მუშტი დაჰკრა და დაემუქრა დიდი ბრიტანეთის ლორდ-კანცლერს:

— თუ ეს აქამდე არ შეუგნია ინგლისს, ადრე თუ გვიან დადგება დრო. როცა ის შეიგნებს ამას!

ჰესი დარწმუნებული იყო, რომ, რასაც ფიურერი მოიწადი-

ნებდა, ინგლისს მყისვე უნდა მიეცა მისთვის მხარი. ამიტომაც ყვიროდა ასე გათამამებული. ნათქვამია, ბრიყვი რომ ხმას აუწევს, ჭკვიანს გაეცინებაო. ჰესის თავხედობაზე თუმცა საიმონმა გული მოიყვანა, მაგრამ მაინც თავშეკავებული ირონიით უპასუხა:

— არა მგონია, რომ ეს საკმარისი არგუმენტი იყოს დიდი ბრიტანეთის მთავრობისათვის. ხომ იცით, ჩვენ მამაცი ხალხი ვართ და არაფრად ვაგდებთ მუქარას.

ეს თქვა და წავიდა...

გრძელი ტყუილის მოკლე ფეხები...

ამით დასრულდა ჰესის არცთუ ისე „არაოფიციალური" მოლაპარაკება დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლებთან. მისი მისია სეპარატული ზავის დადებისა ჩაიშალა. ინგლისელები, როგორც იქნა, დარწმუნდნენ, რომ ჰიტლერელებთან არავითარი შეთანხმება არ გამოუვიდოდათ. ამიტომაც მიანებეს თავი ჰესთან მოლაპარაკებას და ის „მშვიდობის ანგელოზი" ციხეში ჩასვეს.

ამის შემდეგ დაიწყო ჰესის „შეშლილობის" სიმულაცია. ინგლისელი ექიმი რიიზი სისტემატურ დაკვირვებას ახდენდა „თავის პაციენტზე". ნიურნბერგის პროცესზე იგი ამტკიცებდა:

— ბატონი ჰესი ციხეში „დევნის მანიამ" შეიპყრო: მას ეშინოდა, რომ ინგლისელები ებრაელების ჩაგონებით მომწამლავენ და გამოაცხადებენ თავი მოიკლაო. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა სტალინგრადის კატასტროფამდე, რის შემდეგ „დევნის მანია" ამნეზიაში გადაეზარდა. მან ორჯერ სცადა თავის მოკვლა (რაც რიიზის დასკვნითაც „ისტერიულ-დემონსტრაციული" ხასიათის მოვლენა იყო: ჰესმა მკერდის არეში დანით გაიფხაჭნა კანი, ეს იყო და ეს). მერე, გერმანელებმა რომ ახალი საზაფხულო შეტევები დაიწყეს, ამნეზია ისევ „დევნის მანიამ" შეცვალა...

ერთი სიტყვით, როცა გერმანელთა საქმე ასე თუ ისე კარგად მიდიოდა, ჰესი „დევნის მანიას" უჩიოდა, ხოლო როცა

მდგომარეობა უარესდებოდა, ამნეზიის სიმულაციას ეწეოდა და მეხსიერებას „აარგავდა“. თავიც ისე ეჭირა, თითქოს გამარჯვებული სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი ყოფილიყოს და არა სამხედრო ტყვე...

ამაზე იტყვიან, მელია მახეში გაება და თავი მოიმძინარა, სიზმარი იქნებაო. იგი ცდილობდა გამომძიებლებისათვის გზა-კვალი აებნია. ამიტომაც ურევდა ერთმანეთში „სიზმარსა“ და „ცხადს“, თანაც საკმაოდ ოსტატურად ეწეოდა „მეხსიერების დაკარგვის“ სიმულაციას...

... როგორც ჩანს, ასეთი ვერსია ინგლისელებსაც ხელს აძლევდათ: ისინი დაინტერესებული არ იყვნენ ბოლომდე გაემჟღავნებინათ „ჰესის საიდუმლოება“. ამიტომ იმ ოთხი წლის განმავლობაში, რაც ჰესი ინგლისის ციხეში იჯდა, არავითარი სასამართლო ძიება არ უწარმოებიათ. ომის დამთავრების შემდეგაც არავის შეუწუხებია იგი ჩადენილ დანაშაულობათა გამოძიებით. ამან საბჭოთა მთავრობის პროტესტი გამოიწვია. პოტსდამის კონფერენციაზე სტალინმა განაცხადა:

— გასაოცარია, რატომ ზის ჰესი დღემდე ინგლისში ყველათერ მზამზარეულზე და არ არის პასუხისგებაში მიცემული?!

— ჰესზე თქვენ ნუ სწუხართ, — მიუგო მას ინგლისის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ბევინმა. მაგრამ რაკი ასეთი კითხვებით მაინც „შეიწუხეს თავი“, იძულებული გახდა ეთქვა:

— ისე, თუ რამ ეჭვი გაქვთ ამაზე, მე შემიძლია პირობა მოგცეთ, რომ ჰესის საქმე სასამართლოს გადაეცემა...

მიუხედავად ამისა, კარგა ხანი გავიდა, ვიდრე 1945 წლის ნოემბრის დასაწყისში „მშვიდობის ანგელოზი“ ჰესი ნიურნბერგში ჩაიყვანეს, სადაც ერთხანს კიდევ განაგრძობდა სიმულაციას. საჭირო შეიქნა საერთაშორისო სამედიცინო კომისიის შექმნა იმის გამოსარკვევად, შეიძლებოდა თუ არა ჰესის გასამართლება.

გარდა საბჭოთა ექსპერტებისა, ამ კომისიაში შედიოდნენ ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი ექიმები. თუ გახსოვთ, ერთხელ უკვე გიამბეთ, რომ რაღაც მანქანებით მეც მომიხდა

ამ კომისიაში „მეხუთე ბორბალივით“ ტრიალი. შეძდგომ, ალბათ, უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ ამის შესახებ, ახლა კი მინდა გადმოგცეთ, თუ როგორ იქცეოდა ჰესი ნიურნბერგში. ჯერ ერთი, იგი უარს აცხადებდა სამედიცინო დახმარებაზე, ამბობდა, განაჩენის გამოტანის შემდეგ ვიმკურნალებო. როცა შეეკითხებოდნენ, მეხსიერება რატომ დაკარგეთ ან სხვა რა გაწუხებთო, ეს ექიმებმა უკეთ უნდა იცოდეთო, უპასუხებდა. ექიმები კი ზოგჯერ სრულიად განსხვავებულ დიაგნოზებს სვამდნენ... მხოლოდ საბჭოთა ექსპერტებმა გამოიტანეს გარკვეული დასკვნა:

— ყოველივე ეს ავადმყოფობით კი არ არის გამოწვეული, არამედ თავდაცვისათვის კეთდება, და მეხსიერების დაკარგვასაც ამიტომ უჩივისო,— განაცხადეს მათ და თან დასძინეს:— როგორც კი ამით არაფერი გამოუვა და საბრალდებულო სკამზე დასვამენ, ყველაფერი გაუვლისო...

ეს დასკვნა პირდაპირ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. 20 ნოემბერს დაიწყო სამსჯავროს სხდომები, 30 ნოემბრამდე კი ჰესი ისევ განაგრძობდა სიმულაციას. საერთაშორისო სამედიცინო კომისია განუწყვეტლივ სწავლობდა ამ საკითხს. ზოგიერთები მართლაც მოითხოვდნენ ძიების შეჩერებას, მაგრამ საბჭოთა ექსპერტები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ აზრს. შემდეგ მათ კომისიის ფრანგი წარმომადგენელიც შეუერთდა.

ხანგრძლივი დისკუსიის მერე კი, მართალია, მრავალი შენიშვნით, მაგრამ მაინც ამავე დასკვნამდე მივიდნენ ინგლისელი და ამერიკელი ექიმებიც, რის შედეგადაც გამოტანილ იქნა საერთო გადაწყვეტილება:

— ჩვენ, ქვემორე ამისა ხელისმომწერნი, ერთსულოვნად ვასკვნით, რომ რუდოლფ ჰესი ამჟამად არ არის სულით ავადმყოფი ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ეს „პირდაპირი გაგებით“ ინგლისელებმა შეიტანეს ოქმში, თუმცა ამით არაფერი შეცვლილა. 30 ნოემბრის დილის სხდომის შემდეგ საექიმო ექსპერტიზის დასკვნა განიხილა ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა. აქ საკმაოდ ვრცელი განცხადებით გამოვიდა ჰესის დამცველი რორშაიდი. იგი ისე გაცხარებით ლაპარაკობდა, რომ მთარგმნელები ველარ მიჰყვებოდნენ მას, რის გამოც ლოურენსმა გააფრთხილა უფ-

რო ნელა ელაპარაკა. დამცველმა ეს თითქოს გაითვალისწინა, მაგრამ ბოლოს მაინც სხაპასხუპით განაცხადა, რომ სამედიცინო კომისიების დასკვნის მიხედვითაც ჰესს არ შეუძლია „სრულყოფილად დაიცვას თავი“, რის გამოც ბრალდებულის საქმის ძიება შეჩერებულ უნდა იქნესო...

რორშაიდს აქ მხედველობაში ჰქონდა ინგლისელი და ამერიკელი ექსპერტების დასკვნები, სადაც ჰესის ავადმყოფობის მართლაც ბევრი სხვადასხვა დიაგნოზი იყო დასმული, გარდა... სიმულაციისა.

ამ საკითხზე დიდი კამათი გაიმართა ტრიბუნალის დახურულ სხდომაზე. ბევრი იდავეს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც ვერ გამოიტანეს. საბჭოთა ექსპერტები ისევ კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ ჰესი თავდაცვის მიზნით სიმულაციას ეწევაო...

...დიდი ხმაური იყო მაშინ ამის გამო ატეხილი. პრესაში ხომ ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ერთნი ამტკიცებდნენ, ჰესი წარდგენილ უნდა იქნეს სამსჯავროს წინაშეო, მეორენი საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მაღალი საჯელის შემბღალველად მიიჩნევდნენ „შეურაცხადი ადამიანის“ გასამართლებას...

ეს ხმაური კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ტრიბუნალის საჯარო სხდომები გაიხსნა და „შეშლილი“ ჰესი შემოიყვანეს დარბაზში... მაღალი, გამხდარი, გაყვითლებული, უსაშველოდ გრძელი კისრითა და ბუჩქებივით გადმოშლილი წარბებით... იგი თითქოს ვერავის ამჩნევდა, არაფერი ესმოდა, იჯდა თავისთვის და... ბულვარულ რომანს კითხულობდა...

ტრიბუნალის დახურულ სხდომაზე კი მხარეთა კამათი გრძელდებოდა. ბოლოს, თავმჯდომარე ლოურენსმა წინადადება შემოიტანა თვითონ ბრალდებულ ჰესისათვის მიეცათ საშუალება გამოეთქვა თავისი აზრი. დამცველი რორშაიდი, ცხადია, მყისვე დაეთანხმა ამ წინადადებას, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მისი „დაცვის ობიექტი“ საჭირო განცხადებას გააკეთებდა. არც ბრალდების მხარეს უთქვამს რამე ამ წინადადების საწინააღმდეგოდ და სხდომა შეწყდა.

ყველა მოუთმენლად ელოდა, თუ რით დამთავრდებოდა

ეს სიდავიდარაბო საქმე. ღელავდნენ ჩვენი ექიმებიც. ისინი მტკიცედ იცავდნენ თავიანთ გადაწყვეტილებას, მაგრამ საერთო აჟიოტაჟი, ცხადია, მათზედაც მოქმედებდა...

— მე მზად ვარ დავხიო ყველა ჩემი დიპლომი და ხელი ავიღო მედიცინაზე, თუ ეს სიმულაციაა არ არის! — ცხარობდა კრასნუშკინი...

...აჟიოტაჟი მხოლოდ 30 ნოემბერს დაცხრა. ნაშუადღევს სამსჯავროს წინაშე ბრალდებულმა რუდოლფ ჰესმა ასეთი სენსაციური განცხადება გააკეთა:

— ბატონო თავმჯდომარე, მინდა აქ განვაცხადო შემდეგი: დღეს ამ სხდომის დაწყებამდე მე ველაპარაკე ჩემს დამცველს და გადავეცი შემდეგი შინაარსის წერილი: მე ვფიქრობ, რომ ამ საქმის ძიება შეიძლებოდა უფრო ხანმოკლე ყოფილიყო, თუკი ადრევე მომეცემოდა საშუალება გამომეთქვა ჩემი აზრი. მომავალში რომ აღარ ექნეს საფუძველი იმ აზრს, თითქოს მე არ შემიძლია მონაწილეობა მივიღო ამ პროცესში, ვაცხადებ: ჩემი სურვილია გამასამართლონ დანარჩენ ამხანაგებთან ერთად. ამის შესახებ უნდა ახლავე მოვახსენო სამსჯავროს, თუმცა მინდოდა უფრო გვიან გამეკეთებინა ეს. ამ მომენტიდან ჩემი მეხსიერება სამსჯავროს სრულ განკარგულებაშია. მეხსიერების დაკარგვის სიმულაციას წმინდა ტაქტიკური მოსაზრებით ვეწეოდი. საერთოდ, ჩემი ყურადღება რამდენადმე შეირყა, მაგრამ დარღვეული არა მაქვს იმის უნარი, რომ თვალყური ვადევნო საქმის ძიებას, დავიცვა თავი, კითხვები დავუსვა მოწმეებს ან ვუპასუხო სხვებს.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ყველაფერზე სრულ პასუხისმგებლობას ვკისრულობ. ჩემი პრინციპია, რომ ეს ტრიბუნალი არ არის უფლებამოსილი, მაგრამ ამას კავშირი არა აქვს იმასთან, რაც ახლა განვაცხადე.

დღემდე მე დაჟინებით ვადასტურებდი მეხსიერების დაკარგვას ჩემი ოფიციალური დამცველის წინაშე და ისიც კეთილსინდისიერად იცავდა ამ აზრს...

...საღამოს ექიმი ჯილბერტი შევიდა „განკურნებული" ჰესის საკანში და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან... ღამით კი მან დღიურში ჩაწერა:

— ჰესის მეხსიერება სრულიად ნორმალურია. მას შეუძლია პასუხი გასცეს კითხვებს როგორც პატიმრობაში ყოფნის, ისე ინგლისში გაფრენის, პარტიაში მისი როლისა და თვით ახალგაზრდობის პერიოდის შესახებაც...

მეორე დღეს კი თავმჯდომარე ლოურენსმა გამოაცხადა:

— მას შემდეგ, რაც გუშინ სამსჯავრომ მოისმინა ბრალდებულ ჰესის განცხადება და მხედველობაში მიიღო ყველა საბუთი, ტრიბუნალი იცავს იმ აზრს, რომ ბრალდებულ ჰესს ამჟამად შეუძლია ძიების ქვეშ ყოფნა, რის გამოც დაცვის შუამდგომლობა უარყოფილია...

ყოველივე ამით სახელგატეხილი რორშაიდი, „კეთილსინდისიერი დამცველი" რუდოლფ ჰესის სიმულაციისა, რამდენიმე ხნის შემდეგ, თვითონ „გახდა ავად" და გადადგა. მისი საძრახისი ჭაპანის გაწევა კი ჰანს ფრანკის დამცველს ზაიდლს დაეკისრა...

...ამრიგად, ბერლინში შეთხზულ და ლონდონში განმტკიცებულ გრძელ ტყუილს ნიურნბერგში საკმაოდ მოკლე ფეხები აღმოაჩნდა. რუდოლფ ჰესი ისეთი ჯანმრთელი გამოდგა, რომ აგერ 25 წელიწადია, რაც „მშვენივრად ატარებს დროს" შპანდაუს ციხეში. დანარჩენ მთავარ სამხედრო დამნაშავეთაგან იგი ამ ციხის ყველაზე ხანგრძლივი „სტუმარია". აქ დღეში რამდენჯერმე იცვლება ყარაული. ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლები დარაჯობენ ამ უზარმაზარი ციხის ალაყაფის კარებს, სადაც ერთადერთი მთავარი სამხედრო დამნაშავე — რუდოლფ ჰესი ზის.

ასეთი „პატივი" მსოფლიოში მგონი, ჯერ არც ერთ ტუსაღს არ ღირსებია...

თქვა რუქამ არაკი...

ჰესის მისიის ჩაშლის შემდეგ ჰიტლერი მიხვდა, რომ ინგლისთან რამე შეთანხმების ცდა ამაო იყო. მაგრამ არც „აღმოსავლეთის პოლიტიკაზე" უნდოდა აეღო ხელი და ისევ ორ ფრონტზე ბრძოლის საშიშროების წინაშე დადგა. არასოდეს

ისე არ ყოფილა შეწუხებული ჰიტლერი, როგორც ამ „საბჭოთა-დისწერო პრობლემის“ გადაჭრის დროს. ვიდრე საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტი დაიდებოდა, მთელი მისი პროპაგანდა „ანტიბოლშევიკური“ ხასიათისა იყო. ამით ის ბევრ მომხრეს შოულობდა დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციულ-მილიტარისტულ წრეებში. ეს წრეები ხელს უმართავდნენ მას, საშუალებას აძლევდნენ დაერღვია ვერსალის ხელშეკრულებები, აფინანსებდნენ გერმანიის არმიის სწრაფ შეიარაღებას, რომ ჰიტლერული აგრესია საბჭოთა კავშირისაკენ მოემართათ, თვითონ კი ხელი მოეთბოთ და საჭიროების შემთხვევაში კავშირიც შეეკრათ ფაშისტურ გერმანიასთან. ამ იმედით ცხოვრობდა ჰიტლერიც, მაგრამ მან ვერ გამოძებნა „საერთო ენა“ დიდი ბრიტანეთის იმპერიასთან. მართალია, ერთ დროს უნდოდა „ვეფხვის ნახტომი“ გაეკეთებინა და ლამანში გადაელახა, მაგრამ ეშინოდა ქარიშხალმა ზურგიდან არ დამკრასო. ამიტომაც მოაწერა ხელი საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის ცნობილ პაქტს, რაც მაშინ არც ჩვენი სახელმწიფოსათვის იყო უსარგებლო, რადგან, სხვა დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, ამით საფუძველი გამოეცალა გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო კოალიციის შექმნის შესაძლებლობას.

მერე კი მიხვდნენ ინგლისელები და ფრანგები, თუ რა წინდაუხედაობა გამოიჩინეს, ჩეხოსლოვაკიის კრიზისის დროს საბჭოთა კავშირის მიერ ექვსჯერ შეთავაზებულ წინადადებას ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის შესახებ ერთხელაც რომ არ უპასუხეს.

სხვისი ხელით ნარის გლეჯას მიჩვეული დასავლეთის იმპერიალისტები თვითონ გაებნენ ჩვენთვის დაგებულ მახეში. რიბენტროპის გადმოცემით, ეს საკმაოდ უცნაურ გარემოებაში მოხდა. წინასწარ დაკითხვაზე იგი ყვებოდა, თუ როდის „დაებადა ჰიტლერს აზრი“ ასეთი ტაქტიკური ნაბიჯი გადაედგა...

... დღესაც კარგად მახსოვს, რიბენტროპი რომ დაკითხვის ოთახში შემოიყვანეს. მაღალი და გამხდარი იყო. ოდესღაც თავისი მოხდენილობით ცნობილი, „ულამაზესი მინისტრი“

ასაკთან შედარებით უფრო მოტეხილი და მოდუნებული ჩანდა. ადრე იგი დიდ ყურადღებას აქცევდა თავის გარეგნობას, მანერებს, მიხრა-მოხრას, რაც ჰიტლერივით სარკის წინ ჰქონდა დამუშავებული. ახლა კი მხრებჩამოყრილი, დაჭმუჭნილი კოსტიუმით, უყელსახვევოდ, უქამროდ და უთასმებო ფეხსაცმლებით სრულიად სხვა შთაბეჭდილებას ტოვებდა. იჯდა თავჩაქინდრული და თითქმის ყოველთვის თვალებდახუჭული... ქუთუთოებს ვეღარ იმორჩილებდა და წამდაუწუმ ხელს შეაშველებდა, რომ თვალი გაეხილა. ენაც ისე ებმოდა, კაცს ტვინს გაუხმობდა. გამომძიებელთა კითხვებზე ტკეპნილი იძლეოდა პასუხს, სულ იმას იძახდა, არ ვიცი, არ მახსოვს, არ მაგონდებაო.

ცხადია, ყველა ხვდებოდა, რომ ეს ხერხი იყო. ან ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა, როცა ხედავდნენ, დამცველის კითხვებზე თუ რა სიზუსტით იხსენებდა და აღადგენდა ოცი-ოცდაათი წლის წინათ მომხდარი ამბების თარიღებსა და დეტალებს, მაგრამ, ბრალმდებელნი თუ შეეკითხებოდნენ რამე . ოდნავ გასაგონი ხმით ამოღერღავდა, არ მახსოვს, არ მაგონდებაო. თუ დოკუმენტები აიძულებდნენ ელიარებინა რამე, ქუთუთოებს ისევ ხელს შეუშვებდა, თვალებს დახუჭავდა და ჩაილაპარაკებდა:

— რა ვიცი, შეიძლება ასეც იყოს...

კარგად მახსოვს, იაპონიის ბერლინელ ელჩ ოშიმასთან საუბრის შესახებ რომ დაკითხეს.

— მოითხოვდით თუ არა ოშიმასაგან, რომ იაპონიას რაც შეიძლება მალე გამოეცხადებინა ომი საბჭოთა კავშირისათვის? — ჰკითხეს მას.

— არა, ასეთი რამ არ მითქვამს, — უარყო რიბენტროპმა.

— აბა, გაიხსენეთ, ნამდვილად არ გითქვამთ, თუ...

— არა, არავითარ შემთხვევაში, — ისევ კატეგორიულად განაცხადა მან.

მაშინ ამერიკელმა კაპიტანმა მაგნიტოფონი გამართა, რაღაც ფირი დადო და გაისმა რიბენტროპის ხმა. იგი ესაუბრებოდა ოშიმას.

თურმე თავის დროზე ეს საუბარი ფირზე ყოფილა ჩაწერილი, რაც რიბენტროპის სხვა დოკუმენტებთან ერთად ამერიკე-

ლებს ჩავარდნია ხელთ, და ახლა თვითონ მინისტრ რიბენ-ტროპის ხმა „მოაგონებდა“ სამხედრო დამნაშავე რიბენტ-როპს, თუ რა უთხრა მან ოშიმას.

როცა ის ფრაზები წარმოთქვა, რაზედაც გამომძიებელნი ეკითხებოდნენ, კაპიტანმა მაგნიტოფონი გააჩერა. რიბენტროპ-მა ისევ შეუშვა ხელი ქუთუთოს და ჩაილაპარაკა:

— შეიძლება ეს მართლაც ჩემი ხმა იყოს!

— სიტყვებიც, რა თქმა უნდა, — შეაშველა გამომძიე-ბელმა.

— ალბათ! — უპასუხა მან...

იმ საღამოს რიბენტროპი ციხის საკანში, ჩვეულებისამებრ, გრძელ ჩიბუხს წევდა და რაღაც დოკუმენტებს ფურ-ცლავდა. ექიმი ჯილბერტი რომ შეევიდა მასთან, სულ დაბნე-ული იყო.

— ძალიან ძნელია ასეთ პირობებში თავის დაცვა, ძალიან ძნელი, — შესჩივლა მან ჯილბერტს, — უნდა უარჰყო ის, რაც ნათქვამი გაქვს. იმათ კი ძალიან ბევრი დოკუმენტი აქვთ... უჰ, ძალიან ბევრი...

წინასწარი დაკითხვების დროს კი მაინც ყველაფერზე თვა-ლებს ხუჭავდა და უარყოფდა...

... მერე, როცა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაზე დაიწყო საუბარი, რიბენტროპი თითქოს გამოცოცხლდა, თვა-ლები ნელ-ნელა გაახილა და უკვე ხელის მიუშველებლადაც შემოგვხედა:

— მე მუდამ წინააღმდეგი ვიყავი რუსეთთან ომისა, — თქვა მან, — ვიცოდი, რომ ეს ისევე დამღუპველი იქნებოდა ჩვენთვის, როგორც თავის დროზე ნაპოლეონისათვის.

აქაც „დაავიწყდა“ რიბენტროპს, ადრე ხელებს რომ მკერდზე დაიწყობდა და ამბობდა: „ისტორია ერთ დროს მეც ისე მომიხსენიებს, როგორც ნაპოლეონსო“. ამიტომაც დაი-წყო ალალბედად ლაპარაკი:

— მე ყოველნაირად ვცდილობდი ჩამეგონებინა ფიურე-რისათვის ამის საშიშროება, მაგრამ ის არ მისმენდა. მერე ბრა-ზი მოსდიოდა კიდეც. ერთხელ წინადადებაც მივეცი დაგვე-წყო მოლაპარაკება რუსეთთან, მაგრამ ჩვეულებრივმა ისტე-

რიამ მოუარა და საქმე იქამდე მივიდა, რომ სამელნესაც წამოავლო ხელი... ამის შედეგი ის იყო, რომ მე გამომიყვანა საიდუმლო სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობიდან და, საერთოდ, უნდობლად დამიწყო ყურება. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გავიმეორე ჩემი წინადადება. ამჯერად საქმე ისტერიამდე არ მისულა, მაგრამ დამემუქრა, თუ ერთხელ კიდევ გაიმეორებ ასეთ სისულელეს, საკონცენტრაციო ბანაკში გაგგზავნიო.

— გავიდა ორი თუ სამი კვირა, — განაგრძო რიბენტროპმა, — ბერლინში როგორღაც ჩამოიტანეს რუსული დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა არმიის აღლუმი და საპირველმაისო დემონსტრაცია წითელ მოედანზე". ჰიტლერმა მოისურვა ამ ფილმის ნახვა. ჩვენ, მისი უახლოესი თანამშრომლები, კინოდარბაზში შევიკრიბეთ. სანამ ფიურერი მოვიდოდა, არც ერთი ჩვენგანი არ მისცემდა თავს უფლებას დამჯდარიყო. ის რომ მოვიდა, მოგვესალმა, დაბრძანდითო გვითხრა და მისთვის ცალკე დადგმულ სავარძელში ჩაჯდა.

დაიწყო ფილმის დემონსტრაცია. ეკრანზე დიდხანს უჩვენებდნენ სამხედრო აღლუმს, მერე მოედანზე დემონსტრანტები გამოვიდნენ... ტრიბუნიდან სტალინი მიესალმებოდა მათ...

ფილმი რომ დამთავრდა, ჰიტლერი ერთხანს გაუნძრევლად იჯდა და ფიქრობდა, არც ჩვენ ვიღებდით ხმას. მერე იგი თავის ადიუტანტს მიუბრუნდა და უთხრა, ერთხელ კიდევ მიჩვენეთო სურათი. ხუთი წუთის შემდეგ ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი... ფილმის მეორედ ჩვენება რომ დამთავრდა, ჰიტლერი იმავე პოზაში დარჩა... მერე თავი ჩვენკენ მოაბრუნა და რატომღაც განერვიულებულმა თქვა:

— რიბენტროპი დარჩეს, დანარჩენებს შეუძლიათ წავიდნენ.

დარბაზში ჩვენ ორნი დავრჩით. ჰიტლერის მოთხოვნით ფილმი მესამედ გაუშვეს... მე, რა თქმა უნდა, გამიკვირდა, რა საჭირო იყო ეს. ის კი იჯდა და ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს, რაც ეკრანზე ხდებოდა. მერე, როცა მესამედაც დამთავრდა ფილმის ჩვენება, ჰიტლერი მომიბრუნდა და მითხრა:

— რიბენტროპ! ხვალვე ეცდებით დაამყაროთ კავშირი

რუსებთან და დაიწყოთ მოლაპარაკება თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ.

ეს რომ თქვა, უცებ წამოდგა და, არც დამმშვიდობებია, ისე გავიდა დარბაზიდან...

მეორე დღეს მე უკვე ველაპარაკებოდი საბჭოთა კავშირის ელჩს ბერლინში...

ლომის ტყავი...

ნამდვილად ასე იყო, თუ „თქვა რუქამ არაკი", ვერ მოგახსენებთ. ის კი ნამდვილია, რომ ჰიტლერმა ე. წ. სუფრული საუბრის დროს თქვა, რიბენტროპი არასოდეს არ ყოფილა საბჭოთა კავშირთან ომის წინააღმდეგიო. ვინ რას გაიგებს, რომელია მათში მართალი! თუმცა ეს სულერთია. ისედაც ცხადია, რომ ჰიტლერელების აგრესიის „ძირითად მიზანს" ყოველთვის წარმოადგენდა საბჭოთა კავშირთან ომი. ეს ეწერა მათ პარტიულ პროგრამაში. აქეთკენ მოუწოდებდა ჰიტლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა" და, საერთოდ, ეს აზრი იყო გატარებული მის ყველა ოფიციალურ გამოსვლაში.

— საბჭოთა კავშირის ტერიტორიები გერმანიისათვის იგივე იქნება, რაც ინდოეთი იყო ინგლისისათვის, — სრულიად აშკარად აცხადებდა ჰიტლერი. ტაქტიკური მოსაზრებით კი, როგორც მოგახსენეთ, არც ასეთ „დროებით კავშირზე" ამბობდა უარს... ინგლისი არ მოელოდა ამას, რადგან მთელი მისი გულისყური საბჭოთა კავშირის იზოლაციისაკენ იყო მიმართული. უკვე 1939 წელს გახდა აშკარა, რომ ინგლისი აქეზებდა გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რათა შემდეგ თვითონაც ჩაბმულიყო ამ „ანტიკომუნისტურ ლაშქრობაში". გერმანიას კი სულაც არ უნდოდა ინგლისი მარაქაში გაერია, სწორედ ამიტომ გაამწვავა ურთიერთობა დასავლეთთან და წინადადება მისცა საბჭოთა მთავრობას თავდაუსხმელობის პაქტი დავდოთო. მერე რიბენტროპი მოსკოვში ჩამოვიდა და ის პაქტი დაიდო კიდეც. ამით საბჭოთა კავშირი დროს იგებდა და ფუშავდა გერმანია-ინგლის-საფრანგეთის აგრესიული კოალიციის შესაძლებლობას საბჭოთა კავშირის წინააღმ-

დეგ, რასაც ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვნად გადასწია თავისი საზღვრები დასავლეთისაკენ: უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქები ამ საბჭოთა რესპუბლიკებს შემოუერთა, სსრ კავშირის შემადგენლობაში გააერთიანა ბალტიისპირა ქვეყნები (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი). და მაინც ყველასათვის ცხადი იყო, რომ „საჭირო მომენტში" ჰიტლერი დაარღვევდა ამ პაქტს. გენერალურ შტაბში, მართლაც, გაფაციცებით ამუშავებდნენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმას. წინასწარი მზადებაც მიდიოდა. ფინეთში გერმანიის ჯარის ნაწილები გადმოსხდნენ, რუმინეთში გერმანიის სამხედრო მისია ჩავიდა, ჰიტლერელებმა გააძლიერეს დაწოლა ბულგარეთზე. საჭირო იყო სიტუაციის გარკვევა. ამ მიზნით 1940 წლის ნოემბერში ბერლინს გაემგზავრა საბჭოთა მისია ვ. მოლოტოვის მეთაურობით. დელეგაციას საუბარი ჰქონდა ჰიტლერსა და რიბენტროპთან. ჰიტლერმა არც ამ შემთხვევაში უღალატა თავის თავს და ჩვეულებრივი გრძელი მონოლოგი დაიწყო:

— ინგლისი უკვე დამარცხებულია. მალე მას მოვსპობ ჰაერიდან. კაპიტულაცია მხოლოდ დროის საქმეა. ჩვენ უკვე კონტროლს ვუწევთ მთელს დასავლეთ ევროპას. იტალიელებთან ერთად წარმატებით ვიბრძვით აფრიკაში, საიდანაც მალე განვდევნით ინგლისელებს. დარჩება მათი უპატრონო მემკვიდრეობა, რომელიც უნდა განაწილდეს. ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იტალიასა და იაპონიასთან. ახლა საჭიროა გავიგოთ თქვენი პოზიციაც. უფრო კონკრეტულად ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ.

ერთი სიტყვით, ჰიტლერი საბჭოთა კავშირს სთავაზობდა ჯერ კიდევ ცოცხალი ლომის ტყავის განაწილებას. მოლოტოვმა კი უფრო კონკრეტული საკითხები დააყენა:

— რა მიზნით გაიგზავნა გერმანიის სამხედრო მისია რუმინეთში ან რატომ უყრით ჯარის ნაწილებს თავს ფინეთში?

ჰიტლერს არ ესიამოვნა ასეთი კითხვები და თავი აარიდა პირდაპირ პასუხს: რუმინეთში მთავრობის თხოვნით გაიგზავნა სამხედრო მისია, ხოლო ფინეთში მყოფი ჯარის ნაწილები ნორვეგიისაკენ მიდიანო.

მოლოტოვი ვერ დააკმაყოფილა ამ პასუხმა. მან განუცხადა

ჰიტლერს, რომ „ამგვარი აქციების სეპარატულად ჩატარება შეშფოთებას იწვევს მოსკოვშიო“.

ჰიტლერმა სიტყვა ისევ ბანზე ააგდო და „დამარცხებული“ დიდი ბრიტანეთის იმპერიის „ნამსხვრევების“ განაწილებას შეუდგა: დასავლეთი ევროპა და აფრიკა გერმანიისა და იტალიის საკუთრებად გამოაცხადა, აღმოსავლეთ აზიის ტერიტორიები იაპონიას გადასცა, საბჭოთა კავშირს კი სამხრეთ საზღვრების გაფართოება „შესთავაზა“, ინდოეთის ოკეანის მიმართულებით.

მოლოტოვმა ისევ განუცხადა ჰიტლერს, რომ იგი უაზროდ მიიჩნევს „ასეთ კომბინაციებს“, და საბჭოთა კავშირისა და მისი მეზობელი ქვეყნების უშიშროების საკითხს დაუბრუნდა, მაგრამ ჰიტლერმა მაინც თავისი გზით გაუტია...

ამ დროს სირენების ზრიალი გაისმა. ბერლინში საჰაერო განგაში გამოცხადდა. „უკვე განადგურებული ინგლისის“ თვითმფრინავები უახლოვდებოდნენ „გამარჯვებული გერმანიის“ დედაქალაქს. ჰიტლერმა საუბარი შეწყვიტა და სხდომის გაგრძელება მეორე დღისათვის გადადო...

მოლოტოვმა საღამოს საელჩოში გამართულ დიდ მიღებაზე მიიწვია იგი, მაგრამ არ მოვიდა. იყვნენ მხოლოდ გერინგი, რიბენტროპი და ჰესი, მაგრამ ჩქარა აქაც საჰაერო განგაში გაისმა და სტუმრები სასწრაფოდ წავიდნენ... მეტროში თავის შესაფარებლად...

... მეორე დღეს იგივე განმეორდა, თუმცა ამ შემთხვევაში საუბარი უფრო დაძაბული იყო. მოლოტოვმა მოითხოვა, რომ გერმანიის ჯარები გაეყვანათ ფინეთიდან, ჰიტლერმა კი ისევ ჩვეულ ხერხს მიმართა და სცადა საუბარი თავისთვის სასურველ ნიადაგზე გადაეყვანა. იგი რუკასთან მივიდა და ადრეც დასმულ „კარდინალურ საკითხს“ დაუბრუნდა:

— დამარცხების შემდეგ ბრიტანეთის იმპერიის 40 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობი გიგანტურ აუქციონად იქცევა. ამით საბჭოთა კავშირს გზა ეხსნება გაუყინავი ოკეანეებისაკენ. დღემდე 40 მილიონი ინგლისელი იმპერიის 600 მილიონ მცხოვრებზე ბატონობდა. დადგა დრო, როცა ამ ისტორიულ უსამართლობას ბოლო უნდა მოეღოს. სახელმწი-

ფოებმა. რომელთაც ხელი მიუწვდებათ ამ სიმდიდრეზე, ერთ-მანეთში არ უნდა დაიწყონ დავა წვრილმან საკითხებზე. საჭი-როა გერმანია, იტალია, იაპონია და რუსეთი აქედანვე შეუდგ-ნენ ბრიტანეთის იმპერიის დანაწილებას...

საბჭოთა დელეგაციის მეთაური, ცხადია, არ გაჰყვა საუბ-რის ამ გეზს და კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ფინეთისა და რუმინეთის საკითხს. მერე ბულგარეთის შესახებაც ჩამოაგდო ლაპარაკი და გერმანიას ისიც უსაყვედურა, ეკონომიური ხელ-შეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არ ასრულებთ სა-ქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებო.

გაცხარებულ ჰიტლერს დააავიწყდა, ინგლისი რომ უკვე „დამარცხებული" ჰყავდა, და ჩიხიდან თავის დასაღწევად თქვა:

— ეს მართალია, მაგრამ ჩვენ ახლა სამკვდრო-სასიცოცხლო ომს ვაწარმოებთ ინგლისთან და მთელი ჩვენი რესურსები ამისთვის გვაქვს გამოსაყენებელი.

ეს შეუსაბამობა არ გამოეპარა საბჭოთა დელეგაციის მეთაურს და მაშინვე შეუბრუნა კეხი ჰიტლერს:

— ჩვენ ეს-ეს არის მოვისმინეთ, რომ ინგლისი ფაქტიურად უკვე დამარცხებულია. მაშ რომელი მხარე აწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ომს?

კაბინეტში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მოელოდა, რომ ჰიტლერი იფეთქებდა, მაგრამ თავს როგორღაც მოერია და მშვიდად თქვა:

— დიახ, ინგლისი დამარცხებულია, მაგრამ ჩვენ კიდევ დაგვრჩა რაღაც-რაღაცები გასაკეთებელი...

ამის შემდეგ ჰიტლერმა განაცხადა, საუბრის თემა ამოწურულიაო, ხოლო რადგან საღამოს მე დაკავებული ვარ, საბჭოთა დელეგაციასთან მოლაპარაკებას რიბენტროპი განაგრძობსო...

... მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, რომ იტყვიან, სწორედ ისე მოხდა. ჰიტლერის მიერ დაგეშილმა რიბენტროპმა ჩაიკითხა განცხადების პროექტი, რომელშიც ისევ ბრიტანეთის იმპერიის დაყოფაზე იყო ლაპარაკი. ამასთანავე გერმანია მოუწოდებდა საბჭოთა მთავრობას შეერთებოდა „სამთა პაქტს".

მოლოტოვმა ამ განცხადების ტექსტი მოითხოვა, მაგრამ რიბენტროპმა თავის ნაცად ხერხს მიმართა: მე მხოლოდ ერთი ეგზემპლარი მაქვსო, განაცხადა, სასწრაფოდ დაკეცა ქაღალდი და დემონსტრაციულად ჩაიდო ჯიბეში.

თითქოს განგებ ყოფილიყოს მოწყობილი, ისევ ატყდა სირენების საგანგაშო ზრიალი. მერე ბომბების აფეთქების ხმაც გაისმა. შეცბუნებული რიბენტროპი სწრაფად წამოხტა, აქ საშიშია, ჯობს თავშესაფარში წავიდეთო, თქვა და წინ გაუძღვა სტუმრებს. მას თავშესაფარშიც ჰქონდა კაბინეტი. საუბარი იქ გაგრძელდა. თუმცა რა საუბარი! რიბენტროპმა ისევ ბრიტანეთის „დამარცხებული იმპერიის“ დაყოფაზე გააბა ლაპარაკი...

— თუ ინგლისი დამარცხებულია, რატომ ვზივართ ამ თავშესაფარში? ან ყუმბარები ვისია, ბერლინის თავზე რომ ცვივა? — ჰკითხა მას ირონიულად მოლოტოვმა.

რიბენტროპმა გადაყლაპა ეს ირონია და, როცა მოლოტოვი მეოთხედ დაუბრუნდა თავის მიერ დასმულ საკითხებს, რიბენტროპმა თქვა, ყოველივე ეს მეორეხარისხოვანია და ჩვეულებრივი დიპლომატიური გზით უნდა გადაწყდესო, და საუბარი სხვა რამეზე გადაიტანა...

მერე სასმელები შემოიტანეს და რიბენტროპმა თავის ღვინის ქარხნებზე დაიწყო ლაპარაკი...

ინგლისის ავიაციის ძლიერი თავდასხმა კი გრძელდებოდა... ბერლინი ზანზარებდა ყუმბარების აფეთქებით...

მეორე დღეს საბჭოთა დელეგაციამ დატოვა გერმანიის დედაქალაქი...

მეხი ღრუბლიან ცაზე...

1940 წლის 5 დეკემბერს ჰიტლერმა ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმას, ხოლო 18 დეკემბერს — დირექტივას „ბარბაროსას შესახებ“. მოსამზადებელი სამუშაოები 1941 წლის 15 მაისისათვის უნდა დამთავრებულიყო... მერე ამ თარიღმა ივნისის მეორე ნახევრამდე გადაინაცვლა. ჰიტლერი ნერვიულობდა, ამბობდა, ეს არის ჩემი ცხოვრების ყველაზე საბედისწერო ნაბიჯიო. ბრძოლა ორ უზარმაზარ

ფრონტზე, მართლაც, საღი გონების მიღმა იდგა. ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ ჰიტლერი ამგვარ ნაბიჯს გადადგამდა. როგორც ჩანს, ეს არც სტალინს სჯეროდა. იგი, რა თქმა უნდა, ხედავდა, გერმანიასთან ომი გარდაუვალი რომ იყო, მაგრამ ვიდრე ჰიტლერი დასავლეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ იბრძოდა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყება, შეუძლებლად მიაჩნდა. რატომო, რომ ვიკითხოთ, რას გავიგებთ! ალბათ მდგომარეობის ლოგიკა უკარნახებდა ამას. ჰიტლერი და ლოგიკა კი ერთმანეთთან ვერ ეწყობოდნენ. როგორც ჩანს, სწორედ ეს არ იქნა მხედველობაში მიღებული. ამიტომ სტალინის მთავარი საზრუნავი დროის მოგება იყო; თანაც ფხიზელი თვალთვალი, რომ გერმანიას სეპარატული ზავი არ დაედო ინგლისთან. ცხადია, ამის პარალელურად დიდი სამხედრო მზადებაც მიდიოდა; კაცმა რომ თქვას, „დიდი" კი არა, „მაქსიმალურად შესაძლებელიც". ამ საქმის მცოდნენი წერენ, რომ იმ წლებში არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული ომის საშიშროების გათვალისწინების გარეშე. ყოველი წუთი, საათი, დღე, თვე გაგებული იყო როგორც ომის გადავადება, სულის მოთქმა, რომლის დროსაც არ იზოგებოდა არც ძალ-ღონე და არც მატერიალური საშუალებანი. ამის წყალობით ათი უკანასკნელი წლის მანძილზე არტილერიის ძლიერება შვიდჯერ გაიზარდა, ტანკებისა და ტანკსაწინააღმდეგო იარაღის წარმოება — ჩვიდმეტჯერ, თვითმფრინავების რაოდენობა — ექვსჯერ, სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ხუთასი ახალი ხომალდი მიიღო. ამაზე მეტი რა უნდა მოეთხოვოს ხალხს, რომელმაც სულ რაღაც ათი წლის განმავლობაში თვალუწვდენ, გაღატაკებულ, გლეხურ ტერიტორიაზე საკუთარი ინდუსტრია შექმნა! გარდა ამისა, იმ წლებში სტალინს არ ჰქონია არც ერთი ისეთი გამოსვლა, ომის საშიშროებაზე რომ არ გაეფრთხილებინოს ხალხი, ისეთი კვირა არ გასულა, პოლიტბიუროს მორიგ სხდომაზე არ განეხილოთ შეიარაღების რამე საკითხი. თვეში ერთხელ სტალინი თვითონ დადიოდა აერodრომებსა და პოლიგონებზე ახალი სამხედრო იარაღების გამოცდაზე. მას არასოდეს გაუხდია ჯარისკაცის ფარაჯა. არც იმის შემდეგ, რაც გერმანიამ დასავლეთის ფრონტზე დაიწყო ომი. პირიქით, ის დროც მაქსიმალურად იქნა გამოყენე-

ბული. ხოლო 1941 წლის იანვრიდან გენერალურმა შტაბმა ქვეყნის თავდაცვის სრულიად ახალი გეგმა შეიმუშავა. ჩატარდა მობილიზაცია, მილიონზე მეტი ახალგაზრდა იქნა დამატებით ჯარში გაწვეული, დაიწყო რეზერვების სამხედრო წვრთნაც. მაისში ფრონტისპირა საკომანდო პუნქტების მშენებლობა გაჩაღდა. მაგრამ ყველაფერს მაინც დრო წყვეტდა... ყოველი ახალი დღე ახალი ლახვარი იყო ჰიტლერისათვის, რადგან ის ომობდა, სტალინი კი ემზადებოდა. ინგლისის პრემიერის ჩემბერლენის ცნობილი სიტყვები: „ჩვენთვის, ცხადია, უმჯობესი იქნებოდა, ჰიტლერი და სტალინი თუ დაეტაკებოდნენ და დაბრდღვნიდნენ ერთმანეთსო“, — შებრუნებულად ხორციელდებოდა. ჰიტლერი და ჩემბერლენ-ჩერჩილი თვითონ „ბრდღვნიდნენ“ ერთმანეთს, რამაც საბჭოთა კავშირს მშვიდობისა და მზადების ორი წელი მოაგებინა. გერმანიასთან თავდაუსხმელობის იძულებითი პაქტიც ამ მიზანს ემსახურებოდა. არ ვიცი ვინ როგორ ფიქრობს ამაზე, მე კი მგონია, რომ ეს ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორი იყო. მერე, როცა ცაზე ღრუბლები მოჯარდა, ნერვების დიდი სიმტკიცე და გამძლეობა იყო საჭირო, რომ პროვოკაციის საბაბი არ მიგვეცა გერმანიისათვის. ჰიტლერი ისედაც ამბობდა, ინგლისის კუნძულზე რომ გადამეტანა საომარი მოქმედება, სტალინი მაშინვე ზურგში ჩამცემდა მახვილსო. იგი აფრთხილებდა კიდეც ინგლისს, რომ ასეთ შემთხვევაში „წითელი ნიაღვარი წალეკავდა მთელ ევროპას“. ინგლისიც ამიტომ მერყეობდა და ფარულად თათბირობდა გერმანიის წარმომადგენლებთან... მდგომარეობა ისე იყო დაძაბული, რომ ერთ გაუფრთხილებელ ნაბიჯს შეეძლებოდა საბედისწერო შეცდომა მოჰყოლოდა...

ეს იყო სტალინის „გაუგებარი სიმშვიდის“ მიზეზი... მართალია, „ზერელედ მოაზროვნეებს“ ეს შეცდომად მიაჩნდათ და ამტკიცებდნენ, თითქოს 1941 წლის 22 ივნისს „მეხი უღრუბლო ცაზე გავარდა“, მაგრამ სამამულო ომის შედეგმა მჭევრმეტყველურად ნათელყო იმ მძიმე წლების გადაწყვეტილებათა სისწორე... ეს რომ ასე არ ყოფილიყო და საბჭოთა სარდლობას აშკარა საომარი მზადება დაეწყო დასავლეთის საზღვრებზე, გერმანია ალბათ საერთო ენას გამოსძებნიდა ინგ-

ლისთან, მით უმეტეს პეტენის მთავრობასთან, ხოლო ამ შემთხვევაში, ცხადია, არც ამერიკა დახევდა თავისი დასავლეთელი კოლეგების ტყავს. და არც იაპონია შეასკდებოდა შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერებას. ისე კი ინგლისელები გერმანელებს „ბრდღვნიდნენ“, იაპონელები — ამერიკელებს, გერმანელები — ინგლისელებს, ამერიკელები — იაპონელებს. მართალია, ამასობაში ყველაზე მძიმე ომი საბჭოთა კავშირმა გადაიტანა, მაგრამ ყველაზე ღირსეული გამარჯვებაც მოიპოვა...

ამისათვის იყო საჭირო ის „ოლიმპური სიმშვიდე“, რაც ამდენ მითქმა-მოთქმას იწვევს დღემდე. მართალია, საბჭოთა მზვერავებს მოჰქონდათ ცნობები, ჰიტლერი ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას აპირებსო, მაგრამ სტალინმაც იცოდა ეს, თუმცა მაინც დინჯად აბოლებდა ჩიბუხს და უცდიდა...

21 ივნისს დასავლეთის საზღვრიდან გერმანელი ტყვეც დაჰკითხეს, რომელმაც ფრონტის ხაზი გადმოჭრა და განაცხადა: მე კომუნისტი ვარ, საბჭოთა კავშირის მეგობარი, და მინდა გაცნობოთ, რომ, მიღებული ბრძანების თანახმად, ხვალ დილით ჰიტლერელები თავს დაესხმიან თქვენი ქვეყნის საზღვრებსო... ამის შესახებ იმ დღესვე აცნობეს სტალინს. თან ბრძანების პროექტიც აახლეს დასავლეთის სამხედრო ოლქების ჯარების საბრძოლო მზადყოფნის შესახებ...

სტალინი აქაც შეეჭვდა, იქნებ ის ჯარისკაცი განგებ შემოგზავნეს გერმანელებმა დეზინფორმაციისთვისო... სამხედრო ხელმძღვანელების აზრით ეს ასე არ იყო, მაგრამ სტალინმა მაინც ნაადრევად ჩათვალა შემოთავაზებული ბრძანება და მარშალს დაავალა:

— შეადგინეთ ახალი ბრძანება, რომლის აზრი იქნება: 22 ივნისს ღამით საზღვარზე მოსალოდნელია პროვოკაცია. მზად უნდა ვიყოთ, მაგრამ არ ავყვეთ...

... 21 ივნისს სტალინმა როგორც ყოველთვის ღამის 4 საათზე დაამთავრა მუშაობა კუნცევოს აგარაკზე და დასაძინებლად წავიდა. ზუსტად ერთი საათისა და ათი წუთის შემდეგ კი დაცვის უფროსის ოთახში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. მოსკოვიდან რეკავდა გენერალური შტაბის უფროსი და მო-

ითხოვდა სტალინთან შეერთებას. გენერალი ვერ ბედავდა გაეღვიძებინა იგი, მაგრამ ყურმილში კატეგორიული მოთხოვნა გაისმა:

— გეუბნები გააღვიძე, გერმანელები ბომბავენ ჩვენს ქალაქებს!...

რამდენიმე წუთის შემდეგ სტალინმა, რომელიც სულ „საველე მდგომარეობაში“ ცხოვრობდა და ლოგინი დივანზე ჰქონდა გაშლილი, იქვე, მაგიდაზე დადებული ტელეფონის ყურმილი აიღო.

— ამხანაგო სტალინ, გირეკავთ თავდაცვის სახალხო კომისრის დავალებით, გერმანელები ბომბავენ ჩვენს ქალაქებს,— გაისმა გენერალური შტაბის უფროსის ხმა...

... დილით უკვე კრემლში ახალი მოხსენება წარუდგინეს სტალინს:

— გერმანელები ბომბებს აყრიან მურმანსკს, ტალინს, კიევს, მოგილიოვს, ოდესას...

სტალინმა ამის შემდეგაც ვერ მოიშორა ეჭვი, რომ ეს შეიძლება პროვოკაცია იყოსო.

— გერმანელები პროვოკაციის ცნობილი ოსტატები არიან. ამისათვის ისინი საკუთარ ქალაქებსაც დაუწყებენ დაბომბვას, — თქვა მან.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს პროვოკაცია არ იყო. გერმანელები ომის წინასწარ გამოუცხადებლად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს. სტალინი კი მაინც არ ჩქარობდა. საჭირო იყო ოფიციალური ცნობის მიღება გერმანელებისაგან, რათა მთელი მსოფლიოს წინაშე გამომჟღავნებულიყო, თუ ვინ იყო აგრესორი. ამას უდიდესი მორალური და ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, ომს ვინც იწყებს მთელი პასუხისმგებლობაც მას ეკისრება. ამიტომ იყო, რომ სასწრაფო ზომების მიღების ნაცვლად სტალინმა დაავალა მოლოტოვს დაუყოვნებლივ დაკავშირებოდა გერმანიის საელჩოს.

ელჩი, გრაფი შულენბურგი, ჯერ ტელეფონთან მივიდა, მერე კი პირადად ეახლა მოლოტოვს და, როგორც ჩანს, დიდად შეშფოთებულმა უთხრა, გერმანია ომს უცხადებს საბჭოთა კავშირსო.

იმავე დროს ბერლინში რიბენტროპმა ინება საბჭოთა ელჩის მიღება და Post factum გადასცა ომის გამოცხადების მემორანდუმი.

ამბობენ, როცა საბჭოთა ელჩი ტოვებდა მის კაბინეტს, კარებთან წამოეწია რიბენტროპი და აფორიაქებულმა მიაძახა:

— გადაეცით მოსკოვს, რომ მე არ მინდოდა ეს... არა, მე არ მინდოდა ეს!..

...საზღვრებზე კი უკვე სისხლისმღვრელი ბრძოლები იყო გაჩაღებული. ამით მთელმა მსოფლიომ გაიგო ვინ იყო აგრესორი, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგობა. ინგლისი საგონებელში იყო ჩავარდნილი. მართალია, ჰიტლერის მიერ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებამ ბრიტანეთის კუნძულებს ააცდინა გერმანელთა შესევა, მაგრამ ინგლისელი შუბლმაგრები მაინც შიშობდნენ, საქმე თუ ასე წავიდა, გერმანია მალე დაამარცხებს რუსეთს და მერე ისევ ჩვენ მოგვდგებაო... ამან აიძულა ინგლისის მთავრობა უფრო მჭიდრო კავშირი დაემყარებინა საბჭოთა კავშირთან. ჩერჩილმა დაუყოვნებლივ მოიწვია თათბირი ჩეკერსში. მას ჯერ კიდევ გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის დაწყებამდე ჰქონდა ცნობა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. რუზველტი 1941 წლის 15 ივნისს სწერდა ჩერჩილს: მე მაქვს სარწმუნო ცნობები, რომ გერმანია უახლოეს დროში თავს დაესხმის რუსეთსო.

ერთი კვირის შემდეგ ეს ასეც მოხდა. ჩერჩილმა პარლამენტის სხდომაზე გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია საბჭოთა კავშირისათვის მხარდაჭერის შესახებ:

— ჩვენი ურყევი მიზანია მოვსპოთ ჰიტლერი და ყოველგვარი კვალი ნაციზმისა. არავითარ ძალას არ შეუძლია შეარყიოს ეს გადაწყვეტილება, არავითარს!.. ყოველი ადამიანი ან სახელმწიფო, რომელიც იბრძვის ნაციზმის წინააღმდეგ, მიიღებს ჩვენგან დახმარებას. ყოველი ადამიანი ან სახელმწიფო, რომელიც ჰიტლერს მიჰყვება, მტერია ჩვენი. ასეთია ჩვენი პოლიტიკა, ასეთია ჩვენი განცხადება...

პარლამენტმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ჩერჩილს.

რამდენიმე დღის შემდეგ ლონდონში ჩავიდა საბჭოთა სამხედრო მისია. ინგლისელებმაც გამოგზავნეს მოსკოვში კომისია. 12 ივლისს გამოქვეყნდა შეთანხმება ერთობლივი მოქმედების შესახებ. ორივე მხარე კრძალავდა ყოველგვარ სეპარატულ მოლაპარაკებას ან შეთანხმებას ნაცისტურ გერმანიასთან. ამით საბოლოოდ მოეღო ბოლო ჰესის „დიპლომატიურ მისიას“ ლონდონში...

... ამერიკაშიც დიდი სახალხო მოძრაობა გაიშალა საბჭოთა კავშირის მხარდასაჭერად. გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები. სპეციალური ანკეტით გამოკითხული მოსახლეობის 87 პროცენტმა მხარი დაუჭირა ამერიკა-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის პოლიტიკას (წინააღმდეგი წავიდა 12 პროცენტი, ერთმა პროცენტმა თავი შეიკავა). ისეთებიც იყვნენ, გერმანიასთან ერთად ჯვაროსნულ ლაშქრობას რომ მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

— ამერიკისათვის კომუნიზმის გამარჯვება უფრო საშიშია, ვიდრე ფაშიზმისა, — წერდა ტაფტი. მაგრამ ეს უმცირესობის ხმა იყო. მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში კი ეწერა:

— ამერიკის მატერიკისათვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ჰიტლერული არმია...

— ვინც ჰიტლერის წინააღმდეგ იბრძვის, ის ამერიკის მოკავშირეა, — განაცხადა მოსკოვში რუზველტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჰარი ჰოპკინსმა.

მართალია, მნიშვნელოვანი შეფერხებით, მაგრამ მაინც დაიწყო ლენდ-ლიზის კანონით გათვალისწინებული სამხედრო დახმარება, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ამერიკამაც ომი გამოუცხადა გერმანიას და ჰიტლერის წინააღმდეგ ორივე ფრონტზე გაცილებით უფრო ძლიერი კოალიცია შეიკრა, ვიდრე თვითონ მოელოდა.

ახლა ყველაფერი სისწრაფეზე იყო დამოკიდებული: ვიდრე მოკავშირეები თავიანთი გრანდიოზული რესურსების ამოძრავებას შეძლებდნენ, უნდა „დაემორჩილებინათ“ რუსეთი და მერე ისევ განეახლებინათ საომარი ოპერაციები დასავლეთის ფრონტზე...

ასე დაიწყო გერმანელების Drang nach Osten — მოფიქრებული როგორც ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა. ჰიტლერმა განაცხადა კიდეც, ჩვენ ვიწყებთ იქ, სადაც რვაასი წლის წინ შეჩერდნენ ჩვენი წინაპრებიო. სწორედ რვაასი წლის წინ ცხოვრობდა ჰოჰენშტაუფენების დინასტიის წარმომადგენელი ფრიდრიხ I ბარბაროსა, რომლის სახელი უწოდა ჰიტლერმა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმას. თავის დროზე ბარბაროსას ხელმძღვანელობით მოეწყო ფრიდრიხ ლომისა და ალბრეხტ დათვის რაინდების „ჯვაროსნული ლაშქრობა სლავების წინააღმდეგ. ფრიდრიხ ბარბაროსა დასავლეთის (იტალიის) წინააღმდეგ რომ ვერაფერს გახდა, აღმოსავლეთს დაეტაკა, რომის პაპმა იგი ისე დაამცირა, რომ აიძულა ფეხებზე ეკოცნა მისთვის. არც აღმოსავლეთში მოუპოვებია მას დიდი გამარჯვება, მაგრამ ბარბაროსა მაინც გერმანიის პირველი იმპერატორი იყო, რომელიც აგრესიულ ომებს აწარმოებდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მიმართ. ამ ომებს აშკარად კოლონიზატორული მიზნები ჰქონდა, ოღონდ რელიგიურ ბურუსში კი იყო გახვეული. ჰიტლერმაც ამ ტრადიციების გაგრძელება გადაწყვიტა. მართალია, იგი ამ ომს „რელიგიურის“ ნაცვლად „იდეოლოგიურს“ უწოდებდა, მაგრამ არსებითად ეს ერთი და იგივეა. არც ე. წ. „ევროპის ახალი წესრიგი“ წარმოადგენდა დიდ სიახლეს. თვით წინაისტორიულ პერიოდშიც ხომ არსებობდნენ გაბატონებული და დამორჩილებული სახელმწიფოები, დამპყრობელი და დაპყრობილი ხალხები, მჩაგვრელები და ჩაგრულები, ბატონები და მონები. იყო დაუსრულებელი ომები მეზობელ სახელმწიფოებთან, ძარცვა და თარეში, დიდებულთა დიდება და მონათა თრგუნვა. იყო სოციალური ბრძოლებიც. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის ოცდამეორე საუკუნეში დიდი სოციალური რევოლუციაც კი მოხდა ეგვიპტეში. ჩაგრულები აუჯანყდნენ გაბატონებულ კლასებს, დაამხვეს მათი ხელისუფლება, განახორციელეს სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი... რამდენიმე ათეული წლის შემდეგ თვით ყო-

ფილი ჩაგრულები იქცნენ მჩაგვრელებად და ისევ ძველებურად წავიდა ყველაფერი: ომები, რბევა-თარეში და მონობა. იუდეველთა მეფემ დავითმა დალაშქრა მეზობელი ხალხები; ფენიციელთა მეფემ პირასმა — წინააზიის დასავლეთი სანაპიროები; ჩინეთის მეფე მუვანგი სულ თავისი სახელმწიფოს საზღვრების გასაფართოებლად იბრძოდა; ეგვიპტელთა მეფემ შეშონკმა მთელი ნილოსის დაბლობი დაიკავა. ასურელთა მეფემ ადადნინარმა ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მცხოვრები ხალხები დაიმონა, ბაბილონელთა და მესოპოტამიელთა მეფე აშურნასირპალი მსოფლიო იმპერიის შექმნასაც კი ცდილობდა... და ასე მოდის საუკუნიდან საუკუნემდე, უძველესი დროიდან ჩვენს ეპოქამდე. სირიელები, სპარსელები, არაბები, რომაელები, ოსმანები, ბიზანტიელები, ჰუნები, გერმანელები, ფრანგები თუ ინგლისელები, და ვინ მოთვლის კიდევ ვინ, სულ დაპყრობით ომებს აწარმოებენ... საბოლოოდ კი არავის არაფერი შერჩენია, არც მსოფლიო იმპერია დაუმყარებია ვინმეს და არც აღთქმული ქვეყნისათვის მიუღწევია ოდესმე... გეზი კი თითქოს აქეთკენ იყო აღებული. ბიბლიური მოსეს მსგავსად ილუზიებს აყოლილი ჰიტლერიც ქადაგებდა, რომ თავის „მრავალტანჯულ ხალხს“ აღთქმული ქვეყნისაკენ წაიყვანდა, რათა მისთვის პური მათის არსობისა მოეპოვებინა. მოსესაც ასე მიჰყავდა ნახევრად ველური ტომები „ძეთა ისრაელისათა“ ეგვიპტიდან „ქუეყანასა ფრიად კეთილსა ქანაანისასა, გამომადინებელსა სძისა და თაფლისასა“. ეს იყო ლეგენდარული „სლვა აღმოსავალით“ არა რამე მაღალი სულიერი მისწრაფებით, არამედ რძისა და თაფლის მოსაპოვებლად, რაც იმდროინდელი მომთაბარე ტომებისათვის წარმოადგენდა არსობის პურს. არც ჰიტლერის Drang nach Osten-ს ჰქონდა რამე ამაღლებული მიზანი. უკრაინის ხორბალი, ურალის მადნეული და კავკასიის ნავთობი იზიდავდა გერმანელთა ურდოებს საბჭოთა კავშირის ვრცელი ტერიტორიებისაკენ, სადაც მათ „ევროპული სამოთხის“ შექმნას ჰპირდებოდა ბიბლიური მოსესა და მისი მოწაფის ისუ ნავეს ძის პაროდიული ნაეროი ადოლფ ჰიტლერი. ეს პარალელი იმდენად ცხოველმყოფელი ჩანს ისტორიაში, რომ თომას მანმა სპეციალური ნაწარმოები უძღვნა მას. როცა გერმანელმა ანტიფაშისტმა მწერლებმა განიზრახეს ათი ნოველით

აესახათ, თუ როგორ თრგუნავდნენ ჰიტლერელები მოსეს მიერ ნაქადაგებ ათ მცენებას, თხოვნით მიმართეს თომას მანს დაეწერა ამ კრებულისათვის წინასიტყვაობა. თომას მანმა სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება, მაგრამ წინასიტყვაობის ნაცვლად თვითონაც ნოველა დასწერა, სათაურით „კანონი“, სადაც თითქმის კვალდაკვალ მიჰყვა ლეგენდას მოსეს შესახებ. ამან უფრო ცხადი გახადა ამ პარალელის იმანენტური აზრი. მოსეცა და ჰიტლერიც ვითომ განგების შთაგონებით მოქმედებდნენ. ერთიც „მახარობელი“ იყო და მეორეც. თავიანთი ხალხის „აღთქმული ქვეყნისაკენ“ წაყვანა პირველს შთააგონა იეღოვამ: უფალმან ღმერთმან აბრაამისმან, ღმერთმა ისააკისმან და ღმერთმა იაკობისმან. მან უკარნახა მოსეს „ძეთა ისრაელთა გამოყვანება ბოროტის ყოფისაგან მეგვიპტელთასა, და შეყუანება ქუეყანასა მას ქანაანელთასა“.

ჰიტლერმაც ვითომ ასევე „განგების კარნახით“ დაძრა თავისი ურდოები აღმოსავლეთისაკენ „სასიცოცხლო სივრცის“ მოსაპოვებლად. ორივემ კარგად იცოდა, რომ ამ მიწებს საჩუქრად მათ არავინ მისცემდა. საჭირო იყო მახვილი, ბრძოლა და „ღვთაებრივი სასწაულმოქმედება“. როგორც მოგეხსენებათ, იეღოვა ამის ოსტატი იყო. ადრე მას ომების ღმერთად თვლიდნენ, შემდეგ ისრაელთა უზენაეს მბრძანებლად. ეს სწორედ მან მისცა მოსეს სასწაულმოქმედი კვერთხი რომლითაც უნდა დაეშინებინა ეგვიპტის ფარაონი და აეძულებინა ნება დაერთო ებრაელთათვის დაეტოვებინათ რაღაც თანამედროვე გეტოს მსგავსი გესემისი, სადაც ოთხი საუკუნის მანძილზე მონურ შრომას ეწეოდნენ და გაჰყოლოდნენ „უხილავი ღმერთის“ იეღოვას მიერ მოვლენილ მოსეს აღთქმული ქვეყნისაკენ. ეგვიპტის ფარაონი გაჯიუტდა და უარი თქვა ამაზე. მაშინ იეღოვას შთაგონებით მოსემ ათი უბედურება დაატეხა ეგვიპტელებს. სიკეთის ღმერთმა ბოროტებით დაიწყო თავისი საქმე. თუმცა რაღა სიკეთისა! იეღოვას კეთილ სიტყვებს ყოველთვის სისხლიანი საქმეები მოჰყვებოდა. მოსეც ასეთი იყო. ოდეს მან „განირთხა კუერთხი მისი ზეცად, უფალმან მოსცა ქუხილი და სეტყუა, და აღატყდებოდა ცეცხლი ქუეყანასა ზედა, და აწუიმა უფალმან სეტყუა ყოველსა ქუეყანასა ეგუიპტისასა... და მოსრნა სეტყუამან მან ყოველ-

სა ქუეყანასა ეგუიპტისასა კაცთაგან მოპირუტყვთამდე... ხოლო ქუეყანასა მას გესემისსა, რომელსა ზედა იყუნეს ძენი ისრაელისანი არა იყო სეტყუა იგი...“

სხვაც ბევრი უბედურება დაატეხეს თავს იეღოვამ და მოსემ ეგვიპტელებს, მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც მეათე უბედურება იყო. იეღოვას შთაგონებით ებრაელებმა თავიანთი სახლების ზღურბლს სისხლის ლაქით დაადვეს ნიშანი, რათა „დათრგუნვის ანგელოზებს“ არ არეოდათ ისინი ეგვიპტელებში. ამ ბიბლიურ „ესესელებს“ იეღოვასგან ჰქონდათ დავალებული, ღამით ყოველ ეგვიპტელის ოჯახში მოეკლათ უფროსი შვილი... „და შუაღამეს ოდენ გარდამოხდა, უფალი და მოსწყვიდა ყოველი პირმშო ქუეყანასა ეგუიპტისასა პირმშოთაგან ფარაოსით, და მჯდომარე საყდართა ზედა ვიდრე პირმშომდე ტყუისა რომელი ჯდა ჯურღმულსა შინა...“

ამ საშინელებათა „კრისტალურ ღამეს“ „აღდგა ფარაო და ყოველნი მსახურნი მისნი, და ყოველნი მეგვიპტელნი, და იყო ღაღადება დიდი ყოველსა ეგუიპტესა, რამეთუ არა იყო სახლი, რომელსამცა შინა არა იყო მკუდარი“.

მაკიაველური თეზა: „მიზანი ამართლებს საშუალებას“, მაშინაც მოქმედებდა. მიზანი კეთილშობილური იყო: ებრაელების გათავისუფლება ეგვიპტელთა მონობისაგან, საშუალება კი — განურჩეველი.

მას შემდეგ რაც იეღოვამ უამრავი ეგვიპტელი გაჟლიტა, შეშინებულმა ფარაონმა უფლება მისცა ებრაელებს წასულიყვნენ ეგვიპტიდან: რამსესმა უხმო კიდეც მოსეს და ძმას მისას აარონს რათა გამოეცხადებინა მათთვის:

— აღდეგით და განვედით ერისაგან ჩემისა თქუენ, და ძენი ისრაელისანი, ვიდოდეთ და მსახურეთ უფალსა ღმერთსა თქუენსა...

ასე გამოვიდნენ ებრაელები ეგვიპტიდან და დაადგინენ გზას აღმოსავლეთით „აღთქმულ ქვეყანა“ ქანაანისაკენ, რომელსაც შემდეგში იაკობის გმირობის აღსანიშნავად „იზრაელი“ (ღმერთან მორკინე) ეწოდა, ხოლო ჰეროდოტესთან პალესტინადაა მოხსენებული. საშინელი ნგრევით, სისხლითა და ცრემლებით დაიწყო ეს სვლა აღთქმული ქვეყნისაკენ.

ჰიტლერმაც ასევე მოაოხრა დასავლეთ ევროპა ვიდრე თა-

ვის „Drang nach Osten“-ს დაიწყებოდა. მართალია მას მოსესავით სასწაულმოქმედი კვერთხი არ ჰქონდა, მაგრამ ხელში მუდამ მათრახი ეჭირა, რომელსაც ხან დასავლეთისაკენ იშვერდა, ხანაც აღმოსავლეთისაკენ. მერე იმ მიმართულებით კბილებამდე შეიარაღებული დივიზიები მიდიოდნენ და ნაცარტუტად აქცევდნენ ყველაფერს.

გზა „აღთქმული ქვეყნისაკენ“ ყოველთვის ადამიანთა სისხლითა და ძვლებით ყოფილა მოკირწყლული. სისხლმოწყურებულმა იეღოვამ არ იკმარა ეგვიპტელთა თავს დატეხილი უბედურება და შურისძიების გრძნობით აღვსილმა განგებ „განაფიცხა ფარაო“, რომელმაც მისი შეგონებით საუკეთესო ლაშქარი დაადევნა ეგვიპტედან უდაბნოში გასულ ებრაელებს. მოსემ თავისი სასწაულმოქმედი კვერთხით ზღვა გააპო, ებრაელები გაატარა, ხოლო როცა ეგვიპტელებიც მიყვნენ მათ კვალს, „განირთხა ხელი ზღუასა ზედა და კუალად მოეგო წყალი იგი დღე ყოველ ადგილსავე თუისსა: ისრაელნი ვიდოდეს ვითარც ხმელსა შუა ზღუასა... ხოლო მეგვიპტელნი იგი ივლტოდეს წყალთა მათ ქუეშე, და არა დაშთა მათგანი არცა ერთი...“

მერე ისევ გაუთავებელი შფოთი, არეულობა, შინაგანი ამბოხება თუ უცხო ტომებთან გამართული სისხლიანი ომები იყო. ებრაელებმა ისუ ნავეს წინამძღოლობით ბრძოლით აიღეს ქადესი. ქალაქისათვის ბრძოლა ჯერ გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. როცა მოსე ზეცისკენ აღაპყრობდა ხელებს, ებრაელები სძლევდნენ, ხოლო როცა დაუშვებდა — მოწინააღმდეგენი. ბრძოლები მთელი დღე მიმდინარეობდა და მოსეს არ შეეძლო ამ ხნის განმავლობაში სულ ხელებაპყრობილი მდგარიყო. მერე მოქანცულს მკლავებში აარონი და მარიამი შეუდგნენ და ამან უზრუნველყო ებრაელთა გამარჯვება. მტერი შემუსვრილ იქნა. შემდეგ ისევ იეღოვას შთაგონებითა და მოსეს მითითებით ისუ ნავეს ძემ რამდენიმე ათასი მოყვასი გაჟლიტა კერპთაყვანისმცემლობისა და ურჩობისათვის. „უხილავი ღმერთი“ ვერ იტანდა სხვა რწმენას. მიზანი თითქოს აქაც კეთილშობილური იყო. იეღოვას მიერ ნაკარნახევი ათი მცნება სიკეთისა მოსემ ქვის ფიქალზე ამოტვიფრა და თავის წალხს უქადაგა:

— არა იყუნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე... არა ქმნა თავისა შენისა კერპნი... არა მიიღო სახელი უფლისა, ღუთისა შენისა ამაოსა ზედა... მოიხსენე დღე იგი შაბათთა, და წმიდა ყავ იგი... პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ... არა კაც კლა... არა იმრუშო... არა იპარო... არა ცილი სწამო... არა გული გითქმიდეს ცოლისა-თუის მოყუასისა შენისა... არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა კარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოველი რა იყოს მოყუასისა შენისა... მაგრამ ყოველთვის ასე ყოფილა: შვიდ მ ა დ ლ ს თან ახლდა შვიდი ც ო დ ვ ა, ათ მცნებას კ ე თ ი ლ ი ს ა ს — ათი უ კ ე თ უ რ ე ბ ა. „აღთქმული ქვეყნის“ ი ლ უ ზ ი ა ათასობით და მილიონობით ადამიანთა სიცოცხლეს ითხოვდა მსხვერპლად. ილუზია კი ილუზიადვე რჩებოდა. ა მ ა ნ გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ა მ კ რ ე ხ ე ლ უ რ ი ა ზ რ ი ბ ო რ ო ტ ე ბ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს ა ს ი კ ე თ ი ს მ ი ს ა ღ წ ე ვ ა დ. თვით მოსემაც ჯერ ათი საშინელი უბედურება დაატეხა ეგვიპტელებს, ხოლო შემდეგ ათ მცნებაში ჩამოაყალიბა ებრაელთა ქცევის უაღრესად ჰუმანური კანონები, თუმცა პირველი წინააღმდეგობისთანავე დაივიწყა ყოველივე ეს. ამბობდა „არა კაც კლაო“ და როცა იეღოვასადმი ღალატი შენიშნა, თავის „ესესელებს“ — ლევის შეიარაღებულ რაზმებს უბრძანა:

— შეიბინ კაცად კაცადმან მახუილი წელთა მისთა, და განვლეთ და მოაქციეთ ბჭით ბჭედ ბანაკისა მაგისგან, და მოკალან კაცად კაცადმან ძმა თუისი, და კაცად კაცადმან მოყუარე თუისი და კაცად კაცადმან მახლობელი თუისი.

შეიარაღებულმა „ძეთა ლევისთა ჰვეეს, ვითარცა ეტყოდა მათ მოსე, და დაეცნეს მას დღესა შინა სამ ათასნი კაცნი...“

ხოცვა-ჟლეტა არც ამით დამთავრებულა. იეღოვა სრული მოსპობით ემუქრებოდა ებრაელებს ურჩობისათვის. იგი მოითხოვდა მსხვერპლშეწირვას, მათ შორის ყველაზე საშინელს — პირველ შვილებისას რვა დღის ასაკში. ქანაანის გათხრების დროს აღმოჩნდა უზარმაზარი ქვევრები სავსენი რვა-რვა დღის ბავშვების ჩონჩხებით. ეს უკვე სინამდვილე იყო და არა ბიბლიური ლეგენდა. არქეოლოგებმა გამოარკვიეს, რომ ჩვილ

ბავშვებს ცოცხლად ყრიდნენ ამგვარ ქვევრებში და მსხვერპ-
ლად სწირავდნენ თავიანთ ღმერთებს.

ეს შორეული ამბავია და იქნებ უკვე აღარ იწვევდეს
ძლიერ ემოციებს, მაგრამ ჩვენს დროში განა უარესი არ ხდე-
ბოდა? ბევრს გინახავთ ალბათ უკვე სამუზეუმო ექსპონატებად
ქცეული კონვეიერები, რომლითაც ცოცხალ ბავშვებს ყრიდნენ
ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკების კრემატორიუმებში.
ამის გარდა ერთხელ კიდევ გავიხსენოთ უკვე მოთხრობილი
შემზარავი სურათები ბავშვთა მასობრივი ჟლეტისა. ვინც ამ
ამბებს გულგრილად შეუძლია უყუროს, იქნებ თვითონ წარ-
მოიდგინოს თავი იმ მამის მდგომარეობაში, დასახვრეტად გა-
მოყვანილ ბავშვის ყურადღების, ძირს გამართულ სასაკლაო-
საგან მოსაწყვეტად, სულ ზეციისკენ რომ ახედებდა, ვიდრე მათი
დახვრეტის რიგი მოვიდოდა, რომ მაშინ მაინც შეძრწუნდეს მი-
სი ყინულისებური არსებობა და კეთილშობილური ზიზღი გა-
მოიწვიოს სისხლმოწყურებულ ღმერთებისა თუ ადამიანების
მიმართ. სწორედ რომ ღმერთებისა, რომელთაც ჩვილი ბავ-
შვების მსხვერპლად შეწირვა მოითხოვეს ადამიანებისაგან.
სხვისი რა ვიცი და... ჩემთვის ერთი რამ ცხადია: სწორედ ახლა,
როცა ამაზე ელაპარაკობ, ქვეყნად გაჩნდა ჩემი პირველი შვი-
ლიშვილი გიორგი და, მე ვიქნებოდი, თუ სხვა ვინმე, განა ერთი
წუთით შეყოყმანდებოდა, რომ ყელში სწვდომოდა ყველას,
ვინც ამგვარ მსხვერპლს მოითხოვდა მისგან სულერთია, ღმერ-
თი იქნებოდა იგი, თუ ადამიანი! ამიტომაცაა ახლო ჩემთვის იმ
ეგვიპტელთა თუ ქანაანელთა გულისვარამი, ვინც იძულებუ-
ლი გახდა ძალით თუ ნებით გაეღო ამგვარი მსხვერპლი ვი-
თომდა, სიკეთის უზენაესი ღმერთის იეღოვას მრისხანების
დასაშოშმინებლად. თუმცა „მამა ზეციერი“ სხვებს კი არა,
თავის „რჩეულ ხალხსაც“ არ ინდობდა. ერთწელ ცეცხლითა
და მახვილით დახოცა თოთხმეტი ათას შვიდასი კაცი. მერე
დანარჩენიც დასწყევლა რომ ვერც ერთი მათგანი ვერ შედგამ-
და ფეხს აღთქმულ ქვეყანაში გარდა ახალი თაობებისა, რომელ-
ნიც წამოიზარდნენ იმ ორმოცი წლის განმავლობაში, რაც ებ-
რაელები უცდიდნენ ქანაანში შესვლას. ასეთი ბედი ეწია მათ
წინამძღოლ მოსესაც. ღმერთმა იეღოვამ მას მხოლოდ შორი-
დან აჩვენა „აღთქმული ქვეყანა“. იგი „აღვიდა არაბოთად

მობით, მთასა მას ზედა ნაბაის, თხემსა ზედა ფაზგასა, რომელ არს პირის პირ იერიქოსა, და უჩვენა მას უფალმან ყოველი იგი ქუეყანა გალადისა ვიდრე დანამდე. და ყოველი იგი ქუეყანა ნეფთალემისა და ეფრემისა და მანასესი, და ყოველი იგი ქუეყანა იუდასი ვიდრე დასასრულამდე ზღუისა და ყოველი იგი უდაბნო, და ყოველი იგი გარემოს სოფლები რომელი იყო ველთა მათ იერიქოსთა, ქალაქები იგი დანაკის კუდოვანი ვიდრე სეგორადმდე. და ჰრქუა უფალმან მოსეს: ესე არს ქუეყანა იგი...“

მოსე გამოეშურა ნაბაის მთიდან, შეკრიბა თავისი ერი და, კელავ იეღოვას ერთგულმა, მიაწყევლა შთამომავლობას:

— წყეულ იყავნ იგი კაცი, რომელმან ქმნეს კერპნი გამოქანდაკებულნი, და გამოჭედილნი ქმნულნი ხელითა ხელოვნისათა...

... და თქუეს ყოველმან ერმან: იყავნ.

— წყეულ იყავნ, რომელმან შეურაცხყოს მამა თუისი ვინათუ დედა თუისი.

... და თქუეს ყოველმან ერმან: იყავნ.

— წყეულ იყავნ, რომელმან ცვალნეს საზღაურნი მოყუასისა თუისისანი.

... და თქუეს ყოველმან ერმან: იყავნ.

— წყეულ იყავნ, რომელმან აცთუნოს ბრმა გზასა.

... და თქუეს ყოველმან ერმან: იყავნ.

— წყეულ იყავნ, რომელმან განდრიკოს სასჯელი მწირისა, ობლისა, და ქურივისა.

... და თქუეს ყოველმან ერმან: იყავნ.

— წყეულ იყავნ, რომელმან გუემოს მოყუასი თუისი ზაკუით.

... და თქუეს ყოველმან ერმან: იყავნ.

— წყეულ იყავნ, რომელმან მიიღოს ქრთამი მოკლვად სულისა მართლისა.

... და თქუეს ყოველმან ერმან: წყეულ იყავნ.

— წყეულ იყავნ ყოველი კაცი, რომელი არა დაადგეს ყოველთა ამათ სიტყუათა შჯულისათა ყოფად მისა.

... და თქუეს ყოველმან ერმან: წყეულ იყავნ.

ამას რომ ამბობდა მოსეს ცრემლები მოერია, რადგან იცო-

და, რომ თვითონ ვეღარ შეეიდოდა აღთქმულ ქვეყანაში, მაგრამ რა ექნა. ასეთი იყო ნება უფლისა ღმერთისა აბრაამისა, ღმერთისა ისააკისა და ღმერთისა იაკობისა...

ჰიტლერმაც ასე თქვა:

— მე გული მწყდება რომ მსგავსად მოსესი მხოლოდ შორიდან შევხედავ აღქმულ ქვეყანას...

ორივე ისე მოკვდა და დაიმარხა, რომ აღთქმული ქვეყანა კი არა საფლავიც არავის უნახავს მათი...

...მოსეს გზა შემდეგ ისუ ნავინმა განაგრძო და ებრაელებმა ბრძოლით დაიპყრეს ქანაანი, „გამამდინებელი სძისა და თაფლისა"... და „სისხლისაო" უნდა დავუმატოთ ჩვენ, რადგან ომები და ხოცვა-ჟლეტა არც იმ „აღთქმულ ქვეყანაში" შეწყვეტილა. პირიქით, მოვიდნენ ახალი თაობები, რომელთაც დაივიწყეს ძველი ქადაგებანი და მცნებანი მოსესი. ისინი ისევ დაუბრუნდნენ კერპთაყვანისცემას და უზნეო ცხოვრებას. გაქრა სიკეთის ბოროტებით დამკვიდრების ილუზია. იეღოვამ კვლავ მრავალგზის დასაჯა მისი „რჩეული ერი" და შემდგომად ამისაც იყო გაუთავებელი ომები: ებრაელთა, „აღთქმული ქვეყანა" ჯერ მესოპოტამიელებმა დაიპყრეს, მერე მოაბიტელებმა, ფილისტინელებმა, გადიამისელებმა, ამორევლებმა და ვინ იცის კიდევ ვინ...

ნამდვილი „აღთქმული ქვეყანა" კი ჯერაც არავის უნახავს...

კეთილისა გოროტი...

არც ქრისტიანული რწმენის მიერ ხოტბაშესხმული ედემის ბაღს მოჰყოლია მშვიდობა კაცთა შორის. ქრისტიანიზმი მახვილით დამკვიდრდა ამქვეყნად. იგი შიშისა და ტერორის რელიგიად იქცა. ქრისტეს მომხრეები ისევე სთრგუნავდნენ წარმართობას, როგორც მოსე კერპთაყვანისმცემლებს. ორივე იმ ათ მცნებას ქადაგებდა როგორც ზნეობის უმაღლეს კანონს. ეზოტერული ქრისტიანიზმი კიდეც იცავდა ამას, მაგრამ საეკლესიო ღვთისმსახურება მაინც ჩაეფლო ეგზოტერიზმის ჭაობში. ამის ტენდენცია იმთავითვე იგრძნობოდა. წმიდა წიგნები სავსეა უწმიდური ამბებით, აპოკალიპსური შურისძიები-

სა და დასჯის კულტით, იეზუიტური სადიზმითა და ჯოჯოხეთის ამაზრზენი მისტერიებით. ამას მოჰყვა რელიგიური ომები, ჯვაროსნული ლაშქრობანი და ინკვიზიტორთა გაუგონარი სისასტიკე. იყო ჯერ პირველი ჯვაროსნობა, მერე — მეორე, შემდეგ კი მესამე და უდიდესი: ფრანგთა მეფის ფილიპე II ავგუსტის, ინგლისის მეფის რიჩარდ ლომგულისა და გერმანელთა მეფის ფრიდრიხ I ბარბაროსას წინამძღოლობით. მათი მიზანი იყო: „პური ჩვენის არსობისა“, საბაბი კი ვითომ ქრისტეს საფლავის გათავისუფლება. კეთილს აქაც ბოროტი აჰყვა, ეზოტერულ ქრისტიანიზმს — კათოლიკური ეკლესია. მერე ინკვიზიციამაც იმძლავრა და „სახელითა ღვთისათა“ ცეცხლში წვავდნენ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებს...

... ნიურნბერგის პროცესზე შეძრწუნებული ბრალმდებლები ამტკიცებდნენ, ჰიტლერელთა აუტოდაფე და სისხლიანი ორგიები იეზუიტობისა და ინკვიზიციის აღორძინებაა, თუმცა ამას სულაც არ ჰქონდა დანაშაულის მტკიცების ძალა. ჰიტლერელები სულაც არ უარჰყოფდნენ თავიანთ სულიერ კავშირს იეზუიტობასთან. ბევრ მათგანს იეზუიტური სკოლაც ჰქონდა დამთავრებული. ჰიტლერი წერდა კიდეც: ადამიანები „პრინციპში მადლობელი უნდა ვიყოთ იეზუიტიზმისა“ (Im grunde wir müssen dem Iesuitismus dankbar sein), რადგან იგი „გრძნობათა სიხალისეს“ (Sinnesfreude) იწვევდაო. მეტიც: თვით შუასაუკუნეების ინკვიზიციაც, თურმე, სიკეთეს ემსახურებოდა. ამასვე ამტკიცებს ყველა დესპოტი, ვისაც მასობრივი ტერორი სახელმწიფო წესრიგის აუცილებლობად მიაჩნია. ბოროტება — ადამიანთა კეთილდღეობისათვის! ომი — მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის! — ეს ჩვენი დროის პარადოქსიცაა. დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორი ახლაც დგას ტრიბუნაზე და ბრალსა სდებს სიკეთისა და თავისუფლების იდეას. იგი თვით მაცხოვარსაც გზავნის სატუსაღოში და ესეც ვითომ ხალხის საკეთილდღეოდ!..

... დოსტოევსკი, მოგეხსენებათ, თავისი მედიუმის — ივანე კარამაზოვის ფანტასტიკური პოემის „დიდი ინკვიზიტორის“ საშუალებით მსჯელობს ამაზე. მოქმედება ესპანეთის ქალაქ

სევილიაში ხდება, ინკვიზიციის ყველაზე შავბნელ პერიოდში, როცა ღვთის სადიდებლად დღენიადაგ გიზგიზებდა კოცონი და ცეცხლში ყრიდნენ ერეტიკოსებს. აქ ერთხელ კიდევ გამოჩნდა „ძე ღვთისა“ და თავისი თვალით ნახა, დიდი ინკვიზიტორის განკარგულებით თუ როგორ წვავდნენ კოცონზე ერეტიკოსებს და ისიც „სახელითა ღვთისათა“.

იგი მოდიოდა ნელა, სახეზე კეთილი ღიმილი და თანაგრძნობა გადაჰფენოდა, მოდიოდა ღვთაებრივი სინათლით გასხივოსნებული. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მას, შეჰღაღადებდა, შველას სთხოვდა, კოცნიდა მის „ფერხთა ნატერფალს“, ყვავილებს უფენდა ფიანდაზად და „ოსანას“ უგალობდა...

მაცხოვარმა ბრმას თვალები აუხილა, მკვდარი გოგონა გააცოცხლა... ამ სასწაულით გაოცებულმა ხალხმა მუხლი მოიყარა მის წინაშე და თაყვანი სცა...

ერთადერთი მხოლოდ ოთხმოცდაათი წლის კარდინალი, დიდი ინკვიზიტორი იყო შუბლგაუხსნელი. თვალები ბოროტად უელავდა და ზიზღით უყურებდა მაცხოვრის ამ დიდებულ მობრძანებას...

აქ ერთმანეთს შეხვდა სახიერება ღვთაებისა და „მონა მისი“ — ცეცხლით, ტანჯვა-წამებითა და ათასგვარი ბოროტებით რომ ადიდებდა მის სახელს. ისიც ვითომ ხალხთა კეთილდღეობას ემსახურებოდა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის ზრუნავდა. გონებადაბნეულთ სჯეროდათ ეს და იმავე განგების სახელით იყრიდნენ მუხლს ინკვიზიტორის წინაშე. ამაშია ამ ორი სრულიად საწინააღმდეგო მოვლენის — სიკეთისა და ბოროტების ტრაგიკული ერთიანობის მოდუსი, რომლის ფორმულაც ჩვენი დროის მთავარმა ინკვიზიტორმა ჰიტლერმა, თუ გახსოვთ, ასე ჩამოაყალიბა:

— უდიდესი სიკეთე მხოლოდ უდიდესი ბოროტებით მიიღწევაო.

ამასვე იმეორებდა იგი ყოველთვის, როცა ტრიბუნაზე იდგა და მსოფლიო ნგრევის იდეებს ქადაგებდა. გერმანელი ხალხის დიდი უმრავლესობა კი „ოსანას“ უგალობდა მას...

კარამაზოვის კარდინალ-ინკვიზიტორის აზრით, „ღვთაებრივი სიკეთე“ ზოგადი მიზანია, რაც ხელს უშლის ბოროტების ყოველდღიურ ჭეშმარიტებას, როგორც „უმაღლესი სიკეთის“

მიღწევის საშუალებას. ამიტომაც ხვდება ასე გაბოროტებული მაცხოვრის ხელახალ გამოცხადებას დედამიწაზე. ეს არ აძლევს მას, როგორც კათოლიკური ეკლესიის ბურჯს, საშუალებას ცეცხლითა და მახვილით ემსახუროს უზენაესის კეთილ სახეს...

დიდი ინკვიზიტორი მცველებს უბრძანებს და მაცხოვარს აპატიმრებენ. ხალხი, რომელიც „ოსანას“ უგალობდა და ფეხქვეშ ფიანდაზად ეგებოდა „თავის მხსნელს“, მონურად ხრის თავს ინკვიზიტორის წინაშე. მაცხოვრის მოვლინებით გამოწვეული აღტაცება ერთბაშად წაიშლება მათ სახეზე. აუტოდაფეს შიშით შეძრწუნებული ქალი თუ კაცი უსიტყვოდ ემორჩილება დიდი ინკვიზიტორის ნებას.

ასე აღზარდა ისინი კათოლიკურმა ეკლესიამ...

... ქრისტიანული რწმენის უარმყოფელი ანტიქრისტე ჰიტლერიც ამიტომ იყო აღტაცებული კათოლიკური ეკლესიის მკაცრი იერარქიითა და წესრიგით. იგი ადიდებდა ინკვიზიციას და იეზუიტების ორდენის შესაბამისად ქმნიდა ესესელთა „ბურგებს“. ასე პარადოქსულად გადაეჯაჭვა ერთმანეთს ნაციონალ-სოციალისტური რწმენა და კათოლიციზმი...

დიდი ინკვიზიტორი ისეთივე ბრალდებებს უყენებს მაცხოვარს, როგორსაც ჰიტლერი — ქრისტეს მოძღვრებას. წარმოიდგინეთ, რომ ეს სპეციალური მსჯელობის საგნად იქცა ნიურნბერგის პროცესზე. ფრანგი ბრალმდებელი საგანგებოდ გამოვიდა ამ საკითხზე და მთავარ სამხედრო დამნაშავეებს ქრისტეს რწმენის დათრგუნვაში დასდო ბრალი, თუმცა ესეც ისევე მოითხოვდა მტკიცებას, როგორც მათი სხვა დანაშაული. მართალია, თვითონ ჰიტლერი სრულიად აშკარად გამოდიოდა ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ, მაგრამ ნიურნბერგის საბრალდებულო სკამზე მსხდომი მისი ყოფილი თანამებრძოლები ასე როდი იქცეოდნენ, პირიქით, თავი მორწმუნეებად მოჰქონდათ და თითქმის ყოველდღე იხმობდნენ ციხის საკანში „სულის მოძღვართ“.

მე ბევრჯერ მინახავს, ანაფორიანი ღვთისმსახურები რომ დაფარფატებდნენ ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის დერეფნებში.

მახსოვს, ერთხელ პოლონეთის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის ფრანკის „სულის მოძღვარი“ რომ შემოვიდა ჩემთან და „თავისი პაციენტის“ ღვთისმოსაობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. მე და პიოტროვსკიმ მას წავაკითხეთ ფრანკის დღიურების ადგილები, სადაც ეს „ღვთისმოსავი ანტიქრისტე“ უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და მოითხოვდა ყველა სასულიერო პირი საკონცენტრაციო ბანაკში მოეთავსებინათ.

ფრანკის „სულის მოძღვარი“ დამდუღრულივით გავარდა ოთახიდან და ამის შემდეგ არც გაჰკარებია იმ „ღვთისაგან შეჩვენებულ“ ანტიქრისტეს... ფრანკი კი მაინც განაგრძობდა ლოცვას...

კარამაზოვის კარდინალ-ინკვიზიტორიც ადიდებდა მაცხოვრის სახელს, მაგრამ... საქმე საქმეზე რომ მიდგა, ციხის ბნელ ჯურღმულში ჩაამწყვდია იგი...

ქეისრის მახვილი...

ღამით იმ ჯურღმულში თვით დიდი ინკვიზიტორი შევიდა და მაცხოვარს განუცხადა:

— ხვალ შენც დაგწვავთ კოცონზე როგორც ყველაზე საშინელ ერეტიკოსს, ხოლო ხალხი, რომელიც დღეს შენს ფერხთა ნატერფალს ჰკოცნიდა, ხვალ თვითონვე შეგინთებს ცეცხლს...

ეს იგივე ხალხია, რომელსაც მაცხოვარმა ამ ათას ხუთასი წლის წინ თავისუფლება და მოყვასის სიყვარული უქადაგა. იგი მაშინაც „განჰკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა ერსა შინა“. ხალხი და მოწაფეები მისდევდნენ მას „გალილეადთ და ათქალაქით და იერუსალემით და ჰურიასტანით და წიაღ იორდანით“. მაცხოვარმა „მიიხუნა უძლურებაჲ მათი“. და იტვირთა ყოველგვარი სნეულება. მანვე გაათავისუფლა ადამიანები ცოდვათაგან და მიანიჭა მათ თავისუფლება...

მას შემდეგ ათას ხუთასი წელი გავიდა და დიდი ინკვიზი-

ტორი ახლა ბრალდებად უყენებს, ეს თავისუფლება აუტანელ წამებად იქცაო ხალხისათვის.

— ჩვენ თხუთმეტი საუკუნე ვიტანჯებოდით ამ თავისუფლების გამო, — ეუბნება ინკვიზიტორი ნაცხოვარს, — ახლა კი საბოლოოდ მოვუღეთ მას ბოლო. თვითონ ხალხმა შემოგვწირა ჩვენ თავისი თავისუფლება და ამით მოიპოვა ბედნიერება...

...ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე ჰიტლერმაც, იმ დიდი ინკვიზიტორისა არ იყოს, ყოველგვარი თავისუფლება მოსპო. მას არა ერთხელ განუცხადებია, პიროვნების თავისუფლება დამღუპველია ერისთვისო...

— როცა ადამიანებს ინდივიდუალურ თავისუფლებას ანიჭებ, ისე იქცევიან, როგორც მაიმუნები, — ამბობდა იგი. — რაც უფრო მეტად უახლოვდებიან ისინი ერთმანეთს, მით უფრო მეტს ჩხუბობენ. ვერც ერთი მათგანი ვერ ითმენს, სხვას რომ მასზე მეტი ჰქონდეს. საჭიროა აღვირის მოქაჩვა, რომ წესრიგი დამყარდეს... ჩვენთან, სოფელში, ბიჭები რომ შეკრიბდებოდნენ, ჩხუბობდნენ, ლოთობდნენ, იგინებოდნენ. წესრიგი მხოლოდ მაშინ მყარდებოდა, როცა ჟანდარმი გამოჩნდებოდა.

მერე ასეთ ჟანდარმად თვითონ მოევლინა ხალხს...

... დიდი ინკვიზიტორიც ასე ამბობდა:

— ადამიანი თავისი ბუნებით მეამბოხეა, ხოლო მეამბოხე ბედნიერი ვერასოდეს იქნება. ამის შესახებ შენც გაგაფრთხილეს, — მიმართავს იგი მაცხოვარს, მაგრამ ყური არ დაუგდე, გეგონა ეს ცდუნებაოო. სინამდვილეში კი ის თვითმოსპობისა და არყოფნის საშინელი, მაგრამ გონიერი სული სრულ სინამდვილეს ღაღადებდა...

აქ ეს „არყოფნის გონიერი სული“ ეშმაკია, მაშინ რომ მაცხოვარს მოევლინა და სამი კითხვა მისცა გამოსაცდელად. ინკვიზიტორის აზრით, ეს იყო „მარადიული და აბსოლუტური კითხვები კაცობრიობისა“, რადგან მთელი სამყაროს ჭეშმარიტება იყო მათში მოქცეული. მართალია, იგი ზუსტად არ იმეორებს ამ კითხვებს, არც იმ „არყოფნის გონიერ სულს“ უწო-

დებს ეშმაკს, მაგრამ მათეს სახარებაში ყოველივე ეს გარკვევით წერია:

როცა „იესო აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან და იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე... მოუხდა მას გამომცდელი იგი და ჰრქუა:

— უკუეთუ შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, თქუ, რაჲთა ქვანი ესე პურ იქმნენ.

ქრისტემ ამაზე უარი განაცხადა და მიუგო:

— წერილ არს, რამეთუ არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყუითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა...

მაშინ წარიყვანა იგი ეშმაკმან მას წმიდასა ქალაქსა და დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისასა და ჰრქუა მას:

— უკუეთუ ძე ხარ ღმრთისა, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთუის, და ხელთა მათთა ზედა აღგიპყრიან შენ, ნუსადა წარსცე ქუასა ფერხი შენ“...

ქრისტემ ამაზედაც უარი განაცხადა:

— ვითარმედ წერილ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი.

კუალად წარიყვანა იგი ეშმაკმან მთასა ფრიად მაღალსა ღა უჩუენნა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდება მათი და ჰრქუა მას:

— ესე ყოველი მოგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე.

მაშინ ჰრქუა მას იესო:

— წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე.

მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან...“

აი, ეს სამი კითხვა მიაჩნია დიდ ინკვიზიტორს კაცობრიობის უმაღლეს ჭეშმარიტებად. შესაძლებელია მაშინ ეს ჯერ კიდევ არ ჩანდაო, ამბობს იგი, მაგრამ ამ თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ყველაფერი დადასტურდა და ამას არაფრის მიმატება აღარ სჭირდებაო.

მაცხოვარს არც არაფრის მიმატება გაუვლია გულში, მთე-

ლი ამ „დიალოგის“ განმავლობაში იგი მხოლოდ დუმდა. ინ-კვიზიტორი კი ლაპარაკობდა.

— შენ თავისუფლება მოგქონდა ხალხისათვის, იმას კი პური უნდოდა. თავისუფლება და პური ერთად არასოდეს იქ-ნება. ხოლო ხალხს პური ურჩევნია თავისუფლებას. ხალხი აღმერთებს იმას, ვინც მისი ბატონია და პურს აძლევს. ჩვენ ამას შევპირდებით მათ. მართალია, ვიცრუებთ, მაგრამ მაინც შევპირდებით და თანაც თქვენი სახელით. ხალხს ის უნდა, რომ ვინმეს სცეს თაყვანი. მაგრამ ვის? იმას, ვისაც ყველა ემორ-ჩილება. ამისათვის ებრძვიან ისინი ერთმანეთს, გინდათ თუ არა, თქვენც ჩვენი ღმერთი იწამეთო. ღმერთები რომ არ ეყო-ლებათ, კერპებს მოიგონებენ და იმათ სცემენ თაყვანს...

...მასებს კერპი უნდათო, გაიძახოდა ჰიტლერი. მისი აზრით, ბრბო, რომელსაც თავისი კერპი არა ჰყავს, არარაობაა. მასა მაშინ იძენს ძალას, თუ მის ნებას დაეუფლება ბელადი, წინამძღოლი, ფიურერი. გერმანელი ხალხისათვის ასეთ კერ-პად მას მხოლოდ თავისი თავი მიაჩნდა, იტალიელებისათვის კი — მუსოლინი. ასეა. როცა დესპოტი აბსოლუტური ძალა-უფლებისაკენ მიისწრაფვის, ამასაც ხალხის მოთხოვნილებად თვლის.

— ამაშია ადამიანთა ბუნების ძირითადი საიდუმლო-ებაო, — ამბობდა დიდი ინკვიზიტორიც...

... მაცხოვრის შეცდომა კი თურმე იმაში ყოფილა, რომ მან თავი კერპად გამოაცხადა, მაგრამ „ამქვეყნიური პურის“ ნაცვლად „ზეციურ პურს“ ჰპირდებოდა ხალხს. ესეც ვითომ თავისუფლებისათვის, მაშინ როცა იგი თავად უნდა დაუფლე-ბოდა ადამიანთა თავისუფლებას და „ზეციური ნეტარების“ შეპირების ნაცვლად ამქვეყნიური პური მიეცა მათთვის, რად-გან ისინი თხოულობდნენ: „პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღესო“. პურის ნაცვლად კი მაცხოვარმა მათ მისცა არ-ჩევანი კეთილსა და ბოროტს შორის, იმაზე კი არ იფიქრა, არჩევანის თავისუფლება მძიმე ტვირთად რომ აწვებოდა და ტანჯავდა მათ. ამით მაცხოვარმა თვითონ შეარყია თავისი სა-მეფო, რომლის განსამტკიცებლადაც, ინკვიზიტორის აზრით,

თურმე სამი ძალა არსებობს: სასწაული, იდუმალება და ავტორიტეტი.

— იმ სულმა რომ გირჩია, — ეუბნება იგი მაცხოვარს, — „გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად“, თუ ანგელოზები აგიტაცებენ და არ დაიმსხვრევიო, ეს შენ არ გააკეთე, არ-უჩვენე ხალხს სასწაული და ისინი შეეჭვდნენ შენში. ადამიანს არ შეუძლია სასწაულის უარყოფა, რადგან ამით ღმერთსაც უარყოფს. მას ხომ სასწაულის უფრო სჯერა, ვიდრე ღმერთისა. შენ არც ჯვარიდან ჩამოხვედი, რადგან თავისუფალი რწმენა გინდოდა გაგეღვიძებინა ხალხში და არა სასწაულით შთაგონებული. შენ ძალიან ბევრს მოითხოვდი ადამიანებისაგან, მოითხოვდი იმას, რაც მათ არ შეეძლოთ. ვინც შენსავით შეძლო უდაბნოში დაყუდებულიყო, ემარტვილა, სხეული ეგვემა, რათა სულიერი ნეტარება მოეპოვებინა, სულ დიდი, რამდენიმე ათასი თუ იქნებოდა ასეთი, მეტი არა. სხვებმა ეს ვერ შეძლეს, ვერ ზიდეს შენი ჯვარი. ჩვენ კი გავასწორეთ შენი შეცდომა, სასწაულს, იდუმალებასა და ავტორიტეტს დავეყრდნეთ და შევუმსუბუქეთ მათ ტვირთი, რადგან გვიყვარს კაცობრიობა...

... ესეც გასაოცარი სიზუსტით ემთხვევა ჰიტლერულ დოქტრინებს. როგორც ვნახეთ, ისიც სულ „სასწაულს“ გაიძახოდა, „სასწაულს“ ელოდა და „სასწაულითვე“ ანუგეშებდა ხალხს მაშინაც, როცა კატასტროფის წინაშე იდგნენ. იგი ჰპირდებოდა გერმანელ ხალხს სასწაულებრივ გამარჯვებას, მსოფლიოს დაპყრობასა და ათასწლოვანი იმპერიის შექმნას. რით? რა საშუალებით? ეს მისი საიდუმლოება იყო. მას ხომ „განდობილთა“ ვიწრო წრე ჰყავდა, ვინც მასთან ერთად „ეყუდნა უდაბნოსა შინა“ ხელისუფლებისათვის ბრძოლის დროს. „ხელდასხმულთა“, ანუ ფიურერთა კასტაც რამდენიმე ათასი თუ იქნებოდა და ისიც ნაწილობრივ „განდობილნი“ „სასწაულებრივ იდუმალებას“. სხვები ბრმად უნდა მიჰყოლოდნენ მის ავტორიტეტს და მიჰყვნენ კიდეც, რადგან დაიჯერეს ეს „სასწაული, იდუმალება და ავტორიტეტი“. ჰიტლერი ქადაგებდა, საუკუნეები უნდა ისეთი ავტორიტეტის გამოჩე-

ნას, როგორიც მე ვარო. ეტყობა, თვითონაც დაიჯერა ეს და ხალხისაგან ბრმა მორჩილებას მოითხოვდა.

— მიენდეთ ფიურერს და სასწაულსო, — გაჰყვიროდა მისი იდეების მედაფდაფე გებელსიც.

მართლაც ასე მოხდა. გერმანელი ხალხის უმრავლესობა მიენდო მას, ფიციც დასდო მისი როგორც „განგების მიერ მოვლენილი“ მხსნელის წინაშე და თითქმის მთლიანად ჩააბარა თავისი ბედ-იღბალი: სიცოცხლე, შრომა, ფიქრი, სურვილები, ყველაფერი, რაც კი გააჩნდა. ამიერიდან მას არ სჭიროდა ფიქრი, რადგან ფიურერი ფიქრობდა მის მაგივრად. „რა ბედნიერებაა როცა ხალხი არ ფიქრობსო“, თქვა ერთხელ ჰიტლერმა. მერე დაუმატა კიდეც, „ხალხს ის უნდა, რაც ფიურერებს მოუვათ თავშიო“...

რამდენი ტყვე ჯარისკაცი დამიკითხავს ისეთი, სულ ფიურერის მისამართით რომ იშვერდა თითს: ფიურერმა მოგვიწოდა, ფიურერმა გვიბრძანა, ფიურერმა უკეთ იცისო და სხვა მისთანანი... თვითონ კი ბრმა იარაღის როლითაც კმაყოფილდებოდნენ, ყველაფერში ეთანხმებოდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ და ბოლოს უფსკრულშიაც კი მიჰყვებოდნენ მას... სამართლიანი იყო ეს, თუ უსამართლო, კანონიერი, თუ უკანონო, კეთილი, თუ ბოროტი, — ამის გარჩევაში შესვლა მათ არ ევალებოდათ, ეს ფიურერთა საქმე იყო. ამან საოცარი ჯურის ხალხი მოამრავლა: ბუნებით კეთილი, ოჯახისმოყვარე, ზედმეტად სანტიმენტალური გერმანელი იქცა მკვლელად, სადისტად, ჯალათად. საოცრება ის იყო, რომ ეს თითქოს არ უშლიდა ხელს მათ პიროვნულ პატიოსნებას. ისხდნენ დაკითხვის ოთახში და ცრემლსა ღვრიდნენ: ჩვენი რა ბრალია, ასე გვიბრძანეს, სხვა რა გზა გვქონდა, უნდა დავმორჩილებოდით, უნდა გაგვეკეთებინა, უნდა მოგვეკლა... უნდა დაგვეხოცაო... სულ ეს „უნდა“, „უნდა“, „უნდა“... თვითონ კი არაფერი: ჩვენ კეთილი ხალხი ვართო, ოჯახი გვიყვარსო, იადონებს ვუელითო...

... ასეთია დიდი ინკვიზიტორის ლოგიკაც: იგი ღმერთს აღიდებს და სატანის კვალს კი მისდევს, ზეცას შეჰღაღადებს და ჯოჯოხეთს ემსახურება. არჩევანი კი მასაც თავისუფალი ჰქონ-

და: სიკეთე-ღმერთი და ბოროტება-ეშმაკი. ქრისტემ ღმერთი ირჩია, ხოლო დიდმა ინკვიზიტორმა — ეშმაკი, მერე ქრისტე ციხეში ჩასვა და პირდაპირ განუცხადა: გაიგე, ჩვენ შ ე ნ თ ა ნ კ ი ა რ ა, აი, ი მ ა ს თ ა ნ ვართო. „იმასთან“ — ეს ისევ ის ეშმაკია, „არყოფნისა და განადგურების საშინელი, მაგრამ გონიერი სული“, რომელიც, მილტონის სატანისა არ იყოს, „განადგურებით ანადგურებს განადგურებას“ და ამით ემსახურება ღმერთს...

მაცხოვარმა კი ეს ვერ შეიგნო, არ დაუჯერა ეშმაკს და არ გაჰყვა მის გზას. ჩვენი დროის დიდმა ინკვიზიტორმა მაცხოვრის ეს „შეცდომა“ გაასწორა და, როგორც ერთხელ უკვე გიამბეთ, „მეშვიდე ეშმაკად“ იქცა, რითაც კავშირი შეკრა ჯოჯოხეთის ძალებთან...

შემდეგ ეს ალეგორია უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს და ისტორიული თვალსაზრისითაც უკავშირდება გერმანელთა ტევტონურ ლაშქრობას „რომის იდეების“ განსახორციელებლად.

დიდი ინკვიზიტორი ამბობს:

— სწორედ რვა საუკუნის წინათ ჩვენ ჩამოვართვით მათ რომი და კეისრის მახვილი, რომ თავი ამქვეყნიური ცხოვრების მეუფეებად გამოგვეცხადებინა. მართალია, ჯერ ყველა საქმე არ მოგვიგვარებია, მაგრამ ადრე თუ გვიან ჩვენსას მაინც ვავიტანთ, გავხდებით კეისრები და ვიზრუნებთ კაცობრიობის კეთილდღეობაზე...

... ეს ცინიკური სიტყვებიც წინასწარმეტყველური გამოდგა. ჯერ მუსოლინი მოევლინა ევროპას როგორც „ახალი კეისარი“, ხოლო შემდეგ ჰიტლერმა ჩამოართვა მას პირველობის კვერთხი. ერთმა ნერონის პოზა დაიჭირა, მეორემ — კალიგულასი. ორივე კეისრებივით იშვერდა მარჯვენა ხელს წინ და ასე ესალმებოდა ხალხს. შემდეგ ჰიტლერმა ყბები მოიქცია რომის იმპერიაზე ლაპარაკით. იგი ამტკიცებდა, „გერმანელი ერი რომის იმპერიისა და ქრისტიანიზმის ბრძოლის შედეგად იშვაო“. არც „თავისი მეგობარი“ მუსოლინი დაივიწყა. ღა განაცხადა, „პირველად დუჩემ დაამტკიცა ევროპაში დიქტატურის შესაძლებლობაო“. მერე თვითონ იკისრა პირველობა

და, ხომ გახსოვთ, „ყველაფერი ჩემს ავტორიტეტზეა დამოკიდებულიო“, რომ ირწმუნებოდა.

ესეც იმ დიდი ინკვიზიტორის აზრებს ეხმაურება...

— ჩვენ გვექნება ავტორიტეტი და ხალხი თაყვანს გვცემს, რადგან იგი იპოვის, ვისაც უნდა დაემორჩილოს და ჩააბაროს თავისი სინდისი, — ამბობს ინკვიზიტორი.

თავის დროზე მაცხოვარმა ხალხს სინდისიერებისაკენ მოუწოდა. ინკვიზიტორის აზრით კი, ადამიანები დაიტანჯნენ სინდისის ქენჯნით; მორალურმა დოქტრინებმა ისეთი რკინის ბორკილები დაადო მათ, რომ სრულიად მოუსპო მოქმედების ძალა. ამის გამო ჯერ დიდმა ინკვიზიტორმა უარყო სინდისის აუცილებლობა, მერე კი, როგორც იცით, ჰიტლერმა მოინდომა ამ „ქიმერისაგან“ კაცობრიობის გათავისუფლება...

... მსოფლიო ბატონობის იდეებიც დიდი ინკვიზიტორის აზრებს ეხმაურება. ინკვიზიტორი ფიქრობს, რომ ადამიანებს ბუნებრივი მიდრეკილება აქვთ გაერთიანებისაკენ. ისინი სულ იმის ცდაში არიან, როგორმე გაერთიანდნენ და ისიც მსოფლიო მასშტაბითო. რაც უფრო ძლიერია ხალხი, მით უფრო იზრდება ეს მიდრეკილება. ამიტომ მიჰყვებიან ისინი ჩინგისხანებს, თემურ-ლენგებს (კარამაზოვი რომ ჩვენს დროში ცხოვრობდეს, ალბათ, „ჰიტლერებსაცო“, მიუმატებდა) და ცდილობენ მოსპონ მსოფლიო ბატონობა. თურმე ამასვე ესწრაფვის კათოლიკური ეკლესიაც. დიდი ინკვიზიტორი აცხადებს:

— ახლა კი ჩვენ ავიღეთ კეისრის მახვილი, უარგყავით შ ე ნ და გავყევით ი მ ა ს, რათა დავასრულოთ ბაბილონის გოდოლის შენება.

ეს „შენ“ აქაც ქრისტეა, ხოლო „იმას“ — სატანა. ანალოგიაც პირდაპირია: ნაციზმმა უარყო ქრისტე, კავშირი შეკრა ეშმაკთან და შეუდგა „მესამე იმპერიის“ ბაბილონის გოდოლის შენებას... განგების სადიდებლად და ადამიანთა (ცხადია, გერმანელთა) საკეთილდღეოდ... გერმანელი ხალხიც მიჰყვა ეშმაკის ამ ნაკვალევს და, როგორც ვნახავთ, ბაბილონის გოდოლის სავალალო ბედი გაიზიარა — იგი დაინგრა „ვიდრე აღშენებადმდის“. .

დიდი ინკვიზიტორი ხალხის მხარდაჭერის აუცილებლობას ქადაგებდა:

— ჩვენ დავარწმუნებთ ხალხს, — ამბობდა იგი, — რომ ისინი ნამდვილად თავისუფალნი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან, თუ ჩვენ შემოგვწირავენ თავიანთ თავისუფლებას და დაგვემორჩილებიან.

გერმანელი ხალხის დიდმა ნაწილმა მართლაც შესწირა თავისუფლების იდეა ნაციონალ-სოციალიზმს და დაემორჩილა „იმას“, ესე იგი „ეშმაკს“... თანაც სინანულით კი არა, მადლობის გრძნობით, აღტაცებითა და ნაცისტური ოსანას — „ჰაილ ჰიტლერის“ ღრიალით...

ამასვე „წინასწარმეტყველებდა“ დიდი ინკვიზიტორი:

— შემდეგ ადამიანები ძრწოლით გაიგონებენ, — ეუბნება იგი მაცხოვარს, — თუ რა საშინელებამდე მიიყვანა ისინი შენ მიერ შემოთავაზებულმა თავისუფლებამ. „თავისუფლება“, „თავისუფალი გონება“ და „ბედნიერების სურვილი“ მათ ისეთ ამოუხსნელ საიდუმლოებათა უღრანში შეიყვანს, რომ თვითონ დაიხოცავენ თავს ან ერთმანეთს გაჟლეტენ. ვინც დარჩება, ისინი მუცელზე ხოხვით მოვლენ ჩვენთან და შემოგვღაღადებენ:

— თქვენ მართალი იყავით. ჩვენ ვბრუნდებით თქვენთან და გემორჩილებით: გვიხსენით ჩვენივე თავისაგან.

მაშინ ჩვენ ხალხს დავურიგებთ მათ მიერვე მოწეულ პურს. აქ უკვე აღარ იქნება რამე სასწაული, არც არავითარი „ქვის გადაქცევა პურად“. ადამიანები გაიხარებენ ჩვენი ხელიდან რომ მიიღებენ თავიანთი არსობის პურს, და მიხვდებიან, თუ რას ნიშნავს ერთხელ და სამუდამოდ დამორჩილება... ისინი შიშით დაგვიწყებენ ყურებას და ისე მიეკრობიან ერთმანეთს, როგორც წიწილები დედის ფრთებს ქვეშ ბუდეში. ჩვენ მათთვის ვიქნებით ძლიერნი, ჭკვიანნი, რომელთაც შევძელით ხალხის დამორჩილება. ჩვენ ვამუშავებთ მათ და გავართობთ (ჰიტლერელებმა დააარსეს კიდეც საზოგადოება: „შრომა და გართობა“, რომელიც ექვს მილიონამდე გერმანელს აერთიანებდა). ჩვენ მათ ცოდვის ჩადენის უფლებასაც მივცემთ (აკი

ამის უფლება ჰიტლერმაც მისცა თავის ჯარისკაცებს) და ეს მათ გაუხარდებათ. რაც შეეხება სასჯელს ჩადენილი ცოდვის გამო, ამას ჩვენ თვითონ ვიკისრებთ ღმერთის წინაშე, ეს კი მათ აღტაცებაში მოიყვანს...

ჰიტლერიც ამიტომ გაჰყვიროდა თავისი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ განგების წინაშე. გერინგიც ხომ მხარს უბამდა მას: თქვენ მოჰკალით, პასუხისმგებლობას კი მე ვკისრულობო, — ეუბნებოდა იგი თავის პოლიციელებს... ამის შემდეგ სინდისისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული ჰიტლერელები მიესივნენ ევროპას და... თქვენ იცით, რა შემაძრწუნებელი შედეგები მოჰყვა ამას. ისინი ბედნიერები იყვნენ, რადგან, ისევ დიდი ინკვიზიტორის ალეგორიას რომ დავუბრუნდეთ, მათ წინაშე არ იდგა არავითარი საიდუმლოება და არც არავითარი გადაწყვეტილების მიღება სჭირდებოდათ. ინკვიზიტორი ამბობს, ჩვენ თვითონ ვეტყვით მათ, თუ რა გააკეთონ და რა — არა.

ჰიტლერელმა ჯარისკაცებმაც კარგად შეითვისეს ინკვიზიტორის ეს „ახალი მცნება". მათ თავი დაირწმუნეს, რომ სულაც არ გვჭირდება ფიქრი, რადგან ჩვენ მაგიერ თვითონ ფიუერერი ფიქრობსო. ამით იგი სხვებს კი აბედნიერებს, მაგრამ თვითონ წამებულად გვევლინება, რადგან მთელი ერის ტვირთი აწევს მას და იდუმალებას განდობილთა თუ ხელდასხმულთა მცირე კასტასო.

დიდი ინკვიზიტორიც ასე ამბობდა:

— მილიონები ბედნიერი და უზრუნველი გახდებიან, ჩვენ კი, ასიოდე ათასი კაცი, წამებული ვიქნებით, რადგან გვეცოდინება განგების საიდუმლოება... ჩვენვე დაგვეწყევლება კეთილისა და ბოროტის ცნობა... ისინი ჩუმად მიიცვლებიან, რადგან დასამშვიდებლად შევპირდებით მარადიულ ნეტარებას ზეცაში... ამით ჩვენ გავაბედნიერებთ მთელ კაცობრიობას... შენ კი მოხვედი შენი მოციქულებით და მარტო შენი თავი იხსენი... კიდევ მოვალო, იტყვი შენ, მაგრამ მე გიპასუხებ: არა! მე თვითონ გამოვცადე შენი თავისუფლება, მეც ვიმარტვილე უდაბნოში, მეც ვიკვებებოდი ძირტკბილათი და ბალახის ფესვებით, მეც გავხდი ღირსი ვკუთნებოდი შენს ძლიერთა ამალას, მაგრამ ყოველივე ეს უარვყავი და დავუბრუნდი

მორჩილთ, რათა ხალხისათვის ბედნიერება მიმენიჭებინა.. ამიერიდან კი ისინი მე გამომყვებიან... ამაში შენ ხვალ დარწმუნდები, როცა ცეცხლს შეგინთებენ კოცონზე...

... ჩვენ არ გვჭირდება კრიტიკული შენიშვნებით ჩავერიოთ დიდი ინკვიზიტორის ცინიკურ მსჯელობაში. ამას ბოლო ალიოშა კარამაზოვიც აკეთებს. იგი უყვირის თავის ძმას:

— ვინ დაიჯერებს შენს ნათქვამს თავისუფლების შესახებ?! განა ასე უნდა იქნეს თავისუფლება გაგებული? ასე? ეს არ არის მართლმადიდებლური რწმენა... ეს რომია, რომი და მეტი არაფერი! ეს არ არის მართალი, ეს კათოლიკობის უცუდესი სახეა, ინკვიზიტორები, იეზუიტები!.. ასეთი ფანტასტიკური პირნი, როგორიც შენი დიდი ინკვიზიტორია, არ არსებობენ! აბა, ადამიანთა რომელი ცოდვები აიღეს მათ თავიანთ თავზე? ან საიდუმლოებაში განდობილნი ვინ არიან? როდის მიიღეს მათ სხვათა წყევლა ადამიანთა ბედნიერებისათვის! სად იყვნენ ასეთები? ჩვენ ვიცნობთ იეზუიტებს. მათ ცუდად იხსენიებენ. ისინი ისეთები კი არ არიან, როგორადაც შენ გამოიყვანე. ეს უბრალოდ რომაული არმიაა მსოფლიოს დასაპყრობად იმპერატორის როგორც პირველი ღმერთმსახურის მეთაურობით. ეს არის მათი იდეალი, მაგრამ ყოველგვარი იდუმალებისა და ამაღლებული სევდის გარეშე... ეს ძალაუფლების უბრალო წყურვილია, სხვათა დამონება მიწიერი, ჭუჭყიანი კეთილდღეობის მოსაპოვებლად, რაღაც მომავალი ბატონყმობის მსგავსი, წყურვილი, რომ თვითონ იქცნენ მემამულეებად... ეს არის მათთვის ყველაფერი. ალბათ, არც ღმერთი სწამთ... არც არაფერი... შენი დიდი ინკვიზიტორი მხოლოდ ფანტაზიაა...

... საინტერესოა, როგორ საბეს მიიღებდა ალიოშა კარამაზოვის ეს გულწრფელი პროტესტი, იგი რომ ნაცისტურ ინკვიზიციას მოსწრებოდა გერმანიაში? მაშინ კი ივანე კარამაზოვმაც კარგად იცოდა, მისი პოემა რომ ფანტაზიის ნაყოფი იყო, მაგრამ მაინც ასე მსჯელობდა:

— რატომ არ შეიძლება მათში ერთი წამებული მაინც იყოს, რომელსაც ტანჯავს დიდი სევდა და უყვარს კაცობრიო-

ბა. ვთქვათ, ერთი მაინც გამოჩნდა ასეთი წამებული, სწორედ ისეთი, როგორიც დიდი ინკვიზიტორი, რომელიც თვითონ იყო დაყუდებული უდაბნოში, თვითონ ჭამდა ბალახის ფესვებს, მაგრამ ყოველივე ეს უარყო მილიონთა საკეთილდღეოდ... სიცოცხლის დასასრულს კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მხოლოდ სიკვდილისა და ნგრევის იმ საშინელი სულის მიერ ნაჩვენები გზა იყო სწორი, რის გამოც შეუძლია ცდუნებას, მოტყუებას მიმართოს და ადამიანები დაღუპვისაკენ წაიყვანოს. თან გზადაგზა ატყუოს, რომ ბრმებმა ვერ შენიშნონ, თუ საით მიჰყავთ ისინი, რათა ის საცოდავები გზად ყოფნისას მაინც იყვნენ ბედნიერნი... ნუთუ ერთი ასეთი ჟაკი არ აღმოჩნდება? და თუ ის აღმოჩნდა, გაჩნდება მთელი ამ საქმის ნამდვილი რომაული იდეა თავისი არმიებითა და იეზუიტებით!..

... აღმოჩნდა! ერთი კი არა, რამდენიმეც. მაგრამ ყველაზე შემზარავი მათ შორის მაინც ჰიტლერია. ნგრევისა და განადგურების ამ საშინელმა სულმა მოტყუებითა და ცრუ იდეების ქადაგებით წაიყვანა გერმანიის არმიები მსოფლიო ბატონობის „რომაული იდეების" განსახორციელებლად, თვითონ კი ჯვარცმული მაცხოვრის სახე მიიღო და თავი ხალხისათვის წამებულად გამოაცხადა...

ნეტავი ივანე კარამაზოვსაც ეხილა იგი! მაშინ ნახავდით, თუ როგორ შეძრწუნდებოდა თავისივე პოემაში გამოთქმული იდეებით... თუმცა, ვინ იცის, იქნებ ისიც ისე მოქცეულიყო, როგორც დიდი ინკვიზიტორის მიერ დატყვევებული ქრისტე...

... მართალია პოემა მას არ დაუმთავრებია, მაგრამ ალიოშა კარამაზოვს მაინც გააცნო, თუ როგორ ჰქონდა ნაწარმოების ფინალი ჩაფიქრებული:

— ინკვიზიტორი გაჩუმდა და ერთხანს უცადა, თუ რა პასუხს გასცემდა მას პატიმარი, ხოლო იგი დუმდა... იჯდა და ყურადღებით უსმენდა ინკვიზიტორის ქადაგებას. ინკვიზიტორს კი სწორედ ეს დუმილი უმძიმდა. უნდოდა რამე ეთქვა, თუნდაც საწინააღმდეგო, მწარე, საშინელი, ოღონდ ეთქვა... მაცხოვარი კი ჩუმად წამოდგა, მიუახლოვდა მას და ასევე ჩუმად ეამბორა ოთხმოცდაათი წლის მოხუცის ბაგეს.

ეს იყო მისი პასუხი.

ინკვიზიტორს გააჟრჟოლა, რაღაც შეიძრა მის ბაგეზე (ქრისტეს, თუ იუდას ამბორი?), კარისაკენ წავიდა, გააღო და წყნარად თქვა:

— წადი და კვლავ არასოდეს მოხვიდე!.. აღარასოდეს!.. აღარასოდეს!.. აღარასოდეს!..

მაცხოვარი წავიდა....

და ალბათ, აწ ვეღარასდროს გაბედავს ამ „ცოდვილ დედამიწაზე“ დაბრუნებას...

ᲥᲕᲔᲡᲙᲜᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ...

ასე შეეწყო ერთმანეთს ღვთაებისა და სატანის იდეა, სიკეთე და ბოროტება, ქრისტეს „არა კაც ჰკლა“ და ინკვიზიციის საშინელება და, ვინ იცის, იქნებ ქრისტეს მიერ დიდი ინკვიზიტორის ბაგეზე აღბეჭდილი ამბორი იყოს ყველაზე შემაძრწუნებელი წყეევლა ჩვენი ეპოქისა, სადაც თომას მანის ინტერპრეტაციისა არ იყოს, ღმერთი და ეშმაკი იდენტურად გამოიყურებიან (Gott und Teufel scheinen identisch zu sein). თუმცა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს მართლაც ასე იყოს. ბოროტებას საკუთარი საფუძველი არა აქვს, იგი სიკეთის უარყოფაა. სადაც სიკეთეს ფეხი მოუსხლტება, იწყება ბოროტება. ეშმაკი თვით ღმერთშიც ჩნდება, ქრისტეშიც და რა გასაკვირია თუ ადამიანშიც იკიდებს ფეხს. იგი ჭიასავით უძვრება მას გულში და ღრღნის მის ტვინსა და გონებას. ამით ადამიანი ჰკარგავს რწმენას, ეფლობა უიმედობის ჭაობში, ხელს იღებს შემოქმედებით ბრძოლაზე და ემორჩილება აპოკალიპსური ამაოების გარდუვალობას.

მე მახსოვს შარლის ისტერიული ქადაგებებით გაბრუებული ეტიენი რომ ამას აპოკალიპსის ე. წ. „აქტიურ გაგებას“ უპირისპირებდა.

— აპოკალიფსის მოძღვრება სამყაროს დასასრულის შესახებ უნდა პირობითად იქნეს გაგებული და არა ფატალურად, — ამბობდა იგი, — ყველაფერი ადამიანის შემოქმედებით აქტიურობაზეა დამოკიდებული. თუკი ხსნა მეორედ მოსვლაშია, ადამიანმა თვითონ უნდა მოამზადოს ამისათვის ნია-

დაგი. პასიური შიში და უმოქმედობა დამღუპველია. იგი მართლაც საშინელ სამსჯავრომდე მიიყვანს კაცობრიობას. ხოლო აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა, მორალის განმტკიცება, სიყვარული, კეთილისადმი სამსახური — ხსნამდე. ეს იქნება ძალადობის, ბოროტების, სიძულვილისა და სისასტიკის საჰყაროს დასასრული, რომლის იქით იწყება ახალი სამყარო, მაგრამ არა ძველებურად გაგებული, როგორც იმქვეყნიური, ზეციური ან ტრანსცედენტური, არამედ აქაური, ადამიანის ბრძოლითა და ღვაწლით მიღწეული, სამყარო თავისუფლების, სიკეთისა და სიყვარულის. ძველი სამყაროს დასასრული ბადებს ახალს, როგორც აბრეშუმის ჭია — პეპელას. ეს შემოქმედებითი დასასრულია და არა შემუსვრა ყოველთა. ამას ვუწოდებთ ჩვენ მეორედ მოსვლას და ამაშივე ვხედავთ ღმერთის უზენაეს ნებას. აპოკალიპსიც ბოროტების სამყაროს დასასრულს გვამცნობს და არა კაცობრიობის ტოტალურ დაღუპვას. ადამიანს ყოველთვის აქვს გზა სიკეთისა და თავისუფლებისაკენ. ეს თვით მასზეა დამოკიდებული, მის რწმენის ძალასა და თვითდაძლევის უნარზე.

— რატომ თვითდაძლევის-მეთქი, ვკითხე გაკვირვებულმა, რადგან ვერ გავიგე, იმ „ახალი სამყაროს" მოქალაქენი ისევ ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ თუ სხვა რამ არსებანი, რომელნიც ისევე არა ჰგვანან ჩვენი პლანეტის ბინადართ, როგორც პეპელა — აბრეშუმის ჭიას...

ეტიენი თითქოს დაიბნა, მაგრამ მაინც მტკიცედ თქვა:

— უეჭველად. რადგან თვითდაძლევის გარეშე კაცობრიობა ვერ განიწმინდება ცოდვებისაგან. მისი იმანენტური შესაძლებლობანი იწურება, დგება რადიკალური გარდაქმნის ეპოქა. მილიარდი წლების მანძილზე ა რ ა ფ რ ი ს ა გ ა ნ შეიქმნა რ ა ღ ა ც, ახლა ამ რაღაცისაგან უნდა ს ხ ვ ა რ ა მ ე იშვას. ერთი გაფრანგებული ფილოსოფოსი, რომელსაც პარიზში ვიცნობდი, ამბობდა: წინა ისტორიიდან კაცობრიობა, ისტორიულ ეპოქაში გადავიდა, ახლა კი იწყება მესამე, მეტაისტორიის საფეხურიო. ჩვენ სწორედ ამ გარდამავალ ეპოქაში ვცხოვრობთ. კაცობრიობა ოდესღაც ცხოველური იყო, ახლა კენტავრივითაა — ნახევრად ცხოველი, ნახევრად ადამიანი. შემდეგმა საფეხურმა უნდა ბიოლოგიურად და სულიერად

დასძლიოს ცხოველი და იქცეს სრულყოფილ ადამიანად. ეს დასასრულიც იქნება და დასაწყისიც...

ეტიენი ამტკიცებდა, რომ კაცობრიობა ამჟამად დასასრულის სტადიაშია. მაგრამ ცხოველური არ თმობს ადამიანურის წინაშე, პირიქით, იგი უფრო აქტიურდება. ამის პირველი ნიშანი ნიცშეს ზეკაცი იყო, რაც უფრო ცხოველურის გამარჯვებას ნიშნავს ადამიანურზე, ვიდრე პირიქით. მთელი ეს ნაცისტური საშინელებაც ამას ადასტურებს. გარდამავალ ეპოქაში კენტავრისებურ კაცობრიობას ორი გზა აქვს: წინ, სრულადამიანურის, ღმერთკაცურის ან უკან, სრულცხოველურის, ღმერთცხოველურისაკენ. ჩვენ პირველს ვირჩევთ, ჰიტლერელებმა კი მეორე აირჩიეს და „ქერათმიანი ბესტიების" იდეალი შექმნეს. თქვენ ხედავთ თუ რა ძლიერია მათი ბიოლოგიური საფუძველი. ჩვენს დროში აპოკალიპსური მხეცი აღსდგა უფსკრულიდან. იგი იღვწის ადამიანურის დასამორჩილებლად. ეს ბუნებრივად იწვევს შიშსა და ძრწოლას, მაგრამ მხოლოდ იმათში, ვისაც მისი ძალა ფატალურად მიაჩნია და არ სჯერა ღმერთკაცურის გამარჯვების, მეორედ მოსვლის, სხვა არსებობის, ბოროტების საბოლოო დათრგუნვისა და ღვთაებრივი სიკეთის ყოვლადობის, რაც თვით ადამიანზეა დამოკიდებული, მის შემოქმედებით უნარზე. მე მჯეროდა, რომ ადამიანურის ღვთაებრივი არსი უეჭველად გაიმარჯვებდა ცხოველურზე, რომ აპოკალიპსური მხეცი, რაც ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის ან თავისუფლების აუცილებლობაში შთანთქმის სიმბოლური სახეა, კვლავ გადაჩეხილი იქნებოდა უფსკრულში. ახლა კი, მართალი გითხრათ, ეს რწმენა ლამის მეც შარლივით შემერყეს. ამ პროცესმა სულ ამირია გონება. ამდენი საშინელების ერთად მოსმენა და განცდა აუტანელია. ხომ ხედავთ კენტავრები რომ ისევ სრულ ცხოველებად იქცნენ და მთელი ევროპა გადაქელეს. მართალია, მათი ძალა შემუსვრილ იქნა, მაგრამ როდემდის! როგორც ჩანს, ქვესკნელის კარი მუდამ ღიაა. იქიდან დროდადრო გამოდიან დემონური ძალები და ეუფლებიან ადამიანთა გონებას. ეს იმიტომ, რომ თვითონ ადამიანებშია ის ბილწი ძალა, რაც მათ მოუხმობს. კიდრე ადამიანი თავისშივე არ მოსპობს ამ ძალას, დემონების თარეშს ბოლო არ მოეღება. ლოგიკური მედიტაციებით ბოროტი

ძალების დაძლევა არ შეიძლება, რადგან მათაც აქვთ თავიანთი ლოგიკა. ხომ ხედავთ, სამსჯავროს წინაშეც რომ თავს იმართლებენ, დამცველებიც ჰყავთ. ხელში მათ თვით ადამიანების მიერ შექმნილ კანონთა წიგნები უჭირავთ და ადამიანური ლოგიკითვე იცავენ დემონური ძალების ამ ამაზრზენ ნაშიერთ. ბოროტება ურჩხულივითაა: ასი თავი რომ წააჭრა, ორასი ამოუვა. მაგრამ მე მაინც მინდა მჯეროდეს, რომ ერთხელაც იქნება და ისევ მოვა პერსევსი, რომელიც განგმირავს მას საბოლოოდ, უკან მოუბრუნებლად. მაშინ ქვესკნელის კარიც დაიგმანება და სიკეთე გამეფდება ამქვეყნად. ვინც ამის რწმენას დაკარგავს, შარლივით დაიწყებს თავში ცემას ან თავისივე ნებით გაჰყვება ეშმაკის კვალს და ისევ იმ ჯოჯოხეთის კარს მიადგება...

ფიქრების მხატვარი...

ბუქარესტში ყოფნის დროს მე ბევრი ისეთი „ჭიანაჭამი ინტელიგენტი“ მინახავს, რომელთაც სოდომის დაღივით აჩნდათ შუბლზე ეშმაკის ნაიარევი. ესეც ალბათ, ომისდროინდელი ტრავმის შედეგია. მოსახლეობა ჯერ კიდევ განცდილი კოშმარების ტყვეობაში იყო. ქალაქს თითქოს სუნთქვა შეკვროდა: დაწესებულებები არ მუშაობდნენ, მაღაზიები არ ვაჭრობდნენ, რესტორნებიც დაკეტილი იყო, მხოლოდ პროსპექტებზე, გარეთ გამოტანილ მაგიდებთან, საათობით ისხდნენ ყოფილი ბურჟუები თუ მსხვილი მოხელეები და ნელ-ნელა წრუპავდნენ სოდიან წყალს. ყველას ერთი კითხვა უტრიალებდა თავში: „რა იქნება?“, ხოლო ეს მაშინ არათუ რიგითმა მოქალაქეებმა, მგონი მთავრობებმაც არ იცოდნენ.

ჭიანჭველების ბუდესავით აშლილი და აფორიაქებული ქალაქი ცნობისმოყვარეობად იყო ქცეული. მერე ნელ-ნელა დაწყნარდა ყველაფერი. მოქალაქენი თავიანთ საქმიანობას დაუბრუნდნენ, წარმოება-დაწესებულებებმა მუშაობა განაახლეს, მომეტებული ცნობისმოყვარეობა კი მაინც იგრძნობოდა. ზოგჯერ, ქუჩაში რომ გავიდოდით, სოდიანი წყლის „მოქეიფენი“ გაუბედავად გაგვაყოლებდნენ თვალს. ერთი სული

ჰქონდათ რამე ეკითხათ, მაგრამ ვერ ბედავდნენ. ჩვენც ვერიდებოდით გამოლაპარაკებას. გამონაკლისი იყო „ადიუტანტი“ ბეგი, იგი უცებ ამყარებდა მათთან კავშირს:

— ბუნა დიმინიაცა! (დილა მშვიდობისა), — ეტყოდა სრულიად უცნობ მამაკაცს, უფრო ხშირად კი — „კოლოსალურ დელფინას“, და იქვე გაუბამდა საუბარს. ჯერ მოლდავეთში, მერე ბესარაბიაში და ბოლოს ბოტოშანში ყოფნის პერიოდში სხვებმაც ნელ-ნელა გავტეხეთ რუმინული ენა. სხვისი ლაპარაკი გვესმოდა, მაგრამ ჩვენ თვითონ ისე დამტვრეულად ვუქცევდით, რომ უფრო ხელების მოძრაობით ვახვედრებდით აზრს, ვიდრე მეტყველებით. საღამოობით, როცა მუშაობით დაქანცულნი ვიყავით, გავუყვებოდით ქალაქის მშფოთვარე ქუჩებს. რუმინელები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი უძველესი დედაქალაქით. არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ იქ, მიხაი-ვოდესა და რადუ-ვოდეს ქედებზე, ჯერ კიდევ პალეოლითის დროიდან ცხოვრობდნენ ადამიანები. მერე პიეცა დე ფლორის, ვიდრასა და ჟიდავას მიდამოებში დაკები ბინადრობდნენ. ბუქარესტი მე-15 საუკუნიდან მოიხსენიება როგორც ქალაქი. მე-17 საუკუნეში იგი ვლაქეთის დედაქალაქად გამოცხადდა. მერე ისე სწრაფად გაიზარდა და დამშვენდა, რომ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქად იქცა. ანუ, როგორც თვითონ ბუქარესტელები ამბობენ, „მეორე პარიზად“.

... ქალაქში უამრავი პარკია, მაგრამ იქ განსაკუთრებით ჩიშმიჯიუ მოსწონთ და უყვართ. იქნებ იმიტომ, რომ ბუქარესტის ეს ყველაზე პატარა პარკი ქალაქის ცენტრშია. შეიძლება იმიტომაც, რომ ძველესია და მრავალფეროვანი. პარკში დადგმულია რუმინელ საზოგადო მოღვაწეთა ბიუსტები. აქ სულ სხვადასხვა ჯიშის ხეებია დარგული — შავი ჩინარი, ცაცხვი, მტირალა ტირიფები, განსაკუთრებით ტბის ნაპირას. ამ ტბაზე ომის დროსაც მშვიდად დაცურავდნენ თეთრი და შავი გედები. ჩვენც ამ პარკში ჩამოვსხდებოდით და ვისვენებდით. მე ძალიან მიყვარს უცხო ქალაქში უცნობი ხალხის ყურება. მაინტერესებს მათი გარეგნობა, სიარული, მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკის მანერა... ყველაფერი, რაც განსხვავებულია და თავისებური. შემიძლია საათობით ვიჯდე სადმე ბულვარში და

ვათვალიერებდე გამვლელ-გამომვლელს. სახეები და შთაბეჭდილებანი ირევიან ადამიანის ცნობიერებაში. მერე ბევრი რამ გავიწყდება, მაგრამ ზოგჯერ ისეთი შემთხვევითი ამბავი ამოტივტივდება ძეხსიერებაში და თანაც ისე მოულოდნელად, რომ კაცს გაგიკვირდება. ახლა, როცა ჩიშმიჯიუს პარკში გატარებულ საათებს ვიგონებ, ბევრი საინტერესო სახე ცოცხლდება ჩემ თვალწინ. მაგალითად, ჩვენთვის უკვე ნაცნობი „ფიქრთა მხატვარი“ გუცა, რომელიც ჩვენთან ერთად მოდიოდა ამ პარკში, მოლბერტს გაშლიდა და გამვლელ-გამომვლელისა თუ დასასვენებლად ჩამომსხდართა ესკიზებს ხატავდა. დაჯდებოდა თუ არა, მაშინვე ხატვას იწყებდა. მერე დამთავრებულ ჩანახატს თავის მოსაწონებლად ჩვენც გვიჩვენებდა.

იმ დღეს ბეგიმ დიდხანს უყურა მის ნახატს, მაგრამ თავისი თავი ვერ იცნო და შეუღრინა:

— სისულელეებს ჯღაბნი! აბა, სად არის აქ ეს მაიორი? ან ის? მეც არ ვიცი რომელი ვარ: გვერდზე კი ვზივარ, როგორც იმ სკამზე ვიჯექი, მაგრამ ეს ვიღაცა მაიმახი სულაც არა მგავს!..

— მე თქვენ არ გხატავთ, ბატონო ოფიცერო, არც ის მინდოდა, ჩემი ჩანახატი თქვენ დაგმსგავსებოდათ... ,

— აბა, რას მიყურებდი, როცა ხატავდი? — გაიკვირვა ბეგიმ.

— მე არ გიყურებდით, ბატონო, მე შეგხედავდით მხოლოდ და ვფიქრობდი. მერე კი ჩემსავე ფიქრებს ვხატავდი, თქვენ კი არა... მე ფიქრთა მხატვარი გახლავართ და ნატურა სულაც არ მაინტერესებს.

— გიჟია ეგ ოხერი! — დაასკვნა ბეგიმ, ვითომ რამე გაუგო მის ნათქვამს. მე კი გუცას მსჯელობა საინტერესოდ მეჩვენა და ვკითხე:

— როგორია მაინც ეს „ფიქრთა მხატვრობა“, ხომ არ აგვიხსნით?

— სიამოვნებით, თუ ბატონი ოფიცრები ინებებენ. ორიოდე სიტყვით შემიძლია ეს აგიხსნათ, — თქვა მან და სულ ენად გაიკრიფა: უნდოდა ყველაფერი ერთად ეთქვა, ყველაფერი მოესწრო, თავისი „დიდი ერუდიციაც“ ეჩვენებინა და განმარტებაც სწორი მოეცა. ლაპარაკობდა გატაცებით. სხაპასხუ-

პით, თან თითებს იმტვრევდა, ყველას სახეზე გვაკვირდებოდა, ვახდენ შთაბეჭდილებას თუ არაო. ბეგის მოღუშულ თვალებს რომ წააწყდებოდა, განზე მიიხედავდა ან სხვა ვინმეს ჩააცქერდებოდა. როცა ლაპარაკობდა, ეტყობოდა, სულ იმის ეშინოდა არ შემაწყვეტინონო. ვინმე თუ რამეს თქმას დააპირებდა, მკლავზე ხელს მოუჭერდა და გააჩერებდა.

— ფიქრთა მხატვრობა სულ უბრალო პრინციპზეა, ბატონებო, აგებული, — ამბობდა იგი: — უნდა ხატო არა ის, რასაც ხედავ, არამედ ის, რასაც გაიფიქრებ ნანახზე. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვხედავთ, იძლევა ფიქრის იმპულსს. თუ ნამდვილი პოეტი ხარ და მხატვარი, ეს პროცესი უნდა ასახო. ამისათვის სამი საფეხურის გავლაა საჭირო: ხედვის, ფიქრისა და ხატვის. მათ შორის ბეწვის ხიდია გადებული, მაგრამ პოეტებსა და მხატვრებს ამისი არ გვეშინია, ჩვენ გვიყვარს კიდეც იმ ბეწვის ხიდზე სიარული. უფსკრულსაც ადვილად ვუსწორებთ თვალს. თუ გვინდა, წარმოუდგენელს წარმოვიდგენთ. ან ისეთს ვიტყვით, რომ მკითხველი გავაოცოთ. ეს კი დიდი საქმეა, ბატონებო, ვინაიდან ჩვენს დროს ისე არაფერი აკლია, როგორც გაოცების უნარი. სამწუხაროდ, ახლა არაფერი გვიკვირს; ამიტომ არც ძლიერ ემოციებს იწვევს რამე. ყველაფერი გასაგები და უინტერესო გახდა. ადამიანმა უკვე ნახა, რაც წარმავალია როგორც მსგავსება და რისი გამოხატვაც შეიძლებოდა. დარჩა მსგავსებისა და გასაგების იქითა მხარე. ვინც იქ შეიხედავს და რამეს დაინახავს, თვითონაც გაოცდება და სხვებსაც გააოცებს იმით, რაც არაფერს არა ჰგავს და არც არაფერს ნიშნავს, თუ ისევ იმ ბეწვის ხიდს არ გავივლით, რაზედაც უკვე მქონდა პატივი მომეხსენებინა თქვენთვის.

ბეგის სულაც არ ესმოდა იმ „ენახვეტია“ აყლაყუდას „ფრანგული“. მაგრამ, როცა „ფიქრთა მხატვარმა“ ამ ბეწვის ხიდზე დაიწყო ლაპარაკი, მაშინვე ჩაერია საუბარში:

— შენ რამდენჯერ გაგივლია ის ბეწვის ხიდი? — ჰკითხა მან.

— რამდენჯერაც შთაგონება მომსვლია, ჩემო ბატონო! — მიუგო გუცამ.

— რა მოგსვლია?! — ვერ გაიგო ბეგიმ.

— შთაგონება, ბატონო კაპიტანო!..

ბეგიმ ვერც ახლა გაიგო, მაგრამ არ შეიმჩნია:

— დიახ, ეს სკრუპულოზურია, — მოიქნია მან ძველებურად და პირველად თავის სიცოცხლეში მოარტყა მიზანს:

— რა თქმა უნდა, ეს ძალიან სკრუპულოზური საქმეა, დაეთანხმა „ფიქრთა მხატვარი“ და ისევ განაგრძო:

— მხატვრობა უხმო მუსიკაა ან უსიტყვო პოეზია, ბატონო! როცა რამეს შეხედავ, თავში პოეტური ფრაზა გაგივლის. მერე იმ ფრაზას გეომეტრიულ ფორმას მისცემ და ნახატიც მზად იქნება. ასე, მაგალითად, როცა დავინახავ როგორ დაცურავს მთვარე ღრუბელთა კვადრატებში, ვიტყვი, მთვარე ჭადრაკს თამაშობს-მეთქი და ასევე დავხატავ. შეიძლება მთვარეს ჭადრაკთან არავითარი კავშირი არა ჰქონდეს სინამდვილეში, მაგრამ ფიქრის ფანტასტიკური ნახტომი დაამყარებს ასეთ კავშირს. ეს რთული ხელოვნებაა, ბატონო, უფრო რთული, ვიდრე ლეონარდო და რემბრანდტი, თუნდაც გოგენი და მოდილიანი. იგი ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა უჩელომ შთაგვაგონა. უჩელო ცხოველებსა და ფრინველებს ხატავდა, მე — მხოლოდ ადამიანებს, უფრო სწორად, ჩემს ფიქრებს ადამიანებზე. ყველა ადამიანს თავისი დევიზი აქვს. თუ მახვილი თვალი და პოეტური წარმოსახვა გაგაჩნია, ეს დევიზი უნდა დაიჭირო და გეომეტრიული ფორმა მისცე.

ამდენი თეორია მოგვწყინდა. ზოგი რამ მისი ნათქვამიდან მე თვითონ მქონდა ჟან კოკტოსთან წაკითხული, ამიტომ ამ რუმინელი „კოკტესკუს“ ლექცია ახალს არაფერს მაძლევდა. მისი გაუთავებელი ლაპარაკი მოგვბეზრდა მეც და სხვებსაც. პაოლომ უთხრა კიდეც:

— არ შეიძლება მაგალითებით გვიჩვენოთ ეს თქვენი ფიქრთა მხატვრობა?

— რატომაც არა, სიამოვნებით! მე მუდამ მზადა ვარ სამსახური გავუწიო მას, ვისაც ეს სურს, მით უმეტეს — თქვენ, გამარჯვებული არმიის ბატონო ოფიცრებო!

ამ გრძელი შესავლის შემდეგ მოლბერტი ისევ გაშალა. ყუთიდან უამრავი ფერადი ფანქარი ამოიღო, ზოგი გულის ჯიბეში ჩაიდო, ზოგიც წინ დაილაგა და დაიწყო „შემოქმედებით იმპულსებზე“ ნადირობა...

... ვიღაც ქეკლუცმა ქალიშვილმა ჩამოიარა. თითქოს რაღაც ეცვა, მაგრამ ისე, თვალის მოსატყუებლად და არა სხეულის სიშიშვლის დასაფარავად.

— ბარემ სულ გაეხადა ამ ოჯახქორს! — ჩაილაპარაკა ბეგიძ და თვალები დააშტერა.

— ეს მოდაა, ბატონო! — გამოეხმაურა მაშინვე „ფიქრთა მხატვარი". — ასეთი მოდის დევიზია: „გეჩვენოთ თუ არა?" ომის დროს მოდა ფსიქოზად იქცევა. ახლა ადამიანები მარტო სხეულით კი არა, სულიერადაც გაშიშვლებული არიან. თითქოს რენტგენით აშუქებდნენ მათს შინაგან სამყაროს. ეს კი არავის უნდა, ამიტომ ცდილობენ სხეულის სიშიშვლით მიიპყრონ ყურადღება, ვითომ ამას უყურეთ და იმას თავი დაანებეთო. იმ ქალიშვილის სულში რომ ჩაიხედო, შეიძლება ჯოჯოხეთი დაინახო, მისი სხეული კი ლამაზია როგორც რეკლამა. ჩვენც ამიტომ ვხედავთ მშვენიერებაში სიმახინჯეს, ისევე როგორც სიმახინჯეში — მშვენიერებას...

ამას რომ „გვიხსნიდა", თან იმ ქალის „შიშველ სულს" ხატავდა. ეს იყო ირიბი ხაზებისა და გეომეტრიული ფორმების ისეთი ქაოსი, რომ მასში ვერავითარ პორტრეტულ გამოსახულებას ვერ შეამჩნევდით. ამასაც თავისებურად ხსნიდა:

— ნახატი მოვლენის სარკეა, ბატონო! რაც გამოვლენილი არ არის, იმას ვერ დახატავ, ვერც გარკვეულ ფორმას მისცემ. იგი ჯერაც ფიქრობს მხოლოდ: გეჩვენოთ თუ არა, თანაც როგორ?..

ისევ ვიღაც ქალმა ჩამოიარა. ეს უკვე რეკლამა კი არა, მთელი გამოფენა იყო. მოდიოდა ტანის ისეთი გამომწვევი რხევით, რომ „ფიქრთა მხატვარმა" გუცამ მაშინვე იპოვა დევიზი:

„მე ყოველთვის ხელმისაწვდომი ვარ!"

მიუსვ-მოუსვა ფანქარი და... იმ ქალთან არავითარი მსგავსება არ იყო, მაგრამ „ხელმისაწვდომი ხასიათის" ზუსტი გამოსახულება კი შექმნა.

შემდეგ ვიღაც ახმახ მოხუც ქალს დაადგა თვალი. უზარმაზარი რამ იყო, მაღალი, სადღაც ზემოთ ბეჭებში მოხრილი. კისერი და თავი კი სულ კითხვის ნიშანივით მოქცეოდა.

„ქალბატონო, თქვენ ხომ არსად შეგხვედრიათ დინოზავ-

რი?!“ — ჩაიწერა მაშინვე გუცამ. მისი ნახატიც დინოზავრს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს.

ყრუ კომპოზიტორი, მაგრამ არა ბეთჰოვენი! — წამოიძახა უცებ მან და ისეთნაირად დახატა, მართლაც ყრუს ჰგავდა, თანაც ხელების ისეთი სამკუთხედი მოძრაობა გამოუსახა, მაშინვე გაფიქრებინებდათ, ეს ნამდვილად უნიჭო კომპოზიტორიაო.

მერე კოპწია გოგონამ ჩამოირბინა კიბის საფეხურებზე. სულ ასკინკილით მოდიოდა. ჩვენ რაღაც გაბუტულივით შემოგვხედა და ისევ სკუპ-სკუპით წავიდა...

„ქალიშვილო, მოგვაწოდეთ თქვენი ტუჩები!“ — ჩაწერა და ჩახატა გუცამ.

ჩვენ წინ რომ ცეცხლივით წითურმა და ალისფერთმიანმა ქალმა ჩაიარა, გუცამ წამოიძახა:

— ვეზუვის კრატერიდან ამოფრქვეული ანგელოზი! მერე ვიღაც აწოწილი, გამხდარი და საოცრად გაფითრებული ქალიშვილი გამოჩნდა:

— შელი! — იყვირა გუცამ, — პერსი ბიში შელი!.. ან ქვიშაში ამოსული ზამბახი!

ზამბახი კიდევ ჰო, მაგრამ შელი საიდან მოუვიდა თავში, ვერ მივხვდი, ესე იგი ვერ გავიარე ის ბეწვის ხიდი, და ვკითხე:

— რატომ შელი?

— დიახ, შელი! — წამოიძახა მან, — წყალში დამხრჩვალი პოეტის სახე...

„შთაგონების იმპულსების“ ძიებაში თვალები აქეთ-იქით დაურბოდა და წამდაუწუმ გვესმოდა მისი „დევიზები“:

„მივესალმები ჩემს უკანასკნელ დღეს!“

„მე ფლეიტა ვარ, შეგიძლიათ დაუკრათ!“

„ქალბატონო, გყავთ თუ არა ბაყაყები ფეხსაცმელებში?“

„მამაკაცი, რომელიც არ მოკვდება სიყვარულით!“

„ქალის ლამაზი სხეულის მუსიკალური არქიტექტურა!“

„ჰორიზონტალური მშვენიერება!“

ბოლოს მე იდაყვი გავკარი და გავახედე — ჩვენი ტრაინინი მოდიოდა და დამაინტერესა ამას რა დევიზს მოუძებნის-მეთქი. შეხედა და მაშინვე თქვა:

„სატირის წაწვეტილი ყურები“.

ეს ხმამაღლა, ისე კი თავისთვის ჩაილაპარაკა:

„თხის ებრაული პროფილი!..“

ისეთი მახვილი თვალი ჰქონდა, ყველაფერში რაღაც უცნაურს აღმოაჩენდა. მერე ეს აღმოჩენა მის წარმოსახვაში ისევ საოცარ სალტოს აკეთებდა და სრულიად მოულოდნელ ფორმას იღებდა, რაც მას საგანთა არსის „ღვთაებრივ გამოსახულებად“ და „შთაგონების სურნელებად“ მიაჩნდა...

ეგვიპტური ღამე...

ტრაინინს მისი მუდმივი თანამგზავრი და სულიერი მეგობარი დოქტორი პარუმბაკუ მოჰყვა, უსაშველოდ გამხდარი და წელში მოხრილი. სასაცილო ვინმე იყო, ერთი შეხედვით ყანჩასა ჰგავდა. ფეხები მგონი ორჯერ უფრო გრძელი ჰქონდა, ვიდრე კორპუსი. ტრაინინი რომ თავისებური მოკლე ნაბიჯებით მოჩაქჩაქებდა, ის სირაქლემასავით მოალაჯებდა გრძელ ფეხებს. ტანის ზემო და ქვემო ნაწილებს შორის მოძრაობის არავითარი სინქრონულობა არ იყო. პირიქით, ფეხს რომ გრძლად გადადგამდა წინ, ტანი უკან გადაიქაჩებოდა. მერე ტანს წინ წაიგდებდა, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა. რატომღაც სათვალე ეკეთა, თუმცა ლაპარაკის დროს სულ იმის ზევიდან იყურებოდა. ყველაზე სასაცილო მაინც ცხვირი ჰქონდა: ჯერ რომ სწორედ წინ იყო წამოწეული, მერე მოულოდნელად მარჯვნივ უხვევდა და თითქოს რაღაც უცნაურ ვინიეტს გამოსახავდა. მის მაყურებელს აუცილებლად გებადებოდა სურვილი — ცხვირში ხელი წაგევლო და გაგესწორებინა.

უკვე ბინდდებოდა და გუცამ აკრიფა თავისი მოწყობილობა. ტრაინინი და მისი მეგობარი ჩვენთან ჩამოსხდნენ.

— მორჩა ბერი ცხონებასა, ახლა ცოტათი მუხლები მოვასვენოთ, — წარმოთქვა ტრაინინმა, თითქოს მართლაც რამე მუშაობით ყოფილიყოს დაღლილი...

... პარუმბაკუ ჩვენი განყოფილების რუმინული გაზეთის რედაქციაში მუშაობდა. ტრაინინივით სულ წუწუნებდა, დოქ-

ტორი ვარ და ვერც ერთ უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოვეწყვე ლექტორადო. ანტიკური ქვეყნების ისტორიის სპეციალისტი იყო და, ტრაინინისა არ იყოს, ისიც სულ ბერძენ და რომაელ ავტორიტეტებს იმოწმებდა ლაპარაკის დროს.

— მთელი ჩემი ცხოვრება ისეთი წიგნების კითხვას შევალიე, რომლებშიც, ბატონო, სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ არის, — თქვა მან. — დილიდან საღამომდე ბიბლიოთეკებში ვიჯექი. წინ დამტვერილი ფოლიანტები მედო. მათ სიბრძნეს გვამის სუნი ასდიოდა. თავი სასაფლაოზე მეგონა, სადაც განისვენებენ საუკუნეთა მიღმა წარმოთქმული და დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ჭეშმარიტებანი. ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა. ყველაფერი წინ ისწრაფვოდა, მე კი კიბოსავით უკან-უკან ვიხევდი, სანამ შეუცნობლობის ბნელ კედელს არ მივადექი. ახლა კი მივხვდი, ყოველივე ეს ამაო შრომა რომ იყო, მაგრამ რაღა დროს! უკვე გვიანაა. კაცმა სიკეთე ცხვირწინ უნდა ეძებოს და არა ზურგს უკან. მე კი ცხვირწინ უკვე აღარაფერი მაქვს. ორიოდე დღე დამრჩენია ამქვეყნად და ისიც მალე ჩამოთავდება. მერე მეც ცხედრად ვიქცევი და, ვინმე რომ არ შევაწუხო, მეორე დღესვე ჩამმარხავენ მიწაში. ნუგეშად ისღა მრჩება, ბიბლიოთეკებში რომ მაინც არ დარჩება ჩემი განსვენებული წიგნების მყრალი სუნი....

— ასე გვიან რატომ გამობრძანებულხართ, კოლეგა? — შეაწყვეტინა ეს უსიამოვნო ლაპარაკი პაოლომ.

— ღამის საყურებლად, ბატონო, ეს დიდებული რამეა. ბუქარესტში მე არასოდეს მინახავს ასეთი ბნელი ღამეები, როგორიც ამ ომის დროს. ხომ ხედავთ, ღამღამობით ყველაფერი როგორაა ჩაბნელებული. აქამდე ადამიანები იმალებოდნენ ბნელში, ახლა ქალაქებიც იძულებულნი არიან წყვდიადს შეაფარონ თავი, რომ ცის რისხვა აიცდინონ. ყველაფერი სიბნელისაკენ მიისწრაფვის. ადამიანებიც. მათ ეს ეგვიპტური ღამე ურჩევნიათ დღეს. აი, უყურეთ ამ პარკს და ნახავთ, როგორ მიიზიდავს უამრავ ხალხს...

პარკში მართლაც დაუსრულებელ ნაკადად მოედინებოდნენ წყვილები — ქალი და ვაჟი, ქალი და ვაჟი, სამხედრო და სამოქალაქო, ახალგაზრდა და შუახნისა, რუსი და რუმინელი.. მოდიოდნენ ხელიხელჩაკიდებულნი და ჩიშმიჯიუს ბნელ ხეივ-

ნებში იკარგებოდნენ. მერე იქვე, პირდაპირ მიწაზე, მოეწყობოდნენ და ხარკს უხდიდნენ სიყვარულის ღმერთებს.

ოში საოცრად ამარტივებს ურთიერთობას, ზნეობისა და მორალის კანონებსაც ეკარგებათ აუცილებლობის ძალა. არავითარი სირცხვილი, მორიდება ან უხერხულობა! ყველანი ერთად, ერთმანეთის გვერდით, ისე როგორც დამსვენებლებით სავსე პლაჟებზე...

ზოგჯერ ჩვენს ჯარისკაცებსაც მოჰყავდათ „შემთხვევით ნაპოვნი“ ქალები და ყველასათვის გასაგებ ენაზე „ემუსაიფებოდნენ“ მათ.

— სქესობრივი ლტოლვა უფრო ადვილად ამყარებს ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობას, ვიდრე პოლიტიკა და დიპლომატია, — ჩაუფილოსოფოსა ტრაინინმა. პარუმბაკუ მაშინვე აჰყვა თავისი ჭკუის კოლეგას:

— ასეა, ბატონო! — თქვა მან: სქესი და ვნების ისტერია მართავს ქვეყანას. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან ყველაფერი, რაც ჩნდება და არსებობას იწყებს, სექსუალური ინსტიქტის შედეგია, პირველ რიგში კი — ადამიანები. ბუნებაც როსკიპია და რა გასაკვირია, რომ ადამიანებიც ასეთები არიან. დედამიწა ხომ ზეცის მრუში ცოლი იყო — გეა. იგი ჯერ ურანთან მრუშობდა, მერე ზეცას უღალატა და ქვესკნელის მეუფეს ტარტაროზს გაჰყვა. ქვესკნელისა და როსკიპი დედამიწისაგან რა სიკეთე გამოვიდოდა! მან ორმოცდაათთავიანი და ასხელიანი საშინელება შვა. მერე ციკლოპებიც დაბადა, შვილები მამას აუჯანყა და ზეცა დაამხობინა. ამის შემდეგ ოლიმპის მეუფედ თხის რძით გაზრდილი და გარყვნილი ზევსი დაჯდა. იგი დაერია მეძავ ქალღმერთებს და ყველა დაორსულა: ზოგი — ოქროს წვიმით, ზოგიც — ჭექა-ქუხილით. ქალი ყველა მეძავია, ბატონო! ზევსი მათ ხან წვიმის, ხან ხარის, ხან გველისა და ხანაც მგლის სახით ეევლინებოდა. ისინი მის ყოველგვარ სახეობასთან მრუშობდნენ. ფერიები რომ ფერიებია, ისეთი როსკიპები არიან, თვით თხისფეხებიან სატირებსაც არ თაკილობენ. ადამიანები არ ჰყოფნით და მათი გარყვნილი გონება კენტავრებს იგონებს. ეს კი სულ ამ როსკიპი დედამიწის ბრალია. ყველა, ვისაც ის შობს, მრუშია: ცხოველები, ფრინველები, მწერები, ყვავილებიც კი. რაკი

დედამიწა მრუში დედაკაცია, ადამიანების ბედიც მის მსგავსთ აბარიათ: ბედისწერის ღმერთები — მოირები ხომ დედაკაცები არიან. ზის ერთი დედაკაცი, მოირა კლოტი, და ახვევს ძაფს. გაწყდა ძაფი — მოკვდა ადამიანი, კიდევ გაწყდა — კიდევ მოკვდა. მეორე დედაკაცი წილსა ყრის და, ვის რა შეხვდება, იმას მიუზღავს. მესამე დედაკაცი ყოველივე ამას იწერს ბედისწერის წიგნში და მორჩა: რაც იქ ჩაიწერება, გათავებულია, იმას ვერავინ შეცვლის.

ესეც შენი დედამიწა, ბატონო, ოკეანე კი უარესია! მართალია, ის მამაკაცია, მაგრამ ხუთი ათასი მეძავი ქალწულის მამაა. ქვესკნელშიაც დედაკაცები ბატონობენ, არც ის დაანებეს იმ როსკიპებმა სხვებს — პერსეფონეს თავისი ერინიები ჰყავს... ქვეყანა ასეა მოწყობილი და თქვენ ის გიკვირთ, რაც ამ პარკში ხდება? პარკებიც ხომ როსკიპი ფერიები იყვნენ! აი, ხომ ხედავთ, მოდიან და მოდიან. ასეა, ბატონო; ღამის მისტერია იზიდავს მათ და თავის სიბნელეში ახვევს. აბა, უცებ განათდეს, ერთი წამით, სულ ერთი წამით, ან თუნდაც ელვამ გაჰკრას ცას! თქვენ ნახავთ, როგორ შეშფოთდებიან და დაფანტებიან ყველანი. ზაფხულის ცხელ ღამეს აბაზანაში ხომ აგინთიათ უეცრად სინათლე? გინახავთ ალბათ, საიდანღაც მოსული ხოჭოები რომ დატრიალდებიან და მაშინვე ხვრელს მიაშურებენ. მეც რამდენჯერ გამიკეთებია ასე. ღამით მკბენარები რომ შემაწუხებდნენ, ჩუმად ავდგებოდი, სინათლეს ავანთებდი, საბანს გადავწევდი და ვუყურებდი თეთრ ზეწარზე როგორ გარბოდნენ შავი ბაღლინჯოები... ადამიანებიც ასეა, ბატონო, ისინი სინათლეს გაურბიან და სიბნელეს ეძებენ. ხომ ხედავთ, მთელი ევროპა წყვდიადშია გახვეული. ბუქარესტშიც ასეა...

... მართლაც ძალიან ჩამობნელდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვარჩევდით ჩიშმიჯიუს პარკის ხეივნებისაკენ მიმავალი წყვილების მოძრაობას. ხან თვალები გაიელვებდა ბნელში, ხანაც თეთრი კბილები. ზევით, მოქუფრულ ცაზე, თვითმფრინავების გაბმული გუგუნი ისმოდა, ქვევით — ადამიანთა ქოთქოთი და ვნებიანი სიცილი.

— ასეა, ბატონო, — დაიწყო ისევ პარუმბაკუმ, — მამა-

კაცები ახლა გოგოებს ისე უყურებენ, როგორც ნამცხვარს. საცოდავი ქალები! ვიდრე გიმნაზიაში სწავლობენ, ვარდის სურნელით იკვებებიან, ლექსებს კითხულობენ და ბროლის კოშკებზე ოცნებობენ. მერე? მერე სადმე ფოსტაში იწყებენ სამსახურს და მთელი დღე ქვითრებს წერენ. ომის დროს კი სხვა რა გზა აქვთ, ორში ერთი: ან მონაზვნებად უნდა იქცნენ, ან როსკიპებად. მონაზვნობა, მოგეხსენებათ, მოდაში აღარ არის, როსკიპობა კი, აი, თქვენც ხედავთ, რა გავრცელებული ხელობაა. განსაკუთრებით ახლა, როცა ბუნებრივი ურთიერთობანი დარღვეულია: მამაკაცები ფრონტზე არიან, ქალები — შინ... მათ ტანჯავთ უსაქმობა, შიში... მოწყენილობა... სურვილი — ერთი-ორი ბედნიერი წუთი მაინც წაგლიჯონ ამ აუტანელ ცხოვრებას და... ხომ ხედავთ რას არ სჩადიან! აქ პარკში მშვენიერი ტბაა, ახლა მას „ჰერას ტბას" ეძახიან. მოგეხსენებათ, ის როსკიპი ქალღმერთი რომ ყოველი ბანაობის შემდეგ ისევ ქალწული ამოდიოდა რაღაც მდინარიდან. ამათაც ჰგონიათ, ეს მართლაც ჰერას მდინარეაო და დიდიანპატარიანად ჭყუმპალაობენ მის მორევში!.. ვინ ვისთან — ამას მნიშვნელობა არა აქვს. გარწმუნებთ, უმრავლესობამ ვინაობაც არ იცის ერთმანეთისა: სადმე შეხვდებიან შემთხვევით, გაუცინებენ, გამოელაპარაკებიან და... მიდიან. ნაშუაღამევს ისევ დაშორდებიან და, მეორე დღეს კიდეც რომ შეხვდნენ, შესაძლებელია ვერც კი იცნონ ერთმანეთი... ასე ამარტივებს ომი ურთიერთობას, ჩემო ბატონო! ბედნიერება ხომ მიჩვევაა, სხვა არაფერი. ჩვენც ვეჩვევით ყველაფერს. ან სხვა რა გზა გვაქვს! მე აქ ყოველ საღამოს გამოვდივარ და ვუცდი როდის ინებებენ ჩემი მეუღლე დომინიკა და უფროსი ქალიშვილი მამუცი ჰერას ამ ბუნაგიდან გამოსვლას, რომ სახლამდე მივაცილო. ეს არის ახლა ჩემი მოვალეობა მათ წინაშე. ჩემი მეუღლე ბრძანებს, ბნელ ქუჩებში მარტო სიარულს ვერ ვიტანო. ამ ბნელ ბუნაგში კი ყველაფერს იტანს... ქალიშვილიც, რომელიც ჯერ ჩვიდმეტი წლისაც არ არის, ისიც უძლებს შეცოდების მომხიბლაობას. უმცროსი ქალიშვილი კი ჯერ სახლში მყავს ჩაკეტილი, მაგრამ თვალი იმასაც აქეთ უჭირავს. ასეა, ბატონო! ამბობენ, ევამ ღმერთს იმით შესცოდა, აკრძალული ხის ნაყოფი შეჭამაო, იმას კი ვერ ხვდებიან, ის ვაშლი

მკვახე რომ იყო. მთელი უბედურებაც ესაა. ევამ მკვახე ვაშ-ლი შეჭამა და თავი იმართლა, გველმა შემაცდინაო... ამის შემდეგ ქალები თავიანთ ცოდვას სულ სხვებს აბრალებენ, საკუთარ თავსაც ყოველთვის სხვაში ხედავენ. ეს „სხვა“ გა-მოულეველია, მე კი სად შემიძლია ამდენი ყარაულობა.

— პარდონ, მსიე, თქვენ აქ რას ყარაულობთ? — ვერ მიხ-ვდა ბეგი.

— ჩემს ცოლ დომინიკასა და უფროს ქალიშვილ მამუ-ცის, ბატონო.

— ისინი სად არიან?

— აი, იქ! — თქვა პარუმბაკუმ და თითი იმ პარკის ბნელ ხახას მიაშვირა.

— კიდევ პარდონ, მაგრამ იქ რას აკეთებენ?

— ერთობიან, ბატონო, ვიღაცეებთან. ჩემი დომინიკა ვერ იტანს მოწყენილობას, ქალაქში კი ახლა სხვა გასართობი არა-ფერია.

ბეგი ნელ-ნელა გაერკვა სიტუაციაში და სულ ცნობისმო-ყვარეობად იქცა.

— თქვენ აქ რატომ უცდით მერე?

— აკი მოგახსენეთ, ბატონო, როცა გათავისუფლდებიან, შინ უნდა მივაცილო-მეთქი.

— რატომ ისინი არ მიაცილებენ, ვისთანაც ერთობიან? — დაუსვა „სკრუპულოზური“ კითხვა ბეგიმ.

— უხერხულია, უცხო მამაკაცებთან ვინმემ რომ ბნელ ქუჩაში დაინახოს. რას იტყვის ხალხი?

— უჰუ, ჰუუუ!.. შენი ჭკუის ჭირიმე, — გაიკვირვა ბე-გიმ, — ქმარი კი არა, პირდაპირ ანტრეკოტი ხარ!

გაუკვირდებოდა, აბა, რა იქნებოდა! იმ ბნელ ბაღში უცხო მამაკაცებთან დროსტარება თუ არ იყო სირცხვილი, ქუჩაში მათთან გავლა რატომ უნდა ყოფილიყო ასეთი საშინელება?! თუმცა ამისას რას გაიგებს კაცი. ბოდლერმაც რომ თაქისი „შავი ვენერა“ ყანა დიუვალი შეიყვანა ლუვრში, ის ქუჩის როსკიპი სირცხვილით დაიწვა, ეს რა უხამსობაა, ამდენი შიშ-ველი ქალის სურათები რომ გამოუფენიათო.

პარუმბაკუსაც თავისებური წარმოდგენა ჰქონდა იმ სა-კითხზე:

— სირცხვილის გრძნობა თანდაყოლილი როდია, — ამბობდა იგი: — ადამიანები რომ იბადებიან, სრულიადაც არა აქვთ ეს გრძნობა. არც ადამი და ევა გრძნობდნენ სირცხვილს, ვიდრე შესცოდავდნენ და ცნობადის ხის ნაყოფს იგემებდხეხ. ეს იმას ნიშნავს, რომ სირცხვილი მხოლოდ შეცოდებასთანაა დაკავშირებული, შეცოდება რომ არ იყოს, არც სირცხვილის გრძნობა იქნებოდა. ანგელოზები არ წითლდებიან, ბატონო, რადგან არ სცოდავენ. არც ისინი, ვისაც ცოდვა სირცხვილად არ მიაჩნია. ეს ახლა ანაქრონიზმად ითვლება. გაწითლების უნარიც. თუ ადამიანი მარტოა თავის თავთან, სირცხვილის გრძნობა არა აქვს. ვინ იცის, რამდენი უსირცხვილო ფიქრი გაუვლის ადამიანს თავში, მაგრამ ამის გამო სულაც არ წითლდება, ოღონდ სხვამ არ გაიგოს ეს. ასეა, ბატონებო, ყველაფერში სხვაა დამნაშავე, ჩვენ კი უმწიკვლონი ვართ, მამა აბრამის ბატკნები, მაგრამ აბა ერთი სხვები არ გვიყურებდნენ!..

აქ ის ყანჩა პარუმბაკუ მოულოდნელად წამოხტა ფეხზე, შავი მოსასხამის გრძელი სახელოები ღამურას ფრთებივით გაშალა ბნელში და, თითქოს მდინარის იქით უნდა ხმა მიაწვდინოსო, ისე დაიყვირა:

— ეეე... ჰეეე, ჰეეეე!.. მაშინ რა ღვთაებრივად უსირცხვილონი ვიქნებით ყველა!..

გვეგონა სიგიჟემ მოუარაო და გავისუსეთ, იმ ღამურამ კი ფრთები ისევ დაკეცა, დაჯდა და გაჟეჟილი ხმით განაგრძო:

— ღამის სიბნელეა, ბატონებო, ჩვენი ერთადერთი ბედნიერება. გამოვლენ თუ არა ჩემი დომინიკა და მამუცი ამ კირკეს ბუნაგიდან, სამივენი ერთად გავუდგებით გზას შინისაკენ. ღამის სიბნელე გადაეფარება ჩვენს უხერხულობას. ამ უკუნეთში ვერც სახეს დავინახავთ და ვერც თვალებში ჩავხედავთ ერთმანეთს. ამიტომ არც სირცხვილის გრძნობა შეგვაწუხებს! ოღონდ იყოს ღამე... ო, ბნელი ღამე! — წაუმღერა პარუმბაკუმ და ისევ ისე პათეთიკურად წამოიძახა:

— სირცხვილი, სირცხვილი, სირცხვილი — აი, კაცობრიობის მთელი ისტორია! ასე ამბობდა თქვენი დიდი მასწავლებელი ზარატუსტრა!

თუ რატომ იყო ზარატუსტრა ჩვენი მასწავლებელი, ეს

ყველასათვის გაუგებარი დარჩა. პარუმბაკუ კი ისევ თავისას ყვებოდა:

— შინ რომ მივალთ, ვიდრე ისინი სინათლეს აანთებდნენ, მე ჩემს ჩაბნელებულ ოთახში შევვარდები, მაშინვე ლოგინში ჩავწვები და საბნად ისევ იმ ღამის სიბნელეს გადავიხურავ. ეს არის ჩემი ნუგეში. მე ფანჯრები დღისითაც ჩაბნელებული მაქვს, ბატონებო, რადგან ადამიანების შეხედვისა მეშინია. გარეთ რომ ხალხს ერთი ალიაქოთი აქვს, მე ჩემს ბნელ მარტოობაში ვზივარ და ვფიქრობ, ნეტავი სულ ღამე იყოს-მეთქი. ღამღამობით ყველაფერი თვლემს, დღისით კი როგორღაც იბნევი კაცი ამდენ საგანსა და აურზაურში...

— ასე ჭოტები ცხოვრობენ და არა ადამიანები, — შეაწყვეტინა ისევ პაოლომ, — რა საჭიროა ასე ცოცხლად დამარხვა... ან ამგვარი ავადმყოფური ფიქრების აყოლა?!..

— რას იზამთ, ბატონებო, ასეთია უზარმაზარი და საშინელი ბედი ჩვენი ცხოვრებისა, — ჩამოართვა მას სიტყვა პარუმბაკუმ. — ჩვენ მხოლოდ დასასრულის ხანგრძლიობისათვის ვცხოვრობთ, ეს არის და ეს. ადამიანი რომ კვდება, ხომ იცით, თმა და ფრჩხილები რომ ისევ განაგრძობს ზრდას. ხე გახმება, მაგრამ ფითრი მაინც ცოცხლობს ერთხანს... ასეა ჩვენი ცხოვრებაც — არსებობა დასასრულის შემდეგ. უგნურებს ჰგონიათ დასასრული სიკვდილთან ერთად მოდისო, ის კი არ იციან, პირველი რომ წინ უსწრებს მეორეს: ჯერ დასასრულია, მერე — სიკვდილი, ხოლო მათ შორის უაზრო ხანგრძლიობის დიდი მანძილია. მე არაფერს ვმალავ და პირდაპირ ვაღიარებ: მირჩევნია მთელი ქვეყანა დაიღუპოს, ოღონდ დასასრულის ამ ხანგრძლიობას მოეღოს ბოლო. ხომ ხედავთ, როგორ დავიღალეთ სიკეთისა და ბოროტების ამაო ბრძოლით, აღთქმული ქვეყნისა და ბედნიერების ძიებით! მერედა სად არის ეს აღთქმული ქვეყანა და ბედნიერება?! მე თუ მკითხავთ, ნამდვილი ბედნიერება ისეთი დასასრულია, რომლის იქით არც არაფერი რჩება და არც არაფერი იწყება...

— მერე რა ფასი აქვს ასეთ ბედნიერებას?! — ჩაერია ლაპარაკში დრუჟნიკოვი.

— სხვას რასა აქვს ფასი, ბატონებო, რომ მაინცდამაინც იმ ოხერ ბედნიერებას ჰქონდეს? ვერ უყურებთ რა ხდება

იქ? — თქვა მან გულდაწყვეტით და ხელი ისევ ჩიშმიჯიუს პარკისაკენ გაიშვირა. — ადამიანს ახლა მხოლოდ თავისი საკუთარი ბედნიერების მიმართ შეიძლება ჰქონდეს პასუხისმგებლობა. მეც ასე ვამბობ: ოღონდ მე ნუ შემეხებით, ბატონო, და თქვენ, რაც გინდათ, ისა ქენით. მე არც თქვენი სირცხვილი მინდა და არც თქვენი ბედნიერება! მე მოსვენება მინდა... ერთი პატარა კუთხე ამქვეყნად, თუნდაც იგი ციხის საკანი იყოს, ოღონდ იქ მაინც ნუ შემეხებით, ჩემთვის მამყოფეთ. სულ მზის გულზე სიარული სად შეუძლია კაცს, ზოგჯერ ჩრდილშიაც შევიდეთ და შევისვენოთ. სულერთია, ამქვეყნად წმიდა არაფერია... არაფერი! — გაიმეორა მან და თავის ნათქვამს ლათინურად დაუსვა ბეჭედი:

— Nihil sacri!..

... ცხოვრებაზე გულაყრილი კაცი იყო, ყველაფერზე ხელჩაქნეული და გარიყული, ანუ, როგორც თვითონ ამბობდა, „პანღურამოკრული“.

ერთხელ გვიამბო კიდეც რატომ ამბობდა ასე:

— ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას ვიღაცამ, არც მახსოვს რატომ, მგონი ისე, უმიზეზოდ, ხალხით სავსე ქუჩაში პანღური ამომკრა და, ჩემთვის არც შემოუხედავს, თავისი გზა განაგრძო. სირცხვილით დავიწვი, შემეშინდა ხომ არავინ დამინახა-მეთქი. როგორ არ დამინახეს! ის კი არა, სიცილი დამაყარეს. გავიქეცი, მაგრამ ისევ იმათი სიცილი მესმოდა, ვიდრე ჩემს სახლში არ შევვარდი და არ ავტირდი. მას აქეთ დღე არ გასულა, რომ ეს სამარცხვინო შემთხვევა არ მომაგონდეს, ვერც ვერასოდეს მოვიშორებ, რადგან სირცხვილი სიცოცხლეზე უფრო ხანგრძლივია. ეს მარტო მე კი არ მეხება, ბატონო! ვინ მოთვლის, რამდენი პანღურამოკრული დადის ამ ქვეყანაზე. ზოგი ეგუება ამას, ზოგიც — არა... როცა ქუჩაში გავდივარ, ახლაც იმის შიში მაქვს, ვინმემ კიდევ არ ამომკრას პანღური-მეთქი. იქნებ არც არავინ აპირებს ამას, მაგრამ მე მაინც ველოდები. მთელი ჩემი ცხოვრება ასეთ ლოდინში გავატარე, ასევე იქნება ალბათ ბოლომდე, სანამ თვითონ მიქელგაბრიელი არ ამომკრავს პანღურს და სულ არ გამაგდებს ამ ქვეყნიდან.

ამას რომ ამბობდა, თვალწინ სულ მისი უცნაური სიარული მედგა. პარუმბაკუ მართლაც ისეთ კონვულსიურ მოძრაობას აკეთებდა, მოსალოდნელი პანღურის ასაცდენად რომ ინსტინქტურად გადაქანდებიან ხოლმე. ასევე მოდიოდა ჩიშმიჯიუს პარკთან და გულმოდგინედ ყარაულობდა „პატიოსნების“ უკანასკნელ თავშესაფარს უპატიოსნების იმ მორევში...

ის პარკი კი ისე აივსო წყვილებით, რომ ტევა აღარ იყო, და ახალმოსულნი შესასვლელთანვე ეძებდნენ თავისუფალ ადგილებს.

ლაპარაკს შევყევით და შეგვაგვიანდა. მერე ბოდიში მოვიხადეთ, პარუმბაკუ თავის „პოსტზე“ დავტოვეთ და წამოვედით. ქალაქი წყვდიადში იყო გახვეული და ვნებიანად სუნთქავდა. მხოლოდ ტანკების მუხლუხოების ხრჭიალი და თვითმფრინავთა გაბმული გუგუნი ამყღავნებდა საომარ სიტუაციას...

სასწაულის მოლოდინი...

„თიქრთა მხატვარი“ გუცა იმდენად კმაყოფილი დარჩა თავისი გულისნადების გადმოშლით, რომ მერეც ეძებდა ამგვარ შემთხვევას. ჩვენ კი ისე ვიყავით საქმეში ჩაფლული, რომ გუცას „ფიქრთა მხატვრობისათვის“ სად გვეცალა! სამაგიეროდ პაოლოს დაუახლოვდა და პატივისცემის ნიშნად უჩელო შეარქვა.

მე-15 საუკუნის იტალიელი მხატვარი პაოლო უჩელო მეც გამეგონა, მაგრამ, მართალი გითხრათ, მაშინ ბევრი არაფერი ვიცოდი მის შესახებ. „ფიქრთა მხატვარს“, რომელიც მას თავის „სულიერ მამას“ უწოდებდა, ძალიან სწყინდა, ასე გულგრილად რომ ვუყურებდით მის სათაყვანებელ პიროვნებას. მოკრძალებული კაცი იყო და ვერ გვიბედავდა, თორემ ისე კი ვატყობდი რარიგ ეწადა „უჩელოს გენიისათვის“ ვეზიარებინეთ. ამაზე ერთხელ ბეგიმ შეუორინა:

— გააჭირე ერთი საქმე მაგ შენი უჩელოთი, ისიც ალბათ შენსავით დამთხვეული იქნება ვინმე...

გუცა კინაღამ ატირდა. მე ისე შემეცოდა იგი, ვთხოვე ამ

საღამოს ჩემთან მოდი და მიამბე რამე უჩელოს შესახებ-მეთქი. თან ისეთი სახე მივიღე, ვითომ ძალიან მაინტერესებდა ეს.

გუცა ცას ეწია სიხარულით.

— თუ ბატონი ოფიცერი ინებებს, მე შემიძლია უჩელოს ალბომიც მოვიტანო ან თუნდაც მარსელ შვობის ნოველა... თქვენ ალბათ წაკითხული გაქვთ მისი „პაოლო უჩელო“, ბრწყინვალე ნაწარმოებია...

მე მარსელ შვობის ლექსებს კი ვიცნობდი, მაგრამ ნოველებს — არა, ამიტომ წინასწარ მადლობა მოვახსენე, დიდად დამავალებთ-მეთქი, და პაოლოს გადავულაპარაკე ჩვეულებურად:

— რაკი იმ უჩელოს სეხნია გახდით, მოდით ამ საღამოს ერთად გავერკვეთ სიტუაციაში.

პაოლომ რატომღაც ამოიხვნეშა, მაგრამ მაინც დამეთანხმა...

... საღამოს გუცა წიგნებითა და ალბომებით დატვირთული მომადგა. პაოლომ დარეკა, რაღაც გადაუდებელი საქმე მაქვსო. ალბათ, მისმა „მეშვიდემ“ არ გამოუშვა, თორემ ღამით რა საქმე უნდა ჰქონოდა ასეთი!..

გუცამ წიგნები და ალბომები მაგიდაზე დააწყო და მაშინვე შეუდგა ქადაგებას:

— უჩელო ჩვენი თანამედროვეა, ბატონო... მართალია, იგი ხუთიოდე საუკუნის წინ ცხოვრობდა, მაგრამ დღევანდელობის თვალსაზრისით უფრო ახლოა ჩვენთან, ვიდრე ჩვენი დროის მხატვრები.

ამის შემდეგ გუცა ჯერ უჩელოს ბიოგრაფიას მომიყვა, მერე ალბომებიც მიჩვენა: მედიჩის სასახლის მოხატულობა, წმ. მარიას ჯვარცმა, მხედრებისა და მცენარეთა სურათები... კაცმა რომ თქვას, ისეთი არაფერი ყოფილა, ადრეული რენესანსის სხვა ფლორენციელ მხატვრებთან რომ არ მენახოს. ხატვის თავისებური მანერისათვის კი ყურადღება არც მიმიქცევია. ყოველ შემთხვევაში, რასაც „ფიქრთა მხატვარი“ მიხსნიდა, უჩელოს სურათებში სულაც არ იკითხებოდა.

მერე ისევ რამდენჯერმე ახსენა შვობი და მისი წიგნი გადმომცა. იქ, სადაც ნოველა „პაოლო უჩელო“ იწყებოდა, მუხის

გამხმარი ფოთოლი ჩაედო, რომ ძებნა არ დამჭირვებოდა. მეგონა მიდიოდა, მაგრამ უცებ მომიბრუნდა და ბუდარით მითხრა:

— თუ შეიძლება დავრჩები, ვიდრე წაიკითხავდეთ. ნოველა დიდი არ არის, სულ ათიოდე წუთში მორჩებით, მინდა თქვენი შთაბეჭდილება გამიზიაროთ.

ცხადია, დავეთანხმე. მერე ოთახში მკრთალი სიწათლე დავტოვე და წიგნი გადავშალე. დიდი ხალისით-მეთქი, რომ გითხრათ, მართალი არ იქნება, მაგრამ, კითხვა დავიწყე თუ არა, ისე გამიტაცა, რომ სულმოუთქმელად ჩავყევი ბოლომდე...

... მართალია მას პაოლო დი დონო ერქვა, მაგრამ ფლორენციელებმა „უჩელო", ანუ „ფრინველი" უწოდეს, რადგან მისი სახლი გავსებული იყო ეგზოტიკურ ფრინველთა ფიტულებითა და ცხოველთა გამოსახულებებით: უჩელო იმდენად ღარიბი იყო, რომ არ შეეძლო ისინი ცოცხლად ჰყოლოდა...

ერთხელ პადუაში უჩელოს ოთხი სტიქია უნდა გამოესახა ფრესკაზე და ჰაერის სიმბოლოდ ქამელეონი ჩახატა, მაგრამ ქამელეონი მას არასოდეს ენახა და მის ნაცვლად გამოსახა აქლემი.

უჩელო საგნების რეალობაზე კი არ ზრუნავდა, არამედ მათი ხაზების მრავალრიცხოვნობასა და უსასრულო სახესხვაობაზე. იგი ხატავდა ცისფერ მინდვრებს, წითელ ქალაქებს, შავაბჯროსან მხედრებს, ცეცხლისმფრქვეველ ცხენებზე მსხდომთ ხელში შუბებით, რომლებიც სინათლის სხივებივით მიემართებიან ზეცის ყოველ მხარეს.

უჩელოს ჩვეულებად ჰქონდა სურათებში ეხატა მაცოკიო, რომელსაც იტალიელი გოგონები თავზე ისე იხურავდნენ, წინ გადმოშვებული ქსოვილის ნაოჭები რომ გარს შემორტყმოდა სახეს. უჩელო ხატავდა მათ ხან მახვილკუთხოვანს, ხან კვადრატულს, ხან როგორც პირამიდას ან კონუსს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოჩანდნენ ისინი პერსპექტივაში. იგი მთელ სამყაროს ხედავდა მაცოკიოს ნაოჭთა შეხამებაში. მოქანდაკე დონატელო ეუბნებოდა ხოლმე მას:

— აჰ, პაოლო, პაოლო! შენ არსებითს უშვებ მხედველობიდან და აჩრდილებს მისდევ!..

„ფრინველი" კი განაგრძობდა ბეჯით მუშაობას. იგი აერ-

თიანებდა წრეებს, ხატავდა კუთხეებს, სწავლობდა ქმნილებათა ყოველგვარ სახეობას და ევკლიდეს ამოცანების ამოსახსნელად მიმართავდა თავის მეგობარს, მათემატიკოს ჯიოვანი ბანეტის. შემდეგ იგი ჩაიკეტებოდა ხოლმე სახლში და პერგამენტებს თუ ხის დაფებს ავსებდა წერტილებითა და ირიბი ხაზებით.

უჩელო გულმოდგინედ სწავლობდა არქიტექტურას, რაშიაც მას ფილიპო ბრუნელესკი ეხმარებოდა, თუმცა სულაც არ ფიქრობდა მშენებელი გამოსულიყო. იგი კმაყოფილდებოდა იმით, რომ ამჩნევდა საძირკვლიდან კარნიზებისაკენ მიმავალ ხაზებს, მათ გადაჯვარედინებას შეხების წერტილებში, კოლონათა შეკავშირების კანონებს და ჭერის ძელთა მარაოსებურ თავშეყრას.

ასევე გამოხატავდა იგი ყველა ცხოველს მოძრაობაში, ადამიანის ჟესტებს და ცდილობდა დაეყვანა ისინი უბრალო ხაზებამდე. მსგავსად ალქიმიკოსისა, რომელიც ჩაჰყურებდა ხოლმე ლითონთა და შემაერთებელ ნივთიერებათა ნარევის დნობას ქურაში იმ იმედით, რომ მიიღებდა ოქროს. უჩელოც აერთიანებდა ყველა ფორმას, მათგან იგი ადგენდა სხვადასხვა კომბინაციებს, თითქოს ადნობდა მათ, რათა გარდაექმნა ერთ, პირველსაწყის ფორმად, რომლისგანაც გამომდინარეობს ყველა დანარჩენი. მას სწამდა, რომ ყველაფერს შეცვლიდა ერთი იდეალური ასპექტით. უნდოდა ისე დაენახა ქმნილებათა მთელი სამყარო, როგორც იგი აისახებოდა ღვთაების ხედვაში, რომელიც ყველა საგანს ხედავს ერთი რთული ცენტრიდან გამომდინარეს...

... მასთან ერთად ქალაქში ცხოვრობდნენ ჯილბერტი, დელარობია, ბრუნელესკი და დონატელო, გაამაყებულნი თავიანთი ოსტატობით. ისინი დასცინოდნენ საწყალ უჩელოს, მის გიჟურ წარმოდგენებს პერსპექტივაზე და სიბრალულის თვალით შესცქეროდნენ მხატვრის სახლს, მდიდარს მეცნიერებებით, მაგრამ ღარიბს ქონებით.

უჩელო კი მათზე ამაყი იყო. ხაზთა ყოველ ახალ კომბინაციაში იგი იმედოვნებდა აღმოეჩინა შემოქმედების ახალი ხერხი. მისი მიზანი იყო არა მიბაძვა, არამედ იმის შეძლება, რომ

გაეხსნა ყოველი საგნის სრულყოფილი სახე, და ნაოჭიანი ქუდების უცნაური კოლექცია ეჩვენებოდა უფრო ძლიერ ზეშთაგონებად, ვიდრე დონატელოს მიერ მარმარილოსაგან გამოკვეთილი მშვენიერი სახეები...

...ერთხელ მინდვრად გამოსულმა უჩელომ ბალახებში ჩაფლულ ქვების გროვასთან დაინახა გოგონა, რომელიც იცინოდა და თავზე ყვავილებისაგან დაწნული გვირგვინი ედგა. თაფლისფერი თმა ჰქონდა, ლაჟვარდაკრული თვალები, რბილი, ხავერდისებური გამოხედვა, ოდნავ აპრეხილი ცხვირი პატარა ხალით ნესტოსთან და ბავშვური ღიმილი. გოგონას გრძელი და გვერდებში ბაფთებით შეკრული ლალისფერი კაბა ეცვა. მისი მოძრაობა ისეთივე მოქნილი იყო, როგორიც იფნის წნელი, რომელზედაც იგი გირლიანდებს ახვევდა. სახელად მას სელვაჯია ერქვა.

გოგონამ გაუღიმა უჩელოს. მხატვარმა კი მაშინვე მისი გაღიმებული ტუჩების მოყვანილობას დაადგა თვალი და, ვიდრე გოგონა უყურებდა, დააკვირდა წამწამთა უწვრილეს ხაზებს, თვალების მოხაზულობას, ქუთუთოების მრუდეს და მსუბუქად აკრულ თმებს. იგი ათასნაირად წარმოიდგენდა მინდვრის ყვავილების გვირგვინს, იმ გოგონას შუბლზე შემოხვეულს.

მაგრამ სელვაჯიას არ შეეძლო ყოველივე ამის გაგება, იგი მხოლოდ ცამეტი წლისა იყო. მან ხელი მოჰკიდა უჩელოს და... შეიყვარა იგი...

... გოგონას მამა ფლორენციაში მუშაობდა მღებავად, დედა კი არ ჰყავდა. დედინაცვალი ხშირად სცემდა მას. უჩელოს გოგონა შეეცოდა და თავის სახლში მიიყვანა.

მთელი დღე არ შორდებოდა სელვაჯია კედელს, რომელზედაც უჩელო თავის უნივერსალურ ფორმებს ხატავდა. მას ვერ გაეგო რატომ ურჩევნოდა უჩელოს ეცქირა იმ სწორი თუ ირიბი ხაზებისათვის და არა მისკენ მიპყრობილი ლამაზი სახისათვის.

საღამოობით ბრუნელესკი და დონატელო მიდიოდნენ სამუშაოდ უჩელოსთან. სელვაჯია დიდხანს, დიდხანს უყურებდა მათ, ნაშუაღამევს კი იძინებდა იატაკზე, კედელთან, ლამფის ქვეშ გაშლილ მრგვალ ჩრდილში.

დილით უჩელოზე ადრე იღვიძებდა და შესციცინებდა ნაირფერად დახატულ ფრინველებსა და ცხოველებს. უჩელო ხატავდა მის ტუჩებს, თვალებს, თმებს, ხელებს. იგი მარჯვედ გამოიჭერდა ხოლმე გოგონას ამღერებული სხეულის უცნაურ მოძრაობათ, მაგრამ პორტრეტს კი არა ხატავდა, როგორც სხვა მხატვრები, როცა ქალი უყვართ. ეს იმიტომ, რომ უჩელოსათვის უცხო იყო ერთი პიროვნების ფარგლებში დარჩენის სიხარული. მას არ შეეძლო ყოფილიყო ერთ მხარეს, როცა წარმოსახვით ყველა მხარისაკენ მიფრინავდა და...

სელვაჯიას გამოსახულება თუ სხეულის მოხაზულობა ჩაგდებულ იქნა ფორმათა საერთო ჭურჭელში, ცხოველთა მოძრაობასთან, ქვებისა და მცენარეთა მოხაზულობასთან; სინათლის სხივებთან, მიწიდან ასულ ორთქლსა და ზღვის ტალღებთან ერთად.

ამასობაში სელვაჯია სულ დაავიწყდა და ფორმათა იმ საერთო ჭურჭელს ჩაჰყურებდა. მის სახლში კი პურის ერთი ნამცეციც არ მოიძებნებოდა, ხოლო გოგონა ვერ ბედავდა გაემხილა ეს დონატელოსთან ვინმე სხვისათვის...

და იგი მოკვდა ისე, რომ ხმაც არ ამოუღია.

უჩელომ აღბეჭდა ტილოზე მისი გაყინული სხეული, გულზე დაკრეფილი გამხდარი ხელები და საცოდავად დახუჭულ თვალთა მოხაზულობა. მას არც შეუმჩნევია, რომ იგი მოკვდა, ისევე როგორც უწინ ვერ ამჩნევდა, ცოცხალი თუ იყო. მან მხოლოდ ახალი ფორმები მიუმატა იმას, რაც უკვე ჰქონდა მოგროვილი...

... უჩელო მოხუცდა და კვლავ არავის არაფერი გაეგებოდა მისი სურათებისა. ეს იყო ირიბი ხაზების რაღაც ხლართი, სადაც არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა, არც მიწის, არც მცენარეების, არც ცხოველებისა და არც ადამიანებისა.

რამდენიმე წელი მუშაობდა იგი თავის მთავარ ნაწარმოებზე, რომელსაც არავის უჩვენებდა. მას უნდოდა გაეერთიანებინა მთელი თავისი ძიებანი და გადმოეცა მათი გამოსახულება თავისივე საერთო ჩანაფიქრის შესაბამისად. ეს იყო ურწმუნო თომა, რომელიც სინჯავს ქრისტეს წყლულებს.

80 წლისა იყო უჩელო როცა ეს სურათი დაასრულა. მან

დონატელო იხმო და მოწიწებით გახსნა პერგამენტის გრაგნილი მის წინაშე. დონატელომ მაშინვე იყვირა:

— პაოლო, დახურე ეგ გრაგნილი!..

უჩელომ ჰკითხა მას რატომო, მაგრამ დიდმა მოქანდაკემ მეტი ვერაფერი თქვა, და პაოლომ დაასკვნა, სჩანს, სასწაული ჩავიდინეო!

დონატელო კი არაფერს ხედავდა, გარდა ხაზების ქაოსისა...

... რამდენიმე წლის შემდეგ პაოლო უჩელო მკვდარი იპოვეს, თავის მაგარ საწოლზე გაშოტილი. მისი სახე გასხივოსნებული იყო ნაოჭებით. ღიად დარჩენილი თვალებით თითქოს მის მიერ გახსნილ საიდუმლოებას მისჩერებოდა. ხელში მაგრად ჩაებღუჯა პერგამენტის გრაგნილი. იგი დაფარული იყო ჯვარედინი ხაზებით, რომელნიც ცენტრიდან წრეხაზისაკენ მიემართებოდნენ და კვლავ უბრუნდებოდნენ ცენტრს...

... ნოველა რომ ბოლომდე ჩავიკითხე, მხოლოდ მაშინ შეირხა „ფიქრთა მხატვარი". შევხედე თუ არა, ასე მეგონა უჩელოს ღიად დარჩენილი თვალები მომჩერებია-მეთქი... გუგები გაფართოვებოდა, წარბები აეჭიმა, გრძელი კისერი წინ წამოეზიდა და ისე დაჟინებით მიყურებდა, როგორც პაოლო უჩელო — თავისივე აღმოჩენილ სასწაულს...

— ხელოვნება სასწაულის აღმოჩენაა, ბატონო, სხვა არაფერი — წარმოთქვა მან წყნარად. — კაცობრიობის მთელი ისტორიაც ასეთი სასწაულის მოლოდინია. ამ მხრივ არავითარი ცვლილება არ მომხდარა: ახლაც ყოველივე ისეა, როგორც უწინ იყო, მარტო მასშტაბებია სხვაგვარი. შუა საუკუნეებში ალქიმიკოსები ჯადოსნურ ქვაბში ყრიდნენ ყოველგვარ ლითონს... ადნობდნენ... ადუღებდნენ... აწრთობდნენ და... უცდიდნენ სასწაულს — ხელოვნურ ოქროს!.. ახლაც ასეა, ბატონო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დღეს მთელი ევროპის კონტინენტია ჯოჯოხეთის ერთ უზარმაზარ ქვაბად ქცეული. იმ „ქვაბში" ყრიან ადამიანებს, ცხოველებს, სახლებს, ქალაქებს, საომარ ტექნიკას, ყველაფერს, რაც კი ხელთა აქვთ, მერე ქვეშ ეშმაკები ცეცხლს შეუნთებენ და ადუღებენ... ერთმა-

ნეთში ირევა მკვდარი და ცოცხალი... ძვლები... ხორცი... ტვინი... მიწა... ქვა... ბალახები... ამას ეწირება ყველაფერი: სიცოცხლე... სიხარული... სიყვარული... მილიონობით ადამიანთა ფიქრი და ოცნება... იწყება ქაოსი... ხოცვა-ჟლეტა... ჯოჯოხეთის ქვაბს სისხლის ოხშივარი ასდის... ხოლო მეუფენი ამა ქვეყნისანი სხედან და ელიან სასწაულს: ოქროს ხანას! რომ არა გამოვა რა, ისევ თავიდან იწყებენ და... ასეა დაუსრულებლივ... ყოველივე ეს არარაობის უაზრობამდე დადის, უნივერსალობის გეომეტრიულ ხაზებამდე, რომელნიც ცენტრიდან მარადისობის წრეხაზისაკენ მიემართებიან და კვლავ უბრუნდებიან ცენტრს...

მე არაფერი მითქვამს ამის შესახებ. ან რა უნდა მეთქვა, როცა ამ „არაფრის მხატვრისა“ და მისი „უნივერსალური მასწავლებლის“ სულიერი ტანჯვა სულაც არ იწვევდა ჩემს თანაგრძნობას. ან ომის დროს ამისათვის ვისა სცალია! პირიქით. ყველა, ვინც მართლა ჯარისკაცია, დარწმუნებულია, რომ ტანჯვაში ისევე იწრთობა სული, როგორც ფოლადი — ცეცხლში. რაგინდ მძიმე ცხოვრება ჰქონდეს მამაც მებრძოლს, იგი სულიერ სიხალისეს მაინც არ კარგავს.

ასეა. ცხოვრება ბრძოლაა. ჭირსა შიგან გამაგრება, წინააღმდეგობათა დაძლევა და გამარჯვების წყურვილი, ვისაც ეს არ შეუძლია, წუთისოფელი მართლაც ისე გათელავს, „როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა...“

ამით არც სული მოიგებს ადამიანისა და არც ხორცი. ჩვენი ოცნების ისეთი ცოცხალი ყვავილები კი, როგორიც სელეჯია იყო, მსხვერპლად შეეწირება რაღაც „უნივერსალური ფორმების“ ამაო ძიებას...

„ფიქრთა მხატვარი“ გუცა, ალბათ, სულ სხვაგვარ რეაქციას მოელოდა ჩემგან. მასთან დავის თავიც არა მქონდა და, უხერხული დუმილი რომ დამერღვია, ერთადერთი ფრაზა წარმოვთქვი და ისიც უადგილო:

— რა დიდებული სიკვდილია, არა!..

— რას ბრძანებთ, ბატონო, სიკვდილი სადღაა?! — შეიცხადა გუცამ, — ეს უკვდავებაა!.. უჩელომ ყველაფერი გაწირა და მიაღწია სასწაულს...

ეს რომ თქვა, თვალები დახუჭა და წყნარად დასძინა:

— ეს სასწაულია, ბატონო, სასწაული!..

ამ სიტყვას მისთვის შელოცვის ძალა ჰქონდა. იგი მონუსხულივით იჯდა დაბალ სკამზე და დელფოსის ორაკულივით ქადაგებდა:

— ვინც ეშმაკთან წილნაყარი არ არის, შეგვინდე, უფალო, ამგვარ სასწაულს ვერასოდეს მიაღწევს... ვერასოდეს! — გაიმეორა მან და თვალები გაახილა. — ასეთი რამ მხოლოდ ეშმაკის საშუალებითაა შესაძლებელი — თქვა მან ბოლოს.

მე არც ამის შემდეგ ამომიღია ხმა. გუცა ერთხანს ცნობისმოყვარედ მომჩერებოდა, მერე კი ისევ მან განაგრძო:

— ჭეშმარიტი ხელოვნება ამგვარი სასწაულის მიღწევაა, ბატონო, სხვა არაფერი! იგი მსხვერპლს მოითხოვს... ამიტომ ნამდვილი შემოქმედისათვის ბოროტებაც ისაა, რაც სიკეთე. მათი ერთმანეთისაგან დაშორება არ შეიძლება. მხოლოდ უგუნურები ფიქრობენ როდისმე სიკეთე დაძლევს ბოროტებასო. არა, ბატონო, ღმერთმა ნუ ქნას რომ ასე მოხდეს. ადამიანი ხომ ბოროტების გარეშე ვერ იარსებებს...

გუცამ ჩემკენ გადმოიწია, ჯერ თავი ყურთან მომიტანა, მერე პირჯვარი გადაიწერა და, თითქოს დიდ საიდუმლოებას მანდობსო, წამჩურჩულა:

— ქვეყნად ღმერთი არ არის, ბატონო, ბოროტების გარეშე და ადამიანი როგორ იქნება?!..

მერე ისევ გასწორდა და ხმამაღლა თქვა:

— მით უმეტეს ისეთი გენიალური შემოქმედი, როგორც პაოლო უჩელო იყო!.. როცა იგი სასწაულს ელოდა, მის სულში ათასი დემონი დაძრწოდა... სელვაჯიას უმანკო სიყვარულიც მათ შეიწირეს... დანაშაული კი არც იმათ მიუძღვით, რადგან მსხვერპლი გაწირვაც არის და შეწირვაც. ამიტომ უნდა შეეუნდოთ ყველას, ვინც ელის და ნამდვილ სასწაულს ახდენს!..

... გუცა რომ წავიდა, მე ერთხანს კიდევ მაწვალებდა ჩემი ფიქრების თვალღია ზმანებანი. ყურშიაც თითქოს ჭაბუკობისას ნასწავლი სტრიქონები ჩამესმოდა:

შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ ცოდვილს,
ლუციფერს, ჩემს სულში ავობით მძინარეს,
ლუციფერს, მრისხანე ვეფხვივით დაკოდილს
და ახლა მძინარეს.

შეუნდე, შეუნდე ჯოჯოხეთს — ჩემს თვალებს.
შეუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად დაღალულს,
ბე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს,
და ველი სასწაულს...

ახლა როცა ამ ლექსს ვკითხულობ, ასე მგონია თითქოს ჯვარცმის ნიშანთან მუხლმოყრილი და სასწაულის მაძიებელი პაოლო უჩელო სთხოვდეს შენდობას იმ პატარა გოგონა სელვაჯიას „უმანკო ნათელს“...

ქართული ჩუქურთმები...

ჩვენ კიდევ ერთხანს დავრჩით ბუქარესტში. ჩემი მთავარი სიამოვნება მოგზაურობა იყო, რაც, ღვთის მადლით, ძალიან ხშირად მიხდებოდა. თუ შორს ვიყავი წასასვლელი, ჩარიტას ან ანატოლის ჩავუჯდებოდი „მფრინავ ფილარმონიაში“, არადა კილინგერის მიერ „მემკვიდრეობით“ დატოვებული მანქანით ვმოგზაურობდი. ასე მოვიარე რუმინეთის თითქმის ყველა კუთხე. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე კარპატებმა, ფეგერების, რარუეს, ბუჩეჯისა და რეტუბატის მთებმა, მიკაზას ხეობამ, გოლიას ტბამ, შესანიშნავმა მთის კურორტებმა, შავი ზღვის სანაპიროებმა, დუნაისპირეთმა, ქალაქებმა და სოფლებმა ტრანსილვანიაში და მაინც ყველაზე უფრო, ცხადია, რუმინეთის დედაქალაქმა — ბუქარესტმა.

თავისუფალ დროს გვიყვარდა ბუქარესტის ქუჩებში ხეტიალი, მის არქიტექტურულ ნაგებობათა მრავალფეროვნება, მხიარული პარკები და სკვერები. განსაკუთრებით კი გვიზიდავდა ხალხი, რომელიც ყველგან გულთბილად ხვდებოდა საბჭოთა მეომრებს. მეგზურად ხან ბეგი დამყვებოდა, ხანაც — „ის ყანჩა“ პარამბაკუ, რომელიც მშვენივრად იცნობდა თავის ქალაქს. ერთხელ მან პატარა ეკლესიაც მიჩვენა და მითხრა, ეს თქვენებური კაცის ანთიმ ივერიანუს აგებულიაო. გამიკვირდა, ბესიკის შემდეგ ისევ ქართველი კაცის ნაკვალევს რომ წავაწყდი. საიდან სად ყოფილან გადმოხვეწილნი საქართველოს შვილები! ძველად აქ, დუნაის აუზში, სამი დიდი ქართველი მოღვაწეობდა თურმე. ჯერ გრიგოლ ბაკურიანი — მეთორ-

მეტე საუკუნეში, მერე ეს ანთიმ ივერიახუ, ანუ ანთიმოზ ივერიელი — მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულსა და მეთვრამეტის დასაწყისში, შემდეგ კი — პესიკ გაბაშვილიც...

... რუმინეთის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი და განმანათლებელი ანთიმ ივერიანუ წარმოშობით თურმე ქართველი იყო. მისი სამოქალაქო სახელი ანდრო ყოფილა. როგორც ამბობენ, მშობლებს იონა და მარიამი რქმევიათ. თექვსმეტი წლის ანდრო საქართველოდან გაუტაცნიათ და კონსტანტინოპოლში გაუყიდიათ. იქ მიუღია განათლება, უსწავლია ხელობა — წიგნის ბეჭდვის საქმე და იმ პერიოდში ოტომანთა დინასტიის მფლობელობაში მყოფ ვლაქეთში, ანუ ახლანდელ რუმინეთში ჩასულა სამუშაოდ. რუმინეთის საეკლესიო საქმეებსაც მაშინ კონსტანტინოპოლი განაგებდა. ანთიმი ჯერ სნაგოვში მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ — რიმნიკსა და ბუქარესტში, სადაც რუმინულ, ბერძნულ და არაბულ ენებზე ბეჭდავდა წიგნებს. ერთ-ერთ იქ დაბეჭდილ წიგნს ასეთი წარწერა აქვს: „მართლმადიდებელთა საჭიროებისათვის დაბეჭდილი იერონომაქ ანთიმის, წარმოშობით ქართველის მიერ“.

ანთიმი წიგნებს აბეჭდვინებდა აგრეთვე თბილისსა და ბელგრადში. საქართველოში მან, როგორც ცნობილია, გამოგზავნა თავისი საუკეთესო მოწაფე, ტრანსილვანიელი იშტვანოვიჩი, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ქართველებს პირველი სტამბის მოწყობაში. რუმინელი მეცნიერები წერენ, ანთიმს არასოდეს ავიწყდებოდაო თავისი სამშობლო. იგი თურმე ჩინებულად ლაპარაკობდა ქართულად.

ანთიმ ივერიანუ ითვლება ახალი რუმინული სალიტერატურო ენის ფუძემდებლად. პირველად მან გამოიყენა რუმინული ენა საეკლესიო მღვდელმსახურებისათვის. იგი შესანიშნავად თარგმნიდა ძველ ბერძნულ და არაბულ წიგნებს. მისი ორიგინალური ქადაგებანი (დიდახები) გამსჭვალულია დიდი ჰუმანიზმით, ხალხის გულწრფელი სიყვარულით. ანთიმის დიდახები ისე ჰგავს სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებებს, რომ გეგონებათ ერთი და იმავე კაცის დაწერილიაო. ორი დიდი ქართველი საბა და ანთიმი ერთ დროს მოღვაწეობდნენ: ერთი — საქართველოში, მეორე — რუმინეთში. ორივე ერთგვარ

ისტორიულ და პოლიტიკურ პირობებში იმყოფებოდა, ორივეს მიზანი ერთი იყო: ხალხის განათლება, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა, სამართლიანობის დაცვა, სიკეთისა და სათნოების ქადაგება. ალბათ, ამიტომაც ჰგავს ასე ძლიერ ერთმანეთს სულხან-საბას მიერ დავით გარეჯის მონასტერში შეთხზული ქადაგებანი ანთიმოზ ივერიელის მიერ სნაგოვსა და ბუქარესტში შეთხზულს.

— გვმართებს პატივი ვცეთ და ვადიდოთ არა მარტო დიდგვაროვნები და მდიდრები, — ქადაგებდა ანთიმოზი, — აბ მადლს იმსახურებენ მცირენი და მორჩილნიც, მიუხედავად იმისა, რომ მდიდრები ბრწყინავენ ძვირფასი სამოსელით, ხოლო ღარიბებს არაფერი გააჩნიათ შიშველი სხეულის დასაფარავად; მდიდრები ნებივრობენ ძვირფას რბილ სარეცელზე, ხოლო ღარიბები შიშველ მიწაზე ან ჩალაზე ათევენ ღამეს; მდიდრებს ახლავს მრავალი მსახური, ესენი კი მოკლებული არიან ყოველგვარ დახმარებასა და მეგობრულ ხელს. ისინი განცხრომასა და ფუფუნებაში ცხოვრობენ, ესენი კი — საშინელ შრომასა და მწუხარებაში...

სნაგოვში რომ ანთიმოზის მიერ აგებულ ტაძარში მოვხვდი, ასე მეჩვენა, თითქოს მის მაღალ თაღებში კვლავაც გუგუნებდა ამ რამდენიმე საუკუნის წინ წარმოთქმული სიტყვები:

— მოციქულებმა მოიპოვეს დიდი გამარჯვება, ისეთი, როგორიც არც მანამ და არც შემდეგ არ მოუპოვებია არც ერთ იმპერატორს. უიარაღო ღარიბმა და უწიგნურმა, მაგრამ კეთილი ნების ადამიანებმა ცაში აღმართეს არა საბრძოლო დროშები, არამედ მშვიდობის ემბლემები. ისინი ღაღადებდნენ არა ბუკითა და ნაღარით, ელავდნენ არა ბასრი ხმლებით, არამედ კეთილი ცხოვრების ბრწყინვალებით. მათ არ აღუვსიათ დედამიწა ჯარებით, ზღვა — ხომალდებით, მაგრამ წარმართები მაინც დაიმორჩილეს... მაშ ჩვენც სიმართლე შემოვირტყათ წელზე ქამრად და ჩავიცვათ სამართლიანობის აბჯარი...

რუმინელ მეცნიერთა ერთსულოვანი აღიარებით, ანთიმ ივერიანუს თხზულებანი ჰუმანიზმისა და განმანათლებლობის ფუძემდებლური ძეგლებია რუმინეთის მწერლობაში.

გარდა ამისა, ანთიმოზი შესანიშნავი მხატვარი ყოფილა. მისი გრავიურები, ილუსტრაციები, ფრონტისპისი, ქსილო-

გრაფია, ვინიეტები და სხვა რუმინული სახვითი ხელოვნების კლასიკურ შედევრებად ითვლება. ეს ჩვენ ვამბობთ რუმინულისო, თორემ თვითონ რუმინელი მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ ანთიმ ივერიანუს შემოქმედების ქართულ ხასიათს...

... შემდეგ, როცა ისევ რუმინეთში მოვხვდი, ცნობილი რუმინელი მეცნიერი აკადემიკოსი კონსტანტინესკუ-იაში გავიცანი. მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში მან მიჩვენა ორი ეგზემპლარი თბილისის სტამბაში დაბეჭდილი სახარებისა, რომელთაც თან ახლავს ანთიმ ივერიანუს მიძღვნა რუმინეთის მეფის ბრინკოვიანუსადმი, ვინც „დაეხმარა ივერიელებს, ისევე როგორც არაბეთს, ვლაქეთსა და უნგროვლაქეთს თავიანთ ენაზე ებეჭდათ წიგნები". ნათქვამია, კეისრისა კეისარსაო, თორემ ამ საქმეში ბრინკოვიანუს დიდი არაფერი ღვაწლი მიუძღოდა: ეს სულ ანთიმოზ ივერიელის საქმე იყო. მან საკუთარი სახსრებით ააგო მონასტერი ბუქარესტში. აკადემიკოსმა კონსტანტინესკუ-იაშმა დამათვალიერებინა ეს მონასტერი, აგრეთვე — ანთიმ ივერიანუს მუზეუმი. თვითონ ანთიმოზი წერს, მონასტერი ჩემი ოფლითა და მონაგარით ავაშენეო. ის ხომ შესანიშნავი მშენებელ-არქიტექტორიც იყო. მან არამცთუ საკუთარი გეგმით ააგო ეს მონასტერი, არამედ თვითონ მოაჩუქურთმა და ფრესკებით მოხატა მისი ინტერიერი. კონსტანტინესკუ-იაში დიდი გატაცებით მიმტკიცებდა, არქიტექტურული ანსამბლის გადაწყვეტასა და მოხატულობაში აშკარად იგრძნობა ქართული მოტივებიო. მერე წიგნიც დაწერა, სადაც ამასვე ამტკიცებს. იგი რამდენჯერმე სპეციალურად ჩამოვიდა საქართველოში, რომ ეს საკითხები უფრო ღრმად შეესწავლათ: ამის შედეგი იყო ახალი გამოკვლევა „რუმინეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობანი", სადაც მეცნიერი წერს, რუმინულ მონასტრებსა და ტაძრებში საერთოდ იგრძნობა ქართული ხელოვნების დიდი ზეგავლენაო. ავტორი მიმოიხილავს მოქვისა და ოშკის ტაძრებს, მცხეთის სვეტიცხოველსა და სხვა ეკლესიებს, რომელთაც ადარებს XVI საუკუნის რუმინული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებს და ადგენს მათს საერთო სტილურ ნიშნებს...

... ანთიმოზ ივერიელის ეკლესიაში რომ შევედი, მაშინვე ვიგრძენი რაღაც ქართული გარემოცვა. შეიძლება იმიტომაც, რომ თვითონ კონსტანტინესკუ-იაშმა შემიქმნა წინასწარ ასეთი განწყობილება. ყოველ შემთხვევაში, ამ ეკლესიის გუმბათი მართლაც მოგვაგონებს წუღრუღაშენს, ხოლო მისი ცალკეული არქიტექტურული დეტალები და ორნამენტები აშკარად ატარებენ ქართულ იერს.

იქნებ მე ეს მეჩვენებოდეს, მაგრამ სადღაც, ცხრა მთას იქით ქართველი კაცის მიერ აგებულ ტაძარში რომ შეხვალ, არ შეიძლება ასე არ დაგემართოს. ისიც ფაქტია, თუ რა სიყვარულით აკავშირებენ რუმინელი მეცნიერები ანთიმოზ ივერიელის სახელს ჩვენს ქვეყანასთან:

— შორეული საქართველოდან მოსულმა უცხოელმა მოგვცა ქართული პატრიოტიზმის იშვიათი ნიმუში... ქართველი ანთიმი იყო ძვირფასი საჩუქარი ჩვენი ქვეყნისათვის. უნდა ბედს ვუმადლოდეთ, რომ ეს საჩუქარი სწორედ ჩვენ გვარგუნა, — წერენ ისინი...

... აღსანიშნავია ანთიმოზ ივერიელის დიდი სახელმწიფო მოღვაწეობაც. იგი ჯერ იერონომაქი იყო, შემდეგ — ეპისკოპოსი, ბოლოს კი — მიტროპოლიტი, ე. ი. მეორე კაცი სახელმწიფოში მეფის შემდეგ. მან თავისი გავლენა თურქთა ბატონობის საწინააღმდეგოდ მიმართა. ანთიმოზს რუსეთის ორიენტაცია ჰქონდა აღებული, უნდოდა დიმიტრი კანტემირის არმიასა და პეტრე პირველს დაკავშირებოდა. ბრინკოვიანუ მერყეობდა რუსეთსა და თურქეთს შორის, ბოლოს კი უარი თქვა რუსეთთან კავშირზე. იმ დროს რუსეთ-თურქეთის ომი მიმდინარეობდა. რუსეთის არმია ბესარაბიიდან რუმინეთისაკენ მიიწევდა. ანთიმოზ ივერიელმა, წინააღმდეგ მეფის სურვილისა, რჩევა მისცა რუმინელ სარდალს თომა კონტაკუზინოს თავისი კავალერიით გადაელახა ვრაჩანის მთები და მოლდავეთში შეერთებოდა დიმიტრი კანტემირის არმიას...

... ბრინკოვიანუ განრისხდა, როცა ანთიმოზის „თვითნებური“ მოქმედების შესახებ შეიტყო. მან მოინდომა დაუყოვნებ-

ლივ გადაეყენებინა თანამდებობიდან მოხუცი მიტროპოლიტი, მიმართვაც გაუგზავნა, ნებით გადადექი, თორემ ძალით გადაგაყენებო. ამის პასუხად ანთიმოზმა ბრინკოვიანუს სამი ბრწყინვალე წერილი მისწერა. ეს წერილები რუმინეთის ისტორიაში ცნობილია როგორც ეპისტოლარული ლიტერატურის კლასიკური ნიმუშები.

ანთიმოზის ლოგიკის ძალამ გატეხა ბრინკოვიანუს მრისხანება. მეფემ ხელი აიღო მის დევნაზე. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ თომა კონტაკუზინომ თვით ბრინკოვიანუ ჩამოაგდო ტახტიდან და ცოლშვილიანად დაახოცვინა. გაიმარჯვა რუსულმა ორიენტაციამ. კონტაკუზინოსთან ანთიმოზს კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მერე თვითონ კონტაკუზინოც მოკლეს და ტახტზე თურქული ორიენტაციის ნიკოლოზ მავროკორდატი ავიდა. მის წინააღმდეგ შეთქმულებაში ანთიმოზმაც მიიღო მონაწილეობა. რუსეთის ჯარების მოახლოების გამო მავროკორდატი გაიქცა ბუქარესტიდან და ანთიმოზიც თან გაიყოლა ქ. ჯურჯუს მიმართულებით. ანთიმოზმა სთხოვა ბუქარესტში დამაბრუნეო. მავროკორდატმა უარი ვერ უთხრა მიტროპოლიტს, მაგრამ დაემუქრა, ჩქარა მეც დავბრუნდები და გაგისწორდებიო. მან მართლაც შეაგროვა რუშჩუკში თურქთა ლაშქარი და გამარჯვებული დაბრუნდა დედაქალაქში. რამდენიმე დღის შემდეგ მეფემ ანთიმოზი თავისთან იხმო. მიტროპოლიტის ეკიპაჟი მიუახლოვდა თუ არა სასახლეს, იქიდან თურქიანიჩარები გამოცვივდნენ და ანთიმოზს წვერ-ულვაში დააგლიჯეს. მერე, სადღაც ჯურღმულში ჩამწყვდეულს, უბრძანეს გადამდგარიყო. ბრალიც დასდეს ეშმაკთან კავშირში, ღვთის საწინააღმდეგო წიგნების ბეჭდვაში და ა. შ.

მოხუც ანთიმოზს რა წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, თავისი აღრინდელი საერო სახელი — ინდრო დაუბრუნეს და სინას მთისკენ გაგზავნეს, ვითომდა იქ წმ. ეკატერინეს ეკლესიაში მოსათავსებლად. სინამდვილეში კი ყველაფერი ეს თვალთმაქცობა იყო: მეფის მითითებით იანიჩარებმა ანთიმოზი გზაშივე ნაკუწ-ნაკუწად აკაფეს და მდინარე ტუნჯიანში გადაუძახეს.

ეს იყო 1716 წლის სექტემბერში...

... მეც სწორედ სექტემბერში ვინახულე ის მდინარე. ერთ-ხანს იმ ადგილასაც ვიჯექი, სადაც, გადმოცემის მიხედვით, წყალს გაატანეს ანთიმოზ ივერიელის აკუწული სხეული...

მინდვრის ყვავილები დავკრიფე, თაიგულად შევკარი, მდინარეში ვისროლე და ამით ვითომ შესაძლებელი პატივი ვეცი ჩვენი წამებული თანამემამულის ხსოვნას...

სადარბაზო გარათი...

ოქტომბრის დასაწყისში განკარგულება მივიღეთ განყოფილება ბუქარესტიდან ისევ ფრონტის შტაბთან გადაგვეყვანა. რუმინული ჯგუფი, მათ შორის „ფიქრთა მხატვარიცა“ და პარამბაკუც, ბუქარესტში რჩებოდა. ჩვენ უკვე უნგრეთისაკენ მივეშურებოდით და ახალი თანამშრომლები უნდა მიგვეღო. ბეგი როგორც უნგრულის მცოდნე ჩვენთან მოდიოდა. ბრძოლები ახლა მის სამშობლო ტრანსილვანიაში მიმდინარეობდა. ათი წლის ხეტიალის შემდეგ იგი ოდისევსივით უბრუნდებოდა თავის კარ-მიდამოს. ვინ იცის, ჩემი „მსიე“ მასწავლებელი ეგებ ცოცხალი იყოსო, ამბობდა. აი, რა სანახავი იქნებოდა მათი შეხვედრა! ბეგი რომ კაპიტნის ჩინში, ორდენებითა და მედლებით წარუდგებოდა „მსიეს“, ის თვალებს დააჭყეტდა გაოცებისაგან. ბეგი სეტყვასავით დააყრიდა თავის „ფრანგულს“. ის თუ ნაპოლეონი იყო, „საკრამენტო“, ბეგი გაეცნობოდა როგორც სარდანაპალი, თანაც მარტო „პარდონითა“ და „სკრუპულოზურით“ კი არ დაკმაყოფილდებოდა: უნდოდა „შასსის“ ეტყოდა, უნდოდა „ფუზელაჟს“, „ანტრეკოტის“ ამბავსაც მოუყვებოდა და „კოლოსალსაც“ დააყოლებდა.

მერე ის და „მსიე“ შერიგდებოდნენ. „მსიეს“ გაუხარდებოდა, „ამ რეგვენისაგან“ კაცი რომ გამოვიდა, ბეგის კი ის ესიამოვნებოდა, „საკრამენტოს“ რომ თავი მოაწონა...

...მე და ბეგი ერთად გავედით ბუქარესტიდან. კილინგვერის მიერ დატოვებული „მორისი“ ისარივით მიქროდა ავტოსტრადაზე. შებინდებამდე სამხრეთი კარპატები გავიარეთ, ოლტულის ხეობას ავყევით და ქ. სიბიუში შევედით. დაღ-

ლილნი და დამშეულნი მივადექით სამხედრო კომენდატურას. მე ფრონტის სამხედრო საბჭოს ისეთი მანდატი მქონდა, რომ ყველა კომენდანტზე ერთნაირად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა, ლეიტენანტი იყო იგი, პოლკოვნიკი, თუ გენერალი.

სიბიუს სამხედრო კომენდანტი უკრაინელი აღმოჩნდა. ერთი წყრთა ულვაში ეკიდა. იგი მაშინვე დატრიალდა და ღამის გასათევად ვიღაც მსხვილი ვაჭრის ვილაში დაგვაბინავა.

— დუმიტრიუ ფლორესკუ! — გამოგვეცნაურა ქონად ქცეული მასპინძელი, რომელსაც საოცრად წვრილი, ქალური ხმა ჰქონდა. შემდეგ მისი ჩაფაშრულ-ჩაბუებუეებული ცოლიც გამოგორდა და ბეგის კინაღამ გული წაუვიდა.

— კოლოსალ, საკრამენტო! — ჩაილაპარაკა მან თავისთვის და მაშინვე ამოიღო მიზანში. დუმიტრიუს ძლივს დაჰქონდა თავისი უზარმაზარი სხეული. რამდენიმე ნაბიჯს რომ გადადგამდა, ორიოდე წამით შედგებოდა, ამოიხვნეშებდა და მერე ისევ განაგრძობდა გზას. ბეგის თვალის სინათლე დომნა (ქალბატონი) ჯუზი ხომ სულ ქონში ცურავდა. მას მამაკაცისით ბოხი ხმა ჰქონდა და ულვაშებიც უფრო აჩნდა ტუჩებზე, ვიდრე მის ქმარს. ოციოდე წლის ქალიშვილს „პარიზელ“ ფლორიკას, როგორც იტყვიან, კანი ასკდებოდა, ხოლო პატარა პეტრუს ღაჟღაჟა ლოყები ისე ჰქონდა გადმობრუნებული, რომ პროფილში ცხვირი აღარც უჩანდა. ბეგი იდგა დოინჯშემოყრილი და ტკბებოდა ამ სანახაობით. მორიდებაზე ცოტა მწყრალად იყო და, როგორც კი დროს იხელთებდა, ჯუზის შიშველ ზურგზე ხელს მოუთათუნებდა. ჯუზი მაშინვე ჭიხვინს ატეხდა, რითაც ისედაც დაბღვერილ დუმიტრიუს უფრო უფუჭებდა ხასიათს.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ მე შიმშილით სული ამომდის, ეს ღორები კი მგონი არც ფიქრობენ რამე გვაჭამონ, — დასვა დიაგნოზი ბეგიმ.

ეტყობოდა, მართლაც ასე იყო. ამიტომ ბეგის ვუთხარი, კომენდატურაში გადავალ, თუ გვაჭმევენ რამეს, შენც ერთი თხუთმეტი წუთის შემდეგ გადმოდი-მეთქი. არ ესიამოვნა. დუმიტრიუს მგელივით დაუბრიალა თვალები, მაგრამ, ჯუზის რომ შეხედა, ისევ დადნა და, კარგიო, დამეთანხმა. ყოველი შემთხვევისათვის გავაფრთხილე, ამათთან საჭმელზე კრინტი

არ დასძრა-მეთქი. ვიცოდი, ამაყი იყო, ისედაც არაფერს ეტყოდა, მაგრამ მაინც...

...კომენდანტმა მაშინვე „განსაკუთრებული“ შეუკვეთა მზარეულს. ვიდრე ბეგი მოვიდოდა, ტკბილად ვისაუბრეთ. მეფესთან მიღების ამბავს რომ მოვუყევი, ბევრი იცინა. ბეგიმ დაიგვიანა, კაცი გავგზავნეთ და მოვაყვანინეთ. სულ ხელების ფშვნეტით შემოვიდა, თვალებიც რაღაც ეშმაკურად უცინოდა.

— ხელი არაფერს ახლოთ, — მითხრა მან ჩურჩულით: — იქ ისეთი ამბავია! სულ ყირაზე დგანან, გრანდიოზული ვახშამი მზადდება! სულ ანტრეკოტები!

შემეშინდა, რამე ხომ არ უთხრა-მეთქი, მაგრამ ყველაფერი იფიცა, ვახშმის შესახებ კრინტიც არ დამიძრავსო.

— ისე სიმპათიით კი გავმსჭვალე ის მგლის კერძები, — ჩამილაპარაკა მან რაღაც საეჭვოდ და კვლავ ეშმაკურად ჩაიცინა.

გამოკითხვა ვერც მოვასწარი, რომ ულვაშა კომენდანტმა სასადილოში წაგვიყვანა, დანარჩენი იქ ვილაპარაკოთო. ვხედავდი ბეგის შიმშილით გული რომ ელეოდა, მაგრამ მაინც გაიდგა ფეხი, ნასადილევი ვარ და ერთი ლუკმა არ გადამივა კისერშიო. მე რა მეთქმოდა, როცა თვითონ დავაპატიჟებინე თავი. ან ეს ულვაშებიანი გოლიათი რას გაგვიშვებდა ასე ადვილად.

კომენდანტის „განსაკუთრებული“ ამერიკული კონსერვები აღმოჩნდა. ბეგი აიმრიზა. რომ მიგეშვათ, კამეჩს გახრავდა, ახლა კი პატარძალივით დაიმორცხვა და ხელი არაფერს ახლო. თავს ინახავდა, თორემ იმ ულვაშას „განსაკუთრებული“ პირის ქარადაც არ ეყოფოდა...

... „შინ“ რომ ვბრუნდებოდით, გზაში ბეგი გამოვტეხე.

— აბა, სარდანაპალ, მოყევი როგორ გამსჭვალე ის შენი მასპინძლები სიმპათიით-მეთქი, — ვუთხარი თითქოს შეხუმრებით, რომ გათამამებულიყო და თავისებურად ჩამოეფქვა.

— სკრუპულოზურად! — თქვა მან. — თქვენი საველე ჩანთა გავხსენი, ქაღალდები აკურატულად გადავალაგ-გაღმო-

ვალაგე. მეფის სადარბაზო ბარათი და ხელისმოწერა ამოვიღე და... უნდა გენახათ, რა ამბავი მოხდა! დუმიტრიუმ მეფის ხელმოწერა რომ ნახა, ჭკუა დაკარგა. მეც, რა თქმა უნდა, შევუნთე და შევუნთე. ვეუბნები: თქვენ იცით, ეს მაიორი ვინ არის? მეფე ისე არ დაჯდება პურის საჭმელად, რომ გვერდით არ მოისვას. მთელი რუმინეთი ახლა მაგის ხელშია, უნდა დააჭცევს, უნდა ააშენებს-მეთქი. მოვყევი, მაგრამ რა მოვყევი! ეს ოხერი, ტყუილებს რომ დავიწყებ, თუ არავინ შემაჩერა, განა გავათავებ, ცას და დედამიწას სულ ერთმანეთში ავურევ ხოლმე. რა არ მოვროშე იმ გაბერილებთან, ჰაი ეს და ჰაი ის! მერე ვუთხარი, მე მისი ადიუტანტი ვარ-მეთქი. მაგრამ ბედი არ გინდა?! თქვენ რომ მითხარით, ის ფრანგული ვერა და ვერ მოვიგონე. ერთი-ორჯერ კი წავირტყი ხელი შუბლზე, მაგრამ გაგიგონია?!

— ფლიგელ-ადიუტანტი, — შევახსენე.

— ჰო, აბა, მე მაგისი... პარდონ! არ მომაგონდა, თორემ ესეც რომ მეთქვა, ის ჯუზი მაშინვე... კიდევ პარდონ! ისე ტყუილი კი დავურტყი, მეფის სასახლეში მეც ვახლდი-მეთქი მაიორს. მერე მოვუყევი, რა გვაჭამა და გვასვა მეფემ... როცა მშიერი ვარ, უფრო მადიანი ტყუილები ვიცი. მართალივით კი გამომივიდა. რაც თქვენ მომიყევით, ის მე იმათ მოვუყევი. თანაც მივამატე და მივამატე, სულ ანტრეკოტები მოჰქონდათ-მეთქი.

— ჰოდა, შენ იმდენი გილაპარაკია საჭმელებზე, მიხვდებოდნენ, აბა, რა იქნებოდა.

— არა, განა ამისათვის ვუთხარი! სიმპათიისათვის, თავი ნუ მომიკვდება. უნდა გენახათ როგორ მიყურებდნენ! ვითომ ის გამოტვინებული მეფე მჯდარიყოს მათ წინ. ეს რომ ვნახე, მე თვითონ გამიკვირდა, ასე რამ გააგიჟა ეგ ოხრები-მეთქი. ან ამ მეფისა და მისი ბეხრეკა დედის ნაჯღაბნში რა ნახეს ასეთი?! სულაც არ მოველოდი, ასე ჭკუას თუ დაკარგავდნენ, მაგრამ, რაკი ერთხელ ავუშვი, მერე რა გამაჩერებდა! ვეუბნები, დომნულ (ბატონო) დუმიტრესკუ, მე შემიძლია ეს ქაღალდები იმ თქვენი მეფის წარწერებიანად (კინაღამ ვთქვი ნაჯღაბნიანად-მეთქი) სულაც გაჩუქოთ!

ეს რომ ვუთხარი, იმ ტომარას კინაღამ გული წაუვიდა.

ჯუზიმ კი ისე მომიჭირა ხელი მკლავზე, რომ სისხლი გაჭიჩერდა ძარღვებში. მეც რომ ხელი მეტაცა მაშინ მისთვის, დარწმუნებული ვარ... პარდონ, მაგრამ არა უშავს, მაინც გრანდიოზული გეგმა მაქვს ჩაფიქრებული...

— კი მაგრამ, — ვეუბნები, — შენ თუ პატიოსანი კაცი ხარ, რად გინდოდა ასეთი ალიაქოთის ატეხა?

ბეგიმ ერთ ტყუილს მეორეც ზედ დააკეცა:

— განა ვახშმისათვის, — ვითომ იუკადრისა მან, — დედის საფლავში ჩამესხას კუპრი, თუ ასე იყოს!.. მე მარტო ის მინდოდა, რომ ჯუზი გამემსჭვალა სიმპათიით...

— რა ჰქენი მერე, როგორა გგონია, გამსჭვალე?

— პარდონ, ეს ჩემზე იყოს, — მომიჭრა მან და ისევ ეშმაკურად ჩაიცინა, — სულ ბზრიალასავით დატრიალდნენ: ბატონო ბეგი, თუ თქვენო აღმატებულებავ, თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ხელმწიფეო, ეს ხომ არ გნებავთო, იმის ხომ არ მიირთმევთო, რა ვიცი, ეშმაკმა წაიღოს იმათი თავი და ტანი, ვერ ავუთავდი ამდენ მანჭვა-გრეხას. ვიფიქრე, ის შტერი „მსიე“ მაინც უყურებდეს-მეთქი, რა დღეშია მისი რეგვენი მოწაფე!

... იმ ვაჭრის სახლში მართლაც აბრაამის ტაბლა დაგხვდა გაშლილი. მასპინძლები სულ თითის წვერებზე დადიოდნენ. ყველას საზეიმო ტანსაცმელი გადაეცვა... თუ პირიქით: დუმიტრიუს მეტს, რაც ეცვათ, ისიც გაეხადათ. ჯუზისა და ფლორიკას კაბები ზედ აკვდებოდათ, თან ისე იყვნენ დეკოლტირებული, რომ ბეგი ხან აქეთ აცეცებდა თვალს და ხან იქით. თვითონ დუმიტრიუს შავი კოსტიუმი და თეთრი გაქათქათებული პერანგი ჩაეცვა და რატომღაც ცისფერი „ჰეპლები“ გაეკეთებინა. ადრე სულ მოღუშული ჩანდა, ახლა კი ახალ მთვარესავით გაბადრული გამოიყურებოდა. უფრო ცქვიტადაც დადიოდა. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, ეს მთასავით კაცი უცებ რომ აწიკვინდებოდა და მინაზებული ხმით დაიძახებდა:

— ჯუზიიიი! ჰა, ჯუზიიიი! — თანაც ამ „იი“-ს მანამ გააგრძელებდა, სანამ სულისმოთქმა ეყოფოდა და ტიკივით არ დაიჩუტებოდა.

— ჰო, საყვარელო! — მოისმოდა ამის საპასუხოდ ჯუზის ხორხოცა ხმა. იგი მარდად დაგორავდა აქეთ-იქით და მაგიდაზე კიდევ რაღაც „ანტრეკოტებს“ ალაგებდა.

ფლორიკა კი, პარიზელი კეკლუცი ფლორიკა, მაშინ რომ თვალებს ნაბავდა, ახლა ისე იყურებოდა, რომ... მეც ბეგისავით პარდონ-მეთქი უნდა ვთქვა.

იმათ გასაგიჟებლად, ბოდიში მოვიხადე, ნამგზავრი ვართ, დაღლილნი, უკვე ვივახშმეთ-მეთქი, და წასასვლელად მოვემზადე.

ყველა ერთად აყვირდა, როგორ გეკადრებათ, თავი არ მოგვჭრათ, ჩვენ სტუმართმოყვარე ხალხი ვართ, თქვენისთანა საპატიო ბატონებს უპატივცემულოდ როგორ გავუშვებთო...

ბეგის შიშისაგან ყბები ჩამოუცვივდა. კომენდატურაში ხელი არაფრისათვის უხლია და, ახლაც რომ პირში ჩალაგამოვლებული დარჩენილიყო, გაგიჟდებოდა. მე რომ ძალიან გავიდგი ფეხი, წამჩურჩულა:

— მართლა ამბობთ, თუ?!..

— აბა როგორ, მეორედ ხომ არ ვივახშმებ! ვერ ხედავ, რომ მეძინება?!..

— არ გამაგიჟოთ! რა დროს ძილია, გრანდიოზული გეგმა მაქვს ჩაფიქრებული!..

ბოლოს, „როგორც იქნა“, დამითანხმეს და ბეგიმ თავისუფლად ამოისუნთქა. მაგიდაზეც, რა თქმა უნდა, ჯუზის გვერდით აღმოჩნდა, მე დუმიტრიუ მომიჯდა. ბეგის ლაყბობის შემდეგ ასე ეგონა, მთელი რუმინეთის ბედი მართლაც ჩემზე იყო დამოკიდებული. ჯერ შორიდან მოუარა და თანდათან მისთვის საინტერესო საკითხებს დაუახლოვდა. საზღვარგარეთთან ვაჭრობის საშუალება თუ მოგვეცემაო, იკითხა და პასუხის მოლოდინში გაილურსა.

მე ისევ ყვარყვარე თუთაბერის როლის თამაში მომიხდა. რა თქმა უნდა-მეთქი, ისე დაბეჯითებით ვუთხარი, თითქოს ამ საქმის მართლაც რამე გამეგებოდა. მერე იმით დაინტერესდა, ფულის ნიშნები იგივე დარჩება, თუ გამოიცვლებაო. არც ამაზე ვაწყენინე: რატომ გამოიცვლება, იგივე დარჩება-მეთქი.

— ნამდვილად? — მითხრა მან და ისე შემომხედა, როგორც ხატს შეხედავენ ხოლმე ეკლესიაში.

— ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ფულის ნიშნები რატომ უნდა გამოვცვალოთ, ეს ხომ ერთ დღეში დაღუპავს ყველას, ვისაც ბევრი აქვს შენახული!

დუმიტრიუმ შუბლზე ოფლი მოიწმინდა და პირჯვარი გადაიწერა. მერე სულ ღმერთი და ფული ეკერა პირზე. ორივე სიტყვას ერთნაირი მოწიწებით წარმოთქვამდა და მაშინვე პირჯვარს გადაიწერდა. დაბნეული იყო საცოდავი. ერთი ღმერთის სამსახური ადვილი იყო მისთვის, მაგრამ ფულის ამდენნაირ ნიშნებში და მათ კურსში გარკვევა ეძნელებოდა. ღმერთი ყველას ღმერთია და, თუ იქით არ აწუხებ, თვითონ იქნებ სულაც არ ჩაერიოს შენს საქმეში. ის „უღმერთო ფული" კი არ იცი სად გიღალატებს. ხან დოლარის კურსი დაეცემა, ხან სტერლინგის, ფრანკი ხომ სულ ბურბუშელად იქცა. დუმიტრიუს უკანასკნელი იმედია რუმინული ლეი და, იმის კურსიც თუ დაეცა, შეიძლება მათხოვრად იქცეს...

— ღმერთო, ლეი მაინც შეინარჩუნებდეს თავის კურსსო, — თქვა მან და ისევ პირჯვარი გადაიწერა.

— აუცილებლად შეინარჩუნებს, — დავადასტურე მე, თუმცა ვიცოდი, რომ ეს ასე არ იქნებოდა. ომის დროს ევროპის სახელმწიფოებმა იმდენი ყალბი ფულები ჭრეს, რომ მტკიცე კურსზე ლაპარაკი ზღაპარი იყო. მე კი რა მენაღვლებოდა და იმას ვამბობდი, რაც იმ გაბერილს ესიამოვნებოდა.

ბეგის პატარა ჭიქებით წრუპვა მოსწყინდა და ყველაზე დიდ სასმისებს დაადგა თვალი.

— ნამდვილი ბურგუნდიულია! — დაიწრიპინა დუმიტრიუმ.

— ბურგუნდიული კი არა, ჩვენებური ტოკაია, — დაუწია მარკა ბეგიმ. დუმიტრიუ გაჩუმდა, „ამოდენა კაცს" ხომ არ შეეკამათებოდა, და, ბურგუნდიული იყო თუ რაღაც, ბოლომდე დაცალა. ჯუზიმ დიდხანს ასავსავა ხელები, მაგრამ ბეგიმ მაინც დაალევინა. ფლორიკა არავის დაძალებას არ დაელოდა, ისე მიირთვა. ომამდე თურმე მართლა პარიზში სწავლობდა. ამიტომაც მკითხა, მომავალი წლიდან თუ მაინც შევძლებო პარიზში დაბრუნებას. როგორ არა-მეთქი, ვანუგეშე ისიც. ჩვენი ახალგაზრდა მეფე როგორ მოგეწონათო, იკითხა ჯუზიმ. აღტაცებული ვარ-მეთქი.

— აბა რა, მის გიჟ მამას კი არა ჰგავს, — ჩაერია საუბარში დუმიტრიუ.

— ვითომ მამამისი უარესი იყო? — ვიკითხე მე, მაგრამ ამ ირონიას ვერავინ მიხვდა. არც ეცალათ საამისოდ. დუმიტრიუ უკვე ბეგის ეხვეწებოდა. მეტი არ დამალევინოთ, თორემ კისერი მომწყდებაო. ეტყობოდა, ბეგის „გრანდიოზულ გეგმაში“ სწორედ ეს შედიოდა და სასმისი ბოლომდე გამოაცლევინა. როცა კი ბეგი მასპინძლებს რუმინულად ელაპარაკებოდა, მე გასაოცარი სისწრაფით მითარგმნიდა ყველაფერს, თანაც ასეთი რემარკით: მე ვამბობ... ის ამბობს... მე ვამბობ... ის ამბობს...

მსახურებს განუწყვეტლივ შემოჰქონდათ რაღაც-რაღაცები, მაგრამ იმ ცხრამუცელა ბეგის რა ამოყორავდა: დადებდნენ თუ არა სუფრაზე რამეს, მაშინვე ქორივით დააცხრებოდა.

— აი, ეს მართლაც კოლოსალურია! — მოიწონებდა ბეგი და თავისი აზრის დასადასტურებლად დააყოლებდა:

— ანტრეკოტ!

მერე პატარა პეტრუ შეუჩნდა და მოსვენება არ მისცა, ხან მუხლზე დაუჯდა, ხან ორდენებსა და მედლებს დაუწყო ქაჩვა. ბეგიმ ჯერ ჩუმად სცადა მისი მოშორება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე კი, როცა პეტრუმ თითი შიგ ცხვირში ატაკა, ბეგიმ იყვირა:

— მომაშორეთ ეს ლოქოს ფაჩა, თორემ ყურებს ავახევ!

უკვე მთვრალი იყო, მაგრამ გონების სიფხიზლე იმდენად მაინც არ ჰქონდა დაკარგული, რომ ეს რუმინულად ეთქვა. რუსულად თქვა და იმ „ლოქოს ფაჩას“ ყურის ახევის მაგივრად გაუღიმა, თავზე ხელი გადაუსვა და თავისი დიდი სახელიც აჩუქა:

— სარდანაპალ, საკრამენტო! — უთხრა მან იმ მართლაც ლოქოს ფაჩას და გასამხიარულებლად ენაც გამოუყო. მასპინძლები მაინც ყველაფერს მიხვდნენ და აჭყივლებული პეტრუ დასაძინებლად გაიტანეს.

ბეგიმ დუმიტრიუს კიდევ ერთი სასმისი გადაახუხა და უკვე ფულის კურსისა კი არა, ცხოვრების დავთრებიც აურია. ენას ძლივს იგნებდა, რაღაცას ბუტბუტებდა ან თვლემდა. ფლორიკა როიალთან „მიგოგმანდა“ და ძველი დამწვრული

ფრანგული სიმღერა შეასრულა. არ ვიცი, ბეგის ფლორიკა უფრო მოეწონა, თუ მისი სიმღერა, მაშინვე მისი სადღეგრძელო დალია და იმ პარიზელ კოპწიასაც დაალევინა. მერე ისევ დუმიტრიუს შეუჩნდა „საქმის მოსათავებლად“.

— მეტი არ დალიო, მიტრუ! — გააფრთხილა ჯუზიმ ქმარი. ბეგიმ გეზელი ქორივით გადახედა მას და ისევ „მიტრუს“ შეუჩნდა. იმ საცოდავმა ერთი კი გაიბრძოლა, მაგრამ ბეგიმ მაინც თავისი გაიტანა.

ამის შემდეგ გვერდით კაცი მეჯდა, თუ კუნძი მედო, თითქმის არც ეტყობოდა. საწყალი დუმიტრიუ უკვე ამ ქვეყნისა აღარ იყო.

მერე, ჩვენდა მიუღლოდნელად, როიალთან თვითონ ჯუზი მიგორდა და ბოშური სატრფიალო სიმღერა დააგუგუნა. ბეგი სულ დაიბუგა.

— კოლოსალ! — წამოიძახა მან, როცა ჯუზიმ „ღუღუნა“ გაათავა, — პირდაპირ გადასარევი სიმღერა გცოდნიათ, ქალბატონო! — და განსაკუთრებით გამოკვეთილად დაამატა:

— სკრუპულოზ!..

ჯუზიმ და მისმა „გადასარევმა სიმღერამ“ სმის ეშხზე მოიყვანა და ისევ უზარმაზარი სასმისი მიაწოდა ისედაც გამოთაყვანებულ დუმიტრიუს. იმ საცოდავს უკვე წინააღმდეგობის თავი არ ჰქონდა, აღარც „ჯუზიიი“ უშლიდა თავის მიტრუს დალევას, ფლორიკაც აცმუკდა და მთელი პარიზი გადმოაბრუნა. მღეროდა, ცეკვავდა. იგი ახლა ბოშა ქალს უფრო ჰგავდა, ვიდრე „პარიზელ ლიცეისტკას“. ეშხიანი იყო, ხალებიანი. დიდ შავ თვალებს ისე აბრიალებდა და შიშველ მხრებს ისე ათამაშებდა, ბეგის კინაღამ მისამართები აერია. ღვინო ისე ჰქონდა მოკიდებული, რომ ფლორიკაც თავის მენიუში შეიტანა და მეათეჯერ წამოიძახა:

— ანტრეკოტ!

გვიან ავიშალეთ. ყველა კმაყოფილი ჩანდა დუმიტრიუს გარდა, რომელიც ოთხივემ ძლივს გავიტანეთ საწოლ ოთახში.

იმ ღამეს ბეგის კვირაძალის სიზმარივით აუხდა თავისი „გრანდიოზული გეგმა“...

... დილით ადრე უნდა გავსდგომოდით გზას. მე კომენდანტურაში გადავედი მძღოლის გასაფრთხილებლად. ბეგიმ მითხრა ახლავე დაგეწევითო და ისევ ნახევარი საათი დააგვიანა.

ქალაქს რომ გავსცილდით, ჯიბიდან მეფის სადარბაზო ბარათები ამოიღო და გამომიწოდა.

— აკი დუმიტრიუსათვის უნდა გეჩუქებინა, რატომ უტეხე პირი?! — გავიკვირვე მე.

— მართლა რეგვენი კი არა ვარ, იმ გაბერილს ასეთი რამ მივცე, — თქვა ბეგიმ, — ვინ იცის, კიდევ სად გამოგვადგება...

მერე ეს სადარბაზო ბარათები აღარსად გამოგვდგომია, მაგრამ არც გადამიგდია და, როცა ამ ამბებს ვუყვები მეგობრებს, საბუთად ვუჩვენებ ხოლმე...

შავი ციკლოპი...

იმ დღეს ქალაქები სებეში, დევა და ლუგოჟი გავიარეთ და დიდ სამრეწველო ცენტრ ტიმოშოიარაში მივედით. იქიდან ბეგი ტრანსილვანიის ფრონტზე წავიდა. ალბათ, თავის „მსიესაც“ მოინახულებდა. მე ტიმოშოიარიდან არადში გადავედი და იქ შევუერთდი ჩვენს განყოფილებას. ბევრი უნგრელი ამხანაგი შემოგვემატა, მათ შორის ძველი კომუნისტები, რომლებიც 1918 წლიდან ემიგრაციაში იმყოფებოდნენ. ზოგიერთი მათგანი ოცდახუთი წლის შემდეგ უბრუნდებოდა თავის სამშობლოს. ისინი განუზომელი მღელვარებით ელოდნენ როდის გადავლახავდით უნგრეთის საზღვარს.

ამასობაში ჩვენი ფრონტის მზადების პერიოდიც დამთავრდა. ხუთ ოქტომბერს ახალი დიდი შეტევა დაიწყო. მთავარი დარტყმა მდინარე ტისას რაიონში წარმოებდა, ქალაქის დასავლეთითა და ჩრდილოეთით. აქ განლაგებულმა უნგრეთის არმიამ ვერ გაუძლო საბჭოთა ჯარების ძლიერ იერიშს და უკან დაიხია. ჩვენები ორიოდე დღეში გავიდნენ ტისას სანაპიროზე.

ისევ იწვოდა ტისა, ისევ ბობოქრობდა ცეცხლის ნიაღვარი მის ნაპირებზე. ჩვენმა მებრძოლებმა არამცთუ „გადაყარეს“ მოწინააღმდეგე მდინარის მარჯვენა ნაპირზე, არამედ ქ. სე-

გედთან ორ ადგილას გადალახეს კიდეც იგი და ფეხდაფე
დაედევნენ გაქცეულთ. იმ დღეებში საბჭოთა არმიის სხვა ნა
წილებმა ტრანსილვანიის მთავარი ქალაქი კლუჟი გაათავი
სუფლეს გერმანელებისაგან.

ფრონტის მარცხენა ფლანგი ბელგრადისაკენ მიიწევდა
ხოლო მარჯვენა — დიულას მიმართულებით. გრანდიოზულ
სატანკო ბრძოლები გაიმართა ქალაქ დებრეცენის მისადგო
მებთან. ჩვენებმა აქაც სძლიეს მოწინააღმდეგეს და დებრეცენ
ში შევიდნენ. ახლა საბრძოლო ოპერაციები მთლიანად უნგ
რეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

უნგრეთი უკანასკნელი მოკავშირე იყო გერმანიისა. ყვე
ლა დანარჩენი ჩამოშორდა და თვით გერმანელთა წინააღმდეგ
მიმართა იარაღი.

უნდა ითქვას, რომ არც უნგრეთის მთავრობას დაუკლია
ცდა წყლიდან როგორმე მშრალად ამოსულიყო. პრემიერ-მი-
ნისტრი კალაი ჯერ კიდევ 1943 წელს ცდილობდა გამოეძებნა
„საერთო პოზიცია“ ინგლისელებსა და ამერიკელებთან. 17 აგ-
ვისტოს სტამბოლში გაიმართა კიდეც მხარეთა მოლაპარაკე-
ბა ამის თაობაზე. მოლაპარაკების შედეგები კვებეკის კონფე-
რენციაზე აცნობეს ჩერჩილსა და რუზველტს. უნგრელები
მზად იყვნენ კაპიტულაცია მოეხდინათ ინგლის-ამერიკის წი-
ნაშე.

9 სექტემბერს მარმარილოს ზღვაში უნგრეთისა და „შუა-
მავალ“ თურქეთის წარმომადგენლები ისევ შეხვდნენ ერთმა-
ნეთს... ინგლისურ ხომალდზე (!). რამდენიმე ხნის შემდეგ კი
ასეთივე საიდუმლო მოლაპარაკება გაიმართა ლისაბონში.
უნგრელები უკვე ინგლის-ამერიკის „ყოველგვარ პირობაზე“
აცხადებდნენ თანხმობას. საქმეში ვატიკანიც ჩაერია. შემდეგ
შვეიცარიაშიც გაგრძელდა მოლაპარაკება, მაგრამ საბჭოთა
კავშირის მონაწილეობის გარეშე ამ საკითხების გადაწყვეტა
არ შეიძლებოდა. არც გერმანელებს ჰქონდათ ყურში თითი
დაცობილი. ჰიტლერი ასე ადვილად არ აპირებდა თავისი უკა-
ნასკნელი სატელიტის ხელიდან გაშვებას. იგი ემუქრებოდა
უნგრეთის რეგენტს, 75 წლის „სახმელეთო ადმირალს“ მიკ-
ლოშ ხორტის, საჭირო შემთხვევაში „უკიდურეს ზომებს“ მივ-
მართავო...

... 1944 წლის 19 მარტს ხორტი კლაისჰაიშში შეხვდა ჰიტლერს. მდგომარეობა უაღრესად დაძაბული იყო. ხორტი ერთგულებას ეფიცებოდა მას, მაგრამ განრისხებული ფიურერი „უფრო მტკიცე გარანტიებს“ მოითხოვდა. ამ თათბირის მონაწილე ფელდმარშალი კაიტელი უნგრეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ფერენც სომბატხეის განუმარტავდა, ეს გარანტია „სამხედრო ხასიათისა“ უნდა იყოსო. ყველასათვის გასაგები გახდა, რომ საკითხი უნგრეთის ოკუპაციას ეხებოდა. ხორტი ჯერ თითქოს ეწინააღმდეგებოდა ამას, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა! როცა კლაისჰაიმში მოლაპარაკება მიმდინარეობდა, გერმანიის არმიის ნაწილები უკვე შედიოდნენ უნგრეთის ტერიტორიაზე. უნგრეთი ოკუპირებულ იქნა. ბუდაპეშტი ესესელებით გაივსო. აქ რამდენჯერმე იყო ჰიმლერი და მისი მოადგილეები. ჰიმლერის საგანგებო დავალებებს მისი „რწმუნებული“ ედმუნდ ვეზენმაიერი ასრულებდა. ცნობილი ანტისემიტი აიხმანი კი ებრაელთა „ფილტრაციას“ ახდენდა. საამისო „დიპლომატიური საფუძველი“ მას მომზადებული ჰქონდა რიბენტროპის მიერ, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა ხორტისაგან ებრაელთა საკითხის „საბოლოო გადაწყვეტას“.

— მეტი რა უნდა ვუყო ამ ებრაელებს! — გაიკვირვა ხორტიმ, — ჩვენ მათ მოვუსპეთ არსებობის ყოველგვარი საშუალება და ხომ არ შეგვიძლია ყველანი გავჟლიტოთ?!

— ებრაელები ან გაჟლეტილ უნდა იქნენ, ან — საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნილი. სხვა ყოველგვარი შესაძლებლობა გამორიცხულია, — მიუთითა რიბენტროპმა.

ამის შედეგად მარტო 1944 წელს ოსვენციმის სასიკვდილო ბანაკში 400 ათასი უნგრელი ებრაელი მოსპეს...

... უნგრეთის ვასალური სახელმწიფო მთლიანად გერმანელთა გამგებლობაში გადავიდა. ბუდაპეშტში გერმანელი ჯენერალები მბრძანებლობდნენ, მაგრამ მათმა ყველა ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. გაჭირვების დროს უნგრელებიც გონს მოვიდნენ. 15 ოქტომბერს დღის პირველ საათზე თვითონ ადმირალმა ხორტიმ მიმართა რადიოთი მოკავშირეთა არმიებს და ზავი ითხოვა. ასეთივე მოწოდება გაუგზავნა მან თავის

არმიას. უნგრეთის პირველი არმია მაშინვე გამოეხმაურა რეგენტს და ბრძოლა შეწყვიტა, მაგრამ ჩქარა ნაციონალისტმა ოფიცრებმა იგდეს ხელთ ძალაუფლება და წინ აღუდგნენ ამ განკარგულების შესრულებას. საღამოს უკვე შეშინებულ რეგენტსაც შეეცვალა გუნება. მან გააუქმა თავისი პირველი ბრძანება და მოუწოდა არმიას განეგრძო ომი.

როგორც ჩანს, აქ უკვე ჰიტლერმაც გაითვალისწინა „ბუქარესტის შეცდომები". გერმანელთა დაზვერვას არ შეიძლებოდა გამოპარვოდა, რომ სექტემბერ-ოქტომბრის განმავლობაში უნგრეთის მთავრობამ რამდენჯერმე სცადა ნეიტრალური ქვეყნების, განსაკუთრებით შვეიცარიის, დიპლომატიური არხებით დაკავშირებოდა ამერიკელებს და გაეგოთ ზავის პირობები. ასეთ საკითხებს განიხილავდნენ თვით უნგრეთის მთავრობის სხდომებზედაც. 8 სექტემბერს გადაწყდა გაეძლიერებინათ წინააღმდეგობა საბჭოთა არმიის მიმართ, თანაც გერმანიისაგან მოეთხოვათ: 24 საათის განმავლობაში ხუთი სატანკო დივიზია მოგვაშველეთ, არადა იძულებული ვიქნებით მოწინააღმდეგესთან ზავი დავდოთო.

ეს ულტიმატუმს ჰგავდა. გერმანელებმა ამაზე მუქარით უპასუხეს: თუ სახელმწიფო გადატრიალებას შეეცდებით, დაუყოვნებლივ ჩავახშობთ საამისო მოძრაობასო. შეშინებული ხორტი გერმანელებს ეფიცებოდა ამის მაგვარი არაფერი მოხდებაო. ეტყობოდა, არც უნდოდა ეს. ამიტომ 11 სექტემბრის სხდომაზე მისმა მთავრობამ გადაწყვიტა უარი ეთქვა ზავზე. ეს მათი ნება იყო. მაგრამ, ვიდრე ხორტი დასავლეთისაკენ იყურებოდა, საბჭოთა არმია ბუდაპეშტს მიადგა. შეშინებულმა რეგენტმა თავისი წარმომადგენელი ნადაი გაგზავნა იტალიაში ამერიკელებთან მოსალაპარაკებლად და ასეთი არზაც მიართვა მოკავშირეთა ძალების სარდლობას:

— სასურველი იქნებოდა, რათა ანტანტას დაერწმუნებინა საბჭოთა კავშირი არ გადაელახა უნგრეთის საზღვარი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მოვხსნიდით ჯარებს საზღვრებიდან და გადავდგამდით გადამწყვეტ ნაბიჯს. მაგრამ თუ ეს არ გამოვა, ანტანტამ საჩქაროდ უნდა გადმოისროლოს რამდენიმე დივიზია ფიუმში და შეიჭრას დასავლეთ უნგრეთში...

ასეთი სეპარატული მოლაპარაკებაც, რა თქმა უნდა, უშე-

დეგო გამოდგა. მაშინ უნგრეთის მთავრობამ გენერალ ფარანგოს მეთაურობით თავისი წარმომადგენლები მოსკოვში გაგზავნა.

უნგრელები ითხოვდნენ:

1. საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

2. ინგლისისა და ამერიკის მონაწილეობას უნგრეთის ოკუპაციაში.

3. გერმანიის ჯარების თავისუფალ ევაკუაციას.

რა თქმა უნდა, ეს წინადადებები უარყოფილ იქნა. აქის შემდეგ თითქოს უნდა შეთანხმებულიყვნენ, რომ უნგრეთის არმია დაბრუნდებოდა 1937 წლის 31 დეკემბრამდე არსებულ საზღვარზე და ომს გამოუცხადებდა გერმანიას. სამაგიეროდ უნგრეთი რჩებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და მის შინაგან საქმეებში არავინ ჩაერეოდა.

ეს შეთანხმება არ დაამტკიცა ხორტისტულმა მთავრობამ, მაგრამ გერმანელებმა მაინც მიიღეს „წინასწარი ზომები“ ხორტის „უვნებელსაყოფად“. ამ მიზნით ბუდაპეშტში გადმოსროლილ იქნა დივერსიულ ოპერაციებში უკვე საკმაოდ დახელოვნებული „შავი ციკლოპი“ — ოტო სკორცენი...

დაზვერვამ მაშინვე შეიტყო სკორცენის საიდუმლოდ შემოსვლა ბუდაპეშტში... იგი შეცვლილი გვარითა და სამოქალაქოდ გადაცმული მოქმედებდა თავის ასიოდე თანამებრძოლთან ერთად. ჩვენს განყოფილებას მაშინვე მოსთხოვეს ცნობები სკორცენის შესახებ, თუმცა უჩვენოდაც თითქმის ყველამ იცოდა, რომ სკორცენიმ თავის დროზე წარმატებით ჩაატარა რამდენიმე „საგანგებო ოპერაცია“, მათ შორის მუსოლინის გათავისუფლება ტყვეობიდან...

... მე ახლაც კარგად მახსოვს, ეს სახენაიარევი ოფიცერი რომ მოიყვანეს ნიურნბერგში დაკითხვაზე 1945 წლის 18 ოქტომბერს.

ამერიკელმა პოლკოვნიკმა ჰოვარდ ბრუნდეიჯმა, რომელიც დაკითხვას აწარმოებდა, ჯერ წესისამებრ მთარგმნელს ზიგფრიდ რამლერს მიმართა:

— ჰფიცავთ თუ არა, რომ სწორად თარგმნით გერმანული-

დან ინგლისურად და ინგლისურიდან გერმანულად ამ კაცის ჩვენებას მთელი თქვენი შესაძლებლობის მიხედვით?

— დიახ, ვფიცავ! — მიუგო მთარგმნელმა.

მერე სკორცენიმ დადო ფიცი:

— ვფიცავ მაღალ ღმერთს, რომ ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს, და არაფერს, გარდა სიმართლისა.

სკორცენი მაშინ 37 წლისა იყო, პოდპოლკოვნიკი. სამოქალაქო პროფესიით — ინჟინერი, სამხედრო პროფესიით — მფრინავი, მერე — ჯაშუშური სკოლის ხელმძღვანელი და სპეციალურ დავალებათა ოფიცერი...

დაკითხვის დროს სკორცენის ჰოვარდ ბრუნდეიჯმა შეახსენა, რომ მას თითქოს ეიზენჰაუერის მოტაცება უნდა მოეწყო.

— ეს სწორი არ არის, — თქვა სკორცენიმ, — ამაზე ჩვენი ფანტაზიორი ოფიცრები ლაპარაკობდნენ. ვინ როგორ გეგმას არ ადგენდა, მაგრამ საქმით არაფერი გაკეთებულა.

ასეთ რამეებს ტყვეობაში მყოფი სკორცენი უარყოფდა, თორემ, ციხეს თავი რომ დააღწია და მადრიდში მოკალათდა, უფრო სენსაციური განცხადება გააკეთა პრეს-კონფერენციაზე:

— 1943 წელს მე მივიღე დავალება მომეწყო თავდასხმა სამი სახელმწიფოს მეთაურებზე თეირანის კონფერენციაზე და მომეტაცებინა რუზველტი...

ეს არც მანამ იყო უცნობი. საბჭოთა მზვერავმა კუზნეცოვმა, რომელიც გერმანელი ოფიცრის ზიბერტის გვარით მუშაობდა მტრის ზურგში, დროზე შეიტყო ყველაფერი.

— მალე მე თეირანში მივემგზავრები, მეგობარო, — წამოროშა მასთან საუბრის დროს შეზარხოშებულმა ესესელმა შტურმბანფიურერმა ერთელმა, — დეკემბრის ბოლოს იქ სამ დიდი სახელმწიფოს მეთაურები ხვდებიან ერთმანეთს. ჩვენ უნდა გავიმეოროთ მუსოლინის მოტაცების მსგავსი ოპერაცია, მაგრამ საქმე ამ შემთხვევაში უფრო დიდ რამეს ეხება: უნდა მოვსპოთ სამივე სახელმწიფოს მეთაურები და ამით გარდატეხა შევიტანოთ ომის მსვლელობაში. დავალებული გვაქვს მოვიტაცოთ რუზველტი როგორც მძევალი, რათა საშუალება მიეცეს ფიურერს მიაღწიოს შეთანხმებას ამერიკასთან. ჩვენ

მივფრინავთ რამდენიმე ჯგუფად. ბიჭები კარგად არიან გაწვრთნილი კოპენჰაგენის სპეციალურ სკოლაში...

კუზნეცოვმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა მოსკოვს. ასეთივე ცნობები აქ სხვა წყაროებიდანაც ჰქონდათ მიღებული და, ცხადია, სპეციალური კონტრზომებიც იქნა მიღებული სკორცენის დივერსანტთა უვნებელსაყოფად...

... ირანს მაშინ უამრავი გერმანელი ლტოლვილი აფარებდა თავს. მათ შორის იყვნენ ჯაშუშებიც. მოხუცი რეზა შაჰი ერთხანს კიდევაც მფარველობდა მათ, მაგრამ, როცა „მის სიმპათია“ ჰიტლერს საქმე ცუდად წაუვიდა, იძულებული გახდა გერმანელი ჯაშუშებისათვის წინადადება მიეცა დაეტოვებინათ ირანის საზღვრები. თავრიზის გერმანული საკონსულოს მდივანი შულცე-ჰოლთესიც, რომელიც მთელ ამ ჯაშუშურ ქსელს ხელმძღვანელობდა, წავიდა მაშინ ირანიდან, მაგრამ ჩქარა ისევ არალეგალურად დაბრუნდა და განაგრძო იატაკქვეშ მუშაობა. რომ არავის ეცნო, წვერი მოუშვა, ჰინით შეიღება და მოლას ტანსაცმელში გამოეწყო. სკორცენის დივერსანტებმა სწორედ ამ „გერმანელ მოლასთან“ დაამყარეს კავშირი. ისინი კარგად იყვნენ შეიარაღებული, ირანული ვალუტაც უხვად ჰქონდათ მომარაგებული.

თეირანში სკორცენელები დაუკავშირდნენ აგრეთვე ჰიმლერის სპეციალურ აგენტ მეირს, რომელიც მესაფლავედ მუშაობდა სომხურ სასაფლაოზე. მეირმა ფართო დივერსიულ-ჯაშუშური ქსელი გააბა, რაც არც საბჭოთა და არც ინგლის-ამერიკის დაზვერვას გამოპარვია.

ვინაიდან საბჭოთა საელჩო თეირანში უფრო ადვილი დასაცავი იყო „ყოველგვარი მოულოდნელობისაგან“, რუზველტს სთხოვეს სწორედ ამ შენობაში გაჩერებულიყო. რუზველტმა ჯერ ფეხი გაიდგა, მაგრამ შემდეგ მაინც დათანხმდა. მისთვის განკუთვნილი ბინის კარი პირდაპირ სხდომათა დარბაზში გადიოდა, რაც ძალიან მოსახერხებელი იყო: მოგეხსენებათ, რუზველტს სიარული არ შეეძლო და გორგოლაჭებიანი საიარძლით დააგორებდნენ. აქ დაცვის ისეთი ღონისძიებანი იქნა ჩატარებული, რომ სკორცენელებმა ვერ გაიმეორეს „აბრუცოს ოპერაცია“ და რუზველტი მშვიდობიანად დაბრუნდა ამერიკაში...

ასეთი ოპერაციები პირველი როდი იყო სკორცენისათვის. ნიურნბერგში იგი ყვებოდა, თუ როგორ „მოიტაცა“ ავსტრიის პრეზიდენტი მიკლასი და კანცლერი შუშნიგი. ნაცისტური ოფიციოზი „ფოლკიშე ბეობაჰტერი“ ამას თავის დროზე სკორცენის „სადიპლომო ნაშრომს“ უწოდებდა.

თუ ასეთ ქარაგმებზე მიდგა საქმე, ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, რომ „საკანდიდატო დისერტაცია“ სკორცენიმ მუსოლინის მოტაცებით დაიცვა, ხოლო „სადოქტორო“ — ხორტისა...

ᲛᲝᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲒᲔᲜᲢᲘ...

ჩვენ რომ გვითხრეს, სკორცენი თავისი რაზმით ბუდაპეშტში გამოჩნდაო, მაშინვე მივხვდით, რომ საქმე ისევ ვილაცის მოტაცებას ეხებოდა. ეს უკვე პროფესია იყო სკორცენისა. დავალება და... თვალსა და ხელს შუა გააქრობდა კაცს. ახლაც საამისოდ ემზადებოდა, თუ ხორტი „რუმინეთის მაგალითს მიბაძავდა“.

სკორცენიმ უცებ შეადგინა მოქმედების გეგმა. გამოცდილებით იცოდა, რომ ერთი კაცის მოტაცებით საქმე არ გაკეთდებოდა. საჭირო იყო იმათი „უვნებელყოფაც“, ვისაც შეეძლო შეეცვალა „მოტაცებული დიქტატორი“ და იგივე გაეკეთებინა. ყველამ იცოდა, რომ ადმირალი მიკლოშ ხორტი სახელმწიფოს მართვის „მემკვიდრეობითი უფლებით“ სარგებლობდა. თუ ეს 75 წლის მოხუცი უცებ სულს ზეცას მიაბარებდა, მის ადგილს („ტახტსო“ არ ამბობდნენ, თორემ ასე კი იყო) დაიჭერდა უფროსი ვაჟი ნიკოლაუსი. ეს ხელს არ აძლევდა გერმანელებს, რადგან სახელმწიფოს სათავეში მათ უნდოდათ „უფრო საიმედო“ პირი, ფაშისტური ორგანიზაცია „ჯვარედინი ისრების“ მეთაური სალაში დაეყენებინათ. ამიტომ, ბუნებრივია, ნიკოლაუს ხორტიც შეტანილ იქნა „მოსატაცებელთა“ სიაში.

სკორცენის სხვაც ბევრი ეგულებოდა ბუდაპეშტში ისეთი, რომელთაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ მისთვის. საჭირო იყო მათი უვნებელყოფაც. ვიდრე ხორტი „არასასურველ ნაბიჯს“

გადადგამდა. „ნადირობა“ სწორედ ასეთებზე დაიწყო. სკორცენის განკარგულებაში თავზეხელაღებულ ესესელთა მთელი ბატალიონი იყო — ყველა სამოქალაქო ტანისამოსში და ყველა გვარშეცვლილი. ჯიბეში მათ უხმო რევოლვერები და სხვა „პროფესიული ხელსაწყოები“ ედოთ...

... 10 ოქტომბერს დღისით ოტელ „რიტცთან“ გაჩერდა ფეშენებელური ავტომანქანა და იქიდან ბუდაპეშტის სამხედრო კომენდანტი გენერალი ბაკაი გადმოვიდა. უნგრულ სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა „ადიუტანტებმა“ სამხედრო სალამი მისცეს მას... და მერე გენერალმა ბაკაიმ ვერც გაიგო, როგორ მოხვდა ისევ მანქანაში, სად წავიდა, ვინ წაიყვანა...

როცა გონს მოვიდა, უკვე გერმანიაში იყო...

... მეორე დღეს ღამით დუნაის ფლოტილიის სარდალს, ხორტის ფლიგელ-ადიუტანტს კოლომან ჰარდის მშვიდად ეძინა, როცა შავი აჩრდილები მიადგნენ მის სახლს. ჯერ ფანჯრიდან გადაძვრნენ, მერე კარი შიგნიდან გააღეს, სხვებიც მიიპატიჟეს და მძინარე სარდალი მსუბუქად ასწიეს საწოლიდან...

როცა მან „გაიღვიძა“, უკვე გვიან იყო. თვითმფრინავს ისიც გერმანიისაკენ მიჰყავდა...

... ნიკოლაუს ხორტი უფრო ძნელი მოსატაცებელი „პატარძალი“ იყო. მას, როგორც „ტახტის“ მემკვიდრეს, ლაიბგვარდიის გაძლიერებული რაზმი იცავდა. მემკვიდრე ფეხს ისე არსად გადაადგამდა, რომ საიმედო მცველები თან არ ხლებოდა. ესეც არაფერი, სკორცენის ასეთი სიძნელეებიც უნახავს! მისმა „ბიჭებმა“ იმდენი მოახერხეს, რომ ნიკოლაუსი ერთ-ერთი მსხვილი უწყების „დირექტორის“ კაბინეტში შეიტყუეს და ხელებზე ბორკილები დაადვეს. მერე, „ყოველი შემთხვევისათვის“, იქვე, „დირექტორის“ კაბინეტში, დაგებულ ხალიჩაში გაახვიეს და უნდა წაეღოთ, მაგრამ გარეთ ლაიბგვარდიის მთელი ასეული იდგა. ჯერ გვარდიელებმა ყურადღება არც მიაქციეს, ხალიჩაში გახვეული „რაღაც“ რომ მიჰქონდათ ვიღაცებს. მერე კი გონს მოვიდნენ და სროლა ატე-

ხეს. მაშინ სკორცენელებმა უხმო რევოლვერები იძვრეს, ხელ-ყუმბარებიც მოიშველიეს და... უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ნიკოლაუს ხორტიც გაუყენეს ბაკაიასა და ჰარდის გზას...

... დარჩა მთავარი საქმე — რეგენტ მიკლოშ ხორტის მოტაცება. ეს სულ სხვა საქმე იყო! უნგრეთის მბრძანებელი ისეთ ციხე-სიმაგრეში იჯდა, რომ, „ქაჯეთის ციხისა" არ იყოს, კაცნი კი არა, თვალნიც ვერ შესწვდებოდნენ. ხორტის რეზიდენცია ბუდის უზარმაზარსა და მიუვალ ციხე-სიმაგრეში იყო მოთავსებული. იქვე მუშაობდა სამხედრო სამინისტრო შტაბითურთ და შინაგან საქმეთა სამინისტრო. ციხე-სიმაგრეში უამრავი ჯარი იდგა.

ბუდის ციხე-სიმაგრე ერთ-ერთ უძლიერესად ითვლებოდა ევროპაში. მის მრავალსართულიან სარდაფებში მთელი არსენალი ჰქონდათ მოწყობილი ქვეყნის მმართველებს, მეფეებს და რეგენტებს. იმ ომის დროს ხომ ბუდის ციტადელი ერთიათად იყო გაძლიერებული. გარდა ამისა, ბუდაპეშტს რამდენიმე არმია იცავდა. სკორცენის კი თავისი „სამოქალაქო" ბატალიონით უნდა აეღო ბუდის ციხე-სიმაგრე. ამისათვის საჭირო იყო ოპერაციის მართლაც „სკრუპულოზური" მომზადება. კიდეც შეადგინეს გეგმა, რომელსაც არცთუ ისე რომანტიკული სახელწოდება „რკინის მუშტი" მისცეს. ამ გეგმის დევიზიც „მოულოდნელობა და გამბედაობა" იყო.

დაკითხვის დროს გაოცება რომ გამოვთქვით, თუ როგორ ახერხებდა ეს კაცი ყოველივე ამას, სკორცენიმ გაიცინა და თქვა:

— როცა შენ იცი რას აკეთებ, მოწინააღმდეგემ კი — არა, ასეთი რამ ადვილი შესაძლებელია. იგი იბნევა, ხოლო შენ მოქმედებ. ვიდრე ყველაფერი გაირკვევა, საქმე მოგვარებულია. ეს არის და ეს...

ბუდაპეშტშიც ასე მოხდა...

... 16 ოქტომბერს ჩვეულებრივი „სამხედრო დილა" გათენდა ბუდაპეშტში. ქუჩებში უმთავრესად სამხედროები დადიოდნენ. ბუდა სავსე იყო ჯარებითა და სამხედრო ტექნიკით. ქალაქის თავზე თვითმფრინავები ტრიალებდნენ. საბჭოთა ზარ-

ბაზნების ხმა ჯერ კიდევ შორიდან ისმოდა. ასე იყო წინა დღეებშიც და, აბა, ყურადღებას ვინ მიაქცევდა, ბუდის ციტადელის ალაყაფის კართან ჯგუფ-ჯგუფად რომ ვიღაცები დადიოდნენ. ისინი ხალხში იყვნენ გარეული და თითქოს არაფრით არ გამოირჩეოდნენ. მერე რამდენიმე ტანკმა ჩაიარა. მათ უკან მიჰყვა მძიმე გერმანული ტანკი „ვეფხვი". არც ეს იყო ისე იშვიათი ფრონტზე თუ მახლობელ ზურგში, რომ რამე განსაკუთრებული ინტერესი გამოეწვია. გამვლელი მოქალაქენი მხოლოდ ცნობისმოყვარე მზერას აყოლებდნენ ამ „მოძრავ ციხე-სიმაგრეს". როცა ეს ტანკი ბუდის ციტადელის რკინის ალაყაფის კარებს გაუსწორდა, თვალის დახამხამებაში მარჯვნივ შეტრიალდა, შესასვლელს ჯიქურ დაეძგერა, შეანგრია და ხორტის სასახლისაკენ გაემართა. ეზოში მაშინვე შეცვივდნენ სკორცენელები. იმ ტანკიდან თვითონ სკორცენი გადმოხტა და სასახლეში შევარდა. მისი რაზმის რამდენიმე წევრი ფეხდაფეხ მიჰყვა მას, სხვებმა კარის მცველები „გაანეიტრალეს". სკორცენი, ციხე-სიმაგრის გეგმით ხელში, პირველად სამხედრო კომენდანტის გენერალ ლაზარის კაბინეტში შევარდა, გულზე რევოლვერი მიაბჯინა და უბრძანა, რომ დაცვის ოფიცრებისათვის ტელეფონით განკარგულება მიეცა შეეწყვიტათ წინააღმდეგობა.

შეშინებულმა გენერალმა სულმოკლეობა გამოიჩინა და, როგორც კი რევოლვერის ლულის შეხება იგრძნო, მაშინვე გასცა ასეთი ბრძანება. სკორცენიმ დაგლიჯა ტელეფონის ხაზები და პირდაპირ ხორტის კაბინეტისაკენ გაეშურა.

გენერალი ლაზარი მხოლოდ ახლა მოვიდა გონს, მაგრამ სხვა ვერაფერი მოიფიქრა, გარდა იმისა, რომ ტყვია იკრა შუბლში.

დანარჩენი ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. ორიოდე საათის შემდეგ ბუდაპეშტიდან ბერლინში თვითმფრინავით ახალი „პატარძალი" გაიგზავნა: უნგრეთის რეგენტი, დიქტატორი, ადმირალი მიკლოშ ხორტი, რომელიც 26 წლის მანძილზე იჯდა ამ ქვეყნის „სამეფო ტახტზე"...

იმავე დღეს უნგრეთის სახელმწიფოს მეთაურად გამოცხადდა სალაში, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა ტერორისტული რეჟიმი...

... სალაში ერთ დროს არმიიდან გაძევებული, ნასამართლევი და ფსიქიკურ საავადმყოფოში ნამკურნალევი იყო. იქნებ ამიტომაც ფიქრობდნენ, რომ მას ღირსეული პარტნიორობა შეეძლო გაეწია ჰიტლერისათვის. იგი ხომ ყველაფერში ბაძავდა თავის კოლეგა ფიურერს. თუ ჰიტლერმა კანცლერად დანიშვნისას ფიცი ფრიდრიხ დიდის აკლდამასთან მიიღო, სალაშიმ სადღაც ბუდის სამეფო სასახლის მუზეუმში მოაძებნინა უნგრეთის პირველი მეფის კარლ I ანჟუს გვირგვინი (XII ს.). ძველად მეფეთა კორონაცია ამ გვირგვინთან ფიცის დადებით ხდებოდა. ახლა სალაშიმ ეს „წმიდა რელიკვია" სასახლის თეთრ დარბაზში გამოატანინა და ფიცის ცერემონიალი მოაწყო.

სკანდალი კი მოხდა! როცა იგი მიკროფონთან ფიცის საზეიმო ტექსტს კითხულობდა, რადიოქსელში მოულოდნელად ჩაერთო უნგრელი პატრიოტების არალეგალური ორგანიზაცია და რეპროდუქტორებში გაისმა მოწოდება:

— უნგრელებო, მოიგონეთ, როგორ იდგა სალაში სასამართლოს წინაშე!

ცერემონიალი ჩაიშალა. გაძლიერდა ტერორი. შუაგულ ქალაქში, ერჯებეტის პროსპექტსა და კერეპეშის სასაფლაოზე, მასობრივად ხვრეტდნენ „საბოტაჟში" ეჭვმიტანილთ. ამ საქმის მთავარი კონსულტანტები იყვნენ თვით ჰიმლერი და ოტო სკორცენი, რომელიც ბუდაპეშტის ციტადელის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა.

„შავმა ციკლოპმა" ამ ოპერაციის ჩატარებისათვის „ოქროს რაინდის ჯვარი" მიიღო ჰიტლერისაგან.

ᲫᲔᲑᲐᲓ ᲢᲝᲙᲐᲓᲡᲘ...

ფრონტზე კი საბჭოთა არმიის შეტევა გრძელდებოდა. უკრაინის მეორე ფრონტის მოწინავე ხაზი 800 კილომეტრზე იყო გაჭიმული. სატანკო შენაერთები უმაღლესი სარდლობის მიერ დასახული გეგმის მიხედვით დებრეცენისა და მიშკოლცის მიმართულებით მიიწევდნენ. ფრონტის მარჯვენა ფლანგს კი ტრანსილვანიის დედაქალაქ კლუჟისაკენ ჰქონდა აღებული

კურსი. აქ საბჭოთა არმიის გვერდით გმირულად იბრძოდნენ რუმინული დივიზიებიც. მე ახლაც სიამოვნებით ვკითხულობ საბჭოთა სამხედრო ისტორიკოსთა წიგნებს, სადაც ქებით არიან მოხსენიებული ისინი, ვინც მტრის ჯარებში პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა, დროზე აწვდიდა მათ ცნობებს ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ხმის გამაძლიერებელ რადიომოწყობილობათა და „მფრინავი ფურცლების“ ფსიქიკურმა იერიშმა კიდევაც „მიაღწია თავის მიზანსო“, წერია ამ წიგნებში. ასეთ იერიშებს კი ძირითადად ჩვენი განყოფილების ოფიცრები აწყობდნენ. „ბეგის უნივერსიტეტი“ უმთავრესად უნგრელ ჯარისკაცებს „ანათლებდა“. ჩარიტას „მფრინავი ფილარმონია“ ყოველღამ დასტრიალებდა თავს ბრძოლით მოქანცულ მტრის მეომრებს. იგი ხან „მოკითხვის ბარათებს“ უგზავნიდა მათ, ხანაც — ყუმბარებს. მერე მუსიკას ჩართავდა. ბოლოს, შინ ბრუნდებოდა და თავის შლეიფიან კაბებს ელოლიავებოდა დაუსრულებლივ. „იერიქონის საყვირები“ კი დილამდე „ესაუბრებოდნენ“ მოპირდაპირე სანგრებში ჩაყუჟულ გერმანელებსა და უნგრელებს...

... 6 ოქტომბერს გარიჟრაჟისას ჩვენი ფრონტის დამკვრელი ჯგუფები შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს მტრის სიმაგრეები და დებრეცენისაკენ გაუხვიეს. ყირიმის შემდეგ აქ ისევ შევხვდი გენერალ პლიევის ცხენოსანთა მექანიზებულ შენაერთს. ერთი-ორჯერ რუმინელთა დივიზია „ტუდორ ვლადიმერესკუც“ მოვინახულე. ამ დივიზიის შტაბის ოფიცრები „ძველი ნაცნობობით“, რაზედაც უკვე გიამბეთ, „სულიკოს“ მეძახდნენ. ბეგი ამაში თავის დამსახურებას ხედავდა და, ცხადია, უხაროდა. მძიმე ბრძოლის შემდეგ აღებულ იქნა ქ. დებრეცენი, მერე — მიშკოლციცა და ნერეტჰაზაც. ჩვენი ტანკისტები ტოკაიში შეიჭრნენ და ტრანსილვანიის მთელ დაჯგუფებას ალყის შემორტყმის საფრთხე შეუქმნეს.

მე და ბეგი, ძველი ჩვეულებისამებრ, ისევ ამ სატანკო კორპუსს გავყევით და ნაშუადღევს ტოკაიში შევედით. ეს პატარა ქალაქი ფერდობზეა გაშენებული. მის გარშემო ყველგან ვენახებია. ტოკაის ღვინო განთქმულია მთელ მსოფლიოში. მსგავსად ქართველებისა, ვაზს აქაც ისე უყურებენ, როგორც

წმიდათაწმიდას. ღვინის დაყენების ურთულეს ხელობასაც ჩინებულად ფლობენ, რაშიც იმ დღესაც დავრწმუნდით, საღამოს ადგილობრივი მდიდარი გლეხის სახლში რომ მივუჯექით სუფრას. მასპინძლებმა სტუმართმოყვარეობაც ქართული გვიჩვენეს. მაგიდაზე რამდენიმე დოქი ნამდვილი ტოკაი დადგეს და მერე ერთი საერთო რვეულიც გამოიტანეს, რომელშიც ჩაწერილი ჰქონდათ გამოჩენილ ადამიანთა აზრი ტოკაის ღვინის შესახებ.

ვოლტერი წერდა:

— მისი სიტკბო და სიმაგრე აღაგზნებს ადამიანს. ამ ღვინოს მოძრაობაში მოჰყავს ტვინის ყველა ხვრელი და ანთებს სულის სიღრმეში ჯადოსნური, ნაპერწკლოვანი გონებამახვილობისა და სიხარულის ფოიერვერკს...

მერე ერაზმ როტერდამელის, კრომველისა და ანატოლ ფრანსის აღტაცებული სიტყვები წაგვიკითხეს. მე მანამდე ვიცოდი, რომ მეფისტოფელი ფაუსტსა და მის მეგობრებს აუერბახის სარდაფში ტოკაის ღვინით გაუმასპინძლდა, ხოლო შუბერტმა შექმნა სპეციალური სიმღერა „ქებაჲ ტოკაჲსი“. მაგრამ ყველაზე უფრო მაინც იმ ჩვენი მასპინძლის ნაამბობი მოგეწონა: როცა ამ ვენახებთან უნგრელ ჰუსართა ლეგიონები ჩაივლიდნენ, თურმე ოფიცრის ბრძანებით სამხედრო სალამს აძლევდნენ ფერდობზე შეფენილ ვენახებს და ცერემონიალური მარშით განაგრძობდნენ გზას.

ჩვენი ყურადღებითა და დაინტერესებით ნასიამოვნებმა მასპინძელმა ისიც გვიამბო, რომ ეკატერინე მეორეს თურმე თავისი მუდმივი წარმომადგენელი ჰყავდა ტოკაიში ამ საოცარი ღვინის შესასყიდად, ტოკაიდან პეტერბურგამდე იმპერატრიცას ლაიბგვარდია მიაცილებდა ღვინოს, პეტერბურგში კი დიდი წვეულება არ გაიმართებოდა „ტოკაის“ გარეშე.

იმ საღამოს ჩვენც ასეთ „ხელმწიფურ წვეულებაზე“ გახლდით. ტოკაის ღვინო უხვად გვქონდა სუფრაზე.

არც მათი მომწოდებელი ქალიშვილები იყვნენ ნაკლები ხოტბის ღირსნი. ყველას ლამაზი ეროვნული ტანისამოსი ეცვა და დურა-ტყავით ნაკერი უსახელო ტყაპუჭები ჰქონდა ზურგზე მოხურული. ოჯახის მამას, ჩვენში რომ იცოდნენ, სულ ისეთი თალათნური ქალამნები ამოესხა, ერთი წყრთის სიგრძე

ყალიონი ეჭირა და განუწყვეტლივ აბოლებდა სურნელოვან თამბაქოს.

ქალიშვილებიც ჩვენებურ ხევსურ გოგონებსა ჰგავდნენ: შავგვრემნები, შავი გრუზა თმებითა და შავად დაბურული წამწამებით. სახეზე მოფანტული წვრილ-წვრილი ხალები კიდევ უფრო მეტ ეშხს მატებდა მათ სახეს. ისინი გვიან ღამემდე ისხდნენ ჩვენთან ერთად ბუხრის პირას და ბეგის აგიჟებდნენ თავიანთი „მადიაურული პირდაპირობით". ის „საცოდავი" სულ დააბნია მათმა აშკარა შემოტევამ. რა ექნა არ იცოდა. ცალკე მათი მშობლებისა ერიდებოდა, ცალკე იმ კუდვარდა გოგოების „უსირცხვილოებით" იყო გაოგნებული...

— ეი, კაპიტანო, გინდა ამაღამ შენთან გავათენო? — დაუძახა ბეგის უფრო პატარამ მათ შორის.

ბეგიმ ჯერ თვალები დაქაჩა, მერე რაღაცის თქმა მოინდომა, მაგრამ დაუნაწევრებელი ბგერების მეტი არაფერი ამოსვლია პირიდან. იმ „ჩიტირეკიამ" კი ერთი გადიკისკისა და ისევ შეუტია გიმნაზისტივით დაბნეულ ახმახ ოფიცერს:

— რა ენა დაგება, ხომ არ გეშინია ჩემი!..

ბეგის იმ წრიპანტელა ღლაპისა კი არა, მგლის ზურგზე შემჯდარი ალქაჯისა არ შეეშინდებოდა, მაგრამ ისე იყო შეცბუნებული, რომ ტყვია ჩაიდუღა პირში და არაფერი თქვა.

— თუ ჩვენს ადათ-წესებს დაიცავ, ღამით გვერდზე მოგიწვები, — შემოუტია ისევ იმ „ეშმაკის კვალზე შემდგარმა" და თავისი ჩხრიალა თვალები მიანათა.

მშობლებმა რომ შეხედეს თავგზააბნეული ბეგი როგორ იწურებოდა სირცხვილისაგან, გულიანად გადაიხარხარეს... მერე მამამ ხელის ტოტით უზარმაზარი წვერ-ულვაში ჩამოიფოცხა და იმ „ადათ-წესების" ახსნას შეუდგა...

მე ამან ხევსურული „წაწლობა" მომაგონა, ხოლო ბეგი ვერაფერს მიხვდა... მართალია, იმ ორი „ეშმაკის ფეხიდან" ერთს კი დაატანა თვალი, მაგრამ მეორე დღეს, ისევ დებრეცენისაკენ რომ მივდიოდით, სულ დაბმული ნაგაზივით იღრინებოდა:

— ღმერთი იმათ ადათ-წესებსაც დააქცევს და იმათ ოჯახსაც! ეს ისეა, მოწყურებული ხარი რომ მდინარეზე ჩაიყვანო და წვეთი წყალი არ დაალევინოო...

... ერთი კვირის შემდეგ ჩვენი სამხედრო ნაწილები დეპრეცენიდან და ტოკაიდან დასავლეთისაკენ მიიწევდნენ. დუნაის ნაპირებით კი საბჭოთა მოტომექანიზებული ძალები პირდაპირ ბუდაპეშტისაკენ გაემართნენ, მაგრამ ჩქარა ტანკსაწინააღმდეგო ორმოებს წააწყდნენ და შეჩერდნენ. ბუდაპეშტში პანიკა ატყდა. დიპლომატიური კორპუსი პირველი გაიქცა ქალაქიდან. სალაში მილიონნახევარი ჯარისკაცის მობილიზაციას ჰპირდებოდა ჰიტლერს, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა. მას უნდოდა არმიაში გაეწვია ყველა, კაცი თუ ქალი, თორმეტი წლის ასაკიდან სამოცდაათ წლამდე. ასეთი „ზეტოტალური“ მობილიზაცია ჯერ არ მოსწრებია კაცობრიობას. ეს არც სალაშის გამოუვიდა. გერმანელებმა საჭირო რეზერვი ვერ მიიღეს, თუმცა, რაც ჰყავდათ, ისინიც შეუიარაღებელი იყო.

ტისისა და დუნაის შორის ჩვენებმა ერთხელ კიდევ გაანადგურეს „ჯიუტი ნომერი“ მე-6 გერმანული არმიისა. ამ არმიის უკანასკნელი ნარჩენები კუნძულ ჩეპელზე გადაბარგდნენ. სტალინგრადისა და იას-კიშინიოვის შემდეგ ეს ამ არმიის უკვე მესამე სიკვდილი იყო.

არმია იღუპებოდა, ნომერი კი ისევ რჩებოდა!

მარცხენა ფლანგზე უკრაინის მესამე ფრონტმა ბულგარეთისა და იუგოსლავიის გათავისუფლების შემდეგ ბუდაპეშტისაკენ შემოუხვია და ბალატონის ტბის მიმართულებით განავითარა შეტევა. ბალატონი ცენტრალური ევროპის უდიდესი ტბაა. უნგრელებს ის ზღვის მაგივრობას უწევს. ამიტომაც უწოდებენ „უნგრეთის ზღვას“. მისი სანაპიროები ორას კილომეტრამდეა გაჭიმული. აქ მთელი ნოემბრის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ბოლოს, ისევ ჩვენებმა სძლიეს მტერს.

საბჭოთა არმიის ასეთი წარმატება საყოველთაო იყო. ცენტრალური ფრონტის შენაერთები უკვე აღმოსავლეთ პრუსიისკენ მიიწევდნენ. დასავლეთელმა მოკავშირეებმაც დაიწყეს დიდი შეტევა ვოგეზებში. დეკემბერში ბრძოლები კიდევ უფრო გაძლიერდა. უკრაინის მეორე და მესამე ფრონტებმა განახორციელეს ერთიანი ოპერაცია — ორივე მხრიდან შემოუარეს ბუდაპეშტს და უნგრეთის უძველეს დედაქალაქ ესტერჰომთან შეკრეს რკალი.

24 დეკემბერს ბუდაპეშტი ალყაშემორტყმული აღმოჩნდა...

ომს ბუნებრივად მოსდევს ძველი წესწყობილების ნგრევა და რაღაც ახლის შექმნა, მით უმეტეს, პლუტოკრატიულ სახელმწიფოებში. როცა ხალხთა დემოკრატიული უფლებების დამთრგუნველი ორგანოები ირღვევა, მშრომელი მასები გამათავისუფლებელი მოძრაობის მეტ შესაძლებლობას იღებენ, თუ, რა თქმა უნდა, ახალი გაბატონებული სამხედრო ძალა კვლავაც არ დაამყარებს რეაქციულ რეჟიმს.

საბჭოთა არმიის ნაწილები რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში შევიდნენ, მართალია, ამ ქვეყნების შინაურ ცხოვრებაში არ ერეოდნენ, მაგრამ იქ მშრომელმა ხალხმა უფრო აქტიური მოქმედების საშუალება მიიღო და რამდენიმე წლის შემდეგ სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების დამყარებას მიაღწია. ამით მონარქისტულ-დიქტატორული რეჟიმი თანდათან დაირღვა და დაიშალა როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ-ეკონომიურ სფეროში. ყოველივე ეს ჩვენ თვალწინ ხდებოდა როგორც რუმინეთში, ისე ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში.

მოულოდნელმა შემთხვევამ მეც გამხადა ერთი ასეთი არისტოკრატიული გვარის — ესტერჰაზების დინასტიის რღვევის მოწმე.

ფეოდალურ-არისტოკრატიული უნგრეთის ყველაზე ძლიერ საგვარეულო დინასტიას სწორედ ესტერჰაზები შეადგენდნენ. მათს საზაფხულო სასახლეს ქალაქ სენტეშში ვრცელი მამული და ტყეები ეკრა. ეს ტყეები კარპატებამდე აღწევდა. ამბობენ, მთელი უნგრეთის ეროვნული სიმდიდრის მესამედი ესტერჰაზებს ეკუთვნოდათო. არ ვიცი, თუ რამდენად სწორია ეს, მაგრამ ერთი კი ფაქტია: ისინი უმდიდრესი მემამულენი იყვნენ უნგრეთში. როცა ჩვენი ფრონტის ნაწილებმა ეს ადგილები გაიარეს, ესტერჰაზები, რა თქმა უნდა, მათ არ შეხვედრიათ. ისინი დასავლეთისაკენ გარბოდნენ და, როგორც ჩანს, ისე სწრაფად, რომ მსუბუქი ნივთების წაღებასაც ვერ ასწრებდნენ. სენტეშში ჩვენ მათი სასახლის ერთ ფლიგელში ვიყავით მოთავსებული. მეორე ფლიგელი თავის ვრცელ დარბაზებიანად ყუმბარებით იყო დანგრეული. აქ რამდენიმე დარ-

ბაზში ესტერჰაზებს ხელოვნების ძვირფასი ნიმუშები — სურათები, ქანდაკებები, კერამიკა და სათამაშოები ჰქონდათ გამოფენილი. ეტყობოდა, ესტერჰაზების ოჯახში იყვნენ ამ საქმის კარგი მცოდნე კოლექციონერები. რა არ იყო აქ: უძვირფასესი ჩინური, იაპონური და საქსონური ფაიფური, ინდოეთში ნაკეთები სპილოს ძვლის გემები და სხვა ნივთები, მოოქვილი ჭურჭლები, ეტრუსკული - თიხის ლარნაკები და მსოფლიოს ყველა კუთხის კერამიკისა და ტერაკოტის ნიმუშები. მათი ექსპოზიციაც გემოვნებით იყო გაკეთებული: ჩინური კუთხე, სპარსული. იაპონური, ინდური დარბაზები და სხვ. ყოველი მათგანი, ალბათ, თავის დროზე დიდი წვალებითა და დავიდარაბით ჰქონდათ ნაშოვნი. ახლა კი ყველაფერი ეს იატაკზე ეყარა დამსხვრეული.

ამ სასახლეში სამიოდე კვირა მოგვიხდა მუშაობა, ვიდრე ქალაქ დებრეცენში გადავინაცვლებდით. ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად თანამშრომლებს ავუკრძალე ტყის სიღრმეში შესვლა, მაგრამ ხომ არიან ისეთები, რომელთაც მაინცდამაინც ის უნდათ გააკეთონ, რაც აკრძალულია. ასეთი, პირველ რიგში, ისევ კაპიტანი ბეგი იყო. იხელთებდა თუ არა დროს, სანადიროდ გარბოდა ტყეში, თუმცა მისი ნანადირევი ჯერ არავის ენახა...

... ერთხელ ბეგი ჩემთან შემოვარდა, ჯერ თავისი ჩვეულებრივი „პარდონი“ მესროლა, ხოლო შემდეგ ასევე სულმოუთქმელად გამომიცხადა, ტყეში სანადიროდ ვიყავით და ფერია ვნახეთო. გამეცინა, ალბათ, რაღაც თავისებური ოინი აქვს მოგონილი-მეთქი. იმან კი დაიჩემა, ნამდვილად ვნახეთ, უფროსო, გაწეწილი თმები ჰქონდა და თეთრ ცხენზე იჯდაო. რომ არ დავუჯერე, იწყინა. ერთხანს დაჟინებით მიმტკიცა, ნამდვილადო. თან ნერვიულად თითებს იმტვრევდა. მაინც რომ ვერ დამარწმუნა, გულდაწყვეტით მითხრა:

— თქვენ თუ გინახავთ, უფროსო, როდისმე ფერია?

რაკი საშველი არ იყო, მეც ავყევი.

— მინახავს, მაგრამ ტბაზე.

— როგორი იყო?

— წელზევით — ლამაზი ქალი, წელქვევით კი — თევზი.

— უჰუ, ჰუუ! ასეთი ფერია ვის რად უნდა?! მე რომ ვნახე, ის წელზევითაც ქალი იყო და წელქვევითაც.

არც ამან გაჭრა. არ იქნა და ვერ დამაჯერა, ფერია რომ ნახა, და წავიდა...

... მე მეგონა საქმე ამით დამთავრდა. ორიოდე დღის შემდეგ კი ბეგიმ და საველე ტიპოგრაფიის მუშაკებმა ის „ტყის ფერია“ გაქაჩული მოიყვანეს, ჩხუბობდა, ყვიროდა, გაქცევას აპირებდა, მაგრამ არ გაუშვეს. მართლაც, ვიღაც თმაგაწეწილი გოგო იყო, ასე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა. ამაზონურად ეცვა და ქერა თმა ტყის ალქაჯივით ჰქონდა გაწეწილი.

— პარდონ, უფროსო, დავუდარაჯდით და დავიჭირეთ, გრაფ ესტერჰაზის გოგოა, ეს თოკით დასაბმელი, ესა.

ამასობაში დრუჟნიკოვები და პაოლოც მოვიდნენ. იმათაც გაეგოთ „ტყის ფერიის“ დაჭერა და დაინტერესებულიყვნენ. გამოვკითხეთ და, მართლაც, რომელიღაც ესტერჰაზის ასული აღმოჩნდა. როცა მათი ოჯახის წევრები გაქცეულან, ეს ტყეში დამალულა და არ გაჰყოლია. მერე მისი ოთხმოციოდე წლის გამოყრუებულ ბებიასაც უარი უთქვამს წასვლაზე, აქედან უფრო მივადევნებ ხელს შვილიშვილსო და მსახურებთან ერთად ორივენი სანადირო სახლში დარჩენილან. ბეგის „თავისი ბიჭებით“ სწორედ აქ მოუწყვია „ნადირობა“ და ეს „ფერია“ დაუჭერია. ახლა იგი ბეგის ეჩხუბებოდა:

— რას მიჭერ, მე თვითონ წამოვალ, შენი კი არ მეშინია, ოხერო!

ისე თამამად იქცეოდა, ეტყობოდა, მართლაც არაფრისა ეშინოდა. არც „იმ ოხერი“ ბეგისა, რომელიც პირდაღებული შესცქეროდა ამ გაუგონარი სილამაზის „ფერიას“.

ესტერჰაზის ასულმა, თავის მხრივ, მწყრალად შეგვათვალიერა ყველა და სკამზე ისე შესკუპდა ფეხებით, რომ ბზიკს ჰგავდა, გასაფრენად გამზადებულს.

რაკი ტყვეების დაკითხვაში პაოლო იყო დასპეციალებული, კითხვებიც იმან მისცა. ბეგი თარგმნიდა. მერე გამოირკვა, რომ ამ „ქაჯმა“ გერმანულიც იცის, ფრანგულიცა და ინგლისურიც. ამიტომ პაოლომ გერმანულად დაუწყო გამოკითხვა:

— სახელად რა გქვია, ქალიშვილო?

— რა ვიცი მე, რა მქვია, რასაც მეძახიან, ისა მქვია! — მოკლედ მოუჭრა „ტყის ფერიამ“ და სკამზე გასწორდა.

— მაინც რას გეძახიან? — ჩაეკითხა პაოლო.

— ციყვს, თრითინას, ბარტყს, ფისუნია კატას, გიჟს, გადარეულს, რა ვიცი, კიდევ რას... ჰო, ქაჯსა და ეშმაკის ფეხს!

— სახელები კარგი გქონია, — გაეცინა პაოლოს. — ახლა ის მითხარი, თქვენები რომ წავიდნენ სენტეშიდან, შენ რატომ არ წაჰყევი?

— არ მიყვარს ისინი და იმიტომ! — ისევ მოკლედ მოჭრა მან.

— რატომ არ გიყვარს? — ჩაეკითხა პაოლო.

— იმიტომ, რომ ყველაფერს მიშლიან.

— რას გიშლიან?

— ყველაფერს, რაც მე მინდა.

— შენ რა გინდა?

— მე რა ვიცი, რა მინდა... რაც მომინდება, ის მინდა!

— მაინც?

— გამიჭირეთ ერთი საქმე ამდენი კითხვებით, — გაბრაზდა უცებ „ფერია“, — რა თქვენი საქმეა, თავი დამანებეთ! ბებო მიცდის და შეეშინდება.

ლაპარაკის დროს სკამზე ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ხან იქით შეტრიალდებოდა, ხან — აქეთ. მერე ცალი ფეხი ქვეშ ამოიდო და ისე დაჯდა. პაოლო მაინც არ მოეშვა:

— ჯერ ერთი, წესიერად დაჯექი, ნუ ტრიალებ!

— ძალიანაც წესიერად ვზივარ, მომწყინდა და იმიტომ ვტრიალებ.

— მე გეკითხები, რას გიშლიან-მეთქი თქვენები?

— უჰ, ისევ დაიწყო! რას მიშლიან და ყველაფერს: ცხენის ჭენებას ტყეში, მდინარეში ბანაობას, ციყვებზე ნადირობას. მე კიდევ ის მინდა ვაკეთო, რაც მომინდება: როცა მინდა — ავდგე, როცა მინდა — დავწვე, სადაც მინდა, იქ წავიდე და, რაც მინდა, ის ვაკეთო!

— მერე რატომ გიშლიან ამას? — ჩაეკითხა პაოლო.

— აბა, რა ვიცი რატომ მიშლიან! დაგადგებიან თავზე ბიცოლები და: ახლა ადექი, ახლა დაწექი, ახლა ისაუზმე, ახლა ისადილე, ახლა ამასთან წადი სტუმრად, ახლა — იმასთან, ახ-

ლა ეს, ახლა ის... სულ ისე, როგორც თვითონ უნდათ... ბავშვი კი არა ვარ, სულ სხვის ჭკუაზე ვიარო! ხომ ხედავთ, რაჴელა ვარ! ახლა კი არა, მე რომ პატარა ვიყავი, მაშინაც დიდი ვიყავი!

— ჭკუა ახლაც პატარა გაქვს, ნუ გეშინია! — ჩაერია ბეგი.

— შენ თუ დიდი ჭკუა გაქვს, იმიტომაც არა ხარ სულელი: ტყეში გოგოებს დასდევ დასაჭერად! შენი ტყეა, ლენჩო?! — შეუტია ფერიამ.

— შენ ენა დაიმოკლე, თორემ... — დაემუქრა ბეგი.

— თორემ რა, არ შემაშინო, შენისთანა აქლემი ზოოპარკშიც მინახავს!

ბეგი ისე იყო იმ „ტყის ფერიის“ სილამაზით „დაბმული“, რომ ეს შეურაცხყოფაც აიტანა. ერთი კი შეათვალიერ-შემოათვალიერა თავისი „ნანადირევი“ და პირდაპირ დაუმიზნა საქმეს:

— ქმარი არა გყავს?

„ფერიამ“ გადაიკისკისა, ცალი ხელი პირზე აიფარა და გაჩერდა. ბეგიმ კითხვა გაუმეორა. იმან ისევ გაიცინა და უთხრა:

— რა ვიცი, მყავს?

— შენ თუ არ იცი, აბა, ვინ იცის? — გაიკვირვა ბეგიმ.

— დედაჩემმა. ქმარი იმან შემრთო, მაგრამ მე არ გავყევი!

— როგორ არ გაყევი?

— როგორ და ისე, ქორწილიდან გავიპარე!

ახლა ყველას წაგვსკდა სიცილი. „ფერიას“ გაუხარდა, რომ გაგვაცინა და თვითონაც დაიწყო კისკისი. სამაგიეროდ ბეგი გაბრაზდა:

— გიჟია ეს თოკიდან გამოქცეული! — დაუსვა მან დიაგნოზი და, როგორც უნგრელმა, თვითონ აიღო დაკითხვის ინიციატივა, ჩვენ კი „მე ვამბობ“, „ის ამბობს“ — გვიხსნიდა გაუთავებლივ და პირდაპირ სული ამოგვართვა.

„ფერიამ“ გვიამბო, რომ „ბრილიანტების წინწკლებიანი“ საქორწინო კაბის შეკერვა უნდოდა და ამიტომ დაეთანხმა „ვიღაც ახმახს“, რომ ცოლად გაჰყვებოდა, მაგრამ ქორწინების დღეს გაიპარა სახლიდან. მშობლებმა ერთხანს ეძებეს, მთელი უნგრეთი შეაწრიალეს, ვენაშიც გაგზავნეს მაძიებლე-

ბი, მაგრამ ის „კაბიანად გიჟი“ მაინც ვერ აღმოაჩინეს. ის კი თურმე იმავე ქუჩაზე იმალებოდა მეგობართან.

— მერე ჭკუა არა გაქვს, რომ კაბისათვის თხოვდებოდი?! — შემოსწყრა ბეგი.

ახლა მგონი „ტყის ფერიამ“ იფიქრა, ეს გიჟი ვინ არისო, და, თითქოს მისი მსახური ყოფილიყო, ისე დაუყვირა:

— ყრუ ხარ? ხომ გითხარი, მე კი არ ვთხოვდებოდი, დედაჩემი მათხოვებდა-მეთქი!

— მამა სად არის?

— მამა არა მყავს, ბიძები მყავს.

— მამაშენი ცოცხალი არ არის?

— რა ვიცი, იქნებ ცოცხალია. მე არ მახსოვს. ამბობენ, სხვისი მამა გახდა და სხვა დედა ითხოვაო.

— ერიჰაა, ისევ ააფრინა! — თქვა ბეგიმ. „ტყის ფერიამ“ კი უცებ სერიოზული გამომეტყველება მიიღო და იკითხა:

— შეიძლება მუზეუმი ვნახო? იქ ჩემი სათამაშოებია. რაც დაბადების დღეს სათამაშოები მოჰქონდათ, სულ იქ არის.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ. სათამაშოები კი არა, ახლა იქ, იმ მუზეუმში, ყველაფერი დალეწილი იყო. ამიტომ ვუთხარი:

— უკვე გვიანაა, სახლში გაიქეცი, თორემ შენს ბებოს შეეშინდება.

— არა, ჯერ ვნახოთ! — დაიჩემა მან.

— კარგი, ვნახოთ, — დავეთანხმე მე, — მაგრამ იცოდე, რომ შენს მუზეუმს ყუმბარები მოხვედრია და ყველაფერი დამტვრეულია.

— მართლა?! — თქვა მან და გაფითრდა. მერე ადგა და წყნარად დაუმატა:

— მაინც ვნახავ, თუ შეიძლება.

ბეგის, როგორც ჩანს, არ უნდოდა ამ უსიამოვნო სცენას შესწრებოდა, რაღაც „უფრო გრანდიოზული საქმე“ მოიმიზეზა და გაიპარა...

... მუზეუმში რომ შევედით, გრაფის ასულის თვალწინ მართლაც საშინელი სურათი გადაიშალა. ყველაფერი ძირს იყო

დაყრილი და დამსხვრეული, კარადები — გადმობრუნებული, ვიტრინები — ჩალეწილი. დადიოდა და ათვალიერებდა ყველაფერს. წყენისაგან ტუჩები უთრთოდა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. მერე იატაკზე დაგდებული ვაზა ნახა, აიღო, მთელი იყო. ხელში რამდენჯერმე შეატრიალა. მოიქნია და კედელს შეანარცხა.

ამის შემდეგ უცებ გამხიარულდა, დარბოდა დარბაზებში და, თუ რამეს ნახავდა მთელს, ფეხს წაჰკრავდა. მერე სიცილიც დაიწყო...

— არაფერია, თქვა მან: — ერთი რომ გატეხილიყო, გული დამწყდებოდა, რაკი ყველა დაიმტვრა, უფრო ადვილად შევეჩვევი.

ათიოდე წუთი რომ გავიდა, მწუხარების ნატამალიც არ აჩნდა და ძველებურად კისკისებდა...

... ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე მოდიოდა „ფერია“ ჩვენთან. ნაშუადღევს ტყის პირას გამოჩნდებოდა მისი თეთრი ფიგურა, შველივით გადმოირბენდა მწვანე ველს და განყოფილების ჯარისკაცების — მძღოლებისა და საველე ტიპოგრაფიის მუშაკების — საერთო საცხოვრებელში შევარდებოდა. ბეგიც, რა თქმა უნდა, მაშინვე იქ გაჩნდებოდა და სიამოვნებით ასრულებდა მთარგმნელის როლს. მან „ტყის ფერიას“ ჩარიტას გამოსაჯავრებლად „გარითმული სახელი“ — ამრიტა შეარქვა, ვითომ ორივენი ერთი ჭკუისანი ხართო. ჩარიტამ ჯერ იუკადრისა ეს და „ჯეროვნად მიუზღო“ ბეგის ამ „თავხედობისათვის“, მაგრამ მერე ყველაფერს შეეგუა და კიდეც დაუმეგობრდა „თავისი სახელის მოზიარეს“...

... მართლაც საოცარია ამგვარი სილამაზის ძალა. იგი თვით მეშურნეობის გრძნობასაც იმორჩილებს და საერთო აღტაცებას იწვევს... უფრო მეტიც, ასეთი სილამაზის ჭვრეტა ცვლის ადამიანის ხასიათს, ათვინიერებს უხეშ ძალას, აფაქიზებს გრძნობებს და ზოგჯერ, იმ მითურ ქალწულ ევროპისა არ იყოს, თვით ბუღა-ხარად ქცეულ ზევს-იუპიტერსაც წამოაჩოქებს...

„ტყის ფერია“ რომ გამოჩნდებოდა, ჯარისკაცებს სახე გაუნათდებოდათ, უფრო თავაზიანი ხდებოდნენ და, როგორც

შეეძლოთ, ცდილობდნენ კიდეც ესიამოვნებინათ ამ „ცით მოვლენილი მანანასათვის“... დათვებივით ბუქნაობდნენ ქის გარშემო, მღეროდნენ ან დევებივით რახრახებდნენ.

„ფერიას“ ძალიან მოსწონდა რუსული სალაშქრო სიმღერები. ზოგჯერ თვითონაც ჩაერთვოდა ამ „ოლიმპიადაში“ და თავისი გაუბედავი კრინითაც საერთო აღტაცებას იწვევდა. მერე ისევ ცეკვები იწყებოდა. იგი „ჩარდაშს“ ასწავლიდა ჩვენს ჯარისკაცებს. ბეგი „ორკესტრს“ ხელმძღვანელობდა. მართალია, არავითარი ინსტრუმენტი არ ჰქონდათ, მაგრამ ზოგი სკამზე არახუნებდა რიტმულად, ზოგიც რაღაც საკრავების მსგავს ბგერებს გამოსცემდა და ისეთი „დირიჟორის“ მეთაურობით, როგორიც ბეგი იყო, თითქოს რაღაც საცეკვაო მელოდიაც გამოდიოდა. მართლა ჰგავდა „ჩარდაშს“ თუ არა, ამის განსჯაში არავინ შედიოდა... ატყდებოდა სკამების ბრახუნი, რაღაც ქაოტურ ბგერათა კაკაფონია და „ფერია“ იწყებდა ცეკვას... ჯერ მორცხვად აიქნევდა ტანს, მერე ხელებს გაშლიდა და „რითმებივით ჩამოქნილ თითებს“ შეათამაშებდა. ისეთი წვრილი წელი ჰქონდა, რომ ცერსა და საჩვენებელ თითს შორის ჩაეტეოდა კაცს...

ერთხანს ყველანი პირდაღებულნი მიაჩერდებოდნენ ამ ლერწამივით ტანწვრილ გოგონას, მერე ნელ-ნელა თვითონაც აჰყვებოდნენ მის რიტმულ მოძრაობას... ფერია ხელს ჩაავლებდა მათ, წრეს შეკრავდა და ნამდვილ „ჩარდაშს“ გააჩაღებდა...

ზოგჯერ ჩვენც შევიხედავდით მათთან, მაგრამ, მოკრავდა თუ არა თვალს ოფიცრები მოვიდნენო, ცეკვას შეწყვეტდა და დარცხვენილი მიიმალებოდა კუთხეში...

მზის ჩასვლისას იგი ისევ ბრუნდებოდა ტყეში. უნდა გენახათ, ათი-თხუთმეტი ჯარისკაცი როგორი მოწიწებით მიაცილებდა მას სახლამდე... ხალათებს შეისწორებდნენ, საყელოს შეიკრავდნენ და ზლაზვნით მიალაჯებდნენ შორიახლო. ის კი ხან ასკინკილა გარბოდა მწვანე ველზე, ხან კიდევ უკან მობრუნდებოდა, აბა, დამეწიეთო, მიაძახებდა ჯარისკაცებს და ისევ გაიქცეოდა. ყველანი ერთბაშად მოსწყდებოდნენ ადგილს და გამოუდგებოდნენ, მაგრამ მინდვრად გაქცეულ შველს ვინ მიეწეოდა!..

„ტყის ფერია“ ერთხანს ირბენდა, მერე ხეების მუქ ფონზე ერთხელ კიდევ გაიელვებდა მისი თეთრი ფიგურა და... ყველანი ერთად იკარგებოდნენ ტყის სიღრმეში...

ნახევარი საათის შემდეგ კმაყოფილი ჯარისკაცები ბრუნდებოდნენ თავიანთ საერთო საცხოვრებელში და იქიდან დიდხანს მოისმოდა რაღაც გაგუდული სევდიანი სიმღერები...

გვიან ღამით კი სინათლე ქრებოდა და... ვინ იცის, ვინ საით მიჰყვებოდა თეთრი მტრედებივით აშლილ ზმანებებს...

სხვის გულში ვინ ჩაიხედავს ან სხვის ზმანებებში სხვა როგორ გაერკვევა. მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ სიზმარში ისინი სადღაც მიტოვებულ თავიანთ შეყვარებულებს ხედავდნენ და...

ყოველი მათგანი, ალბათ, ამრიტას ჰგავდა...

კენტავრების მარულა...

ერთი კვირის შემდეგ ბეგიმ მოგვიტანა ჯარისკაცების შუამდგომლობა — „ამრიტას ოჯახისათვის“ სენტეშის სასახლეში გადმოსვლის ნება მიგვეცა. ტყეში ცოდვანი არიანო, დაუმატა მან და, თანხმობა რომ მიიღო, კმაყოფილი გაიქცა საერთო საცხოვრებელში „ბიჭების გასახარებლად“.

„ტყის ფერია“ და მისი ოთხმოცდახუთი წლის ბებია, გრაფის ასული ერჯებეტი, მეორე დღესვე გადმოვიდნენ სასახლეში. საჯინიბოც გადმოიტანეს. შესანიშნავი ცხენები ჰყავდათ. მერე სანადირო ძაღლებიც „გადმოასახლეს“ და იქვე დააბინავეს. ცხენებსა და ძაღლებს უვლიდა ძია ანდრაში, ძალიან სიმპათიური მოხუცი. სამოცდაათ წელს გადაცილებული იყო, მაგრამ ისე მარდად მოაფრინდებოდა ხოლმე ინგლისური წმინდა სისხლის ბედაურებს, თითქოს ოცი წლის ჭაბუკი ყოფილიყოს. „ტყის ფერია“ ხომ სულ ცხენზე დაბადებულივით ჯირითობდა. პატარა დრუჟნიკოვიც საცხენოსნო სპორტით აღმოჩნდა გატაცებული. ბეგი კი უნგრელი იყო და, აბა, ცხენით რას შეაშინებდით. უნგრეთის კავალერია ხომ მთელ მსოფლიოშია სახელგანთქმული.

საღამოობით ძია ანდრაში ცხენებს გაამზადებდა და გვა-

სეირნებდა. მერე ისევ „ტყის ფერია“ ატყდებოდა, დოღი გავმართოთ ტყეში მთვარის სინათლეზეო.

ყველას გვჯობნიდა და უხაროდა...

... იმ დღეს გამოგვიცხადა, ბებო ჩაიზე გიწვევთო. პაოლო, ტრაინინი და მე წავედით. გრაფის ასული ერჯებეტი ვერც წამოდგა ადგილიდან სტუმრებთან შესახვედრად. არც არაფერი ესმოდა. ხელში რაღაც ეჭირა ძველებური გრამაფონის მილივით, იმას მიიდებდა ყურზე და ისე გვისმენდა. ერთ კითხვას რომ მოგვცემდა, პასუხის გაგებინებას ათიოდე წუთი ვუნდებოდით. იმ მელაკუდა ტრაინინმა მაშინვე აუღო ალღო საშიშროებას და გრაფის ასული პაოლოს შეატოვა.

რომელი მეფე მეფობს რუსეთშიო, იკითხა პირველად ერჯებეტმა. პაოლომ როგორღაც გააგებინა, რომ რუსეთში მეფე აღარ არის. აბა, რეგენტი ვინ არისო, ახლა ამით დაინტერესდა. პაოლომ, როგორც იქნა, თითქოს ესეც აუხსნა. მერე ერჯებეტმა ახალი კითხვა დასვა, ვინ ვისთან ომობსო. იმ საბრალო პაოლომ მთელი ლექცია ჩააყვირა „გრამოფონის მილში“, მაგრამ მაინც ვერაფერი შეასმინა. თქვენ რომელი ქვეყნიდან ხართო, იკითხა ბოლოს. რუსეთიდანო, რომ ვუთხარით, თავიდან დაიწყო, თქვენი მეფე ვინ არისო. ისევ ავუხსენით, რომ ჩვენთან მეფე არ არის. ახლა ის იკითხა, ამერიკის მეფე თუ ეჩხუბება ინგლისის მეფესო, გერმანიის მეფე ვის მხარესაო ან უნგრეთის ამ „უგვირგვინო მეფეს“ რა აომებსო. ბოლოს ისევ პაოლოს მიუბრუნდა და ჰკითხა, რუსეთის მეფე რამდენი წლისა იქნებაო.

— ვაიმე, დედაჩემო! — ამოიგმინა პაოლომ. ეტყობოდა, „ტყის ფერიასაც“ შეუწუხა გული ამდენმა შეკითხვამ და თავის ბებოს უსაყვედურა:

— წყალს წაუღია, ბებო, ყველა მეფე, შენ რაში გაინტერესებს?!

— როგორ არ მაინტერესებს! — გაუჯავრდა იგი, — ცხონებული პაპაჩემი მიკლოშ ესტერჰაზი ყველაფრით იყო დაინტერესებული: პოლიტიკით, ხელოვნებით, მუსიკაც უყვარდა. იგი ცხონებული ბეთჰოვენისა და ცხონებული ჰაიდნის მეგობარი იყო. ჩვენს სახლში ახლაც ინახება ცხონებული ბეთჰო-

ვენის ნაწარმოებები, რომლებიც ცხონებული პაპაჩემისადმი არის მიძღვნილი. „დო-მაჟორული მესა“ იმ ცხონებულმა ბეთ-ჰოვენმა ცხონებული პაპაჩემის მიკლოშისათვის დაწერა. ცხონებული პაპაჩემი მიკლოში ეხმარებოდა იმ ცხონებულ ბეთ-ჰოვენს, ამიტომ ჩემი ცხონებული პაპა...

— ღმერთო ჩემო, რა დავაშავე ასეთი! — ამოიხვნეშა პაოლომ და უნდოდა როგორმე შეეჩერებინა ეს მართლაც „ცხონებული“ დედაბერი, მაგრამ იგი მაინც თავისას განაგრძობდა:

მე ახლაც ვინახავ ბუდაპეშტში ცხონებული ბეთჰოვენის რამდენიმე წერილს, ჩემი ცხონებული პაპის მიკლოშისადმი მიწერილს.

მერე ისევ „ტყის ფერიას“ მიუბრუნდა:

— შენ რა იცი, ციყვო! კაბების მეტი თუ რამეა ქვეყანაზე, არც გაინტერესებს.

— უი, მართლა, ჩემი საქორწინო კაბა! — გაიხსენა „ტყის ფერიამ“ და მეზობელ ოთახში შევარდა, ერჯებეტი კი ისევ შეუდგა პაოლოს წამებას:

— რუსეთის დედოფალი ვინ არის ახლა?

— ეშმაკი, სატანა, სიკვდილი! რა ვიცი ვინ არის?! მომაშორეთ აქაურობას, თორემ გავგიჟდები კაცი! — თქვა მან რუსულად. ერჯებეტს კი ყურში ჩასძახა.

— ეკატერინე მეორე გახლავთ, ქალბატონო!..

... კიდევ კარგი, რომ ამ დროს „ტყის ფერია“ შემოვიდა ახლა იგი სულ ციურ ანგელოზს ჰგავდა. „ბრილიანტის წინწკ-ლებიანი“ თეთრი, საქორწინო კაბა ჩაეცვა, თავზე თეთრი მანდილი დაეხურა, წელზე ოქროქსოვილი ქამარი შემოერტყა და ასე ჩირაღდანივით ანთებული შემოსრიალდა დარბაზში.

ბუნება, ალბათ, ოცნებობს, როცა ამგვარ სილამაზეს ქმნის, ჩვენში იტყვიან „კალმით აუწერელსო“. ან სიტყვებს რა ძალა აქვთ ღვთაებრივი სილამაზის ამგვარ სრულყოფასთან. ეს ხედვის საქმეა, მაგრამ ზოგჯერ თვალიც ვერ უსწორდება სილამაზის ამგვარ მოძალებას. ამიტომაც ამბობენ, „თვალის-მომჭრელი სილამაზეაო“..

ის რომ შემოვიდა, ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზს თით-

ქოს სინათლე მოემატა. ჩვენ კი ტანში საამო ჟრუანტელმა დაგვიარა. ასეთ დროს თვით გული გიხმობს ფეხზე ადგე და ისე შეხვდე ღვთაებრივი სილამაზის ამ შემოტევას...

პაოლო მართლაც წამოდგა და ისე ემთხვია ხელზე ბუნების ამ საოცარ ქმნილებას. თანაც საზეიმოდ წარმოთქვა:

— ო, მადონა ესტერჰაზი!..

ერჯებეტმა ყური მოჰკრა ამას და იფიქრა, რაფაელის საქვეყნოდ ცნობილი სურათის „მადონა ესტერჰაზის“ შესახებ არის ლაპარაკიო, და ისევ პაოლოს შეუჩნდა:

— რაფაელის „მადონა ესტერჰაზი“ ჩვენი ოჯახის საკუთრება იყო. ცხონებულმა პაპაჩემმა იგი ეროვნულ მუზეუმს აჩუქა...

მერე ისევ რუსეთის მეფეების ამბავს უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ პაოლოს უკვე აღარაფერი ესმოდა... ისე გაოგნებული მისჩერებოდა „ტყის ფერიას“. ტრაინინმა კი სათვალის ზემოდან ახედა წინ აშოტილ „სატანას“ და ამჯერად რატომღაც ლათინური ანდაზა მოუმარჯვა:

— ქალი სულის სიკვდილიაო!..

... ვერანდაზე რომ გამოვედით, „ფერიამ“ ახალი გასართობი შემოგვთავაზა:

— მოდით, სიჩუმეში გავეჯიბროთ ერთმანეთს: დავსხდეთ და, ვინც პირველმა ამოიღოს ხმა, დავაჯარიმოთ!..

— რითი? — იკითხა ტრაინინმა და სათვალე შეისწორა.

— ბებოსთან მთელი საღამო ლაპარაკით! — წამოიძახა მან და გადიკისკისა.

„სიჩუმის გაჯიბრება“ თავად მისთვის იქნებოდა ძნელი, ენას რომ ერთი წამითაც ვერ აჩერებდა, თორემ ჩვენ რა! ერჯებეტთან ამდენი ყვირილის შემდეგ ისე ვიყავით სიჩუმეს დანატრებულნი, რომ ეს მართლაც სასიამოვნო დასვენება იყო. ვისხედით ვერანდაზე და ვუყურებდით, როგორ მიცურავდა ახალდავაზშმებული მთვარე თეთრსა და შავ ღრუბლებს შორის. ღრუბლებიც სადღაც, დასავლეთისაკენ, მიეშურებოდნენ, თითქოს ისინიც მარულას მართავენო მთვარიან ღამეს. ხმაგაკმენდილნი ვუყურებდით, რომელი გაასწრებდა რომელს: თეთრი — შავს, თუ შავი — თეთრს. ვხე-

დავდით, რომ ხან ერთი დაწინაურდებოდა, ხან — მეორე. ზოგჯერ ერთმანეთში ირეოდნენ და რაღაც მღვრიე ნაკადს ქმნიდნენ. მერე ისევ თეთრი ღრუბელი გამოეყოფოდა ამ ნაკადს და წინ გაიჭრებოდა. მას ფეხდაფეხ მისდევდა შავი ღრუბელი. ეს ზოგჯერ ისე ჰგავდა „ტყის ფერიასთან“ გამართულ თეთრი და შავი ცხენების მარულას მთვარიან ღამეში, რომ თვალწინ ახლაც გერმანელი მხატვრის შტუკის სურათი „დევნა“ (die Verfolgung) მიდგას:

შავი კენტავარი მისდევს თეთრ კენტავარს ტყეში... მისდევს, მაგრამ ვერ ეწევა. თეთრი კენტავარი ქალია, ყელს რომ იღერებს და იცინის, შავი კი — ვაჟი. ის იძაბება, იწელება, ხელებს მისკენ იშვერს, მაგრამ თეთრი კენტავრი მაინც წინ მიქრის. მისი მომხიბვლელი ღიმილი ახელებს შავს და იგი სულ სრბოლად იქცევა, ნდომად, სურვილად... თეთრი კი ისევ კეკლუცობს და მაცდურად იცინის, გულმკერდი გაუღეღია, ყელი მიმზიდველად მოუღერებია და იცინის...

ამ მაცდური სიცილით იხმობს იგი შავ კენტავრს ტყის სიღრმეში...

ვინ იცის, დაეწევა თუ არა შავი კენტავრი თეთრ კენტავრს. ან თეთრი თუ მოუცდის სადმე ამაო სრბოლით გახელებულ შავ მდევარს!

თეთრი და შავი ღრუბლები კი ისევ მისდევენ ერთმანეთს..

კოშუტის გახსენება...

რამდენიმე ხნის შემდეგ შემოდგომის ეს იდილია მოულოდნელად დამთავრდა და დეკემბრის სუსხიანი დღეები სულ დებრეცენში გავატარეთ. უნგრეთის დიდი ნაწილი უკვე გათავისუფლებული იყო. საკონტროლო საბჭო კვლავ არსად ჩანდა და განყოფილებას ისევ მძიმე სამუშაო დააწვა. ბუდაპეშტში ჯერ კიდევ გაცხარებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ამდენი ხანი გავიდა, ხოლო მთავრობის შექმნას არ იქნა და საშველი არ დაადგა, უიმისოდ კი ნორმალური ცხოვრების აღდგენა ძნელდებოდა. ამიტომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს დროებითი მთავრობა შეექმნათ. ჯერ დაინიშნა უნგ-

რეთის ცამეტი ოლქის მთავარი იშპანი, სასამართლოები, პოლიციის ხელმძღვანელობა. საინიციატივო ჯგუფმა დებრეცენის ბურგომისტრის მეთაურობით შემოიკრიბა დემოკრატიული ინტელიგენციისა და სხვადასხვა დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები.

13 — 20 დეკემბერს გაიმართა დროებითი ეროვნული კრების არჩევნები. სულ არჩეულ იქნა 230 დელეგატი. მე მივიღე უნგრეთის ეროვნული კრების „საპატიო დელეგატის“ მანდატი, რომელიც ახლაც ჩემს სუვენირებში ინახება...

... 21 დეკემბერს დილით რეფორმატორთა კოლეჯის ისტორიულ შენობაში, სადაც დაახლოებით ასი წლის წინათ კოშუტმა უნგრეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, შეიკრიბა ეროვნული საბჭო და აირჩია დროებითი მთავრობა გენერალ-პოლკოვნიკ მიკლოშ ბელას მეთაურობით.

უნგრეთის დროებითმა მთავრობამ მაშინვე ომი გამოუცხადა გერმანიას...

ეს უდიდესი მოვლენა იყო უნგრელი ხალხის ისტორიაში. მანამდე ეს მდიდარი ქვეყანა თითქმის ორასი წლის განმავლობაში გერმანელთა და ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიის უღელქვეშ გმინავდა. უნგრელი ხალხი არასოდეს შეჰგუებია ასეთ რეჟიმს. იზრდებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. XVIII საუკუნეში გლეხთა აჯანყებებს ერთხანს სათავეში უნგრეთის სახალხო გმირი რაკოცი ედგა. ეს აჯანყება ჩააქრეს. მაგრამ 1848 წელს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, რომელსაც ლაიოშ კუშუტი ხელმძღვანელობდა, უნგრეთი გათავისუფლებულ იქნა გერმანელთა ბატონობისაგან. მაშინაც ქ. დებრეცენში შედგა ეროვნული მთავრობა, რომელმაც უნგრეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. უნგრელ მემამულეთა, მათ შორის ესტერჰაზების, ღალატის გამო რევოლუცია დამარცხდა და გერმანელებმა აღადგინეს თავიანთი ბატონობა.

1918 წელს ავსტრია-უნგრეთის დამარცხებისა და მათი კოალიციის დაშლის შედეგად ისევ გამოცხადდა უნგრეთის დამოუკიდებლობა. ერთი წლის შემდეგ მუშათა კლასის აჯანყებამ გაიმარჯვა და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რო-

მელმაც სულ ოთხი თვე იარსება. ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის მხარდაჭერით რუმინეთის არმია გენერალ იონ ანტონესკუს მეთაურობით უნგრეთში შეიჭრა და ადგილობრივ თეთრგვარდიელთა დახმარებით დაამხო იქ საბჭოთა ხელისუფლება. სახელმწიფოს სათავეში დიქტატორი მიკლოშ ხორტი მოექცა. ოცდაექვსი წლის განმავლობაში იჯდა უნგრეთის ტახტზე ეს „უგვირგვინო მეფე"; მერე კი, როგორც მოგახსენეთ, მისი „უდიდებულესობა" ტახტის ახალმა მაძიებელმა სალაშიმ შეცვალა, რომელმაც ისევ გერმანელებს გაუწოდა ხელი...

...გერმანელმა ოკუპანტებმა და სალაშისტებმა ბუდაპეშტი გამანადგურებელი ომის ასპარეზად გადააქციეს. ქალაქის მთელი მოსახლეობა გამოყრილი იყო სანგრების სათხრელად. პარკებში, სანაპიროებზე, პროსპექტებზე და თვით სასაფლაოზედაც აგებდნენ „სტალინგრადისებურ მიუვალ სიმაგრეებს". ასეთივე სიმაგრეს ქმნიდნენ კუნძულ მარგიტსიგეტზეც, სადაც თავმოყრილი იყო ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული „ელიტას" უმდიდრესი პარკები, სათამაშო სახლები და რესტორნები. ეტყობოდა, სალაშისტები ნაკლებ წუხდნენ იმაზე, რომ ბუდაპეშტის ისტორიულ ძეგლებსა და ძვირფას არქიტექტურულ ნაგებობათ განადგურება ემუქრებოდა. ალყაშემორტყმულ ქალაქში მათი წინააღმდეგობა უიმედო იყო. გარშემო ისეთი ძლიერი საბჭოთა შენაერთები განლაგდნენ, რომ ამ რკინისებური რკალის გარღვევაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, მაგრამ ქალაქში მაინც გაცხარებული ბრძოლები მიმდინარეობდა. მიუხედავად უნუგეშო მდგომარეობისა, ბერლინიდან ბრძანება ბრძანებაზე მოდიოდა უკანასკნელ კაცამდე გაეწიათ წინააღმდეგობა. ჩქარა ქალაქის მომარაგება სულ შეწყდა. საჭურვლის მარაგი ილეოდა. ვიდრე მათ ხელში იპოდრომი იყო, თვითმფრინავები კიდევ ახერხებდნენ დაშვებას, მაგრამ ჩვენებმა სწორედ ამ მიმართულებით განავითარეს შეტევა და ხელთ იგდეს ეს „საჰაერო იპოდრომიც". ამის შემდეგ მოწინააღმდეგეს თავისი ჯარების მომარაგება მხოლოდ ჰაერიდან შეეძლო და ისიც ღამით. თვითმფრინავები პარაშუტებით უშვებდნენ ტვირთს ან პირდაპირ ყრიდნენ. ტვირთი ხშირად მი-

სამართს იცვლიდა და ჩვენების განლაგებაში ცვივოდა. ეს საერთო აღტაცებას იწვევდა.

კიდევ, ფრიც. კიდევ! — ყვიროდნენ ჯარისკაცები და სიამოვნებით იღებდნენ მათ „ციურ ამანათებს“...

... დღედაღამ გრძელდებოდა ბრძოლა ქალაქის ქუჩებში. ყოველი კვარტალის, სახლისა თუ ბინის იერიშით აღება ხდებოდა საჭირო. ყველგან მტერი იყო ჩასაფრებული, ყველა ფანჯრიდან ტყვიამფრქვევსა თუ ავტომატს ჰქონდა ლულა გამოშვერილი. მიუხედავად ამისა, ჩვენი ნაწილები ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ და უბანს უბანზე წმენდნენ გერმანელებისა და უნგრელებისაგან.

გაბოროტებული ჰიტლერელები სასტიკად ეპყრობოდნენ მოსახლეობას, ძარცვავდნენ მას, ართმევდნენ ყველაფერს, რაც კი გააჩნდათ. ღამით, როცა ბრძოლა ოდნავ მინელდებოდა, ჩადიოდნენ სარდაფებში, სადაც მოსახლეობა იმალებოდა, მიანათებდნენ ელექტრონათურას და ირჩევდნენ „ლამაზ გასართობებს“. ზოგან გერმანელ და უნგრელ ჯარისკაცებს კონფლიქტი მოსდიოდათ ამის გამო, ადგილი ჰქონდა სისხლისმღვრელ შეტაკებებსაც.

ერთხელ, ფანჯრიდან ძირს რომ ჩავიხედეთ, გაოცებულებმა თვალები დავაჭყიტეთ. ქვემოთ ჭუჭყში ამოგანგლული გერმანელები დადიოდნენ. თურმე ერთი ჯგუფი ქალაქის უზარმაზარ საკანალიზაციო მილს გამოჰყოლოდა, რომ ალყაშემორტყმული ქალაქიდან გაპარულიყო, მაგრამ აქ ისევ ჩვენს შეიარაღებულ რაზმებს წააწყდნენ და თავიანთ გენერლიანად ასწიეს ხელები...

... მძიმეა შიგ ქალაქში ბრძოლა და ისიც ხანგრძლივად. ასეთ დროს იმდენ საოცარ ამბავს ნახავ, რომ არასოდეს დაგავიწყდება. ზოგჯერ ჩვენები რომელიმე უზარმაზარი შენობის პირველ სართულში შეიჭრებოდნენ, მერე კი ნელ-ნელა იწყებდნენ ზემოთა სართულების გაწმენდას. მოწინააღმდეგეც სულ ზევით მიიწევდა და, უკანასკნელ სართულს რომ მიაღწევდა, მერე ყრიდა იარაღს. იყო შემთხვევები, როცა მთელი კვირის მანძილზე „კეთილმეზობლურად“ ცხოვრობდა ორივე მხარე.

გერმანელები საღამოს ძაფზე მობმულ წერილს ჩამოუშვებდნენ და წყალს ითხოვდნენ. საოცარია მეომრის ბუნება! უგზავნიდნენ კიდეც. მერე ფრიცები ისე გათავხედდნენ, რომ ერთხელ ასეთი შეკვეთაც მოგვცეს:

— რუს, დავაი ვოდკა...

ჩვენებმა „ვოდკის“ მაგივრად ავტომატების ცეცხლი გაუგზავნეს...

... ასეთ პირობებში განყოფილების მუშაკებმაც აღმოაჩინეს მოწინააღმდეგის ჯარებს შორის მუშაობის ახალი საშუალება — ქალაქის ავტომატური სატელეფონო ქსელი, რომელიც ერთხანს კიდევ მოქმედებდა. ბეგი, ჩემი უნგრელი მთარგმნელი (უნგრულიდან გერმანულზე), ილონკა და ჩარიტა თავისუფალ დროს სულ ტელეფონებთან ატარებდნენ. ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, აქაც ბეგი აქტიურობდა: აკრეფდა ტელეფონის ნომრებს და, თუ უნგრელი უპასუხებდა, დაუძახებდა:

— ეი, იშტვან, რას იკლავ თავს მანდ გერმანელებისათვის... — და დაუწყებდა „ლექციის კითხვას“.

ილონკა ჯერ მიესალმებოდა ვიღაცას, მერე, ის რომ იკითხავდა ვინა ბრძანდებითო, უპასუხებდა:

— ფრანჩესკა გაალი!..

— ნუთუ მართლა?

და იწყებოდა ლაპარაკი, რომელიც ბოლოს ისევ ბეგის კონსულტაციით მთავრდებოდა. როგორც გამოირკვა, ამ „მუშაობაში“ შემდეგ სხვებიც ჩაებნენ.

ჩარიტამ არც უნგრული იცოდა და არც გერმანული, მაგრამ თავისი გაუთავებელი სიცილითაც ადვილად ამყარებდა კონტაქტს... სიცილს რომ მორჩებოდა, მერე რამდენჯერმე ჩაძახებდა ყურმილში „ჰიტლერ კაპუტო“ და ამით ვითომ ისიც ატარებდა „აღმზრდელობით მუშაობას“.

მერე მას განყოფილების ოხუნჯი ბიჭები წამოეშველნენ და „ფრიცების ჭკუაზე მოყვანის“ ახალი „უებარი საშუალებები“ გამონახეს. ისინი ეზოებში ძაღლებსა და კატებს იჭერდნენ, კუდზე სააგიტაციო ფურცლებს გამოაბამდნენ, რაღაცით გაამწარებდნენ და ერთი ჟივილ-წივილით გაუშვებდნენ მოწი-

ნაღმდეგის პოზიციებისაკენ. რომ ჰკითხავდნენ რას შვრებითო, ხუმრობდნენ, დიპლომატიური კურიერებით მემორანდუმს ვუგზავნით ფრიცებსო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ფრონტის ხაზს იქითა მხარეს ერთი ალიაქოთი ატყდებოდა. ეს ფრიცები და იშტვანები იჭერდნენ „დიპკურიერებს". მერე იქიდანაც გამორბოდა ძაღლი ან კატა და კუდით საპასუხო წერილები მოჰქონდა, ზოგჯერ ასეთი შინაარსისა:

— რუს, პროპაგანდა ნე კარაშო, დავაი ვოდკა!..

ჩარიტა „ვოდკის" მაგივრად უკან გასაბრუნებელ ძაღლს კუდზე ჰიტლერის პორტრეტს მიაკრავდა და ზედაც რამდენიმე „ტკბილ სიტყვას" მიაწერდა...

ამას ერთხელ ბეგის „გრანდიოზული ხუმრობაც" მოჰყვა: ღამით ბიჭებმა დუნაის პირას საკმაოდ მოზრდილი ტივი შეკრეს და ზედ დაამაგრეს ჰიტლერის უზარმაზარი კარიკატურა ასეთი წარწერით:

— გერმანელო ჯარისკაცებო! აი, ვინ არის თქვენი მტერი, ესროლეთ მას!

დილით ტივი მარცხენა მხრიდან შეაცურეს მდინარეში. მარჯვენა მხარეს გერმანელებისა და უნგრელების სანგრები იყო. ისინი ხედავდნენ თავიანთი ფიურერის კარიკატურას, რომელიც აღლუმის მიმღები მთავარსარდალივით მიჰყვებოდა მათ პოზიციებს, მაგრამ სროლას ვერ ბედავდნენ...

ფრანჩესკას ღიმილი...

ხანგრძლივი ჩხუბის შემდეგ ბეგიმ და ჩარიტამ საერთო პოზიცია ილონკას „გაუგებარი სილამაზის" დაწუნებაში იპოვეს. განყოფილებაში მომუშავე ქალები მოხიბლული იყვნენ ილონკას მშვენიერი გარეგნობით. ყველა მის „გველივით ტანსა" და მადიარული ეშხით სავსე სახეს აქებდა. ილონკა თვითონაც იფერებდა ამგვარ ქებას. ზედმეტად კეკლუცობდა, ყოველდღე იცვლიდა გარდერობსა და თმის ვარცხნილობას, უზარმაზარ საყურეებსა და სამაჯურებს ატარებდა, იმ დროისათვის საჩოთირო მოკლე კაბებს იცვამდა და ცდილობდა,

რაც კი რამ კარგი ჰქონდა. ყველაფერი „გამოფენაზე გამოეტანა“, განსაკუთრებით — ნატიფად ჩამოქნილი ლამაზი თითები... ამით ყველას ყურადღებას იქცევდა და თვითონაც ამაყობდა. ერთი-ორჯერ კინოშიც ყოფილა გადაღებული და პირადადაც იცნობდა თურმე განთქმულ უნგრელ კინოვარსკვლავს ფრანჩესკა გაალს.

ბეგის რომ არ მოსწონდა ილონკა, ეს გასაგებია: იგი არ იყო იმდენად „კოლოსალური“, რომ ბეგის გემოვნება დაეკმაყოფილებინა. ჩარიტას კი სულ სხვა რამ აწუხებდა. იგი ყველა ქალში თავის მეტოქეს ხედავდა, მაგრამ განსაკუთრებით — ილონკაში. აქამდე თუ ჩარიტას ტანს უქებდნენ, ახლა ამ მართლაც გველივით დაკლაკნილმა კეკლუცმა დაჩაგრა.

— რა ნახეს ამ სულელებმა ამ ასანთის ღერივით გამხმარ ქალში, — ამბობდა ჩარიტა.

— შემთხვევით რომ წამოედო და წააქციო, ხუთ ადგილას გადატყდება, ისე წვრილია ეს ოჯახქორი, — კვერს უკრავდა ბეგი.

ცხადია, ყოველივე ეს ილონკას ყურამდე აღწევდა, მაგრამ იგი არაფრად აგდებდა, პირიქით, უფრო კეკლუცობდა და ისე გამომწვევად იცვამდა, რომ ერთხელ ბეგიმაც კი შეუღრინა:

— ქალო, ყველაფერი რომ ვიტრინაში გამოვიწყვია, სირცხვილი არ იცი?

— თუ არ მოგწონს, რას მოგიშტერებია თვალები? — შეუბრუნა ილონკამ და სულ „ჭკუაზე შესაშლელი“ პოზა მიიღო. ბეგის თვალი ისევ წაუგორდა მისკენ, მაგრამ სოლიდურობა მაინც არ დაკარგა და თავი იმართლა:

— თვალი გამირბის ეს ოხერი, თორემ განა გულით გიყურებ.

— ვინც გულით არ უყურებს, თვალით ვერაფერს დაინახავს! — არ დაიბნა ილონკა, მაგრამ ბეგიმაც მოიმარჯვა თავისი „სოლიდური“ თქმა:

— თვალით მე ბევრ ვინმეს ვუყურებ, შე სულელო, გულით კი მარტო ერთს!

ვისო, რომ ჰკითხავდნენ, ის „ერთი“ იმდენი აღმოჩნდებოდა, რამდენსაც ბეგი თვალებს უქაჩავდა, ე. ი. ყველას, ვისაც ამას ეუბნებოდა, თვით იმ „კატის ნათრევ“ ილონკასაც.

ილონკაც ამიტომ გაეხუმრა მას.

— ბეგი, გინდა შენი ხათრით გავსუქდე?

ბეგიმ ამაზე უნგრული ანდაზით უპასუხა: ძაღლის კუდისაგან ქონი არ გამოვაო, თუ რაღაც ამის მსგავსი. მაგრამ „იმ წბილასავით წვრილამ“ მაინც მოძებნა კომპრომისის გზა.

— მაშინ, თუ გინდა, ყველაზე ლამაზ უნგრელ ქალს გაგაცნობ!..

— ვის? — დაინტერესდა იგი.

— ვისა და... ფრანჩესკა გაალს!

— აბა! — დააღო პირი ბეგიმ.

პეტერისა და პატარა დედის როლების შემსრულებელ ფრანჩესკას მაშინაც დიდი სახელი ჰქონდა არა მარტო უნგრეთში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. იგი საკმაოდ პოპულარული იყო ჩვენშიც. ამიტომ ყველა დაინტერესდა ამ ახალი „სუპრიზით“.

— მართლა თუ? — შეუჩნდნენ გოგოები.

— აბა, როგორ? ჩემი მეგობარია. კინოში ერთად ვთამაშობდით, მისამართიც ვიცი მისი. თუ კარგ ვახშამს გააწყობთ, დავპატიჟებთ კიდეც!

გოგოები დატრიალდნენ. ბეგიც დაუტკბა ილონკას, მაგრამ, შესაფერი „ფრანგული“ რომ ვერ იპოვა, უცებ რუმინული მოუნაცვლა:

— ფორმუოზა დომნიშუარა! (მშვენიერი გოგო ხარო), — თან იმდენი ეშმაკობა იხმარა, რომ ეს რუმინული სიტყვები უნგრელ ქალთან ფრანგულად გაასაღა...

... ფრანჩესკა გაალი მისი მოხუცი მენაჯერის ფერენცის თანხლებით მოვიდა და თავისი მომხიბვლელი ღიმილით მაშინვე მოინადირა ყველას გული. თავი უბრალოდ ეჭირა, ყველაფრის გამო აღტაცებას გამოთქვამდა, მაგრამ მის ყოველ მოქმედებას მაინც ფერენცი დირიჟორობდა. მანვე რაღაც სასწაულით გადაარჩინა ეს სახელგანთქმული ქალი ებრაელთა დარბევის დროს ბუდაპეშტში. გერმანული „ოკუპაციის დღეებში სადღაც სარდაფში ჰყავდა დამალული. ჩვენები რომ ბუდაპეშტს მიუახლოვდნენ, ფერენცმა ფრანჩესკა აღმოსავლეთისაკენ წამოიყვანა და საბჭოთა ჯარების განლაგებაში

აღმოჩნდა. აქ კი იგი უკვე საერთო პატივისცემით სარგებლობდა და ფერენციც კმაყოფილი იყო „იმ ანტისემიტური საშიშროების ასეთი ბედნიერი დასასრულით“.

მე ძალიან კარგად დამამახსოვრდა ამ გამოცანისებური ადამიანის უცნაური გამომეტყველება. მანამდე არც მინახავს მეორე ასეთი არაფრისმთქმელი სახე: ბრტყელი შუბლი, ცივი, ჭაობისფერი თვალები, მძიმე, მაგრამ უწამწამო ქუთუთოები და ისეთი აწკვერტილი ულვაშები, რომ ზედ ბუზი აეცმებოდა. მისი ნაცრისფერი სახე, გამოხედვა, მოძრაობა თითქოს გარკვევით არაფერს გაგრძნობინებდა. იგი ერთნაირი განურჩევლობით უყურებდა ქალს, კაცს, ნივთს, სილამაზეს, სიმახინჯეს. თითებისა და თვალების ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით ანიშნებდა ფრანჩესკას, თუ რომელი კერძი აეღო და რომელი არა, რა, დაელია და რაზე ეთქვა უარი. ეს იყო და ეს. მისი არსებობის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მუდამ „საჭირო რეჟიმში“ ჰყოლოდა ეს ქალი და სხვა ყველაფერი თუნდაც წყალს წაეღო. საკვირველია, როგორ იტანდა ასეთ მკაცრ მეურვეობას ეს ექსპანსიური ქალი, ასე მონუსხულივით როგორ ემორჩილებოდა მის ყოველ ნიშანს, თითებისა და თვალების მოძრაობას.

— მე მგონია, ამან შეიძლება გააგიჟოს ადამიანი, — თქვა ერთხელ პაოლომ. ფრანჩესკა კი, ეტყობოდა, ისე იყო ასეთ რეჟიმს შეჩვეული, რომ არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა. შენიშნა კი, რომ ეს ყველას უკვირდა, თქვა კიდეც:

— დიახ, ასეა. უკვე თხუთმეტი წელიწადია, რაც ბატონ ფერენცის მითითებით ვაკეთებ ყველაფერს. როგორც მეტყვის, ისე ვიქცევი. მის მიერ დანიშნულ დროს ვდგები, ვწვები, ვსეირნობ, ვსადილობ, ვმუშაობ... ისე შევეგუე ამას, რომ საკუთარ სურვილებსაც გადავეჩვიე. ვინმემ უცებ რომ მკითხოს, რას ისურვებდიო, ალბათ, ამასაც ფერენცს ვკითხავ, ჩემით კი ვერაფერს ვუპასუხებ. მე უკვე აღარც სურვილის უნარი მაქვს. როცა ადამიანი წლების განმავლობაში თანდათან შორდება საკუთარ აზრებსა და სურვილებს, მერე გიჭირს კიდეც უკან დაბრუნება. ახლა მე მხოლოდ ინსტრუმენტი ვარ სხვების ხელში, — დასძინა მან სინანულით, — ვისაც რა უნდა, იმას უკრავს ჩემი სულის კლავიშებზე, მე კი ვემორჩილები... სხვა არაფერი!

ბეგის გული აუჩუყა ფრანჩესკას ლაპარაკმა, თან სურვილს ვეღარ წაუვიდა და... ხელი „იმ საცოდავი დელფინისაკენ“ გაიპარა. ფრანჩესკამ ნაძალადევად გაიღიმა და გვერდზე გადაიხნიქა. ფერენცმა წარბები ზევით ასწია და თვალები დააჭყიტა, მაგრამ ბეგიმ დროზე დაიხია უკან, გასწორდა და, უხერხულობა რომ დაეფარა, რაღაც საოცრად მინაზებული ხმით წარმოთქვა:

— დიახ, ეს სკრუპულოზურია!

— რა ბრძანეთ? — შეეკითხა ფრანჩესკა.

რა ბრძანა, ეს თვითონ ბეგისთვისაც გაუგებარი იყო, ამიტომ...

— არაფერი, ქალბატონო, კარგი ცხოვრება გქონიათ. — უპასუხა მან დაბნეული ღიმილით.

— სულაც არ არის კარგი, — განაგრძო ფრანჩესკამ, — მაგრამ რას იზამ! ასეთი ყოფილა მსახიობის ბედი. ცხოვრებაშიაც სხვა ხარ და ეკრანზედაც სულ მუდამ სხვას განასახიერებ, საკუთარი თავი კი თვითონაც გავიწყდება.

მერე ხელი ჩაიქნია და დაუმატა:

— ახლა ყველგან დიქტატურაა: სახელმწიფოში, ოჯახში, სტუდიაში, გადამღებ ჯგუფში. ძველად თურმე მსახიობი განასახიერებდა იმას, რასაც გრძნობდა, ახლა — არა. ახლა რეჟისორმა უნდა იგრძნოს შენ მაგიერ. ეს კი აუტანელია!

— აუტანელი სულაც არ არის, — ჩაერია ლაპარაკში ილონკა. როცა კინოში მიღებდნენ, არავითარი უხერხულობა არ მიგრძვნია. პირიქით, ძალიანაც მომეწონა. ამას რა სჯობია? შენ მაგივრად სხვა ფიქრობს, სხვა ეძებს, განიცდის, გიჩვენებს როგორ გამოხატო! შენ კი თავისუფალი ხარ, თავს ძალას არ ატან, არც ნერვებს იშლი, უყურებ, იმახსოვრებ და იმეორებ. მერე კი, როცა ფილმი გამოვა, ასე გგონია თვითონ აკეთებდი ყველაფერ ამას. სხვებიც ასე ფიქრობენ...

— რას ამბობთ, ეს რა შემოქმედებაა! — შეაწყვეტინა ფრანჩესკამ.

— შემოქმედება რა ჯანდაბად გინდა, თუკი ასე უფრო ხელსაყრელია და მოსახერხებელი! — გაიკვირვა ილონკამ.

მთელი ამ ლაპარაკის დროს ფერენცს შუბლი ერთხელაც არ გაუხსნია. მის სახეზე ერთი ნერვიც არ შერხეულა, ისე

მონუსხულივით იჯდა და სულ თავის „ობიექტს“ უთვალთვალებდა. მერე დინჯად წამოდგა, ულვაშები საგულდაგულოდ გადაიწკვერტა და საოცრად პათეტიკური ხმით გამოაცხადა:

— ბოდიშს ვიხდი, ბატონებო, დროა ქალბატონი ფრანჩესკა დასასვენებლად წავიდეს!

ვერავითარმა თხოვნამ ვერ გაჭრა. მგონი უკვირდა კიდეც, ასეთ სისულელეს როგორ მთხოვენო...

... ორიოდე დღის შემდეგ თვითონ ფრანჩესკამ მიგვიწვია, ისე, უბრალოდ, სალაპარაკოდ, თორემ გასამასპინძლებელი არაფერი მაქვსო, მოგვიბოდიშა. თუმცა არცთუ მთლად ხელცარიელი დაგვხვედრია სტუმრებს. მოსამსახურე ქალს კარგი უნგრული კერძები გაეკეთებინა. რამდენიმე ბოთლი „ტოკაიც“ გაჩნდა და ომის პირობებში უკეთესი რა უნდა ყოფილიყო?!

მე იმ დღეს გავიგე, რომ უნგრეთში პოპულარული კერძების სახელწოდება მეტწილად გამოჩენილ მსახიობთა სახელებთანაა დაკავშირებული. ფრანჩესკამ ეს ასე ახსნა:

— არ გეგონოთ, თითქოს უნგრელი მსახიობები გურმანები იყვნენ. პირიქით, ისინი კვების ისეთ მკაცრ რეჟიმს იცავენ, რომ მათთვის სპეციალური კერძები მზადდება. ეს გადამდებია, მსახიობებს სხვებიც ბაძავენ... რამდენადაც ვიცი, ასე გაჩნდა ქათმის ბულიონი „ა ლა უიხაზი“. ცნობილ მსახიობს ედე უიხაზს კუჭის წყლული ჰქონდა და ეს კერძიც მისთვის შეიმზადდა. უნგრელ მსახიობ ქალს დერის ტრანსილვანიაში გასტროლების დროს ძალიან მოეწონა „კლუჟის კომბოსტო“, რომელსაც ამიტომ „დერის კომბოსტო“ შეარქვეს. ინდოეთიდან ჩამოსული ცნობილი მსახიობის საპატივცემლოდ გაჩნდა „ინდური ფუნთუშები“. მე კი, ბატონო, მხოლოდ „უნგრულ ბურბუშელას“ გეახლებით, მაგრამ მაინც ხომ ხედავთ, რომ კატასტროფულად ვსუქდები... ყოველთვის ასეთი როდი ვიყავი, აი, ნახეთ!..

ჩანთა გადმოაპირქვავა და მაგიდაზე უამრავი ფოტოსურათი დაყარა... მერე გვაჩუქა კიდეც თითო ცალი წარწერით, თან იმდენი საინტერესო ამბავი გვიამბო, დრო შეუმჩნევლად გაიპარა. ერთი-ორჯერ საჰაერო განგაშიც გამოცხადდა. ფერენცმა მაშინვე თავშესაფარში ჩაიყვანა იგი. ჩვენ ზევით დავრჩით.

როცა ქალაქში ბრძოლები მიმდინარეობს, რამდენი საჰაერო განგაში გამოცხადდება, იმდენი თავშესაფარში რომ ირბინო, სად წავა!..

...საღამოს ათი საათი იქნებოდა, ფერენცმა რომ ისევ გამოიტანა განაჩენი, ფრანჩესკას დასვენების დროაო. ყველანი წამოვიშალეთ. ფრანჩესკამ ხელები გაასავსავა: არავითარ შემთხვევაში, თქვენ ჯერ დარჩითო. ფერენცმაც სიმტკიცე გამოიჩინა და გვიბრძანა, თქვენ დარჩით, ეს მარტო ქალბატონ ფრანჩესკას ეხებაო.

ბეგიმ ვეღარ მოითმინა და მაინც თავისებური შეაპარა:

— თქვენისთანა კოლოსალური სილამაზე რომ წავა, მერე ჩვენ აქ რა ვაკეთოთ?!

— ეჰ, ჩემო ბატონო, — უპასუხა ფრანჩესკამ, — ჩემი სილამაზე სადღაა. ლამაზი აგერ ილონკაა, ვგიჟდები, ისე მომწონს, — ეს თქვა და წავიდა.

ბეგი საგონებელში ჩავარდა. ფრანჩესკამაც რომ ილონკას სილამაზე შეაქო, სულ დაიბნა: ნეტავი რა თილისმა აქვს ამ ნამარტალი კატის კუდივით გამხმარ ქალს ისეთი, რომ ყველა მის სილამაზეს შენატრისო...

... ფერენცმა თავისი „ობიექტი“ რომ მოასვენა, ისევ დაბრუნდა. ჩვენ წასვლა გვინდოდა, იქ დარჩენას მართლაც რა აზრი ჰქონდა, მაგრამ ეს სენიც გადამდები ყოფილა: ფერენცმა თითის უბრალო მოძრაობით გვანიშნა დაბრძანდითო, და ყველანი თოჯინებივით ჩამოვსხედით შემდეგი განკარგულების მოლოდინში. მსახურმა კიდევ ერთი ბოთლი ღვინო შემოიტანა და ცოტა ხანი ამან შეგვიქცია. მერე უხერხული მდგომარეობიდან ისევ ბეგიმ გამოგვიყვანა:

— პარდონ, მსიე, თქვენ რომელ კინოში თამაშობთ? — ჰკითხა მან ფერენცს.

ფერენცმა ნელა მიაბრუნა მისკენ თავი:

— მე მსახიობი არ გახლავართ, ჩემო ბატონო, — თქვა მან ჯულგრილად.

— როგორ არა, მე რომელიღაც კინოში გნახეთ!..

— ეს შეუძლებელია! — დინჯად გააქნია თავი ფერენცმა, მაგრამ ბეგი მაინც არ მოეშვა:

— არა, ნამდვილად გნახეთ, მაგრამ სად?.. ღმერთო მომაგონე... ჰო, გამახსენდა: კინოთეატრ „არიზონას“ ფოიეში ხანძარსაწინააღმდეგო პლაკატი ეკიდა, იმაზე დახატულ კაცს გავხართ. ძალიან მომწონს ის პლაკატი. როცა გამახსენდება, სიგარეტისათვის ცეცხლის მოკიდებისა მეშინია!..

პაოლომ ბეგის მუნდირი დაქაჩა.

ფერენცს სახის გამომეტყველება არც შეუცვლია, ისე მიუგო:

— არა, ბატონო, ის, ალბათ, სხვა იქნებოდა!..

ბეგი მიხვდა, რაღაც უადგილო რომ წარმოროშა და გაჩუმდა.

ფერენცი კიდევ რაღაც-რაღაცებით გაგვიმასპინძლდა და გვითხრა:

— ახლა შეგიძლიათ წაბრძანდეთ, ოღონდ ქალბატონ ფრანჩესკას ნაჩუქარი სურათები აქ დატოვეთ.

ჩვენ გაოცებით გადავხედეთ ერთმანეთს, მაგრამ უხმოდ დავემორჩილეთ მის განკარგულებას და სურათები მაგიდაზე დავალაგეთ.

— ქალბატონს ასეთი დაუდევარი ხასიათი აქვს, ყველაფერს ასაჩუქრებს. ის კი არ იცის, რომ ეს სურათები უკვე ისტორიას ეკუთვნის და არა მას!..

— კი მაგრამ წარწერები რომ აქვს! ყველას ჩვენი სახელი და გვარი აწერია! — უთხრა ილონკამ.

— არა უშავს, ეს ფაქტი უფრო საინტერესოს გახდის ამ ამბავს, ისტორია შეიძლება როდისმე ამითაც დაინტერესდეს! — თქვა მან და კარებამდე მიგვაცილა...

... შინ რომ დავბრუნდით, აქაც ნამდვილი „სუპრიზი“ დაგვხვდა: „ტყის ფერია“!

— შენ რომელმა ქარმა გადმოგაგდო აქეთ?! — გაიკვირვა ბეგიმ.

— ზურგის ქარმა, — მოუჭრა ფერიამ. მერე ერთხანს იკისკისა, იანცა, ბოლოს კი სრულიად მოულოდნელად გამოგვიცხადა:

— ჰო, მართლა, ჩემი ბებო მოკვდა!..

ერთი წუთით გაჩერდა, ვითომ მოიწყინა კიდეც, მავრამ მერე მაინც სიცილით დასძინა:

— ახლა მე სულ მთლად თავისუფალი ვარ და შემიძლია, საცა მინდა, იქ წავიდე, ვაშაა! — თან ტაშიც შემოჰკრა.

— თქვენები სად არიან? — ჰკითხა პაოლომ.

— ვენაში გაქცეულან. გიჟები არიან, თორემ რას გაბრიან?

— ბუდაპეშტში რატომ ჩამოხვედი, ვერ უყურებ აქ რა ამბავია!

— იყოს, მე რა მენაღვლება?

— ყუმბარებისა არ გეშინია?..

— არა, მე მარტო თაგვების მეშინია!..

ამას ისე ამბობდა, თორემ ზედვე ეტყობოდა, რა გულადიც იყო. მის ნამტირალევ თვალებს ნისლივით შეჰპარვოდა შიშისა და მწუხარების ჩრდილები. სადმე ახლო რომ ყუმბარა გასკდებოდა, უნებლიეთ წამოიკივლებდა, მერე უცებ გაჩერდებოდა და ნერვულ სიცილს აიტეხდა. ბეგის შეეცოდა და სადღაც მზარეულის საკუჭნაოში მოაწყო ესტერჰაზების ეს „ჩიტის რძით განბანილი მადონა“. დრო იყო ისეთი. მაშინ რაფაელის შედევრი „მადონა ესტერჰაზიც“, ალბათ, სადმე მუზეუმის სარდაფში იყო მიმალული.

მერე ერსტერჰაზებიც სამუზეუმო ექსპონატებად იქცნენ...

ჩაშლილი ზეიმი...

ბუდაპეშტში დიდი ბრძოლები დაიწყო. გერმანელებმა გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, მოეხდინათ ქალაქის ალყაშემორტყმული გარნიზონის დებლოკაცია. იანვრის დასაწყისში სალაშისტებმა მთელ ქალაქს მოჰფინეს უზარმაზარი აფიშები, რითაც იუწყებოდნენ, თვით ჰიტლერი მოდის თავისი არმიით ბუდაპეშტის გარნიზონის დასახმარებლადო.

ჰიტლერმა მართლაც აიღო თავის თავზე „პირადად და უშუალოდ“ ეხელმძღვანელა საომარი ოპერაციისათვის ბუდა-

პეშტში. სარდალთა შორის თითქოს არავინ აღმოჩნდა ამ „ყველაზე საპასუხისმგებლო ფრონტისათვის“ შესაფერისი და თვითონ იკისრა როგორც ბუდაპეშტის ალყის გარღვევა, ისე მისი გარნიზონის გათავისუფლება. იგი ამბობდა:

— მსოფლიო ისტორია შეიძლება შეჰქნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილად დადგები ფხიზელი გონების, ცოცხალი შეგნების ან დაუსრულებელი სიფხიზლის მიღმა და ყოველივე ამას შესცვლი ფანატიკური სიჯიუტით...

ახლაც ასეთი „ფანატიკური სიჯიუტის“ გამო სხვა, შესაძლოა, სინამდვილეში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფრონტების შესუსტების ხარჯზე ჰიტლერმა აქეთ გადმოისროლა ოავისი საუკეთესო დივიზიები, მათ შორის ოთხი სატანკო, ორი ქვეითი და ერთი კავალერიის ბრიგადა. აქვე იბრძოდნენ ესესელთა რჩეული შენაერთები: „ვიკინგი“, „ადამის თავი“ და სხვ.

1945 წლის ორ იანვარს გერმანია-უნგრეთის ჯარის ნაწილებში გაავრცელეს ჰიტლერის ბრძანება:

— თქვენ დაგეხმარებათ მძლავრი ავიაცია და არტილერია. უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რათა გავათავისუფლოთ ჩვენი მეგობრები. ოპერაციებს ვუხელმძღვანელებ მე თვითონ!

ალყაშემორტყმულ გარნიზონს აცნობეს, რომ მათ გაათავისუფლებენ სამ იანვარს. საღამოს მთავრობამ დაიწყო მზადება „გამათავისუფლებელი ფიურერის“ საზეიმო შეხვედრისათვის.

ჰიტლერმა გადაწყვიტა შეტევა ბუდაპეშტის დასავლეთით მდებარე, დუნაისპირა ქალაქ კომარნოდან განეხორციელებინა. ჩვენები ელოდნენ ამ შეტევას. თოვლით დაფარულ სანგრებში საიმედოდ შენიღბული შენაერთები მზად იყვნენ იერიშის მოსაგერიებლად...

... შეტევა საარტილერიო მომზადებით დაიწყო. შემდეგ წამოვიდა ავიაცია, ბოლოს — „ვეფხვის“ ტიპის მძიმე ტანკებით შეიარაღებული დივიზია „ადამის თავი“. ძალთა უპირატესობა აქ გერმანელთა მხარეზე იყო. მათი „ვეფხვები“ მოუახლოვდნენ ჩვენების დაცვის ხაზს. ზოგიერთმა მათგანმა გადაუარა კიდეც სანგრებს. სადღაც მეავტომატეებიც შემოიჭრნენ,

მაგრამ ამ ბრძოლაში გერმანელებმა ისეთი ზარალი ნახეს, რომ „გამარჯვებად“ არც ღირდა.

საღამოს ჩვენებმა მწყობრად დაიხიეს ახალ პოზიციებზე.

ბრძოლის ველი ბრიუგელის ნახატებს ჰგავდა. თეთრად გადალესილი მინდორი მძიმე ტანკების მუხლუხოთა შავი ხაზებით იყო „მოხატული“. აქა-იქ დამსხვრეული სამხედრო იარაღის მუქი სილუეტები ჩანდა. შავისა და თეთრის ამ მოძალებაში იყო რაღაც სისასტიკის გამომხატველი...

... სამ იანვარს ფიურერი ვერ შევიდა ბუდაპეშტში. მომზადებული ზეიმი ჩაიშალა. ბუდაპეშტის გარნიზონს შეუთვალეს, ფიურერთან შეხვედრის ცერემონია ერთი კვირის შემდეგ შედგებაო. გენერლებს არც ამისი იმედი ჰქონდათ. მათ აფიქრებდათ ის დიდი ზარალი, რაც შეტევის პირველ დღეს მოუვიდათ. ჰიტლერი კი მაინც გაიძახოდა:

— შეტევა, შეტევა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, მაინც შეტევა!

ეს, სხვა რომ არა იყოს რა, უკვე „სწორუპოვარი მხედართმთავრის“ პრესტიჟის საკითხიც იყო.

მეორე დღეს ისევ განახლდა იერიში, ისევ გაიმართა სისხლისმღვრელი შეტაკებები. გერმანელებმა ყველაფერი წინა ხაზზე გადმოისროლეს, კოლოსალური მსხვერპლის ფასად აიღეს კიდეც ქ. ესტერჰომი და ქ. ბიჩკეს მიადგნენ.

სალაშისტურმა პროპაგანდამ ისევ ატეხა ღრიანცელი „ფიურერის უდიდესი გამარჯვების“ შესახებ. გებელსი სულ ახალ-ახალ ეპითეტებს იგონებდა ჰიტლერის „მხედართმთავრული გენიის“ შესამკობად. სარდლები კი მაინც საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი იმ მძიმე დანაკლისის გამო, რაც შეუძლებელს ხდიდა შეტევის წარმატებით განვითარებას. ჩვენები დინჯად ამზადებდნენ კონტრშეტევის გეგმას. ესტერჰომის ასაღებად გერმანელებმა იმდენი ძალა დახარჯეს, რომ უკვე ბიჩკეს ვეღარ მოერივნენ. ამ ქალაქის დამცველთ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ სწორედ აქ წყდებოდა ბუდაპეშტის ბედი.

— არც ერთი ნაბიჯი უკან! — ასეთი იყო ჩვენი სარდლობის ბრძანება. მებრძოლებმა იცოდნენ: რაკი ასეთი ბრძანება გაიცა, უნდა შესრულებულიყო კიდეც! ხუთ დღეს გრძელდე-

ბოდა გააფთრებული ბრძოლები. ხუთ დღეს აწყდებოდნენ ტალღებად ჩვენი თავდაცვის ხაზს გერმანელთა ყველაზე საუკეთესო დივიზიები. ავიაცია, არტილერია, მოტომექანიზებული ძალები, მოძრავი ქვეითი ბრიგადები — ყველანი ბრძოლაში იყვნენ ჩაბმული, მაგრამ ჩვენს მებრძოლებს მართლაც ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან.

ჰიტლერი გაცოფდა. მისი მხედართმთავრული პრესტიჟი შეირყა. შეტევის ძალა გამოილია, მაგრამ ის მაინც ჯიუტობდა. ახლა, 13 იანვარს, შემოვალთ ქალაქშიო, შეუთვალა უკვე სასოწარკვეთილ გარნიზონს. ტაქტიკური მოსაზრებით შეტევის ძალამ სამხრეთისაკენ გადაინაცვლა. აქაც არაფერი გამოუვიდა და „უძლეველი ფიურერი“ იძულებული გახდა მეოთხედ შეეთვალა ბუდაპეშტის გარნიზონისათვის, ძალთა გადაჯგუფების გამო ქალაქში შემოსვლა გადადებულიაო. თან ანუგეშებდა, ჭირს ნუ გაუტყდებით და მალე დაგეხმარებითო.

ამბობენ, ნუგეში თავმოჭრილ მკვდარსაც ეთქმისო, მაგრამ როდის ან რით დაეხმარებოდნენ ბუდაპეშტის განწირულ გარნიზონს, ეს უკვე ჰიტლერმაც აღარ იცოდა...

... 18 იანვარს გერმანელებმა სცადეს ბალატონის ტბასთან გაერღვიათ საბჭოთა არმიის დაცვის ხაზი. აქ მათ თავი მოუყარეს ყველაფერს, რაც კი გააჩნდათ, ბრძანებაც იქნა გაცემული „ბუდაპეშტის აუცილებელი გათავისუფლების“ შესახებ. ჯარისკაცებს სპეციალურად დაადებინეს ფიცი ფიურერის წინაშე, რომ უსათუოდ შეუსრულებდნენ სურვილს. ჰიტლერის გაბოროტებამ იქამდე მიაღწია, რომ ბრძანება გასცა — „საბჭოთა ტყვეები ადგილობრივ დახვრიტეთო“...

დაიწყო შეტევა, უფრო ძლიერი, ვიდრე ესტერჰომთან. ბრძოლის ამ უბანზე ჰიტლერმა დივიზია „ლაიბშტანდარტი ადოლფ ჰიტლერი“ გადმოისროლა თავისი ფავორიტი გენერლის ზეპ-დიტრიხის მეთაურობით. რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა აიღეს ქ. სეკეშფეხეშვარი და დუნაის ნაპირზე გამოვიდნენ. აქედან იერიში ბუდის მიმართულებით უნდა განევითარებინათ.

ისევ ატყდა პროპაგანდისტული აურზაური. ბუდაპეშტის გარნიზონი ერთხელ კიდევ მოემზადა „უძლეველი ფიურერის“

შესახვედრად. მდგომარეობა მართლაც დაძაბული იყო. გერმანული ტანკები ცდილობდნენ ბუდისაკენ გაჭრილიყვნენ, მაგრამ ჩვენმა სარდლობამ ისევ გასცა ბრძანება:

— არც ერთი ნაბიჯი უკან! მტერი არ უნდა შევიდეს ბუდაპეშტში!..

ასეც მოხდა. კლდის კბილებით მტვრევა ძვირად დაუჯდათ გერმანელებს. არ იქნა და ვერ გაარღვიეს ალყა, ვერ გატეხეს საბჭოთა მებრძოლების ნებისყოფა და ერთი ნაბიჯითაც ვერ დაახევინეს უკან. ვინ იცის, რამდენნაირი ზღაპრული გმირობა იქნა იმ დღეებში ჩადენილი! მე ყველაზე უფრო ის მაოცებდა, სანგრებში მსხდომი ჯარისკაცები რომ მტრის ტანკებს „გადაატარებდნენ თავიანთ თავზე“ და მერე ქვეით ნაწილებს „მოცელავდნენ“ ავტომატთა ცეცხლით. ამას ხასიათის განსაკუთრებული სიმტკიცე და რკინის ნერვები უნდა. მერე ერთმა მატროსოვის გმირობა გაიმეორა, მეორემ ტანზე ხელყუმბარები შემოიკრა და ტანკს შეუვარდა. არტილერისტებმა პირდაპირი დამიზნებით გაუხსნეს ცეცხლი მოწინააღმდეგის მოტომექანიზებულ ძალებს.

მე მაშინ საზენიტო არტილერიის ნაწილებთან ვიყავი და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეთაურმა უბრძანა მებრძოლებს იმათაც პირდაპირი დამიზნებით ესროლათ ტანკებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს საზენიტო არტილერიის სამხედრო სკოლაში ვსწავლობდი, ასეთი რამ პირველად გავიგონე. მერე ვაზნებსაც ვაწვდიდი არტილერისტებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საქმე ძნელია: ჩვენმა საზენიტო ქვემეხმა ვერც ერთი ყუმბარა ვერ მოახვედრა მტრის ტანკს...

... მერე ის მოხდა, რაც ადრე მხოლოდ გამეგონა ან შორიდან მენახა... მტრის ტანკებმა სანგრები გადმოლახეს და საზენიტო არტილერიის განლაგებაშიც შემოიჭრნენ... ერთი ტანკი პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდა. რამდენჯერმე ესროლეს მეზენიტეებმა, მაგრამ უშედეგოდ. კიდევ ერთი-ორი წუთი და... დაიწყებოდა „მუხლუხოებით ჭყლეტა“... მეთაურმა გვიბრძანა და სანგრებს მივაშურეთ. მე მაინცდამაინც სანგრის ბოლოში მოვხვდი... მარჯვნივ ვერსად გავიწოდი, მარცხნივ კი სხვები

იყვნენ... ტანკი კი სწორედ აქეთ წამოვიდა და... გული გადამიქანდა, თან ისე დავიბენი, რომ სანგარში ჩაწოლის ნაცვლად ფეხზე მდგარმა განძრევაც ვერ მოვახერხე... თვალები დავხუჭე მხოლოდ... ტანკმა გრუხუნით ზედ ჩემ გვერდით გადაიარა და ღრმა, მაგრამ ვიწრო, თანაც ტალახიანი სანგრის კედლები ისე მიაჭყლიტა ერთმანეთს, რომ მე მხოლოდ თავი და რატომღაც მაღლა აწეული ცალი ხელი დამრჩა ჩაუმარხავი...

ახლაც მიკვირს, ამ დაბნეულობაში ეს ხელი ტანკის შესაჩერებლად ხომ არ ავიქნიე-მეთქი ინსტინქტურად... ყოველ შემთხვევაში, ასე მეხუმრებოდნენ გადარჩენილი არტილერისტები, რომლებმაც რის ვაი-ვაგლახით ამომთხარეს მიწიდან...

საველე არტილერია კი მართლაც სასწაულს ახდენდა. პირდაპირ უმიზნებდა გერმანელთა შემოჭრილ ტანკებს და შიგ მუხლუხოებში ურტყამდა. ამ „ხელჩართულ ბრძოლაში“ მალე „ილუშინებიც“ ჩაერივნენ. ისინი ყუმბარებს აყრიდნენ მოწინააღმდეგის ტანკთა ახალ-ახალ ეშელონებს და რეზერვების შემოყვანის საშუალებას არ აძლევდნენ მტერს. ჩვენს განლაგებაში სოლივით შემოჭრილი ტანკები კი ჯერ შეჩერებულ, ხოლო შემდეგ უკუგდებულ იქნა...

...ჰიტლერელთა მიერ გამოცხადებული ზეიმი საბოლოოდ ჩაიშალა. განრისხებულმა ჰიტლერმა გაამწკრივებინა თავისი ლაიბშტანდარტ „ადოლფ ჰიტლერის“ გადარჩენილი მებრძოლები და ოფიცრები, რომელთაც, ნიშნად განსაკუთრებული პატივისცემისა, უზარმაზარი სამკლავეები ეკერათ წარწერით — „ადოლფ ჰიტლერი“. ახლა თავად იმ ადოლფ ჰიტლერის ბრძანებით ყველას სამკლავეები და ორდენები ჩამოაგლიჯეს. გამწარებული ჯარისკაცები და ოფიცრები ტიროდნენ. ბევრმა შეურაცხყოფა ვერ აიტანა და თავი მოიკლა. სხვებს ეგონათ, ეს დამამცირებელი ბრძანება ჰიმლერის მიერ იქნება გაცემული. ჩამოგლეჯილი სამკლავეები და ორდენები მათ პროტესტის ნიშნად ჰიტლერს გაუგზავნეს, მაგრამ ფიურერის რისხვას ამით არა დაჰკლებია რა. მან სასტიკად დასაჯა სხვა დივიზიების მეთაურებიც „უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებათა შეუსრულებლობის გამო“...

... ამასობაში საბჭოთა არმიის შენაერთები კონტრშეტევისათვის მოემზადნენ. ბუდაპეშტის გარშემო მარყუჟი მნიშვნელოვნად შევიწროვდა. შიგ ქალაქშიც გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ჩვენი განყოფილების ოფიცრები შეძლებისდაგვარად მონაწილეობას იღებდნენ ამ ბრძოლებში. ანატოლი და ჩარიტა ყოველღამ თავს დასტრიალებდნენ ბუდაპეშტის გარნიზონს. „იერიქონის მიმდევრებმაც“ იშოვეს მოხერხებული პოზიციები და გადასცემდნენ ცნობებს გერმანელთა კონტრშეტევის ჩაშლისა და მათი წინააღმდეგობის უაზრობის შესახებ. ღამღამობით ისევ ტელეფონების წკრიალი ისმოდა:

— აბა, იშტვან, ალაყაფის კარი გააღე, შენი ფიურერი მობრძანდება! — ხუმრობდა ბეგი.

ადრე ასეთ ხუმრობას გინებით უპასუხებდნენ, ახლა კი მორცხვად გაისმოდა:

— ეი, ძმაო! რა დროს ხუმრობაა, თქვი როგორაა საქმე!

პასუხის მაგივრად ბეგი და „ტყის ფერია“ „მფრინავ ფურცლებს“ უკითხავდნენ თავიანთ „ძმებს“, ხოლო ისინი ინტერესით უსმენდნენ.

ასეთი ხანგრძლივი საქალაქო ბრძოლის პირობებში საჭირო იყო მუშაობის ახალი ტაქტიკის გამომუშავება, რაც გაკეთდა კიდეც. ამან ერთგვარი შედეგებიც გამოიღო, განსაკუთრებით უნგრულ ნაწილებში, გერმანელები კი ისევ გააფთრებით იცავდნენ ყოველ სახლს, ყოველ ქუჩას, ბაღს, სკვერს... სასაფლაოსაც კი...

ავლაბრელი ტიღუას ამბავი...

მე სწორედ კერეპეშის სასაფლაოსათვის ბრძოლა დამამახსოვრდა კარგად. იქნებ იმიტომ, რომ ამაში მართლაც იყო რაღაც პარადოქსული: ბრძოლა სასაფლაოსათვის! საფლავებს შორის გათხრილი სანგრები, მიწიდან ამოყრილი ძვლები, დამსხვრეული ძეგლები და გუმბათმოგლეჯილი ეკლესია, მარმარილოს ანგელოზთა ნამსხვრევები, თავმოგლეჯილი ბიუსტები, დალეწილ საფლავთა ლოდები. მთელი სასაფლაო ყუმბა-

რებით იყო გადათხრილი, ცოცხლები და მკვდრები— ერთმანეთში არეული. ყოველივე ეს განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ღამით. მებრძოლები შეძრწუნებული იყვნენ საფლავებს შორის წოლით. სხვაზე უფრო, მგონი, ეს მე განვიცადე, რადგან სწორედ აქ მომიხდა სამ დღე და ღამეს ყოფნა. ომამდე ღამეს სასაფლაოზე რა გამათენებინებდა! ახლა კი სამი ღამე დავყავი. უფრო პირველი ღამის გათენება გამიჭირდა. სანგრებში, ვისთანაც მოვხვდი, ასე თუ ისე, შეჩვეული იყვნენ. ზოგზე სულაც არ მოქმედებდა ამგვარი გარემოცვა. მე ოდნავადაც ვერ შევეგუე. განსაკუთრებით მთვარიან ღამეს გამიჭირდა. ეს მართლაც საშინელია: ბნელში თეთრად მოჩანს გამხმარი თავის ქალა და კბილები. ასე გგონია დაგცინისო. დაგცინებს, აბა, რა იქნება: მკვდარს საფლავში არ ვაყენებთ და სასაფლაოსათვის ერთმანეთს ვხოცავთ! ტრაინინი გამახსენდა, მისი ქარაგმები ბალდახინისა და სასაფლაოს შესახებ. ვფიქრობ, იქნებ მართლაც მოვიდა ჩემი ცხოვრების ბალდახინი კერეპეშის სასაფლაომდე-მეთქი. არ ვიცი, სხვა რაზე ფიქრობდა ამ დროს, მაგრამ ყველა ერთ ყოფაში კი ვიყავით და სიკვდილის ამ სამეფოშიც ვიბრძოდით სიცოცხლისათვის. თითქოს სასაფლაოს უბრძოლველად გვამადლიდეს ვინმე! ან ომის დროს სასაფლაო რად გინდა: სადაც ტყვია მოატანს, შენი საფლავიც იქ არ არის?!..

... სულ რომ ჩამობნელდა, ხმაური თანდათან მიწყდა. ჯერ მთვარე არ ამოსულიყო. საშინლად ციოდა. სანგარში ვიჯექი და არ ვიცოდი, შიშისაგან უფრო მიკაწკაწებდა კბილები, თუ სიცივისაგან! ეს სიჩუმე სულ აუტანელი იყო. სანამ ბრძოლა მიმდინარეობდა, ყურადღება გაფანტული მქონდა, ახლა კი ამ მართლაც „სამარისებურმა სიჩუმემ“ სულ გამომიყვანა მოთმინებიდან. ძილი არ შემიძლია, თავს კი ძალას ვატან, მინდა ჩავთვლიმო მაინც, მაგრამ არაფერი გამომდის. თვალებს ვხუჭავ... უაზროდ ვითვლი ციფრებს... სულერთია, არა და არ მეძინება. უნდა ვინმეს ველაპარაკო, მაგრამ ვის? ყველა გატრუნულია და ძილს ებრძვის. მეც გავინაბე. ხანდახან სადღაც ახლო ყუმბარა ან ნაღმი გასკდება, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევს. მერე ისევ ღრმა დუმილი მოიცავს იქაურობას.

ისევ ვცადე ჩაძინება, მაგრამ ამაოდ. რამდენჯერ გამომიცდია: როცა თავს ძალას ატან, რომ როგორმე ჩაგეძინოს, პირიქით, უფრო იფრთხობ ძილს. ახლაც ასე მოხდა და გავჩერდი. მერე იქვე ახლოს, მეზობელ სანგრებში, ჩხუბი ატყდა, ერთხანს იჩოჩქოლეს და ისევ მიწყნარდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ კი იქიდან ქართული სიმღერა მომესმა, ნამდვილი ჩვენებური, ქალაქური ბაიათი:

საყვარლსა გულითვინ
ღვინო დამილევია!..

ყურები ვიცქვიტე. მერე იგივე განმეორდა.

— ჰეი, რომელი ხარ მანდ! — შევძახე მეც ქართულად.

— ვაჰ, ქართველი ხარ? ჩემი თავი მოგიკვდეს!

სიბნელეში ძლივს გავარჩიე, რომ ვიღაც ჩემკენ მობობღავდა.

— რომელი ხარ, ხმა ამოიღე, მკვდარი იძახი, თუ ცოცხალი! — გავიგონე ისევ ქართულად.

— მე ვარ, აქეთ მოდი! მკვდარი რომ ვიყო, რას დავიძახებ, შე კაცო!

— რა ვიცი, მე ამათი მკვდარი და ცოცხალი... აქ რამეს გაარჩევ?!

მერე ჩემ თვალწინ აჩრდილმა გაიელვა და სანგრებში ერთი ტანმორჩილი ჯარისკაცი ჩამოხტა:

— სადაური ხარ, ჯიგარო? — მომაძახა მაშინვე.

-- თბილისელი ვარ.

— ვაჰ, თავი მომიკვდეს, მეც ხომ თბილისელი ვარ! აფსუს, ძმაკაცს დუქანში უნდა შეხვდე, ამ ხოჯევანქის სასაფლაოზე კი არა.

მოვიკითხეთ ერთმანეთი, მე ჩემი უთხარი, იმან — თავისი. მერე ბნელში რომ გაარჩია, ოფიცერი ვარ, წამოიძახა:

— ვაჰ, მაიორი ხარ! პაჩოტი მომიხსენებია, შე კაცო! მაიორი თუ ხარ, აქ რა გინდა, იქით ვერ წახვალ, ადგილი ცოტაა?! — გაიკვირვა მან.

— საქმე მაქვს. — ვუთხარი მე.

— სასაფლაოზე რა საქმე გაქვს, შე კაცო, ქალაქში წადი, იქ მოისვენე, მკვდრების დასაცინი არ გახდები მაინც!

რა გქვიან-მეთქი, რომ ვკითხე, უფრო გამაცინა:

— დიოგენა მქვია, ისე ძმა-ბიჭებში ტიღუას მეძახიიან!

— დიოგენი თუ იცი მაინც ვინ იყო, იმისი სახელი რომ დაურქმევიათ, — ვკითხე მე.

— ჰო, ვაჰანას უთქვამს, ერთი ტუტუცი ვინმე იყო, ხელში ფარანი ეჭირა და კაცის ჭკუას ეძებდაო. ტუტუცი რომ არ ყოფილიყო, ფარნით ჭკუას იპოვი?! ან იმდენი ჭკუა სად არის, რომ ქუჩაშიც ეყაროს! ვერა ხედამ, სასაფლაოს გულითვინ ერთმანეთს ხოცამენ?!

— ტიღუა ვინ შეგარქვა, თუ გახსოვს? — დავინტერესდი.

— ვაჰ, როგორ არ მახსომს! ნათლია, პირის ზიარება, ჩვენი ვაჰანა იყო. ეგრე პატარა რო არა ვარ, ვაჰანა ამბობს, შენ ისეთი ტიღუა ვინმე გაჩენილხარ, დიდი ჭკუა თუ არ მოაგროვე, დაიკარგებიო. ჭკუა სად უნდა მოვაგროვო, ვის დაჰკარგვია, რომ მე. ტუტუცს, მომცეს?!..

სიჩუმის მეშინია და ათას სისულელეს ვეკითხები. ავლაბრელი ტიღუა კი ისე სასაცილოდ ყვება ყველაფერს, რომ მართობს კიდეც. არასოდეს შემხვედრია კაცი, რომელიც სულ ასე ანდაზებითა და ქარაგმებით ლაპარაკობდეს. წინადადებას ისე არ იტყვის, რამე „ავლაბრული სიბრძნე“ არ გაურიოს.

— შენ ხომ არ ჩხუბობდი, იქით რომ აყალმაყალი იყო? — შევეკითხე.

— მე ვიყავი, მა!..

— ვის ეჩხუბებოდი?

— ჩვენს სერჟანტს, მე მაგისი ოხერი... რომ უყურებ, კაცსა ჰგამს, ისე კაპიკს არ მისცემ.

— რატომ ეჩხუბე? — არ მოვეშვი მე.

— სულ იმას იძახის, შენთვის ლიჩნი აკოპი გათხარეო. სადა, კაცო, სად უნდა ვთხარო-მეთქი, ვერა ხედამ, სულ საფლავებია! განა ესმის?! შენ საფლავს რას დაეძებ, მიდი და თხარეო. თხარე რა, მამიშენის ბოსტანია, მკვდარს საფლავში არ აყენებ-მეთქი? მაგრამ რამეს გააგონებ თუ?! მე რომ ვამბობ, ხარია-მეთქი, ის ამბობს, მიდი, მოწველეო! აბა, ასეთ კაცს ჭკუას ასწავლი?! ვირის ყურში სძინამ, მითომ არაფერი,

შენი ჯავრი სულაც არა აქვს. ის კი არა, თავზე რო ცეცხლი გეკიდოს, იტყვის, აქეთ მოიწი, პაპიროსს უნდა მოვუკიდოო. მაგან სირცხვილ-ნამუსი რა იცის, სახეში შეაფურთხო, ვაჰ, რა წვიმა მოდისო, გეტყვის. სერჟანტი რომაა, თავი დიდი ვინმე ჰგონია. ის ცხონებული ვაჰანა იტყოდა: მამალმან კრიშაზე დადგა, ხედამთ, ეს სახლი რას უძლებსო?! რას იზამ, ეგრეა, სერჟანტია, მაგრამ მაინც ჩემი უფროსია და მამუშავებს. რომ დავიღლები აკოპის თხრითა, ვეუბნები, ქათამი წყალს დალემს, ღმერთს შეხედამს, შე კაცო, დაიცადე, მუხლებიდამ ქარი ამოვიღო-მეთქი. საქმეში ხარ! ყვირის, მიდი იმუშავეო. ვიმუშავე, განა არ ვიმუშავე: ისეთი აკოპი ამოვთხარე, ვარანცოვის დვარეცს ჰგამს. სულ ბოლოს რომ გავედი, ვხედამ, კაცი წევს, არა, კაცი კი არა, სკელეტი! აბა, მაშინ გავგიჟდი! გავიქცე მინდა, ხელი წამავლო, ისევ იმ აკოპში ჩამაგდო და მეუბნება, მიდი, ეს ძვლები ამოყარეო. გამაგიჟა კაცი! ძვლები როგორ უნდა ამოვყარო-მეთქი... არა ვქენი. იმანაც აიღო, ფეხით ის ძვლები ჩემკენ მოახვეტა, მერე დაწვა და დაიძინა. ვაჰ! ეს რა ვნახე! აქეთ ძვლები ყრია, იქით იმას სძინამს. მე სად უნდა წავიდე! ზემოთ ამოვალ თუ? ვერა ხედამ, ნემეცი ტყვიით თავსა პარცამს. სხვა ჩარა რომ არ იყო, თვალები დავხუჭე და ის ძვლები რიყის ქვებივით ამოვყარე. მერე მითომ მეც დავწექი. კაცო, გინახამს კაცი თავისით საფლავში წვებოდეს და იქაც არ აყენებდნენ! გაიღვიძა და წიხლი გამკრა, გვერდზე მიდექიო... შე ოხრის გიჟო, ვეუბნები, გამიგონია: თევზმან თევზს უთხრა, იქით მიიწიეო. ვაჰ, სად უნდა მივიწიო, ვერა ხედამ, ერთ ტაფაში ვართო. შენსას გაიგონებს?! შენ აქეთ ეუბნები, ის იქითა ზიდამს. ჯორსა ჰკითხეს, დედაშენი ვინ არიო და, მამაჩემი ცხენიაო. ეგრეა რა, რო არ გავიწიე, კიდენ წიხლი მკრა და მეუბნება, ვიბროსიტო, მითომ სულ გაგაგდებ აქედანო. იცის, მე თათრულსაც ვამბობ, არა, ის მაინც რუსულად ფქვამს, ვიბროსიტო. ნიეტუ ვიბროსიტ-მეთქი, ახლა მეც რუსულად ვეუბნები. რუსულისა ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ თათრის რუსულს მაინცა ჯობია... განა გაჩერდა! ვონ აქედანო. შენ თითონ ვონ-მეთქი, ვუთხარი და ახლა მე მივარტყი წიხლი. გინახამს?! ორი კაცი რო საფლავში იჯდეს და ერთმანეთსა კლამდეს, ეს საფლავი არა ჩემია და არა ჩემიო. მე ოფ-

ლი დამიღვრია იმის ამოთხრაში, ეს თათარი კი მუქთად წვება და მეც მაგდებს.

წიხლი რომ მივარტყი. ვაჰ, რა გული მოიყვანა! გულმოსული თათარი გიჟ მოზვერზე უარესია. ადგა და ფეხზე წამოჯრა. მეც წამოვხტი. ვიბროსიტო, დამიყვირა. ისევ ნიეტუ-მეთქი, გავუმეორე. შენი მატიო მოაყოლა. ვაჰ, წამეკიდა, მაგრამ რა წამეკიდა! თათარმა მატი როგორ უნდა მითხრას-მეთქი, და გავკარი... ტიღუა რომ ვარ, ესე ნუ მიყურებ, ხარის ჯანი მაქვს... გავკარი თუ არა, ჩაიჩოქა და იყვირა, მკლამსო. გაგვაშველეს, მერე კიდეც შეგვარიგეს და იმ ერთ საფლავში ისევ ორივე ჩავწექით. მარა ძილი არ გინდა?! რა დაგაძინებს, კაცო, მართლა მკვდარი ხომ არა ხარ, საფლავში იძინო!..

როგორც იქნა, გაჩერდა. ხელი ხელს შემოკრა და დააყოლა:

— ვაჰ, მე ამ ხალხისა რა ვთქვა! ვერა ხედამ, მკვდრებსაც ხოცამენ!.. მაგათ ჭკუა რომ ჰქონდეთ, რაღა ამ სასაფლაოზე აკლამენ თავს! ახლა აქ რო ამ საფლავში მომკლან, სასაცილო არ იქნება?! იმ ქვეყანაში არ გინდა ვაჰანას შეხვდე! არ მეტყვის, შე ტუტუცო, სასაფლაოსთვინ თავს რად იკლავდი! ეგ თუ გინდოდა, მითომ ხოჯევანქისა არ გეყოფოდაო? აბა, ერთი ვაჰანა იყოს აქ, ის იტყოდა მაგათ ჭკუისას რამეს!

მე მინდოდა კიდევ ელაპარაკა და ვკითხე:

— ვაჰანა ცოცხალი არ არის?

— არა, წავიდა ის საწყალი ქოთნის საკეთებლად. კარგი ვინმე კი იყო. უნდოდა — ეშმაკს პერანგს ჩააცომდა, უნდოდა — ქვეშის ოოკს დაგრეხდა. ისეთი პაჩოტნი იყო ჩვენს ქუჩაზე, ყველასაც თავს არ დაუკრავდა. ამასაც ვაჰანა ამბობდა, თორემ მე რა ვიცი ყველნი ვინ ოხერია! შავი კაბის კალთით გამოზრდილი იყო ის უბედური. მერე ისეთი გამდიდრდა, რო ქონება სუ ბანში ამოსდიოდა. მაგრამ რა გინდა, ბოლოს მაინც ქვევრში ჩაიხრჩო. იმ უბედურს დედის რძეზე უფრო ღვინო უყვარდა. ქუდმოუხდელი ღვინოს არ დალევდა. მე სულ იმისი უნივერსიტი მისწავლია. ტანით პატარა რომ ვარ, განა ჭკუაც ეგრე მაქვს. ბევრი მესმის. თუ იცი ყურმან დიდი რატომ იზრდება? ბევრი ესმის და იმიტომ. ტიღუა კი ვარ, მაგრამ ვაჰანას უნივერსიტი დამიმთავრებია. ის ტუტუცი კი მჩაგრამს.

მერე ერთხელ რომ მოუწვა გუდა, აღარც გაათავა ლაპარაკი. საიდანღაც ბეგის „აკადემიამ“ დაიწყო მუსიკის გადმოცემა. ამან სულ გააგიჟა ის საცოდავი ტიღუა. ეს ვინ გიჟის ოხერია, მუზიკას რო უკრავსო. მერე ჩარიტას „მფრინავმა ფილარმონიამ“ რომ გადაიფრინა, ტიღუამ იყვირა:

— მიდი, ჯიგარო, მიდიი!..

თან შუბლზე ხელი იტკიცა და დააყოლა:

— ვაჰ! მე ვგიჟდები, თუ სხვა გიჟდება! გაგონილა, კაცმან კაცი კლას, ტო ესტ, ცოცხლად საფლავში ჩასოს, იმან მუზიკა უკრას?! ვაჰ, ყეენობაა, მა რა ოხერია!

მერე რომ ყველაფერი მიწყნარდა, მთხოვა:

— მოდი ერთი, იმ ჩვენს ლიჩნი აკოპში მინახულე. ის ტუტუცი სერჟანტი რო ნახამს, მაიორი ძმაკაცი ჰყოლიაო, უფრო პაჩოტნათ მომექცევა.

ხვალ დილით მოვალ-მეთქი, შევპირდი...

... დილით არტილერიის ძლიერმა ცეცხლმა გამაღვიძა. თხუთმეტი წუთის განმავლობაში ბომბავდა მოწინააღმდეგე ჩვენს პოზიციებს. მერე შვიდმა „იუნკერსმაც“ ლაზათიანად „დაგვაუთოვა“.

ცეცხლი რომ ოდნავ შენელდა, ტიღუას „ლიჩნი აკოპისაკენ“ გავწიე... ცარიელი ორმო დამხვდა: ყუმბარას ნაფლეთებად ექცია ტიღუაცა და მისი სერჟანტიც.

მათ „ლიჩნი აკოპს“ გასაფრენად მომზადებული, მაგრამ ფრთებმოტეხილი მარმარილოს ანგელოზი დაჰყურებდა შეშინებული...

არეული მისამართები...

რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა ბუდაპეშტისათვის. ჩვენმა სარდლობამ აქ მნიშვნელოვან ძალებს მოუყარა თავი. ოფიცრები და ჯარისკაცები მოუთმენლად ელოდნენ ნიშანს. ქალაქის უაზრო წგრევის თავიდან ასაცილებლად ეს ნიშანი წინასწარ მოწინააღმდეგეს მიეცა. საჭირო იყო ულტიმატუმის წარდგენა და გაფრთხილება. ეს დავალება ჩვენი განყოფილების „არტილერიასაც“ მიეცა. მე და

ბეგიმ მიკროფონთან წავიკითხეთ სარდლობის მიმართვა მოწინააღმდეგის გარნიზონისადმი, რომ დილით ამა და ამ საათზე, ამა და ამ ადგილას გამოვლენ საბჭოთა პარლამენტიორები და გაემართებიან გერმანია-უნგრეთის ჯარების პოზიციისაკენ ულტიმატუმის გადასაცემადო. ამასთანავე დრო, ადგილი და მიმართულება ზუსტად იყო ნაჩვენები.

ამ ცნობის გადაცემა მცირე ინტერვალებით მთელი დღე და ღამე გრძელდებოდა. ჩვენი „მფრინავი ფილარმონიაც“ იმასვე იმეორებდა ჰაერიდან და ყრიდა ფურცლებს ანალოგიური ტექსტით. გარიჟრაჟისას ისევ განუწყვეტლივ მეორდებოდა გადაცემა. მთელი ღამე მუშაობით დაქანცულები ვიყავით, მაგრამ მაინც დიდი ინტერესით მოველოდით, რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს. პარლამენტიორები ჩვენი კარგი ნაცნობები იყვნენ და, მიუხედავად იმისა, რომ ჰაგის კონვენციის მიხედვით მათ თითქოს არავითარი საფრთხე არ ელოდათ, ჩვენ მაინც ვღელავდით..

საბჭოთა სარდლობის ულტიმატუმში ეწერა, ალყაშემორტყმულ ქალაქში თქვენი წინააღმდეგობა უაზროა, ღირსშესანიშნაობათა განადგურება თუ არქიტექტურული ძეგლების ნგრევა და მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება რომ თავიდან იქნეს აცილებული, საჭიროა წინააღმდეგობის შეწყვეტაო. ამასთან საბჭოთა სარდლობა ჰპირდებოდა ინტერნირებულთა პირად შემადგენლობას, რომ შეუნარჩუნებდა მათ სამხედრო ფორმას, წოდების ნიშნებს, ორდენებსა და პირად ნივთებს, ხოლო უფროს ოფიცერთა შემადგენლობას — ცივ იარაღსაც.

ჩვენი სარდლობა აფრთხილებდა მათ, რომ ულტიმატუმის უარყოფის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაიწყებდა ოპერაციებს მათი გარნიზონის სავსებით მოსასპობად...

... ზუსტად თერთმეტ საათზე მაგრად ჩამოვართვით ხელი საბჭოთა ოფიცერ-პარლამენტიორებს კაპიტან მიკლოშ შტაინმეცს, ლეიტენანტ კუზნეცოვს, უმცროს სერჟანტ ფილიმონენკოს და მსუბუქი მანქანა თეთრი დროშით ბუდაპეშტის გარეუბან კიშპეშტის ერთ-ერთი ქუჩიდან მოწინააღმდეგის პოზიციისაკენ გაემართა. ეს „პოზიცია“ იქვე იყო, ქუჩის მეორე მხარეს. ჩვენ ყველანი საფრიდან ვადევნებდით თვალყურს მანქა-

ნის მოძრაობას, პირდაპირ გზაჯვარედინზე დიდი ნაცრისფერი შენობა იდგა. მანქანა ამ შენობისაკენ გაემართა. ჩვენ ნერვები დაგვაწყდა, გულმა თითქოს ცემა შეწყვიტა, რაღაც ცუდი წინათგრძნობა გვქონდა, ვღელავდით...

მიუახლოვდა თუ არა მანქანა იმ შენობას, გაისმა გრგვინვისებური ხმა და ყველაფერი კვამლში გაეხვია. როგორც ჩანდა, ზარბაზანი ესროლეს მანქანას პირდაპირი დამიზნებით. შემდეგ ნაღმებიც დაუშინეს. იქვე, შენობის ფანჯრებიდან, ტყვიამფრქვევებმაც გახსნეს ცეცხლი. კვამლი რომ გაიფანტა, დამსხვრეული მანქანა, მიკლოშ შტაინმეცისა და ფილიმონენკოს გარუჯული გვამები და სისხლში მოსვრილი დროშა დარჩა ფილაქანზე.

მძიმედ დაჭრილი კუზნეცოვი გადაარჩინეს ჩვენმა მებრძოლებმა...

...ახლა მთელი გულისყური იქითკენ გვქონდა მიმართული. რომ დრომდე როგორმე შეგვეკავებინა ჩვენი მებრძოლები, რომელთა თვალწინ მოხდა ყოველივე ეს. ისინი მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ შეტევას იმ სახლზე, და შურისძიებას... დიდი ცდისა და კატეგორიული ბრძანების შემდეგ ძლივს შევაჩერეთ ისინი, რომ უაზრო მსხვერპლი აგვეცდინა...

ამას წინათ წიგნში „ბრძოლა ბუდაპეშტისათვის“ წავიკითხე ამ ეპიზოდის აღწერა. ამბების მონაწილე ავტორი წერს „ჭაღარაშერეულ მაიორზე“, რომელსაც სიმწრისაგან „თვალებიდან ცრემლი გადმოსდიოდაო“. არ მახსოვს, მართლა ასეთი სანტიმეტალობა გამოვიჩინე თუ არა, ის კი ვიცი, რომ გულის ძარღვები ჩამწყვიტა იმ პარლამენტიორთა დაღუპვამ.

იგივე განმეორდა დუნაის მარჯვენა ნაპირას. აქაც გაგზავნილ იქნა პარლამენტიორი ი. ოსტაპენკო. გერმანელთა ოფიცერი შეხვდა მას, თვალები აუხვია და მთარგმნელთან ერთად წაიყვანა შტაბში.

ულტიმატუმი აქაც უარყოფილ იქნა. პარლამენტიორი და მისი მთარგმნელი ისევ თვალებახვეული გამოაბრუნეს საბჭოთა ჯარების პოზიციისაკენ. მაგრამ, როგორც კი გერმანელი მხლებლები ჩამოშორდნენ მათ, გაისმა სროლა და პარლამენტიორი იქვე ჩაიკეცა, მთარგმნელი კი გადარჩა.

შეიძლება ეს პარლამენტიორი მე ვყოფილიყავი, სიკვდილისათვის რომ ერთ მოულოდნელ შემთხვევას არ აერია მისამართები...

... პირველი პარლამენტიორის მოკვლის შემდეგ გადაწყდა, რომ ეს ამბავი დაუყოვნებლივ გვეცნობებინა ბუდაპეშტის 170-ათასიანი გარნიზონისა და მილიონნახევრიანი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის. ტექსტი გვიან გადმომცეს შტაბში. ღამით გავემართეთ კიშპეშტიდან დებრეცენისაკენ, სადაც ჩვენი სტამბა იყო. მეც რამდენიმე ღამის უძინარი ვიყავი და შოფერი ვიტალიც. ვიცოდი, მას უფრო გაუჭირდებოდა კიდევ ერთი ღამის თევა და ისიც საჭესთან. მართალია, ბუდაპეშტიდან დებრეცენამდე კარგი შოსეა, მაგრამ გზა მოყინული იყო და მანქანა აქეთ-იქით ცურდებოდა. ჩემი მთავარი საზრუნავი ის იყო, ვიტალის არ ჩასძინებოდა, თორემ, ძილს რომ თუნდაც ერთი წამით წაერთმია თვალი, კატასტროფას ვერ ავცდებოდით. ამიტომაც მინდოდა მისი ყურადღება მიმეპყრო. რას არ ვუყვებოდი, როგორ არ ვცდილობდი, მაგრამ ხანდახან მაინც ჩაყვინთავდა ან მანქანა მოიქნევდა უეცრად „კუდს“ და ბორბლები ერთ ადგილას იწყებდნენ სრიალს.

ვიტალი გამოცდილი შოფერი იყო, მამაცი ტანკისტიც, „დიდების ორდენიც“ ჰქონდა მიღებული კიევის აღების დროს მძიმე ჭრილობის შემდეგ შოფრად გაამწესეს შტაბში და აქედან ჩემთან მოხვდა კილინგერის იმ მანქანაზე, ბუქარესტში რომ დარჩა.

მინდოდა საუბრით გამერთო და ვკითხე, „დიდების ორდენი“ რაში მიიღე-მეთქი, მაგრამ უხალისოდ მიპასუხა:

— ეს ხომ უკვე ორჯერ გიამბეთ, ახალს ხომ ვერ მოვიგონებ!...

მერე მშობლების ამბავი გამოვკითხე, ვეხუმრე კიდეც:

— შეყვარებული თუ გყავს ვინმე?

ამჯერადაც ცალყბად მიპასუხა:

— ეშმაკმა შეიყვარა მაგათი თავი! ისე გადი-გამოდიან, რომ მაგათ ვინ რას გაუგებს!

— აქ თუ არა, თქვენთან, სოფელში, მაინც?

— ოცდაცხრამეტი წლიდან არმიაში ვარ, ვინ ოხერი მოგიცდის ამდენ ხანს!

— რა იცი, იქნებ გიცდის?

— არა, წერილებსაც არ ვღებულობ.

საათს დავხედე, ღამის თერთმეტია.

— პაპიროსი მოსწიე და არ დაგეძინება.

— აღარ მეძინება, გამოვფხიზლდი.

ახლა იმისაც მეშინია, მე თვითონ არ ჩამეძინოს-მეთქი, მანქანა გავაჩერებინე, გადმოვედი და სახე თოვლით დავიზილე.

— აწი არაფერი გვიჭირს, — ვეუბნები და ისევ მანქანაში ვჯდებით.

მინდოდა იმასაც დაეზილა სახე თოვლით, მაგრამ არა ქნა, არ მეძინებაო. კი ვხედავდი, რაც არ ეძინებოდა, მაგრამ ლაპარაკის მეტი რა შემეძლო. ძალიან საჩქარო საქმე იყო, თორემ ერთი საათის ძილიც გვეყოფოდა.

ნეტავი ასეც გვექნა, თორემ „მოჩქარეს მოუგვიანდესო“, რომ იტყვიან, სწორედ ისე მოგვივიდა, ძილი არც ისე ადვილი დასაძლევი აღმოჩნდა, იმის მიუხედავად, რომ გამოცდილება კი გვქონდა მიღებული. ვინ იცის, ომის წლებში სად და რაზე არ ვწოლილვართ, ღამე სად ან როგორ გვითევია... ბევრი რაჰ, ცხადია, დავიწყებას მიეცა, მაგრამ ბევრი ჯერად შემორჩა მეხსიერებას. ასე ყოფილა, ადამიანებთან და თავგადასავლებთან ერთად თურმე ნივთებიც ღრმად აღიბეჭდება ჩვენს ცნობიერებაში და შემდეგ სასიამოვნო მოგონებად გვექცევა... მით უმეტეს — ისეთი „მეტაფიზიკური საგნისა“, როგორიც ლოგინია.

რატომ „მით უმეტეს“ ან „მეტაფიზიკურიო“, თუ მკითხავთ, თომას მანის სიტყვებით გიპასუხებთ:

— თქვენ, რა თქმა უნდა, გაგეცინებათ, თუ ვიტყვი, რომ ყოველ ლოგინზე, რომელზედაც მე ოდესმე ვწოლილვარ, შემომრჩა მადლობის უაღრესად სასიამოვნო მოგონება, — წერს იგი. — აბა, იფიქრეთ, რა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ჩვენ მიერ შეძენილ ავეჯთა შორის ლოგინი — საოჯახო მოწყობილობის ეს რაღაც მეტაფიზიკური საგანი, რომელზედაც სრულდება დაბადებისა თუ გარდაცვალების ყველა მისტერია,

ტილოს ეს კეთილსურნელოვანი ნიჟარა, სადაც წელში მოხრილთ ქვეშეცნეულად მიგვაქვს მუხლის თავები ნიკაპთან, ისე როგორც დედის საშოში, თითქოს კვლავ ვიწოვდეთ დედამიწის უპისაგან სასიცოცხლო წვენს განახლებისას...

... ომის დროს კი ლოგინში წოლა იშვიათი ფუფუნება იყო ჩვენთვის და ძილი უმთავრესად ბუნების წიაღში გვიხდებოდა. ზაფხულობით, წყნარსა და თბილ ღამეებში, ეს მართლაც „დიდი მადლი იყო განგებისა". დღის მღელვარე განცდებით დაღლილ-დაქანცულნი, ოფლში გაღვრილნი და მოთენთილნი ვეძლეოდით ძილის „უშფოთველ ნეტარებას". ისევ თომას მანის სიტყვებით რომ ვთქვათ, აქეთკენ გვიხმობდა ბინდში გახვეული ტყე, სადაც ნაკადულების ჩხრიალი ისმის და რბილი ხავსი საამურად ეხება ფეხებს, ხოლო ნელი სიო აგრილებს გახურებულ სხეულს... ჩვენც თავგადაგდებულნი, პირდაღებულნი და თვალებმილულულნი ვუერთდებოდით მის საამო ჩრდილებს.

მე უფრო ახალმოთიბულ თივაში მიყვარდა ძილი. დრო მოაღწევდა თუ არა, ფეხშიშველი გავიქცეოდი მინდვრად და სადმე თივის ზვინზე გავიშოტებოდი. ამიტომ ზედმეტ სახელად „მთიბავი" შემარქვეს. დილით თუ კიდევ ვინმეს თმებში შემთხვევით ჩარჩენილ თივის ღეროებს აღმოაჩენდნენ, ვაი ჩვენს დღეს, სულ ენაკვიმატობით აგვიკლებდნენ.

მერე ეს სახელი „მთიბავი" ისე დამიმკვიდრდა, რომ ჩემს ოფიციალურ შიფრადაც იქცა. ფრონტის ხაზზე ასეთ დეპეშებს იძლეოდნენ: „გადაეცით მთიბავს"... ან ამა და ამ საფოსტო ნაწილსო „მთიბავისათვის". ერთ ასეთ დეპეშას დღემდე ვინახავ სამახსოვროდ. დეპეშაში წერია:

— Сенокос, обратите внимание на мингрельскую группировку. Поздравляю медалью «За отвагу».

ეს „მინგრელსკაია" სტანიცაა ყუბანში, მე კი გულში მაინც ჩვენებურ „მეგრულს" ვამსგავსე და ამიტომაც შემოვინახე ის დეპეშა...

... ჩვენი უბედურება სუსხიანი ზამთარი იყო. საველე პირობებში ეს ვერაფერი საამური დროა „უშფოთველი" ძილი-

სათვის. რამდენი გაჭირვება მახსოვს ამ მხრივ: ძილი კი არა, თავლის წატყუებაც სანატრელი გვქონდა ტალახში, თოვლში, გაყინულ ფარაჯაში, არტილერიის ცეცხლის ქვეშ, საჰაერო თავდასხმების დროს. ერთხელ ხეზე მიკრულსაც მეძინა, რადგან ძირს მუხლამდე თოვლი იდო და მოყინვისა შემეშინდა. რამდენჯერ ცხენზე მჯდომსაც წამძინებია. ყირიმში ზეზეული ძილიც გამომიცდია: მიდიხარ, ჩასთვლემ, წაიბორძიკებ, გაიღვიძებ, გასწორდები, მერე ისევ ჩასთვლემ, ისევ წაიბორძიკებ და ა. შ., ვიდრე ძილის „ეშხს არ მოიკლავ“.

ახლა მხოლოდ რბილ საწოლს ვეძებთ, რბილ ვაგონს... ომის დროს კი ზოგჯერ მცირედი თავშესაფარიც უდიდეს კომფორტად გვეჩვენებოდა.

მახსოვს, ერთხელ ორნი მივდიოდით სადღაც უკრაინის თოვლით გადალესილ ტრამალებში. კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ შემოგვაღამდა და გზა დაგვებნა. ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ტრიალ მინდორზე მხარი ისე მოგვექცა, რომ ვერავითარი ორიენტირი ვერ ვიპოვეთ. საშინლად დაღლილები ვიყავით, თავის მისადები ადგილიც არსად ჩანდა და გაყინულ თოვლზე ხომ არ დავწვებოდით. თან ისეთი სუსხიანი ქარი უბერავდა, რომ ძვალ-რბილში ატანდა. გადავწყვიტეთ გათენებამდე აქეთ-იქით გვევლო, რომ სულ მთლად არ გავთოშილიყავით. ამ სიარულში დამტვრეულ ოთხთვალას წავაწყდით, რომლის ქვეშ მშრალი ადგილი იყო დარჩენილი. აბა, კომფორტი ეს იყო! შევძვერით, მოვიკუნტეთ, როგორღაც დავეტიეთ და დავიძინეთ!..

არ ვიცი, იქ უფრო ღრმა და სასიამოვნო ძილით ვიძინე, თუ დედოფლის ღრუბელივით რბილ სარეცელში...

სასიამოვნო გაუგებრობა...

ნათქვამია, „გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო“. დედოფლისა რა მოგახსენოთ და გაუგებრობამ ერთხელ დედოფლის საწოლში მართლაც დამაწვინა.

ომის დამთავრების შემდეგ, 1954 წელს, როგორც დელეგაციის წევრი, ერთხელ კიდევ მოვხვდი. პრინცესა ელისაბედის

სასახლეში, სადაც ადრე მეფე მიხაილ გაგვიმართა საუზმე. მათი უდიდებულესობანი, ცხადია, უკვე იქ აღარ იყვნენ. სასახლე საპატიო სტუმრების მისაღებად გადაეკეთებინათ. ჩვენი დელეგაციაც იმ სასახლეში მოათავსეს. ისევ ის გრძელი ანფილადა რომ გავიარეთ, წინ გამრიგე დიასახლისი შეგვხვდა ნომრების გასანაწილებლად. დაღლილები უზარმაზარ მაგიდას შემოვუსხედით.

— აქ, ამ მაგიდაზე, მოაწერა მეფე მიხაილ ხელი ტახტიდან გადადგომასო, — გვითხრა დიასახლისმა და გაიცინა.

ჩვენ ისედაც ვიცოდით, რუმინეთში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ, 1947 წლის 30 დეკემბერს, მეფემ რომ დატოვა ტახტი და თავის დედასთან — დედოფალ ელენესთან ერთად უცხოეთში გაემგზავრა. „მისი უდიდებულესობა პრინცესა ერჯებეტის სასახლეც დაცარიელდა და ახლა ჩვენ, „ჩვენი უმცირესობანი", ვიკავებდით მათ დეპარტამენტებს.

პირველად დელეგაციის მეთაურს აკადემიკოს ბარანოვს მიართვეს გასაღები. იგი იმ ოთახში იყო წინასწარ გამწესებული, სადაც ერჯებეტის „დროებითი მდგმური" მეფე მიხაი ცხოვრობდა. შემდეგ ჩემი როგორც დელეგაციის მეთაურის მოადგილის რიგი დადგა. დიასახლისმა ცნობისმოყვარედ შემათვალიერა და რატომღაც ჩაიცინა. მერე ისევ შეამოწმა ჩემი გვარი, ისევ გაიცინა და თვითონ მეფის ასულ ელისაბედის „განსასვენებელი ოთახის" კლიტე გადმომცა. მე მაშინ ვერ მივხვდი, რატომ ასეთი განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა ჩემდამი. ისე გაკვირვებულად მიყურებდა და ეცინებოდა, რომ ვიფიქრე, ალბათ, რაღაც გაუგებრობაა-მეთქი.

—

... ეს გაუგებრობა თურმე რკინიგზის სადგურიდანვე დაიწყო. ბუქარესტში რომ ჩავედით, უკვე დაღამებული იყო. სადგურზე ზღვა ხალხი დაგვხვდა. სახელდახელო მიტინგიც გაიმართა. უხვად იფრქვეოდა შაბლონური მისასალმებელი სიტყვები, გამოითქმოდა „მხურვალე გრძნობები" წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით და შექმნილი იყო „გულითადობის" ისეთი ატმოსფერო, როგორიც მიღებულია და დადგენილი...

ორატორების სიტყვებს რომ ვისმენ, ვამჩნევ, რომ ჩემს გარშემო ერთი ბოშა ქალივით შავტუხა გოგონა წრიალებს და გაუბედავად მათვალიერებს. თითქოს რაღაც უნდა მკითხოს, მაგრამ ვერ ბედავს. საითაც გადავინაცვლებ, ისიც თან მომყვება და გაოცებული მომჩერებია... მეც უხერხულობაში ვვარდები და ვცდილობ ყურადღება არ მივაქციო, მაგრამ მაინც ვგრძნობ მისი ჩხრიალა თვალების დაჟინებულ მზერას. მაშინ ვერაფერს მივხვდი, მერე კი, აი, რა გამოირკვა: მოსკოვიდან ბუქარესტში რომ დელეგაციის შემადგენლობა უცნობებიათ, სიაში სახელი და მამის სახელი ინიციალებით აღუნიშნავთ. ვინაიდან ჩემს გვარს „ვა“ დაბოლოება აქვს, ბუქარესტში უფიქრიათ ქალიაო. მასპინძლებს დელეგაციის ყველა წევრისათვის ცალკე მთარგმნელი ჰყავდათ მიჩენილი. ჩემი მთარგმნელი ლუკრეცია ელოდა, რომ მისი „სტუმარი“ დომნა, ანუ ქალბატონი იქნებოდა, აქ კი უცებ დომნული, ე. ი. ვაჟბატონი გამოვდექი, და დაიბნა. ეს გაუგებრობა მხოლოდ მაშინ გაიფანტა, როცა მანქანებში ჩავსხედით. ლუკრეცია ახლა კი გაერკვა „თავის შეცდომაში“ და დარცხვენილი შემომცქეროდა.

სასახლეში რომ მივედით, გამრიგე დიასახლისიც ამიტომ მიყურებდა თურმე ასე გაკვირვებული. მაგრამ ოთახები წინასწარ ჰქონდა განაწილებული და როგორც „ქალბატონს“ თვითონ მეფის ასულის საწოლი დარბაზი მერგო. ეს ყველაზე კომფორტული ოთახი იყო, რადგან სასახლე თვით მეფის ასულს ეკუთვნოდა. სხვა რომ არა იყოს რა, სპილოს ძვლებით გაწყობილი და ოქროთი მოვარაყებული ისეთი საწოლი იდგა, რომ იმ ღამეს მართლაც პრინცესასავით მოვისვენე... მერე აკადემიკოსი ბარანოვი მეხუმრებოდა, ნეტავი იმ სიაში „ბარანოვის“ მაგივრად შეცდომით „ბარანოვა“ დაეწერათ, მაშინ ეს პატივი მე მერგებოდაო...

... ჩემი გვარის ამ „ვა“ დაბოლოებას სხვა დროსაც ჩავუყენებივარ კომიკურ მდგომარეობაში. ამის შესახებ ვიტალისაც ვუამბე. რომ ძილი არ მოჰკიდებოდა:

— ერთხელ ოფიცერთა მეცადინეობაზე, რომელსაც მხოლოდ მამაკაცები ესწრებოდნენ, ახალი სამხედრო ლექტორი

პოლკოვნიკი კრივონოსოვი შემოვიდა და მაშინვე გვარების ამოკითხვას შეუდგა:

— პოლკოვნიკი მაქსიმოვი!

— არის!

— პოლკოვნიკი სიდორენკო!

— არის!

— პოდპოლკოვნიკი პონომარიოვი!

— არის!

— მაიორი დრუჟნიკოვი!

— არის!

მაიორი ეს, მაიორი ის და ა. შ.

მერე უცებ ენა წაებორძიკა და რამდენჯერმე გაიმეორა:

— მაიორი კვე... კვი... კვა...

მაშინვე მივხვდი, ჩემი გვარი რომ გაეჩხირა ყბებში, მაგრამ, ვიდრე წამოვდგებოდი, პოლკოვნიკმა სია მაგიდაზე დააგდო, სათვალე მოიძრო და გულმოსულად წამოიძახა:

— Это еще что за баба появилась у нас на офицерском занятии?!.

დარბაზში საერთო ხარხარი ატყდა. პოლკოვნიკი სულ დაიბნა, ვერ გაეგო რა მოხდა ასეთი სასაცილო.

მერე, ხორხოცი რომ მიწყნარდა, წამოვდექი და, რაც შემეძლო, მხედრულად გამოვკვეთე:

— Никакая не «баба», товарищ Полковник, говорит Майор...

და ჩემი გვარი ისე საზეიმოდ წარმოვთქვი, თითქოს მუჯრან-ბატონი ვყოფილიყავი.

ისევ ატყდა სიცილი. გაეცინა პოლკოვნიკსაც და თავისი შეცდომის გამოსასწორებლად თქვა:

— Ну и нашли фамилию!..

— Не нашел, а по наследству получил, товарищ Кривоносов!..

— შევუბრუნე მე, თან ცხვირზე ხელი მოვიკიდე და მისი გვარი „კრივონოსოვი“ ისეთი დემონსტრაციული ხაზგასმულობით წარმოვთქვი, რომ დარბაზში კიდევ უფრო მეტი სიცილი ატყდა.

გაჯავრებულმა პოლკოვნიკმა ჩაიბურტყუნა:

— Ну и язва!.. — და ინციდენტის მოსაგვარებლად თვითონაც ცალყბად გაიცინა...

ვიტალი კი მაინც ვერ გავაცინე. იგი ისევ შუბლგაუხსნელი იჯდა საჭესთან და ძილს ებრძოდა...

ნახტომი ხევში...

მერე, როგორ მოხდა ეს არც ვიცი. ეტყობა, ძილმა მაინც წაართვა თავი. ალბათ, მეც ჩავთვლიმე. ბურანში რაღაც ჯახანი მომესმა და ყველაფერი ერთმანეთში აირია. დავტრიალდი, დავგორდი და... გონს რომ მოვედი, მანქანის მოტორსა და სამართავ საჭეს შორის ვიყავი ჩაჭედილი. ფეხები და გვერდები საშინლად მტკიოდა... მანქანა გადაბრუნებული და დამსხვრეული იყო...

ცაზე მიწურული მთვარე ეკიდა და ძლივძლივობით ახათებდა იქაურობას. მე ჯიბიდან ნათურა ამოვიღე. ვიტალი არსად ჩანდა... მერე მრგვალი სინათლე მოვატარე გარშემო. ვხედავ, თვალჩაუწვდომ ხევში გადავჩეხილვართ. საოცარია, როგორ გადავრჩი ცოცხალი! ალბათ, იმან მიშველა, ბურთივით რომ გავიჭედე მოტორთან. მერე მანქანა რამდენჯერმე გადატრიალდა, მაგრამ მე როგორღაც არც ისე მძიმედ დავშავებულვარ. ვიტალი კი არ ჩანს. მიკვირს, სად უნდა წასულიყო ან სად შეიძლება იყოს! ვუძახე, მაგრამ პასუხი მაინც არ ისმის. ისევ დავიწყე მანქანის გარშემო ხოხვა და ძებნა. მერე ხევაღმაც წავედი და ათიოდე მეტრის მოშორებით თვალი მოვკარი, პირაღმა იწვა. როგორღაც მივხოხდი იქამდე... უკვე აღარ სუნთქავდა.

დღემდე გამოცანაა ჩემთვის, როგორ მოხვდა იგი ასე შორს მანქანიდან: გადაბრუნების დროს გამოვარდა, თუ თვითონ გადახტა?!..

... ხევიდან, როგორც იქნა, შოსეზე ამოვბობღდი, სინათლე ავანთე და საათს დავხედე. ისრები პირველის თხუთმეტ წუთზე

იყო გაჩერებული. იქვე ხე იდგა. მანქანა ჯერ ამ ხეს დასჯახებოდა და მერე გადავარდნილიყო ხევში.

ახლა ყველაფერზე უფრო ეს ტექსტი მაწუხებს: დროზე თუ არ მივიტანე, შეიძლება განზრახული ოპერაცია ჩაიშალოს. ერთხანს შოსეზე ვიჯექი იმ იმედით, რომ მანქანა ჩამოივლიდა, მაგრამ ამაოდ. ვიტალის შოსედან გზის შესამოკლებლად სადღაც გადმოეხვია და აქ ღამით მანქანები არ დადიოდნენ. მერე შევნიშნე, რომ ასიოდე მეტრის სიშორეზე რკინიგზის ხაზი გადიოდა. ვიცოდი, რამე ეშელონი აუცილებლად ჩამოივლიდა, მაგრამ ამ ას მეტრს არ უნდა ხოხვით გავლა? დიდი გაჭირვებით ესეც მოვახერხე და დაველოდე მატარებელს.

ცივა, ყინავს. ყველაფერი მტკივა. თან იმას ვფიქრობ, შეიძლება მატარებელმა ჩამოიაროს, მაგრამ როგორ შევახტე! მუხლებს ძალა თუ არ დაატანე, ისე ვერ შეახტები. მე კი მუხლებზე რა ძალის დატანება შემეძლო, როცა ფეხზე ვერ ვდგებოდი!..

... ნახევარი საათის შემდეგ სამხედრო ეშელონი გამოჩნდა. უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე და ცალ ფეხზე დავდექი. მინდოდა, რადაც უნდა დამჯდომოდა, შევმხტარიყავი. თუ არ გამოვიდოდა... როგორც იტყვიან... ამბა! ან თავი ან ფეხები! გადავწყვიტე უკანასკნელ ვაგონს დავლოდებოდი: თუ ვერ შევახტებოდი, უკანვე გადმომაგდებდა და ბორბლებს ქვეშ მაინც არ მოვყვებოდი. ორთქლმავალმა ჩაიარა, ვაგონებმაც... ერთი, ორი, სამი, ოთხი... მერე პლატფორმები, ბოლოს ისევ ვაგონები და, აი, უკანასკნელი ვაგონიც...

სახელურს კი წავავლე ხელები, მაგრამ ისე ვიყავი ღონემიხდილი, რომ ნახტომი მაინც ვერ გავაკეთე და მატარებელმა დამითრია. მეგონა მკლავებიდან მოვწყდები-მეთქი, მაგრამ არა. ერთხანს ასე მიმათრევდა. დამტვრეული ფეხები საშინლად ამტკივდა, სახელურს კი ხელები მაინც არ შევუშვი. მერე, როგორც იქნა, მკლავებზე ავიწიე და ცალი მუხლი ჩამოვდგი საფეხურზე, ცოტა ხნის შემდეგ — მეორეც. ეს უკვე ხსნა იყო. ასვლას ვერ ვახერხებდი, მაგრამ საფეხურზე კი ჩამოვჯექი და თავი უცებ „სრულიად კომფორტულად" ვიგრძენი. თუმცა

სახე და ხელები მოყინული მქონდა, ამის ატანა შეიძლებოდა.

გათენებას ბევრი აღარ უკლდა, დებრეცენამდე რომ მივაღწიე. ეშელონი სადგურიდან დაშორებით გაჩერდა. ახლოს არავინაა. სამჯერ გავისროლე.

— ვინ ოხერია, რომ ისვრის?! — მომესმა ხმა და მაშინვე ვიღაც თოფმომართული ჯარისკაცი მომიახლოვდა.

მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც საჭირო იყო...

...ათი დღის შემდეგ ჰოსპიტლიდან გამოვედი და ბუდაპეშტში დავბრუნდი. ჯერ კიდევ ვკოჭლობდი, სიარული მიჭირდა. ესტერჰაზების სახლში ძია ანდრაშის ცოლი მოხუცი მზარეული ქალი მივლიდა. კეთილი ქალი იყო. ისეთი გემრიელი საჭმელების გაკეთება იცოდა, რომ... აბა, რა იქნებოდა ესტერჰაზების მზარეული! ადვილად შემეჩვია. სულ იმას ცდილობდა, როგორმე ესიამოვნებინა ჩემთვის. უხაროდა, „საოცრად ლამაზ სიტყვას“ — „მამაშას“ რომ ვეძახდი. უნდოდა თავისი კულინარული ხელოვნებით გავეკვირვებინე. როცა მან უნგრული „გულიაში“ მოგვიტანა, ჩვენი განყოფილების მზარეული „ლოქო“ სირცხვილით დაიწვა. მისი შეთითხნილი „გულიაში“ სულაც არ ჰგავდა ამას.

საერთოდ, უნგრელები ნაწყენი არიან, რასაც უცხოელები „გულიაშს“ უწოდებენ, სულ სხვაა და ჩვენებურთან საერთო არაფერი აქვსო. უნგრელებს ძალიან უყვართ პილპილი — პაპრიკატ. ჩვენც შეგვაჩვიეს ამას და სასადილოში წარამარა გაისმოდა:

— მამაშა, პაპრიკატ!..

ბეგის თავისი „ანტრეკოტი“ დაავიწყდა და ისიც „პაპრიკატს“ იძახდა. უნგრელები პილპილისაგან ათასგვარ ცხარე, მაგრამ გემრიელ კერძს ამზადებდნენ და „მამაშაც“ ამის ოსტატი იყო. ამრიტა ამბობდა, მეც ვეხმარები „მამაშასო“, მაგრამ თავისი გაუთავებელი ანცობით დახმარების მაგივრად ხელს უშლიდა ყველას. ისე, სასაცილო კი იყო „ტყის ფერია“, რომ სამზარეულოში საქმიანობდა. მართალია, ყველაფრის გაკეთებას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა თეფშების მტვრევის გარდა...

მერე ის „კულინარული იდილიაც“ დამთავრდა, მუხლები მოგვირჩა და ისევ ჩავები საფრონტო ცხოვრებაში. ამასობაში ჩვენი ფრონტის ნაწილებმა კერეპეშტის სასაფლაოდან წინ წაიწიეს და ქალაქის მთავარ პარკზე მიიტანეს იერიში, იქიდან კი ანდრაშის პროსპექტზე გავიდნენ. ბუდაპეშტელები სამართლიანად ამაყობენ ამ პარკით. მის გაშენებას დიდი დრო დასჭირდა და საბოლოო სახით 1896 წელს გაიხსნა უნგრეთის ათასი წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით. ძალიან უხდება პარკს XII საუკუნის უცნობი ჟამთააღმწერლის (ანონიმის) მონუმენტი. დიდებული მოხუცი ზის ჩაფიქრებული, ხელში კალამი უჭირავს, მუხლზე კი პერგამენტები გაუშლია. ეს მან დაწერა პირველად უნგრეთის ისტორია. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ახლაც, ათასი წლის შემდეგ, განაგრძობს იგი თავისი ქვეყნის ისტორიის წერას... ნატყვიარი ადგილები რაღაც სიმბოლურ გამომეტყველებას აძლევს მის სახეს... ზის და წერს, ყურადღებას არ აქცევს გარშემო გაჩაღებულ ბრძოლებს...

ქალაქის ცენტრში უფრო მძიმე ბრძოლები გაიმართა. რაკოცის პროსპექტი ბარიკადებით დაეფარათ. დრამატული თეატრისა და მუსიკალური აკადემიის შენობებში ესესელები იყვნენ გამაგრებული. რა ღონეს არ ხმარობდნენ ჩვენები, რომ ასეთ კაპიტალურ შენობებში ჩამჯდარი მტერი გაედევნათ მათი „მიუვალი“ პოზიციებიდან. ერთ სახლთან სახანძრო მანქანა მიაგორეს და ბენზინი მიასხეს, მერე ცეცხლი წაუკიდეს და ასე გააქციეს თავზეხელაღებული ესესელები. საიდან სად არ მიძვრებოდნენ ჯარისკაცები: ეზო-ეზო, სახურავებზე, საწვიმარ მილებს ჩაჭიდებულნი, სახანძრო კიბეებით. ყოველი სახლი, ყოველი ბინა და ოთახი სიმაგრედ იყო ქცეული. საოცარ გმირობას იჩენდნენ მესანგრეები. ისინი ანგრევდნენ მოწინააღმდეგის ბარიკადებს, ჭრიდნენ მავთულხლართებს, სძლევდნენ სხვა დაბრკოლებებს...

საღამოობით, როცა ომის ცეცხლი ნელდებოდა, ჯგუფ-ჯგუფად ვიკრიბებოდით და ერთმანეთს ვუამბობდით იმ დღის თავგადასავალს. ახალს ზოგჯერ ძველსაც ვუმატებდით და,

მართლაც, ისეთ სასწაულებრივ შემთხვევითობათა სფეროში ვხვდებოდით, რომ გვართობდა კიდეც სიკვდილ-სიცოცხლის ეს საოცარი გათამაშება. ერთს ტყვია ორდენზე მოხვდა და გადარჩა, მეორეს — ქამრის ბალთაზე. მართალია, ვისაც ასეთი ბედნიერება არ ხვდა წილად, ვერც ვერაფერს ყვებოდა, მაგრამ გადარჩენილთ ყოველივე ეს სასწაულად გვეჩვენებოდა. მეც, რა თქმა უნდა.

ერთხელ თავდასხმის დროს უზარმაზარი ყუმბარა ჩემგან სულ რაღაც ერთი მეტრის დაშორებით დაეცა და... არ გასკდა! ასეთი შემთხვევა ათასში ერთია, მაგრამ იმ „ერთმა“ სიცოცხლე შემინარჩუნა. სხვა დროს ფრონტის ხაზიდან დაბრუნებულმა და დაღლილ-დაქანცულმა შტაბში მეგობრის მაგივრად ვიმორიგევე. თურმე თავის ტურფასთან უნდოდა პაემანზე წასვლა, შემეხვეწა და ხათრი ვერ გავუტეხე.

ღამით მტრის თვითმფრინავები დაესხნენ ქალაქს. ერთი ყუმბარა პირდაპირ იმ ოთახს მოხვდა, სადაც მე ვცხოვრობდი, და სულ ნანგრევებად აქცია ყველაფერი. შტაბში რომ იძულებით მორიგე არ ვყოფილიყავი, მეც იმ ნანგრევებში ჩავიმარხებოდი.

რამდენჯერმე „გზააბნეული ტყვიაც“ მომხვდა, მაგრამ ხან ქუდზე, ხანაც გალიფე შარვალზე ისე, რომ არც გავკაწრულვარ... ცხადია, ასეთი რამ გვიკვირდა და ამიტომაც ვაწერდით ყველაფერს სასწაულს...

რამდენიმე ხნის შემდეგ კი ბუდაპეშტში, მართლაც, ისეთი სასწაულის მომსწრე გავხდით, რომ უცებ გაგვიხუნდა ყველა ჩვენი თავგადასავალი...

... ქალაქის თავზე საჰაერო ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში ჩვენი ყუმბარები დაზიანდა ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე. მფრინავი მაშინვე გადმოხტა პარაშუტით. ოცი წლის გვარდიელმა მსროლელმა ვოლოსნიკოვმა ამ დროს სულ ახლოდან მოჰკრა თვალი მტრის გამარჯვებულ თვითმფრინავს. გულმა არ მოუთმინა, ხიფათი დაივიწყა და სროლა დაუწყო, მოახვედრა კიდეც. მერე თვითონაც სცადა გადმოხტომა, მაგრამ თვითმფრინავი ბზრიალ-ტრიალით წამოვიდა ძირს და ვერ მოახერხა. ბევრი იწვალა ჰაერში და, როგორც იქნა, გადმოხტა, მაგ-

რამ პარაშუტი წამოედო რაღაცას და თვითმფრინავმა დაითრია. 700 მეტრი მოდიოდა ასე ვარდნით. სულ იმას ცდილობდა, როგორმე მოეწყვიტა პარაშუტი, მაგრამ ვერ მოახერხა. ვიდრე ჰაერის ტალღამ არ მოაგლიჯა თვითმფრინავს. ისევ გაუელვა იმედმა და მოქაჩა სახელურს.

ბედი არ გინდა! ახლა პარაშუტი არ გაიხსნა. ყოველგვარი იმედი დაიკარგა. სანაპირო და ყინულით დაფარული დუნაი კატასტროფული სისწრაფით ახლოვდებოდა... სულ რაღაც ოცი-ოცდაათი მეტრი რომ დარჩა, მისი თვითმფრინავი დაეცა მიწაზე და აფეთქდა. კიდევ რამდენიმე წამი და თვითონაც დაასკდებოდა ქვაფენილს... უკვე თვალებიც დახუჭა, მაგრამ...

სწორედ აქ მოხდა საოცრება! მფრინავმა იგრძნო, რომ რაღაცამ აჰკრა ქვემოდან, მერე კი მსუბუქად დაეშვა. გონს რომ მოვიდა, ფილაქანზე იწვა, მხოლოდ ფეხი ჰქონდა მსუბუქად ნაღრძობი...

აი, თურმე როგორ მოხდა ეს: თვითმფრინავი რომ მიწას დაენარცხა, მასში დარჩენილი რამდენიმე ყუმბარა აფეთქდა. საჰაერო ტალღამ ქვემოდან აჰკრა ვოლოსნიკოვს, გაანეიტრალა ვარდნის სიმძიმე და იგი, თითქოს ჰაერის ბალიშზე დაეცაო, მსუბუქად დაეშვა მიწაზე...

... ჩვენი მებრძოლები ისევ ნელ-ნელა მიიწევდნენ დუნაის ნაპირებისაკენ. საოპერო თეატრი, სამხედრო აკადემია, პარლამენტის შენობა და რატუშა იყო გერმანელთა უკანასკნელი საყრდენი პუნქტები. პარლამენტის შენობას ოცი წლის განმავლობაში აშენებდნენ უნგრელები (1884 — 1904), ახლა კი მას რამდენიმე დღეში დაღუპვა ემუქრებოდა. ჩვენები პირდაპირ იერიშს ერიდებოდნენ. შენობა 265 მეტრის სიგრძეზეა გაჭიმული, სიგანე ზოგან 127 მეტრია, მთავარი გუმბათის სიმაღლე კი ას მეტრს აღწევს. შენობის ინტერიერი დამშვენებულია თეთრი კოლონებითა და 253 სკულპტურული ძეგლით. ფრონტონების, კიბეების, მოაჯირებისა და სტატუების კვარცხლბეკთა მოსავარაყებლად, როგორც ამბობენ, ორას კილოგრამზე მეტი ოქრო იქნა გამოყენებული. დარბაზებიც სულ ფრესკებითაა მორთული. განსაკუთრებით გამოირჩევა ფერენც მუნკაჩის უზარმაზარი ფრესკა „ქვეყნის დაპყრობა“, რომელშიც

გამოსახულია უნგრელთა მიერ ამ ადგილების დაკავება IX საუკუნეში.

შენობის შესასვლელთან იარი ბრინჯაოს ლომი დგას. მათი მზერა მიპყრობილია ლაიოშ კოშუტისა და ფერენც II რაკოცის ძეგლებისაკენ. ისინი უნგრეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ.

17 და 18 იანვარს ღამით აქ გადამწყვეტი ბრძოლები გაიმართა. განსაკუთრებით საინტერესო იყო მტრის „ფსიქიკური კონტრიერიში" შუქფარებით. გერმანული „ვეფხვის" ტიპის ტანკები ერთმანეთთან მიჯრით დგებოდნენ ფართო პროსპექტის გარდიგარდმო და ანათებდნენ მძლავრი ფარებით. დაცარიელებულ პროსპექტს თვალისმომჭრელი სინათლე ავსებდა. ამის გამო პირდაპირი შეტევა შეუძლებელი იყო, მაგრამ ჩვენები შემოვლითი ოპერაციებით სძლევდნენ მათ ეშმაკობას.

ბოლოს, დუნაის ნაპირებამდე სულ რაღაც ორასი-სამასი მეტრი დარჩა. უკანასკნელ შეტევაზე პირველი ვახტანგ ბაჩარაშვილის ჯგუფი წავიდაო, იუწყებოდა ჩვენი პრესა. დავალება ასეთი იყო:

— არ გავუშვათ გერმანელები ბუდისაკენ!

ამით დუნაის მარცხენა ნაპირზე, პეშტში, უკვე მთავრდებოდა ბრძოლები. მეორე ნაპირზე კი, ბუდაში, მტერი ჯერ კიდევ ჯიუტად იცავდა თავის პოზიციებს. მაგრამ 13 თებერვალს ბუდაც აღებულ იქნა და ამით დამთავრდა ბუდაპეშტისათვის ბრძოლის გრანდიოზული ეპოპეა...

თითებით მოაზროვნე...

ჩვენ ისევ აუარებელი სამუშაო გაგვიჩნდა. დღედაღამ არც ძილი იყო და არც მოსვენება. მე ერთხანს ტრანსილვანიაში მომიხდა ყოფნა. ეს მხარე რუმინეთის განკარგულებაში გადადიოდა და ამასთან დაკავშირებით რაღაც დავალებები მქონდა. რამდენიმე დღე ქ. კლუჟში ვცხოვრობდი. შემთხვევა რომ მომეცემოდა, „საკუთარ ჭიასაც ვახარებდი" და ქალაქის ღირსშესანიშნაობათ ვათვალიერებდი. გამეგონა, კლუჟის

ბოტანიკური ბაღი მთელ მსოფლიოშია სახელგანთქმული, მაგრამ ამ გათოშილ ზამთარში რა უნდა მენახა. ორანჟერიები კი დავათვალიერე, მაგრამ ყველაფერი გაპარტახებული და გატიალებული იყო, მინები — ჩამსხვრეული, ყვავილები — დამჭკნარი, აკვარიუმები — გაყინული... თუ კარგად დააკვირდებოდი, ყინულის სქელ ფენებში „გაქვავებულ“ თევზებსაც შენიშნავდით. ომის სუსხი აქ ადამიანებზე უფრო ყვავილებსა და თევზებს უგრძვნიათ...

... სულ სხვა სურათი დამხვდა ათი წლის შემდეგ, როცა ერთხელ კიდევ მოვხვდი ამ ქალაქში საბჭოთა კავშირის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციასთან ერთად, რომელსაც აკადემიკოსი ბარანოვი ხელმძღვანელობდა. იგი პროფესიით ბოტანიკოსი იყო და, აბა, კლუესა და მის ბოტანიკურ ბაღს როგორ არ შეატანინებდა ჩვენს მარშრუტში... ბუქარესტიდან ჩვენთვის შემოთავაზებული სპეციალური მატარებლით წავედით. სალონში თავი მოიყარეს დელეგაციის სხვა წევრებმაც: კომპოზიტორმა ა. გლიერმა, კინომსახიობმა ს. ბონდარჩუკმა და სხვებმა. ბარანოვს მთელი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი და „მცენარეთა ფსიქოლოგიის“ ისეთ საინტერესო ამბებს გვიყვებოდა, სულგანაბული ვუსმენდით. ფაქიზად იცვამდა, ბაგეზე მუდამ ეშმაკური ღიმილი უკრთოდა. ფოტოსურათებით სავსე პატარა ჩემოდანს სულ თან დაატარებდა. მსოფლიოს რა საინტერესო მცენარე გინდათ, რომ მისი ფერადი ფოტო არ ჰქონოდა. ყოველი მათგანის სახელი იცოდა და ყველას ახასიათებდა. ისე ლაპარაკობდა ამ მცენარეებზე, როგორც ადამიანებზე:

— ო, ეს ძალიან ეშმაკი ვინმეა: ბუტკოზე რომ ხელს მოუჭერ, ენას გამოგიყოფს, — გვიხსნიდა იგი. — ეს ცელქია, მთელი დღე მოძრაობს. ნიავი სულ რომ არ უბერავდეს, მაინც ცახცახებს თუ ცეკვავს, ღამღამობით კი იძინებს. ეს კი მტირალაა, პაპანაქება სიცხეშიც სველია და ცრემლსა ღვრის. ამ ყვავილს ხელს რომ შეახებ, კვდება. ეს კი ფერს იცვლის: ჯერ გაფითრდება, მერე სულ გამქვირვალედ იქცევა, უნდა დაიმალოს. რადგან შეხებას ვერ იტანს. ეს ისე ეშმაკია, რომ, საშიშროებას იგრძნობს თუ არა, მყრალ სუნს უშვებს, იქნებ

თავი დამანებონო. ეს კეკლუცი შეყვარებულია: გაზაფხულზე, როცა სიყვარულის დრო უდგება, კაბას იცვლის და, თუ მანამ ნაცრისფერი იყო, მეწამული ხდება.

— ქვეყნად ყვავილებზე ლამაზი არაფერია, — ამტკიცებდა იგი. — ბუნების მთელი ესთეტიკური შესაძლებლობა ყვავილებშია გამოვლენილი. ადამიანი ვერასოდეს შეძლებს ისეთი სილამაზის შექმნას, რასაც ბუნება გვთავაზობს ყვავილების სახით. თქვენ არ გეწყინოთ, კოლეგა, და ლიტერატურა სრულიად უძლურია ამ მხრივ, რადგან სილამაზის აღწერა ისევე შეუძლებელია, როგორც მელოდიის სიტყვიერი დახასიათება.

— მხატვრობა? — ვკითხე მე, — ხომ ამბობენ, ბუნება მხატვრობის აღმოჩენაო! — და მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული მხატვრები შეეახსენე, რომელთაც ყვავილების შესანიშნავი სურათები აქვთ დახატული.

— აჰ, არა, ძვირფასო! — გაასავსავა ხელები ბარანოვმა. — ხელოვნება ბუნების შვილია და არა დედა. დახატულ ყვავილს როგორ ექნება ბუნებრივის სილამაზე, როცა წებოს სუნი ასდის. სილამაზე კომპლექსური შეგრძნებაა, მისი მარტო არც ყურება შეიძლება, არც წარმოდგენა. სილამაზე უნდა შეიგრძნო, შეეხო, უყნოსო, შეიწოვო ისე, რომ ტანში ჟრუანტელმა დაგიაროს, თორემ ისე სილამაზის ჭვრეტა მოსაწყენია, სევდის მომგვრელი, როგორც ლამაზი ქალის ცქერა შორიდან...

... მერე „ყვავილების ფილოსოფოსი“ მიხეილ მამულაშვილიც ახსენა. თურმე რამდენჯერმე ყოფილა მასთან სტუმრად და აღტაცებული იყო.

— მადლობა ღმერთს, რომ მამულაშვილი გონების კარნახით არ მუშაობს, არც არაფერს იგონებს, არაფერს განსაზღვრავს წინასწარ. დარწმუნებული ვარ, იგი მხოლოდ ინსტინქტებით მოქმედებს. მე არასოდეს შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც ასე ფენომენალურად შეიგრძნობდეს ბუნებრივ სილამაზეს მას სილამაზის შექმნის რაღაც მეექვსე გრძნობა აქვს, რაც ჩვენთვის უცნობია და მიუწვდომელი. მამულაშვილი მხოლოდ ამ გრძნობის კარნახით მოქმედებს და, მე ვფიქ-

რობ, კიდეც იმარჯვებს ბუნებასთან შეჯიბრში. ბუნება ხომ უდიდესი ოსტატია სახეთა ფორმის შექმნისა, მაგრამ ის თქვენი მამულაშვილი იქნებ ერთადერთი იყოს, რომელიც მეტოქეობას უწევს მას...

როცა ამ სიტყვებს ვიგონებ, ისევ თვალწინ მიდგას ეს უბრალო მოხუცი, რომელიც, ბარანოვის თქმით, თურმე თვით ბუნებასაც კი უწევს მეტოქეობას სილამაზის ფორმათა შექმნაში. მაგონდება მისი სიტყვები, მამულაშვილი გენიალური, მაგრამ მაინც „ბრმა ინტუიციით“ მოქმედებსო, როცა იგი მუშაობს, ყველაფერი თავისთავად ხდება, წინასწარი მოფიქრებისა და მომზადების გარეშეო.

შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს. პირადად მეც მქონდა შემთხვევა დავრწმუნებულიყავი ამაში...

სტალინი რომ გარდაიცვალა, საქართველოდან მოსკოვს წარგზავნილ დელეგაციასთან გვირგვინი უნდა ჩაეტანათ. გადაწყდა, რომ ეს საქმე მამულაშვილისათვის მიენდოთ. წინასწარ კი მხატვრებს ესკიზის შედგენა მოსთხოვეს. მე ვიცოდი, რომ „მცხეთელი მეყვავილისათვის“ ეს სრულიად უსარგებლო რამ იყო. მაგრამ, აბა, ისეთ ადამიანებს რა გამოლევს, რომელთაც ჰგონიათ, მაღალი თანამდებობა თითქოს ავალებს ვათ მექოთნეს ქოთნის გაკეთება ასწავლონ, ხოლო მეპურეს — პურის გამოცხობა... მცხეთაში რომ გამგზავნეს, თან ასეთი ესკიზიც გამატანეს. მართალია, მამულაშვილისათვის ის არც მიჩვენებია, მაგრამ ვკითხე კია, როგორი გვირგვინის გაკეთებას აპირებთ-მეთქი... გაჯავრებულად შემომხედა და მითხრა, როგორიც საჭიროა, ისეთისო. მერე ხან აქედან მოვუარე, ხან — იქიდან, მაგრამ ამის მეტი ვერაფერი ვათქმევინე და ისე დავბრუნდი თბილისში. მეშინოდა, ვაითუ რამე გაუგებრობა მოხდეს-მეთქი

თბილისში განკარგულება დამხვდა, მამულაშვილი აქ ჩამოიყვანეთ, რომ ჩვენც ადგილობრივ შევამოწმოთ როგორ გვირგვინს აკეთებსო. ვიცოდი, რომ ეს სულ შეუძლებელი იყო, და როგორღაც დავარწმუნე ამ განკარგულების გამცემი. საჭირო არ არის, ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი. თავად კი შეშინებული ისევ მცხეთისაკენ გავეშურე... მინდოდა გამეგო როგორ აკეთებდა, რადგან ვიცოდი, თბილისში დაბრუნებისას ისევ მკითხავდნენ ამას.

მამულაშვილი ჯერ მხოლოდ მასალას კრეფდა და ალაგებდა. გავბედე და ვკითხე, ძია მიხო, მაინტერესებს როგორი გვირვინი გამოვა-მეთქი. არც მიპასუხა. ცოტა ხნის მერე ისევ გავუმეორე კითხვა. ხელი ჩაიქნია და არაფერი თქვა... მესამედ რომ დავიწყე... გაბრაზებულმა ძომაძახა, აბა, რა ვიცი, როგორი გამოვა, როგორსაც თითები გამოიყვანს, ისეთი...

ვინ იცის, იქნებ მამულაშვილი, მართლაც, თითებით აზროვნებს და გრძნობს სილამაზეს, ფორმას, კომპოზიციას! ეს დიდი საიდუმლოებაა. ვერც ვერავინ მისწვდება ასე ადვილად ამ გენიალურ უბრალოების ამბავს. იგი თითქოს ჩვეულებრივია მაგრამ განუმეორებელიც როგორც ჭეშმარიტი ხელოვნება. ამას ყველაზე უფრო ფიროსმანის ნახატები, მამულაშვილის თაიგულები და ხალხური მოლექსენი გვაგრძნობინებენ... და ისინი, ვისაც მათი მირონი სცხია...

... იმ დღეებში ცენტრალური გაზეთები აღნიშნავდნენ, სტალინის ცხედართან გასაოცარი სილამაზის გვირგვინი იდო...

ეს „ყვავილების მგოსნის“ მიხეილ მამულაშვილის ნახელავი იყო...

რუბიკონის გადალახვა...

მერე ბუდაპეშტში საკონტროლო საბჭო ჩამოყალიბდა მარშალ კ. ვოროშილოვის მეთაურობით. ცხოვრებამ ისევ ძველი კალაპოტი დაიჭირა. ბუდაპეშტელები მშვიდობიან მდგომარეობას უბრუნდებოდნენ და ახალ, დემოკრატიულ წესწყობილებას ქმნიდნენ. ჩვენი ფრონტის შენაერთები კი უკვე ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიისაკენ მიიწევდნენ. ჩვენი განყოფილებაც მათ მიჰყვებოდა. დადგა უნგრელ ამხანაგებთან გამოთხოვების ჟამი. ომის დროს ხშირად გვიხდებოდა ასეთი „გამოთხოვება“ და შეჩვეული ვიყავით. ამჯერად კი კაპიტან ბეგის საქმე ვერასგზით ვერ მოვაგვარეთ. რუმინეთიდან უნგრეთში იმ საბაბით გადმოგვყვა, უნგრულიც ვიცი. ახლა უნგრულის მცოდნენი ბუდაპეშტში რჩებოდნენ, სხვები კი ჩეხოსლოვაკიისაკენ მოვდიოდით. ბეგიმ, „საუბედუროდ“, არც ჩე-

ხური იცოდა და არც სლოვაკური. არადა, არაფრით არ უნდოდა მოგვმორებოდა. ჯერ თქვა, სამხედრო კანონის ძალით ადიუტანტს უფლება არა აქვს თავის უფროსს მოშორდესო, თუმცა თვითონაც კარგად იცოდა, რომ ეს „კანონიც“ და „ადიუტანტობაც“ ყინულზე იყო დაწერილი.

მერე უფრო „სოლიდური“ არგუმენტიც წამოაყენა: რა მოხდა, იმ რაღაც სლოვაკურ ფრანგულს ორ კვირაში ვისწავლიო.

რა უნდა გვექნა! საშველი არ იყო და წავიყვანეთ. ისე, კაცმა რომ თქვას, იმდენად შევეჩვიეთ მის „სუპრიზებს“, რომ გვენანებოდა კიდეც განშორება...

ბეგიმ რომ გაიგო მიგვყავდა, სიხარულით ცას ეწია და ჯიქურ ეძგერა საქმეს. იხელთებდა თავისუფალ დროს თუ არა, მაშინვე სლოვაკური ენის მცოდნე კაპიტან მედოვს მივარდებოდა და ეხვეწებოდა მეც მასწავლეო. ერთ-ორ დღეში კიდევაც დაიზეპირა რამდენიმე სლოვაკური ფრაზა და სული ამოგვართვა თავისი „სოლიდური განსწავლულობით“. უნგრული და რუმინული მან ახალი „ფრანგულით“ შეცვალა და, ამის შემდეგ, თუ რამ სათქმელი ჰქონდა, აუცილებლად ასე დაიწყებდა:

— Dobry den súdruh! (გამარჯობათ, ამხანაგებო!). დღეში ერთი ასჯერ მაინც რომ ამბობდა „გამარჯობათო“, ამაზე სულაც არ წუხდა, რადგან, მისი აზრით, ეს სლოვაკური „ფრანგულის“ ცოდნის დადასტურება იყო და არა მისალმება...

...ბრატისლავაში რომ შეეედით, ბეგი სულ აყვავდა: მიდიოდა ქუჩაში და წარამარა ისროდა ამ ახალ „ფრანგულს“.

გამვლელ-გამომვლელნი მოწიწებით მიესალმებოდნენ მას...

ქუჩებში ნამდვილი დღესასწაული იყო. არსად, არც ერთ ქვეყანაში ისე აღტაცებით არ შეხვედრია ჩვენი ჯარის ნაწილებს ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც ჩეხოსლოვაკიაში. დიდი თუ პატარა გარეთ იყო გამოსული. ხალხით გაჭედილ ქუჩებში ტანკებიც ძლივს იკვლევდნენ გზას. იყო ერთი ყიჟინა და ყვავილების სროლა, ფერად-ფერადი თავსაფრების ფრიალი, სლავური „პურ-მარილით“ შეხვედრა...

საღამოს ნამდვილი ზეიმი გაიმართა... ხალხმა ერთბაშად დაივიწყა ომის სიძნელენი. ყველას საზეიმო განწყობილება

დაეუფლა, რასაც სრულიად გულწრფელად გამოხატავდნენ ჩვენი ოფიცრებისა და ჯარისკაცების მიმართ..

ბრძოლის ტალღები კი ისევ დასავლეთისაკენ მიიწევდა. გერმანელები უკვე ვეღარ უძლებდნენ საბჭოთა არმიის შეტევას და პანიკურად იხევდნენ უკან... ლენინგრადის ფრონტმა დიდი გამარჯვებები მოიპოვა კარელიის ყელსა და ბალტიისპირეთში. ვიბორგის აღების შემდეგ ფინეთის ჯარები ისეთ კატასტროფულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, რომ, მიუხედავად გერმანიის მუქარისა და დაჟინებული მოთხოვნისა, განეგრძოთ ბრძოლა, მაინც დამარცხებულად ცნეს თავი. 1944 წლის აგვისტოში ფინეთის მთავრობამ ზავი ითხოვა, რაც მიღებულ იქნა იმ პირობით, თუ ფინელები გაწყვეტდნენ კავშირს გერმანელებთან და აიძულებდნენ მათ შეიარაღებულ ძალებს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ფინეთის ტერიტორია.

გერმანელები იძულებული გახდნენ წასულიყვნენ.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დამარცხება განიცადეს ჰიტლერელებმა ცენტრალურ ფრონტზე. ბელორუსიის გათავისუფლების შემდეგ საბჭოთა არმიის ნაწილებმა ბრესტის ციხე-სიმაგრე აიღეს და პოლონეთის ტერიტორიაზე შევიდნენ.

დიდი გამარჯვება იქნა მოპოვებული დასავლეთ უკრაინაშიც. აქ ჩვენი ჯარები კარპატებს მიადგნენ და წარმატებით ავითარებდნენ შეტევას სამხრეთის ფრონტის მარჯვენა ფლანგზე. პარალელურად გათავისუფლებულ იქნა საბჭოთა იმიერპოლარეთი და ბალტიისპირა რესპუბლიკები.

— ჩვენი მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე შემაძრწუნებელია, — აღიარა ჰიტლერმა გერმანიის არმიის გენერალური შტაბის უფროსთან საუბარში.

იგი ლაპარაკობდა „მორალური კრიზისის“ დაძლევის აუცილებლობაზე. თუ აღმოსავლეთის ფრონტის სტაბილიზაციას მივაღწევთ, დროს მოვიგებთ და უფრო გავძლიერდებითო, ანუგეშებდა იგი გენერალ ციაცლერს. თან ამ „საბედისწერო ომს“ (Schicksalskampf) მამლების ბრძოლას ადარებდა. უნდა გავძლოთ ან უნდა მოვკვდეთ, ამბობდა იგი, მაგრამ გასისხლიანებულსა და ბურტყლშემოცლილ „არიელ მამალს“ უკვე ძალიან უჭირდა გაძლება. საბჭოთა არმიებმა გაანადგურეს გერმანიის შეიარაღებული ძალები პოლონეთში და აღმოსავლეთ პრუსიისაკენ დაიძრნენ... -

მძიმე მდგომარეობა შეექმნათ გერმანელებს დასავლეთის ფრონტზედაც. ინგლისელები და ამერიკელები სულ უფრო ღრმად მიიწევდნენ კონტინენტზე. ფალეზში ორი გერმანული არმია იქნა გარშემორტყმული და განადგურებული. გენერალი პატონი სამხრეთისაკენ გაიჭრა. 19 აგვისტოს პარიზში აჯანყება მოხდა. „წინააღმდეგობის ფრონტის“ მებრძოლებმა პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება და გერმანული გარნიზონის განიარაღება მოითხოვეს, თან ეშინოდათ, რომ გარნიზონის უფროსს გენერალ ფონ ჰოლტინგს არ შეესრულებინა ჰიტლერის ბრძანება „პარიზის ყველაზე უფრო უმოწყალოდ დანგრევის შესახებ“. ეს „უმოწყალოდ დანგრევა“, ჰიტლერისავე განმარტებით, „საფრანგეთის დედაქალაქის სრულ მოსპობას“ ნიშნავდა.

ამ საბედისწერო ჟამს სასახელო ინიციატივა გამოიჩინა შვეიცის გენერალურმა კონსულმა პარიზში რაულ ნორდინგმა. იგი ოტელ „მორისში“ ეახლა გენერალ ჰოლტინგს და სთხოვა თავი შეეკავებინა „მსოფლიოს დედაქალაქის“ დანგრევისაგან.

ჰოლტინგი ზანტად წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და თვალი მოავლო „თანხმობის მოედანს“. მერე ნორდინგს მიუბრუნდა და ტკეპნით მიუგო:

— სტალინგრადიდან მოყოლებული მე ბედი არა მწყალობს. სულ გერმანიის არმიის ზურგის დაცვა მიხდება, ასეთ შემთხვევაში კი ყოველთვის ვიღებ ბრძანებას მოესპო ქალაქი, რომელსაც ვტოვებთ.

აქ იგი მიუახლოვდა კონსულს, ირონიულად ჩაიცინა და დაუმატა:

— ახლა კი მე ისტორიაში შევალ როგორც ადამიანი, რომელმაც მოსპო პარიზი!..

თუკი ისტორია მართლაც მოიხსენიებს გენერალ ფონ ჰოლტინგის სახელს, იტყვის, რომ მას პასუხისმგებლობის შეეშინდა, თავს გაუფრთხილდა და, ორ ცეცხლს შუა მდგომმა, იძდენი იყოყმანა, რომ თუმცა თავისდა უნებურად, მაგრამ მაინც შეუწყო ხელი პარიზის გადარჩენას...

... 25 აგვისტოს ომარ ბრედლის არმიათა ჯგუფის მეორე ფრანგული ჯავშანსატანკო დივიზია სახელგანთქმულ გენერალ ლეკლერკის წინამძღოლობით მშობლიურ დედაქალაქში შევიდა. ფრანგმა ჯარისკაცებმა და წინააღმდეგობის ფრონტის მებრძოლებმა გერმანული გარნიზონი განაიარაღეს. მონტგომერისა და ბრედლის არმიათა ჯგუფები ფრონტის მთელ ხაზზე უტევდნენ ჰიტლერელებს. ერთგვარი შეჯიბრიც ჰქონდათ გამართული, თუ ვინ შევიდოდა პირველი ბერლინში. ეს პრესტიჟის საქმეც იყო. ამერიკელებს უნდოდათ „საბოლოო გამარჯვების დაფნის გვირგვინი“ თვითონ მოეპოვებინათ. მონტგომერი, პირიქით, ამ საპატიო „საჩუქარს“ ინგლისელებს უმზადებდა. ეიზენჰაუერი როგორც მთავარსარდალი, რა თქმა უნდა, ამერიკელთა ინტერესს იცავდა. მისი ანგარიშით, ბერლინში პირველი ტეხასელი გენერალი ჯორჯ პატონი უნდა შესულიყო. ეს პატონი ისეთი თავზეხელაღებული ვინმე იყო, რომ, თუ რამეს აიხირებდა, თვით ეიზენჰაუერსაც უჭირდა მისი შეკავება. სულ ჩხუბსა და აყალმაყალს ტეხდა, ყვიროდა, იგინებოდა და... ტრაბახობდა:

— ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი! ინგლისელებს ის ურჩევნიათ დიუნკერკი არ დაივიწყონ, თორემ კიდევ მოუხდებათ ზღვაში ჭყუმპალაობა. თუმცა, ხუმრობა იქით იყოს, — ეუბნებოდა იგი ეიზენჰაუერს, — ორი დღეა, რაც გაჩერებული ვარ მაასთან, რადგან ბენზინს არ გვაწვდიან. ჩემს ჯარისკაცებს შეუძლიათ ტყავის ჩანთები ღეჭონ, მაგრამ ტანკები უბენზინოდ ხომ ვერ იმოძრავებენ. თუ ბენზინს მივიღებ, ჩემი არმიით გრიგალივით გავიჭრები წინ რაინამდე და იმ წყეულ გერმანელებს სულ ბიფშტექსად ვაქცევ...

ბრედლი აღნიშნავს „ჯარისკაცის ჩანაწერებში“: ექსცენტრულად განწყობილი გენერალი პატონი ამას რომ ამბობდა, განგსტერული ფილმების გმირ ჰარი კუპერის პოზაში იდგა, ხელი ბრილიანტებით მოჭედილი რევოლვერის სახელურზე ედო და თვალებს ისე აბრიალებდა, რომ თვით ეიზენჰაუერიც ვერ უბედავდა რამეს თქმასო...

მდგომარეობა მართლაც გამწვავდა და სერიოზული კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ეიზენჰაუერი თვითონ ჩაფრინდა მონტგომერის შტაბში.

საგულისხმოა ისიც, რომ მონტგომერიმ იმ დღეებში

ფელდმარშლის უმაღლესი სამხედრო წოდება მიიღო და ამით გაუსწრო კიდეც თავის მთავარსარდალს, რომელსაც მხოლოდ ომის დამთავრებისას უბოძეს მეხუთე ვარსკვლავი. ვიდრე ასეთი მდგომარეობა იყო, მონტგომერი სარგებლობდა კიდეც ამ უპირატესობით. იგი „პრინციპულად“ არ მიდიოდა ეიზენჰაუერის შტაბში და აიძულებდა თავის უფროსს „მასთან გამოცხადებულიყო“. ეიზენჰაუერიც აკმაყოფილებდა ფელდმარშლის პატივმოყვარეობას და, რაკი „მთა ვერ მივიდოდა მაჰმადთან“, ყოველ საჭირო შემთხვევაში თვითონ „მაჰმადი“ გარბოდა „მთასთან“.

იმ დღესაც ასე მოხდა. ტანმორჩილმა ფელდმარშალმა თავდაჭერილად მიიღო მთავარსარდალი. მონტგომერიმ მოითხოვა პატონის არმიის შეჩერება და ინგლისელებისათვის გზის გახსნა ბერლინისაკენ, რაზედაც ეიზენჰაუერმა შენიშნა:

— ამას არასოდეს არ გაამართლებს ამერიკის საზოგადოებრივი აზრი. ომს კი საზოგადოებრივი აზრი იგებს.

— ომს იგებს ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვება და არა საზოგადოებრივი აზრი. მიეცით ხალხს გამარჯვება და სულაც არ დაგიდევთ, თუ ვინ მოიპოვა იგი, — მიუგო მონტგომერიმ. მას საპარაშუტო სადესანტო ჯარების ექსტრავაგანტური ფორმა ეცვა, თავზე განუყრელი ბასკური წითელი ბერეტი ეხურა და აღელვებული სცემდა ბოლთას ოთახში.

ეიზენჰაუერმა წაყრუება არჩია. იგი დარწმუნებული იყო, რომ გამარჯვება ხელთ ჰქონდა, მაგრამ ბერლინში პირველი შესვლის დაფნის გვირგვინი მაინც არ ეთმობოდა. მონტგომერი რომ ვერ დაიყოლია, გულმოსული გამოფრინდა გრენობლში, სადაც ამერიკელთა შტაბი იდგა. აეროდრომზე დაჯდომისას მისი პატარა თვითმფრინავი კინაღამ ზღვაში ჩავარდა. მფრინავმა სწრაფად მოქაჩა მუხრუჭის სახელური, მაგრამ მაინც ვერ გააჩერა. ეიზენჰაუერი თვითონაც ეცა საჭეს და დიდი ვაი-ვაგლახით შეაჩერებინა თვითმფრინავი, მაგრამ ამ დავიდარაბაში უხერხულად დაეცა და მუხლი იტკინა. სასწრაფოდ გამოუძახეს ექიმს, რომელმაც დაშავებული ფეხის თაბაშირში ჩადება და გენერლის ჰოსპიტალში მოთავსება მოითხოვა.

— ჯარებს როგორღა ვუხელმძღვანელო? — შეწუხდა მთავარსარდალი.

— ლოგინიდან. თქვენ დიდხანს უნდა იწვეთ, სერ! — მიუგო მას ექიმმა.

ეიზენჰაუერი დარწმუნებული იყო, რომ ორ-სამ თვეში დაამთავრებდა ომს. ამის შესახებ „სიმბოლური სანაძლეოც“ ჰქონდა დადებული მონტგომერისთან: თუ ომს სამ თვეში ვერ დავამთავრებთ, ხუთ გირვანქა სტერლინგს გადაგიხდითო. ის კი არ იცოდა, გამარჯვებამდე რომ ჯერ კიდევ შორს იყო...

... ამ დროს თვით გერმანელებიც ამზადებდნენ კონტრიერიშს. 20 აგვისტოს გამოიცა პირველი საიდუმლო ბრძანება ამის თაობაზე. „ცოცხალი ძალის“ ამოსაქაჩავად გამოცხადდა ე. წ. „ზეტოტალური მობილიზაცია“. დაიკეტა ყველა ის საწარმო თუ დაწესებულება, რომელიც უშუალოდ არ ემსახურებოდა ომს. სამხედრო ქარხნებიდანაც ბევრი წაიყვანეს. მათ ნაცვლად სამუშაოდ გაიწვიეს ქალები ორმოცდაათი წლის ასაკამდე. გებელსის ბრძანებით ყველა არაგერმანელი შინამოსამსახურე სამხედრო ობიექტებში გაიგზავნა. უფრო გვიან ჩამოყალიბდა ე. წ. „ფოლკსშტურმი“, რომელშიც გააერთიანეს, შეიარაღეს და „საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს“ ჯერ კიდევ გაუწვეველი მამაკაცები თექვსმეტიდან სამოცი წლის ასაკამდე. დასავლეთის ფრონტზე კონტრიერიშის მოსამზადებლად საჭირო იყო ოცდახუთი ახალი დივიზიის შექმნა. ეს დავალება შეიარაღების მინისტრმა შპეერმა და შრომის ფრონტის მეთაურმა დოქტორმა ლეიმ მიიღეს. მათი განკარგულებით მოსახლეობას „ცოცხალი ძალის“ უკანასკნელი რესურსები გამოსწურეს. ჰოსპიტლებში ავადმყოფები არ დააყენეს, ინვალიდებისაგან სახალხო რაზმები შექმნეს, პირველი მსოფლიო ომის ვეტერანებისაგან ე. წ. „ფოლკს-გრენადერთა“ ბატალიონები დააკომპლექტეს, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ბიჭებიც გაიწვიეს, ხელოვნებისა თუ ლიტერატურის მუშაკებიც მოხვეტეს და თოფჩვეშ დააყენეს. დოქტორმა ლეიმ ყვავილების გამყიდველებიც არ დაივიწყა. აქ მან ისეთი გულმოდგინება გამოიჩინა, რომ გებელსებთან სტუმრად მისული ჰიტლერი გაეხუმრა მაგდას, ლეიმ ყველა საყვავილე მაღაზია დაკეტა და ეს თაიგული ძლივს გავაკეთებინე თქვენთვისო...

... პირველ სექტემბერს ჰიტლერმა „მგლის ბუნაგში“ გამოიძახა სამოცდაათი წლის მოხუცი ფელდმარშალი რუნდშტედტი და ეს უკვე მესამედ დაავალა დასავლეთის ფრონტის სარდლობა მისი შემცვლელი ფელდმარშალი მოდელი კი რომელის ადგილას დანიშნა არმიათა ჯგუფ B-ს სარდლად. რუნდშტედტმა იცოდა, ომი რომ წაგებული იყო, მაგრამ მაინც დაემორჩილა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას.

— მოკავშირეთა ჯარებს ჩვენ შევაჩერებთ დასავლეთის სიმაგრეებზე, მოზელთან და ვოგეზებში, მერე კი მოვუცდიო ზამთარს, ხოლო შემდეგ დაგვეხმარება ნისლი, ღამე და თოვლი, — განუცხადა მას ჰიტლერმა.

სექტემბრის განმავლობაში მან შეადგინა ახალი არმია, რომლის სარდლად თავისი საყვარელი გენერალი ზეპ-დიტრიჰი დანიშნა...

... 8 ოქტომბერს იოდლმა სპეციალურ მანქანაზე დაბეჭდილი კონტრიერიშის გეგმა დაუდო წინ ჰიტლერს. ამ მანქანის შრიფტი ორჯერ დიდი იყო ჩვეულებრივზე. ბეც ჰიტლერს სხვანაირად კითხვა არ შეეძლო. სათვალეს კი პრინციპულად არ იკეთებდა. ამბობდა: სათვალიანი ფიურერი იქნებ სასაცილოდ გამოიყურებოდესო. მართალია, კითხვა ასეც უჭირდა, მაგრამ „ფიურერის ღირსებას“ მაინც არ ლახავდა. წინ გადაიხრებოდა, ცხვირს თითქმის მაგიდას დაადებდა და ისე ათვალიერებდა გეგმას, რომელსაც კოდურ სახელად „რაინის საგუშაგო“ შეარქვა.

ასეთი გეგმა ჯერ კიდევ ომის დაწყებისას ჰქონდა მანშტაინს შედგენილი. იგი მოითხოვდა შეტევის დაწყებას არდენის მიმართულებით, მაგრამ ჰიტლერმა არ მიიღო მისი გეგმა. ახლა კი იოდლი თითქმის იმასვე სთავაზობდა, თან ეშინოდა, ვაითუ ფიურერი განრისხდეს და ეს გეგმა თავზე გადამახიოსო. ჰიტლერი, მართალია, არ განრისხებულა, მაგრამ მაინც უკმაყოფილოდ უთხრა იოდლს:

— ტანკები თუ სწრაფად არ გაიჭრნენ დაბლობში, არდენი შეიძლება ხაფანგად გვექცეს. ისე, თავისთავად, ამ გეგმას არა უშავსრა, მაგრამ ხვალისათვის სხვა ვარიანტებიც შემიდგინეთ...

— კეთილი, ჩემო ფიურერ, — მიუგო იოდლმა, ჯარისკაცურად შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა...

... მეორე დილით ჰიტლერის მაგიდაზე ხუთი ახალი ვარიანტი იდო, მაგრამ საბოლოოდ მაინც არდენის გეგმა „ალყა“ იქნა მიღებული. ამ გეგმის მიხედვით გერმანელებს კონცენტრირებული დარტყმით უნდა გაერღვიათ ამერიკელთა ფრონტი ეიფელის რაიონში და ელვისებური სისწრაფით გასულიყვნენ მდინარე მაასზე. აქ მათ უნდა ხელთ ეგდოთ გადასასვლელები და ლიეჟის გავლით ანტვერპენამდე მიეღწიათ. ამით ისინი შუაში გააპობდნენ ინგლის-ამერიკის ძალებს და მოუსპობდნენ მათ ერთადერთ მოქმედ ნავსადგურს, საიდანაც მოკავშირეთა ჯარების მომარაგება წარმოებდა. შემდეგ გერმანელები ჩრდილოეთისაკენ გაუხვევდნენ ლამანშის სანაპიროების გასწვრივ, შეუტევდნენ ამერიკელებისაგან მოწყვეტილ ინგლისელთა ჯარებს და გაიმეორებდნენ „დიუნკერკის ტრაგედიას“.

ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ ეს ოპერაცია ისევ გაუღებდა მას ბედის კარს და ინგლისელები მეტს უკვე აღარ შეეცდებოდნენ ფეხი შემოედგათ კონტინენტზე.

— ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს ყველა კოზირი ერთად დავდოთ მაგიდაზე, — უთხრა მან იოდლს და თან გააფრთხილა: — რაკი ამ ოპერაციაში მთავარი მოულოდნელობა (Überraschung) იქნება, მტერმა გუმანი არ უნდა მიიტანოს ჩვენს მზადებაზეო.

ეს არც ისე ძნელი იყო, რადგან ორსახოვანი იანუსი კანარისი უკვე ციხეში იჯდა. ინგლისელებსა და ამერიკელებს ამით ჰიტლერელებმა ყურზე ფეხი დაადგეს და ინფორმაციის წყარო მოუსპეს, „კანარისისებური დივერსიებისათვის“ კი თავიანთი „გაჭირვების ტალკვესი“ გამოიყენეს...

... დილით შტურმფიურერი ოტო სკორცენი იდგა ჰიტლერის წინაშე. იგი უყვებოდა ფიურერს, თუ როგორ მოიტაცა ხორტი ბუდაპეშტიდან. ჰიტლერი კმაყოფილი შეჰყურებდა ორი მეტრი სიმაღლის სახედაჩეხილ გოლიათს, რომელიც თავის ყველაზე ერთგულ ოფიცრად მიაჩნდა. ამიტომაც გაანდო არდენის ოპერაციის საიდუმლოება და „განსაკუთრებული

მნიშვნელობის დავალება“ მისცა: სწრაფად შეეკრიბა ბრიგადა ინგლისური ენის მცოდნე სამი ათასი ჯარისკაცისა და ოფიცრის შემადგენლობით, ყველანი ამერიკულ ფორმაში გამოეწყო და ნადავლი იარაღით მოემარაგებინა.

— სკორცენი, თქვენ წილად გხვდათ შეასრულოთ მთავარი დავალება, — უთხრა მას ჰიტლერმა და განაგრძო, — ალბათ, ყველაზე მთავარი, რაც კი გქონიათ თქვენს სიცოცხლეში: უნდა დაიკავოთ მაასის ნაპირას პოზიცია ლიუტიჰსა და ნამურს შორის და მცირე ჯგუფებით შეაღწიოთ მტრის ზურგში, რათა გამოიწვიოთ არევ-დარევა. მითხარით რა გჭირდებათ ამისათვის და მიიღებთ ყველაფერს... აქ მან პაუზა გააკეთა და ცოტა ხნის შემდეგ საზეიმოდ წარმოთქვა:

— ობერშტურმფიურერ!..

შტურმფიურერ სკორცენის სახე გაებადრა. იგი მიხვდა, რომ ჰიტლერმა მორიგი ჩინი უბოძა, თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა გაიმეორა ფიურერის ნათქვამი:

— არის, ობერშტურმფიურერ!..

... ასეთი რამ საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა იყო. ჰააგის კონვენცია უკრძალავს მეომარ მხარეებს, რომ შეცდომაში შეყვანის მიზნით გამოიყენონ პარლამენტიორების თეთრი ალამი, მოწინააღმდეგის ეროვნული დროშა, სამხედრო ფორმა და ნიშნები, მაგრამ როდის იყო, რომ ჰიტლერი ყურადღებას აქცევდა ასეთ კანონებს!

— ფიურერის უფლება და ნება-სურვილი ერთი და იგივეა! — აცხადებდა გერინგი.

თუ ფიურერი ინებებდა რამეს, კანონიერი იყო ეს თუ არა, ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა. არც მისი ხელქვეითები იზღუდავდნენ კანონ-სამართლით თავს, მით უმეტეს ისეთი აღვირახსნილი პიროვნება, როგორიც სკორცენი იყო. მან დაუყოვნებლივ შეკრიბა სამი ათას სამასი დივერსანტი და ყოველ მათგანს განუცხადა:

— ვინც ტყვედ ჩავარდება, დაუყოვნებლივ იქნება დაბვრეტილი. შემდეგ ნურავინ იტყვის, არ ვიცოდი რაზე მივდიოდიო. მე მძულს ჯარისკაცი, რომელსაც აწუხებს სინდისი და სიკვდილით დასჯის შიში. თვითონაც ყველა ზომას მივიღებ,

რათა ხელში არ ჩავუვარდე ამერიკელებს. ომის შემდეგ კი ჰიტლერი და ესესელები დაადგენენ რაა კანონიერი და რა — არა.

დივერსანტები მიხვდნენ, რომ ისინი სასიკვდილოდ იყვნენ განწირული, მაგრამ „კარვი სმა-ჭამა ჰქონდათ“ და ბედს შეურიგდნენ. მათ ყოველდღე ავარჯიშებდნენ ხელჩართულ ბრძოლაში და ასწავლიდნენ ინგლისური ენის ამერიკულ დიალექტს. მეთაურები დღედაღამ ლოთობდნენ. ოპერაციის დაწყების წინ კი ყველანი ისე გაილეშნენ, რომ მათთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო...

... არდენის მთელი ოპერაცია ისე მომზადდა, რომ მოკავშირეთა სარდლობას არაფერი გაუგია. მათ ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ გერმანელებს კიდევ შეეძლოთ კონტრშეტევის დაწყება. ვერც ამჩნევდნენ, თუ როგორ იკრიბებოდა შავი ღრუბლები მათ თავზე. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ჰიტლერმა შეტევის წინა ხაზზე ოცდაათამდე დივიზია გაიყვანა. ფიურერმა ყველანი ფრონტზე გაგზავნა, თავისი პირადი დაცვა კი. ოპერაციებს რუნდშტედტი, მოდელი, ზეპ-დიტრიხი, მანტოიფელი, შტუდენტი და სხვა გამოცდილი გენერლები მეთაურობდნენ. ყოველი მათგანი განსაკუთრებული მონდომებით იქნა შერჩეული, დეტალურად შესწავლილი და დამტკიცებული. როცა გენერალ შტუდენტის საპარაშუტო დივიზიის მეთაურად დანიშვნის საკითხი ირჩეოდა, ჰიტლერმა მოიგონა მისი მონაწილეობა მუსოლინის გათავისუფლების საქმეში, შეუქო „არანორმალური სიმამაცე“, მაგრამ იკითხა:

— რატომ არის, რომ შტუდენტი ძალიან ნელა ლაპარაკობს?

გერინგმა სულ ცამდე აიყვანა „თავისი მამაცი ოფიცერი“, ისეთი კაცია, ყოველგვარ დაბრკოლებას დაძლევსო.

— კი მაგრამ რატომ ლაპარაკობს ასე ნელა? — შეაწყვეტინა მას ჰიტლერმა.

გერინგი ისევ შეუდგა შტუდენტის ქება-დიდებას. ჰიტლერმა კი მაინც თავისი დაიჩემა:

— იგი ძალიან ნელა ლაპარაკობს...

— სამაგიეროდ ელვის სისწრაფით მოქმედებს! — არ და-

უთმო გერინგმა, თუმცა არც ჰიტლერმა დაიხია თავისი პოზიციიდან.

— საეჭვოა, რატომ ლაპარაკობს ასე ნელა?..

ბოლოს, როგორც იქნა, შეთანხმდნენ შტუდენტის დანიშვნაზე.

— კარგი, თანახმა ვარ, — თქვა ჰიტლერმა და თან დაუმატა:

— გენერალი, რომელიც ასე ნელა ლაპარაკობს, მაინც ეჭვს იწვევს ჩემში...

მსხვილი თავი...

მოსამზადებელი სამუშაოები რომ დამთავრდა, ჰიტლერმა თავისი შტაბი დასავლეთისაკენ გადაიტანა და ამ ახალ ადგილსამყოფელს არცთუ ისე მოკრძალებული სახელი — „არწივის ბუდე“ უწოდა.

ოპერაციების დაწყების წინ მან ამ „ბუდეში“ მოიწვია ვენერლების თათბირი. ოთახი ისე პატარა იყო, რომ თათბირის მონაწილენი ძლივს დაიტია. უმრავლესობას დასაჯდომი ადგილიც არ ჰქონდა და ფეხზე მდგარი ისმენდა ჰიტლერის გრძელ მონოლოგს. ფიურერის უშიშროების საგანგებო ზომებიც იქნა მიღებული. სულ რაღაც ბუთი თვე იყო მას შემდეგ გასული, რაც „მგლის ბუნაგში“ აფეთქება მოხდა. „არწივის ბუდესაც“ იგივე საფრთხე ელოდა. ამიტომ იმ თათბირზე არმიის ყოველ გენერალს ესესის უმაღლესი ოფიცერი უთვალთვალებდა. მდგომარეობა ისედაც დაძაბული იყო. ყველა გრძნობდა, რომ ეს საგულდაგულოდ მომზადებული ოპერაციაც უშედეგო აღმოჩნდებოდა. მოკავშირეებს სახმელეთო ჯარების გარდა უძლიერესი საჰაერო და საზღვაო ფლოტი ჰყავდათ, გერმანელებს კი ამ მხრივ თავი არაფრით შეეძლოთ ენუგეშებინათ. ჰიტლერი გაურბოდა კიდეც ამ საკითხის დასმას. მიუხედავად რუნდშტედტისა და რომელის კატეგორიული თხოვნისა, მან რატომღაც ნება არ დართო გაეერთიანებინათ სამივე სახეობის ჯარების მთავარსარდლობა. ამის გამო საომარი ოპერაციების დროს გერმანიის სახმელეთო ჯარებს

ბრძოლა უხდებოდათ მოწინააღმდეგის სინქრონულად მოქმედი ჯარების სამივე სახეობასთან, რომლის ერთპიროვნული მთავარსარდალი იყო დუაიტ ეიზენჰაუერი. გენერალი მანტოიფელი ირონიულად შენიშნავდა ამის გამო:

— საოცარია, რომ დემოკრატიული ქვეყნის ჯარების სარდალს ეიზენჰაუერს დიქტატორული უფლება აქვს მინიჭებული, ხოლო პლუტოკრატიული ქვეყნის სარდლობა დემოკრატიულადაა დაქსაქსული!..

შეიძლება ეს იმიტომაც ხდებოდა, რომ გერინგი არ თმობდა სამხედრო-საჰაერო ფლოტის მთავარსარდლის უფლებებს და კრძალავდა „თავისი ავიაციის“ დაქვემდებარებას სახმელეთო ჯარების სარდლობისადმი. ჰიტლერი ხანდახან კი ემუქრებოდა გერინგს, შენს საჰაერო ფლოტს დავშლი და სახმელეთო ჯარების სარდლობას დავუმორჩილებო, მაგრამ სინამდვილეში ეს მას არ გაუკეთებია, თუმცა სტალინგრადის შემდეგ გერინგის დაპირებებს ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა. არდენის ოპერაციის დაწყების წინ მანტოიფელმა ჰკითხა ჰიტლერს:

— რა უნდა ვუთხრა ჩემს ჯარებს საჰაერო ძალთა მონაწილეობის შესახებ ამ ოპერაციაში? ამ ბოლო დროს ჩვენს უბანზე კარგა ხანია თვალითაც არ გვინახავს გერმანული თვითმფრინავები...

ჰიტლერმა ამაზე უპასუხა:

— ავიაცია ჯერ განზრახ იკავებს თავს საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობისაგან. გერინგმა მომახსენა, რომ მას სამი ათასი თვითმფრინავი ჰყავს ამ ოპერაციისათვის გამზადებული. თქვენც იცით რა ფასიც აქვს გერინგის დაპირებას, მაგრამ ჩამოაკელით ათასი და მაინც დარჩება: ათასი თქვენთვის, ათასი ზეპ-დიტრიხისათვის...

ამგვარი ეჭვი სხვა სარდლებსაც აწუხებდათ. იცოდნენ, ლარის გატანა რომ ისე ადვილი არ იქნებოდა. ბევრს, საერთოდ, არა სჯეროდა არდენის ოპერაციის წარმატება. უიმედობის განწყობილება კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა სათათბირო ოთახში თვითონ ჰიტლერი შემოვიდა. იგი წელში იყო მოხრილი, ცალ ფეხს ძლივს მოათრევდა და ხელები უცახცახებდა. სიტყვაც ულიმლამოდ დაიწყო, მაგრამ მერე თანდათან შეევიდა ლაპა-

რაკის ეშხში. ძველი ომები მოიგონა, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეები მოიარა, ფრიდრიხ დიდის მაგალითები მოიშველია, სიმამაცესა და ერთგულებას ხოტბა შეასხა, ოდნავ სიძნელეებსაც შეეხო: ყოველთვის ასე ყოფილა, დამარცხება და გამარჯვება ერთმანეთს ცვლისო, კოალიციები ადვილად იკვრება, მაგრამ ასევე ადვილად ირღვევაო და, ბოლოს, როგორც იქნა, სადღეისო ამბებს მიუახლოვდა:

— უნდა მხედველობაში იქონიოთ, ბატონებო, რომ მსოფლიო ისტორიამ ჯერ არ იცის ჩვენი ახლანდელი მოწინააღმდეგეების მსგავსი ჰეტეროგენულ ელემენტთა კოალიცია, რომელსაც შეეკავშირებინოს ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებული მიზანდასახულობანი.

მერე ერთმანეთს დაუპირისპირა „ულტრაკაპიტალისტური“ და „ულტრამარქსისტული“ ქვეყნები, მათ შორის წინააღმდეგობა დღითი დღე იზრდებაო, განაცხადა და იმედი გამოთქვა, თუ მტერს ძლიერ დარტყმას ვაგემებთ, მათი კოალიცია დაიშლებაო. ეს „იმედი“ გენერლებსაც გადაედო და, როცა ოფლში გაღვრილი ჰიტლერი მოწყვეტილად დაეცა სკამზე, ფელდმარშალი რუნდშტედტი წამოდგა და შეკრებილთა სახელით პირობა დადო, რომ ამჯერად მაინც არ გაუცრუებდნენ იმედს თავიანთ ფიურერსა და რაიხსკანცლერს...

... ამ დროს მოკავშირეებიც ემზადებოდნენ შეტევისათვის. კიდევ ერთი ძლიერი დარტყმა და ომი საბოლოოდ დამთავრებული იქნებაო, ფიქრობდა ეიზენჰაუერი. იგი კვლავინდებურად დარწმუნებული იყო, რომ გენერალ პატონის არმია პირველი შევიდოდა ბერლინში. ამიტომაც უნდოდა შეტევა ერთდროულად ორი მიმართულებით — რაინის ჩრდილოეთით და ფრანკფურტისაკენ განევითარებინა. ინგლისის ჯარების შტაბის უფროსი ალან ბრუკი ასეთი გეგმის წინააღმდეგი იყო. საკითხის მოსაგვარებლად ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ჩერჩილის კაბინეტში. ბრუკი ჯიუტად იცავდა თავის გეგმას. არც ეიზენჰაუერი თმობდა პოზიციას. ჩერჩილმა სცადა მათი დავა ხუმრობაში გაეტარებინა, მაგრამ არ გამოუვიდა. მაშინ თათბირი მეორე დღესაც განაგრძო და თვითონ ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. ამაზე გულმოსულმა ბრუკმა გადადგომა ითხოვა, მაგრამ

ჩერჩილმა დააშოშმინა, სტუმარს ხომ არ ვაწყენინებდიო, სადავო საკითხების განხილვა კი მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გადაიტანა. ბრუკი აქაც თავისას მოითხოვდა. მაშინ ჩერჩილმა დაავალა მას 18 დეკემბრისათვის გაემზადებინა მოხსენებითი ბარათი, რათა საკითხის გადაწყვეტა უმაღლეს დონეზე — რუზველტთან თათბირზე მომხდარიყო. ინგლისი კატეგორიულად მოითხოვდა შეტევის მარტო ერთი მიმართულებით — ჩრდილოეთით განვითარებას და „ბერლინის აღების დაფნის გვირგვინის“ უზრუნველყოფას დიდი ბრიტანეთისათვის.

ასეთი გეგმით რაინს მომავალი წლის მაისამდე ვერ გადავლახავო, ამბობდა ეიზენჰაუერი. სამაგიეროდ, თუ მისი გეგმა დამტკიცდებოდა, საშობაოდ აპირებდა ბერლინში შესვლას. ისიც ახსოვდა, თუ რა სანაძლეო ჰქონდა ფელდმარშალ მონტგომერისთან დადებული. ამას არც ის „უდაბნოს მელა“ ივიწყებდა. 16 დეკემბერს დილით ეიზენჰაუერს ვერსალის სასახლეში გადასცეს მონტგომერის წერილი, რომლითაც იგი ირონიულად მოაგონებდა ერთი წლის წინ დადებულ სანაძლეოს.

ეიზენჰაუერმა ასეთი პასუხი მისწერა ფელდმარშალს:

— ჩემო ძვირფასო მონტი!

თქვენ კეთილ ინებეთ და შემახსენეთ სანაძლეოს შესახებ. ამერიკელი გენერალი სიტყვას არ გატეხს. თუ ომი საშობაოდ არ დამთავრდა, მე მზად ვარ გადავიხადო ფული, მაგრამ მხოლოდ ქრისტესშობის დღეს და არა უფრო ადრე. მე კიდევ მრჩება ცხრა დღე. ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ბევრი რამ მოხდეს...

... მოხდა კი სრულიად მოულოდნელი! წერილს მელანი ჯერაც არ შეშრობოდა, რომ ადიუტანტი შემოვიდა და მოახსენა, ლუქსემბურგიდან გენერალი ბრედლი გეახლათ და მიღებას გთხოვთო. ათიოდე წუთის შემდეგ ეიზენჰაუერი, მისი მოადგილე ტედერი, შტაბის უფროსი სმიტი, კავშირგაბმულობის სამსახურის მეთაური სტრონგი და ბრედლი კარტოგრაფიულ ოთახში შეხვდნენ ერთმანეთს.

— რა მდგომარეობაა არდენის ფრონტზე? — ჰკითხა ეიზენჰაუერმა ბრედლის.

— სრული სიწყნარე! — მიუგო ბრედლიმ.

ამის თქმისთანავე ოთახში დაუკითხავად შემოიჭრა მეკავშირე პოლკოვნიკი და სტრონგს დეპეშა გადასცა. სტრონგმა სწრაფად ჩაიკითხა და ეიზენჰაუერს მიმართა:

— სერ, მე მივიღე ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა!

— წაიკითხეთ! — თქვა მთავარსარდალმა და ცნობისმოყვარედ მიაჩერდა გენერალს.

— დღეს დილით პირველი არმიის ფრონტზე მერვე და მეხუთე კორპუსების წინააღმდეგ მტერმა შეტევა დაიწყო და ხუთ ადგილას რამდენადმე შემოიჭრა ჩვენს განლაგებაში...

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ეს სრულიად მოულოდნელი იყო ყველასათვის. აზრადაც არავის მოსდიოდა, რომ ჰიტლერელებს კიდევ შეეძლოთ დიდი შეტევის წამოწყება.

— ალბათ, თვალთმაქცური ნაბიჯია, — თქვა ბრედლიმ, — გერმანელებს უნდათ პატონის წინსვლა შეაჩერონ საარის რაიონში. ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ იძულებული შევიქნებით წავართვათ მას დივიზიები და გავგზავნოთ არდენის ფრონტზე. ამით დროის მოგება უნდათ, სხვა არაფერი, მაგრამ ჩვენ არ მივცემთ მათ ამის საშუალებას.

— არა მგონია, რომ ეს ადგილობრივი მნიშვნელობის ოპერაცია იყოს! — მიუგო ეიზენჰაუერმა.

— მაშ რა? — იკითხა ბრედლიმ.

— არ ვიცი! — ყოველ შემთხვევაში, იმის დრო არ არის, რომ აქ ვისხდეთ და ველოდოთ!

ეიზენჰაუერმა იქვე მიიღო გადაწყვეტილება პატონის ორი სატანკო დივიზია გადაესროლა არდენის ფრონტზე. შეშინებულმა ბრედლიმ თვალები დააჭყიტა:

— ამის თქმას ვინ გაუბედავს პატონს?!

— გადაეცით, რომ ბოლოს და ბოლოს მე ვარ ამ დაწყებული ომის მთავარსარდალი! — გაბრაზდა ეიზენჰაუერი.

სხვა გზა რომ არა ჰქონდა, ბრედლი იძულებული გახდა თვითონ დაერეკა პატონისათვის. განრისხებულმა ტეხასელმა გენერალმა მკვდრის ძვლები ამოუყარა საფლავიდან ეიზენჰაუერს, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა, ორი თუ არა, ერთი დივიზია მაინც გაეგზავნა არდენში.

ბრედლიმ თავისუფლად ამოისუნთქა...

— რომელი საათია? — ჰკითხა ჰიტლერმა ადიუტანტს, რადგან თვითონ საათს არასოდეს ატარებდა.

15 საათი და 25 წუთი, ჩემო ფიურერ! — მოახსენა ადიუტანტმა.

ჰიტლერი კმაყოფილი იყო შეტევის განვითარებით. გერმანული ტანკები შეიჭრნენ ამერიკელთა პოზიციებში. ამოქმედდა სკორცენის ბრიგადაც. ბევრი მათგანი პარაშუტით დაეშვა მტრის ზურგში. უმრავლესობას ამერიკელი ჯარისკაცების ფორმა ეცვა, დანარჩენებს — სამხედრო პოლიციისა. ისინი დგებოდნენ გზაჯვარედინებზე და ვითომ მოძრაობას „აწესრიგებდნენ“, სინამდვილეში კი სულ სხვა მიმართულებით უშვებდნენ ამერიკული ჯარის ნაწილებს, ვიდრე საჭირო იყო. ამერიკელები ფიქრობდნენ ჩვენებიაო და ზუსტად ასრულებდნენ მათ მითითებებს. სკორცენელები კი მოულოდნელად ესხმოდნენ თავს და მუსრს ავლებდნენ მათ. ამან დიდი შეშფოთება გამოიწვია. დატრიალდა სამხედრო პოლიცია და რაჰდენიმე „იობის ელჩი“ დააპატიმრეს. სამი მათგანი ამერიკული „ჯიპით“ მიდიოდა ქ. აუვეისაკენ. სამივეს ამერიკული ფორმა ეცვა და ინგლისურად ლაპარაკობდა.

ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს ეიზენჰაუერის შტაბს.

— რა, ისევ იობის ელჩებია?! — ჰკითხა მან სტრონგს.

— როგორც ჩანს, მათ ჩვენი ფორმა აცვიათ და ჩვენი მანქანებით დადიან, — მიუგო სტრონგმა.

მერე შეპყრობილი დივერსანტები დაკითხეს და ყველაფერი გაიგეს. ეიზენჰაუერსაც მოახსენეს, გადაცმული დივერსანტები არიან, პარაშუტებით ეშვებიან და მცირე ჯგუფებად მოქმედებენო.

— ორი ათასამდე ასეთი დივერსანტი მოქმედებს ამჟამად ჩვენს განლაგებაში, — განუცხადა სტრონგმა ეიზენჰაუერს, — მათ მეთაურობს ესესის ოფიცერი სკორცენი, რომელმაც მუსოლინი გაათავისუფლა ტყვეობიდან...

ეიზენჰაუერი გაოცებული იყო. არც ეგონა, რომელიმე მეომარი მხარე თუ იკადრებდა ასეთ რამეს...

... გერმანელები კი ამაზე მეტსაც კადრულობდნენ! სკორცენის დივერსანტები ისე იყვნენ გაწვრთნილი, რომ მათი გარჩევა ნამდვილი „იანკებისაგან“ შეუძლებელი იყო. გარდა დოკუმენტებისა, ჯიბეში მათ „ამერიკელი ნათესავების“ წერილები და ფოტოსურათები ედოთ. მიუახლოვდებოდნენ გუშაგებს, სალამს მისცემდნენ, ინგლისურად გაეხუმრებოდნენ, მერე კი დანას ჩასცემდნენ ზურგში, შევარდებოდნენ მათ შენობაში და ეულეტდნენ ყველას, აფეთქებდნენ ბენზინის საწყობებს, იკავებდნენ ხიდებსა და გზაჯვარედინებს.

შეშფოთებული ეიზენჰაუერი იძულებული გახდა მონტგომერი გაეფრთხილებინა. ცალკეული შენაერთების სარდლებმაც მიიღეს ბრძანება სკორცენის დივერსანტთა წინააღმდეგ საგანგებო ზომების მიღების შესახებ. გააძლიერეს სამხედრო პოლიცია. შეპყრობილ „იობის ელჩებს“ ისეთ „სპეციფიკურ კითხვებს“ აძლევდნენ, რომ მათი ვინაობა გამოემეღავნებინათ. მაგალითად, ამნაირთ:

— რომელი შტატის ბეისბოლის გუნდია უფრო ძლიერი?..

— ქალაქ „უინდ მინდს“ კიდევ რა სახელი ჰქვია?

— რომელ ამერიკულ ფილმში თამაშობს ესა და ეს მსახიობი?

— რა ეწოდება კუნძულს, რომელზედაც დგას თავისუფლების ძეგლი?

— რა გვარია ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი?

შემდეგ საველე სასამართლო და სასიკვდილო განაჩენი!..

— დივერსანტები შეიპყარით და დახვრიტეთ! — ასეთი იყო ეიზენჰაუერის ბრძანება...

... ორი დღე და ღამე მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა არდენში. პირველი ცნობა კი ამის შესახებ მხოლოდ მესამე დღეს გამოქვეყნდა. ფიურერი საშობაო საჩუქარს გვიმზადებსო, ამბობდნენ კმაყოფილი ჯარისკაცები. ბრძოლები არც ქრისტესშობის დღეს შეწყვეტილა. გერმანიის ჯარებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ მდინარე მაასის მიმართულებით. პატონის არმიის შეტევა ჩაიშალა. ტეხასელი გენერალი გუნს ასკდებოდა:

— მე სხვა არაფერი დამრჩენია, თუ არა ის, რომ ავიკრიფო გუდა-ნაბადი და შინ დავბრუნდე! — ბუზღუნებდა იგი.

მონტგომერიმ დრო იხელთა და ყველაფერი ეიზენჰაუერის „მცდარ სტრატეგიას“ გადააბრალა. დარწმუნებული ვარ, ისტორია ჩემს სიმართლეს დაადასტურებსო, ამბობდა იგი.

ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს. ფაქტია, რომ ინგლისელებსა და ამერიკელებს ერთმანეთთან ჯიბრში ცუდი დღე დაადგათ. გერმანელებმა ალყა შემოარტყეს მათ ზოგიერთ შენაერთს და გაანადგურეს ან ტყვედ წაიყვანეს. ერთი დივიზია მთლიანად დანებდა მტერს. ცალკეული გერმანული ნაწილები მაასს მიუახლოვდნენ. ყველასათვის აშკარა იყო, რომ, თუ ისინი ამ მდინარეს გადალახავდნენ, მერე ვაკე იწყებოდა და მათი შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა...

... მუდამ კარგ ხასიათზე მყოფი ეიზენჰაუერიც სასოწარკვეთას მისცემოდა. შტაბის უფროსმა სმიტმა მეტად მუქი ფერებით დაუხატა მას სიტუაცია. კატასტროფა თითქოს გარდაუვალი იყო. აშკარად ჩანდა, რომ 1940 წლის ამბები მეორდებოდა. მთავარსარდალს სასწრაფოდ უნდა მიეღო საჭირო ზომები, მაგრამ გონება ისე დაუბრმავდა, რომ ხსნის გზას ვერა და ვერ პოულობდა.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, რა უნდა ვქნათ?! — ჰკითხა მან სმიტს.

— არდენის ჩრდილოეთით განადგურებული ჯარის ნაწილები პირველი არმიიანად მონტგომერის გამგებლობაში გადავცეთ, — უპასუხა სმიტმა.

ეიზენჰაუერს თითქოს მაზოლზე დაადგესო ფეხი.

— ეს ჩვენი დიდი პოლიტიკური მარცხი იქნება!—თქვა მან.

— გერმანელებმა თუ მაასი გადმოლახეს, — განაგრძო სმიტმა, — რჩება მათი შეჩერების ერთადერთი საშუალება — მონტგომერის 30-ე კორპუსი. სხვა გზა არ არის. ჩვენ არ შეგვიძლია მონტგომერის ჩამოვართვათ კორპუსი და გადავცეთ ბრედლის. ინგლისელები ვერ მოითმენენ თავიანთი ფელდმარშლის ამგვარ შეურაცხყოფას. ამიტომ საქმის გამოსწორება შეუძლია მხოლოდ თვითონ მონტგომერის. მას ჰყავს საამისო რეზერვები.

— კი მაგრამ ბრედლის რა უნდა ვუყოთ, მის „ჯგუფში“ რომ მხოლოდ ერთი არმია დარჩება?!

— ბრედლი ლუქსემბურგში ზის და კავშირიც არა აქვს თავის არმიებთან. ჩვენ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ მის პატივმოყვარეობას. მონტგომერის 30-ე კორპუსი კი უკვე ბრიუსელშია და ანტვერპენისაკენ იყურება. გერმანელებმა თუ ბრიუსელს მიაღწიეს, იგი თავის ჯარებს უკანვე დააბრუნებს ინგლისში, საფარველად კი სწორედ ამ კორპუსს გამოიყენებს. მოიგონეთ დიუნკერკი! მთელი ჩვენი სადესანტო ოპერაციები ქვიშასავით დაიშლება. ხოლო თუ მონტგომერი მთავარსარდლობას მიიღებს, უკანდახევაზე აღარ იფიქრებს და ჩვენი გაჭირვებაც მის მხრებს დააწვება...

ეიზენჰაუერი დაფიქრდა. სხვა საშველი არცა ჰქონდა და დაეთანხმა თავისი შტაბის უფროსს:

— მოამზადეთ ბრედლი სარდლობის მოსალოდნელი შეცვლისათვის, — თქვა მან...

... იმ ღამეს ეიზენჰაუერის თვალებს ძილი არ მიჰკარებია. არც ლონდონში გრძნობდნენ თავს მშვიდად. ალან ბრუკი ყველაფერს ამერიკელების სიჯიუტეს აბრალებდა, ჩერჩილი კი ისევ პოლიტიკურ „დივიდენდებზე“ ფიქრობდა. მონტგომერი თავზე ცეცხლს უკიდებდა ორივეს. დიუნკერკის მოგონება ყველას კოშმარად ექცა. თვალწინ ახლაც საშინელი პერსპექტივა ეხატებოდათ. გერმანელები სწრაფად მიიწევდნენ წინ, ისინი კი ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ.

— ამერიკელების საქმე ცუდადაა, ძალიან ცუდად! — იტყობინებოდა მონტგომერი.

— ათი ათასი ტყვე, ორასი დამსხვრეული ტანკი, 126 ჩამოგდებული თვითმფრინავი! — აცხადებდა გერმანიის რადიო.

— გამარჯვება! გამარჯვება! გამარჯვება!.. — გაჰკიოდა გებელსი.

— „იანკები“ და „ტომები“ გავანადგურეთ, დაგვრჩნენ რუსები! — ტრაბახობდნენ თვითდაჯერებული ჰიტლერელები.

მდგომარეობა კი მართლაც სერიოზული იყო. გერმანელები მიუახლოვდნენ მდინარე მაასს. მოკავშირეთა მთელ ჩრდილო-

ეთის ფრონტს ალყის საშიშროება ემუქრებოდა. ეიზენჰაუერის წინაშე ძველებური დილემა წამოიჭრა: კაპიტულაცია გერმანელების, თუ ინგლისელების წინაშე? პირველი კატასტროფულია, მეორე — შეურაცხმყოფელი... ამერიკული წრეები აღშფოთდებიან, მაგრამ სხვა გზა არ არის!..

მაგიდაზე ტელეფონის ზარი აწკარუნდა:

ბ რ ე დ ლ ი: გუშინ საღამოს ბედელ სმიტმა დამირეკა, სერ, რომ ჩრდილოეთის ფრონტის სარდლობა უნდა გადაეცეს მონტგომერის. ხომ არ ამიხსნით...

ე ი ზ ე ნ ჰ ა უ ე რ ი: დიახ, ბრედ, ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს. მდგომარეობა ისეთია, რომ...

ბ რ ე დ ლ ი: ეს იმას ნიშნავს, რომ მას უნდა გადაეცეს ჩემი არმიების ორი მესამედი — მეცხრე და პირველი!

ე ი ზ ე ნ ჰ ა უ ე რ ი: დიახ, მაგრამ თქვენ უკვე კავშირი არცა გაქვთ ამ არმიებთან!

ბ რ ე დ ლ ი: ეს არ არის საკმაო საფუძველი. მე ხომ სულ ლუქსემბურგში არ ვიქნები. ყველაფერი ჩერჩილის მოწყობილია. მე ამას კარგად ვხედავ!

ე ი ზ ე ნ ჰ ა უ ე რ ი: ჩერჩილმა ჯერ არაფერი იცის ამის შესახებ.

ბ რ ე დ ლ ი: მე პროტესტს ვაცხადებ!

ეიზენჰაუერი მოთმინებიდან გამოვიდა:

— მაშ ასე, ბრედ, ასეთია ჩემი ბრძანება! — ჩასძახა მან და ყურმილი დადო...

... ნახევარი საათის შემდეგ ეიზენჰაუერმა დაურეკა მონტგომერის:

— მე ვფიქრობ, რომ ახლა ჩვენ ორი ფრონტი გვაქვს. თქვენ უნდა იკისროთ ჩრდილოეთის ფრონტის სარდლობა!

ეიზენჰაუერი ისე აღელვებული ყვიროდა ტელეფონში, რომ მონტგომერის გაეცინა...

ამერიკელებმა თვითონ მიართვეს მას ბედაური!..

სწორედ ამ დროს ბრუკი შევიდა ჩერჩილთან და უთხრა:

— სერ, თქვენ უნდა დაურეკოთ ეიზენჰაუერს და წინადადება მისცეთ, რომ ფრონტის ჩრდილოეთ ნაწილის სარდლობა მონტგომერის ჩააბაროს. ბრედლი შეიძლება სამხრეთის

ფრონტზე დარჩეს. ეს იქნება საუკეთესო გადაწყვეტილება. ამით ჩვენ შესაძლებლობა შეგვექმნება...

ჩერჩილს სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა და მაშინვე წამოიძახა:

— თანახმა ვარ!..

მან ხელი წაიღო ტელეფონისაკენ, მაგრამ ყურმილის აღება ვერ მოასწრო, რომ ზარმა გაიწკრიალა:

— გელაპარაკებათ ეიზენჰაუერი!

— გელაპარაკებათ ჩერჩილი! როგორაა საქმე?..

...„საქმე" კი უკვე გარკვეული იყო. ჩრდილოეთის ფრონტის სარდლობა მონტგომერიმ ჩაიბარა და ინგლისელებმა მაშინვე აამოძრავეს მთელი თავიანთი რეზერვები.

ეიზენჰაუერს თითქოს გულიდან ლოდი აეცალა და შვებით ამოისუნთქა. ჩვენში რომ იტყვიან, ბუს დიდი თავი აქვს და იმან იტიროსო, ისეა. მთელი პასუხისმგებლობა ახლა მონტგომერის დააწვა. ეიზენჰაუერი კი რამდენადმე იზოლირებული დარჩა. რაღაც სიმბოლური ამბავიც მოხდა. დილით მასთან შევიდა საიდუმლო დაზვერვის ოფიცერი და ახალი ცნობები მოუტანა „სკორცენის ბანდების" შესახებ:

— ვინც დავიჭირეთ, დავხვრიტეთ, მაგრამ თვითონ სკორცენი ჯერ ვერ მოვიხელთეთ.

პოლკოვნიკი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ხომ არავინ გვისმენსო, მერე ახლოს მივიდა და საიდუმლოდ ჩასჩურჩულა:

— სკორცენის თქვენი მოტაცება ჰქონია განზრახული. უკვე რამდენიმე ადგილას გადმოსხდნენ მისი პარაშუტისტები, ბერებ-მონაზვნების ტანსაცმელში გამოწყობილნი. საჭიროა დაცვის გაძლიერება. გადავწყვიტეთ, თქვენს შტაბს გარშემო მავთუხლართები შემოვავლოთ...

შეშფოთებული ეიზენჰაუერი ფეხზე წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა. საბარგო მანქანებს უკვე მოჰქონდათ მავთულხლართების გრაგნილები.

— სენ-ჟერმენში არ უნდა დარჩეთ, სერ, — განაგრძობდა პოლკოვნიკი, — საჭიროა შემოღობილ ადგილას გადახვიდეთ!

— როგორ, პატიმრობაში ხომ არა ვარ! — გაიკვირვა ეი-

ზენჰაუერმა. — მე მომწონს სახლი, სადაც ვცხოვრობ, ისევე როგორც რუნდშტედტს მოსწონდა იგი... თქვენ ფიქრობთ, რომ მე სხვაგან გამგზავრების უფლება არა მაქვს?

— არა გაქვთ, სერ: ეს კარგი შემთხვევა იქნებოდა სკორცენის ხალხისათვის...

— კეთილი, გეთანხმებით, — თქვა ეიზენჰაუერმა. იგი ისევ ფანჯარაში იყურებოდა და ხედავდა, თუ რა სწრაფად გადმოჰქონდათ მანქანებიდან მავთულხლართები...

საშობაოდ იგი ბერლინში აპირებდა შესვლას და სენ-ჟერმენში კი ჩაკეტეს რკინის გალიაში...

გენერლები გამოცდაზე...

სკორცენელთა შესახებ, მართლაც, საოცარ ამბებს ყვებოდნენ. ეიზენჰაუერის რეზიდენციას რომ მავთულხლართები შემოავლეს, მერე ყველა საგუშაგოზე სამხედრო პოლიციელთა რაზმებიც გააძლიერეს. შიშს დიდი თვალები აქვსო, იტყვიან. ვისაც არ უნდა გაევლო იქ, ჯარისკაცი იქნებოდა იგი, ოფიცერი, თუ გენერალი, ყველას გულმოდგინედ უსინჯავდნენ საბუთებს და დაკითხვას უწყობდნენ, „ბერეტსა“ და „მონაზვნებს“ კი დაუკითხავადაც აპატიმრებდნენ. პოლიციელებს საგანგებო უფლებები ჰქონდათ მინიჭებული და კიდევაც იყენებდნენ მას...

ზოგჯერ ასეთი სასაცილო შემთხვევაც ხდებოდა:

ბრიგადის გენერალი კლარკი თავისი ჯიპით ჩრდილოეთის ფრონტის ერთ-ერთი უბნის საინსპექციოდ მიემგზავრებოდა. გზაში იგი სამხედრო პოლიციელებმა გააჩერეს. მართალია, მუზარადზე მას გენერლის დიდი ვარსკვლავი ეხატა, მაგრამ ეს მათთვის არაფერს ნიშნავდა: სკორცენელები თუ მონაზვნის ტანისამოსში დადიოდნენ, გენერლის მუნდირს რატომ იუკადრისებდნენ?!

— საბუთები! — მიმართა პოლიციელმა კლარკს.

გენერალს გაეცინა და პირადობის მოწმობა გაუწოდა.

— პაროლი?! — შეეკითხნენ მას.

კლარკმა პაროლიც უთხრა.

— რა შეგიძლიათ თქვათ, თუ მე დაგისახელებთ მარველის გვარს? — დაუწყო „გამოცდა“ პოლიციელმა.

— არაფერი.

— არაფერი გაგიგონიათ კაპიტან მარველის შესახებ?

— არაფერი. მორჩით, მეჩქარება!

— ერთი წუთი! რამდენ წერილს იღებს დღეში რობერტ ტეილორი?

კლარკი გაბრაზდა:

— ჯანდაბას თქვენი თავი, არ დამითვლია, მე გენერალი კლარკი ვარ!

— შენ ისე ხარ გენერალი კლარკი, როგორც მე ეიზენჰაუერი! — მიუგო მშვიდად პოლიციელმა. — თუ გინდა, გეტყვი, ვინცა ხარ: სკორცენელი. ჩვენ ვეძებთ ერთვარსკვლავიანი გენერლის ფორმაში გადაცმულ სკორცენელს. დაგიჭირეთ კიდეც. დანარჩენს იქ, იმ სახლში, მოგახსენებთ. აბა, ყმაწვილო, გადმოდი მანქანიდან!

— მე გენერალი კლარკი ვარ! — იყვირა დაპატიმრებულმა.

— ვიცით, ვიცით! — „დაამშვიდა“ იგი პოლიციელმა. — აბა, ჯო, მოჰკიდე ამას ხელი ფეხებში!

ჯომ რევოლვერი მიუშვირა კლარკს და უყვირა:

— ჩამოეთრიე მანქანიდან!..

გენერალი კლარკი ძალით შეაგდეს საგუშაგოში!..

...სხვა ადგილას თვით გენერალ ბრედლის მანქანა გააჩერეს:

— რა ეწოდება ილიონის შტატის დედაქალაქს? — ჰკითხეს მას.

— სპირნგფელდი, მაგრამ ამას ხომ გერმანელიც ადვილად გეტყვით! — გაუცრუა იმედი ბრედლიმ.

— რა ჰქვია ბეტი გრებლის უკანასკნელ ქმარს?

— ბრედლიმ არ იცოდა ეს, მაგრამ ერთ-ერთმა პოლიციელმა უჩურჩულა:

— ჰარი ჯეიმსი...

— ჰარი ჯეიმსი, — გაიმეორა ბრედლიმ.

— შეგიძლიათ წახვიდეთ! — დართო მას ნება უფროსმა პოლიციელმა...

...ეიზენჰაუერი კი ისევ თავის მავთულხლართშემოვლებულ რეზიდენციაში იჯდა და ფიქრობდა, რომ მარტო მონტგომერის დანიშვნა საქმეს ვერ უშველიდა. გერმანელები თუ ახალ ძალებს ჩააბამდნენ ბრძოლაში, ინგლისელები ვერ გაუძლებდნენ მათ შემოტევას. საჭირო იყო აღმოსავლეთის ფრონტზე დიდი ბრძოლის განახლება.

აქ კი უამისოდაც მზადდებოდა ახალი საზამთრო შეტევა. თუ ეს საქმე დაჩქარდებოდა, დასავლეთის ფრონტი ისევ შვებას იგრძნობდა. ამის შესახებ ეიზენჰაუერმა მოსწერა რუზველტს, ხოლო რუზველტმა — სტალინს. ჩვენს დასავლეთელ მოკავშირეებს ახლა გაახსენდათ, რომ ორივე ფრონტზე შეთანხმებული მოქმედება იყო საჭირო. ზოგიერთებს ეშინოდათ კიდეც, ვაითუ სტალინმა შური იძიოს მეორე ფრონტის გახსნის დაგვიანების გამო და აიძულოს მოკავშირეები მარტო იბრძოლონ გერმანელთა წინააღმდეგო.

ეს ამაო შიში იყო. მოსკოვში სულაც არ ფიქრობდნენ შურისძიებაზე. პირიქით, სამხრეთის ფრონტზე დიდ გამარჯვებათა შემდეგ ცენტრალური და ჩრდილოეთის ფრონტებიც გაემზადნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. საჭირო იყო ჩვენს დასავლეთელ მოკავშირეებს კიდევ რამდენიმე კვირა გაეძლოთ, მერე კი...

მერე კი ნამდვილად გამოჩნდებოდა, თუ ისტორია ვის მიაგებდა ბერლინის აღების პატივს: ინგლისს, ამერიკას, თუ საბჭოთა კავშირს...

... „იმ საშინელ ქრისტესშობის დღეს“ რუზველტი ნაძვის ხესთან იჯდა და საჩუქრად მიღებულ ახალ მარკებს აწებებდა. ალბომში. იქვე იყო მისი ვაჟი, პოლკოვნიკი ელიოტ რუზველტი, რომელიც ადრე სადაზვერვო ესკადრილიას ხელმძღვანელობდა დასავლეთის ფრონტზე, ახლა კი სამხედრო სამინისტროში მსახურობდა.

პრეზიდენტი მოქანცული ჩანდა. საარჩევნო კამპანიამ შტატებში და არდენის ამბებმა ერთბაშად გატეხა მისი ჯანმრთელობა. იმ ბრძოლებში ამერიკელებმა 50 ათასი კაცი დაკარგეს. ამას შეიძლებოდა მძიმე პოლიტიკური შედეგები მოჰყოლოდა. ეგონა საშობაოდ ომი დამთავრდებოდა, მაგრამ წინ

ისევ გაურკვეველი პერსპექტივები გამოჩნდა. ჩერჩილთან ურთიერთობაც გამწვავდა. ინგლისის პრემიერი რაღაც საეჭვო პოლიტიკას ატარებდა და სულ უფრო ართულებდა მოკავშირეთა საერთო საქმეს. რუზველტი კი ხალხთა შორის ურთიერთობაზე ოცნებობდა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნაზე, საბჭოთა კავშირთან კარგი ურთიერთობის განვითარებასა და ხანგრძლივ მშვიდობაზე.

ბევრ რამეზე გულგატეხილი იყო, შეშფოთებული. საფოსტო მარკებსაც ნერვების დასაწყნარებლად უკირკიტებდა. ელიოტმა შენიშნა ეს, ადგა, მხრებზე ხელი მოხვია მამას და ანუგეშა:

— დადგება დრო და, ალბათ, ამ ალბომში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მარკასაც ჩააწებებ...

— დარწმუნებული იყავი, რომ ეს ასეც მოხდება და უფრო ჩქარა, ვიდრე შენ გგონია, — მიუგო პრეზიდენტმა. — მე ახლა სწორედ ამგვარ საფოსტო მარკაზე ვფიქრობდი. შესაძლებელია ეს საკითხი მომავალ თვეს კონფერენციის დღის წესრიგშიც შევიტანო...

ოთახში ელეონორა რუზველტი შემოვიდა და მოაგონა მათ, რომ დათქმული პირობის თანახმად ქრისტესშობის ამ ღამეს პოლიტიკაზე არ უნდა ელაპარაკათ...

... უკვე არც ჰიტლერი იყო კმაყოფილი არდენის ოპერაციის შედეგებით. გერმანელთა წინსვლა ისე შეაჩერეს, რომ ვერც ერთმა მათმა დივიზიამ ვერ გადალახა მდინარე მაასი. რუნდშტედტი, ბლასკოვიცი და მანტოიფელი თავიანთ გეგმებს ადგენდნენ, მაგრამ ჰიტლერი არაფრად აგდებდა მათ რჩევას. იგი ისევ შორეულ ისტორიულ ექსკურსებს მიმართავდა: ხან რომის იმპერატორთა მაგალითს იშველიებდა, ხანაც ფრიდრიხ დიდისას და ორ-სამსაათიანი მონოლოგებით აბრუებდა უკვე თავმობეზრებულ გენერლებს.

მონტოგომერი კი კონტრიერიშისათვის ამზადებდა თავის არმიებს. ეიზენჰაუერი დიდ ვერაფერ ზეგავლენას ახდენდა „ტანმორჩილ ფელდმარშალზე“, რომელიც მის ბრძანებებსაც კი უყურადღებოდ ტოვებდა. ბოლოს, მთავარსარდალი იძულებულიც გახდა ასეთი წერილი მიეწერა გადიდგულებული ფელდმარშლისათვის:

— თქვენ ჯარისკაცი ხართ, მე კი — თქვენი უფროსი. რამდენადაც ვიცი, ჯარისკაცის უპირველესი მოვალეობაა ბრძანების შესრულება...

მონტგომერი თავისას მაინც არ იშლიდა. მართალია, მისი გადაჭარბებული გულზვიადობა ამერიკელი გენერლების გესლიან ირონიას იწვევდა, მაგრამ „დიდი მონტის“ პატარა ფიგურა მაინც ამაყად იდგა „ისტორიის კვარცხლბეკზე“ და, რომ კიდევ უფრო ამაღლებული გამოჩენილიყო, უსაშველოდ მაღალქუსლიანსა და სქელლანჩიან ფეხსაცმელებს იცვამდა. ფოტორეპორტიორების წინაშე პოზიორობის დროსაც რამე ამაღლებულზე დგებოდა, რომ მხრებამდე მაინც მისწვდომოდა გოლიათური აგებულების ეიზენჰაუერს... თუმცა ყოველივე ეს ხელს როდი უშლიდა ფელდმარშალს „თავისი მოწოდების სიმაღლეზე“ მდგარიყო, თანაც ბისმარკის სიტყვებით ენუგეშებინა თავი:

— სადაც მე ვდგავარ, სიმაღლეც იქ არისო!..

ერთხელ ბრედლიც ჩაფრინდა მასთან, მაგრამ ვერაფერს გახდა. ამერიკელებს ეჩქარებოდათ, ინგლისელებს — არა. ფელდმარშალი უცდიდა დიდი საზამთრო ოპერაციების დაწყებას აღმოსავლეთის ფრონტზე. მაშინ ადვილი იქნებოდა დასავლეთიდანაც შეტევა. ბრედლი და პატონი კი დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვდნენ, თუნდაც გამარჯვების დაფნის გვირგვინი მონტგომერის რგებოდა.

— ჯანდაბის იქით ჰქონია გზა იმ მონტგომერის! მოდით, ჩვენ გავსრისოთ წყეული გერმანელები, გამარჯვება კი მას მივართვათ, დაე, ჩახეთქოს! — ბობოქრობდა პატონი.

მონტგომერის ისევ მტკიცედ ეჭირა სადავეები და შესაფერის მომენტს უცდიდა. ჩერჩილიც იცავდა მის პოზიციას. როგორც კი მან შეიტყო სტალინისაგან, რომ საბჭოთა არმია აღმოსავლეთის ფრონტზე დიდ შეტევას ამზადებსო, იმავე ღამეს მიიღო ბრუკი და უკვე ლოგინში ჩაწოლილმა გაუზიარა თავისი სიხარული.

-- დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია, რათა დავეხმაროთ სახელოვან მოკავშირეთა ჯარებს, — სწერდა სტალინი ჩერჩილს.

— მართლაც, კარგი ცნობაა, — გაიხარა ბრუკმაც.

— ეს იმას ნიშნავს, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევის დაწყების შემდეგ გერმანელები ისე გაიქცევიან არდენიდან, ჩვენ ვერც კი დავეწევით მათ ბერლინამდე, — თქვა ჩერჩილმა და დაუმატა:

— მე უკვე ვაცნობე ამის შესახებ ეიზენჰაუერს.

— წარმოდგენილი მაქვს, აიკი როგორ იქნება გაცეცხლებული! — ჩაიცინა ბრუკმა.

დარწმუნებული იყვნენ, რომ ევროპაში ბრძოლის სადავეები მონტგომერის ეჭირა და ბერლინშიც პირველი ის შევიდოდა. ინგლისის პრესაშიც დიდი ხმაური ატყდა ამის გარშემო. ყველა გაზეთი ერთხმად აზვიადებდა მონტგომერის როლს: „გიორგი ძლევამოსილს“ უწოდებდნენ და წერდნენ, ამერიკელები მან იხსნა კატასტროფისაგანო. ამან „იანკების“ თავმოყვარეობა გააღიზიანა. ნიუ-იორკშიც გაისმა კრიტიკული ხმები. პრესამ ახსნა-განმარტება მოითხოვა. ამერიკული სარდლობის პრესტიჟი შეირყა. მონტგომერის ქედმაღლურმა ინტერვიუმ კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. ფელდმარშალი აცხადებდა, რომ მან მოიგო არდენის ომი. გერმანულმა პროპაგანდამ მაშინვე გამოიყენა ეს უთანხმოება. გებელსის მითითებით მონტგომერის ინტერვიუს ბერლინიდან გადასცემდნენ ეთერში ინგლისის რადიოს ტალღებზე. ჰიტლერელები ცდილობდნენ ინგლისელებსა და ამერიკელებს შორის კონფლიქტი გაეღვივებინათ.

ასეც მოხდა. პატივმოყვარე ფელდმარშალს მკვახე პასუხი გასცა ომარ ბრედლიმ. ინგერსოლი წერს, იგი საერთოდ არ ცნობდა მონტგომერის როგორც გენერლისა და ადამიანის ღირსებებსო. ინგლისის პრესამ ამაში „ფელდმარშლის შეურაცხყოფა“ დაინახა და სასტიკი კამპანია გააჩაღა ბრედლის წინააღმდეგ. ამას ნიუ-იორკშიც გამოეხმაურნენ. განრისხებულმა ჩერჩილმა უკმეხი წერილი მისწერა რუზველტს და მოაგონა რამდენი ხანი ებრძოდა იგი ჰიტლერს, ვიდრე „ამერიკელები ხელს გაანძრევდნენ“. არც „დიუნკერკის ტრაგედია“ და „ლონდონის ტოტალური დაბომბვა“ დაივიწყა, მაგრამ რუზველტის გული მაინც ვერ მოალბო. ჩერჩილს კი, რა თქმა უნდა, არ შეეძლო აშკარა კონფლიქტზე წასულიყო. ამიტომ იგი იძულებული გახდა დაერეკა ეიზენჰაუერისათვის და თა-

ვისი სახელით ბოდიში მოეხადა ინგლისის პრესის საქციელის გამო. მერე სპეციალური განმარტებითაც გამოვიდა თემთა პალატაში და ქება-დიდება შეასხა ამერიკულ სარდლობას. არდენის ბრძოლების დაფნის გვირგვინიც მათ გაუყო და ერთიანობისაკენ მოუწოდა მოკავშირეთა ძალებს.

— ყურს ნუ უგდებთ ჭორების მთხზველთა ოინებს, როცა უმნიშვნელოვანეს საკითხებს მახვილი წყვეტს, — განაცხადა მან...

... მოკავშირეებს ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდათ საზრუნავი. მართალია, გერმანელთა შეტევა არდენში ჩაიშალა, მაგრამ წინ კვლავ მძიმე ბრძოლები ელოდათ. ამინდიც არ იყო ხელსაყრელი: განუწყვეტლივ წვიმდა ან თოვდა. ეს არ იძლეოდა საშუალებას გამოეყენებინათ უპირატესობა ჰაერში. ყველაზე მეტად „შეტევითი ბრძოლების ჯადოქარი“ პატონი წუხდა. იგი ღმერთს ეხვეწებოდა რამდენიმე დღე მაინც მომეცი კარგი დარიო. მერე თავისი კაპელანიც გამოიძახა და დაავალა შეედგინა ლოცვის სპეციალური ტექსტი, რაც მეორე დღესვე დაარიგეს ჯარის ნაწილებში. პატონის ჯარისკაცები შეჰღაღადებდნენ მამაზეციერს:

— ო, ყოვლისშემძლეო და ყოვლად მოწყალეო მბრძანებელო ჩვენო, ქედმოდრეკილი გევედრებით, რათა სიკეთითა შენითა მოიღო მოწყალება ჩვენზე და შეაჩერო ეს კოკისპირული წვიმები, რითაც ძლიერ ვზარალდებით. მოგვეც, უფალო, კარგი ამინდი ბრძოლებისათვის, გულმოწყალედ შეგვისმინე ჩვენ, მეომრებს, რომელნიც გეაჯებით, რათა თქვენი ძლიერებით შეიარაღებულებმა მოვიპოვოთ გამარჯვება გამარჯვებაზე. შევმუსროთ სისასტიკე და მრისხანება ჩვენი მტრებისა და დავამკვიდროთ თქვენი მართალი სამსჯავრო ადამიანთა და ხალხთა შორის. ამინ.

ვინ იცის, ზოგჯერ იქნებ ბუნებასაც უყვარს ხუმრობა. ორიოდე დღის შემდეგ გამოიდარა კიდეც და...

ორივე ფრონტი, დასავლეთისა და აღმოსავლეთისა, ერთად ამოძრავდა...

... გერმანულმა დაზვერვამ დროზე შეიტყო აღმოსავლეთის ფრონტზე დიდი შეტევა რომ მზადდებოდა, მაგრამ ჰიტლერმა

არასგზით არ დაიჯერა ეს. შტაბის უფროსი გუდერიანი სთხოვდა მას „კურლანდიიდან“ გადმოეყვანათ ჯარები და რეზერვებად გამოეყენებინათ ოდერ-ვისლას ფრონტზე. გარდა ამისა, იგი საჭიროდ თვლიდა, რომ რამდენიმე სატანკო დივიზია არდენიდან აღმოსავლეთის ფრონტზე გაეგზავნათ.

ჰიტლერს ამის გაგონებაც არ უნდოდა.

— მე არც აღმოსავლეთის ფრონტს გავამაგრებ და არც უკანდახევის ნებას მივცემ ვინმეს. თქვენ ტყუილად ღელავთ, გუდერიან, რუსები უკვე სისხლისაგან არიან დაცლილი, — უთხრა მან თავისი შტაბის უფროსს.

— ცნობები კი, ჩემო ფიურერ...— დაიწყო გუდერიანმა, მაგრამ ჰიტლერმა შეაწყვეტინა:

— ეს უდიდესი სიცრუეა! ჩინგისხანის შემდეგ ვინც ეს სისულელე მოიგონა, საგიჟეთშია ჩასასმელი.

— მაშინ თქვენ შეგიძლიათ მეც ახლავე მომათავსოთ იქ!— ვერ მოითმინა გუდერიანმა.

„გუდერიანის თავხედობით“ გაოცებულ ჰიტლერს ბრაზისაგან თვალები აევლვრა, მაგრამ მაინც წყნარად უთხრა:

— აღმოსავლეთის ფრონტმა თვითონ უნდა მოუაროს თავის თავს და იკმაროს ის, რაც აქვს...

დიპლომატიური ცეცხლ-ცხელება...

სურვილის გამოთქმა ადვილია, შესრულება — ძნელი. ეს არც ჰიტლერს გამოუვიდა. აღმოსავლეთის ფრონტმა „ვერ მოუარა თავის თავს“. სამხედრო ძალთა შეფარდება მკვეთრად შეიცვალა. საბჭოთა არმიის შეიარაღება კიდევ უფრო გაძლიერდა, გაუმჯობესდა თვითმფრინავებისა და ტანკების ხარისხი, განვითარდა საომარი ოპერაციების მართვის ხელოვნება, განმტკიცდა საბოლოო გამარჯვების რწმენა. თვითონ ჰიტლერმა განაცხადა, რუსები მორალურად გამაგრდნენ, ჩვენ კი დავსუსტდითო.

მართლაც რომ ასე იყო. ჰიტლერული კოალიციის სამხედრო ძლიერება თანდათან იფიტებოდა. შეირყა მითი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ. დაიშალა გერმანიის სატე-

ლიტთა ბანაკი: ნაცისტურ ბლოკს ჯერ ფინეთი გამოაკლდა, მერე — რუმინეთი, ბულგარეთი, იტალია, უნგრეთი. ჩვენი ჯარები ავსტრიაში შევიდნენ. აღმოსავლეთის მთელი ფრონტი შეუჩერებლივ მიიწევდა დასავლეთისაკენ. მართალია, აქ გერმანელებს ჯერ კიდევ 228 დივიზია და 23 ბრიგადა ჰყავდათ, მაგრამ მათი სამხედრო შენაერთები არ იყვნენ სრულად დაკომპლექტებულნი, აკლდათ რეზერვებიც. ეს დანაკლისი ვერ შეავსო თვით „ტოტალურმა“ მობილიზაციამაც კი. 1943—1944 წლებში გერმანიამ აღმოსავლეთის ფრონტზე ერთი მილიონ ორასი ათასი კაცი დაკარგა, შევსება კი ამის ნახევარსაც ძლივს აღწევდა.

ამასობაში ახალ „სასწაულმოქმედ“ იარაღთა ბაზებიც მოიშალა. სახმელეთო ჯარები, ავიაცია და ფლოტი საჭირო წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ მოკავშირეთა გაერთიანებულ ძალებს და ჰიტლერელები მიხვდნენ, რომ სამხედრო თვალსაზრისით ომი წაგებული იყო. დარჩა ერთი იმედი: პოლიტიკური ზავი დასავლეთის სახელმწიფოებთან და საერთო ბრძოლა აღმოსავლეთის ფრონტზე. ეს ძველი სიმღერა ახალ ნოტებზე იქნა გადატანილი.

— ევროპა იღუპება! — გაჰკიოდა გებელსი, — მოდიან ბოლშევიკები! ვუშველოთ დასავლეთის ცივილიზაციას! გზა გადავუკეტოთ კომუნიზმს!

ეს უფრო ინგლისელებისა და ამერიკელების გასაგონად იყო თქმული. ჰიტლერელები დასავლეთთან კავშირის აღდგენის გზებს ეძებდნენ. ვინც კი უწინ რამე ნაბიჯი გადადგა საამისოდ, ფიურერმა ისინი მოღალატეებად გამოაცხადა და სასტიკად დასაჯა. მხოლოდ გერინგსა და ჰიმლერს დარჩათ კუდი წყალში ჩამალული. ბოლოს, ამ „არალეგალურ დიპლომატიაში“ თვითონ ჰიტლერიც ჩაება.

არდენის ოპერაციის წინ, შუაღამით, იგი ადიუტანტ გიუნშენთან ერთად იჯდა „მგლის ბუნაგში“, ჩაის შეექცეოდა და ანგარიშობდა:

— თუ ძლიერი დარტყმით დასავლეთის ფრონტის საქმეები მოვაგვარეთ, აღმოსავლეთში ისეთ სიმაგრეებს ავაგებ, რომ რუსები თანდათან დაიცლებიან სისხლისაგან. მე მზადა ვარ აგრეთვე ზავი შევკრა ინგლისელებთან. ბოლოს და ბოლოს,

ხომ უნდა შეიგნონ, რომ მე მათთვისაც ვეწევი ამ ბრძოლას. მათთან მე არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არა მაქვს. თუ ჩვენ საკმაო სასიცოცხლო ფართობი შევინარჩუნეთ აღმოსავლეთში, შემიძლია კოლონიებზედაც ავიღო ხელი. მე ვფიქრობ, ინგლისშიც არიან გონიერი ადამიანები, რომელნიც გაარღვევენ ამ სიძულვილის წრეს ჩერჩილისა და ვანსიტარტის გარშემო. ხომ არ ჰგონიათ, რომ, ბოლშევიკები ევროპას თუ წალეკავენ, მათი დაწყევლილი კუნძულის წინაშე შეჩერდებიან?!..

ეს არ იყო ლიტონი სიტყვები. ჰიტლერმაც სცადა კავშირის დამყარება ჩვენს დასავლეთელ მოკავშირეებთან. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ე. წ. „ჰესეს მისია", ანუ „ჰესეს მემორანდუმი". ეს ჰესე ჰიტლერის მრჩეველი იყო ინგლისის საკითხებში. მან შეადგინა მემორანდუმი ჩვენს დასავლეთელ მოკავშირეებთან გერმანიის მიერ სეპარატული ზავის დადების შესახებ. მემორანდუმის ძირითადი აზრი ის იყო, რომ დასავლეთის სახელმწიფოებთან ზავის შეკვრის შემდეგ გერმანიას მთელი თავისი სამხედრო ძალები აღმოსავლეთში გადმოესროლა, რათა შეეჩერებინა „ბოლშევიკური წარღვნა".

როგორც ჰესე წერს თავის წიგნში — „ჰიტლერი და ინგლსელები", ფიურერმა მოიწონა ეს მემორანდუმი და ინგლისამერიკასთან კავშირის დასამყარებლად 17 თებერვალს სტოკჰოლმში მისი ავტორი გაგზავნა. აქ ჰესე მოლაპარაკებასაც ეწეოდა, მომხრეებიც გაიჩინა, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის შიშით ლონდონსა და ვაშინგტონში ვერ ბედავდნენ ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირის შეკვრას. საქმეში სამხედროებიც ჩაერივნენ. როგორც შემდგომ გამოირკვა, კაიტელმა დეპეშაც კი გაუგზავნა გენერალ ეიზენჰაუერს და სთხოვა დაზავება ასი დღით. ამ ასი დღის განმავლობაში გერმანელებს დასავლეთის ფრონტიდან გადმოსროლილი დივიზიების საშუალებით „გადამწყვეტი ბრძოლები" უნდა გაემართათ საბჭოთა არმიასთან და „ეხსნათ ევროპა წითლების შემოსევისაგან"...

ამ საგანზე მთელი მიმოწერა გაიმართა. როგორც ამბობენ, შვიდი დეპეშა გაიგზავნ-გამოიგზავნა. ისიც დადგენილია, რომ ეიზენჰაუერის მოადგილე მზად იყო მიეღო კაიტელის წინადადება. არც ეიზენჰაუერს უთქვამს ამაზე უარი, მაგრამ მოითხო-

ვა წინააღმდეგობა არ გაეწიათ გერმანიის მიერ ადრე ოკუპირებული სახელმწიფოების — საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და სხვა ტერიტორიების გათავისუფლებაში.

„სასწაულმოქმედი“ ჰიტლერი იმდენად იყო დაიმედებული „სხვა რაღაცით“, რომ ამერიკელებს უარი შეუთვალა. რამდენიმე ხნის შემდეგ რომ გაუჭირდა, ჰიტლერმა იმავე კაიტელის მეშვეობით ახალი წინადადება გაუგზავნა ეიზენჰაუერს: იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ვერ დაამარცხებდა საბჭოთა არმიას, იგი გზას გაუხსნიდა ინგლისელებსა და ამერიკელებს არა მარტო ოკუპირებულ ქვეყნებში, არამედ გერმანიაშიც.

მთელი ეს მოლაპარაკება მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირისაგან ფარულად, სეპარატულად, რაც ეწინააღმდეგებოდა მოკავშირეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებს:

საბჭოთა მთავრობის ენერგიული პროტესტების შედეგად მოლაპარაკება შეწყდა...

...ამის შემდეგ ჰიტლერმა მაინც დართო ნება რიბენტროპს გამოეყენებინა დიპლომატიური ქსელი დასავლეთის სახელმწიფოებთან კავშირის დასამყარებლად. რიბენტროპმა მაშინვე მისცა მითითებები თავის ემისრებს — ჰესეს, შმიდენს, ვაიცზეკერს, მელენჰაუზენსა და სხვებს, რომ ემოქმედათ ამ მიმართულებით ბერნში, ვატიკანში, ესპანეთში და სხვაგანაც, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა.

ისევ ამოქმედდა ალენ დალესი ბერნში. ისევ დაიწყო საიდუმლო სერობანი, შეხვედრები, წარმომადგენელთა გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ დალესს ეს არ აკმაყოფილებდა. მან რიბენტროპი და მისი საგარეო საქმეთა სამინისტრო არ მიიჩნია უფლებამოსილად ამგვარ საკითხებზე მოლაპარაკების გასამართავად, რადგან გერმანიაში სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ფაქტიურად უკვე ესესელთა ხელთ იყო, და ამიტომაც მოითხოვა „უფრო გავლენიან პირთა გამოგზავნა“. მაშინ ეს საიდუმლო მისია ჰიტლერმა დააკისრა ესესის ობერგრუპენფიურერს კარლ ვოლფს, რომელიც ადრე ჰიმლერის პირადი შტაბის უფროსი იყო, იმ დროს კი ფელდმარშალ კესელრინგთან მუშაობდა იტალიის ფრონტზე. ჰიტლერმა პირადად გამოიძახა კარლ ვოლფი და სპეციალურ თათბირზე რიბენტროპის,

ჰიმლერის, ფეგელაინისა და ფონ ჰაველის თანდასწრებით საჭირო მითითებებიც მისცა.

ვოლფი უკვე გამოცდილი იყო ასეთ საქმეებში. ადრე იგი ჰიმლერის დავალებებს ასრულებდა. შექმნილ სიტუაციასაც კარგად იცნობდა: იცოდა, რომ იმ დროს იტალია უარეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე გერმანია. მუსოლინი ქ. სალონში იყო მიჭეჭყილი, სადაც მას ე. წ. „შავი ბრიგადა“ იცავდა. აქ მოკავშირეთა ჯარებს სარდლობდა ფელდმარშალი ალექსანდერი, რომელმაც კაპიტანი ტუკერი გაგზავნა იტალიის სამხედრო მინისტრ გრაციანისთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ იგი გზაში შეიპყრეს „შავი ბრიგადის“ მებრძოლებმა. ვოლფმა ხელთ იგდო კაპიტანი ტუკერი და სათანადო „დამუშავების“ შემდეგ უკანვე გაუგზავნა ფელდმარშალ ალექსანდერს, რომელთანაც დააბარა, რომ თვითონაც სურს მოლაპარაკება მოკავშირეებთან. ორი დღის შემდეგ ვოლფს ვატიკანის კამერდინერის პარილის საშუალებით გადასცეს ალექსანდერის წინადადება შვეიცარიაში ჩასულიყო.

ბერლინიდან მიღებული ნებართვის შემდეგ იგი დოლმანისა და ზომერის თანხლებით ციურიხში ჩავიდა და იქ 8 თუ 9 მარტს ალენ დალესს შეხვდა. გერმანელთა წინადადება ამჯერადაც უტიფარი იყო: თუ კესელრინგი დათანხმდებოდა, ისინი კაპიტულაციას მოახდენდნენ, ოღონდ იმ პირობით, რომ ჩვენი მოკავშირეები მათ ჯარებს თავისუფლად გამოატარებდნენ აღმოსავლეთისაკენ. ამის თაობაზე ჩერჩილიც წერს მემუარებში, რომ ისინი დათანხმდნენ კიდეც ისე, რომ საბჭოთა კავშირისათვის არაფერი უცნობებიათ ამის თაობაზე. ფელდმარშალმა ალექსანდერმა უკვე კომისიაც დანიშნა „კაპიტულაციის ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად“. ამ კომისიაში შედიოდნენ გენერლები ლემნიცერი და ეირი. ისინი დაუყოვნებლივ ჩავიდნენ შვეიცარიაში, სადაც გერმანელი მრეწველის სტინესის ძმის მამულში ვოლფსა და დოლმანს შეხვდნენ. თათბირს ალენ დალესი ხელმძღვანელობდა. სიტყვას საქმეც მოჰყვა. იტალიაში შეწყდა საომარი მოქმედება და სამი გერმანული დივიზია დაუყოვნებლივ იქნა გადასროლილი აღმოსავლეთის ფრონტზე.

ეტყობა, ჰიტლერს იტალიის საკითხი იმდენად არც აწუხებ-

და, რამდენადაც მოკავშირეების ერთმანეთთან წაკიდება უნდოდა. ამიტომ არცა ჩქარობდა. პირიქით, უფრო „მტკიცე პოზიციის“ დაკავებას მოითხოვდა თავის წარმომადგენელთაგან. ვოლფიც მიხვდა, თუ საიდან უბერავდა ქარი, და საქმის გაჭიანურება არჩია, ხან ეს მოიგონა და ხან ის, ამასობაში კი კესელრინგი დასავლეთის ფრონტის სარდლად გადაიყვანეს...

ვოლფმა ახლა ეს მოიმიზეზა და დალესს განუცხადა, კესელრინგის გარეშე მე უფლებამოსილი არა ვარ დოკუმენტებს ხელი მოვაწეროო...

...როცა საბჭოთა მხარემ ამ მოლაპარაკების ამბავი შეიტყო, მაშინვე მოითხოვა თავისი წარმომადგენლის მონაწილეობა. ეს იყო 12 მარტს. ინგლისმა და ამერიკამ ჰარიმანის რჩევით ამაზე უარყოფითი პასუხი გამოგზავნა. მაშინ ჩვენმა მთავრობამ უკანონოდ დაწყებული მოლაპარაკების შეწყვეტა მოითხოვა. „უკანონოდ“ იმიტომ, რომ იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებით გერმანიის საბოლოო კაპიტულაციამდე მოკავშირეებს ყველა ოპერაცია ურთიერთშეთანხმებით უნდა ჩაეტარებინათ. ეს ჩვენმა მოკავშირეებმაც იცოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, სეპარატული მოლაპარაკება მაინც გაგრძელდა. 19 მარტს კარლ ვოლფი შეხვდა ალექსანდერის შტაბის გენერლებს ეირსა და ლემნიცერს. კესელრინგის მაგივრად ჩრდილოეთ იტალიაში გერმანიის ჯარების სარდლად გენერალი ვიტინჰოფი დაინიშნა. ვოლფს ახლა ამ ახალ სარდალთან უნდა შეეთანხმებინა კაპიტულაციის საკითხები. საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა 22 მარტს ისევ ენერგიული პროტესტი განეცხადებინა „მის ზურგს უკან“ ცალმხრივი მოლაპარაკების“ გამო. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამის თაობაზე საგანგებო ნოტებით მიმართა ინგლისისა და ამერიკის მთავრობებს. რუზველტმა პასუხი გამოგზავნა, მაგრამ საქმის ნამდვილ ვითარებას გვერდი აუარა და ეს მოლაპარაკება სარდლობის კომპეტენციად გამოაცხადა, თუმცა საბჭოთა ნოტაში ნათქვამი იყო, რომ აქ საქმე მხოლოდ იტალიას კი არ ეხება, არამედ „უფრო უარესს“...

ამის შემდეგ საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა კიდევ რამდენჯერმე განეცხადებინა პროტესტი გერმანელებთან სე-

პარატული მოლაპარაკების წინააღმდეგ. მოლაპარაკება მარილაც შეწყდა და იტალიაში საომარი ოპერაციები განახლდა.

ეს მძიმე ლახვარი იყო გერმანიისათვის, რაც კარგად ესმოდა ჰიტლერს და ამიტომაც შესჩივლა ბორმანს:

— ჩემი ცდების მიზანს რომ როგორმე მიმეღწია შეთანხმებისათვის ინგლისთან, შეადგენდა კატასტროფის თავიდან აცდენა დასავლეთში. როცა აღმოსავლეთისაკენ გავილაშქრე, მეგონა შევძლებდი დასავლეთის სახელმწიფოებში გონივრულობის ნაპერწკალი გამეღვივებინა, მაგრამ ამ ფარისეველთა სიძულვილი კეთილი ნების ადამიანისადმი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე თვითშენახვის ინსტინქტი. ინგლისის ხელმძღვანელებს ურჩევნიათ უმოქმედოდ დაიღუპონ, ვიდრე ნაციონალ-სოციალიზმი დაუშვან თავიანთ ქვეყანაში. მათ ჯერ კიდევ 1941 წელს შეეძლოთ შეეწყვიტათ ჩვენთან ომი, სურვილი რომ ჰქონოდათ ამისი...

ჰიტლერი რომ ასეთ შეშფოთებას გამოთქვამდა, მისი „ოქროპირი“ გებელსი მაინც ძველ ფირფიტას ატრიალებდა. ბერლინი აივსო მის მიერ შეთხზული პლაკატებით:

— ბოლშევიზმი გადამწყვეტი დამარცხების წინაშე დგას!..

— ოდერზე წყდება ევროპის ბედი!...

— ვისაც ფიურერისა სჯერა, მას სჯერა გამარჯვების!..

კოჭლი ტალეირანი...

პარტიული ხელმძღვანელობიდან ჰიტლერის ერთი პირველი ვეზირთაგანი ომის უკანასკნელ ეტაპზე სწორედ ეს გებელსი იყო. შტრასერი მას „ცბიერ გნომს“ უწოდებდა, კოხი — „კოჭლ ტალეირანს“, ამანი — „პარტიის მეფისტოფელს ცხენის ჩლიქებით“, თაყვანისმცემლები კი — „პარტიის ტვინს“ და „ყველაზე მტკიცე ნაციონალ-სოციალისტს“ ჰიტლერის თანამებრძოლთა შორის. ისევ გებელსის ხელთ იყო პრესა. რადიო, ლიტერატურა, მეცნიერება, კინო, თეატრი, ერთი სიტყვით, პროპაგანდის მთელი არსენალი, რომელიც მან უკლებლივ წარმართა „თავისი ფიურერის“ სადიდებლად. ჰიტლერი მისთვის იყო უდიდესი მხედართმთავარი, უდიდესი არქიტექტორი, უდიდესი მუსიკოსი, უდიდესი... ყოველივე უდი-

დესი... აღფრთოვანება, აღმაფრენა... თაობათა ენერგიის გამოხატულება... ღვთაებრივი მესია, თვით ღმერთი და უფრო მეტიც...

მთელი ომის განმავლობაში ისმოდა გებელსის სულმოუთქმელი ტრაბახი: ათასობით ჩამოყრილია მტრის თვითმფრინავები... დამსხვრეულია სატანკო კორპუსები, მოსპობილია არმიები... მოპოვებულია გრანდიოზული გამარჯვებებიო... ეს იყო მისივე რომანის გმირის, „რუსეთის დამმარცხებელი“ მიხელის ვიზიონერული ხილვის „სინამდვილე“.

— აჰა, ხომ ჩაგიგდე, ეშმაკო! — მიმართავს იგი „დამარცხებულ“ რუსს, — აბა, მომიახლოვდი! მე გტაცებ ხელს და ყელში წაგიჭერ. მე ვებრძვი ივანს. იგი კატასავით მოქნილია, მაგრამ მე უფრო ძლიერი ვარ და მას მიწაზე ვანარცხებ. იგი წევს და ხრიალებს. თვალები სისხლით ევსება... ჩაძაღლდეს!.. ჩაძაღლდეს!.. მე მას ფეხს ვადგამ თავის ქალაზე!..

მერე კი, როცა ის „ძირს დანარცხებული ივანი“ ბერლინამდე მივიდა და თვით „მიხელს“ წაუჭირა ყელში თითები, უტიფარი გებელსი მაინც ახრიალდა:

— რუსეთი დგას გადამწყვეტი დამარცხების წინაშე! ჩვენ უკან ვიხევთ, მაგრამ გავიმარჯვებთ!..

საკვირველი აქ არაფერია, აკი თვითონ გებელსი აღიარებს:

— პროპაგანდის უმთავრესი მიზანი ის არის, რომ ხალხს შავი თეთრად მოაჩვენოსო!..

ცდილობდა კიდეც.

— ღმერთმა იმიტომ ჩაგვაგდო ამ განსაცდელში, რომ შემდეგ გაგვახაროს მოულოდნელი სიხარულით! — გაიძახოდა იგი.

ეს კიდევ არაფერი. მოკავშირეთა ავიაცია რომ გერმანიის ქალაქებს ნაცარტუტად აქცევდა, გებელსი წერდა:

— მტრის ავიაცია რომ ანგრევს ჩვენს შენობებს, ამით უფრო მდიდრები ზარალდებიან. ეს საშუალებას მოგვცემს საფუძველი ჩავუყაროთ მომავლის სოციალისტურ საზოგადოებას.

მეტიც. როცა გერმანიის ქალაქები ბერლინი, შტუტგარტი, ვიურცბურგი, დიუსელდორფი, კასელი, დრეზდენი და სხვ.

თითქმის მთლიანად ნანგრევებად იქცა, ქუჩებში უზარმაზარი პლაკატები გააკრეს წარწერით:

— გაუმარჯოს გერმანიის პირველ მშენებელს — ადოლფ ჰიტლერს!..

ეგებ იფიქროთ, ეს ანტიფაშისტების ხუმრობა იქნებოდაო. არა! ამგვარ პლაკატებსაც გებელსის განკარგულებით აკრავდნენ. მისი აზრით, ამას ერთდროულად პროპაგანდისტული ეფექტიც ჰქონდა და ეკონომიურიც. პრესაში გამოქვეყნდა ფიურერის დადგენილება „ახალი ბინების მშენებლობის საქციო საზოგადოების“ შექმნის შესახებ. მოსახლეობას ჰპირდებოდნენ, რომ ომის დამთავრების შემდეგ ეს საზოგადოება სწრაფად აუშენებდა მათ დანგრეულზე უკეთეს ბინებს, ოღონდ ღირებულების მეოთხედი ახლავე უნდა შეეტანათ.

როგორც ჩანს, ამგვარ პროპაგანდისტულ ტრიუკებს თვითონ ჰიტლერიც „კმაყოფილი ირონიით“ უყურებდა. მან ძველი გერმანული კომპოზიტი „Handwerk“, რაც „ხელით საქმიანობას“, ანუ ხელობას ნიშნავს, გებელსის მაგალითზე შეცვალა ახალი კომპოზიტით „Mundwerk“, ე. ი. „Hand“-ის (ხელის) ნაცვლად ჩასვა „Mund“ (პირი) და გამოიყვანა ადამიანი, რომელსაც თავის ხელობად ლაპარაკი გაუხდია.

იგივე შეიძლებოდა თვითონ ჰიტლერზედაც თქმულიყო. პროპაგანდა ხომ მისი სტიქია იყო. ამბობდა კიდეც:

— ჩვენ პროპაგანდის საშუალებით მოვიპოვეთ ხელისუფლება, პროპაგანდის საშუალებით განვიმტკიცეთ ძალაუფლება და პროპაგანდის საშუალებითვე ღავიპყრობთ მთელ მსოფლიოს!..

მუხის ჩრდილი...

მგელს მგლობა ერქვა და ტურამ ქვეყანა დააქციაო. იმ მძიმე დღეებში ჰიტლერის მაგივრად უფრო ბორმანი იძლეოდა განკარგულებებს. ეს ახელებდა გერინგს, ჰიმლერსა და რიბენტროპს. საიდან გაჩნდა ეს უტვინო ბორმანიო, კითხულობდნენ ისინი გაოცებით.

ბორმანი კი მხოლოდ 1936 წლიდან მოხვდა ჰიტლერის

თვალთახედვის არეში. მან მამულები შეისყიდა ბერჰტესგადენში ჰიტლერის რეზიდენციის გარშემო. ჰიტლერმა ჯერ კიდევ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე, ეკარტის შეგონებით, იყიდა აქ პატარა სახლი, რომელიც რამდენჯერმე გადააკეთა. ბოლოს, ამ სახლისაგან „ძველის მოსაგონრად“ მხოლოდ ბუხარი დარჩა, სხვა ყველაფერი გაიზარდა და სასტუმრო „ბერგჰოფად“ იქცა. მეურნეობას ჯერ ვინმე ამანი განაგებდა, მერე — თვით ჰიტლერის მეზობელი ბორმანი. სწორედ აქ გამოიჩინა ბორმანმა მლიქვნელი კარიერისტის უებარი ნიჭი. მან თავისი ფულით ბერჰტესგადენი ისეთ „სამოთხედ“ აქცია, რომ ჰიტლერი ხუმრობდა, ამ მიდამოებს ბერჰტესგადენი კი არა „ბორმანგარტენი“ უნდა ერქვასო.

ბორმანი ისე ჩაუძვრა სულში ჰიტლერს, როგორც მეფისტოფელი ფაუსტს. მან მომიჯნავე სოფლებიდან გლეხები აჰყარა და მიწები „ბერგჰოფს“ შემოუერთა. სადღაც ერთი ქოხი იდგა, ბავკიდესა და ფილემონის ქოხის მსგავსი, რომელიც „ხედს აფუჭებდა“ ბერგჰოფიდან. ბორმანმა მეფისტოფელივით მისი მფლობელნიც გადაასახლა და ქოხი მოსპო. მერე „ტოდტის ორგანიზაციის“ ხუთი ათასი მუშა დაასია იქაურობას და რამდენიმე წლის განმავლობაში „არწივის ბუდე“ აუშენა თავის ფიურერს.

მუშაობა, როგორც წესი, დღის 12 საათიდან იწყებოდა, რომ ჰიტლერს ძილი არ გაკრთომოდა. ჯერ 1900 მეტრის სიმაღლე ციცაბო კლდეზე 15 კილომეტრი სიგრძის მიხეულ-მოხვეული გზა გაიყვანეს. ეს გზა უზარმაზარ გვირაბს უერთდებოდა, რომლის შესასვლელთან თუჯის ორმაგი კარი იყო დაკიდებული. გვირაბის ბოლოს 120 მეტრზე ვერტიკალური მაღარო გათხარეს და ლიფტი ააგეს. ზემოთ პლატოზე ზედ უფსკრულის პირას, საიდანაც შესანიშნავი ხედი იშლებოდა, რკინა-ბეტონისა და შუშისაგან ნაგები დაბალი, მაგრამ მასიური შენობა იდგა. ვიდრე ამ შენობაში მოხვდებოდა კაცი, უსაშველოდ გრძელი დერეფნები და სიმბოლური რომაული კოლონების მწკრივები უნდა გაევლო. ყოველ მოსახვევში ტყვიამფრქვეველების ბუდეები იყო აგებული. ეს დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა აქ მოსულ უცხოელ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებზე. ისინი ჯერ მანქანით მიჰყვებოდნენ კლდეზე

გამოკვეთილ გზას. მერე მათ წინ ესესელები თუჯის მძიმე კარებს აღებდნენ, ჯერ ერთს, მერე მეორეს. ამის შემდეგ „სტუმრები“ გრძელ გვირაბს გაივლიდნენ და ისევ თუჯის კარებთან ჩერდებოდნენ. აქ საგანგებოდ შერჩეული ესესელი გოლიათები გულმოდგინედ სინჯავდნენ მათ და ლიფტით აჰყავდათ ზევით, სადაც ლეოპოლდ მეორის მსგავსად განმარტოებული ფიურერის იდუმალებით მოსილ „ბროლის სასახლეში“ ხვდებოდნენ.

• საფრანგეთის ელჩმა ფრანსუა პონსემ ეს „შიშისმომგვრელი ნაგებობა“ წმ. გრაალის რაინდების სასახლეს შეადარა, მონსალვის ციხე-სიმაგრეს, მონტ ამონსის ბერების საიდუმლო ბინას, თუ ანტინოას სასახლეს სადღაც ატლასის მთებში.

— აქ ფრთას ისხამს ვაგნერის ფანტაზია და ცოცხლდება ვიქტორ ჰიუგოს მიერ შექმნილი მისტიკური სურათები ბანდიტების ბუნაგის შესახებ, სადაც მათი ფარული განძი ინახებოდაო, — სწერდა იგი საგარეო საქმეთა მინისტრ ბონეს და დასძენდა, რომ ეს ფანტასტიკური ნაგებობა იქცა „კაცობრიობის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული პერიოდის სამწუხარო სიმბოლოდ...“

... ამის შემდეგ ბორმანმა სულ მთლად ჰიტლერთან დაიდო ბინა, დღე და ღამე გვერდიდან არ შორდებოდა. სადილობის დროსაც სულ მასთან იყო ისიც და მისი ცოლი გერდაც. მერე ისე გაუგორდა და გამოუგორდა ხელის გულზე თავის ფიურერს, რომ მის უახლოეს თანამშრომლად იქცა. რა უნდა ყოფილიყო ისეთი, ჰიტლერს მოესურვებინა და იმ ძაღლიკუდა ბორმანს არ შეესრულებინა. მის მლიქვნელობას საზღვარი არა ჰქონდა. ჰიტლერი რომ ამბობდა, ყოველ გერმანელს ოთხ შვილზე ნაკლები არ უნდა ჰყავდესო, ბორმანმა ამას ორჯერ და კიდევ უფრო მეტად გადააჭარბა. მან „ცხრა შვილი აჩუქა თავის ფიურერსა და გერმანიას“... მისმა მეუღლემ გერდამ უფრო მეტი „პატრიოტიზმი“ გამოიჩინა და ნება მისცა თავის ქმარს კიდევ სამი არაოფიციალური „ცოლი“-ჰყოლოდა, რომ „ახალი კონტინგენტი“ შეემატებინა არიული რასისათვის...

... ბერჰტესგადენში უამრავი ტურისტი მოდიოდა. ახლომახლო მცხოვრებნიც იკრიბებოდნენ და საათობით იდგნენ

ჰიტლერის კარ-შიდამოსთან ფიურერისათვის რომ თვალი მოეკრათ. ჰიტლერსაც უყვარდა მათი მისალმება. იგი ყოველდღე ზუსტად განსაზღვრულ დროს გამოდიოდა სახლიდან, დგებოდა ეზოში ერთსა და იმავე ადგილას და ეჩვენებოდა „აღტაცებულ მსურველთ“. მნახველები ოვაციით გამოთქვამდნენ თავიანთ სიხარულს. ჰიტლერი მათ ხელს დაუქნევდა და ისევ შინ შებრუნდებოდა. ბორმანი არც აქ შორდებოდა თავის ფიურერს.

ერთხელ, როდესაც ჰიტლერი გამოვიდა ასეთ „სანახაობაზე“, საშინელი სიცხე იყო. მართალია, მან თავისი ვალი მოიხადა, ხელი დაუქნია მნახველებს, მაგრამ ბორმანს უთხრა:

— რა ძნელია ასეთ სიცხეში მზის ქვეშ დგომა და ხელების ქნევაო...

მეორე დღეს ჰიტლერი რომ ისევ გამოვიდა მოედანზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც იგი ჩერდებოდა, უზარმაზარი მუხის ხე იდგა. ბორმანმა იმავე ღამით ამოათხრევინა სადღაც ეს ხე და ჩაარგვევინა აქ, რათა მისი ფიურერი მზეს არ შეეწუხებინა. ჰიტლერი დიდად მადლიერი დარჩა ბორმანის ასეთი მზრუნველობისა. ჰიტლერის შოფერი კემპკაც კი წერს, მიკვირს, ნუთუ ჩვენს ფიურერს მართლაც მოსწონდა ასეთი რაშეებიო.

ვინ იცის, ალბათ, მოსწონდა. თუმცა ზოგჯერ ირონიულადაც უყურებდა ბორმანის გადამეტებულ გულმოდგინებას...

... რასტენბურგის „მგლის ბუნაგში“ მომუშავენი შეწუხებული იყვნენ კოღოებით. ბოლოს, ეს „აბეზარი მწერები“ ისე გათავხედდნენ, რომ თვით ჰიტლერსაც კი შეუტიეს. ფიურერი ამ თავშესაფარში ყოველგვარი თავდასხმისაგან უვნებელი იყო, კოღოებს კი ვერაფერი მოუხერხეს. მერე ისევ ბორმანმა ისახელა თავი... მან სპეციალურად ფიურერის კაბინეტში დასადგმელად მტვერსასრუტისაგან გააკეთებინა კოღოების დამჭერი აპარატი...

როცა ბორმანი „შინ“ არ იყო, ჰიტლერის ბრძანებით სტენოგრაფისტმა პიკერმა ჩართო ეს მანქანა. უცებ ისეთი ხმაური ატყდა, რომ კოღოების მოზიდვა კი არა, დამფრთხალი „ბლონდიც“ კი გავარდა გარეთ...

ჰიტლერმა ბევრი იცინა ამაზე, მაგრამ მაინც უფასებდა ამგვარ ერთგულებას ბორმანს, რომელიც მალე ეწია გულის წადილს. სინამდვილეში იგი „მეორე კაცად“ იქცა იმპერიაში. ძაღლი ვის პურსაც ჭამს, იმის კარზე ყეფსო. ბოლო თვეებში ბორმანი განაგებდა თავშესაფრის მთელ საქმიანობას. თუ მისი ნებართვა არ იყო, ფიურერთან არავის უშვებდნენ, აღარც ინფორმატორებს, რომელნიც მოხსენებას უდგენდნენ ჰიტლერს „ფრონტებზე მდგომარეობის“ შესახებ.

გარდა ბორმანისა, ჰიტლერის გარშემო განუწყვეტლივ ტრიალებდნენ კაიტელი, იოდლი და ესესელი ადიუტანტები. ძველი მხედარმთავრები ყოველთვის აგდებულად ექცეოდნენ ამ „პარტიულ გენერლებს“, რომელნიც, მათი აზრით, არა რამე სამხედრო დამსახურებისათვის, არამედ ჰიტლერისადმი ფანატიკური ერთგულებისათვის დააწინაურეს. ლუდენდორფს უთქვამს:

— უგნური რომ ამაღლდება, მრჩევლებად სულმდაბალთ დაისვამსო.

ეკლეზიასტეშიც წერია:

— მიეცა უგნური სიმაღლეთა შინა დიდთა და მდიდარნი სიმდაბლითა დასხდეს ბჭობად...

... ამგვარი ბჭობა მათ დღეში ორჯერ ჰქონდათ: დილით და საღამოთი. გენერლები ჰიტლერს უდგენდნენ ყოველდღიურ ინფორმაციას ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ „უებრო მხედარმთავარს“ უკვე აღარ შეეძლო ამ მასალების სწორი ანალიზი. განკითხვის დღის მოახლოებამ მას სულიერი წონასწორობა დაუკარგა. გონება თანდათან უბნელდებოდა (Selbstvernebelung), მეხსიერებამაც უღალატა. უძილობა ტანჯავდა. გაძლიერდა „პროგრესული დამბლის“ (Progressive paralise) ნიშნებიც. თავი გვერდზე ჰქონდა გადაგდებული, მარცხენა ხელი უცახცახებდა, ვერც მარცხენა ფეხს ხმარობდა თავისუფლად, მისი პირადი ექიმი წერს:

— ორმოცდახუთი წლის ჰიტლერი ასაკთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ორმოცდაათი წლისა შეეფარდებოდა თავის ხნოვანებას, ხოლო ორმოცდახუთმეტი წლისა უკვე ღრმად მოხუცებული ჩანდა...

ექიმი მორელი ყოველ ღონეს მხარობდა, რომ „გონების სიფხიზლე“ შეენარჩუნებინა ფიურერისათვის. იგი რაღაც „საიდუმლო წამალს“ უშხაპუნებდა თავის პაციენტს და „სასიამოვნო ექსტაზს“ იწვევდა მასში. სხვები იმ აზრისანი იყვნენ, რომ სულფომინადის ზედმეტი დოზითა და განუწყვეტელი ინექციით, მორფინითა და ჰიპნოტიკებით მორელი ჰიტლერის „დროებით აღგზნებას“ კი იწვევდა, მაგრამ საერთოდ ჯანმრთელობას უუარესებდა. ზედმეტად ეჭვიანმა ჰიმლერმა სცადა ჩამოეშორებინა იგი ჰიტლერის მკურნალობისაგან, ერთხელ მისი მოსპობაც განიზრახა, მაგრამ თვითონ ჰიტლერი ძალიან კმაყოფილი იყო თავისი „სასწაულმოქმედი ექიმით“ და სხვა მკურნალს ახლოს არ იკარებდა. ბრანტი და ჰასელბახი დაითხოვა. მართალია, ჰიმლერმა მას თავისი პირადი ექიმი გებჰარდიც მიჰგვარა, მაგრამ ჰიტლერი მაინც მორელსა და მის „სტიმულანტებს“ არჩევდა. ჰიმლერს ისღა დარჩა, როგორმე გაეგო მორელის „სასწაულმოქმედი აბების“ რეცეპტი, მაგრამ „ეს საიდუმლოება“ მაინც ვერ გახსნა. ჰიტლერული გერმანიის აგონიის თვეებში კი თვითონ ჰიმლერი სთხოვდა მორელის: რაც შეიძლება მეტი წამალი შეუშხაპუნე, რომ გონება გაუნათდეს და გვიხსნას განსაცდელისაგანო.

ამაო ცდა იყო „შმაგ ეფრეიტორს“ საშინელი აპათია დაეუფლა. ბიოგრაფების აზრით, უწინ იგი მ ო ქ მ ე დ ე ბ დ ა, ახლა კი მხოლოდ უ ც დ ი დ ა რაღაცას. ძნელი სათქმელია, განკითხვის დღეს, თუ სასწაულს. დროდადრო ღრმა სასოწარკვეთაში ვარდებოდა. „სტალინგრადის კატასტროფის“ შემდეგ ციაცლერს გაუმხილა, ომის გამარჯვებით დამთავრების გზებს ვერ ვხედავო. თვითმკვლელობაზე ფიქრმაც პირველად მაშინ გაურბინა თავში. ერთხელ რევოლვერი ამოიღო, ხელში შეატრიალა და იმავე ციაცლერს უთხრა:

— რა ადვილია თავის მოკვლა! რევოლვერი ასე მსუბუქი იარაღია!..

მერე ეს გრძნობა გაუძლიერდა. უკვე აღარც შიშს მალავდა. სულ იმას ამბობდა, ვინმე მომკლავსო. 20 ივლისის თავდასხმის შემდეგ უკვე აღარავის ენდობოდა. დეგუსტატორთა სპეციალური შტატი ჰყავდა საჭმელებისა და სასმელების წინასწარ გასასინჯად. სადაც არ უნდა წასულიყო, თავისი სანო-

ვაგე მიჰქონდა. გამონაკლისს არც გებელსების ოჯახი წარმოადგენდა. ადრე ჰიტლერი ხშირი სტუმარი იყო მაგდა გებელსისა. უყვარდა მისი ნამცხვრები. ახლა სტუმრობას უკლო, მაგრამ, როცა მივიდოდა, ადიუტანტები დეგუსტატორთა მიერ წინასწარ გასინჯულ საჭმელებს დაუდებდნენ წინ. მაგდას ეს, ცხადია, სწყინდა, მაგრამ რა უნდა ექნა! როცა ჰიტლერის შავი მერსედესი გაჩერდებოდა მის ვილასთან, კამერდინერი ლინგე მანქანიდან პირველი გადმოხტებოდა და კარებს გაუღებდა. ჰიტლერი ძლივძლივობით გადმოვიდოდა, ლინგეს მხარზე დაეყრდნობოდა და ფეხათრევით აჰყვებოდა კიბეს. ადიუტანტები გადმოიღებდნენ თერმოსებს ცხელი ჩაით, საგანგებოდ შეფუთვნილ ნამცხვრებს და მიართმევდნენ თავიანთ ფიურერს. ერთი მათგანი იქვე გაჩერდებოდა და თვალმოუშორებლივ უყურებდა, რამე სხვა საჭმელი არ შეაპარონო... სპეციალურად ფიურერისათვის დამზადებული შოკოლადებიც თან მოჰქონდათ... ექიმები ამას „უსაფრთხოების გრძნობას“ (Unsicherheitsgefühl) უწოდებდნენ. ეს გრძნობა ჰიტლერს კიდევ უფრო გაუძლიერდა, როცა მის შტაბს რასტენბურგში აღმოსავლეთის ფრონტი მიუახლოვდა. ადრე იგი ამბობდა, ვიდრე მე აღმოსავლეთ პრუსიაში ვარ, რუსები ჩვენს ფრონტს ვერ გაარღვევენო. მერე კი „უსაფრთხოების გრძნობამ“ მაინც თავისი გაიტანა და ადიუტანტს უთხრა:

— ცხადია, ეს ძალიან საშიშია, ფრონტი სულ რაღაც ასი კილომეტრითაა დაშორებული. რუსებს ერთი ნახტომის გაკეთებაღა უნდათ, რომ აქ გაჩნდნენ. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს, თორემ, მე თუ ბრძოლის ველზე დავეცი ან რუსებმა ჩამიგდეს ხელში, ეს დიდი უბედურება იქნება გერმანიისათვის!..

ეს „უბედურება“ რომ მართლაც არ მომხდარიყო, ჰიტლერმა უსაფრთხოების საგანგებო ზომები მიიღო. პირადი დაცვის ბატალიონი მან „ფანატიკურად განწყობილი“ ესესელებით გაძლიერა და ლეგიონად გადააქცია თავის მცველებს მეთაურად „20 ივლისის ჯმირი“ მაიორი რემერი დაუნიშნა და პოლკოვნიკის ჩინი უბოძა. ომის შემდეგ იგი გენერალ-მაიორი გახდა, ბუნდესტაგის დეპუტატად აირჩიეს, მემუარებიც დაწერა და გამოაცხადა:

— ჩვენ ხელი შევუწყვეთ გერმანიის ღირსეულად დაღუპვასო...

რემერმა მაშინ განსაკუთრებული გულმოდგინება გამოიჩინა და თავის ლეგიონში „ხელჩართულ ბრძოლაში“ (Nahkampf) გაწვრთნილი ქვეგანაყოფი შექმნა. მებრძოლებს ყოველდღე ავარჯიშებდნენ ჭიდაობისა და ძიუ-ძიუტსში. კრივის მწვრთნელად კი ცნობილი ფალავანი კოლბლინიც მოიწვიეს.

ლეგიონში სამი ათასი ოფიცერი და ჯარისკაცი იყო. ასეთი მრავალრიცხოვანი „პრეტორიანული გვარდია“, ალბათ, რომის არც ერთ იმპერატორს არა ჰყოლია...

ჯოჯოხეთის არქიტექტურა...

მიუხედავად ამგვარი დაცვისა, 1944 წლის 20 ნოემბერს ჰიტლერი მაინც იძულებული გახდა რასტენბურგიდანაც აბარგებულიყო. ეს იყო მისი უკანასკნელი მგზავრობა. „მუდამ გზადმყოფი“ ფიურერის ბოლო რეზიდენციად ისევ ბერლინი იქცა. იმპერიის კანცელარიის შენობის ქვეშ მისთვის უკვე აეგოთ საიმედო თავშესაფარი. იგი ღამით ქურდულად შემოიპარა დედაქალაქში და, ტრიუმფალურ შეხვედრებს ჩვეული, ამჯერად ჩუმად ჩაძვრა ამ ჯურღმულში, რომელიც თექვსმეტი მეტრის სიღრმეზე იყო ჩათხრილი და რვა მეტრი სისქის რკინაბეტონით გადახურული. ადრე ეს თავშესაფარი იმ უბნის მოსახლეობას, ქალებსა და ბავშვებს, ემსახურებოდა. მათ „ფიურერის სტუმრებს“ უწოდებდნენ. ახლა კი „სტუმრები“ დაითხოვეს და თვითონ ფიურერი ჩაასახლეს ამ ჯურღმულში. გარშემო ყველაფერი ნანგრევებად იყო ქცეული. რაიხსკანცელარია — სრულიად გაპარტახებული, სურათები და ფარდები — ჩამოგლეჯილი, გობელენები — ჩამოფხრეწილი, კიბეები — მტვრითა და გაჯით დაფარული, ჭერი — ალაგ-ალაგ ჩამონგრეული. სააქტო დარბაზი ყუმბარის პირდაპირ მოხვედრას დაენგრია. თვით თავშესაფარი ოცდაათი ოთახისაგან შედგებოდა. ცენტრალურ ნაწილში, რომელიც თორმეტი ნაბიჯით უფრო დაბლა იყო დაწეული, თვით ჰიტლერი მოთავსდა.

ასეთია დანტეს ჯოჯოხეთის არქიტექტურაც. რაც უფრო მძიმეა დანაშაული, მით უფრო დაბლაა მოთავსებული დამნაშავე. სულ ძირს კი, მეცხრე გარსში, ჯოჯოხეთის მეუფე ლუციფერი იმყოფება. ასე იყო რაიხსკანცელარიის თავშესაფარიც: ყველაზე დაბლა მოხვდა ყველაზე მაღალი რანგის დამნაშავე ჰიტლერი. მასთან ერთად ცხოვრობდნენ მისი პირადი ექიმები თერაპევტი მორელი და ქირურგი შტუმპფეგერი. აქვე იყო სამდივნო, დიდი და მცირე სააქტო დარბაზები, კავშირგაბმულობის კვანძი და სხვა დამხმარე სათავსოები. ცალკე ოთახი ჰქონდათ მიჩენილი ჰიტლერის საყვარელ ძაღლს ბლონდის და მის ლეკვებს. ამავე „ფლიგელის“ მეორე ნახევარში ცხოვრობდნენ კამერდინერი ლინგე, ვეგეტერიანული მზარეული და სხვა მსახურები. მერე აქვე გადმოსახლდა გებელსი — ცოლითა და ექვსი შვილით. რომელთაც ხუთი მდიდრულად მოწყობილი ოთახი ეჭირათ. ჰიტლერის კაბინეტი სპეციალური კიბით უერთდებოდა კოშკს, რომლის აშენებაც ვერ მოესწრო, თორემ ჰიტლერს იქნებ ღამღამობით მაინც მოეკრა თვალი, თუ როგორ იწვოდა ნანგრევებად ქცეული ბერლინი.

თავშესაფარს ოთხი გასასვლელი ჰქონდა: იმპერიის ახალ კანცელარიაში, კანცელარიის ბაღში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ეზოში და სათადარიგო.

ჰიტლერის ზევით განლაგებული იყო ჯერაც დაუმთავრებელი თავშესაფრები, რომლებშიც ჩასახლდნენ ბორმანი, ჰიტლერის სამხედრო ადიუტანტი გენერალი ბურგდორფი, პირადი მფრინავები ბაუერი და ბიტცი, შოფერი კემპკა, სტენოგრაფისტები, მდივნები, იმპერიის კანცელარიის კომენდანტი მონკე, ჰიმლერის პირადი წარმომადგენელი ფეგელაინი, რიბენტროპის წარმომადგენელი ფონ ჰაველი და დენიცის წარმომადგენელი ადმირალი ფოსი. მეორე და მესამე თავშესაფარში მოთავსდა ჰიტლერის პირადი დაცვა, ე. წ. ესკორტი, რომელიც გოლიათი ესესელებისაგან შედგებოდა. სულ სამივე თავშესაფარში შვიდასამდე კაცი ცხოვრობდა...

... ჰიტლერის სხვა პალადინებმა „უფრო საიმედო სამხრეთი“ არჩიეს ბერლინის ჯურღმულში ფიურერთან ერთად ყოფნას. ჯერ გერინგი წავიდა თავის მამულში, იქიდან კი —

სამხრეთ გერმანიაში. კარინჰოლიდან საბარგო მანქანების უზარმაზარი კოლონა გავიდა, გერინგის ქონებით დატვირთული. რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერი მიჰქონდათ. გზებზე დაუსრულებელ ნაკადად მიმავალი ლტოლვილები ზიზღით შესცქეროდნენ „მესამე იმპერიის“ მესვეურთა და გაულაიტერთა დატვირთულ მანქანებს.

მერე ჰიმლერიც გაქრა თავისი მატარებლიანად. ამან შეანელა გენერლების შიში და ისინიც ნელ-ნელა გაიპარნენ „სახიფათო ზონიდან“: რიბენტროპი — ფუშლის სასახლეში, სხვები — ტიურინგიასა და საქსონიაში. სამხრეთისაკენვე წავიდნენ კაიტელი, დენიცი, იოდლი. ალბათ, არც გებელსი დარჩებოდა ბერლინში, მაგრამ... ყარყუმი რამ მოკლა და თავისმა ენამ: როგორც ბერლინის დაცვის უმაღლესმა კომისარმა ბერლინის „ბაბილონის გოდოლი“ მან „გერმანიის აუღებელ ციტადელად“ გამოაცხადა და თვითონ როგორ დატოვებდა მას!..

... როგორც ცნობილია, ბაბილონის გოდლის მითის მიხედვით, ღმერთი გადმოვიდა „ხილვად ქალაქისა და გოდლისა“, კადნიერად რომ მიიწევდა მისკენ... და თქვა:

— მოვედით გარდავიდეთ, და შეურევნეთ მათ ენანი მუნ, რათა არა ესმოდის თვითეულსა ხმაჲ მოყუარისა და განთესნა იგი უფალმან მუნით პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა, და დასცხრეს მაშენებელნი ქალაქისა და გოდოლისანი...

ომის უკანასკნელ ეტაპზე გერმანია, მართლაც, ბაბილონის გოდოლს მოგვაგონებდა. ჯარისკაცები გამორბოდნენ ფრონტის ხაზიდან. უკან დახეულებს თან მოჰყავდათ სამხედრო ტყვეები, სასწრაფოდ ახდენდნენ „საკონცენტრაციო ბანაკების“ ევაკუაციას. ლტოლვილებიც დაიძრნენ შიდა გერმანიისაკენ. გარდა ამისა, აქ ხუთ მილიონამდე უცხოელი მუშა მუშაობდა. ვინ არ იყო მათ შორის: ფრანგები, ინგლისელები, ბელგიელები, ჰოლანდიელები, დანიელები, პოლონელები, იუგოსლავები, ჩეხები, სლოვაკები, ებრაელები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, ყაზახები, სომხები და ვინ იცის კიდევ ვინ...

ადრე ყველას თავისი სახელმწიფო ჰქონდა, თავისი სახლ-

კარი, ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი. ახლა კი ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული, როგორც ბაბილონის იმ ორომტრიალის დროს...

ბანადგურების სიხარული...

რასტენბურგიდან „ბერლინის ციტადელში“ დაბრუნების შემდეგ ჰიტლერულმა „განადგურების მანიამ“ სულ მთლად ტოტალური ხასიათი მიიღო. გებელსთან ერთად ფიურერმა ხელახლა გამოსცა ბრძანება „გადაბუგული მიწის“ შესახებ. ადრე ამგვარი ბრძანება აღმოსავლეთის დროებით დაპყრობილ ტერიტორიებზე მოქმედებდა, ახლა კი გერმანიაზედაც გავრცელდა.

ბრძანებაში ნათქვამი იყო:

— ჩვენი ხალხის არსებობისათვის ზრუნვა გვაიძულებს გერმანიის ტერიტორიაზეც გამოვიყენოთ ყველა საშუალება, რაც მოწინააღმდეგის ბრძოლის უნარს შეასუსტებს და მის წინსვლას შეაჩერებს. აუცილებელია გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი მტერს მაქსიმალურ ზიანს მიაყენებს. მცდარი იქნება ვიფიქროთ, რომ იმ ტერიტორიების დაბრუნების შემდეგ შევძლებთ გამოვიყენოთ უკანდახევის დროს დაუნგრევლად დატოვებული ან დროებით დაზიანებული რკინიგზები, კავშირგაბმულობის საშუალებანი, სამრეწველო და კომუნალური საწარმოები. მოწინააღმდეგე, სულ ერთია, გადაბუგულ მიწას დაგვიტოვებს და არავითარ ანგარიშს არ გაუწევს მოსახლეობის საჭიროებას.

ამიტომ ვბრძანებ:

გერმანიის ტერიტორიაზე არსებული რკინიგზის ყველა ხაზი, კავშირგაბმულობის ყოველგვარი საშუალებანი, სამრეწველო და კომუნალური საწარმოები, აგრეთვე მთელი მატერიალური მარაგი, რისი გამოყენებაც შეეძლება მტერს, მოსპობილ იქნეს დაუყოვნებლივ!..

ჰიტლერი ავალებდა თავის მხედართმთავრებს, გაულაიტერებსა და თავდაცვის კომისრებს უყოყმანოდ შეესრულებინათ ეს ბრძანება.

ყოველგვარი ღირებულება გაქრა, — ამბობდა იგი, — ამიტომ ყველაფერი უნდა დაინგრეს, არც ერთი ხიდი ან ქარხანა,

არაფერი, არაფერი არ უნდა დარჩეს მტერს, არც ადამიანები. კინც ამ ომს გადაურჩება, სულ ერთია, არავითარი ფასი აღარ ექნება!..

ეს, მართლაც, ნგრევის გაუგონარი მანია იყო, ისეთი დემონური გახელება, რომლის მსგავსი არც ახსოვს ისტორიას. თვითონ ჰიტლერი უწოდებდა ამას „გერმანელი ერის მომავალი არსებობის საფუძვლების მოშლას“. ამბობდა კიდეც:

— თუ ომი წაგებულ იქნა, დაიღუპება გერმანელი ერიც. ბედისწერა გარდუვალია. სრულიადაც არ არის საჭირო შევინარჩუნოთ პრიმიტიული არსებობის საფუძველი, პირიქით, ყველაფერი უნდა დაინგრეს ან ჩვენ თვითონ უნდა დავანგრიოთ, რის დანგრევასაც შევძლებთ...

რატომ? რისთვის? ამის პასუხსაც თვითონ იძლეოდა:

— დრო მოვა და ისტორია იტყვის, თუ რარიგ გმირულად დაიღუპა გერმანელი ხალხი!..

ეს იგივეა, რაც ძველებური ოცნება მითურ წარღვნაზე, თუნდაც ნოეს კიდობნის გარეშე, დასაწყისი დასასრულისა, რომლის იქით არაფერი არ იქნება, აპოკალიპსური მისტერია განკითხვის დღის შესახებ, ანუ მთელი ერის მსხვერპლშეწირვა ჰანიბალების ღმერთისადმი, რომელიც თავისივე ტაძრის ნანგრევებში ხარობს...

თვითონ გერმანელებმა უწოდეს ამას „განადგურების სიხარული“ (Vernichtungsfraude), სწორედ რომ ს ი ხ ა რ უ ლ ი!..

ჰიტლერი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ამბობდა, თუ ვერ გავიმარჯვებთ, ნახევარ მსოფლიოს მაინც ვაქცევთ ნანგრევებადო.

გებელსის „ვიზიონერული ხილვა“ ადრეც „სწვდებოდა“ „მსოფლიო ნგრევის“ ამგვარ აპოკალიფსურ სურათებს. იმავე რომანის „Michel“-ის გმირი ამბობს:

— მზის ჩასვლისას მე ვხედავ ქალაქებისა და სოფლების ნანგრევებს, ვხედავ ჩამქრალ მზერას და მომაკვდავთა ოგონიას. ხელები გამურული მაქვს ტყვია-წამლით, ტანსაცმელი — სისხლით გაწითლებული... მე უკვე ადამიანი აღარა ვარ. მე შეპყრობილი ვარ შმაგი სიძულვილით და გახელებული სისხლის სუნით...

მართალია, ეს ლიტერატურაა, მაგრამ ცხოვრების სინამდვილე უფრო შემაძრწუნებელი იყო. ჰალდერი წერს მოგონებებში: ვარშავის სრული განადგურების ბრძანება რომ გასცა, ჰიტლერი თვითონაც გაეშურა იქითკენ, რათა დამტკბარიყო „ამ დიდებული სანახაობითო“.

— ზეცა შავი კვამლით დაიფარა, ადამიანები სისხლის მორევში ცურავდნენ! — ყვებოდა თვითონ ჰიტლერი. მეტიც, ამ „დიდებული სანახაობის“ ერთხელ ყურება რომ არ იკმარა, წინასწარ კინორეჟისორს დაავალა შეექმნა ფილმი ვარშავის მოსპობის შესახებ. ეს დავალებაც „გერმანული პუნქტუალობით“ იქნა შესრულებული: გამოვიდა ფილმი, რომელსაც ავტორებმა „Feuertaufen“ („ცეცხლით ნათლობა“) უწოდეს, უცხოელმა ჟურნალისტებმა კი — „Teufelsfeuer“ („ეშმაკის ცეცხლი“). ჰიტლერმა რამდენჯერმე ნახა ეს ფილმი და დატკბა კიდეც „ვარშავის ტოტალური განადგურების სიხარულით“...

ამის პასუხად შეიძლება კაცმა მხოლოდ შექსპირის სიტყვები გაიმეოროს:

— ვინც ცოდვით ტკბება, პატიება ვით ეღირსება!..

გერმანიაში კი მაშინ ისეთი ცოდვა ტრიალებდა, რომ მხოლოდ დანტეს ფანტაზია თუ მისწვდება ყოველივე ამას. მესამე იმპერია შაგრენის ტყავივით შეიკუმშა. ყველა ერთ ჯოჯოხეთში იყო მოქცეული: თვით გერმანიის მოსახლეობა, უცხოელი მუშები, სამხედრო ტყვეები თუ საკონცენტრაციო ბანაკების ტუსაღები...

თეთრი ფერფლი

მე უკვე იმდენი გიამბეთ ამ საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ, რომ, მართალი გითხრათ, არავითარი სურვილი არა მაქვს კვლავ დავუბრუნდე ამ შემაძრწუნებელ ამბებს, თხრობის ლოგიკა რომ არ მაიძულებდეს გთხოვოთ მოთმინება იქონიოთ და ბოლომდე მოისმინოთ ხალხთა ამ მასობრივი სასაკლაოების შესახებ ომის უკანასკნელ ეტაპზე.

1944 წლის მიწურულში, ოფიციალური ცნობით, საკონცენტრაციო ბანაკებში ჯერ კიდევ მილიონნახევარზე მეტი პატიმარი იმყოფებოდა. რაც უფრო იკუმშებოდა მესამე იმპერი-

ის ტერიტორია, მათი მდგომარეობა ერთობ აუტანელი ხდებოდა. ჰიტლერელებმა არც იცოდნენ რა უნდა ექნათ ამდენი ხალხისათვის: დახოცვას ვერ ასწრებდნენ, ევაკუაციაც გაძნელდა სწრაფი უკან დახევის გამო, საკონცენტრაციო ბანაკები კი შეიძლებოდა მოულოდნელად „მტერს“ ჩავარდნოდა ხელთ და ტუსაღები გაეთავისუფლებინათ... ეს კი არ უნდოდათ, რადგან „ჯოჯოხეთის ბინადართა“ შურისძიებისა ეშინოდათ.

რა ზომებს არ მიმართავდნენ ისინი, რომ სიკვდილის კომბინატთა „გამტარუნარიანობა“ გაედიდებინათ, მაგრამ ამდენი „ცოცხალი მასალის“ ფერფლად გადამუშავებას მაინც ვერ აუდიოდნენ. უკვე არავინ იცავდა კრემატორიუმების ექსპლოატაციის დადგენილ რეჟიმს, ტემპერატურასაც ნორმაზე ზევით აყენებდნენ, მაგრამ, ნიცშეს ერთი უცნაური თქმისა არ იყოს, ცეცხლიც იღლება თურმე. პროფესიულ ჯალათთა ფანტაზია კი დაუშრეტელი აღმოჩნდა. ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში გაზკამერების ტევადობის გასადიდებლად შიშველ ტუსაღებს აიძულებდნენ ხელები მაღლა აეწიათ და ისე შესულიყვნენ „სადეზინფექციო აბაზანაში“, რომ ძირს დაშვებულ მკლავებს „ზედმეტი ფართობი“ არ დაეკავებინათ. როცა „აბაზანა“ ისე გაიჭედებოდა, რომ ნემსის ჩასავარდნი ადგილი არ იყო, ბავშვებს ზემოთა ხვრელიდან დააყრიდნენ. კარის ჭუჭრუტანიდან მეთვალყურე ესესელს შეეძლო დამტკბარიყო ამ საოცარი სანახაობით: თითქოს სალოცავად ხელაშვერილ შიშველ ადამიანებს ზემოდან აცვივათ ასევე შიშველი ძუძუმწოვარა ბავშვები — ციური ანგელოზები... მერე სეტყვასავით წამოვა ცისფერი კრისტალები, საწამლავი „ციკლონი“ სწრაფად იხსნება ჰაერში და გაზის ღრუბლები ფარავს ამ ჯოჯოხეთურ სანახაობას. მეთვალყურე ესესელი კი ფოლადის კარებთან რაღაც მხიარულ მელოდიას უსტვენს და უცდის როდის დამთავრდება ყველაფერი...

მერე ცარცს აიღებს და კრემატორიუმის კარებზე დააწერს ახალმოგონილ სიტყვას „vergasst“ („გაგაზებულია“)...

...ყველაფერს საზღვარი აქვს და ვერც ამგვარი გამოგონებებით მოხერხდა საჭირო რაოდენობის „მასალის ლიკვიდა-

ცია“. თითო სეანსზე ორი ათასი კაცის „გატარება“ ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: ჯერ „მასალა“ უნდა გადაერჩიათ, დაეხარისხებინათ, ტანისამოსი გაეხადათ და დაელაგებინათ. მერე ტყვეები გაზკამერაში მოეთავსებინათ, მოეწამლათ, გვამები გაესინჯათ, ოქროს კბილები და პროთეზები ამოეძროთ, გვამები კრემატორიუმში გადაეტანათ, დაეწვათ და ფერფლი გაეცრათ, სადმე კიდევ ხომ არ დარჩა თითო-ოროლა ოქროს კბილიო...

მოკავშირეთა არმიები კი ახლოვდებოდნენ... დაიწყო ცეცხლებ-ცხელება. გაზკამერების გარდა მოაწყვეს იმპროვიზირებული კოცონები... ტუსაღებს ჯერ ხვრეტდნენ, მერე ასეთ კოცონში ყრიდნენ... ცეცხლის ალი და კვამლი ზეცას სწვდებოდა... ადუღებული ქონი მდინარესავით მოედინებოდა... ისმოდა „უკანასკნელი სალუტი სიცოცხლისადმი“ — ასობით თავის ქალა ერთად სკდებოდა... და გარემო იფარებოდა ჯოჯოხეთური კვამლის „ხრჩოლვითა და წუმწუმებითა...“

...ცნობილია, რომ მაიდანეკის საკონცენტრაციო ბანაკში მარტო ერთ დღეს, 1943 წლის 3 ნოემბერს, ამ ხერხით მოსპეს ოცი ათასი ადამიანი, ღრმა მოხუცებით დაწყებული და ძუძუმწოვარა ბავშვებით დამთავრებული. რაგინდ ძალა დაატანოს კაცმა თავს, მაინც ვერა და ვერ იჯერებს, რომ ეს შესაძლებელია მომხდარიყო მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში და ისიც ევროპის შუაგულში!..

აკი არცა სჯეროდათ!

საბჭოთა არმიის ნაწილებმა რომ ქ. ლუბლინი გაათავისუფლეს და თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარე მაიდანეკის ჯოჯოხეთის კარები გახსნეს, მთელი მსოფლიოს კორესპონდენტები მიესივნენ ამ შემაძრწუნებელ სანახაობას. მათ შორის ერთი პირველთაგანი ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის ბი-ბი-სის კორესპონდენტი, ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ალექსანდრ ვერტი იყო. მან აღწერა საკუთარი თვალით ნანახი საკონცენტრაციო ბანაკი, მაგრამ არავინ დაუჯერა. ბი-ბი-სიმ უარი თქვა ვერტის სტატიის გადაცემაზე. ეს დაუჯერებელიაო. გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა“ სტატია კი გამოაქვეყნა, მაგრამ ასეთი შენიშვნა დაურთო:

— იქნებ უმჯობესი იყოს ჯერჯერობით თავი შევიკავოთ იმ საშინელი ამბების დადასტურებისაგან, რაც ლუბლინიდან მივიღეთ. კიდევაც რომ გავითვალისწინოთ ყოველივე ის, რაც ჩვენ დღემდე ვიცოდით ნაცისტთა მანიაკური სისასტიკის შესახებ, ეს ცნობა მაინც დაუჯერებლად გვეჩვენება...

...მაიდანეკი კი მთავარი ჯოჯოხეთი როდი იყო. წინ ბევრად უფრო მეტი საშინელების ხილვა მოელოდა ურწმუნო თომათა სმენადახშულობას, მათ შორის — ოსვენციმი! მაგრამ, ვიდრე ჩვენმა დასავლეთელმა მოკავშირეებმა საკუთარი თვალით არ ნახეს მათ მიერ გათავისუფლებულ ტერიტორიებზე მდებარე საკონცენტრაციო ბანაკები ბუჰენვალდი, დახაუ, ბერგენ-ბელზენი თუ სხვა, ამის დაჯერება მაინც ვერ შეძლეს... ისიც ითქვა, კონსტანტინე სიმონოვის მიერ აღწერილი მაიდანეკის საშინელება „რუსების პროპაგანდისტული ტრიუკიაო“...

მერე ყველა დარწმუნდა ამ შემაძრწუნებელი ამბების სინამდვილეში და დღემდე, ყოველდღიურად, ათასობით დამთვალიერებელი ჰყავს მაიდანეკის უკვე მუზეუმად ქცეულ „სიკვდილის კომბინატს“.

მაშინ კი ყველაფერს „მოქმედი ჯოჯოხეთის“ სახე ჰქონდა. სიმყრალის სუნი იდგა „იოსაფატის ჭალაში“. ყველაფერი დამწვარი ადამიანების საოცრად თეთრი ფერფლით იყო დაფარული. ვერტი წერს, მაიდანეკის ტერიტორიაზე სიარულის დროს ფეხსაცმელები ფერფლის სქელი ფენით გამითეთრდაო. ალბათ ისე, როგორც კირისა და ცემენტის ქარხნებში ხდება ხოლმე. ვისაც ამ ჯოჯოხეთში რომანტიკული წარმოსახვის უნარი შერჩა, მისთვის მთვარის შუქით განათებული მაიდანეკის თეთრი მიდამოები ზაფხულშიაც შუა ზამთრის შთაბეჭდილებას ახდენდა. ყველაფერი თეთრ სუდარაში იყო გახვეული. აქა-იქ თითქოს „რიყის თეთრი ქვებიც“ მოჩანდა. ადამიანის ძვლები, ეტყობა, არც ისე ადვილად იფერფლება და მილიონობით ტუსაღთა ამ უკანასკნელ ნაშთში ჯერ კიდევ ეყარა გამომწვარი თავის ქალა, მენჯის ძვლები, წვივები, ყბები თუ კბილები...

„სიკვდილის ეკონომიკაში“ დაოსტატებულ ესესელებს ხომ არაფრის დაკარგვა არ უნდოდათ. მათ ზედ ბანაკის გვერდით

კომბოსტოს უზარმაზარი პლანტაცია ჰქონდათ გაშენებული. ეს პლანტაცია სანიმუშოდ ითვლებოდა, რადგან მიწა ადამიანის ფერფლით იყო გაპოხიერებული და არაჩვეულებრივ მოსავალს იძლეოდა. პლანტაციის გვერდით მიწის ამ „ძვირფასი გასანოყიერებელი მასალის“ მთელი გორები იდგა. ზოგჯერ ქარი დაუბერავდა და ფერფლის კორიანტელი დგებოდა გარშემო. კომბოსტოც ფერფლის სქელი ფენით იფარებოდა, მიწაზედაც ადამიანთა გამომწვარი ძვლები ეყარა, მაგრამ ეს როდი ეზიზღებოდათ ბატონ ესესელებსა და მათ „რესპექტაბელურ ფრაუებს“. ისინი ადამიანის ნეშტით განოყიერებულ კომბოსტოს, ვითომ აქ არაფერიო, ფერფლს უდარდელად მოაცლიდნენ და გემრიელ კერძებს ამზადებდნენ.

სიკვდილი კვებავს სიცოცხლესო, ამბობს ერთი გერმანელი ფილოსოფოსი. ვინ იცის, მართლა ასეა თუ არა; მე კი მთელი ეს ამაზრზენი სანახაობა და სიკვდილ-სიცოცხლის პარადოქსული გათამაშება ემილ ზოლას „რუგონ-მაკარებში“ აღწერილ ეპიზოდს მაგონებს...

ვიტოვეგული სასაფლაო...

ქ. პლასანის რომაული ალაყაფის კარებიდან თუ გამოხვალთ, ნიცისაკენ მიმავალი გზის მარჯვნივ წმ. მიტრას ჭალაში მოხვდებით. ასიოდე წლის წინ აქ სასაფლაო იყო. მიწა მთელი საუკუნის მანძილზე იწოვდა მიცვალებულთა გვამებს და ისე გაძღა სიკვდილით, რომ პლასანელებმა ქალაქის მეორე მხარეს ახალი სასაფლაო გახსნეს, ძველი კი მცენარეულობით დაიფარა. ადამიანთა გვამებით გაპოხიერებული მიწა საოცრად ნოყიერი გამოდგა. მაისის შხაპუნა წვიმების შემდეგ ივნისის მცხუნვარე მზეზე აქ ისეთი მსუყე და მაღალი ბალახი იზრდებოდა, რომ გალავანს ზემოთაც წვდებოდა. შიგადაშიგ კი საოცრად დიდი ყაყაჩოები ყვაოდნენ. იგრძნობოდა, რომ მიწის სიღრმიდან მცენარეები უხვად იწოვდნენ ადამიანთა გვამების მაცოცხლებელ წვენს. განსაკუთრებით კარგად ხარობდა მსხლის ხეები, მათი ნაყოფი არაჩვეულებრივად დიდი და მსუყე იყო. მაგრამ არც ერთი პლასანელი არ ახლებდა ხელს მათ: „სასაფლაოს მსხლებიაო“, ზიზღით ამბობდნენ ისინი. ბავშვები კი შე-

ბინდებისას გუნდ-გუნდად გადადიოდნენ ყოფილი სასაფლაოს მაღალ ყორეზე და მადიანად შეექცეოდნენ ჯერაც უმწიფარ მსხალს.

ბალახისა და ხეების ცხოველმყოფელმა ძალამაც სწრაფად დაძლია სიკვდილის ეს სამეფო. ყვავილები და ხეხილი ხარბად ნთქავდნენ ადამიანთა ნეშტს და რამდენიმე გაზაფხულის შემდეგ იქიდან მხოლოდ ველური მათიოლების მძაღე სუნი მოდიოდა.

წლები რომ გავიდა, პლასანელებმა გადაწყვიტეს როგორმე გამოეყენებინათ ძველი სასაფლაოს ეს უქმად დარჩენილი ტერიტორია. ქვის ყორე დაანგრიეს, ბალახი ათიბეს, მსხლის ხეები აკაფეს, მიწა ძალიან ღრმად გადააბრუნეს და იქიდან ამოყრილი ძვლები კუთხეში მიაყარეს.

ბავშვებს ძალიან დასწყდათ გული, მსხლის ხეები რომ მოჭრეს, მაგრამ სამაგიეროდ მთელი თვე აბურთავებდნენ მიწიდან ამოყრილ თავის ქალებს. უფრო ონავრებმა კი ადამიანთა ძვლები პლასანის მცხოვრებლებს დაუკიდეს კარებზე ზარების სახელურებად. ამის შემდეგ ქალაქის მესვეურები იძულებული გახდნენ ძვლები მოეგროვებინათ და ახალ სასაფლაოზე ამოთხრილ ერთ დიდ ორმოში ჩაეყარათ. ყოველივე ეს ისეთი ბრძნული სიდინჯით კეთდებოდა, რომ პლასანელები მთელი კვირის განმავლობაში უყურებდნენ, ღამღამობით ადამიანთა ნეშტი საამშენებლო ნაგავივით როგორ გადაჰქონდათ ქალაქის ერთი თავიდან მეორეში. მძიმე შთაბეჭდილებას მხოლოდ ის ახდენდა, რომ ძველი ურიკა ირყეოდა და ძვლები გზადაგზა ცვივოდა.

ყველაზე შემაძრწუნებელი კი ის იყო, რომ ეს ხდებოდა საოცრად უხეში გულგრილობით და ყოველგვარი რელიგიური რიტუალის გარეშე...

...გაუქმებული სასაფლაო მაინც დიდხანს გვრიდა შიშს პლასანელებს. ვერც გათავისუფლებული ტერიტორია გამოიყენეს. არავინ არ მოისურვა იქ დასახლება და ის ადგილი დაიფარა ბალახით. მერე პლასანის მცხოვრებნი ნელ-ნელა მიეჩვივნენ ამ ადგილს, ზოგჯერ იქ სეირნობდნენ კიდეც ან მწვანე მოლზე ისვენებდნენ. ქალაქის მმართველობამ სახელიც შეუც-

ვალა მას, წმ. მიტრას მოედანი უწოდა, და გასართობ ადგილად აქცია...

მთელი დღე თამაშობდნენ ბავშვები წმ. მიტრას მოედანზე. საღამოობით კი შეყვარებულები უნიშნავდნენ იქ ერთმანეთს პაემანს... სიყვარულისათვის უკეთესი ადგილი არც იყო მთელ პლასანში, განსაკუთრებით ის მყუდრო კუთხე, სადაც ერთ დროს ძვლების გროვა ეყარა. იქვე ალმაცერად დაყუდებული სასაფლაოს ქვა იდო, რომელსაც ჯერაც შერჩენოდა მარმარილოზე ამოჭრილი წარწერა: აქ განისვენებს... და ა. შ. შეყვარებულები ამ ქვაზე სხდებოდნენ და ტკბებოდნენ საოცნებო განმარტოებით. თუმცა სველ ბალახზე სიარულის დროს ისინი ზოგჯერ ადამიანის თავის ქალის ნამსხვრევებს წამოჰკრავდნენ ფეხს, მაგრამ ეს უკვე აღარ იწვევდა გაუქმებული სასაფლაოს ასოციაციებს. მარტო ის იყო, რომ იქიდან გასვლისას შეყვარებულებს ბალახები ფეხებში ებლანდებოდათ და აჩერებდათ, თითქოს სიკვდილის სამეფოს არ სურს ხელიდან გაუშვას სიცოცხლისა და სიყვარულის უძლეველობის ეს მარადი ყვავილებიო. ახალგაზრდები ამას ყურადღებას არც აქცევდნენ. მარტო მოხუცები თუ მოიგონებდნენ სიკვდილის იმ ძველ სამეფოსა და ლეგენდარულ ურიკას, რომლითაც მიწიდან ამოყრილი ადამიანის ძვლები მიჰქონდათ პლასანის ქუჩებში...

ღამღამობით კი, ალბათ, ის მოგონება კოშმარულ სახეს იღებდა და პლასანელებს ესიზმრებოდათ გაუქმებული სასაფლაოს მწიფე მსხალი, კუთხეში მიყრილი ან კარის სახელურად დაკიდებული ძვლები ადამიანისა, ბურთივით გაგორებული თავის ქალა...

...ამგვარი ამბები ზოგჯერ ისე აგიმღვრევს კაცს გონებას, რომ კოშმარული ფიქრები ყორნებივით აიშლებიან და მაშინ მთელი დედამიწა ისე წარმოგვიდგება, როგორც პლასანის გაუქმებული სასაფლაო. ვინ იცის, რამდენი მილიარდი ადამიანის ძვლებია მის წიაღში ჩამარხული, რამდენი სხეული შეუწოვია მას. თვითონ დედამიწას კი ამით არც არაფერი ემატება და არც არაფერი აკლდება. ასე რომ არ იყოს, რაც მის ზედაპირზე ადამიანს ან ცხოველსა და ფრინველს უცხოვრია, რაც მცენარე აღ-

მოცენებულა და კვლავ ჩანაცრულა. ყოველივე ეს რომ ერთად შეკრიბოს ძალამ გონებისამ, განა იმაზე დიდი და მძიმე არ გამოვა, ვიდრე მთელი ჩვენი პლანეტაა? რაც დღემდე იყო, ის თუ არა, რაც მომავალშიც იქნება — მაინც. მაშ, საიდან მოდის და სად მიდის ამდენი ცოცხალი არსება ერთიდაიგივეობის ამ მარადიულ წრებრუნვაში? „ვნებათა იგივეობა წესია დედამიწისაო“, ამბობს ვაჟა-ფშაველა. იქნებ მართლაც ერთი „ვნება“ მართავს სიცოცხლესაც და სიკვდილსაც, შექმნასაც და დაშლასაც. იქნებ მთელი ჩვენი პლანეტარული არსებობა ერთიდაიგივეობის ამგვარი ცვალებადობაა: მიწა ბადებს სიცოცხლეს და მიწადვე აქცევს მას. ტყუილად ხომ არ ეძახის ქართველი ჩვენს პლანეტას დ ე დ ა-მიწას. იქნებ ამასვე მეტყველებდეს ბიბლიური ლეგენდის ფრაზა: მიწა იყავ და მიწადვე მიიქეცო... ხალხური ფანტაზიის მიხედვით, ღმერთმაც ხომ მიწისაგან შექმნა ადამიანი! ანტიკური მითები კი დედამიწას „დედაკაცად“ წარმოიდგენს, რომელსაც „მამაკაცი“ — ზეცა ანაყოფიერებს და ახალ სახეებს ქმნის... ხომ შესაძლებელია, რომ სიცოცხლე მართლაც დ ე დ ა-მიწის დაუსრულებელი მეტამორფოზა იყოს, ყოველივე არსებულში კი მოიპოვებოდეს ნაწილი ადამიანებისა, რომელნიც ერთ დროს ცხოვრობდნენ. ასეა თუ ისე, მიწის ზედაპირი, პლასანის სასაფლაოსი არ იყოს, მთლიანად გაპოხიერებულია ადამიანის სხეულით, სისხლით, ხორცით, ტვინით... ზოგჯერ ამიტომაც მოგეჩვენება კაცს, რომ, ფრთხილად თუ არ გაიარე, სადმე ადამიანის თავის ქალის ნამსხვრევს წამოჰკრავ ფეხს... მით უმეტეს — ნაომარ-ნასახლარ ადგილებში, სადაც ბრძოლების ქარიშხალმა გადაიარა. მაიდანეკის მიდამოები ხომ მთლიანად დახოცილთა ძვლებითაა მოკირწყლული... გარშემო ყველაფერს ფერფლის ფერი ადევს... გაზონებთან ამოსული ყაყაჩოებიც დახვრეტილთა ჯერაც შეუხორცებელ იარას მოგაგონებენ და ესოდენ შემაძრწუნებელი ამბებით ამღვრეული ფიქრიც იმ კრემატორიუმების საკვამურივით ბოლავს... ეს მართლაც მიტოვებული სასაფლაოა... მერედა რამდენი ასეთი ადგილია ევროპაში... ან რამდენი შეუხორცებელი იარა შერჩა მათგან კაცობრიობის მეხსიერებას!..

...დრო კი მაინც თავისას შვრება... საკონცენტრაციო ბანაკები მუზეუმებად იქცა და ისევ ისეთ შავ ლაქებად დარჩა ევროპის სხეულზე. მართალია მათ ალამაზებენ, ხეივნებს აშენებენ, ყვავილების გაზონებით რთავენ, გრანიტისა თუ მარმარილოს მემორიალებს დგამენ, მაგრამ იმდროინდელ იარებიდან მაინც სისხლი და ბალღამი სდის. ზოგან ეს კონტრასტები ახლა უფრო შემზარავ შთაბეჭდილებასაც ახდენს. ვინც გოეთეს, შილერისა და კრანახის ვაიმარში ჩადის, ჯერ გერმანელი ხალხის ამ გენიალური შვილების მუზეუმებს ეცნობა, მერე შესანიშნავ ტყესა და ხეივნებს გაივლის და ქალაქიდან სულ რაღაც ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით ყვავილებში ჩაფლულ სასიკვდილო ბანაკ ბუჰენვალდში ხვდება, სადაც ყველაფერი ისე ბრწყინავს, როგორც ხელოვნების მუზეუმებში.

კრემატორიუმის კიბეებს რომ ჩაჰყვებით, მარჯვნივ გაპრიალებულ კედელზე ისევ გოეთეს, შილერისა და კრანახის პორტრეტებს ნახავთ. მარცხნივ კი — საკონცენტრაციო ბანაკის შემზარავ სურათებს... სულ ერთად... ერთმანეთის პირისპირ... ეს კონტრასტი ისეთ შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ გონებას ბინდი ეფინება... გოეთე და წამების იარაღები!.. შილერი და გვამების საწვავი ღუმელები!.. კრანახიც თითქოს შეძრწუნებული უყურებს ადამიანთა გაძვალტყავებულ გვამებს... თავზარდაცემულნი არიან... მაყურებლებიც ათვალიერებენ ადრინდელი ბანაკის ნაშთებს, შეძრწუნდებიან, აღშფოთდებიან და გაეცლებიან ამ რამდენიმე მილიონი ადამიანის მიტოვებულ სასაფლაოზე დარჩენილ ძეგლს სიკვდილისას, რათა ისევ დაუბრუნდნენ თავიანთ მყუდრო ცხოვრებას, ვიდრე ჯოველი მათგანი თავის კუთვნილ საფლავს არ მოძებნის დედამიწაზე...

სიკვდილის მუზეუმი...

მაშინ კი სხვა იყო. ვინც იმ დღეებში მაიდანეკში მიდიოდა, შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება ნაადრევ ჭაღარად მოჰყვებოდა უკან გამობრუნებულს...

საბჭოთა მწერლებიდან პირველმა კონსტანტინე სიმონოვმა, მოინახულა მაიდანეკი და გამოეხმაურა კიდეც მშვენიერი სტატიით „პრავდაში“. შეიძლება ეს ასე არ იყოს, მაგრამ მე დღემდე მეჩვენება, რომ სიმონოვი სწორედ მაშინ გაჭაღარავდა...

... ომის უკანასკნელი წლის გაზაფხულზე დასავლეთისაკენ მიმავალი საბჭოთა არმიის ნაწილებს ჯერ მაიდანეკის ჯოჯოხეთის ცხრავე გარსს გაატარებდნენ და ისე უშვებდნენ ფრონტზე... მათ წინ კი უკვე გერმანია იყო. ასეთი რამ მეც გამომიცდია და ვიცი რა გულუბრყვილოა მსჯელობა იმაზე, თუ რამე „სამწუხარო ექსცესებს“ ჰქონდა ადგილი პირველად, როცა ჩვენი ჯარის ნაწილები გერმანიის ტერიტორიაზე შევიდნენ. რა ადვილია ახლა ამაზე მსჯელობა და აწონილ-დაწონილი დასკვნების გამოტანა! მით უფრო ღიმილის მომგვრელია დასავლეთის ზოგიერთი ისტორიკოსის ცდა შეკრიბოს ამგვარი ფაქტები და საბჭოთა ჯარისკაცის მორალური სახის ტენდენციურად დამახინჯებული სურათი მოგვცეს. თვით ასეთი ცდაა ამორალური, აბა, წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელმაც ომის მთელი საშინელება გამოიარა და ათასი ასეთი „მაიდანეკი“ ნახა. მისთვის „გერმანელი“ მაშინ ისეთი ზიზღის მომგვრელი სიტყვა იყო, რომ ბუნებრივად იწვევდა დაუოკებელ სიძულვილსა და მრისხანებას... ამიტომ მე „სამწუხარო ექსცესები“ კი არ მიკვირს, არამედ ის, თუ რა ძალამ შეაჩერა რისხვის ეს აგორებული ტალღა... რამ შეაკავა სტალინგრადიდან ბერლინამდე მოსული ჯარისკაცების შურის საძიებლად შემართული ხელი... როგორ მოხდა ისეთი ფსიქოლოგიური გარდატეხა, რომ სულ მოკლე ხანში საბჭოთა ჯარისკაცი, რომელსაც ნასმენ-ნანახი გულში ბოღმად ჰქონდა დაგროვილი, მხარზე ხელს უტყაპუნებდა ჯერაც შიშით გაოგნებულ გერმანელ მოქალაქეებს და უკანასკნელ შეხვევა თუთუნსაც კი უზიარებდა მათ... ეს ისეთი საოცრებაა, რომ ასე ადვილად ვერც ახსნის ადამიანი! ვერც იმას იტყვის, გერმანელთაგან სახელდობრ ვის მიუძღვის ამაში დანაშაული: ერთს, ასს, ათასს, ათიათასს, მილიონს, თუ მრავალთაგან უმრავლესს!..

... იმ დღეებში გერმანელ ტყვეთა კოლონებიც გაატარეს მაიდანეკში და უჩვენეს მათ თანამემამულეთა მიერ ჩადენილი შემაძრწუნებელი საქმეები... ისინი ათვალიერებდნენ ამ „სიკვდილის კომბინატის“ შემზარავ ნაგებობებს, ხედავდნენ ჯერ კიდევ კუთხეებში მიყრილ ადამიანთა გვამებს, საწყობებში დალაგებულ ტანსაცმელს... დახოცილთა თმებით გატენილ ტომრებს... ჩვილ ბავშვთა ფაჩუჩების მთელ გროვას და თეთრი ფერფლის გორებს...

ჯერ ნელა მიდიოდნენ... მერე ფეხს აუჩქარეს... ბოლოს კი ისეთმა პანიკურმა შიშმა მოიცვა ყველა, რომ უკვე შეუძლებელი იყო მათი შეჩერება... ისინი გარბოდნენ... გარბოდნენ უკან მოუხედავად, მაგრამ... საკუთარ დანაშაულსა და სინდისს სადღა გაექცეოდნენ!..

ჩადენილი ცოდვების კოშმარი აგიჟებდა მათ. ზოგიერთი მათგანი ფსიქიკურ ტრანსშიც ვარდებოდა. ვიღაც შეშლილივით ყვიროდა თურმე:

— მე დამხვრიტეთ, ჩემს ცოლ-შვილს ხელს ნუ ახლებთ, გთხოვთ მე დამხვრიტეთ, მე, მხოლოდ მე...

გაოცებული ჯარისკაცები უყურებდნენ და ვერ ხვდებოდნენ რას სთხოვდა მათ ის „გაფსიხებული ფრიცი“ როცა აუხსნეს, სიცილით მოკვდნენ, ვინ ოხერს სცალია შენთვისა და შენი ცოლ-შვილისთვისო...

ახლა ისევ ის ბავშვი მაგონდება, ქუჩა-ქუჩა რომ დადიოდა და ტიროდა, არა, მე არ მომიკლავს ქრისტე, ყველაფერს გეფიცებით, მე არ მომიკლავს ქრისტეო.

ვინ იცის რამდენ გერმანელს მიუძღვის ცოდვა „ქრისტეს მოკვლაში“. ყველა კი იძახდა, არა. ჩვენ არ მოგვიკლავსო. შესაძლებელია მათში ბევრი მართლაც იყო ისეთი, რომლის სინდისს ერთი ადამიანის სიკვდილიც არ ამძიმებდა, მაგრამ მაინც გარბოდნენ შეშინებულნი და შეწუხებულნი იმ გრძნობით, რომ ეს ყველაფერი მათი პირადი დანაშაულიც იყო...

ნეტავი რამდენი იქნებოდა ასეთი იმ კოლონაში, ან სხვაგან, თუნდაც მთელ გერმანიაში?..

ესეც ისეთი „საჩოთირო საკითხია“, რომ სჯობს თვით გერმანელები დავსხათ „საქმეთა მათთა განსასჯელად და განსაკითხავად...“

... მოკავშირეთა ჯარები დასავლეთიდან რომ შიდა გერმანიაში შემოიჭრნენ, გენერალმა ეიზენჰაუერმა ბრძანება გასცა: გოეთესა და შილერის ვაიმარის ახლოს ჰიტლერელთა მიერ გამართული საკონცენტრაციო ბანაკის კრემატორიუმთან ჩაეტარებინათ ქალაქის მთელი მოსახლეობა. ამ ამბავმა „გერმანელი ხალხის სინდისის“ — თომას მანის ყურამდეც მიაღწია კალიფორნიაში და „დოქტორ ფაუსტუსის“ ფურცლებზე მოხვდა. მწერალი „თავისი მედიუმის“ — სერენუს ცაიტბლომის პირით ყვება:

— ოკეანის მიღმელმა გენერალმა ბრძანა ჩაატარონ ვაიმარის მოსახლეობა იქაური საკონცენტრაციო ბანაკის კრემატორიუმთან. იგი ფიქრობს (განა უსამართლოდ?), რომ ყველა ეს ბიურგერი, რომელთა ნაწილი ომის დროს, ალბათ, თავის ჩვეულებრივ საქმიანობას განაგრძობდა, თუმცა ქარს მათთანაც მიჰქონდა ადამიანის დამწვარი ხორცის მყრალი სუნი, ჩადენილი ბოროტების თანამონაწილეა, და მოითხოვს, რათა მათ საკუთარი თვალით ნახონ ყოველივე, ეს...

თვით თომას მანიც არ ემიჯნება ამ პასუხისმგებლობას და ისევ სერენუს ცაიტბლომის ენით ამბობს:

— დაე, უყურონ! მეც ვუყურებ მათთან ერთად, წარმოდგენით მზარდამზარ მივყვები საშინელებათაგან გაოგნებულ და შეძრწუნებულ მათ მდუმარე მწკრივს. მას შემდეგ, რაც დაილეწა რკინის სქელი კედლები, რომლებიც პირველივე დღეებიდან არარაობად განწირულმა ხელისუფლებამ გარს შემოავლო გერმანიას, ჩვენი სამარცხვინო საქმეები მთელი მსოფლიოს წინაშე გადაიშალა. უცხოელთა კომისიებს ყველგან უჩვენებენ ამ გაუგონარ სანახაობას, ისინი კი თავიანთ ქვეყნებს ატყობინებენ, რომ ის, რაც მათ ნახეს, თავისი შემზარავი სიმკაცრით გაცილებით იმაზე მეტია, რისი წარმოდგენაც შეუძლია ადამიანის გონებას. მე ვამბობ: „ჩვენი სამარცხვინო საქმეები“. ამით იპოქონდრია კი არ მეტყველებს თავის თავზე, რომ ყოველივე გერმანული — გერმანული სულიც, გერმანული აზრიც, გერმანული ენაც, სირცხვილის მორევში რომ არის შთანთქმული, — სამართლიანადაა ეჭვის ქვეშ დაყენებული ყოველივე იმით, რაც ახლა ასე საჯაროდაა გამოფენილი. არც თვითდამცირების ავადმყოფური გრძნობა აყენებს ასეთ

კითხვას: შეძლებენ თუ არა გერმანელები ოდესმე მომავალში მოითხოვონ სიტყვა რომელიმე ასპარეზზე და მონაწილეობა მიიღონ კაცობრიობის ბედის შესახებ გამართულ სჯა-ბაასში? თუნდაც ყოველივე ის, რაც ახლა გამომჟღავნდა, საერთო-კაცობრიული ბუნების ბნელ მხარედ ჩაითვალოს, ათეულმა და ასეულმა ათასმა გერმანელმა ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომელიც ძრწოლას ჰგვრის მთელ მსოფლიოს. ყოველივე ის, რაც ცოცხლობდა გერმანულ მიწაზე, ამიერიდან ამაზრზენ ზიზღს გამოიწვევს და უკიდეგანო ბოროტების მაგალითად იქცევა...

... ხომ უსასრულოდ დიდია ის მსხვერპლი, რაც ჰიტლერელთა ველურმა ურდოებმა შეიწირეს, მაგრამ, მე მგონი, გაცილებით უფრო მძიმეა შედეგი, რაც ამან გამოიწვია ადამიანთა ფსიქიკაში და რაც, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაჰყვება კოშმარად ჩვენს წარმოდგენებს...

შოკენის საწყობი...

ასევე მძიმეა ის მორალური ტვირთი, რაც მაშინ დააწვა უბრალო ადამიანთა სულს, შეცვალა მათი ხასიათი. ვინც იმ ჯოჯოხეთის შხამი დალია, უკვე არაფერი უკვირს... ადამიანური ინსტინქტები ჩაკვდა მათში... ისინი გულგრილნი და განურჩეველნი გახდნენ...

სადღაც წავიკითხე, ვიღაც რომ ყვება:

— ამას წინათ გერმანიის რომელიღაც ქალაქის კინოთეატრში ფილმს გვიჩვენებდნენ ომის საშინელებებზე. ეკრანზე ისეთმა შემაძრწუნებელმა კადრებმა გაირბინეს, რომ ერთმა ქალმა ვეღარ აიტანა ამის ყურება, წამოვარდა და ისტერიული კივილი მოართო:

— გეყოფათ, გეყოფათ!.. სანამ შეიძლება უყურეს ადამიანმა ამ საშინელებას!.. ხომ ხედავთ, რომ ნერვები აღარა გვაქვს... აღარ შეგვიძლია მეტი... აღარ შეგვიძლია... აღარ... სიგიჟემდე ხომ არ უნდა მიგვიყვანოთ!..

ვიღაც გულგრილმა ჯენტლმენმა იწყინა, ხელი რომ შეუშალეს, და წყრომით დაიძახა: გაიყვანეთ ის ქალი, ვერა ხედავთ, რომ გიჟიაო.

— ეჰ, ვინ იცის, იქნებ ის ქალი იყო ერთადერთი ნორმალური, ჩვენ შორის, — შენიშნავს ის, ვინც ეს სურათი აღწერა...

გერმანული ოკუპაციის წლებმა ისე დაასახიჩრა ზოგიერთთა სული, რომ...

ამის გახსენება იქნებ არც იყოს საჭირო, მაგრამ ჯობს უსიამოვნო ფაქტებსაც გავუსწოროთ თვალი:

გერმანელთა გარეკვის შემდეგ ლუბლინის მოსახლეობის ერთი ნაწილი მიესია მაიდანეკის საწყობებს და დაიტაცეს დახოცილთა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საბავშვო ურიკები... მთავარ საწყობში კი მაინც ბევრი საქონელი დარჩა...

ბედის ირონიით ამ საშინელ ნაგებობას „შოპენის საწყობი" დაერქვა. საქმე ის არის, რომ მაიდანეკის საწყობის შენობის ფასადი შოპენის ქუჩაზე გამოდიოდა. კორესპონდენტები წერენ, რომ ის საწყობი ხუთსართულიანი უნივერსალური მაღაზიის შენობას ჰგავდა. აქ თაროებზე და დახლებს ქვეშ ელაგა ქალისა და მამაკაცის ტანისამოსი, თეთრეული, ათასობით წყვილი ფეხსაცმელი, სათამაშოები, თითბრისა და ფაიფურის ჭურჭელი, წვერის საპარსი მოწყობილობანი და ვინ იცის კიდევ რა...

„შოპენის საწყობი" ძალიან პოპულარული იყო ლუბლინში. ნაცისტურ ორგანიზაციებსა და გავლენიან პირთ აქედან უამრავი საქონელი მიჰქონდათ. ყველაფერი აღრიცხული იყო... საბუხჰალტრო საქმეებში გატარებული და შეფასებული...

მოდიოდა მომართვა... მიდიოდა საქონელი!..

ვერტმა იქ წაიკითხა ვიღაც გერმანელი ქალის თხოვნა, რომ გაეგზავნათ მისთვის „საბავშვო ურიკა და თეთრეულის სრული კომპლექტი ახალდაბადებული ბავშვისათვის!"

ვისი თეთრეული უნდა გაეგზავნათ მაიდანეკის საწყობიდან იმ ურცხვი დედაკაცისათვის?! განა მან არ იცოდა რა ხდებოდა მაიდანეკში?! ესეც არ იყოს, „შოპენის საწყობს" ხომ ოფიციალურად ერქვა „ნახმარი საქონლის გასასაღებელი პუნქტი!" ვის მიერ უნდა ყოფილიყო ნახმარი ახალდაბადებული ბავშვის თეთრეული?! ან თვითონ რა სინდისი აძლევდა უფლებას, რომ

„ქრისტეს გასისხლიანებული პერანგი“ ჩაეცმია თავისი პირმშოსათვის?!

არ ვიცი, ვის სინდისს უფრო მძიმე დანაშაული აწევს: ამ „უწყინარი თხოვნის“ დამწერ ქალბატონისას, თუ იმ ესესელი დედაკაცებისას, საკონცენტრაციო ბანაკებში რომ დათარეშობდნენ და სადისტურად აწამებდნენ ტყვეებს?..

მოძრავი სასაკლაოები...

ყოველივე ეს იმიტომ მოხდა, რომ გაქცეულმა გერმანელებმა ვეღარ მოასწრეს მაიდანეკის კვალის მოსპობა. ეს ძვირად დაუჯდათ მის კომენდანტებს, ისინი დაისაჯნენ ამ „უპასუხისმგებლო მოქმედებისათვის“. წინ კი უამრავი საკონცენტრაციო ბანაკი იყო და, მაიდანეკის შეცდომა რომ არ გამეორებულიყო, სასტიკი ბრძანებები წამოვიდა ჰიმლერის უწყებიდან:

— თუ მოულოდნელად ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ შეუძლებელი გახდა პატიმრების ევაკუაცია, იქვე დახვრიტეთ! შენობები ნაღმებით ააფეთქეთ ან დაწვით! უნდა ავიცდინოთ ტუსაღების გათავისუფლება მოკავშირეთა არმიების მიერ... ცოცხლად არავინ არ უნდა ჩავუგდოთ მტრებს ხელში!

1945 წლის 27 თებერვალს გერინგი მივიდა ჰიტლერთან და მოახსენა:

— საგანის ბანაკში მოთავსებულია ათი ათასი ტყვე, უმთავრესად ოფიცრები. მათი ევაკუაცია შეუძლებელია...

— რატომ ამდენ ხანს არ გადაიყვანეთ სხვაგან? ეს გაუგონარი დაუდევრობაა! — იყვირა ჰიტლერმა.

გერინგმა ეს „დაუდევრობა“, რა თქმა უნდა, სხვებს გადააბრალა.

— დაიხმარეთ ფოლკსშტურმი და ფეხით გადაიყვანეთ სამხრეთში. ვინც სიარული ვერ შეძლოს, დახვრიტეთ! — ბრძანა ფიურერმა.

— გადაყვანის დროს ბევრი ცდილობს გაქცევას, — თქვა ვიღაცამ.

გერინგის „ტვინის ტრესტი“ მაშინვე ამუშავდა და... გაჩნდა დირექტივა:

— ტუსაღებს ფეხსაცმელები და შარვლები გახადეთ, რომ თოვლსა და ყინულში ვერსად გაიქცნენ...

ასეთივე დირექტივა მიიღეს სხვა საკონცენტრაციო ბანაკებმაც... და დაიძრა ასიათასობით ხალხი შიდა გერმანიისაკენ. მიდიოდნენ მშიერ-მწყურვალნი ზამთარში, ყინვაში. ვინც ეცემოდა, იქვე ხვრეტდნენ.

— ღონემიხდილნი შეშლილებად ჩათვალეთ და დახოცეთ! — ასეთი იყო მითითება.

განერვიულებული და გამხეცებული ესესელები იმათაც ხვრეტდნენ, ვინც „უსირცხვილოდ ნელა მიდიოდა". მათ ახელებდათ მხეცური ინსტინქტი:

— ესენი შეიძლება გადარჩნენ. . ჩვენ კი...

...ყოველივე ამას ისევ ცხოველური გაბოროტება და ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა შედეგად... პროცესზე ნორვეგიელი კაპელანი ყვებოდა, როგორ „გადაიყვანეს" ბუხენვალდიდან სამი ათასამდე ტუსაღი:

— ათი-თორმეტი გრადუსი ყინვა იყო. ჩვენ კი მხოლოდ ტუსაღის ზოლებიანი ხალათი გვეცვა. ექვსი თუ რვა საათი ფეხით გვატარეს. მერე რომელიღაც სადგურამდე მივაღწიეთ. სადაც ქვიშის გადასაზიდი საბარგო მატარებელი იდგა. თითო ღია პლატფორმაზე ოთხმოც-ოთხმოცი კაცი დაგვაყენეს და ხუთი დღე ისე გვატარეს, რომ არც სასმელი მოუციათ და არც საჭმელი. პირდაღებულები ვიდექით პლატფორმაზე და თოვლის ფიფქებს ვიჭერდით, რომ პირი გაგვესველებინა... როცა დანიშნულების ადგილას მივედით, გავიგეთ, რომ გზაში 1347 კაცი მომკვდარიყო...

— თქვენი ბანაკიდან რამდენი მოკვდა გზაში? — ეკითხებიან პროცესზე ოსკენციმის კომენდატს ჰოსს.

— დაახლოებით ასე 140 ათასი! — ამბობს იგი მშვიდად.

— ეს მხოლოდ ერთი ბანაკიდან და ისიც „გზაში". დანარჩენები?

— დანარჩენებს გეოგრაფიული მდებარეობისა და სიტუაციის მიხედვით ვსპობდით. თუ სანაპირო ახლო იყო, გემებში ჩავსხამდით და ზღვაში ვყრიდით. მთაგორიან ადგილს გვირა-

ბებში შევრეკავდით. შესასვლელს ამოვქოლავდით და.... ამოვა-ხრჩობდით...

მოსპობაც უნდოდათ და დანაშაულის კვალის დაფარვაც. მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტმა განაცხადა ნიურნბერგში:

— მოკავშირეთა არმიის მოახლოების გამო მე მივიღე კალტენბრუნერის ინსტრუქცია, რომ ტუსაღები ბერგკრისტალის ფაბრიკის გვირაბში შეგვერეკა, შესასვლელი აგვეფეთქებინა და ასე ცოცხლად დაგვემარხა ყველა...

ამაზე კალტენბრუნერმა ქვეშ-ქვეშ გამოხედა ცირაისს და მუშტი მოკუმშა...

ბრალმდებელმა შოუკროსმა კი განაცხადა:

— თვით 65 ათასი კაცის მკვლელი ცირაისიც შეაძრწუნა ამ ინსტრუქციამ და უარი თქვა მის შესრულებაზე.

„შეაძრწუნა" კი არა, სამაგიეროს. მიზღვისა შეეშინდა, თორემ, ადრე რომ ყოფილიყო, რას არ დახოცავდა!..

ამიტომ იყო, რომ უკან დახევის დროს ადრე დახოცილთა ძვლებსაც არ ტოვებდნენ. „მკვდრების მზიდავ" ბატალიონებს მოჰქონდათ ძვალსამტვრევი მანქანები და ფქვავდნენ ჩონჩხებს თავიანთი „საყვარელი მიწა-წყლის" გასაპოხიერებლად...

...საკონცენტრაციო ბანაკებში აჩრდილებად ქცეულ ადამიანებს როცა შორიდან მოესმოდათ განმათავისუფლებელ არმიათა ზარბაზნების გრიალი, მათ ჩამქრალ თვალებში იმედის ნაპერწკალი იფეთქებდა და სახეგაბრწყინებულნი შეჰყურებდნენ მოკავშირეთა თვითმფრინავებს, ტალღებად რომ მიედინებოდნენ გერმანიისაკენ...

ისინი განთავისუფლებას ელოდნენ და... სწორედ მაშინ უცებ აყრიდნენ, დააწიოკებდნენ და მიჰყავდათ სადღაც... გადარჩენის იმედი მაინც არ ქრებოდა მათში და აჩრდილების კოლონები სიმღერას იწყებდნენ... ვინ რას არ მღეროდა: ინტერნაციონალს, მარსელიოზას, ვარშავიანკას... საეკლესიო საგალობლებსაც კი... გაბორტებული მცველები ესროდნენ, ხვრეტდნენ, კონდახებსა და მათრახებს ურტყამდნენ, ძაღლებს

უსეკდნენ... ისინი კი მღეროდნენ... მიდიოდნენ, ეცემოდნენ, იხოცებოდნენ, მაგრამ მაინც მღეროდნენ... ძნელი სათქმელია, რატომ? რა ამღერებდათ? ხომ ხედავდნენ, რომ ეს სიმღერა სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ?!

ვინ იცის, იქნებ მოახლოებული შურისძიების გრძნობა თვით სიკვდილსაც აბუჩად იგდებდა...

...შეშინებული ჰიტლერელები კი ისევ თავიანთ დანაშაულობათა კვალის დაფარვაზე ზრუნავდნენ. დახაუსა და ფლოსენბურგის საკონცენტრაციო ბანაკების კომენდანტებმა ომის დამთავრებამდე ოცდაორი დღით ადრე მიიღეს ჰიმლერის განმეორებითი ბრძანება:

— არც ერთი ცოცხალი პატიმარი არ უნდა მოხვდეს მტრის ხელში!

მერე თავიანთ დანაშაულობათა „განსაკუთრებით სახიფათო“ მონაწილეებსაც მისდგნენ, პირველ რიგში კი ყველაზე შემაძრწუნებელს მათ შორის — ექიმ რაშერს, რომელიც ცოცხალ ადამიანებზე ახდენდა ცდებს. ამათ იმიტომ ხვრეტდნენ, რომ არ უნდოდათ თავიანთ შავბნელ საქმეთა მცოდნე მოწმეები დაეტოვებინათ. მაგრამ, მათდა საუბედუროდ, მაინც ბევრი დარჩა. ნიურნბერგის პროცესზე კალტენბრუნერი მგლურად გამოხედავდა ხოლმე მათ და კბილებს ახრჭიალებდა, სასადილოში კი მჯიღს იცემდა მკერდში და ამბობდა, რატომ თავის დროზე არ მოხვდნენ ეს მაწანწალები ჩემს ხელშიო...

„ის მაწანწალები“ კი მოწმეებად იყვნენ გამოძახებული ნიურნბერგში და სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე უამბობდნენ ტრიბუნალს თავიანთი „პროფესიული საქმეების“ შესახებ...

...დარბაზში შემოიყვანეს ბერგენ-ბელზენის საკონცენტრაციო ბანაკის უფროსი კრამერი. ომამდე იგი მოანგარიშედ მუშაობდა რომელიღაც დაწესებულებაში. ჯარში რომ გაიწვიეს, საკონცენტრაციო ბანაკში ადამიანთა მოწამვლის პროფე-

სია აითვისა და ისეთი გულმოდგინება გამოიჩინა, რომ ბანაკის უფროსის თანამდებობაზე დააწინაურეს...

— თუ გაზკამერაში თქვენ მიერ ჩაყრილი საწამლავით ყველა არ მოიწამლებოდა, მაშინ რას შვრებოდით? — ჰკითხა მას ბრალმდებელმა.

— კიდევ ერთ ულუფას დავუმატებდი, — მიუგო მშვიდად კრამერმა. — მე სულაც არ ვღელავდი, როცა ამას ვაკეთებდი, რადგან ბრძანება მქონდა მიღებული, რომ ტყვეები სწორედ ასე დამეხოცა. ბრძანება კი იმის ბრძანებაა, რომ უყოყმანოდ შესრულდეს. სხვათა შორის, ასე აღმზარდეს ამათ, — თქვა მან და ცერად გახედა განსასჯელთა სკამზე მსხდომ „აღმზრდელებს"...

სხვები უფრო „მოკრძალებულნი"" იყვნენ. ოსვენციმის კომენდანტმა ჰოსმა პირდაპირ აღიარა, ორ მილიონ ნახევარი ადამიანის დახოცვაში მიმიძღვის ბრალიო.

— პირადად მე პასუხისმგებელი ვარ 42 ათასი კაცის მოსპობისა, — განაცხადა საქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტმა, ესესის შტანდარტენფიურერმა კაინდლმა. თავისი თავი კი ვერ გაიმეტა და ტყვედ ჩაბარდა.

ბრალდებულო კაინდლ, მიიღეთ თუ არა ბრძანება, რომ ჩადენილი ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად აგეფეთქებინათ საკონცენტრაციო ბანაკი? — ეკითხება მას ბრალმდებელი.

— დიახ! — ამბობს კაინდლი, — 1945 წლის 1 თებერვალს მე საუბარი მქონდა გესტაპოს უფროს მიულერთან. მან ბრძანება გადმომცა, რომ ბანაკი არტილერიის ცეცხლითა და საჰაერო თავდასხმით მომესპო, ტუსაღები კი გაზით მომეწამლა... ბანაკში ამის შემდეგაც 40 თუ 45 ათასი კაცი იმყოფებოდა. 18 აპრილს მე მიბრძანეს ისინი ბარეებზე დამესხა და მდ. შპრეეს არხების ქსელით გამეგზავნა ბალტიის ან ჩრდილოეთის ზღვისაკენ, რომ იქ ღია ზღვაში დამეხრჩო..

მერე გეგმა შეიცვალა და ის 45 ათასი კაცი ლუბეკისაკენ გაუყენეს გზას, რომ იქ გემებში ჩაესხათ, ზღვაში გაეყვანათ და ჩაეძირათ...

— თუმცა ამდენი დავიდარაბა აღარ დაგვჭირვებია, რადგან გზაში დაიხოცა ყველა, — დასძინა კაინდლმა.

— მაშასადამე, 45 ათასი პატიმარი დაიღუპა გზაში დაუძ-ლურებისა და შიმშილისაგან. ასეა არა? — ეკითხება მას ბრალმდებელი.

დიახ, ასეა, — მიუგებს იგი...

ჩაძირული კიდოგანი...

ეს ისეთ ჩვეულებად იქცა, რომ სრულიადაც არ არღვევდა მათი „ნორმალური ცხოვრების“ რეჟიმს.

ყოველ დილით კალტენბრუნერის სალონ-კაბინეტში გეს-ტაპოს უმაღლესი ოფიცრები იკრიბებოდნენ და გაშლილ სუფ-რასთან, საუზმობის დროს, მართავდნენ ოპერატიულ თათბირს, თუ სად რამდენი დაეხოცათ და როგორ.

წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: საიდუმლო პოლიციის გე-ნერლები იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის კალტენბრუ-ნერის მეთაურობით მადიანად შეექცევიან ნაირ-ნაირ სასმელ-საჭმელს და თან წარბშეუხრელად მსჯელობენ ათეულ და ასიათასობით ადამიანის კრემატორიუმებში დაწვაზე, ძვალ-სამტვრევი მანქანების მუშაობაზე, გვამების მოსპობაზე და სხვ. მერე შეზარხოშებულნი აიშლებიან და ხელს აწერენ შემაძრ-წუნებელ ინსტრუქციებს, რომელთაც გულმოდგინედ, როგორც იტყვიან, „გერმანული პუნქტუალობით“ ასრულებენ მათი ხელქვეითები...

ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის წინაშე მოწმედ გა-მოძახებული ერთი მათგანი, მაუტჰაუზენის ბანაკის ყოფილი კომენდანტი ცირაისი ასეთ ამბავს მოჰყვა:

— ობერგრუპენფიურერ პოლის განკარგულებით ექვსი ათასი ქალი და ბავშვი გამომიგზავნეს. ისინი ათი დღის გან-მავლობაში მოჰყავდათ ისე, რომ საჭმელი ერთხელაც არ მიუციათ. მერე, საშინელი ყინვის მიუხედავად, ბავშვები და ქალები ნახშირის გადასაზიდ ღია პლატფორმაზე დაყარეს, რომ მე ბერგენ-ბელზენში გადამეყვანა. მაგრამ ეს საჭირო აღარ შეიქნა: ჩემამდე ვერც ერთმა ვერ მოაღწია, ყველა ისე დაიხოცა გზაში...

ასეთივე ყინვასა და ქარბუქში გადაჰყავდათ მათ 4500

ტუსაღი, რომელთაც ქვედა საცვლის გარდა არაფერი ეცვათ. ვამბობ გადაჰყავდათ-მეთქი, თორემ ეს რა „გადაყვანა“ იყო, როცა ყველანი გზაში იხოცებოდნენ. თვითონ ცირაისი ამბობს „მაგალითისათვის“, 4500 ევაკუირებულიდან დანიშნულების ადგილამდე მხოლოდ ას ოთხმოცმა მიაღწიეო. ვისაც ასე „გაუღიმებდა ბედი“, იმათაც სპობდნენ, საკონცენტრაციო ბანაკს კი წვავდნენ... მაგრამ არ იქნა და ვერ აუთავდნენ „ამდენ საქმეს“. კრემატორიუმები დღედაღამ მუშაობდნენ, რაც თურმე დადგენილი რეჟიმის დარღვევა იყო. სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით, ყოველი რვა საათის შემდეგ ღუმელები უნდა „შეესვენებინათ“, მერე, „საქმემ რომ მოითხოვა“, კრემატორიუმების მშენებელმა ინჟინერმა ტოპფმა ახალი ინსტრუქცია გაუგზავნა კომენდანტებს, შეგიძლიათ ღუმელები განუწყვეტლივ ამუშაოთო. მუშაობდნენ კიდეც, თუმცა არც ეს შეიქნა საკმარისი, მაშინ ჰიმლერის ესესელთა „გონების ტრესტმა“ ტუსაღთა „უკვალოდ მოსპობის“ საოცნებო ხერხი მოიგონა: „ბუნებრივი წარღვნა“ და „დაღუპული ნოეს კიდობანი“, ანუ გემებში ტუსაღთა ჩასხმა და ღია ზღვაში ჩაძირვა.

მათ უკვე აღარც გემები სჭირდებოდათ და აღარც ხალხი!..

...ნოიშტადტის ნავსადგურში 26 000 ტონა წყალწყვის უზარმაზარი გემი „კაპ-არკონე“ იდგა, ხოლო მისგან ორასორასი მეტრის დაშორებით — სატვირთო გემები „ტილბეკი“, „ათენი“ და „გერმანია“. ომის დამთავრებას სულ რაღაც ხუთიოდე დღე უკლდა. ნოიენჰამის საკონცენტრაციო ბანაკიდან ათი ათასი ფრანგი ტუსაღი მორეკეს და გემებზე აიყვანეს. ირგვლივ ესესელები და მეძებარი ძაღლები დაძრწოდნენ. სატვირთო და სამგზავრო გემების გარშემო კი წყალქვეშა ნავები იდგნენ რეიდზე. ტუსაღებს მაინც რაღაცის იმედი ჰქონდათ. ამბობდნენ, რომელიღაც გემის კაპიტანმა უარი თქვაო ბრძანების შესრულებაზე, აქა-იქ აჯანყებასაც ამზადებენო...

ამ დროს ჰაერში ინგლისის მზვერავი თვითმფრინავი გამოჩნდა და სიგნალი მისცა თეთრი ალამი აღემართათ. ესესელები აწრიალდნენ. საზენიტო არტილერიამ ცეცხლი გახსნა. თვითმფრინავი მიიმალა. თერთმეტ საათზე „კაპ-არკონეს“ ბაქანზე ყიჟინა ატყდა:

— „ათენზე“ თეთრი ალამი აღმართეს!..

— ყოჩაღ, ქედუხრელო კაპიტანო! — წერდა შემდეგ იქ გადარჩენილი პატიმართაგანი რუდი გოგიული, — შეხ ეოთადერთი ხარ, რომელმაც სიმამაცე გამოიჩინე, სძლიე ესესელებს და სცადე გადაგერჩინა ხალხი!..

„კაპ-არკონეს“, „ტილბეკისა“ და „გერმანიის“ ეკიპაჟებმა არ მიბაძეს „ათენის“ მაგალითს. ესესელებმა არ მისცეს მათ თეთრი დროშის აღმართვის საშუალება, თვითონ „მაშველი მოსასხამები“ ჩაიცვეს და ფარულად გაქრნენ გემებიდან.

ნახევარი საათის შემდეგ გერმანული ყუმბარმშენები მოფრინდნენ და... დაიწყო ჯოჯოხეთი: ყუმბარები სეტყვასავით წამოვიდა ციდან. წყალქვეშა ნავებმაც ტორპედოები გაუშვეს. „კაპ-არკონეს“ მაშინვე ცეცხლი წაეკიდა. სხვებმაც ჩაძირვა იწყეს. ატყდა საშინელი პანიკა. ზოგი წყალში ცვივოდა, ზოგი ვერც ამას ბედავდა...

რუდი გოგიული ყინულივით ცივ წყალში აღმოჩნდა. გარშემო ხალხის „ტევა არ იყო“. ბევრი მაშინვე ჩაიძირა. დანარჩენები ჯერ კიდევ ფართხალებდნენ ზღვის ზედაპირზე.

— საჭიროა გამძლეობა, — ძლიეს მუშაობს რუდის მოქანცული ტვინი და ცდილობს შთააგონოს ეს თავის თავს, — იფიქრე ოჯახზე... ნათესავებზე... კბილი კბილს დააჭირე... მთელ შენს ენერგიას თავი მოუყარე ერთი წერტილის გარშემო... იყვირე... აქნიე ხელები... შეიძლება დაგინახონ და გადაგარჩინონ...

რუდი ნელ-ნელა იძირება. ზღვის ზედაპირზე მისი აწეული ხელისგულიღა ჩანს... მერე ისიც წყალში იმალება. ზედაპირზე ამოტივტივებულთ გერმანელი მეზღვაურები ტყვიამფრქვევებით ხვრეტენ. რუდი თავს ძალას ატანს... ისევ ზღვის ზედაპირზე ამოტივტივდება. მის გვერდით ვიღაც ლოცულობს... და იძირება...

— მეგობარო, ნუთუ ღვთაების ხელი შეგეხო შენ? — მიმართავს რუდი თავის თავს... რა კარგია, რომ როცა მეზღვაურები ტყვიამფრქვევებს ისროდნენ, მაშინ წყალქვეშ იყავი!.. ვერ დაგინახეს! სხვები კი, ვინც წყალს ზევით იყო, დახვრიტეს...

— სამივე გემი ჩაიძირა, — განაგრძობს გოგიული, — ჯერ

„კაპ-არკონე“... მერე „ტილბეკი“ და „გერმანია“. ზღვა დაწყნარდა... ალბათ, კიდევ რამდენიმე დღე და მისი ტალღები დამწვართა და დამხრჩვალთა გვამებს გამოყრის ნაპირზე, მერე კი ეს ტრაგედია დავიწყებას მიეცემა...

— ოთხივე გემის „ტვირთი“ ათი ათას პატიმარს შეადგენდა. რვა ათასი დაიღუპა. ასეთი იყო ნოიენჰამის საკონცენტრაციო ბანაკის დასასრული, — ამთავრებს თხრობას რუდი გოგიული...

უცნობი ქალის წერილი...

ასეთივე საშინელი დასასრული ჰქონდა სხვა საკონცენტრაციო ბანაკებსა და გეტოებს. მათი ლიკვიდაციის დროს უამრავი ხალხი დაიღუპა. რა ადვილი სათქმელია „უამრავიო“, მაგრამ განა ადამიანურ წარმოდგენას შეუძლია ამ ცნების განზომილებათა დადგენა?! „უამრავი“ ხომ ერთეულებისაგან შედგება... ყოველ მათგანს კი თავისი საკუთარი ცხოვრება, საკუთარი ფიქრი, ოცნება, სიყვარული თუ სიხარული ჰქონდა... ყოველი მათგანი შესტრფოდა მზესა და ქვეყანას, უნდოდა არსებობა... უყვარდა ნათესავები... მეგობრები... ხალხი... ცხოვრება...

ჰიტლერელები ასე როდი მსჯელობდნენ. მათთვის ცალკეულ პიროვნებას ხომ არავითარი ღირებულება _არა ჰქონდა. ამბობდნენ: „ხალხი“, „მასა“, „ბრბო“, „არმია“, „ესესელები“, „მოიერიშეები“. პიროვნება კი გათქვეფილი იყო ამ მასაში, ადამიანი — ხალხში. იმაზე არავინ ფიქრობდა, რომ „ხალხიც“ ადამიანებისაგან შედგებოდა და, თუ რამე შემთხვევის გამო ამის აღნიშვნა დასჭირდებოდათ, სრულიად ახალი და უცნაური გამოთქმა ჰქონდათ: „ადამიანთა ხალხი!...“

ცნება „უამრავიც“ ამის აღმნიშვნელია. „უამრავი მსხვერპლიო“, ვამბობთ ჩვენ, მაგრამ ყოველთვის როდი წარმოგვიდგენია, თუ რამდენი პიროვნების ტრაგედია იმალება ამ ცნებაში. ვიცით ყოველივე არსებულს რომ თავისი ზომა და წონა აქვს, ამ „უამრავი“ მსხვერპლისა და მათი ნათესავების თუ ნაცნობ-მეგობრების მწუხარებას კი ვინ გაზომავს ან ვინ აწონის, თუ ისევ ქალღმერთ თემიდას ჯადოსნური სასწორისა და ათასი ფუთი ბრალდების ალეგორია არ მოვიშველიეთ...

როგორც მაშინ, მე მინდა ამ სასწორის თასზე ახლაც ერთი გრამი ქაღალდი დავდო — იმ უცნობი ახალგაზრდა ქალის წერილი, რომელიც ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა. სიკვდილის წინ მან ეს წერილი კაბის კალთას ჩააკერა... ის კაბა ვიღაც გერმანელ დიასახლისს ერგო, დაუთოების დროს ყურადღება მიაქცია, ნაკერი გაარღვია და...

მოხდა ისე, რომ ნიურნბერგის ტრიბუნალის დარბაზში გაისმა იმ ქალის სიტყვები:

— ჩემო ძვირფასნო და საყვარელნო!

ვიდრე ამ ქვეყნიდან წავიდოდე, მინდა რამდენიმე სტრიქონი დაგიტოვოთ. როცა ეს წერილი მოაღწევს თქვენამდე, არც მე და არც არავინ, ვინც ახლა აქ ვართ, უკვე ცოცხალი აღარ ვიქნებით. დასასრული ახლოვდება. ამას ყველა გრძნობს, ყველამ იცის. ყოველ ჩვენგანს, სრულიად უდანაშაულოსა და უმწეოს, მისჯილი აქვს სიკვდილი. კიდევ რამდენიმე წუთი და მოაღწევს რიგი იმ ერთი მუჭა ადამიანებისა, რომელნიც ჯერაც ცოცხლები ვართ. ჩვენ არავითარი საშუალება არა გვაქვს, რომ თავი დავაღწიოთ ამ მკაცრსა და შემაძრწუნებელ სინამდვილეს.

დახვრეტების დასაწყისშივე მოკლეს ხუთი ათასი კაცი; მათ შორის — ჩემი ქმარიც. ექვსი კვირის ძებნის შემდეგ მე ვიპოვე იგი დახოცილთა გვამებში აგურის ქარხნის გვერდით. იმ დღეს დამთავრდა ჩემი სიცოცხლეც. დაიღუპა ჩემი დავითი! თვით ქალწულებრივი ოცნებებითაც არ შემეძლო ოდესმე მესურვებინა ცხოვრების უკეთესი მეგობარი და თანამგზავრი.

ბედმა მარგუნა მხოლოდ ორი წელიწადი და ორი თვე ვყოფილიყავი მასთან. ახლა კი? ხანგრძლივი ძებნით დაქანცულს, „გამიხარდა“, მისი გვამი რომ ვიპოვე! განა შეიძლება სიტყვით გადმოიცეს ეს ტანჯვა?!

დავითის საქმე მორჩა. ო, რა ბედნიერია იგი ახლა! მისთვის ყველაფერი დამთავრებულია. ჩვენ კი მოგველის ტანჯვა, წამება და ტყვია, რომელიც სიკვდილს გვაღირსებს...

31 აგვისტოს ახალი ოპერაცია დაიწყო. მე მაშინ დავკარგე საყვარელი, კეთილი, თავდადებული დედა. ჩვენს გეტოში ვისაც რამე სამუშაო ჰქონდა, მათი ოჯახის წევრებს პოლიცია სპეციალურ ბეჭედს ურტყამდა დოკუმენტში. ეს მათ კიდევ

ერთხანს ცხოვრების უფლებას აძლევდა. სხვებს კი დაუყოვ-ნებლივ სპობდნენ.

იმ დღეს სამი ათასი კაცი უნდა დაეხვრიტათ. გეტოს მცველები საცხოვრებელ ფარდულებსა და თავშესაფრებში ეძებ-დნენ სასიკვდილოდ განწირულ მსხვერპლთ. მე და ჩემი ბიჭუ-ნა სამუშაოდ წავედით. დედა და მამა შინ დარჩნენ. მათ დო-კუმენტს დასმული ჰქონდა ეს სანუკვარი ბეჭედი.

ვინც სამუშაოდ მივდიოდით, იმ დღეს რატომღაც გეტოს კარებში არ გაგვატარეს და პირდაპირ მოედანზე გაგვიყვანეს, სადაც უამრავი ტუსაღი იყო თავმოყრილი. ბევრი უკვე დაეხვ-რიტათ. ჩვენ გავიქეცით და მოვახერხეთ დამალვა. მერე სამუ-შაომდეც მივაღწიეთ. იქ კი, მოედანზე, ათასები უცდიდნენ სიკვდილს.

ო, როგორ შემიძლია აგიწეროთ ყოველივე ეს?!..

ნაშუადღევს მითხრეს, რომ ჩემი დედ-მამაც უნახავთ მოე-დანზე. მე არავითარი დახმარების გაწევა არ შემეძლო და იძუ-ლებული ვიყავი მუშაობა განმეგრძო. მეგონა ჭკუიდან შევიშ-ლებოდი, მაგრამ ასე არ მოხდა. მერე გავიგე, რომ დაეხვრიტათ მხოლოდ ქალები, რომელნიც არსად არ მუშაობდნენ. არ ვი-ცოდი რა მექნა: შევწუხებულიყავი და მეტირა, დედა რომ დავკარგე, თუ გამხარებოდა, მამა მაინც რომ დარჩა ცო-ცხალი.

განა შეიძლება ასეთი რამის წარმოდგენა? გაგება? ასე მეგონა თავი გასკდებოდა ან გული ნაფლეთებად იქცეოდა.

დავრჩით უდედოდ. აღარ იყო ჩვენი ერთგული დედიკოს კეთილი სული და გული. იყო მხოლოდ ყოველდღიური საზ-რუნავი და მძიმე ბრძოლა უაზრობად ქცეული არსებობისა-თვის...

5 ნოემბერი კვირა დღე იყო. თერთმეტ საათზე გეტოს ალყა შემოარტყეს და დაიწყო ალიაქოთი. მე მაშინაც განსა-კუთრებული ბედნიერება მხვდა წილად — ალყამდე ათი წუ-თით ადრე გამოვედი გეტოდან. ასეა. დროთა განმავლობაში ეჩვევი სიტუაციას, ჩლუნგდები. ძალიან ახლობელიც რომ დაგეღუპოს, სულერთია, ეს შენზე აღარ მოქმედებს. უკვე აღარც იმის ძალა გაქვს, რომ იტირო, შენ უკვე ადამიანი აღა-

რა ხარ, გული გაქვავებულია, გრძნობები მოდუნებული. არავითარი ცნობა არ გაღელვებს და სრულიად მშვიდად მიდიხარ სიკვდილისაკენ. იმ მოედანზეც ხომ ასე გულგრილი და დამშვიდებულნი იყვნენ სასიკვდილოდ განწირული ადამიანები!..

რატომ არ შეგვიძლია ვიყვიროთ, წინააღმდეგობა გავწიოთ! როგორ შეიძლება უყურო ამდენი უდანაშაულო ადამიანის სისხლისღვრას და არაფერი სთქვა?! არაფერი არ გააკეთო, ისე ელოდო სიკვდილს?! ასე უმწეოდ, ასე უმოწყალოდ უნდა მოვკვდეთ?! არა! არა! ჩვენ არ გვინდა ეს!.. მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც განვიცადეთ, არსებობის შენარჩუნების ინსტინქტი უფრო გაძლიერდა. სიკვდილის მოახლოებასთან ერთად გაიზარდა სიცოცხლის წყურვილი.

თუ ისე მოხდა, რომ ომის შემდეგ ამ ადგილებში დაბრუნდით, ნაცნობებისაგან შეიტყობთ სად მიჰქონდათ გვამები ამ ბანაკიდან... იქნებ ჩვენი ძვლები მაინც მოინახულოს ვინმემ.

ადვილი როდია სამუდამო განშორება!..

და მაინც მშვიდობით!

მშვიდობით!..

...თემიდას სასწორის ერთ თასზე დევს ეს ფარატინა ქალალდი. მაგრამ ვინ იტყვის რამდენს იწონის ის?! ან იმ თორმეტ მილიონ სასიკვდილო განწირულთა გულისცემა, განცდები და გრძნობები, ვინც ამ უცნობი ქალივით დაიღუპა გეტოებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში?!.. მაგრამ ღმერთი სამართლიანიაო, ამბობენ. აღარც გერმანელებს ედგათ უკეთესი დღე. მოკავშირეთა ავიაცია „ღვთის რისხვად" დაატყდა ჰიტლერის „მესამე იმპერიას". ტალღებად წამოვიდნენ ქვეითი ჯარები და მოტომექანიზებული ნაწილები. ცეცხლისა და რკინის ნიაღვარი მოაწყდა თვით გერმანიას. ისევ იმ ას ერგასის დღის „წყლით რღუნამ" წალეკა ყველაფერი. ეს იყო ნამდვილი სოდომი და გომორა... კაპერნაუმი... ცეცხლის წვიმა და ძრვაჲ მიწისაჲ... თავიანთი სახლ-კარიდან აყრილი და საჰაერო თავდასხმებით თავზარდაცემული ხალხი გოდებდა. მშიერ-მწყურვალ ლტოლვილთა დაუსრულებელი ნაკადები მიედინებოდნენ, ვინ იცის, საიდან საით, უფრო — აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ...

გერმანელთა უკუქცეულ ჯარებს ფეხდაფეხ მისდევდა საბჭოთა არმიის მეცხრე და უკანასკნელი ტალღა. მზადდებოდა გადამწყვეტი ბრძოლა ბერლინისათვის. გერმანელები ამას იანვრის ბოლოსათვის ელოდნენ. ასეც იყო განზრახული, მაგრამ ჩვენი მოკავშირეების გასაჭირმა არდენში და ჩერჩილის დაჟინებულმა თხოვნამ შეტევის დაწყება დააჩქარა. მიუხედავად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, ბელორუსიის მეორე და მესამე ფრონტები მარშალ კ. როკოსოვსკისა და გენერალ ნ. ჩერნიახოვსკის მეთაურობით უკვე 14 და 18 იანვარს გადავიდნენ შეტევაზე.

ავიაციისა და არტილერიის მოქმედება არ იყო საკმაოდ ეფექტური, მაგრამ ცალკეულმა შენაერთებმა მაინც მოახერხეს გერმანელთა დაცვის ხაზის გარღვევა. 16 იანვარს ცამ გამოანათა და ჩვენი საჰაერო ფლოტიც მთელი ძალით ამოქმედდა. ამის შემდეგ შეტევა არ შეწყვეტილა. მოწინააღმდეგე უკან იზევდა, ჩვენები კი ფეხდაფეხ მისდევდნენ მათ კენიგსბერგის მიმართულებით. მერე კენიგსბერგსაც ალყა შემოარტყეს და გერმანელ არმიათა ჯგუფის „ცენტრის“ ნარჩენები დასავლეთისაკენ გაირეკეს წინ. პარალელურად დიდი შეტევა მიმდინარეობდა ბერლინის მიმართულებით.

— Вперед на Берлин!.. — ეს ლოზუნგი გაისმოდა მაშინ კიდით კიდემდე. მართალია, ბერლინამდე ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ კურსი მაინც იქითკენ ჰქონდათ აღებული. ბელორუსის პირველი და უკრაინის პირველი ფრონტები საბჭოთა კავშირის მარშლების გ. ჟუკოვისა და ი. კონევის მეთაურობით 12 და 14 იანვარს დაიძრნენ ოდერისაკენ, სადაც გერმანელთა უკანასკნელი დაცვითი ხაზი გადიოდა. ამის იქით კი, როგორც ამბობდნენ, გზა ხსნილი იყო ბერლინისაკენ...

...შეტევის პირველივე დღეებში საბჭოთა არმიის შენაერთებმა გაარღვიეს გერმანელთა დაცვის ტაქტიკური ზონა და 25 კილომეტრით წაიწიეს წინ დასავლეთისაკენ. ამის შემდეგ შეტევა არც აქ შეჩერებულა. გერმანელებმა ბრძოლაში ოპერატიული რეზერვებიც ჩააბეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშვე-

ლა. გრანდიოზული ბრძოლები გაიმართა ვისლაზე. აქ მხედართ-მთავრის პირველი ნათლობა მიიღო ჰიმლერმა. ფარა მობრუნ-და და კოჭლი ცხვარი წინ მოექცაო, თორემ ჰიმლერისაგან რა მხედართმთავარი გამოვიდოდა! ვისლაზე მას ფეხი მოუსხლტა, ყინული ჩაუტყდა და კინაღამ სული მიაბარა ზეცას, მაგრამ ადიუტანტებმა დროზე ამოათრიეს გაყინულ წყლიდან...

ჰიმლერის არმიათა ჯგუფის დასახმარებლად ჰიტლერმა ოცდაათამდე დივიზია გადმოისროლა, მაგრამ რაიხსფიურერმა თავი ვერ გაართვა სარდლობას და გადააყენეს. საბჭოთა არმი-ის შენაერთები კი უკვე ოდერისაკენ მიიწევდნენ. ჯავშანსატან-კო ნაწილები ფეხდაფეხ მისდევდნენ გერმანელებს და 25 იანვარს არამცთუ მიაღწიეს ოდერს, არამედ ალაგ-ალაგ მის დასავლეთ სანაპიროზედაც გავიდნენ. ამ ბრძოლებში მათ ნა-ხევარ მილიონზე მეტი კაცი დაკარგეს. ჩვენებმა ხელთ იგდეს მტრის ათასი თვითმფრინავი, ათას ხუთასი ტანკი, თორმეტი ათასამდე ზარბაზანი და ნაღმმტყორცნი...

... დასავლეთის ფრონტზე არდენის გარღვევის ლიკვიდა-ციის შემდეგ ჩკენი მოკავშირეებიც ახალ შეტევაზე გადავიდ-ნენ. პატონი რაინზე გამოსასვლელად ემზადებოდა. ბრძოლები იტალიაში, ნორვეგიაში, იუგოსლავიასა და ავსტრიაშიც მიმდი-ნარეობდა. გერმანელების თავდაცვის ხაზი ყველგან გარღვე-ული იყო. ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობაც ძალზე გაუა-რესდა, მკვეთრად შემცირდა სამხედრო იარაღების გამოშვება. რურისა და სილეზიის აუზის ბლოკადის შემდეგ კი მდგომარე-ობა სულ კატასტროფული გახდა. არმიას აკლდა რეზერვები და შეიარაღება. ფრონტი დაქუცმაცებული იყო. მოკავშირე-ებს კი კოლოსალური ძალები ჰყავდათ გერმანელების წინააღ-მდეგ. მათი რეზერვებიც გამოულეველი იყო. სამხედრო პოტენ-ციალზე ხომ სულ ზედმეტია ლაპარაკი. აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ისეთი სამხედრო ძალა მოიწევდა, რომ ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო...

საბჭოთა სარდლობამ მიიღო დავალება კონცენტრირე-ბული დარტყმით გაენადგურებინა გერმანული არმიის ე. წ. „ბერლინის ჯგუფი" და აეღო მესამე იმპერიის დედაქალაქი.

ამისათვის იქნა გამოყოფილი კოლოსალური საბჭედრო ძალა 41 600 ზარბაზანი და ნაღმსატყორცნი, 6 300 ტანკი, 8 400 თვითმფრინავი...

აპრილის მეორე ნახევრიდან დაიწყო გადამწყვეტი შეტევა: ამოცანა იმთავითვე გარკვეული იყო: ბერლინისათვის ალყის შემორტყმა და ნაციზმის ბუნაგის განადგურება...

...ბერლინის მისადგომებს იცავდა არმიათა ჯგუფი „ვისლა", რომელსაც გადაყენებული ჰიმლერის ნაცვლად გენერალ-პოლკოვნიკი გოტჰარდ ჰაინრიცი სარდლობდა. იგი გულმოდგინედ სწავლობდა დაზვერვის მასალებს, ანალიზს უკეთებდა სამხედრო ტყვეების „ჩვენებებს" და ისმენდა შტაბის ყოველდღიურ მოხსენებებს. მისი საკომანდო პუნქტი ბერლინის ჩრდილოეთით იყო გამართული, შონეიალდის ტყეში. დაზვერვის მონაცემებით, საბჭოთა არმიის შეტევა თითქოს ხუთი-ათი დღის შემდეგ უნდა დაწყებულიყო, ჰაინრიცს კი გული რაღაც ცუდს უგრძნობდა. გვიან ღამით იგი აღელვებული ამოვიდა თავშესაფრიდან და ერთხანს ბოლთას სცემდა ტყეში, მერე შეჩერდა, ჰაერი დაყნოსა და შეშფოთებულმა უთხრა შტაბის უფროსს:

— გული მიგრძნობს, რომ შეტევა ხვალ დილით დაიწყება...

უსაფრთხობის რაღაც ზომებიც მიიღო, რამდენიმე დივიზიას ფარულად უკან დაახევინა და უცდიდა...

... იმავე დილით მარშალი გ. ჟუკოვიც თავის საკომანდო პუნქტთან იდგა კუსტრინის ახლომდებარე მაღლობზე და მოუთმენლად გასცქეროდა ოდნავ განათებულ ჰორიზონტს. მერე მაჯის საათს დახედა და იქვე მდგომ გენერალ ჩუიკოვს მიმართა:

— ვასილ ივანეს ძევ, ნაწილები ხომ უკვე გაყვანილი გყავთ პოზიციებზე?

— დიახ!.. — დაუდასტურა ჩუიკოვმა.

ჟუკოვმა ისევ საათს დახედა და აღელვებულად წამოიძახა:

— ახლა, ამხანაგებო, ახლა!..

იმავე წუთს ჯერ სამი მაშხალა აიჭრა ზევით და ალისფერ ქოლგად გაიშალა ცის ბნელ ფონზე; მერე თითქოს ათასი მზე ერთად აენთო. 140 საზენიტო პროჟექტორისა და უამრავი ტანკის მძლავრი ფარების სინათლის ნიაღვარი მიაწყდა მოწინა-

აღმდეგის პოზიციებს. ოცი ათასმა ზარბაზანმა ერთბაშად დაიქუხა. რეაქტიულ ნაღმმტყორცნთა ცეცხლოვანმა ჭურვებმა ზეცა გააპო და დედამიწამ თითქოს ზანზარი დაიწყო. ისეთი ხმაური ატყდა, ბევრს ყურიდან სისხლი წასკდა. ჰაერიც ისე გახურდა, რომ სუნთქვა გაჭირდა.

ნახევარ საათზე მეტი გრძელდებოდა საარტილერიო მომზადება. მერე ტანკები დაიძრნენ... ტანკებს მოტომექანიზებული და ფეხოსანი ჯარის ნაწილებიც მიჰყვნენ. ცა თვითმფრინავებით დაიფარა... ჩვენი მებრძოლები მიადგნენ ოდერს და პირდაპირ შეუტიეს მტრის პოზიციებს...

პარალელურად მეზობელი ფრონტებიც დაიძრნენ ბერლინისაკენ... მტერი უკვე ვეღარ აკავებდა საბჭოთა არმიის ამ გაუგონარ შეტევას...

...„არწივის ბუდეში“ ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ყურმილი იოდლმა აიღო. გუდერიანი რეკავდა ცოსენიდან:

— აღმოსავლეთის ფრონტის მთელ ხაზზე, ბალტიის ზღვიდან კარპატებამდე, დაიწყო ყველაზე დიდი შეტევა, რაც კი ოდესმე მინახავს. მთავარი იერიში მოტანილია მდინარე ვისლისა და ოდერის მიმართულებით. ყველაფერი აღმოსავლეთის ფრონტზე უნდა იქნეს გადმოსროლილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ოდერზე გამოვლენ. გადაეცით ფიურერს, რომ მე ვერ შევძლებ იმპერიაში მათი შემოჭრის შეჩერებას, თუ არ მივიღე ყველაფერი, რისი მიღებაც დასავლეთიდან შეიძლება. ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა!..

აღელვებული იოდლი მაშინვე ჰიტლერთან გაიქცა და ყოველივე მოახსენა. ჰიტლერმა მშვიდად შეხედა მას და თქვა:

— ამაღამვე დავბრუნდებით ბერლინში. ოპერაციებს ჩვენ თვითონ ვუხელმძღვანელებთ. მე ყოველთვის ვიცოდი, რომ გენერალურ შტაბს ამის უნარი არ გააჩნია.

იოდლს ეგონა ჰიტლერი ცოსენში აპირებდა დაბანაკებას, მაგრამ, რაიხსკანცელარიაში დავბრუნდებიო, თქვა მან. არც ბერლინში იყო „მშვიდი მუშაობის“ პირობები. დაღამდებოდა თუ არა, ათასობით თვითმფრინავი ბომბავდა ნაციზმის ბუნაგს. აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან „კატასტროფული სისწრაფით“ მოიწევდნენ მოკავშირეთა ჯარები...

30 იანვარს აფორიაქებულმა ბორმანმა პირველად გააღვიძა ჰიტლერი უდროოდ. მან ბრახუნი ატეხა ფიურერის საწოლი ოთახის კარზე.

— რა ამბავია! — იყვირა ჰიტლერმა.

ოთახში ქშენაავარდნილი ბორმანი შევარდა და სულმოუთქმელად დაიძახა:

— მტერმა ოდერი გადმოლახა, ჩემო ფიურერ! მათი ტანკები ბერლინისაკენ მოიწევენ...

პანკითხვის დღე...

ბრძოლები უკვე მთლიანად გერმანიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ვისლისა და ოდერის აუზში კატასტროფული მარცხი საბედისწერო აღმოჩნდა ჰიტლერელებისათვის. ყველა ფრონტი ერთად გაირღვა. ვოლგიდან და ლამანშიდან გამორეკილი გერმანელი ჯარისკაცები ისევ თავიანთ მიწა-წყალზე აღმოჩნდნენ. ომის ცეცხლი გერმანიის სოფლებსა და ქალაქებს მოედო.

— იმპერია კარტში იქნა წაგებული (Das Reich wird verspielt), — ამბობდნენ ოპოზიციურად განწყობილი პირები, რომელთაც ახსოვდათ ჰიტლერის იგავები ბანქოს თამაშის შესახებ.

ამან ბრძოლის ახალი სიტუაცია შექმნა. გაძლიერდა პროპაგანდა ჯარის ნაწილებში. ჰიტლერს ძველებურად ეშინოდა, დაპყრობილ ხალხებს ზედმეტი არაფერი შევპირდეთო. თუმცა სადღა იყო ეს „დაპყრობილი ხალხები!“ გერმანელები უკვე თავიანთ მიწა-წყალზე იბრძოდნენ, ჰიტლერი კი მაინც ჯიუტად იმეორებდა:

— პროპაგანდა ერთია, საქმე — სხვა. ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. რასაც პროპაგანდისათვის ვამბობთ და რაც უნდა ვაკეთოთ!

აქ ვიღაცამ „გენერალ ვლასოვის რუსული არმია“ ახსენა და მისი შეიარაღების საკითხი დააყენა.

— მე არავითარი რუსული არმია არ მჭირდება! — იყვირა ჰიტლერმა. — რუსებმა უნდა იმუშაონ. იარაღი კი მათ არ უნდა მივცეთ. არც არაფერს შევპირდეთ. თუ უნდათ, ფრონტის ხაზს იქით აწარმოონ პროპაგანდა, აქეთ რა ხელი აქვთ!

— ჩემო ფიურერ, მე უკვე გამოვაძევე ვლასოვი ფრონტის შტაბიდან,—დაამშვიდა კაიტელმა ჰიტლერი. მერე ისიც თქვეს, რუსი ემიგრანტებიც გაჩნდნენ არმიათა ჯგუფ „ცენტრის“ შტაბთანო. ამან ჰიტლერი სულ გააცოფა. მან ფიცხელი განკარგულება გასცა ემიგრანტებთან ყოველგვარი ურთიერთობის აკრძალვის შესახებ და, ეს განკარგულება რომ უფრო „შთამბეჭდავი“ ყოფილიყო, დაუმატა:

— ტილები თუ ერთხელ შემოგვიძვრნენ ქურქში, მერე იქიდან ვეღარ გავრეკავთ!..

ჰიტლერი უკვე აღარც საკუთარ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ინდობდა. მისი დავალებით ბორმანმა გაულაიტერებს დაუგზავნა ფელდმარშალ რუნდშტედტის დირექტივა ბრძოლის „ფანატიზაციის“ შესახებ. დირექტივაში ნათქვამი იყო:

— საჭიროა უკიდურესი შეუპოვრობა, ყოველი პოზიციის უკანასკნელ ჯარისკაცამდე დაცვა, ყველა კვარტალის, ქუჩისა და სახლის ციხე-სიმაგრედ ქცევა. ან მტერი უნდა დაიცალოს სისხლისაგან, ან მთელი გარნიზონი დაიღუპოს ხელჩართულ ბრძოლაში. დამარცხების შემთხვევაში დანგრეულ უნდა იქნეს ყველა ნაგებობა, განადგურდეს ხელოვნების ყოველგვარი ძეგლი თუ სხვა რამ კულტურული ღირებულებანი...

დირექტივის დასასრულს ფელდმარშალი წერდა:

— მე მოველი, რომ ყოველი თქვენგანი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავს გერმანიის წმიდათაწმიდა მიწას!..

ფელდმარშალი მოდელი უფრო კატეგორიული იყო:

— არც ერთი ჩვენგანი, — წერდა იგი, — ვიდრე სული უდგას პირში, არ დათმობს გერმანული მიწის ერთ გოჯსაც კი, ვინც უბრძოლველად დაიხევს უკან, მოღალატედ ჩაითვლება!..

ან სად უნდა დაეხიათ, როცა არიერგარდში ჰიმლერის ესესელები იდგნენ, რომლებიც ადგილზევე ხვრეტდნენ „სულმოკლეებსა და ლაჩრებს“. ტყვედ დანებება ხომ კიდევ უარესი იყო! ჰიმლერმა ასეთი ბრძანება გასცა:

— ვინც მტერს დანებდება, მისი შშობლები, ცოლი, შვილები და ნათესავები დაუყოვნებლივ იქნება დახვრეტილი.

ეს ბრძანება დაურიგდა ყველა ფრონტელ ჯარისკაცს. რაც უფრო იკუმშებოდა „მესამე იმპერიის“ ტერიტორია, მით

უფრო ძლიერდებოდა ტერორი. სიკვდილით სჯიდნენ ყველას, „ვინც დამარცხებაზე ფიქრს გაივლებდა გულში“. მარტო ბერლინში შვიდი ათასზე მეტი კაცი დახვრიტეს ან ჩამოახრჩვეს, რადგან „მათ უკვე აღარ სჯეროდათ გამარჯვება“. ტელეგრაფისა და ელექტრობოძებზე გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამები ეკიდა, თანაც ასეთი „გამაფრთხილებელი“ წარწერებით:

— მე აქ იმიტომ ვკიდივარ, რომ მხდალი ვარ!

— მე ვუღალატე ფიურერს!..

ჰიტლერს არც ამგვარ ტრაგიკულ სიტუაციაში შეეძლო ცინიზმისაგან შეეკავებინა თავი.

— ელნათურების ეკონომიის გასაწევად შეიძლება ბოძები სხვა მიზნითაც გამოიყენოთ! — უთხრა მან ჰიმლერს...

იყენებდნენ კიდეც ადამიანთა ჩამოსახრჩობად...

... ადრე ჰიტლერი ტრაბახობდა, რომ იგი შექმნის „ევროპულ სამოთხეს“, ახლა კი მხოლოდ „გერმანული ჯოჯოხეთი“ შერჩა ხელში. ოთხივე მხრიდან მოისმოდა ზარბაზნების გრიალი. ათასობით თვითმფრინავი დღედაღამ ბომბავდა გერმანიის ქალაქებს. უკან დახეული ჯარის ნაწილები ანგრევდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს, რასაც ტოვებდნენ... ჰიტლერის „გადაბუგული მიწის“ კანონი გერმანიის ტერიტორიაზედაც გავრცელდა. ცეცხლის ალსა და კვამლში შთაინთქა მათი იმედები. დაიმსხვრა ოცნება „დიდი გერმანიის“ შესახებ. ქარს გაჰყვა მსოფლიო ბატონობის ჰიპერტროფიული გეგმები.

ლათინური ანდაზაა, ბოლო აგვირგვინებს საქმესო. ჰიტლერელების მიერ უკუღმართად დაწყებული საქმე უკუღმართადვე დაგვირგვინდა. იგრძნეს კიდეც, რომ მათი განკითხვის დღე მოახლოვდა და... თუ ისევ ბიბლიურ ალეგორიებს მივმართავთ: „აღმოხდა კუამლი ჯურღმულისა მისგან, ვითარცა კუამლი ცეცხლისა მოტყინარისაჲ, და დაბნელდა მზე და ჰაერი“...

შვიდი ცოდვა და შვიდი მადლი...

განკითხვის დღის მოახლოებამ მსოფლიოს დაპყრობის ამგვარი „ჰიპენტროფიული იდეა“ მართლაც აპოკალიპსის მისტერიით შეცვალა. ეს ალეგორია, როგორც ჩანს, მაშინ და-

იწყო, როცა ფაზატიკოსმა ნაცისტებმა პერგამენტზე გადაწერეს ჰიტლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა“, საგანგებოდ გამოდნობილი უჟანგავი ფოლადის ყდაში ჩასვეს და, „ვითარ ამცნო განგებამ“, „ბეჭდითა შუიდითა“ დაბეჭდეს, მერე სპეციალურ ურნაში ჩადეს და „გერმანიის წმიდათაწმიდა მიწას“ მიაბარეს, რათა ათასი წლის შემდეგ ამოეღოთ და განევრცოთ როგორც „ნაცისტური მსოფლიოს“ ახალი ბიბლია...

დრომ ვადაზე ადრე „აღაღო“ შვიდივე ბეჭედი იმ „ანტიქრისტე“ ჰიტლერის „ღვთაებრივ წიგნს“ და, როგორც „გამოცხადებაჲ წმიდისა მახარებლისა და ღმრთისმეტყუელისა იოანესი“ გვამცნობს, ქვეყნის რისხვად მოვლენილმა ძალამ:

„... აღაღო ერთი შუიდთა მათ ბეჭედთაგანი“ (ალეგორია: ომის დასაწყისი).

... და აჰა ცხენი სპეტაკი, და მჯდომარესა მას ზედა აქუნდა მშუილდი, და მიეცა მას გუირგუინი, და განვიდა ძლევითა, და სძლოსცა (ალეგორია: დასავლეთ ევროპის შეუიარაღებულ სახელმწიფოთა დაპყრობა ჰიტლერის მიერ).

...და რა ჟამს აღაღო მეორე ბეჭედი... გამოვიდა სხუა ცხენი წითელი (ალეგორია: ომი აღმოსავლეთის ფრონტზე), და მჯდომარესა მას ზედა მიეცა აღებად მშუიდობაჲ ქუეყანით, რაჲთა ერთმანერთი ეოსწყუიდონ, და მიეცა მას მახუილი დიდი.

... და რა ჟამს აღაღო მესამე ბეჭედი... აჰა ცხენი შავი, და მჯდომარესა მას ზედა აქუნდა ხელთა მისთა უღელი (ალეგორია: დაპყრობილ ხალხთა დამონების პოლიტიკა).

... და რა ჟამს აღაღო მეოთხე ბეჭედი... აჰა ცხენი მწუანე, და მჯდომარესა მას ზედა სახელი მისი სიკუდილი; და ჯოჯოხეთი შეუდგა მას, და მიეცა მას ხელმწიფებაჲ მეოთხედსა ზედა ქუეყანისასა მოსრვად მათდა მახუილითა და სიყმილითა და სიკუდილითა და მხეცთა მიერ ქუეყანისათა (ალეგორია: მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტა).

... და რა ჟამს აღაღო მეხუთე ბეჭედი, იხილა საკურთხეველსა ქუეშე სულნი იგი მკუდართაჲნი სიტყუისათუის ღრმთისა და წამებისათუის... (ალეგორია: საკონცენტრაციო ბანაკებში წამებულნი და დახოცილნი).

...და რა ჟამს აღაღო მეექუსე ბეჭედი, და ძრვაჲ იქმნა დიდი, და მზე შავ იქმნა, ვითარცა ძაძაჲ ბალნისაჲ, და მთოვარე ყოვლითურთ იქმნა, ვითარცა სისხლი“... (ალეგორია: სისხლისმღვრელი ბრძოლები ომის უკანასკნელ ეტაპზე).

იმ შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნის ალეგორია არც ამით მთავრდება. ვიდრე ჰიტლერელები ევროპის მცირე და შეუიარაღებელ სახელმწიფოებს ანადგურებდნენ, ხოლო საფრანგეთი ე. წ. „უცნაურ ომს“ ეწეოდა, ეს ალეგორიაც პირდაპირ გამოხატავდა საქმის ვითარებას. ჰიტლერსა და მის დამქაშებს ჰქონდათ ძალა და „ხელმწიფებაჲ... რაჲთა გარდააქციონ სისხლად და რაჲთა შემუსრონ ქუეყანაჲ, რაოდენ-გზისცა ენებოს ყოვლითავე წყლულებითა...“

მაგრამ ქვეყანა ხომ მარტო ჰიტლერელებისა და მათი სუსტი მოწინააღმდეგეებისაგან არ შედგებოდა და... იმავე ბიბლიური ალეგორიის მიხედვით, იმ შვიდ ეშმაკსა და შვიდ ცოდვას შვიდი მადლი და შვიდი ანგელოზი დაუპირისპირდა. ჰიტლერელთა ველურმა მოძალებამ ისე შეაძრწუნა კაცობრიობა, რომ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები გაერთიანდნენ მათ წინააღმდეგ.

„... და გაისმა ხმაჲ დიდი ერისა მრავლის ცათა შინა... ვითარცა ხმაჲ ქუხილისაჲ... რომელნი იტყოდეს: „არა აქუნდეს განსუენება დღე და ღამე, რომელთაცა თაყუანის-სცენ მხეცსა მას და ხატსა მისსა, ანუ მიიღონ ბეჭედი სახელისა მისისაჲ (ალეგორია: დიდი ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა).

შემდგომ ამისა, ისევ იმ იოანეს გამოცხადების ალეგორიის თანახმად, შვიდი ეშმაკისა და შვიდი ცოდვის დასათრგუნავად როგორც სიმბოლო შვიდი მადლისა და შვიდი სიკეთისა „გაჩოვიდეს შუიდნი იგი ანგელოზნი“, რათა დასთხიონ „შუიდნი ლანკანნი გულისწყრომისანი“.

ეს იყო სამაგიეროს მიმზღველი ბრძოლა. ამ ბრძოლამ გააერთიანა მშვიდობისმოყვარე ადამიანები, „სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველნი“...

მერე ისევ გრძელდება მითური ალეგორია:

„... და რა ჟამს ხმაჲ იყო, თქუნეს შუიდთა ქუხილთა ხმანი მათნი:

— მიაგეთ მას, ვითარცა იგი მან მოგაგო, და შეკეცეთ ორკეცი იგი, ვითარცა მან ქმნა და საქმეთა მისთაებრ ბარძიმსა შინა მისსა, რომელ გინდია, უნდიეთ მას ორკეცი“... (ალეგორია: მოწოდებანი ჰიტლერელთა წინააღმდეგ).

დადგა სამაგიეროს მიზღვის ჟამიც, ანუ ჟამი მეშვიდე ბეჭდის ახსნისა, რომ შვიდ ცოდვას წინ ისევ იმ „ორპირად აღლესული მახუილით“ შეგებებოდა შვიდი მადლი, ანუ შვიდ ეშმაკს შვიდი ანგელოზი შებრძოლებოდა (ალეგორია: მოკავშირეთა ძალების ერთიანი შეტევა გერმანიაზე).

„... და რა ჟამს აღაღო მეშუიდე ბეჭედი, იქმნა დუმილი ცათა შინა, ვითარ ნახევარსა ჟამისასა.

... და ვიხილენ შუიდნი იგი ანგელოზნი... და მიეცნეს მათ შუიდნი საყუირნი.

... აღიღო ანგელოზმან მან სასაკუმევლე იგი და აღავსო ცეცხლისა მისგან საკურთხევლისა და დაასხა იგი ქუეყანასა ზედა, და იქმნეს ქუხილნი და ხმანი და ელვანი და ძრვაჲ დიდი...“ (ალეგორია: მოკავშირეთა საჰაერო თავდასხმები).

მერე იმ „შუიდთა ანგელოზთა“ რიგრიგობით დასცეს ბუკსა და ნაღარას:

„... და იქმნა სიტყუაჲ და ცეცხლ, შეერთებული სისხლითა და მოვიდა ქუეყანად, და მესამედი ქუეყანისაჲ დაიწუა, და მესამედი ხეთა დაიწუა, და ყოველივე თივაჲ ნედლი დაიწუა...

... და ვითარცა მთაჲ დიდი, მოტყინარე ცეცხლითა, შთავარდა ზღუად, და მესამედი ზღუისაჲ იქმნა სისხლ... და იწყლა მესამედი მზისაჲ და მესამედი მთოვარისაჲ, და მესამედი ვარსკულავთაჲ... და აღხდა კუამლი ჯურღმულისა მისგან, ვითარცა კუამლი ცეცხლისა მოტყინარისაჲ, რაჲთა... მოისრნეს მესამედი კაცთა...“ (ალეგორია: უკანასკნელი შეტევა ნაცისტურ გერმანიაზე).

უკანასკნელი ხავსი...

ის მითური „მოტყინარე ცეცხლი“ ნთქავდა გერმანიის ქალაქებსა და სოფლებს. მოკავშირეები დღედაღამ ბომბავდნენ

ბერლინს. რაც დაუნგრეველი რჩებოდა, ინას თვით გერმანელები ანგრევდნენ. მათ „ათასწლოვან იმპერიას“ ბაბილონის ბედი ეწია. ინგრეოდა „ქალაქი და გოდოლი, რომელი აღაშენეს ძეთა კაცთასა“...

ფიურერი და მისი იმპერია სულს ღაფავდნენ. წინააღმდეგობის ყოველი დღე ახალსა და უაზრო მსხვერპლს მოითხოვდა. ნაცისტები ამას ტოტალურ ომს უწოდებდნენ. ეს ცნება, ჩვეულებრივად, სახელმწიფოს მთელი ძალებისა და რესურსების ომში ჩაბმას გამოხატავს, ჰიტლერისათვის კი იგი ნიშნავდა ომის წარმოებას ყოველგვარი საშუალებით, თუმცა საამისოდ უკვე არც სამხედრო ძალა ჰქონდათ საკმარისი და აღარც რესურსები. ბერლინი ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცა. მომარაგება შეწყდა. სინათლე გამოირთო. წყალსადენი არ მუშაობდა. განუწყვეტელი დაბომბვით შეშლილობამდე მისული მოსახლეობა აქეთ-იქით აწყდებოდა. მეტროს გვირაბები ქალებითა და ბავშვებით აივსო. დანარჩენებს, მოხუცებსა და პირტიტველა ბიჭებს, დედაქალაქის დაცვისაკენ მოუწოდებდნენ... დიდი ინკვიზიტორის მოწაფე გებელსი კი ისევ რაღაც „სასწაულებრივი სიმბოლოებით“ ცდილობდა ხალხის დაშოშმინებას:

— ბერლინში ყველაფერი დანგრეულია, — გაჰყვიროდა იგი რადიოთი, — რაიხსკანცელარიის შეხობაც. რაღაც სასწაულით გადარჩა მხოლოდ აივანი, სადაც ფიურერი იდგა და აღმაფრთოვანებელი სიტყვებით მიმართავდა მოზეიმე ხალხს. ის აივანი ისევ ელის ფიურერის გამოჩენას!..

... ფიურერი და მისი თანამებრძოლები კი თავიანთ ბუნაგში ისხდნენ და, ჰოროსკოპების „წინასწარმეტყველებათა“ იმედით გამხნევებულნი, ელოდნენ „ნამდვილ სასწაულს“...

ეს ის უკანასკნელი ხავსი იყო, რომელსაც წყალწაღებული ჰიტლერელები ეჭიდებოდნენ. „დიდ მოგვსა“ და მესამე იმპერიის სხვა ხელმძღვანელებს ფანატიკურად სჯეროდათ ვარსკვლავთმრიცხველთა წინასწარმეტყველებისა. ჰიტლერი, ჰიმლერი, გებელსი, როზენბერგი, შვერინ-კროზიკი და სხვები ჰოროსკოპების საშუალებით ცდილობდნენ სახელმწიფოსა და თავიანთი ბედ-იღბლის წინასწარ განჭვრეტას. ერთხელ სტალინმაც განაცხადა: საკვირველია, რომ ჰიტლერს, ასეთი

დიდი სახელმწიფოს მეთაურს. მაგრამ და მიხიბაობისა სჯერაო. ამბობენ, ჩერჩილსაც ჰქონდაო თავისი ჰოროსკოპები გამართული. ასეა თუ ისე, ჩანს, ამან ერთგვარი ბიძგი მისცა ჰიტლერის გადაწყვეტილებას, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გაეწიათ წინააღმდეგობა. იქნებ არც ის განცხადება იყოს უსაფუძვლო, რომ ჰიტლერი თავის სამხედრო გეგმებს ჰოროსკოპების ჩვენებას უთანხმებდა.

ისტორიამ სხვადასხვა მოვლენათა პაროდოქსული დამთხვევის მრავალი მაგალითი იცის. ზოგი რამ აქაც საოცრად ემთხვევა სინამდვილეს. ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებამდე ინგლისელმა ერნსტ ჰენრიმ ჰოროსკოპების საშუალებით „იწინასწარმეტყველა“ ამ ომის დაწყების აუცილებლობა, მისი მიმდინარეობა და შედეგები. მან წიგნიც კი გამოსცა სათაურით „ჰიტლერი რუსეთის წინააღმდეგ“, სადაც გერმანია-საბჭოთა კავშირის მომავალი ომის მიმდინარეობა ხუთ სტადიად დაყო:

პირველი სტადია. რუსეთს მოულოდნელად დაესხმიან თავს ბლომბერგის არმია, რედერის საზღვაო ფლოტი და გერინგის ავიაცია. ჰიტლერი იყვირებს, გერმანია ბოლშევიზმის წინააღმდეგ იბრძვისო. მსოფლიო ფაშიზმი მხარს დაუჭერს მას. ისინი თავს დაესხმიან ლენინგრადს, კიევს, შემდეგ — მოსკოვს. ქვეითი ჯარის ნაწილები გადალახავენ ნემანსა და დუნაის...

მეორე სტადია. ნაცისტური არმია წააწყდება ძლიერ წინააღმდეგობას ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. ჰიტლერი იძულებული შეიქმნება შეჩერდეს. პირველივე შეჩერება მომასწავებელი გახდება მისი დაღუპვისა. კონცენტრირებული ძალა თანდათან გამოილევა, საწინააღმდეგო ტენდენციები კი გაიზრდება.

მესამე სტადია. დაიწყება წითელი არმიის ძლიერი კონტრდარტყმები ფრონტსა და ზურგში. ყოველი ბრძოლის შემდეგ წითელი არმია უფრო გაიზრდება, ნაცისტური კი შემცირდება. საბჭოთა კავშირი გაიჩენს მოკავშირეებს. მის მომხრეთა რიცხვი თანდათან გადიდდება, გერმანიისა კი, პირიქით, შემცირდება.

მ ე ო თ ხ ე ს ტ ა დ ი ა. მოხდება ანტიფაშისტური ამბოხებები. ჰიტლერს გადაუდგებიან მისი ძველი მომხრეები.

მ ე ხ უ თ ე ს ტ ა დ ი ა. ეს იქნება ჰიტლერისა და მის თანამებრძოლთა დასასრული. ღმერთები დაემხობიან და ჩაეფლობიან ტალახში...

...გერმანულმა ჰოროსკოპებმა კი თურმე „უფრო ზუსტად უჩვენეს“; რომ ომი დაიწყებოდა 1939 წელს. 1941 წლამდე იქნებოდა „დიდი გამარჯვების“ პერიოდი, რასაც 1941 წლიდან მოჰყვებოდა „დამარცხებათა მთელი სერია“. ყველაზე მძიმე განსაცდელი გერმანიას დაადგებოდა 1945 წლის აპრილის პირველ ნახევარში, ხოლო იმავე თვის მეორე ნახევარში მოხდებოდა „დიდი გარდატეხა“ გერმანიის სასარგებლოდ. ჰოროსკოპებისავე ჩვენებით, 1945 წლის აგვისტოში დაიდებოდა საზავო ხელშეკრულება მეომარ მხარეთა შორის, ამის შემდეგ სამი წელი გერმანია ისევ მძიმე მდგომარეობაში იქნებოდა, ხოლო 1948 წლიდან დაიწყებოდა „ახალი დიდი აღორძინება“.

ეს გაცხადებული იყო ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. მერე ჰიტლერმა (ამბობენ, ჰოროსკოპების რჩევითაცო) ომი მართლაც 1939 წელს დაიწყო. 1941 წლამდე მან მთელი დასავლეთი ევროპა მოითარეშა. 1941 წელს მოსკოვთან დაიწყო „დამარცხებათა სერია“, რასაც შემდეგ სტალინგრადი და, საერთოდ, გერმანიის ჯარების უკუქცევა მოჰყვა აღმოსავლეთის ფრონტზე. რაც შეეხება 1945 წლის აპრილის პირველ ნახევარს, ამ დროს ნაცისტური გერმანია მართლაც სულს ღაფავდა.

მთელი იმედი აპრილის მეორე ნახევარზე მიდგა. ჰიტლერელები ღვთის წყალობასავით უცდიდნენ ამ დროისათვის მოსალოდნელ „დიდ გარდატეხას“, თუმცა არავინ გარკვევით არ იცოდა, საიდან ან რა საშუალებით უნდა მიეღოთ ეს წყალობა, როცა ბრძოლები უკვე ალყაშემორტყმული ბერლინის მისადგომებზე მიმდინარეობდა, თვითონ ჰიტლერს კი ჯიბეში ექიმ მორელის მიერ მიცემული საწამლავი ედო „ყოველ შემთხვევისათვის“...

ჰოროსკოპებთან ერთად ჰიტლერისათვის უდიდესი ავტორიტეტი ფრიდრიხ დიდი იყო. გულწრფელად თუ პოლიტიკური მოსაზრებებითა და გენერალიტეტის გულის მოსაგებად, — ეს სხვა საკითხია. ფაქტი კი ისაა, რომ ჰიტლერს თავის დროზე სჭირდებოდა „ძველი და ახალი გერმანიის ურყევი კავშირის“ პროპაგანდა. ამისათვის იგი ფელდმარშალ ჰინდენბურგის ავტორიტეტსაც იყენებდა. ყველგან იყიდებოდა ჰინდენბურგისა და ჰიტლერის სურათი, რომელსაც ასეთი „გულისამაჩუყებელი“ წარწერა ჰქონდა: „პირველი მსოფლიო ომის უცნობი ეფრეიტორი გულითადად ართმევს ხელს მოხუც ფელდმარშალს, რითაც სამარადჟამოდ ამყარებს კავშირს ძველსა და ახალ გერმანიას შორის“.

ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე საზეიმო ფიცი ჰიტლერმა, ჰინდენბურგის თანდასწრებით, სწორედ ფრიდრიხ დიდის აკლდამასთან დადო. მანვე დააწესა ყოველწლიური ზეიმი „პოტსდამის დღე“. „დიდი იმპერატორის“ აკლდამასთან კოლონებად დააყენებდნენ რაიხსვერის უთვალავ მეომარს და იწყებოდა საზეიმო ცერემონიალი. მთელ გერმანიაში ვრცელდებოდა ჰოფმანის მიერ დამზადებული ფოტოსურათები ასეთი მაღალფარდოვანი მინაწერით: „თოთხმეტი წლის დამცირების შემდეგ კვლავ აღორძინებული იმპერიის ფიურერი ჩაფიქრებული დგას პრუსიის დიდი მეფის აკლდამასთან...“

ქალაქებსა და სოფლებში გაკრული იყო პლაკატები:

— უკვდავ გერმანიას და მის დიდ ჯარისკაცებს ფრიდრიხს, ჰინდენბურგსა და ადოლფ ჰიტლერს სამგზის ვაშა! ზიგ ჰაილ!..

...შემთხვევითი არ არის, რომ გერმანიის სამოცზე მეტი გვირგვინოსანი ფრიდრიხიდან ჰიტლერმა სწორედ ის „მოხუცი ფრიცი“ აღიარა თავის „დიდ წინამორბედად“. ფრიდრიხ დიდის პოლიტიკაც სულ აგრესიულ რომებზე იყო დაფუძნებული. იგი ჯერ ავსტრიაში შეიჭრა, შემდეგ პრაღასთან იბრძოდა, ეომა პოლონეთს, მერე — რუსეთს, რითაც საფრანგეთის, ინ-

გლისისა და რუსეთის მძლავრ კოალიციას დაუპირისპირდა. ჰიტლერს თითქოს ფრიდრიხის ოპერატიული რუკა ედო წინ და იმის მიხედვით მოქმედებდა. „დიდი იმპერატორის“ საომარი დოქტრინაც „ჰიტლერული“ იყო:

— თუ თქვენ მოგწონთ სხვისი ტერიტორია და გაქვთ საკმარისი ძალა, დაუყოვნებლივ დაიპყარით, — წერდა ფრიდრიხი. — როგორც კი ამას გააკეთებთ, ყოველთვის იპოვით საჭირო რაოდენობით იურისტებს, რომელნიც დაამტკიცებენ, რომ თქვენ სრული უფლება გქონდათ ამისი...

დაპყრობილ ქვეყნებთან დამოკიდებულებაც ფრიდრიხისაგან ისწავლა ჰიტლერმა. ფრიდრიხი წერდა პოლონეთის შესახებ:

— პოლონეთი უნდა ფოთოლ-ფოთოლ გავფცქვნათ როგორც კომბოსტოს თავი...

დამახასიათებელია ისტორიული პარალელებიც: შვიდწლიან ომამდე ვითომ ფრიდრიხ დიდიც ცდილობდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა რუსეთთან. 1745 წელს მან თავისი პორტრეტიც გაუგზავნა იმპერატორ ელისაბედს წარწერით: „ჩრდილოეთის სემირამიდას“. მერე მდგომარეობა შეიცვალა და ისინი საწინააღმდეგო პოზიციებზე აღმოჩნდნენ. ამან გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია ომის მიმდინარეობაზე.

ვიდრე რუსეთთან ომს დაიწყებდა, ფრიდრიხის საომარი გეგმები წარმატებით ხორციელდებოდა. რუსეთთან ომმა კი ერთბაშად შეატრიალა საქმე. 1759 წელს რუსეთის არმია გენერალ სოლტიკოვის მეთაურობით უკვე ვისლასთან იბრძოდა. ფრიდრიხი მაშინ ისევე დამარცხდა შვიდწლიან ომში, როგორც ახლა — ჰიტლერი. იგივე განმეორდა კუნერსდორფსა და კისტრინთან. სწორედ იმ „კისტრინთან“, სადაც იბრძოდა ჩვენი საამაყო დავით გურამიშვილი. შემდგომ პოეტი წერდა კიდეც:

„ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს შეურყივეთ ტახტის სვეტი“. იგონებდა იმ სავალალო ჟამსაც, „ოდეს დავით გურამიშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ლიაში ჩაეფლა“ და ტყვედ ჩავარდა:

ორმოც-თვრამეტს ბრუსმან დაგვკრა, თავსა დაგვახვია რეტი.
მე ჩემს ძმებსა დამაშორა, ლუწისაგან დავრჩი კენტი.
მაღდებურნის ციხეშიგან დამსვა კარებ-დანაკლეტი...

ორასიოდე წლის შემდეგ ამავე „კისტრინთან" საბჭოთა არმიის გამარჯვებამ წინასწარ განაპირობა ბერლინის აღება. სწორედ ასე იყო მაშინაც. ფრიდრიხმა იცოდა ეს და კიუსტრინის შემდეგ ყოველთვის თან დაჰქონდა საწამლავი იმ შემთხვევისათვის, თუ...

...1760 წელს, როცა გენერლების ჩერნიშოვისა და ტოტლებენის არმიები ბერლინში შეიჭრნენ, ფრიდრიხის ბედი მართლაც ბეწვზე ეკიდა. იგი ცხოვრობდა ბრესლავლის სასახლის ნანგრევებში და ფიქრობდა, რომ დადგა აღსასრულის ჟამი. მის გარშემო მხოლოდ ტახტის მემკვიდრენი და უახლოესი თანამებრძოლნი ტრიალებდნენ. ფრიდრიხი მთელი დღეობით დუმდა. მძიმე ნაღველი აწვა მის გულს. ეს ზამთარი უკანასკნელია ჩემთვისო, ამბობდა და წამდაუწუმ საგანგებოდ შენახულ საწამლავს სინჯავდა, თან მაქვს თუ არაო. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც იმგვარ განკარგულებებს იძლეოდა, თითქოს მისი გამარჯვება გარდუვალი ყოფილიყოს. იმედი ჰქონდა, შეიძლება მოულოდნელად ისეთი რამ მოხდეს, რომ ყველაფერი ერთბაშად შეიცვალოსო. ამაზე ფიქრი უნარჩუნებდა სულიერ სიმტკიცეს. მინისტრი გრაფი ფინკენშტაინიც ასე მიმართავდა მას:

— მამაცო მეფეო, მოითმინეთ ცოტა და თქვენი ტანჯვის დღეები დამთავრდება. კეთილი ბედის მზე ახლა ღრუბლებსაა მიფარებული, მაგრამ ჩქარა ისევ გამობრწყინდება!..

...მერე ყოველივე ეს განმეორდა და გებელსიც სწორედ ამ ადგილებს უკითხავდა ჰიტლერს. მას ფიურერზე ნაკლებ როდი სჯეროდა ჰოროსკოპების წინასწარმეტყველებისა. აპრილის შუა რიცხვებიც ახლოვდებოდა და კარლაილის წიგნსა და ფრიდრიხის ამბებს სასუნთქ ბალიშად იყენებდა სასოწარკვეთილი ფიურერის დასაიმედებლად. როგორც ჩანს, მასაც ფანატიკურად სჯეროდა ჰიტლერის მაგიური ძალისა და ამიტომაც ცდილობდა იმედი და რწმენა ჩაენერგა მის გულში.

თავის დროზე ფრიდრიხიც ხომ ასეთ მდგომარეობაში იყო. მან უკვე გამოსამშვიდობებელი წერილები გაუგზავნა ოჯახს,

ნათესავებს, თანამებრძოლთ. ჰიტლერს კი ვისთვის ან სად გაეგზავნა ასეთი წერილები? მას არც ოჯახი ჰქონდა, არც ნათესავები ახსოვდა. ერთი ძმისშვილი ჰყავდა ამერიკაში და ისიც წყევლა-კრულვას უთვლიდა.

მემუარული ლიტერატურიდან ასეთი ეპიზოდიცაა ცნობილი:

სწორედ იმ დროს, როცა ჰიტლერი თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ემიგრაციაში მყოფი ყოფილი დიპლომატი პუტლიცი ნიუ-იორკში შეხვდა გერმანიიდან გადმოხვეწილ მსახიობს, რომელმაც უთხრა:

— გნებავთ დღეს შეხვდეთ ბატონ ჰიტლერს?

პუტლიცს ეს ხუმრობა ეგონა, მაგრამ მალე მისთვის ყველაფერი ნათელი შეიქნა. საღამოთი მეგობრები მართლაც შეხვდნენ ადოლფ ჰიტლერის ძმისშვილს პატრიკს ბროდვეის ერთ-ერთ რესტორანში. პატრიკი ძალიან ჰგავდა თავის ბიძას. მასაც წინ გადმოშლილი თმები და პატარა, ჩაპლინისებური ულვაშები ჰქონდა.

უკანასკნელ თას ლუდს რომ სვამდნენ, გერმანელმა მსახიობმა თქვა:

— დავლიოთ ადოლფ ჰიტლერის ჩაძაღლებისა!..

პატრიკ ჰიტლერმა სიამოვნებით შესვა ეს სადღეგრძელო...

ვინ იცის, რამდენი მილიონი კაცი გამოთქვამდა მაშინ ამგვარ სურვილს!..

...ეს დღეც მოახლოებული იყო. უფსკრულის პირას მდგომ ჰიტლერს იმის იმედიღა დარჩა, რომ მოწინააღმდეგეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, მანამ კი გაძლება იყო საჭირო...

მოკავშირეთა არმიები რომ რაინს მიადგნენ, მან თქვა:

— თუ საჭირო შეიქნა, ჩვენ ვიბრძოლებთ რაინზედაც. სხვა რა გზაა! რაც უნდა მოხდეს, აუცილებელია განვაგრძოთ ომი, ვიდრე, ფრიდრიხ დიდის მტრებისა არ იყოს, რომელიმე ჩვენი წყეული მოწინააღმდეგეთაგანი არ მოიღლება. უნდა გავძლოთ, ვიდრე ისეთ ზავს არ მივაღწევთ, რაც გერმანელი ხალხისათვის ორმოცდაათი-ასი წლის მანძილზე უზრუნველყოფს მშვიდობას. დადგება დრო, როცა დაძაბულობა მოკავშირეთა შორის იმდენად გამწვავდება, რომ გაჩნდება ბზარი.

ისტორია გვასწავლის, რომ ყოველგვარი კოალიცია ადრე თუ გვიან მაინც იშლება...

არც საამისო მაგალითი იყო ძნელად საპოვნელი...

...1762 წლის 5 იანვარს გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი ელისაბედი და ტახტზე ავიდა ჰოლშტაიანის ჰერცოგი, ფრიდრიხის დიდი თაყვანისმცემელი პეტრე III. კარლაილი წერს, რომ „ეს ცნობა ცისკრის ვარსკვლავივით ამობრწყინდა ფრიდრიხის პრუსიის მოქუფრულ ცაზე“.

— ამდენი ტრაგიკული ცნობის შემდეგ ერთი მაინც ხომ უნდა მოსულიყო სასიამოვნო! — წამოიძახა იმედმოცემულმა ფრიდრიხმა.

— ყველაფერს დასასრული აქვს ამქვეყნად და არც ეს ომი შეიძლება იყოს მარადიული! — სწერდა იგი იმავე დღეს დედას.

თავისი მოსისიხლე მტრის ელისაბედის გარდაცვალებამ ერთბაშად გაამხნევა და სასოება დაუბრუნა:

— ხედავთ ამ პირველ სხივს, რომელიც ჩვენთვის ამობრწყინდა? — მისწერა მან მინისტრ ფინკენშტაინს. — კურთხეულ იყოს ზეცა, მისი წარმომგზავნი! იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი ქარიშხლის შემდეგ ჩვენთვისაც გამოიდარებს. იდიდოს განგების სახელი!..

ფრიდრიხი უცებ გაიმართა წელში. გაუმართლა კიდეც: პეტრე მესამემ არამცთუ შეწყვიტა ომი გერმანიასთან, არამედ მოკავშირედაც გაუხდა. ფრიდრიხის მოწინააღმდეგეთა კოალიციაც დაიშალა. შეშინებულმა შვედებმა ზავი სთხოვეს მას. უწინ ფრიდრიხიც ამაზე ოცნებობდა, ახლა კი, როცა შვედების ელჩი მოუვიდა წინადადებით — ზავი შევკრათო, „იმ მელა ფრიდრიხმა“ გაოცებული სახე მიიღო:

— ზავი? შვედებთან? მე არც მახსოვს, შვედებთან თუ მაქვს ომი. მიმართეთ ამის შესახებ პოლკოვნიკ ბელინგს!..

. ფრიდრიხი ისევ ფრიდრიხ დიდი იყო!..

...როცა გებელსი თავის ფიურერს ამ ადგილს უკითხავდა, ჰიტლერს ცრემლი მოერია. მერე სამხედრო ადიუტანტ ბურგდორფს დაუძახა, კარლაილის წიგნიდან ამონაბეჭდები გა-

აკეთებინა და უბრძანა ფრონტზე დაეგზავნა ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის. თვითონაც სულ ამ მაგალითს იყენებდა საუბრის დროს:

— როგორც ფრიდრიხ დიდმა მიაღწია მოულოდნელ გამარჯვებას შვიდი წლის ომის შემდეგ, — ამბობდა იგი, — ჩვენც ისევე გავიმარჯვებთ, თუ ნერვებმა არ გვიღალატა... მაშინ ერთი კაცის სიმტკიცემ უზრუნველყო გამარჯვება. ახლაც ასე იქნება, ოღონდ საჭიროა გავუძლოთ, გავუძლოთ, რაც უნდა დაგვიჯდეს, ამისათვის ომის სრულ უაზრობამდე გაგრძელებაც რომ მოგვიხდეს! (...bis zur letzten Sinnlosigkeit fortsetzen.)

მერე ისევ გასინჯეს ჰოროსკოპები და... აპრილის მეორე ნახევარში დიდი გარდატეხა მოხდებაო, ისევ ეს უჩვენეს „სასწაულმოქმედმა მანქანებმა“.

მეორე დღეს გებელსმა ეს ცნობები გრაფ შვერინ-კროზიკს გაუგზავნა შესამოწმებლად. შვერინ-კროზიკმა იგივე დაადასტურა და ყველანი მოუთმენლად ელოდნენ აპრილის პირველი ნახევრის გასვლას...

...პარასკევს, 13 აპრილს, გებელსი ჩავიდა მე-9 არმიის სარდლის გენერალ ბიუსეს შტაბში, სადაც წაიკითხა მოხსენება ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. რაკი თავში სულ ფრიდრიხ დიდი და იმპერატორ ელისაბედის სიკვდილი უტრიალებდა, ენაზეც ეს ეჭერა:

— განსაცდელში ჩავარდნილი ფრიდრიხ დიდი განგებამ იმით დააჯილდოვა, რომ მოკვდა მისი მოწინააღმდეგე ელისაბედი!

გებელსი ყვებოდა, თუ ამის შემდეგ პეტრე მესამემ როგორ შეკრა კავშირი გერმანიასთან.

მართალია, ეს კავშირი გერმანიასა და რუსეთს შორის თანამედროვე პირობებში რაღაც პარადოქსულად ეღერდა, მაგრამ გებელსისათვის უკვე სულერთი იყო. ოღონდ ამ კატასტროფისაგან ეხსნათ თავი და კავშირს თუნდაც ჯოჯოხეთთან შეკრავდნენ.

ერთი „თავხედი“ ოფიცერი მაინც წამოდგა და ასეთი „უტიფარი“ კითხვა დაუსვა მის აღმატებულებას. იმპერიის მინისტრს:

— ახლა რომელი იმპერატორის გარდაცვალების იმედი უნდა გაქონდეს, ბატონო მინისტრო?

— ამას განგება განსჯის! — სხვა ვერაფერი უპასუხა გულმოსულმა გებელსმა იმ „არამკითხე“ ოფიცერს...

...გვიან ღამით დაბრუნდა გებელსი ბიუსეს შტაბიდან ბერლინში. დედაქალაქი ცეცხლის ალსა და კვამლში იყო გახვეული. ერთი საათით ადრე მოკავშირეთა ორი ათასამდე თვითმფრინავმა დაბომბა ჰიტლერელთა ეს უკანასკნელი ბუნაგი.

ბერლინი იწვოდა. ცეცხლი ეკიდა რაიხსკანცელარიის შენობასაც, რომლის ქვევით ჯურღმულში იჯდა ნაცისტური პანდემონიუმის მეუფე ჰიტლერი. მანქანამ მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით ძლივს მიაღწია გებელსის სამინისტრომდე. როცა იგი მანქანიდან გადმოვიდა, წინ მდიკანი ჰამერეტცელი შეეგება და ტრადიციული „ჰაილ ჰიტლერის“ ნაცვლად მიაძახა:

— გარდაიცვალა რუზველტი!..

გებელსი ადგილზევე გაშეშდა. ერთხანს იგი გაოგნებული იდგა ხანძრით განათებული ბერლინის ფონზე. მერე გამოერკვა, კიბეები აირბინა და შესძახა:

— მოიტანეთ საუკეთესო შამპანური და შემაერთეთ ფიუერერთან!..

— ჩემო ფიურერ, — უთხრა მან ჰიტლერს, — მოგილოცავთ რუზველტის გარდაცვალებას! ვარსკვლავებზე წერია, რომ აპრილის მეორე ნახევარი დიდი გარდატეხის ჟამი იქნება ჩვენთვის. დღეს პარასკევია, 13 აპრილი!..

რამდენიმე წუთის შემდეგ გებელსს რაღაც გაახსენდა, ტელეფონს ეცა და გენერალ ბიუსეს დაურეკა:

— გადაეცით იმ თავხედ ოფიცერს, რომ იმპერატორი გარდაიცვალა!..

DE PROFUNDIS...

იმ ღამით შვერინ-კროზიკთან სტუმრები იყვნენ. ლაპარაკობდნენ გერმანიის კატასტროფულ მდგომარეობაზე. ჰო-

როსკოპების სპეციალისტი შვერინიც ელოდა სასწაულს, მაგრამ საჰაერო თავდასხმამ ხასიათი გაუფუჭათ.

თავშესაფრებიდან რომ გამოვიდნენ, ისევ ბახუსთან გაიბეს საუბარი. ვიღაცამ თქვა, გენშტაბის განკარგულებით დღეს ტყვია-წამლის უკანასკნელი ქარხნის ევაკუაცია მოხდაო.

— ჩანს, დასასრული ახლოა, — თქვა შვერინ-კროზიკმა, — უტყვიაწამლოდ უმამაცესი ჯარისკაცებიც ვერაფერს გახდებიან....

შუაღამე გადასული იყო, ტელეფონმა რომ დარეკა: ხაზთან გებელსის სტატს-მდივანი იყო...

— რა გინდა, ასე გვიან რომ რეკავ? — იწყინა შვერინმა.

— გარდაიცვალა რუზველტი! — მოესმა მას.

თვითონ შვერინ-კროზიკი წერს მემუარებში:

— ამის გაგონებაზე ჩვენ ვიგრძენით ისტორიის ანგელოზთა ფრთების შრიალი ოთახში...

...მეორე დღეს ჰიტლერს ეახლნენ მისი პალადინები. ყველა დარწმუნებული იყო, რომ რაღაც გარდატეხა მოხდებოდა. ამ აზრით შეპყრობილებმა პირველი რიბენტროპი გაწირეს.

— ყველაფერი რიბენტროპის ბრალია, იგი უნდა გადაკაყენოთ! — იშოვა დრო გერინგმა.

ჰიმლერი და ბორმანი მაშინვე დაეთანხმნენ მას. ეგონათ ჰიტლერი მიიღებდა ამ წინადადებას, მაგრამ მოტყუვდნენ. იგი სულაც არ აპირებდა თავისი „მეორე ბისმარკის“ მოხსნას. მით უმეტეს ახლა, როცა „იმპერატორის“ გარდაცვალებამ ისევ გაუღვივა იმედის ნაპერწკალი.

მეორე დღეს რადიოთი გებელსი გამოვიდა და ხალხს მოუწოდა:

— ბრმად მიენდეთ ფიურერსა და ვარსკვლავებს! ისინი გამოგვიყვანენ ამ მძიმე მდგომარეობიდან...

...ეს მოლოდინი იქნებ არც იყო უსაფუძვლო. რუზველტის გარდაცვალების მეორე დღესვე ამერიკის პრესაში გაისმა ხმები, საჭიროა უფრო შემარიგებლური პოლიტიკის წარმოება

ბერმანიასთანაც. მემარჯვენე წრეები ფიქრობდნენ, რომ გერმანია უნდა დარჩენილიყო „ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ ბასტიონად ევროპაში“ და რომ ჯერ კიდევ არ იყო გვიან გამოესწორებინათ ადრე „დაშვებული შეცდომები“. ამისათვის მემარჯვენეები უფრო „მტკიცე კურსის“ გატარებას მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირის მიმართ. ასეთ პოზიციაზე იდგნენ სენატორები ვანდენბერგი, ჯონ ფოსტერ დალესი, სამხედრო-საზღვაო მინისტრი ფორესტოლი და სხვები. ისინი მოუწოდებდნენ ამერიკის მთავრობას „უფრო დამოუკიდებელი“ პოლიტიკა ეწარმოებინა.

23 აპრილს ახალმა პრეზიდენტმა ტრუმენმა მოიწვია სხდომა, რომელსაც დაესწრნენ სტეტინიუსი, სტიმსონი, ფორესტოლი, ადმირალები კინგი და ლეჰი, გენერლები მარშალი და დინი, აგრეთვე ჰარიმანი, ბოლერი და სხვები. იხილავდნენ საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის აზრთა სხვადასხვაობის საკითხს. სტიმსონმა მწუხარება გამოთქვა ამ სხვადასხვაობის წარმოშობის გამო და ურჩია პრეზიდენტს, თავი შევიკავოთ განხეთქილებისაგან. ფორესტოლმა მოითხოვა გადაესინჯათ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა. ჰარიმანმა ფორესტოლს დაუჭირა მხარი, ხოლო ადმირალმა ლეჰიმ — სტიმსონს. ტრუმენმა გადაწყვიტა „მტკიცე პოზიცია“ დაეკავებინა.

ასეთ პოზიციაზე დადგა ჩერჩილიც. იგი ანტისაბჭოთა გამოსვლებისათვის აქეზებდა ამერიკელებს. ჩერჩილი ადრეც აშინებდა მათ, რუსები უჩვენოდ დაიპყრობენ ვენას, პრაღასა და ბერლინსო. დასავლეთელ მოკავშირეებს მთავარ საზრუნავად ახლა ის შეექმნათ, რომ ეს ომი მათ არა მარტო სტრატეგიულად, არამედ პოლიტიკურადაც მოეგოთ. ინგლისელები ამ საქმის ჩაშლას ეიზენჰაუერს აბრალებდნენ. მართალია, ამ საგანზე მათი მიმოწერა საიდუმლო იყო, მაგრამ აქა-იქ პრესაშიც გაჩნდა ანტისაბჭოთა ცნობები, რაც დაუყოვნებლივ გადმობეჭდეს ბერლინის გაზეთებმა. პირმოშვებული გებელსი ხომ ერთობ ენად გაიკრიფა:

— ევროპა იღუპება! მოდიან კომუნისტები. ვუშველოთ დასავლეთის ცივილიზაციას. გზა გადავუღობოთ ბოლშევიზმს. თორემ ისინი შემოიჭრებიან და რკინის ფარდას ჩამოუშვებენ!..

ამგვარ ისტერიულ ძახილს de profundis თანაგრძნობით უსმენდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები, მაგრამ რამე რეალური ნაბიჯის გადადგმა მაინც არ შეეძლოთ. დრო არ იყო ისეთი! მილიონობით ხალხმა იმისათვის კი არ დადო თავი ბრძოლის ველზე, რომ ბოლოს მაინც კავშირი შეეკრათ ჰიტლერელებთან...

ფელდმარშალი მონტგომერი სწორად წერს თავის მემუარებში:

— დასავლეთის სახელმწიფოთა ვერც ერთი მთავრობა ვერ მოიპოვებდა ხალხის მხარდაჭერას, თუკი განიზრახავდა კავშირი შეეკრა დამარცხებულ გერმანიასთან...

ეს სხვას კი არა, ჰიტლერსაც კარგად ესმოდა. როცა ომის უკანასკნელ ეტაპზე რუნდშტედტმა და რომელმა მოითხოვეს, ბრძოლა შეეწყვიტოთ და „რამე პოლიტიკური ნაბიჯი“ გადავდგათო, ჰიტლერმა თქვა:

— ფელდმარშალი რომელი საკითხის პოლიტიკურ გადაწყვეტას მოითხოვს. ეს მეც ვიცი და ბევრჯერაც დამიმტკიცებია, რომ ხელიდან არასოდეს ვუშვებ ხელსაყრელ პოლიტიკურ მომენტს. არც მომავალში ვიზამ ამას. მაგრამ, როცა ფრონტზე მძიმე დამარცხებებს განიცდი, პოლიტიკურ ღონისძიებათა იმედი ფუჭია, ბაკშვობაა, გულუბრყვილობა! ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტი მაშინ დგება, როცა სამხედრო მიღწევები გაქვს. 1940 წელს, ფრანგების დამარცხების შემდეგ, საკუთარი სინდისის კარნახით, არა როგორც დამმარცხებელმა, არამედ გამარჯვებულმა (Nicht als Besieger, sondern Sieger) მივმართე ინგლისელებს გონება მოეკრიბათ და შეეწყვიტათ ჩვენთან ომი. მაშინ მე მათგან არაფერს მოვითხოვდი, ბრიტანეთის იმპერიის ხელშეუხებლობის გარანტიასაც ვაძლევდი (!), მაგრამ ჩერჩილსა და ვანსიტარტს ომი უნდოდათ, ახლა კი უკან დახევა არ შეუძლიათ! მიუხედავად ამისა, მე მაინც მჯერა, რომ მოკავშირეთა შორის დაძაბულობა გაიზრდება და მათი კავშირი დაირღვევა. მანამ კი უნდა ვიცადოთ. ჩემი ამოცანაა ნერვებმა არ მიღალატოს... თუ იქნა საპატიო ზავის დადების საშუალება, მე ამაზე უარს არ ვიტყვი. ეს ომი არც ჩემთვისაა სასიამოვნო. ხუთი წელია, რაც ქვეყანას მოწყვეტილი თავშესაფარში ვზივარ. რამდენი ხანია თეატრში

არ ვყოფილვარ. კონცერტი არ მომისმენია, ფილმები არ მინახავს, მე მხოლოდ ამ ბრძოლებისათვის ვცხოვრობ, რადგან ვიცი: თუ რკინისებური ნებისყოფა არ გამოვიჩინე, ყველაფერი დაიღუპება...

...ეს „რკინისებური ნებისყოფა“ სიკერპეშიც გადაიზარდა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. დაიწყო ნაცისტური გერმანიის აგონია. აპრილის შუა რიცხვებისათვის მთლიანად დაპყრობილი იყო აღმოსავლეთი პრუსია, პომერანია და სილეზია, გათავისუფლებულ იქნა უნგრეთი, ჩეხოსლოვაკიის უმთავრესი ხაწილი და ბრძოლები დასავლეთ ავსტრიაში მიმდინარეობდა. მოკავშირეებმა რაინის გადმოლახვის შემდეგ შიდა გერმანიისაკენ განავითარეს შეტევა. თავგზააბნეული ჰიტლერელები ნერვიულობდნენ. დააწიოკეს ფელდმარშლებისა და გენერლების კიდევ ერთი ჯგუფი. რეპრესიებმა სულ მთლად კოშმარული სახე მიიღო. ყველაფერი ინგრეოდა... იღუპებოდა... „დიდი ინკვიზიტორი“ კი იჯდა თავის ბუნაგში როგორც ლუციფერი ჯოჯოხეთის შეცხრე გარსში და ისევ ისტერიულ ბრძანებებს იძლეოდა:

— დახვრიტეთ!.. ააფეთქეთ!.. მოსპეთ!..

ეს უკვე ქვესკნელის ხმა იყო... მაგრამ ეს ხმა ჯერ კიდევ აზანზარებდა ქვეყანას... თუმცა რაღა „ქვეყანას“: ჰიტლერის „მსოფლიო იმპერიიდან“ ეს მცირე ბუნაგიღა დარჩა... ერთი ხელის დადება შაგრენის ტყავი. ო, რარიგ ცდილობდა იგი როგორმე გაეფართოებინა ეს სასწაულებრივი „ტყავის ნაჭერი“, მაგრამ არ იქნა და ვერაფერმა უშველა, ვერც ქიმიურმა ხსნარებმა, ვერც პნევმატიკურმა წნეხმა... კიდევ რამდენიმე გაბრძოლება... რამდენიმე სურვილი და... შაგრენის ტყავთან ერთად გაქრებოდა „სამოთხის ნეტარებაცა“ და მისი სიცოცხლეც...

ფანოდრომის მცირე დოზა...

15 აპრილს ბერლინში დაბრუნდა და იმ ჯურღმულში ჩაძვრა ევა ბრაუნიც, რათა გაეზიარებინა თავისი „საწყალი ადოლფის ბედი“. შპეერი წერს, „საქორწინოდ და ცერემონიალური სიკვდილისთვისო“.

ახლობელთა აზრით, ევა ბრაუნის დამოკიდებულება ჰიტლერთან ბოლომდე ამოუცნობი დარჩა. იგი არც ცოლი იყო და არც საყვარელი. თეოდორაც გაიხსენეს, პამპადურიცა და ლოლა მონტეც, მაგრამ ევა ბრაუნი არც ერთ მათგანს არა ჰგავდა. მისი ცხოვრება საიდუმლოებით იყო მოცული. ჰიტლერის ნებართვის გარეშე ერთხანს მსახურებსაც არა ჰქონდათ მასთან გასაუბრების უფლება, აკრძალული იყო მისი ფოტოსურათების გამოქვეყნებაც. ისინი მხოლოდ „შინ" ხვდებოდნენ ერთმანეთს, სხვაგან არსად. ერთად ყოფნის თორმეტი წლის განმავლობაში მხოლოდ ორ უკანასკნელ წელს ჰქონდა ევას უფლება ბერლინში ჩამოსულიყო; დანარჩენ დროს სულ ბერჰტესგადენში ატარებდა: მთებში დადიოდა, თხილამურებით ვარჯიშობდა, გატაცებით ცეკვავდა და დღიურებს წერდა. ამბობენ, იგი „ფსიქოლოგიურად მოუმწიფებელი" იყოო, არ ეჭვიანობდაო, თვით „მისტიკური ოლღას" მიმართაც კი.

როგორ არ ეჭვიანობდა, მაგრამ ამას გულში იკლავდა ან მხოლოდ დღიურებს ანდობდა. სულ იმას სწუხდა, რამდენიმე თვე ისე გავა, რომ ერთ ტკბილ სიტყვასაც არ გაიმეტებს ჩემთვისო.

— კარგი, ვთქვათ, რომ მას თავი მართლაც გამოტენილი აქვს პოლიტიკური პრობლემებით, მაგრამ ახლა ეს დაძაბულობა შენელებულია, — წერდა იგი 1935 წელს, — ადრე სულ სხვა იყო. რემმა მას ბევრი თავსამტვრევი საქმე გაუჩინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც პოულობდა ჩემთვის დროს. მესმის, რომ შეიძლება იგი ახლაც მძიმე მდგომარეობაში იყოს, მაგრამ ჩემთვის ერთი-ორი ტკბილი სიტყვის თქმა რას შეუშლის ხელს!..

მერე ჰიტლერსაც გაუგზავნა საყვედურებით სავსე წერილი, ხოლო დღიურში ჩაწერა:

— თუ საღამოს ათ საათამდე პასუხი არ მოვიდა, 35 ცალ „ფანოდრომს" დავლევ ერთად და სამუდამოდ მივიძინებ...

რამდენიმე საათის შემდეგ ისევ ჩაწერა:

— ღმერთო, მეშინია, რომ პასუხს არ მივიღებ. ვინმე მაინც მყავდეს, რომ დამეხმაროს. ყველაფერი საშინელია და უნუგეშო. შეიძლება მან ჩემი წერილი უხერხულ დროს მი-

ილო. ან იქნებ სულაც არ უნდა მიმეწერა. ყოველ შემთხვევაში, ეს გაურკვევლობა უფრო ძნელი ასატანია, ვიდრე მოულოდნელი დასასრული. ღმერთო კეთილო, შემეწიე, რომ დღესვე შევძლო მასთან დალაპარაკება, ხვალ უკვე გვიან იქნება. მე გადავწყვიტე მივიღო 35 აბი. ეს უეჭველ სიკვდილს გამოიწვევს. ტელეფონით მაინც დამირეკავდეს!..

არც დაურეკავს და არც საპასუხო წერილი გამოუგზავნია...

...საღამოთი უფროსი და ილზა რომ სამსახურიდან დაგვიანებით დაბრუნდა, იკითხა, ევა სად არისო. მგონი აბაზანაშიო, მიუგო დედამ. ილზას გულმა თითქოს რაღაც უგრძნო და დის ოთახში შევარდა. ევა ლოგინზე იყო გაშოტილი. დედაც მაშინვე მივარდა მას და იყვირა:

— ევა, ევა, გაიღვიძე!..

ევა არ ინძრეოდა. ილზა ტელეფონს ეცა და ექიმს გამოუძახა...

ნახევარი საათის შემდეგ ევა გონს მოვიდა. „გადაწყვეტილი“ 35 „ფანოდრომის“ ნაცვლად მას მხოლოდ 20 მიეღო და... გადარჩა. ახლა იმაზე ზრუნავდნენ, რომ მამას არ გაეგო ეს ამბავი, დედამ კი ადრეც იცოდა მისი ქალიშვილი რომ „ჰიტლერს ხვდებოდა“. ძალ-ღონე რომ მოიკრიბა, თვითონ ევამაც უამბო მას, როგორ დაიწყო მათი ნაცნობობა:

— ეს იყო ხუთიოდე წლის წინ, — თქვა მან. — სამსახურის დამთავრების შემდეგ კიდევ ერთხანს შევრჩი სამუშაოს. სწორედ მაშინ, როცა კიბეზე ავედი, რომ კარადის თავზე ჩამომედო რაღაც, შემოვიდა შეფი, რომელსაც თან მოჰყვა ვიღაც ხანში შესული წვერებიანი მამაკაცი. მე ზემოდან გადმოვიხედე და შევნიშნე, რომ ის კაცი ფეხებზე მიყურებდა. მაშინვე ჩამოვედი კიბიდან და ბატონმა ჰოფმანმა წარმადგინა უცნობთან. ახლაც კარგად მახსოვს როგორ:

— ბატონო ვოლფ, ეს ჩვენი პატარა, ყოჩაღი ევაა, — თქვა მან.

ერთხანს ვილაპარაკეთ, მერე კი სტუმარმა შემომთავაზა, რომ თავისი მერსედესით მიმიყვანდა სახლამდე. მე უარი ვუთხარი. წარმოდგენილი მაქვს, ეს რომ მამას ენახა, როგორ სახეს მიიღებდა.

ის კაცი რომ წავიდა, ჰოფმანმა მითხრა:

— ვერ იცანი ბატონი ვოლფი ვინ არის? განა ჩემ მიერ გადაღებულ სურათებს არ ათვალიერებ? ის ხომ ჰიტლერია, ჩვენი ადოლფ ჰიტლერი!..

მე კი ვიცანი, მაგრამ ძალიან ხანში შესულად მეჩვენა (ჰიტლერი მაშინ 41 წლისა იყო, ევა — თვრამეტისა). კარგა ხნის შემდეგ იგი ისევ მოვიდა და ოპერაში დამპატიჟა. ეს საუცხოო რამ იყო...

— მერე? — ჰკითხა დედამ.

— რა მერე? შენ ხომ იცი, რომ მე ის ახლაც მიყვარს!..

ევას დედამ ეს კარგად იცოდა, მაგრამ არ უნდოდა მამასაც რომ გაეგო...

...მასწავლებელი ფრიც ბრაუნი ძველი ადათ-წესებისა და მორალის კაცი იყო. იგი თავის სამ ქალიშვილს — ილზეს, ევასა და გრეტლს — ინტერნატში ზრდიდა. მერე ილზე ექიმის თანაშემწე გახადა, ევა — ფოტოგრაფ ჰოფმანის მდივანი, გრეტლი კი ჯერაც ინტერნატში სწავლობდა. ოჯახის მამამ არაფერი იცოდა ნაცისტების ფიურერთან ევას გამიჯნურების შესახებ. თვითმკვლელობის ცდამ კი ყველაფერი გამოააშკარავა. არავინ იცის, როგორ, მაგრამ ეს ამბავი ჰიტლერმაც შეიტყო. იგი ჩამოვიდა მიუნხენში და დიდხანს ელაპარაკა ევას. მერე ისიც გამოირკვა, ჰიტლერმა რომ სთხოვა ევას დაეტოვებინა ოჯახი და ცალკე ბინაზე გადასულიყო.

— მე ვიცი, რომ ასეთი მალულობანა ძნელი ასატანი იქნება შენთვის, მაგრამ სამაგიეროდ გექნება საკუთარი ბინა და თავისუფლება, — უთქვამს მას.

სამი თვის შემდეგ, სუფრასთან ჯდომის დროს, ევამ სრულიად მოულოდნელად განაცხადა:

— მე გადავწყვიტე დავიქირავო ცალკე ბინა!..

მამამ გაოცებისაგან თვალები დააჭყიტა.

— მე არა მარტო სრულწლოვანი ვარ. — განაგრძო ევამ, — არამედ მაქვს საკუთარი საარსებო საშუალებაც...

მერე თავის დებს მიუბრუნდა და დაუმატა:

— თქვენც ორივეს შეგიძლიათ ჩემთან გადმოხვიდეთ...

ილზემ უარი თქვა. უკვე ინტერნატდამთავრებულმა გრეტლ-

შა კი სიამოვნებით შიიღო დის წინადადება. აშით ორივე თავს აღწევდა მკაცრი მამის „დესპოტურ მეურვეობას".

ჰიტლერის განკარგულებითა და ჰოფმანის მზრუნველობით დებმა კარგად მოწყობილი სამოთახიანი ბინა მიიღეს ქალაქის ცენტრში.

ფრიც ბრაუნი ჩქარა რწმუნდება, რომ მისი ქალიშვილი ევა რაიხსკანცლერის ხასაა. იგი ღრმად შეურაცხყოფილია, მაგრამ მაინც არ იღებს ხელს მამის უფლებებზე. არც რაიხსკანცლერის შურისძიებისა ეშინია და ასეთ წერილს სწერს მას:

— დიდად პატივცემულო რაიხსკანცლერო!

მე ძალიან ვწუხვარ, რომ პირადი ამბებით მიხდება თქვენი შეწუხება, სახელდობრ, ჩემი როგორც მამის სადარდელით. თქვენ, გერმანელი ხალხის ფიურერს, სულ სხვა საზრუნავი გაქვთ, ცხადია, უფრო დიდი და მნიშვნელოვანი. მაგრამ რაკი ოჯახი ძირეული, თანაც მტკიცე უჯრედია, რომლისგანაც კარგად მოწესრიგებული და ღირსეული სახელმწიფო წარმოდგება, ჩემ მოვალეობად მიმაჩნია მოგმართოთ თქვენ და გთხოვოთ დახმარება. ჩემი ოჯახი გათიშულია მას შემდეგ, რაც ორი ქალიშვილი ევა და გრეტლი თვითნებურად გადავიდნენ თქვენ მიერ შეთავაზებულ ბინაში. მე კი, როგორც ოჯახის მეთაური, მხოლოდ ფაქტის წინაშე ვარ დაყენებული. ბუნებრივია, რომ მე ადრეც ვუსაყვედურებდი ევას, როცა სამსახურის დამთავრებაზე ბევრად უფრო გვიან ბრუნდებოდა შინ, რადგან, მე ვფიქრობ, რვა საათის განმავლობაში დაძაბულად მუშაობის შემდეგ ახალგაზრდის ჯანმრთელობისათვის აუცილებელია ოჯახურ წრეში დასვენება. გარდა ამისა, მორალის საკითხში მე, ალბათ, ძველებურ თვალსაზრისზე ვდგავარ და, ჩემი აზრით, ქალიშვილებმა მშობლების ბინა და თავშესაფარი მხოლოდ გათხოვების შემთხვევაში უნდა დატოვონ. ასეთია ჩემი გაგება ღირსებისა. ამიტომაც ძლიერ განვიცდი შვილების დაკარგვას და გთხოვთ თქვენ, ფრიად პატივცემულო რაიხსკანცლერო, ხელს კი ნუ შეუწყობთ ჩემი სრულწლოვანი ქალიშვილის ევას მიდრეკილებას თავისუფლებისაკენ, არამედ აიძულეთ იგი დაუბრუნდეს თავის ოჯახს.

უაღრესი პატივისცემით

ფრიც ბრაუნი...

...ევას მამა მოუთმენლად ელოდა ჰიტლერის პასუხს, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ქალაქის მმართველობის განათლების განყოფილებაში გამოიძახა ესესის ობერფიურერმა ბაუერმა და განუცხადა:

— თქვენ შეუფერებელი ბრძანდებით მასწავლებელთა წრისათვის, რადგან პარტიის წევრი არა ხართ. ეს შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს...

ევას მამა მიხვდა, რომ სამსახურს კარგავდა, და ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციაში გაიქცა მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ იქაც იგივე უთხრეს:

— ბატონო ბრაუნ, თქვენ პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება ხართ...

ასე დაკარგა ფრიც ბრაუნმა სამსახურიცა და ქალიშვილიც... სამაგიეროდ ჰიტლერი ზრუნავდა ევა ბრაუნზე. მოფერებით ხან „ჩაპერლს", ხანაც „მოგერლს" უწოდებდა, სუფრასთან წამდაუწუმ ტკბილეულობას სთავაზობდა, უფრთხილდებოდა, თვითმფრინავით მგზავრობის უფლებაც არ აძლევდა. მის მძღოლს უკრძალავდა ორმოც კილომეტრზე მეტი სიჩქარით ეტარებინა მანქანა და ა. შ.

მერე ევა სულ ბერჰსტესგადენში გადასახლდა და „არაკანონიერ მეუღლედ" თუ „კანონიერ ხასად" დაუჯდა თავის ფიურერს. ამის შემდეგ დროსაც უფრო ხშირად ატარებდნენ ერთად და არც რამე უხერხულობას გრძნობდნენ. პირიქით, ევა კმაყოფილი იყო ამით და, ნიშნად ერთგულებისა, იმ „საბედისწერო ჟამს" კიდეც ეახლა ჰიტლერს „ბერლინის აკლდამაში". იგი მთელი დღე დაბორიალობდა თავშესაფრის ლაბირინთებში და ყველას გასაგონად გაიძახოდა:

— ოჰ, ღორები, ნამდვილი ღორები! როგორ მიატოვეს საწყალი ადოლფი! მიატოვეს მარტოდმარტო და გაიქცნენ, თავს უშველეს... დასახვრეტია ყველა, დასახვრეტი!..

ჰიტლერი ნასიამოვნები იყო „ევას სიმტკიცით". ამიტომაც ცალკბად, მაგრამ მაინც სთხოვა წასულიყო ბერლინიდან. „ჯოჯოხეთის დედოფალმა" ეს გამოცდაც დაიჭირა და მასთან დარჩენა არჩია, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, რაც მოელოდა. მისი დღეებიც დათვლილი იყო და იგი ცდილობდა

რიღამე შეევსო მოლოდინის ეს ცარიელი საათები. ზოგჯერ „ბლონდს“ აიყვანდა ზევით, ბაღში გასასეირნებლად, დანარჩენ დროს კი სულ თავის ოთახში ატარებდა. იჯდა სარკის წინ და ნერვიულად იხეხავდა ფრჩხილებს, ივარცხნიდა თმებს, იცვლიდა ტანისამოსს. ამბობენ, ყოველ ორ საათში ახალი კაბითა და თმის ახლებური ვარცხნილობით გამოდიოდა იქიდანო. ალბათ, უნდოდა სიცოცხლესთან ერთად გამოსთხოვებოდა ყველაფერს, რაც უყვარდა, და ამით შეევსო იმ ბნელეთიდან სრულ წყვდიადამდე დარჩენილი. დროის შემზარავი სიცარიელე...

სახალხო სასამართლო...

როგორც ჩანს, ჰიტლერსაც შეგნებული ჰქონდა, თუ რა მოელოდა იმ დანაშაულობათა გამო, რაც ჩაიდინა. ადრე საკონცენტრაციო ბანაკების საშინელებისა და ესესელთა ველური სისასტიკის შესახებ მასთან კრინტსაც ვერავინ დაძრაკდა. ახლა კი, განკითხვის დღე რომ მოახლოვდა, თვითონ ჩამოაგდო ამაზე სიტყვა იოდლთან საუბრის დროს:

— ესესელებზე ამბობენ მხეცებიაო, — დაიწყო მან. მაგრამ თავადაც დიდი ინკვიზიტორის კვალზე შემდგარმა იოდლმა მოიგონა „პური ჩუენი არსობისა“ და სცადა შეერბილებინა ესესელთა დანაშაული:

— არ არის მართალი, ჩემო ფიურერ. ესესი თაფლში მოზელილი პურითა და მათრახით მოქმედებს.

ამ შემთხვევაში ჰიტლერმა დიდ ინკვიზიტორზე მეტი გონიერება გამოიჩინა:

— პურს გვაპატიებენ, ხოლო მათრახს — არა! — თქვა მან.

მერე უფრო გარკვევით უწინასწარმეტყველა თავის თავს:

— მე რომ ცოცხლად ჩავუვარდე მტრებს, სიკვდილსაც არ მაღირსებენ... რკინის გალიაში ჩამსვამენ და ქუჩა-ქუჩა მატარებენ, იქნებ პანოპტიკუმიც მომიწყონ!..

დამალვით კი ვერსად დაიმალებოდა, რადგან დედამიწაზე არ დარჩა ისეთი კუთხე, სადაც იგი შეძლებდა თავი შეეფარებინა. აკი თავის დროზე ჰყავდათ გაფრთხილებული, „ქვეყნის

იქითაც" რომ დაიმალოს, მაინც მოვძებნით და ჯეროვანს მივუზღავთო...

რამდენი ასეთი გაფრთხილება იყო! რუზველტმა საჯაროდაც გამოაცხადა:

— ეს არის ყველაზე შავბნელი დანაშაულობანი, რაც კი ისტორიას ახსოვს... დრო მოვა და ისინი წარდგებიან იმ ხალხთა სამსჯავროს წინაშე, რომელთაც ჩაგრავდნენ და საშინელ დანაშაულს სჩადიოდნენ...

ჩერჩილმაც რამდენიმე ამის მაგვარი განცხადება გააკეთა. მერე ის იჟო, რომ მოსკოვისა და იალტის კონფერენციათა ოფიციალური დეკლარაციებიც გამოვიდა დამნაშავეთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შესახებ. მაგრამ გაგიგონიათ?! ეითომც არაფერი...

ახლა კი სახალხო მსაჯულებს მსოფლიოს ყოველ კუთხეში გამოჰქონდათ მათთვის განაჩენი...

— ჰიტლერი რომ ხელში ჩაგივარდეს, რას უზამდი? — რამდენჯერ დაუსვამთ საბჭოთა ჯარისკაცებს ერთმანეთისათვის ასეთი კითხვა. რანაირ სასჯელს არ იგონებდნენ ისინი ამ ადამიანისათვის, რომლის სახელთანაც ამდენი ბოროტება იყო დაკავშირებული. მეც რამდენჯერ გამიგონია ამის შესახებ! „ნაფიც მსაჯულთა" საუბარი ფრონტზე. რამდენჯერ ჩავბმულვარ კიდეც ამ „სახალხო ტრიბუნალების" შეჯიბრში და მიფიქრია, ნეტავი რა სასჯელის ღირსია-შეთქი იგი. თუმცა ისეთს რას მოვიფიქრებდით ან მე, ან სხვა, რომ მართლაც მისი შესაფერისი ყოფილიყო. ამას დანტეს ფანტაზიაც ვერ მისწვდებოდა. იურისპრუდენცია ხომ სრულიად უძლური იყო ამ შემთხვევაში: დახვრეტა ან ჩამოხრჩობა — აი, უმაღლესი სასჯელი, რაც მას შეეძლო მიესაჯა.

ფრონტელ ჯარისკაცებს კი ერთხელაც არ წამოსცდენიათ ასეთი რამ, ეს ფსიქოლოგიურადაც საყურადღებოა. ამდენი ბრძოლების შემდეგ მათი წარმოსახვა ისე შეეჩვია სიკვდილს, რომ არცთუ ისე დიდ სასჯელად მიაჩნდათ იგი. ან ერთი ადამიანის სიკვდილით დასჯა, მართლაც, რა არის ისეთი, რომ გამოისყიდოს ათეულ მილიონობით უდანაშაულოდ დაღუპულთა სიცოცხლე?! ან იმ ათას ფუთ ბრალდებას სასჯელის რა ზომა შეიძლება შეეფარდოს?!..

... ჩვენს განყოფილებაშიც იმართებოდა „ნაფიც მსაჯულთა“ ასეთი „სხდომები“. აქაც მოქმედებდა და ბჭობდა „სახალხო ტრიბუნალი“:

— რას ვუზამდით?

— ხიშტზე ავაგებდი, მორჩა და გათავდა! — ჩქარობდა სულწასული მარკოვი.

— დიდი ამბავი! — ედავებოდა „პატარა დრუჟნიკოვი“. ეს ყველას შეუძლია, შენ რამე სხვა თქვი.

— სხვა რა ვთქვა, ფეხით დავკიდებდი ხეზე და ქვემოდან ცეცხლს შევუნთებდი, — ამბობდა იგი.

— თვითმფრინავიდან გადმოვაგდებდი და მიწაზე დავახეთქებდი, — თქვა ბრეიმანმა, ალბათ იმიტომ, რომ თვითონ ეშინოდა თვითმფრინავით მგზავრობა...

— მე სულაც არ მოვკლავდი, — ჩაერია საუბარში „დიდი დრუჟნიკოვიც“, — გალიაში ჩავსვამდი, რამე წარწერას გავუკეთებდი და მუზეუმში გამოვაფენინებდი.

— მაინც რა წარწერას? — იკითხა ისევ მარკოვმა.

— რას? — დაფიქრდა დრუჟნიკოვი, — რას და ამას: „მე ვარ ადოლფ ჰიტლერი!“ ამაზე შეურაცხმყოფელი რა შეიძლება იყოს ადამიანისათვის.

— ფანტაზია არა გაქვს, — მიუგო მას პაოლომ. — თუ საქმე წარწერაზე მიდგებოდა, მე დავაწერდი: „რომელმან სთესოს ბოროტი, ბოროტიცა მოიმკოს, ხოლო წყლულებითა საქმენი თუისნი აღასრულოს“.

— სისულელეა ყველაფერი, რასაც თქვენ ამბობთ, — ჩაილაპარაკა თავისთვის ტრაინინმა.

— რატომაა სისულელე?! — გაჯავრდა მარკოვი.

— სისულელეა და იმიტომ!

— ვითომ შენ რას მიუსჯიდი? — ჰკითხა ვიღაცამ.

— შენ ხომ იუდეველთა მოდგმისა ხარ და ყველაზე მძიმე სასჯელიც შენ უნდა მოიგონო, — შეაგულიანა ტრაინინი პაოლომ.

ტრაინინი მაშინვე „მოერგო სიტუაციას“:

— მე თუ იუდეველთა მოდგმისა ვარ, ამად იტყუის ადონაჲ უფალი: აჰა, აღსასრული მოიწიოს... და შეიმუსროს სიმტკიცე უსჯულოჲსა...

— კი მაგრამ როგორ „შეიმუსროს?“ — არ მოეშვნენ „ნაფიცი მსაჯულები“.

— სულიერად და არა ფიზიკურად, — ისევ გაწელა ტრაინინმა.

— მაინც?

— ჰიტლერი უნდა შეიპყრო, რომელიმე სინაგოგაში ჩაკეტო და აიძულო ზეპირად ისწავლოს ებრაული წმიდა წიგნები...

ეს ჩვენ ადრეც გვქონდა გაგონილი, მაგრამ მაინც ყველამ მოვუწონეთ, გარდა „ლოქოსი“, ე. ი. ჩვენი მზარეულისა, რომელმაც თქვა:

— მე ჩარიტას შევრთავდი ცოლად და ის გააგიჟებდა!..

— მე კიდევ მთელი სიცოცხლის მანძილზე შენი ნათითხნი გულიაშის მეტს არაფერს ვაჭმევდი, ამაზე უარესი რა იქნებოდა!.. — „შური იძია“ ჩარიტასათვის ბეგიმ.

— შასსიი, ჭკუის კოლოფო! — დაუდასტურა ჩარიტამ, — სწორი ხარ, ლოქოს გაკეთებული გულიაშის მეტს არაფერს ვაჭმევდი მაგ ღორისშვილს, მაგას, მე კი წინ დავუჯდებოდი და სულ ანტრეკოტებს მივირთმევდი!..

სხვებმაც რაღაც-რაღაცები მოიგონეს, მაგრამ ამაზე არ ღირს სიტყვის გაგრძელება. იმას ვინ მოთვლის, რამდენი წყევლა-კრულვა მისვლია ჰიტლერს გამწარებული მშობლების, ცოლებისა და შვილებისაგან... რამდენ სასოწარკვეთილს შეურისხავს იგი... რამდენჯერ შეუგინებიათ მისი დაბადების დღე... და კიდევ რა... უკვე გერმანელებიც წყევლა-კრულვას უთვლიდნენ „თავიანთ სანუკვარ ფიურერს“, თანამებრძოლებიც აუმხედრდნენ მას... „უსაყვარლესნიც“ კი. ისინი ვერ ითმენდნენ თავიანთი გერმანიის უდაბნოდ ქცევას. მთელი მსოფლიო რომ გადაებუგათ, ეს არაფერი... სამშობლო კი არ ემეტებოდათ და ამიტომ უკვე აღარ მოსწონდათ ჰიტლერი, რომელიც იეღოვას მოციქულივით ახალ წარღვნას უმზადებდა თავის ხალხს...

არც ჰიტლერის ფანატიკური მიმდევრები ამბობდნენ ამაზე უარს. თუ ფიურერი უბრძანებდათ, ისინი საკუთარ კარ-მიდამოსაც ცეცხლს მისცემდნენ. მაგრამ აქა-იქ მაინც გაისმა პროტესტის ხმა... არა მარტო ხალხში, არამედ ჰიტლერის უახლოეს თანამშრომელთა შორისაც კი...

„გადაბუგული მიწის“ კანონით შეშფოთებულმა შპეერმა 18 მარტს მემორანდუმი გაუგზავნა ჰიტლერს, ომი სამხედრო თვალსაზრისით უკვე წაგებულია და ნუ დავანგრევთ ყველაფერს, ნუ მოვუსპობთ გერმანელ ხალხს თუნდაც პრიმიტიული არსებობის საშუალებასო, რაზედაც ჰიტლერმა უპასუხა:

— თუ ომი წაგებულ იქნა, დაიღუპოს ერიც, გერმანელმა ერმა გამოამჟღავნა თავისი უუნარობა. მომავალი კი აღმოსავლეთის უფრო ძლიერ ხალხს ეკუთვნის...

ნიურნბერგის პროცესზე შპეერი ამბობდა:

— ჰიტლერს გადაწყვეტილი ჰქონდა მასთან ერთად მთელი გერმანელი ხალხი დაეღუპა. მან უკვე აღარ იცოდა არავითარი მორალური საზღვარი. ეს იყო ადამიანი, რომლისთვისაც საკუთარი პიროვნების დასასრული ქვეყნის დასასრულს ნიშნავდა...

შპეერი ამტკიცებდა, მე ამას მივხვდი ომის უკანასკნელ დღეებშიო. თითქოს სწორედ ამიტომ ეახლა ჰიტლერს ხელმეორედ და გაუმეორა ომი წაგებულიაო. ჰიტლერმა როგორღაც შეიკავა თავი, მაგრამ მაინც უსაყვედურა თავის „უსაყვარლეს მინისტრს“ იშის გამო, რომ საჯაროდ აცხადებ ომი წაგებულია და ამით ოპოზიციაში ხვდებიო.

— ომი ნამდვილად წაგებულია, ჩემო ფიურერ, — გაუმეორა შპეერმა.

მაშინ კი გაშმაგდა ჰიტლერი და ოცდაოთხი საათის ვადა მისცა შპეერს, რათა შეესრულებინა ბრძანება „გადაბუგული მიწის“ შესახებ ან ისევ გამოცხადებულიყო მასთან სასჯელის მისაღებად.

ოცდაოთხი საათის შემდეგ შპეერი მართლაც გამოცხადდა ჰიტლერთან და გადასცა ახალი მოხსენებითი ბარათი, სადაც იგივე ეწერა. გაგულისებულმა ჰიტლერმა უბრძანა გადამდგარიყო.

შპეერმა ამაზედაც უარი თქვა:

— არა, ჩემო ფიურერ, ვერ გადავდგები. ამ გაჭირვების ჟამს ჩემი მოვალეობაა ადგილზე დავრჩე. გარწმუნებთ, რომ თქვენ შემდეგშიც შეგიძლიათ დამენდოთ მე...

ინციდენტი ამით ამოიწურა. ამბობენ, შპეერმა მართლაც მიიღო ზომები უაზრო ნგრევის შესაჩერებლადო. თითქოს ბრძანებაც გამოუშვა მოეკლათ გაულაიტერი, რომელიც აფეთქების განკარგულებას გასცემდა. მაგრამ, რომ ვერაფერს გახდა...

არავინ იცის, ნამდვილად ასე იყო თუ არა. ის კი ფაქტია, რომ მან სენსაციური განცხადება გააკეთა ნიურნბერგის პროცესზე:

— ამის შემდეგ გადავწყვიტე მომეკლა ჰიტლერი. მე მინდოდა ვენტილაციის სისტემაში შხამიანი გაზი გამეშვა და ამომეხრჩო ყველა, ვინც იქ იმყოფებოდა...

ეს მან ვერ შეძლო, რადგან გამოირკვა, რომ თავშესაფრის აშენების დროს ჰიტლერის პირადი მითითებით სათადარიგო მილები გაეყვანათ, რაც უვნებელყოფდა ამგვარ თავდასხმას.

— ჰიტლერი ამით გადარჩა მოწამვლასო, — თქვა შპეერმა.

მანამდე ნიურნბერგში ამაზე არაფერი თქმულა. როგორც ჩანს, არც ბრალმდებლებმა იცოდნენ რამე. თვითონ შპეერმა კი ასე განაცხადა:

— ადრეც მინდოდა ეს მეთქვა, მაგრამ ძნელი იყო ჩემთვის. დღეს კი გადავწყვიტე და ვთქვი კიდეც...

ამან ისე გააცეცხლა გერინგი, რომ „ადგილზე დასაბმელი" გახდა. ნაშუადღევს იგი პირდაპირ ეცა შპეერს ციხის სასადილოში და უყვირა, ასეთი რამ როგორ თქვი ღია სხდომაზეო. ერთმანეთი ლაზათიანად ლანძღეს და აგინეს, საქმეში სხვებიც ჩაერივნენ. ზოგი გერინგს მიემხრო, ზოგიც — შპეერს. მერე იმ „კრაზანების ბუდეში" საქმე ისეთ ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა, რომ რეზინის ხელკეტებით შეიარაღებულ სამხედრო პოლიციელებს მოუხდათ მათი გაშველება.

გერინგი კი მაინც ყვიროდა:

— უჰ, ეს გამოტვინებული შპეერი! როგორ თქვა ასეთი რამ თავისი ტილიანი კისრის გადასარჩენად?! ღმერთო მაღალო. მე კინაღამ დავიწვი სირცხვილით მის მაგივრად... თავდასხმა ჰიტლერზე!.. უჰ, მე შენი...

... ტრიბუნალის სხდომებზე არც ერთი მხარე არ დაინტერესებულა იმით, მართლაც უნდოდა შპეერს მოეწამლა ჰიტ-

ლერი. თუ, გერინგის თქმისა არ იყოს. „თავისი ტილიანი კისრის გადასარჩენად“ მოიგონა ეს. პროცესის დროს სხვებიც აცხადებდნენ, დროზე უნდა მოგვეკლა ჰიტლერიო. ხმებიც დადიოდა ახალი შეთქმულების შესახებ: ვიღაც-ვიღაცები ცდილობენ ჰიტლერი მოიტაცონ და ცოცხლად მიჰგვარონ გამარჯვებულ სახელმწიფოებსო...

გულში ვის რა ედო, არავინ იცის. ფაქტი ის არის, რომ 20 ივლისის შემდეგ ჰიტლერზე თავდასხმა არ მოუწყვიათ. ისე კი მკვდრის ხელახლა კედელთან დაყენებას ბევრი იქადდა, ბევრიც „ნანობდა“, თავის დროზე რომ არ გააკეთა ეს.

ჩვენში ამბობენ, ბალს როცა კანი სძვრება, მაშინ უნდა გააძროო. ზოგიერთი ბრალდებული გვიან მიხვდა ამას. ერთ-ერთი საუბრის დროს ციხის ექიმმა ჯილბერტმა ჰკითხა ფრანკს, რაში სცნობთ თავს დამნაშავედო. ფრანკმა უპასუხა:

— იმაში, რომ გატაცებული ნაცისტი ვიყავი და თავის დროზე არ მოვკალი ჰიტლერი. ყოველ ჩვენგანს უნდა მოეკლა იგი!..

ცხადია, ახლა ასეთი ლაპარაკი ადვილი იყო, მაგრამ რაღა ფასი ჰქონდა მას. ან კიდევ — „რკინის გალიაში ჩასმული“ გერინგის მუქარას:

— ოჰ, ერთი ის ჰიმლერი მომცა აქ, მე მას ხუთ წუთში მივახრჩობდი, აი, ამ ხელებით!

მერე ბორმანსაც „მისწვდა“: მე რომ ძალაუფლება ამეღო, ბორმანს მაშინვე მოვსპობდიო.

— კი მაგრამ, როცა ჰიმლერი და ბორმანი ცოცხალი იყვნენ, მაშინ სად იყო თქვენი ვაჟკაცობაო, — ჰკითხა ირონიულად ჯილბერტმა.

გერინგმა შეუბღვირა:

— მერე ამით რა შეიცვლებოდა. მე რომ ხმა ამომეღო, ან ჰიმლერი მომსპობდა, ანდა ჰიტლერი გადამაყენებდა, ჩემს ადგილას კი კესელრინგს ან მილჰს დანიშნავდნენ და ისევ ისე გაგრძელდებოდა ყველაფერი!..

კაიტელიც კი ასე „იმართლებდა“ თავს:

— განა ყველაფერი მომწონდა. რასაც ჰიტლერის განკარგულებებით ვაკეთებდი, მაგრამ ბრძანება ბრძანებაა! მე იძულებული ვიყავი დოკუმენტები შემედგინა და ხელიც მომეწერა.

— რომ არ შეგედგინათ, რა მოხდებოდა? — ჩაეკითხა ჯილბერტი.

— ასეთი შემთხვევაც იყო და ჰიტლერი დამემუქრა კიდეც.

— რით დაგემუქრათ?

— რომ დოკუმენტის შედგენას სხვას დაავალებდა.

ხედავთ?! მაშინ ესეც არ უნდოდათ, მერე კი მუშტს უღერებდნენ მკვდრებს, ცდილობდნენ ყველაფერი „იმ გიჟი ეფრეიტორისათვის" გადაებრალებინათ. „რესპექტაბელურ დამნაშავეთაგან" ერთი მხოლოდ გერინგი იცავდა ფიურერის ღირსებას, მაგრამ ისიც ცალყბად. გერმანელებს, რომლებიც პროცესზე ჰიტლერის წინააღმდეგ მოწმეებად გამოდიოდნენ, იგი „მოღალატეებს" უწოდებდა. ყველაზე უფრო კი ის აცოფებდა, ესესისა და გესტაპოს ყოფილი ხელმძღვანელები რომ ყვებოდნენ თავიანთი ფიურერის დანაშაულზე და თითს სულ ბრალდებულებისაკენ იშვერდნენ.

ტრიბუნალისათვის კი სურათი ნათელი იყო: ვიდრე ძალაუფლება ხელთ ჰქონდათ, ყველანი ერთმანეთს ედგნენ მხარში, ხოლო, ურემი რომ გადაბრუნდა, მერე ვითომ „სწორი გზაც" იპოვნეს. ეს ისე პაროდიულად ჟღერდა პროცესზე, რომ ციხის სასადილოში ფრანკმა უთხრა გერინგს:

— ყოჩაღ, ჰერმან! აქ ისე კარგად ლაპარაკობ, რომ ვთიქრობ უმჯობესი იქნებოდა ორიოდე წლის წინ ჩაესვით ციხეში!..

გერინგს კი სულაც არ უნდოდა „მკვდრების ცოდვაც" თვითონ ეკისრა. ამიტომაც წყდებოდა გული, რომ საბრალდებო სკამზე ვერ ხედავდა „სხვებს", რომელთაც, მისი აზრით, „მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ". უთხრა კიდეც ჯილბერტს:

— ოთხი კაცი არ არის აქ: ჰიტლერი, ჰიმლერი, ბორმანი, გებელსი... ჰო, ჰაიდრიხიც — ესეც მეხუთე! ეს პატარა ღორი ვისლიცენი კი აქ იმიტომ ჩანს დიდად, რომ აიხმანი არაა...

იმ ექვსიდან ერთი მოკლეს, სამმა თავი მოიკლა, ორი, კი — ბორმანი და აიხმანი — ფაზო-ფაზოდ დაიკარგა. ბორმანს, მოგიხსენებათ, დღემდე დაეძებნა. აიხმანი კი თხუთმეტ წელიწადს იმალებოდა. სახეს და დოკუმენტებს იცვლიდა, კონსპირაციის ათასგვარ საშუალებას მიმართავდა, მაგრამ 1960 წლის 11 მა-

ისს მაინც მოიხელთეს კალიფორნიაში, იქიდან იზრაილში ჩაიყვანეს და ჩამოახრჩვეს...

გერინგი ნაგვიანევად ემიჯნებოდა მათ. ადრე კი თვითონ აძლევდა მითითებებს გესტაპოსა და საკონცენტრაციო ბანაკების ადმინისტრაციას. როცა ჯილბერტმა ამაზე ჩამოუგდო სიტყვა, გერინგი ისევ გაბრაზდა:

— იცით რა, — თქვა მან, — თქვენ შეიძლება დაიჯეროთ, შეიძლება არა, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ მე არა ვარ ასეთი შემაძრწუნებელი (grausam) კაცი, არც არასდროს ვყოფილვარ. მკაცრი კი, რა თქმა უნდა, ვიყავი, მაგრამ ქალებისა და ბავშვების დახოცვა?! ღმერთო, როგორ აკეთებდნენ ამას!..

პირზე მაინც ჰიმლერი, ჰაიდრიხი და აიხმანი ეკერა. თავის ანტისემიტობასაც უარყოფდა... ვიღაც ებრაელ მუსიკოსს ასახელებდა, ჩემი მეგობარი იყოო. თავისი შტაბის უფროსი მილჰიც გაიხსენა. იმაზე კი არაფერი უთქვამს, ებრაელი მილჰის „არიელი დედა" რომ აიძულეს ფიცის ქვეშ ყალბი დოკუმენტი შეედგინა, ფელდმარშალი ჩემი უკანონო შვილიაო...

„კანონიერი" მამა კი, რა თქმა უნდა, წმინდა სისხლის არიელი იქნებოდა...

ებრაელთა გეტოები რომ უხსენეს, გერინგი მოიღუშა. მერე ერთი თათბირის ოქმიც წაუკითხეს, სადაც იგი ეუბნება „იმ ჭუჭყიან ღორს" ჰაიდრიხს:

— ჩემო ძვირფასო ჰაიდრიხ! თქვენ მოგიხდებათ გეტოების გახსნა...

გეტოებს საკონცენტრაციო ბანაკები მოჰყვა, ხოლო შემდეგ — ყოველივე ის, რაც დღემდე შიშსა და ძრწოლას იწვევს მთელ მსოფლიოში...

ტოტია მგლის ამბავი...

ყველაზე შემზარავი კი ჰიტლერის უკანასკნელი გადაწყვეტილებები იყო, მისი ცდები, რომ მთელი გერმანელი ხალხი შეეწირა მსხვერპლად ნაციონალ-სოციალიზმის განადგურებული იდეებისათვის. ნიურნბერგის პროცესზე ბრალდებულმა ფრიჩემ განაცხადა:

— ჰიტლერმა სცადა გერმანიის დამარცხება გერმანელი ხალხის თვითმოსპობად ექცია!..

ჰიტლერი არც მალავდა ამას. მისი სიტყვებია:

— ამ ომის შემდეგ ცოცხალი არ უნდა დარჩეს არც ერთი გერმანელი და მაშინ მომავლის ისტორია უფრო დიდი ინტერესით მოეკიდება საკითხს, თუ როგორ დაიღუპა გერმანელი ერი...

ისტორიას ახსოვს ასეთი ისტერიული განცხადებები:

— ჩემი სიკვდილის შემდეგ თუნდაც მთელი ქვეყანა გადაიბუგოს, — უთქვამს იმპერატორ ტიბერიუსს.

— თუნდაც ჩემს სიცოცხლეშივე!.. — დაუმატებია ნერონს.

მერე ამ სენტენციის ახალი ვარიაცია მარკიზის ასულმა პომპადურმა მისწერა ლუდოვიკო მეთხუთმეტეს:

— ჩვენ შემდეგ თუნდაც წარღვნა მოსულა!..

მაგრამ არც ერთი დესპოტის სიკვდილს არ გამოუწვევია მსოფლიო წარღვნა... პირიქით, თვითონ ისინი შთანთქა ცეცხლმა და გეჰენიამ.

იგივე ბედი ელოდა ჰიტლერს.

იგი ტყვია-წამლის კასრზე იჯდა და არ იცოდა რა წამს აფეთქდებოდა. სამაგიეროდ ამას გრძნობდნენ მისი უახლოესი თანამშრომლები და... ბერლინის თავშესაფარში რაღაც ამერიკული დუელის მსგავსი სცენა გათამაშდა.

ძველებური „ამერიკული დუელის“ დროს მოწინააღმდეგენი ტყვია-წამლით სავსე კასრთან დგებოდნენ და პატრუქს ცეცხლს წაუკიდებდნენ. ალი თანდათან უახლოვდებოდა კასრს. დუელანტები ელოდნენ და... რომელიც პირველი გაიქცეოდა, დამარცხებულადაც ის ითვლებოდა.

ცეცხლის ალი რომ ბერლინის თავშესაფარს მიუახლოვდა, ბევრის ნერვებმა ეს ვერ აიტანა და... ზოგი სამხრეთისაკენ გაეშურა, ზოგმა სამოქალაქო ტანისამოსი გადაიცვა და ლტოლვილებში მიიმალა. გერინგი კარინჰოლიდანაც აიბარგა. თექვსმეტმა საბარგო მანქანამ ძლივს წაზიდა მისი სიმდიდრე. ჰიმლერის პირადი მატარებელიც განერიდა „ბერლინის ჯოჯოხეთს“. მსუბუქი მანქანების უკანასკნელი კოლონები ტოვებდნენ ცეცხლსა და კვამლში გახვეულ ქალაქს...

...იმ დღეს სხვაც ბევრი წავიდა ბერლინიდან, მათ შორის ჰიტლერის პირადი ექიმი მორელი. სანამ მსხვილი დაწვრილდება, წვრილს სული დაელევაო, იფიქრეს და მიატოვეს თავიანთი ფიურერი.

— წადი, მე უკვე აღარ მჭირდება შენი წამლები! — უთხრა მას ჰიტლერმა.

სხვის სულგრძელობას ბერლინის პარტიულმა მეთაურებმაც თავიანთი დღეგრძელობა არჩიეს და წავიდნენ. გერინგის წარმომადგენელი კოლერიც მათ გაჰყვა. ბორმანი და გებელსი ისევ დარჩნენ. ქალაქს თვითმკვლელობის ეპიდემია მოედო. მორიელებს რომ ცეცხლის რკალი შემოერტყმებათ, შხამიან კუდს მოიქნევენ, ისარს თავში დაიკრავენ და კვდებიან. მერე ეს სენი ისე გავრცელდა, რომ ჰიტლერმა სპეციალური ბრძანებითა და დახვრეტის მუქარით აუკრძალა. გერმანელებს თავის მოკვლა(!).

ვიღაცამ უთხრა ჰიტლერს, ქ. ლაიფციგის მერმა ჯერ ცოლშვილი დახოცა და მერე თავიც მოიკლაო. ეს გებელსების ოჯახის მომავლის შეხსენებაც იყო. ჰიტლერს ჯერ რაღაც მტანჯველმა ფიქრმა მოუღრიცა სახე, მერე კი მაინც მტკიცედ წარმოთქვა:

— ეს უაზრობაა, მხდლური გაქცევა მოვალეობისაგან!

გებელსს ვითომ არც გაუგონია მისი ნათქვამი. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა თავს იკლავდა, არც ჰიტლერს გახსენებია, რომ „ეს უაზრობა“ იყო...

...იმ ღამეს ჰიმლერი და შელენბერგი უკანასკნელად შეხვდნენ ბერნადოტს შვეციის საკონსულოში. შელენბერგი „გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას“ სთხოვდა ჰიმლერს: ჩადი ბერლინში და მოწამლე ჰიტლერიო. ჰიმლერი ვერ ბედავდა ამას, დავიცადოთ რამდენიმე დღე და მას ისედაც მოეღება ბოლოო.

ჰიმლერის გარდა სხვაც ბევრი უცდიდა ამას. დასასრულის წინ ურთიერთნდობა დაკარგული ჰქონდათ და ეჭვის თვალით უყურებდნენ ყველაფერს. ზოგიერთები აშკარად მგლებივით უღრენდნენ ერთმანეთს და კბილებს ილესავდნენ: ბორმანს გერინგის ტყავის დაგლეჯა უნდოდა., გერინგს — ბორმანისა.

ჰიმლერი ჯერ გერინგს უპირებდა „კბილის გასმას". მერე — ჰიტლერსაც. გერინგი ბორმანსა და რიბენტროპს უღრენდა, შპეერი — გებელსს, ყველა ერთად კი უცდიდა... ჰიტლერის სიკვდილს, და თუ ეს სახიფათოდ გაჭიანურდებოდა, მზად იყვნენ მისთვისაც ყელი გამოეღადრათ. ისეთი ამბავი იყო, ვაჟას რომ აქვს აღწერილი...

... მთელი კვირა დაწანწალებდნენ შიმშილით დაოსებული მგლები ტყეში, მაგრამ ვერაფერი მოინადირეს... მერე ერთ კურუმს გორაზე შეგროვდნენ და ყმუილი მორთეს... შიოდათ, ძალიან შიოდათ და კბილებს აკაწკაწებდნენ, თან ერთმანეთს ათვალიერებდნენ და ნატრობდნენ, ერთს მეორის ტანზე ერთი წვეთი სისხლი მაინც შეენიშნა, რომ ამით საბაბი მისცემოდათ დასძგერებოდნენ და თავისი თანამოძმე ლუკმა-ლუკმა დაეგლიჯათ...

იყვნენ ასე დაყუნტულნი და თათბირობდნენ თარეშზე, ლაშქრობაზე, ფარეხის გატეხაზე... ცხვრებზე... ამის მოგონებაზე დაღებული, ცეცხლით ანთებული ლაშები უფრო დააღეს და ნაკვერჩხლებად გამოაჩინეს დიდრონი კბილები... მერე აიშალნენ იმ იმედით, რომ სისხლით გაძღებოდნენ, და თავქვე დაეშვნენ სოფლისაკენ. წინ მოხუცი მგელი ტოტია ჩაუძღვათ, წალიკი დააკრეს გორის პირს, ჩამომწკრივდნენ... მაგრამ დახეთ, რომ ბედმა უმუხთლათ!

სიბნელის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ცოტათი შენიშნეს, რომ აღმოსავლეთით ცის პირი ნათდებოდა. ყველანი შეჯგუფდნენ ერთად და მიაპყრეს იქით თვალები...

ცოტა ხნის შემდეგ მთვარემ წვერი ამოჰყო და გაანათა ტყე, მთა, ბნელი კუნჭულები... შეჯგუფებული მგლები ბრაზმორეულნი იძახდნენ: „ამოდის, ამოდის, ნათდება!.." მთვარისაკენ მიპყრობილი თვალებიდან ზიზღის, სიძულვილის, სისხლის ძიების ისრები იყო გაძაფული...

მთვარე კი ამოდიოდა ზევით და ზევით. ამომაღლდა ცაზე, გაანათა ტყეში ხისა და კლდის ძირები, ბნელი ხევები, აგრეთვე გაანათა სოფლად ბნელი კუნჭულები ციხე-კოშკებისა და ძველთა შენობათა ნანგრევებისა, სასაფლაოს შავ ქვებს თავისი სხივის სანთელი დაუნთო... გაცრუვდა ყოველი იმედი დავლი-

სა, ეარეშობისა. დღის სასწორი ღამეა. რაღა ქნახ? იმედი გადაუწყდათ, სასოება დაკარგეს, ერთმანეთს დაუწყეს თვალიერება: ფიქრობდენ, არჩევდენ ვინ არის ჩვენში სახარჯი, შესაჭმელიო. ერთი მზად იყო მეორეს დასძგერებოდა და შუაში გაეგლიჯა. მოხუცი ტოტია თავპირდასისხლიანებული ჯაგს უკან ეყუნთა, ფიქრებში იყო გართული...

— ტოტიავ, ეი, არ გესმის?! რას გარინდებულხარ, ვერა ხედავ რა ამბავია? ვიღუპებით შიმშილით, ლამის მგლის ნათესაობა, ჯილაგი გაწყდეს პირისაგან ქვეყნისა. რასა წერს შენი კარაბადინი, ბიძიავ? — უთხრა მას ერთმა მგელმა და თან ტოტი გაუქნია თავში.

— რას სჩადი, შე ბრიყვო, შე გაუზრდელო ვირო? — თქვა წყრომით მოხუცმა მგელმა.

სხვა მგლებმაც ყურები აცქვიტეს, იგრძნეს საქმის ვითარება.

— ჰოდა რა?! — იღრიალა ყველამ ერთად, — ძალიან კარგად გიშვრება, შენისთანა ბრიყვზე ერთი ტოტის დაკვრა კიდევაც ცოტაა. კბილი გაუსვით მაგას, კბილი!

დიდხანს-აღარ აცალეს და თათებს კბილებიც მიაშველეს.

ერთ წამში გათავდა ტოტიას სიცოცხლე. ლეშთან ერთად გათავდა მისი სულიც, ბეწვიც აღარსად ეგდო იმის მრავალტანჯულის ტყავისა... მგლებს გული დაუმშვიდდათ, მაგრამ კიდევ შიოდათ. შეხედეს ერთმანეთს, შეეშინდა ერთს მეორისა, ალბათ იმიტომ, ახლა მე არ შემჭამოსო, შეეშინდათ და დაფრთხენ. ერთი მეორეს გაურბოდა ჯაგიანებში...

მთვარე კი ამოვიდა, ამოცურდა მაღლა, თითქოს შუა ცაზე, ნათლად კაშკაშებდა და იქითკენ, როგორც დარაჯი, უფრთხობდა ქვეყანას მტერსა...

მგლები კი გარბოდნენ უგზო-უკვლოდ ტყეში და ყველას პირზე ეკერა:

— განათდა, განათდა!..

ბ ა ნ გ ა ს ი...

ვისთვის განათდა, ვისთვის დაბნელდა! „სანუკვარი აპრილის“ ფურცლები თანდათან მოაკლდა კალენდარს, გარდატეხა კი არსად ჩანდა. ჰოროსკოპებიც დუმდნენ. ბერლინის ცენ-

ტრში უკვე საბჭოთა არტილერიის გრიალი ისმოდა... ამით შეძრწუნებულმა ჰიტლერმა საჰაერო ფლოტის შტაბის უფროსს კოლერს დაურეკა:

— იცით თუ არა, რომ რუსების არტილერია ფურტყამს ქალაქის ცენტრს?

— არა, არ ვიცი! — უპასუხა კოლერმა.

— განა აფეთქების ხმა არ გესმით?

— არა, მე ვალდეპარკ-ვერდერში ვარ!

— ჯავშნოსანი მატარებელი უნდა იყოს. უბრძანეთ ავიაციას ახლავე ჩააჩუმონ, თორემ ქალაქში პანიკაა, — გასცა განკარგულება ჰიტლერმა.

სინამდვილეში ჯავშნოსანი მატარებელი კი არა, საველე არტილერია ურტყამდა ბერლინის გარეუბან ცოსენს. სადაც ჰიტლერული არმიის გენერალური შტაბი იმყოფებოდა...

...იმ დღეს გენერლები უკანასკნელად შეიკრიბნენ შტაბის უფროს კრებსის კაბინეტში...

— ნახევარი საათის შემდეგ ისინი შეიძლება აქ იყვნენ! — თქვა ვიღაცამ.

ამ არასასიამოვნო ცნობამ ყველას ერუანტელი დაუარა.

საჭირო გახდა სწრაფი ევაკუაცია, გაქცევა, თავის დაღწევა... კრებსი ტელეფონს ეცა და ჰიტლერს დაუკავშირდა. სახეზე ჭირის ოფლი გადასდიოდა, როცა მას უსმენდა. მერე ყურმილი დადო და გაფითრებულმა გამოუცხადა გენერლებს:

— ფიურერი არ იძლევა ევაკუაციის ნებას!..

ატყდა პანიკა. ყველას ტყვეობა ემუქრებოდა. მაგრამ საბჭოთა ტანკები რატომღაც შეჩერდნენ. ალბათ, ბრძოლაში რეზერვების ჩაბმა იყო საჭირო. დრო კი დაიკარგა. ამასობაში ჰიტლერიც გონს მოეგო და განკარგულება გასცა, რომ მოეხდინათ გენერალური შტაბის ევაკუაცია პოტსდამში.

ერთ საათში უკვე ყველა გაქცეული იყო. თავშესაფარი და კავშირგაბმულობის მოწყობილობანი არ აუფეთქებიათ, ამისათვის გიღას სცხელოდა. ეტყობა, გერმანელ ინჟინრებსაც დაეწანათ ძვირფასი მოწყობილობის განადგურება და, როცა ჩვენები იქ შევიდნენ, ასეთი წარწერა დახვდათ:

— Золдати, не порчаите, это хороши подарок вам...

...ევაკუირებული გენერალური შტაბის ეშელონი გზაში გაიხიდა. ბერლინის შოსე ლტოლვილებით იყო გაჭედილი. გზის გაკაფვა გაძნელდა. მერე წინ ტანკები გაუშვეს და, როგორც იქნა, მიაღწიეს პოტსდამამდე, მაგრამ აქ მათ არაფერი ჰქონდათ გასაკეთებელი: „დიდი იმპერია“ უკვე აღარ არსებობდა. ელბის, ნოისესა და ოდერის გასწვრივ საბჭოთა ჯარებს მხოლოდ ვიწრო ზოლი ყოფდა ამერიკელებისაგან. ინგლისელები ჰამბურგსა და ბრემენში შევიდნენ, ფრანგებმა ზემო დუნაის მიაღწიეს, იტალიაში ბოლონია დაეცა, ავსტრიაში — ვენა. განრისხებულმა ჰიტლერმა თავის „უსაყვარლეს გენერალსა და მეგობარს“ ზეპ-დიტრიხს ღირსება აჰყარა და სულ მთლად მოიშორა. მისი დივიზია „ლაიბ-შტანდარტ ადოლფ ჰიტლერი“ უკვე აღარ არსებობდა. გენშტაბის შეშინებულ გენერლებსა და ოფიცრებს ისღა დარჩათ, რომ დამოუკიდებელი ნაწილები შეექმნათ და ებრძოლათ როგორც რიგით ჯარისკაცებს...

...ჰიტლერი კი ჯვრ კიდევ ანუგეშებდა თავის თავსაც და სხვებსაც, გენერალ ვენკის არმია მოდისო ბერლინის გასათავისუფლებლად. რამდენიმე დღის წინ მან პირადად დანიშნა ვენკი „არმიის“ სარდლად.

— ვენკ, მე თქვენ გაბარებთ გერმანიის ბედს! — უთხრა უკვე არარსებული ვეერმახტის უმაღლესმა მთავარსარდალმა გაოცებულ გენერალს.

ესეც უხეიროდ დადგმული ფარსი იყო: სარდალი კი დანიშნა, მაგრამ არმია აღარ არსებობდა. ამ არმიაში შემავალ დივიზიებს მხოლოდ ნომრები შერჩენოდათ, „პირად შემადგენლობაში“ კი თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ბიჭები იყვნენ. ისინი პირველი შემოტევისთანავე დაიფანტნენ და გენერალი ვენკი მარტო რას გახდებოდა!..

თავგზააბნეული ჰიტლერი კი ისევ კოლერს ეცა:

— გერინგს კარინჰოლში პირადი დაცვის მთელი არმია ჰყავს. ახლავე გაგზავნეთ ფრონტზე ყველანი!

ეს, ეტყობა, ბორმანის დაბეზღება იყო.

— იქ არავითარი არმია არ არის, ჩემო ფიურერ! — უპა-

სუხა კოლერმა. დივიზია „ჰერმან გერინგი“ უკვე გასულია ხაბრძოლო პოზიციებზე.

მაშინ ჰიტლერმა უბრძანა მფრინავებისაგან ქვეითი შენაერთი შეედგინა და ფრონტზე გაეგზავნა. იგი გერინგის ჯავრს კოლერზე იყრიდა. არც გერინგი იყო ისე ყურადხშული, რომ ეს არ სცოდნოდა, მაგრამ ყველაფერს ბორმანს აბრალებდა. ეშინოდა კიდეც მისი. ბერჰტესგადენში მან ჰკითხა კოლერს:

— თუ იცით, ჰიტლერმა ბორმანი ხომ არ დანიშნა თავის მემკვიდრედ?

კოლერმა ეს არ იცოდა.

— ბორმანი ჩემი მოსისხლე მტერია, — თქვა გერინგმა, — სულ იმას ცდილობს როგორმე დამმარხოს, მაგრამ რა ვქნა? გავაკეთო რამე — ჰიტლერი მოღალატეს შემარქმევს, არ გავაკეთო — უქნარას!..

„რამის გაკეთება“ კი დასავლეთის სახელმწიფოებთან სეპარატული ზავის დადებას ნიშნავდა. გერინგს ეგონა, რომ იგი ყველაზე შესაფერისი იყო ამ საქმისათვის, რადგან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ინგლისისა და ამერიკის მსხვილ მრეწველებთან. თავიც ამიტომ მიაჩნდა ჰიტლერის „ერთადერთ მემკვიდრედ“ იმ შემთხვევაში, თუ...

მაგრამ „იმ შემთხვევას“ სხვებიც უცდიდნენ: ჰიმლერი, ბორმანი, რიბენტროპი და ვინ იცის კიდევ ვინ. თუმცა დაბნეული იყვნენ, მაინც ყველა თავისკენ ექაჩებოდა ბაწარს... ფიურერის „ერთგული ჰაინრიხიც“ კი, რომელსაც უკვე იმის თავი აღარა ჰქონდა „გერმანელი ხალხის ბიოლოგიური სუბსტანციის“ საკითხები ეკვლია და სულ მისტიკაში გადავარდა. იგი წამდაუწუმ ჰოროსკოპების ცნობებს თხოულობდა, მერყეობდა, ფიურერის ერთგულებაც უნდოდა და თავის გადარჩენაც. შიშისაგან ისე მოტყდა, რომ სხვისი რჩევის გარეშე ერთი ნაბიჯიც არ შეეძლო გადაედგა. ასეთ „მრჩევლად“ კი თავისი თანამშრომელი შელენბერგი და შვერინ-კროზიკის ჰოროსკოპები მიაჩნდა.

ერთხელ იგი შელენბერგთან ერთად მივიდა კროზიკთან და ჰკითხა:

— რას უჩვენებენ ჰოროსკოპები, როგორ შეიძლება დასავლეთის სახელმწიფოების მეთაურებს დავუკავშირდეთ?..

კროზიკმა მაშინვე „ახსნა“ ჰოროსკოპების კარნახი:

— რომის პაპის, სალაზარის ან წითელი ჯვრის საშუალებით.

ჰიმლერი შეყოყმანდა.

— არა, ეს არ შეიძლება, — თქვა მან: — მე ფიცი მაქვს მიცემული ჰიტლერისათვის, იმას კი ჯერ კიდევ აქვს იმედი!..

— დროა ამ ილუზიებს თავი დაანებოთ! — გაუბედა კროზიკმა „იმ სანგვინიკურ ტიპს“.

შელენბერგმა მხარი დაუჭირა კროზიკს. ჰიმლერი დაფიქრდა. ერთხანს აღელვებული ბოლთასა სცემდა ოთახში, მერე შეჩერდა, თავისებური საზეიმო პოზა მიიღო და დაიძახა:

— მოიტათ შამპანური! ხვალ ჩვენი ფიურერის დაბადების დღეა!

ჰიმლერი ისევ თავისი ფიურერის „ერთგული ჰაინრიხი“ იყო!..

...ოც აპრილს ცუდი დაბადების დღე გაუთენდა ჰიტლერს. საბჭოთა ტანკები შეიჭრნენ ორანიენბურგში და პირდაპირ ბერლინისაკენ აიღეს გეზი. ქალაქში განუწყვეტლივ ისმოდა საგანგაშო სირენების ზრიალი. „ციტადელის“ გარეუბნებს საბჭოთა მოტომექანიზებული ნაწილები მოადგნენ. შეშინებული მოსახლეობა სარდაფებში ჩაძვრა. მხოლოდ თითო-ოროლა გაბედული ბერლინელი თუ გადასწევდა ფრთხილად ფარდას და უყურებდა როგორ მიემართებოდნენ „რკინის ურჩხულები“ ბერლინის შუაგულისაკენ...

იმ დღეს გერმანიას ჩვეული ზეიმით არ აღუნიშნავს ჰიტლერის დაბადების 56 წლისთავი. არც გუსტავ ვილჰაუზს შეუწირავს 56 ტყვე მსხვერპლად თავისი ფიურერისათვის. ქალაქის მოსახლეობა, რომელიც სარდაფებსა და მეტროებში იყო „ჩამარხული“, ადიდებდა კი არა, მწარედ წყევლიდა ჰიტლერის დაბადების დღეს! ხოლო თავშესაფარში მაინც გათამაშდა რაღაც საზეიმო განწყობილების პაროდია. ბერლინში დაბრუნდნენ და ფიურერს დაბადების დღე მიულოცეს გერინგმა, ჰიმლერმა, რიბენტროპმა და „ადგილობრივმა მობინადრეებმა“ გებელსმა და ბორმანმა.

ისე იქცეოდნენ, ვითომ არაფერი. რადიოთი გამოვიდა გებელსი და ილაპარაკა თემაზე: „ჩვენი ჰიტლერი“.

— ჰიტლერი საუკუნის ადამიანია (Mann des Jahrhunderts), ჩვენი დროის ერთადერთი ღირსეული წარმომადგენელი, ჭეშმარიტად განუზომელი (säkularen) სიდიადის პიროვნება, რომელიც ბოლომდე მტკიცედ მიჰყვება ერთხელ არჩეულ გზას...

გებელსის გამოსვლას თავშესაფარშიც ისმენდნენ. ყველას „ამაღლებული განწყობილება“ ჰქონდა, მაგრამ გუნება სულ უბრალო ამბავმა გაუფუჭათ. რიბენტროპის წარმომადგენელმა ჰაველმა ქალაქში ნაპოვნი „მფრინავი ფურცელი“ შემოიტანა და წაიკითხა. ომის შემდეგ ჰაველი ამბობდა, რომ ამან უფრო საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე საბჭოთა ტანკების შემოჭრამ ბერლინის გარეუბნებშიო. ისედაც მოშხამული „ზეიმი“ სულ ჩაუმწარდათ.

მერე „ახალგაზრდობის ბელადი“ აქსმანი მოვიდა და დაბადების დღეზე ჰიტლერს საჩუქრად უძღვნა „1929 წელს დაბადებული ახალგაზრდები“, რომელთაც „ისურვეს მოკვდნენ ფიურერისათვის“. ჰიტლერს გული აუჩუყდა. იგი ლასლასით აჰყვა აქსმანს იმპერიის კანცელარიის ეზოში, სადაც ამ „მსხვერპლად შეწირული“ თხუთმეტი წლის ბიჭების წარმომადგენლები იყვნენ გამწკრივებულნი. მან ძლივს ჩამოუარა ახალწვეულთა რიგებს და აკანკალებული ხელი ჩამოართვა ყველას.

— ჰაილ ჰიტლერ! — დაიწრიპინეს უწვერულვაშო ბიჭებმა.

ეს იყო ჰიტლერის მიერ უკანასკნელად მიღებული აღლუმი. ამის შემდეგ მან და მისმა პალადინებმა „საზეიმო ჩაი“ მიირთვეს თავშესაფარში. ყველას მკვდრისფერი ედო.

მიცვალებულთა ზეიმს ჰგავსო ეს, უთქვამს ვიღაცას...

სიზმრის აჩრდილი...

20 აპრილსავე შედგა უკანასკნელი თათბირი ნაცისტური რეჟიმის ხელმძღვანელთა მონაწილეობით. ჰიტლერის გარდა თათბირს ესწრებოდნენ გერინგი, ჰიმლერი, გებელსი, ბორმანი, რიბენტროპი და სხვები. გერინგმა მოითხოვა მთავარი შტაბი

სამხრეთ გერმანიაში გადაეტანათ. გებელსმა, პირიქით, ყველანი აქ დავრჩეთო. ერთხანს იდავეს, მერე კი გადაწყდა, რომ ბერლინში რჩებოდნენ, ჰიტლერი, ბორმანი და გებელსი. სხვები იმავე ღამეს გაიქცნენ თვითმფრინავებით...

ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ათიოდე დღის წინ ჰიტლერი თვითონაც აპირებდა ბერჰტესგადენში გადასვლას, წინასწარ მსახურები და ბარგიც გაგზავნაო, მაგრამ, როგორც ჩანს, შემდეგ გადაიფიქრა.

ძნელი სათქმელია, ამ დროს ჰიტლერს მართლაც ჰქონდა რამის იმედი, თუ უკვე ისტორიის წინაშე დგებოდა „ღმერთების დასასრულის“ პოზაში. ერთი კია, რომ სხვებს ამხნევებდა:

— მალე გარდატეხა მოხდება, ბოლშევიკები დამარცხდებიან ბერლინის მისადგომებთან, ეს ისტორიაში ჯერარნახული დამარცხება იქნება! იყო დრო, როცა ჩვენც ვიდექით მოსკოვთან, მაგრამ...

...აი სწორედ ეს „მაგრამ“ იყო უკვე უადგილო. ეტყობა, ჰიტლერიც გრძნობდა ამას, და მაინც „ევაჭრებოდა“ დროს, რომელიც კატასტროფული სისწრაფით უსხლტებოდა ხელიდან. ჰიტლერი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე თვითონვე გაქცეოდა დროს, გაესწრო მისთვის. დრო კი აჩრდილივითაა: გაეკიდები — გაგექცევა, გაექცევი — გამოგეკიდება. სულ ერთია, თავს მაინც ვერ დააღწევ. ვერც დაემალები სადმე, ვიდრე სულ არ გაეცლები ამ ქვეყანას და მარადიულ აჩრდილთა სამეფოში არ წახვალ. ჰიტლერმა კი პეტერ შლემილივით საკუთარი აჩრდილი დაკარგა და თვითონ იქცა იმ აჩრდილის აჩრდილად. სხვა ყველაფერი გაქრა: დიდება, პატივმოყვარეობა, იმედები, გრძნობები, საღი გონების ნატამალიც კი. უკვე აღარც თვითონ მალავდა ამას:

— ფეხზე მდგარს დიდხანს უკვე აღარ შემიძლია ლაპარაკი, — ამბობდა იგი ინტიმურ წრეში, — ველარც იმას შევძლებ ათიათასიან მიტინგს სიტყვით მივმართო. თავბრუ მეხვევა. იქნებ უცბად დავეცე კიდეც. ბევრი სიარულიც არ შემიძლია. ნერვებიც შემერყა, ხელები მიცახცახებს, ცალი ფეხიც არ მემორჩილება...

საოცარია, დიდებისა და პატივმოყვარეობის რა სიმაღლემ-

დე აიყვანა გარემოებამ ეს „ბოჰემიელი ეფრეიტორი“ ან რა ულმობლად დაანარცხა იგი ძირს! მართლაც მილტონის ან შექსპირის კალამი უნდა დიდების ამ სიზმარივით გაქრობის ტრაგედიის აღწერას. აქ უნებლიეთ გაგონდება კაცს ერთი შექსპირისეული დიალოგი:

გ ი ლ დ ე ნ ს ტ ე რ ნ ი: კიდეც ეგ სიზმრებია დიდებისმოყვარეობა. დიდებისმოყვარე კაცის არსება ჩრდილია სიზმრისა.

ჰ ა მ ლ ე ტ ი: მერე, თვითონ სიზმარიც ხომ ჩრდილია?

რ ო ზ ე ნ კ რ ა ნ ც ი: მართალსა ბრძანებთ. დიდებისმოყვარეობაც ისევე მსუბუქი და ჰაერის მსგავსია, როგორც ჩრდილი ჩრდილისა...

„ჯოჯოხეთის ანგელოზი“ მეცხრე გარსშიც თავს დაადგა ჩრდილს იმ ჩრდილისას და ისევ „შუიდთა საყუირთა ხმითა“ ამცნო აღსასრულის მოახლოება. უკვე გვიანღა იყო მონანიება, ვეღარც O, homo, fuge!-ს ძახილი უშველიდა მას ამ ყველასაგან დევნილი აჰასფერი შეუდგა ანდერძის წერას...

...ანდერძიო ვამბობთ, თორემ ეს უფრო ხალხური ფაუსტის მოთქმასა ჰგავს, უფსკრულის პირას მისული იმ ადამიანის გოდებას, რომელმაც ეშმაკს მიჰყიდა სული. როცა ფაუსტმა შპესერის ტყეში მაგიური შელოცვით ბოროტი სული გამოიძახა, მის წინაშე წარდგა მეფისტოფელი და საკუთარი სისხლით მოაწერინა ხელი დოკუმენტზე. რითაც მას შეეძლო ოცდაოთხი წლის განმავლობაში ადამიანურ შესაძლებლობათა მიღმა ემოქმედა და ყოველგვარი სურვილი შეესრულებინა, გარდა ცოლის თხოვისა და ადამიანთა სიყვარულისა (ცოლი არც ჰიტლერს უთხოვია სიკვდილის პირამდე და ადამიანებიც არასოდეს ჰყვარებია).

მართალია, ფაუსტის ნაიარევ მკლავზე გაჩნდა წარწერა O, homo, fuge! (გაფრთხილდი, ადამიანო!), მაგრამ ზებუნებრივი მისწრაფებებით გატაცებულმა ფაუსტმა ამას ყურადღება არ მიაქცია...

მერე ფაუსტისა კი არა, თვით მეფისტოფელის სახით გერმანიას ჰიტლერი მოევლინა და ყველას, ვინც ჯოჯოხეთური საშუალებით ისწრაფოდა ადამიანურ შესაძლებლობათა მიღმა

ემოქმედა, ფიცით შეაკვრევინა კავშირი ეშმაკთან. პოლ ვალერისა არ იყოს, თუმცა ძველებურ „თერაპიულ ფორმალობას“ აქ ადგილი არა ჰქონია, მაგრამ მისი პარტიის წევრების მკლავზე O, homo, fuge!-ს ნაცვლად გაჩნდა თეთრზე შავად დადღაბნილი სვასტიკა როგორც სამართლიანობა — პატიოსნება — თავისუფლების ჯვარცმის ნიშანი. თომას მანმა ეს ალეგორია გააფართოვა და თავის ეპოქალურ რომანში „დოქტორი ფაუსტუსი“ უჩვენა, თუ როგორ შეკრეს კავშირი გერმანელებმა ჯოჯოხეთის ბოროტ სულებთან. მანის აზრით, ეს გერმანელობის (Deutschtum) ტრაგედიაა, მისი დემონური ბედისწერა...

...გერმანელი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ფაუსტის მსგავსად ოცდაოთხი წელიწადი იყო ეშმაკთან წილნაყარი. ბედისწერისა თუ დროის უცნაური თამაშით „ხელშეკრულების“ ვადა აქაც ოცდაოთხი წლით განისაზღვრა: ნაცისტური პარტიის დაარსებიდან, ე. ი. შეთქმულების დასაწყისიდან „განკითხვის დღემდე“ ხომ სწორედ ოცდაოთხი წელი გავიდა! ცხადია, ამას ისტორიული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, როგორც ლიტერატურული ალეგორია, მაინც საინტერესოა...

ამის თაობაზე ნიურნბერგის პროცესზეც იყო ლაპარაკი. როცა ინგლისელი ბრალმდებელი დევიდ მაქსუელ-ფაიფი „ნაცისტური შეთქმულების“ დაწყების თარიღს არკვევდა, სამხედრო ტრიბუნალის წევრმა ბიდლმა მიმართა მას:

— სერ დევიდ, ამასთან დაკავშირებით მე მინდა მოგცეთ რამდენიმე კითხვა. უწინარეს ყოვლისა თქვენ უნდა დაადგინოთ შეთქმულების დაწყების თარიღი ან განაცხადოთ, რომ ამჟამად ეს არ შეგიძლიათ. თუ ეს ასეა, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბრალდების მხარემ არ იცის როდის დაიწყო შეთქმულება? ანდა, თუ ეს თქვენთვის ცნობილია, ხომ არ გვეტყოდით ამ თარიღს.

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: შეთქმულება დაიწყო ნაცისტური პარტიის დაარსებასთან ერთად.

ბ ი დ ლ ი: როდის იყო ეს?

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: 1921 წელს.

ბ ი დ ლ ი: 1921 წელს?

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: დიახ!..

ბ ი დ ლ ი: მაშინვე დაიწყო შეთქმულება აგრესიული ომების საწარმოებლად?

მ ა ქ ს უ ე ლ-ფ ა ი ფ ი: დიახ, მაშინვე, დაიწყო იმით, რომ ჰიტლერმა განაცხადა: მე გარკვეული მიზნები მაქვს, ერთი მათგანია დავარღვიო ვერსალის ხელშეკრულება და კიდევაც მივაღწევ ამას, თუნდაც საჭირო გახდეს ძალის გამოყენებაო. ასეთი იყო ყოველთვის ნაცისტური პარტიის მიზანი. მაშასადამე, თუ პიროვნებათა ჯგუფი შეთანხმდება ჩაიდინოს უკანონო მოქმედება ან კანონიერი მოქმედება უკანონო საშუალებებით, — ეს არის დანაშაულებრივი შეთქმულება. შეთქმულება წარმოიშობა შეთანხმებით და არა იმ მოქმედების შედეგად, რაც ჩადენილი იქნება ამ შეთანხმების მიხედვით. ამრიგად, შეთქმულება დაიწყო 1921 წელს...

მას შემდეგ ოცდაოთხი წელი გავიდა და მოხდა ფაუსტური ლეგენდისა და გერმანული სინამდვილის საოცარი გადაჯვარედინება, რაც შემდეგ თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში" მესამე იმპერიის დასასრულის ალეგორიულ გამოხატულებად იქცა...

ეშმაკის სამოთხე...

ალბათ ამიტომ იყო, რომ ნიურნბერგის პროცესზე ხშირად გაისმოდა ფაუსტისა და მისი მეორის — მეფისტოფელის სახელები. ამგვარ ლიტერატურულ ალეგორიას ბრალდებულებიც მიმართავდნენ, ბრალმდებლებიცა და დამცველებიც. შემდეგში ზოგიერთი ისტორიკოსიც მიჰყვა ამ მრუდე გზას და ვითომ თავისებური მაგისტრალიც გაავლო ფაუსტიდან ნიცშეს ზე-კაცის გავლით ჰიტლერამდე. ეს მკრეხელური თვალსაზრისი უფრო აღმაშფოთებელი იქნებოდა ლოგიკურობას რომ იყოს მოკლებული. შეიძლება ესეც სატანის ლოგიკა იყოს, მაგრამ ის მაინც არის და მოითხოვს ანგარიშის გაწევას.

ამბობდნენ, ფაუსტი ადამიანურობის ფარგლებში უერ ეტეოდა და მაგიური საშუალებებით ცდილობდა მსოფლიოს მთლიანობის შემეცნებას, ჰიტლერი კი მსოფლიო ბატონობის

მოპოვებასო. ამისთვის ორივე ჯოჯოხეთის ძალებს დაუკავშირდა და ბოროტებით მოინდომა უმაღლესი სიკეთის მიღწევა. მათი აზრით, ორივეში ორ-ორი სული ცხოვრობდა — კეთილი და ბოროტი: ერთი ზეცისაკენ მოუხმობდა მათ, მეორე — ჯოჯოხეთისაკენ. ოტო დიტრიხი ფიქრობს, რომ ჰიტლერის ამგვარი ორბუნებოვნება მისი ფაუსტური ხასიათით აიხსნება, ბრალდებულ ჰანს ფრანკის აზრით კი ჰიტლერში, ისევე როგორც ფაუსტში, ორი სული ცხოვრობდა. ასევე ჩვენშიც, ყოველ შვენგანშიო, — ამტკიცებდა იგი და დასძენდა: „ის მეორე" — მეფისტოფელი, ე. ი. ჰიტლერი, გავიდა ჩვენგანო. გუდერიანიც წერდა, ჰიტლერში თანდათან გაიმარჯვა დემონურმა სულმაო. ამით ჰიტლერის „ფაუსტურობა" მისი დემონური ყოვლადობით შეიცვალა და მეფისტოფელის სახით წარდგა გერმანელი ხალხის წინაშე. ამგვარი „ლოგიკის" მიხედვით ფაუსტის, ნიცშეს ზე-კაცისა და ჰიტლერის ამოსავალი წერტილი ერთი და იგივეა: სამივე „სძლევს" ადამიანური შეზღუდულობის ფარგლებს და უმაღლესი სიკეთის მისაღწევად ბოროტების მეფისტოფელურ გზას ირჩევს. მათთვის არ არსებობს იურიდიული თუ მორალური ზღუდეები: „სულისა" და „გონების" ილუზია, ქრისტეს 10 მცნება თუ ჰუმანიზმის „გამხრწნელი პრინციპები".

მას შემდეგ, რაც ფაუსტმა ეშმაკთან შეკრა კავშირი, იგი მართლაც ცდუნების გზით მიდის. მარგარიტას აუბედურებს, ვალენტინს კლავს, ყალბი ფულების მაქინაციებში ერევა და, ბოლოს, „აღთქმული ქვეყნის" მოსესებურ ილუზიებს აყოლილი, ეშმაკის ხელით, ე. ი. სისხლით, ტანჯვით, მეკობრეობითა და ძარცვა-გლეჯით აშენებს „ამქვეყნიურ სამოთხეს", რისთვისაც ანადგურებს ბავკიდესა და ფილემონის კარ-მიდამოს. ცხადია, ამ „ეშმაკის სამოთხის" მშენებლობაში ყველგან ბოროტება ტრიალებს — მეფისტოფელის ჯოჯოხეთური ნება; ფ ა უ ს ტ უ რ ი ს უ ლ ი კი იტანჯება, იგი ცდილობს გათავისუფლდეს ბოროტი სულის გავლენისაგან და კიდევაც აღწევს ამას, რითაც გოეთეს ჰუმანისტური აზრი სრულიად ნათელი ხდება: ბ ო რ ო ტ ებ ი თ ს ი კ ე თ ე ა რ მ ი ი ღ წ ე ვ ა, ე შ მ ა კ ი ს ხ ე ლ ი თ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ქ ა ლ ა ქ ი ა რ ა შ ე ნ დ ე ბ ა, ე ს ი ლ უ ზ ი ა ა, ც დ უ ნ ებ ა ა...

ეს აზრი დოსტოევსკის უკიდურესობამდე მიჰყავს და ამტკიცებს, თუ მშენებლობის დროს საძირკველში ბავშვის თუნდაც ერთი კურცხალი ცრემლი მოხვდა, ტაძარი არ აშენდებაო. ვალერი კი სულ ათავისუფლებს თავის ფაუსტს მეფისტოფელის ზეგავლენისაგან. ფ ა უ ს ტ უ რ ი ს უ ლ ი ვერ ეგუება მეფისტოფელურ ბოროტებას და ხანგრძლივი ძიების შემდეგ გამარჯვებული უბრუნდება თავის თავს. ვალერის ფაუსტი, რომელმაც იხილა „თავისი დასასრულის დღის გაგრძელება“, ამბობს, მე ვბრუნდები იქ, საიდანაც ერთ დროს დავიწყეო და ასკვნის, რომ ყველაფრის საბოლოო ჯამი არის ნული...

...ამავე დასკვნამდე მიდის ფ ა უ ს ტ უ რ ი ს უ ლ ი ს დეკადანსის პარადიგმული სახე ადრიან ლევერკიუნი. თომას მანის ჩანაფიქრით, იგი „კრიზისული ეპოქის“ სულისკვეთების გამომხატველია. ფაუსტი გერმანელობის (Deutchtum) სულიერი სარკეა, ხოლო ლევერკიუნი მისი სრული პროსტრაცია ჰიტლერის მესამე იმპერიაში. ყოველივე ეს კი დასასრულის იმ შემაძრწუნებელ პანორამას ქმნის, რაც მეორე მსოფლიო ომის ეპილოგად იშლება...

თომას მანი გვიჩვენებს, თუ როგორ დაეუფლა ეშმაკი გერმანელობის სულიერ სუბსტანციას, რაც აგრეთვე „ფაუსტური ცდუნების“ გამოხატულებაა, ეშმაკთან წილნაყარობის ლოგიკური შედეგი. ან ისევ თომას მანისეული გოეთეს სიტყვები რომ გავიხსენოთ, ის, რომ გერმანიას (ე. ი. ეშმაკთან წილნაყარ ფაუსტს) „არ სურს იყოს, რაც არის“. მერე ეს ფაუსტური ალეგორია სინამდვილეში ხორციელდება; მესამე იმპერიის მოქმედების ძირითად მეთოდად იქცევა „რბევა და სისასტიკე“, ფაუსტის „თავისუფალი ქალაქის“ ილუზიას ჰიტლერის „მსოფლიო იმპერიის“ ჰიპერტროფიული იდეა ცვლის, ხოლო ბავკიდესა და ფილემონის ქოხის ალეგორიას — ევროპის რუკაზე წაშლილი სახელმწიფოები: ავსტრია, ჩეხოსკოვაკია, პოლონეთი და სხვ.

ამიტომ იყო, რომ ნიურნბერგის პროცესზე „ფაუსტური დანაშაულის“ საკითხიც დადგა. ითქვა, რომ ფაუსტმა არ მოისურვა ყოფილიყო „ის, რაც არის“, ს უ ლ ი გაყიდა, ც ო დ ნ ა ჯარყო, ეშმაკთან ხელშეკრულება დადო, მეფისტოფელის

კარნახს მიჰყვა და იურიდიული თუ მორალური სამსჯავროს წინაშე წარდგა. ამან დანაშაულის ტოტალურობის საკითხი დააყენა. თუ ფაუსტი მართლაც „ყველა ადამიანის ბედის პარადიგმაა“, დანაშაულიც საყოველთაოა. ბრალდებული ფრანკის ლოგიკის მიხედვით ყველა ადამიანში ზის ეშმაკი, ხოლო ყველა გერმანელში — ჰიტლერი. თუ მეფისტოფელი ფაუსტის „შემაძრწუნებლად მეორეა“, ასევეა ჰიტლერი ყოველი გერმანელისათვის... ფაუსტური სული შინაგანად ებრძოდა მეფისტოფელს, გათავისუფლდა მისგან და ღმერთმა კიდევაც მიუტევა მას ცოდვა. გერმანელი ხალხიც თითქოს ფსიქოლოგიურად ეწინააღმდეგებოდა ჰიტლერს, გათავისუფლდა კიდეც და ახლა ისიც ითხოვს მიტევებას. ამასვე ელიან ბრალდებულებიც. ჰანს ფრანკმა შესჩივლა ექიმ ჯილბერტს, ნუ გავიწყდებათ, რომ ის მეორე გავიდა ჩვენგანო. ეს apices juris იურიდიული აკადემიის ყოფილ პრეზიდენტს იმისთვის დასჭირდა, რომ პასუხისმგებლობისაგან ეხსნა თავი — ვითომ ეშმაკი ს ხ ვ ა ა და დანაშაულიც მას ეკისრებაო. მისი აზრით, როცა ეშმაკი აღარ არის, აღარც დანაშაულია, გერმანელობის ფ ა უ ს ტ უ რ ი ს უ ლ ი ზოგადია, საერთო-ისტორიულ პერსპექტივაში გაშლილი, ფაუსტის ეშმაკთან წილნაყარობა კი მისი დროებითი გამოვლენაა ადამიანურ ცდუნებათა სფეროში. როცა ეშმაკის ც დ უ ნ ე ბ ა მთავრდება, ფ ა უ ს ტ უ რ ი ს უ ლ ი უბრუნდება თავის მარადიულ განფენილობას. ეს ისტორიის კ ა ნ ო ნ ი ა, და როგორც ასეთი — ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა! მთელი ახალი ისტორია ფაქტიურად სამი მაგისტრალით ვითარდება: ს უ ლ ი ს (წმიდა გრაალის), გ ო ნ ე ბ ი ს (ფაუსტური) და ძ ა ლ ი ს (რომაულ-მაკიაველური). ეშმაკთან წილნაყარი ფაუსტური სული სამივე სფეროს გაივლის და ნეგატიურად უბრუნდება თავის საწყისს. გერმანელების ავბედითი ბედისწერაც თითქოს ამ გეზს მიჰყვება. იგი უარყოფს ჯერ ს უ ლ ს, მერე გ ო ნ ე ბ ა ს, უკავშირდება „შიშისა და ძალის მეუფეს“ ჰიტლერს (მეფისტოფელს) და მხოლოდ კატასტროფის შემდეგ უბრუნდება თავის ჰუმანისტურ საწყისს. ამაშია გერმანელობის ტრაგიკული ბედისწერაცა და გათავისუფლების იმედიც. დანაშაულის ცნებაც ასევე წარმავალია, „როგორც მსგავსება“, თანაც ისევ იმ ფაუსტური კულტურისა

და ცივილიზაციის აუცილებელი შედეგი. ამიტომ ნიურნბერგში დასმული კითხვა: „ნუთუ ევროპის ცივილიზაცია არ აგებს ამაზე პასუხს?“ — იქნებ ყველაზე შემაძრწუნებელი კითხვა იყო იმ პროცესზე. ცივილიზაციის პასუხისმგებლობა საკონცენტრაციო ბანაკებზე, გაზკამერებსა და კრემატორიუმებზე, მილიონობით დახოცილ უდანაშაულო ადამიანებზე, იმ სადისტურ მეთოდებზე, რასაც ასეთი ტევტონური გახელებით მიმართავდნენ „ეშმაკის სამოთხეში“ — ჰიტლერის მესამე იმპერიაში. მართალია, Homo sapiens-იც საკონცენტრაციო ბანაკში იჯდა, მაგრამ მცველებადაც ხომ „გონიერი ადამიანი“ ჰყავდა მიჩენილი. ერთიც ცივილიზაციის მსახურია და მეორეც. ნაციონალ-სოციალიზმმა გახრწნა ფაუსტური სული და მეფისტოფელის სათარეშოდ აქცია მთელი ევროპა. მეცნიერება, ხელოვნება მან თავისი პოლიტიკის მონად გახადა და სრულ დეგრადაციამდე მიიყვანა. ფაუსტური სული დაკნინდა, დაჩიავდა და არარაობად თუ არაფრის არაფრობად იქცა. თომას მანმა მოგვცა ამის შთამბეჭდავი სურათი თავის ე. წ. „დასასრულის რომანში“, რაც სინამდვილეში ფაუსტური სულისა და ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის რეკვიემს წარმოადგენს...

ჯოჯოხეთის ანგელოზი...

„თუ რამე იცი, გაჩუმდი“, — ასე იწყება „დოქტორ ფაუსტუსის“ მთავარი გმირის, ადრიან ლევერკიუნის, ჩანაწერები. იგი დიდხანს საიდუმლოდ ინახავდა თავის რვეულს. ჰიტლერიც დიდხანს ებრძოდა თავს, მაგრამ ბოლოს მაინც დაწერა აღსარება თუ ანდერძი, რასაც ისევე უფრთხილდებოდა, როგორც ადრიან ლევერკიუნი თავის ჩანაწერებს. თითქოს ორივეს ეშინოდა პირისპირ შეხვედროდა თავის „შემაძრწუნებლად მეორეს“, თავის დემონს. აკი ჰიტლერმა თქვა კიდეც, „მე ვნახე ის და შიშმა შემიპყრო“. ლევერკიუნიც ასევე გაურბოდა იმ აზრს, რომ ის „შემაძრწუნებლად მეორე“ იდგა მის წინაშე, მაგრამ დრო მოვიდა და „ჯოჯოხეთის ანგელოზი“ თვითონ გამოეცხადა მათ. ლევერკიუნი გერმანელობის სულისკვეთებას.

ე. წ. Deutschtum-ს, განასახიერებდა, ხოლო თომას მანის ეშმაკი „წარმოშობით გერმანელია“, ანუ „უფრო გერმანელი“, ამიტომ მათი შეხვედრა აუცილებელი იყო. ჰიტლერიც „გერმანელობის“ ავბედით ხასიათს გამოხატავდა და ისიც შინაურულად იყო ეშმაკთან ან თავად იყო ეშმაკი, რომელთანაც გერმანელებმა კავშირი შეკრეს და ამით ჯოჯოხეთთან წილნაყარობის ბედიც გაიზიარეს. ეშმაკთან ხელშეკრულება კი ფაუსტის თითქმის ყველა ლეგენდაში ოცდაოთხი წელიწადი გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ქვიშის საათის ვიწრო ყელში ზემოდან ქვევით მიედინება წვრილი მარცვლები და მიაქვს დრო, რომლის ბატონ-პატრონი ეშმაკია. იგი განაგებს დასასრულს, რის შესახებაც ხშირად მოაგონებს თავის „პაციენტს“, რომელსაც დრო მიჰყიდა სულის ფასად. იქ, სადაც „საათია დადგმული“, დასასრულიც ხომ წინასწარ არის განსაზღვრული. მანამ კი „იმ უზარმაზარი ოცდაოთხი წლის განმავლობაში“ შეიძლება რაც გინდა ის აკეთო, თუნდაც „ცხოველურად იცხოვრო“, ცა ქუდად არ მიგაჩნდეს და დედამიწა — ქალამნად, იყო მაგრკოსი და გააოცო ქვეყანა ათასგვარი ეშმაკობით, დაივიწყო ყოველგვარი შეზღუდულობა და თუგინდ საკუთარ თავზე მაღლაც ახტე, თანაც, რაცა ხარ, იგივე დარჩე, თავი კი ღმერთად წარმოიდგინო (პარალელი: ისე როგორც ჰიტლერმა). ამისათვის გეძლევა ოცდაოთხი წელიწადი. ამასობაში იქნება დაცემაც და ამაღლებაც, მოძრაობა ორ პოლუსს შორის, მხიარულებაც და მელანქოლიაც... ასეთია დრო — ეს „ეშმაკის საქონელი“, რომელიც დასასრულზე ძალაუფლების ფასად იყიდება და რომელიც იძლევა აღმაფრენას, გონების გასხივოსნებას (Erleuchterung), თავისუფლების შეგრძნებას, ნებისმიერებას, განდგომილებას, დაჯერებულობას, სიმსუბუქეს, ძლიერებასა და საზეიმო განწყობილებას. ამასთანავე შეგიძლია განიცადო თვითგანდიდების საშინელება, ჟრუანტელის მომგვრელი ცახცახი საკუთარი სიდიადის წინაშე, როცა შენივე თავი მოგეჩვენება განგების მიერ რჩეულ იარაღად, ღვთაებრივ საოცრებად... შიგადაშიგ დაცემაც იქნება, სრულიად საპატიო დაცემა, უსარგებლო სევდა, გულის ამმღვრევი ტკივილი. ყოველივე ეს ცნობილია ამ საუკუნისათვის როგორც ზედმეტი ნეტარების საფასური. სამაგიეროდ, ვინც ჯოჯოხეთს დაუძმობილდება, იმისა-

თვის ყველაფერი შესაძლებელია და ნებადართული, ოღონდ ძალაუფლება დასასრულ აუცილებლად ეშმაკისაა.

ეს არის და ეს...

... გერმანელობის ტოტალური სახე — ლევენკიუნი რაღაცას უკადრისობს, თითქოს არ უნდა კავშირი ჰქონდეს ეშმაკთან, ეჩხუბება კიდეც მას, მაგრამ სინამდვილეში ეშმაკი თვით მასშია, მისი აუცილებელი ნაწილია. ლევერკიუნს ტყუილად მოაქვს თავი, რომ ეშმაკი უცხოა მისთვის. არა, ისინი კარგი ნაცნობები არიან. უკვე ათასი წელია, რაც ეს ნაცნობობა გრძელდება (ალეგორია: „გერმანელობის" წილნაყარობა ეშმაკთან...).

იყო კლასიკური დრო ლუთერისა, რომელმაც ერთხელ სამელნე სთხლიშა ეშმაკს თავში, მაგრამ დაძმობილებული კი იყო მასთან... ნაციზმის განვითარებისა და ჯოჯოხეთური დასასრულის ოცდაათხი წელი კი ყველაზე მნიშვნელოვანი დროა ეშმაკისათვის. აქ იგი თავს უფრო თავისუფლად გრძნობს: უტიფარია, შემტევი და თვითდაჯერებული, რადგან ი გ ი უ ნ დ ა თ, მას მოუხმობენ, თუმცა თავი ისე მოაქვთ, ვითომ არც კი იცნობენ, ვერც ხედავენ, მაგრამ ეს ფარისევლობაა: ი ს ა რ ი ს მათში და... უფრო ფესვგადგმულიც, მეტადრე — ავადმყოფებსა და შეშლილებში. თუმცა ავადმყოფობა (პარალელი: ჰიტლერის ავადმყოფობა და ფსიქიკური აშლილობა) არც ისე ადვილი დასადგენია. ვინ იცის, სად სიჯანსაღეა და სად ავადმყოფობა! ვერც იმას გაიგებ, სიგიჟე როდის იქცევა ავადმყოფობად და როდის გენიალობად. აი, მაგალითად, რომელიმე შმაგი იღებს კალამს და წერს:

— მე ნეტარი ვარ! ჩემს არსებაში ვერ ვეტევი! რა სიახლეა! რა სიდიადე! გასხივოსნების მჩქეფარე სიხარული! ლოყები აწითლებული მაქვს როგორც გამდნარი რკინა! მე ვბობოქრობ და ყოველი თქვენგანიც იბობოქრებს ასეთ წამში! ღმერთმა შეიეედროს თქვენი ღატაკი სული!..

რა არის ეს? გიჟური ჯანმრთელობა თუ ნორმალური სიგიჟე?! ობივატელი ამას ადვილად ვერც გაიგებს. მეორე დღეს კი, როცა ისევ მოუვლის, იგივე, დამთხვეული თუ სიშმაგით შეპყრობილი, წამოიძახებს:

— რა სიცარიელეა! რა ძაღლურია ცხოვრება, სადაც ვერაფერს გახდები, ვერაფერს! ომი მაინც დაიწყებოდეს, რომ ღირ-

სეული სიკვდილით შოკვდეს კაცი! მომიტევოს ჯოჯოხეთმა, რამეთუ მე მისი შვილი ვარ!..

ასეა, უსაზღვრო ნეტარებაცა და უსაზღვრო ტანჯვაც ღმერთების საჩუქარია. ავადმყოფობის გარეშე ცხოვრება არასოდეს ყოფილა. ახლა კი ისეთი დროა, რომ, რაც უწინ „საათის დაუდგმელად“ ეძლეოდათ, მისი მიღება მხოლოდ ეშმაკთან გარიგების საშუალებითაა შესაძლებელი. მარტო სულელები ამტკიცებენ, თითქოს ავადმყოფურისაგან მხოლოდ ავადმყოფური წარმოიშობა. ცხოვრება განურჩეველია, მას სულაც არ ედარდება მორალი. იგი სტაცებს ხელს ავადმყოფობის შესანიშნავ ნაწარმს, შთანთქავს, მოინელებს, შეითვისებს და ეს ჯრის ჯანმრთელობა, სხვა არაფერი. ცხოველმყოფელობის ფაქტი აიგივებს ჯანსაღსა და ავადმყოფურს. სრულიად ჯანსაღი ახალგაზრდები აღტაცებული არიან ავადმყოფური გენიის ნაყოფით.

„ჯოჯოხეთის ანგელოზი“ პირდება გერმანელობის სულს — ლევერკიუნს ყოველივე იმის ცხოველმყოფელობას, რასაც იგი შექმნის:

— შენ იქნები დროშა, შენ მისცემ ტონს მომავალს, შენს სახელს დაიფიცებენ ახალგაზრდები, რომელთაც შენი სიგიჟის გამო უკვე აღარ მოუხდებათ თვითონ იყვნენ გიჟები. შენი ავადმყოფობა აგემებს მათ სიჯანსაღეს და მათში შენც ჯანსაღი იქნები!.. შენ გაარღვევ „კულტურის კულტის“ ჯებირებს და გაბედავ ეზიარო ბარბაროსობას, გაღრმავებულ ბარბაროსობას, რაც კვლავ მოვა ჰუმანიზმის ეპოქის შემდეგ. ეს იქნება გონებამახვილური თერაპია ფესვებისა და ბურჟუაზიული სიფაქიზისა...

მას შემდეგ, რაც კულტურამ უარყო კულტი და თავისივე თავისაგან კერპი შექმნა, კაცობრიობა მოიღალა მისგან, მოსწყინდა იგი და უკუაგდო...

ეს ის არის, რასაც ჰიტლერელებმა, როგორც გახსოვთ, Rebarbarisierung des Daseins უწოდეს! თვითონ ჰიტლერიც ამიტომ ამაყობდა თავისი ბარბაროსობით... ყველაფერი ეს „ქვიშის დროის“, ანუ „ეშმაკთან გერმანელთა დაძმობილების“ ოცდაათი წლის შედეგი იყო — ჯოჯოხეთთან კავშირისა და ყოვლისშემძლეობის კულტი. ოღონდ „ქვიშის დროსაც“ ხომ

თავისი დასასრული აქვს... ოცდაოთხი წელი ძალიან დიდ-
დროა, თუმცა ისიც ილევა... საათის ზემოთა კოლბა ცარიელ-
დება... ჩქარა უკანასკნელი ნამცეციც გაივლის მის ვიწრო ყელს
და გათავდება ყველაფერი...

... 1921 წლიდან 1945 წლამდე „ეშმაკის ოცდაოთხმა წელმა
განვლო“ და ჰიტლერსაც მოაკითხა „ჯოჯოხეთის ანგელოზ-
მა“... მასაც ამიტომ აინტერესებს, თუ „რა იქნება დასასრულის
შემდეგ?“

ასეთ კითხვას ლევერკიუნიც აძლევს თავის „შემაძრწუნებ-
ლად მეორეს“ ჯერ კიდევ მათი ურთიერთობის მეხუთე წელს.
პასუხის მაგივრად „ჯოჯოხეთის ანგელოზი“ ხითხითებს: რა გე-
ჩქარება, დასასრულამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა, ჯობს უფ-
რო მნიშვნელოვან რამეებზე მოვილაპარაკოთო. თუმცა მერე
მაინც ეთანხმება:

— შეიძლება მოგიყვე, მაგრამ ამის გამოხატვა სიტყვებით
შეუძლებელია. ის, რაც სინამდვილეა, სიტყვებით არ გამოი-
ხატება. ჯოჯოხეთის იდუმალი სიხარული და თვითდაჯერებუ-
ლობა სწორედ იმაშია, რომ მისი განსაზღვრა არ შეიძლება.
„მიწისქვეშ“, „სარდაფი“, „ყრუ კედლები“, „მდუმარება“,
„თავდავიწყება“, „გამოუსავლელობა“ — ეს ყველაფერი სუსტი
სიმბოლოებია. ამგვარი სიმბოლოებით კი ჯოჯოხეთი არ გამო-
იხატება, რადგან იქ ყველაფერი ისპობა, მარტო ის კი არა,
რაც სიტყვებით აღინიშნება, არამედ საერთოდ ყველაფერი.
ამას ჯოჯოხეთში მოხვედრილი თავდაპირველად ვერც გაიგებს,
რადგან ხელს უშლის გონება ან რამე სხვა შეზღუდულობა.
როცა იქ ახალი მივა, მისალმების მაგივრად გამოუცხადებენ:
„აქ მთავრდება ყოველივე: გულმოწყალება, შებრალება, შე-
ღავათის მიცემა!..“ მაგრამ სიტყვებით არც ამის გამოხატვა
შეიძლება. ამბობენ, იქ იქნება მოთქმა და კბილთა ღრჭენაო.
მართალია, ეს კარგი ლექსიკონიდანაა ამოღებული, მაგრამ
მაინც სუსტი სიმბოლოა იმისი, რაც ნამდვილად იქნება „ყრუ
კედლებს იქით“. იქ იქნება ხმაური, არაჩვეულებრივი ღრიან-
ცელი, ჩივილი, წკმუტუნი, კვნესა, ოხვრა, ყვირილი, ღრიალი.
მაგრამ ყოველივე ეს ისე აირევა ერთმანეთში, რომ საკუთარ
ხმასაც ვერ გაარჩევ, ყველაფერი საერთო ხმაურში შთაინთქმე-

ბა, ჯოჯოხეთურ ხმაურში! (პარალელი: მასობრივი ფსიქოზი ნაცისტურ გერმანიაში).

„ანგელოზი“ ამას უწოდებს „ჯოჯოხეთის სასიხარულო ხმაურს“, რითაც წამება იქცევა ნეტარებად, ჯოჯოხეთურ ნეტარებად, რაც გულისხმობს დაცინვას, ირონიას, უსაზღვრო ტანჯვასაც და ნეტარებასაც ერთსა და იმავე დროს. იგი სიცილსაც, ხითხითსაც შეიცავს. უსაზღვრო ტანჯვას ემატება დაცინვა და სირცხვილი. ჯოჯოხეთი — ეს ხომ სრულიად აუტანელი ტანჯვისა და ნეტარების ერთიანობაა. თუმცა აქ ახალი არაფერია! ეს ის არის, რასაც ადამიანები ცხოვრებაშიც ეჩვევიან. ჯოჯოხეთი მხოლოდ გაგრძელებაა ცხოვრებისა. მთელი არსი ჯოჯოხეთისა ისაა, რომ იგი იძლევა არჩევანს უკიდურეს სიცივესა და ისეთ უკიდურეს სიცხეს შორის, რომელიც გრანიტსაც კი ადნობს. ადამიანები ღრიალით აწყდებიან ერთიდან მეორეს: უკიდურეს სიცივეში რომ არიან. უკიდურესი სიცხისაკენ მიისწრაფიან, იქიდან კი ისევ უკიდურეს სიცივეს უბრუნდებიან. ეს მისწრაფება უკიდურესობისადმი მათ სამოთხის ნეტარებად ეჩვენებათ, თუმცა მერე ესეც აუტანელი ხდება სრულიად ჯოჯოხეთური გაგებით...

... ასეთია, „ჯოჯოხეთის ანგელოზის“ აზრით, ეშმაკთან წილნაყარ ადამიანთა ხვედრი: ვინც არ შეისმენს შეგონებას — O, homo, fuge! — ის განწირულია ჯოჯოხეთისათვის. ხსნა კი არ არის. ძველად ეგონათ, რომ ეს მონანიებით შეიძლებოდა. მერე მეცნიერებამ დაამტკიცა, ეს შეუძლებელიაო. თუმცა ამ შემთხვევაშიც არის არჩევანი: ჯოჯოხეთი ან თვითშემუსვრა. ასეთი დილემის წინაშე მდგარი ამაყი ადამიანი პირველს ირჩევს, რადგან მეორე იმდენად დამამცირებელია, რომ ამას ჯოჯოხეთის ტანჯვა სჯობია.

მართალია, აქ ლევერკიუნი იხსენიებს კაენისებურ „ამაყ შემუსვრას“, მაგრამ ეს მდგომარეობას არ ცვლის. კაენმა იცოდა, რომ მისი ცოდვა ისე დიდი იყო, არავითარი შეწყალების იმედი არ უნდა ჰქონოდა. ეს იყო ცოდვილის ურყევი რწმენა. ხოლო როცა არავითარ შეწყალებას არ ელი, ეს ძალიან ახლოა ხ ს ნ ა ს თ ა ნ. ცოდვა იმდენად საზიზღარია, რომ ცოდვილი სრულიად სასოწარკვეთილია ხსნის იმედში, ეს კი გზაა შეწყა-

ლებისაკენ, „უსაშინლესი დანაშაულის გზით უსაზღვრო შეწყალებისაკენ“. ასეთი რამ ეშმაკსაც მოსწონს (ჰიტლერსაც), გენიალურიაო, ამბობს აღტაცებული. მერე ლევერკიუნს ამხნევებს:

— იქ სულ შენისთანებია. ჯოჯოხეთში მოხვედრა ადვილი კი არ არის! იქ მხოლოდ ღირსეულებს იღებენ. აბა, ყველა მაწანწალას რომ უშვებდნენ, ამდენ ხანს ადგილიც არ დარჩებოდა...

ლევერკიუნი კი ნამდვილად ჯოჯოხეთისთვისაა გაჩენილი. ასეთებისათვის არც შპესერის ტყეა საჭირო და არც მაგიური წრე. ისინი თვითონ ცვივიან ჯოჯოხეთში. ამისათვის ეშმაკები რამე ახალსა და განსაკუთრებულს კი არ ივონებენ, არამედ ადიდებენ, აზვიადებენ იმას, რაც თვით მათშია მოცემული.

ერთადერთი, რასაც ეშმაკი უკრძალავს მასთან წილნაყარს, სიყვარულია, რადგან, მისი აზრით, „სიყვარული ათბობს“, ლევერკიუნი კი ცივი უნდა იყოს თვით შემოქმედების კოცონზე წვის დროსაც კი. ყინულისებური სიცივე და შემოქმედებითი წვა ორი პოლუსია, რითაც ჯოჯოხეთი ხასიათდება. ეშმაკთან წილნაყარი ამას ცხოვრებაშივე ეგუება და ეს არის მისი ექსტრავაგანტური ყოფა (გაიხსენეთ ჰიტლერის თქმა: ყინულისებური სიცივით ვუახლოვდები ყველაფერსო). ლევერკიუნს შეუძლია დატკბეს ასეთი ყოფით. შემდეგ კი, ოცდაოთხი წლის შემდეგ, ეშმაკი დაეუფლება მის სულს, სხეულს, სისხლსა და ხორცს, ყველაფერს, მთელ მის არსებას...

APOCALIPSIS CUM FIGURIS...

განკითხვის დღის მოახლოებამ აპოკალიფსის თემა ამოატივტივა... ეს როგორღაც ნიურნბერგსაც უკავშირდება... როგორღაც კი არა, ნიურნბერგელი დიურერის მიერ აპოკალიფსის თემაზე შესრულებული გრავიურებით.

ავადმყოფობისა და სიჯანსაღის შერწყმამ ადრიან ლევერკიუნი გენიალობის კარიბჭესთან დააყენა. თავის აპოკალიფსურ ორატორიას იგი ცხოვრებისაგან განრიდებული, განმარტოებული წერდა. კითხულობდა ისეთ ნაწარმოებებს, სადაც ჯოჯოხეთში შთასვლაა აღწერილი: „წმ. პავლეს ხილვებს“, ვირგი-

ლიუსის „ენეიდას“, დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“, კელტურ თქმულებებს იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ. ადრიანს უნდოდა ყველა ამ მოტივისათვის ერთ ფოკუსში მოეყარა თავი და, როგორც სარკეში, ისე ეჩვენებინა კაცობრიობისათვის, თუ სადამდე მივიდა იგი...

— აღსასრული მოიწევის, მოიწევის აღსასრული, აღდგომილ იქმნა შენდამი. აჰა მოიწევის აღსასრული, მოიწევის თქმულება შენ ზედა დამკუიდრებულსა ქუეყანისასა...

ეს სიტყვები იოანეს აპოკალიფსიდან კი არ არის მოყვანილი, არამედ ეზეკიელის წინასწარმეტყველებიდან, რაც დიურერმა უკვე გამოიყენა ერთ-ერთი თავისი გრავიურის თემად. ადრიანმა სხვა წყაროებითაც ისარგებლა და შექმნა თავისი საკუთარი აპოკალიფსი. ეს უკვე ჩვენი საუკუნის აპოკალიფსია — განკითხვის დღის ახალი ალეგორია, მოხერხებულად დაკავშირებული ნიურნბერგის თემასთან, რაც პროცესის ასოციაციასაც იწვევს...

ლევერკიუნმა გაამდიდრა აპოკალიფსური წარმოდგენები აპოკრიფების კოშმარული ხილვებით, აგრეთვე იერემიას მოთქმით, განსაკუთრებით კი — დანტეს „ღვთაებრივი კომედიით“. მის ორატორიაში გაისმა „შუიდთა საყვირთა“ ხმა. რაც განკითხვის დღის მაუწყებელი იყო.

ლევერკიუნი იყენებს იერემიას სიტყვებს:

— რად დრტუინავს კაცი ცოცხალი, და მამა-კაცი ცოდვისათუის მისისა. გამოძიებულ იქნა გზა ჩუენი და გაიკითხა, და მოვიქცეთ უფლისა მიმართ. აღვიხუნეთ გულნი ჩუენნი მაღლისა მიმართ ხელთა ჩუენთა, დამკუიდრებულისა ცასა შინა. ჩუენ ვცოდეთ, და უსჯულო ვიქმნენით და შენ არა ლხინება ჰყავ. ზედ დაგვფარენ, გულის წყრომითა წარმდევნენ ჩუენ, მომკლენ და არა გუერიდე. ზედ დაჰბურე ღრუბელი მტკიცე თავსა შენსა ლოცვისათუის წუხვად ჩემდა და განგდებად. სასიტყუელად და საზრახველად ეყუენ ჩუენ შორის ერსა...

ეს შეგონება სრულიად თანადროულად ჟღერს. ასევე თანადროულია და უკომენტაროდ ადვილად გასაგები თომას მანის რომანის გმირის პოეტ დანიელ ცურ ჰოიეს პოემა „მოწოდებები“, რომლის ძირითადი მოტივია Christus imperator maximus (ქრისტე, უდიდესი მხედართმთავარი). იგი „დამატკ-

ბობელი ტერორისაკენ“ მოუწოდებს და თავისი ლაშქრით მსოფლიოს დასაპყრობად მიდის, იძლევა საშინელ ბრძანებებს, ტკბება სადისტიკით, მოითხოვს ბრმა და უსაზღვრო მორჩილებას. პოემა თავდება სიტყვებით:

— ჯარისკაცებო, მე თქვენ გაძლევთ გასაძარცვავად მსოფლიოს!..

ამას რომ ვკითხულობთ, ყურში ექოსავით გვესმის ჰიტლერის მოწოდებები დაპყრობილი ტერიტორიების ძარცვის შესახებ და გვაგონდება მაცხოვრის ამბორი დიდი ინკვიზიტორის ბაგეზე...

... ადრიანის აპოკალიფსი „ბარბაროსული“ იყო. განსაკუთრებით შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ხარხარი... ჯოჯოხეთის ხარხარი!.. კოშმარული ექსტაზი, რითაც თავდება „აპოკალიფსის“ ფინალი. ჯერ იწყება ერთის ხითხითი... მერე სხვებიც აჰყვებიან... ხარხარებს მთელი პანდემონიუმი... ხარხარი მოედება ორკესტრს, გუნდს და იგი დიდხანს, დიდხანს გრძელდება... ისმის საშინელი სიძლიერის ყვირილი, წივილი, კივილი, ღმუილი, ჭიხვინი... ყველაფერი ერთად... მერე ისევ ჯოჯოხეთური ხარხარია, რასაც მოსდევს მეორე ჰიპოსტაზი ამ ხარხარისა — ბავშვთა გუნდის საოცრად წკრიალა ხმები. ამის შემდეგ იწყება მეორე ნაწილი — კოსმოსური მუსიკა, ცივი, კრისტალური, ცხადია, არაამქვეყნიური, რაც მსმენელში სევდასა და სასოწარკვეთას იწვევს, თუმცა აქაც იბადება ჯოჯოხეთური ხარხარის მოტივი... საოცარია ხელოვნება ადრიანისა — „სხვადასხვანაირი აქციოს არაერთნაირად“... ჯოჯოხეთის ხარხარი და ბავშვთა გუნდი ორ... პოლუსია და მაინც ერთნაირი. ბავშვთა გუნდში არ არის ერთი ნოტიც კი ისეთი, რომლის ვარიაცია არ მეორდებოდეს ჯოჯოხეთურ ხარხარში...

ეს უკიდურესობანი დღემდე აბნევს ჰიტლერის ბიოგრაფებს: ბავშვების სიყვარული და ბავშვების ჟლეტა, სისხლის სიძულვილი და სისხლისმსმელობა, უკიდურესი სისასტიკე და ნამდვილი გულჩვილობა, საკონცენტრაციო ბანაკები და იადონები... სხვადასხვაობის ეს კოშმარული ერთიანობა რაღაც იდუმალებამდე ამაღლებული გაანგარიშებაა, რასაც ვერ სწვდება ჩვენი გონება...

სერენუს ციტბლომის უკანასკნელი ჩანაწერები დათარი
ღებულია 1945 წლის 25 აპრილით. ეს მესამე იმპერიის აგო
ნიის დღეებია... სერენუსიც აღნიშნავს, რომ ამ დროს ყოველ
გვარი წინააღმდეგობა გატეხილია... ყველაფერი იშლება...
ყველაფერი გარბის... დანგრეულ-დალეწილი ქალაქები მწიფ
ხილივით ცვივა... ყველაფერი მოწინააღმდეგის ხელში გადა
დის... გუშინდელი მმართველები, რომელნიც ნებივრობდნე
ძალაუფლებაში, სიმდიდრეში, უსამართლობაში, ახლა სასო
წარკვეთას ეძლევიან. თვითმკვლელობის ეპიდემია მოედო მა
რიგებს. მწკრივები, კოლონები და ბატალიონები დაიშალ
დასავლეთის მხრიდან მოკავშირეებმა აიღეს დარმშტადტ
ვიურცბურგი, ფრანკფურტი, მანჰაიმი, კასელი, მიუნსტერ
ლაიფციგი, ბოლოს, ბრემენი და ნიურნბერგი — „ქალაქი საიმ
პერიო დღესასწაულებისა, სულელთა გულს რომ სიამაყით ავ
სებდა“...

აღმოსავლეთიდან მილიონობით არმიები მიიწევდნენ ბერ
ლინის ნანგრევებისაკენ... ეს იყო მანამდე გაუგონარი ძალი
შეტევა. უკვე საველე არტილერია ურტყამდა ქალაქს...

თომას მანს არ სურს ახსენოს გვარი იმ ადამიანისა, რო
მელმაც ერთი წლის წინ გადაირჩინა სასოწარკვეთილ პატრ
ოტთა თავდასხმისაგან თავისი უკვე გახუნებული და ჩაქრობი
პირას მისული ცხოვრება, ახლა კი ბრძანებს სისხლში ჩაახშო
შემოტევა ბერლინზე და დახოცონ ყველა, ვინც გულში გაი
ლებს კაპიტულაციას...

თომას მანის აპოკალიფსური ალეგორიები აქ პირდაპი
გადავიდა ცხოვრების რეალურ სინამდვილეში: ეს ნამდვილ
ქაოსია, ჯოჯოხეთი, რომლის მუსიკალური სურათი გამოსახ
ადრიან ლევერკიუნმა თავის ორატორიაში... იგი წერს კიდე
ამ დამთხვევაზე:

— რა საოცრად ხვდება ერთმანეთს ორი დრო: ერთ
როცა მე ვწერ, და მეორე, როცა ცხოვრობს ის; ვისაც აღვწერ.

ამ ორი დროიდან ერთი 30-იანი წლებია, როცა ხდებოდ
„ამაღლება და განმტკიცება ბოროტებისა, რაც მთელ ქვეყ

ნას მოედო“, ხოლო მეორე — 1945 წლის გაზაფხული, როცა იგი საკუთარ სისხლში იხრჩობოდა...

ამ ორი დროის ასოციაციების გზაჯვარედინზე იწერება ადრიან ლევერკიუნის უკანასკნელი ნაწარმოები — სიმფონიური კანტანტა „ფაუსტის გოდება“. იმავე დღეებში ბერლინის თავშესაფარში ჰიტლერი უკარნახებს თავის ანდერძს... თემა ორივეგან ერთია — დასასრული, ფორმაც — მოთქმა, ანუ გოდება.

ეს ფორმა ძველია. ჩვენ ვიცით მოთქმა იეზეკიელისა, იერემიასი, ფაუსტისა და მრავალი სხვა...

...ოცდაოთხი წელი რომ გავიდა, ეშმაკთან (მეფისტოფელთან) წილნაყარმა ფაუსტმა, ხალხური თქმულების მიხედვით, შეკრიბა ნაცნობ-მეგობრები და გაუმხილა მათ, თუ როგორ შეკრა ჯოჯოხეთთან კავშირი და რა მოელის შუაღამისას. ადრიანმაც ასე შეკრიბა ნაცნობ-მეგობრები და მოასმენინა თავისი სიმფონიური კანტანტა „ფაუსტის გოდება“ (პარალელი: ჰიტლერმა 20 აპრილს შეკრიბა თანამებრძოლები, ვინც თავშესაფარში დარჩენილიყო. და გამოუცხადა თავისი ანდერძი...).

მეც ამ „სამი დასასრულის“ (ფაუსტი, ლევერკიუნი, ჰიტლერი) კომპლექსური ასოციაციებით მინდა გადმოგცეთ მესამე იმპერიის დაცემის სურათები (ლეგენდა, ნაწარმოები და სინამდვილე) როგორც მოვლენათა სხვადასხვაობის ალეგორიული ერთიდაიგივეობა...

...ფაუსტი ვიტენბერგის ახლო შეკრებს თავის მეგობრებსა და მოწაფეებს — მაგისტრებს, ბაკალავრებს, სტუდენტებს და მთელი დღე გულუხვად უმასპინძლდება მათ. ღრეობა საღამოსაც გრძელდება. ხოლო როცა შუაღამე მოახლოვდება, იგი იღებს უკანასკნელ ფიალას და შიმართავს შეკრებილთ, ახლოვდება ჩემი დასასრულიო. ფაუსტი სთხოვს მათ, ჩემი გვამი მიაბარეთ მიწას. „რადგან ვკვდები როგორც გულუბრყვილო და კეთილი ქრისტიანიო“...

...ადრიან ლევერკიუნი თავის კანტანტა „ფაუსტის გოდებას“ „ვიზიონერული გახელების“ დროს წერდა, განმარტოებული, კარჩაკეტილი, წერდა ბნელ ოთახში ლამფის მბჟუტავ

სინათლეზე... მისი ეს „ნაწარმოებიც პირდაპირ ეხმაურება ისტორიულ სინამდვილეს. თვითონ სერენუს ციტბლომი ამბობს:

— იყო დრო, როცა ჩვენ, ციხის შვილები, „ფიდელიოს“ აღტაცებულ სიმღერაში ან მეცხრე სიმფონიაში ვხედავდით განთავისუფლების განთიადს, ადამიანის თვითგანთავისუფლებას. ახლა კი ჩვენ მხოლოდ ეს გოდება შეგვეფერება, მხოლოდ ეს შეგვიძლია ვიმღეროთ: მსჯავრდებული ცოდვილის გოდება, სულის გამყინავი მოთქმა, ვაება ადამიანისა და ღმერთისა....

სერენუსის აზრით, ამ სიმღერაზე საშინელი არა არის რა მთელ მსოფლიოში...

მართლაც! ეს არის ნამდვილი გოდება, მარადიული, ამოუწურავი ადამიანური მწარე გოდება, შემუსვრილი არსებობის ტიტანური მუდარა, გერმანელი ხალხის მტანჯველი de profundis, სადაც, ისევე როგორც ლევერკიუნის აპოკალიფსში, მინიშნებულია „უსაზღვროდ სანეტაროსა და უსაზღვროდ საშინელის“ სუბსტანციური ერთიანობა, შინაგანი კავშირი ბავშვთა გუნდისა და ჯოჯოხეთური ხარხარისა.

ლევერკიუნის „გოდების“ გრანდიოზული ვარიაციები ნეგატიურ კავშირშია მეცხრე სიმფონიის ფინალთან — ზეიმის ვარიაციებთან. ორივეგან ერთი სურათია: წყალში ჩაგდებული ქვა და რგოლები წყლის ზედაპირზე თანდათან ფართოვდება, „გოდებაში“ — უკიდურეს სასოწარკვეთამდე, მეცხრე სიმფონიაში კი — უდიდეს ზეიმამდე. მიმართება სხვადასხვაგვარია, სურათი — ერთი! აქ ერთმანეთს ერწყმის ორფეოსის გოდება და ევრიდიკეს სულის გამოწვევა ქვესკნელიდან, ფაუსტის მიერ გამოხმობა მშვენიერი ელენესი, მერე მისი დამხობა და ჯოჯოხეთში ჩავარდნა. ინფერნალური მხიარულება ქვესკნელში ენათესავება იმავე აპოკალიფსის თემას. იგი წინასწარმეტყველურად გამოხატავს ჩვენ გარშემო ყველაფრის ნგრევასა და დასასრულსო, ამბობს სერენუსი და ამტკიცებს, რომ ლევერკიუნმა თავისი კანტანტა დაწერა როგორც ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის ანტიპოდი, ამ სიტყვის ყველაზე ტრაგიკული მნიშვნელობითო. აქ ყველაფერი უარყოფაში გადადის: ზეიმი — გოდებაში, იმედი — სასოწარკვეთაში. ფაუსტის უკანასკნელი საღამოც მეორე სერობას ეხმაურება. თუმცა ლევერკიუნის კანტანტაში

სრულიად ახალი მოტივებიცაა: თქმულების ფაუსტი იმიტომ გოდებს, რომ უკვე გვიანაა მონანიება, ლევერკიუნის ფაუსტს კი არც უნდა ამქვეყნიურ ფარისევლურ ცხოვრებას დაუბრუნდეს და უარყოფს მას. მეზობელი დოქტორი რომ შეეცდება ღმერთისაკენ, ამ ქვეყნისაკენ, მონანიებისაკენ მოაბრუნოს იგი, ლევერკიუნის ფაუსტი მას „მაცდურს“ უწოდებს: ასე აცდენდა სატანა ქრისტეს, რაზედაც მან უარით უპასუხა.

ლევერკიუნის ფაუსტის გოდება ყოვლისმთმცველი ხდება და ერთვის გოდებას ღმერთისას, რომელიც მოთქვამს მის ჰიერ შექმნილი ქვეყნის დაღუპვას.

— მე ეს არ მინდოდა! — იძახის ღმერთი, მაგრამ ისიც უძლურია შეაჩეროს კატასტროფა: რაც გარდუვალია, უნდა აღსრულდეს! იმედი შეიძლება მხოლოდ სრული უიმედობის მიღმა ვეძებოთ. ეს იქნება სასოწარკვეთის ტრანსცენდენცია, არა ღალატი იმედისა, არამედ ს ა ს წ ა უ ლ ი, რომელიც რწმენაზე მაღლა დგას. ყოველივე ეს გამოხატულია ნაწარმოების ფინალში: ინსტრუმენტები ერთიმეორის მიყოლებით ჩერდებიან, ბოლოს რჩება მხოლოდ ვიოლონჩელის მაღალი „სოლ“, რომელიც მოსწყდება ინსტრუმენტს და ნელ-ნელა ქრება. შემდგომად ამისა იქნება ღამე და დუმილი, მაგრამ ის მეღერი უკანასკნელი ნოტი, რომელიც ამ დუმილს დაეკიდა და ქრება, თავის აზრს იცვლის და ანათებს როგორც ციცინათელა უკუნეთ ღამეში...

... ისევე როგორც ფაუსტმა, ლევერკიუნმაც შეკრიბა პფეფერინგში ნაცნობ-მეგობრები, ზოგიც უცნობი, სულ ოცდაათამდე კაცი, რომ მათთვის როიპლზე შეესრულებინა თავისი ახალი ნაწარმოების ნაწყვეტები.

ადრიან ლევერკიუნმა ჯერ მათ შესავალი სიტყვით მიმართა:

— პატივცემულნო! განსაკუთრებით პატივცემულნო! ძმებო და დებო!..

მან მადლობა გადაუხადა შეკრებილთ მობრძანებისთვის და შეუდგა აღსარებას... ეს იყო ბოდვა, ნამდვილი აბდაუბდა. იგი ლაპარაკობდა თავის ძაღლ ზიზოზე, რომელსაც რატომღაც პრესტიგიარი უწოდა. ბოდიშიც მოიხადა, ძაღლი ყეფით გაწუხებთო. შემდეგ თავის ცოდვებზე გადავიდა... ახსენა ქვიშის საათი და... შეკრებილთ ამცნო, საჭონლის დამთავრებისა და

ზემოთა ჯოლბაში ქვიშის მარცვლების გამოლევისთანავე მე წამიყვანს ის, ვისთანაც საკუთარი სისხლით მაქვს ხელშეკრულება დადებულიო.

გაოცებულმა მსმენელებმა ერთმანეთს გადახედეს. სადღაც ვიღაცამ ჩაიცინა, სხვებმა მხრები აიჩეჩეს და ყურადღებად იქცნენ.

— ოცდაერთი წლისა რომ შევსრულდი, მე დავუკავშირდი სატანას, — განაგრძო ადრიანმა. — ოცდაოთხი წლისამ მასთან ხელშეკრულება დავდე, რადგან ამაყი და გაბედული ვიყავი და მინდოდა დიდება მომეპოვებინა. ხოლო თუ კაცს უნდა რამე დიდებული შექმნას, აუცილებელია მას ეშმაკი დაეხმაროს.

ყველამ ხმა გაიკმინდა. წარბები აჭიმეს, კისერი წაიგრძელეს. ვერ გაეგოთ რა იყო ეს. მისტიფიკაცია, თუ სინამდვილე!

ლევერკიუნი კი ლაპარაკობდა პირველ ცოდვაზე, Hetaera Esmeralda-ზე, მის საბედისწერო შეხებაზე, ეშმაკთან დაკავშირებაზე...

მსმენელებს ეგონათ, რომ იგი რაღაც პოეტურ სიუჟეტს ყვებოდა. ზოგიერთი რამ მოიწონეს კიდეც. პოეტმა ცურ ჰოიემ წამოიძახა:

— შესანიშნავია, ძალიან ლამაზია, ბრავო, ბრავო!..

ადამიანებს არ შეუძლიათ შიშველი ჭეშმარიტების აღქმა და პოეტური გამონაგონი ჰგონიათ.

ლევერკიუნი კი განაგრძობდა:

— თქვენ გელაპარაკებათ ღვთისაგან მიტოვებული, სასოწარკვეთილი ადამიანი, რომლის გვამს წმიდა მიწას კი არ მიაბარებენ, არამედ სადმე ხრამში გადააგდებენ, რადგან ეშმაკთან შეხვედრამდე ჩემი სული სატანისაკენ მიისწრაფვის. ალბათ მოგეხსენებათ, ადამიანები იბადებიან ნეტარების ან ჯოჯოხეთისათვის. მე ჯოჯოხეთისათვის ვარ გაჩენილი. მე ვკვებავდი ჩემს სიამაყეს, ხოლო რაც ეშმაკისაკენ მიისწრაფვის, მას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. ჩვენს ეპოქაში კი ძნელია სწორი გზით სიარული. ხოლო ხელოვნება ეშმაკისა და ჯ-ჯოხეთის ცეცხლის გარეშე საერთოდ შეუძლებელია. გზადაბნე-

ულმა კაცმა არ იცის საით წავიდეს. ეს დროის ბრალია. მე გზად ავირჩიე მაგია, შელოცვა, ჯადოსნობა, ეშმაკისაგან ვიყიდე დრო — ოცდაოთხი თვალუწვდენელი წელი...

დარბაზი შეშფოთდა. ზოგიერთები გაიპარნენ, სხვები ჯერ კიდევ ისმენდნენ, რადგან ეგონათ, რომ ის ისევ პოეტურ სიუჟეტს ყვებოდა. ლევერკიუნი კი მათ თავისი ცხოვრების ნამდვილ ამბავს უამბობდა...

დარბაზი ნელ-ნელა იცლებოდა.

ლევერკიუნი ისევ რაღაც საშინელებას ყვებოდა ბავშვებზე, რომელთა ცხვირის ნესტოებში მატლები დახოხავდნენ...

დარბაზში უკვე რამდენიმე მამაკაცი დარჩენილიყო. ქალები გარს შემოეხვივნენ ლევერკიუნს. იგი ხმაგაბზარული განაგრძობდა:

— მაშ ასე! ოცდაოთხი წელი გავიდა. ყველაფერი დამთავრებულია. მე, მკვლელი და ცოდვილი, ვამთავრებ ჩემს არსებობას... იქნებ ღმერთმა მხედველობაში მიიღოს, რომ ძალზე ძნელ რამეს ვცდილობდი... ვშრომობდი... ოფლს ვღვრიდი... ვჯიუტობდი... მაგრამ... ჩემი ცოდვა ისე დიდია, რომ პატიებას არ მოველი. თავად ხედავთ, მე დაწყევლილი ვარ და არ მექნება შეწყალება... შეგკრიბეთ, რათა არ დამეფარა თქვენთვის ჩემი სულიერი სიკვდილი... ახლა კი, როცა აღსარება თქმულია, მე მინდა მოგასმენინოთ ნაწყვეტები იმ ნაწარმოებიდან, რომელსაც სატანა თავის მშვენიერ ინსტრუმენტებზე უკრავდა.

იგი ადგა და სიკვდილივით გაფითრებული გაეშურა როიალისაკენ...

დარბაზში ვიღაცამ დაიძახა:

— ეს კაცი გიჟია! უეჭველად ასეა. მე მხოლოდ იმას ვნანობ, რომ ჩვენ შორის არ არის ექიმი-ფსიქიატრი. მე ნუმიზმატიკოსი გახლავართ და აქ არაფერი მესაქმება!..

თქვა და წავიდა.

ქალებით გარსშემორტყმული ლევერკიუნი მიუჯდა ყავისფერ როიალს. მარჯვენა ხელით პარტიტურა გაასწორა. თვალიდან ცრემლი გადმოუგორდა და კლავიშზე დაეცა. მერე იმ სველ კლავიშს თითი დაჰკრა და გაისმა მკაფიო დისონანსური ბგერა... თან პირი დააღო, თითქოს სიმღერა უნდა დაიწყოსო...

მაგრამ რაღაც საცოდავი ბგერა აღმოხდა... ხელები უმწეოდ გაშალა და დაეცა...

ასეთი იყო დოქტორ იოჰან ფაუსტისა და მისი პარადიგმის — ადრიან ლევერკიუნის დასასრული...

სახიფათო ანდერძი...

ოცდაერთ აპრილს ჰიტლერმაც ასევე შეკრიბა თავისი თანამებრძოლები და პირველად გაუმჟღავნა მათ, რომ ყველაფერი დამთავრებულია და გადაწყვეტილი აქვს თავი მოიკლას. ცხადია, ეშმაკთან ურთიერთობაზე მას არაფერი უთქვამს. ადრე კი, როცა კარგ ხასიათზე იყო, უყვარდა ხუმრობა, მე იმთავითვე ეშმაკის კვალზე შემდგარს მეძახოდნენო.

1942 წლის 8/9 იანვარს ღამით იგი ყვებოდა:

— ადრე ინტერესით ვეკიდებოდი ბიბლიას, მაგრამ მერე მივატოვე. ერთხელ სკოლაში მასწავლებელმა მკითხა, ლოცვებს თუ ამბობ დილით, შუადღისას და საღამოთიო. ამაზე მე ვუპასუხე: არა, ბატონო, მე არ მესმის, ღმერთი როგორ დაინტერესდება მეორე კლასის მოწაფის ლოცვით-მეთქი. მასწავლებელი გაბრაზდა და დამიყვირა: დაეგდე, შე ღვთისაგან შეჩვენებულო. ეს რომ დედაჩემმა გაიგო, მითხრა, ეშმაკის კვალზე ხარ, შვილო, შემდგარიო...

ჰიტლერი არც ისე გულწრფელი აღმოჩნდა, როგორც ფაუსტი ან ლევერკიუნი, მაგრამ თავისი აღსარება მაინც ჩააწერინა მდივნებს...

ეს აღსარება „ჰიტლერის ანდერძის“ სახელითაა ცნობილი...

ზოგი რამ ამ „ანდერძიდან“ მისი სუფრული საუბრების ჩანაწერთა გამეორებას წარმოადგენს. მოგეხსენებათ, ჰიტლერს ყოველთვის გარს ეხვია მდივნები და სტენოგრაფისტები. იგი რომ პირს დააღებდა და რამეს იტყოდა, ისინი ყველაფერს იწერდნენ. ცალკე დგებოდა საშხედრო თათბირების ოქმები. ჰიტლერს თავის შტაბში ჰყავდა სამხედრო ისტორიკოსი გენერალ-მაიორი შერფი და ექვსი თუ რვა სტენოგრაფისტი. მართალია, ისინი ბორმანის კანცელარიაში ითვლებოდნენ, მაგრამ ემორჩილებოდნენ უშუალოდ ჰიტლერს, რომლის წი-

ნაშე საგანგებო ფიცით იყვნენ შეკრული. გარდა ჰიტლერისა, სხვას არავის ჰქონდა უფლება მათთვის რამე განკარგულება მიეცა. ომის დროს შტაბში ყოველდღიურად ორი თათბირი ტარდებოდა: ერთი — შუადღისას, ხოლო მეორე — საღამოთი. სტენოგრაფისტები იწერდნენ ყველაფერს, რასაც ჰიტლერი იტყოდა ამ თათბირებზე, და ბეჭდავდნენ სამ ეგზემპლარად. პირველ ეგზემპლარს თვითონ ჰიტლერი ინახავდა რკინის სეიფში, ორ დანარჩენს კი შერფს აძლევდა. ყოველდღე 100—150 თაბახი ოქმი დგებოდა ინტერვალებით. ომის განმავლობაში სულ 103 ათასი თაბახი ოქმი შედგა.

1945 წლის 20 აპრილს, ჰიტლერის დაბადების დღეს, ეს მასალები ბერლინიდან პრაღაში გაგზავნეს სპეციალური თვითმფრინავით, იქიდან კი — ზალცბურგში, საიდანაც რკინის ყუთებით ბერჰტესგადენში გადაიტანეს. აქ სტენოგრაფისტებმა სრულ წესრიგში მოიყვანეს ყველაფერი და მღვიმეში ჩაკეტეს... ისტორიისათვის. ოპერაციებს ხელმძღვანელობდა თვითონ შერფი, რომელმაც იმავე წლის მაისში თავი მოიკლა.

ბერჰტესგადენში ამერიკის ჯარის ნაწილების შემოსვლის წინ ბორმანის რეფერენტის მიულერის განკარგულებით მთელი ეს მასალა ხევში გადაიტანეს და დაწვეს. ფერფლიდან მოხერხდა ამოეღოთ მეტ-ნაკლებად დაზიანებული ათასამდე თაბახი, რომელიც შეიცავდა დაახლოებით 50 სამხედრო თათბირის ოქმს. ეს მასალა შემდგომ ცალკე წიგნად გამოიცა. იგი ერთი მეასედი ნაწილიც არ იყო იმისა, რაც განადგურებულ იქნა...

ამას გარდა, სტენოგრაფისტები დროდადრო იწერდნენ ჰიტლერის ე. წ. სუფრულ საუბრებს, რომლებსაც იგი თავის ღამის სერობებზე წარმოთქვამდა.

„ჰიტლერის სუფრული საუბრები“ (Tischgespräche), რაც მანქანაზე გადაწერილი 1045 გვერდს შეადგენს, გამოცემულ იქნა ნაწილობრივ 1951 — 1952 წლებში, ხოლო მთლიანად — 1953 წელს. წიგნში თავმოყრილია ჰიტლერის „საუბრები“ 1941 წლის 7 ივლისიდან 1944 წლის 30 ნოემბრამდე, ოღონდ 1942 წლის თებერვლიდან მოკიდებული მასში შესულია მარტო სულ რაღაც ათიოდე ჩანაწერი, რომლებიც ბორმანს გაუკეთებია. საქმე ისაა, რომ სტალინგრადთან დამარცხების გამო ჰიტლერს ისე გაუფუჭდა გუნება, სტენოგრაფისტები დაითხო-

ვა და ჩანაწერების გაკეთება აკრძალა. გარდა იშვიათი შემთხვევისა, არც ბორმანს აძლევდა უფლებას ჩაეწერა რამე. ცხადია, ჰიტლერს არ შეიძლება არ სცოდნოდა, მის სიტყვებსა და რეალურ სინამდვილეს შორის საერთო რომ არაფერი იყო. 1945 წლის თებერვალში კი, როცა აღსასრულის ჟამი მოახლოვდა, უკვე თვითონ დაავალა ბორმანს გაეკეთებინა მისი უკანასკნელი სიტყვების ჩანაწერები და „ეს მიეღოთ როგორც ანდერძი“.

ბორმანი გულმოდგინედ ასრულებდა ამ დავალებას და აპრილის მეორე ნახევრამდე სათუთად ინახავდა „ფიურერის ანდერძს“, განსაკუთრებით — ორი აპრილის ჩანაწერებს, სადაც ჰიტლერი ანალიზს უკეთებს მთელ თავის საქმიანობასა და ომის საჭირბოროტო საკითხებს. ბორმანს ყველაფერი ეს მანქანაზე ჰქონდა გადაბეჭდილი და თვითეული გვერდი — საკუთარი ხელისმოწერით დამოწმებული...

...17 აპრილს ჰიტლერმა გამოიძახა ნდობით აღჭურვილი მოხელე, რომლის გვარს არ ამჟღავნებენ, და დაავალა ბად-ჰაშტაინში წასულიყო, რათა მოეგვარებინა გერმანიის ოქროს მარაგის გადატანა ტიურინგიის კატაკომბებში. წასვლის წინ მან უთხრა მოხელეს, ბორმანთან შეიარე და ის რაღაც მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტებს გაგატანსო. ბორმანმა, მართლაც, გადასცა „ჰიტლერის ანდერძი“, რომელიც „ნდობით აღჭურვილმა“ მოხელემ ბად-ჰაშტაინის ბანკს მიაბარა შესანახავად.

მერე ის მოხელე ციხეში მოხვდა, გაასამართლეს კიდეც და რამდენიმე წლის პატიმრობა მიუსაჯეს. იმ „საიდუმლო დოკუმენტების“ ამბავი მაშინ მას არ გაუმჟღავნებია, რადგან ეშინოდა — ამის გამო მეტი სასჯელი არ დამადონო. შემდეგ შიში ისე გაუძლიერდა, რომ ციხიდანვე მოახერხა დაკავშირებოდა თავის მეგობარ ვექილს და ეთხოვა — ის დოკუმენტები ბანკიდან გამოიტანე და მოსპეო. საამისო მინდობილობაც მისცა და ფიციც დაადებინა.

ვექილმა დაპირებისამებრ ბანკიდან დოკუმენტები გამოიტანა და, რომ გახსნა, გაოცებული დარჩა: ეს იყო „ჰიტლერის ანდერძი“!

რა უნდა ექნა: მოესპო, თუ ფიცი გაეტეხა და ისტორიისათვის შეენახა ეს მართლაც საინტერესო დოკუმენტი.

გერმანელს, მოგეხსენებათ, ფიცის გატეხას თავის გატეხა ურჩევნია და იმ ვექილმაც შეასრულა მიცემული სიტყვა — მოსპო ჰიტლერის ანდერძი, უფრო სწორად, თუ ეს პარადოქსულად არ ეღერს, კიდეც მოსპო და არც მოუსპია. საქმე ის არის, რომ, ვიდრე დაწვავდა ამ ანდერძს, წინასწარ ფოტოასლები გადაიღო, ორიგინალი კი ცეცხლში შეაგდო, რითაც ფიცის გატეხაც აიცდინა და ანდერძიც გადაარჩინა.

გავიდა წლები და ის მოხელეც გაათავისუფლეს პატიმრობიდან. როცა მან გაიგო „საშიში დოკუმენტები" არ მოუსპიათო, ისევ ძრწოლამ აიტანა, თუმცა ამჯერად იმით დაკმაყოფილდა, რომ განაცხადა: „თუ ჩემს გვარს არ გაამეღავნებთ, იმ დოკუმენტებს რაც გინდათ ის უყავითო".

მოხელის ვინაობა, მართლაც, არ გაუმეღავნებიათ, ნაპოვნი დოკუმენტები კი 1959 წელს გამოაქვეყნეს საფრანგეთში. ორი წლის შემდეგ „ჰიტლერის ანდერძი" ინგლისურ ენაზედაც გამოვიდა და მერე მთელ მსოფლიოს მოედო. ვითარცა სატანის აღსარება ანუ გულშემზარავი გოდება მისი...

სატანის დაცემა...

ჰიტლერზე ამბობენ, ყველაფრის გაუბრალოების ნიჭი ჰქონდაო. ეს მის ანდერძსაც ეტყობა. აქ რამე ახალი ამბები კი არ არის მოყოლილი, არამედ „გაანალიზებულია" უკვე მომხდარი და საერთოდ ცნობილი ფაქტები. მისი „ანდერძის" მთავარი მიზანია როგორმე თავი გაიმართლოს ისტორიის წინაშე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის აღსარება სამარის პირას მდგარი ადამიანისა, რომელსაც სურს მისგან კარგი მოგონება დარჩეს ამქვეყნად, საიდანაც იგი აიძულეს წასულიყო. ამიტომ ანდერძის შედგენის დროს, ჩანს, იგი ისტორიაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე სინამდვილეზე! რამდენჯერ უთქვამს, სიკვდილის შემდეგ ჩემი სახელი უფრო გაიზრდებაო. ჰიტლერი წინანდებურად იყო დარწმუნებული და ცდილობდა სხვებიც დაერწმუნებინა, რომ „კაცობრიობის დიდი ინტერვალის შემდეგ" იგი მოევლინა ქვეყანას როგორც „პრაქტიკოს-

პოლიტიკოსისა და პოლიტიკოს-ფილოსოფოსის“ ბედნიერი ერთიანობა. მისი აზრით, ისტორიაში იშვიათად ხდება, რომ ეს ორი თვისება „ერთსა და იმავე პიროვნებაში აღმოჩნდეს“. ამიტომ ჰიტლერი ფიქრობდა, მე შეიძლება ისე მოვკვდე, რომ ჩემმა თანამედროვეობამ ვერც კი გამიგოსო კარგად, რადგან „ასეთი ადამიანი არ მოღვაწეობს იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ყველა ფილისტერი“. იგი „მომავალში იხედება და მისი იდეები მხოლოდ მცირეთათვისაა ხელმისაწვდომი“. ამიტომ ის „ერთსა და იმავე დროს იმსახურებს სიძულვილსაც და სიყვარულსაც“. თანამედროვეობის პროტესტი, რომელსაც „არ ესმის მისი გაშმაგებული ბრძოლის აზრი“ შთამომავლობისათვის, ჰიტლერის აზრით, არაფერს ნიშნავს, რადგან „მხოლოდ მომავალს შეუძლია დააფასოს ასეთი ადამიანის ღვაწლი...“

და რომ მომავლის წინაშე „პირნათლად წარდგეს“, იგი თავს ვალდებულად რაცხს პასუხი გასცეს კითხვას: რატომ. წააგო გერმანიამ ომი? დღეს ამ კითხვას ყველა ადვილად უპასუხებს, მაგრამ თვითონ ჰიტლერისათვის მაშინ ეს არცთუ ისე იოლი საქმე იყო. მიუხედავად ამისა, კითხვები მან სავსებით ზუსტად ჩამოაყალიბა ბორმანთან „გულახდილი“ საუბრის დროს 1945 წლის 4 თებერვალს: „რატომ წააგო გერმანიამ ომი? ვინ ან რაა ამის მიზეზი? საერთოდ, უნდა წამოეწყო თუ არა მას ომი?“

კაცი, რომელმაც ამდენი უბედურება დაატეხა თავს კაცობრიობას, მართლაც ვალდებული იყო პასუხი გაეცა ამ კითხვებისათვის, მაგრამ ჰიტლერი ისეთი ვინმე როდია, „დიდი ტყუილის“ პოლიტიკიდან ასე ადვილად რომ შეეძლოს „განსაწმენდელი აღსარების“ ტონზე ან მონანიებაზე გადასვლა.

„თუ ცრუობ, ბარემ ბოლომდეო“, უთქვამს ბისმარკს. ეს ჰიტლერსაც შეეძლო ეთქვა. იგი მართლაც ბოლომდე ცრუობდა, მაგრამ ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია გზადაგზა ვაკრიტიკოთ მისი შეხედულებები. მას შემდეგ, რაც ჰიტლერის პოლიტიკაზე ამდენი ვილაპარაკეთ და ისიც დოკუმენტური მასალების მიხედვით, ყოველივე ამის ფონზე თქვენ ისედაც ადვილად დაინახავთ ჰიტლერის „ახსნა-განმარტების“ პაროდიულობას.

ჰიტლერი არც ხალხური ფაუსტია და არც მისი პარადიგმა,

იგი უფრო მეფისტოფელია და ამიტომაც არაფერსაც არ ინანიებს, პირიქით, სულ იმას ამტკიცებს, იძულებული ვიყავი ასე მოვქცეულიყავიო.

— ჩვენ არ გვქონდა არჩევანი, — ამბობს იგი, — როგორც კი განვაცხადეთ სურვილი გაგვეერთიანებინა ყველა გერმანელი ერთ დიდ იმპერიად და უზრუნველგვეყო ისინი ნამდვილი თავისუფლებით, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის შესაძლებლობით, რომ ეცხოვრათ ისე, როგორც მათ სურდათ, ყველა შტერი მაშინვე აღდგა ჩვენ წინააღმდეგ. ომი აუცილებელი გახდა თუნდაც იმის გამო, რომ მისი თავიდან აცდენით ჩვენივე ხალხის ძირეული ინტერესებისათვის უნდა გვეღალატა, რაც შეეხება ხალხს, არ გვინდოდა დავკმაყოფილებულიყავით მისი მოჩვენებითი დამოუკიდებლობით. ასეთი ხასიათის დამოუკიდებლობა ხელს აძლევს მხოლოდ შვედებსა და შვეიცარიელებს, რომელნიც ყოველთვის მზად არიან მხარი დაუჭირონ საეჭვო და ცრუ ლოზუნგებს იმ პირობით, თუკი ისინი ამით შეძლებენ ჯიბე გაისქელონ. იმავე მიზეზით ვერ შეძლო ეაიმარის რესპუბლიკამ წამოეყენებინა რამე უფრო ღირსეული პრეტენზიები. ასეთი მოქმედება კი არ შეეფერებოდა მესამე იმპერიის პრესტიჟს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით ადრე თუ გვიან ომი დაგვეწყო, რის შემდეგაც ზრუნვის ერთადერთი საგანი ის იყო, რომ სწორად შეგვერჩია ხელსაყრელი დრო. ხოლო რაკი დავიწყეთ, მერე ომიდან გამოსვლაზე ლაპარაკი უკვე შეუძლებელი იყო...

ათი დღის შემდეგ ჰიტლერი დამარცხების მიზეზებსაც შეეხო და თქვა:

— ამ ომში დამღუპველ ფაქტორად იქცა ის, რომ გერმანიამ იგი დაიწყო ძლიერ ადრე და თანაც ძლიერ გვიან. წმინდა სამხედრო თვალსაზრისით ჩვენ ომი ადრე უნდა დაგვეწყო. მე უნდა მეგდო ხელთ ინიციატივა ჯერ კიდევ 1938 წელს და არა 1939 წელს. მაშინ უნდა მიმეცა საბაბი, რომ ჩავეთრიეთ მასში, რადგან ომი, ასე თუ ისე, მაინც გარდუვალი იყო. ამასთანავე, სწორი არ იქნებოდა ამაში ბრალი ჩემოვის დაედოთ, რადგან მიუნხენში ინგლისმა და საფრანგეთმა დაკმაყოფილეს ყველა ჩემი მოთხოვნა...

აი თურმე რატომ იყო ჰიტლერი გაცოფებული „იმ ჭია-

ღუა“ დალადიესა და ჩემბერლენზე, როცა ისინი კვერს უკრავ-დნენ ჰიტლერის ყოველ წინადადებას! აკი მაშინაც ვამბობ-დით, რომ ჰიტლერს 1938 წელს ომი უნდოდა და არა მოთხოვ-ნილებათა დაკმაყოფილება.

— დღევანდელობის თვალსაზრისით, — განაგრძობს ჰიტ-ლერი, — ომმა ძლიერ დაიგვიანა! ჩვენი მორალური მზად-ყოფნის თვალსაზრისით კი იგი ბევრად უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე საჭირო იყო. ჩემმა მოწაფეებმა ამ დროისათვის ვერ მო-ასწრეს მიეღწიათ სრული მომწიფებისათვის. მე არსებითად კი-დევ ოცი წელიწადი მინდოდა, რომ მომემზადებინა ეს ახალი ელიტა, ელიტა სიჭაბუკისა, რომელიც ადრეული ბავშვობიდან იქნებოდა გამსჭვალული ნაციონალ-სოციალისტური ფილო-სოფიით. ჩვენი, გერმანელების, ტრაგედია ის იყო, რომ დრო არასოდეს გვყოფნიდა. გარემოება ყოველთვის ისე ეწყობოდა, რომ იძულებული ვხდებოდით ავჩქარებულიყავით. და თუ ახლაც არ გვყოფნის დრო, ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ საკმარისი არ არის სივრცე. რუსებს თავიანთი ვრცელი ტერიტორიების მეოხებით შეუძლიათ თავს ფუფუნების ნება მისცენ და არ იჩქარონ. დრო მათ სასარგებლოდ და ჩვენ სა-წინააღმდეგოდ მოქმედებს. მაშინაც კი, თუ განგება მომცემდა საშუალებას მეცოცხლა მანამდე, ვიდრე ჩემს ხალხს ნაციო-ნალ-სოციალისტური იდეების სრულ ზეიმამდე მივიყვანდი, სულერთია, ჩემი მტრები მაინც არ მომცემდნენ საშუალებას გამომეყენებინა ეს. ისინი ყველაფერს გააკეთებდნენ, რათა მოვესპეთ მანამ, ვიდრე დადგებოდნენ ერთიანი ნაციონალ-სოციალისტური რწმენით შეკავშირებული და ამის შედეგად უძლეველი გერმანიის პირისპირ...

ვთქვათ, ყოველივე ეს სწორია, მაგრამ მათი აზრი ხომ უბრალოა, გულუბრყვილოც. ჰიტლერი ეუბნება თავის „მტრებს“: თქვენ რომ დრო და საშუალება მოგეცათ ჩემთვის გამენადგურებინეთ, მე ამას გავაკეთებდიო. კი მაგრამ რატომ უნდა მიეცათ ევროპისა და მერე მთელი მსოფლიოს ხალხებს იმის საშუალება, რომ ამ თავაწყვეტილ ეფრეიტორს დაეპყრო და დაემორჩილებინა მათი ქვეყნები მხოლოდ გერმანელთა საკეთილდღეოდ. ან რა გამართლება აქვს ჰიტლერის ჭატეგო-რიულ განცხადებას:

— ნაციონალ-სოციალიზმი დაინტერესებულია მხოლოდ გერმანული რასის კეთილდღეობით და მიისწრაფვის იქითკენ, რათა უზრუნველყოს მხოლოდ გერმანელთა კეთილდღეობა...

სხვა ხალხები? რა უნდა ექნათ მათ? ნებით შეეშვირათ კისერი ჰიტლერის უღლისათვის? ეს მას არც აინტერესებდა, რადგან, ჰიტლერის აზრით:

— სხვა ყველა დაბალი რასაა, არასრულფასოვანი, ყველა, ვინც ლათინური, სლავური ან ებრაული წარმოშობისაა, აღმოსავლეთის ხალხებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... ყველა ისინი უნდა მოისპონ, რადგან ასეთია „ბუნების წესი". ძლიერი სპობს სუსტს. ძლიერი რასა ვითარდება, სუსტი კი ისპობა. ერთი ხალხი რომ მეორეს შთანთქავს, ეს საშინელია, მაგრამ აუცილებელი. ამიტომ ჩვენ არავითარი სიბრალული არ უნდა გვქონდეს ხალხისა, რომელსაც ბედისწერამ დაღუპვა არგუნა. რადგან ეს ბუნებრივ პროცესს ეხმარება. პირიქით რომ მოხდეს, მაშინ ყველაფერი დაინგრევა...

ასე ფიქრობს ჰიტლერი და ისევ უკიდურესად აუბრალოებს ყველაფერს:

— როგორც კურდღელზე ძაღლის გამარჯვებაა უეჭველი ან ლომისა — შველზე, ასევე უეჭველია გერმანელთა გამარჯვება სხვა ხალხებზე, რადგან ერთი მხოლოდ გერმანული რასაა სრულყოფილი და უფლებამოსილი იბატონოს...

...ომის აუცილებლობის მტკიცებაც ასევე გულუბრყვილოდ ჟღერს: ნებით თუ არ დაგვნებდებოდით, ძალით უნდა დაგვეპყარით, აბა, რა უნდა გვექნაო. თან იმაზე ცოფდება, რატომ დამითმეთ მიუნხენში, რატომ გამომგლიჯეთ ხელიდან დანა და მაშინვე არ დამაწყებინეთ ომი, რომ თქვენთვის კისერი გამომეჭრაო. ეს ისეთი ლოგიკური ეკვილიბრისტიკაა, მისი გადმოცემის ტენდენციურობა რომ არ დამბრალდეს, მირჩევნია ისევ ჰიტლერის თვალსაზრისი მოგაწოდოთ სიტყვასიტყვით:

— მიუნხენის წინ მე ნათლად დავრწმუნდი, — ამბობს იგი, — რომ დასავლეთის სახელმწიფოების ხელმძღვანელები შეპყრობილი იყვნენ სურვილით ჩამოერთმიათ ჩვენთვის ქირურგიული დანები და არ მოეცათ საშუალება დაგვეწყო

ოპერაცია (გერინგის თქმით, „ჩეხოსლოვაკიური აპენდიციტის ამოჭრა ევროპის სხეულიდან“). ამიტომაც არ მოგვეცა საშუალება შევთანხმებულიყავით, როცა იმ არქიბურჟუა კაპიტალისტმა ჩემბერლენმა თავისი მაცდური ქოლგით ხელში ბერჰტესგადენში ჩამოსვლა ინება, რათა „მოლაპარაკებოდა მეტიჩარა ჰიტლერს“, მე კარგად ვიცოდი, რომ სინამდვილეში განზრახული ჰქონდა ულმობელი ბრძოლა ეწარმოებინა ჩვენ წინააღმდეგ. იგი მზად იყო ეთქვა ჩემთვის ყველაფერი, რაც, მისი აზრით, ასეთ ეჭვებს გამიფანტავდა, მაგრამ მე ვიცოდი, რომ მისი ჩამოსვლის ერთადერთი მიზანი იყო დროის მოგება. ამიტომაც უნდა დაგვერტყა მაშინვე და დაგვეწყო ომი 1938 წელსვე...

— ჩემბერლენმა და დალადიემ კი, როგორც უკანასკნელმა მშიშრებმა, დაგვითმეს ყველაფერი, — ამბობს შემდეგ ჰიტლერი, — ხოლო ასეთ პირობებში ძნელი იყო აგვეღო ინიციატივა და დაგვეწყო აშკარა საომარი მოქმედება. მიუნხენში ჩვენ დავკარგეთ ერთადერთი შესაძლებლობა მოგვეგო ეს ომი, რომელიც ყველა გარემოებაში აუცილებელი იყო ჩვენთვის. მართალია, არც ჩვენ ვიყავით მაშინ სულ მთლად მზად, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უკეთ მაინც, ვიდრე ჩვენი მტრები...

ჰიტლერი სულ იმას ნანობდა, რატომ მომცეს ნებით ყველაფერი, როცა ძალით მინდოდაო. არ გაგიკვირდეთ, ნამდვილად ასე ამბობს:

— ჩვენ სწორედ მაშინ უნდა გადაგვეწყვიტა სადავო საკითხები იარაღით და არ მოგვექცია ყურადღება მოწინააღმდეგეთა სურვილზე დაეკმაყოფილებინათ ჩვენი მოთხოვნები...

ახლა კი ცინიზმი ნახეთ! ცინიზმი, თუ შემაძრწუნებელი პირდაპირობა:

— საკმარისი იყო სუდეტის პრობლემა ძალით გადაგვეწყვიტა, რომ ერთდროულად მოგვესპო ჩეხოსლოვაკია და ყველაფერი ეს ბენეშისათვის დაგვებრალებინა, მიუნხენის გადაწყვეტილება შეიძლებოდა მხოლოდ დროებითი ყოფილიყო, რადგან ვერ მოვითმენდით ამ მუწუკის არსებობას გერმანიის გულში, რასაც ჩეხების დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოადგენდა. ჩვენ გამოვრწყეთ ეს მუწუკი 1939 წლის მარტში,

მაგრამ უკვე ფსიქოლოგიურად არა იმდენად ხელსაყრელ ვითარებაში, როგორიც იყო მაშინ, 1938 წელს...

ჰიტლერი განა ამბობს, ამით დავკმაყოფილდებოდიო. არა! მერე უნგრეთის, პოლონეთისა და, საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპის საკითხი დადგებოდაო. მისი აზრით, ინგლისი და საფრანგეთი უკვე ისე იქნებოდნენ დაშინებულნი გერმანული იარაღის ძალით, რომ არ ისურვებდნენ ამ კონფლიქტში ჩაბმას და „ჩვენც მთელი ძალით გავწევდით აღმოსავლეთისაკენ. ამაში კი შემდეგ ისინიც აგვიბამდნენ მხარს“...

...მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერი არასოდეს მალავდა თავის ექსპანსიურ მიდრეკილებებს აღმოსავლეთისადმი, რაც უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის ტერიტორიების დაპყრობას გულისხმობდა, იგი მაინც „თავდაცვად“ თვლიდა ჩვენთან ომს, თავის გასამართლებლად, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც. ვითომ არც ახსოვდა, ეს რომ მისი პარტიის პროგრამაში წერია, წიგნშიც „ჩემი ბრძოლა“ და, საერთოდ, ყველა მის საჯარო თუ საიდუმლო გამოსვლაში. საქმე ის იყო მხოლოდ, როდის დაეწყო აღმოსავლეთთან ომი: დასავლეთამდე, თუ დასავლეთის შემდეგ, თუმცა თავისთვის ესეც გადაწყვეტილი ჰქონდა. აკი რაუშნინგს ეუბნებოდა კიდეც:

— რუსეთი დიდი ლუკმაა, შეიძლება ის ყელში გაეჩხიროს კაცს. ამიტომ მე არ დავიწყებ იქიდან!..

არც დაუწყია, მაგრამ ეს მხოლოდ „რიგის“ საკითხი იყო. ინგლისელი ანსელი წერს: „ჰიტლერს ყველა გეგმიდან გამოსჭვივის ერთი მიზანი — დაამარცხოს რუსეთი“.

გენერალური შტაბის უფროსი ჰალდერი უფრო კონკრეტულია:

— თუ რუსეთი დამსხვრეულ იქნა, ინგლისს წაერთმევა უკანასკნელი იმედი. მაშინ ევროპასა და ბალკანეთში იბატონებს გერმანია... დასკვნა: ამის საფუძველზე რუსეთი მოსპობილ უნდა იქნეს. ვადა — 1941 წლის გაზაფხული. რაც უფრო ადრე დავამსხვრევთ რუსეთს, მით უკეთესი!

დასასრულ, თვითონ ჰიტლერი წერდა უკვე ომის დაწყების შემდეგ:

— ამ კამპანიის მიზანია რუსეთის როგორც კონტინენტალური სახელმწიფოს საბოლოო მოსპობა!..

...ანდერძში კი მხოლოდ თავდაცვით ომზე ლაპარაკობს და ისიც წმინდა ტაქტიკური მოსაზრებებით, რათა გაიმართლოს თავი ისტორიისა და თავისი ხალხის წინაშე. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ, მიუხედავად ამისა, იგი არც ანდერძში ივიწყებს აღმოსავლეთის ტერიტორიების დაპყრობის საკითხს, პირიქით, კიდევ უფრო მეტი გახელებით წერს 1945 წლის 7 თებერვალს:

— აღმოსავლეთისაკენ და მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ უნდა გაიჭრას ჩვენი ხალხი. თვით ბუნება უჩვენებს მას ამ მიმართულებით ექსპანსიის აუცილებლობას...

გატეხილი ლერძი...

რაგინდ ჯადოქრად ქცეულიყო ჰიტლერი ომის უკანასკნელ თვეს, საბჭოთა კავშირთან ომის თავდაცვითი ხასიათის დამტკიცება მაინც გაუჭირდებოდა. ეს მანაც იცოდა, მაგრამ, აქაოდა ენას ძვალი არა აქვსო, მაინც თავისას იმეორებდა:

— არც ერთი გადაწყვეტილების მიღება ამ ომის განმავლობაში არ იყო იმაზე ძნელი ჩემთვის, ვიდრე გადაწყვეტილებისა თავს დავსხმოდი რუსეთს. მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა ავიცდინოთ ომი ორ ფრონტზე. დარწმუნებული იყავით, მე დიდი ხანი ტანჯვითა და წვალებით ვფიქრობდი ნაპოლეონის ლაშქრობაზე რუსეთში. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ დავიწყე ომი რუსეთთან, — იკითხავთ თქვენ, — ან რატომ სწორედ ეს დრო ავირჩიე ომის დასაწყებად?

ამ კითხვაზე ჰიტლერი ისევ უცნაურ პასუხს იძლევა:

— ვიდრე რუსეთის სახით კიდევ ერთი დიდი სახელმწიფო არსებობდა ევროპაში, ინგლისი მისი მხარდაჭერის იმედით არასოდეს შეწყვეტდა ომს ჩვენ წინააღმდეგ. უზარმაზარი სამხედრო პოტენციის მქონე ამერიკა კი მოგების მიზნით ერთთანაც გააბამდა კავშირს და მეორესთანაც. ეს სულ უფრო და უფრო ჩაგვითრევდა ხანგრძლივი ომის ჭაობში.

— ამიტომ, — ამბობს ჰიტლერი, — საჭირო იყო რუსეთის ამოგდება ევროპის სახელმწიფოთა ბალანსიდან.

ამასთანავე. მისი აზრით. საბჭოთა კავშირი გერმანიის ისეთ დაუძინებელ მტერს წარმოადგენდა, რომელიც, სულერთია, ადრე თუ გვიან მაინც თავს დაესხმოდა მას.

ჰიტლერი ამბობს, მე მტანჯავდა კოშმარი, რომ სტალინს შეეძლო ჩემზე ადრე გამოეჩინა ინიციატივაო, და დაასკვნის:

— ამიტომ იყო საჭირო თვითონ აგვეღო ინიციატივა და დაგვეწყო ომი. დრო კი ისევ ჩვენ წინააღმდეგ იყო. სტალინი გულხელდაკრეფილი როდი იჯდა. დასავლეთის სახელმწიფოებიც თანდათან იკრებდნენ ძალას. ამრიგად, კაცმა რომ თქვას, საკითხი იმას კი არ შეეხება, თუ რატომ დავიწყე რუსეთთან ომი 1941 წლის ივნისში, არამედ იმას, თუ რატომ არ დავიწყე იგი უფრო ადრე.

ჰიტლერმა აქაც „იპოვა“ გამოსავალი — იტალიელებს ეცა და ხელი მათ შეახოცა:

— ის სიძნელეები რომ არ წამოჭრილიყო, რაც იტალიელებმა და საბერძნეთში მათმა იდიოტურმა კამპანიამ შეგვიქმნეს, მე რუსეთს თავს დავესხმოდი რამდენიმე კვირით ადრე, — თქვა მან. ის კი სულ „დაავიწყდა“, რა ხოტბაც ასხა „კეისარსა“ თუ „დუჩეს“ იტალიელთა მხარდაჭერის გამო ამ ომში; ისიც, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ მუსოლინის კურთხევით გახარებულმა ცალფეხზე რომ ხტუნვა დაიწყო და ბავშვივით აცეტებული ყვიროდა, „მე ამ სიკეთეს არასოდეს დავუვიწყებ დუჩესო“. ახლა კი, როცა საქმე ანდერძზე მიდგა, ისე გამოიყვანა, თითქოს ამ ომში დამარცხების მთავარი მიზეზი იტალიელები ყოფილიყვნენ. მეტიც, „იტალიამ ზურგში ჩასცა მახვილი გერმანიასო“, ამტკიცებს იგი. სხვებიც წერენ: სუსტმა მოკავშირეებმა დაღუპეს გერმანია, რადგან „ხანგრძლივ ომში სუსტი მოკავშირე უფრო ხუნდებია ფეხებზე, ვიდრე რეალური დახმარებაო“.

ჰიტლერმა არც ის დაუფასა მუსოლინის, ჯერ კიდევ ესპანეთის ამბებიდან მოკიდებული რომ ყოველთვის მხარს უჭერდა მის აგრესიულ მოქმედებას. მართალია, მუსოლინი თავისთვისაც ისროდა ბადეს ევროპის ამღვრეულ წყალში, მაგრამ ეს მაშინ არ ეწინააღმდეგებოდა ჰიტლერის მიზნებს. გერმანი-

ამ რომ პირველი ნადავლი მოხვეტა, იტალია აჩქარდა, განზე არ დავრჩეო, და თვითონაც ჩაყო მარაქაში ხელი. ჯერ ხომ უკვე დამარცხებულ საფრანგეთს გამოუცხადა ომი, მერე კონტინენტიდან განდევნილ ინგლისს ეცა. იტალიაზე გულმოსული ჰიტლერი წერს ანდერძში: ეს იმას ჰგავს, ვირმა მკვდარ ლომს რომ წიხლი ჩააზილოსო. იტალიამ კი ეს „გამარჯვებაც“ არ იკმარა და 28 სექტემბერს სრულიად მოულოდნელად საბერძნეთსაც დაეტაკა, მაგრამ, აი, კინაღამ „ცხვირი მოუნაყეს“ ბერძნებმა. მხოლოდ გერმანიის მიერ საბერძნეთის უეცარმა ოკუპაციამ გადაარჩინა ისედაც თითქმის უცხვირო მუსოლინი ამ საშიშროებას.

ანდერძის შედგენის დროს ჰიტლერმა სწორედ ეს გაუხსენა იტალიელებს: საბერძნეთში მოულოდნელმა შეჭრამ ხუთი კვირით გადამადებინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება, თორემ, ეს რომ ასე არ მომხდარიყო და დროზე გამელაშქრა აღმოსავლეთში, „გენერალი იანვარი“ და „გენერალი თებერვალი“ მოსკოვის მისადგომებთან ვეღარ მომისწრებდა, იმ დროისთვის მოსკოვი უკვე დაპყრობილი მექნებოდა, ხოლო ომი — მოგებულიო. ჰიტლერის აზრით, რაც ისევ მის ანდერძშია გამოთქმული, ეს იყო რუსეთში მისი დამარცხების „გადამწყვეტი ფაქტორი“. წერს კიდეც თავის ამ „აღსარებაში“:

— რაკი მე მიზნად ვისახავ მსჯავრი დავსდო წარსულს ობიექტურად, ყოველგვარი ემოციების გარეშე, უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ურყევი მეგობრობა იტალიასთან და დუჩესთან შეცდომა იყო. სრულიად აშკარაა, რომ ჩვენმა კავშირმა იტალიასთან უფრო მეტი სარგებლობა მოუტანა მტრებს. ვიდრე გერმანელებს. იტალიის მონაწილეობამ ომში, რაც სრულიად უმნიშვნელო იყო იმ სიძნელეებთან შედარებით, რაც მან შეგვიქმნა, ისეთ მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა, რომ, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ეს ომი მაინც ვერ მოვიგეთ და ახლა შეგვიძილა ვთქვათ, რომ იტალიამ ხელი შეუწყო ჩვენს დამარცხებას. ისე კი ყველაზე დიდი სამსახური, რაც შეიძლებოდა იტალიას გაეწია ჩვენთვის, ეს იქნებოდა ის, რომ სულაც არ ჩარეულიყო ამ ომში. მე უამისოდაც გავუყოფდი იტალიას ჩემს ნადავლს და სულითა და გულით მივიღებდი მონა-

წილეობას ისტორიული მითის შექმნაში ძველ რომაელთა კანონიერი შვილების — იტალიელი ხალხის უპირატესობის შესახებ, ოღრნდ მხარში არ ამომდგომოდნენ ბრძოლის ველზე.

როგორც ჩანს, ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ იტალიელთა მონაწილეობამ ომში პირველი გამარჯვება მოუტანა მის მტრებს.

— ო, ეს იტალიელები რომ სულ განზე გამდგარიყვნენ, — ამბობს სინანულით ჰიტლერი, — იმათ რომ შეენარჩუნებინათ თავიანთი ნეიტრალიტეტი!.. რა დაუფასებელი დახმარება იქნებოდა ეს ჩვენთვის!.. მაშინ ინგლისელებიცა და ფრანგებიც ასევე გადაჭარბებით შეაფასებდნენ იტალიელთა ძლიერებას და თავს ბედნიერად ჩათვლიდნენ, რომ „ასეთი ძლიერი სახელმწიფო“ ნეიტრალიტეტს იცავდა.

ჰიტლერი იმასაც ნანობს, რომ იტალიას უყურებდა როგორც თანასწორუფლებიან სახელმწიფოს. ეს შეცდომა იყო, აცხადებს იგი.

— სამწუხაროდ, თვით ბუნებაც იმას ადასტურებს, რომ იმათი აღიარება თანასწორად, ვინც ასეთი არ არის, შეცდომაა. გერმანელებმა კარგად უნდა დაიმახსოვრონ, რომ ასეთ მდგომარეობას მარტოდმარტო ყოფნა სჯობია. მე ხშირად ვამბობდი: სადაც თქვენ შეხვდებით იტალიელებს, იქ ნახავთ გამარჯვებას-მეთქი. უფრო სწორი კი იქნებოდა მეთქვა: სადაც თქვენ აღწევთ გამარჯვებას, იქ, არხეინად იყავით, შეხვდებით იტალიელებს...

ჰიტლერი უსაყვედურებს თავის თავს, რომ არ მიჰყვა „გონების კარნახს“ და არ იყო „ულმობელი იტალიელებთან მეგობრობაში“. ეს სისუსტე იყო, ამბობს იგი, რასაც საბედისწერო შედეგი მოჰყვა, რადგან ცხოვრება არავის აპატიებს სისუსტის გამოჩენასო.

ჰიტლერი იტალიელებს ბრალად სდებს თავის სამხედრო საიდუმლოებათა გაცემასაც. ამაში იგი ადანაშაულებს არა მუსოლინის, რა თქმა უნდა, არამედ ჩიანოს, რომელსაც დუჩე ყველაფერს ანდობდა, ის კი ყოველივე ამას უზიარებდა ლამაზმანების მთელ გუნდს, რომლებიც ბუზებივით ეხვეოდნენ ახალგაზრდა და ლამაზ მინისტრს.

ეს ჰიტლერს უფრო ადრეც ჰქონდა ნათქვამი. 1943 წლის 20 მაისს მან უთხრა ნოირატის ვაჟს:

— რასაც კი დუჩეს მივწერდი, ყველაფერს იგებდნენ ინგლისელები. ამიტომ ხშირად ისეთ რამესაც ჩავურთავდი ხოლმე, რაც მე თვითონ მინდოდა ინგლისელებს გაეგოთ: ეს ყველაზე სწრაფი საშუალება იყო მათთვის ყალბი ინფორმაციის მიწოდებისა. საერთოდ კი, მე იძულებული ვიყავი ბევრი რამ არ გამენდო დუჩესათვის, იმას კი ეს სწყინდა და ასევე იქცეოდა ჩემ მიმართაც, რადგან არც იცოდა, თუ რა სიკეთეს ვუშვებდიო მას ამით!..

... ასე გაწირა ჰიტლერმა ისტორიის წინაშე თავისი ერთგული მოკავშირეები, რითაც ყბადაღებული ღერძის — ბერლინი-რომის ნამუსრევიც კი აღარ დატოვა.

ასევე წერს იგი ესპანეთის შესახებაც, რომელსაც თითქოს ძალიან უნდოდა ომში ჩაბმულიყო, მაგრამ მხოლოდ სიმბოლურად იღებდა მასში მონაწილეობას თავისი „ცისფერი დივიზიით". სინამდვილეში ჰიტლერი რამდენჯერმე შეხვდა ფრანკოს. იგი აძალებდა კაუდილიოს ინგლისელთა წინააღმდეგ ომში ჩაბმას, გიბრალტარის ცალმხრივი ოკუპაციითაც კი ემუქრებოდა. მერე შეთქმულებაც მოუწყო იეზუიტი სირანო სუნიერის სასარგებლოდ, მაგრამ ვერაფერს გახდა.

— მე მირჩევნია ოთხი კბილი ამომაძრონ, ვიდრე იმ მაწანწალასთან კიდევ მომიხდეს ლაპარაკი, — თქვა გაბრაზებულმა ჰიტლერმა. ხოლო ისტორიის წინაშე ისეთი პოზა დაიჭირა, თითქოს კმაყოფილიც კი იყო ფრანკოს განზე გადადგომით.

რაც შეეხება იაპონიას, აქ ჰიტლერი უფრო ფრთხილია გამოთქმებში. მართალია, იგი სინანულით აღნიშნავს, რომ იაპონია 1941 წელს არ ჩაება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში, მაგრამ მაინც არ ცდილობს ისევე მკაცრად დაესხას მას თავს, როგორც იტალიას. იგი მოუწოდებს გერმანელ ხალხს მომავალშიც განამტკიცოს კავშირი „ამომავალი მზის ქვეყანასთან", რადგან გერმანია და იაპონია ან ერთად გაიმარჯვებენ, ან ერთად დაიღუპებიანო...

როცა ჰიტლერი ამ აღსარებას წარმოთქვამდა, მიუხედავად შინაგანი რწმენისა, საჯაროდ მაინც არ აცხადებდა ომი წაგებულიაო. პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა განემტკიცებინა წინააღმდეგობა და „შთაენერგა იმედი“. მართალია, ჯერ კიდევ თებერვალში ამბობდა საათის ისრები თორმეტს უახლოვდებაო, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა, თუ, რა ვიცი, იქნებ სხვებს არ უტეხდა, და აცხადებდა: ვიდრე უკანასკნელი სასტვენის ხმა არ გაისმის, არც ერთი თამაში არ არის წაგებულიო. „სასტვენის ხმას“ კი თითქმის არაფერი უკლდა. თვითონ ჰიტლერი ხატავდა გერმანიის არმიის მძიმე მდგომარეობას:

— ორმოცდათოთხმეტი თვის მანძილზე მძიმე ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავრჩით მარტოდმარტო ისეთი კოალიციის პირისპირ, რომელსაც განზრახული აქვს არამცთუ დაგვამარცხოს, არამედ მოგვსპოს. მდგომარეობა სერიოზულია, ძალიან სერიოზული, შეიძლება უნუგეშოც, მაგრამ მოწინააღმდეგეებსაც აქვთ თავიანთი სუსტი მხარეები. ჩვენ პირისპირ დგას არა ერთსულოვანი კოალიცია, არამედ უბრალო კონგლომერატი. იგი შეკავშირებულია შურითა და სიძულვილით, შედუღაბებულია იმ შიშით, რასაც ნაციონალ-სოციალიზმის დოქტრინა იწვევს მათში. ვიდრე ჩვენ ვიბრძვით, კიდევ არის რაღაც იმედი. და ესეც საკმარისია იმისათვის, რომ შევწყვიტოთ წუწუნი იმაზე, რაც უკვე დაკარგულია.

— უსაშველო მდგომარეობა არ არსებობს, — აცხადებს დასასრულ ჰიტლერი და ისევ ფრიდრიხ დიდის მაგალითს იხსენებს: მის სასოწარკვეთილებას, მომზადებულ საწამლავს, ბოლოს კი იმპერატორის სიკვდილისა და შვიდწლიანი ომის „ბედნიერ დასასრულს...“

— ჩვენ, ისევე როგორც ფრიდრიხ დიდი, ვიბრძვით კოალიციის წინააღმდეგ, — ამბობს იგი, — ხოლო კოალიცია, გახსოვდეთ, არასოდეს არ არის მტკიცე ერთეული: იგი არსებობს მხოლოდ ერთი მუჭა ხალხის ნება-სურვილით. აი, ჩერჩილი რომ უცებ გაქრეს, ელვისებური სასწრაფით შეიცვლება ყველაფერი...

ორიოდე კვირის შემდეგ ჩერჩილი კი არა, „რუზველტი

გაქრა“, შეცვლით კი არაფერი შეცვლილა, თუმცა ჰიტლერი ამითაც კმაყოფილი იყო. მას საშინლად სძულდა ამერიკელები და მათი ლიდერი. იგი ანდერძშიც თავს ესხმის რუზველტს:

— ამერიკელები მალე მიხვდებიან, რომ ისინი რუზველტის სახით აღმერთებდნენ ცრუ კერპს. სინამდვილეში იგი უდიდესი დამნაშავეა როგორც ამერიკის, ისე მსოფლიოს წინაშე...

ჰიტლერის აზრით, „პოლიტიკურ ინსტინქტს“ უნდა ეკარნახა რუზველტისათვის დარჩენილიყო „ბრწყინვალე იზოლაციაში“ და ამ ომის დროს მხოლოდ „არბიტრის როლი ეთამაშა“.

რაკი ასე არ გამოვიდა, ჰიტლერი ისევ წინასწარმეტყველებას შეუდგა:

— ამ ომის შემდეგ, — ნათქვამია მის ანდერძში, — დარჩება ორი უძლიერესი სახელმწიფო: ამერიკა და საბჭოთა კავშირი. მათი ერთმანეთთან დატაკება გარდუვალი იქნება, სულ ერთია, სამხედრო, ეკონომიურ თუ იდეოლოგიურ ფრონტზე. ორივე სახელმწიფო ეცდება ამ ბრძოლაში მიიმხროს ყველაზე ძლიერი ერი ევროპაში — გერმანელები... ჩვენთვის იდეალური ის იქნება, თუ გერმანელი ხალხი უზრუნველყოფს თავის არსებობას, ხელახლა აღზრდის ნაციონალ-სოციალისტურ ახალგაზრდობას და მოემზადება ამ ბრძოლისათვის...

ეს იყო მოწოდება მესამე მსოფლიო ომისაკენ...

...ჰიტლერი რომ ამას ამბობდა, ყირიმის ლივადიას სასახლეში სამი დიდი სახელმწიფოს მეთაური — სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი იმაზე მსჯელობდნენ, თუ რა ექნათ დამარცხებული გერმანიისათვის. ინგლისელებმა და ამერიკელებმა ჯერ კიდევ თეირანის კონფერენციაზე წამოაყენეს საკითხი გერმანიის ცალკეულ სახელმწიფოებად დანაწილების შესახებ. შემდეგ მოსკოვის კონფერენციაზე სტალინმა და ჩერჩილმაც განიხილეს ეს საკითხი, მაგრამ რუზველტის იქ არყოფნის გამო რამე გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ახლა კი, როცა სამივე მოკავშირე სახელმწიფოს მეთაური შეიკრიბა ყირიმში, ეს საკითხი ისევ დაისვა, მაგრამ მათ შორის არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია. პირიქით, ყირიმის კონფერენციამ მო-

კავშირეთა „სრული ერთსულოვნება“ დაადასტურა, რაც გამოთქმულ იქნა სპეციალურ კომუნიკეში.

— ჩვენ განვიხილეთ და განვსაზღვრეთ სამი მოკავშირე ქვეყნის სამხედრო გეგმები საერთო მტრის საბოლოოდ შესაძუსრავად, — ნათქვამია კომუნიკეში. — ეს თათბირი ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი იყო და გამოიწვია სამივე მოკავშირე ქვეყნის სამხედრო ღონისძიებათა უფრო მჭიდრო კოორდინაცია, ვიდრე ოდესმე ყოფილა...

მზის აზნაური...

ამის მიუხედავად ჰიტლერი კიდევ ერთხანს ეთამაშებოდა რაღაც გაურკვეველსა და ალეგიკურ ილუზიებს. ძველ ამბებსაც იხსენებდა, მაგრამ უკვე სინანულით:

— ლონდონის ცაზე ინგლისელებმა მოახდინეს წინააღმდეგობის ნებისყოფის დემონსტრირება. მათ თავიანთ აქტივში შეეძლოთ ჩაეწერათ ისეთივე სამარცხვინო დამარცხება, იტალიელებმა რომ განიცადეს ჩრდილოეთ აფრიკაში. ტრადიციების ერთგული ინგლისელებიც უარს არ იტყოდნენ ზავზე, მაგრამ ებრაელებს ამის გაგონებაც არ უნდოდათ. ჩერჩილი და რუზველტი მათი ლაქიები იყვნენ და არ დაუშვეს საქმის მშვიდობიანად მოგვარება. ინგლისელებთან ზავს მაშინ შეეძლო გამოერიცხა ამერიკელთა ჩარევა ევროპის საქმეებში...

— ეჰ, — ამბობდა ჰიტლერი სინანულით, — ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ ერთი სიტყვა ეთქვათ ინგლისელებს, მხოლოდ ერთი სიტყვა: გააკეთეთ!

ე. ი. გააკეთეთ, რაც გინდათო.

— მაშინ, — ოცნებობდა ჰიტლერი, — გერმანიის წინამძღოლობით ევროპა სწრაფად გაერთიანდებოდა... რამდენიმე თვის ინტერვალით ზედიზედ დამარცხებული საფრანგეთი და იტალია ხელს აიღებდნენ დიდ სახელმწიფოდ ქცევის უადგილო მისწრაფებაზე. ამასთანავე ისინი იძულებული გახდებოდნენ უარი ეთქვათ თავიანთ პრეტენზიებზე ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. ინგლისი ამით გათავისუფლდებოდა ევროპის კონტინენტისათვის მეურვეობის გაწევისაგან

და ხელს მოჰკიდებდა საკუთარი იმპერიის საქმეებს. ამის შემდეგ კი გერმანია, რომელსაც ზურგი დაცული ექნებოდა, მთელი სულითა და გულით შეუდგებოდა ჩემი ცხოვრების მთავარი მიზნის შესრულებას — ბოლშევიზმის მოსპობას. ეს გამოიწვევდა აღმოსავლეთის ვრცელი ტერიტორიების დაპყრობას, რაც მომავალში უზრუნველყოფდა გერმანელი ხალხის კეთილდღეობას...

კიდევ კარგი, რომ თვითონ ჰიტლერი ამგვარ ილუზიებს თავისი „რომანტიკული იდეალიზმით" ხსნის, ოღონდ უკვე ტრაგიკულადაც იხედება საკუთარი არსებობის მიღმა:

— ბედმა მე დამაკისრა ვცადო განვახორციელო ყველაფერი ერთი ადამიანის ცხოვრების მოკლე დროში. ამაში მეხმარება ჩემი რომანტიკული იდეალიზმი, რომელიც ეყრდნობა რეალურ ფაქტებს, საიდანაც გამომდინარეობს სრულიად შესაძლო დაპირებები, მაგრამ იგივე ფაქტები მიკრძალავენ აღვუთქვა ვინმეს, რომ ვარსკვლავებს მოვწყვეტ ციდან. იმ დროს, როცა სხვების განკარგულებაში მთელი მარადიულობაა, ჩემს განკარგულებაშია მხოლოდ რამდენიმე უსუსური წელი. სხვებმა იციან, რომ მათ შეცვლიან ისინი, ვინც განაგრძობს იქიდან, სადაც თვითონ ამთავრებენ, თანაც ისე, რომ იმავე მიმართულებითა და იმავე გუთნით გაიყვანონ ხნული. მე ახლა ისეთ ასაკს მივაღწიე, რომ საგონებელში ვარ ჩავარდნილი: მოიძებნება კი ჩემ ახლობელთა შორის ბედისაგან რჩეული ისეთი ადამიანი, ვინც შეძლებს ასწიოს და წინ წაიღოს ჩირაღდანი, რომელიც მე გამივარდება ხელიდან?!..

... „და იყო კაცი იგი აზნაური მზისა", წერია ბიბლიაში. ეტყობა ჰიტლერს თავი ასეთ „მზის აზნაურად" მიაჩნდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ უიმისოდ ცას სვეტი გამოეცლებოდა და ქვეყანა დაიღუპებოდა.

თავის დროზე კაიზერი ვილჰელმიც ასე მიმართავდა ომში მიმავალ ჯარისკაცებს:

— გახსოვდეთ, რომ გერმანელი ხალხი ღვთის რჩეულია. ჩემში, გერმანიის იმპერატორში, გადმოსულია ღვთაების სული. მე მისი ხმალი ვარ, მისი იარაღი, მისი წარმომადგენელი...

მორწმუნენი ასეთ როლს ღმერთს მიაწერდნენ. ჰიტლერმა

ცნება „ღმერთი“ „განგების“ (Vorsehung) ცნებით შეცვალა, ხოლო „განგება“ — თავისი პიროვნების „მე“-ს კულტით. სხვებმა აქედან „ბუნებრივი“ დასკვნა გააკეთეს:

— ჰიტლერიც ისევე შეუცდომელია, როგორც ღმერთი, ანუ განგება.

იოდლი ამბობდა ნიურნბერგის პროცესზე:

— ჰიტლერს ჰქონდა თავისი, როგორც გერმანელი ხალხის ფიუერერისა და უმაღლესი მთავარსარდლის, აბსოლუტური შეუცდომლობის მისტიკური რწმენა. იგი შეპყრობილი იყო იდეით, რომ ისაა განგების მიერ რჩეული და მხოლოდ მას შეუძლია ბედნიერების მოტანა გერმანელი ხალხისათვის...

ადრე ჰიტლერი მართლაც ამბობდა:

— მე ბრმად მწამს ჩემი ხალხისა. თუ ეს რწმენა დავკარგე, არაფერი დამრჩება, გარდა იმისა, რომ თვალები დავხუჭო...

ახლა კი, ომის უკანასკნელ ეტაპზე, გერმანელები მისთვის „უძლური, უსუსური, მერყევი და გაუგებარი ხალხია, რომელიც ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება“.

ადრეც ცნობილი იყო ჰიტლერის ქედმაღლური დამოკიდებულება ხალხისადმი. ცხადია, საჯაროდ იგი არ ამჟღავნებდა ამას, მაგრამ ინტიმური საუბრების დროს ძალიან ხშირად გამოთქვამდა უკიდურეს აზრებსაც კი. ერთხელ მან ხალხი შეადარა „ნეხვის გროვას“, საიდანაც ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის მაგნიტს ამოაქვს „რკინის ნაჭრები“, ანუ ღირსეული ადამიანები...

ხალხი ჰიტლერისათვის წარმოადგენდა მასალას, საშუალებას, უპიროვნო და უსახეო ბრბოს, რომლის ექსტაზში შეყვანა, აშხედრება და საკუთარი მიზნებისათვის დამორჩილება იყო საჭირო. „ხალხის“ ცნება მისთვის არ ნიშნავდა „ადამიანთა საზოგადოებას“. ამბობდა, სიტყვა „საზოგადოება“ რომ მესმის, მეცინებაო. ეს იმიტომ, რომ „ხალხი“ ერთი მთლიანი, მონოლითური, დაუნაწევრებელი ფენომენი იყო. ეს ცნება თითქოს არც გულისხმობდა ცალკეულ ადამიანებს, პიროვნებებს. ამიტომ იყო, რომ ლიტერატურაში შეიქმნა გამოთქმა „ადამიანთა ხალხი“, რასაც ამის სრულიად საწინააღმდეგო გაგება უნდა გამოეხატა.

სწორედ აქ იბადება ერთი ის სადავიდარაბო საკითხთაგანი, რომელიც დღემდე აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს ისტორიკოსებში. არც ისე ადვილი აღმოჩნდა ეპასუხათ კითხვისათვის: როგორ უყურებდა ჰიტლერი თვით გერმანელ ხალხს? ერთი შეხედვით, ეს არ უნდა იყოს ძნელი კითხვა, სინამდვილეში კი ასე არ არის. მართალია, ამის შესახებ უკვე ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ ყველაფერი ნათელი როდია. ზოგჯერ ისედაც ხდება: რაზედაც მეტს წერენ, უფრო იმოსება იდუმალებით. მე მგონი, ამ შემთხვევაშიაც ასეა. დიტრიხმა რომ თქვა, ჰიტლერმა კიდეც გააღმერთა გერმანელი ხალხი და კიდეც დაღუპაო, თითქოს სიმართლეს უნდა გამოხატავდეს. მაგრამ რას ნიშნავს „გააღმერთა?“ ფაქტია, რომ ნაცისტური პრესა და ლიტერატურა სავსე იყო ასეთი გამოთქმებით: „ხალხი და ფიურერი“, „ხალხი და სამშობლო“, „ხალხი და მომავალი“... ხალხი, ყველგან ხალხი და ფიურერი!.. ჰიტლერი ყველაფერს „თავისი ხალხის“ სახელით ამბობდა, ვითომ ხალხისავე საკეთილდღეოდ აკეთებდა. აქ ახალი და უჩვეულო არაფერია. დესპოტებს საერთოდ სჩვევიათ ხალხის სახელით ლაპარაკი, მაშინაც კი, როცა „აღთქმული ქვეყნის“ ნაცვლად უფსკრულისაკენ მიჰყავთ იგი.

იყო დრო, როცა ჰიტლერი მართლაც ლოცულობდა გერმანელ ხალხზე: გულხელდაკრეფილი თვალებს ზევით აღაპყრობდა და ისე წარმოთქვამდა კადნიერ სიტყვებს: „ჩემი ხალხი!..“ რა იყო ეს? გულწრფელი განცხადება, თუ პროპაგანდისტული მანევრი? ან ვის გულისხმობდა იგი „ჩემს ხალხში?“ კორსიკელი ნაპოლეონი რომ ფრანგი ხალხის სახელით ლაპარაკობდა, ბევრში ეს ირონიულ ღიმილს იწვევდა. აქაც ასეა: ავსტრიელი ჰიტლერი რომ გერმანელი ხალხის წარმომადგენლად თვლიდა თავს, არც ეს რჩებოდა ირონიის გარეშე. რაღაც კანტისებური კითხვაც დაისვა: რა იყო გერმანელი ხალხი ავსტრიელი ჰიტლერისათვის — საშუალება, თუ მიზანი?

თვითონ კანტმა ასე თქვა, ადამიანი მიზანი უნდა იყოს და არა საშუალებაო. ჰიტლერმა ეს სენტენცია შეაბრუნა. მისთვის ადამიანიცა და ხალხიც უფრო საშუალება იყო, ვიდრე მიზანი.

მე მესმის, თუ რა ძნელია ამტკიცო, ჰიტლერი ზიზღით უყურებდა „თავის ხალხსო“, მაგრამ ეს პარადოქსი მაინც თვალსაჩინოა. იმდენად თვალსაჩინო, რომ იგი ჰიტლერის პოლიტიკური მოღვაწეობის ყოველ ეტაპზე მჟღავნდება, განსაკუთრებით მისი ცხოვრების უკანასკნელ თვეებში.

როცა ჰიტლერი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად იბრძოდა და საპრეზიდენტო არჩევნებსა თუ რაიხსტაგში ხმის უმრავლესობის მოპოვებას ცდილობდა, ცხადია, „ხალხი“ მიაჩნდა ამის საშუალებად, მაგრამ ეს „უმრავლესობა“ რომ ვერ მოიპოვა, „ხალხი კენჭისმყრელი ცხოველიაო“, განაცხადა.

ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ რომ მსოფლიო ბატონობის მოპოვება მოინდომა, უკვე „კენჭისმყრელი ცხოველი“ კი არ სჭირდებოდა, არამედ „საზარბაზნე ხორცი“. მან თითქმის მთელი გერმანელი ხალხი დააყენა თოფქვეშ და „ყინულისებური გულგრილობით“ გაგზავნა მსოფლიო სასაკლაოზე. მაგრამ არც ამ „საშუალებამ“ გაუმართლა. მსოფლიო ბატონობის იდეა დამარცხდა და ჰიტლერმა ისევ გალანძღა გერმანელი ხალხი როგორც „თავისი იდეებისათვის შეუფერებელი მასალა“. ეს კიდევ არაფერი, როგორც დავინახავთ, უკანასკნელ დღეებში მან მთელი ხალხის მოსპობაც კი განიზრახა.

თუმცა ეს ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ასე კი არის!..

...თავისთავად „ხ ა ლ ხ ი ს ა“ და „პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს“ ურთიერთობის საკითხი ახალი არ არის. ძველ საბერძნეთში პიროვნება ს ი ც ო ცხ ლ ი ს ყოვლადობის ცალკეული გამოვლინებაა. ს ი ც ო ცხ ლ ე ზოგადი ცნებაა, ხოლო პიროვნების ც ხ ო ვ რ ე ბ ა — ცალკეული მოვლენა. ს ი ც ო ცხ ლ ე მარადიულია, უკვდავია, ც ხ ო ვ რ ე ბ ა — წარმავალი, მოკვდავი. მთავარი ს ი ც ო ცხ ლ ე ა და არა ც ხ ო ვ რ ე ბ ა.

ასევე ხ ა ლ ხ ი, საზოგადოება ზოგადია, მარადიული, ხოლო ა დ ა მ ი ა ნ ი — კერძო, წარმავალი. მნიშვნელოვანი ხ ა ლ ხ ი ა და არა ცალკეული ა დ ა მ ი ა ნ ი, პიროვნება. ადამიანი თავს საზოგადოების ნაწილად თვლიდა, მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს, საერთოს ე რ თ ე უ ლ ა დ. პლატონი არ ცნობდა ამ „ერთეულის“ უფლებებს. მანვე შექმნა მოძღვრება იდეებზე, ყო-

ფიერების ყოვლადობაზე, მის უკვდავებაზე. მისი აზრით, ერთეულს მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მონაწილეობას იღებს სამყაროს მთლიანობასა და ყოვლადობაში.

არისტოტელე, მართალია, აკრიტიკებდა პლატონს, მაგრამ ამ საკითხში მაინც ეთანხმებოდა მას: ისიც ამბობდა, რომ პიროვნებას საზოგადოების გარეშე ისევე არა აქვს მნიშვნელობა, როგორც ორგანიზმისაგან მოწყვეტილ ნაწილს — სიცოცხლე...

რომაული კულტურის დეკადანსის პერიოდში ადამიანს უკვე აღარ სურს იყოს მთლიანის უპიროვნო ნაწილი. მას უმძიმს სახელმწიფოს, კანონის, ყოვლადობისა და ზოგადობისადმი თავისი პიროვნული ინტერესების დამორჩილება, რადგან იგი ზღუდავს მას, უსპობს თავისუფლებას. ამას მოჰყვება ეპიკურეიზმი, ინდივიდუალიზმი, სკეპტიციზმი.

ადრეული ქრისტიანობის დროს ბერძნული ყოვლადობის იდეას ცვლის ღვთაებრივთან ილუზიური კავშირის იდეა. ყოვლადობა როგორც რეალობა განდევნა ღმერთში მოცემული სულიერი ერთიანობის დოგმამ. რაკი პლატონისეული ყოვლადობისა და ერთიანობის პრინციპი განუხორციელებელი დარჩა, ქრისტიანიზმმა სცადა იგი ღვთაებრივის სფეროში გადაეტანა. ამიტომ იყო, რომ წარმართი პლატონი ქრისტიანიზმის სულიერ მამად იქცა.

როგორც „სუფრული საუბრიდან“ ჩანს, ჰიტლერმა კატეგორიულად უარყო რომაული დეკადანსისა და ადრეული თუ მოგვიანო ქრისტიანობის გაგება და ხალხისა და პიროვნების ურთიერთობის ანტიკურ-წარმართული ლოგიკა შეითვისა. იგი რამდენჯერმე უბრუნდება ანტიკური კულტურის დეკადანსის მიზეზებს და ყველაფერს წმ. პავლეს „ბოლშევიკურ იდეებს“ აბრალებს, მისი აზრით, სახელმწიფო პიროვნებებზე კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ ხალხზე. „პიროვნებები“ მისთვის ისეა ჩალაგებული „ხალხში“, როგორც ვაზნები — სავაზნეში. ამ ალეგორიას რომ მივყვეთ, სახელმწიფო ტყვიამფრქვევია, რომელშიც მსროლელი, ანუ ფიურერი

ვაზნებს აწყობს; ეს მისი საქმეა, თუ როგორ გამოიყენებს იგი ამ იარაღს.

ასეთია ხალხისა და პიროვნების მილიტარისტული „ფილოსოფია“. ტყვიები თუ ცვივა, ე. ი. პიროვნებები თუ იხოცებიან, ეს ბუნებრივი მოვლენაა. მთავარია ვაზნები დროზე შეიცვალოს და ტყვიამფრქვევები არ გამოვიდეს წყობიდან. ჰიტლერის აზრით, ამ შემთხვევაში მორალზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია. ტყვია იმისთვისაა, რომ გაისროლონ.

— ღმერთი მთლიანშია და არა ნაწილში. ამიტომ ცალკეული პიროვნების ცხოვრება სრულიადაც არ უნდა იქნეს ძვირფასად მიჩნეული.

(Mann soll auch das Einzelleben gar nicht so hoch bewerten) ერთი ბუზი მილიონ კვერცხსა დებს. ისინი იხოცებიან, მაგრამ ბუზები მაინც რჩება. რაც განწირულია დასაღუპად, უნდა დაიღუპოს.

ნაწილი უნდა შთაინთქას მთლიანში. ამაშია ჰიტლერის blutmässige Substanz. ალბათ, შოპენჰაუერის „ინდივიდის მოსპობის სიხარულის“ მხოლოდ მუსიკის საშუალებით გაგებაც ამასვე გულისხმობს.

დოსტოევსკის ალეგორიაც რომ გავიხსენოთ: ღმერთი სიმფონიაა, ხალხი — ორგანი, პიროვნებები კი — წკირები. თუ ორგანი აღარ მუშაობს, წკირები ვის რაში სჭირდება! თუმც კარამაზოვი ძალიანაც ყვიროდა, არ მინდა წკირობაო, მაგრამ მაინც ისე იყო ცხოვრების მკაცრ ორგანში ჩასობილი, როგორც ვაზნად ქცეული გერმანელი ჯარისკაცი—ტყვიამფრქვევში.

ზეკაცების მოლოდინი...

დამახასიათებელია, რომ ჰიტლერი აბუჩად იგდებდა არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთელ „პროფესიულ ჯგუფებს“. მას განსაკუთრებით სძულდა მამაკაცი მასწავლებლები: რა უშვერი სიტყვებით არ ლანძღავდა მათ, როგორ არ

ამცირებდა! მერე იმუქრებოდა კიდეც, როდისმე ყველას საკონცენტრაციო ბანაკებში ჩავყრი, სკოლებში კი ფელდფებელებს გავაგზავნიო...

კიდევ უფრო მეტად ეჯავრებოდა იურისტები. ამბობდა, ყველანი ბოროტმოქმედნი და დეფექტურები არიანო. ერთადერთ გამონაკლისად თავისი კანცელარიის უფროსს ლამერსს თვლიდა: მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული განათლება აქვს მიღებული, საღი გონება მაინც შეინარჩუნაო, ამბობდა იგი. სამაგიეროდ, ფინანსისტებს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე „გაიძვერებსა" და „ვიგინდარებს" უძახდა. სასულიერო პირთა დანახვაზე ხომ სულ ცოფდებოდა, იმუქრებოდა, ერთხელაც იქნება და მაგათაც გავუსწორდებიო. სიტყვა „პროფესორი" ნერვებს უშლიდა. ქვეყანა რომ პროფესორებს ჩაუგდო ხელთ, რამდენიმე ათასი წლის შემდეგ მხოლოდ კრეტინები ივლიან ამქვეყნადო, ამბობდა იგი. საერთოდ, ვერ იტანდა ინტელიგენციას, „ერის ნაყარ-ნუყარს" უწოდებდა და გაურბოდა მასთან შეხვედრას, რადგან ამჩნევდა, მისი დაუსრულებელი „ისტორიული ექსკურსების" დროს რომ ის „განათლებული მაწანწალები" ღიმილს ვერ იკავებდნენ. სამაგიეროდ გონებაშეზღუდულ თანამებრძოლებსა და მათს მეუღლეებთან, კინოვარსკვლავებთან თუ მზარეულებთან უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს, ასევე — „უპიროვნო ბრბოს წინაშე. აქ, რაც უნდოდა, იმას ლაპარაკობდა, როგორც უნდოდა, ისე გადმოსცემდა ყურმოკრულ ისტორიულ ფაქტებს. იგი ხელების ქნევით, თვალების ბრიალითა და პაროქსიტული ჟესტებით აბრუებდა მსმენელთ, ჰიპნოტიზიორის ძალით ბოჭავდა მათს ნებისყოფას და იმორჩილებდა, მერე კი ვაზნებივით აწყობდა სავაზნეში და „იწყებდა სროლას"...

...ამბობენ, წყნარ ოკეანეში ახალი კალედონიის ახლო მდებარე პაწია კუნძულ მოლის მცხოვრებთ წესად აქვთ შემოღებული, რომ სახალხო კრებაზე ორატორები ზურგშექცევით დააყენონ აუდიტორიასთანო. რატომ შვრებით ამასო, რომ იკითხეს, მოხუცებმა უპასუხეს:

— იმიტომ რომ გამოჩნდნენ ისეთი მოხერხებული, მაგრამ მცირე ჭკუის ადამიანები, რომელნიც გამოდიან ხალხის წინაშე

და თავიანთი ,,ლეგური მიმიკით, ჟესტიკულაციითა და თვალების ტრიალით აბრუებენ და ჰიპნოზებენ მსმენელთ, აღაგზნებენ მათ, იმორჩილებენ სუსტი ნებისყოფის ადამიანების გონებას. ამის გამო ბრძენთა საბჭომ აუკრძალა ორატორებს ხალხთან პირისპირ დგომა. ისინი ზურგშექცევით უნდა გაჩერდნენ, რომ მსმენელები წარმოთქმული სიტყვების მხოლოდ აზრს ჩაუფიქრდნენ. თუ აზრი არ არის მოსაწონი, ორატორი სხვა გარეგნული ეფექტებით ვეღარ შეძლებს ამის დაფარვას...

ეს ეხება ყველას, თვით ბელადებსაც, რომელთაც ზღუდავს უხუცეს ბრძენთა საბჭო. ხოლო თუ ბელადი რამეს დააშავებს ან ისე არ მოიქცევა, როგორც ხალხს სურს, კუნძულზე მიღებული კანონის ძალით, ყველაზე ღონიერი მამაკაცი გალახავს მას, თანაც წინასწარ შემუშავებული წესის მიხედვით: ბელადს დააყენებენ ხალხის წინაშე, ღონიერი მამაკაცი მივა მასთან, ჯერ ბოდიშს მოიხდის, მერე კი... მუშტებს დაუშენს. ბელადს უფლება არა აქვს თავი დაიცვას ან წინააღმდეგობა გაუწიოს, ხოლო თუ მაინც შეეცდება ამას, მაშინვე მხრებში სტაცებენ ხელს და გააკავებენ... ის ღონიერი მამაკაცი კი იმდენს ურტყამს, ვიდრე ბელადი შეწყალებას ითხოვს, შეცდომას აღიარებს და შეპირდება ხალხს, რომ გამოსწორდება...

ამის შემდეგ ღონიერი მამაკაცი მიდის სათევზაოდ, იჭერს ყველაზე საუკეთესო, ე. წ. „სამეფო თევზს" და მიართმევს ბელადს, რომელიც ვალდებულია თავისი საქციელით კვლავ მოიპოვოს ხალხის სიყვარული. მას აკრძალული აქვს თავისი ძალაუფლებით შური იძიოს ღონიერ მამაკაცზე, და ხალხიც ივიწყებს ბელადის მიერ ჩადენილ დანაშაულს...

აბა, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ნაცისტურ გერმანიაში ან თუნდაც სხვაგან, სადაც დესპოტები მართავენ სახელმწიფოებს, ასეთი წესი რომ ჰქონდეთ შემოღებული!.. მაშინ ხომ ვერც ჰიტლერი შეძლებდა თავისი შმაგური მჭევრმეტყველებით გაებრუებინა გერმანელი ხალხი ან ვაზნებივით ჩაეწყო სავაზნეში სისხლისმღვრელი ომების გასაჩაღებლად!..

ისე კი ცნება „ხალხისა" ჰიტლერის წარმოდგენაში თანდათან დაიცალა კონკრეტული შინაარსისაგან და მხოლოდ ზოგადი გაგება დარჩა, ისევე ზოგადი, როგორც „ღმერთი", „განგება", „მსოფლიო" ან „სამყარო".

ჰიტლერი ხშირად იმეორებდა ნიცშეს სიტყვებს:

— სული ოდესღაც ღმერთი იყო, მერე ადამიანად იქცა, ხოლო ახლა — ბრბოდო. თავისი თავი კი, რა თქმა უნდა, „ზეადამიანად“ მიაჩნდა და როგორც „ფიურერი“ ღმერთს, ანუ განგებას უტოლდებოდა. თუ რამ გამოეყოფოდა ამ „ღვთაებრივ უკვდავებას“, ეს ისევ „ფიურერი“ და „ხალხი“ იყო. შემდეგ, თანახმად მსოფლიო ბატონობის ჰიპერტროფიული იდეებისა, ეს ორი გამოთქმა „ღმერთი—მსოფლიო“, „ფიურერი—ხალხი“ ორმაგი ექსპოზიციით დაემთხვა ერთმანეთს და მივიღეთ განტოლება: „ღმერთი—ფიურერი“ = „მსოფლიო = გერმანელი ხალხი“. შემდეგში კი მათ შორის თანასწორობის ნიშანიც გაჩნდა: „გერმანელთა მსოფლიო იმპერია“ = „ღმერთკაცს, ანუ ფიურერ ადოლფ ჰიტლერს“. ასეთი იყო ის „გრანდიოზული მასშტაბი“, რომელსაც ეპოტინებოდა „ბოჰემიელი ეფრეიტორი“. რიგითი ადამიანები? ცალკეული პიროვნებანი? ვაზნები, მხოლოდ ვაზნები, ე. ი. იარაღი, ანუ საშუალება ფიურერის ხელში ისევ იმ მსოფლიო ბატონობის მისაღწევად...

...ვამბობთ „მსოფლიო ბატონობისაო“, მაგრამ ვისთვის? თუმცა ვისაც არ უნდა ჰკითხოთ ეს, ალბათ, მაშინვე გიპასუხებთ: გერმანელი ხალხისთვისო. არა, ასე არ არის! ჰიტლერი ამ შემთხვევაში ნიცშეს აზრებს იზიარებდა. ადამიანი და, საერთოდ, ხალხი მისთვისაც იყო „რაღაც, რაც დაძლეულ უნდა იქნეს“ (...etwas, das überwunden werden soll.) ნიშცესათვის ადამიანი (ცხადია, გერმანელიც) მანძილია ცხოველიდან ზეკაცამდე. ჰიტლერმა ამ მანძილის გავლა მოინდომა. მან ვითომ მიაღწია ზეადამიანის სიმაღლეს და უნდოდა დ ა ე ძ ლ ი ა „ადამიანთა ხალხი“, რომ გზა გაეხსნა ზეკაცთათვის. კაცობრიობის მთელი ისტორია მან წარმოიდგინა როგორც ხიდი, რომლის მიღმა უნდა დაწყებულიყო არიელ ზეკაცთა მსოფლიო იმპერია. ეს „ამცნო“ მას განგებამ და ამისათვის ამზადებდა „განდობილ“, ანუ „ხელდასხმულ“ ესესელთა კასტას. მანვე შექმნა „ღმერთკაცთა“ კულტი, ბატონებისა და მონების იეზუიტური იერარქია, ირწმუნა „დაბალი რასების“ მოსპობისა და „სისხლიანი წარღვნის“ აუცილებლობა. გერმანელი ხალხი კი ამ შემთხვევაშიც ს ა შ უ ა ლ ე ბ ა იყო და არა მ ი ზ ა ნ ი. რელიგიურ-მაგიური ცრურწმენითა და ნიცშეს

„ზეკაცობის“ იდეით შეპყრობილი ჰიტლერი არა გერმანელებზე, არამედ „სულ სხვა ადამიანებზე“ ფიქრობდა, იმათზე, „ვინც ჩვენ შემდეგ მოვაო“, ამბობდა იგი. თუ ვინ უნდა მოსულიყო „მათ შემდეგ“, ამაზე მე უკვე ვილაპარაკე, აქ კი მხოლოდ შეგახსენებთ: აი, ის იდუმალებით მოსილი არიელი ღმერთკაცები, რომელნიც ერთ დროს ცხოვრობდნენ დედამიწაზე და რაღაც მსოფლიო კატასტროფის შედეგად დაიღუპნენ. ხოლო გადარჩენილებმა „ღრუ დედამიწის“ მთებსა და გამოქვაბულებს შეაფარეს თავი...

... მითური ალეგორია ამ შემთხვევაშიც განმეორდა. მოახლოებულმა „კატასტროფამ“ ისევ დააყენა არიელ „ღმერთკაცთა“ საკითხი. ჰიტლერის აზრით, გერმანელმა ხალხმა ამ ომით ვერ უზრუნველყო მათი „მეორედ მოსვლა“ და „აღთქმული ქვეყნის“ დაპყრობა, მაგრამ დარჩა სხვა საშუალება: თავიანთი გმირული მსხვერპლშეწირვით შესაძლებელი გახადონ ეს მოშავალში. აი, რატომ გაწირა ჰიტლერმა მოსასპობად გერმანელი ხალხი, ხოლო „ხელდასხმულ“ თუ „განდობილ“ ესესელთა კასტის გადასარჩენად, როგორც ვნახეთ, „ნოეს კიდობანი“ გაგზავნა ტიურინგიის მთებში, სადაც მათი ღმერთი ვოტანი უცდიდა ახალ გამოცხადებას...

ჰიტლერი ფიქრობდა, რომ ამგვარი გრანდიოზული იდეისათვის მასთან ერთად თავი მსხვერპლად უნდა გაეღო მთელ გერმანელ ხალხს, ხოლო მათ, ვინც „ნოეს კიდობნით“ გადარჩებოდნენ, „დაეწყოთ თავიდან“, რათა მომავალში ისევ იმ მიზნებისათვის შეეწირათ თავი...

სწორედ მათთვის იყო შედგენილი ჰიტლერის ანდერძი და არა „მთელი გერმანელი ხალხისათვის“, რომელსაც მან სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, ისევე, როგორც ღმერთმა იეღოვამ მოსეს მიერ ეგვიპტიდან „აღთქმული ქვეყნისაკენ წაყვანილ ებრაელებს...

ღმერთების დასასრული...

1945 წლის ორ აპრილს ბორმანი იჯდა და თითქმის სიტყვასიტყვით იწერდა ფიურერის ანდერძის უკანასკნელ სიტყვებს:

— რა შეგვიძლია ვურჩიოთ ან მოქმედების რომელ გეზზე

შეიძლება მივუთითოთ იმათ, ვინც ცოცხალი დარჩება და ამასთანავე შეინარჩუნებს წმინდა სულსა და გაუტეხელ გულს? — დასვა ჰიტლერმა უკანასკნელი კითხვა და სცადა ეპასუხა:

— დამარცხებულმა და განწირულმა გერმანელმა ხალხმა, რომელიც იძულებულია იცხოვროს და იბრძოლოს არსებობისათვის მარტოდმარტომ როგორც გუშაგმა ბნელ ღამეში, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა კვლავაც დაემორჩილოს მისთვის შემოთავაზებულ რასიულ კანონებს.

მერე ჰიტლერი ამბობს, რომ ოცი წლის წინ გერმანიის შესაძლებელ მოკავშირედ მიაჩნდა ინგლისი და იტალია, მაგრამ მოტყუვდა, იტალია სუსტია, ხოლო ინგლისს არ სურს ეს კავშირი, ფრანგები კი მძულსო, დასძენს იგი და შთამომავლობასაც უანდერძებს ყოველთვის მოსისხლე მტრებად მიგაჩნდეთ ისინიო.

— დაე, გერმანელებმა იზრუნონ იმაზე, რომ მომავალში არასოდეს მოტყუვდნენ სირინოზის ამ ტკბილი გალობით...

მერე ამერიკას გადასწვდა და უკიდურესი დასუსტება და გადაგვარება „უწინასწარმეტყველა"; ძალა მხოლოდ იმისათვის თუ შერჩება, ბიძგი მისცეს საკუთარ დაცემასო. სხვა ერებსა და სახელმწიფოებსაც შეეხო, კოლონიალურ ქვეყნებს, დედამიწის ყოველ კუთხეს...

გლობუსი ისევ ტრიალებდა მის წინ, ტრიალებდა მთელი დედამიწა, რომელსაც გარდამავალ თასს უწოდებდა, მაგრამ ხელიდან გაგდებინეს. ახლა იგი ზიზღით უყურებდა ამ „თასს" და მეფისტოფელივით ნატრობდა გაეჭყლიტა იგი, „როგორც ლაყე კვერცხი", მაგრამ რაკი ეს არ შეეძლო, ქადაგებდა:

— მომავალი შეიძლება მხოლოდ იმ თეთრ ხალხს ეკუთვნოდეს, რომელმაც იცის რა არის ტანჯვა და ბრძოლა სიკვდილამდე. ასეთი ხალხი კი ის იქნება, ვინც შეძლებს თავისში აღმოფხვრას ებრაული შხამი!..

ეს იყო ჰიტლერის აღსარების უკანასკნელი სიტყვები, ბორმანის მიერ ჩაწერილი.

მგელი ვერ მოშლის მგლობასო, რომ იტყვიან, სწორედ ამაზეა ზედგამოჭრილი: ისევ რასობრივი მისტიკა, ისევ ანტისემიტიზმი, ისევ ლოზუნგი Drang nach Osten! უთვალავი მსხვერპლი და მილიონთა მოსპობა...

...ანდერძი რომ საიმედო ადგილას გაგზავნა, ჰიტლერმა ამით ვითომ საკუთარი ჩრდილიც მოსპო და ვალიც მოიხადა ისტორიის წინაშე. თვითონ კი უკვე აღარც ზრუნავდა „დანარჩენ ხალხზე“, ანუ უკანასკნელ „ვაზნებზე“. პირიქით, სავაზნე ბოლომდე უნდა დაიცალოსო, გაკიოდა იგი. ლოზუნგმა „ბრძოლა უკანასკნელ ჯარისკაცამდე“ პირდაპირი მნიშვნელობა მიიღო. ამას „უკანასკნელი ადამიანის“ ნიცშეანური ფილოსოფიაც დაემატა. მათ, ვისაც წილად არა ხვდებოდა ბრძოლის ველზე დაცემულიყო, არავითარი ღირებულება აღარ ჰქონდათ, რადგან, ნიშცეს აზრით, თურმე „უკანასკნელი ადამიანი უკვე ვეღარ შობს ვარსკვლავებს“, ე. ი. უნდა მოსპოს.

— არ უნდა გვებრალებოდეს ხალხი, რომელსაც ბედისწერამ დაღუპვა არგუნა,—ამბობდა ჰიტლერი. მან როგორც „დიადმა მოგვმა“ ამ „მოსპობის“ გრანდიოზული გეგმა მოიფიქრა და მსგავსად იეღოვასი უხმო ახალ წარღვნას...

ბერლინის მეტროპოლიტენი გაივსო ქალებით, ბავშვებითა და მოხუცებით, ავადმყოფებითა და დაჭრილებით. ეს იყო ყველაზე საიმედო თავშესაფარი. ომის უკანასკნელი 80 დღის განმავლობაში 86 საჰაერო თავდასხმა მოეწყო ბერლინზე. ყოველი თავდასხმის დროს ათასიდან ორი ათასამდე თვითმფრინავი ბომბავდა „ნაცისტურ კართაგენს“. ადვილი წარმოსადგენია ასეთ ჯოჯოხეთში მოსახლეობის მდგომარეობა. ასიათასობით შიშითა და შიმშილით მისუსტებული ადამიანი მეტროს აფარებდა თავს. როცა საბჭოთა ტანკები ბერლინის გარეუბნებს მიუახლოვდნენ, ჰიტლერმა გასცა თავისი ყველაზე შემაძრწუნებელი ბრძანება: მოეშალათ დამბები მდინარე შპრეეზე და წყალი მიეშვათ მეტროში...

ეს იქნებოდა გერმანელი ხალხის მსხვერპლშეწირვის გრანდიოზული რიტუალი. მხოლოდ საბჭოთა მეომრების თავგანწირულმა მოქმედებამ გადაარჩინა ბერლინის მოსახლეობა ამ კატასტროფას...

...21 აპრილს უკანასკნელი დიდი სამხედრო თათბირი გაიმართა თავშესაფარში. ჰიტლერმა პირველად ამ თათბირზე განაცხადა, ომი წაგებულია და გადაწყვეტილი მაქვს თავი მოვიკლაო. ხმა არავის ამოუღია. გებელსი ყვიროდა მხოლოდ:

— გერმანელი ხალხი არასრულფასოვანი აღმოჩნდა, ნაციონალ-სოციალისტური იდეები აღემატება ასეთი ხალხის ნიჭსა და უნარს!..

მერე ჰიტლერიც აჰყვა:

— გერმანელები იმდენად უსუსურნი არიან, რომ არ შეუძლიათ შეიგნონ და განახორციელონ ჩემი იდეები, — განაცხადა მან. მერე ჩვეულებრივმა ისტერიამ მოუარა:

— თუ მე დავიღუპები, დაე, დაიღუპოს გერმანელი ხალხიც! — წამოიძახა ჰიტლერმა.—ვინც ამ კატასტროფული მარცხის შემდეგ ცოცხალი დარჩება, ის არ იქნება სრულფასოვანი გერმანელი!..

იგი ამ დროს მართლაც შეშლილსა ჰგავდა. სახეზე ხვითქი გადასდიოდა, ბაგეზე დორბლი ჰქონდა მორეული, ხელები უცახცახებდა, ენაც ებმოდა, მაგრამ მაინც ყვიროდა:

— რაკი გერმანელი ხალხი მხდალი და სუსტი აღმოჩნდა, იგი არ იმსახურებს რამე სხვას, გარდა სამარცხვინო სიკვდილისა...

ეს არ იყო მხოლოდ უფსკრულის პირას მდგარი ადამიანის ისტერია. ჰიტლერი ადრეც გამოთქვამდა ამგვარ კაცთმოძულე იდეებს.

— თუ აღმოჩნდება, რომ გერმანელი ხალხი არ არის საკმაოდ ძლიერი და მომზადებული იმისათვის, რომ მსხვერპლი გაიღოს, სისხლი დაღვაროს საკუთარი არსებობისათვის, დაე, დაიღუპოს იგი, მოსპოს უფრო ძლიერმა ძალამ...

1934 წელს მან რაუშნინგს უთხრა:

— თუ მე წავაგებ ჩემ მიერ ჩაფიქრებულ ომს, მთელ მსოფლიოს ჩავითრევ ამ კატასტროფაში.

ეს რომ თქვა, თურმე სიმღერაც წამოიწყო...

იგი „მღეროდა“ არიას ვაგნერის ოპერიდან „ღმერთების დასასრული“...

...იმ დღეს გებელსმაც უკანასკნელი თათბირი გამართა პროპაგანდის სამინისტროში. თანამშრომლები კინოდარბაზში შეგროვდნენ. კინოოპერატორებიც მოწვეული იყვნენ, რათა ეს „ისტორიული მომენტი“ გადაეღოთ, მაგრამ დენი შეწყდა და სანთლები აანთეს. ქალაქი იწვოდა. გებელსი ბრწყინვალე შავ ფრაკში გამოწყობილი მოვიდა და ისევ გერმანელი ხალხის

ლანძღვა-გინებას მოჰყვა. იგი გაცოფებული იყო, რომ ხალხმა არ აიტაცა ფიურერის მოწოდება „თვითმსხვერპლშეწირვის“ შესახებ, არ გამოიჩინა მზადყოფნა დიდიან-პატარიანად დაედოთ თავი ნაციონალ-სოციალისტური იდეების სამსხვერპლოზე.

„მიკი-მაუსი“ უზარმაზარ ტრიბუნაზე შედგა და წარმოთქვა:

— გერმანელი ხალხი დაეცა. ლაჩრები გამორბიან აღმოსავლეთის ფრონტიდან. დასავლეთში ობსტრუქციას უწყობენ ჯარს და თეთრი დროშებით ხვდებიან მტერს...

შემდეგ მასაც ფიურერისებურმა ისტერიამ მოუარა და იყვირა:

— რა უნდა ვთქვა ხალხზე, რომელიც უარს ამბობს იბრძოლოს, როცა მათს ცოლებს აუპატიურებენ! იქნებ მან ირჩია მინებდეს ბედისწერას! კეთილი, მაგრამ ეს ცდა ამაოა!

აქ ერთი-ორი კაცი წამოხტა და სცადა პროტესტი განეცხადებინა, მაგრამ გებელსმა ისე მომნუსხავად გადახედა მათ, რომ ადგილზევე გააქვავა. თვითონ კი განაგრძო:

— იქნებ ამის თქმა მოულოდნელი იყოს ბევრი თქვენგანისათვის, თვით ჩემი კოლეგებისათვისაც, მაგრამ მე არასოდეს დამიძალებია ვინმესათვის ყოფილიყო ჩემი კოლეგა, ისევე როგორც გერმანელი ხალხისათვის არასოდეს არ დაგვიტანებია ძალა. ხალხი თვითონ გვაძლევდა დავალებას. რატომ მუშაობდით თქვენ ჩემთან? ვინ გაძალებდათ?!..

და გებელსმა გაიცინა. ეს იყო რაღაც საოცარი, შემზარავი ჯოჯოხეთური სიცილი... ისეთი, როგორიც შეშლილობის მიჯნამდე მისულ ლეევერკიუნს აღმოხდებოდა ხოლმე. გაოგნებული და შეძრწუნებული თანამშრომლები ზიზღით მისჩერებოდნენ ამ გაშმაგებულ კაცუნას. ის კი ცალ ფეხზე შეტრიალდა და კარებისაკენ გაემართა. სახელურს რომ ხელი მოჰკიდა, ისევ დარბაზისაკენ შემობრუნდა და დაიყვირა:

— ჩვენ წავალთ! მაგრამ ისე, რომ დედამიწამ ზანზარი დაიწყოს!..

...დედამიწისა რა მოგახსენოთ და ბერლინი მართლაც ზანზარებდა... ქუჩებში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ქალაქი მტვრისა და კვამლის ღრუბლებში იყო გახვე-

ული. საბჭოთა ტანკები ყოველი მხრიდან მოიწევდნენ. ბერლინის გარნიზონის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. თუმცა ჰიტლერს კიდევ ჰქონდა ერთი-ორი გენერლის იმედი.

— ვენკი მოდის! — იძახდა იგი წამდაუწუმ. ვენკი კი არსად ჩანდა.

შუაღამით საიდანღაც გაჩნდა „სამხრეთის“ ფრონტის სარდალი შერნერი და მოახსენა, ჩვენს ფრონტზე სიწყნარეაო. ჰიტლერი უკვე იმდენად იყო საკუთარ ბედ-იღბალზე ფიქრით შეპყროობილი, რომ შერნერს უბრძანა წამოდით თქვენი არმიით ბერლინის გასათავისუფლებადო, და იქვე ფელდმარშლობა უბოძა მას. შემდეგ თავისებური „სპექტაკლიც“ გამართა: შეკრიბა თავშესაფარში მყოფი გენერლები და აიძულა თაყვანი ეცათ „ყველაზე ახალგაზრდა ფელდმარშლისათვის“...

— რწყილს დააწვენენ და აქლემს აშობინებენო, ხუმრობს ასეთ რამეზე ხალხი.

ვენკის და შერნერისაგან მოელოდა ჰიტლერი „აქლემის შობას“. ისინი არასოდეს მიღალატებენო, ამბობდა იგი და ისტერიულად გაჰკიოდა:

— ვენკი მოდის! შერნერი მოდის!..

დამოკლეს მახვილი...

22 აპრილს ვიღაცამ ხმა დააგდო შტაინერის არმია მოიწევს ბერლინისაკენო. ახლა ამ ხავსს მოეჭიდა ყველა. დღის სამ საათზე კიდევ ერთი „თათბირი“ შედგა. აქ იყვნენ კაიტელი, იოდლი, კრებსი, ბორმანი, ბურგდორფი და სხვები. ჩვეულებრივად ჰიტლერს მოხსენებას „ოქროპირი გენერალი“ იოდლი უკეთებდა. ასეთი რამ მხოლოდ მას შეეძლო! რაგინდ მძიმე მდგომარეობა ყოფილიყო ფრონტებზე, ისე შეარბილებდა ყველაფერს და ისე ვარდისფრად წარმოადგენდა, რომ ფიუერერი თითქოს ნასიამოვნებიც რჩებოდა.

— მე არ მიყვარს, როცა ცუდ ამბებს მომახსენებენ, — განუცხადა მან ერთხელ გენერალ გუდერიანს. იოდლმა მაშინვე გააკეთა „სათანადო დასკვნა“ და „ჭირის გამაადვილებლის“ სახელიც მოიხვეჭა. როცა რომელიმე ფრონტზე გერმა-

ნიის არმია კატასტროფულ მარცხს განიცდიდა, იგი „გატაცებით“ ლაპარაკობდა ბატალიონზე, თავგანწირულად რომ იბრძოდა და ბოლომდე დაიცვა დასახლებული პუნქტი. ამგვარი ზღაპარნარევი ამბებით იგი ვითომ „ჭირს უადვილებდა“ თავის ფიურერს. მართალია, სხვა გენერლებს გუნებაში ეცინებოდათ, მაგრამ ჰიტლერი კმაყოფილი იყო, მეტადრე — კაიტელი, რომელსაც ამის უნარი არა ჰქონდა და უხაროდა, იოდლს რომ გამოჰყავდა მდგომარეობიდან.

ბოლოს კოკა მაინც გატყდა. 22 აპრილს თათბირზე, როცა საბჭოთა არტილერია უკვე ბერლინს ურტყამდა, იოდლი ჩვეულებრივი პათოსით ყვებოდა ასეულზე, რომელმაც წარმატება მოიპოვა იტალიაში...

ახლა კი ვეღარ მოითმინა ჰიტლერმა და უცებ აფეთქდა:

— იოდლ! რას მიედ-მოედები, რის იტალია, რა იტალია! სად არის შტაინერი?!

იოდლი გაშრა. მან იცოდა, რომ შტაინერის დივიზია უკუაგდო საბჭოთა არმიამ, მაგრამ, ეს რომ ჰიტლერისათვის მოეხსენებინა, ვერ ბედავდა. უკვე ჰიტლერსაც აღარ შეეძლო ამგვარ მაამებლურ მოხსენებათა მოსმენა და გესლიანად ამოღერღა:

— სჯობია საშინელი სიმართლე გვითხრან, ვიდრე სასიამოვნო ტყუილი! რაინის მხარეს მტრის თვითმფრინავებმა ცხრა ათასი სახლი დაანგრიეს, ჩვენ კი ხალხს ვეუბნებით საჰაერო თავდასხმებს ზიანი არ მოუყენებიათო...

ან კი გენერლებს რა უნდა ექნათ: ცუდს ეტყოდნენ — შმაგდებოდა, კარგს კი არ იჯერებდა — ყველა მატყუებსო. შტაინერის დამარცხება რომ გაიგო, აი, ამბავი მაშინ დატრიალდა! ჯერ ისევ გენერალიტეტი დალანძღა, მერე არც სხვები დატოვა, ყველას მოღალატე, მშიშარა, უქნარა უწოდა.

— ყველაფერი გათავდა! — იყვირა მან. — მესამე იმპერია დაინგრა და ამის შემდგომ მე აღარაფერი დამრჩენია, გარდა სიკვდილისა. აქედან არსად არ წავალ. აქ შევხვდები ჩემს დასასრულს. ვისაც უნდა, წავიდეს!..

ბევრი ეხვეწნენ გენერლები სასოწარკვეთის საფუძველი არ არისო, კესელრინგსა და შერნერს ჯერ კიდევ ძლიერი არმიები ჰყავთო, მაგრამ ჰიტლერმა, ერთი რომ გაიდგა ფეხი, მერე აღარც გადათქვა.

— მე კრჩები ბერლინში და პირადად ვუხელმძღვანელებ დედაქალაქის დაცვას!—გაიძახოდა იგი. — გამოაცხადეთ რადიოში, რომ ფიურერი დედაქალაქშია და არც დატოვებს მას. მე დავიცავ ბერლინს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...

...მეორე დღეს რადიოსადგურები გადასცემდნენ: ჰიტლერი და გებელსი რჩებიან ბერლინში, ისინი ხელმძღვანელობენ დედაქალაქის დაცვასო. თუმცა ეს „ხელმძღვანელობა“ ერთობ ფიქციური იყო. ჰიტლერის ოთახიდან მხოლოდ ისტერიული კივილი ისმოდა. ყველა ფრონტს, თუკი ასეთი სადმე კიდევ იყო დარჩენილი, მან უბრძანა დაუყოვნებლივ წამოსულიყვნენ ბერლინისაკენ „დედაქალაქისა და ფიურერის გადასარჩენად“.

ამგვარი ბრძანება დაეგზავნათ მთავარსარდლებს: ფელდმარშალ კესელრინგს — სამხრეთ გერმანიაში, გენერალ-პოლკოვნიკ ფიტინგჰოფს — იტალიაში, ფელდმარშალ შერნერს — ბოჰემიასა და მორავეთში, გენერალ-პოლკოვნიკ რენდულიჩს— ავსტრიაში, გენერალ-პოლკოვნიკ ლეერს — ბალკანეთში...

ბრძანება ადვილი იყო, მაგრამ შესრულება — შეუძლებელი, რადგან ყველა ეს სარდალი თავიანთი ჯარების ნაშთებიანად მოკავშირეთა არმიებს ჰყავდათ „კუდით დაჭერილი“...

...ჰიტლერმა იმავე დღეს გაგზავნა თავისი ადიუტანტი, რომ გებელსი ცოლშვილიანად მოეყვანათ, და ყველას თავშესაფარში მიუჩინა ბინა.

დიდი ამბები ზოგჯერ მცირე მაგალითებში უკეთ ჩნდება. ჰიტლერის პათოლოგიური იდეებისათვის გერმანელი ხალხის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლო გებელსის ექვსი ბავშვის ბედიცაა.

რად უნდოდა ისინი ჰიტლერს ომის უკანასკნელ დღეებში? რატომ მოაყვანინა თავის ჯურღმულში ეს უსუსური ბავშვები, რომელთაგან ყველაზე უფროსი თორმეტი წლისა იყო, ყველაზე უმცროსი კი — სამისა, ან შემდეგ რატომ ერთხელაც არ უთხრა გებელსს და მის მეუღლეს დაუყოვნებლივ გაეყვანათ ისინი ბერლინიდან?..

რაგინდ ძლიერი წარმოსახვის უნარითაც იყოს დაჯილდოებული, არა მგონია ამ კითხვაზე ვინმემ სარწმუნო პასუხი

გასცეს. შეიძლება ვივარაუდოთ მხოლოდ: იქნებ ეს იყო ქანაანელ ბავშვთა იეღოვასადმი მსხვერპლად შეწირვის განმეორება ან რაღაც ამის მსგავსი.

ბავშვებიც რომ მოიყვანეს, ჰიტლერმა თავშესაფრის გარნიზონს გამოუცხადა თავისი „საბოლოო გადაწყვეტილება“ ბერლინში ვრჩებიო. მცირე პაუზის შემდეგ გებელსმა თქვა:

— მეც დავრჩები აქ და ბოლომდე შევასრულებ ჩემს მოვალეობას!..

ორივეს იმდენი ცოდვა ეკიდა ზურგზე, რომ მაინც ვერსად გაიქცეოდნენ, და დარჩნენ. ეს სასიკვდილო განაჩენის გამოტანა იყო როგორც გებელსის, ისე მისი ცოლ-შვილისთვისაც. ასეც მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ მაგდა გებელსი არასოდეს ყოფილა „თავის იოსებთან“ ბედნიერი. ადრე იგი ვიღაც ფაბრიკანტის მეუღლე იყო. მერე გებელსმა „მოიტაცა“ მისი გული, მაგრამ მაგდა ისე დაიტანჯა დონ-ჟუანი ქმრის ხელში, რომ ერთხელ, როცა „მისმა იოსებმა“ კინომსახიობ ლიდა ბაროვასთან გააბა რომანი, ოფიციალურად სთხოვა ჰიტლერს მასთან გაყრის ნებართვა. ჰიტლერმა როგორღაც შეარიგა ისინი, მაგრამ ამის შემდეგ მაგდა უფრო „თავის ფიურერზე“ ზრუნავდა, ვიდრე ქმარზე. ახლა კი ამ საბედისწერო წუთებში, ვინ იცის, ქმრისა თუ ჰიტლერის ხათრით, მანაც „მტკიცე გადაწყვეტილება“ მიიღო და განაცხადა:

— მეც ასე მოვიქცევი, დავრჩები ბერლინში და, თუ საქმემ მოიტანა, მოვკვდები ქმართან ერთად! — მერე თვალები დახუჭა და სიკვდილივით გაფითრებულმა დაუმატა:

— ჩვენს ბავშვებს კი მოწამლავენ!..

ჰიტლერმა შეხედა მას და... არაფერი უთქვამს.

დუმილი ამ შემთხვევაშიც დასტურის ნიშანი იყო!..

პრიმადონა...

ჰიტლერიც შეუდგა თავისი საიდუმლო სეიფების დასუფთავებას; რაღაცეები გადაალაგ-გადმოალაგა. დანარჩენი ადიუტანტს გადასცა, დაწვითო...

მერე კაიტელი და ბორმანი იხმო.

— მე არასოდეს დავტოვებ ბერლინს, არასოდეს! — ისე იყვირა მან, თითქოს ეს პირველად ეთქვას. მერე პრესის წარმომადგენელს დაუძახა და ჰკითხა, ჩემი მიმართვები თუ არისო ქალაქში გაკრული. კაიტელს კი დაავალა:

— ახლავე გაფრინდი ბერჰტესგადენში...

— უთქვენოდ არსად წავალ! — შეაწყვეტინა მას კაიტელმა.

ჰიტლერმა იოდლი იხმო.

— თქვენ წადით სამხრეთში!..

წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ რატომღაც ბორმანს შეუღრინა, გადი გარეთო.

ბორმანი გაიძურწა. კაბინეტში სამნი დარჩნენ: ჰიტლერი, კაიტელი და იოდლი. ჰიტლერმა უკვე მეათედ გაიმეორა ბერლინში ვრჩებიო და დაუშატა, უკანასკნელ მომენტში თავს მოვიკლავო.

— მეტი ბრძოლა აღარ შემიძლია, — თქვა მან, — მე უკვე ფიზიკურად მოტეხილი ვარ... არ მინდა ცოცხალი ან მკვდარი ჩავუვარდე მტერს...

კაიტელმა და იოდლმა პირობა მისცეს დიდძალ ჯარებს გამოვგზავნით სამხრეთიდან ბერლინისაკენო.

— ამ ჯარებს ხომ აქედან ვერ უხელმძღვანელებთ, ჩემო ფიურერ? — სცადა კაიტელმა გადაეთქმევინებინა ჰიტლერისათვის თავისი გადაწყვეტილება ბერლინში დარჩენის შესახებ.

— ჩემი პოზიცია მტკიცეა და არ შემიძლია მისი შეცვლა, — მიუგო ჰიტლერმა, — მე ვიბრძოლებ მანამ, ვიდრე უკანასკნელი ჯარისკაცი დარჩება ჩემთან... როცა ისიც მიმატოვებს, თავს მოვიკლავ...

ნიურნბერგში დაკითხვის დროს კაიტელმა განაცხადა:

— იმ დღეს ფიურერმა ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ადრე ეჭვი არასოდეს შემპარვია მის ფსიქიკურ სრულფასოვნებაში. 1944 წლის 20 ივნისის თავდასხმის მიუხედავად იგი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა. 22 აპრილს კი მე დავინახე, რომ მას მორალური სიმტკიცე უკვე აღარ ჰქონდა. ფიურერის წინააღმდეგობის ძალა გატეხილი იყო.

კაიტელმა უკანასკნელად სცადა დაეთანხმებინა ჰიტლერი დაუყოვნებლივ გასულიყო ბერლინიდან:

— თქვენ უმაღლესი მთავარსარდალი ხართ. არმია ელის ახალ ბრძანებებს, თქვენ კი შტაბს სხვაგან გზავნით და თვითონ რჩებით! — პირველად თავის სიცოცხლეში უსაყვედურა მან ჰიტლერს.

— მე უკვე არავითარი ბრძანებები არა მაქვს გასაცემი, — თქვა სრულიად მოტეხილმა ჰიტლერმა. — თუ რამე ბრძანებები გინდათ, მიმართეთ რაიხსმარშალს!..

— რაიხსმარშალი ნამდვილი ჯარისკაცი არ არის და არც მისი ხელმძღვანელობით იბრძოლებს ვინმე, — მიუგო ცივად კაიტელმა.

ჰიტლერი კი მაინც თავისას იმეორებდა:

— საქმე უკვე ბრძოლებს აღარ ეხება, საბრძოლველი აღარაფერი დარჩა. ურთიერთობათა საქმე კი ჩემზე უკეთ გერინგს ეხერხება!..

...ამის თაობაზე მეტი არა უთქვამს რა. ჰიტლერი ბერლინის დაცვის საკითხზე გადავიდა და ისევ გენერალ ვენკის არმია ახსენა. ერთგული კაიტელი მაშინვე წამოხტა:

— მე ახლავე წავალ ვენკთან და გადავცემ თქვენს დავალებას!..

ჰიტლერს ესიამოვნა კაიტელის ასეთი თავდადება:

— არა, ჯერ ისადილეთ! — უთხრა მან ერთგულ ფელდმარშალს... მსახურებს სადილი მოატანინა, თვითონ კუთხეში დაჯდა და ჩუმად უყურებდა კაიტელს, რომელიც მოტანილ კერძს შეექცეოდა. მერე ადიუტანტი იხმო და უბრძანა გზაში სენდვიჩები, ნახევარი ბოთლი კონიაკი და შოკოლადი გაატანეთო ფელდმარშალს.

კაიტელი და იოდლი ერთად გამოვიდნენ ჰიტლერის კაბინეტიდან.

— ერთადერთი, რაც შემიძლია ვუთხრა ვენკს, ის არის, რომ ბერლინისათვის ბრძოლა ფიურერისათვის ბრძოლაცაა! — თქვა კაიტელმა. იგი მიხვდა, რომ ჰიტლერი უკვე გათავებული კაცი იყო: სულ ტყუილი გამოდგა ადრინდელი ქადილი, რაც უნდა მოხდეს, ჭირს არ გავუტყდებიო...

გაუტყდა კი არა, სიცოცხლეშივე მოკვდა, რაც მისმა უერთ-

გულესმა ფელდმარშალმა კაიტელმაც კი არ-აპატია მას და ნიურნბერგის პროცესზე წააყვედრა:

— თუ მთავარსარდალი ხარ, უნდა ნამდვილი ჯარისკაციც იყო, რომ უაღრესად კრიტიკულ მომენტშიც იკისრო პასუხისმგებლობა, და არა მოიქცე ისე, როგორც პრიმადონა!..

სოდომი და გომორა...

მიუხედავად სრულიად უნუგეშო მდგომარეობისა, გებელსი მაინც არ იშლიდა ტალახზე ლაფის დასხმას. თორმეტს ხუთი წუთიდა აკლდა, ის კი ისევ მხარუკულმა იქნევდა მუშტს და გაიძახოდა:

— ჩვენ უკან ვიხევთ, მაგრამ გავიმარჯვებთ!

ამასობაში საბჭოთა ტანკები მიუახლოვდნენ ბერლიხს. 22 აპრილს უკვე ხელისგულივით მოჩანდა ეს უზარმაზარი ქალაქი. ფლანგებზე განვითარებული ელვისებური დარტყმებით 25 აპრილს ჩვენმა შენაერთებმა ორივე მხრიდან შემოუარეს ბერლინს და პოტსდამის დასავლეთით შეკრეს რკალი. იმავე დღეს მეხუთე გვარდიული არმიის მოწინავე ნაწილებმა ტორგაუს მიაღწიეს, ელბის ნაპირზე გავიდნენ და პირისპირ შეწვდნენ ამერიკელთა პირველ არმიას...

გერმანელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ დაეცვათ ბერლინი, გარედან გაერღვიათ ალყა და, თუ სხვა გამოსავალი არ იქნებოდა, უკანასკნელ მომენტში ამერიკელები შემოეშვათ დედაქალაქში.

ამის საპასუხოდ ჩვენებმა გრიგალისებური შეტევა განავითარეს ბრანდენბურგის მიმართულებით.

ბერლინის თავზე უკვე დამოკლეს მახვილი ეკიდა...

...რაიხსკანცელარიის ბუნაგში ადიუტანტები წრიალებდნენ და ახალ-ახალი ცნობები მოჰქონდათ ფრონტებიდან, თუმცა უკვე არავინ იცოდა სად იყო ეს „ფრონტები". ჯარის ნაწილებთან კავშირი მოიშალა. ბერლინის წრე ისე შევიწროვდა, რომ უკანასკნელ ცნობებს საქალაქო ტელეფონებით იღებდნენ ადიუტანტები. რეკავდნენ ოჯახებში და კითხულობდნენ:

— ალო!

— გისმენთ!

— ქალბატონო, თქვენამდე რუსების ტანკებს ხომ არ მოუღწევიათ?

— არა, ჯერ არა, ვინ ბრძანდებით?

ახლა სხვაგან:

— ალო!

— გისმენთ!

— რუსები თუ არიან თქვენს უბანში?

— არიან, დიახ, არიან! — იყო პასუხი ჩურჩულით.

მერე ეს ცნობები რუკაზე გადაჰქონდათ, რომ ფიურერისათვის მოეხსენებინათ...

...ზოგჯერ ბერლინის გარეუბნებიდანაც რეკავდნენ:

— ალო!..

— ვინ ბრძანდებით?

— რუსი ჯარისკაცი!

— ვინა?!

— რუსი ჯარისკაცი!

— საიდან რეკავთ?!

— პოტსდამიდან, ჩაი დაადგით, საღამოთი მანდ ვიქნებით!..

გულშემოყრილ გერმანელს ყურმილი უვარდება ხელიდან...

...ჰიტლერი გალიაში მომწყვდეული აფთარივით იღრინებოდა, გებელსი კი როგორც ბერლინის დაცვის უმაღლესი კომისარი ისტერიულ ბრძანებებს იძლეოდა:

— ყველამ, ქალმა თუ კაცმა, უნდა დაიცვას თავისი სახლი, თავისი ბინა, თავისი ოთახი!..

— არ დაუშვათ მტერი ბერლინის ცენტრში!..

გენერალური შტაბი უკანასკნელ რეზერვებს ეძებდა. ციხეებიდან გამოუშვეს სისხლის სამართლის დამნაშავენი და სამხედრო ჯგუფები ჩამოაყალიბეს. შეიქმნა „ქალთა ლეგიონებიც“, მერე — გოგონათა ბატალიონი „ადოლფ ჰიტლერი“ შეაკოწიწეს, ხოლო მცირეწლოვანთათვის რაღაც „ვეერფოლფები მოიგონეს, პარტიზანული ომის გასაჩაღებლად. ბერლი-

ნის ქუჩებში ატირებული დადიოდნენ თოფაკიდებული ბავშვები...

„გარესამყაროდან“ უკვე მხოლოდ რადიოტელეფონით უკავშირდებოდნენ ჰიტლერის კაბინეტს. თუ ვინმე გაბოროტებულ გულზე ჰკითხავდა რა ვუყოთ ტყვეებს, ტუსაღებს ან დამნაშავეთო, ჰიტლერს მხოლოდ ერთი პასუხი ჰქონდა:

— დახვრიტეთ ყველა, დაუყოვნებლივ დახვრიტეთ!..

ასე ჰკითხეს მას გერდელერის, კანარისის, ფრომისა და სხვათა შესახებ, რომელნიც ჯერ კიდევ ციხეში იყვნენ.

— დახვრიტეთ! — გაისმა ჰიტლერის მოკლე პასუხი...

მეორე დღეს გერდელერი, კანარისი, ფრომი და სხვები გაიყვანეს ციხის ეზოში და, „სხვა ხელსაწყო“ რომ ხელთ არა ჰქონდათ, როიალის მავთულებზე ჩამოახრჩვეს...

...23 აპრილს ჰიტლერს დამბლა დაეცა და ცოტათი მაინც დაცხრა. იმ დღეს აღარ ისმოდა მისი ისტერიული კივილი. ამბობენ, ფიზიკურადაც იგრძნო დასასრულის მოახლოება და ბედს შეურიგდაო. ახლა მასზე საცოდავი კაცი მართლაც არავინ იყო ქვეყნად. ყველაფერი გათავდა: დაუოკებელი ოცნებები, მსოფლიო ბატონობის იდეები, გაუგონარი გამარჯვებები. დაუსრულებელი ზეიმები, უსაზღვრო აღფრთოვანება და გაღმერთება... დარჩა ხელისგულისოდენა „იმპერია“ და ისიც რამდენიმე დღით. სხვა ყველაფერი შეიმუსრა და განადგურდა. თვითონაც ნანგრევებად იქცა და იგრძნო, „ჯოჯოხეთის ანგელოზი“ რომ წამოადგა თავს. იმ დროს ერთი მასთან მყოფთაგანი წერს:

— იგი უცდიდა სიკვდილს როგორც გათავისუფლებას ამ მძიმე ცხოვრებიდან...

სხვაც ბევრი იზიარებდა ამგვარ ხვედრს.

— ჩვენი სიცოცხლეც აქ უნდა დასრულდეს! — წამოიძახა ბორმანმა, ნამდვილად კი ჰიტლერის დაცემას დაელოდა და მერე შეეცადა გაქცეულიყო...

...უკვე გაქცეული შპეერი კი, რომელიც ნიურნბერგში ირწმუნებოდა ჰიტლერის მოწამვლა მინდოდაო, „სინდისის ქენჯნამ“ შეაწუხა, „გადაბუგული მიწის“ კანონისადმი საზოტა-

ქით ფიურერის უნებური საქმე რომ გააკეთა, და ბერლინში მოინდომა ჩასვლა „ცოდვის მოსანანიებლად“. სახელმწიფოებრივი მოვალეობა და ფიურერისადმი პირადი ერთგულება იბრძოდა ჩემშიო, ამბობდა იგი შემდეგ. იცოდა, ჰიტლერი რომ იაფად არ დაუსვამდა ამ თვითნებობას, და ეშინოდა, ბერლინში რომ ჩავიდე, სულსაც გამაფრთხობინებსო. მაგრამ ბოლოს მაინც „პირადმა ერთგულებამ“ გაიმარჯვა და გადაწყვიტა ამ საბედისწერო ჟამს თვალი გაესწორებინა თავისი ფიურერისათვის და მისი „მაღალი სამსჯავროს“ წინაშე წარმდგარიყო. ეს კი უკვე არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. ქალაქს ალყა ჰქონდა შემორტყმული. საბჭოთა არმიის ნაწილები დედაქალაქის გარეუბნებში იბრძოდნენ. შპეერმა მაინც მიიღო გაბედული გადაწყვეტილება: რეჰლინამდე ავტოთი იმგზავრა, მერე თვითმფრინავით დაეშვა გატოვში. აქ „ფიზელერ შტორჰი“ იშოვა და პირდაპირ ბრანდენბურგის ალაყაფის კარებთან დაჯდა. როცა იგი ჰიტლერთან შევიდა, იქ იყვნენ ბორმანი, გებელსი, კრებსი და ევა ბრაუნი.

შპეერმა აღსარება წარმოთქვა: ყველაფერს მოჰყვა, რაც ჰიტლერის განკარგულებათა საწინააღმდეგოდ გააკეთა, და თავის პირად ერთგულებაშიც სცადა მისი დარწმუნება.

— ახლა კი აქა ვარ, თქვენ წინაშე, — დაამთავრა მან.

ჰიტლერს არაფერი უთქვამს. არც დაუპატიმრებია და არც დაუხვრეტია. რატომ? სხვას ხომ ამას არ აპატიებდა? არც არავისთვის უპატიებია ასეთი რამ. იქნებ უკვე ამის თავი აღარ ჰქონდა, ისე იყო დამბლისაგან მოტეხილი. დიდი ხანია, რაც იგი ასე მოთვინიერებული და ადამიანური არ მენახაო, წერს თვითონ შპეერი. ჰიტლერს ისე უყვარდა იგი, რომ თავის დღეში ავი სიტყვით არ მოიხსენიებდა, პირიქით, „ყველა დროის უდიდეს გენიად“ თვლიდა მას როგორც არქიტექტორს. ამიტომაც სწუხდა, იმანაც მიმატოვაო, მაგრამ ასეთ მძიმე პირობებში რომ ეახლა, ისევ მოიბრუნა მისკენ გული...

—

...შპეერი რვა საათი დარჩა თავშესაფარში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ინგლისელები და ამერიკელები ბომბავდნენ ბერლინს. ცეცხლი ეკიდა რაიხსკანცელარიას, იწვოდა გებელ-

სის პროპაგანდის სამინისტროც. ჰიტლერი უკვე პანიკურად გაიძახოდა:

— მე აქ მოვკვდები, თავშესაფარში. არ მინდა ზევით ასვლა და ბარიკადებზე ბრძოლა, ვაითუ დავიჭრა და მტერმა მიგდოს ხელთ. არც ჩემი გვამი მინდა მივცე მათ შეურაცხყოფის მისაყენებლად.

პირველად იმ დღეს გასცა მან განკარგულება, რომ სიკვდილის შემდეგ მისი გვამი დაეწვათ.

მთელმა „მიწისქვეშა გარნიზონმა" გაიგო ჰიტლერის ეს განკარგულება. უარესი პანიკა ატყდა. ყველა ლოთობდა, გენერლებიდან დაწყებული და მსახური გოგონებით დამთავრებული. ეს იყო ნამდვილი სოდომი და გომორა. დასასრულის დაღი ესვა ყველაფერს. უწინ აქ ხმამაღლა ლაპარაკს ვინ გაბედავდა, ახლა კი ყველგან საშინელი ღრიანცელი იყო გამეფებული, ყურისწამღები ლანძღვა-გინება. ალაგ-ალაგ ჭერიც ჩამოინგრა, გაფუჭდა ვენტილაცია, თავშესაფარში სულის შემხუთავი ატმოსფერო დადგა. ზოგან წყალიც ჩამოვიდა და დერეფნებში დაგუბდა ტბორები, რომლებზედაც ფიცრები გადეს. ამ ფიცრებისა და ცხრა ლაბირინთის გავლით მიემართებოდნენ გენერლები ჰიტლერისაკენ, რომ მისთვის მოხსენება გაეკეთებინათ. უკანასკნელ ლაბირინთს რომ მიაღწევდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო, იარაღს ჩამოართმევდნენ და ჯიბეებს გაუსინჯავდნენ. მისაღებთან ჰიტლერის პირადი ადიუტანტი იჯდა და თვალმოუსხლეტად აკვირდებოდა ყველა მომსვლელს. თუ რამ საეჭვოს შენიშნავდა, მაშინვე ზომებს იღებდა. თვითონ ჰიტლერის ოთახში კი თითქმის განუწყვეტლივ მორიგეობდა ბორმანი, რომელიც ფიზიკურ შრომასაც ეწეოდა. აქამდე ჰიტლერი იშვიათად ჯდებოდა საწერ მაგიდასთან, იგი სულ დადიოდა, ბოლთასა სცემდა და ასე ელაპარაკებოდა ყველას. თვითონაც ამბობდა, ყოველდღიურად რამდენიმე კილომეტრს გავივლი ხოლმე ჩემს კაბინეტშიო. ახლა კი, როცა ჰიტლერს კაბინეტის ერთი კუთხიდან მეორეში გადასვლა მოუნდებოდა, ან მაგიდის ერთი თავიდან მეორეში გადაჯდომა, ბორმანი ისევე შეუდგებოდა მას მხრებში, როგორც მოსეს აარონი და მარიამი, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე გადაეტანა თავისი „ძვირფასი ტვირთი".

გენერალ ვაიდლინგის მოგონებებში წერია:

— სხვის დაუხმარებლად ჰიტლერს სკამიდან წამოდგომა უჭირდა. თავს ძალას დაატანდა, წამოიწეოდა, მაგრამ მუხლები აღარ ემორჩილებოდა. აღარც გაბმული ლაპარაკი შეეძლო. რაღაც უსაშველოდ გრძელ წინადადებას წამოიწყებდა. მაგრამ ვეღარ ამთავრებდა. აქ მას გებელსი ან ბორმანი წამოეშველებოდა, სიტყვებს მიაწვდიდა და წინადადებას გამართავდა. ჰიტლერი ამ სიტყვებს ჩაეჭიდებოდა და ახალ წინადადებას იწყებდა. ბორმანის შეგონებით ექიმი მორელი განუწყვეტლივ უშხაპუნებდა რაღაც წამალს, რათა „აზრის სიფხიზლე" შენარჩუნებინათ მისთვის. ის კი უკვე გონებაამღვრეული ჩანდა, ხელები უცახცახებდა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. მართალია, ისევ უზარმაზარი შრიფტით დაწერილი ქაღალდები მოჰქონდათ მასთან, მაგრამ კითხვა მაინც უჭირდა. გაიხედ-გამოიხედავდა და, თუ ახლომახლო უცხო არავინ იყო, სათვალეს გაიკეთებდა, მერე კი აღარც ეს შეელოდა. კოშმარები აწუხებდა. თითქოს კლინგერის მეფისტოფელმა რუპრეჰტის მოჭრილი თავი დაუდო წინ. ორმოდან კი ისევ იმ იოქანაანის ავისმომასწავებელი ხმა ისმოდა:

— დადგა დღე, დღე უფლისა და მესმის მთაზე სვლა მისი, რომელი იქნება მაცხოვარი სოფლისა... ამ დღეს მზე გაშავდება, ვითარცა ძაძა, მთვარე გახდება სისხლისფერი, ვარსკვლავები ჩამოცვივიან ქვეყნად, ვითარცა უმწიფარი ნაყოფი ცვივა ლეღვის ხიდან, და შიში აიტანს მიწიერ მეფეთ...

დიდი ვეზირი...

25 აპრილს გენშტაბის თანამშრომელმა ბოლდტმა საშინელი ცნობები მოიტანა. ჰიტლერს. თითქოს გულის ძარღვი გაეწასკვაო, წაბარბაცდა და სკამს მოეჭიდა, რომ არ წაქცეულიყო. მუდამ მზად მყოფი ბორმანი შეეშველა და დასვა. ამ დროს მისაღებში დარეკის. ბოლდტი გავიდა და ახალი ცნობები მიიღო, იმდენად საშინელი, რომ ვერც გაბედა ჰიტლერისათვის მოეხსენებინა.

ჰიტლერმა შეხედა მას და ხელით ანიშნა თქვიო. ბოლდტმა ძლივს ამოიღერღა:

— საბჭოთა არმიის ნაწილები ბრანდენბურგში შემოიჭრნენ და ბერლინის გარეუბნები დაიკავეს. ვენკის მე-12 არმია ველარ აკავებს მოწინააღმდეგეს...

ჰიტლერს თითქოს დამბლა დაეცა, მოტყდა, თავი ჩაქინდრა და ძლივს ჩაილაპარაკა:

— ბერლინისათვის ბრძოლა გერმანიისათვის ბრძოლაა!..

...კაიტელი და იოდლი ძალას არ იშურებდნენ როგორმე შეეკოწიწებინათ გერმანიის არმიის ნაშთები და ერთიანი ძალით მოეხდინათ ბერლინის დებლოკაცია, მაგრამ ამაოდ. „ფრონტებიდან" სულ უფრო საშინელი ცნობები მოდიოდა.

საღამოს ისევ ადიუტანტი შევიდა ჰიტლერთან და მოახსენა:

— ტემპელჰოფის აეროდრომს რუსების არტილერია ურტყამს, ჩემო ფიურერ! თვითმფრინავებს უკვე აღარ შეუძლიათ აფრენა. ასევეა გატოვის აეროდრომზე. ამით ბერლინთან საჰაერო კავშირიც შეწყვეტილია!..

ჰიტლერი ისე იყო ზარდაცემული, რომ არაფერი უთქვამს. მდგომარეობა, მართლაც, კატასტროფული ჩანდა, ბერლინის გარნიზონის ჰაერიდან მომარაგებაც შეუძლებელი გახდა, მოსახლეობისა — მით უმეტეს. ქალაქში არ იყო წყალი. ნაადრევი სიცხეები კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა ბერლინელთა მდგომარეობას. არტილერია უკვე ქალაქის ცენტრს ურტყამდა, ჰიტლერი კი მაინც განაგრძობდა უაზრო წინააღმდეგობას. შეიძლება იმიტომაც, რომ ჯერ კიდევ აპრილის რამდენიმე დღე იყო დარჩენილი...

...26 აპრილს საღამოს ექვს საათზე ჰიტლერი უკანასკნელად ელაპარაკა იოდლს რადიოტელეფონით. იგი ისევ ახალ შტაბებს ქმნიდა უჯარისკაცებოდ. ეს გონების სრული ატროფიის ნიშანი იყო... საბედისწერო ჟამი ახლოვდებოდა. სატურნი უკვე დღეებს კი არა, საათებს ითვლიდა. ჰიტლერი პანიკამ მოიცვა. მისი დავალებით კრებსი დაუკავშირდა კაიტელს:

— ფიურერი ითხოვს რაც შეიძლება მალე გაუწიოთ დახმარება. ჩვენს განკარგულებაშია სულ დიდი 48 საათი. თუ ამ ხნის განმავლობაში დახმარება არ მოვიდა, მერე გვიან იქნება. ფიურერმა მთხოვა ერთხელ კიდევ გადმომეცა ეს თქვენთვის...

ფიურერმა კი სთხოვა, მაგრამ ვის რა შეეძლო გაეკეთებინა! ცხოვრებამ არ გაამართლა მისი შეგონება, პოლიტიკა შეუძლებლის შესაძლებლად ქცევაო...

უფრო სწორი გამოდგა ელიოტის სენტენცია: სისულელეა იმაზე ფიქრი, რომ შეგიძლია ატრიალო ბორბალი, რომელიც შენ თვითონ გატრიალებსო...

... ჰიტლერი რომ ბერლინის თავშესაფარში სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, გერინგი ამ დროს ბერჰტესგადენში იყო და უცდიდა მისი სიკვდილის ცნობას, რომ დამოუკიდებელი მოქმედებით გზა გახსნოდა როგორც გერმანელი ხალხის ახალ ფიურერს. ასეთმა ცნობამ რომ დაიგვიანა, თვითონ აჩქარდა, კოლერს დაუძახა და მემკვიდრის დანიშვნის შესახებ ჰიტლერის მიერ ადრე დაწერილი ანდერძი მოატანინა. მერე რაიხსკანცელარიის უფროსი ლამერსიც იხმო.

— იყო.თუ არა ჰიტლერის რამე განკარგულება ამის თაობაზე ანდერძის დაწერის შემდეგ? — ჰკითხა მას გერინგმა.

— არა, არ ყოფილა, — მიუგო ლამერსმა. — რამე განკარგულება რომ ყოფილიყო, აუცილებლად ჩემს ხელში გაივლიდა.

ამის შემდეგ გერინგმა ძალაუფლების ხელში აღება გადაწყვიტა. ეს კი მას წინასწარ უნდა ეცნობებინა ჰიტლერის, კაიტელისა და რიბენტროპისათვის. ჯერ თვითონ დაიწყო დეპეშის წერა, მაგრამ „თავის სტილს“ ვერ ენდო და ტექსტი მისმა ადიუტანტმა, პოლკოვნიკმა ბრაუხიჩმა შეადგინა კოლერთან ერთად. გერინგმა მხოლოდ ერთი ფრაზა ჩასვა დეპეშაში: „მთელი ძალაუფლება როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის გარეთ“. მერე გაიცინა და დაუმატა:

— ჰიტლერმა ხომ თქვა, თუ საქმე ურთიერთობებს ეხება, ეს ჩემზე უკეთ გერინგს ეხერხებაო...

ფიურერის ეს სიტყვები უკვე მიეტანათ მისთვის.

გერინგი მართლაც აპირებდა ეიზენჰაუერთან გაფრენას ზავის დადების შესახებ მოსალაპარაკებლად...

... თავის ბუნაგში გამომწყვდეულმა ჰიტლერმა გერინგის ასეთი რადიოგრამა მიიღო:

— ჩემო ფიურერ!

მხედველობაში ვიღებ რა თქვენს გადაწყვეტილებას დარ-

ჩეთ ბერლინში, მოგმართავთ კითხვით: მიგაჩნიათ თუ არა მიზანშეწონილად, რომ, თანახმად თქვენი 1941 წლის 29 ივნისის დეკრეტისა, მე როგორც თქვენმა მოადგილემ ვისარგებლო სრული ძალაუფლებით და ვიკისრო იმპერიის საშინაო და საგარეო საქმეთა ხელმძღვანელობა? თუ საღამოს ათ საათამდე არ მივიღებ თქვენს პასუხს, ჩავთვლი, რომ უკვე აღარა გაქვთ კავშირის საშუალება და, მაშასადამე, იმავე დეკრეტის ძალით შემიძლია ვიმოქმედო ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების დასაცავად. კარგად მოგეხსენებათ, თუ როგორია ჩემი გრძნობები თქვენდამი ცხოვრების ამ ყველაზე სერიოზულ მომენტში. მე სიტყვები არ მყოფნის ამის გამოსახატავად. შეგეწიოთ მამა ღმერთი!

გულწრფელად თქვენი ერთგული გერინგი.

ჰიტლერი გაცოფდა. იგი ერთხანს კოტრიალობდა ხალიჩაზე. ყვიროდა:

— მე დიდი ხანია ვიცი, რომ გერინგი გამყიდველი ნეხვია, ნარკომანი!..

მერე, ცოტათი რომ დაწყნარდა, დეპეშა გაუგზავნა გერინგს და აუკრძალა დამოუკიდებელი მოქმედება. როდის იქნება ეს საჭირო, ამას მე თვითონ გადავწყვეტო. იმასაც ამბობენ, ვითომ მან რადიოგრამით აცნობა გერინგს:

— თუმცა როგორც სახელმწიფო მოღალატე სასჯელის უმაღლესი ზომის ღირსი ხარ, მაგრამ ძველი დამსახურების გამო გაპატიებ თუ თვითონვე აიყრი ყველა ღირსებას, წოდებასა და ჯილდოებს, ამისათვის საკმარისია მაცნობო ერთადერთი სიტყვით: ჰო ან არა.

სულ გასაწირად მაინც არ ემეტებოდა თავისი „რკინის ჰერმანი“. მართალია, იგი ადრეც არ იკავებდა თავს გესლიანი შენიშვნებისაგან გერინგის მისამართით, უყვარდა ანეკდოტების მოსმენა „მსხვილ ჰერმანზე“, ჰიტლერის „სუფრულ საუბრებშიც“. კია შეტანილი ასეთი ანეკდოტები:

— როდის დამთავრდება ომი? — ეკითხება ერთი გერმანელი მეორეს.

— როცა გერინგი გებელსის შარვალში ჩაეტევა...

ბერლინში ამბობდნენ თურმე:

— საპონი რომ არ იშოვება, ნეტავი გერინგი რითი ირეცხავს მუნდირს, ფრონტებიდან ისეთი ცნობები მოდის, რომ კვირაში ორჯერ მაინც დასჭირდება შარვლის გარეცხვა...

ჰიტლერი ბევრს იცინოდა თურმე ასეთ ანეკდოტებზე, მაგრამ მაინც პატივს სცემდა თავის „დიდ ვეზირს“.

— რაიხსმარშალმა ბევრი სიძნელე გადაიტანა ჩემთან ერთად, — ამბობდა ჰიტლერი. — იგი ყინულივით ცივია და სასტიკი. კრიზისის დროს შეუძლებელია მასზე უკეთესი მრჩეველი. ყოველთვის, როცა მძიმე მდგომარეობაში ვარ, იგი მშველის მე...

ახლა კი ეს „მხსნელი ჰერმანიც“ მოიკვეთა. ამით ბორმანმა გაიხარა. უკვე ოთხი წელია, რაც იგი ცდილობდა გერინგისათვის ძირი გამოეთხარა, უნდოდა როგორმე წაექცია თავისი ყველაზე საშიში მეტოქე. კარიერისტი ბორმანი უფსკრულის პირასაც მიიკვლევდა გზას „იმპერიის მეორე კაცის“ ადგილისაკენ და ვინ იცის კიდევ საით... ამიტომ იყო, რომ მან ჰიტლერის დეპეშას საკუთარი განკარგულებაც დაადევნა ობერზალცბურგში. იგი უბრძანებდა ტიურინგიის ესესის უფროსებს ფრანკსა და ბრედოვს თავიანთი პასუხისმგებლობით დაეპატიმრებინათ გერინგი, კოლერი და ლამერსი ღალატის გამო...

გერინგმა კი ამის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა. არც შემდეგ აღიარებდა, რომ ფიურერის საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა. ნიურნბერგშიც დაჟინებით იმეორებდა, ეს დეპეშა ჰიტლერს მისი ადრინდელი სურვილის შესასრულებლად გავუგზავნე, თორემ ღალატი გულში არც გამივლიაო.

მიუხედავად ამისა, ბერჰტესგადენში იგი ჰიტლერის დასტურის გარეშე მოქმედებდა როგორც „სახელმწიფოს მეთაური“. გაგზავნა თუ არა დეპეშა ბერლინში, პასუხს არც დაუცადა. ისე შეუდგა „კაბინეტის რეორგანიზაციას“. მას უნდოდა კაპიტულაცია მოეხდინა ინგლის-ამერიკის წინაშე და განეგრძო ბრძოლა აღმოსავლეთის ფრონტზე. როგორც ჩანს, იგი კმაყოფილი იყო შექმნილი მდგომარეობით. მოწმენი ამბობენ, გერინგი იმ დღეს ძალიან კარგ ხასიათზე იყოო. უკვე ბრძანებაც ჰქონდა თურმე გაცემული, რომ მისთვის თვითმფრინავი მოემზადებინათ, რათა დილით ეიზენჰაუერთან გაფრენილიყო. წინასწარ წერილიც მოამზადებინა.

— ამ დოკუმენტის კითხვის დროს რუსებს უნდა მოეჩვენოთ, — უთქვამს გერინგს კოლერისათვის, — თითქოს ჩვენ ძველებურად გვსურს ომი როგორც დასავლეთთან, ისე აღმოსავლეთთან. ამერიკელებმა და ინგლისელებმა მასში უნდა ამოიკითხონ, რომ ჩვენ არ გვინდა ომის გაგრძელება დასავლეთთან და რომ ჩვენ მას ვაწარმოებთ მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჯარისკაცებმა კი ამ დოკუმენტით უნდა გაიგონ, რომ ომი გრძელდება, მაგრამ ისიც იგრძნონ, რომ ახლოვდება ჩვენთვის ხელსაყრელი პირობები...

კარიერა სახრჩობელაზე...

ამასობაში ჰიმლერიც გააქტიურდა. მან კარგად იცოდა ორი ჯამბაზი ერთ თოკზე რომ ვერ იხტუნავებდა და ისევ დასავლეთისაკენ ეჭირა თვალი. იგი ლიუბეკში შეხვდა გრაფ ბერნადოტს და განუცხადა, ჰიტლერი უკვე პოლიტიკური გვამიაო. ჰიმლერიც გენერალ ეიზენჰაუერთან ეძებდა კავშირს, მეტადრე მას შემდეგ, რაც გაიგო ჰიტლერის საბოლოო გადაწყვეტილება ბერლინში დარჩენის შესახებ. მან ერთხელ კიდევ გაგზავნა თავისი „ჭირის ამხდელი“ შელენბერგი ბერნადოტთან, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: უკვე გვიანაა, შემოუთვალა ბერნადოტმა. გაწბილებული შელენბერგი დაბრუნდა „გერმანელი ხალხის მომავალ ფიურერ“ ჰიმლერთან. უკანასკნელი იმედი გაქრა. ჰიმლერს გააჟრჟოლა:

— შელენბერგ, მე მეშინია მომავლის! — თქვა მან და სათვალე მოიხსნა.

იქ ვინ იყო ისეთი, რომ ძველებური შეგონება შეეხსენებინა მისთვის:

— ნუ იქმ ავსა და ავისა ნუ გეშინიაო.

ან კი რას გაიგებდა ასეთი შეგონების აზრს, როცა „მისი სული უკვე დაფლეთილი იყოო“, წერს შელენბერგი.

ძალაუფლება რომ შემოეცალა, ჰიმლერისაგან, მართლაც, აღარაფერი დარჩა, მას უკვე თავისივე აჩრდილისაც ეშინოდა. უნდოდა გარიდებოდა თავის თავსა და ცოდვებს, მაგრამ საკუთარ აჩრდილს ხომ ვერ მოიკვეთდა. შექსპირის ერთი გმირისა

არ იყოს, გაიძახოდა, მე ის არა ვარ, რაცა ვარო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა! უკვირდათ კი, უდიდესი ინკვიზიტორი, თორმეტი მილიონი უდანაშაულო ადამიანის მკვლელი, ჰეროდესებური ბავშვთა მჟლეტელი ჯალათი ამასთანავე საოცრად მშიშარა, გულჩვილი და გულუბრყვილო ადამიანი რომ იყო. ვინ იცის, იქნებ ასეთი პარადოქსიც შესაძლებელია! იმ ომის დროს ისეთი უცნაური შეუსაბამობანი მინახავს და გამიგონია, რომ არაფერი მიკვირს. ისტორიკოსებიც ხომ წერენ ინკვიზიტორთა შესახებ, მოვალეობის შესრულებისას უაღრესად სასტიკნი იყვნენ, სხვა დროს კი ზედმეტად თავაზიანებიო. მასობრივი ჟლეტის შემდეგ ინკვიზიტორები თურმე მხოლოდ თევზის თეთრ ხორცს მიირთმევდნენ და ფსალმუნს კითხულობდნენ. ჩვენში რომ ამბობენ, რეგვენს ღმერთი გასაჭირში მოაგონდაო, მართლაც ისეა. განსაცდელის ჟამს ჰიმლერმაც წაიღო აცახცახებული ხელები ჯვარცმის ნიშნისაკენ.

— ჩემზე ამბობენ წარმართიაო, — უთხრა მან შელენბერგს, — არა, მე მართლმორწმუნე ვარ. ვცნობ ღმერთსა და მაცხოვარს. ოდერზე ყინული რომ ჩამიტყდა და გადავრჩი, მაშინ ვიწამე სასწაული. ჰიტლერის მოვლინება მე მიმაჩნდა გამოცხადებად...

ხოლო ახლა ისე იყო შეშინებული, „მაცხოვარს“ კი არა, თავის თავსაც გაურბოდა...

...იმ დღეს ჰიმლერი ჰოჰენლიჰენში იყო. მას ახლდა თავისი „ბოროტი გენია“, ექიმი გებჰარდი და „ყველაზე შუბლმაგარი ესესელი“, ობერგრუპენფიუერერი ბერგერი.

ეს ბერგერი ესესელის სწორედ იმ იდეალის განსახიერება იყო, რასაც ჰიმლერი ქადაგებდა „ბურგებში“. მისთვის არც ღმერთი არსებობდა და არც ეშმაკი, იყო მხოლოდ ჰიტლერი. თუ ვინმეს ოდნავ მერყეობას შენიშნავდა მის მიმართ, უყოყმანოდ მოსპობდა. ბერგერის ფანატიზმი ბოლომდე არ შერყეულა. ბერლინიდან ფეგალაინმა რომ დარეკა, ჰიტლერის ბრძანებაა ესესელები წამოვიდნენ ბერლინის გასათავისუფლებლადო, ჰიმლერმა იყვირა:

— ბერლინში ყველა შეიშალა. ჰიტლერი თავის ბუნაგში ჩაიკეტა და ბერლინის რეკონსტრუქციის გეგმას ადგენს. გე-

რინგი კოკაინს სვამს და ფრჩხილებს წითლად იღებავს. ესესელებიო! სადღა არიან ესესელები! ჩემს პირად დაცვაში სულ ერთი ბატალიონია, ისიც უმთავრესად დაჭრილებისაგან შემდგარი, მე რა შემიძლია?!..

ბერგერმა მკაცრი გამომეტყველება მიიღო და ჰიმლერს შეუღრინა:

— თქვენ წახვალთ პირდაპირ ბერლინისაკენ, ბატონო რაიხსფიურერო! პირადი დაცვის ბატალიონიც თქვენ გამოგყვებათ. უფლება არა გაქვთ ბატალიონი აქ გყავდეთ, როცა იქ ფიურერი გასაჭირშია!..

ჰიმლერი სულ დაიბნა, აღარ იცოდა რა ექნა. ახლა მას ერთადერთი მრჩეველი ჰყავდა — შელენბერგი! ამბობენ, ჰიმლერს რომ „დიდმა ღმერთმა“ ზურგი შეაქცია, თავისთვის საკუთარი „პატარა ღმერთი“ მოძებნა შელენბერგის სახითო. უკანასკნელ დროს მართლაც სულ ამ შელენბერგზე იყო მინდობილი. იგი აკავშირებდა მას დასავლეთის სახელმწიფოებთან. ახლა კი ისევ ფეგელაინი რეკავდა ბერლინიდან, ჩამოდით და დაარწმუნეთ ჰიტლერი წავიდეს აქედანო.

— ეს თქვენი მოვალეობაა, უნდა მიეშველოთ! — წარმოთქვა ისევ ბერგერმა.

ჰიმლერმა ვერც ასე გადაწყვიტა და ვერც ისე. ადრინდელი „ღვთის რისხვა“ რაიხსფიურერისაგან უკვე აჩრდილიღა იყო დარჩენილი. იგი შეიპყრო შიშმა საკუთარი დანაშაულის გამო, მაგრამ სხვა გზა რომ არ ჰქონდა, ფეგელაინს შეუთანხმდა, შენ ბერლინიდან წამოდი, მე აქედან წამოვალ და ნაუენში შევხვდეთ ერთმანეთსო...

... ჰიმლერი თავისი ჯავშნოსანი მანქანით წავიდა ფეგელაინთან შესახვედრად. მეორე მანქანით მისი „ბოროტი სული“ გებჰარდი მიჰყვა. საოცრება ის არის, რომ ექიმი გებჰარდი ასეთ პირობებშიც თავის კარიერაზე ფიქრობდა. ცალი ფეხი სამარეში ედგა, მაგრამ მაინც აიკვიატა აზრი, რომ როგორმე ჩაეღწია ბერლინამდე და ჰიტლერისათვის ეთხოვა იმპერიის წითელი ჯვრის უფროსად დამნიშნეო. კიდევაც აისრულა საწადელი — ჰიტლერმა იგი თავისი სიკვდილის წინა დღეს დანიშნა ამ თანამდებობაზე, რითაც გებჰარდს პატივი დაედო, რომ რამ-

დენიმე ხნის შემდეგ, როცა იგი ამერიკელებმა სახრჩობელაზე აიყვანეს, „ასეთი მაღალი თანამდებობა“ სჭეროდა...

... როგორც იქნა, ჰიმლერმა ნაუენამდე მიაღწია. იქ ერთიორი საათიც იცადა, მაგრამ... ფეგელაინი არსად ჩანდა! თვითონ ბერლინისაკენ გზის განგრძობა ვერ გაბედა და ჰიტლერთან წერილი გებჰარდს გაატანა, ჩემს ბატალიონს გიგზავნითო. გებჰარდმა მართლაც მოახერხა მისულიყო ჰიტლერამდე და მისგან „სანუკვარი თანამდებობაც“ მიეღო. მერე ფიურერს ევა ბრაუნის, გებელსის ცოლ-შვილისა და მდივანი ქალების ევაკუაცია შესთავაზა. ჰიტლერმა ეს არ ისურვა. არც სამსხვერპლოდ განწირულ გებელსის ბავშვებზე უთქვამს რამე. ყველამ თავისი ნებით გადაწყვიტა ჩემთან დარჩენაო, დასძინა მხოლოდ. ეს „ყველამ“ კი, ცხადია, დიდებს ეხებოდა, მაგრამ ის უსუსური ბავშვები?! იმათ ხომ არ უსურვებიათ ეს?! ვინ იცის, რომელ ღმერთს სწირავდა ჰიტლერი მსხვერპლად მათს სიცოცხლეს: მარადიული ყინულისას, თუ ტევტონებისას! ნიურნბერგში იოდლმა თქვა: მიუხედავად იმისა, რომ მე ყოველდღე მიხდებოდა ყოფნა ჰიტლერთან, მისი ცხოვრება ჩემთვის მაინც შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნიაო...

გებელსის ბავშვების მსხვერპლშეწირვის ამბავიც, ალბათ, ასევე შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი დარჩება იმ „მეშვიდე ეშმაკის“ ბიოგრაფიაში...

... წასვლაზე ერთხელ კიდევ უარი რომ განაცხადა, ჰიტლერმა გებჰარდი რუკასთან მიიყვანა და ტირგარტენთან ადგილი უჩვენა, სადაც ჰიმლერის პირადი დაცვის ბატალიონს უნდა დაეკავებინა პოზიცია.

— ხომ არ გნებავთ რამე ცნობა გადავცე ჰიმლერს? — ჰკითხა გებჰარდმა. ჰიტლერმა ამაზე ირონიულად უპასუხა:

— მოკითხვა დიდი სიყვარულით...

მერე ჰიტლერის კაბინეტში იმ ბერგერმაც შემოყო თავისი „საელდო ცხვირ-პირი“ და, მე გაგიყვანთ ბერლინიდანო, შესთავაზა ჰიტლერს. იგი მხოლოდ მბრძანებლურ ტონს იყო მიჩვეული და თავი ვერ შეიკავა, რომ თვით ჰიტლერისათვის არ ეთქვა საყვედური:

— ტყვიის კვრა შუბლში ან საწამლავის მიღება ადვილია, ჩემო ფიურერ, უნდა ხალხზე იფიქროთ!..

აქ კი იფეთქა ჰიტლერმა:

— ყველამ მომატყუა! არავინ სიმართლეს არ მეუბნებოდა! არმიამ მიღალატა! ყველამ, ყველამ მიღალატა მე!..

სახე აელეწა, ცახცახი აუვარდა. შეიძლება წაქცეულიყო კიდეც, ბერგერს რომ ხელი არ შეეშველებინა.

რამდენიმე წუთი რომ გავიდა, ბერგერმა სრულიად აუღელვებლად, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, იკითხა:

— ინგლისელ და ამერიკელ ტყვეებს რა ვუყოთ, ჩემო ფიურერ!

ჰიტლერმა ამაზე ჯერ მშვიდად უპასუხა, ბავარიის საკონცენტრაციო ბანაკებში გადაიყვანეთო, მაგრამ, როცა ბერგერი უკვე მიდიოდა ფიურერის უკანასკნელი განკარგულების შესასრულებლად, კარებში შეაჩერა და დაუყვირა:

— დახვრიტეთ! დახვრიტეთ ყველანი!

ბერგერი ახლა ამ ბრძანების შესასრულებლად გაეშურა...

აჩრდილების მთავრობა...

ბერგერმა მაშინ რა იცოდა, რომ ჰიმლერი და მისი მგლები თავიანთ წინამძღოლს — ტოტია-ჰიტლერს უღრენდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ ეშინოდათ და ერიდებოდათ მისი, თვით რკინის ჰაინრიხსაც კი. მას უნდოდა „ტოტია" თავისი ბუნებრივი სიკვდილით ქცეულიყო ლეშად... ამიტომაც უთხრა ბერნადოტს:

— ფიურერის დიდი სიცოცხლე თავის დასასრულს უახლოვდება. შეიძლება იგი უკვე მკვდარია ან ასე მოხდება რამდენიმე დღეში. მე კი ერთგულების ფიცი მაქვს მისთვის მიცემული და ვერ გავტეხ. შევთხოვოთ ღმერთს მისი სიკვდილი და ვიცადოთ. მერე ყველაფერზე თანახმა ვიქნები.

ბერნადოტი ისევ შვეიცაში გაფრინდა. მან იცოდა, რომ მისი მისია ამოიწურა. წასვლის წინ შელენბერგს უთხრა:

— დასავლეთის წარმომადგენლებს არ სურთ ისეთ პიროვნებასთან ლაპარაკი, როგორიც ჰიმლერია!..

შელენბერგს შეეშინდა, როგორ უნდა გადავცე ეს ჰიმლერსო. იგი ხომ თვითონ ურჩევდა რაიხსფიურერს ინგლისელებს

დაკავშირებოდა. ახლა რომ ყველაფერი ჩაიშალა, იფიქრა ჰიმ-ლერი დამხვრეტსო და ვარსკვლავთმრიცხველ ვულფთან გაიქ-ცა რჩევის საკითხავად, ბერნადოტის პასუხი კი დაჭერა და მსა-ხურს გაატანა.

ჰიმლერს არც ამის შემდეგ აუღია ხელი თავის გეგმებზე. მას ესესელთა მთელი არმია ჰყავდა, უზარმაზარი აპარატი და დაწესებულებათა მთელი ქსელი გააჩნდა. ამიტომაც გადაწყვი-ტა ახალი პარტიის შექმნა, რომელსაც „ნაციონალური ერთია-ნობის პარტია“ (Nationale Einheitspartei) უწოდა. მერე სა-კუთარი „მთავრობაც“ შეადგინა, რომელშიც შედიოდნენ შე-ლენბერგი, ოლენდორფი, შვერინ-კროზიკი და სხვები. რაკი გე-რინგი დაეცა, მათ უკვე ჰიმლერი მიაჩნდათ ჰიტლერის მემკვიდ-რედ. ჰიმლერმა შეიფერა ეს და ადმირალ დენიცს მიმართა წი-ნადადებით შესულიყო „მის მთავრობაში“. დენიცს შეეშინდა რაიხსფიურერის ძლევამოსილებისა და დასთანხმდა. მერე შპე-ერის წრეც მიეკედლა ჰიმლერს. თუ-ცა, როგორც ინგლისე-ლები ხუმრობდნენ, ამ „აჩრდილების მთავრობას“ (Shadow-governement) არავინ ცნობდა უფლებამოსილად. მით უმე-ტეს ჰიტლერი, რომლის განკარგულებებს ჯერ კიდევ ჰქონდა რაღაც მაგიური ძალა. მან ჰიმლერის ამ „თვითნებობის“ ამბავი ინგლისური გაზეთებიდან გაიგო. ცნობა ლორენცმა მოიტანა თავშესაფარში. მას შეხვდნენ გებელსი, ბორმანი და ჰაველი, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაბედა მოეხსენებინა იგი ჰიტლერისა-თვის და მსახურ ლინგეს ხელით გაუგზავნეს.

აბა, ისტერია ეს იყო! ამბობენ, ასეთი გაშმაგებული ჰიტლე-რი არავის უნახავსო... ერთხანს შეშლილივით ღრიალებდა. ლინგე წერს, სახე ისე აერია, ვერც იცნობდითო. ადიუტანტე-ბი მისცვივდნენ, მაგრამ ვერ დაამშვიდეს: ყვიროდა, მუშტებს იქნევდა, ილანძღებოდა. ესესის იმედი ჰქონდა და ისიც გა-მოეცალა ხელიდან. ჯერ „რკინის ჰერმანმა“ უღალატა, ახლა — „ერთგულმა ჰაინრიხმაც“....

— ღალატი!.. უსირცხვილო ღალატი!.. — ყვიროდა გაშმა-გებული ჰიტლერი.

ისე იყო გაცოფებული გერინგისა და ჰიმლერის ღალატით, რომ მათს თანამშრომლებსაც დაერია... გერინგის შტაბის უფ-როსი კოლერი ყვება:

ჩემს ოჯახში ვსადილობდი, როცა მსახური შემოვიდა და მომახსენა ესესის ადგილობრივი ორგანიზაციის მეთაური გეახლათო.

— შემობრძანდეს! — უთხრა კოლერმა.

— არა, აქ ვერ შემოვუშვებ, — გაუბედა მსახურმა: — რაღაც საეჭვო ამბავია, იგი შეიარაღებულია.

კოლერმა ფანჯრიდან გახედა ესესელს და ცუდად ენიშნა. მერე დერეფანში შეხვდა.

— ესესის ობერშტურმფიურერი ბრედოვი! — წარუდგა მას დაუპატიჟებელი სტუმარი.

კოლერს არ ესიამოვნა ეს. ბრედოვმა თავაზიანად მიმართა:

— ბატონო გენერალო, ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი საგანგებო დავალება ვაქვს შესასრულებელი, მაგრამ გთხოვთ მომიტევოთ. ფიურერის ბრძანებით მე თქვენ გაპატიმრებთ...

კოლერი გაშეშდა.

— იცით მაინც რატომ? — ჰკითხა მან ბრედოვს:

— არა!

— სად არის რაიხსმარშალი?

— დაპატიმრებულია!

— პოლკონვიკი ბრაუხიჩი და რაიხსმარშლის ამალა?

— ისინიც დაპატიმრებული არიან!

— მაშინ ისიც გეცოდინებათ, თუ რატომ მაპატიმრებთ?

— დიახ!

— მე თქვენს ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ ის, რაც აქ ხდება, გაუგებრობის შედეგია. რაიხსმარშალი სრულიად კანონიერად მოიქცა, შეკითხვა რომ გამოუგზავნა ფიურერს.

შემდეგ ბრედოვმა აცნობა, გერინგს მხოლოდ შინაური პატიმრობა აქვსო. კიდევ კარგი, ბრედოვმა ჩხრეკა არ დაიწყო, თორემ კოლერს მაგიდის უჯრაში ედო გერინგის მოწოდება არმიისა და ხალხისადმი. გამოსამშვიდებლად ცოლთან რომ შევიდა, კოლერმა ჩუმად დახია ეს მოწოდება....

...გერინგისა და კოლერის „შინაური პატიმრობა“ იმდენად ფიქციური იყო, რომ ისინი ჯერ კიდევ თავისუფლად მოქმედებდნენ. დილის ხუთ საათზე ბრაუხიჩმა გადასცა კოლერს, გერინგი გიბრძანებთ გაფრინდეთ ბერლინში და აუხსნათ ფი-

ურერს საქმის ვითარებაო. აქეთ ბრედოვმაც შეატყობინა, ფიურერის ბრძანებაა ამის შესახებო. მერე გრაიმმა დაურეკა. ჰიტლერი მიხმობს ბერლინში და ხომ არ იცით რისთვისო.

— ალბათ მთავარსარდლად გნიშნავენო, — „გაუკეთა გული" კოლერმა. ყველაფერი ისე აირია, არავინ იცოდა როგორ მოქცეულიყო. რაიხსმარშალი რომ პატიმრობაში ჰყავდა, ეს არც ისე ადვილი საქმე იყო ბრედოვისათვის. თქვეს კალტენბრუნერი ჩამოვაო. იგი მართლაც ჩამოფრინდა, მაგრამ მოულოდნელად გაქრა, რომ დილით ისევ დაბრუნებულიყო.

გათენდა თუ არა, მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა ბერჰტესგადენს, რამაც დიდი ნგრევა გამოიწვია. ბორმანის სახლი ხომ სულ დაიმსხვრა.

დაპატიმრებული გერინგი და მისი ამალა მაუტერსდორფში გადაიყვანეს...

გეთლემის ვარსკვლავი...

იმავე დღეს ბერლინის რადიომ ოფიციალურად გამოაცხადა, რაიხსმარშალი გერინგი გადადგა „გულით ავადმყოფობის გამო" და მის მაგივრად გენერალი რიტერ ფონ გრაიმი დაინიშნაო. ჰიტლერი გრაიმს დიდი ხანია იცნობდა. როცა კაპის პუტჩის დროს ფიურერი ეკარტთან ერთად სპორტული თვითმფრინავით ბერლინში ჩაფრინდა, მისი პილოტი რიტერ ფონ გრაიმი იყო. ამ დანიშვნასთან დაკავშირებით ჰიტლერმა გრაიმი თავის თავშესაფარში გამოიძახა. ალყაშემორტყმულ ბერლინში თვითმფრინავით შეღწევა უკვე შეუძლებელი იყო. ბერლინის არც ერთი აეროდრომი არ მოქმედებდა. მიუხედავად ამისა, გრაიმი, თავის მეუღლესთან, ცნობილ სპორტსმენ მფრინავ ქალთან ანა რაიჩთან ერთად გამოფრინდა ქ. რეჰლინიდან ჰელიკოპტერ „ფოკე-ვოლფ — 190"-ით. ამ თვითმფრინავით ადრე შპეერი ჩაფრინდა ბერლინში. პილოტმა უთხრა მათ, თქვენც ჩაგიყვანთო. თვითმფრინავი ორადგილიანი იყო, მაგრამ ტანმორჩილი რაიჩი როგორღაც ჩაეტენა კაბინაში გრაიმთან ერთად. 49 გამანადგურებელი მიჰყვებოდა ძცველად ბათს თვითმფრინავს. დიდი საჰაერო ბრძოლების შემდეგ ტყვიით დაცხრილულმა გრაიმის თვითმფრინავმა ბერლინამდე მიაღწია. აქ

იგი გატოვოს აეროდრომზე უნდა დაშვებულიყო, მაგრამ სწორედ ამ დროს ბომბავდნენ საბჭოთა მფრინავები დასაფრენ მოედანს. ჰაერში ისევ დიდი საჰაერო ბრძოლები იყო გამართული. გრაიმმა გადაუქროლა სახლების სახურავებს და მაინც დაეშვა ყუმბარებით გადათხრილ აეროდრომზე. მერე ტელეფონით უნდოდა დაკავშირებოდა ჰიტლერს, მაგრამ კავშირი შეწყვეტილი იყო. გრაიმს ეგონა, რომ ჰიტლერი მის თვითმფრინავს გამოჰყუებოდა, და გადაწყვიტა თვით ქალაქში დაშვებულიყო, რომელიმე ქუჩაზე. იგი უპილოტოდ აფრინდა გატოვოს აეროდრომიდან რაიჩთან ერთად, ძლიერ დაბლა გადაუარა დანგრეულ ბერლინს, მაგრამ, ბრანდენბურგის ალაყაფის კარებს რომ მიუახლოვდა, თვითმფრინავს ზარბაზნის ყუმბარა მოხვდა და დააზიანა. თვითონ გრაიმი დაიჭრა. ანა რაიჩი არ დაიბნა, წამოვარდა, ხელები მხრებს ზევით გადააწვდინა ქმარს, საჭეს ჩაეჭიდა და თვითმფრინავი ოსტატურად დასვა უნტერ დენ ლინდენზე.

საღამოს შვიდ საათზე გრაიმი საკაცით შეიტანეს ჰიტლერის თავშესაფარში. აქ მათ პირველი მაგდა გებელსი შემოეგება და გულაჩუყებულმა წამოიძახა:

— მადლობა ღმერთს, კიდევ ჰყოლია ფიურერს ერთგული ადამიანები!...

...დაჭრილი გრაიმი ექიმ შტუმფეგერის ოთახში დააწვინეს. ჰიტლერი თვითონ მივიდა მასთან.

— იცით რისთვის გიხმეთ? — ჰკითხა მან გრაიმს.

— არა, ჩემო ფიურერ!..

— იმიტომ რომ ჰერმან გერინგი მოღალატე აღმოჩნდა. მან ზურგი შეგუაქცია მეც და სამშობლოსაც. ჩემდა დაუკითხავად საკუთარი ტყავის გადასარჩენად იგი გაიქცა ბერჰტესგადენში და დაუკავშირდა მტერს. მე კი ასეთი დეპეშა გამომიგზავნა...

ჰიტლერს ისევ მოუარა ისტერიამ და ხელში გერინგის დეპეშა ააფრიალა:

— ეს ულტიმატუმია! აღმაშფოთებელი ულტიმატუმი! ახლა მე უკვე ყველაფერი გამოვცადე, ყველაფერი განვიცადე. აღარაფერი დარჩა, არც ერთგულება, არც ღირსება. მე გან-

ვიცადე გულგატეხილობა, განვიცადე ღალატი, ახლა კი, აი. ესეც! არა, აღარაფერი დარჩა! არ არსებობს ისეთი ბოროტება, მე რომ თავს არ დამტეხოდეს...

დამბლადაცემული მარცხენა ხელი მარჯვენათი ეჭირა, თვალები სულ გადმოცვენაზე ჰქონდა. შემზარავად და თან საცოდავად გამოიყურებოდა. ოდესღაც დიდების ზენიტზე მდგარი, აჩრდილიღა იყო თავისი თავისა. მაგრამ ჯერ ეს აჩრდილიც მოქმედებდა. მან აცნობა გრაიმს, გერინგის ადგილას გნიშნავო, და ფელდმარშლობაც უბოძა.

— გერმანელი ხალხის სახელით მე გიწვდით თქვენ ხელს! — პათეტიკურად უთხრა მან ავიაციის ახალ ფელდმარშალს, რომელსაც უკვე არავითარი ავიაცია აღარ ჰყავდა.

გრაიმმა ერთხელ კიდევ სცადა დაეყოლიებინა ჰიტლერი:

— მე თქვენ სრულიად უვნებლად გაგიყვანთ ბერლინიდან, — შესთავაზა მას.

ჰიტლერი ერთხანს თვალებში ჩააშტერდა გრაიმს, მერე კი სრულიად გატეხილი ხმით მიუგო:

— არა, ეს ღირსების საქმეა! მე როგორც ჯარისკაცი ვემორჩილები ჩემსავე ბრძანებას — უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვა ბერლინი!

ამაზე გრაიმმა უთხრა:

— მაშინ ჩვენი თხოვნა იქნება დაგვტოვოთ თქვენთან, რათა პირადი თავგანწირვით აღვადგინოთ გერმანიის აუიაციის ღირსება!

ჰიტლერმა ეს თხოვნა არ შეიწყნარა, „დაამშვიდა“ მხოლოდ:

— ბერლინში სამი მილიონი კაცი დგას თოფქვეშ. მალე ყველა არმია წამოვა დედაქალაქისაკენ და გამათავისუფლებენო.

მერე, თითქოს ტრიბუნაზე დგასო, გასწორდა, ხელი წინ გაიშვირა, თვალები ჭერს მიაპყრო და ისტერიულად დაიძახა:

— ვენკი მოდის!..

ეს, ცხადია, არავის სჯერდა. არც გრაიმს, მაგრამ არაფერი უთქვამთ. ჰიტლერი ერთხანს კიდევ ბოლთასა სცემდა, მერე კი ისე გავიდა ოთახიდან, რომ ფეხებს ძლივს მიათრევდა. გრაიმმა სცადა სხვებიც დაემშვიდებინა.

— ჰიტლერის გვერდით ყოფნა ენერგიას გვმატებს, — თქვა მან და, თითქოს ბეთლემის ვარსკვლავი დაინახაო, ხელმოცარული პროვინციული პოეტის ტონით დაუმატა:

— ამაშია შადრევანი ჩემი სიჭაბუკისა!..

— დიდება შენდა, ღმერთო, — წერდა შემდეგ თავის მემუარებში კოლერი, — ეს ხალხი ან გაგიჟდა, ან რაღაც მეექვსე გრძნობა აქვთ. ისეთი, რაც ჩვენისთანა მოკვდავთათვის უცნობია...

გულის მოციქული...

ჰიტლერმა გრაიმის შემდეგ ანა რაიჩი იხმო და... საწამლავი აჩუქა:

— თუ რუსები მოულოდნელად შემოიჭრნენ, დავლიოთ!.. — უთხრა, მან რაიჩს, თან სინანული გამოთქვა, უკეთესი საჩუქარი რომ ვერ მისცა „ერთგული სამსახურისათვის“.

— მე თქვენთან ერთად მინდა მოვკვდე! — დაეთანხმა ანა და ორივემ საწამლავის თითო წვეთი დაიპკურა ხელზე, რათა გაესინჯათ რამდენად ძლიერი იყო მისი მოქმედება. ანა ტანმორჩილი ქალი იყო, გაბედული მფრინავი, ჩინებული სპორტსმენი და ფიურერის ერთგული, თუმცა...

ენა გულის მოციქულიაო, რომ იტყვიან, ყოველთვის ასე როდია. ომის შემდეგ მან წიგნი გამოსცა, სადაც ასეთ რამეს წერს:

— გერმანია ჰიტლერმა დაღუპა. იგი უსუსური იყო როგორც პოლიტიკოსი და ჯარისკაცი. მას არ ჰქონდა უნარი სახელმწიფოსა და ხალხის მართვისა, რადგან არ შეეძლო მდგომარეობის ანალიზი. პასუხისმგებლობა ეკისრება იმათაც, ვინც მას აქებდა. ჰიტლერმა თავისი ცხოვრება დაამთავრა როგორც დამნაშავემ მთელი მსოფლიოს წინაშე...

ანა რაიჩს ჰიტლერის მიერ ბოძებული საწამლავი არ გამოუყენებია. არც გრაიმს. „დაპატიმრებულმა“ კოლერმა მათ თვითმფრინავი გამოუგზავნა, რომელმაც რაღაც საოცრებით მოაღწია ბერლინამდე, დაჯდა კიდეც მოედანზე და წაიყვანა ახალი ფელდმარშალი თავისი შეუღლითურთ.

გებელსმა, ბორმანმა, ჰაველმა, ევა ბრაუნმა და სხვებმა მათ უკანასკნელი წერილები გაატანეს თავიანთ ნათესავებთან...

ამბობენ, იმ დღეს გრაიმმა ერთხელ კიდევ სცადა ჰიტლერისა და მასთან მყოფი პირების გაყვანა ბერლინიდანო. კაიტელმაც განაცხადა ნიურნბერგში, რომ მან რაინსფელდში მიიღო რადიოგანკარგულება გაეგზავნა ბერლინში „ფიზელერ-შტორჰის" ტიპის ორმოცი-ორმოცდაათი თვითმფრინავი. შევადგინე კიდეც ესკადრილია და ამის შესახებ ვაცნობე გრაიმს. მაგრამ უკვე გვიანღა იყო, რადგან ბრანდენბურგის ალაყაფის კარებთან მდებარე შოსეს, სადაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა ასეთი ტიპის თვითმფრინავების დაშვება, უკვე საბჭოთა არტილერია ურტყამდაო...

მერე კოლერმაც მიიღო ბორმანის დეპეშა, ჰიტლერი გიბრძანებთ დაუყოვნებლივ ჩამოხვიდეთ ბერლინშიო. კოლერმა იცოდა, ნაღდ სიკვდილზე რომ უნდა წასულიყო, ცოლ-შვილს დაემშვიდობა და რეჰლინში ჩავიდა. აქ უთხრეს, ეს შეუძლებელიაო. კოლერს შეეშინდა ბრძანების შეუსრულებლობა არ დამაბრალონო და იოდლს დაურეკა, იოდლმა — კაიტელს. კაიტელმა — ჰიმლერს. არც ჰიმლერმა იკისრა გადაწყვეტილების მიღება და დენიცს მიმართა. დენიცი უბრალოდ დაუძვრა პასუხისმგებლობას, საუზმეზე მეჩქარებაო, და სადღაც გაიპარა. კოლერი წერს, ყველას კრიჭა ჰქონდა შიშისაგან შეკრულიო...

...იმ ღამეს მძიმე არტილერიამ ყუმბარები დაუშინა რაიხსკანცელარიის შენობას. თავშესაფარში ვენტილატორები გამორთეს, რადგან სუფთა ჰაერის ნაცვლად მტვერსა და კვამლს ისრუტავდა. ფრონტის ხაზი ახლა „ჰიტლერის თავზე" გადიოდა, ზევით, რაიხსკანცელარიის შენობასთან. ქალაქის კომენდანტად ფიურერმა დანიშნა გენერალი ვაიდლინგი, რომელმაც იკისრა ეს მოვალეობა, მაგრამ პირობაც წამოაყენა. ჩემს საქმეში ნურავინ ჩაერევაო. ჰიტლერი დასთანხმდა. ვაიდლინგის საქმეში მართლაც არავინ ჩარეულა. რამდენიმე დღის შემდეგ იგი თუითონ ჩაბარდა ტყვედ საბჭოთა ჯარისკაცებს...

...თავშესაფარში კი ისევ ვენკს ელოდნენ. ჰიტლერი სასიკვდილოდ დაბორიალებდა კარტოგრაფიულ ოთახებში ან

თავის კაბინეტში ჩაიკეტებოდა და „ბლონდის“ ეჭიდავებოდა. მერე ისევ დერეფანში გამოლასლასდებოდა, ხელში რაღაც ქაღალდს ააფრიალებდა და შეშლილივით ყვირობდა:

— ვენკი მოდის!.. ვენკი მოდის!..

მერე მას კემპკა შეხვდა.

— როგორ არის თქვენთან საქმე, კემპკა? — ჰკითხა ჰიტლერმა.

— ჩემები ბრანდენბურგის კარიბჭესთან იბრძვიან! — მიუგო მან.

უწინ რაიხსკანცელარიის გარაჟში ას ოც მანქანაზე ოთხასი შოფერი მუშაობდა. ახლა კი საქმე არა ჰქონდათ და რიგით მებრძოლებად გაიწვიეს.

— რას ფიქრობს ხალხი? — იკითხა ისევ ჰიტლერმა.

— უცდის ვენკს!

— ვენკს ჩვენც ვუცდით! — თქვა მან.

გებელსმა ქუჩებში ახალი პლაკატები გააკვრევინა:

— ვენკის ჯარისკაცებო, გვიხსენით!..

გამოვიდა უკანასკნელი გაზეთიც საოცარი სათაურით: „ჯავშნიანი დათვი!“

— ვენკის დივიზიები მოდიან! — იუწყებოდა გაზეთიც...

...27 აპრილს ჰიტლერთან მიიყვანეს პატარა ბიჭი, რომელსაც ჯარისკაცის სამხედრო ფორმა ეცვა, და მოახსენეს, „ფაუსტ-პატრიონით“ მტრის ტანკი დააზიანაო. ფიურერმა რკინის ჯვარი დაჰკიდა ბავშვს და ისევ ზევით აგზავნა საბრძოლველად. ამით წაქეზებულმა ვაიდლინგმა ათი-თორმეტი წლის ბიჭების დივიზია შეადგინა და ბერლინის წრის გარღვევის რეპეტიცია გამართა, იმ ბავშვთა უმრავლესობა დაიღუპა. ცოცხლად გადარჩენილნი თავიანთ ამხანაგებს მარხავდნენ და ტირდნენ...

ტევტონური რიტუალი...

28 აპრილს „ბერლინის ჯგუფი“ სამ ნაწილად დააქუცმაცეს ჩვენმა შენაერთებმა. მათი მართვა უკვე შეუძლებელი იყო. ბრძოლები ქალაქის ცენტრალურ უბნებში მიმდინარე-

ობდა. იმ დღეს ჰიტლერმა ერთხელ კიდევ შეკრიბა თავისი „გარნიზონი“ და რჩევა მისცა, თუ როგორ მოეკლათ თავი. ეს უნდა ყოფილიყო ძველებური ტევტონური თვითმსხვერპლ-შეწირვის (selbstopferung) რიტუალი: თავად ჰიტლერს, როგორც ჩანს, თავისი თავი რაღაც ტოტემად მიაჩნდა, შეუმუსრაობის თავდებად, რომლის უდრეკი ნებისყოფა უზრუნველყოფდა ყოველგვარი ციხე-სიმაგრის შეუვალობას.

— ვიდრე თუნდაც ერთი კაცი დარჩება რწმენით სავსე და მაღლა აწეული დროშით, არაფერი არ არის დაკარგული, — ამბობდა იგი, — მაგრამ როცა უკანასკნელი კაცი სასოწარკვეთას მიეცემა, მაშინ ყველაფერი მთავრდება...

ახლა კი, როცა თვითონ შეიპყრო სასოწარკვეთამ, დროშა ხელიდან გააგდო და სიკვდილის კარიბჭესთან დადგა, სხვებსაც მსხვერპლად სწირავდა ტევტონთა ღმერთსა და თავის თავს...

— მე ყინულივით ცივი ვარ და ვამბობ, — უკვე მერამდენედ იმეორებდა იგი, — რომ თუ გერმანელი ხალხი არ არის მზად თავი დადოს თვითდადგინებისათვის (selbstbestimmung), კეთილი, მაშინ იგი უნდა მოისპოს!..

ჰიტლერის აზრით, აქ მაგალითის მიცემა იყო საჭირო და... სათანადო თეატრალური რიტუალიც გაიმართა. ჰიტლერის უკანასკნელ თანამშრომელთაგან ყველამ სათითაოდ წარმოთქვა „ფიურერისა და სამშობლოსადმი ერთგულების საზეიმო ფიცი“ და მიიღო თავისი წილი საწამლავი. „ვიკინგები“ გაემზადნენ „თვითმსხვერპლშეწირვისათვის“. საერთო ნიშანი უნდა ყოფილიყო პირველი რუსი ჯარისკაცის გამოჩენა რაიხსკანცელარიის თავშესაფარში...

ყოველივე ეს, მართლაც, თეატრალურ წარმოდგენას ჰგავდა: სცენაზე რომ მსახიობები ერთმანეთს „ხოცავენ“, ხოლო სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ტანისამოსს გადაიცვამენ და შინისაკენ მიეშურებიან.

ბერლინის უკანასკნელი გარნიზონიც ასევე უცდიდა „სპექტაკლის დამთავრებას“ — ჰიტლერის სიკვდილს, რომ ამის შემდეგ ფიცახსნილნი გაქცეულიყვნენ, ვისაც საით მოუხერხდებოდა...

თავშესაფარში ერთმანეთს უკვე არავინ ერიდებოდა, არც თავიანთ საყვარელ ფიურერს. „გარნიზონი“ მაგარ სასმელებს მიეძალა. სიკვდილის პირისპირ ყველა გათანაბრდა. დასასრულის მოახლოებამ ბევრს შეურყია „ხასიათის ვიკინგური სიმტკიცე“. ამ ამბების თვითმხილველი ბოლდტი წერს:

— მეორე დღეს ჰიტლერთან რომ მივედი მოხსენებაზე, საშინელი სურათი დამხვდა. მთელი ღამე ნაქეიფარი ბორმანი, კრებსი და ბურგდორფი გაშხლართულიყვნენ და ხვრინავდნენ. იქვე ისხდნენ ჰიტლერი და ევა ბრაუნი. ტანმორჩილი გებელსი ვირთხასავით დაძვრებოდა მათ შორის...

ბორმანმა და ბურგდორფმა რომ გაიღვიძეს, ხელი გადაუვიეს ერთმანეთს და ბუქნაობა დაიწყეს. ევა ბრაუნი უყურებდა მათ და გესლიანად ეცინებოდა. თავშესაფარში სულის შემხუთავი ატმოსფერო იდგა. გებელსის ბავშვები თავიანთ ბაღსა და სუფთა ჰაერს ნატრობდნენ. თვითონ ჰიტლერი უმთავრესად თავის კაბინეტში იყო განკერძოებული და ისევ ბერლინის „გრანდიოზული რეკონსტრუქციის“ გეგმას ადგენდა. ხელმოცარულმა არქიტექტორმა პოლიტიკური ძალაუფლების ზენიტს მიაღწია და მერე ისე სწრაფად დაეშვა ძირს, რომ ახლა საღი გონების მიღმა ეთამაშვბოდა თავისსავე ჰაბუკურ ოცნებებს. მგონი უკვე აღარც გებელსს უჭრიდა ჭკუა. ისიც თავის ოთახში ჩაიკეტებოდა, სკამზე შეხტებოდა და სიტყვით მიმართავდა ცარიელ კედლებს. გულს იოხებდა, თორემ აუდიტორია მას უკვე აღარ ჰყავდა... მისი მეუღლე მაგდა კი ისევ ფიურერს ევლებოდა თავს. ეს დიდ მითქმა-მოთქმას იწვევდა. ზოგიერთებმა ისიც ჰიტლერის „მიჯნურთა“ გრძელ სიაში შეიტანეს. თუმცა, ვინ იცის, იქნებ არცთუ უსაფუძვლოდ. ფაქტია, რომ მადლიერმა ფიურერმა პარტიის ოქროს ნიშნით დააჯილდოვა იგი.

კეკლუცი ევა კი მხოლოდ თავისი ტუალეტით იყო გართული. იგი ნერვიულად იხეხავდა ფრჩხილებს და ყოველ ორსამ საათში იცვლიდა კაბებსა და თმის ვარცხნილობას ან თავშესაფრის ლაბირინთებში დაბორიალებდა და „სულმოკლე მშიშარებს“ ლანძღავდა:

— ღორები, აჰ. ნამდვილი ღორები! მიატოვეს ფიურერი და გაიქცნენ...

ამას რომ ამბობდა, ესესელებმა მისი გაქაჩული სიძე, გენერალი ფეგელაინი შემოათრიეს. თურმე ისიც ყველას ხელიდან დასხლტომოდა, სამოქალაქო ტანისამოსი გადაეცვა და გაპარულიყო, მაგრამ, სამშვიდობოს გამოვედიო რომ ეგონა, მისმავე ესესელებმა იპოვეს კერძო ბინაში ლოგინქვეშ შემძვრალი. ფეგელი რომ საღორეში დაიმალოს, გოჭს მაინც არ დაუძახებენო. სტაცეს ხელი და მის „სათაყვანო ქვისლს“ — ჰიტლერს მიჰგვარეს სასჯელის დასადებად.

როცა ფეგელაინი ევა ბრაუნის დაზე, გრეტლზე, ქორწინდებოდა, ჰიტლერი მისი მეჯვარე იყო, ახლა კი მსაჯული უნდა ყოფილიყო. იგი გასისხლიანებული თვალებით მისჩერებოდა თავის მსხვერპლს და უნდოდა აფთარივით დასტაკებოდა, მაგრამ, ევა ბრაუნს რომ გადახედა, შეეცოდა და შეუყოყმანდა. ევამ იმის ნაცვლად, რომ ეთხოვა ფიურერისათვის სიძის შეწყალება, ხელები ზეცისაკენ აღაპყრო და პათეტიკურად წარმოთქვა:

— ო, საბრალო, საბრალო ადოლფ! ყველასაგან მიტოვებულო და ყველასაგან მოტყუებულო! ჯობს ათი ათასი სხვა ვინმე დაიღუპოს, ვიდრე შენ დაეკარგო გერმანიას!..

შეშინებული ფეგელაინი მაინც იმედის თვალით შეჰყურებდა აქეთ თავის „მფარველ ანგელოზს“ და იქით — თავის მწყალობელს: ერთისაგან შუამდგომლობას ელოდა, ხოლო მეორისაგან — პატიებას. მაგრამ ევა ბრაუნმა ბრუნჰილდასებური გოროზი გამომეტყველება მიიღო და მკაცრი ტონით წარმოთქვა:

— აღსრულდეს ნება შენი, ჩემო ფიურერ!..

— დახვრიტეთ! ახლავე დახვრიტეთ! — იყვირა ჰიტლერმა.

ესესელებმა ასწიეს და ისე გაიტანეს გოჭივით აშეკვირებული ფეგელაინი...

...შემდეგ ჰიტლერთან გენერალი ვაიდლინგი შევიდა და მოახსენა, შეიძლება კიდევ სულ დიდი ორი-სამი დღე გავძლოთო.

გებელსი თავს დაესხა „სულმოკლე“ ვაიდლინგს და ერთხელ კიდევ წარმოთქვა „გამამხნევებელი სიტყვა“, მაგრამ შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. კრებსიც ვაიდლინგს მიემხრო და გარღვევა ეცადოთო მოითხოვა. გებელსი ახლა კრებსს ეცა.

საბოლოო გადაწყვეტილება ჰიტლერს უნდა მიეღო. იგი კარგა ხანს დუმდა. მერე, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და მიკიბულ-ბოკიბულად თქვა:

— კიდევაც რომ შევძლოთ გარღვევა, სულერთია, ერთი ალყიდან მეორეში მოვხვდებით... მე იძულებული ვიქნები აქეთ-იქით ვიწანწალო ღია ცის ქვეშ ან სადმე გლეხის ქოხს შევაფარო თავი და ვუცადო დასასრულს... არა, ამას მირჩევნია აქ დავრჩე, თავშესაფარში...

გებელსმა სხვა რამ „გამამხნევებელი“ რომ ვერაფერი იპოვნა, საზეიმოდ მოიწონა ფიურერის ეს „მტკიცე გადაწყვეტილება“...

...მეორე დღეს იგივე გამეორდა. ხვალ 30 აპრილს, ყველაფერი დამთავრდებაო, თქვა ვაიდლინგმა. გებელსი ისევ ეცა მას. ბორმანმა სცადა მათი შერიგება. ჰიტლერი სავარძლიდან წამოიწია, მაგრამ ვერ ადგა, ხელი ჩაიქნია და ძლივს გასაგონად თქვა:

— ვისაც შეუძლია, ჯგუფ-ჯგუფად სცადოს ალყის გარღვევა... კაპიტულაციას კი კატეგორიულად ვკრძალავ!..

ᲝᲠᲜᲘ ᲤᲠᲘᲗᲔᲜᲘ ᲐᲠᲬᲘᲕᲘᲡᲐᲜᲘ...

— ვიცი, აქ დარჩენა სიკვდილს ნიშნავს, მაგრამ მაინც ასე გადავწყვიტე, — უთხრა ევა ბრაუნმა კამერდინერ ლინგეს. — მე არავითარ შემთხვევაში არ მივატოვებ ფიურერს და, თუ საჭირო იქნება, მოვკვდები მასთან ერთად. მართალია, ადოლფმა მითხრა, თუ გინდა, თვითმფრინავს მოგცემ და წადიო, მაგრამ მე ვუპასუხე:

— არა, ჩემო ფიურერ, შენი და ჩემი ბედი ერთნაირი უნდა იყოს, მათი დაშორება შეუძლებელია!..

ერთხანს ისაუბრეს. მერე ევამ სანტიმენტალური გამომეტყველება მიიღო და თქვა:

— არ მინდა ისე მოვკვდე, რომ ადოლფთან ჯვარდაწერილი არ ვიყო!..

— სთხოვეთ, უარს არ გეტყვით, — მიუგო ლინგემ.

როგორც ჩანს, არც იგი იყო გარკვეული ამ უცნაური წყვილის ურთიერთობაში. თავის მოგონებებში ლინგე წერს, რამ-

დეწჯერმე მინახავს ისინი ერთად საწოლ ოთახში, მაგრამ მე მგონი...

და ფრჩხილებს არა ხსნის. არც ის, არც სხვა. თვითონ ჰიტლერი ბოლომდე Freulein-ს (ქალიშვილს) უძახდა ევას და არა Frau-ს (ქალბატონს). ეს კიდეკ უფრო აბნევდა ახლობლებს...

იმ დღეს ლინგეს მიერ შეგულიანებული ევა მივიდა ჰიტლერთან და პირდაპირ უთხრა:

— საზიზღრობაა, რომ იმ ქვეყნად წავიდე არა როგორც შენი კანონიერი ცოლი, არამედ საყვარელი...

ადრე, როგორც მოგეხსენებათ, ჰიტლერი დაჟინებით ამტკიცებდა, დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ცოლი არ უნდა შეირთონო. 1942 წლის 25 იანვარს იგი ახლობლებთან ერთად ბუხარს უჯდა და რატომღაც მესამე პირით ამბობდა თავის თავზე:

— ზოგიერთი ხელმძღვანელი პიროვნებისათვის დიდი ბედნიერებაა, ცოლი რომ არა ჰყავს, ასე რომ არ იყოს, ეს კატასტროფა იქნებოდა მისთვის... არის საკითხი, რასაც ქალი ვერასოდეს გაუგებს მამაკაცს, სახელდობრ, ქორწინების შემდეგ ქმარი რომ ვერ დაუთმობს იმდენ დროს, რაც ცოლს თავისთვის განკუთვნილად მიაჩნია. ცოლი, რომელსაც ქმარი უყვარს, მთლიანად ეკუთვნის მას. ქმარი კი საკუთარი თავის მონაა. ამოცანები და მოვალეობანი მბრძანებლობენ მასზე. შენ არასოდეს არა ხარ ჩემთანო, ჩივის ასეთ შემთხვევაში ცოლი. მე რომ ცოლი მეთხოვა, სულ ამგვარი საყვედურები შემხვდებოდა. მაშინ კი ან ცოლზე უნდა ამეღო ხელი, ან მოვალეობაზე. ამიტომ ცოლის თხოვას ისა სჯობს, რომ საყვარელი გყავდეს...

ახლა კი ევამ პირველად გაუბედა, ეს საზიზღრობაოო... თუმცა თვითონ ჰიტლერს თავისებური თვალსაზრისი ჰქონდა ამ საკითხზე.

ყოველივე ეს იმითაცაა საყურადღებო, რომ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საკითხებს უკავშირდება. რაკი ჰიტლერი ვარაუდობდა გერმანული მოსახლეობის სწრაფ ზრდას დაპყრობილი და „ვანახლებული“ ვრცელი ტერიტორიების დასასახლებლად, შესაფერის დირექტივებსაც იძლეოდა. იგი მოითხოვდა, რომ ყოველ ოჯახს ჰყოლოდა არანაკლებ ოთხი შვი-

ლისა. ამის შემდეგაც ცოლს ხელი არ უნდა შეეშალა ქმრისათვის გამხდარიყო „სხვა ქალების შვილების მამაც“. გაუთხოვარ ქალიშვილებს კი, ამ დირექტივების მიხედვით, არ ჰქონდათ „მორალური უფლება“ უარი ეთქვათ მამაკაცებისათვის, რომელთაც სურდათ „შვილი შეეძინათ მათთვის“. უნდა ვიფიქროთ ქორწინება არის თუ არა ის ფორმა, რასაც ბუნება ითხოვს ჩვენგან, — თქვა ჰიტლერმა. ვიღაც რესპექტაბელურმა მანდილოსანმა რომ გაუბედა, ჩემო ფიურერ, ეს მორალის შებღალვაო, ჰიტლერს თითქოს ცეცხლი წაეკიდა თავზე. იგი საერთოდ ვერ იტანდა „მორალის“ ხსენებას. მორალი კანონითა და ძალით უნდა დადგინდეს. რაც ერის სიძლიერეს ემსახურება, ყველაფერი მორალურია, თვით უკანონო შვილების მომრავლებაო, ამბობდა იგი და ამ შემთხვევაშიც ისტორიულ მაგალითს მიმართავდა:

— შვიდწლიანი ომის შემდეგ, — უთხრა მან ჰიმლერს, — მრავალცოლიანობა წარმოიშვა და ერი აღდგა უკანონო შვილების მომრავლებით!..

მეტი შვილი — მეტი ჯარისკაცი — მეტი დივიზია! — ანგარიშობდა ჰიტლერი. მისი დავალებით სპეციალურად სწავლობდნენ „მომეტებულად ვაჟების დაბადების პრობლემას“. ჰიმლერის ბრძანებით, ყოველ ესესელს ფრონტზე წასვლამდე აუცილებლად უნდა „დაეტოვებინა ბავშვი“ სამშობლოში, სულ ერთია, ვისთან, ცოლთან თუ სხვა ვინმესთან, ოღონდ წმინდა სისხლის გერმანელ ქალთან. განსაკუთრებული ღონისძიებებიც იქნა დასახული „ჩრდილოეთის რასის“ მოსამრავლებლად. სპეციალური გამოთქმაც შეიქმნა: მოსახლეობის „გაჩრდილოეთურება“ (Vernordnung). ჰიმლერის ბრძანება ავალდებულებდა ყოველ ესესელს ჰყოლოდა არანაკლებ ხუთი შვილისა. მისი მითითებით შეიქმნა „მრავალშვილიან ოჯახთა საიმპერიო კავშირი“ ესესის გენერლის ჰაინს ბაიერის ხელმძღვანელობით. კავშირი კისრულობდა ესესელთა უკანონო შვილების აღზრდას. ჰიმლერის ფანტაზია იქამდე მივიდა, რომ შეიქმნა სპეციალური „შესახვედრი პუნქტები“ და სამშობიარო სახლები „შვილების მწარმოებელი“ მარტოხელა დედებისათვის. ყოველ გერმანელ ქალიშვილს საამაყოდ

ეთვლებოდა ესესელისაგან შვილის გაჩენა. „ჰიტლერელ ქალიშვილთა კავშირში“ სათანადო „განმარტებით მუშაობასაც ატარებდნენ. ლოზუნგი ასეთი იყო: „ღირსეული შვილი ღირსეული მამისაგან!“ ამის შემდეგ ყოველ უკანონოდ დაბადებულ ბავშვს „ჰიტლერის შვილს“ უწოდებდნენ.

ეს ყოველთვის სწორად როდი ესმოდათ გერმანელ ფანატიკოს ქალიშვილებსა და შინაბერებს. მემუარული ლიტერატურიდან მრავალი ასეთი შემთხვევაა ცნობილი: „ჰიტლერის „ტრიუმფალური მსვლელობის“ დროს აღგზნებული ბრბო რომ „ჰაილ ჰიტლერო“ ღრიალებდა, საერთო ღრიანცელში ეაისმოდა „არიოჰეროიკული ქერა ქალების“ ისტერიული კივილიც:

— მინდა შვილი ფიურერისაგან! მინდა შვილი ფიურერისაგან!..

იქნებ ბედის ირონიამ უკარნახა ჰიტლერს ყოველი უკანონო ბავშვი (Ausserehelicheс Kind) თავის შვილად გამოეცხადებინა... ყოველ შემთხვევაში, იგი სიამოვნებით ყვებოდა. თუ როგორ ეძალებოდნენ აღგზნებული ქალები:

— ბრაუნშვაიგში ერთი ქერა ქალი პირდაპირ შემოახტა ჩემს მანქანას და თაიგული გადმომცა. მხლებელთაგან არავის მოუვიდა აზრად მისამართი ეკითხა მისთვის, რომ მადლობა მაინც შემეთვალა, — ამბობდა ჰიტლერი და სახეზე კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა.

ბერლინსა და მიუნხენში ფართოდ იყო გავრცელებული ხმები ჰიტლერის „ინტიმური კავშირის“ შესახებ მაგდა გებელსთან, კინორეჟისორ ლენი რიფენშტალთან, არქიტექტორ ტროოსტის ქვრივთან, ვინიფრიდ ვაგნერთან, აგრეთვე პრინცესებთან, შტეფანია ფონ ჰოჰენლოესა და მარია-პია სავოიელთან.

სულ „ჰიტლერის ორბიტაში“ ტრიალებდნენ მსახიობები: ოლდა ჩეხოვა, ჰილდე კრაალი, ლილი დაგოვერი, პაულა ვესელი, მარიანა ჰოპი... ბრიტანელი ლორდის რედესლეილის ქალიშვილი უნიტი ვალკირია მიდვორდი მეექვსე თუ მეშვიდე თაყვანისმცემელი იყო, რომელმაც ჰიტლერის გამო თვითმკვლელობა სცადა.

ამბობენ, ქალებმა დიდი როლი შეასრულეს ჰიტლერის პო-

ლიტიკურ კარიერაშიო. ნაწილობრივ ეს ასეც იყო. არჩევნების დროს გერმანელი ქალების დიდმა უმრავლესობამ მას მისცა ხმა. დიასახლისებს ხელსახოცებზეც ჰიტლერის „აფორიზმები“ ჰქონდათ ამოქარგული, თუმცა, როგორც ბიოგრაფები წერენ, ჰიტლერი ვერ ანებივრებდა მათ. მას, ისევე როგორც ბისმარკს, არ ეხერხებოდა „ფრთიანი სიტყვები“ და სენტენციები...

...ახლა კი მხოლოდ ევა ბრაუნი დარჩა მასთან. მისმა ერთგულებამ და თავგანწირვამ მოალბო ჰიტლერის „ყინულისებური გული“, უარყო ეშმაკთან წილნაყარობის უმთავრესი პირობა და პირველად თავის სიცოცხლეში საჯაროდ აიღო ხელი მის მიერვე ათასჯერ გამოცხადებულ პრინციპზე — არასოდეს არ ეთხოვა ცოლი.

აპოკალიფსის ალეგორია ამ შემთხვევაშიც მიუახლოვდა რეალურ სინამდვილეს: ცდუნება გამოჩნდა ქალის სახით და „ბაგითა ბადეთა მისთა აცთუნა“ თვითონ სატანა.

„...და მიეცნეს დედაკაცსა მას ორნი ფრთენი არწივისა მის დიდისანი, რაჲთა ფრინვიდეს უდაბნოსა ადგილსა მისსა...

...და აღმოასხა გუელმან პირისაგან თუისისა წყალი, ვითარცა მდინარე, შემდგომად დედაკაცისა მის, რაჲთამცა წარიღო დედაკაცი იგი მდინარემან მან“...

ასე „წარიღო“ ჰიტლერმაც ცხოვრება „დედაკაცისა მის“ ევა ბრაუნისა, მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდა, მაინც გადაწყვიტა ჯვარი დაეწერა მასთან...

ქორწინება სიკვდილთან...

ცა და ქვეყანა იქცეოდა, ტურა კი ქორწილს იხდიდაო, რომ იტყვიან, ისეა, საბჭოთა არტილერია რაიხსკანცელარიის თავშესაფარს ურტყამდა, ციდან სეტყვასავით ცვიოდა ყუმბარები, გერმანელთა უკანასკნელი ბუნაგის მცირე დარბაზში კი ადოლფ ჰიტლერისა და ევა ბრაუნის საქორწინო ცერემონია იყო გამართული. გებელსის უწყების მოხელე ვაგნერი, ესესის შავ მუნდირში გამოწყობილი, მღვდლის როლს ასრულებდა. ცერემონიას ესწრებოდნენ ბორმანი და გებელსი. ვაგნერმა

ტრადიციული კითხვები მისცა ნეფე-დედოფალს მათი არიული წარმოშობის შესახებ. ჰიტლერს, რა თქმა უნდა, არ უთქვამს, ჩემი ბაბუა ფრანკენბერგერი, რომლისგანაც ბებია თორმეტი წლის განმავლობაში ალიმენტს იღებდა, ებრაელი იყოო. არც „ჰიდლერების“ რუმინულ-ებრაელური წარმოშობა გახსენებია. ევა ბრაუნიც, ცხადია, „წმინდა არიული წარმოშობისა“ აღმოჩნდა და მათ შეუღლებას არავითარი რასიული დაბრკოლება არ შეხვედრია... მართალია, სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებდა თავს ორივეს, მაგრამ ქორწინების კომედიას მაინც თამაშობდნენ. ვინ იცის, ისტორიისათვის, რომანტიკისათვის, თუ ევას სულის კეთილად მოსახსენებლად...

ასე თუ ისე, სიძე-პატარძლის წინ ქორწინების დოკუმენტი დაუდვეს ხელის მოსაწერად. ჰიტლერმა დიდი გაჭირვებით შეიკავა ხელის კანკალი და ბატისფეხურად დაწერა თავისი სახელი „ადოლფ“. მერე შეჩერდა, დაფიქრდა, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა, ერთხელ კიდევ მოავლო გარშემო ამღვრეული თვალები და პირველად თავის სიცოცხლეში მოაწერა ნამდვილი გვარი „შიკლგრუბერი“.

ჰიტლერი მოკვდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ადამიანი, რომელმაც „არაფრიდან გაიკაფა გზა ზევით“ (...aus dem Nichts nach oben dgekämpit hatte), კვლავ დაუბრუნდა არაფერს: ჰიტლერი ისევ შიკლგრუბერად იქცა, იქნებ იმიტომ რომ უკანასკნელ მომენტში მაინც არ უღალატა თავის პრინციპს და სახელმწიფოს მეთაური ადოლფ ჰიტლერი გაათავისუფლა ქორწინების ქაღალდზე ხელმოწერისაგან, რაც ავსტრიელ წვრილ ბურჟუას ადოლფ შიკლგრუბერს გადააკისრა. ყოველ შემთხვევაში, ამით ყოველთვის და ყველაფერში იმედგაცრუებული შიკლგრუბერი კვლავ დაუბრუნდა თავის ხელმოცარულობას. დასასრული შეუერთდა დასაწყისს, და ისიც სადღაც, გონებაამღვრეულობის იქითა მხარეს...

სამაგიეროდ პატივმოყვარე ევა ბრაუნს არ უნდოდა ასეთი დასასრული. მან მაშინვე იგრძნო ასე მოულოდნელად შეტრიალებული მდგომარეობის ტრაგიკულობა: ევას ჰიტლერის ცოლობა უნდოდა და არა შიკლგრუბერისა. მხოლოდ ეს აკმაყოფილებდა მის პატივმოყვარეობას, თორემ ისე, ვინ იცის, იქნებ არც გაწირავდა თავს. მაგრამ რაღა ექნა? ასე უცებ

ვერ გაერკვა ვითარებაში და „ადოლფ შიკლგრუბერის“ გვერდით მოაწერა „ევა ბრ...“ მერე უცებ გონს მოეგო, მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა: სწრაფად გადაშალა დაწერილი და ხელახლა მოაწერა: „ევა ჰიტლერი, დაბადებით ბრაუნი“.

პატივმოყვარეობის ჭია დაცხრა. ადოლფ შიკლგრუბერის მეუღლემ ჰიტლერის გვარი მიიღო...

...საქორწინო ცერემონიის დროს თავშესაფრის მთელი „გარნიზონი“ დერეფანში იცდიდა. ჰიტლერი რომ გამოვიდა, ყველამ ხელი ჩამოართვა და მიულოცა „გაბედნიერება“. ევა ბრაუნმა მდივან ქალებს განუცხადა:

— დღემდე თქვენ მე ასე მომმართავდით: Gnediges Freulein! (მოწყალეო ქალიშვილო!). ამიერიდან კი შეგიძლიათ მიწოდოთ Frau Hitler! (ქალბატონი ჰიტლერი!).

ამის შემდეგ ნეფე-დედოფალი „საზეიმო ჩაის“ მისართმევად გაემართნენ. სიკვდილის აჩრდილიც თან გაჰყვა მათ და, ვინ იცის, იქნებ შექსპირის კლაუდიუსის სიტყვებიც შეახსენა რომელიმე მათგანს:

— ჩვენ ვიქორწინეთ მწუხარების სიხარულითა...

...იმ დღეს თავშესაფარში სულ ამ უცნაური ქორწინებისა და მოახლოებული სიკვდილის შესახებ იყო ლაპარაკი. საშინელმა დეპრესიამ მოიცვა ყველა. ნერვები უაღრესად დაძაბული ჰქონდათ. ამიტომაც უფრო სიკვდილზე ლაპარაკობდნენ, ვიდრე იმ კურიოზულ ქორწინებაზე.

ჰიტლერის მდივან ქალს ცოლერს ამან ისე აუშალა ნერვები, რომ ისტერიამ მოუარა და იკივლა:

— აღარ შემიძლია ამის ატანა, ღმერთო! ქორწილია ეს, თუ თვითმკვლელობა!..

ერთიც იყო და მეორეც...

...ქორწინებას კიდევ ერთი ანდერძი მოჰყვა, ეტყობა, ჰიტლერი შეშფოთებული იყო მის მიერ გადადგმული ნაბიჯით და საჭიროდ ჩათვალა საქვეყნოდ განეცხადებინა ამის შესახებ. მან იხმო მდივანი იუნგე და ასეთი შინაარსის „პირადი ანდერძი“ უკარნახა:

— მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის წლებში (Kampfzeit), მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი არ მეკისრა ქორწინების

პასუხისმგებლობა, ახლა, ჩემი სიცოცხლის დასასრულის ჟამს, ვაცხადებ, რომ ცოლად ვირთავ ქალს, რომელიც მრავალი წლის ერთგული მეგობრობის შემდეგ თავისივე ნებით მოვიდა აქ, ამ დამარცხებულ ქალაქში, რათა გაეზიარებინა ჩემი ბედი. იგი ნებაყოფლობით კვდება ჩემთან ერთად როგორც ჩემი მეუღლე. ეს იქნება უკანასკნელი ჯილდო იმ შრომისა, რაც მე გავწიე ხალხის საკეთილდღეოდ...

მთელი ჩემი ქონება, რაც მაბადია, ეკუთვნის პარტიას, ხოლო თუ პარტია აღარ არსებობს, სახელმწიფოს, და თუ სახელმწიფოც დაინგრა, აღარც ჩემი მითითებები იქნება საჭირო ამის თაობაზე...

სურათები, რაც წლების მანძილზე შევიძინე, არასოდეს არ წარმოადგენდა ჩემს პირად საკუთრებას და უნდა გადაეცეს დუნაისპირა ქალაქ ლინცის მუზეუმს. ჩემი ყველაზე გულითადი სურვილია აღსრულდეს ეს. ამაზე პასუხისმგებლად ვნიშნავ ჩემს ერთგულ პარტიულ ამხანაგს მარტინ ბორმანს. მას ეძლევა იურიდიული უფლება მიიღოს ყოველგვარი გადაწყვეტილება, აგრეთვე გადასცეს ჩემს ნათესავებს ნივთები, რომლებსაც სამახსოვრო ღირებულება აქვთ ან რამეში გამოადგებათ წვრილ ბურჟუებს, განსაკუთრებით — ჩემი მეუღლის დედას და ჩემს ერთგულ თანამშრომლებს, რომელნიც ცნობილი არიან ბორმანისათვის.

ჩემმა მეუღლემ და მე გადავწყვიტეთ მოვკვდეთ, რათა თავიდან ავიცილოთ დამარცხებისა და კაპიტულაციის სირცხვილი. ჩვენი სურვილია ორივეს ცხედარი დაიწვას დაუყოვნებლივ იმ ადგილას, სადაც მე თორმეტი წლის მანძილზე ვშრომობდი ყოველდღიურად ჩემი ხალხის საკეთილდღეოდ...

იუნგემ ეს ანდერძი სამ ეგზემპლარად გადაბეჭდა და დილის ოთხ საათზე გადასცა ჰიტლერს ხელის მოსაწერად. ცერემონიას ესწრებოდნენ გებელსი, ბორმანი, კრებსი და ბურგდორფი. ჰიტლერის პირადი ხელმოწერა დაადასტურეს გებელსმა, ბორმანმა და ბელოვმა.

ამის შემდეგ ჰიტლერი თავის ოთახში წავიდა, ექიმი იხმო და საწამლავის ორი ამპულა გამოართვა. ადრეც ჰქონდა მიღებული, მაგრამ ახალი ისურვა. ექიმმა არც ამ შემთხვევაში უღალატა წესს და ხელწერილი ჩამოართვა თავის ფიურერს...

მერე ამ ახალი შხაპის ძალაც გასინჯეს ჰიტლერის საყვარელ ძაღლ ბლონდსა და მის ოთხ ლეკვზე. კემპკა წერს, ძაღლი რომ მიუყვანეს, ფიურერს შეეცოდა, თავზე ხელი გადაუსვა და მიუალერსაო.

ბლონდის საწამლავი შეუშხაპუნეს... ერთი გაზმორებაღა მოასწრო მხოლოდ, ასევე — ბისმა ლეკვებმაც...

საწამლავი საიმედო გამოდგა.

— საცოდავო ძაღლებო, ჩქარა თქვენც ისე მოგექცეოდნენ, როგორც ადამიანებს, — ამბობდნენ ძველ პრუსიაში, როცა სასტიკი კანონები გამოიცა მოხეტიალე ძაღლების წინააღმდეგ...

უკანასკნელი ანდერძი...

ყველა საქმე რომ მოათავა, ჰიტლერმა უკანასკნელად თავისი „პოლიტიკური ანდერძი" უკარნახა მდივან ქალს:

ვიდრე მოვკვდებოდე, ყოფილ რაიხსმარშალ გერინგს ვრიცხავ პარტიიდან, ვართმევ ყველა ორდენს და ვაუქმებ 1941 წლის 29 ივნისის კანონს ჩემ მემკვიდრედ მისი დანიშვნის შესახებ... გერინგის მაგიერ მე ვნიშნავ ადმირალ დენიცს იმპერიის პრეზიდენტად და შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად.

— ვიდრე მოვკვდებოდე, ესესის ყოფილ რაიხსფიურერსა და შინაგან საქმეთა მინისტრს ჰიმლერს ვრიცხავ პარტიიდან და ვართმევ ყველა ხარისხსა და ორდენს. მის ადგილზე ვნიშნავ გაულაიტერ ჰანკეს.

ვამტკიცებ ახალი მთავრობის შემადგენლობას:

რაიხსკანცლერი — გებელსი.

ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მინისტრი—ბორმანი.

საგარეო საქმეთა მინისტრი — ზეის-ინკუარტი.

სამხედრო მინისტრი — დენიცი.

პროპაგანდის მინისტრი — ნაუმანი.

ფინანსთა მინისტრი — შვერინ-კროზიკი.

სახმელეთო ჯარების სარდალი — შერნერი.

ავიაციისა — გრაიმი.

უწინარეს ყოვლისა, მე მოვუწოდებ მთავრობასა და ხალხს იხელმძღვანელონ რასობრივი კანონებით და მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიონ შხამიან საწყისს — საერთაშორისო ებრაელობას, რომელიც არღვევს ყოველი ერის ერთიანობას...

„პოლიტიკურ ანდერძს“ როგორც მოწმეებმა ხელი მოაწერეს გებელსმა, ბორმანმა, ბურდგოლფმა და კრებსმა.

ჰიტლერმა უბრძანა ბორმანსა და გებელსს დაუყოვნებლივ წასულიყვნენ ბერლინიდან, რომ დენიცთან ერთად შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა, თვითონ კი, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა არმიის ნაწილები უკვე რაიხსკანცელარიას უახლოვდებოდნენ... დასაძინებლად წავიდა...

ბორმანმა როგორც კი ეს დოკუმენტი იგდო ხელთ, სულმა წასძლია და გებელსს უთხრა, თვითმფრინავი ვიშოვოთ და გავფრინდეთო. გებელსმა უარი თქვა ამაზე. ბორმანი კი მაინც ბლანდავდა ობობას ქსელს. იგი, როგორც ჩანს, არ დააკმაყოფილა ჰიტლერის მიერ გერინგისა და ჰიმლერისათვის გამოტანილმა განაჩენმა. მას უნდოდა ორივე მოეშორებინა თავიდან. ამიტომ ამ ანდერძს ვითომ ჰიტლერის მიერ ხელმოწერილი დეპეშაც დაადევნა:

— ობერზალცბურგი. ბერჰსტესგადენის ესესის უფროსს. სიტუაცია ბერლინში უაღრესად დაძაბულია. თუ ჩვენ დავეცით, 23 აპრილის მოღალატენი (გერინგი და ჰიმლერი) სიკვდილით უნდა დაისაჯონ. შეასრულეთ ეს ბრძანება. ამაზეა დამოკიდებული თქვენი ღირსება და სიცოცხლე.

ადოლფ ჰიტლერი.

8 საათზე ბურგდორფმა გამოიძახა მაიორი ვილი ბაიერი და გამოუცხადა, რომ მას წილად ხვდა გავიდეს ალყიდან და გაიტანოს ფიურერის პოლიტიკური ანდერძი ფელდმარშალ შერნერისათვის გადასაცემად. მაიერს ორი კაცი გაატანეს დამხმარედ. ბურგდორფმა რატომღაც საჭიროდ მიიჩნია ასეთი წერილიც მიეწერა შერნერისათვის:

— ჰიტლერმა ეს ანდერძი დაწერა ჰიმლერის ღალატის შეტყობის შთაბეჭდილების ქვეშ, მაგრამ ეს მისი მტკიცე გადაწყვეტილებაა. ანდერძი მაშინ უნდა გამოქვეყნდეს, როცა ამას მოითხოვს ფიურერი ან ცნობა მოვა მისი სიკვდილის შესახებ.

თავის მხრივ, ბორმანმა ვილჰელმ ცანდერი გაგზავნა დენიცისათვის ანდერძის მეორე ეგზემპლარის გადასაცემად, მესამე კი ლორენცს გაატანა როგორც „ჰეროიკული ეპოქის დოკუმენტი“.

ლორენცი დასამშვიდობებლად შევიდა ფიურერის კაბინეტში. ჰიტლერმა მხოლოდ ხელი ჩამოართვა მას და არაფერი უთქვამს. მაიერი და ცანდერი დაუმშვიდობებლად გაუდგნენ გზას.

დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ სამივემ მიაღწია დანიშნულების ადგილამდე....

...თავშესაფარში უკანასკნელი სამხედრო თათბირი გაიმართა. ჰიტლერთან იყვნენ ბორმანი, გებელსი, კრებსი, ბურგდორფი, ჰაველი, ფოსი, ბელოვი, ლორინგჰოფენი და ბოლდტი. ეს იყო მესამე იმპერიის უკანასკნელი შტაბი. სხვები დაიფანტნენ. კრებსმა მოხსენებაში განაცხადა, რომ სამი კაცი გაგზავნა გენერალ ვენკთან და შეუთვალა იჩქაროს, თორემ რუსები საცაა რაიხსკანცელარიამდე მოაღწევენო.

ეს უკვე „გედის სიმღერა“ იყო, მაგრამ ყალბ ნოტზე წარმოთქმული. ვენკი ამ დროს უკვე ხელებაწეული მიჰყავდათ საბჭოთა ჯარისკაცებს...

...საათის ისარი თორმეტს მიუახლოვდა. კრებსმა და ბურგდორფმა დაითხოვეს თავიანთი ადიუტანტები. ჰიტლერმა არავინ, გარდა ბელოვისა, რომელსაც წერილი გაატანა კაიტელთან. კრებსმაც გადასცა პირადი წერილი ცოლთან:

— მდგომარეობა უნუგეშოა. დაგვრჩა ერთ-ორი დღე. ფიურერის ბრძანებაა: ბრძოლა უკანასკნელ კაცამდე!

მერე ვაიდლინგი მოვიდა და უკანასკნელად სთხოვა ჰიტლერს, შევკრიბოთ ბერლინის მთელი გარნიზონი და ვცადოთ ალყის გარღვევაო.

ჰიტლერმა ამჯერადაც უარი თქვა და მდივანს უკარნახა თავისი უკანასკნელი მოწრდება:

— გერმანელი ხალხის მონდომება და მსხვერპლი ამ ომში ისე დიდი იყო, რომ არ შეიძლება ყოველივე ამან ამაოდ ჩაიაროს. მიზანი იგივე რჩება: ტერიტორიების მოპოვება აღმოსავლეთში...

ევროპის ორი დიქტატორი ერთად მიუახლოვდა აღსასრულის ჟამს. იმ დღეებში დუჩესაც ისეთივე გასაჭირი ადგა, როგორიც ფიურერს. იმანაც გადაიწყვიტა ყოველგვარი იმედი.

— ახლა უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეიძლება, არაფრის! — უთხრა მან თავის მინისტრს. — მე და ჰიტლერი მთვარეულებივით ავყევით ილუზიებს. არაფერი ისე არ გამოდიოდა, როგორც ჩვენ გვქონდა განზრახული. გვეგონა რუსეთს გავთიშავდით მოკავშირეებისაგან, მაგრამ დავმარცხდით. მერე ახალი იარაღის იმედი გვქონდა... ახლა ისღა დაგვრჩენია ვიცრუოთ, რათა ვაიძულოთ ხალხი ბოლომდე გამოგვყვეს.

ინგლისელმა ისტორიკოსმა ტრეფორმა მესამე იმპერიას „სიცრუის იმპერია" (The empire of lies) უწოდა. არც ამდენი სიცრუით გამოვიდა რამე, თუმცა „დიდი ტყუილების" ოსტატ ჰიტლერის მსგავსად მუსოლინიმაც გადმოისროლა თავისებური ლოზუნგი:

— ჩვენი დევიზია: ვიცრუოთ, რათა გავიმარჯვოთ!..

სიცრუეს კი, მოგეხსენებათ, არც ისე გრძელი ფეხები აქვს. ამით ვერც ჰიტლერი გავიდა ფონს და ვერც მუსოლინი. ორივეს ერთდროულად დაუდგა დასასრული. მთელი ცხოვრების მანძილზე ნერონის პოზაში მდგარი დუჩე ისევე ლაჩრულად მოკვდა, როგორც მისი „დიდი წინაპარი"...

მე ყველაზე უბედური იმპერატორი ვარ, რადგან სიცოცხლეშივე ვკარგავ ძალაუფლებასო, თქვა ნერონმა, როცა შეამჩნია, რომ მისი ტახტი შეირყა. იგი მართლაც განწირული იყო. რომის იმპერია დაიშალა. საექსპედიციო ჯარები დამარცხდნენ ბრეტანში, სომხეთსა და სირიაში. მერე გალები გადაუდგნენ, ნათესავები ჩამოშორდა, თანამებრძოლებმა შეთქმულება მოუწყვეს, ხალხი ბობოქრობდა, მოქალაქეები ამსხვრევდნენ მის ძეგლებს... სიკვდილის შიშით შეძრწუნებულ იმპერატორს მოსვენება დაეკარგა. ღამით კოშმარები აწუხებდა: მის მიერ დახოცილნი მოუხმობდნენ სამარისაკენ, მათ შორის მამა, დედა, ცოლები! უნდოდა ისევ სისხლში ჩაეხრჩო მოწინააღმდეგენი, ამოეწყვიტა პროვინციათა მეთაურები, მოეწამლა სე-

ნატორები, გაეჟლიტა საკუთარი მხედრიონი და ხელახლა დაეწყა რომი, მაგრამ უკვე ძალა აღარ შესწევდა. ისიც მოინდომა როგორმე თავი შეებრალებინა მოწინააღმდეგეთათვის, პატიება ეთხოვა პართენონისათვის, ცრემლით მოელბო „დაუძინებელი მტრის“ გალბას გული, ძაძებით შემოსილიყო და ისე წარმდგარიყო აღშფოთებული ხალხის წინაშე, რათა დაეცხრო მათი მრისხანება. მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ყველამ მიატოვა, მისმა ერთგულმა პალადინებმაც უღალატეს, მცველები გაექცნენ...

იმედგადაწყვეტილმა ნერონმა ძაძები ჩაიცვა, თავი ზეწრით შეიხვია და ოთხი ერთგული პრეტორიანელის თანხლებით ღამით ქურდულად გაიპარა რომიდან. ერთხანს ქალაქგარეთ იმალებოდა ეკალ-ბარდებში, მერე ზომა ააღებინა და საფლავი ამოათხრევინა თავისთვის. მოიტანეს შეშა, წყალიც — „გვამის გასაპატიოსნებლად“. სადღაც მარმარილოს კენჭებიც აშოვნინა“ საფლავის შესამკობლად“. დაჯდა და მოჰყვა მოთქმას. ოჰ, რა დიდებული მსახიობი კვდებაო, წამოიძახებდა ხანდახან, მაგრამ აყოვნებდა, ვერ ბედავდა უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმას. მერე თავის სულმოკლეობასა და გაუბედაობას უჩიოდა.

— გამაგრდი, ნერონ, ეს არ შეჰფერის შენს ღირსებას! — ამხნევებდა იგი თავის თავს და, როცა მოწინააღმდეგეთა მხედრები მოუახლოვდნენ, პრეტორიანელ ეპაფროდიტის დახმარებით ხანჯალი გაირჭო კისერში...

მუსოლინიმ ესეც ვერ გაბედა. მართალია, საჯაროდ განაცხადა „იარაღით ხელში მოვკვდები ბრძოლის ველზეო“, ადგილიც აირჩია „უკანასკნელი ბრძოლისათვის“ ვალტელინეს დაბლობში, სადაც პავოლინის უნდა შეეკრიბა სამი ათასამდე „შავხალათიანი“ მებრძოლი, მაგრამ ესეც „ვენკის არმიის მოსვლას“ ჰგავდა. აბა, პავოლინი სად შეაგროვებდა ამდენ „შავხალათიანს“?! მუსოლინი კი ჰიტლერივით საკუთარ ილუზიებს იყო აყოლილი. იგი ხან ინგლისელებს უგზავნიდა შუამავლებს, ხანაც ამერიკელებს. ბერნში თავისი ვაჟი ვიტორიოც გაგზავნა, მაგრამ შვეიცარიის მთავრობამ უარი თქვა მის მიღებაზე. მერე თვითონაც მოინდომა ლოზანაში ჩასულიყო,

აქაოდა ჰიტლერის წერილი მაქვს, საიდანაც ჩანს, თუ როგორ გადავარჩინე შვეიცარია ოკუპაციასო, მაგრამ მელას ვინ დაუჯერებდა, თუნდაც მოწმედ თავისი კუდი მოეყვანა.

სასოწარკვეთილმა დუჩემ ამის შემდეგ სცადა ბადოლიოს დაკავშირებოდა, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა.

ჰიტლერსა და მუსოლინისთან არავის სურდა მოლაპარაკება...

... 17 აპრილს მუსოლინი მილანში ჩავიდა და ისევე გაკადნიერდა, როგორც თავის დროზე ნერონი: მოინდომა კავშირი შეეკრა „წინააღმდეგობის კომიტეტთან". 25 აპრილს იგი შეხვდა კიდეც პარტიზანული რაზმების მეთაურს გენერალ კარდონას. გენერალმა, ცხადია, უსიტყვო კაპიტულაცია მოითხოვა. მუსოლინიმ და გრაციანიმ ბევრი იძახეს, ეს ჩვენგან ღალატი იქნება მოკავშირე გერმანიისადმიო, მაგრამ ესეც, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, იმასა ჰგავდა. საბოლოო კატასტროფის წინაშე მდგარი გერმანია მაშინ თვითონ აწარმოებდა მოლაპარაკებას დასავლეთის სახელმწიფოებთან...

მუსოლინიმ იგრძნო, საშველი რომ აღარ იყო, და ითხოვა მოლაპარაკება ერთი საათით შეეწყვიტათ. მერე ფარულად დატოვა იქაურობა და კომოში გაიქცა, სადაც მას ვითომ სამი ათასი ერთგული „შავხალათიანი" ელოდა. აქედან შვეიცარიაც ახლოს იყო, რათა საჭირო შემთხვევაში საზღვარზე გადასულიყო. მაგრამ მთელი ის არემარე უკვე პარტიზანებს ჰქონდათ დაპყრობილი. მათ შეიტყვეს, რომ სოფ. მუსოსაკენ ავტომანქანების დიდი კოლონა მიემართებოდა, აქ იყვნენ გერმანელებიცა და იტალიელებიც...

...27 აპრილი ნისლიანი დღე იყო. ცივი ქარი უბერავდა. ავტომანქანების კოლონას ჯაჭშნიანი მანქანა, ტყვიამფრქვევით შეიარაღებული მოტოციკლისტები და ოცდათვრამეტ სატვირთო ავტომობილზე მსხდომი შეიარაღებული გერმანელები იცავდნენ.

სოფ. მუსოში მათ წინ გადაუდგა პარტიზანული რაზმის მეთაური, ზედმეტსახელად პედრო, და შეაჩერა. ეს გაბედული ნაბიჯი იყო. პედროს იმ მიდამოებში სულ თვრამეტი პარტი-

ზანი ჰყავდა. ამიტომ იცრუა: დაგვნებდით, თორემ ჩვენმა რაზმელებმა უკვე მიზანში ამოგიღეს და რამდენიმე წუთში გაგანადგურებთო.

ამას ისე დაბეჯითებით ამბობდა, თითქოს მართლა ჰყავდა ასეთი რაზმები.

გერმანელმა კაპიტანმა პროტესტი განაცხადა, ჩვენი ჯარების შეუფერხებლად გატარების შესახებ შეთანხმებაა დადებულიო, მაგრამ პედრომ ეს მხედველობაში არ მიიღო და ისევ თავისი „ძლიერი რაზმები“ შეახსენა. თან დროს იგებდა, რომ მაშველ რაზმებს მოესწროთ. ამიტომაც უთხრა კაპიტანს, მე ასეთ საკითხს ვერ გადავწყვეტ და შტაბში გამომყევით მოსალაპარაკებლადო.

ორი საათი ისე გავიდა, რომ კაპიტანი არ დაბრუნებულა „მოლაპარაკებიდან“. იტალიელები ღელავდნენ. ზოგი ფიქრობდა მიებაძა მარშალ გრაციანისათვის, რომელიც უკან გაბრუნდა, რათა ინგლისელებს ტყვედ დანებებოდა. არც სამი ათასი „შავხალათიანისაგან“ გამოვიდა რამე. პავოლინიმ მხოლოდ თორმეტი კაცი მოაგროვა. მუსოლინი და მისი მთავრობის წევრები ღელავდნენ. მათი მანქანები ძვირფასეულობითა და პირადი დოკუმენტებით იყო დატვირთული.

რამდენიმე ხნის შემდეგ კაპიტანი დაბრუნდა და აცნობა, რომ გერმანელებს გაატარებდნენ დოკუმენტების შემოწმების შემდეგ, იტალიელები კი უნდა დანებებოდნენ პარტიზანებს. მათ ჯერ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ იტალიელთა შორის მუსოლინი და მისი მთავრობის წევრები იყვნენ.

კაპიტანმა ხერხი იხმარა: მუსოლინის გერმანული შინელი ჩააცვა, შავი სათვალე გაუკეთა და იტალიური ჯავშნოსნიდან გერმანულ სატვირთო მანქანაზე გადასვა.

რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მაინც ყველანი დააკავეს. ჯავშნოსანმა მანქანამ სცადა გაქცეულიყო, მაგრამ პარტიზანებმა ხელყუმბარები ესროლეს და დააზიანეს. პავოლინი და ორიოდე სხვა ჯავშნოსნიდან გადმოხტნენ, მაგრამ გაქცევა ვერ მოასწრეს...

...პარტიზანი ჯუზეპე ნეგრი დოკუმენტების შესამოწმებლად აძვრა სატვირთო მანქანაზე, სადაც მუსოლინი იყო და-

მალული. ჯუზეპემ გერმანელ ჯარისკაცებს საბუთები გაუსინჯა. ერთი „ჯარისკაცი“ ძარაში იწვა და თავზე რკინის მუზარადი ჰქონდა ჩამოფხატული. მთვრალია, ხელი არ ახლოთო, ურჩიეს ჯუზეპეს გერმანელებმა. ჯუზეპემ საყელო ჩამოუწია „მთვრალ ჯარისკაცს“ და მაშინვე იცნო, მაგრამ არაფერი უთქვამს, ისე გაიქცა ბრიგადის კომისართან და უჩურჩულა:

— ბილ, იქ პუზანია!

იტალიელი პარტიზანები მუსოლინის „პუზანს“ ეძახდნენ. კომისარი მოულოდნელობისაგან გაშეშდა. მერე სატვირთო მანქანასთან მივიდა და „მთვრალ ჯარისკაცს“ დააკვირდა. მუსოლინი ისევ მოკუნტული იწვა ძარაში და შიშისაგან გაოგნებული ცახცახებდა.

— იტალიელი ხალხის სახელით გიცხადებთ, რომ თქვენ დაპატიმრებული ხართ! — მიმართა მას კომისარმა.

ყოფილი დუჩე მანქანიდან ჩამოათრიეს და წაიყვანეს. ხელთ კი ადვილად იგდეს, მაგრამ ტყვედ შენარჩუნებას დიდი სიმამაცე და საზრიანობა უნდოდა: მთელი ის მხარე მოხეტიალე ფაშისტებით იყო გავსებული, მუსოლინის „ლაიბ-გვარდიას“ კი ახლა ერთი მუჭა პარტიზანები შეადგენდნენ. ამერიკელებიც, რომლებთანაც მუსოლინის ვაჟს ვიტორიოს კავშირი დაემყარებინა, გაფაციცებით დაეძებდნენ დუჩეს...

პარტიზანებმა ისევ ხერხს მიმართეს. მუსოლინის თავი ბინტით შეუხვიეს, ვითომ ესეც დაჭრილი პარტიზანიაო, და ისე გააპარეს სადღაც. მასთან ერთად — მისი ხასა კლარა პეტაჩიც, ესპანეთის დროშიანი მსუბუქი მანქანით რომ მიჰყვებოდა კოლონას ძმასთან ერთად, რომელიც თავს ესპანეთის ელჩად აცხადებდა!

ეს იყო ორი ფაშისტი დიქტატორის ბედის საოცარი დამთხვევა: აქეთ — დუჩე და კლარა პეტაჩი, იქით — ფიურერი და ევა ბრაუნი. განსხვავება? პირველი წყვილი უკვე დაპატიმრებული იყო, მეორე კი საწამლავითა და რევოლვერით ხელში ისხდა ჯურღმულში და სიკვდილს ელოდა...

...28 აპრილს მუსოლინი, მისი თექვსმეტი მინისტრი და კლარა პეტაჩი სიკვდილით დასაჯეს.

მუსოლინისა და პეტაჩის გვამები სატვირთო მანქანით წა-

იღეს მილანში და ბოძზე თავქვე დაჰკიდეს. ხალხი ქვებს ესროდა და აფურთხებდა მათ. შურისმაძიებელმა მილანელებმა ესეც არ აკმარეს: გვამები ბოძიდან ჩამოხსნეს და კანალიზაციის ჭუჭყში ჩააგდეს, მეორე დღეს კი მილანის დიდ სასაფლაოზე გადაიტანეს და მათხოვრებისათვის გამოყოფილ კუთხეში ჩამარხეს...

ვიკინგების რიტუალი...

ამ ამბავმა მაშინვე მიაღწია ბერლინამდე და ჰიტლერის ბუნაგშიც ჩაძვრა. მალე იქ მიიტანეს გაზეთებიც, სადაც გამოქვეყნებული იყო თავდაღმა დაკიდებული მუსოლინისა და პეტაჩის ფოტოები. ჰიტლერმა რომ ამ სურათებს დახედა, ისტერიულად იყვირა:

— არა, მე ეს არასოდეს მომივა, არასოდეს!..

მერე ჰიტლერმა და ევა ბრაუნმა სხვებთან ერთად ისაუზმეს. დარბაზში ოცამდე კაცი შეგროვდა. ფიურერი იქ ბორშანმა შემოიყვანა. იგი საშინელი შესახედავი იყო. ძლივძლივობით ჩამოუარა ყველას და ხელი ჩამოართვა, ჯერ ქალებს, მერე მამაკაცებს. ქალებს რომ ხელს ართმევდა, რაღაცას უჩურჩულებდა. საერთო სასადილოდან საშინელი ხმაური და ღრიანცელი ისმოდა. იქ გალეშილი ესესელები მღეროდნენ და ცეკვავდნენ. შიგადაშიგ მთვრალი ქალების კივილიც ერია. ვიღაც გაგზავნეს და სთხოვეს ჩუმად იყავითო, მაგრამ ღრიანცელი მაინც გაგრძელდა.

სადილობის შემდეგ ჰიტლერი დაემშვიდობა ყველას და თავის ოთახში წავიდა. ზევით კი ისევ გრძელდებოდა ჯოჯოხეთის შაბაში. იყო ერთი ღრეობა, ღრიალი და ქაჯთა როკვა. სიკვდილის წინ ყველა გათანასწორდა, ყველა ერთმანეთს ეხვეოდა და ლოშნიდა.

ჰიტლერის პირადი დაცვის უფროსმა ესესის გენერალმა რატენჰუბერმა მდაბლად დაუკრა თავი თერძ მიულერს. თერძმა გაიკვირვა: პირველი შემთხვევაა ჩემს სიცოცხლეში, რომ ასეთი მაღალი რანგის ოფიცერი მესალმებაო.

ამაზე რატენჰუბერმა კიდევ უფრო თავაზიანად მიუგო:

— მდგომარეობა შეიცვალა, ჩემო კარგო, და მეც ამას გამოვხატავ!..

...შუადღისას გენერლები უკანასკნელი მოხსენებით წარუდგნენ ჰიტლერს. ინფორმაცია მიაწოდა მონკემ:

— რუსებმა მეტროს მოაღწიეს. მათი ცალკეული შენაერთები ტირგარტენში შემოიჭრნენ და პოტსდამის მოედანზე გამოვიდნენ. უკანდახეულ ჯარის ნაწილებს არ აუფეთქებიათ ხიდი შპრეეზე.

ჰიტლერმა ეს მოხსენება ყოველგვარი ემოციის გარეშე მოისმინა. თათბირი უცებ დაამთავრა. ორ საათზე ჩვეულებისამებრ მდივან და მზარეულ ქალებთან ისაუზმა. მერე ადიუტანტი გიუნშე იხმო და „ცოტა ალკოჰოლი“ სთხოვა. გიუნშე მაშინვე გავარდა და კემპკას დაურეკა:

— ერიჰ, ცოტაოდენი ალკოჰოლი მჭირდება. იქნებ გაქვს ერთი ბოთლი შნაპსი.

კემპკას გაუკვირდა, რად უნდა გიუნშეს შნაპსი ასეთ დროსო, ამასობაში თვითონ გიუნშემ მიაკითხა და ერთი ბოთლი კონიაკი წამოიღო.

ვინ იცის, ჰიტლერმა იქნებ თავის სიცოცხლეში პირველად დალია ასეთი მაგარი სასმელი. თითქოს გულიც მოეცა და ისევ თვითონ დაიწყო „ვიკინგურ დასაფლავებაზე“ ზრუნვა. ქრისტიანულ რიტუალზე, აღსარებასა თუ სხვა რამეზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ იყო. რამდენჯერმე უთქვამს, მე რომ მოვკვდები, ათი კილომეტრის მანძილზე არ მოუშვათ ხუცებიო. ჰიტლერს არ სჯეროდა იმიერი ცხოვრებისა და, მაშასადამე, არც ჯოჯოხეთის შიში ჰქონდა.

— სისულელეა ყოველივე ეს, — ამბობდა იგი, — ჯოჯოხეთში მკვდრებს ჩანგალზე როგორ დაკიდებენ ან კუპრში როგორ მოხარშავენ, როცა სხეული ამქვეყნად რჩება. ერთი მხოლოდ ქრისტე იყო, რომელიც ვითომ სხეულიანად აღდგა მკვდრეთით, მაგრამ ესეც ებრაელების მონაჩმახია!..

ბიუხედავად ამისა, თადარიგი მაინც დაიჭირა, რომ მისი სხეული აქვე მოესპოთ. ამიტომ თავის ოთახში შებრუნდა თუ არა, გიუნშეს უბრძანა:

— იშოვეთ საკმაო ბენზინი. მე არ მინდა, რომ სიკვდილის შემდეგ ჩემი გვამი რუსულ პანოპტიკუმში გამოფინონ!..

გიუნშე ისევ ტელეფონს ეცა და კემპკას დაურეკა:

— ერიჰ, ორასი ლიტრი ბენზინი!..

კემპკამ იფიქრა მეხუმრებაო:

— სად არის ამდენი ბენზინი?

— ბენზინი, ერიჰ, ბენზინი! — უკვე ისტერიულად ყვიროდა გიუნშე. კემპკამ მაინც ჰკითხა:

— რად გინდა ორასი ლიტრი ბენზინი?

— ტელეფონით ვერ გეტყვი!.. მინდა!.. გაიგე!.. მინდა!.. ბენზინი, ერიჰ! მთელი ქვეყნის გადაბრუნება რომ დაგჭირდეს, მაინც გააჩინე ბენზინი და მოიტანე თავშესაფრის შესასვლელთან, ბაღში.

კემპკამ არ იცოდა სად ეშოვა ამდენი ბენზინი. ტირგარტენში კი ჰქონდა ჩამარხული რამდენიმე ცისტერნი, მაგრამ იქ ისეთი სროლა იყო, რომ დაღამებამდე კაცი ვერ გააღწევდა, ამიტომაც უთხრა გიუნშეს.

— მოიცადე საღამომდე და მოვიტან!

— არც ერთი წუთის დაყოვნება! ახლავე ჩამოასხი დამსხვრეული მანქანებიდან... ახლავე... ერიჰ... გესმის... ბენზინი ახლავე!..

კემპკა გაიქცა დავალების შესასრულებლად...

...ვინც ზედმეტი იყო, დაითხოვეს. ჰიტლერი ძლივს მილასლასდა სავარძლამდე. ევა აბაზანიდან გამოვიდა და გვერდით მიუჯდა. „უკანასკნელი რიტუალის“ შესრულება დაგვალებული ჰქონდა ორი მეტრი სიმაღლის ახმახ გიუნშეს, რომლის ნებართვის გარეშე იმ დღეებში ვერავინ მიუახლოვდებოდა ჰიტლერს. დათქმული იყო თვითმკვლელობის ზუსტი დროც, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ჰიტლერმა კიდევ თხუთმეტი-ოცი წუთი ითხოვა „ძალ-ღონის მოსაკრებად“. დაუცადეს, თუმცა არ ესიამოვნათ. ჩქარობდნენ. უნდოდათ „საქმე“ რაც შეიძლება მალე მოეთავებინათ და თავიანთ გზას დასდგომოდნენ...

ჰიტლერი და ევა ჯერ ჩუმად იყვნენ, მერე რამდენიმე წუთი იჩურჩულეს. ბოლოს, როგორც ამბობენ, ჰიტლერმა თავ-

დაღმა დაკიდებული მუსოლინისა და კლარა პეტაჩის სურათი უჩვენა თავის მეუღლეს. ევამ დახედა სურათს თუ არა, მაშინვე წამოიძახა:

— მომეცი საწამლავი!..

ჰიტლერმა ხმის ამოუღებლად გადასცა მას თავისი უკანასნელი „საქორწინო საჩუქარი...“

იმავე წუთს ორივემ ერთად გატეხა კბილებით საწამლავის ამპულა...

... უმაღლესი მთავარსარდლის მიერ საწამლავით თავის მოკვლა ტრადიციის მიხედვით შეურაცხყოფდა „ოფიცერთა კორპუსის ღირსებას“. ამის დასაფარავად ბორმანის ბრძანებით გიუნშე მაშინვე შევიდა ჰიტლერის ოთახში, ჯერ კიდევ თბილ ფიურერს თავი აუწია, პირში რევოლვერის ლულა ჩაუდო და გაისროლა... სისხლის მხოლოდ ვიწრო ზოლი ჩამოჰყვა ჰიტლერის სხეულს... გიუნშემ რევოლვერი იქვე დააგდო, ფიურერი სავარძელზე გაასწორა, მხარზე ევას თავი ჩამოუდო და... კარი გააღო...

ამის შემდეგ სხვებსაც შეეძლოთ ენახათ ამ რიტუალის უკანასკნელი მიზანსცენა...

ამასობაში გიუნშე ისევ კემპკასთან შევარდა. იგი გაფითრებული იყო და მღელვარებისაგან სულს ძლივს ითქვამდა...

— ოტო, ღვთის გულისათვის, რა მოხდა?! — ჰკითხა მას კემპკამ.

— რაც გითხარი სადაა? — იყვირა გიუნშემ.

-- ყველაფერი მზად არის, — უპასუხა გაოგნებულმა კემპკამ.

გიუნშემ დაიყვირა:

— შეფი მოკვდა!

მერე ხელით ანიშნა თავი მოიკლაო და გავარდა.

— ევა? — მიაძახა კემპკამ.

— ისიც! — ჩაიქნია ხელი გიუნშემ...

კემპკა სახტად დარჩა. მერე ნელ-ნელა ჩაუყვა კიბეებს და ჰიტლერის ოთახში შევიდა. კედელზე ფრიდრიხ დიდის უზარმაზარი სურათი ეკიდა. მაგიდაზე გადაბრუნებული ვაზიდან წყალი იატაკზე დაღვრილიყო. ეს იყო უკანასკნელი მიკრო

„წყლით რღუნა“, რაც ბიბლიური ალეგორიების მოყვარულმა ჰიტლერმა გამოიწვია...

კარებთან მაგდა გებელსი მოთქვამდა:

— მე მუხლებში ჩავუვარდი და ვეველრე არ მოეკლა თავი, მაგრამ იმან ამაყენა და მშვიდად ამიხსნა, რომ საჭიროა წავიდეს ამქვეყნიდან, რათა დენიცს გაუხსნას მოქმედების გზა...

...დაიწყო „სპექტაკლის“ უკანასკნელი აქტი. თავშესაფრის გარნიზონი გაემზადა ფიურერის „ვიკინგური დასაფლავების“ ცერემონიისათვის.

ბორმანმა და ადიუტანტებმა ჰიტლერისა და ევა ბრაუნის გვამები წინასწარ მომზადებულ ხალიჩებში გაახვიეს. ლინგემ და გიუნშემ ჰიტლერი გაიტანეს, ხოლო ბორმანმა — ზურგზე აკიდებული ბრაუნი.

შეგახსენებთ, რომ თორმეტიოდე წლის წინათ, ნაციონალ-სოციალისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების დღეს, როცა ჰიტლერი პირველად შევიდა რაიხსკანცელარიის შენობაში როგორც კანცლერი და ბისმარკის სავარძელში ჩაჯდა, პათეტიკურად წამოიძახა:

— მე აქედან ცოცხალი თავით მსოფლიოს ვერავითარი ძალა ვერასოდეს გაგიყვანს!..

...დრო დადგა და ჰიტლერის გვამი ზურგზე აკიდებული გაიტანეს იმ შენობიდან, თუმცა შორს კი არ წაუღიათ, იქვე, ეზოში, ჩააგდეს ყუმბარით აღოთხრილ ორმოში, ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს...

ყველამ, ვინც ეზოში იყო, ნაცისტური სალმითა და სროლით მისცა უკანასკნელი სალუტი ფიურერს. მერე ამ ხმებს საბჭოთა არტილერიის გრგვინვა მოჰყვა. ყუმბარები სწორედ იმ ეზოში სკდებოდა, სადაც ჰიტლერის გვამი იწვოდა. ყველანი თავშესაფარში გაიქცნენ. სროლის ხმა რომ ცოტა მიწყნარდა, ისევ გამოვიდნენ და ბენზინი დაუმატეს ცეცხლს... მერე ისევ სროლა ატყდა... ისევ გაიქცნენ... ბოლოს, ერთხელ კიდევ გამოვიდნენ და უკანასკნელი ბიდონები დააწურეს კოცონს...

ამბობენ, როცა ჰიტლერის გვამი იწვოდა და შავი კვამლი ზეცით ადიოდა, ეზოში მდგომმა ესესელებმა თვალი ააყოლეს ამ კვამლს და დაინახეს, რაიხსტაგის თავზე წითელი დროშა რომ ფრიალებდაო...

ბორმანი მაშინვე დატრიალდა. მან დეპეშა აფრინა დენიცთან, რაიხსმარშალ გერინგის ნაცვლად ფიურერმა თქვენ დაგნიშნათ თავის შემცვლელადო, ჰიტლერის სიკვდილის შესახებ კი არაფერი უცნობებია. ამიტომ სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა დეპეშითვე უპასუხა უკვე მკვდარ ფიურერს, ყველაფერს გავაკეთებ და ომს ღირსეულად განვაგრძობო. შემდეგ გებელსმაც გაგზავნა დეპეშა დენიცთან და აცნობა ჰიტლერის სიკვდილის ამბავი. ახალი მთავრობის შემადგენლობაც შეატყობინა, უფრო დაწვრილებით ინფორმაციას კი პირადად ბორმანი გაგიკეთებთო.

დენიცი სულაც არ მოელოდა ამას, საქმეს კი მაშინვე მოჰკიდა ხელი...

მეორე დღეს გებელსმა როგორც რაიხსკანცლერმა თათბირი მოიწვია და გენერალ კრებსს დაავალა დაკავშირებოდა საბჭოთა სარდლობას. ამ საქმისათვის ყველაზე შესაფერისად მათ კრებსი, ალბათ, იმიტომ მიიჩნიეს, რომ მას უკვე ჰქონდა „რუსებთან ურთიერთობის“ ერთგვარი გამოცდილება: ომამდე იგი სამხედრო ატაშეს თანაშემწედ მუშაობდა მოსკოვში და... რაც მთავარია, ერთხელ ხელიც კი ჰქონდა სტალინისათვის ჩამორთმეული.

როცა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს მოსკოვიდან აცილებდნენ, სადგურზე ყველასათვის მოულოდნელად მოვიდა სტალინი. მინისტრის წასვლის შემდეგ იგი მიუბრუნდა იქვე მდგომ კრებსს, ხელი ჩამოართვა და გამოელაპარაკა კიდეც...

გარდა ამისა, კრებსი არც ესესელი იყო და არც ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი. ამიტომაც გაგზავნა გებელსმა იგი საბჭოთა არმიის სარდლობასთან მოსალაპარაკებლად, თვითონ კი „თვითმსხვერპლშეწირვა“ გადაწყვიტა და ასეთი დამატება (Appendix) გაუკეთდა ჰიტლერის პოლიტიკურ ანდერძს:

— ფიურერმა მიბრძანა, რომ, თუ იმპერიის დედაქალაქის დაცვა შეუძლებელი გახდა, დავტოვო ბერლინი და მივიღო მონაწილეობა მის ბიერ დანიშნული მთავრობის მუშაობაში

როგორც მისმა მეთაურმა. პირველად ჩემს სიცოცხლეში მე კატეგორიულად უნდა უარვყო ფიურერის ბრძანების შესრულება. ჩემი მეუღლე და ბავშვები შეუერთდებიან ჩემს ამ გადაწყვეტილებას, რადგან ბერლინიდან წასვლა შეურაცხყოფს ჩემს ღირსებას, ერთგულებასა და მოვალეობას დედაქალაქის მოქალაქეთა წინაშე... ამდენი ღალატის კოშმარულ ატმოსფეროში, ომის ყველაზე კრიტიკულ მომენტში, ხომ უნდა აღმოჩნდეს თუნდაც ერთი კაცი, რომელიც სიკვდილშიც დარჩება ფიურერის გვერდით. ამით, მე მგონი, უკეთეს სამსახურს გავუწევ გერმანელი ხალხის მომავალს, რადგან ასეთ მძიმე დროში მაგალითი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პიროვნება. ისედაც ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომელნიც წინ წარუძღვებიან ერს მშვიდობისაკენ, ჩვენი ეროვნული ცხოვრების გარდაქმნა კი შეუძლებელი იქნება, თუ ის არ განვითარდა ნათელი და ცხადი მაგალითების საფუძველზე. ამიტომ ჩემს მეუღლესთან ერთად და ჩემი შვილების სახელით, რომელნიც ძლიერ ნორჩნი არიან იმისათვის, რომ თვითონ გამოთქვან თავიანთი აზრი, მაგრამ საკმაოდ მოზრდილნი რომ ყოფილიყვნენ, უეჭველად გაამართლებდნენ ამ გადაწყვეტილებას, მე გამოვთქვამ ურყევ ნებას — არ დავტოვო იმპერიის დედაქალაქი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის დაეცემა, არამედ დავასრულო ჩემი სიცოცხლე, რადგან მას არავითარი ფასი არ ექნება, თუ ჩემი ფიურერის გვერდით და მის სამსახურში ვეღარ გავატარებ...

რამდენიმე კვირის წინ გებელსი ჰიტლერივით ემუქრებოდა თვითმკვლელთ:

— ბევრი გერმანელი თვითმკვლელობას არჩევს ბრძოლის გაგრძელებას, — წერდა იგი თავის ოფიციოზში. — უნდა ჭკუა ვასწავლოთ ასეთ პოტენციურ თვითმკვლელთ, ხოლო თუ ესეც არ გაჭრის, უფრო მკაცრი ზომები მივიღოთ!..

სხვებს ტუქსავდა, თვითონ კი...

თუმცა, ვინ იცის, მსჯელობა აქ ზედმეტია. გებელსი მაინც ერთადერთი აღმოჩნდა ჰიტლერის უახლოეს თანამებრძოლთა შორის, რომელმაც ურყევად გადაწყვიტა საფლავშიც თან ჩაჰყოლოდა „თავის ფიურერს“ და თანაც მსხვერპლშეწირვის „სანიმუშო მაგალითი“ ეჩვენებინა გერმანელი ხალხისათვის...

ანდერძის წერა რომ დაამთავრა, დილის ექვსი საათი იყო.

ერთი საათის შემდეგ რადიოთი გადასცემდნენ მის უკანასკნელ გადაწყვეტილებას.

ის ღამე გადაწყვეტილებებისა იყო, მეორე და მესამე დღე კი — შესრულების...

...კემპკა მაგდა გებელსთან მივიდა და ერთხელ კიდევ უთხრა:

— მე მყავს ჯავშნოსანი მანქანები და იმედი მაქვს, რომ გაგიყვანთ ბერლინიდან თქვენ და თქვენს შვილებსაც.

მაგდას თითქოს გულს მოეშვა. ფიურერი უკვე ცოცხალი აღარ იყო, აღარც მისთვის მიცემული სიტყვა ავალებდა თავის გაწირვას და, ვინ იცის, გულში რა ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ სწორედ ამ დროს შემოვიდა გებელსი.

კემპკამ მასაც იგივე გაუმეორა, მაგრამ უკვე ენამოცვეთილმა გებელსმა ძლივს გასაგონად თქვა:

— კრებსი მიდის ჟუკოვთან ჩემი დავალებით. თუ შეთანხმება არ მოხდა... გადაწყვეტილია... ვრჩები ბერლინში... მე არავითარი სურვილი არა მაქვს, როგორც მარად დევნილმა აჰასფერმა, ვიწანწალო მსოფლიოში. ჩემს ცოლსა და შვილებს კი გზა ხსნილი აქვთ, შეუძლიათ წავიდნენ...

ეს ისე ცივად იყო ნათქვამი, რომ მაგდა გებელსს გააჟრჟოლა, მერე ძალ-ღონე მოიკრიბა და მტკიცედ თქვა:

— მეც, რა თქმა უნდა, ვრჩები ქმართან. გზა, რომელიც მან აირჩია, ჩემი გზაცაა!..

გებელსმა ადიუტანტ შვეგერმანს უბრძანა, ნავთი ეშოვა მათი გვამების დასაწვავად...

...მერე საშინელი სცენა დატრიალდა. გებელსის ბავშვები თავშესაფარში თამაშობდნენ. მაგდამ ექიმ შტუმფეგერს სთხოვა შხამის შეშხაპუნებით დაეხოცა ისინი. შეძრწუნებული შტუმფეგერი აცახცახდა და უარი განაცხადა, არ შემიძლიაო.

ადრე მაგდა გებელსი თვითონ აპირებდა შეესრულებინა მსხვერპლშეწირვის ეს რიტუალი. ორიოდე დღის წინ მან უთხრა ჰანა რაიჩს:

— ჩემო ძვირფასო ჰანა, დასასრული რომ მოახლოვდება,

თუ მე ნებისყოფა არ მეყო, შენ უნდა მომეხმარო შვილების დახოცვაში. ისინი ეკუთვნიან მესამე იმპერიასა და ფიურერს. და თუ არსებობის ეს ორი წყარო აღარ იქნება მათთვის მომავალში, აღარც მათს სიცოცხლეს ექნება ფასი. მე მხოლოდ იმის მეშინია, რომ უკანასკნელ მომენტში არ მეყოფა ნებისყოფა თვითონ გავაკეთო ეს...

ახლა კი ჰანა რაიჩი უკვე სამხრეთში იყო და მაგდა გებელსს მაინც თვითონ მოუხდა მსხვერპლშეწირვის ამ რიტუალის შესრულება. მან ლტოლვილებში იპოვა ვიღაც ექიმი, რომელმაც იკისრა ეს საშინელი მოვალეობა.

თვითონ მაგდამ შეიყვანა ექვსივე ბავშვი სასიკვდილო ოთახში. ისინი ჰიტლერის სახელზე იყვნენ მონათლულნი და ყოველი მათგანის სახელიც ფიურერის საპატივცემლოდ ასო „ჰ"-ზე იწყებოდა. ჰელა თორმეტი წლისა იყო, ჰილდა — თერთმეტის, ჰელმუთი — ცხრის, ჰოლდე — შვიდის, ჰედა — ხუთის, ჰაიდე — სამის...

მაგდა თითო-თითოდ იჭერდა აკივლებულ ბავშვებს, ექიმი კი თავის საქმეს აკეთებდა... ნემსით საწამლავს უშხაპუნებდა მათ...

სამი რომ მოწამლეს, დედამ ვეღარ აიტანა, გარეთ გამოვარდა, პაპიროსი მოქაჩა და ისევ შებრუნდა ოთახში...

მერე ის სამიც დახოცეს...

მაგდა გებელსი ერთხანს გაქვავებული დასცქეროდა თავისი ექვსი შვილის ცხედარს. მერე მასთან ექიმი მივიდა და საწამლავი შეუშხაპუნა...

...როცა კითხვა ისმის, რატომ აწოალიტეს გებელსებმა თავიანთი შვილებიო, ერთნი ამბობენ, ალბათ შეეშინდათ მათი საშინელი მომავლისა და გაათავისუფლეს მოსალოდნელი წვალებისაგანო... მეორენი კი გებელსების გონებაამღვრეულობას მიაწერენ ამ ამბავს...

არა, ასე არ ყოფილა. გებელსებს ერთხელაც არ წამოსცდენიათ ასეთი რამ. ისინი სრულიად გარკვევით წერდნენ და ამბობდნენ, რომ ეს იყო „ს ა მ ა გ ა ლ ი თ ო" მსხვერპლშეწირვა ბავშვებისა, რომელნიც „ეკუთვნოდნენ ფიურერს" და მისივე სახელზე იყვნენ მონათლულნი...

არც რამე მოულოდნელი აფექტის შედეგი ყოფილა ეს.

გებელსებმა რამდენიმე დღით ადრე მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება და განაცხადეს კიდეც ამის შესახებ როგორც წერილობით, ისე საჯაროდ...

საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ იმდენ ხალხში არავინ აღმოჩნდა ისეთი, ბაჯაზე ეტაცა მათთვის ხელი და ამ საშინელი სიკვდილისაგან გადაერჩინა უმწეო ბავშვები...

ხომ ფაქტია, რომ არც ერთი მთავარი სამხედრო დამნაშავის ოჯახის წევრი არ ყოფილა რეპრესირებული... არც ერთი წუთით და არც არავითარი ფორმით... ის კი არა, ნიურნბერგში მითხრეს, აქვე, ტრიბუნალის ბიბლიოთეკაში, ფელდმარშალ რომელის ქალიშვილი მუშაობსო. მე და პიოტროვსკი მაშინვე ბიბლიოთეკისაკენ გავეშურეთ, გვაინტერესებდა ნამდვილად ასე იყო თუ არა. რაღაც წიგნები მოვითხოვეთ. ბიბლიოთეკარმა თავაზიანად გამოგვიწოდა, რაც გვინდოდა. პიოტროვსკიმ ვერ მოითმინა და ჰკითხა:

— თქვენი გვარი, ქალიშვილო?..

— რომელი, ბატონო, ფელდმარშალ ერვინ რომელის ასული! — ამაყად თქვა მან.

მეტიც, ერთ-ერთი სამხედრო დამნაშავის, ბრალდებულ ფრიკის ცოლმა იმდენი მოახერხა, რომ ნიურნბერგის პროცესის დარბაზში შემოვიდა და კორესპონდენტთა იარუსიდან „ჰაეროვანი კოცნა“ გაუგზავნა თავის ქმარს. ჰიმლერის ქალიშვილი გუდრუნი კი დღესაც ინტერვიუს იძლევა.

— ვამაყობ ჩემი გვარით, ვამაყობ მამაჩემით. დადგება დრო, როცა ამ სახელს წარმოთქვამენ ისევე, როგორც ნაპოლეონისა და ვაშინგტონის სახელებს, — განუცხადა მან იტალიური ჟურნალის კორესპონდენტს მიუნხენში...

რიბენტროპის ვაჟი ამჟამად მილიონერია, ჰაიდრიხის ქალიშვილი — დოქტორი. აქტიურობს ჰესის ვაჟიც; მას მამის გათავისუფლება უნდა შპანდაუს ციხიდან. გერინგის ქალიშვილი ედა კი აცხადებს:

— სიამაყით ვატარებ ამ გვარს და ამას ჩემთვის არასდროს მოუყენებია რამე უსიამოვნება. პირიქით, როცა შეიტყობენ, რომ გერინგის შვილი ვარ, საჩუქრებით მავსებენ და აუდიენციას მთხოვენ...

ცხადია, არც გებელსის შვილებს მოელოდათ საფრთხე, თავიანთი მშობლების ნაცისტური ფანატიზმის მსხვერპლნი რომ არ გამხდარიყვნენ...

...მსხვერპლშეწირვის ეს რიტუალიც რომ დაამთავრა, გებელსი ბარბაცით აჰყვა თავშესაფრის კიბეებს. ადიუტანტებს სწორედ მაშინ მიჰქონდათ მისი დასაწვავი ნავთი. გვერდზე მიდგა და გზა უტია, მერე კი თვითონაც ამოვიდა რაიხსკანცელარიის ეზოში. რევოლვერი ამოიღო, მაგრამ... მაინც ვერ შეძლო... ნებისყოფამ უღალატა და იქვე მდგომ ესესელს უბრძანა...

ტყვია კეფაში მოხვდა და იქვე გაათავა...

ისიც ჰიტლერივით დაწვეს ანდერძის მიხედვით, მაგრამ იმდენი ნავთი არ ჰქონდათ, რომ ფერფლად ექციათ, და მისი გარუჯული გვამი დარჩა ეზოში... ცეცხლმა და გეჰენიამ შთანთქა ჰიტლერისა და გებელსის სხეული... ახდა ახალი აღთქმის ალეგორიის ეს უკანასკნელი „წინასწარმეტყველებაც“, რასაც გვამცნობდა „გამოცხადებაჲ წმიდისა მახარობილისა და ღვთისმეტყუელისა იოანესი“:

— და შეპყრობილ იქმნა მხეცი იგი და მის თანა ცრუ-წინაჲსწარმეტყუელი იგი, რომელმან ქმნნა წინაშე მისსა საჲსწაულნი, რომლითა აცთუნნა იგინი, რომელთა მიიღეს ბეჭედი იგი მხეცისაჲ და თაყუანის-სცეს ხატსა მისსა და ცოცხლივ შთავარდეს ორნივე იგი ტბასა მას ცეცხლისასა, რომელი-იგი იწუების წუმწუნებითა.

და სხუანი იგი მოისრნეს მახუილითა...

კვერთხი მაგიდაზე...

პირველ მაისს დილის 10 საათზე ჰამბურგის რადიომ შეწყვიტა ბრუკნერის სიმფონიის შესრულება. გაისმა სამხედრო ბარაბანთა ხმაური, შემდეგ კი დიქტორმა გამოაცხადა:

— ჩვენი ფიურერი ადოლფ ჰიტლერი, რომელიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ, დღეს გამოეთხოვა სიცოცხლეს იმპერიის კანცელარიის ოპე-

რატიულ შტაბში. 30 აპრილს ფიურერმა თავის მომაგიერედ დანიშნა გროსადმირალი დენიცი.

რამდენიმე საათის შემდეგ ინგლისის პარლამენტის საგანგებო სხდომაზე ჩერჩილმა ასე დაიწყო სიტყვა:

— ცოფიანი ძაღლი მოკვდა! ქვეყანამ თავისუფლად ამოისუნთქა...

იმავე დღეს შედგა მოლაპარაკება გერმანიის სრული და უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. გენერალი კრებსი თეთრი ალმით ხელში გაემართა საბჭოთა არმიის პოზიციებისაკენ...

...ბორმანმა, ნაუმანმა და კემპკამ სხვა გზა ირჩიეს. ისინი ესესელთა ერთ ჯგუფთან ერთად გამოვიდნენ რაიხსკანცელარიის თავშესაფრიდან, მეტრომდე მიაღწიეს და ფრიდრიხშტრასეზე ამოვიდნენ. აქ მათ შეუერთდა „ჰიტლერული ახალგაზრდობის“ ბელადი არტურ აქსმანი. ნიურნბერგში კემპკა ყვებოდა: ჩვენ გავყევით გერმანულ ტანკს ქალაქის გარეუბნისაკენ, მაგრამ არტილერიის ძლიერ ცეცხლში მოვხვდით, ტანკი აფეთქდა, საჰაერო ტალღამ რამდენიმე მეტრზე გადამისროლა, ბორმანი, ნაუმანი და აქსმანი კი დაიხოცნენო. კემპკა არწმუნებდა ტრიბუნალს, რომ მან ყოველივე ეს „საკუთარი თვალით ნახა“. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ჯერ აქსმანი აღმოჩნდა ცოცხალი, შემდეგ — ნაუმანიც, ბორმანს კი დღესაც დაეძებენ...

...რვა მაისს ფელდმარშალი კაიტელი, ადმირალი ფრიდებურგი და გენერალი შტუმფი ფლენსბურგიდან უკვე საბჭოთა არმიის მიერ აღებულ ბერლინში გამოიძახეს. სამივენი თავიანთი ადიუტანტების თანხლებით ჩასხდნენ ამერიკულ თვითმფრინავში და კურსი ბერლინისაკენ აიღეს. აქ ტემპელჰოფის აეროდრომზე მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენლების გარდა მათ შეხვდათ „დენიცის მთავრობის“ რწმუნებულიც.

მანქანების კორტეჟი კარლსჰორსტისაკენ გაემართა. გზადაგზა მათ ხვდებოდათ გერმანელ სამხედრო ტყვეთა კოლონები, საკონცენტრაციო ბანაკებიდან გათავისუფლებული ტუსაღები და ლტოლვილები. კაიტელი, ფრიდებურგი და შტუმფი მანქანის კუთხეში იმალებოდნენ და სახეს იფარავდ-

ნენ. კარლსჰორსტში (ბერლინის გარეუბანი) სამხედრო საინჟინრო სკოლის შენობაში მათ უკვე უცდიდნენ მოკავშირეთა უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები, დეპეშათა სააგენტოებისა და პრესის მუშაკები, ფოტოკორესპონდენტები.

დადგა ისტორიული მომენტი. დარბაზში შემოიყვანეს ყოფილი მესამე იმპერიის დამარცხებული არმიის გვარეობათა სარდლები — კაიტელი, ფრიდებურგი, შტუმფი და მათი მხლებელნი, სულ თორმეტი კაცი. ჯერ რწმუნების დოკუმენტები შეამოწმეს, მერე კი კაპიტულაციის ტექსტი წაუკითხეს:

— ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვმოქმედებთ რა გერმანიის უმაღლესი სარდლობის სახელით, ვეთანხმებით წითელი არმიის უმაღლესი სარდლობისა და მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის მოთხოვნას მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალების — ხმელეთზე, ჰაერში თუ ზღვაზე — და აგრეთვე მთელი იმ ძალების უსიტყვო კაპიტულაციაზე, რომლებიც ამჟამად გერმანული სარდლობის ქვეშ იმყოფებიან.

კაიტელმა მარშლის კვერთხი მაგიდაზე დადო და პირველმა მოაწერა ხელი, მერე — ფრიდენბურგმა და შტუმფმა.

საათის ისარი თორმეტს გადასცდა...

გარეუბანი ქრისტე...

ომის იმ უკანასკნელ დღეებში ჩვენი ფრონტიც ისე სწრაფად მიიწევდა წინ, რომ ვერც ვასწრებდით დისლოკაციის შეცვლას. ოპერატიული ჯგუფი უკვე ვენაში იყო, დანარჩენი — ბრატისლავასთან, მოდრა-შენკვიცეში. მე დროის უმეტეს ნაწილს გზაში ვატარებდი, მოდრასა და ვენას შორის. ჩვენებს ჯერ ბოლოდ დუნაის მარცხენა სანაპირო, ვინერ-ნოიშტადტი, ჰქონდათ აღებული, უკრაინის მე-3 ფრონტის შენაერთები ვენის სამხრეთით იბრძოდნენ, ხოლო უკრაინის მე-2 ფრონტის მებრძოლები ცდილობდნენ დუნაის გადალახვას. მტრის სამხედრო ძალა უკვე იმდენად იყო გატეხილი, რომ სერიოზულ წინააღმდეგობას ველარც გვიწევდნენ. ვენისათვის ბრძოლა არც იყო ისე მძიმე, როგორც ბუდაპეშტისათვის.

შემდეგ კი „ჰიტლერის ქალაქ ლინცამდე“ გზა თითქმის გახსნილი გვქონდა. გერმანელები დასავლეთისაკენ გარბოდნენ. რათა იქ მოკავშირეებს დანებებოდნენ ტყვედ.

მოსახლეობა ყველგან ზეიმით ხვდებოდა საბჭოთა არმიას. იყო, რა თქმა უნდა, გამონაკლისიც. ჩვენი ჯარების შესვლა ჩეხოსლოვაკიაში ყველას ერთნაირად როდი ახარებდა. ზოგიერთი ჯერ კიდევ შეშინებული იყო, არ იცოდნენ რა მოელოდა მათს ქვეყანასა და პოლიტიკურ პრინციპებს. მაგრამ ამ საერთო ზეიმში ეს ისე შეუმჩნეველი იყო, რომ გამიკვირდა, მაინცდამაინც ერთი ასეთი უკმაყოფილოს ოჯახში რომ მოვხვდი. ეს კარგიც იყო და ცუდიც: კარგი იმით, რაღაც განსხვავებულსა და თავისებურს რომ ეცნობი, ცუდი კი იმიტომ, სტუმარმასპინძლობისათვის დამახასიათებელ თავაზიანობას რომ ვერ იჩენ. თუმცა ერთიც მოსავალია და მეორეც...

...ჩვენი განყოფილება ქ. ბრატისლავასთან იდგა, სოფელ მოდრა-შენკვიცეში. ერთხანს მეც იქ ვცხოვრობდი ბავშვთა ექიმის სახლში. ლამაზი კოტეჯი ედგა, ძველ სლავურ სტილზე აგებული, უზარმაზარი დაფერდებული სახურავითა და უხვად მოჩუქურთმებული თაღებით. ექიმი ბრატისლავაში მსახურობდა და დილით ადრე მიდიოდა. ჯერ გათენებულიც არ იყო, რომ ალაყაფის კარს ფრთხილად გაიხურავდა და სიბნელეში იკარგებოდა. ეტყობოდა უჭირდა ყოველდღე ასე დილაადრიან ადგომა და ბუზღუნებდა, ჩემი სლავკა არ მიჯერებს, თორემ სულაც ბრატისლავაში დავსახლდებოდითო.

სლავკა მისი ახალგაზრდა ცოლი იყო, მდიდარი მემამულის შვილი. არ უნდოდა მამაპაპისეული კარ-მიდამოს მიტოვება და ამიტომაც არ ეთანხმებოდა ქმარს. უწინ სულ უცხოეთში დადიოდა თურმე, ახლა კი ომმა ჩაკეტა „ამ ბუნაგში“ და ამაზე წუწუნებდა. ხანდახან ამაზონურ ტანისამოსს ჩაიცვამდა და შარაგზაზე თაფლისფერ ცხენს დააგელვებდა, როგორც თვითონ ამბობდა, „მოწყენილობას გაურბოდა“.

ერთხელ როგორღაც „ტყის ფერიის“ ამბავი მოვუყევი, მთვარიან ღამეს რომ უყვარდა ცხენით ჯირითი. ამის შემდეგ ღამით სოფელს აღარ აძინებდა მისი ცხენის თქარათქური და გახელებული ძაღლების ყეფა. დღისით დროს მეტწილად სარ-

კის წინ ატარებდა და გულის ჯნებას იმით იქარვებდა, რომ თავის ლამაზ, ქარვისფერ თმებს აწვალებდა. ეს იყო მისი მთავარი გასართობი. ახლომახლო სარკე თუ არ იყო, თავს უხერხულად გრძნობდა. ერთხანს იწრიალებდა, მერე გაიქცეოდა, ისევ სარკეს მიუჯდებოდა და თმის ვარცხნილობის ახალ ვარიანტს იგონებდა. თუ შეამჩნევდით და მოუწონებდით, ხო? კარგი, არადა გაიბუტებოდა...

...ქმარი პოლიტიკის მოყვარული იყო, ქალაქის მუნიციპალიტეტის წევრი. მსუქანი, ფაფუკლაბაბიანი და ტიკჭორაჟსავით ჩამრგვალებული. წითური წვერები ჰქონდა და ცხვირპირიც — ისეთი წითელი, ზედვე ეტყობოდა, ბახუსის ხშირი სტუმარი რომ იყო. მე ყველაზე უფრო მისი თმის ვარცხნილობა მაკვირვებდა. მელოტ თავზე კეფასა და საფეთქლებთან შემორჩენილი წენგოსფერი თმების ისეთი რთული კომბინაცია ჰქონდა გაკეთებული, რომ კაცის შვილი ვერ გაიგებდა, საიდან სად მოდიოდა სათითაოდ დათვლილი თმის ღერი ან როგორ მაგრდებოდა იმ სარკესავით მოპრიალებულ თავზე.

დინჯი და ამაყი სიარული იცოდა, თავი „უკიდურეს პატრიოტად“ მოჰქონდა და სიამოვნებდა, ორატორულ ნიჭს რომ შეუქებდნენ. „ჩემი ბუთხუზა ციცერონიო“, განგებ ეფერებოდა მას კეკლუცი სლავკა და ეშმაკურად ჩაიცინებდა. ექიმი მის დამცინავ ტონს ვერ ამჩნევდა, თუ ყურადღებას არ აქცევდა, მაგიდას ორივე ხელს ჩაჟღლებდა, რამდენადაც „სოლიდური მუცელი“ ნებას მიცემდა, უკან გადაიზნიქებოდა, ფაფუკ კისერს მოიღერებდა და რამე ლათინურ ანდაზას იტყოდა მახვილსიტყვაობისა და მჭევრმეტყველების შესახებ. მერე ერთს ღრმად ჩაისუნთქავდა და მოჰყვებოდა ქადაგებას:

— მე რომ ქრისტე ვყოფილიყავი...

საუბარს ყოველთვის ამ სიტყვით იწყებდა და ლათინური summa summarum-ით ამთავრებდა. ერთხელ რომ აიშლიდა საღერღელს, აღარც გაათავებდა. ვისაც ხელში ჩაიგდებდა, იმდენს ელაპარაკებოდა, ღობეზე გადასაკიდს გახდიდა. მე სულ იმ summa summarum-ს ვუცდიდი, იქნებ როგორმე დაამთავროს-მეთქი, მაგრამ გაგიგონია! ამას რომ იტყოდა, მე-

რე სხვას დაიწყებდა. სლავკას მოთმინება არ ჰყოფნიდა, ცმუკავდა, წრიალებდა, ვითომ კი უგდებდა ყურს, მაგრამ სულ სხვა რამეზე ფიქრობდა და თვალები აქეთ-იქით გაურბოდა. მსახური ქალი, აბა, რას მოუსმენდა, როცა დილიდან საღამომდე თავისი საქმით იყო გართული.

ერთხელ ექიმმა სცადა ისიც ჩაეთრია საუბარში, მაგრამ დაიწყო თუ არა, მე რომ ქრისტე ვყოფილიყავიო, იმ ქალმა მაშინვე შეაწყვეტინა:

— ღმერთმა ნუ ქნას, ბატონო! თქვენ რომ ქრისტე ყოფილიყავით, სულ ჯოხით გაგროზგავდნენ. განა რა სიკეთე ვნახეთ ისეთი ქრისტე-ღმერთისაგან?!.

ექიმი ისე აღშფოთდა ასეთი „თავხედური პასუხით“, სლავკა რომ არ გამოსარჩლებოდა, სულაც გააგდებდა საჭლიდან.

— რა ვქნა, ქალბატონო, თქვენმა ქმარმა ვერ გაიგო, ქვეყანას იუდა რომ მართავს და არა ქრისტეო, — იმართლა თავი.

სლავკა კი მაინც „გმირულად“ იტანდა იმ „გაროზგილი ქრისტეს“ მონოტონურ ქადაგებას. იჯდა, უსმენდა და გუნებაში ეცინებოდა. ეს ირონია შველოდა, თორემ ამდენი ქადაგება და ჭკუის დარიგება ტვინს ამოუშრობდა კაცს. ზოგჯერ რომ ვერ მოითმენდა, ისეთ ისტერიულ სიცილს ასტეხდა, ქმარს შეეშინდებოდა და გაჩერდებოდა. ან სლავკა თუ გაიქცეოდა, მე მომიბრუნდებოდა და მაინც განაგრძობდა:

— მე რომ ქრისტე ვყოფილიყავი, იცით რას ვიზამდი?

კითხვას მე მისვამდა, პასუხს კი ისევ თვითონ იძლეოდა:

— მე რომ ქრისტე ვყოფილიყავი, მემკვიდრეობის უნარს მოვუსპობდი ადამიანებს. რატომ მოვუსპობდი? ახლავე, ბატონო: რატომ და... ჰუმანიზმის იდეის უმაღლესი ზეიმისათვის. მას შემდეგ რაც მემკვიდრეობა მოისპობა, სულ რაღაც ასიოდ წელიწადიც საკმარისი იქნება, რომ ადამიანის სახსენებელი გაქრეს დედამიწაზე. მხოლოდ ასე შეიძლება მოეღოს ბოლო უსამართლობას, გაჭირვებას, ტანჯვა-წვალებას, სევდასა და მწუხარებას. ხომ გაგიგონიათ, მინდვრის თაგვები რომ მომრავლდებიან და საკვები არ ყოფნით, მარტო შთამომავლობის გამგრძელებლებს დატოვებენ, სხვებს კი წინ მეთაური წარუძღვება და მდინარეში ცვივიან ყველანი...

მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ არ დამაცადა:

— ესეც უგუნურებაა, ბატონო, რა საჭიროა შთამომავლობის გამგრძელებლების დატოვება, როცა იმათაც იგივე ბედი მოელით: მდინარეში თავის დახრჩობა! ყველას მოსპობით კი, ყოველგვარ უბედურებას მოეღება ბოლო ამქვეყნად. აღარც იმ უკანასკნელი ადამიანებისათვის იქნება სიკვდილი მძიმე, რადგან ეცოდინებათ, რომ იმათ შემდგომ აღარავინ იცოცხლებს.

სიცილი ძლივს შევიკავე, ისე ვკითხე:

— მერედა დედაბიწაზე რა დარჩება, თუკი ადამიანის სახსენებელი მოისპობა?!

ექიმმა ჩემს ირონიას ყურადღება არ მიაქცია, ისევ ციცერონის პოზა მიიღო და ამაყად თქვა:

— მე, როგორც ქრისტე-ღმერთი და ყველაფერი, რაც თავისი ბუნებრივი ინსტინქტების მიხედვით ცხოვრობს: თევზები, ფრინველები, მწერები, ცხოველები, მცენარეები, სულ თავიანთ სტიქიაში არიან. მარტო ადამიანია სამწუხარო გამონაკლისი, რადგან თავისი ბუნებრივი ინსტინქტების მიხედვით კი არ მოქმედებს, არამედ ნაძალადევი ჩვევებით. ასეთ ჩვევებს თვითონ ადამიანები იგონებენ და უპირისპირებენ საკუთარ ბუნებრივ ინსტინქტებს.

— ყველაფერი, რაც გვჭირს, ამ ძალადობის შედეგია, ჩემო ბატონო, — განაგრძო ექიმმა. — მერედა რატომ არის ასე? იმიტომ რომ ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელსაც არ უნდა იყოს ის, რაც არის. რატომ არ უნდა? გულში ეშმაკი უზის, ბატონო, და იმიტომ. ის ეშმაკი ჩააგონებს, ასეთი კი არ უნდა იყო, არამედ ისეთიო. ისიც ეძიებს იმ ისეთს, მაგრამ ვერ პოულობს. რატომ ვერ პოულობს? სრულიად უბრალოდ: თუკი ასეთი ხარ, როგორღა შეიძლება იყო ისეთი! რაც ხარ, ბატონო, ბუნების განაჩენია, რაც გინდა იყო — ეშმაკის ნაკარნახევი. ადამიანი მისდევს ეშმაკის ნაკვალევს და სულ მუდამ ცდილობს ის გახდეს, რაც თვითონ უნდა, და მთელი სიცოცხლე იტანჯება ამის გამო. შედეგი რა არის? არაფერი, ბატონო! ბოლოს სიკვდილი წამოეწევა და ამით თავდება ყოველივე. იმ უბედურს უკეთესი უნდოდა ყოფილიყო და, რაც იყო, ისიც აღარ რჩება...

...ლაპარაკი სლავკამ შეგვაწყვეტინა. იგი ისევ შემოიჭრა ოთახში და უცებ ააფორიაქა იქაურობა. უკვე ამაზონური ტანისამოსი ეცვა, ხელში მათრახი ეჭირა, ჩექმებზე ატკაცუნებდა და კატასავით მოქნილ ტანს სარკეში რაღაც უცნაურად გრეხდა.

— მე ცხენით გავისეირნებ და მალე დავბრუნდები, — უთხრა მან ქმარს ისე, რომ სარკისათვის თვალი არ მოუშორებია.

— გაგიჟდი? ასე გვიან?! — შეშფოთდა ექიმი, — ვერ უყურებ რა უკუნეთი ღამეა?! წერას ხომ არ აუტანიხარ!..

— არა უშავს, წმიდაო მამაო ჩემო, დაუყვავა ცოლმა და თავზე ბავშვივით გადაუსვა ხელი, მერე ისევ ეშმაკურად გაუცინა და ჩაულაპარაკა:

— ქრისტე რომ ვყოფილიყავი, ცხადია, ასე არ მოვიქცეოდი, მაგრამ მე ხომ პილატეს ნაბუშარი ვარ!

ეს რომ თქვა, ნაზად ეამბორა შუბლზე, თავის „ბუთხუზა ქმარს“, მერე სარკის წინ ტანი მათრახივით აიქნია, შუბლზე ჩამოყრილ თმებს ხელი აჰკრა და რაღაც განსაკუთრებული ლაღი მოძრაობით გაემართა კარისაკენ.

ექიმს მხოლოდ წარბები შეუთამაშდა. მერე ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა. ჩამავალ მზესავით გაღვივებულ სახეზე აღტაცებისა და შეშფოთების შუქ-ჩრდილი ებრძოდა ერთმანეთს. ჯერ რაღაცას გაუღიმებდა, მერე კი შუბლს შეიკრავდა, მაგრამ ბოლოს ისევ სიამოვნების ღიმილი გაუხსნიდა ნაოჭებს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მსახური ქალი შემოდიოდა. ბუხარში ცეცხლს შეუკეთებდა, ხელს ჯერ ლოყაზე მიიდებდა, ერთხანს გაკვირვებული გვისმენდა, მერე კი რატომღაც პირჯვარს გადაიწერდა და გავიდოდა.

ეზოში ცხენმა დაიჭიხვინა. მსახურმა ალაყაფის კარები გააღო და ცხენის ფეხის ხმამ ძაღლების ერთსულოვანი ყეფა აიყოლია...

— ჰო, იმას მოგახსენებდით, — გაბოერკვა ფიქრებიდან ექიმი, — ყველაფერი ძალადობის ბრალია-მეთქი.

მერე უცებ აღადგინა საუბრის გაწყვეტილი ძაფი და ისევ შეუდგა თავისებურ კითხვა-პასუხს:

— დიახ, ძალადობის! ძალადობა რას ნიშნავს? ბუნებრივი

ინსტინქტების შეცვლას ხელოვნურად გამომუშავებული ჩვევებით. ჩვევები რაღაცა, თუ მკითხავთ, ამასაც მოგახსენებთ: რასაც, საუბედუროდ, ჩვენ თვითონ ვიგონებთ, ბატონო, და ჩვენივე ცხოვრების კანონად ვაქცევთ, რათა დავისაჯოთ! დიახ, ბატონო, დავისაჯოთ ჩვენ მიერვე მოგონილი კანონებით! განა ეს უგუნურება არ არის?! რატომაა უგუნურება? აბა რა არის, ბატონო, საკუთარ სასჯელს რომ თვითონ იგონებს ადამიანი და თვითონვე ზღუდავს თავის ბუნებრივ ინსტინქტებს? ალბათ, გაინტერესებთ ბუნებრივი ინსტინქტი რაღაა? გეტყვით: რასაც განგება და გულისთქმა გვიკარნახებს. ყველა არსებას თავისი ბუნებრივი ინსტინქტი აქვს და ყველა ბედნიერია ამით. მარტო ადამიანი სჯის თავის თავს საკუთარი, ბუნებრივი ინსტინქტების გამომჟღავნებისათვის და ხელოვნური ჩვევებით ცვლის მათ.

შორიდან ცხენის ფეხის ხმა მოისმა, რასაც ისევ ძაღლების ყეფა აჰყვა და ერთი ალიაქოთი ატყდა, მერე ისევ თანდათან მიწყნარდა. ეს სლაუკამ ჩაიქროლა თავისი ბედაურით. ექიმის სახეზე კვლავ ათამაშდა შიშისა და სიამოვნების ჩრდილები:

— აბა, დაუკვირდით, ბატონო, კვიცი რომ დაიბადება, მაშინვე ფეხზე წამოხტება. რატომ? ეს მისი ბუნებრივი ინსტინქტების პირველი გამომჟღავნებაა და იმიტომ. მან უკვე იცის ან გრძნობს, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ფეხზე უნდა იღგეს. ამიტომაც შედის იმთავითვე ბუნებრივ სტიქიაში. ბავშვი? ბავშვი რას შვრება? იბადება თუ არა, მაშინვე ტირილს იწყებს. რატომ? აბა, თუ იტყვით, რატომ იწყებს მაშინვე ტირილს?

პასუხის გაცემა ვინ მაცალა, ისევ თვითონ განაგრძო:

— შიშის გამო, ბატონო! რისი ეშინიაო, არ იკითხავთ? გეტყვით: ცხოვრების, არსებობის, მომავლის... ბავშვი დაბადებიდანვე გრძნობს, ინსტინქტურად, რა თქმა უნდა, რომ სიცოცხლე სევდა და მწუხარებაა, რაღაც საშინელი, ძნელად დასაძლევი და ტრაგიკული. ამიტომ ხვდება ამ ქვეყანას ტირილით. შეიძლება თქვენ სხვაგვარად ფიქრობთ! გგონიათ სტკივა რამე და იმიტომ ტირის? არა, ბატონო, მე ამ საქმის დიდი გამოცდილება მაქვს...

უცებ გაჩერდა, ბაგე ყურთან მომიტანა და მაჰმადის მტრედივით ჩამჩურჩულა:

— იმას ეშინია თავისი მომავალი არსებობისა, ბატონო, და იმიტომ ტირის. ეს საერთო კანონია. ერთადერთი ბავშვი, რომელმაც დაბადებისთანავე სიცილი დაიწყო, ნოეს ტუტუცი შვილი ქამი იყო. ბიბლიაში წერია, თორემ ვინ იცის, მართლაც ასე იყო თუ არა. მე რომ მკითხოთ, ეს საეჭვოა. როგორც წესი კი, ყოველი ბავშვი დაბადებისთანავე იწყებს ტირილს...

მერე ისევ გასწორდა, სკამის ზურგს გადააწვა, კისერი მოიღერა და ღრმად ამოიოხრა:

— ამის შემდეგ რა ხდება? — დასვა მან ისევ კითხვა და მაშინვე შეუდგა პასუხის გაცემას: — ამის შემდეგ, ჩემო ბატონო, მოდიან უგუნური მშობლები და იწყებენ ამ ბუნებრივი ინსტინქტის საწინააღმდეგო ჩვევათა გამომუშავებას. როგორ? სულ უბრალოდ: შეუჩნდებიან ძუძუმწოვარა ბავშვს, ტუჩზე ხელს უცაცუნებენ, აღუ, აღუო უძახიან, მერე იღლიებში შეუღიტინებენ კიდეც და გააცინებენ. დიახ, ბატონო, გააცინებენ. იმას კი არ ფიქრობენ, სიცილი რომ იყოს მისი ბუნებრივი ინსტინქტი, იმთავითვე ტირილს კი არ მორთავენ, არამედ კისკისს დაიწყებენ. ასეა, ბატონო, ტირილი ბუნებრივი ინსტინქტია ადამიანისა, სიცილი კი ხელოვნური ჩვევაა. ისევ რატომო, თუ მკითხავთ, დაბეჯითებით გეტყვით, რომ მწუხარებაა ხვედრი ადამიანისა ამქვეყნად და არა სიხარული. ჩვენ კი გვინდა პირიქით იყოს, მაგრამ არ გამოდის, თავს ვიტყუებთ და სხვასაც ვატყუებთ. ბავშვებსაც ვაწვალებთ, აქაოდა თვითონაც იმხიარულოს და ჩვენც გაგვამხიარულოსო. კარგი დაგემართოთ, ასე რომ იყოს, მაგრამ ასე რომ არ არის?! ცხოვრებას ტანჯვის მეტი რა მოაქვს ადამიანისათვის? ჩვენ კი სიხარულს ვეძებთ და ნაძალადევ ღიმილს გამოვხატავთ. ალბათ, გაგიგონიათ, მიცვალებულთა გამპატიოსნებლები რომ არიან, მკვდრის პირისფარეშნი, მოვლენ და გკითხავენ: როგორ გნებავთ, ბატონებო, თქვენს მკვდარს ბაგეზე ღიმილი გამოვუხატოთ თუ არაო. რატომ გკითხავენ? ეს უფრო ძვირი ღირს, ბატონო, და იმიტომ. თუ ფულს გადაიხდით, კეთილი-ა გეტყვიან და მკვდარს ბაგეზე ღიმილს გამოუხატავენ!

ჩვენც მკვდრის ასეთ პირისფარეშებად ვართ ქცეული, ბატონო, ან თვითონ მიცვალებულებად, კეთილი ღიმილი რომ აქვთ სახეზე გამოხატული...

ღამე და ვარსკვლავები

ისევ ატყდა ძაღლების ყეფა, ისევ ჩაიქროლა მხედარმა და მერე ისევ მიწყნარდა ყველაფერი. ექიმის მწუხარე სახეს მართლაც „მიცვალებულის ღიმილი" გადაეფინა. მერე ნელ-ნელა კვლავ მოიღრუბლა და წყნარად მკითხა:

— ახლა ხომ მიხვდით, ბატონო, რა არის ბუნებრივი ინსტინქტი?

პასუხის ნაცვლად გამეცინა.

— ნუ გეცინებათ, — აწრიალდა ექიმი,—ეს სწორედ ასეა. ცხოვრების აზრი რომ მწუხარება არ იყოს, არც ბავშვები შეხვდებოდნენ თავიანთ დაბადებას ტირილით:

სული კბილით მეჭირა, რამე მწარე არ წარმომცდენოდა ან არ გამცინებოდა. თავს ძალა დავატანე და ვითომ სერიოზულად ვთქვი:

— დიახ, შესაძლებელია. ალბათ, კვიცივით ფეხზე იმიტომაც არ წამოხტება მაშინვე, რომ შემდეგ წოლა ხშირ-ხშირად მოუწევს...

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, — მყისვე დამიდასტურა მან, მაგრამ ირონიასაც უცებ მიხვდა და საყვედურნარევი ტონით მითხრა:

— თქვენ ხუმრობთ, ბატონო, მე კი სერიოზულად მოგახსენებთ...

ბედად ისევ სლავკამ ჩააქროლა ცხენი და უხერხულობის ჩიხიდან გამოგვიყვანა. ამის შემდეგ ის სულ სახლთან ახლოს დააჭენებდა თავის ბედაურს და მთელი ჩვენი შემდგომი საუბარი ცხენის ფლოქვების თქარათქურისა და ძაღლების გაუთავებელი გნიასის აკომპანიმენტით მიმდინარეობდა. მერე, როგორც იქნა, ის ჩემთვის სანუკვარი summa summarum გავიგონე და მაშინვე წამოვიწიე, მაგრამ ექიმი ისევ ჩამაფრინდა მკლავებში:

— ერთი წუთით, ბატონო, ერთი წუთით! მთავარი ის კი არ არის, რაც მოგახსენეთ. მთავარი ისაა, რომ ადამიანი შემდეგ იძულებულია მთელი სიცოცხლის მანძილზე ასეთ ყალბ ჩვევათა ტყვეობაში იყოს... თითქოს რაღაც უხარია, რაღაცას მოელის, შრომობს, წვალობს და ბოლოს? ბოლოს რა? — ისევ დასვა მან კითხვა და უპასუხა კიდეც:

— ბოლოს არაფერი, ჩემო ბატონო, სიკვდილი და მეტი არაფერი!

ახლა მართლა სერიოზულად შევეკამათე:

— კი მაგრამ ნუთუ ქვეყანაზე მწუხარების მეტი არაფერია?

— როგორ არა! განა მე ამას ვამბობ? არავითარ შემთხვევაში, რასა ბრძანებთ! — შევიდა კამათის ეშხში „ციცერონი". — განა არ ვიცი, ცხოვრებაში სიამოვნებაც რომ ბევრია, სიხარულიც! როგორ არ ვიცი! მაგრამ ბალანსს რომ გამოვიყვანთ, მაშინ? რა იქნება მაშინ? რომელი მხრისაკენ დაძლევს სასწორი? კეთილი, ბატონო: კრედიტი — დებიტი, შესავალი — გასავალი, მწუხარება — სიხარული, სიცოცხლე — სიკვდილი. ბალანსი? თქვენ როგორა გგონიათ, ბალანსი რას გვიჩვენებს? მწუხარებას, ბატონო, წარმავლობასა და სიკვდილს!

— რატომ ფიქრობთ ასე? — ისევ ვეკამათები მე. — განა არ შეიძლება სიხარული ისე ძლიერი იყოს, რომ გაანელოს მაინც მწუხარება?

— არა, ბატონო! — შეწუხდა ექიმი, — ასე არ არის. სხვისი მწუხარების ატანა ადვილია, საკუთარისა კი — ძნელი. აიღეთ თუნდაც დედა, რომელსაც ერთადერთი შვილი უკვდება... ცდილობს, რაც შეუძლია, არაფერს ზოგავს, არაფერს აკლებს, რომ როგორმე გადაარჩინოს, ცასა და ქვეყანას შეძრავს ამისათვის... მაგრამ ბავშვი მაინც კვდება. ახლა წარმოიდგინეთ ამ დედის მწუხარება! განა მას ათი ათასი კაცის სიხარული გამოისყიდის? არა, ბატონო!

— კი მაგრამ ყველას ხომ არ უკვდება შვილი? — ჩავერიე ისევ.

— ყველა რა შუაშია, ბატონო? — გაფიცხდა აქამდე დინჯად მოსაუბრე ორატორი. — ერთის სიხარული მეორის მწუ-

ხარეპას როგორ გამოისყიდის?! ყველამ ხომ თაუისი ჯვარი უნდა ზიდოს გოლგოთაზე...

...ცხენმა ალაყაფის კარებთან დაიჭიხვინა. სლავკა ეზოში შემოვიდა. ექიმმა მოუჩქარა ლაპარაკს. ეტყობოდა გულში რაღაც ბოღმა უტრიალებდა და ერთი სული ჰქონდა სლავკას შემოსვლამდე მოესწრო თქმა. ამის გამო კითხვა-პასუხის ფორმაც დაავიწყდა და ისე მომაყარა:

— თქვენ, ალბათ, ვერ ხვდებით, ბატონო, მე რომ ჩემი უბედურების ამბავს გიყვებით. მეც მყავდა შვილი, ცოლიც... პირველი ცოლი. მხიარულიც ვიყავით, ბედნიერიც, მაგრამ მერე... ათი წლის ბიჭი მოგვიკვდა! რა არ ვცადეთ, სად არ გვყავდა, ვენაშიც, პარიზშიც, ბერლინშიც, მაგრამ ვერ ვუშველეთ. არაფერმა გაჭრა. ვხედავდით როგორ გვეცლებოდა ხელიდან, ნელ-ნელა კვდებოდა, მთელი წელიწადი... და გათავდა... დავიღუპეთ, გავუბედურდით... მერე მე როგორღაც დავუბრუნდი ჩემს ბუნებრივ მწუხარებას და შევეჩვიე... ახლა კი, უკან რომ მოვიხედავ, აღარც მაგონდება ოდესმე თუ ვყოფილვარ ბედნიერი. ხოლო ზოგჯერ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემთვის არასოდეს მიცხოვრია, არც არაფერი მინახავს, გოლგოთაზე ფეხშიშველი სიარულის მეტი!

აქ მან ხელი ჩაიქნია, ცრემლი მოიწმინდა და დაუმატა:

— რას იზამთ, ბატონო! ალბათ, ასე მიწერია ბედის წიგნში. უნდა შევეგუო, სხვა რა გზა მაქვს. მე ისეთ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი, ყველაფერს ვეჩვევი. ჩემი პირველი ცოლი კი ვერ შეეჩვია, საცოდავი! ალბათ, დედისათვის უფრო ძნელია... ან ნერვების ბრალია... ვერ შეეჩვია და გადაჰყვა თავის მწუხარებას. ისიც მთელი წელიწადი კვდებოდა, ნელ-ნელა ილეოდა და ჩაქრა... გათავდა...

ექიმმა ცრემლი ისევ მოიწმინდა და ამოიხვნეშა:

— ეჰ, ბატონო, სიკვდილის წინ იმასაც ღიმილი ეკერა ბაგეზე, მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ ღიმილს! ჩემს შვილთან მივდივარო ჩურჩულებდა... და წავიდა, მაგრამ ვინ იცის სად...

შეიძლება ამ კითხვაზედაც თვითონ ეპასუხა, მაგრამ ამ დროს სლავკამ პირდაპირ შემოგლიჯა კარი. სახე ალეწილი

ჰქონდა, ალმურმოდებული, შემოსვლისთანავე გულმკერდი გაიღეღა, სავარძელში ჩავარდა და, სარკისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე მოგვაყარა:

— უჰ, რა კარგია ღამით ცხენის ჭენება! მიქრიხარ და თითქოს მთელი ქვეყნიერება შენ მოგდევს: დედამიწა, ვარსკვლავები, მთვარე, ღამეც, ქუჩებიც, სახლებიცა და ძაღლებიც... ყველაფერი მოგდევს და მაინც მიქრიხარ... მიქრიხარ და არ გეშინია... გიხარია კიდეც, რომ არ გეშინია... ისე სწრაფად მიქრიხარ, რომ შიშიც ვერ გეწევა... არც ფიქრობ ამაზე, მარტო ერთი სურვილი გაქვს: ჩქარა, უფრო ჩქარა!.. გინდა მთელ ქვეყანას გაუსწრო... უჰ, როგორ დამცხა! — დასძინა მან ბოლოს და საკინძი ზომაზე მეტად ჩაიხსნა. სარკეში კი ხედავდა ამას, მაგრამ უხერხულობა მაინც არ უგრძვნია.

ექიმი კი გაოგნებული იჯდა და პირდაღებული შეჰყურებდა ასე უეცრად შემოვარდნილ სილამაზეს. ჯერ თვალზე „ბუნებრივი მწუხარების“ ცრემლი არც კი შეშრობოდა, რომ სახეზე თანდათან ეფინებოდა კმაყოფილების ღიმილი. ეს საოცარი კონტრასტი იყო: ცრემლით სავსე თვალები და ღიმილი! იგი ისე მოწიწებით მიჰჩერებოდა სავარძელში დაუდევრად გადაშხვართულ სლავკას, როგორც მორწმუნენი შესცქერიან ღვთისმშობლის ხატს.

ბე შემაძრწუნა ამ ღიმილმა. ვხედავდი როგორ აქრობდა იგი ექიმის სახეზე „უსაზღვრო მწუხარების“ უკანასკნელ ნაკვალევს. ახლა მას არაფერი ახსოვდა, არც არაფერზე ფიქრობდა, ისე იყო მონუსხული სლავკას სილამაზით. ცოლი, შვილი, ბუნებრივი ინსტინქტები, მარადიული მწუხარების ფილოსოფია — ყველაფერი ერთბაშად გაქრა. მთელი ქვეყნის სიხარული ვერ აიწონისო დედის ერთი მწუხარების სიმძიმეს, ამბობდა იგი რამდენიმე წუთის წინ. ახლა კი სილამაზის ამ სიხარულმა გადასწონა „მთელი ქვეყნის მწუხარება“. ადგა, სლავკას წინ სავარძელში მუხლი მოიყარა და ხატივით ეამბორა თავის კეკლუც მადონას...

მე თვალი მოვარიდე, ისე მეუხერხულა ამის ყურება. მერე ავდექი და ღამე ნებისა ვუსურვე მათ.

სლავკა მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ღილების შეკვრა იყო საჭირო...

...დიდხანს არ დამეძინა. „ბალანსი? რა იქნება ბალანსი?“— მომესმა ისევ ექიმის ხმა. რა ვიცი რა იქნება! ამაზე ახლაც ვფიქრობ. მე კი არა, მთელი მსოფლიო ფიქრობს ამაზე. თემიდას სასწორის თასებიც იმიტომ მოძრაობენ ასე შეუჩერებლივ, რომ ამ შეფარდების „ბალანსი“ შეადგინონ. ეს მარტო იმ თვალმახვილ თემიდას თუ შეუძლია, სხვას არავის. ის თუ გამოიყვანს სიკვდილ-სიცოცხლისა და მწუხარება-სიხარულის ბალანსს...

მართლაც, ორმოცდაათი მილიონი დაღუპული, ხუთი ამდენი მშობელი და ნათესავი, კიდევ მეტი ნაცნობი და მეგობარი... მათი მწუხარება... სინანული... ყოველივე ეს თემიდას სასწორის ერთ თასზეა, მეორეზე კი — გამარჯვების სიხარული... შინდაბრუნებულთა ზეიმი... მათი შშობლების, ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების ბედნიერება... დამარცხებული ბოროტება და გამარჯვებული სიკეთე!.. მერედა რომელი თასი გადასწონის?!..

ბაჩერებული მზე...

ეს ფიქრი ამეკვიატა, როცა იმ ექიმის ოთახიდან გამოვედი, და დიდხანს არ მომასვენა. მთელი ღამე თითქოს ბურანში ვიყავი. თვალს მოვხუჭავდი თუ არა, ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა: ცხადი და სიზმარი, სინამდვილე და მოჩვენება, სადღაც გაგონილი თუ წაკითხული ამბები და საკუთარი თავგადასავალი, სიკვდილ-სიცოცხლის რაღაც უცნაური და კოშმარული ნაერთი... ისევ იმ ას ერგასის დღის საშინელი სურათები ცვლიდა ერთმანეთს... სისხლის ნიაღვარს ათასობით და ათიათასობით განწირული ადამიანი მოჰქონდა, მერე ისინი ჩონჩხებად იქცეოდნენ და იცინოდნენ...

— ბალანსი... ბალანსი... რა იქნება ბალანსი! — იძახდა რომელიღაც მათგანი და შიშველ ყბებს აწკაპუნებდა... სხვები სისხლის ტალღებს მოჰყვებოდნენ და შველას ითხოვდნენ. მათ შორის ნაცნობებსაც ვხედავდი, დატანჯული სახე ჰქონდათ, მაგრამ მაინც ამაყად გამოიყურებოდნენ...

მერე თითქოს სადღაც ნანახი სურათი გაცოცხლდა: მაცხოვრის შთასვლა ჯოჯოხეთში!..

— მე რომ ქრისტე ვყოფილიყავი... — იძახდა ვიღაცის ჩონჩხი და თანდათან ემსგავსებოდა ჩემს მასპინძელ ექიმს... ეშმაკურად იცინოდა და პირიდან გოგირდის კვამლი ამოსდიოდა... თვითონაც ეშმაკსა ჰგავდა, წითურწვერიანს...

— მე რომ ქრისტე ვყოფილიყავი... — გაიმეორა მან და სულ მთლად სატანის სახე მიიღო... შემეზიზღა მისი ყურება და ზურგი შევაქციე... თან ვყვიროდი, ვბორგავდი, ვიღაცას ვუხმობდი, მაგრამ ყოველი მხრიდან იმ სატანის ხმა მესმოდა:

— ბალანსი? რა იქნება ბალანსი?..

სისხლის ნიაღვარს კი ისევ ომში დაღუპულ გმირთა გვამები მიჰქონდა. ზოგი გულხელდაკრეფილი მოჰყვებოდა დინებას, ზოგიც ცოცხალივით მოდიოდა სისხლის მორევზე...

თითქოს ვიღაცის ნაცნობი სიტყვებიც გავიგონე:

— ყველას ესმოდა ერთიმეორის გულისპასუხი. ჯავრს. ვარამს, დიდ ბოღმას შეეპყრო მთელი მათი მედიდური არსება. ზოგს მეტისმეტად უხდებოდა მსხვილი, დიდრონი მკლავები, ბრტყელ გულმკერდზე დაწყობით დალაგებული... მინდოდა ხმა მიმეწვდინა, მაგრამ ისინი ყურს არ მიგდებდნენ, როგორც დიდი სალი კლდე არ უგდებს ყურს ქარის გრიალს ან ფრინველის ფრთის შეხებას...

მერე ისევ ვიღაცის ხითხითი მომესმა. შორიდან იმ „ყანჩა პარუმბაკუს“ ვამსგავსე, მაგრამ, მომიახლოვდა თუ არა, ისევ ის ექიმი იყო... თავისი ცბიერი თვალებით, გაწეწილი, მქისე, საძაგელი შეხედულებით...

— ბალანსი? რა იქნება ბალანსი? — ერთხელ კიდევ ჩაიხითხითა მან და წითური წვერი მოიქექა...

მინდოდა გამეგდო, ვიყვირე კიდეც. მაგრამ მკლავში ხელი ჩამავლო და ხრინწმორეული ხმით წამჩურჩულა ნაცნობი სიტყვები:

— არ წავალ და ვერც ძალით გამაგდებ. ენით, რაც გენებოს, ბრძანე. შენ მე იოტისოდენად ვერ შემდრეკ, იმიტომ რომ მე მოუდრეკელი ვარ. მე როგორაც დავიბადე, ისეთი ვარ მუდამწამს, მუდამჟამს, ყოველგვარ შემთხვევაში. სრულია ჩემი ბუნება მუდამ, არც დაიკლებს, არც მოიმატებს არასდროს. ამიტომ სულ ამაოა შენი რისხვა, შენი წყევლა და მუქარა, ისევე ამაო, როგორც შენი ლტოლვა და მისწრაფება...

მინდა პასუხი გავცე, თავს ძალას ვატან, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ, ენა არ მემორჩილება... ასე ვწვალობ ერთხანს, ის კი ხითხითებს და წვერს იქექავს...

მერე თითქოს ვიღაცა შეიძრა ჩემში თუ ჩემ ახლოს და ჩემ მაგივრადაც იმან გასცა პასუხი იმ სატანას:

— სუ, ჩუმად-მეთქი! ნუ მომაგონებ იმას, რაც არ მინდა მოვიგონო და არც მოსაგონებელია. ეგ მეც ვიცი, მაგრამ მისწრაფება, ფიქრი, გრძნობა, სიყვარული, მტრობა და ყოველივე ის, რაც ცხოვრებას შეადგენს, აძინებს მაგ ფიქრს დასასრულისას, წყეულო! შენი ბუნება ამას ვერ გაიგებს, რადგან იგი შხამია, საწამლავი...

უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს ალისფერ რაშზე მჯდარი შიშველი ამაზონი გამოჩნდა. თმები გაწეწილი ჰქონდა, სახე — ალეწილი, თვალებიდან ნაპერწკლებს ისროდა და ისე მოქროდა სისხლის ნიაღვარზე, რომ ერთი წვეთიც არ ხვდებოდა მის სხეულს...

იმ ქალის დანახვაზე წითურწვერიან სატანას სახე გაუბრწყინდა, თვალები სიხარულით აევსო და ისე მიაშტერდა ამ საოცრებას... მაგრამ, მხედარი რომ ჩვენთან მოვარდა, ცხენი უცებ ცოცხად იქცა, ის მშვენიერი ამაზონი კი — საზიზღარ დედაბრად. წელში მოხრილი იყო, სახედაღმეჭილი, დამჭკნარი, ტუჩებიდან უკბილო ორმო უჩანდა და... მაინც საოცრად ჰგავდა სლავკას...

ექიმი შეძრწუნდა, მაგრამ იმ დედაბერმა ისევ იცვალა სახე და... სლავკას მოქნილი ტანი აიგრიხა ჩვენ თვალწინ.

გვერდი ვიცვალე, მაგრამ კოშმარები ვერ მოვიშორე... ავდექი... ფანჯარა გავაღე! თვალღია ზმანებანი მაინც თან გამყვნენ. შუაღამე გადასული იყო. საკვესე მთვარე წითლად ღვიოდა, თუ ესეც მომეჩვენა. დასავლეთით თითქოს ცის კიდურიც ალისფრად იყო განათებული... მზე შუბის ტარზე იდგა... ღამე, მთვარე, ვარსკვლავები და... მზე!.. ერთსა და იმავე დროს!...

ჩემში კი ისევ ვიღაც მეტყველებდა... თუ თავისთვის ამბობდა:

— მე თვალი მივაპყარ დასავლეთს და მკვდარი გავცოცხლდი. საუცხოო მნათობი ანათებდა, ერთს ადგილს გაჩერებული. მზე იყო, მაგრამ ის მზე არა, დილით რომ ამოდის და

მიეშურება საღამოზედ გორას მიეფაროს. იმ მზეს არ ეჩქარებოდა ჩასვლა, თვით იმას სწყუროდა ენათა ქვეყნისათვის, თვალდამშეული უცქეროდა ჩვენს მხარეს. მე გიყურებ, გონებადაბნეული შევხაროდი, შევტრფოდი მნათობს და მუხლს ვუყრიდი...

...ფანჯარა დავხურე და ისევ დაძინება ვცადე. თითქოს ჩავთვლიმე კიდეც, მაგრამ ზმანებანი ისევ აირიენენ ერთმანეთში... მერე, ეტყობა, განთიადმაც მოატანა და გავიგონე, როგორ გაიღო ალაყაფის კარები და როგორ გავიდა ექიმი ეზოდან. მე მესმოდა მისი ფრთხილი ნაბიჯების ხმა მეზობელი ოთახიდან, მერე — კიბეებზე ჩასვლისას და ეზოდან. ამ ხმას ფოსტლების მსუბუქი შრიალი აჰყვა... კარის ფრთხილი გაღება და... ისევ გამკრთალი ძილი... თუ ძილის წინ ნანახი სიზმარი...

მერე იმ სიზმარსაც უეცარი ხმაური არღვევს. თითქოს სროლის ხმაა, ეს ხმა თანდათან ძლიერდება, შიგადაშიგ ტყვიამფრქვევიც გაიკაკანებს, გაისმის შეძახილებიც...

— რუსინო, რუსინო! — მანჯღრევს დამფრთხალი სლავკა, — რაღაც ამბავია, სროლაა, ყვირილი!..

სასწრაფოდ ვიცვამ. მართლაც, საშინელი აურზაურია. ვფიქრობ, რა უნდა იყოს! გერმანელებმა საპარაშუტო დესანტი ხომ არ გადმოსხეს ან... თუმცა სისულელეა... ფრონტი უკვე შორსაა. სროლა და ღრიანცელი უკვე ჩვენს სახლთან ისმის... ფანჯარასთან მივედი...

— არ მიხვიდეთ! — შეჰკივლა სლავკამ, — ფანჯარასთან არ მიხვიდეთ! ვერ უყურებთ რა სროლაა?!..

განზე გავდექი და ფარდა გადავწიე. საერთო ხმაურში ახლა უფრო გარკვევით გავიგონე ბეგის ღრიალი:

— პარდონ, უფროსო, გაიღვიძეთ, დაგაგვიანდათ!..

ფანჯარა გავაღე, ისევ სროლამ და ვაშას ძახილმა შეძრა იქაურობა. მთელი ჩვენი განყოფილება ეზოში იყო, ისროდნენ, ყვიროდნენ, ხტოდნენ...

— გამარჯვება! — დაიძახა ისევ ბეგიმ, — გამარჯვება! ომი დამთავრდა, რადიოთი გადმოსცეს!..

ეს იყო ცხრა მაისს დილით. უკვე მთელ სოფელში ისმო-

და სროლის ხმა. ფერდობზე განლაგებულ დივიზიაში ხომ ერთი ალიაქოთი ჰქონდათ ატეხილი. ყველა ზეიმობდა. სახეზე მეც ბედნიერების ღიმილი გამომხატოდა... ვიღაცამ აპარატი გააჩხაკუნა და... ახლაც ჩემ წინ დევს ეს ფოტოსურათი.

მე მას „გამარჯვების დილა“ ვუწოდე...

ნიბელუნგების განძი...

ის დღე სულ ზეიმში გავატარეთ. საღამოს ჩარიტა ჩამოფრინდა და სასწრაფო განკარგულება მოიტანა, ვენაში გიბარებენო. ერთი საათის შემდეგ იქ ვიყავი. ჩვენი ზეიმი ცოტათი ნაადრევი გამოდგა: შტაბში მითხრეს, უკრაინის მეორე ფრონტის შენაერთთა წინააღმდეგ მოქმედმა გერმანიის ჯარებმა უარი განაცხადეს კაპიტულაციაზე და განაგრძობენ საბრძოლო მოქმედებასო. მეორე დღეს მოსკოვიდანაც გადმოსცემდნენ უმაღლესი სარდლობის ცნობას: ჩეხოსლოვაკიასა და ავსტრიაში არმიათა ერთი ჯგუფი, რომელსაც ფელდმარშალი შერნერი მეთაურობს, არ შეუერთდა საერთო კაპიტულაციას, მაგრამ იმედია ჩვენი ჯარები ჩქარა მოიყვანენ მათ ჭკუაზეო...

ასეც მოხდა. მაგრამ ამას დრო და ისევ მსხვერპლი უნდოდა. მერედა რა მწარე იყო იმ ოფიცერთა და ჯარისკაცთა ხვედრი, რომელნიც ცხრა მაისის შემდეგ დაიღუპნენ შერნერის ჯგუფთან ბრძოლაში. რატომ? რისთვის? ეს ჩვენთვისაც გაუგებარი იყო. როგორ შეიძლებოდა უსიტყვო კაპიტულაციის ოფიციალური გამოცხადების შემდეგ კიდევ წინააღმდეგობის გაწევა, ომის გაგრძელება?!..

მაშინ რა ვიცოდით, რომ ყოველივე ეს წინასწარ ყოფილა დადგენილი და განსაზღვრული. მათი ოდენდელი თეორიის მიხედვით რომ არიული რასის წინაპრები „მსოფლიო კატასტროფის“ შემდეგ მთებსა და გამოქვაბულებს შეეჩიზნენ... ზოგი — ჰიმალაისა და კავკასიის უღელტეხილს, ზოგიც — გობის უდაბნოებს... გერმანული მითოლოგიის მიხედვით კი — ტიურინგიის მთებსა და ალპებს, სადაც ძველი გერმანელი ღმერთი ვოტანი მბრძანებლობდა. ახლა კი, მესამე იმპერიის კრახის შემდეგ, არისტოკრატიული არიელობის უკანასკნელი

ნაშთები, უმთავრესად ესესელები, ისევ იმ ალპებისაკენ მიიწევდნენ, რომ იქ შეექმნათ მიუვალი ციტადელი და დაეცადათ, ვიდრე კვლავ საბრძოლველად არ მოუხმობდა ღმერთი ვოტანი ან ახალი ფიურერი...

ეს გეგმა ჯერ კიდევ 1944 წელს მუშავდებოდა. ომის დასასრულ პერიოდში კი ჰიტლერმა კალტენბრუნერსა და ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ ოტო სკორცენის მიანდო ამის განხორციელება. ე. წ. „ალპების ციტადელისაკენ“ დაიძრნენ პარტიული ხელმძღვანელობის ნაშთები და მეურნეობის სამინისტროს მუშაკები, რომელთაც თან მიჰქონდათ „ნიბელუნგების განძი“ — გერმანიის მიერ ომის განმავლობაში მთელს ევროპაში ნაძარცვი ნადავლი, უმთავრესად ოქრო, ძვირფასი ქვები, ხელოვნების უნიკალური ნაწარმოებნი, საიდუმლო დოკუმენტები და ფული...

ახლა ძნელი წარმოსადგენიცაა, თუ რა მასშტაბის ღონისძიებები ხორციელდებოდა მაშინ. ნაციონალ-სოციალიზმის მეთაურებმა ჯერ ხომ უამრავი განძი გადაიტანეს უცხოეთის ბანკებში, ბევრი ტიურინგიის მთების ტბებში ჩაძირეს რკინის ზანდუკებით, მაგრამ, რაც დარჩა და ჩვენმა მოკავშირეებმა იგდეს ხელთ, არც ის იყო ცოტა: 280 ათასი კილოგრამი, ანუ ორას ოთხმოცი ტონა წმინდა ოქრო, ათასობით ტონა ძვირფასი ქვები, ათ მილიარდ ოქროს მარკად ღირებული ხელოვნების ნაწარმოებნი, უამრავი ვალუტა და ვინ მოთვლის კიდევ რა... პრიამოსის ან ნიბელუნგების განძი ამასთან შედარებით ხელისგულზე გადასათვლელი წვრილი ფულია, სხვა არაფერი...

მერედა საიდან დაგროვდა გერმანიაში ეს აურაცხელი საგანძური? ვინ მოუყარა ასე ერთად თავი მთელი ევროპის სიმდიდრეს? ზოგი რამ ამის შესახებ ჩვენთვის უკვე ცნობილია. ჰიტლერელებმა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გამოსცეს კანონი, რაც აიძულებდა გერმანიის მოსახლეობას ხელისუფლებისათვის ჩაებარებინა მთელი თავისი ოქროულობა და ძვირფასი ქვები, თვით ბეჭდებიც, ყელსაბამებიცა და საყურეებიც კი. ყოველივე ამან ომის პირველივე წელს ხუთასი მილიონი რაიხსმარკის ღირებულებას გადააჭარბა. ეს კიდევ არაფერი! 1934 წელს „კრისტალის ღამეს“ ებრაელთა ექსპრო-

პრიაციის შედეგად ჰიტლერელებმა უამრავი საგანძური მოაგროვეს. ნიურნბერგში ბრალმდებლებმა განაცხადეს, რომ ბერლინის მარტო ერთი საიუველირო მაღაზიიდან (უნტერ დენ ლინდენზე) ორ მილიონამდე რაიხსმარკად ღირებული ძვირფასი ლითონი და ქვები გაიტაცეს. ომის წლებში დროებით დაპყრობილ ტერიტორიათა მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა ხომ კოლოსალური მასშტაბით ტარდებოდა. ჩეხოსლოვაკიიდან, პოლონეთიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, ლუქსემბურგიდან, დანიიდან, ნორვეგიიდან, იუგოსლავიიდან და, ბოლოს, საბჭოთა კავშირიდან უამრავი ოქრო და ძვირფასი ქვები მიედინებოდა იმპერიის სალაროში. მარტო ბუდაპეშტის ბანკიდან 1945 წელს გერმანელებმა თვითმფრინავებით გაიტანეს სამი ტონა ოქრო. ალფრედ როზენბერგმა რაიხსკანცელარიას მისწერა, რომ აღმოსავლეთ ევროპიდან გერმანიაში გასაგზავნი ხელოვნების ძეგლებისათვის საჭიროა 1 418 000 სარკინიგზო ვაგონი და აგრეთვე საზღვაო ტრანსპორტი 427 000 ტონა წყალწყვისაო.

იქ, სადაც გერმანელები ქვეყნის სრული ბატონ-პატრონნი არ იყვნენ, გამოძალვის ტერორისტულ მეთოდებს მიმართავდნენ. ბუდაპეშტში ებრაელ ბანკირებსა და მილიონერებს გამოუცხადეს: სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ, თუ მთელ თქვენს ქონებას ჩვენ გადმოგვცემთო. იმათაც სხვა რა გზა ჰქონდათ, ჩააბარეს ყველაფერი. თავად ისინი კი ესესელებმა თვითმფრინავში ჩაყარეს, თხუთმეტ-თხუთმეტი კილოგრამი ბარგის წაღების უფლება მისცეს და პორტუგალიაში გაასახლეს. შემდეგ მათს სასახლეებს მიესივნენ და ყველაფერი დაიტაცეს. უამრავ ოქრო-ვერცხლსა და ძვირფას ქვებს გარდა წაიღეს რემბრანდტის, რაფაელის, დიურერის, კორეჯოს, პიკასოს, რენუარისა და მატისის ორიგინალები...

მერე ადამიანებით ვაჭრობაც არ ითაკილეს. ესესელი ბეხერი შვეიცარიაში ყოველი პატიმარი ებრაელის გამოსასყიდად ათას დოლარს იღებდა ებრაელთა საერთაშორისო ორგანიზაციისაგან.

საკონცენტრაციო ბანაკებში რომ პატიმრებს ოქროს კბილებს აძრობდნენ, ადნობდნენ და გერმანიაში აგზავნიდნენ,

ამანაც მნიშვნელოვნად გაზარდა ჰიტლერელთა სიმდიდრე...

ამის შესახებ ნიურნბერგშიც დაჰკითხეს მთავარ სამხედრო დამნაშავეს, მეურნეობის ყოფილ მინისტრსა და რაიხსბანკის თავმჯდომარეს ვალტერ ფუნკს, რომელმაც 1937 წელს ამ თანამდებობაზე შეცვალა ნდობადაკარგული იალმარ შახტი.

ბევრი იწრიალა ფუნკმა, ბევრი იწვალა, რამდენჯერმე იტირა კიდეც, რათა პასუხისმგებლობა აეცდინა თავიდან ნაძარცვი სიმდიდრისა და უანრავი ყალბი ფულის ფაბრიკაციისათვის, მაგრამ თავზე ნაცრის ყრა და თვალების მოცრემლიანება რას უშველიდა, როცა იმ ათას ხუთასი ფუთი დოკუმენტის რამდენიმე გრამიც საკმარისი გახდა, რომ ყველაფერი ეღიარებინა...

— უბედურება მარტო ძარცვა კი არა, უფრო ისაა, რომ ამ ოქროს სისხლი სცხია, — თქვა ინგლისელმა ბრალმდებელმა...

...არც პოტსდამის კონფერენციას დაუტოვებია ეს საკითხი უყურადღებოდ. როცა ცნობილი გახდა, რომ ინგლისელებმა და ამერიკელებმა ორას ოთხმოცი ტონა ოქრო, შვიდასი ათასი ბრილიანტის ბეჭედი და სხვა უამრავი განძი იგდეს ხელთ, ინგლისის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნსტ ბევინმა თვითონ დასვა საკითხი ნადავლის სათანადო ნაწილის საბჭოთა კავშირისათვის გადმოცემის შესახებ.

ყველასათვის მოულოდნელად სტალინმა უარი თქვა ამაზე.

რატომ, კითხულობდნენ მაშინ გაოცებული სახელმწიფო მოღვაწენი და ჟურნალისტები, გარკვეულ პასუხს კი ვერავინ იძლეოდა. არც მე ვიცი რატომ. მაგრამ, როცა წარმოვიდგენ, იმ ორას ოთხმოც ტონა ოქროში რომ საკონცენტრაციო ბანაკების ტუსაღთა ყბებიდან ამოგლეჯილი კბილებიც ერია, მოკლულთა თითებიდან წაძრობილი ბეჭდებიც და, საერთოდ, მთელი იმ „ნიბელუნგების განძის“ ყოველ გრამ ოქროზე თუ ძვირფას თვალზე მართლაც ადამიანთა სისხლი ეცხო, წარმოდგენილი მაქვს, რატომ ასე ზიზღით აიქნია ხელი სტალინმა და უარი თქვა შემოთავაზებულ საუნჯეზე...

ომის უკანასკნელ დღეებში კი ყოველივე ეს მოძრაობაში იყო. მაშინ „ნიბელუნგების განძი“ თვითონ გერმანელებს მიჰქონდათ ალპების ციტადელში... მიდიოდა ათასობით მძიმედ დატვირთული სატვირთო მანქანა... მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა... ზოგს გვირაბებში მალავდნენ, ზოგს რკინის ზანდუკებში აწყობდნენ და ტეპლიცზეეს ფსკერზე ძირავდნენ, ზოგსაც თვითონ იტაცებდნენ და ჯიბეებს იტენიდნენ გაქცევის წინ...

იქითკენვე მიემართებოდა იტალიიდან თუ დასავლეთ გერმანიიდან უკანდახეული ესესელთა ნაწილები. „ალპების ციტადელი“ მიუვალ ციხე-სიმაგრედ უნდა ქცეულიყო. მართალია, გერმანელებმა უკვე უსიტყვო კაპიტულაციას მოაწერეს ხელი, მაგრამ ჰიტლერის მემკვიდრის დენიცის „მთავრობა“ ჯერ კიდევ მოქმედებდა, ხოლო სახმელეთო ჯარების ახალი მთავარსარდალი ფელდმარშალი შერნერი ისევ განაგრძობდა სამხედრო წინააღმდეგობას. მას ჯერ კიდევ კაპიტულაციის გამოცხადებამდე უნდა შეექმნა „ალპების გამაგრებული ზონა“ და შეენარჩუნებინა ძალები „ახალი პოლიტიკური სიტუაციის“ მოლოდინში. ეს გეგმაც ჩაიშალა. არავითარი „ახალი სიტუაცია“ არ შექმნილა. მიუხედავად ამისა, შერნერი „თორმეტი საათის შემდეგაც“ განაგრძობდა წინააღმდეგობას. ეტყობა, იმასაც ჰქონდა იმედი, რომ მოკავშირეთა შორის კონფლიქტი ჩამოვარდებოდა...

...არც ჩვენი მოკავშირეები ეშვებოდნენ ასე ადვილად ამ შესაძლებლობას. როგორც ჩანს, მათთვის სრულიად მოულოდნელი იყო საბჭოთა არმიის ასეთი სწრაფი წინსვლა ბერლინისა და პრაღის მიმართულებით. პირველ აპრილს ჩერჩილი სწერდა რუზველტს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ბერლინში პირველი ჩვენ უნდა შევიდეთო. ეიზენჰაუერმა სასწრაფო განკარგულება მიიღო ელბა გადაელახა. ასევე უნდოდათ ვენისა და პრაღის აღებაც. არ გამოუვიდათ. გერმანიის, ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქებში პირველი საბჭოთა არმიის ნაწილები შევიდნენ. მონტგომერისაც ჰქონდა ნაბრძანები უფრო სწრაფად წაეწია წინ, მაგრამ ვერც იმან მოახერხა ეს,

თუმცა გერმანელები უკვე ფეხქვეშ ეგებოდნენ მას. გერმანიის არმიათა ჯგუფის სარდალმა გენერალმა ბლუმენტრიტმა კაიტელთან შეთანხმებით ორ მაისს ზავის დადება სთხოვა მონტგომერის; მერე დელეგაციაც გაუგზავნა ადმირალ ფრიდებურგის მეთაურობით, რომელმაც განუცხადა ფელდმარშალს, რომ ინგლისელთა წინაშე სურთ კაპიტულაცია და არა „საერთოდ მოკავშირეთა წინაშე". ცხადია, ეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გაგრძელებას გულისხმობდა.

მონტგომერიმ იცოდა, ასეთი სეპერატული მოქმედება რომ მოკავშირეთა საერთო დეკლარაციებს ეწინააღმდეგებოდა, და ჯერ მტკიცე უარი უთხრა, „რუსები ჩვენი მოკავშირეები არიან და ამას ვერ ვიზამთო", მაგრამ შემდეგ ეშმაკურად შენიღბული გამოთქმა „ტაქტიკური კაპიტულაცია" მოიგონა. ნართლაც, ტაქტიკური მოსაზრებით, თორემ ამ ეშმაკობას ვინ არ მიხვდებოდა. თვით ამერიკის სახელმწიფო მდივანმა სამუელ ჰორმაც კი დაწერა, ეს „ტაქტიკური კაპიტულაცია" სეპარატული ზავის მაგივრად იყო მოგონილიო.

ასეთ პოლიტიკას ხელს უწყობდა გერმანიის ახალი „მთავრობაც". როგორც კი დენიცმა შეადგინა ეს „მთავრობა", მაშინვე მიმართა ჯარისკაცებს:

— მე ვიღებ ჩემს თავზე გერმანიის ვეერმახტის უმაღლეს სარდლობას, აღსავსე მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ განვაგრძო ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ... ინგლისელებსა და ამერიკელებს მე იძულებული ვარ ვებრძოლო იმდენად, რამდენადაც ისინი ხელს მიშლიან ამაში...

ესეც ფარისევლობა იყო. დენიცი სულაც არ აპირებდა დასავლეთის სახელმწიფოებთან ბრძოლას. პირიქით, კოპენჰაგენის ნავსადგურში თავშეფარებულმა გერმანიის ფლოტის ნარჩენებმა განკარგულება მიიღეს დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ საომარი ოპერაციები ინგლის-ამერიკის ძალების წინააღმდეგ და აღმოსავლეთის ფრონტისაკენ აეღოთ კურსი. ამის შემდეგ სახმელეთო ჯარების შენაერთებმაც „ტაქტიკური კაპიტულაციის" ხერხს მიმართეს.

ოთხ მაისს გერმანიის ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფები ჩაბარდა მოწინააღმდეგეს. საიდუმლო ბრძანებაში ეწერა:

— ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში, დანიასა და ჰოლან-

დიაში ჩვენ ვყრით იარაღს, რადგან დასავლეთის სახელმწიფოებთან ბრძოლამ აზრი დაკარგა, აღმოსავლეთში კი ომი გრძელდება...

შვიდ მაისს გერმანიის სამხედრო ფლოტის ნარჩენები მართლაც გაემართა ბალტიის ზღვისაკენ. იმავე დღეს დენიცმა ეიზენჰაუერთან ადმირალი ფრიდებურგი გაგზავნა და დასავლეთის ფრონტის საერთო კაპიტულაცია შესთავაზა. ამასთანავე იოდლი მოლაპარაკებას აწარმოებდა ეიზენჰაუერის შტაბის უფროსთან გენერალ სმიტთან, რომლის ანტისაბჭოთა განწყობილება ყველასათვის კარგად იყო ცნობილი. სმიტი, რა თქმა უნდა, დასთანხმდა, რადგან ამის შემდეგ დენიცის მთავრობას მთელი თავისი სამხედრო ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე უნდა გადმოესროლა. მაგრამ საბჭოთა მთავრობის ენერგიულმა ჩარევამ ეს გეგმაც ჩაშალა...

...მერე გერმანელებს მოკავშირეთა წინაშე უსიტყვო კაპიტულაციაზე მოაწერინეს ხელი ბერლინში და ამით დასავლეთის ფრონტზე ბრძოლები შეწყდა. ამ ფრონტის უკანასკნელი სარდალი ფელდმარშალი კესელრინგი ამერიკელებმა „დაატყვევეს“, მაგრამ მისთვის მოქმედების საშუალება არ წაურთმევიათ, იგი ერთხანს კიდევ იძლეოდა განკარგულებებს. თვითონ კესელრინგი წერს თავის მემუარებში, ეს „მოკავშირეთა შორის უთანხმოების ნიშანი იყო“. მას უნდოდა „ალპების ციტადელის“ დაცემის შემთხვევაში ფელდმარშალ შერნერის ჯგუფი ინგლის-ამერიკის ჯარებისათვის ჩაებარებინა. საჭირო იყო დროის მოგება. შერნერიც ამიტომ განაგრძობდა ბრძოლას ჩვენი ფრონტის წინააღმდეგ...

...ამერიკელთა არმია გენერალ პატონის მეთაურობით მაშინ კარსლბად-პილზენის მიმართულებით მოქმედებდა. „ტყვე“ კესელრინგისა და პატონის შეთანხმებით გერმანელმა პოლკოვნიკმა გ. მაიერ-დეტრიგმა ფლესბურგიდან წამოიღო დენიცის ბრძანება შერნერისათვის გადასაცემად. ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ ეს ჯგუფი „განსაკუთრებულ მდგომარეობაში“ იმყოფება და ევალება რაც შეიძლება დიდხანს გაუწიოს წინააღმდეგობა საბჭოთა არმიას, რათა შემდეგ გზა გაიკაფოს

დასავლეთისაკენ და ტყვედ დანებდეს მოკავშირეებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს იალტის შეთანხმების აშკარა დარღვევა იყო, გენერალმა პატონმა მაინც დიდი გულმოდგინება გამოიჩინა ამ მხრივ: გერმანელ პოლკოვნიკს მან თანმხლებად ამერიკელი ოფიცერი გააყოლა და ამერიკული მანქანით გაატარა თავისი ჯარების განლაგებაში. მაიერ-დეტრიგმა მშვიდობით გაიარა ჩეხი პარტიზანების პოზიციებიც და იოსებშტადტის ახლო ვოლჰოვში გადასცა დენიცის ბრძანება შერნერს.

პოლკოვნიკმა მაიერ-დეტრიგმა შემდეგ გენერალ-მაიორის ჩინი მიიღო...

უკანასკნელი ოპერაცია...

ამასობაში ჩვენმა ფრონტმაც მიიღო ბრძანება „შერნერის ჯგუფის“ სწრაფი ლიკვიდაციის შესახებ. საბჭოდრო თვალსაზრისით საამისოდ უკვე ყველაფერი მზად იყო. ჩვენი განყოფილებაც თავის უკანასკნელ ოპერაციას ატარებდა. საჭირო იყო გერმანელი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია, რომ ომი დამთავრდა და გერმანიის არმიამ კაპიტულაცია მოახდინა, რასაც საკუთარი სარდლობა უმალავდა მათ. ჩვენი ფრონტის სარდლობას ულტიმატუმიც უნდა გაეგზავნა შერნერის შტაბისათვის უაზრო მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ. ამ ულტიმატუმის მასობრივი გავრცელება ჩვენ გვევალებოდა, ვადები კი საოცრად მცირე იყო. სასწრაფოდ მოწვეულ თათბირზე გამოირკვა, რომ ფრონტის შტაბის ყველა საველე სტამბის ორასი-სამასი ათასი „მფრინავი ფურცლის“ დაბეჭდვის მეტი არ შეეძლო, ხოლო საჭირო იყო ბევრად უფრო მეტი. უკვე ღამდებოდა. დილით ადრე კი ეს ფურცლები გავრცელებული უნდა ყოფილიყო, და, თუ დანებების ნიშანს არ მოგვცემდნენ, დაიწყებოდა უკანასკნელი დიდი შეტევა. მე იმედი მქონდა, რომ ღამით ბრატისლავას სტამბას ავამუშავებდი. ამის გამოსარკვევად ნახევარი საათი ვითხოვე. ვენიდან ბრატისლავში ჩვენს წარმომადგენელს დაუკავალე ბინებში მოეძებნათ სტამბის მუშები. ავიაციის სარდალს განკარგულება

მიეცა ღამით ბრატისლავას ახლომახლო აეროდრომებზე მოეყრა თავი საჭირო თვითმფრინავებისათვის. შტაბში ღელავდნენ, მოესწრება ყველაფერი ეს თუ არაო. ჩვენი „გაუცინარი“ კენერალი წამდაუწუმ მეკითხებოდა, რამდენის დაბეჭდვას მოასწრებთო. მე არ მინდოდა წინასწარ მეთქვა, თუმცა კარგად ვიცოდი, რომ, თუ სტაბბას ავამუშავებდით, მერე სულ ერთი იყო; იქ ისეთი აგრეგატები იდგა, თუნდაც რამდენიმე მილიონს დავბეჭდავდით. ერთი საათის შემდეგ ვინერ-ნოიშტადტიდან ბრატისლავაში გავფრინდი. აქ თითქმის „საალყო წესები“ იყო გამოცხადებული. სამხედრო ნაწილების ორმოცდაათი მანქანა დაქროდა ქალაქში და ეძებდა სტამბის მუშებს მთელი ჩვენი განყოფილებაც აქ იყო თავმოყრილი. „ოპერაციას“ დრუნიკოვები და, რა თქმა უნდა, ბეგი ხელმძღვანელობდნენ. ის „ხეკაკუნა“ ტრაინინიც დაჩალიჩობდა სადღაც. და ყველაფერს გავაკეთებთო იძახდა სხვის მაგივრადაც, თვითონ კი მხოლოდ მზაზე უყვარდა მზარეულობა, თანაც ისეთი მუჭატყუილა იყო, მის ნათქვამს კარებამდე ვერ ენდობოდა კაცი.

— ხეკაკუნას გათლილი ხე ჯერ არაფის არ უნახავსო, — იტყოდა ხოლმე პაოლო.

ქალაქის სამხედრო კომენდატი ყოველგვარ დახმარებას უწევდა ჩვენებს. შტაბიდანაც მიეღოთ სარდლის განკარგულება „მწვანე გზა“ გაეხსნათ განყოფილებისათვის. ყველა ფეხზე იდგა. თვითმფრინავები უკვე თავს იყრიდნენ აეროდრომზე. განზრახული იყო ერთდროულად ხუთასამდე ბომბადმშენისა და გამანადგურებლის გაგზავნა. ჩვენი საცოდავი „მფრინავი ფილარმონია“ უკვე აღარავის უნდოდა. მერე მითხრეს, თუ როგორ დასცინოდნენ სამხედრო მფრინავები ჩარიტას, თუ გინდა შენი ფანერის ხუხულას ბუქსირით წავიყვანთო. ჩარიტა და ანატოლი იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ და თავიანთი უკანასკნელი „ლექციისათვის“ ემზადებოდნენ...

...ყველაზე უფრო ჩვენი გენერალი ღელავდა. ამ ოპერაციის საერთო პასუხისმგებლობა მას ჰქონდა დაკისრებული. ყოველ ნახევარ საათში გაისმოდა მისი ზარის ხმა ბრატისლა-

ვაში, კითხულობდა როგორ მიდის საქმეო. ვაიმედებდი. ის კი თავისას გაიძახოდა, თუკი ყველაფერი რიგზე იქნა, რამდენის გაგრცელებას მოახერხებთო. უნდოდა რაც შეიძლება ბევრი ყოფილიყო, იქნებ ნახევარი მილიონიც მოასწროთო, მეტზე კი არც ოცნებობდა. ღამის თორმეტ საათზე სტამბა ამუშავდა. გენერალმა ისევ დარეკა. ვაცნობეთ, რომ დავიწყეთ. რამდენს მოახერხებთო იკითხა ისევ. მილიონს-მეთქი, რომ ვუთხარი, ხუმრობა ეგონა:

— სახუმაროდ სადა მცალია! — მისაყვედურა მან.

— არ ვხუმრობ, იქნება მილიონი, თუ გნებავთ, ორი ამდენიც!

ეს უკვე შესაძლებელი იყო. საბეჭდი მანქანები ბეჭდავდნენ, ჭრიდნენ, აწყობდნენ და კრავდნენ კიდეც ფურცლებს. სტამბასთან ავტომანქანების მთელი კოლონები იდგა და დაბეჭდილ ფურცლებს აეროდრომისაკენ მიაქანებდნენ. ეს აეროდრომი იქვე იყო, ბრატისლავას ახლოს. დილის ხუთ საათზე გენერალი ჩამოფრინდა, სტამბაში შემოვიდა და იყვირა რამდენიაო.

— სამი მილიონი გაგზავნილია აეროდრომზე, შეგვიძლია. გავგზავნოთ კიდევ ერთი მილიონი! — უთხრეს მას.

კინაღამ გაგიჟდა. მერე ყველამ აეროდრომზე მოვიყარეთ თავი. ოპერაციის დაწყებამდე სარდალიც ჩამოფრინდა. აქ უკვე ყველაფერი ავიაციის უფროსის ხელთ იყო. თვითმფრინავებზე ნაწილდებოდა „ქაღალდის ყუმბარები". ყოველ შეეთხვევისათვის, ნამდვილიც ბლომად მიჰქონდათ...

...ყველაზე საინტერესო მაინც ვიმპელის ჩაგდება იყო შერნერის შტაბში. ჩვენებმა ზუსტად იცოდნენ არა მარტო შტაბის განლაგების ადგილი, არამედ სახლიც, სადაც თვითონ შერნერი ცხოვრობდა. ერთ-ერთ თვითმფრინავს ულტიმატუმი ვიმპელით სწორედ იქ უნდა ჩამოეგდო. მე ვთხოვე გენერალს ბეგისთან ერთად გავეშვი ამ თვითმფრინავით. გენერალი ისე იყო გახარებული დაკალების კარგად შესრულებით, რომ უარი ვერ გვითხრა. მერე ეს განყოფილების თითქმის ყველა ოპერატიულმა მუშაკმა მოინდომა. გენერალმა აქაც გულუხვობა გამოიჩინა: მიდით, განაწილდით და ჩასხედით

თვითმფრინავებშიო, თქვა მან. ტრაინინი, რა თქმა უნდა, მაშინვე „აორთქლდა“. სხვები კი ერთბაშად მიესივნენ უკვე გამზადებულ ყუმბარმშენებს. პირველი ისევ ის „ბუნების მეტიჩარა“ ჩარიტა გაიქცა თვითმფრინავისაკენ.

—ეე, ტრამვაია?! — იყვირა მფრინავმა, როცა მასთან ნორმაზე მეტი „მგზავრი“ მივარდა.

— რა გაყვირებს, შე უბედურო? — ეცა მას ჩარიტა, — ხომ ხედავ ომი თავდება და მერე, ვინ იცის, იქნება ტრამვაის მძღოლადაც აღარ დაგაყენონ!..

... დილის რვა საათიდან თვითმფრინავები ერთიმეორეს მიჰყვნენ და ყველამ თავისი ზონისაკენ აიღო კურსი. კიდევ რამდენიმე ხანი და დაიწყო ქაღალდების თოვა. მთელი ის მიდამოები დაიფარა მოფარფატე ფურცლებით.

ჩვენი თვითმფრინავი დიდ სიმაღლეზე მიფრინავდა შერნერის შტაბისაკენ. საზენიტო არტილერიის ჩამიჩუმი არ ისმოდა. არც მათი გამანადგურებლები გამოჩენილან. როცა დანიშნულ ადგილს მივუახლოვდით, თვითმფრინავი ნელ-ნელა დაეშვა და ორი-სამი ყუმბარა ჩააგდო... მერე წრე შემოუარა, შვეულფრენით დაიწია, ვიმპელი ჩააგდო და გამობრუნდა. ახლა კი ამუშავდა მტრის საზენიტო არტილერია, მაგრამ გვიანღა იყო. თვითმფრინავი გასცდა საშიშ ზონას. გზაში შტურმანს ძლივს ჩავაყვირე ყურში, ვიმპელი უნდა ჩაგეგდოთ, ეს ყუმბარები კი რად გინდოდათ-მეთქი.

— აბა რა უნდა გვექნა, ის ვიღაც ოხერი შერნერია, ხომ უნდა გაგვეღვიძებინაო, — იხუმრა მან.

აეროდრომზე რომ დავბრუნდით, თვითმფრინავთა უმრავლესობა უკვე ადგილზე იყო, სხვებიც ნელ-ნელა ბრუნდებოდნენ. მხოლოდ სამი თვითმფრინავი აღმოჩნდა დაზიანებული. მოედანზე ერთი აურზაური იდგა. მფრინავები ხუმრობდნენ, იმდენი „მოკითხვის წერილი“ ჩავყარეთ, ფრიცები ერთ წელიწადს მოუნდებიან იმის კითხვასო.

— ბარემ სათვალეებიც ჩაგვეყარა, უკეთ წაიკითხავდნენ, — იხუმრა ვიღაცამ...

— ჩარიტა, რაც დღეს ჩვენ ფურცლები ჩავყარეთ, შენი „საკერავი მანქანა“ ერთ წელიწადს ვერ მოახერხებდა ამას, — შეუჩნდა ბარონესას აბეზარი მფრინავი. ჩარიტას არაფერი

უთქვამს. ისე გაქრა სადღაც, მერე ნახევარი საათი არ იყო გასული, რომ აეროდრომის თავზე მისი „მფრინავი ფილარმონია“ გამოჩნდა. ჰაერში გაისმა ნაცნობი მელოდია:

— Широка страна моя родная...

მფრინავებმა ერთი ყიჟინი ატეხეს. ქუდებს ზევით ისროდნენ და ისე მიესალმებოდნენ ჩარიტას.

მერე გენერალმა სადღაც შეგვიყვანა და, რაც ასეთი საზეიმო ვითარების დროს იყო საჭირო, იმით გაგვიმასპინძლდა. „საქმის ორგანიზაცია“ თურმე ბეგისათვის დაეკვალებინა და იმანაც ერთ საათში „გაატყავა“ საწყობები... საიდანღაც შამპანურებიც გააჩინა და „მაგიდის დედოფლად“ ჩარიტა აირჩიეს...

ასე დამთავრდა ჩვენი განყოფილების უკანასკნელი „საბრძოლო ოპერაცია“!..

...შერნერმა მაინც უარყო კაპიტულაციის წინადადება. გაიცა ბრძანება და მთელი ჩვენი ფრონტი გადავიდა შეტევაზე, მაგრამ უკვე ორგანიზებულ წინააღმდეგობას არც წასწყდომია. შერნერის ჯგუფის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა გაიგეს ომის დამთავრების ამბავი და ახლა წინააღმდეგობაზე უფრო თავის გადარჩენაზე ზრუნავდნენ. ისინი დასავლეთისაკენ გარბოდნენ, რათა ინგლის-ამერიკის ჯარებს დანებებოდნენ ტყვედ. მოციქულიც გაუგზავნეს ეიზენჰაუერს, თხოვნით, რომ მოეხდინა მათი ინტერნირება. ეს ეწინააღმდეგებოდა იალტის კონფერენციის დეკლარაციის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას, რომ გერმანული ნაწილების ინტერნირება უნდა მოეხდინათ მხოლოდ იმ ფრონტებს, რომელთა წინააღმდეგ ისინი იბრძოდნენ. ამიტომ ეიზენჰაუერს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ამ დეკლარაციის საწინააღმდეგოდ ემოქმედა და უარი თქვა შერნერის ჯგუფის ინტერნირებაზე. მაშინ ეს ჯგუფი დაიფანტა. ზოგი ჩვენებს დანებდა ტყვედ, ზოგმა კი ჯერ ალპებს, ხოლო შემდეგ დასავლეთ გერმანიას შეაფარა თავი. ამ ხნის განმავლობაში აქა-იქ შეტაკებებსაც ჰქონდა ადგილი. მართალია, დიდი ბრძოლები არ ყოფილა, მაგრამ მსხვერპლი იყო. განსაკუთრებით დასანანია იმათი ხვედრი, ვინც ცხრა მაისის საზეიმო ამბების შემდეგ დაიღუპა.

მერე რომ ის ადგილები მოვიარე, ბევრი ისეთი ძმათა სა-

საფლაო შემხვდა, სადაც განისვენებდნენ „თორმეტი საათის“ შემდეგ დაღუპული მებრძოლები, მათ შორის ჩვენი თანამემამულენიც. სხვა რა შემეძლო, გარდა იმისა, რომ წუთიერი დუმილით ვეცი პატივი მათ ხსოვნას...

ვან-დეიკის სალამო...

ათას ოთხას თვრამეტი დღე გრძელდებოდა ის სისხლისმღვრელი ომი. ორმოცდაათი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა მან. ასამდე მილიონმა დაკარგა შვილი. ხუთმა ამდენმა — მშობლები, დები, ძმები და, ვინ იცის, კიდევ რამდენმა ასეულმა მილიონმა — ნათესავი თუ მეგობარი... მწუხარებამ ისე ფართოდ გაშალა ფრთები, რომ მისი ჩრდილი დღესაც ეცემა ჩვენს ცხოვრებას. წუთისოფელი ფუტკარივითაა, მას თაფლიც აქვს და შხამიც. შინმოუსვლელთა გამო გლოვაწუხილი ახლაც შხამავს ბევრ ოჯახს. ბევრმაც გამარჯვებით დაბრუნებულთა სიტკბო იგემა და ის საქმე განაგრძო, რაც ომმა შეაწყვეტინა.

„საქმეა სიცოცხლეო“, მოკლედ მოჭრა ილიამ, და ჩვენც ის „საქმე“ გველოდა ყველას. ამიტომ იყო, ომი დამთავრდა თუ არა, მხრებს თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი მოშორდა. ზარბაზნების ქუხილი შეწყდა. თვითმფრინავები ძველ ბაზებს დაუბრუნდნენ. ომგადახდილმა მებრძოლებმა თავიანთ ოჯახებს მიაშურეს. ფანჯრებს შავი ფარდები ჩამოხსნეს და სახლებმა ფართოდ გააღილეს თვალები. ცაც თითქოს ამაღლდა და ქვეყანამ მხრები გაშალა...

...ვენიდან უკან მოვდიოდით პაოლო, ტრაინინი და მე, რომ მთელი ჩვენი განყოფილება მოდრა-შენკვიცედან ვინერ-ნოიშტადტში გადაგვეყვანა. მანქანა ისარივით მისრიალებდა ფართო შარაგზაზე. მარჯვნივ ცისფერი დუნაი მიაგორებდა ტალღებს, მარცხნივ თვალუწვდენი ველები იყო გაშლილი, იმის იქით კი კარპატების დიდებული მთები მოჩანდა... ხუთი წლის შემდეგ პირველად ვმგზავრობდით ისე, რომ არც საჰაერო თავდასხმისა გვეშინოდა და არც არტილერიის ცეცხლისა. ბუნებამაც თითქოს თვალები გამოახილა, ახლა უფრო ლამაზი

და მიმზიდველი გვეჩვენებოდა გარემო. მზე ჩადიოდა. მეწამული ღრუბლებიდან ხანჯლებივით გამოშვერილი სინათლის სვეტები კარპატების მწვერვალებს ეთამაშებოდნენ. დუნაის დაბლობზე მოლურჯო ნისლი გაწოლილიყო. წვიმით გალაღებული ბალახი მწვანედ ხასხასებდა. საოცარი სიმშვიდე სუფევდა ირგვლივ...

— ღმერთო, რამდენი სილამაზეა ამ ქვეყნად! — თქვა მოულოდნელად პაოლომ, — მზის დიდებული ჩასვლა, ღრუბლების აფერადება, უკანასკნელი სხივების თამაში მყინვარებზე, მადლით მოფენილი გარემო, მწვანით შემოსილი ველები, აყვავებული ფერდობები, უზარმაზარი მთები, ძირს დაქანებული ჩანჩქერები, მდინარეები, ზღვები, ოკეანეები...

ეტყობოდა, პაოლოს სულში ისევ გაიღვიძა მწერალმა. იგი ნებივრად გადაწოლილიყო მანქანის უკანა სავარძელზე და თითქოს თავისივე ფიქრებს ელაპარაკებოდა:

— ომის დროს თითქოს ამას ვერც ამჩნევ, ახლა კი ყველაფერი შენ თვალწინ იშლება როგორც სიკეთისა და სილამაზის ათასგვარობა. ბუნება ვერასოდეს ამოწურავს თავის თავს, იგი უხვია და მრავალფეროვანი, დიდებულიცა და ჰარმონიც ერთსა და იმავე დროს. ჩვენ კი, ადამიანები, გულკრილად ვუყურებთ მას, ზედმეტად ვირთულებთ ცხოვრებას და ისე ვამძიმებთ... რომ მერე ჩვენ თვითონ გვიჭირს მისი ზიდვა... წელში ვიხრებით... ვიჩოქებთ... და ვეცემით კიდეც...

...ასეთი ფიქრები გადამდებია თურმე. ჩვენც გაჩუმებული ვიყავით და უნებლიეთ მივყვებოდით საკუთარ ფიქრთა დინებას.

მართლაც, რამდენი რამეა ამქვეყნად საოცნებო და სანეტარო, ხალისისა და სიხარულის მომგვრელი! თანაც სრულიად უბრალო და ყოველდღიური: მოგწყურდება — წყაროს ცივ წყალს დალევ, მოგშივდება—სურნელოვან პურს გასტეხ, დაიღლები—მწვანეზე გაიშოტები და ცის ლურჯ გუმბათს შეავლებ თვალს... ფეხშიშველი გაიქცევი მინდორზე, ბულბულის სტვენას მოისმენ მაისის ღამეში, შვლის ნუკრს გაეთამაშები თუ ახალგამოჩეკილ ბარტყს აიყვან ხელში — ყველაფერი ხალისითა და სიკეთით ავსებს ჩვენს სულს. სიკეთისა და სილამაზის წყარო ყველგანაა, შინ თუ გარეთ, ბუნებასა თუ ხელოვნება-

ში... ვინც ცხოვრებას კეთილი თვალით უყურებს, მას უთვალავი ამგვარი წყარო უცდის სიამოვნებისა... გალაკტიონი ისე იყო მთვრალი ყოველივე ამით, რომ მისი ბრგე სხეული ვერხვის ფოთოლივით თრთოდა ბედნიერებისაგან. მე ახლაც მესმის იმ ფოთლების შრიალი:

აჰყევ კიბეებს, სადაც სფინქსი ქვებს ეფერება,
და შიშში გრძნობდე, რომ ახლოა ბედნიერება.
ოჰ! რამდენია სიცოცხლეში ასეთი წამი!
სულში გენიით ატეხილი რეკავს ლერწამი;
და ვან-დეიკის ლანდებივით მწვანდება ღამე.
ოჰ! რამდენია, რამდენია ასეთი რამე!..

...„შინ“ რომ მივედი, ისევ ის ცინიკოსი ექიმი დამხვდა. სლავკა „მთვარესთან საჯირითოდ“ იყო გასული და, ვიდრე ის დაბრუნდებოდა, ექიმმა მოასწრო გესლის დანთხევა. მე მას გამარჯვება მივულოცე, იმან კი, ჩვეულებისამებრ, წითური წვერი მოიქექა, ფაფუკი ყელი მოიღერა და შხამნარევი თავაზიანობით ამოღერღა:

— კი გაიმარჯვეთ, მაგრამ ნეტავი რა მოიგეთ ამის ფასად?!

ჩემს გაოცებულ სახეს რომ შეხედა, გესლიანად ჩაიცინა და დაუმატა:

— კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება და ქვეყანა დაიღუპება...

ველარ მოვითმინე და შესაფერისი „ბალანსი“ გამოვუყვანე იმ გესლის გუდას. არაფერს მოვრიდებივარ, სულ ენად გავიკრიფე და, რაც სათქმელი მქონდა, უკლებლივ გადმოვულაგე. მერე გაბრაზებული დავბრუნდი ჩემს ოთახში და ისე მაგრად დამეძინა, რომ არც კარის გაღება გამიგია გარიჟრაჟისას და არც ფოსტლების მსუბუქი შრიალისათვიის მიმიქცევია ყურადღება...

გაზაფხული სულისა...

ახლაც იმაზე ვფიქრობ, ნეტავი რა ძალა ქმნის ამგვარ გულშხამიან ადამიანებს. საიდან მოდის ამდენი ზიზღი და ღვარძლი. მერედა რამდენი ისეთი გულმრუდე შეგხვდება კაცს ცხოვრებაში, რომელიც ყველაფერს შხამავს და გესლს

ანთხევს. მათთვის წმიდათაწმიდა არაფერია: არც სიკეთე, არც სიყვარული, არც სათნოება... არაფერი, რაც სიცოცხლეს ალამაზებს და გულს სიხარულით ავსებს.

ვინ იცის, იქნებ ესეც ეშმაკთან წილნაყარობის შედეგია, ისევ იმ ფაუსტური ადამიანის ცდუნება. ხალხური თქმულების მიხედვით მეფისტოფელთან დადებული ხელშეკრულების მესამე მუხლი მოითხოვს ფაუსტისაგან „იყოს ყველა ქრისტიანი ადამიანის მტერი“ (Allen Christgläubigen Menschen wolle Feind zu sein). მეფისტოფელი უკრძალავს ფაუსტს სიყვარულს, ხოლო, ვაჟასი არ იყოს, „ვინც სიყვარულს არის მოკლებული, ვერასოდეს ეღირსება გაზაფხულს სულისა“. ან გაზაფხული როგორ დაუდგებათ იმათ, ვისაც სული ეშმაკისათვის აქვს მიყიდული. სიყვარულს მოკლებული ადამიანისათვის ყველაფერი ამაო. ამასვე „გვაუწყებს „ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი კორინთელთა მიმართ“:

— ენათა-ღა თუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი, ხოლო სიყუარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, განა წინწილანი, რომელნი ხმობედ.

და მაქუნდეს ღათუ წინაჲსწარმეტყუელებაჲ და უწყოდი ყოველი საიდუმლოჲ და ყოველი მეცნიერებაჲ, მაქუნდეს ღათუ ყოველივე სარწმუნოებაჲ ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე და სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არავე რაჲ ვარ.

და შე-ღათუ-ვაჭაბო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცნე ხორცნი ჩემნი დასაწუველად და სიყუარული არა მაქუნდეს, არარაჲვე სარგებელ არს ჩემდა.

ასეა, რადგან იმავე ეპისტოლეს მიხედვით:

სიყუარული სულ-გრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა ჰშურნ, სიყუარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხუინელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი...

ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროჲს ამათსა სიყუარული არს.

სიყვარული აგვამაღლებსო, ბრძანებდა შოთა რუსთაველი. „რაც უფრო დიდია ადამიანი, მით უფრო ღრმაა მისი სიყვარული“ (ლეონარდო და ვინჩი), რადგან „სიყვარულია

ცხოვრების გვირგვინი“, იგი „მოიცავს ყველაფერს“ (ბეთჰოვენი) და ქმნის „უმაღლეს ბედნიერებას“ (ბაირონი).

ვაჟაც ხომ ასე ამბობს:

სიცოცხლე სიყვარულითა
და სიყვარული სიცოცხლით,
უერთიერთოდ ვერც ერთსა
ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით.

მერე გალაკტიონიც ვაჟას ფანდურის სიმებივით ათრთოლდება და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოისვრის დიდებულ სიტყვებს:

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაპქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ!..
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ...

...მუდამ განწირული იყო იმათი ბედი, ვინც სიყვარულის ნაცვლად სიძულვილს თესავდა დედამიწაზე... ისტორიის მართლმსაჯულება არ ინდობს ბოროტთა და კაცთმოძულეთ.

მკაცრია ხალხის განაჩენიც:

— აღსრულდეს!..—გაისმის კიდით კიდემდე და იწყება საშინელი სამსჯავრო...

ბიბლიური მოსეს წყევლა თავს ატყდება ათი მცნების ათგზის შეურაცხმყოფელთ....

— წყეულ იყავნ! — გაისმის ისევ ის ხმა და მილიონები უპასუხებენ:

— იყავნ!..

ხოხბეგზე ნადირობა...

ომი დამთავრდა, მაგრამ ქვეყნის საზრუნავი მაინც არ დამცხრალა. ზარბაზნების გრიალი რომ მიწყდა, მართლმსაჯულებამ აიღო სიტყვა. თემიდამ ისევ აათამაშა ცოდვა-მადლის თასები და შურისძიების ქალღმერთმა ნემეზიდამაც აღმართა

მახვილი. დამნაშავეებს სასჯელი ელოდათ. ადრე მათ აფრთხილებდნენ, მაგრამ არ შეისმინეს. ახლა სამაგიეროს მიზღვის ჟამი დადგა და დაიწყო იმათი ძებნა, ვინც ამდენი უბედურება დაატეხა თავს კაცობრიობას. ზოგი მათგანი დაიღუპა. ზოგმა თვითმკვლელობა არჩია მართლმსაჯულების წინაშე წარდგომას. ზოგიც მიიმალა, თუმცა სად წავიდოდნენ, მართლა „ცის კიდის“ იქით ხომ არა, თემიდას თვალებს სად დაემალებოდნენ?! და დაიწყო მთავარსამხედრო დამნაშავეთა დატუსაღება. ამერიკელებმა ამ ოპერაციას „ხოხბებზე ნადირობა“ უწოდეს. ხოხობი „არისტოკრატიულ“ ფრინველად ითვლება და მთავარ სამხედრო დამნაშავეებსაც, ალბათ, ამიტომ სცეს ასეთი „პატივი“.

ერთი მთავარი ხოხობთაგანი გერინგი ხომ უკვე მანამდე გაეცა მახეში. როგორც ვთქვით, იგი ესესელებმა დააპატიმრეს ბორმანის განკარგულებით. მძიმე დღეები განიცადა მან მაშინ. სულ იმის შიშში იყო, ბორმანი არ დამინდობს და ჩემს თავს დაახვრეტინებსო. ამიტომაც ცდილობდა რაც შეიძლება მალე მოხვედრილიყო ინგლისელთა და ამერიკელთა ხელში. ისეთი დრო დაუდგა, რომ თანამემამულეებისაგან გაქცევით მოწინააღმდეგეთა ბანაკში ეძებდა თავშესაფარს. მას არც ეეჭვებოდა, რომ იქ ხელგაშლილად მიიღებდნენ, არა როგორც სამხედრო ტყვეს, არამედ დამარცხებული, მაგრამ ჯერ კიდევ საჭირო სახელმწიფოს მეთაურს. ასეც ეუბნებოდა უახლოეს თანამებრძოლთ, რომლებიც ომის უკანასკნელ დღეებში მასთან იმყოფებოდნენ:

— გერმანიას დარჩა ერთადერთი შანსი: ჩვენ დავდებთ ზავს დასავლეთის სახელმწიფოებთან, შემოვაბრუნებთ დასავლეთის ფრონტს და გავყრით რუსებს. საამისოდ ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერნი ვართ. ბოლოს და ბოლოს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კონფლიქტი ჩამოვარდება. ჩვენ კი შეგვიძლია დასავლეთის სახელმწიფოებს საქმე გავუადვილოთ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სწორედ მე ვარ ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც ინგლისელები და ამერიკელები მოისურვებენ ლაპარაკს. ჰიტლერთან ერთად მაგიდასთან არც ერთი კაცი არ დაჯდებოდა. რიბენტროპი თავისი სამხედრო დიპლომატიით, ხოლო ჰიმლერი საკონცენ-

ტრაციო ბანაკებით, საერთოდ, მიუღებელნი არიან. ასე რომ მე ერთი დავრჩი მხოლოდ...

გერინგის მეუღლეს უთქვამს ბარონის ასულ ფონ შირახისათვის, ჰერმანი დიდხანს ფიქრობდა და ვერ გადაეწყვიტა, თუ როგორი მუნდირი ჩაეცვაო ეიზენჰაუერთან შეხვედრის დროს...

...რამდენიმე დღის შემდეგ გერინგი სულ სხვა სიტუაციაში შეხვდა ინგლისელებსა და ამერიკელებს...

გამარჯვების დღეს, 9 მაისს, ამერიკის მე-6 დივიზიის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის შტაბში გამოცხადდა გერინგის ადიუტანტი პოლკოვნიკი ბრაუხიჩი და სრულიად მოულოდნელი ცნობა მიიტანა:

— მე მოვედი რაიხსმარშალ ჰერმან გერინგის დავალებით!..

ეს დიდი სიურპრიზი იყო მათთვის. ყველას გაუხარდა, რომ „იმ ღლავს" მათი დივიზია ჩაიგდებდა ხელთ. ოფიცრები მაშინვე დაფაცურდნენ, ბრაუხიჩი „ჯიპში" ჩასვეს და დივიზიის შტაბისაკენ გააქანეს. აქ იგი გენერალ-მაიორმა ჯონ დალკვისტმა მიიღო. ბრაუხიჩმა ამერიკელ გენერალს აცნობა, გერინგის სიცოცხლე საფრთხეშიაო.

— ესესს უკვე მიღებული აქვს მისი დახვრეტის ბრძანება, — თქვა მან. — შეიძლება რომელიმე ფანატიკოსმა კიდეც მოიყვანოს ეს ბრძანება სისრულეში. ამიტომ რაიხსმარშალი თხოულობს თქვენს მფარველობას.

გერინგი მაუტერსდორფში იყო დაკავებული. ცოლი ემი და პატარა გოგონა ადაც მასთან იყვნენ. ოთახში, სადაც იგი იმყოფებოდა, განუწყვეტლივ მორიგეობდნენ ესესის ოფიცრები. გარეთაც ორი ესესელი ყარაულობდა. ასეთ მდგომარეობაში ინახულა იგი ავიაციის სერჟანტმა კოოლემ. გერინგს გაუკვირდა, როგორ მოახერხა ან ეს. თვითონ კოოლე ასე გადმოსცემს ამ შეხვედრის ამბავს:

— გერინგი ბოლთასა სცემდა და ამბობდა, მალე ყველაფერი შეიცვლება და მე ვიქნები მთავრობის მეთაურიო. იგი მეტად აღგზნებული იყო, აღელვებულიც. ერთხანს ბორგავდა. მერე უცებ წაიქცა. მორფინის დიდი დოზა ჰქონდა მიღებული

და მოერია. ძლივს ავაყენეთ. გონს რომ მოვიდა, ისევ აღელდა. შეშინებული იყო. არც იცოდა რა მოელოდა. სულ იმას იძახდა, ესესელები დამხვრეტენო...

...ამ დროს „ჯიპი“ ქარიოვით მიქროდა მაუტერსდორფისაკენ. ამერიკელ ოფიცერ სტაკთან ერთად მანქანაში პოლკოვნიკი ბრაუხიჩიც იჯდა. სოფელს რომ მიუახლოვდნენ, წინ უზარმაზარი მერსედესი შემოხვდათ, რომელშიაც თვითონ გერინგი იჯდა. იგი ძლივს გადმობობღდა მანქანიდან და მარშლის კვერთხის აწევით მიესალმა ამერიკელებს. სტაკმაც სამხედრო სალამი მისცა. ორივემ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

ამან დიდი აურზაური გამოიწვია პრესაში. ჟურნალისტები აღშფოთებულნი იყვნენ, გენერალმა სტაკმა ხელი როგორ ჩამოართვა იმ ბობოლა ნაცისტსო. გაზეთებში დაიბეჭდა სტატიები ასეთი სათაურებით:

— ხელის ჩამოთმევა სამხედრო დამნაშავესთან!

— მკვლელს ხელი გაუწოდეს!

ეს ხმაური მანამ არ შეწყდა, ვიდრე ეიზენჰაუერი იძულებული არ გახდა სინანული გამოეთქვა მომხდარი ამბის გამო. ინგლისის ლორდთა პალატამაც განიხილა ეს „სამარცხვინო ინციდენტი“.

— ომი თამაში არ არის, რაც ხელის ჩამოთმევით მთავრდება! — განაცხადა ლორდმა ვულტონმა.

მაშინ კი გერინგი დივიზიის შტაბში მიიყვანეს. აქედან ცნობა გადასცეს მე-7 არმიას. დაზვერვის უფროსი ბრიგადის გენერალი კუინი მაშინვე გამოეშურა გერინგთან შესახვედრად. ვიდრე იგი მოვიდოდა, დალკვისტი ესაუბრა თავის „საპატიო ტყვეს“. იგი ძველი ჯარისკაცი იყო და გაოცებით უსმენდა გერინგის აღგზნებულ ქადაგებას:

— ჰიტლერი გონებაშეზღუდული ადამიანი იყო, — გაყიდა გერინგმა თავისი ფიურერი. მერე სხვებსაც მისდგა:

— ჰესი ჯამბაზია. რიბენტროპი ჯარამზადაა, კაცმა არ იცის რატომ იყო იგი საგარეო საქმეთა მინისტრი!

სხვები რომ დალანძღა, მერე თავისი თავი წარადგინა როგორც საჭირო იყო:

— გამიგონია, ჩერჩილს უთქვამს: ეს ჰიტლერი რაღა ეშ

მათხოვარ რიბენტროპს მიგზავნის, მას რა უნდა ველაპარაკოო, აი, ის ყოჩაღი ბიჭი (Kerl) გერინგი რომ მოდიოდეს ჩემთან, სხვა საქმეაო. რაკი ასეა, ბატონებო, აგერ ვარ! — თქვა მან ამაყად და თან იკითხა: როდის წამიყვანთ ეიზენჰაუერის შტაბში?

ამაზე სტაკი საკმაოდ ირონიულად შენიშნავს თავის მოგონებაში:

— გერინგს ეგონა კიდევ შეიძლებოდა ყოფილიყო გერმანელთა წარმომადგენელი მოკავშირეებთან. ნუთუ ჰიტლერის შემდეგ მეორე კაცს იმპერიაში არ ესმოდა რა ხდებოდა მის გარშემო?!..

როგორც ჩანს! თორემ გერინგი ისე იქცეოდა, თითქოს სახელმწიფოს მეთაური ყოფილიყო და არა საბხედრო ტყვე. იგი მადიანად შეექცეოდა შემოთავაზებულ კერძს. მთელი ჭათამი რომ გაათავა, ერთი ვაზა ხილი დააყოლა და...

პრესამ ისევ ატეხა ხმაური, რა უფლებით აძლევენ გერინგს ამგვარ „მეფურ ულუფასო“, საქმე ამჯერადაც ოფიციალური განცხადებით დამთავრდა:

— გერინგს ისეთივე ულუფა მივეცით, როგორც რიგით ჯარისკაცებს ვაძლევთო, — იცრუა გენერალმა კუინმა.

სადილის შემდეგ გერინგი შვიდ ტეხასელ ჯარისკაცს გადასცეს და ახალი „ბინისაკენ“ გაამგზავრეს...

— აბა, თქვენ იცით, კარგად მიყარაულეთ! — გაეხუმრა გერინგი ჯარისკაცებს, რაზედაც ერთ-ერთმა მათგანმა ისეთი ტეხასური გინებით უპასუხა, რომ ამის ქაღალდზე დაწერა ვერც ერთმა ჟურნალისტმა ვერ იკისრა...

...მთელმა მსოფლიომ შეიტყო გერინგის დატყვევების ამბავი. კორესპონდენტები სვაეებივით დააცხრნენ ამ სენსაციურ ფაქტს. ისინი მიესივნენ პატარა ვილას, სადაც გერინგი მოათავსეს თავისი ოჯახის წევრებიანად, და ინტერვიუ მოითხოვეს. ყოფილმა რაიხსმარშალმა ჩვეულებას არ უღალატა და ისევ ჩაიცვა ურიცხვი ორდენებითა და მედლებით დამძიმებული ცისფერი მუნდირი. იგი მედიდურად გამოვიდა ეზოში და კორესპონდენტები მიიპატიჟა. ინტერვიუ მთავარ სამხედრო დამნაშავესთან — ეს რაღაც უცნაურად ეღერს. მაგრამ ასე კი იყო.

გერინგი მრგვალ მაგიდასთან დაჯდა. ფოტო,კორესპონდენტებმა აპარატები მოიმარჯვეს:

— ჰელოუ, მარშალ, გვაჩუქეთ თქვენი ღიმილი! — დაიძახა რომელიღაც მათგანმა.

— თავი აქეთ მოაბრუნეთ, აქეთ! — დაუძახა მეორემ.

— ახლა ქუდით!

გერინგმა ქუდი დაიხურა და ამაყი გამომეტყველება მიიღო. მერე ვიღაცამ რაღაც უხეში ხუმრობა ესროლა. ყოფილი რაიხსმარშალი შეიშმუშნა, მაგრამ დაცინვა ვითომ არც შეიმჩნია. გაბრაზებულმა თავი გამომწვევად დაიჭირა და საკმაოდ უხეშად მიმართა ფოტოგრაფებს:

— ჩქარა გაათავეთ, თორემ მე მშია და უნდა წავიდე...

კორესპონდენტებმა მართლაც იჩქარეს და სეტყვასავით დააყარეს კითხვები:

— სად არის ჰიტლერი? თქვენ გჯერათ, რომ იგი მკვდარია?

— რატომ დესანტები არ გადმოსხით ინგლისში?

— ომის დასაწყისში თქვენი ავიაცია მართლა ძლიერი იყო?

ავიაცია რომ ახსენეს, გერინგმა მხოლოდ მაშინ ინება პასუხის გაცემა და ასეთი საუბარი გაიმართა:

გ ე რ ი ნ გ ი: მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ავიაცია ყველაზე ძლიერი იყო მსოფლიოში!

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: რამდენი თვითმფრინავი გყავდათ ომის დასაწყისში?

გ ე რ ი ნ გ ი: ეს იყო ექვსი წლის წინ. მე არ ვარ მზად ასეთი კითხვებზე პასუხის გასაცემად. ახლა ვერაფერს გეტყვით.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: თქვენ გაეცით კოვენტრის დაბომბვის ბრძანება?

გ ე რ ი ნ გ ი: დიახ, კოვენტრი ინდუსტრიული ცენტრი იყო. მე მქონდა ცნობები, რომ იქ ბევრი საავიაციო ქარხანაა.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: კენტერბერი?

გ ე რ ი ნ გ ი: კენტერბერის დაბომბვის ბრძანება უფრო მაღალი ინსტანციიდან იყო გაცემული, თანაც იმის გამო, რომ მანამდე დაბომბილ იქნა გერმანიის საუნივერსიტეტო ქალაქი.

კ ო რ ე პ ო ნ დ ე ნ ტ ი: რომელი ქალაქი იყო ეს?

გ ე რ ი ნ გ ი: არ მახსოვს.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: როდის დარწმუნდით პირველად, რომ ომი წაგებული გქონდათ?

გ ე რ ი ნ გ ი: ჩქარა მას შემდეგ, რაც ნორმანდიაში დესანტები გადმოსხდნენ და რუსებმა აღმოსავლეთის ფრონტი გაარღვიეს.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: ეუბნებოდნენ თუ არა ჰიტლერს მისი უნუგეშო მდგომარეობის შესახებ?

გ ე რ ი ნ გ ი: დიახ, სარდლობის ბევრი წარმომადგენელი ეუბნებოდა მას, რომ ომი წაგებულია, მაგრამ ჰიტლერს არა სჯეროდა ეს. მერე კი ამაზე ლაპარაკიც აკრძალა.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი. ვინ აკრძალა?

გ ე რ ი ნ გ ი: თვითონ ჰიტლერმა. იგი არ ფიქრობდა, რომ ომი შეიძლება წაგებულ იქნეს.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: როდის იყო ეს?

გ ე რ ი ნ გ ი: როცა ხალხმა დაიწყო ამაზე ლაპარაკი, 1944 წლის შუა თვეებში.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: თქვენ გჯერათ, რომ ჰიტლერმა მის მემკვიდრედ დენიცი დანიშნა?

გ ე რ ი ნ გ ი: არა. დენიცისადმი დეპეშას ხელს ბორმანი აწერს.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: რატომ ჰქონდა ასეთ უფერულ პიროვნებას ასე დიდი გავლენა ჰიტლერზე?

გ ე რ ი ნ გ ი: ბორმანი დღედაღამ გვერდში ედგა ჰიტლერს. მერე იგი წარმართავდა მას.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: ვინ გასცა რუსეთთან ომის დაწყების ბრძანება?

გ ე რ ი ნ გ ი: თვითონ ჰიტლერმა.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: ვინ იყო პასუხისმგებელი საკონცენტრაციო ბანაკებისათვის?

გ ე რ ი ნ გ ი: პირადად ჰიტლერი. ყველა, ვისაც საკონცენტრაციო ბანაკებთან რამე საქმე ჰქონდა, პირადად მას ემორჩილებოდა. სხვა ავტორიტეტები აქ ვერაფერს გააწყობდნენ.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: რა მომავალს ხედავთ გერმანიისათვის?

გ ე რ ი ნ გ ი: თუ გერმანიას საარსებო სივრცე არ მიეცემა, მე მისი მომავალი ბნელად მესახება, ეშვიდობა ყველას უნდა, მაგრამ ძნელია განსჭვრიტო მომავალი.

კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი: იცით თუ არა თქვენ, რომ შეტანილი ხართ მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სიაში?

გ ე რ ი ნ გ ი: არა! და ეს მე ძალიან მიკვირს, რადგან არ შესმის რატომ!..

...თუ ეს მაშინ მართლა არ ესმოდა გერინგს, მერე მაინც გააგებინეს, ნიურნბერგის პროცესზე. მანამ კი ისე ჰქონდა უკანონობაზე ხელი გაჩვეული, რომ შეიძლება მართლაც დაავიწყდა მართლმსაჯულების ძალა. მაგრამ, მიუხედავად გაკვირვებისა და პროტესტებისა, მოკავშირეებმა იგი ჯერ სამხედრო ტყვედ გამოაცხადეს, ხოლო შემდეგ სხვა მთავარ სამხედრო დამნაშავეებთან ერთად საბრალდებულო სკამზე დასვეს.

იმპერიის „მეორე კაცმა“ აქ მაინც მიიღო „№ 1 დამნაშავის“ ტიტული...

თეთრი ყორანი...

უფრო რთული გამოდგა ჰიტლერის ახალ „მემკვიდრე“ გროსადმირალ დენიცზე „ნადირობა“. თუმცა სანადირო ჯერ აქ არაფერი იყო, რადგან იგი, მართალია, არამკითხედ, მაგრამ მაინც ოფიციალურად ასრულებდა „სახელმწიფოს მეთაურის“ მოვალეობას „თავის სატახტო ქალაქ“ ფლენსბურგში. იქ ჯერ კიდევ ყველაფერი ძველებურად მიმდინარეობდა: ქუჩებსა და დაწესებულებებში ნაცისტური დროშები ფრიალებდა, ქალაქში „წესრიგს“ ესესელთა დივიზია „დიდი გერმანია“ იცავდა, სამხედრო დამნაშავენი ისევ თავისუფლად დასეირნობდნენ. განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ ოფიცრები და ჯარისკაცები „ჰაილ ჰიტლერ“-ის ნაცვლად „ჰაილ დენიც!-ის“ შეძახილით ესალმებოდნენ ერთმანეთს. ფლენსბურგის რადიო განუწყვეტლივ გადასცემდა „დენიცის მთავრობის“ განკარგულებებს. მიკროფონთან მიდიოდნენ თვითონ დენიცი, ფელდმარშალი ბუში და, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, ისე

განაგრძობდნენ „ჰიტლერის დაწყებულ საქმეს“. ამავე მიზანს ემსახურებოდა მათ მიერ შექმნილი ორგანიზაცია, ე. წ. „თავისუფლებისათვის მოძრაობაც“. დენიცის დოკუმენტებში აღმოჩნდა ამ ორგანიზაციის მანიფესტი:

— გერმანიის თავისუფლებისათვის მოძრაობა ეყრდნობა რასობრივ იდეას. ეს მოძრაობა წარმოიშვა ომის დროს როგორც ფრონტელ ჯარისკაცთა ნება-სურვილის გამოხატულება. ჩვენ გვწამს ნაციონალ-სოციალიზმის ძველი ტრადიციები. ამიტომ ვრჩებით ფიურერისათვის მიცემული ფიცისა და მისი საქმის ერთგული, მაგრამ ვწყვეტთ კავშირს:

1. დამპალ პარტიულ ბიუროკრატიასთან.
2. თავის მოტყუებით გართულ მთავრობის კასტასთან.
3. ავანტიურისტულ პოლიტიკასთან.

ეს რაღაც „მესამე ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციის“ მსგავსი იყო, რასაც უნდა უზრუნველეყო მათ მიერვე ჩამოყალიბებული „თორმეტი მცნების“ შესრულება:

1. გერმანელი ხალხის გათავისუფლება ჩაგვრისა და ოკუპაციისაგან.
2. ლტოლვილთა დაბრუნება სამშობლოში.
3. გაერთიანებული გერმანელი რასობრივი საზოგადოების შექმნა.
4. მტრის თვითნებობის აღკვეთა.
5. ევროპის კავშირი ფედერაციულ საფუძველზე.
6. რასობრივი ავტონომიის უფლება.
7. ევროპული ერთიანობა ურთიერთსაკეთილდღეოდ.
8. ევროპის საარბიტრაჟო სასამართლოს დაარსება.
9. მონათესავე ხალხთა ერთიანობა საბოლოო ანგარიშით იმპერიის შესაქმნელად.
10. გერმანიის თანამშრომლობა ბოჰემიასა და მორავეთთან.
11. რასობრივი ჯგუფების გარანტირებული დაცვა.
12. ევროპის ეკონომიური გაერთიანება.

ახალი ანტიქრისტეს ამ „თორმეტ მცნებას“ ერთვოდა დამატება, სადაც გამოთქმული იყო მოსაზრებანი, თუ რა პოზიცია უნდა ეიჭირა გერმანიას მესამე მსოფლიო ომის დროს...

აი, რა პროგრამის განხორციელებას აპირებდა დენიცი,

„ვიდრე გერმანელი ხალხი არ აირჩევდა ახალ ფიურერს“. მის გარშემო ტრიალებდნენ მესამე იმპერიის ყოფილი ხელმძღვანელები, გენერლები და ადმირალები. როგორც შემდეგ ცნობილი გახდა, დენიცმა მათ ასეთი ინსტრუქცია მისცა:

— მეგობრებო! ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ჩვენ მთლიანად მოწინააღმდეგეთა ხელში ვართ. ჩვენი მომავალი ბედ-იღბალი გაურკვეველია: რას გვიზამენ ისინი, არ ვიცით. მაგრამ ის კი კარგად ვიცით, თუ რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ. პოლიტიკური კურსი, რომელსაც ჩვენ უნდა გავყვეთ, მარტივია და ცხადი: უნდა ვიაროთ დასავლეთის სახელმწიფოებთან ერთად და ვითანამშრომლოთ მათთან ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რადგან მხოლოდ ასეთი თანამშრომლობით შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენს მიწებს წავართმევთ რუსებს.

ამ ინსტრუქციის მიხედვით ადგენდა იოდლი ახალი ომის გეგმებს. მანაც იხმარა იმ დროისათვის სასწაულებრივი გამოთქმა — „მესამე მსოფლიო ომი“.

ჯერ მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიც არ იყო დამცხრალი, რომ ჰიტლერელი გენერლები მესამეს გეგმავდნენ...

— ჩვენ ვიბრძოლებთ თორმეტი საათის შემდეგაც! — გაიძახოდნენ ისინი და ცდილობდნენ კავშირი შეეკრათ ინგლისამერიკასთან.

ფელდმარშალი მონტგომერი წერს თავის მემუარებში:

— გერმანელი სამხედრო ხელმძღვანელები, რომლებიც რუსებისაგან გამორბოდნენ, სიამოვნებით გვიმეგობრდებოდნენ ჩვენ, ინგლისელებს, და ასრულებდნენ ყოველივეს, რასაც ვეტყოდით, ოღონდ ამ თანამშრომლობის საფასურად ისინი მოელოდნენ, რომ მათ მოვეპყრობოდით ისე, როგორც მოკავშირეებს რუსების წინააღმდეგ...

...ისინი რომ მოელოდნენ, ეს არაფერი, მაგრამ არც მონტგომერი იყო ამის წინააღმდეგი. ეს მან გააერთიანა გერმანელთა მთელი „ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი“ ფელდმარშალ ბუშის მეთაურობით და ერთხანს ინარჩუნებდა მას, როგორც „მოქმედ სამხედრო ძალას“.

ინგლისელებს არც ამერიკელები ჩამორჩებოდნენ. გენერა-

ლი ეიზენჰაუერი თავის წარმომადგენლებს უგზავნიდა დენიცის მთავრობას და მისგანაც ღებულობდა წარმომადგენლებს. შვერინ-კროზიკი დიპლომატიურ ურთიერთობებს აწესრიგებდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ შპეერი და ფრიდებურგი. პარტიის ხელმძღვანელებს დენიცი ახლოს არ იკარებდა. მერე ბრძანებაც გასცა დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ გებელსი და ბორმანი, თუკი ისინი ფლენსბურგში გამოჩნდებოდნენ. რიბენტროპსა და როზენბერგსაც აღუკვეთა გზა „ახალ მთავრობაში". სამაგიეროდ მინისტრების პორტფელები დაურიგა შვერინ-კროზიკს, შპეერსა და სხვებს.

დენიცი მთავრობას ადგენდა, ხალხი კი ბობოქრობდა. საპროტესტო დემონსტრაციები იმართებოდა ინგლისში, ამერიკაში, უკმაყოფილონი იყვნენ გერმანიაშიც. საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა ნაცისტური სახელმწიფოს ნარჩენების ლიკვიდაციას და სამხედრო დამნაშავეთა დასჯას... 17 მაისს ფლენსბურგში ჩავიდნენ საკონტროლო კომისიის საბჭოთა წარმომადგენლები... ისევ გამოითქვა კატეგორიული პროტესტები და... 23 მაისს, როგორც იქნა, ინგლისის სამხედრო პოლიციის ბატალიონმა დაიკავა ფლენსბურგი... ჯერ კაიტელი დააპატიმრეს, მერე დენიცმა და არმიის ხელმძღვანელობამ მიიღი განკარგულება, რომ 23 მაისს 9 საათსა და 45 წუთზე გამოცხადებულიყვნენ სამგზავრო გემ „პატრიაზე". მივიდნენ დენიცი, იოდლი და ფრიდებურგი. მათ იქ სამი გენერალი დახვდათ — ამერიკის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. ამერიკელმა გენერალმა ლოველ რუკსმა გამოუცხადა დენიცს და მის კოლეგებს, რომ ისინი დღეიდან სამხედრო ტყვეებად ითვლებიან და გერმანიის მთავრობა წყვეტს არსებობას.

— ჯენტლმენებო, — დაუმატა რუკსმა, — ამ ოთახიდან რომ გახვალთ, თქვენ გამოგყვებათ ინგლისელი ოფიცრები, რომელნიც მიგაცილებენ ბინამდე, რათა ჩემოდნები ჩაალაგოთ, საჭმელი მიირთვათ და სხვა წვრილმანი საკითხები მოაგვაროთ.

დენიცი გაშეშებული იდგა, იოდლი მრისხანედ აბრიალებდა თვალებს, ფრიდებურგი კი უფრო მშვიდად გამოიყურებოდა. იგი მეოთხეჯერ ესწრებოდა ამგვარ ცერემონიალს. მან ჯერ მონტელმერის შტაბში მოაწერა ხელი კაპიტულაციას,

მერე — ეიზენჰაუერთან და ბერლინში. ახლა კი ეს, მართლაც, უკანასკნელი „ცერემონიალი“ იყო.

— რამის თქმა ხომ არ გნებავთ?—მიმართა რუკსმა დენიცს.

— ყოველი სიტყვა ზედმეტია! — გამოსცრა კბილებიდან დენიცმა.

— თქვენ? — მიუბრუნდა იგი იოდლს.

მანაც იგივე გაიმეორა...

..ამასობაში ფლენსბურგის ქუჩებში ინგლისური ბრიგადის ჯარისკაცები და ოფიცრები დაქროდნენ ტანკებითა და პატარა „ჯიპებით“. ისინი ნადირობდნენ წითელლამპასებიან გენერლებზე. ციონოდნენ, ოხუნჯობდნენ, ზოგჯერ უხეშობდნენ კიდეც. სწორედ მაშინ, როცა დენიცი, იოდლი და ფრიდებურგი გემ „პატრიაზე“ ისმენდნენ მოკავშირეთა განაჩენს. რაღაც რაიხსკანცლერის მსგავსი შვერინ-კროზიკი გერმანიის „მთავრობის“ სხდომას ატარებდა. მინისტრები მსჯელობდნენ შექმნილ მდგომარეობაზე ისე, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ რა მოელოდათ. სხდომა ჯერ დამთავრებული არ იყო, რომ დარბაზში შეიარაღებული ინგლისელი ჯარისკაცები შეიჭრნენ და დაიძახეს:

— ხელები ზევით!..

შეშინებული მინისტრები წამოცვივდნენ სავარძლებიდან.

— ჩაიხადეთ შარვლები! — გასცა განკარგულება მეთაურმა.

გაოგნებულმა მინისტრებმა უყოყმანოდ შეასრულეს ეს ბრძანებაც. ისინი თეთრეულის ამარა იდგნენ იარაღშემართულ ჯარისკაცების წინაშე. ინგლისელებმა გაჩხრიკეს ყოველი მათგანი, საწამლავი ხომ არა აქვთო...

რამდენიმე წუთის შემდეგ გერმანიის უკანასკნელი „მთავრობის“ შარვალჩახდილი მინისტრები ნიფხავ-პერანგისამარა გაიყვანეს ქუჩაში, მანქანებში ჩასხეს და გზას გაუყენეს... რამდენიმე ტანკმა გლიუკსბურგისკენ გაუხვია, სადაც შპეერის რეზიდენცია იყო, და იქვე დააპატიმრეს „ჰიტლერის უდიდესი მშენებელ-არქიტექტორი“...

...აღელვებული დენიცი ბოლთასა სცემდა თავის რეზიდენციაში. მასთან იყო ფრიდებურგიც. ინგლისელი ჯარისკაცები

რომ მოვიდნენ, დენიცი მორჩილად გაყვა, ფრიდებურგმა კი საპირფარეშოში შესვლის ნებართვა ითხოვა და... იქიდან არც გამოსულა: კარები. რომ შეამტვრიეს, აღმოჩნდა, რომ თავი მოეწამლა.

ასე დამთავრდა გერმანული ვერმახტისა და მისი გენერლების შტაბის არსებობა. თუ პირველი მსოფლიო ომის დროს არც ერთი გერმანელი არ ჩავარდნილა ტყვედ და მხოლოდ რამდენიმე დაიღუპა ფრონტზე, ახლა სულ სხვა სურათი იყო: 1500 გენერლიდან და ადმირალიდან „საერთო დანაკლისი" 963-ს შეადგენდა; ამათგან ფრონტზე მოკლეს, თავი მოიკლა ან სიკვდილი მიუსაჯეს ოთხასზე მეტ გენერალსა და ადმირალს, ხოლო 553 ტყვედ ჩავარდა... დააპატიმრეს ნაცისტური პარტიის ბევრი ხელმძღვანელი, გაულაიტერები, მინისტრები. „ბოხბებზე ნადირობა" კი ისევ გრძელდებოდა... ყველგან გაკრული იყო მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სურათები მოწოდებებით: სადაც კი ნახავდნენ, დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ ისინი ან ეცნობებინათ სამხედრო პოლიციისათვის.

...19 მაისს ინგლისელთა ტანკები ერთ-ერთ ჰოსპიტალს მიადგნენ და ალყა შემოარტყეს. ეძებდნენ ჰიმლერს. გულმოდგინედ გაჩხრიკეს ყოველივე, მაგრამ ყოფილი რაიხსფიურერი ვერსად იპოვეს. სამაგიეროდ, ერთ-ერთ საწოლზე ყურადღება მიაქციეს საგულდაგულოდ შენიღბულ „ავადმყოფს"; შეამოწმეს და... ალფრედ როზენბერგი აღმოჩნდა.

რამდენიმე დღის წინ იგი გამოცხადდა ფლენსბურგში, რათა „სამსახური გაეწია" გერმანიის ახალი „ფიურერისათვის". დენიცმა თბილად მიიღო ყოფილი რაიხსმინისტრი, მაგრამ სამსახურზე მაინც უარი უთხრა. გაწბილებული როზენბერგი, მთავრობის რეზიდენციიდან რომ გამოვიდა, ჯავრიან გულზე ისე გამოთვრა, დამბლა დაეცა და ჰოსპიტალში მიიყვანეს... იქ კი ჰიმლერზე მონადირეებს ჩაუვარდა ხელთ...

ცალთვალა მეფისტოფელი...

ჯერ კიდევ 25 აპრილს, როცა ჰიმლერის ხმა ლონდონსა და ვაშინგტონს მისწვდა, ტრუმენმა დაუყოვნებლივ ჰოიწვია თათბირი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ჩერჩილიც...

ტელეფონით. ტრუმენმა ეჭვი გამოთქვა, რომ ისეთი შემზარავი ადამიანის წინადადებით, როგორიც ჰიმლერია, შესაძლებელი ყოფილიყო ესოდენ სერიოზული ნაბიჯის გადადგმა. ჩერჩილმა ეს იწყინა:

— კი მაგრამ მე მინდა დავამთავრო ომი! — ჩასძახა მან ყურმილს, ვითომ მართლაც ეს უნდოდა. სინამდვილეში, პირიქით, „ბრიტანეთის ლომი“ ახალი ნახტომისათვის ემზადებოდა, მაგრამ არ გამოუვიდა... ამის მიზეზი იმდენად აშკარაა, რომ თვით მონტგომერიმაც კი უთხრა ეიზენჰაუერს:

— ბრიტანელ ხალხს ყელში ამოუვიდა ომი და მას ვერავინ აიძულებდა 1945 წელს ეომა რუსების წინააღმდეგ. ამასთანავე რუსებმა გერმანელებთან ომში გმირობის სახელი მოიპოვეს და ინგლისის მთავრობას, როგორიც უნდა ყოფილიყო იგი, დიდი სიძნელეები მოელოდა ამ მხრივ თავისსავე ქვეყანაში...

არც სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხები მოითმენდნენ ამას და ჰიმლერმა დაკარგა პირველი ანტიბოლშევიკის „ყოვლისშემძლე მანდატი“...

...ახლა იგი სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში იყო. როგორც იქნა, გერინგი ჩამოიშორა, რიბენტროპიც. ბორმანი არ ჩანდა, გებელსმა თავი მოიკლა... თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მისთვის სრულიად მოულოდნელად დენიცმა გამოიძახა ფლენსბურგში. ჰიმლერს ჯერ კიდევ დიდი გავლენა ჰქონდა ესესელებში და დენიცს ეშინოდა მისი. იმ არემარეში ისევ დაძრწოდნენ ფანატიკოსები „ჰავი ეორპუსიდან“. ესეც არ ყოფილიყო, თვით დენიცის „სატანტო ქალაქში“ ხომ „წესრიგს იცავდა“ ესესელთა დივიზია „დიდი გერმანია“. ამიტომაც, ვიდრე ჰიმლერი მოვიდოდა, დენიცმა წინასწარ საგანგებო ზომები მიიღო საკუთარი უშიშროების უზრუნველსაყოფად — გამოიძახა წყალქვეშა ნავების ოფიცერთაგან შედგენილი ბატალიონი და „მთავრობის რეზიდენციის“ გარშემო დააკავებინა პოზიციები. დერეფნებში, ვერანდებზე, კიბეებზე, ბაღში, ხეებსა და ბუჩქების ძირას — ყველგან შეიარაღებული მეზღვაურები იყვნენ ჩასაფრებულნი...

...ტრადიციულ შავ მუნდირში გამოწყობილი ჰიმლერი მძიმედ აჰყვა „დენიცის სასახლის“ კიბეებს. ეს იყო პირველ მაისს. შუაღამე უკვე გადასული იყო, როცა მან შეაღო დენიცის კაბინეტის კარი. მეზღვაურები მოემზადნენ „ყოველი შემთხვევისათვის“. დენიცი მაგიდასთან დაჯდა. წინ ჰიმლერი დაისვა და გადასცა ჰიტლერის დეპეშა სახელმწიფოს მეთაურის დანიშვნის შესახებ. ჰიმლერი გაფითრდა, რომ ასე უცებ გამოეცალა იმპერიის პირველი კაცის სავარძელი, მაგრამ წინააღმდეგობა არც უფიქრია; ადგა და მიულოცა თავის მეტოქეს ახალი თანამდებობა, თან ისიც დასძინა:

— ნება მიბოძეთ ვიყო მეორე კაცი სახელმწიფოში.

არც ეს შედიოდა დენიცის გეგმაში. მას არ უნდოდა „ახალი მთავრობის“ რეპუტაცია შეებღალა ასეთი ოდიოზური პიროვნების მონაწილეობით და უარი უთხრა.

ღამის სამი საათი იყო, როცა ჰიმლერი ცივად დაემშვიდობა დენიცს და გამოვიდა. მეზღვაურებს „ოპერაციის ჩატარება“ არ დასჭირვებიათ... დენიცი კი ამბობდა ნიურნბერგში, მე უნდა დამეპატიმრებინა იგი მაშინ, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ასეთი მასობრივი მკვლელობანი თუ ჰქონდა ჩადენილიო...

...ჰიმლერი კიდევ ერთხანს იყო ფლენსბურგში. მართალია, არაფერს აკეთებდა, მაგრამ მაინც ჰქონდა იმედი დასავლეთის სახელმწიფოები მხოლოდ ჩემთან მოინდომებენო საქმის დაჭერას. ის კი უკვე არავის ახსოვდა, გარდა სამხედრო პოლიციისა, რომელიც გამალებით დაეძებდა „იმპერიის პირველ ჯალათს“.

ჰიმლერმა იგრძნო საფრთხის მოახლოება და უცებ გველივით გამოიცვალა კანი: შავი მუნდირი გაიხადა, სამოქალაქო ჩაიცვა, ულვაშები ჩამოიპარსა, პენსნე მოიძრო, ცალი თვალი შავი ლენტით აიხვია და სულ ნოქარს დაემსგავსა. მას ახლა სხვად ყოფნა ერჩია, ამიტომ პასპორტიც გამოიცვალა და „იმპერიის ბოროტი სული“ ჰაინრიხ ჰიმლერი ვიღაც ცალთვალა ჰაინრიხ ჰიტციგერად იქცა, თან ისე „გაფაქიზდა“, რომ პილატესავით ხელის დაბანა არ იკმარა და თითებზე მანიკურებიც გააკეთებინა, თუმცა ადრე ეს სპეციალური ბრძანებით ჰქონდა აკრძალული ესესელებისათვის.

...21 მაისს ინგლისელთა ერთ-ერთი საკონტროლო პოსტზე დააკავეს უცნობი მამაკაცი, რომელიც თავისი გარეგნობით საეჭვოდ ეჩვენათ. აზრად არავის მოსვლია, რომ იგი შეიძლებოდა ჰიმლერი ყოფილიყო, ისე არ ჰგავდა თავის თავს. ჰიმლერმა კი იფიქრა, ეს არის მიცნესო, და სრულიად მოულოდნელად განაცხადა:

— მე ჰაინრიხ ჰიმლერი ვარ, მინდა ენახო ფელდმარშალი მონტგომერი.

როგორც ჩანს, კიდევ ვერ მოეშორებინა აკვიატებული აზრი, ყოფილიყო გერმანიის უმაღლესი წარმომადგენელი. სურვილი მაინც შეუსრულეს და ლუნებურგში ჩაიყვანეს. აქ იგი ექიმმა უელსმა გასინჯა, მერე ტანისამოსიც გახადა, ჯიბიდან საწამლავი ამოუღო და ამით დაკმაყოფილდა. მალე პოლკოვნიკი მერფი მოვარდა ექიმთან და ჰკითხა:

— საწამლავი უპოვეთ?

— დიახ, ჯიბეში ჰქონდა! — მიუგო მან.

— პირის ღრუ გაუსინჯეთ?

— არა!

— ახლავე გასინჯეთ! ჯიბეში საწამლავი, ალბათ, იმიტომ ჰქონდა, რომ თქვენ დაებნიეთ!..

უელსი გაიქცა ჰიმლერთან და უბრძანა პირი გაეღო. იმავე წამს კბილებში შუშამ გაიტეხა და ჰიმლერი მოცელილივით დაეცა, თორმეტი წუთის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს ექიმი უელსი, მაგრამ ვერ მოაბრუნა.

— ეჰ, რა ხოხობი გაგვიფრინდა საიქიოშიო, — იხუმრა ვიღაცამ.

ნახევარი საათის შემდეგ ასიოდე ფოტოკორესპონდენტი ბიესია ჰიმლერის გვამს.

მომხდარი ამბავი მონტგომერის მოახსენეს და ჰკითხეს, მკვდარს რა ვუყოთო. მან ბრძანა:

— წაიღეთ და სადმე საიდუმლოდ დამარხეთ, რათა მისი საფლავი არასოდეს იქცეს ეროვნულ წმიდა ადგილად გერმანელთათვის...

შემდეგ თქვეს, მხოლოდ ხუთმა კაცმა იცოდაო სად დამარხეს ყოფილი რაიხსფიურერის ნეშტი... თუმცა ეს უკვე

არავის აინტერესებდა, არც იმ „წმიდა ადგილის“ ძებნაზე შეუწუხებია ვინმეს თავი...

საიდუმლო წერილი...

ეს ამბავი ჰამბურგში მოხდა. აქაც გახურებული „სადიროობა“ მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ ბევრი „ხოხობი“ იყო ბუჩქებში მიმალული. ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც. კურიოზული ამბებიც ხდებოდა. ზოგჯერ ისე მოულოდნელად აუფრინდებოდათ „ხოხობი“, რომ სახტად რჩებოდნენ. „მეძებრობას“ ხშირად გერმანელებიც კისრულობდნენ. ეს სარფიანი საქმე იყო. სარდლობა კარგ გასამრჯელოს ჰპირდებოდა ყველას, ვინც „ხოხობს ააფრენდა“. სამხედრო პოლიციაში ცხაღდებოდნენ საყელოაწეული და ქუდჩამოფხატული „მეძებრები“ და მოჰქონდათ ახალი ცნობები...

ზოგჯერ ისიც ხდებოდა, რომ მწევრების მიერ დაღლილ „ხოხბებს“ ასეთი მეძებრები იჭერდნენ...

...14 მაისს ადრე დილით ჰამბურგის პოლიციის შენობაში ერთი ასეთი „მეძებართაგანი“ შევიდა. სამხედრო პოლიციელებით სავსე „ჯიპები“ მაშინვე გაეშურნენ „სანადიროდ“. პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს შენობას, შემდეგ მეხუთე სართულზე ავიდნენ და რამდენჯერმე დააკაკუნეს. ხმა არავინ გასცათ. მერე ფეხებითაც დაუწყეს ბრახუნი. ორიოდე წუთის შემდეგ კარი გაიღო და ხახევრად შიშველი, თმაგაწეწილი ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. პოლიციელებს ნებაც არ უთხოვიათ, ისე შეცვივდნენ ხუთოთახიან უზარმაზარ ბინაში. მეოთხე ოთახში აულაგებელი საწოლი იდგა. იქ ვიღაც იწვა თავიან-ფეხებიანად საბანში გახვეული. ერთ-ერთმა პოლიციელმა საბანი გადააძრო. „მძინარე“ არ განძრეულა. შეუძახეს, ერთიორჯერ შეანჯღრიეს კიდეც და ძლივს „გააღვიძეს“.

— ეი, ადექი, — დაუყვირა მას პოლიციელმა.

— რა მოხდა? — გაკვირვებით იკითხა ახალგაღვიძებულმა და ლოგინზე წამოჯდა.

— ჩაიცვი! — მიმართა მას ისევ იმ პოლიციელმა.

ლოგინზე მჯდომი ცივი, ცისფერი თვალებით უყურებდა

„დაუპატიჟებელ სტუმრებს“ და არ ინძრეოდა. კარებში ისევ ის ლამაზმანი იდგა და არც ცდილობდა დაეფარა სხეულის შიშველი ნაწილები. იგი შეშინებული მისჩერებოდა ლოგინზე საცვლების აშარა მჯდომ „სტუმარს“, რომელსაც პოლიციელმა პირდაპირ დაუსვა კითხვა:

— თქვენი სახელი და გვარი?

— ეს თქვენც კარგად იცით... მომილოცავს გამარჯვება! — თქვა მან და ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა.

— კეთილი, ბატონო იოაჰიმ ფონ რიბენტროპ! ადექით და ჩაიცვით, თქვენ დაპატიმრებული ხართ.

— დამაცადეთ, ჯერ წვერი გავიპარსო, — თქვა მან.

— ამის დრო გექნებათ, ახლა კი წამობრძანდით!

რიბენტროპი ადგა, თმა გულმოდგინედ დაივარცხნა, კარგა ხანს უყურა თავის თავს სარკეში, მერე იღლიაში რაღაც-რაღაცები ამოიჩარა და მზად ვარო განუცხადა პოლიციელებს.

— გასინჯეთ, საწამლავი არ ჰქონდეს! — გასცა განკარგულება უფროსმა.

— ნუ სწუხდებით, თავის მოკვლას არ ვაპირებ. მე მხოლოდ დავმალულიყავი მინდოდა, ვიდრე საზოგადოებრივი აზრი დამშვიდდებოდა.

— სად? გერმანიაში? — ჰკითხეს მას.

— დიახ! — მე ვიცი, რომ შეტანილი ვარ სამხედრო დამნაშავეთა სიაში... ეჭვი არ მეპარება, რომ ერთადერთი განაჩენი მომელის — სიკვდილით დასჯა!

პოლიციელებმა მაინც გაჩხრიკეს და საწამლავი აღმოუჩინეს. გარდა ამისა, ჯიბეებში უამრავი ფული ჰქონდა და წერილი მონტგომერის, იდენისა და „ვინსენტ ჩერჩილის“ სახელზე. „უინსტონის“ ნაცვლად, მართლაც. „ვინსენტი“ ეწერა. მერე ამბობდნენ: კაცს, რომელმაც ჩერჩილის ნამდვილი სახელი არ იცოდა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა როგორ ეჭირაო...

კაპიტულაციის შემდეგ რიბენტროპმა, ეტყობა, ადრესატებისათვის ამ წერილის გადაცემაზე უფრო თავის გადარჩენაზე იზრუნა. ჯერ ფლენსბურგში გამოცხადდა დენიცთან იმ იმედით, რომ კვლავ დაიკავებდა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს, მაგრამ დენიცმა მისი სურვილი კი არა, ჰიტლერის

ანდერძიც არ შეასრულა ამ თანამდებობაზე შვერინ-კროზიკის დანიშვნის შესახებ და თვითონ იკისრა იგი.

უმუშევარი რიბენტროპი ფლენსბურგიდან ჰამბურგში ჩავიდა თავის „ნაცნობ ქალთან“ და ელეგანტურად ჩაცმული ისე თავისუფლად დასეირნობდა ქუჩებში, თითქოს კედლებზე მისი სურათები სულაც არ ყოფილიყოს გაკრული მოწოდებით—დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ იგი როგორც სამხედრო დამნაშავე. მერე რიბენტროპს შეეშინდა სულ ერთ ადგილას ეცხოვრა, გაიხსენა ძველი პროფესია — ღვინის ვაჭრობა — და მოძებნა თავისი კომპანიონი რაიზერი.

— მე მაქვს ფიურერის ანდერძი-დავალება. თქვენ უნდა დამმალოთ, ვიდრე ამის დრო მოვა. საქმე გერმანიის მომავალს ეხება...

რაიზერს შეეშინდა და შეყოყმანდა, მისი ვაჟი კი პოლიციაში გაიქცა და ის იყო, მძინარე რიბენტროპს თავს რომ წაადგნენ...

პრესა კი ისევ ყოველდღიურად აქვეყნებდა „ხოხბებზე ნადირობის“ შედეგებს. სულ ახალ-ახალ „ოქროს ფრინველებს“ ათავსებდნენ გალიაში.

უცნობი მხატვარი და სხვები...

20 მაისს მშვენიერი დარი იდგა ბავარიაში. „ნადირობით“ მოღლილი მაიორი ბლიტი ბერჰტესგადენის მიდამოებში სეირნობდა თავისი „ჯიპით“. იგი ტკბებოდა ბავარიის ალპების თვალწარმტაცი ხედებით და ოცნებობდა, სამოქალაქო პირი რომ ვიყო, სადმე აქ დავსახლდებოდიო. ერთხანს იხეტიალა იმ არემარეში, მერე რძის დალევა მოუნდა და განმარტოებით მდგომ ერთ ქოხს მიადგა. კარებთან ვიღაც წვერმოშვებული მოხუცი ეფიცხებოდა მზეს. იგი მოურიდებლად შეევიდა ქოხში და რძე ითხოვა. დაალევინეს. მერე, გარეთ რომ გამოვიდა, იმ მოხუცს გამოელაპარაკა.

— როგორაა საქმე, პაპილო! — ჰკითხა მან.

— კარგად, კარგად, — უპასუხა მოხუცმა.

— აქაური გლეხი ხართ? — დაუსვა ისევ კითხვა მაიორმა.

— არა, დროებით ვცხოვრობ, მე ხელოვანი ვარ, მხატვარი!

— ნაცისტებზე რას ფიქრობთ? — ჰკითხა რატომღაც ბლიტმა.

— არაფერს, — მიუგო მოხუცმა, — მე მხატვარი ვარ და პოლიტიკით არასოდეს დავინტერესებულვარ.

— კი მაგრამ თქვენ იულიუს შტრაიხერს ჰგავხართ, — იხუმრა რატომღაც ბლიტმა, თუმცა ამაზე სერიოზულად არც უფიქრია. ის მოხუცი კი რაღაცათი მართლაც ჩამოჰგავდა ებრაელთა რისხვასა და ყველაზე „უწმინდურ ნაცისტ“ შტრაიხერს, მაგრამ წვერი ჰქონდა მოშვებული და გაცილებით უფრო მოხუცებულად გამოიყურებოდა, ვიდრე იყო... როგორც კი ბლიტმა თქვა „შტრაიხერს ჰგავხართო“, მოხუცი წამოხტა, გაოცებული სახე მიიღო და წამოიძახა:

— კი მაგრამ როგორ მიცანით?!..

მაიორის ხუმრობა მან სერიოზულად მიიღო. მერე კი მიხვდა თავის შეცდომას, კიდეც უმტკიცა ბლიტს შტრაიხერი კი არა, მხატვარი ზაილერი ვარო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! — განუცხადა მაიორმა.

შტრაიხერს სხვა რა გზა ჰქონდა დაემორჩილა...

ბედის დაცინვად ისიც ეყოფოდა, მისი დამპატიმრებელი მაიორი ბლიტი რომ ებრაელი იყო...

...სადღაც ისევ ბერჰტესგადენის მიდამოებში ღამით სამხედრო პოლიციელები ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში შეიდნენ და თავს წაადგნენ ლოგინში მწოლარე კაცს, რომელიც შიშისაგან ცახცახებდა.

— თქვენ რობერტ ლეი ხართ? — ჰკითხეს მას.

იმ კაცმა გაოცებული სახე მიიღო და თავი დაიქნია:

— სცდებით, ბატონებო, მე დოქტორი ერნსტ დისტელმაიერი გახლავართ!

— ო' კეი, წამოდით ჩვენთან!..

— რატომ უნდა წამოვიდე? აი ჩემი დოკუმენტები, გასინჯეთ!

მაშინ ერთ-ერთმა ამერიკელმა მისი ფოტოსურათი ამოიღო და უჩვენა.

— ეს მე არა ვარ! — განაცხადა მან.

— იცით რას გეტყვით, — უთხრა ამერიკელმა სუფთა გერ-

მანულით. — მე დაზვერვის ოფიცერი გახლავართ და ეს უკანასკნელი ცამეტი წელიწადია ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენს თვალყური ვადევნო თქვენს საქმიანობას, ამიტომაც გიცნობთ ასე კარგად.

— თქვენ სცდებით! — გაჯიუტდა ლეი.

— კეთილი, ვნახოთ! — თქვა ამერიკელმა ოფიცერმა და ცოტა ხნის შემდეგ ოთხმოცი წლის ფრანც შვარცი შემოიყვანა. შვარცი ერთ დროს ნაციისტური პარტიის ხაზინადარი და ჰიტლერის კარგი მეგობარი იყო. მან არ იცოდა რატომ მოიყვანეს აქ და გაკვირვებული უყურებდა პოლიციელებს. მერე, ლეის რომ შეხედა, გაოცებულმა წამოიძახა:

— ეი, დოქტორ ლეი! თქვენ რას აკეთებთ აქ?!

ლეის შეშინებული თვალები რომ დაინახა, მაშინვე მიხვდა რა შეცდომაც ჩაიდინა და თვითონაც საშინლად შეწუხებული სახე მიიღო.

ოფიცერს გაეცინა და ლეის მიუბრუნდა:

— კიდევ იტყვით, რომ დისტელმაიერი ხართ?

ლეიმ თავი ჩაღუნა. მერე იმ ფრანც შვარცის შვილიც შემოიყვანეს და ჰკითხეს:

— იცნობთ ამ კაცს?

— ეს ხომ რობერტ ლეია! — უპასუხა მან.

— თქვენ მაჯობეთ! — გატყდა ლეი. იგი მაშინვე წაიყვანეს ზალცბურგში.

— ნაციონალ-სოციალისტები ისევ განვაგრძობთ ბრძოლას. ამისთვის ჩემს პიროვნებას მნიშვნელობა არა აქვს. არც თავს ვუფრთხილდები, შეგიძლიათ ახლავე გამიყვანოთ გვერდზე და დამხვრიტოთ, — განაცხადა მან პირველ დაკითხვაზე...

ამერიკული პრესა აცხადებდა იმ დღეებში, ამ ხოხობის დაჭერას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გერინგისას, რადგან მას შინაგანი წინააღმდეგობის რაზმები, ე. წ. „ქაჯები“ (Weherwolf) ემორჩილებიანო.

საკვირველი ის იყო, ამერიკელები შტრაიხერისა და ლეისთანა სვავებსაც რომ „ხოხბებს“ ეძახდნენ...

...ყველაზე ახალგაზრდა „ხოხობი“ ბალდურ ფონ შირახი თვითონ შეფრინდა გალიაში. ჩვენები რომ ვენაში შევიდნენ,

იმანაც წვერი მოუშვა, გვარი გამოიცვალა, რიჰარდ ფალკი ვარო, და ტიროლელი გლეხის სახლს შეაფარა თავი. ამერიკელებს იგი მკვდარი ეგონათ და არც ეძებდნენ. ადრე გამოქვეყნებულიც იყო ცნობა ვენელებმა თავიანთი გაულაიტერი შირახი შეიპყრეს და დუნაის ერთ-ერთ ხიდზე ჩამოახრჩვესო. ეს ვერსია ისე იყო გავრცელებული, რომ რიჰარდ ფალკად მონათლულმა შირახმა ამერიკულ უწყებაშიც კი დაიწყო სამსახური მთარგმნელად. თავისუფალ დროს იგი რაღაც დეტექტიურ რომანს „მირნა ლოის თავგადასავალს" წერდა.

ხუთ ივნისს ამერიკის სამხედრო უწყებამ ასეთი წერილი მიიღო:

„მე მინდა ჩემივე ნებით ჩავბარდე ამერიკელებს, რაცა საშუალება მომეცეს თვითონ დავიცვა თავი საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე.

ბალდურ ფონ შ ი რ ა ხ ი".

— კი მაგრამ შირახი ხომ მკვდარია! — წამოიძახა გაოცებულმა ოფიცერმა.

ეს სენსაციური ამბავი მაშინვე გავრცელდა. სამხედრო პოლიციელები მყისვე გაგზავნეს წერილში აღნიშნული მისამართით.

როცა ამერიკული „ჯიპი" შირახის სახლს მიადგა, იგი უკვე წვერგაპარსული მოდიოდა სამხედრო პოლიციელებთან შესახვედრად.

— რატომ დაგვნებდით თქვენივე სურვილით? — ჰკითხეს მას.

— ხუთ ივნისს რადიოთი გადმოსცეს, — თქვა შირახმა, — რომ „ჰიტლერული ახალგაზრდობის" ყველა ლიდერი დაპატიმრებული იქნება, ხოლო თვით ეს ორგანიზაცია დანაშაულებრივად ცხადდება. ამის შემდეგ მე აღარ შემეძლო ისე კომფორტულად მეცხოვრა აქ, როგორც ბატონი რიჰარდ ფალკი ცხოვრობს. ამასთანავე, რაკი ჩემი შემცვლელი — „ჰიტლერიუგენდის" ბელადი აქსმანი მკვდარია, ამ დრამატულ მომენტში მე მინდა კვლავ ჩავუდგე სათავეში ჩემს ორგანიზაციას...

ამერიკელმა ოფიცერმა შირახს ცოლთან დამშვიდობების ნება დართო. ცოლმა არც იცოდა, ქმარი თავისივე სურვილით

რომ ბარდებოდა მოწინააღმდეგეს, და ჰკითხა, რატომ არ გაიქეცი.

— მე ბევრი ვიფიქრე ყველაფერზე, — მიუგო მას შირახმა, — საამისო დროც მქონდა. ახლა კი მინდა გამოვიდე ტრიბუნალის სხდომაზე და მსჯავრი დავსდო ჩემსავე თავს. ეს მე ჩავუნერგე გერმანელ ახალგაზრდობას ჰიტლერის სიყვარული და რით უნდა გავათავისუფლო ისიხი ამ ცდუნებისაგან, თუკი თვითონ არ ვთქვი სიმართლე საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე. ვიცი, რომ ამისათვის ჩამომახრჩობენ, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე ასე მოვქცეულიყავი...

— ჩამოგახრჩობენ?! — შეჰკივლა ცოლმა.

— რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას ჩამოგვახრჩობენ, — მშვიდად უთხრა მას შირახმა და ამერიკელ პოლიციელებს გაჰყვა...

...შუაღამე გადასული იყო, როცა ბერჰტესგადენში ამერიკელ კაპიტან ბრობჰედის ბინაში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. კაპიტანმა გაიღვიძა და იქვე სასთუმალთან დადგმულ ტელეფონს წაავლო ხელი.

— ბოდიშს ვიხდი, ერთი მოქალაქე ითხოვს თქვენთან ლაპარაკს, — დაიწყო ვიღაცამ.

— რატომ მაღვიძებ ასე გვიან! — უყვირა კაპიტანმა.

— ბატონო კაპიტანო, ეტყობა, დიდი ვინმეა!

— ვინ არის?

— ახლავე...

ჩანს, არც თვითონ იცოდა იმ „დიდი ვინმეს" სახელი და გვარი, მერე გაიგო და დაუმატა:

— ჰანს ფრანკი!..

კაპიტანი ბრობჰედი დამდუღრულივით წამოვარდა ლოგინიდან და ყველანი ფეხზე დააყენა...

ფრანკმა თურმე ჯერ თავის ძოკვლა განიზრახა და ვენები გადაიჭრა, მაგრამ მიუსწრეს და გადაარჩინეს. მარცხენა ხელის დამბლა დარჩა მხოლოდ. დაპატიმრების შემდეგ მან გაამხილა, თუ სად იყო გადამალული პოლონეთის ხელოვნების საგანძური, თვითონვე გადასცა ამერიკელებს თავისი დღიურების ოცდაცხრამეტი ტომი და ტყვედ ჩაბარდა.

მეორე დღეს გაზეთებმა მსხვილი სათაურებით გამოაქვეყნეს სენსაციური ცნობა:

— დაპატიმრებულია პოლონეთის ჯალათი!

— კრაკოველ ებრაელთა გამჟლეტი — ციხეში!

არავის ეგონა, რომ ასეთ მძიმე დანაშაულობათა ჩამდენი ფრანკი ცოცხლად დანებდებოდა მოწინააღმდეგეს. მაგ, ოგორც იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის ყოფილმა პრეზიდენტმა, კარგად იცოდა რა სასჯელიც მოელოდა. მიუხედავად ამისა, მაინც ცოდვების მონანიება და „ყველაფრის ოქმა“ გადაწყვიტა...

ტყვეობიდან ტყვეობაში...

შახტსა და პაპენს საშველი არ დაადგათ. ორ და ზოგჯერ სამ სკამზე ჯდომამ სამმაგი პატიმრობა არგუნა მათ. ოცი ივლისის შეთქმულების გამო ჰიტლერის ბრძანებით შახტი დააპატიმრეს და ჯერ რავენსბრუკისა და მოაბიტის, ხოლო შემდეგ ფლენსბურგის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. აქ მას დახვდა ფრანც ფონ პაპენი. ორივემ საკუთარ ტყავზე გამოსცადეს, თუ რას ნიშნავდა გერმანული საკონცენტრაციო ბანაკი!

— აქედან ცოცხალი ვერავინ გავა! — მიუსამძიმრა პაპენმა შახტს.

ომი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. ჰიტლერიც სულს ღაფავდა თავის თავშესაფარში და, რომელ პატიმარზედაც კი მოახსენებდნენ, „დახვრიტეთო“ ყვიროდა. ბოლოს, ჯერი „პატივცემულ პატიმრებზე“ მიდგა. ესენი იყვნენ: იალმარ შახტი, ფრანც ფონ პაპენი, ფრანგ სოციალისტთა ლიდერი ლეონ ბლუმი, ცნობილი მრეწველი ფრიც ტისენი, გენერალი ფრანც ჰალდერი, ჰესენისა და პრუსიის პრინცები, ჩერჩილის ძმისშვილი, საფრანგეთის ყოფილი პრემიერი და მიუნხენის „გმირი“ ედუარდ დალადიე, გენერალი გამელენი, პოლ რეინო, ავსტრიის ყოფილი კანცლერი შუშნიგი და სხვ.

— დახვრიტეთ, ახლავე დახვრიტეთ ყველანი! — გასცა სტანდარტული განკარგულება ჰიტლერმა.

ეს განკარგულება მაშინვე მიიღო ფლენსბურგის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტმა, მაგრამ უკვე ამერიკელები უახლოვდებოდნენ ქალაქს. თავგზააბნეულმა კომენდანტმა იფ-

იქრა იქნებ ამიტ მაინც გადავირჩინო თავიო და დახვრეტის ნაცვლად თავისი სამსახური შესთავაზა „საპატიო სტუმრებს". შემდეგ გადაწყვიტა, რომ მეტი „უშიშროებისათვის" ისინი დახაუში გადაეყვანა, მაგრამ გზაში ამერიკელები დაესხნენ თავს მათ კოლონას და ყველანი გაათავისუფლეს.

პაპენი ვესტფალიის ტყეში გაიხიზნა და ცოლშვილიანად იქ შეაფარა თავი სანადირო სახლს. მერე აქაც მიადგნენ როგორც ერთ-ერთ მთავარ სამხედრო დამნაშავეს. როცა კარებზე დაუკაკუნეს, პაპენი ცოლ-შვილთან ერთად სადილობდა.

— ვინა ხართ თქვენ? — ჰკითხა მას შესვლისთანავე ამერიკელმა სერჟანტმა.

— მე ვარ ფრანც ფონ პაპენი. — მიუგო მოხუცმა და დოკუმენტები გაუწოდა.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ! — გამოუცხადა სერჟანტმა.

— რატომ! — გაიკვირვა პეპენმა, — მე ხომ არავითარი სამხედრო თანამდებობა არ მიჭირავს, თანაც ორმოცდაათ წელს ვარ გადაცილებული!,.

— ეგ არაფერი! დაპატიმრებული ხართ!

წინააღმდეგობა ამ შემთხვევაში ამაო იყო და პაპენმა ითხოვა სადილის ჭამა მაინც დამამთავრებინეთო. დაამთავრებინეს. მერე კი პატარა ჩემოდანში ჩააწყო თავისი „ბარგი" და წავიდა...

... იგივე ბედი ეწია შახტს. ისიც გაკვირვებული იყო: ჯერ იყო და ჰიტლერმა დამაპატიმრა, აწლა კი ამ ამერიკელებს რალა უნდათ ჩემგანო. ნიურნბერგის პროცესზე ორივემ კარგად გაიგო რა ბრალიც ედებოდათ, მაგრამ ინგლისელებმა და ამერიკელებმა მაინც დაიცვეს ისინი და იმასაც მიაღწიეს, რომ ორივე გაათავისუფლეს.

არც ამან უშველა ბათ. წესისამებრ, ისინი განაჩენის წაკითხვისთანავე უნდა გეთავისუფლებინათ. უკვე საღამო იყო და ამიტომ მათ ჰკითხეს, ახლავე წახვალთ, თუ დილამდე დარჩებითო!

— ახლავე, ამ წუთას! — აჩქარდნენ ისინი.

გაუშვეს კიდეც, მაგრამ გარეთ ისეთი აბობოქრებული ხალ-

ხი დახვდათ, რომ შეშინებული უკანვე შემობრუნდნენ და ითხოვეს ღამე ისევ ციხეში გაგვათენებინეთო...

მერე ციხიდან გამოსულთ უამრავი კორესპონდენტი შემოეხვიათ.

— სად წახვალთ ახლა? — ჰკითხა პაპენს ერთ-ერთმა კორესპონდენტმა.

— შინ, ცოლ-შვილთან.

— როგორი იქნება თქვენი სურვილი?

— მე ვისურვებდი, რომ ეს ყოფილიყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა კორესპონდენტებთან!..

შახტსა და პაპენს ეგონათ ყოველივე ამით დამთავრდებოდა, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ ისინი თვითონ გერმანელებმა დააპატიმრეს და ისევ ციხეში ჩასვეს...

... მერე სხვა „ხოხბებიც“ ააფრინეს. საფრანგეთის ზონაში დააპატიმრეს ფონ ნოირატი, ბერლინში — ფუნკი, ავსტრიაში — კალტენბრუნერი. კანადის ჯარის ნაწილებმა სწრაფმავალ კატარღაზე სტაცეს ხელი ზეის-ინკვარტს. ბაბელსბურგში გროსადმირალი რედერი დააკავეს ჩვენებმა. 23 ივნისამდე იგი მხოლოდ შინაურ პატიმრობაში იმყოფებოდა და საკუთარ ვილაში ცხოვრობდა... შემდეგ კი, როცა მის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულობანი დადგინდა, ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს.

გებელსის მოადგილე და რადიომაუწყებლობის უფროსი ფრიჩეც ჩვენი „საპატიო ტყვე“ იყო.

როცა იგი „ბერლინის უკანასკნელ დღეებში“ იქ დაბრუნდა და თავის ვილაში შევიდა, მისი თანაშემწე ჰამელი ეახლა და მოახსენა:

— დოქტორი გებელსი თავშესაფარში გადასახლდა. ყველაფერი დამთავრებულია. რუსებმა ალექსანდერპლაცს მოაღწიეს. მე ჰამბურგში მივდიკარ და, თუ თქვენც წამოხვალთ, გვაქვს ერთი ადგილი.

ფრიჩემ წასვლაზე უარი თქვა და სამინისტროსაკენ გაეშურა. აქ ყველაფერი მინგრეულ-მონგრეული და გაპარტახებული დახვდა. უკვე არც იყო რამე საჭირო. რადიომოსამსახურენი დაითხოვა. მერე თვითონ გარაჟში ჩავიდა, მანქანა გამო-

იყვანა და ალექსანდერპლაცისაკენ გაემართა, ნამდვილად მოვიდნენ რუსები თუ არაო. მოედანთან იგი მართლაც წააწყდა ბრძოლებს და უკანვე გამობრუნდა. ამ დროს ჰამბურგის რადიო გადმოსცემდა ჰიტლერის სიკვდილის ცნობას. ფრიჩემ სამინისტროს თანამშრომელ ნაუმანთან ერთად ჩაუარა რაიხსკანცელარიის შენობას და ეზოში შეავიდა. ბორმანი და სხვები დოკუმენტებს წვავდნენ და გასაქცევად ემზადებოდნენ.

— ვეერფოლფი დაშლილია, ყოველგვარი ოპერაცია შეწყვეტილია, სასიკვდილო განაჩენების სისრულეში მოყვანაც,— უთხრეს მას.

ფრიჩე ისევ „სამინისტროში" დაბრუნდა. ახლა იგი უმაღლესი თანამდებობის პირი იყო ბერლინში და თავის მოვალეობად მიიჩნია წერილით მიემართა მარშალ ჟუკოვისათვის. იგი ჯერ კიდევ საწერ მაგიდასთან იჯდა, რომ ოთახში ჰიტლერის ყოფილი სამხედრო ადიუტანტი გენერალი ბურგდორფი შემოიჭრა და იყვირა:

— თქვენ გინდათ კაპიტულაცია?!

— დიახ, — მიუგო ფრიჩემ.

— მაშინ თქვენ მოგიხდებათ ჯერ მე მესროლოთ! — გაშმაგდა ბურგდორფი, — ფიურერმა თავის ანდერძში აკრძალა ყოველგვარი კაპიტულაცია, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ უკანასკნელ კაცამდე!

— იქნებ უკანასკნელ დედაკაცამდეც?!—შეუბრუნა ფრიჩემ.

ბურგდორფმა რევოლვერი იძრო, მაგრამ ხმაურზე შემოსულმა რადიოტექნიკოსებმა მოასწრეს რევოლვერზე ხელი აეკრათ. ტყვია კედელს მოხვდა. გენერალი ბურგდორფი გაამევეს სამინისტროს შენობიდან. ერთხანს ქუჩაში იდგა და ფიქრობდა, რა უნდა ექნა. მერე ისევ რაიხსკანცელარიისაკენ გაემართა, მაგრამ იქამდე არც მისულა: გზაში რევოლვერი გაიძრო და თავი მოიკლა...

... ფრიჩეს წერილმა დანიშნულების ადგილამდე მიაღწია. ჩქარა საბჭოთა არმიის წარმომადგენლებიც მოვიდნენ და მარშალ ჟუკოვთან მიიწვიეს. ხანმოკლე საუბრის შემდეგ ფრიჩე უკვე აღებული რაიხსკანცელარიის ეზოში შეიყვანეს და გებელსის გარუჯული გვამი უჩვენეს. იქვე მისი ექვსივე

მკვდარი ბავშვივი ელაგა. „ისე მშვიდად იწვნენ, გეგონებოდათ სძინავთო“, წერდა მერე ფრიჩე. ის ისე ააღელვა ამ სურათმა, რომ მაგდა გებელსის ნეშტისათვის სულაც არ მიუქცევია ყურადღება. მერე ფრიჩე და ჰიტლერის კბილის ექიმი იმ ორმოსთანაც მიიყვანეს, სადაც მათი ფიურერის ფერფლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რა უნდა ეცნოთ, როცა ყველაფერი არტილერიის ცეცხლს გაეფანტა. ექიმმა მაინც დაიწყო რაღაცის ჩხრეკა. როგორც გამოირკვა, მას უნდოდა ჰიტლერის კბილების „ოქროს ხიდი“ ეპოვნა, არ დაიწვებოდაო. ეს „ხიდი“ სწორედ მისი გაკეთებული ყოფილა. ჰიტლერს სუსტი კბილები ჰქონდა. ახლობლებთან ლაპარაკის დროს იგი ინსტინქტურად ხელს იფარებდა პირზე, თითქოს ეშინოდა კბილები არ გადმომცვივდესო. პირადმა ექიმმა, რომელსაც ესესში გენერალ-მაიორის ჩინი ჰქონდა, მას „ოქროს ხიდით“ გაუმაგრა წინა კბილები და ახლა ამას ეძებდა იმ ორმოში. ამბობენ, იპოვნა კიდეც და ამითაც დაადასტურეს ჰიტლერის თვითმკვლელობაო, თუმცა ბევრს ეს ეჭვისოდაც სჯეროდა: ბევრიც დიდხანს არ იყო დარწმუნებული, რომ ჰიტლერმა ნაწდვილად მოიკლა თავი. ათასგვარ ზღაპარსაც ჰყვებოდნენ: ვითომ უკანასკნელ დღეებში ჰიტლერის ორეული იყო თავშესაფარში და არა თვითონ. ჰიტლერს მართლაც ჰყავდა ორეული, მაგრამ ნამდვილად ასე იყო ეს თუ არა, კაციშვილმა არ იცის.

დიდხანს ვერც მე დავიჯერე ჰიტლერის თვითმკვლელობა. რატომო, რომ მკითხოთ, საგულისხმოს მაინც დამაინც ვერაფერს გეტყვით. ერთი კია, ნიურნბერგში საშუალება მქონდა პირადად გავცნობოდი ჰიტლერის შოფერ კემპკას, კამერდინერ ლინგეს და სხვა ისეთ პირთა ჩვენებებს, რომლებიც უკანასკნელ მომენტში თავიანთ ფიურერთან იყვნენ და მონაწილეობას იღებდნენ მის დაწვაში. ყველა თავისებურად ჰყვებოდა ამ ამბავს, წინააღმდეგობაც ბევრი იყო მათ ნათქვამში, მაგრამ ვინ იცის... ათი წელიწადი დასდევდნენ ჰიტლერის კვალს, ბოლოს კი მაინც ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მან ნამდვილად მოიკლა თავი და ძიებაც შეწყდა.

ფრიჩემ ამის შესახებ მაშინ გარკვევით არაფერი იცოდა. იგი სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს და ნიურნბერგში საბრალდებულო სკამზე დასვეს. სულ იმას ჩიოდა, გებელსი რომ ცოცხალი ყოფილიყო, მე აქ არ ვიქნებოდიო...

... კარგად მახსოვს, რედერი და ფრიჩე რომ ჩამოიყვანეს ნიურნბერგში. მე ნაშინ არ ვიცოდი, რომ მათ თარჯიმნად თურმე ჩვენი თანამემამულე ვ. უროტაძე მოჰყვებოდა. სამაგიეროდ ერთ ქართველ ჯარისკაცს კი შევხვდი. გვიანი ღამე იყო. მე ისევ სამუშაო ოთახში ვიჯექი, როცა კარზე დააკაკუნეს. მეგონა მემანქანეთა ბიუროდან მომაგრებული მბეჭდავი სილვია არისმეთქი და დავიძახე:

— Herein! (შემოდით!).

„ხირაინ" კი არა, გამარჯობა შენი! — შემოილაპარაკა ვილაც ქართველმა ჯარისკაცმა. მე მოულოდნელობისაგან სახტად დავრჩი, ის კეთილად მიღიმოდა და თავს უხერხულად გრძნობდა, ოფიცერთან რომ ასე „მოქალაქურად" შემოვიდა. ალბათ, საბოქალაქო პირი ვეგონე და, რომ დაინახა ასე არ არისო, ნაგვიანევი სამხედრო სალამი მომცა, თანაც გამოკვეთილი მეგრული აქცენტით:

— ზრდავი ჟილაიუ, ტაკარიშჩ მაიორ!..

ხელი ჩამოვართვი, დავსვი და ვკითხე, აქ საიდან გაჩნდიმეთქი.

— ვილაც რინდერი და ფრიჩი ჩამოიყვანეს სტუმრად, ტავარიშჩ მაიორ, და ისინი მოვაცილე ციხემდე,— ნითხრა მან.

ის ჯარისკაცი ერთადერთი ქართველი იყო, რომელსაც ნიურნბერგში შევხვდი...

სხვისი სხვა...

ადრე არც მე შემეძლო მეოცნება, რომ ამ პროცესზე მოვხვდებოდი, მაგრამ ასე კი მოხდა. ომი რომ დამთავრდა, ჩვენი განყოფილება შემცირდა. სამუშაოებმაც იკლო. ყველა იმის მოლოდინში ვიყავით შინ როდის გამოგვიშვებდნენ. ბაზა ჯერ კიდევ ვინერ-ნოიშტადტში გვქონდა. საღამოობით დუნაის გაღმა გადავდიოდით და ვენაში რამე გასაროობს ვესწრებოდით. იმ დღესაც მთელი განყოფილება დავუყევით დუნაის პარცხენა სანაპიროს, რომ შემდეგ საბაგირო გზით მარჯვენა ნაპირზე გადავსულიყავით. წინ ჩარიტა და მზარეული თეოდორი მიდიოდნენ, თან რაღაცაზე დაობდნენ. ჩვენ შორიდან ვუყურებდით. და გვეცინებოდა. მერე ეს დავა უფრო გამწვავდა.

ალბათ, ჩარიტამ ძალიან გაამწარა „ლოქო“, რომ ვერ მოითმინა, იქვე დაგდებულ კეტს წამოავლო ხელი და იმ „ეშმაკის ფეხს“ გამოუდგა. ჩარიტამ მიშველეთო იყვირა და გაიქცა. ლოქო უკან მიჰყვა. ჩვენც დავედევნეთ, პატარა დრუნიკოვი, ბეგი და მე. ის იყო უნდა დავწეოდით, რომ ჩარიტამ უცებ გზას მარჯვნივ გადაუხვია და პირდაპირ დუნაისაკენ გავარდა. ლოქო მაინც არ მოეშვა, არც ჩვენ და... უცებ ისეთი საშინელი აფეთქების ხმა გაისმა, რომ...

... სხვა არაფერი გამიგია. ისე მეგონა, უზარმაზარი ტალღა უკუიქცა ჩემგან და მეც თან გამიყოლა-მეთქი. ეს, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ასე კი იყო. თითქოს ჩემივე თავის გარეშე დავრჩი — რაღაც თუ ვიღაც, ვინც არსებობას გრძნობს, ოღონდ მარტოოდენ როგორც სიცარიელეს, სხვა ამ არსებობას არაფერი ადასტურებს. არც არაფერი მახსოვს. ჩემსა და ყოველივე იმას შორის, რასაც წარმოვიდგენდი, უცებ ისეთი ყრუ კედელი აღიმართა, რომ საკუთარი „მე“ დამეკარგა: არც ფიქრის უნარი მაქვს და არც რისამე გააზრებისა. დახშული ცნობიერება თითქოს ყინულის თეთრ კედლებზე დასრიალებს, მაგრამ ფეხს ვერაფერზე იკიდებს, ან კი როგორ უნდა მოიკიდოს, როცა არაფერი მახსოვს... სრულიად არაფერი, რის გამოხატვაც ცნებით შეიძლება. ეს დაახლოებით ისეთი მდგომარეობაა, რასაც პოლ ვალერი „არსებობის გარეშე არსებობას“ უწოდებს. ძნელია ამაში გარკვევა. ის კი იცი, რომ რაღაც უსივრცო სიცარიელეში ხარ, დავიწყების სამყაროში. ვერ ერკვევი, ეს სიცოცხლეა, თუ სიზმარი. იქნებ სიკვდილიც იყოს. რადგან არ გახსოვს, ვინ იყავი ან რა გაგიკეთებია. ყოველივე ეს ნისლში იძირება და შენც უაზროდ ქანაობ გაუგებრობის იმ წყვდიადში, ვიდრე სადღაც, უსივრცო სიცარიელეში, მართლაც არ იპოვი რომელიღაც წერტილს მოგონებისას, ჯერ ერთს, მერე მეორეს, მესამეს.. შემდეგ კი სურათი სურათს მოსდევს, ამბავი — ამბავს და თანდათან ივსები იმით, რაც იყავი. ამით შენი პიროვნებაც იბრუნებს თავის „მე“-ს და მოგონებებით ადასტურებს საკუთარ არსებობას. იმასაც იხსენებ: ვინ ხარ? სადა ხარ?... ვენაში... ვიღაცის ბინაში აქ რაღაცას ფიქრობ, რაღაც გაგონდება... თითქოს შენივე წარსული გიბრუნდება, ისიც გახსენდება, რომ უკვე გიცხოვრია...

... სასთუმალთან ვიღაც სიმპათიური მოხუცი ზის და ეცი-ნება. მე ვუყურებ მას, ვაკვირდები. ფიქრით კი არაფერზე ვფიქრობ, ცხადია, არც ველაპარაკები. არც ის. ზის თავისთ-ვის, მიყურებს და საჯეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებს. ბგო-ნი პირველმა იმ აზრმა გამიარა, ეს კაცი რას იცინის-მეთქი. მერე მეც გავიცინე. დილა მშვიდობისაო, მითხრა მაშინვე. არ მახსოვს, რამე ვუპასუხე, თუ ისევ გავუცინე. ის კი ვიცი, რომ ერთი წუთითაც არ მშორდებოდა. იჯდა და სულ რაღაცას საქ-მიანობდა. არ მასვენებდა, მსინჯავდა, ხან პროექტორების ძლიერ სინათლეს მომანათებდა. ძალიან მაწუხებდა ეს სი-ნათლე, ვწრიალებდი, მაგრამ იგი არა და არ მაშორებდა მას. მერე უცებ გამორთავდა და მარტო მბეჟუტავ სინათლეს ტო-ვებდა, ხან წითელს, ხან მწვანეს, ხანაც იისფერს ან ყვითელს. ასეთ სინათლეზე თავს უკეთ ვგრძნობდი, ძილიც მეკიდებოდა, მაგრამ, ოდნავ ჩავთვლემდი თუ არა, ექიმი გონგს დაჰკრავდა და ისევ ერთბაშად აენთებოდა პროექტორები. კაბინეტში ზოგჯერ ექიმის მეუღლე (როგორც მერე გავიგე) ჰერტრუდა და მისი ჩვიდმეტიოდე წლის ქალიშვილი მიცი შემოდიოდნენ და ეხმარებოდნენ. ორ-სამჯერ თვალი ჰელმუტისაც მოვკარი, ექიმის თხუთმეტიოდე წლის ვაჟს. ესენი ჩემი ასისტენტებიაო, იხუმრა რამდენიმე ხნის შემდეგ ექიმმა. მაშინ კი ყველა უც-ნობი იყო ჩემთვის. არც ის ვიცოდი, თუ აქ როგორ აღმოვჩ-ნდი, ან იქ რა მოხდა, დუნაის პირას. მერე კი გავიგე, ნაღმის ძლიერი აფეთქების დროს თურმე ჰაერის ტალღამ დამარტყა, თავი მომიგრიხა და კისრის ძარღვები დამიზიანა, რის გამოც ერთხანს სულ დავკარგე მეხსიერება. სხვებს რა მოუვიდათ, არ მიმხელდნენ, ყველანი კარგად არიანო მეუბნებოდნენ. მერე, სამხედრო ჰოსპიტალში რომ მომათავსეს, კონსილიუმზე ვენის ცნობილი პროფესორიც მოუწვევიათ. იმას უთქვამს, უბრალო „შოკის“ ამბავია, დაზიანება სერიოზული არ არის და ერთ თვეში მოვარჩენ. ოღონდ ჩემს კერძო კლინიკაში გადმოიყვანეთ და მე ვაგებ პასუხსო. ასეც გადაუწყვეტიათ. ახლა ამ პროფესორის ხელში ვიყავი და ისიც „მაწამებდა“, რო-გორც შეეძლო. მეც ნელ-ნელა ვატყობდი როგორ მიბრუნ-დებოდა მეხსიერება და მასთან ერთად — არსებობაც. თუმცა

ბუნდოვნად, მაგრამ მაინც მახსოვს როგორ ხდებოდა ეს. ცხოვრების უმცირესი დეტალის მოგონებაც აღმოჩენა იყო ჩემთვის და ისეთ გამოუთქმელ სიხარულს მანიჭებდა, რომ ვცდილობდი კიდევ მომგონებოდა რაზე. არ ვიცი, ამას მართლა მე ვცდილობდი, თუ მეხსიერება თავისთავად მიბრუნდებოდა. ისეთი შთაბეჭდილება კი მრჩებოდა, თითქოს ყოველივე ეს სხვას მოჰქონდა ჩემთან, სხვა მახსენებდა, სხვა მეძალებოდა. მე ჯერ კიდევ ვერ ვამყარებდი კავშირს „ჩემსა“ და „იმას“ შორის. მეგონა, რომ ის ვიღაც უცხო იყო, და აზრადაც არ მომდიოდა, თუ ჩემსავე ფიქრებსა და წარმოდგენებს ვხედავდი, იქნებ საკუთარ თავსაც. ექიმი კი დაჟინებით მეკითხებოდა რაზე ფიქრობთო. მინდოდა პასუხი გამეცა, მაგრამ ფიქრები ღამურებივით დაფრინავდნენ გარშემო... დაჭერა მინდოდა და არ შემეძლო... წამოვიდოდა რომელიმე მათგანი ჩემკენ... მომიახლოვდებოდა... მეგონა დამეჯახებოდა კიდეც და.. უცებ გვერდს ამიქცევდა, ისევ გამშორდებოდა. მერე მეორე წამოვიდოდა... მესანე... ზოგჯერ — რამდენიმე ერთად, მაგრამ ჩემამდე ერთიც ვერ აღწევდა.

მერე ისევ ექიმი შემინაცვლებდა კითხვას, ვინაა, რომ გაწუხებსო. რომ ვეტყოდი ვიღაც სხვა-მეთქი, ჩამაცივდებოდა, აბა, ამიწერე როგორიაო. მერე ისიც მითხრა, ძილში თუ ვინმეს ხედავო. ვხედავ-მეთქი, რომ ვუთხარი, გაუხარდა. აბა, მომიყევი ვისო, და ბარე ათჯერ მაამბობინა ერთი და იგივე. პირველად სიზმარსა და ცხადს ერთმანეთისაგან ვერ ვარჩევდი. არც ის ვიცოდი, ფიქრით წარსულის სურათებს ვიხსენებდი, თუ სიზმარში ვხედავდი ჩემსავე თავგადასავალს. რაღაც იმის მსგავსი დამემართა, ერთი უძველესი კონფუციანელი მწერალი რომ წერს:

— დამეძინა და მესიზმრა, ვითომ პეპელა ვიყავი. გავიღვიძე და ვერ გავარკვიე: ადამიანი ვარ და მესიზმრა, რომ პეპელად ვიქეცი, თუ პეპელა ვარ და მესიზმრება. რომ ადამიანი ვარ...

... სიზმარში სულ ერთსა და იმავე კაცს ვხედავდი, ხან სამოქალაქო, ხან კი სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილს. თითქოს ვცნობდი კიდეც. მერე ისიც მომაგონდა, თუ სად და

როდის შევხვდი_მას პირველად. ეს იყო 1941 წლის ზაფხულში. უნივერსიტეტის წინ იდგა, მაშინ ჯერ კიდევ ნორჩი ჭადრების ქვეშ საუბრობდა. რომ შევხედე, გამიკვირდა. თავი დანით ჰქონდა გადაპარსული. ადრე სხვაგვარი მახსოვდა და მეუცხოვა, იქნებ ის არ არის-მეთქი. ნამდვილად კი ის იყო. მეგობრებს დაემშვიდობა და გამობრუნდა. მე რომ გამისწორდა, ახლო ნაცნობივით მომცა სალამი. მეც მივესალმე, მაგრამ არაფერი მითქვამს, რადგან მაშინვე ვიგრძენი, რომ ის უკვე სხვა იყო... გეტყობათ ვერ მიცანითო, მითხრა და გამიღიმა. როგორ არა-მეთქი, ვუპასუხე და მგონი მეც გავუღიმე. თან ისე დავიბენი, რომ რაღაცით შეშინებულმა ვუთხარი: თავი რომ გადაგიპარსავთ, ცოტა არ იყოს, ეუცხოვეთ-მეთქი. ჰო, ომში მივდივარო, მიპასუხა და პირველად მაშინ შემომხედა დამცინავად. თან ისეთი რამ მითხრა, ტანში ჟრუანტელმა დამიარა:

— გამიგონია, საფრანგეთში ვიღაც გრძელთმიანი აიყვანეს გილიოტინაზე, მაგრამ დანა თმებს დაეცა და გადარჩაო. ამის შემდეგ წესად შემოუღიათ, სანამ ვინმეს თავს მოჰკვეთდნენ, გრძელთმიანი იქნებოდა იგი, თუ სულაც მელოტი, წინასწარ სამართებლით აუპარსავდნენ კისერს...

მერე, თითქოს რაღაც საიდუმლოებას მანდობსო, ბაგე ზეო ყურთან მომიტანა და უფრო დამცინავად მკითხა:

— აბა, თუ იტყვი, რა უფრო ძნელი იქნება: გილიოტინაზე თავის მოკვეთა, თუ წინასწარ კისრის აპარსვა?

მეტი არაფერი უთქვამს და, პილატესი არ იყოს, არც პასუხისათვის მოუცდია. ხელი დამიქნია მხოლოდ და წავიდა თავისთვის. წავიდა-მეთქი ვამბობ, მაგრამ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მე თვითონ გავედი ჩემივე თავიდან. იქ კი ვიღაც სხვა დარჩა... ჩემივე სხვა, თუ სხვისი მე, ამის გარკვევა არც მიცდია. ან, რომ მეცადა, რა გამომივიდოდა, როცა თავსა და ბოლოს ერთმანეთს ვერ ვაბამდი. არც მაშინ და არც შემდეგ...

ის კი ისევ დაჟინებით ცხადდებოდა... მინდოდა მეთქვა ჩემივე სულის თვალთა წინაშე-მეთქი, მაგრამ ეს ფრაზა ახლა ამოტივტივდა ცნობიერებაში, მაშინ კი ყოველივე ბურუსში იყო გახვეული... ისიც თითქოს სხვა ქვეყნიდან მოდიოდა ჩემ-

თან, მეშვიდე სართულის აივნის მოაჯირზე ჯდებოდა და ისე ქანაობდა, როგორც ჯამბაზი ტრაპეციაზე. ის რომ გადაქანდებოდა, გული მისკდებოდა, ასე მეგონა მე ვვარდები-მეთქი. ის კი არხეინად იჯდა, თამბაქოს აბოლებდა და ირონიული ღიმილით მომჩერებოდა. ისევ ისეთი დამცინავი და უკმეხი გამოხედვა ჰქონდა. მხრებზე მაიორის ოქროქსოვილი ეპოლეტები უბრწყინავდა, მკერდზე საბრძოლო ორდენები და მედლები ეკეთა.

ამ სიმაღლიდან ძირს რომ ვიყურებოდი, დედამიწას თვალს ძლივს ვკიდებდი და თავბრუ მეხვეოდა. ის კი, ვითომ არაფერიო, ქანაობდა მოაჯირზე და იცინოდა. მერე პაპიროსის ნამწვავი ისროლა. ცეცხლის ხაზი ერთხანს კომეტის კუდივით გაფრინდა ძირს, ფილაქანზე დაეცა და ნაპერწკლებად დაიშალა...

მე გონება მოვიკრიბე და ვკითხე: ვინა ხარ-მეთქი, ვინა ვარ და შენ თვითონო, ისე უბრალოდ მითხრა, თითქოს ორჯერ ორი ოთხიაო ეთქვას... მეც ვიფიქრე: ის თუ მე ვარ, თვითონ მე ვინღა ვიქნები-მეთქი. თითქოს იმისთვის მეკითხოს, ისე მიპასუხა: ვინ იქნები და მე თვითონო. ამან სულ დამაბნია. აბა, რა იქნებოდა: „მე თვითონ" რაღა უბედურებაა, როცა „შენ თვითონ" სხვა ხარ! შენივე „სხვა", თუ სხვისი „მე", სულ ერთია, ანაში ვერც გაერკვევი. ადვილი კი არ არის შენში „სხვა" იპოვო ან სხვაში შენივე „მე" აღმოაჩინო! ამიტომაც ვკითხე: თუ მე ვარ, სხვა როგორ უნდა ვიყო-მეთქი.

— ისევე, როგორც სხვას შეუძლია „მე თვითონ" იყოსო, — მიპასუხა და ვითომ განმარტა კიდეც:

— მაგალითად, ვიდრე მე გავჩნდებოდი, ოცდახუთი წელიწადი სულ „სხვა" ვიყავი. მერე, არითმეტიკულად რომ ვიანგარიშოთ, ხუთი წელიწადი „მე თვითონ" გავხდი. ახლა კი, ისევ რომ შეგხვდით, კვლავ „სხვად" ვიქეცი და მინდა გავიგო, სხვისი „სხვა" ვარ, თუ ჩემი „მე"?

ეს რომ თქვა, მოაჯირზე ისე გადაქანდა, გული შემიღონდა. მეგონა ცარიელ სივრცეში ვვარდები-მეთქი... ზევითაც ვარსკვლავები იყო და ქვევითაც. ამიტომ არც არაფერს ეუახლოვდებოდი და არც არაფერს ეშორდებოდი, არც ჩემს თავს და არც სხვას. ვერც იმას ვარჩევდი, ზევიდან ქვევით ვვარდებო-

დი, თუ ქვევიდან ზევით. ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა... შვიდი ცა და შვიდი პლანეტა. ჩემ გარშემო რაღაც უზარმაზარი და შეუძლებელი გაჩნდა, უჰაერო სივრცე თუ სრული სიცარიელე... მერე უცებ დედამიწას ვკიდე თვალი და ელვის სისწრაფით დავეშვი ძირს...

ახლა კი ნამდვილად მე ვვარდები, მე ვუახლოვდები რაღაცას... მევე ვყვირი და ვენარცხები დედამიწას... თუ ღამურა ასკდება კედელს...

... ხმაურზე ექიმი შემოვარდა, სასთუმალთან დამიჯდა და დაწვრილებით გამომკითხა ყოველივე... ერთხელ, ორჯერ... მერე ბარე ათჯერ მაინც მითხრა, აბა, დააკვირდი იმას, ვინც სიზმარში ნახე... ის ხომ თქვენ თვითონ ხართო. იმდენი მეჩიჩინა ამაზე, რომ ბოლოს მართლაც ასეთი შეგრძნება გამიჩნდა.

ექიმს კი სწორედ ეს უნდოდა. ამიტომაც არ მომეშვა, ვიდრე ის „სხვა" არ მომაშორა და „მე თვითონ" არ დამტოვა. ახლა კი, რასაც მე ვფიქრობდი და ვიგონებდი, ჩემივე თავგადასავალი იყო, ესე იგი, მე მხოლოდ და მხოლოდ ისევ მე ვიყავი და არა სხვა...

კოლოსალური კონტაქტი

ოცდაერთ დღის შემდეგ ექიმმა მითხრა, ახლა თქვენს მეხსიერებას მხოლოდ რამდენიმე კლავიში აქვს ჩავარდნილი, მაგრამ იმდენს დავუკრავთ, რომ მალე ისინიც ახმიანდებიანო. მეხსიერების ამ „როიალზე დაკვრაც" უცნაური იყო. ჩემთან რიგრიგობით ისხდნენ ექიმი რობერტი, მისი მეუღლე ჰერტრუდა, ქალიშვილი მიკი ან ვაჟი ჰელმუტი და მარწმუნებდნენ, რომ ძალიან აინტერესებდათ ჩემთან ლაპარაკი, უნდოდათ ჩემი თავგადასავალი მოესმინათ, მაამბობინებდნენ ყოველივეს, ცისას თუ ბარისას, რაც მინახავს და რაც თავს გადამხდომია. ძალიან საინტერესოა, საინტერესოო, ამბობდნენ ის საცოდავები, თუმცა მერე კი მივხვდი, შეიძლება სულაც არ აინტერესებდათ, რასაც ვყვებოდი, მაგრამ რა ექნათ! რაკი ექიმის „ასისტენტები" იყვნენ, მის დავალებას ასრულებდნენ. მეც მიხაროდა, მეხსიერება რომ თანდათან მიბრუნდებოდა, და

ვცდილობდი უმცირესი დეტალებიც მომეგონებინა. ვყვებოდი დაუსრულებლივ, ომამდელსა და ომისდროინდელ ამბებს. ზოგჯერ, არ ვიცი მერაძეხედ, — ერთსა და იმავეს. მთავარი „ასიტენტები“ მაინც მიცი და ჰელმუტი იყვნენ. მიცის ომამდელი ამბები „აინტერესებდა“, ჰელმუტს — ომისდროინდელი. მიცი უფრო გამოცდილიც იყო. ეს იმაზე შევატყვე, რომ ხშირად მთხოვდა, ის ამბავი ისევ მომიყევითო. მერე კიდევ და კიდევ გამამეორებინებდა. ჯერ, ალბათ, დაბნეულად ვყვებოდი, მერე — უკეთესად, ბოლოს კი როგორღაც საბაბს ყოველთვის პოულობდა ადვილად შესამჩნევი ყალბი აღტაცებით ეთქვა:

— ო, რა საინტერესოა!

— ჰელმუტი კი, ეტყობა, მართლაც დაინტერესდა ომის ამბებით, მაგრამ ყოველდღე რამდენიმე საათს თითქმის ერთისა და იმავეს მოსმენა მისთვის არცთუ ისე ადვილი იქნებოდა. მე კი ის მიხაროდა, რომ სათქმელი უკვე ადვილად მოედინებოდა. ჯერ მიჭირდა, ძალიანაც მიჭირდა, მეხსიერებას ვებრძოდი, ამბებს თითქოს მავთულით ვეზიდებოდი თავიდან ან მღვრიე წყალში ხელის ფათურით ვცდილობდი თევზის დაჭერას. „თევზები“ კი ხელიდან მისხლტებოდნენ. მერე ისევ ვაფათურებდი ხელს და ზოგჯერ რამდენიმე „ლიფსიტას“ ამოვიყვანდი. შემდეგ და შემდეგ უფრო იოლი იყო, თავისუფლად ვიგონებდი ყველაფერს და ვყვებოდი, ვყვებოდი დაუსრულებლივ!..

... ეს წვალება თვეზე მეტხანს გაგრძელდა. შერე მიცი და ჰელმუტი უფრო ბევრს თვითონ ლაპარაკობდნენ, ვიდრე მე. ჰერტრუდაც კარგი მოსაუბრე იყო. იგი სულ თავის თავგადასავალს ჰყვებოდა. ვენის თეატრის გამოჩენილი მსახიობი იყო და ახლა ამ როლის შესრულება სრულიადაც არ უძნელდებოდა. ექიმიც ძლიერ კმაყოფილი ჩანდა „თავისი მიღწევით“. რთული ფორმის დაზიანება არ გქონიათ, თორემ ასე ადვილად ვერ გადარჩებოდითო, მითხრა. მე კი უკვე ის მაღარდებდა, გამეგო ჩვენები სად იყვნენ. ნუთუ ასე მიმატოვეს-მეთქი აქ, ამ უცხო ქალაქში! დიდხანს არ მეუბნებოდნენ იმათ ამბავს. რამდენჯერაც შევეკითხე ჩარიტას, ლოქოს, ბეგისა და დრუჟ-

ნიკოვის შესახებ, მითხრეს ყველანი მშვენივრად არიანო. ჩარიტა და ვიღაც მზარეული მსუბუქად იყვნენ დაჭრილი, მაგრამ უკვე გამოეწერნენ ჰოსპიტლიდან და წავიდნენო. სად წავიდნენ-მეთქი, რომ ვეკითხებოდი, არ ვიცით, მგონი, ბრატისლავაში თუ პრაღაშიო...

... ყველაფერი ეს მართალი მეგონა, მაგრამ ერთ დღეს სულ სხვა გამოირკვა. დრო რომ ვიხელთე, თუმცა ეს აკრძალული მქონდა, ავდექი და ფანჯარასთან მივედი. ერთხანს ვათვალიერე გამვლელ-გამოსვლელები და უცებ მოპირდაპირე მხარეს ბეგისა და ტრაინინს მოვკარი თვალი. იდგნენ, საუბრობდნენ და ჩვენი სახლისაკენ იხედებოდნენ. ის იყო ფანჯარა უნდა გამომეღო და დამეძახა, უცებ მიცი შემოვარდა და არ დამანება. ბევრი ვეხვეწე, იქ ჩემი ძეგობრები არიან და დავუძახე-მეთქი, მაგრამ არაფერი გამივიდა. მამა გამიჯავრდებაო დაიჩემა. მე გავნერვიულდი და ისევ ვეცი ფანჯარას, მაგრამ მიციმ ყვირილი ატეხა და ქალბატონი ჰერტრუდაც შემოვიდა, ჰელმუტიც და გავჩერდი, სხვა რა გზა მქონდა: რასაც მიცის გავუბედავდი, ის სხვებთან შეუძლებელი იყო. ვინანე კია, აწი როდისღა ვნახავ-მეთქი იმათ.

— ნუ გეშინიათ, — დამამშვიდა ჰერტრუდამ, — თქვენი ძეგობრები ყოველდღე აქ ტრიალებენ. განსაკუთრებით ის, ხესთან რომ არის აყუდებული, მგონი ბეგი ჰქვია არა?

ეს რომ თქვა, ისე გაწითლდა, რომ გულმა მიგრძნო, აქ მგონი უკვე „კოლოსალური კონტაქტიც“ უნდა იყოს დამყარებული-მეთქი...

... ბიჭი, რაც უნდა იყოს, ბაინც ბიჭია. ჰელმუტიც თავგადასავლების მოყვარული იყო. საიდუმლო „სამხედრო დავალება“ რომ მივეცი, ისინი დაზვერვის ხალხია და, თუ ვაჟკაცი ხარ, ისე მოახერხე, ღამით ჩემთან შემოიყვანე-მეთქი, მართალი ეგონა და თავი გამოიდო. მალე კავშირიც დაამყარა იმ „მზვერავებთან“ და საღამოთი, როცა მიციმ ჩემი მორიგი გრძელი მოგონება მოისმინა „დიდი ინტერესით“, ოთახში ჰელმუტი შემოვიდა. მიცი რომ მოიშორა, „მომახსენა“: ერთბა „მზვერავმა“ დედა და მამა სადღაც გაიტყუა, მეორე ბაღშია დამალული, მინდა მოვიყვანო, მაგრამ მიცის რა ვუყოო. მერე ისე

„შევიდა როლში“, რომ მიცი შევკრათ და სარდაფში ჩავიტანოთო თქვა. გამეცინა. მაშინ ახალი ვარიანტი მოიგონა, თქვენ სთხოვეთ და რამეზე გაგზავნეთო. მე არ ვიცოდი რაზე გამეგზავნა. აფთიაქში წამალზეო, მიკარნახა თვითონ. კარგი-მეთქი. რაღაც წამალი დამისახელა. მიცი ვიხმე და ვთხოვე, იქნებ აფთიაქში გამეგზავნოთ და ეს წამალი მომიტანოთ-მეთქი. ერთი ეშმაკურად შემოგვხედა, გაიცინა და ძითხრა:

— სიამოვნებით, ოღონდ ღამით ქუჩაში გასვლისა მეშინია და ჰელმუტი წამომყვესო.

ეტყობოდა გუმანი მიიტანა რაღაცას მატყუებენო და მარტო წასვლაზე უარი თქვა.

— არა, მე თავი მტკივა, — მოიმიზეზა მაშინვე ჰელმუტმა.

— ჰოდა მეც თავი მტკივა, — უპასუხა მიციმ, — განა ვერ ვხვდები, რომ გინდათ თავიდან მომიშოროთ.

ჰელმუტი დაიბნა. უკვე აღარ იცოდა რა ეთქვა და ჩხუბი დაუწყო დას. ხელი არ მომკიდო, თორემ ვიკივლებო, დაემუქრა მიცი.

— კარგი, წავიდეთ! — უცებ დაჰყაბულდა ჰელმუტი.

— წავიდეთ, — დაეთანხმა ისიც, მაგრამ მე მაინც დამემუქრა: — თუ ლოგინიდან ამდგარხართ, გავიქცევი და მანას მოვიყვანო.

იმათი წასვლა და ბეგის შემოსვლა ერთი იყო. ბავშვივით ტიროდა. როგორ ხარო მომიკითხა. ყველაფერი სხაპასხუპით მიამბო, მაგრამ ცუდი არაფერი უთქვამს. ჯერ კიდევ ვინერნოიშტადტში ვართ და ორ დღეში შავი ზღვისაკენ ვაპირებთ წასვლასო. ლაპარაკს ისე შევყევით, სულ დამავიწყდა, მიცი და ჰელმუტი რომ ჩქარა უნდა დაბრუნებულიყვნენ.

როცა მიცი შემოვარდა, ბეგი ისევ ჩემთან იჯდა. ჰელმუტი სასოწარკვეთას მიეცა, „ასე ბრწყინვალედ მოფიქრებული ოპერაცია“ რომ ჩაეშალა. ბეგიმ კი მოუსვა ძაშინვე, მაგრამ მე კიდევ ერთხანს მესმოდა ჰელმუტისა და მიცის ჩხუბი მეზობელი ოთახიდან. მერე კივილიც გაისმა. რაღაც წამოვიხურე და იმ ოთახში გავედი. ჰელმუტი თმებში ჩასჭიდებოდა მიცის. ძლივს გავაშველე...

ექიმი და მისი მეუღლე მოგვიანებით დაბრუნდნენ. მაინც არც ერთს არ გვეძინა. ჰელმუტი ამბობდა, მიციმ რომ გაგვამხილოს, მოვკლავო, მაგრამ არ გაუმხელია...

რამდენიმე ხნის შემდეგ ექიმმა ადგომის უფლებაც მომცა და წიგნის კითხვისაც. მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდათ, მაგრამ ჯერ მაინც ექიმისა და მისი „ასისტენტის“ მიცის პროგრამით ვიყავი შეზღუდული. მიცი გადმოიღებდა ალბომებს, მიჩვენებდა რაღაც სურათებს და ახლა მე ვიძახდი, უჰ, რა საინტერესოა-მეთქი, თუმცა ეს ალბომები ისევე არ მაინტერესებდა, როგორც მიცის — ჩემი მონაყოლი. მე მინდოდა სხვა წიგნები მეჩხრიკა, მაგრამ მიცი ზედმეტად მკაცრი იყო და, როგორც კი ამას მოვიწადინებდი, მაშინვე დამტუქსავდა: ნუ ხართ მოუთმენელი, წიგნების კითხვის დროც მოვაო. თუ მომენტს ვიხელთებდი, მიცის დარიგებას არ ვუყურებდი, მაშინვე მივვარდებოდი კარადებს და ვფურცლავდი ჩემთვის საინტერესო წიგნებს... მახსოვს, ერთხელ ბოდლერის „ბოროტების ყვავილებს“ წავაწყდი, გერმანულად შტეფან გეორგეს მიერ თარგმნილს. გადავშალე თუ არა, მაშინვე ეპიგრაფმა მიიპყრო ჩემი ყურადღება: „ვისაც ჯოჯოხეთში არ ჩაუხედავს, ამ წიგნს ხელში ნუ აიღებსო“. მე უკვე რამდენჯერმე „ჩამეხედა ჯოჯოხეთში“ და თავი უფლებამოსილად ვიგრძენი წამეკითხა იგი, მაგრამ მიციმ სასთუმალქვეშ მიპოვნა და წამართვა. მერე ისევ ალბომების ფურცვლა დაიწყო. რაკი ქალბატონი ჰერტრუდა მსახიობი იყო, სახლი სულ თეატრისა და კინოვარსკვლავების სურათებით ჰქონდა სავსე. ერთი ორმოცდაათამდე სურათი მარტო ცნობილი მსახიობის მარიკა როკისა იყო. დედას კარგი ამხანაგია და, თუ ჭკვიანად მოიქცევით, გაგაცნობთ კიდეცო, შემპირდა მიცი. ჭკვიანად კი მოვიქეცი, მაგრამ მარიკა როკი მაინც თვალით არ მინახავს. სამაგიეროდ ქალბატონ ჰერტრუდასთან ხშირად მოდიოდნენ მისი მეგობარი მსახიობები. მასპინძელი ყველაზე ამბობდა: „საუკეთესო“, „სახელგანთქმული“, „ბრწყინვალე“, „დიდებული“ და რა ვიცი კიდევ რა ეპითეტებით არ ამკობდა თავის მეგობრებს. მაგრამ მე არავინ დამამახსოვრდა, გარდა ერთი „ულამაზესი“ კლერჰენისა, რომელიც ჩემს იქ ყოფნაში, ესე იგი თვენახევრის განმავლობაში, ორჯერ გათხოვდა და ორჯერვე რაღაც „საქორწინო ჩაი“ გაიმართა ექიმის სახლში, თუმცა ასევე ორ-

ჯერ გაყრაც მოასწრო თავის „აუტანელ“ ქმართან. მიცის სტატისტიკით, ეს კლერჰენის მეთექვსმეტე თუ მეჩვიდმეტე ქორწინება იყო. მეც, ალბათ, იმიტომ დამამახსოვრდა ეს ვერცხლისწყალივით კეკლუცი, რომელიც ერთ წაბსაც ვერ ჩერდებოდა წყნარად, სულ ტრიალებდა, ლაპარაკობდა... ლაპარაკობდა იმდენს, ვიდრე კაცს გულს არ შეუწუხებდა. რომ დაიწყებდა, აღარც გაჩერდებოდა. მერე უცებ წამოხტებოდა და იტყოდა: უი, ჩემი ბრუნო იქ მიცდისო. მერე ბრუნოს მაგივრად ვალტერს იტყოდა, ვალტერს ჰერმანი ცვლიდა და... მიცი სიცილით კვდებოდა ამაზე. ექიმი კი ამრეზილად უყურებდა. ერთხელ მითხრა კიდეც: ლამაზი კია, ეგ ცეცხლში დასაწვავი, მაგრამ ასეთი სილამაზე რად გინდა, თუ კაცს გადარევსო.

ვიფიქრე, ჩემი ექიმიც ხომ არ გადარია-მეთქი იმ კეკლუცმა ტიკინამ, მაგრამ მერე დავრწმუნდი. რომ, „სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი ყოფილა“.

— ასეთ ქალს არ უნდა ენდო, — თქვა მან. — ეგ რომ ვინმესთან შევა ოთახში, მაშინვე თვალს მოავლებს სად უნდა წამოვწვეო. სხვა ფიქრი არა აქვს, არც არაფერი აინტერესებს. უკვირს კიდეც, როცა მის დაპყრობას არ ცდილობენ, რა სულელები არიანო, ამბობს ამაზე.

როგორც ჩანს, კლერჰენს საშინლად უყვარდა, როცა „ძალას ატანდნენ“. ასეთ დროს ისე ვიბრძვი, ისე ვცდილობ დავიცვა თავი, ვითომ პირველი იყოს ჩემს ცხოვრებაშიო.

— ამაშია მთელი რომანტიკა! — იტყოდა ბოლოს და ისე გრძლად გაიცინებდა, რომ სუნთქვა ეკვროდა.

ექიმი მას „თეძოებით მოაზროვნეს“ უძახდა, თან ეშმაკურად ჩაიცინებდა და დაამატებდა: ვინ იცის, იქნებ ეს შეჩვენებული იყოს ჩვენი დროის კანტიცა და ჰეგელიცო.

— კლერჰენსაც სულის ლაბირინთებზე უყვარს ჩემი ბატონო, ლაპარაკი. — თქვა მან, — თუმცა მის სულს ერთი მოსახვევიც არა აქვს, ისეა ხელისგულზე გაშლილი. არავითარი საიდუმლოობა, არავითარი ინტიმურობა! ყოველივე სააშკარაოზე აქვს გამოტანილი და ვიტრინაზე გამოფენილი...

... ერთხელ, როცა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ სურათებს ვათვალიერებდით, მოულოდნელად კლერჰენი შემოიჭრა

საიდანღაც და უცებ აგვაფორიაქა. მერე დაჯდა და გამოგვიცხადა, მეც ძალიან მიყვარს სურათების თვალიერება. აშკარად ტყუოდა: სურათებს ისე შლიდა და ისროდა კარტებივით, რომ არც უყურებდა. ხანდახან თუ დახედავდა, მაშინვე ტბილს გაჰკრავდა:

— ვითომ ესეც ლამაზია?!

— რასა ჰგავს!

— ფუჰ, რამოდენა ყურები აქვს!..

იგი ყველა ქალში თავისი სილამაზის მეტოქეს ხედავდა, მაშინაც კი, როცა ვინმე მაიმახს უყურებდა. ამიტომ არავინ მოსწონდა. მხოლოდ მარიკა როკზე თუ გაიმეტებდა „ქათინაურს“, ლამაზი კია, მაგრამ ჟირაფივით დიდიაო... მერე ამერიკელ მსახიობებს დაერია, ფრანგებსაც, რამდენიმე ინგლისელი თავისებურად „შეამკო“... ყველას რაღაცაში დასდო წუნი. ბოლოს გამოაცხადა, ევროპაში უკვე აღარ არიან ლამაზი ქალები, და მოულოდნელად მკითხა:

— თქვენ საიდან ხართ?

— საქართველოდან.

— საქართველო სად არის?

— კავკასიაში.

— ჰო, ვიცი, კავკასია ინდოეთშია, — თქვა მან ავტორიტეტულად, — იქ სულ შავი ხალხია და ლომები. მე ძალიან მიყვარს შავგვრემანი ქალები. სხვათა შორის, მამაკაცებიც, — გაიცინა მან. მერე უცებ შეჩერდა და დაუმატა:

— აქ არის ერთი კავკასიელი ქალის სურათი. მე რამდენჯერმე შემხვდა, აი, ნახეთ!

სურათები ისევ კარტებივით გადაშალ-გადმოშალა, მაგრამ ვერ იპოვნა. მერე კიდევ ერთხელ ჩაუარა უფრო ნელა და ნახა:

— აი, უყურეთ, აწერია კიდევ კავკასიელიაო, ეს კაცი კიდევ რუსია!..

მაშინვე ვიცანი. ან რა დიდი ცნობა უნდოდა ქართული სილამაზის დედოფალს ნატო ვაჩნაძეს! შევხედე თუ არა, საქართველოს ეშხმა შემომანათა. ისე მესიამოვნა, თითქოს სამშობლოში დავბრუნებულიყავი. ნატოს გვერდით მაიაკოვსკი იდგა. სურათი მგონი ბერლინში იყო გადაღებული, ჰერტრუდას

რომელიღაც გერმანული ჟურნალიდან ამოეჭრა. დიდხანს დაესცქეროდი ნატოს სურათს. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იგი ადრეც მენახა თბილისში, ჩემთვის თითქოს მაინც რაღაც ზღაპრული აღმოჩენა იყო. მერე ახლოსაც გავიცანი თბილისის კინოსტუდიაში მუშაობის დროს, მაგრამ... ზღაპრადვე ჩაჩრჩა ნეხსიერებაში.

მაშინ კი შემეშინდა, იმ ენაჭარტალა კლერჰენს ნატოზედაც არ ეთქვა რამე გესლიანი. პირიქით, როგორღაც მიამიტად ჩაილაპარაკა:

— ინდოეთში ალბათ ბევრია ასეთი ლამაზი ქალი!

— ოჰ, მადაგასკარშიც ლამაზი ქალებია, — დავუდასტურე მე...

ლომი და სეფე-ქალი...

რამდენიმე დღის შემდეგ ექიმმა ქალაქში გასვლის უფლება მომცა. ჯერ თვითონ დამყვებოდა, მერე კი—მიცი ან ჰელმუტი. მთელი ვენა მაშინ მოვიარე. შონბურნშიც ვიყავი, ფრანც იოსების სასახლეში. მერე ვენის ცნობილი ზოოპარკი და სასაფლაოც დავათვალიერე. ზოოპარკში ყოფნა ყოველთვის სევდასა მგვრის, მეცოდება გალიაში ჩამწყვდეული ცხოველები და ფრინველები — ლომები, ვეფხვები, არწივები... ასე მგონია, რომ ამაში არის რაღაც დამამცირებელი თვითონ ადამიანისათვის. უაზრობაც... ზოოპარკი ციხესა ჰგავს. ადამიანებმა იციან რატომ სვამენ მათ ციხეში. ცხოველებმა? ჩვენ კი იმის ნაცვლად, რომ ფიქრით მაინც გავყვეთ თავისუფლებით გალაღებულ ლომებსა და ვეფხვებს ჯუნგლებში ან არწივთა ნავარდს შევავლოთ თვალი, კუთხეში მოკუნტული ლომების წირპლიანი თვალებისა და არწივების ჩამოყრილი ფრთების ცქერით ვტკბებით.

რა საინტერესოა ამ საცოდაობის ყურება?!

ან სასაფლაოებში ჩაყრილი ამდენი სიდიდრე ვის რად უნდა! რატომ არის, რომ დიდებულებს დიდება სიკვდილის შემდეგაც არ ავიწყდებათ?! უწინ საფლავში ატანდნენ ყველაფერს, ახლა ძეგლებად ადგამენ! ვენის სასაფლაო სავსეა ასეთი პომპეზური ძეგლებით. ესეც პარადოქსია ჩვენი ცხოვრებისა: ფუფუნებაში ჩაფლული მიცვალებულები!

ვენის ტყე კი კაცმა არ იცის რატომაა ასე სახელგანთქმული. ალბათ თავისი ცინიკური თუ, როგორც იქ ამბობენ, „მამაცური“ ამორალიზმით, თორემ ისე არც შნო გააჩნია და არც ლაზათი. მთელი არისტოკრატიული ვენა აქ ტოვებს სინდისს, ერთგულებას, სიყვარულსა და ქალწულობას. აქაა ადიულტერების მთავარი თავშესაფარი, ინტრიგებისა და კომბინაციების ბუდე. ამაზონები აქ დააჭენებენ დღედაღამ თავიანთ ბედაურებს. აქვე დგას ტახტი ავხორცი დედოფლის პენტეზილეასი, რომელზეც ამბობენ, კოცნაზე კბენით. უპასუხებდაო.

ორი დღე დავხეტიალობდი ამ ტყეში. ჩვენები უკვე წასულნი იყვნენ. ჩემი მანქანა დაეტოვებინათ და კომენდანტმა შოფერი მომამაგრა. ვენაში ხეტიალის დროს გავიგე, რომ აქ სადღაც ვახტანგიც ყოფილა. ბევრი ვეძებე, მის კვალს ვერ მივაგენი. მითხრეს ბადენში წავიდაო. ამ ძებნაში ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი გავიცანი, მერე ის იყო ჩემი ჩიჩერონე ვენაში, მაგრამ ის „კაპუეტი“ მიცი არც იმასთან მიშვებდა მარტო. მეტისმეტად მკაცრი ასისტენტი ხარ-მეთქი, რომ ვუთხარი, ამოიოხრა, რა ვქნა, ასეთია ჩემი მოვალეობაო.

მართლაც, მეტი რა უნდა ექნა! ყველაფერს ჩინებულად ასრულებდა, რაც ევალებოდა და რაც არა...

... დადგა დამშვიდობების დღეც. ექიმის ოჯახში რაღაც მცირე წვეულების მსგავსი გაიმართა. სტუმრებიც მოეწვიათ: ექიმისა და მისი მეუღლის ახლო მეგობრები, მათ შორის, ცხადია, კლერჰენიც. გვიან საღამომდე შევყევით საუბარს. საინტერესო ხალხი იყო. რაზე არ ვლაპარაკობდით: ომზე, პოლიტიკაზე, ავსტრიის მომავალზე, უმთავრესად კი თეატრისა და კინოს შესახებ. ყველა თავის ცოდნასა და ხასიათს ამჟღავნებდა.

სიტუაციამ მოიტანა და მე მათ ერთი ადრე წაკითხული ამერიკული ნოველა ვუამბე:

... ძველად ტევტონთა ერთ მეფეს ულამაზესი ქალიშვილი ჰყავდა. მეფე მთელ სახელმწიფოს ჰპირდებოდა იმას, ვისაც მისი ასული საქმროდ აირჩევდა. მრავალი ქვეყნის უფლისწულები ცდილობდნენ მოენადირებინათ მეფის ასულის გული, მაგრამ ამაოდ: მას სასახლის უბრალო პაჟი უყვარდა. ის პაჟი

კი მეფის ასულის სეფე-ქალზე იყო. გამიჯნურებული. ამის გამო მეფის ასულსა და სეფე-ქალს შორის შუღლი ჩამოვარდა.

მეფემ რომ ამ ამბავს ყური მოჰკრა, საშინლად განრისხდა და მაშინვე ბრძანა ციხეში ჩაეგდოთ სასახლის პაჟი. თუ ყველაფერი დამტკიცდებოდა, პაჟს საშინელი სასჯელი ელოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ „განგების სამსჯავროც“ დაინიშნა. წესი ასეთი იყო: ცირკში ხალხს შეყრიდნენ, ლოჟაში მეფე და მისი ოჯახის წევრები დასხდებოდნენ. მათ პირდაპირ, არენის იქით, ორი კარდახშული ოთახი იყო. ერთში მეფე ლომს ჩაკეტავდა, მეორეში — ლამაზ ქალს. არავინ, გარდა მეფისა, არ იცოდა, თუ რომელ ოთახში იყო ლომი და რომელში — ქალი. ბრალდებული უნდა გამოსულიყო ცირკის არენაზე, თაყვანი ეცა მეფის ოჯახისათვის, მერე კი წასულიყო ერთ-ერთი იმ ოთახისაკენ და მისი კარი გაეღო. თუ იგი დამნაშავე იყო, „განგების კარნახით“ იმ ოთახის კარს გააღებდა, რომელშიც მშიერი ლომი იყო დამწყვდეული, და... ხალხი ერთობოდა იმის ცქერით, თუ როგორ ფლეთდა გამძვინვარებული ცხოველი ბრალდებულს. ხოლო თუ უდანაშაულო იყო, ასევე „განგების კარნახით“ მეორე ოთახის კარიდან გამოუშვებდა ლამაზ ქალს და იქვე, ცირკის არენაზე, მათი დიდი საქორწინო ზეიმიც გაიმართებოდა...

... იმ დღეს მეფემ ერთ ოთახში მშიერი ლომი ჩაამწყვდია, მეორეში კი — სწორედ ის სეფე-ქალი, რომელიც მისი ასულის მეტოქე იყო. პაჟი ყოჩაღად გამოვიდა ცირკის არენაზე. იგი დაიმედებული იყო, რომ მეფის ასული როგორმე გაიგებდა, თუ რომელ ოთახში იყო ლომი და რომელში — ქალი, და ანიშნებდა, რათა თავისი საყვარელი ადამიანი გადაერჩინა ლომის კლანჭებისაგან...

მეფის ასულმა მართლაც გაიგო ეს, მაგრამ ახლა სხვა საგონებელში ჩავარდა. რა უნდა ექნა? ენიშნებინა კარი, რომლის იქით ლომი იყო, იქვე, ცირკის არენაზე, დაგლეჯდა დამშეული ლომი მის საყვარელ პაჟს. ენიშნებინა მეორე კარი, იქიდან მისი მეტოქე სეფე-ქალი გამოვიდოდა და ისინი მის თვალწინ იქორწინებდნენ...

პაჟმა ჯერ თავი მდაბლად დახარა მეფის ლოჟის წინ, მერე

კი ზესაბრალისად შეხედა მეფის ასულს. მცირე ყოყმანის შემდეგ მეფის ასულმა ხელი ოდნავ გადასწია მარჯვნივ.

პაჟი მაშინვე შებრუნდა და პირდაპირ მარჯვენა კარისაკენ გაემართა...

... ეს ვთქვი და გავჩერდი კიდეც.

— მერე? — თითქმის ერთხმად აღმოხდა ყველას.

— მერე არაფერი, აქ თავდება ნოველა, — ვუპასუხე მე.

— არა, ეს შეუძლებელია, ასე როგორ დამთავრდებოდა! ხომ უნდა გაიგოს კაცმა, იმ მარჯვენა კარიდან ლომი გამოვა, თუ სეფე-ქალი? — მომაყარა უცებ კლერჰენმა. სხვებმაც მხარი აუბეს და საშველი არ მომცეს, სანამ ნოველის უკანასკნელი ფრაზებიც არ გავიხსენე.

— მერე თვითონ ავტორი მოგვმართავს ჩვენ, მკითხველთ: მოდით, მე ნუ დამაკისრებთ ამ სადავიდარაბო საკითხის გადაწყვეტას, თქვენ თვითონ ამოიცანით ვინ გამოვიდოდა მარჯვენა კარიდან: ლომი, თუ ქალიო...

— ლომი! — იყვირა ერთმა.

— ქალი! — შეედავა მეორე.

— არა, ლომი! — არ დათმო პირველმა.

— როგორ შეიძლება, აუცილებლად ქალი! — აუწია ხმას მეორემ...

აი, ლომი! აი, ქალი! ერთმა ეს თქვა, მეორემ — ის. ზოგი ამას მიემხრო, ზოგი — იმას. ატყდა ერთი დავიდარება, ყველა თავის აზრს გამოთქვამდა და ამით უნებლიეთ თავისსავე ხასიათსაც ამჟღავნებდა.

მე გაოცებული ვუყურებდი კლერჰენს, რომელიც იმ ერთი კითხვის შემდეგ სულ გაჩუმებული იჯდა და ამ აყალმაყალში მონაწილეობას არ იღებდა. ხმაური რომ ცოტათი მიწყნარდა, მე მივუბრუნდი მას და ყველას გასაგონად ვკითხე:

— ქალბატონო კლარისა, თქვენ რატომ არაფერს ამბობთ?! როგორ გგონიათ: რომელ ოთახში იქნებოდა ლომი და რომელში — ქალი?

კლერჰენმა ერთი გესლიანად ჩაიცინა და მისთვის უჩვეულო სერიოზულობით წარმოთქვა:

— იმ მეფის ადგილას მე ორივე ოთახში მშიერ ლომებს ჩავსვამდი, რომ შეუცდომელი ვყოფილიყავი!..

საფლავი დუნაის პირას...

მეორე დღეს წამოვედი ვენიდან. თვალზე ცრემლმორეულმა მასპინძლებმა დუნაიმდე გამომაცილეს. მიცი და ჰელმუტი სულ კისერზე დამეკიდნენ. შევპირდი კიდევ გინახულებთ-მეთქი, მაგრამ ომის დროს, ეტყობა, ისე შემეცვალა ხასიათი, რომ ვინახულე კი არა, წერილიც არ მიმიწერია... დიდი ხნის მერე ჰუპერტი ჩამოვიყვანეთ მოსკოვიდან თბილისში „ვეფხისტყაოსნის“ სათარგმნელად. ექვსი თვე ჩემთან იყო დაბინავებული. მერე ვენაში რომ დაბრუნდა, იმ ექიმის ოჯახთანაც დაკბარე მოკითხვა. ჰუპერტი მე კი არ მგავდა, მას შემდეგ აგერ ოცდახუთი წელიწადი გავიდა და ისევ მწერს წერილებს...

... ბადეწში ორი კვირა დავყავი. ვახტანგმა აქედანაც გამასწრო. საოცარი ის იყო, რომ სწორედ იმ ბინაში მომიხდა ცხოვრება, სადაც ადრე ვახტანგი მდგარა. ტკბილად იგონებდნენ. აქ კარგად დავისვენე, მგონი სავსებით განვიკურნე კიდეც...

მოულოდნელად დიდი დრუჟნიკოვი, ბეგი და მარინა მეხტუმრნენ. ერთად წავედით ბუდაპეშტში. ეს უკვე სრულიად თავისუფალი და სასიამოვნო მოგზაურობა იყო. რამდენიმე დღე დავყავით ესტერჰაზების სახლში. ილონკა, „ტყის ფერია“ და სხვა ნაცნობებიც მოვინახულეთ. მერე რატომღაც კერეპეშტის სასაფლაოს ნახვა მომინდა. ისევ იმ ადგილას მივედი, სადაც სანგრებში ვიყავი და ავლაბრელი ტიღუა ჩამარხა ყუმბარამ. ძალიან დამენანა ეს უბრალო თბილისელი ბიჭი, რომელმაც თავისი საფლავი თვითონ ამოითხარა აქ, ამ დასაკარგავში. მაშინ ჩემთან ბეგიც იყო. ტიღუას ამბავი რომ მოვუყევი, იმასაც გული აუჩვილდა და მისდა უნებურად ისეთი რამ წამოსცდა, რასაც ამდენ ხანს თურმე გულჩოდგინედ მიმალავდნენ.

— ასეა, უფროსო, ის საწყალი ჩარიტაც ასე არ დაიღუპა! — თქვა მან და ენაზე იკბინა, მაგრამ გვიანღა იყო. იქვე სასაფლაოს ქვაზე ჩამოვსხედით და მიამბო:

— ჩარიტა ისე დაგლიჯა ნაღმმა, რომ მისი ნაწილები ძლივს ნოვაგროვეთ. ლოქო მხოლოდ დაიჭრა. როცა ჩარიტას სიკვდილი გაიგო, კინაღამ გაგიჟდა. სულ შემოიხია ტანზე ყველაფერი. მე მოვკალი ის ეშმაკის კერძიო, ყვიროდა. დუნაისაკენ გარბოდა თავის დასახრჩობად. სანამ არ შევკარით, ვერ გაეაჩერეთ...

— დიდი პატივი სცეს, უფროსო, ჩარიტას, — განაგრძო ბეგიმ, — ფრონტზე, ალბათ, ასეთი დიდებით არავინ დაუსაფლავებიათ. მთელი შტაბი იქ იყო, გენერლებიც. როცა მარხავდნენ, ისეთი სროლა ატეხეს, გეგონებოდათ დიდი შეტევაა. ცაში ორმოცდაათი გამანადგურებელი დაფრინავდა. მერე ისე დაბლა გადაუქროლეს ჩარიტას საფლავს, ლამის ბორბლებით შეეხნენ მას... სხვა მფრინავებიც იქ იყვნენ. ცერემონია რომ დამთავრდა, ერთმა ქუდი მოიხადა და ჩარიტას საფლავზე დაადგო, მერე მეორემ, მესამემ და, ბოლოს, ყველამ დავყარეთ ჩვენი ქუდები და ისე წავედით... მერედა იმას რა, იმ საცოდავს! — ამოიოხრა ბეგიმ და ცრემლები მოიწმინდა.

არ ვიცოდი ასეთი სანტიმენტალური თუ იყო. ისიც თქვა, დაგლეჯილი წითელი ჩექმები და შლეიფიანი კაბაც ჩავაყოლეთ საფლავშიო, თან ნაღვლიანად დასძინა:

— რაღ უნდოდა საწყალს, აღარც ტანი ჰქონდა და აღარც ფეხები!

შეორე დღესვე დავბრუნდით ვინერ-ნოიშტადტში. „ტყის ფერიაც“ გამოგვყვა, არ ვიცი გასასეირნებლად, თუ მასაც მოუნდა ჩარიტას საფლავის ნახვა. სადღაც ფერდობთან მანქანა გაგვაჩერებინა და მინდვრის უამრავი ყვავილი დაკრიფა. მერე ისევ დუნაის ნაპირებს ავყევით. ბეგიმ მაშინვე მოძებნა ჩარიტას საფლავი. ერთხანს ყველანი გაშეშებული ვიდექით. „ფერიამ“ მინდვრის ყვავილებით შეამკო საფლავის ამაღლებული ბორცვი და ხის ხუთქიმიანი ვარსკვლავი... თვითონაც ცოცხალი ყვავილივით იდგა, თავდახრილი და სულგანაბული...

... იქიდან რომ წამოვედით, რაღაც მძიმე სევდა გამოგვყვა თან. მანქანაში ყველანი გაჩუმებული ვიყავით, ერთმანეთს არ ველაპარაკებოდით. არც არავითარი ხალისი გვქონდა ამისი. ვისხედით ჩვენთვის და ვფიქრობდით... „ფერიამაც“ დაიჭირა

სიჩუმის გამოცდა: აღარ ანცობდა, არც არაფერს ამბობდა, იყო მტრედის ხუნდივით გატრუნული და, ალბათ, ისიც ფიქრობდა რამეზე, თუმცა კაცისშვილი ვერ გაიგებდა რაზე. მისოვის ყველაფერი თამაში იყო, სახეზეც ელვის სისწრაფით იცვლიდა სიხარულისა და მწუხარების ნიღბებს. მისი სურვილები ათას ბანალურ წვრილმანში იყო გაბნეული და უჭირდა რთული განცდების სუბლიმირება. თითქოს ეშინოდა კიდეც თავისი თავისა და ამიტომაც არ იყო გულწრფელი. არც სხვასთან და არც თავის თავთან. ზოგჯერ თითქოს რაღაც შეჩერდებოდა მის ხასიათში, თვალის გუგები გაუგანიერდებოდა, ფიქრებსაც სიღრმე ემატებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წამით. მერე ისევ გაექცეოდა თავის გულწრფელ ფიქრებს და ნიღბების თამაშს უბრუნდებოდა. გულწრფელობის ის იშვიათი წამები რომ ერთად შემეკრიბა, რამდენიმე წუთის მეტი არც გამოვიდოდა, მაგრამ...

— ის რამდენიმე წუთი ღირდა პოეზიად!..

... მას შემდეგ თითქმის ოცდახუთი წელი გავიდა, მაგრამ ასევე ჩამრჩა მეხსიერებაში. ახლა კი ვერც წარმომიდგენია როგორი უნდა იყოს ხანში შესული „ტყის ფერია", თუმცა... დრო წელიწადებით ილევა, წელიწადები — თვეებით, თვეები — დღეებით, დღეები — საათებით, წუთებითა და წამებით.

— საათზე უფრო ღრმა სიმბოლო მე არ მეგულება, — წერს ბატონი კონსტანტინე და ყურში ახლაც ზარივით რეკავს მისი სიტყვები:

— თვალწინ მიდგას ღრმად მოხუცებულის დამჭკნარი სახე, თეთრი, მთვარესავით მრგვალი და ბრტყელი. თვალებჩანისლული და თავდავიწყებაში მთვლემარე. ნელა, ნელა ეპარება ამ სახეს ორი ვარდისფერი პაწია თითი შვილისშვილისა. უცაცუნებს ბებიას სახეზე და ნაოჭს უსწორებს. პაწია თითები მიცოცავენ ბებრის სახეზე. თვალწინ მიდგებიან: საათები, საათები ეკლესიის გუმბათებზე, საათები დიდი ქალაქის მოედნებზე, საათები, ფართო, ღიათვალებიანი საათები რკინიგზის სადგურებზე, როცა შუაღამისას ექსპრეს-მატარებლით მიჰქროლავხარ სივრცეში და ისინი ისე დაღვრემილად გამო-

იყურებიან, როგორც გარდაცვლილი დროის სარკე — თვალები!

ღიად დარჩენილი თვალები მარადისობისა!

ჩვენს ხანგრძლივ უძილო ღამეებში, მარტოობა და უცხოობაში ისინი რეკავენ, რეკავენ, თითქოს ვიღაცას ჩემთვის ძვირფასსა და საყვარელს მიასვენებენ სადღაც დიდი ქალაქის ბნელ ქუჩებში.

დარეკავს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... აჟღარუნდება თორმეტჯერ და ყველანი ერთის ჯადოსნური დირიჟორის ჯოხის გაქნევაზე აჟღარუნდებიან. მთელი მძინარე ქალაქის საათები, და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ვიღაცეებმა ცხრა ჩირაღდანი აიღეს, სანდლები ფეხზე წამოიცვეს, ჩირაღდნები აანთეს და ემზადებიან გასასვენებლად.

საათები ბინის კედლებზე, საათები მოედნებზე, საათები რკინიგზის სადგურებზე. საათები ეკლესიის გუმბათებზე და სატრიუმფო ჭიშკრებზე. რეკავენ, რეკავენ, ზარითა და ზათქით მიასვენებენ მზეგადასულ დროს, რომელიც ყველაფერს გვართმევს. ყველაფერს თან წაიღებს, რაც აქამდის გვიგრძნია, ყველაფერს, რაც გვყვარებია და შეგვძულებია. ჩვენს დიდ სიყვარულსა და ჩვენს დიდ ნუგეშს, ჩვენს დიდ სიხარულსა და პატარა ბედნიერებას. ჩვენს დარდსა და ჩვენს გულისჭირს. ჩვენს ღიმილსა და ჩვენს ცრემლებს. ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები. საათები ჩვენი ბინის კედლებზე, საათები ქალაქის მოედნებზე, საათები სიკვდილის სატრიუმფო ჭიშკრებზე...

დელფინებზე ნადირობა

მერე დუნაის ნაპირებს ჩამოვყევით და ბუქარესტში დავბრუნდით. აქაც ჩვენი რუმინელი მეგობრები მოვინახულეთ. რამდენსამე ხანს სნაგოვის ტბასთან ვცხოვრობდით, სადაც შესანიშნავი პლაჟებია და უფრო შესანიშნავი — „დელფინები“. ანთიმოზ ივერიელის ტაძარსაც ვეწვიე. მერე იქიდან ბულგარეთში გადავედით, შორიდან ჩავუარეთ ბაჩკოვოს მონასტერს და, შავი ზღვის სანაპიროზე გამოსულნი, ისევ რუმინეთში ვიმ-

ყოფებოდით, ქ. კონსტანცაში, სადაც მაშინ ჩვენი ფრონტის შტაბი იდგა და რაღაც გაურკვეველ სამზადისში იყო. მე რატომღაც ექიმების ოჯახში დაბინავება დამებადა. აქაც ვიღაც ცნობილი პედიატრის ვილაში მოვეწყვე, ზღვის ნაპირას. სახლის პატრონი თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით პირველ სართულზე ცხოვრობდა, მე — მეორეზე. თავაზიანი ხალხი ჩანდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთან ასე იქცეოდნენ.

ზაფხულის ცხელი დღეები იდგა და მთელი ქალაქი დილიდანვე პლაჟზე გარბოდა. შესანიშნავი პლაჟი და ზღვა ჩვენც ძალიან გვიზიდავდა, მაგრამ სამხედრო ცხოვრებას მაინც დისციპლინა უყვარს და ჩვენც რაღაც საქმეებს ვიგონებდით, რომ ოფიცრები სამსახურის ადგილას „დაგვება“. მცირედი საქმე ბეგისაც გაუჩნდა. მას ქალაქში „პროფილაქტიკური ღონისძიება“ უნდა ჩაეტარებინა. ყოველ ოპერაციას თავისი სახელი აქვს და ბეგიმ ამ საქმეს „დელფინებზე ნადირობა“ შეარქვა. ბეგის დაევალა ერთ ღამეში მოეხდინა ყველა „ყვითელი სახლის“ ექსპროპრიაცია. ყოველ სანავსადგურო ქალაქს თავისი „კოლორიტი“ აქვს და ეს „მშვენება“ არც კონსტანცას აკლდა. აქ ასეთ საეჭვო დაწესებულებათა მთელი კვარტალი იყო. ბეგი წინასწარ გაეცნო „ექსპროპრიაციის ობიექტების“ დისლოკაციას და, როგორც ჩანდა, ჭაშნიკიც აუღო მის „კოლოსალურ ექსპონატებს“. მერე საშტაბო ბატალიონი წაიყვანა, ის კვარტალს ალყა შემოარტყა, ექსპროპრიაცია წარმატებით ჩაატარა და დილით მოახსენა:

— პარდონ, უფროსო, დავალება შესრულებულია!

— სულ დახურე?

— სულ, გარდა ერთისა!

— ის ერთი ვიღას დაუტოვე?

— ჩვენს ბიჭებს, უფროსო, იქ ისეთი ელეგანტური დელფინებია, რომ დამენანა.

— ამაღამვე წახვალ და იმასაც დახურავ! — ვუბრძანე მე.

ბეგი თუ რაზეს აიჩემებდა, ასე ადვილად კი არ მოეშვებოდა. ბევრი მიმტკიცა, ის ერთი მაინც დავტოვოთ, ამით არა დაშავდება რაო, მაგრამ, რომ არაფერი გაუვიდა, შებინდებისთანავე წავიდა „უკანასკნელი ოპერაციის ჩასატარებლად“ და „რატომღაც“ დილამდე არ დაბრუნებულა. მეორე დღესაც

გულდაწყვეტილი იყო, მაგრამ ჩქარა გახალისდა, რადგან გაიგო, რომ იმ „დელფინებმა“ ახლა პლაჟზე გადაინაცვლესო. ბეგიმაც „თავის ბიჭებიანად“ შეიცვალა ნადირობის ადგილი.

ქალაქი ჯერ კიდევ ძველი ინერციით ცხოვრობდა. პლაჟზე სირცხვილ-ნამუსს ტანისამოსთან ერთად იხდიდნენ და ნაპირზე ტოვებდნენ. ვისაც როგორ მოეხასიათებოდა, ისე იქცეოდა. თუ ზოგ ვინმეს ადამისა და ევასაგან განმასხვავებელი მცირე რამ მაინც ემოსა, სხვები არც ამაზე იწუხებდნენ თავს. ნაპირზე უამრავი საცურაო ტივტივა ეყარა. შეცურდებოდნენ „დელფინები“ ასეთი ტივტივებით ზღვაში და, როცა თვალს მიეფარებოდნენ, „ცივილიზაციის უკანასკნელ ძონძებსაც“ იშორებენ და ტკბებოდნენ სხეულის „ველური თავისუფლებით“. ბეგი და „მისი ბიჭებიც“ შეაცურებდნენ თავიანთ ტივტივებს ზღვის სიღრმეში და თუ იქიდან კივილი მოისმოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ „დელფინა“ დაჭერილი იყო...

როცა ასეთმა „ნადირობამ“ მეტისმეტად ფართო ხასიათი მიიღო, „სამხედრო რეჟიმი“ გაძლიერდა. უსაქმო ოფიცრებისათვის საქმის გასაჩენად „სამხედრო მეცადინეობის საათები“ იქნა შემოღებული. ყოველდღე დილიდანვე ექვს საათს ლექციას გვიკითხავდნენ. ამ „დაკარგულ საათებს“ ყველანი ღამით ინაზღაურებდნენ და დილით გამოუძინებელნი მოდიოდნენ „უსაქმობის აკადემიაში“. პირველი ორი ლექცია თითქმის ნორმალურად მიმდინარეობდა, მესამესა და მეოთხეზე მეტწილად თვლემდნენ, ხოლო მეხუთე-მეექვსეზე უკვე, საერთოდ, არავის აღარაფერი ესმოდა...

...მდგომარეობას პირველი ტრაინინი შეეგუა თავისი შავი სათვალით. დაიწყებოდა ლექცია თუ არა, ის იდაყვებს დაეყრდნობოდა და ძილს მისცემდა თავს. მერე სხვებმაც შეიძინეს შავი სათვალე და ტრაინინის მაგალითს მიჰბაძეს. ბეგიმ იფიქრა მე რა სხვაზე ნაკლები ვარო და სადღაც იმოდენა შავი სათვალე იშოვა, თვალებს კი არა. ნახევარ სახესაც უფარავდა. ლექცია დაიწყო თუ არა, იმანაც საძილეთისაკენ გაუტია. თან ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ ლექტორმა იყვირა:

— კაპიტანო ბეგი!

— პარდონ! — წამოვარდა დაფეთებული ბეგი, მაგრამ

რა მოხდა ველარ გარკვეულიყო. ყველა ხარხარებდა. გაეცინა ლექტორსაც:

— აი, აი, ბეგი! ეგ შუქშენიღბვა კარგად მოგიფიქრებია, მაგრამ ხმის ჩამხშობი აპარატურის შეძენა დაგვიწყებია!

ამის შემდეგ ბეგის შავი სათვალე აღარ გაუკეთებია, ოღონდ არც მეცადინეობაზე დადიოდა, ვითომ დაიმორცხვა ასეთი საჯარო „კონფუზის“ შემდეგ...

... ყველანი რაღაცის მოლოდინში ვიყავით. არ ვიცოდით რას გვიპირებდნენ: დემობილიზაციას და შინ გაშვებას, თუ რამე ახალ დავალებათა მოცემას. ეს უსაქმურობაც მომწყინდა. შინ კიდევ მასპინძლების ზედმეტად ხაზგასმული სტუმართმოყვარეობაც აუტანელი გახდა. რაღაც ამბების მეხსიერებაში აღდგენის აუცილებლობა მოვიმიზეზე, ნებართვა ავიღე და რამდენიმე კაცთან ერთად შავი ზღვის სანაპიროებს დავუყევი მანქანით, ჯერ მამაი გავიარეთ, სადაც ამჟამად შესანიშნავი კურორტია აგებული, მაშინ კი ცარიელი კონცხი იყო. მე ძალიან მომეწონა ლეგენდა ამ კონცხის შესახებ.

თურქების შემოსევის დროს აქედან ვიღაც ულამაზესი ქალი გაუტაცნიათ. ხომალდმა რომ აფრა გაშალა და ზღვაში შეცურდა, იმ ქალის პატარა გოგონა ნაპირზე დარჩა.

— მამაი! მამაი!.. (დედა! დედა!..), — წიოდა თურმე ბავშვი. ხომალდის ბაქნიდან კი გამწარებული დედა უხმობდა შვილს თავისაკენ...

— მამაი! მამაი!.. — იწივლა ისევ ბავშვმა და ზღვაში შევიდა... იგი მიიწევდა დედისაკენ, უნდოდა დასწეოდა მას. ცა და დედამიწა იწვოდა მისი საცოდაობით და... ზღვაში რომ არ დამხრჩვალიყო, ხმელეთი ფეხდაფეხ მიჰყვა იმ გოგონას, რომელმაც სამოდე კილომეტრის გავლა მოახერხა მხოლოდ... მერე ხომალდი თვალს მიეფარა...

იმ ადგილას დარჩა ზღვაში ვიწრო ზოლად შეჭრილი კონცხი, რომელსაც „მამაი“ დაარქვეს...

... ამის შემდეგ ისტრიისაკენ გავუხვიეთ, სადაც უძველესი რომაული ქალაქის ნაშთებია დარჩენილი. მეხსიერებაში კოლ-

ხეთის ასულ მედეას ლეგენდაც ამოტივტივდა. სადღაც აქ მოაკვლევინა მან თავისი ძმა...

ისტორიიდან ისევ დუნაის ნაპირებს ავუყევით და ბევრი ადრე უნახავი ადგილი ვნახეთ. ბუქარესტშიც შევიარეთ. „ალხამბრაში“ კონცერტ-ბალაგანს დავესწარით. კიდევ ერთხანს ვიხეტიალეთ და ათი დღის შემდეგ კონსტანცაში დავბრუნდით. აქ ახალი ამბავი დაგვახვედრეს: ჩვენი ფრონტი იაპონიაში გადაჰყავთო. ზოგს ეწყინა. ზოგს არა. თავგადასავლების მოყვარულთ გაგვიხარდა კიდეც: შორეული დასავლეთიდან შორეულ აღმოსავლეთში გადანაცვლება ბევრ საინტერესო რამეს გვიქადდა. ყოველ შემთხვევაში, ეს უკეთესი იყო, ვიდრე კონსტანცაში უსაქმოდ ჯდომა...

გახურებული მზადება მიმდინარეობდა. ეშელონი ეშელონზე იგზავნებოდა შორეული აღმოსავლეთისაკენ. ჩვენს განყოფილებაშიც დაიწყო ხალხის „გადალაგებ-გადმოლაგება“. „რუმინელები“ ბუქარესტში გაგზავნეს, „უნგრელთა“ ნარჩენები — ბუდაპეშტში. ბეგიმ თავი მოიკლა და არსად წავიდა. თქვენთან ერთად მეც წამოვალო იაპონიაში, მაგრამ ნება არ დართეს. მერე ახალი განკარგულება მოვიდა: ვინც გერმანული იცის, სასწრაფოდ მოსკოვში გამოგზავნეთო. ბეგის გარდა ჩვენს განყოფილებაში მეტ-ნაკლებად ყველამ ვიცოდით გერმანული, ამიტომ პირდაპირ ეშელონიდან ჩამოგვსვეს. ბეგი ისევ „დარჩა რიყეზე“. მერე როგორღაც „დავარწმუნეთ“, ტრანსილვანიაში უნდა დაბრუნდე, შენ იქა ხარ უფრო საჭიროო. მაგრამ ისე უმძიმდა ჩვენთან განშორება, რომ ხმას ვეღარ იღებდა. იმ დღეებში სულ ნაცემი ძაღლივით დაგვდევდა შორიახლო, ოღონდ „გაბუტული“ იყო და ჩვენთან არ მოდიოდა...

... ნაწილი ამხანაგებისა მატარებლით წავიდნენ. მე, ტრაინინი, კაპიტანი ფურმანი, მარკოვი და მარინა, ჰო, მართლა, ბრეიმანიც (კინაღამ აქაც არ დამავიწყდა!) კონსტანცის ნავსადგურში ტანკერის კაპიტანს მოველაპარაკეთ და შეგვპირდა ოდესაში ჩაგიყვანთო. ჩვენ შორის ორი ოდესელი იყო, ტრაინინი და ფურმანი, იმათთანაც შევივლიდით და მერე იქიდან მატარებლით მოსკოვისაკენ გავუტევდით...

... დადგა ბეგისთან გამოთხოვების დღე. ის ისევ შორიახლო გვივლიდა და არ გვეკარებოდა. ტანკერზე რომ ავედით, მოედანზე იდგა და გვიყურებდა. ხელი დავუქნიეთ, მაგრამ არ გვიპასუხა. ტანკერი რომ დაიძრა, პირდაპირ შუა მოედანზე ჩაჯდა! ალბათ, მუხლები მოეკვეთა. ჩვენ ხელს ვუქნევდით, ის კი იჯდა გაუნძრევლად. იმდენი ვუქნიეთ ხელები, ვიდრე ტანკერი ნაპირს არ დაშორდა და ბეგი შავ წერტილად არ იქცა. მერე ის წერტილიც გაქრა.

ამის შემდეგ მისი არაფერი გამიგია...

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ...

კონსტანციდან ოდესამდე მგზავრობა არც ისე სასიამოვნო აღმოჩნდა. სასიამოვნო კი არა, სახიფათოც იყო. ტანკერს ბენზინი მიჰქონდა, ზღვა კი ნაღმებით იყო სავსე. საკმარისი იყო ბრმა შემთხვევით ერთი პატარა „კონტაქტი“ მომხდარიყო, რომ გემიან-ყველაფრიანად ავფეთქებულიყავით. ამიტომ კაპიტნის განკარგულებით დღისით ყველანი გემის ბაქანზე ვიდექით და თვალმოუშორებლივ გავყურებდით ზღვას.

— თუ ნაღმს შენიშნავთ... სიგნალი და გავჩერდებით, — გვიხსნიდა კაპიტანი, არადა ვივლით ასე ცოცვით.

მართლაც „ცოცვით“ მივდიოდით, იმდენად ნელა, რომ ვერც ვაჩნევდით მივცურავდით, თუ ადგილზევე ვიდექით. ღამით ტანკერი ღია ზღვაში უნდა გაჩერებულიყო და გვეცადა გათენებამდე, თუ როდის გვეღირსებოდა ოდესაში მისვლა, ეს არავინ იცოდა...

კაპიტნის დავალება ჩვენ ადვილი გვეგონა და სულ თვალებად ვიქეცით. მაგრამ ჩქარა დავრწმუნდით, რომ თურმე ქვის კოდვა ამასთან შედარებით თამაშია. საშინლად ძნელი ყოფილა თვალგაშტერებით გაჰყურებდე ზღვას შეუსვენებლივ. მაშინვე თავბრუ გეხვევა და ისე დატრიალდება ცა და ზღვა, რომ ნაღმს კი არა, მცურავ კამეჩსაც ვერ დაინახავ. ტრაინინმა თქვა, ჩემი შავი სათვალით მაინც ვერაფერს ვხედავო, და მაშინვე დაუძვრა საქმეს. სხვებსაც თვალები აუჭრელდათ. მარინას გულზიდვაც დააწყებინა. კაპიტანი გვაქეზებდა: არა

უშავს, მიეჩვევით და, ოდესაში რომ ჩახვალთ, ნამდვილი მეზღვაურები იქნებითო, მაგრამ ამან ვერ გვიშველა. ჯერ ერთმანეთი შევცვალეთ, მერე სიმულაციაც დავიწყეთ, ბოლოს კი სულ მივანებეთ თავი...

... ღამით ტანკერი გაჩერდა. მოძრაობა ისე სახიფათო იყო, რომ კაპიტანმა ვერ გაბედა განეგრძო გზა. მეთვალყურეებად ახლა ეკიპაჟი იდგა. ჩვენ ისე ღაკიტანჯეთ ამ ყარაულობით, არაფრის თავი აღარ გვქონდა. განწყობილებას ისიც გვიფუჭებდა, რომ წინ საშინლად უსიამოვნო ამბავი გველოდა. ფურმანი გაუბედურებული კაცი იყო. მთელი მისი ოჯახი დახვრიტეს გერმანელებმა ოდესაში. თვითონ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. მისი კარის მეზობელი ტრაინინი არწმუნებდა — ევაკუირებულნი არიანო. ომის დროს ბევრს ჰქონდა ასე არეული მისამართები. მაგრამ ფურმანს რაღაც საშინელის წინათგრძნობა აწუხებდა. სულ დაღვრემილი იყო, ფიქრებში წასული. ტრაინინი ამაოდ ცდილობდა გაერთო იგი, არაფერი გამოუდიოდა. ფურმანმა დაიჩემა, რაღაც ცუდი ამბავია ჩემს თავსო. მერე ჩვენ შეგვიჩნდა, იცით და მითხარითო. ტრაინინმა ყველაფერი გაიწყვიტა, ცუდი არაფერიაო. ამაზე ცუდი კი რა იქნებოდა, დედაბუდიანად ამოწყვეტილი იყო: ბებია, დედა, მამა, ორი ძმა, სამი და, ოთხი შვილი — ყველანი ტანკსაწინააღდეგო ორმოში ჩაეყარათ და დაეხოცათ. ერთი ძმა იყო მხოლოდ გადარჩენილი, ის კი სწერდა, ყველანი კარგად ვართ და მოუთმენლად გელითო, მაგრამ ეს კაპიტანს არა სჯეროდა: კარგად თუ არიან, რატომ თვითონაც არ მწერენ წერილებსო.

ტრაინინის ცოლ-შვილი დროზე გახიზნულიყო სადღაც ვოლგის იქით და მხოლოდ ოდესის განთავისუფლების შემდეგ დაბრუნებულიყო იქ. ამიტომ მიუხაროდა მას შინ. ფურმანი ხომ მისი კარის მეზობელი იყო, მაგრამ საკუთარი ბედნიერება მაინც უფრო აღელვებდა, ვიდრე იმის უბედურება. როგორც კი ფურმანს მოშორდებოდა, სულ ოდესის ქუჩაში იყო. ამისთანა ქალაქი მთელ მსოფლიოში არ არისო. რატომო, რომ ვკითხავდით, არგუმენტებზე თავს არ შეიწუხებდა, თითებს გაატკაცუნებდა, კისერს წაიგრძელებდა და თავისი უხეირო ხმით მოგვიმღერებდა:

..., ჩვენ ყურადღება არ მიგვიქცევია, ტანკერის კაპიტანმა კი შეამჩნია, რომ ტრაინინს სხვა ბარგთან ერთად ბენზინის ერთი ბიდონიც მოჰქონდა.

— რად გინდა, კაცო, ეს ბენზინი?! — გაიკვირვა კაპიტანმა.

ტრაინინი რატომღაც დაიბნა, გეგონებოდათ რაღაც ცუდ საქმეზე დაიჭირესო.

— საავიაციოა, „ზაჟიგალკებისთვის“ მინდა, — უპასუხა მან და ეშმაკურად ჩაიცინა.

კაპიტანს ჯერ საეჭვოდ ეჩვენა მისი „განმარტება“, მაგრამ მერე, ეტყობა, მაინც დაიჯერა და უთხრა:

— შე კაცო, რაღა რუმინეთიდან მოათრევ, თუ გინდა ოდესაში ერთ ცისტერნას მოგცემ.

— არა, ჩემი განსაკუთრებულია, საავიაციო, — მიუგო ტრაინინმა.

იქვე მდგომ მარინას რატომღაც სიცილი წასკდა.

— რა გაცინებს, შე ჩერჩეტო! — გაუჯავრდა ტრაინინი,— ტყუილს ვამბობ თუ?!

— ისეთი არაფერი, მგონი თქვენს ბენზინს რაღაც სუნი არ უნდა ჰქონდეს შესაფერისი.

კაპიტანი ისევ დაეჭვდა და ბიდონს ხელი წაავლო.

— გაუშვი, კაცო, დახურულია, სუნი საიდან ექნება, — შეშფოთდა ტრაინინი.

არ დავიჯერეთ, პატრონი ხელით გავაკავეთ და... კაპიტანმა იმ ბიდონისა და ტრაინინის საიდუმლოება ერთად გახსნა. რუმინული არაყი იყო, „ცუიკა“. ბევრი გვეხვეწა სულ მთლად ნუ შემისვამთო, მაგრამ კაპიტანმა სტუმართმოყვარულად გაშალა ხელები, ჩვენს სუფრას რაღაც-რაღაცები თვითონაც მიუმატა და ქეიფს შევუდექით. ნათქვამია, სახლი გეწვოდეს, ხელი მაინც მოითბეო. ტრაინინმაც იმდენი დალია, სულ თავგზა აებნა. ნუ სვამ ამდენსო, რომ უთხრეს, გაიკვირვა. აბა, რა ვქნა, მე სულაც არ მინდა დალევა, მაგრამ, სულ ერთია, თქვენ მაინც არაფერს დატოვებთ და ბარემ მეც ჩავისხამ მუცელშიო. მერე ისევ ოდესური სიმღერა აიტეხა:

Сидели мы на крыше,
А может быть и выше.
Сидели мы на самой,
На трубе-е-е!

გაჰყვიროდა იგი. თუმცა ეს სიმღერას სულაც არა ჰგავდა, მაგრამ ამის გარჩევაში არც შედიოდა.

ფურმანი კი ისევ დაღვრემილი იჯდა. მერე მუხლებზე ხელი დაირტყა და დაიძახა:

— მე ვიცი, რომ კარგი ამბავი არ არის ჩემს თავს!

ყველანი გავჩუმდით. მთვრალმა ტრაინინმაც შეწყვიტა სიმღერა.

— მორჩი წუწუნს. ყველაფერი რიგზე იქნება, — უთხრა მან ფურმანს.

— არა, მე ვიცი, რომ არ იქნება!...

— რამე ცუდი რომ იყოს, ჩვენები მაინც არ ცომწერდნენ?

— ვინ იცის, იქნებ მოგწერეს კიდეც და არ მიმხელ!..

შეგვეშინდა მთვრალმა ტრაინინმა სინამდვილე უადგილოდ არ წამოროშოსო, მაგრამ ის მელა რას შეცდებოდა, ყველაფერი გაიწყვიტა ცუდი არაფერი ვიციო...

...ოდესაში რომ ჩავედით, ისე გავემართეთ ტრაინინისა და ფურმანის სახლისაკენ, ხელში გვირგვინები გვაკლდა, თორემ ნამდვილი სამგლოვიარო პროცესია ეგონებოდა კაცს.

გზაში ფურმანი ერთხელ კიდევ შეჩერდა და ტრაინინს უთხრა:

— მითხარი მაინც, შე უღმერთო, რა ამბავია?

ტრაინინმა ვითომ ვერ გაიგონა იმისი კითხვა და ფეხს აუჩქარა. მარინა და ბრეიმანი გზადაგზა ვიტრინებში იცქირებოდნენ, ჩვენ არაფერი გვკითხოსო. მარკოვი კი სულ ჩამოგვრჩა. ისევ ტრაინინი ჯამბაზობდა, გაშეშებულ სახეზე იდიოტურ ღიმილს გამოიხატავდა და ცდილობდა რამე გამამხნევებელი ეთქვა...

ამასობაში იმათ ქუჩაზე შევუხვიეთ. ფურმანს ისევ მარკოვი წამოეწია და ხელი მოჰკიდა. ტრაინინი დაწინაურდა. იგი პირველი შევიდა დერეფანში, კიბეებს აჰყვა და თავისი ბინის

ზარი დარეკა. მერე ისეთი ჟრიამული ატყდა, ყურთასმენა აღარ იყო. დიდი და პატარა ყელზე ეხვეოდა, ჰკოცნიდა, იცინოდა. ერთი ათი მაინც იქნებოდა: მშობლები, ცოლი, შვილები, ნათესავები. ისე იყვნენ გართული თავიანთი ბედნიერებით, რომ ჩვენთვის ყურადღება არც მოუქცევიათ.

მერე ვიღაცამ ფურმანს მოჰკრა თვალი და იკივლა...

თითქოს კინოკადრი ერთბაშად შეიცვალა, ყველა ერთად ... ...ალდა, ქალებმა თმები დაიგლიჯეს. მამაკაცები ფურმანს ... ...ვარდნენ. სიხარულის ნატამალიც გაქრა უცებ. ჩვენ ძირს ... ...მოვედით და ისინი დავტოვეთ, კიდევ კარგა ხანს არ დამ... ...ალა წივილ-კივილი. მერე ფურმანი ლასლასით ჩამოვიდა ... ...ა გვითხრა:

— წავიდეთ სადმე, იმათ მაინც ნუ ჩავუმწარებთ სიხა... ...ულს...

ქუჩაში რომ გამოვედით, ზემოთ, ღია ფანჯრიდან ისევ სი... ...ილ-კისკისი მოისმოდა...

...მარკოვი, ბრეიმანი, მარინა და მე იმავე საღამოს წამოვ... ...ყევით მოსკოვის მატარებელს. ოდესაში განცდილით ისე ვიყა... ...ვით ნერვებმოშლილი, ძილი არც ერთს არ გვეკარებოდა. ... ...ბგონი მე ერთხელ კი წავთვლიმე და, თვალი რომ გავახილე, საველე ჩანთა ვეღარ ვნახე: თვალსა და ხელს შუა ამაცალა ვიღაცამ. კიდევ კარგი რომ დოკუმენტები იქ არ იყო. ფული კი სულ დამეკარგა. მოსკოვისათვის მქონდა შემონახული, ძველ ნაცნობ-მეგობრებში დამჭირდება-მეთქი...

...მოსკოვში რამდენიმე დღე დავრჩი. მინდოდა შვებულება ამეღო და თბილისში წამოვსულიყავი, მაგრამ არ მომცეს. სადღაც გორკის პარკთან ვცხოვრობდი უფროს ოფიცერთა სახლში. ქალაქში არც გამოვდიოდი, რადგან ცარიელი ჯიბე არ მიწყობდა ხელს. დღისით ხანდახან გორკის პარკში ვიჯექი და გამვლელ-გამომვლელს ვათვალიერებდი.

ამდენ ხალხში უცებ ნაცნობი შევნიშნე. სამხედრო იყო, უფროსი ლეიტენანტი. მკერდზე ერთადერთი მედალი ეკიდა: „კავკასიის დაცვისათვის“. მაშინვე ვიცანი ბაქოელი ლეიტენანტი ჩმუროვი. ავდექი და წინ გადავეღობე. დაიბნა, გვერდზე

ვადგა და სამხედრო სალამი მომცა. ეგონა რამე დააშავა. მე გავუღიმე, მკლავზე ხელი წავავლე და ვეკითხები:

— ვერ მიცანით?

სადღაც წარბებში შემალული წვრილი თვალებით დამაკვირდა, მაგრამ მაინც გაიქნია თავი:

— ვერა, ამხანაგო მაიორო!

ეს რომ თქვა, ისევ სამხედრო სალამი მომცა. გამიკვირდა, ნუთუ ასე გამოვიცვალე-მეთქი და... ახლა მე გამოვეჭიმე. მინდოდა ბაქოს ამბები გამეხსენებინა და ძველებურად ჩავუმარცვლე:

— Чуть не профессор...

— არც ის მყრალი სიტყვა დავივიწყე, ჩმუროვი რომ ასეთ შემთხვევაში წარმოთქვამდა. სახეზე ღიმილმა გადაურბინა, მერე გაოცებულმა ხელი ხელს შემოჰკრა და დაიძახა:

— ოჰ, მე მაგისი...

გინება ამ შემთხვევაშიც მესამე პირში წარმოთქვა, თითქოს ის „მაგისი“ იქვე არ მდგარიყოს. ერთმანეთს გადავეხვიეთ. შემდეგ, ჩემს ეპოლეტებსა და ორდენებს რომ თვალი შეავლო, მითხრა:

— აკი ვამბობდი, თქვენგან კაცი გამოვა-მეთქი!

მე აღარ შევახსენე, სინამდვილეში რომ სულ სხვას მეუბნებოდა, ისედაც დარცხვენილი ჩანდა.

— მე სულ ბაქოში ვიყავი, ფრონტზე არ წავსულვარ, ამიტომაც ვერ დავწინაურდი, — თქვა მან და ხელი ჩაიქნია. ეტყობოდა ამას მძიმედ განიცდიდა.

რა თავაზიანი იყო ახლა, მოკრძალებული. კარგა ხანს ვისაუბრეთ. თუ როდესმე თბილისში მოხვდეთ, მინახულეთ-მეთქი ვთხოვე. მისამართიც მივეცი და დავემშვიდობე...

... იმ საღამოს სასადილოში რომ წავედი, ჩემს მაგიდას ვიღაც მაღალი, გამხდარი ოფიცერი მოუჯდა. გავეცანით ერთმანეთს. ცნობილი რუსი პოეტი მიხეილ სვეტლოვი აღმოჩნდა. მეც წარვუდექი.

— ქართველი ხართ? — მკითხა მაშინვე.

— დიახ!

— სასიამოვნოა!

ოფიციანტი მოვიდა და გვკითხა რას მიირთმევთო.

— არაფერს, — უთხრა ჩემ მაგივრადაც სვეტლოვმა, — მივდივართ. — მერე მე მომიბრუნდა და მეუბნება:

— წავიდეთ ჩემთან. გორკის ქუჩაზე ვცხოვრობ. ჩემი მეუღლე ქართველია, უნდა შეგახვედროთ ერთმანეთს.

— ქართველია?! რა გვარია?

— ამირეჯიბი!

იმ საღამოს როდამ ამირეჯიბმა ქართული სტუმართმოყვარეობა გაგვიწია...

...მეორე დღეს მე და მარკოვმა პოლკოვნიკი სამოილოვი ვინახულეთ. ისევ ძველ ადგილზე მუშაობდა. კრასნოგორსკში ხომ არ გინდა ახალი კონტინგენტის ნახვაო, შემომთავაზა. სიამოვნებით-მეთქი ვუთხარი და, რაკი სხვა საქმე არა მქონდა, გავყევი.

კრასნოგორსკის ბანაკი, მოგეხსენებათ, ჩემთვის უცნობი არ ყოფილა. ახლა იგი ერთიორად გაზრდილიყო. უფრო „საპატივცემულო სტუმრები“ ჰყავდათ. მე სიამოვნებით ვეცნობოდი მათ. ბევრი მათგანის ვინაობა ადრეც მქონდა გაგონილი. სიურპრიზებიც საკმაოდ შემხვდა. ახლა ამ ამბებს რომ ვიგონებ, ყოველივე ეს უფრო კომიკურად მოჩანს. გახსოვთ, ჰიტლერი რომ იძახდა, ვენკი მოდისო! ის ვენკი აგერ იყო კუთხეში ატუზული, მასთან ერთად — გენერალ-პოლკოვნიკი იენეკეც, ყირიმის მე-17 არმიის ყოფილი სარდალი. მერე ის ფელდმარშალი შერნერიც ვნახე, ასე ჯიუტად რომ განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას კაპიტულაციის შემდეგაც. მას ახლა ბავარიული სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. სამხედრო მუნდირი კი ჯერ კიდევ მაშინ გაეხადა, როცა ალპებში სცადა გაქცევა. გენერალი ვენკი და ფელდმარშალი შერნერი — საბჭოთა არმიის ტყვეები... იფიქრებდა ამას ჰიტლერი მაშინ, როცა დიდების შარავანდით მოსავდა მათ სახელს?! ან როგორ გამოიყურება ეს ლეგიონი ყოფილი გენერლებისა, გერმანული ვეერმაჰტის ეს უკანასკნელი ნაშთი!

ყველაზე მეტად მაინც ფელდმარშალი შერნერი მაკვირვებდა, ტურისტს რომ ჰგავდა თავის მოკლე შარვალში. სულმა წამძლია და ვკითხე იმ ვიმპელის შესახებ, ჰაერიდან რომ ჩა-

ვუგდეთ შტაბში. მაინტერესებდა მიიღო თუ არა. მიუღია. ამაყობდა კიდეც, მაინც რომ არ დანებდა. იმაზე კი არაფერი უთქვამს, უკანასკნელ პერიოდში რომ სარდლობა სხვას გადაცალოცა, თვითონ კი სამოქალაქო ტანისამოსი გადაიცვა და სცადა მიმალულიყო...

...კრასნოგორსკიდან კმაყოფილი წამოვედი. ორი დღის შემდეგ გამომიძახეს და ახალი საგზური მომცეს: ბერლინი, საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაცია, „შემდგომი სამსახურის გასავლელად", როგორც ამგვარ შემთხვევაში წერდნენ ხოლმე. ჩემთან ერთად მოდიოდა მაიორი მარკოვიც...

უნდა მატარებლით მემგზავრა, რომ თან წამეყვანა ოცდაათი მთარგმნელი. თქვენს განკარგულებაში სპეციალური ვაგონი იქნებაო, გამაფრთხილეს.

სადგურზე რომ გავედი, ოცდახუთი ქალიშვილი და ხუთი ვაჟი დამხვდა გამწკრივებული, უცხო ენათა ინსტიტუტების უკანასკნელი კურსის სტუდენტები იყვნენ. ყველას სამხედრო ფორმა ეცვა. გვარები ამოიკითხეს, შეამოწმეს, საბუთები გადმომაბარეს და ახალწვეულები ჟივილ-ხივილით აცვივდნენ ვაგონში, რომელსაც იმ დროისათვის მეტად საყურადღებო წარწერა ჰქონდა: მოსკოვი — ბერლინი.

მარკოვიც ამ ვაგონით მოდიოდა. ყველანი ჩინებულად მოვეწყვეთ და ხმაურით დავტოვეთ სადგური. გასამხედროებული გოგონების გასაცილებლად მოსული მშობლები ზომაზე მეტად იყვნენ შეშფოთებული. მატარებელი რომ დაიძრა, ისინი კიდევ ერთხანს მოსდევდნენ ჩვენს ვაგონს. მერე მათი სახეები გაუჩინარდა. გოგოების ჟრიამულიც მიწყდა და მატარებლის მონოტონური ხმაურიღა ისმოდა...

სარჩევი

ზაფხულის სიზმარი 3
წითელი ნიაღვარი 9
პოლიტიკური ორაგული . . 12
სხვისი თოკი 19
ორი ბეჭედი 23
ნაცნობი მელოდია 29
პრაქსიტელის გასამართლება . 33
ქერობინი და მისი მეშვიდე . 36
დაფნის ხე 40
ყველაზე გრძელი დღე . . . 45
ოვერლორდის დასაწყისი . . 49
მდუმარე ციცერონი 51
დაკარგული საფლავი . . . 56
გზადაგზა 64
დამხობილი „კონდუკატორე“ 69
ნაღმოსანი მეტეორები . . . 76
ტვინის ტრესტი 82
განგაში ნიუ-იორკში . . . 87
ტრიუმფული თაღი . . . 91
შლეიფიანი კაბები . . . 95
თეთრი ცერემონია 99
ფლიგელ-ადიუტანტი ბეგი . 105
დამსხვრეული სათვალეები . 109
გერმანული დუნაი 117
ზარატუსტრას აჩრდილი . . 119
დუჩე საკაცეზე 125
უძვირფასესი საჩუქარი . . 130
ბეგთარიანი ჩექმები . . . 136
ითბის ელჩები 143
განგების ძალა 147
ორმხრივი დიპლომატია . . 149
აფთარი სიროფში 156
ცოცხალი ყუმბარები . . . 159
ორი ბოთლი ჯოჯოხეთი . . 163
კამიკაძეები 166
ცალთვალა ალკიპიადე . . . 172
აფეთქება მგლის ბუნაგში . . 176
უბოქმედო ვალკირიები . . 184
უკანასკნელი შეხვედრა . . 188
გატეხილი ფიცი 192
ბარიკადები ქუჩებში . . . 196
შურისძიება 202
სამგლოვიარო კომედია . . 212
გენერლები საყასბოში . . . 218
ფრთამოტეხილი იკაროსი . . 228
სოდომის ასული 233
კვადრატული სამკუთხედი . 235
მზის გახელება 239
ჯალათი და შავი ვენერა . . 243
ევროპის მოტაცება . . . 247
სისხლი წყლულთან 253
ლეგენდა და სინამდვილე . . 256
ტევტონური მახვილი . . . 263
პირველი ნაბიჯი 267
ბრიკენდროპის წარმოდგენა . 273
მეტერნიხის აჩრდილები . . 277
სიგარების დიპლომატია . . 282
იმპერატორის იმიტატორი . 289
ტყუილი და მართალი . . . 293
ეაკობინელები ლონდონში . 299
კერძის მომზადება 308
ძეხვი და პოლიტიკა 313
რწყილი და ჭიანჭველა . . 317
მიუნხენის ტრაგედია . . . 322
ნატვრის სუფრა 325
ფარდის უკან 329
დიპლომატიური ბარათონი . 334
უშედეგო მისია 340
გლაივიცის კომედია 345
Ovis — ოვაცია 348
ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო . . . 353
რა მამლები წაიკიდნენ . . . 355

შგლისა და კრავის ამბავი . . 362
იქსი და იგრეკი 367
აქეთ გორასა 369
მეორე კაცი 378
სხვისი თვალი 382
ომების არითმეტიკა . . . 385
საიდუმლო გაფრენა 393
არჩევანი და არადანი . . . 401
ქათმის ბარკალი 405
გრძელი ტყუილის მოკლე ფეხები 411
თქვა რუქამ არაკი 416
ლომის ტყავი 421
შეხი ღრუბლიან ცაზე . . . 425
აღთქმული ქვეყანა 432
კეთილისა ბოროტი 440
კეისრის მახვილი 444
ქრისტეს ანბორი 452
ქვესკნელის კარი 456
ფიქრების მხატვარი 459
ეგვიპტური ღამე 466
სასწაულის მოლოდინი . . 475
ქართული ჩუქურთმები . . 484
სადარბაზო ბარათი 490
შავი ციკლოპი 499
მოტაცებული რეგენტი . . . 506
ქებაჲ ტოკაჲსი 510
ტყის ფერია 515
კენტავრების მარულა . . . 523
კოშუტის გახსენება 527
ფრანჩესკას ღიმილი . . . 532
ჩაშლილი ზეიმი 540
აელაბრელი ტიღუას ამბავი . 546
არეული მისამართები . . . 552
სასიამოვნო გაუგებრობა . . 558
ნახტომი ხევში 562
დაჭრილი ძეგლი 565
თითებით მოაზროვნე . . . 568
რუბიკონის გადალახვა . . . 572
რაინის საგუშაგო 575
ჩსხვილი თავი 583
მფრინავი ბერები 588
გენერლები გამოცდაზე . . 594
დიპლომატიური ციებ-ცხელება 601
კოპლი ტალეირანი 607
მუხის ჩრდილი 609
ჯოჯოხეთის არქიტექტურა . 616
განადგურების სიხარული . . 619
თეთრი ფერფლი 621
მიტოვებული სასაფლაო . . 625
სიკვდილის მუზეუმი . . . 629
შოპენის საწყობი 633
მოძრავი სასაკლაოები . . . 635
ჩაძირული კიდობანი . . . 640
უცნობი ქალის წერილი . . 643
ბერლინის მიმართულება . . 647
განკითხვის დღე 651
შვიდი ცოდვა და შვიდი მადლი 653
უკანასკნელი ხავსი 656
ჩრდილოეთის სემირამიდა . 660
De profundis 666
ფანოდრომის მცირე დოზა . 670
სახალხო სასამართლო . . 676
კრაზანების ბუდე 680
ტოტია მგლის ამბავი . . . 684
განგაში 688
სიზმრის აჩრდილი 693
ეშმაკის სამოთხე 697
ჯოჯოხეთის ანგელოზი . . 701
Apocalipsis cum figuris . 707
ფაუსტის გოდება 710
სახიფათო ანდერძი 716
სატანის დაცემა 719
გატეხილი ღერძი 726
უკანასკნელი სასტვენი . . . 731
მზის აზნაური 733
ადამიანთა ხალხი 736
ზეკაცების მოლოდინი . . 739
ღმერთების დასასრული . . 743
დამოკლეს მახვილი . . . 748
პრიმადონა 751
სოდომი და გომორა . . . 754
დიდი ვეზირი 759
კარიერა სახრჩობელაზე . . 764
აჩრდილების მთავრობა . . 768

ბეთლემის ვარსკვლავი . . 771
გულის მოციქული 774
ტევტონური რიტუალი . . . 776
ორნი ფრთენი არწივისანი . 780
ქორწინება სიკვდილთან . . 784
უკანასკნელი ანდერძი . . . 788
პუზანის დასასრული . . . 791
ვიკინგების რიტუალი . . . 796
მსხვერპლშეწირვა 801
კვერთხი მაგიდაზე 806
გარიზგილი ქრისტე . . . 808
ღამე და ვარსკვლავები . . . 816
გაჩერებული მზე 820
ნიბელუნგების განძი . . . 824
თორმეტი საათის შემდეგ . . 823
უკანასკნელი ოპერაცია . . 83.
ვანდეიკის საღამო 836
გაზაფხული სულისა 838
ხოხბებზე ნადირობა . . . 840
თეთრი ყორანი 847
ცალთვალა მეფისტოფელი . 852
საიდუმლო წერილი 856
უცნობი მხატვარი და სხვები 858
ტყვეობიდან ტყვეობაში . . 863
სხვისი სხვა 868
კოლოსალური კონტაქტი . . 874
ქართული ეშხი 878
ლომი და სეფე-ქალი . . . 881
საფლავი დუნაის პირას . . 885
დელფინებზე ნადირობა . . 888
დაბრუნება 893

Михаил Александрович Квеселава
ДНИ ПОТОПА
(На грузинском языке)
Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси. Марджанишвили. 5
1970

რედაქტორი მამია ებრალიძე
გამომცემლობის რედაქტორი ლეილა ნანიტაშვილი
მხატვარი თეიმურაზ გოცაძე
მხატვრული რედაქტორი ომარ მესხი
ტექრედაქტორი ივანე ხუციშვილი
კორექტორები: ოლღა ციცაძე, ელენე ევანია
გამონაშვები ნ. მაჭარაშვილი

გადაეცა წარმოებას 7/I-69 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/II-70 წ.
ქაღალდის ზომა 84 X 108 1/32
ნაბეჭდი თაბახი 47,46
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 42,29
უე 01623 ტირაჟი 20 000. შეკვ. № 184
ფასი 1 მან. 48 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного
комитета Совета Министров Грузинской ССР по печати.
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.